# პოლიტიკური იდეოლოგიები

შესავალი კურსი

მე-3 გამოცემა

ენდრიუ ჰეივუდი

ლოგოს პრესი

მთარგმნელთა ჯგუფი
თამარ ბაკურაძე (გვ. I-119)
ლაშა ბერაია (გვ. xiv-xvi, 377-91)
ნათია კვარაცხელია (გვ. 120-30, 143-214)
თამარ ლომიძე (გვ. 130-43, 337-67)
ლევან ლომსაძე (გვ. 177-336, 368-76)

ქართული გამოცემის რედაქტორები
ლაშა ბერაია
ზეინაბ სარაძე

ორიგინალური გამოცემის სახელწოდება: Andrew Heywood, Political Ideologies, An Introduction, Third Edition, Palgrave Macmillan.

© ენდრიუ ჰეივუდი 1992, 1998, 2003
წინასიტყვაობა © ენდრიუ გემბლი 1992
© ლოგოს პრესი, ქართული თარგმანი 2004
რეპრინტი 2005

ყველა უფლება დაცულია. ამ გამოცემის რაიმე სახით რეპროდუცირება, კოპირება ან გადაცემა აკრძალულია წერილობითი ნებართვის გარეშე.

ამ გამოცემის რომელიმე მონაკვეთის რეპროდუცირება, კოპირება ან გადაცემა-შენახვა დასაშვებია მხოლოდ წერილობითი ნებართვის ან შეზღუდული კოპირების დამშვები რაიმე დებულების მიხედვით, თუ ამგვარი დებულება გამოცემულია კოპირაიტის ლიცენზირების სააგენტოს (Copyright Licensing Agency, 90 Tottenham Court Road, London W1P 9HE) მიერ.

ნებისმიერი პიროვნება, რომელიც მიმართავს აკრძალულ ქმედებას ამ გამოცემის მიმართ, შეიძლება გახდეს სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის დევნის ობიექტი მიყენებული ზარალის გამო.

ამ ნაშრომის ავტორის უფლება დაცულია კოპირაიტის, დიზაინისა და პატენტების 1988 წლის აქტის მიხედვით.

წიგნი გამოცემულია "ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მთარგმნელობითი პროექტის" (CEU Translation Project) მხარდაჭერით, ფონდის OSI-Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის საგამომცემლო საქმის განვითარების ცენტრისა (CPD), ფონდ "ღია საზოგადოება – საქართველოს" (OSGF) სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამისა (SSSP) და საგამომცემლო-მთარგმნელობითი პროგრამის (TP) ფინანსური ხელშეწყობით.

The edition was published with the support of the Central European University Translation Project, sponsored by the OSI-Zug Foundation and with the contribution of the Center for Publishing Development of the Open Society Institute – Budapest, Social Sciences Support Program and Translation Program of the Open Society – Georgia Foundation.

ISBN 99928-928-4-6

გამომცემლობა "ლოგოს პრესი"
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13, თბილისი 0179
ტელ. 250258, ვებსაიტი www.logospress.com.ge

# შინაარსი


*ჩანართები* xi

*წინათქმა* xiv

*პირველი გამოცემის წინასიტყვაობა* xv

**1 შესავალი: როგორ გავიგოთ იდეოლოგია 1**

იდეათა როლი 1
რა არის იდეოლოგია? 5
*იდეოლოგიის ცნებები* 6
*იდეოლოგია, ჭეშმარიტება და ძალაუფლება* 13
მემარცხენეობა, მემარჯვენეობა და ცენტრისტობა 19
პოლიტიკური იდეოლოგიები ოცდამეერთე საუკუნეში 22
*ცვლადი მსოფლიო წესრიგი* 23
*პოსტმოდერნი* 25
*გლობალიზაცია* 26
რეკომენდებული ლიტერატურა 27

**2 ლიბერალიზმი 28**

წარმოშობა და განვითარება 28
ინდივიდის უზენაესობა – მთავარი თემები 31
*ინდივიდი* 32
*თავისუფლება* 34
*გონება* 37
*სამართლიანობა* 38
*შემწყნარებლობა და მრავალფეროვნება* 41
ლიბერალიზმი, მმართველობა და დემოკრატია 44
*ლიბერალური სახელმწიფო* 44
*კონსტიტუციური მმართველობა* 46
*დემოკრატია* 48

კლასიკური ლიბერალიზმი 53
*ბუნებრივ უფლებათა თეორია* 55
*უტილიტარიზმი* 56
*ეკონომიკური ლიბერალიზმი* 58
*სოციალური დარვინიზმი* 60
*ნეოლიბერალიზმი* 62
თანამედროვე ლიბერალიზმი 64
*ინდივიდუალობა* 65
*პოზიტიური თავისუფლება* 66
*სოციალური ლიბერალიზმი* 68
*ეკონომიკური მართვა* 71
ლიბერალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში 74
რეკომენდებული ლიტერატურა 77

**3 კონსერვატიზმი 78**

წარმოშობა და განვითარება 78
არსებულის შენარჩუნებისადმი სწრაფვა – ძირითადი თემები 81
*ტრადიცია* 82
*ადამიანის არასრულყოფილება* 84
*ორგანული საზოგადოება* 88
*იერარქია და ძალაუფლება* 91
*საკუთრება* 93
ავტორიტარული კონსერვატიზმი 94
პატერნალისტური კონსერვატიზმი 97
*ერთი ერის კონსერვატიზმი* 97
*ქრისტიანული დემოკრატია* 100
ლიბერტარული კონსერვატიზმი 102
ახალი მემარჯვენეობა 104
*ლიბერალური ახალი მემარჯვენეობა* 106
*კონსერვატიული ახალი მემარჯვენეობა* 111
*დაპირისპირებები ახალ მემარჯვენეობაში* 115
კონსერვატიზმი ოცდამეერთე საუკუნეში 116
რეკომენდებული ლიტერატურა 119

**4 სოციალიზმი 120**

წარმოშობა და განვითარება 120
არც ერთი ადამიანი არ არის კუნძული – ძირითადი თემები 122
*საზოგადოება/თემი* 123
*თანამშრომლობა* 126
*თანასწორობა* 127

*სოციალური კლასი* 130
*საზოგადოებრივი საკუთრება* 132
გზები სოციალიზმისკენ 134
*რევოლუციური სოციალიზმი* 135
*ევოლუციური სოციალიზმი* 137
*გრადუალიზმის გარდუვალობა?* 139
მარქსიზმი 143
*კლასიკური მარქსიზმი* 144
*ფილოსოფია* 144
*ეკონომიკა* 146
*პოლიტიკა* 148
*ორთოდოქსული კომუნიზმი* 149
*ლენინიზმი* 150
*სტალინიზმი* 152
*თანამედროვე მარქსიზმი* 154
*მარქსიზმის აღსასრული?* 156
სოციალური დემოკრატია 159
*ეთიკური სოციალიზმი* 161
*რევიზიონისტური სოციალიზმი* 163
*სოციალური დემოკრატიის კრიზისი* 167
*ნეორევიზიონიზმი და "მესამე გზა"* 169
სოციალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში 174
რეკომენდებული ლიტერატურა 176

**5 ნაციონალიზმი 177**

წარმოშობა და განვითარება 177
ქვეყნის სიყვარულით – ძირითადი თემები 181
*ერი* 182
*ორგანული ერთობა* 186
*თვითგამორკვევა* 188
*თვითიდენტიფიკაციის პოლიტიკა* 191
ნაციონალიზმი და პოლიტიკა 194
*ლიბერალური ნაციონალიზმი* 195
*კონსერვატიული ნაციონალიზმი* 198
*ექსპანსიური ნაციონალიზმი* 201
*ანტიკოლონიური და პოსტკოლონიური ნაციონალიზმი* 204
ნაციონალიზმს მიღმა 207
*ლიბერალური ინტერნაციონალიზმი* 208
*სოციალისტური ინტერნაციონალიზმი* 210
ნაციონალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში 213
რეკომენდებული ლიტერატურა 214

**6 ანარქიზმი** **215**

წარმოშობა და განვითარება 215
სახელმწიფოს წინააღმდეგ – ძირითადი თემები 218
*ანტისახელმწიფოებრიობა/ანტისტეიტიზმი* 218
*ბუნებრივი წესრიგი* 222
*ანტიკლერიკალიზმი* 225
*ეკონომიკური თავისუფლება* 226
კოლექტივისტური ანარქიზმი 228
*მიუტიუელიზმი* 230
*ანარქო-სინდიკალიზმი* 231
*ანარქო-კომუნიზმი* 232
ინდივიდუალისტური ანარქიზმი 234
*ეგოიზმი* 236
*ლიბერტარიზმი* 236
*ანარქო-კაპიტალიზმი* 238
გზები ანარქიისკენ 239
*რევოლუციური ძალადობა* 240
*პირდაპირი მოქმედება* 242
*ძალადობის უარყოფა* 243
ანარქიზმი ოცდამეერთე საუკუნეში 244
რეკომენდებული ლიტერატურა 246

**7 ფაშიზმი** **247**

წარმოშობა და განვითარება 247
ძალა ერთობაშია – ძირითადი თემები 250
*ანტირაციონალიზმი* 251
*ბრძოლა* 254
*ლიდერობა და ელიტიზმი* 256
*სოციალიზმი* 258
*ულტრანაციონალიზმი* 260
ფაშიზმი და სახელმწიფო 262
*ტოტალიტარული იდეალი* 262
*კორპორატიზმი* 264
*მოდერნიზაცია* 266
ფაშიზმი და რასიალიზმი 266
*რასობრივი პოლიტიკა* 267
*ნაცისტური რასობრივი თეორიები* 269
*გლეხური იდეოლოგია* 272
ფაშიზმი ოცდამეერთე საუკუნეში 273
რეკომენდებული ლიტერატურა 276

**8 ფემინიზმი 277**

წარმოშობა და განვითარება 277
პირადულის პოლიტიკა – ძირითადი თემები 281
*დაყოფა "საზოგადოებრივი/პირადული"* 282
*პატრიარქალობა* 283
*სქესი და გენდერი* 285
*თანასწორობა და სხვაობა* 288
სქესი და პოლიტიკა 290
*ლიბერალური ფემინიზმი* 291
*სოციალისტური ფემინიზმი* 295
*რადიკალური ფემინიზმი* 298
*ახალი ფემინისტური ტრადიციები* 303
ფემინიზმი ოცდამეერთე საუკუნეში 304
რეკომენდებული ლიტერატურა 307

**9 ეკოლოგიზმი 308**

წარმოშობა და განვითარება 308
ბუნებისკენ მიბრუნება – ძირითადი თემები 310
*ეკოლოგია* 311
*ჰოლიზმი* 315
*თვითუზრუნველყოფა* 319
*ენვირონმენტალური ეთიკა* 323
*თვითაქტუალიზაცია* 325
ბუნება და პოლიტიკა 327
*მემარჯვენე ეკოლოგიზმი* 328
*ეკოსოციალიზმი* 330
*ეკოანარქიზმი* 331
*ეკოფემინიზმი* 333
ეკოლოგიზმი ოცდამეერთე საუკუნეში 334
რეკომენდებული ლიტერატურა 336

**10 რელიგიური ფუნდამენტალიზმი 337**

წარმოშობა და განვითარება 337
უკან, სათავეებისკენ – ძირითადი თემები 340
*რელიგია და პოლიტიკა* 341
*ფუნდამენტალისტური იმპულსი* 344
*ანტიმოდერნიზმი* 347
*საომარი სულისკვეთება* 349

ფუნდამენტალიზმის სახეობათა ოჯახი 351
*ისლამური ფუნდამენტალიზმი* 352
*შიიტური ფუნდამენტალიზმი* 356
*ქრისტიანული ფუნდამენტალიზმი* 358
*ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა* 360
*ფუნდამენტალიზმის სხვა სახეობანი* 362
რელიგიური ფუნდამენტალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში 365
რეკომენდებული ლიტერატურა 367

**11 დასკვნა: უსასრულო იდეოლოგია? 368**

იდეოლოგიის დასასრული? 369
ისტორიის დასასრული? 370
პოსტმოდერნიზმი როგორც იდეოლოგია 372
გლობალიზმი როგორც იდეოლოგია 375
რეკომენდებული ლიტერატურა 376

*ტერმინთა ლექსიკონი* 377

*ბიბლიოგრაფია* 392

*საძიებელი* 403

# ჩანართები

## მოაზროვნეები


| | |
|---|---|
| ბაკუნინი, მიხაილ | 227 |
| ბელი, დანიელ | 369 |
| ბენთამი, ჯერემი | 58 |
| ბერკი, ედმუნდ | 84 |
| ბერნშტაინი, ედუარდ | 164 |
| ბუკჩინი, მიურეი | 332 |
| გიდენსი, ენთონი | 173 |
| გოდვინი, უილიამ | 222 |
| გრამში, ანტონიო | 10 |
| დე ბოვუარი, სიმონე | 299 |
| კეინზი, ჯონ მეინარდ | 72 |
| კლაინი, ნაომი | 374 |
| კროპოტკინი, პიოტრ | 234 |
| ლავლოკი, ჯეიმზ | 318 |
| ლენინი, ვლადიმერ | 151 |
| ლოკი, ჯონ | 45 |
| მარკუზე, ჰერბერტ | 155 |
| მარქსი, კარლ | 145 |
| მაძინი, ჯუზეპე | 195 |
| მედისონი, ჯეიმზ | 50 |
| მილი, ჯონ სტიუარტ | 35 |
| მუსოლინი, ბენიტო | 264 |
| ნიცშე, ფრიდრიხ | 252 |
| ნოზიკი, რობერტ | 111 |
| პრუდონი, პიერ-ჟოზე | 230 |
| როულსი, ჯონ | 70 |
| რუსო, ჟან-ჟაკ | 189 |

სმითი, ადამ 59
სტალინი, იოსებ 153
ტონი, რიჩარდ ჰენრი 162
ტროცკი, ლევ 212
უოლსტოუნქრაფთი, მერი 291
ფრიდანი, ბეტი 280
შუმახერი, ფრიც (ერნსტ ფრიდრიხ) 321
ჩომსკი, ნოამ 245
ხომეინი, აიათოლა რუჰოლა 354
ჯეფერსონი, თომას 55
ჰაიეკი, ფრიდრიხ ფონ 108
ჰიტლერი, ადოლფ 255
ჰობსი, თომას 86

## . . . იზმები

ავტორიტარიზმი 95
ანტისემიტიზმი 269
ინდივიდუალიზმი 33
ინდუსტრიალიზმი 319
კეინზიანიზმი 72
კოლექტივიზმი 124
კომუნიტარიზმი 171
კონსტიტუციონალიზმი 47
კორპორატიზმი 265
კოსმოპოლიტიზმი 209
ლიბერტარ(იან)იზმი 103
მულტიკულტურალიზმი 75
პატერნალიზმი 98
პატრიოტიზმი 192
პლურალიზმი 42
პოპულიზმი 348
პოსტმოდერნიზმი 373
პრაგმატიზმი 12
რასიალიზმი 267
რაციონალიზმი 37
სიონიზმი 365
ტერორიზმი 351
ტორიზმი 100
ტოტალიტარიზმი 263
უტილიტარიზმი 57
უტოპიზმი 223
ფუნდამენტალიზმი 345

## თვალსაზრისები . . .

ადამიანის ბუნების შესახებ 87
ბუნების შესახებ 312
გენდერის შესახებ 287
დემოკრატიის შესახებ 52
ეკონომიკის შესახებ 133
ერის შესახებ 185
თავისუფლების შესახებ 36
თანასწორობის შესახებ 129
იდეოლოგიის შესახებ 17
ისტორიის შესახებ 371
რელიგიის შესახებ 342
საზოგადოების შესახებ 90
სახელმწიფოს შესახებ 220
ხელისუფლების შესახებ 257

## დაპირისპირებები . . .

უნივერსალისტური ლიბერალიზმი v. პლურალისტური ლიბერალიზმი 43
კლასიკური ლიბერალიზმი v. თანამედროვე ლიბერალიზმი 73
პრაგმატული კონსერვატიზმი v. ლიბერტარული კონსერვატიზმი 104
ლიბერალური ახალი მემარჯვენეობა v. კონსერვატიული ახალი მემარჯვენეობა 115
სოციალური დემოკრატია v. კომუნიზმი 165
მესამე გზა v. სოციალური დემოკრატია 174
სამოქალაქო ნაციონალიზმი v. ეთნოკულტურული ნაციონალიზმი 193
ლიბერალური ნაციონალიზმი v. ექსპანსიური ნაციონალიზმი 197
ინდივიდუალისტური ანარქიზმი v. კოლექტივისტური ანარქიზმი 239
ფაშიზმი v. ნაციზმი 272
ეგალიტარული ფემინიზმი v. სხვაობის ფემინიზმი 290
რადიკალური ფემინიზმი v. ლიბერალური ფემინიზმი 302
ღრმა ეკოლოგიზმი v. ზედაპირული ეკოლოგიზმი 314

# წინათქმა

იდეოლოგიას უცნაური ისტორია აქვს. შეუძლებელია გავმიჯნოთ იგი თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური გამოცდილებისგან, თუმცა, ამავდროულად, პოლიტიკის სულ რამდენიმე დიდ თეორეტიკოსს თუ მოეძებნება კარგი სიტყვა მისი მისამართით. სხვადასხვა მიზეზით მას არ სწყალობდნენ ისეთი განსხვავებული ფიგურები, როგორებიც იყვნენ კარლ მარქსი, მაიკლ ოუკშოთი და ტალკოტ პარსონსი. იდეოლოგიის ოპონენტებს ის ისეთი სასიკეთო ცნებების საპირისპირო რამედ ესახებოდათ, როგორიცაა ჭეშმარიტება, მეცნიერება, რაციონალობა, ობიექტურობა და ფილოსოფია. ის აღნიშნავს შეხედულებებსა და დოქტრინებს, რომლებიც ან კრიტიციზმისთვის მიუწვდომელ დოგმებს წარმოადგენს, ან რომელთა ნიღაბქვეშ პირადი და ჯგუფური ინტერესები იმალება ხოლმე.

განსაცვიფრებელი ის არის, განსაკუთრებით ამ ნეგატიური კონცეფციის გავლენის გათვალისწინებით, რომ დროდადრო მოდურად ითვლებოდა იდეოლოგიის დასამარება და მისი აღსასრულის გამოცხადება. მაგრამ მსგავსად ისტორიისა და პოლიტიკის მიმართ ანალოგიური მცდელობებისა, იდეოლოგია, ჩვეულებრივ, ხელახლა უბრუნდებოდა ხოლმე ასპარეზს. თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკა საბაზისო იდეოლოგიური ტრადიციების საფუძველზე ჩამოყალიბდა. იდეოლოგიები უზარმაზარ რესურსს შეადგენს პოლიტიკური რეალობის შექმნის, განსაზღვრისა და შეფასებისთვის და პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბებისთვის.

ენდრიუ ჰეივუდის წიგნის უდიდესი ღირსება ისაა, რომ იგი სერიოზულად ეკიდება თვით იდეოლოგიის საგანს, მოთმინებითა და აღნიშვნის ღირსი თვალსაჩინოებით წარმოაჩენს როგორც კლასიკური დასავლური იდეოლოგიების განსხვავებულ ხასიათს, ისე უახლესი იდეოლოგიური აზრის თემატიკასა და მიმართულებებს. მან შექმნა ერთ-ერთი საუკეთესო იმ შესავალ კურსთაგან, რომლებიც ამ თემაზე ოდესმე დაწერილა და გამოცემულა.

დასავლურ იდეოლოგიურ ტრადიციას, რომელსაც სათავე მეთვრამეტე საუკუნის ფრანგულ და ამერიკულ რევოლუციებში დაედო, არ ამოუწურავს პოლიტიკის გაგების საშუალებები და ის არც პოლიტიკური აზრის მრავალ არადასავლურ ტრადიციას უხშობს კარს. მაგრამ, ამავდროულად, ის იმ ტრადიციათა რიგს განეკუთვნება, რომელთაც გვერდს ვერ აუვლი; და თანამედროვე მსოფლიოს მოქალაქეობის ელემენტარული პირობაა იმის უნარი, რომ იდეოლოგიის საბაზისო ცნებები და შინაგანი განვითარება გესმოდეს. ენდრიუ ჰეივუდი, ამ თვალსაზრისით, იდეალური მეგზურია.

*შეფილდის უნივერსიტეტი* ენდრიუ გემბლი

# მესამე გამოცემის წინასიტყვაობა

"პოლიტიკური იდეოლოგიების" პირველი გამოცემა 1989-91 წლებში აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი რევოლუციების ფონზე დაიწერა. რეტროსპექტულად, "კომუნიზმის კოლაფსი" ერთდროულად მეტად ღირსშესანიშნავ და მრავალი კუთხით ურთიერთდაკავშირებულ პოლიტიკურ-ისტორიულ ძვრათა სერიის მანიფესტაციაც და კატალიზატორიც იყო. ამათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი შემდეგი იყო: გლობალური კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდა, ეთნიკური ნაციონალიზმისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის გააქტიურება, პოსტმოდერნული ანუ "ინფორმაციული" საზოგადოებების ჩამოყალიბება, შეერთებული შტატების დომინანტობით აღბეჭდილი უნიპოლარული მსოფლიო წესრიგის დამყარება და გლობალური ტერორიზმის წარმოშობა. ისტორია თავბრუდამხვევად აჩქარდა. უწინდელი გარკვეულობა და სიმყარე ამჟამად ან ეჭვქვეშ დგას, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, საერთოდ მოიშალა. ამ პროცესებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური იდეოლოგიებისთვის. სოციალიზმის თაობაზე ცხადდება, რომ ის, ფაქტობრივად, მოკვდა; ზოგიერთები დასავლური ლიბერალიზმის საბოლოო ტრიუმფზე საუბრობენ, მაშინ როცა სხვები ვარაუდობენ, რომ ის კრიზისულ მდგომარეობაშია; ნაციონალიზმი სუპრანაციონალიზმისა და მულტიკულტურალიზმის გამოწვევებისადმი ადაპტირების პროცესშია; და ა. შ.

ზოგი კომენტატორი ამგვარ ძვრებს უფრო დიდი პროცესის, კერძოდ, თვით იდეოლოგიის, როგორც ასეთის, (და მასთან ერთად პროგრამატული პოლიტიკური პარტიის) აღსასრულის სიმპტომად მიიჩნევს. პოლიტიკური იდეოლოგიისთვის უბრალოდ ადგილი აღარ რჩება პოსტმოდერნულ, გლობალიზებულ მსოფლიოში, რომელიც სოციალური დანაწევრებულობით ხასიათდება და რომელშიც პიროვნული მოხმარება დომინანტობს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მოწმენი ვართ არა იმდენად იდეოლოგიის დასასრულისა (რისი გამოცხადებისას ყოველთვის სიფრთხილე გვმართებს), რამდენადაც იმ ფაქტისა, რომ ისტორიამ, ფაქტობრივად, გადაასწრო იდეოლოგიურ ტრადიციებს. ახალი იდეოლოგიური აზროვნება იმისთვის იბრძვის, რომ სამყარო ისეთად აღიქმებოდეს, როგორიც ის არის და გულწრფელად აღიარებს, რომ თითქმის არანაირი წარმოდგენა არა აქვს, საით მიდის ეს სამყარო. და მაინც, იდეოლოგიას, როგორც მნიშვნელობისა და იდეალიზმის პრინციპულ წყაროს პოლიტიკაში, რაც უნდა სახე და ფორმა მიიღოს, არსებობის გაგრძელება უწერია. ბოლოს და ბოლოს, დეიდეოლოგიზებული და მომხმარებლობის მხარდამჭერი პოლიტიკა განწირულია, რადგან ის საფუძველს არ აძლევს ადამიანებს, რაღაც უფრო დიდის რწმენა ჰქონდეთ, ვიდრე მატერიალური დაინტერესებაა; და რადგან ადამიანების პიროვნუ-

ლი ნარატივები მნიშვნელობას მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენს, როცა უფრო ფართო ისტორიულ ნარატივშია მოქცეული.

მესამე გამოცემა ცდილობს თვალი გაადევნოს, თუ როგორ ადაპტირდა ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიები და თვით იდეოლოგია ზემოთ ჩამოთვლილ გამოწვევებთან. წინამდებარე წიგნი მთლიანადაა განახლებული ახალი ძვრებისა და ახალი გამოკვლევების გათვალისწინებით. სხვებთან შედარებით, I-ლი და მე-II თავები მნიშვნელოვნად გადამუშავდა ისეთი საკითხების გათვალისწინებით, როგორიცაა ცვალებადი მსოფლიო წესრიგი, გლობალიზაცია, პოსტმოდერნი და პოსტმოდერნიზმი, გლობალური ტერორიზმი. ეს საკითხები ასევე შესაბამის კონკრეტულ თავებშია მიმოხილული, სადაც, ამასთანავე, საუბარია ისეთი "პოსტ-იზმების" გაჩენაზე, როგორიცაა პოსტლიბერალიზმი, პოსტმარქსიზმი და პოსტფემინიზმი. იდეოლოგიებში არსებული მნიშვნელოვანი დაძაბულობა-დაპირისპირებებისა და მოპაექრე სუბტრადიციების დანაწევრების გამომწვევი საკითხების თვალსაჩინოდ და რეზიუმირებულად წარმოჩენის მიზნით ახალი ჩანართებია დამატებული. ასევე დამატებულია ჩანართები მოაზროვნეებისა და "იზმების" შესახებ.

მსურს მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც კომენტარი გაუკეთა ან გამოეხმაურა წიგნის წინა გამოცემებს და იმედი გამოვთქვა, რომ მესამე გამოცემა მეტ-ნაკლებად უპასუხებს მათ მიერ წამოჭრილ საკითხებსა და მოსაზრებებს.

ენდრიუ ჰეივუდი

თავი 1

# შესავალი: როგორ გავიგოთ იდეოლოგია

*იდეათა როლი*
*რა არის იდეოლოგია?*
*მემარცხენეობა, მემარჯვენეობა და ცენტრისტობა*
*პოლიტიკური იდეოლოგიები ოცდამეერთე საუკუნეში*

ყველა ადამიანი პოლიტიკურად აზროვნებს; საკუთარ შეხედულებათა გამოსახატად ან აზრის გამოსათქმელად, ცნობიერად თუ არაცნობიერად, პოლიტიკურ იდეებსა და ცნებებს იყენებს. ყოველდღიურ მეტყველებაში წამდაუწუმ ვხვდებით ტერმინებს: "თავისუფლება", "სამართლიანობა", "თანასწორობა", "სამართალი", "უფლებები". ამის მსგავსად, სიტყვებს "კონსერვატიული", "ლიბერალური", "სოციალისტური", "კომუნისტური", "ფაშისტური" ასევე ხშირად მიმართავენ საკუთარი ან სხვათა შეხედულებების დასახასიათებლად. და თუმცა ასეთი ტერმინები ჩვეული, ბანალურიც კია, მათ იშვიათად ხმარობენ ზუსტი და პირდაპირი მნიშვნელობით. რა არის, ვთქვათ, "თანასწორობა"? რას ნიშნავს გამოთქმა: ყველა ადამიანი თანასწორია? იბადებიან თანასწორებად? საზოგადოება მათ როგორც თანასწორთ, ისე უნდა განიხილავდეს? ადამიანებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები, შესაძლებლობები, პოლიტიკური გავლენა, ხელფასი? ჩვეულებრივ, არასწორად ხმარობენ ისეთ სიტყვებსაც, როგორიცაა "კომუნისტი" და "ფაშისტი". რას ნიშნავს, როცა ვინმეს "ფაშისტს" ვუწოდებთ? როგორია და რას ემყარება ფაშისტების ღირებულებები და მრწამსი, და რატომ ერთგულებენ ისინი მათ? რით განსხვავდება კომუნისტების შეხედულებები, ვთქვათ, ლიბერალების, კონსერვატორების ან სოციალისტების შეხედულებებისგან? ეს წიგნი მთავარი პოლიტიკური იდეოლოგიების ძირეულ იდეებსა და დოქტრინებს განიხილავს. ამ შესავალ თავში განვიხილავთ იდეების როლს პოლიტიკაში, პოლიტიკური იდეოლოგიის ბუნებას, მემარჯვენე/მემარცხენე სპექტრის მნიშვნელობას იდეოლოგიათა კლასიფიკაციისთვის და იდეოლოგიათა მთავარ გამოწვევებს ოცდამეერთე საუკუნეში.

## იდეათა როლი

იდეებსა და იდეოლოგიებს დიდ მნიშვნელობას ყველა პოლიტიკური მოაზროვნე როდი ანიჭებს. პოლიტიკას, არცთუ იშვიათად, ლამის ძალაუფლები-

სათვის შიშველ ბრძოლასთან აიგივებენ. თუ ეს ასეა, პოლიტიკური იდეები უბრალო პროპაგანდა, საარჩევნო ხმების ან საყოველთაო მხარდაჭერის მოსაპოვებლად შერჩეული სიტყვებისა და ლოზუნგების ერთგვარი ფორმა ყოფილა. შესაბამისად, იდეები და იდეოლოგიები, უბრალოდ, "ვიტრინის მორთულობაა", რომელსაც პოლიტიკური ცხოვრების ღრმა რეალობათა შესანიღბად იყენებენ. ეს, რა თქმა უნდა, ბიჰევიორისტთა პოზიციაა – ფსიქოლოგიის მიმდინარეობისა, რომელიც ჯონ უოტსონისა (1878-1958) და ბ. ფ. სკინერის (1904-90) სახელებს უკავშირდება. ბიჰევიორიზმის გადასახედიდან, ადამიანი ოდნავ თუ განსხვავდება ბიოლოგიური მანქანისგან, რომელიც გარეგანი სტიმულის საპასუხოდ მოქმედებს (უფრო სწორად, რეაგირებს). მოაზროვნე სუბიექტს, ისევე როგორც მის იდეებს, ღირებულებებს, გრძნობებსა და ზრახვებს მნიშვნელობა, უბრალოდ, არ ენიჭება. ზედმიწევნით მსგავს შეხედულებას გვთავაზობდა "დიალექტიკური მატერიალიზმიც" – საბჭოთა კავშირისა და სხვა ორთოდოქსული კომუნისტური სახელმწიფოების ინტელექტუალურ კვლევებში გაბატონებული მარქსიზმის უხეში ფორმა. ამ მიმდინარეობის მომხრეთა აზრით, პოლიტიკური იდეები მხოლოდ იმ პირთა ეკონომიკური თუ კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა განიხილებოდეს, ვინც მათ გამოხატავს. იდეებს "მატერიალური ბაზისი" აქვს, დამოუკიდებლად ისინი ყოველგვარ საზრისს ან მნიშვნელობას მოკლებულია. შესაბამისად, ორთოდოქსი მარქსისტები პოლიტიკას მხოლოდ და მხოლოდ სოციალური კლასისადმი კუთვნილების კონტექსტში განიხილავენ და პოლიტიკურ იდეოლოგიებს მარტოოდენ კონკრეტულ კლასთა ინტერესების გამოხატულებად მიიჩნევენ.

არსებობს საწინააღმდეგო არგუმენტიც. მაგალითად, ჯონ მეინარდ კეინზის (იხ. გვ. 71) მტკიცებით, მსოფლიოს ძირითადად ეკონომისტთა და პოლიტიკის ფილოსოფოსთა იდეები მართავს. მოგვყავს ნაწყვეტი მისი *ზოგადი თეორიის* (John Maynard Keynes, *General Theory*) დასკვნითი გვერდებიდან:

> პრაქტიკული გონების ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს რაიმე სახის ინტელექტუალური გავლენისგან სრულიად გათავისუფლებულად მიიჩნევენ, ჩვეულებრივ, რომელიმე განსვენებული ეკონომისტის მონები არიან. ხელისუფლებაში მყოფი გიჟები, რომელთაც ხმები გარედან ჩაესმით, თავიანთ სიშლეგეს რამდენიმე წლის წინ მოღვაწე რომელიმე აკადემიური მჯღაბნელის შრომებიდან წურავენ (Keynes, [1936] 1963, გვ. 383).

ეს პოზიცია სულაც არ უარყოფს იმას, რომ იდეები პრაქტიკული გარემოებებით განპირობებული პასუხებია; ის წარმოაჩენს, თუ რამდენად განსაზღვრავს შეხედულებები და თეორიები ადამიანთა ქმედებებს. საბოლოო ჯამში, მსოფლიოს "აკადემიური მჯღაბნელები" განაგებენ. ასეთი შეხედულების მიხედვით, მაგალითად, თანამედროვე კაპიტალიზმი მნიშვნელოვანწილად ადამ სმითისა (იხ. გვ. 59) და დევიდ რიკარდოს (1772-1823) კლასიკური ეკონომიკიდან მოდის, საბჭოთა კომუნიზმი კარლ მარქსისა (იხ. გვ. 145) და ვ. ი. ლენინის (იხ. გვ. 151) შრომების თარგზეა გამოყვანილი, ნაცისტური გერმანიის ისტორიის გაგება კი მხოლოდ ჰიტლერის *Mein Kampf*-ის დოქტრინებიდან თუა შესაძლებელი.

სინამდვილეში, პოლიტიკური ცხოვრების ზემოაღნიშნული ორივე შეფასება ცალმხრივი და არაადეკვატურია. პოლიტიკური იდეები ქონებრივი უფლებების ან პირად ამბიციათა ოდენ პასიური ასახვა როდია, მათ თვით პოლიტიკური ქმედების გამოწვევისა და წარმართვის და, ამგვარად, მატერიალური ცხოვრების ჩამოყალიბების უნარი გააჩნიათ. ამასთან, პოლიტიკური იდეები ვაკუუმში არ იბადება: წვიმასავით ციდან არ მოდის. ყველა პოლიტიკურ იდეას საკუთარი სოციალური და ისტორიული გარემო-პირობები და ის პოლიტიკური ამბიციები აყალიბებს, რომლებსაც ემსახურება. მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა ერთმანეთისგან განუყოფელია. ამიტომ პოლიტიკური ცხოვრების შეჯერებული და დამაჯერებელი შეფასება, ერთი მხრივ, იდეებისა და იდეოლოგიების, ხოლო მეორე მხრივ, ისტორიულ და მატერიალურ ძალთა მუდმივ ურთიერთქმედებას უნდა გულისხმობდეს.

იდეები და იდეოლოგიები პოლიტიკურ ცხოვრებაზე სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს. პირველ რიგში, ისინი სამყაროს გაგებისა და ახსნის პერსპექტივას გვთავაზობს. ადამიანები სამყაროს ხედავენ არა ისეთს, როგორიც არის, არამედ ისეთს, როგორადაც ის წარმოუდგენიათ; სხვა სიტყვებით – ისინი სამყაროს ღრმად გამჯდარი რწმენის, აზრებისა და ვარაუდების რიდეში უმზერენ. ცნობიერად თუ არაცნობიერად, ყველა ადამიანი პოლიტიკურ მრწამსთა და ღირებულებათა გარკვეული ერთობლიობის მიმდევარი ხდება, რომელიც მის ქცევაზე ზემოქმედებს და წარმართავს. ამგვარად, პოლიტიკური იდეები და იდეოლოგიები სახავს ამოცანებს, რომლებიც პოლიტიკურ აქტივობას განაპირობებს. ამ მხრივ, პოლიტიკოსები ორი სრულიად განსხვავებული გავლენის ქვეშ შეიძლება მოექცნენ. უდავოა, რომ ყველა პოლიტიკოსი ძალაუფლებას მიელტვის. ეს აიძულებს მათ, პრაგმატულნი იყვნენ, ელექტორატისთვის პოპულარულ პოლიტიკას და იდეებს მიემხრონ, ან ისეთი ძლიერი ჯგუფების მხარდაჭერა მოიპოვონ, როგორიცაა ბიზნესი ან ჯარი. თუმცა, პოლიტიკოსები იშვიათად მიელტვიან ძალაუფლებას მარტოოდენ ძალაუფლების გამო. მათ გააჩნიათ მრწამსიც, ღირებულებებიცა და იმის ცოდნაც, როგორ გამოიყენონ ძალაუფლება მისი მოპოვების შემდეგ.

სხვადასხვა პოლიტიკოსის შემთხვევაში ფარდობა პრაგმატულ და იდეოლოგიურ მოსაზრებებს შორის აშკარად განსხვავებულია; ის განსხვავებულია ცალკე აღებული რომელიმე პოლიტიკოსის კარიერის სხვადასხვა ეტაპზეც. ზოგიერთი, მაგალითად, ადოლფ ჰიტლერი (იხ. გვ. 255) გაафთრებით, ფანატიკურადაც კი, წმინდა იდეოლოგიურ მიზნებს ემსახურებოდა. ჰიტლერის შრომები მომწამვლელი ანტისემიტიზმითაა გაჟღენთილი (იხ. გვ. 269); მათში ღიად იკითხება მისი სურვილი, აღმოსავლეთ ევროპაში დაეარსებინა გერმანიის ბატონობის ქვეშ მყოფი რასობრივი იმპერია. მარქსისტ რევოლუციონერებს, ლენინის მსგავსად, უკლასო, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ჰქონდათ მიზნად დასახული. და მაინც, ვერც ერთი პოლიტიკოსი იდეოლოგიური მრწამსით დაბრმავების უფლებას თავს ვერ მისცემს: ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების მიზნით მათ, სულ მცირე, სტრატეგიულ კომპრომისებზე მაინც უხდებათ წასვლა. გერმა-

ნიაში 1933 წელს, ჰიტლერის კანცლერად დანიშვნის შემდეგ, ანტისემიტური შეტევები უდავოდ გაძლიერდა, მაგრამ რასობრივი განადგურების პოლიტიკის განხორციელებას, რაც, ზოგიერთის რწმენით, ყოველთვის მისი მთავარი ამოცანა იყო, ჰიტლერი მხოლოდ ომის წლებში შეუდგა. კაპიტალიზმის სიძულვილის მიუხედავად, 1921 წელს ლენინმა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა წამოიწყო, რომელიც რუსეთში ნებას რთავდა კერძო საწარმოებს, შეზღუდულად, მაგრამ მაინც ეარსებათ. სხვა პოლიტიკოსები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, და არა მხოლოდ იქ, ლამის პოლიტიკურ საქონლად ქცეულან. ისინი, კარგად შეფუთულნი, იყიდებიან იმიჯისა და ავტორიტეტის გამო; იდეებსა და პოლიტიკურ ხაზს უმნიშვნელო ან სულაც არანაირ ყურადღებას არ აქცევენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ამერიკელი პოლიტიკოსები, უბრალოდ, ძალაუფლებას გამოდევნებული პრაგმატისტები იყვნენ. ამერიკის პოლიტიკაში იდეათა და ღირებულებათა მნიშვნელობა იმ ფაქტის გამო იჩქმალება, რომ ორივე მთავარი პარტია, რესპუბლიკელებიცა და დემოკრატებიც, ერთსა და იმავე ფართო იდეოლოგიურ მიზნებს ემსახურება. ამერიკელ პოლიტიკოსთა უმეტესობა მხარს უჭერს ე. წ. "ამერიკულ იდეოლოგიას", ლიბერალურ-კაპიტალისტურ ღირებულებათა სისტემას, რომელიც გულისხმობს თავისუფალი ბაზრის ეკონომიკის უპირატესობათა და ამერიკის კონსტიტუციაში ხორცშესხმული პრინციპების პატივისცემას.

პოლიტიკური იდეები პოლიტიკური სისტემების ბუნების ფორმირებასაც უწყობს ხელს. მსოფლიოში არსებული სამთავრობო სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან და ყოველთვის კონკრეტულ ღირებულებებს ან პრინციპებს უკავშირდება. აბსოლუტური მონარქიები ღრმად ფესვგადგმულ რელიგიურ იდეებს ემყარება, განსაკუთრებით, მეფეთა ღვთიურ უფლებას. პოლიტიკურ სისტემებს თანამედროვე დასავლურ ქვეყანათა უმრავლესობაში საფუძვლად ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპები უდევს. დასავლურ სახელმწიფოებს ახასიათებს შეზღუდული და კონსტიტუციური მთავრობის იდეების პატივისცემა. მათ სჯერათ, რომ მთავრობა წარმომადგენლობითი უნდა იყოს, რეგულარულსა და კონკურენტულ არჩევნებზე დამყარებული. ტრადიციული კომუნისტური პოლიტიკური სისტემებიც ამგვარადვე იცავს მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს. კომუნისტურ სახელმწიფოებში ერთი პარტია ბატონობდა, მმართველი კომუნისტური პარტია, რომლის გავლენაც ემყარებოდა ლენინის რწმენას, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტია გამოხატავს მუშათა კლასის ინტერესებს. თვით ის ფაქტი, რომ მსოფლიო ეროვნულ სახელმწიფოებადაა დაყოფილი და რომ ძალაუფლება, ჩვეულებრივ, ეროვნულ დონეზე მოიაზრება, ასახავს გავლენას, რომელიც პოლიტიკურ იდეებს, ამ შემთხვევაში ნაციონალიზმის იდეას, კიდევ უფრო ზუსტად – ეროვნული თვითგამორკვევის იდეას, გააჩნია.

დასასრულ, პოლიტიკური იდეები და იდეოლოგიები ერთგვარი სოციალური დუღაბის როლს შეიძლება ასრულებდეს, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი სოციალურ ჯგუფებს და, რა თქმა უნდა, მთელ საზოგადოებებს, გამაერთიანებელი მრწამსითა და ღირებულებებით უზრუნველყოფს. პოლი-

ტიკური იდეოლოგიები, საზოგადოდ, კონკრეტულ სოციალურ კლასებთან ასოცირდება, მაგალითად, ლიბერალიზმი – საშუალო ფენასთან, კონსერვატიზმი – მიწათმფლობელ დიდგვაროვნებთან, სოციალიზმი – მუშათა კლასთან და ა. შ. ეს იდეები სოციალური კლასის ცხოვრებისეულ გამოცდილებებს, ინტერესებსა და მისწრაფებებს ასახავს და, ამდენად, ხელს უწყობს მიკუთვნებულობისა და სოლიდარობის გრძნობის გამომუშავებას. თუმცა, იდეებსა და იდეოლოგიებს ასევე შეუძლიათ, სხვადასხვა პოზიციაზე მდგომი ჯგუფები და კლასები შეაკავშირონ საზოგადოების შიგნით. მაგალითად, დასავლეთის სახელმწიფოთა უმეტესობაში არსებობს ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებათა გამაერთიანებელი საბაზისო პრინციპები, ხოლო ისლამის სახელმწიფოებში ისლამმა ზნეობრივ პრინციპთა და მრწამსთა საერთო სისტემა ჩამოაყალიბა. საზოგადოების ერთიანი პოლიტიკური კულტურის შექმნით პოლიტიკური იდეები წესრიგისა და სოციალური სტაბილურობის დამყარებას უწყობს ხელს.

საზოგადოების შიგნით ბუნებრივად შეიძლება განვითარდეს პოლიტიკურ იდეათა და ღირებულებათა ერთიანი სისტემა. მაგრამ შესაძლებელია ის ზემოდანაც იყოს თავს მოხვეული, როგორც მორჩილების დანერგვის მცდელობა და, ამდენად, სოციალური კონტროლის ფუნქციასაც ასრულებდეს. ღირებულებები ელიტარული ჯგუფებისა, როგორებიცაა: პოლიტიკური და სამხედრო ლიდერები, მთავრობის წევრები, მიწათმფლობელები ან მეწარმეები, მნიშვნელოვნად შეიძლება დასცილდეს მასათა ღირებულებებს. სახელისუფლო ელიტამ, შესაძლოა, პოლიტიკური იდეები ოპოზიციის შესაკავებლად გამოიყენოს და დაპირისპირება იდეოლოგიურ მანიპულაციათა გზით შეზღუდოს. ასეთი რამ ძალზე აშკარად ხდებოდა იმ რეჟიმთა შემთხვევაში, რომლებიც "ოფიციალურ" იდეოლოგიებს განკარგავდნენ, ვთქვათ, ნაცისტურ გერმანიაში და საბჭოთა კავშირში. ორივე შემთხვევაში ოფიციალური ან პოლიტიკური "საიმედო" მრწამსი – ნაციონალურ-სოციალისტური და მარქსისტულ-ლენინური – ბატონობდა პოლიტიკურ ცხოვრებაზე და, რასაკვირველია, ყველა სოციალურ ინსტიტუტზე: ხელოვნებაზე, კულტურაზე, განათლებაზე, მედიაზე და ა. შ. საწინააღმდეგო აზრები და შეხედულებები, უბრალოდ, ცენზურას ექვემდებარებოდა ან ითრგუნებოდა. ზოგიერთთა მტკიცებით, იდეოლოგიური მანიპულაციის უფრო დახვეწილ ფორმას ყველა საზოგადოებაში ვხვდებით. ამის ნათელსაყოფად გამოდგებოდა მარქსისტული მრწამსი, რომელსაც მომდევნო ნაწილში განვიხილავთ და რომლის თანახმადაც, კულტურას კაპიტალისტურ საზოგადოებებში უპირატესად ის იდეები განაგებს, რომლებიც ეკონომიკურად გაბატონებული კლასის სამსახურშია.

## რა არის იდეოლოგია?

ეს წიგნი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ იდეოლოგიათა კვლევაა და არა – იდეოლოგიის ბუნების ანალიზი. ამასთან დაკავშირებული აღრევა, როგორც წესი, ძირითადად იმ ფაქტიდან მომდინარეობს, რომ თუმც "იდეო-

ლოგიასა" და "იდეოლოგიებს" შორის აშკარა კავშირი არსებობს, კვლევის თვალსაზრისით ისინი საკმაოდ განსხვავებული საგნებია. "იდეოლოგიის" შესწავლა კონკრეტული ტიპის პოლიტიკური აზროვნების განხილვას ნიშნავს, რომელიც, განსხვავდება, ვთქვათ, პოლიტიკური მეცნიერებისგან ან პოლიტიკური ფილოსოფიისგან. პოლიტიკური იდეოლოგიის კვლევა გულისხმობს აზროვნების ამ კატეგორიის ბუნების, როლისა და მნიშვნელობის ანალიზს; შემდეგი კითხვის მსგავს კითხვებზე პასუხის ძიებას: პოლიტიკურ იდეათა და არგუმენტთა რომელი ერთობლიობები უნდა კლასიფიცირდებოდეს როგორც იდეოლოგიები? მაგალითად, გამათავისუფლებელია იდეოლოგია თუ მჩაგვრელი, ჭეშმარიტია თუ მცდარი და ა. შ.? ასევე, არის თუ არა კონსერვატიზმი და ნაციონალიზმი იდეოლოგიები იმავე გაგებით, როგორითაც ლიბერალიზმი და სოციალიზმი?

მეორე მხრივ, "იდეოლოგიათა" კვლევა პოლიტიკური აზროვნების არსის ანალიზს, სხვადასხვა იდეოლოგიური ტრადიციის წიაღში ამ ტრადიციების მიერვე წარმოქმნილი იდეების, დოქტრინებისა და თეორიების შესწავლას ნიშნავს. მაგალითად, რას გვეუბნება ლიბერალიზმი თავისუფლების შესახებ? როგორ იცავენ ანარქისტები უსახელმწიფოო საზოგადოების იდეას? რატომ თვლიდნენ ფაშისტები ბრძოლასა და ომს სასარგებლოდ? მაგრამ ასეთი "შინაარსობრივი" საკითხების გასაანალიზებლად აუცილებელია პოლიტიკური აზროვნების იმ "ტიპის" განხილვა, რომელსაც ვეხებით. ვიდრე ეგრეთ წოდებული იდეოლოგიების დამახასიათებელ იდეებსა და დოქტრინებს განვიხილავდეთ, გემართებს დავფიქრდეთ, რატომ მოხდა იდეათა ამ ერთობლიობების გაერთიანება იდეოლოგიათა კატეგორიაში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, რას გვაძლევს ასეთი კატეგორიზაცია? რა შეიძლება შევიტყოთ, მაგალითად, ლიბერალიზმის, სოციალიზმის, ფემინიზმისა და ფაშიზმის შესახებ, თუ მათ იდეოლოგიებად კლასიფიკაციას მოვახდენთ?

## იდეოლოგიის ცნებები

პირველი პრობლემა იდეოლოგიის ბუნების განხილვის გზაზე ის არის, რომ არ არსებობს ამ ტერმინის რამდენადმე დადგენილი ან შეთანხმების საფუძველზე მიღებული დეფინიცია. არსებობს მხოლოდ ურთიერთსაწინააღმდეგო დეფინიციები. დეივიდ მაკლელანის (1995) განმარტებით, "იდეოლოგია სოციალურ მეცნიერებათა მთელ სისტემაში ყველაზე მოუხელთებელი ცნებაა". ცოტა პოლიტიკურ ტერმინს თუ გამოუწვევია ასეთი ღრმა და მძაფრი წინააღმდეგობა. ამას ორი მიზეზი აქვს. პირველ რიგში, რამდენადაც იდეოლოგიის ყველა ცნება თეორიისა და პრაქტიკის კავშირს აღიარებს, ეს ტერმინი წარმოაჩენს წინა ქვეთავში მოხსენიებული უაღრესად მწვავე დებატების არსებობას პოლიტიკაში იდეათა როლისა და, ერთი მხრივ, მრწამსებსა და თეორიებს, ხოლო მეორე მხრივ, მატერიალურ ცხოვრებას ან პოლიტიკურ ქცევას შორის ურთიერთმიმართების შესახებ. მეორე რიგში, შეუძლებელია იდეოლოგიის ცნების განყენება პოლიტიკურ იდეოლოგიათა შორის გაჩაღებული ბრძოლისაგან. თითქმის მთელი თავისი არსებობის მანძილზე ტერმინი "იდე-

ოლოგია" პოლიტიკური იარაღის როლს ასრულებდა, მოქიშპე იდეათა ან მრწამსთა ერთობლიობების კრიტიკის ან გმობის მექანიზმი იყო. მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაინერგა ფართოდ იდეოლოგიის გარკვეულწილად ნეიტრალური და აშკარად ობიექტური კონცეფცია, მაგრამ უთანხმოება იდეოლოგიის სოციალური როლისა და პოლიტიკური მნიშვნელობის ირგვლივ მას შემდეგაც გრძელდებოდა. აი ზოგიერთი იმ მნიშვნელობათაგანი, რომელთაც იდეოლოგიას მიაწერდნენ:

- პოლიტიკური რწმენის სისტემა.
- ქმედებაზე ორიენტირებული პოლიტიკურ იდეათა სისტემა.
- მმართველი კლასის იდეები.
- კონკრეტული სოციალური კლასის ან ჯგუფის მსოფლმხედველობა.
- პოლიტიკური იდეები, რომლებიც კლასობრივ ან სოციალურ ინტერესებს განასახიერებს ან გამოხატავს.
- იდეები, რომლებიც ექსპლუატირებულ ან ჩაგრულ ფენებში მცდარ/ყალბ თვითშეგნებას ავრცელებს.
- იდეები, რომლებიც ინდივიდს გარკვეულ სოციალურ კონტექსტში ათავსებს და კოლექტიური კუთვნილების გრძნობას წარმოშობს.
- პოლიტიკური სისტემის ან რეჟიმის ლეგიტიმაციის მიზნით ოფიციალურად სანქცირებულ იდეათა ერთობლიობა.
- ყოვლისმომცველი პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც აცხადებს მონოპოლიას ჭეშმარიტებაზე.
- პოლიტიკურ იდეათა აბსტრაქტული და უაღრესად სისტემური წყება.

ყოველივეს მიუხედავად, ამ ტერმინის წარმომავლობა ნათელია. სიტყვა იდეოლოგია საფრანგეთის რევოლუციის დროს გამოიგონა ანტონ დესტა დე ტრესიმ (1754-1836), საჯაროდ კი ის პირველად 1796 წელს გამოიყენეს. დე ტრესისათვის *idéologie* ნიშნავდა ახალ "მეცნიერებას იდეათა შესახებ", სიტყვასიტყვით, იდეა-ოლოგიას. განმანათლებლობისათვის დამახასიათებელი რაციონალისტური გატაცებით, მას სწამდა, რომ შესაძლებელი იყო იდეათა წარმომავლობის ობიექტური ახსნა, და აცხადებდა, რომ ეს ახალი მეცნიერება იმავე სტატუსს დაიმკვიდრებდა, როგორიც ტრადიციულ მეცნიერებებს, მაგალითად, ბიოლოგიას ან ზოოლოგიას, ჰქონდა. დე ტრესი კიდევ უფრო შორს მიდიოდა: რაკი ყველა კვლევა იდეებს ემყარება, იდეოლოგია საბოლოოდ მეცნიერებათა დედოფლად უნდა ეცნოთ. მაგრამ, ამ ამაღლებული მოლოდინის მიუხედავად, ტერმინის პირველად მნიშვნელობას მის შემდგომდროინდელ გამოყენებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

მთავარი პოლიტიკური ტერმინის სახით იდეოლოგიის წარმატებული გავრცელება სათავეს კარლ მარქსის შრომებიდან იღებს. მნიშვნელოვანწილად სწორედ მარქსისა და მარქსისტ მოაზროვნეთა მომდევნო თაობების ამ ტერმინით დაინტერესებით აიხსნება ის პოპულარობა, რომლითაც იდეოლოგია თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ აზროვნებაში სარგებლობს. და მაინც, მნიშვნელობა, რომელსაც ამ ცნებას მარქსი ანიჭებდა, ძალზე განსხვავდება იმ მნიშვნელობისაგან, რომელსაც მას პოლიტიკური ანა-

ლიზის ძირითად მიმართულებაში მიაწერენ. მარქსმა ეს ტერმინი თავისი ადრეული ნაშრომის სათაურში *გერმანული იდეოლოგია* (*The German Ideology*, [1846] 1970) გამოიყენა, რომელიც განუყრელ თანამოაზრე ფრიდრიხ ენგელსთან (1820-95) ერთად დაწერა. ამ ნაშრომში ყველაზე კარგად ჩანს, როგორ ესმის მარქსს იდეოლოგია:

> მმართველი კლასის იდეები ყველა ეპოქაში წარმმართველი იდეებია, ე. ი. კლასი, რომელიც საზოგადოების მმართველი მატერიალური ძალაა, იმავდროულად წარმმართველი *ინტელექტუალური* ძალაცაა. კლასი, რომლის ხელთაცაა *მატერიალური* წარმოების საშუალებები, იმავდროულად სულიერ პროდუქციასაც აკონტროლებს, ისე რომ, აქედან გამომდინარე, ზოგადად რომ ვთქვათ, იმათი იდეები, ვისაც სულიერი წარმოების საკმარისი საშუალებები არა აქვს, მას ემორჩილება. (Marx and Engels, 1970, გვ. 64)

იდეოლოგიის მარქსისეულ კონცეფციას რამდენიმე საკვანძო ნიშანი აქვს. ჯერ ერთი, იდეოლოგია ილუზიასა და მისტიფიკაციას შეეხება; ის სამყაროს შესახებ ყალბ ან მცდარ შეხედულებას აყალიბებს, რომელსაც ენგელსი მოგვიანებით "ყალბ/მცდარ თვითშეგნებას" უწოდებს. მარქსი იდეოლოგიას კრიტიკულ ცნებად იყენებდა, რომლის მიზანიც მეთოდური მისტიფიკაციის პროცესისათვის ფარდის ახდაა. საკუთარ იდეებს ის მეცნიერულის რანგში განიხილავდა, რადგან საგულდაგულოდ გააზრებულად მიაჩნდა ისტორიისა და საზოგადოების ზემოქმედების როლის წარმოსაჩენად. ამდენად, იმ მნიშვნელობისათვის, რომელსაც მარქსი ამ ტერმინში დებს, გადამწყვეტია კონტრასტი იდეოლოგიასა და მეცნიერებას შორის, სიყალბესა და ჭეშმარიტებას შორის. მეორეც, იდეოლოგია კავშირშია კლასობრივ სისტემასთან. მარქსის რწმენით, სიყალბეს, რომელიც იდეოლოგიაში იმალება, ის განაპირობებს, რომ იდეოლოგია საზოგადოების მიმართ მმართველი კლასის ინტერესებსა და პერსპექტივას ასახავს. მმართველ კლასს არ სურს, საკუთარი თავი მჩაგვრელად აღიაროს, ისევე, როგორც მონადინებულია, ჩაგრული კლასი მჩაგვრელთან შეარიგოს. ამგვარად, კლასობრივი სისტემა თავდაყირაა წარმოდგენილი. ეს ცნება მარქსმა *camera obscura*-ს სახით შემოიტანა, რაც ობიექტივით გადაღებულ ან თვალით დანახულ შებრუნებულ გამოსახულებას ნიშნავს. ლიბერალიზმი, რომელიც ისეთ უფლებებს აღწერს, რომლებითაც მხოლოდ შეძლებულნი და პრივილეგირებულნი შეიძლება სარგებლობდნენ, როგორც საყოველთაო უფლებამოსილებებით, შესაბამისად, იდეოლოგიის კლასიკური მაგალითია.

მესამეც, იდეოლოგია ძალაუფლების გამოხატულებაა. იმ წინააღმდეგობათა დაფარვით, რომლებსაც ეფუძნება კაპიტალიზმი ყველა სხვა კლასობრივი საზოგადოების მსგავსად, იდეოლოგია მიმართულია, ექსპლუატირებული პროლეტარიატის წინაშე შენიღბოს საკუთარი ექსპლუატატორობის ფაქტი, რითაც საფუძველს უმაგრებს უთანასწორო კლასობრივი ძალაუფლების სისტემას. იდეოლოგია, სინამდვილეში, მოცემული პერიოდის "მმართველ" იდეებს წარმოადგენს. დაბოლოს, მარქსი იდეოლოგიას განიხილავდა როგორც დროებით მოვლენას. ის მხოლოდ იქამდე გასტანს, სანამ მისი

წარმომშობი კლასობრივი სისტემა იარსებებს. პროლეტარიატის, მარქსისავე სიტყვებით – კაპიტალიზმის "სამარის მთხრელის", დანიშნულებაა არა კლასობრივი საზოგადოების ახალი ფორმის ჩამოყალიბება, არამედ – მატერიალურ ფასეულობებზე კოლექტიური საკუთრების შემოღებით კლასობრივი უთანასწორობის საერთოდ გაუქმება. ამგვარად, პროლეტარიატის ინტერესები მთელი საზოგადოების ინტერესებს ემთხვევა. მოკლედ, პროლეტარიატი არ საჭიროებს იდეოლოგიას, რადგან ის ერთადერთი კლასია, რომელსაც ილუზიები არ სჭირდება.

მარქსისტთა შემდგომმა თაობებმა იდეოლოგიისადმი, ვგონებ, უფრო დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს, ვიდრე თავად მარქსმა. ამის მიზეზი მნიშვნელოვანწილად ისაა, რომ მარქსის თავდაჯერებული წინასწარმეტყველება კაპიტალიზმის ბედის შესახებ ერთობ ოპტიმისტური გამოდგა; ამან მარქსისტთა მომდევნო თაობებს გზა გაუხსნა, მთელი ყურადღება იდეოლოგიაზე მიემართათ როგორც ერთ-ერთ ფაქტორზე, რომელიც წარმოების კაპიტალისტური ფორმის უჩვეულო მოქნილობას ხსნის. თუმცა, ამ ტერმინმა, მნიშვნელობის თვალსაზრისით, საგრძნობი ცვლილებებიც განიცადა. ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ იდეოლოგია ყველა კლასის მახასიათებლად განიხილებოდა. ლენინი თავის წიგნში *რა ვაკეთოთ?* ([1902] 1988) პროლეტარიატის იდეებს აღწერდა როგორც "სოციალისტურ იდეოლოგიას", ან "მარქსისტულ იდეოლოგიას" – ასეთი გამოთქმები მარქსს აბსურდულად მოეჩვენებოდა. ლენინისა და მეოცე საუკუნის მარქსისტთა უმეტესობის შეფასებით, იდეოლოგია კონკრეტული სოციალური კლასისათვის დამახასიათებელ იდეებს აღნიშნავდა, იდეებს, რომლებიც მის ინტერესებს წინა პლანზე აყენებდა, მიუხედავად კლასობრივი მდგომარეობისა. მიუხედავად იმისა, რომ, ყველა სხვა კლასის მსგავსად, პროლეტარიატს, ისევე როგორც ბურჟუაზიას, გარკვეული იდეოლოგია აქვს, ამ ტერმინს უარყოფითი თუ დამამცირებელი კონოტაციები ჩამოცილებული ჰქონდა. იდეოლოგია აღარ გულისხმობდა აუცილებელ სიყალბესა და მისტიფიკაციას, აღარც მეცნიერებას უპირისპირდებოდა; "მეცნიერული სოციალიზმი" (მარქსიზმი) პროლეტარული იდეოლოგიის ფორმად იქნა აღიარებული. მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგიის ლენინისეული კონცეფცია არსებითად ნეიტრალური იყო, ლენინს კარგად ესმოდა, რა როლს თამაშობდა იდეოლოგია კაპიტალისტური სისტემის შენარჩუნებაში. ლენინის აზრით, "ბურჟუაზიული იდეოლოგიის" მიერ დამონებული პროლეტარიატი კლასობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას დამოუკიდებლად ვერასოდეს შეძლებდა. ამიტომ ლენინი მიუთითებდა "ავანგარდული" პარტიის აუცილებლობაზე, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა მუშათა მასებს მათი რევოლუციური პოტენციალის განხორციელების გზაზე.

ალბათ არ შევცდებით, იდეოლოგიის მარქსისტული თეორიის შემდგომ განვითარებას ანტონიო გრამშის სახელს თუ დავუკავშირებთ. გრამშის ([1935] 1971) აზრით, კაპიტალისტური კლასობრივი სისტემა უბრალოდ უთანასწორო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას კი არ ემყარება, არამედ, გრამშისავე განმარტებით, – ბურჟუაზიულ იდეათა და თეორიათა "ჰეგემონიას". ჰეგემონია ლიდერობას ან ბატონობას ნიშნავს, იდეოლოგიუ-

რი ჰეგემონიის მნიშვნელობით ის გამოხატავს ბურჟუაზიული იდეების უნარს, განდევნოს საპირისპირო აზრები და, საბოლოო ჯამში, თავისი პერიოდის საყოველთაოდ გავრცელებულ საღ აზრად იქცეს. გრამშიმ აჩვენა, თუ რამდენადაა იდეოლოგია გამჯდარი საზოგადოებაში ყველა დონეზე: ხელოვნებასა და ლიტერატურაში, განათლების სისტემასა და მასმედიაში, ყოველდღიურ მეტყველებასა და ხალხურ კულტურაში. გრამშის მტკიცებით, ბურჟუაზიულ ჰეგემონიასთან დაპირისპირება მხოლოდ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ დონეზე, ანუ სოციალისტურ პრინციპებზე, ღირებულებებსა და თეორიებზე დამყარებული მოწინააღმდეგე "პროლეტარული ჰეგემონიის" ჩამოყალიბებით თუ შეიძლება.

კაპიტალიზმის უნარს, რომელიც ლეგიტიმურობის შექმნით სტაბილურობის მიღწევას გულისხმობს, განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობდა ფრანკფურტის სკოლაც – უპირატესად გერმანული წარმოშობის ნეომარქსისტთა ჯგუფი, რომელიც ნაცისტური გერმანიიდან გაქცევის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. ამ ჯგუფის საყოველთაოდ ცნობილი წევრი ჰერბერტ მარკუზე (იხ. გვ. 155) თავის ნაშრომში *ერთგანზომილებიანი ადამიანი* (Marcuse, *One Dimensional Man*, 1964) ამტკიცებს, რომ განვითარებულმა ინდუსტრიულმა საზოგადოებამ საკუთარი იდეოლოგიის უნარის – მართოს აზროვნება და არ ცნოს ოპოზიციური შეხედულებების გამოხატვის უფლება – ძირითად გამოვლენად "ტოტალიტარულობა" დაადგინა.

ყალბი მოთხოვნილებების შექმნითა და ადამიანთა ხარბ მომხმარებლებად გადაქცევით თანამედროვე საზოგადოებებს ძალუძთ, საყოველთაო და "გამანადგურებელი" სიუხვის გავრცელების გზით კრიტიციზმის პარალიზება მოახდინონ. მარკუზეს მიხედვით, ლიბერალური კაპიტალიზმის აშკარა შემწყნარებლობაც კი რეპრესიულ მიზანს ემსახურება, რადგან აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლისა და კამათის შთაბეჭდილების შექმნით მალავს, თუ რა მასშტაბებს აღწევს იდეოლოგიური დამუშავება და იდეოლოგიური კონტროლი.

იტალიელი მარქსისტი და სოციალური თეორეტიკოსი. დაბალი რანგის სახელმწიფო მოხელის ვაჟი, გრამში სოციალისტურ პარტიაში 1913 წელს შევიდა, 1921 წელს კი ახლად ჩამოყალიბებული იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გახდა. 1924 წელს მას იტალიის პარლამენტის წევრად ირჩევენ, მაგრამ 1926 წელს მუსოლინიმ დააპატიმრა. გრამშიმ სიცოცხლის დარჩენილი წლები ციხეში გაატარა.

1929-1935 წლებში დაწერილ *ციხის ჩანაწერებში* (*Prison Notebooks*) (Gramsci, 1971), გრამშიმ სცადა, ორთოდოქსული მარქსიზმის წიაღში აქცენტი ეკონომიკურ ან მატერიალურ ფაქტორებზე გადაეტანა. ის უარყოფდა "მეცნიერული" დეტერმინიზმის ნებისმიერ ფორმას და ჰეგემონიის თეორიის ბაზაზე პოლიტიკური და ინტელექტუალური ბრძოლის მნიშვნელობას გამოკვეთდა. ცხოვრების ბოლომდე გრამში ლენინისტად და რევოლუციონერად დარჩა. რევოლუციის იდეებისადმი მისმა განსაკუთრებულმა ერთგულებამ და "ნების ოპტიმიზმმა" გრამში ახალ მემარცხენე მოძრაობასაც აზიარა.

იდეოლოგიის არამარქსისტული კონცეფციის კონსტრუირების ერთ-ერთი ადრეული მცდელობა ეკუთვნის გერმანელ სოციოლოგ კარლ მანჰაიმს (1893-1947). მარქსის არ იყოს, მასაც მიაჩნდა, რომ ადამიანთა იდეები მათ სოციალურ გარემო-პირობებში ყალიბდება, მაგრამ, მარქსისაგან განსხვავებით, იგი ისწრაფოდა, იდეოლოგია მისი ნეგატიური ქვეტექსტებისაგან გაეთავისუფლებინა. თავის ნაშრომში *იდეოლოგია და უტოპია* (Mannheim, *Ideology and Utopia*, [1929] 1960) მანჰაიმი იდეოლოგიებს აღწერდა როგორც აზროვნების სისტემებს, რომლებიც კონკრეტული სოციალური წყობის დაცვას ემსახურებიან და რომლებიც ფართოდ გამოხატავენ მმართველი ან გაბატონებული ჯგუფების ინტერესებს. მეორე მხრივ, უტოპიები მომავლის იდეალიზებული განსახიერებებია, რომლებიც ჩაგრული ან დაქვემდებარებული ჯგუფების ინტერესების განუხრელ სამსახურში მყოფ რადიკალურ სოციალურ ცვლილებებს გულისხმობს. მან ერთმანეთისაგან გამიჯნა ასევე იდეოლოგიის "კონკრეტული" და "ტოტალური" გაგებები. "კონკრეტული" იდეოლოგიები განსაკუთრებული ინდივიდების, ჯგუფების ან პარტიების მრწამსი და იდეებია, "ტოტალური" იდეოლოგიები კი სოციალური კლასის, საზოგადოების ან სულაც ისტორიული პერიოდის მთელ *Weltanschauung*-ს, ანუ "მსოფლმხედველობას" მოიცავს. ამ თვალსაზრისით, მარქსიზმი, ლიბერალური კაპიტალიზმი და ისლამური ფუნდამენტალიზმი "ტოტალურ" იდეოლოგიებად შეიძლება ჩაითვალოს. და მაინც, მანჰაიმს მიაჩნდა, რომ *ყველა* იდეოლოგიური სისტემა, უტოპიათა ჩათვლით, გამრუდებულ-დამახინჯებულია, რადგან თითოეული მათგანი სოციალური რეალობის ნაწილობრივ და უცილობლად საკუთარ ინტერესებზე დამყარებულ ხედვას გვთავაზობს. თუმცა, იმასაც ამბობდა, რომ ობიექტური ჭეშმარიტების პოვნის მცდელობაზე ბოლომდე უარი არ უნდა ვთქვათ. მანჰაიმის მიხედვით, ობიექტურობა, მკაცრი აზრით, ნაკრძალია "სოციალურად თავისუფალი ინტელიგენციისა", ინტელექტუალთა კლასისა, რომელიც ერთადერთია, ვისაც შეუძლია დისციპლინირებული და მიუკერძოებელი კვლევა აწარმოოს, რადგან საკუთარი ეკონომიკური ინტერესები არ გააჩნია.

იდეოლოგიის ცნების შემდგომ განვითარებაზე ღრმა კვალი დაამჩნია ომთაშორის პერიოდში წარმოშობილმა ტოტალიტარულმა დიქტატორულმა რეჟიმებმა და XX ს-ის 50-60-იანი წლების ცივი ომის უაღრესად დაძაბულმა იდეოლოგიურმა უთანხმოებებმა. სახელდობრ, ლიბერალი თეორეტიკოსები ფაშისტური იტალიის, ნაცისტური გერმანიისა და სტალინისტური რუსეთის რეჟიმებს ახასიათებდნენ როგორც მმართველობის ისტორიულად ახალ და განსაკუთრებულად მჩაგვრელ სისტემებს; წარმოაჩენდნენ როლს, რომელსაც "ოფიციალური" იდეოლოგიები თამაშობდნენ როგორც დებატებისა და კრიტიციზმის შეზღუდვაში, ისე ორგანიზებული მორჩილების განმტკიცებაში. სრულიად განსხვავებული პოზიციების ავტორები, ისეთები, როგორებიც არიან კარლ პოპერი (1902-94), ჰანა არენდტი (1906-75), ჯ. ლ. ტელმონი და ბერნარდ ქრიკი, ასევე "იდეოლოგიის აღსასრულის" თეორეტიკოსები, რომლებსაც მე-11 თავში განვიხილავთ, ტერმინ "იდეოლოგიის" მნიშვნელობის დავიწროებამდე მივიდნენ, მის მთავარ მაგალითებად ფაშიზმსა და კომუნიზმს ასახელებდნენ. ასეთი მნიშვნელობით,

იდეოლოგიები აზროვნების "ჩაკეტილი" სისტემებია, რომლებიც ჭეშმარიტებაზე მონოპოლიის პრეტენზიით მოწინააღმდეგე იდეათა და რწმენათა შემწყნარებლობაზე უარს ამბობს. ამგვარად, იდეოლოგიები "საერო რელიგიებია"; მათ "გაერთმთლიანების" ბუნება აქვს და წარმოადგენს სოციალური კონტროლის ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს მორჩილებასა და დაქვემდებარებას. ამ კრიტერიუმით, ყველა პოლიტიკური მრწამსი როდია იდეოლოგია. მაგალითად, ლიბერალიზმი, რომლის ამოსავალი პრინციპები თავისუფლებისადმი ღრმა ერთგულება, შემწყნარებლობა და მრავალფეროვნებაა, აზროვნების "ღია" სისტემის ნათელი მაგალითია (პოპერი, 1945).

ასევე შესაძლებელია იდეოლოგიის ნიშანდობლივად კონსერვატიული ცნების დადგენაც. მისი წყარო აბსტრაქტულ პრინციპთა და ფილოსოფიათა მიმართ ხანგრძლივი კონსერვატიული უნდობლობაა, რომელიც რაციონალიზმისა და პროგრესისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებიდან მომდინარეობს. ასეთი ხედვით, სამყარო უსასრულოდ რთული და ადამიანის გონებისათვის თითქმის მიუწვდომელია. ამ მიმართულების ყველაზე თვალსაჩინო თანამედროვე წარმომადგენელი ბრიტანელი პოლიტიკური ფილოსოფოსი მაიკლ ოუკშოთია (1901-90). თავის წიგნში *რაციონალიზმი პოლიტიკა* (Oakeshott, *Rationalism in Politics*, 1962), ოუკშოთი ამბობს: "პოლიტიკური აქტიურობა უკიდეგანო და უძირო ზღვაში ცურვას ჰგავს". ამ თვალთახედვით, იდეოლოგიები აზროვნების აბსტრაქტულ სისტემებად აღიქმება, ისეთ იდეებად, რომლებიც სოციალური რეალობის გამარტივებისა და დამახინჯებისაკენაა მიმართული, რადგან იმის ახსნის პრეტენზია აქვთ, რაც, აშკარად, ყოვლად გაუგებარია. ამგვარად, იდეოლოგია დოგმატიზმთან – რეალური სამყაროს სირთულეთაგან გათავისუფლებულ მუდმივ ან სქოლასტიკურ დოქტრინებთანაა გათანაბრებული. კონსერვატორებმა უარყვეს პოლიტიკის "იდეოლოგიური" სტილი, რომელიც მსოფლიოს აბსტრაქტული პრინციპებისა თუ წინასწარ ჩამოყალიბებული თეორიების შესაბამისად

## პრაგმატიზმი

პრაგმატიზმი, საზოგადოდ, პრაქტიკული გარემოებების კვლევას უფრო გულისხმობს, ვიდრე თეორიული დოქტრინებისას, ანუ გულისხმობს იმის კვლევას, თუ რისი მიღწევა *შეიძლება* რეალურ სამყაროში, განსხვავებით იმისაგან, რის მიღწევასაც იდეალური სამყარო გვავალდებულებს. როგორც ფილოსოფიური დოქტრინა (დაკავშირებული, როგორც წესი, ისეთ ფილოსოფოსთა სახელებთან, როგორებიცაა უილიამ ჯეიმსი (1842-1910) და ჯონ დიუი (1859-1952)), პრაგმატიზმი გვასწავლის, რომ რწმენათა მნიშვნელობისა და მოტივაციის შეფასება მათი პრაქტიკული შედეგებით უნდა მოხდეს. თუმცა დეფინიციის მიხედვით, პოლიტიკის პრაგმატული სტილი არაიდეოლოგიურია, მისი გაიგივება უპრინციპო ოპორტუნიზმთან არ შეიძლება. პრაგმატიზმი ცვლილებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას გულისხმობს; იგი უარყოფს რადიკალურ რეფორმებსა და რევოლუციას, როგორც უცნობში შეღწევას; ნაცვლად ამისა, აქტიურ დარეგულირებასა და, სავარაუდოდ, ევოლუციურ პროგრესსაც უჭერს მხარს.

გარდაქმნის მცდელობებს ეფუძნება. ვიდრე ახალი მემარჯვენე მოძრაობის ეგზომ იდეოლოგიური პოლიტიკის გავლენის ქვეშ მოექცეოდნენ, კონსერვატორები, ოუკშოთს თუ დავესესხებით, "ტრადიციონალისტურ პოზიციას" არჩევდნენ, რომელიც იდეოლოგიას უარყოფს, პრაგმატიზმს ემხრობა და გამოცდილებასა და ისტორიას ადამიანური ქცევის ყველაზე სანდო ორიენტირად სახავს.

თუმცა, 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ტრადიციული სოციალური და პოლიტიკური ანალიზის მოთხოვნების შესაბამისად, ტერმინ "იდეოლოგიის" სახეცვლამ მისი უფრო ფართოდ გავრცელება განაპირობა. იდეოლოგია ნეიტრალურ და ობიექტურ ცნებად დამკვიდრდა, მას ჩამოსცილდა ის პოლიტიკური დატვირთვა, რომელიც წინათ მიეწერებოდა. ასე, მაგალითად, მარტინ სელიჯერი (1976) იდეოლოგიას განმარტავს როგორც "იდეათა სისტემას, რომლის საშუალებითაც ადამიანები აყალიბებენ, ხსნიან და ასაბუთებენ ორგანიზებული სოციალური ქმედების მიზნებსა და საშუალებებს, სულერთია, რისკენაა მიმართული ასეთი ქმედება – მოცემული სოციალური წყობის შენარჩუნების, გაუმჯობესების, აღმოფხვრისა თუ ხელახალი შენებისაკენ". აქედან გამომდინარე, იდეოლოგია ქმედებაზე ორიენტირებული აზროვნების სისტემაა. ამგვარი განსაზღვრის შემდეგ ის აღარაა კარგი ან ცუდი, ჭეშმარიტი ან მცდარი, ღია ან ჩაკეტილი, გამათავისუფლებელი ან მჩაგვრელი – იდეოლოგია ყველაფერი შეიძლება იყოს.

ამ სოციალურ-მეცნიერული ცნების ჭეშმარიტი ღირებულება ისაა, რომ ინკლუზიურია, რადგან ყველა "იზმს" შეიძლება მიესადაგოს: ლიბერალიზმსაც და მარქსიზმსაც, კონსერვატიზმსაც და ფაშიზმსაც და ა. შ. იდეოლოგიის ნეგატიურ ცნებათა ნაკლი კი მათი შეზღუდვითობაა. მარქსი ლიბერალურ და კონსერვატიულ იდეებს იდეოლოგიურს უწოდებდა, ხოლო საკუთარ იდეებს მეცნიერულად მიიჩნევდა; ლიბერალები კომუნიზმსა და ფაშიზმს იდეოლოგიათა რანგში განიხილავენ, მაგრამ ლიბერალიზმს ასეთად არ თვლიან; ტრადიციული კონსერვატორები ლიბერალიზმს, მარქსიზმსა და ფაშიზმს, როგორც იდეოლოგიურს, გმობენ, კონსერვატიზმს კი უბრალოდ "განწყობად" გვიხატავენ. და მაინც, იდეოლოგიის ნებისმიერ ნეიტრალურ ცნებასაც ახლავს საშიშროებები. კერძოდ, პოლიტიკური დატვირთვის თავიდან მოცილებით ამ ტერმინმა იმდენად შემპარავი და განზოგადებული სახე შეიძლება მიიღოს, რომ კრიტიკული სიმძაფრე სრულიად დაკარგოს. თუკი იდეოლოგია ტოლფასია ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა: "რწმენითი სისტემა", "მსოფლმხედველობა", "დოქტრინა" ან "პოლიტიკური ფილოსოფია", განა თვალთმაქცობა არაა, კიდევ ვამტკიცოთ, რომ მას საკუთარი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს? ამ მხრივ ორ საკითხს საგანგებოდ გამოვყოფდი: რა მიმართებებია იდეოლოგიასა და ჭეშმარიტებას შორის და როგორ შეიძლება იდეოლოგია იყოს ძალაუფლების ფორმა?

## იდეოლოგია, ჭეშმარიტება და ძალაუფლება

იდეოლოგიის რაიმეგვარი მოკლე ან ერთ წინადადებაში მოქცეული განმარტება პასუხებზე უფრო მეტ კითხვას წარმოშობს. და მაინც, ის სასარ-

გებლო და აუცილებელი ამოსავალი წერტილი იქნება. ამ წიგნში იდეოლოგია შემდეგნაირად არის გაგებული:

> იდეოლოგია იდეათა მეტ-ნაკლებად მწყობრი სისტემაა, რომელიც საფუძველს უქმნის ორგანიზებულ პოლიტიკურ ქმედებას, სულერთია, რა მიზანს ემსახურება ის: არსებული სისტემის ან ძალაუფლების შენარჩუნებას, სახეცვლასა თუ დამხობას. ამდენად, ყველა იდეოლოგია გვთავაზობს: (ა) არსებული წყობის შეფასებას, ჩვეულებრივ, "მსოფლმხედველობის" სახით, (ბ) სასურველი მომავლის მოდელს – "კარგი საზოგადოების" ხედვას, და (გ) გეგმას, თუ როგორ შეიძლება და უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ცვლილება – როგორ მივიდეთ (ა)-დან (ბ)-მდე.

ეს დეფინიცია არც ორიგინალურია და არც ნოვატორული და ამ ტერმინის სოციალურ-მეცნიერულ მნიშვნელობასთან სრულ შესაბამისობაშია. და მაინც, ის იდეოლოგიის ფენომენის ზოგიერთ მნიშვნელოვან და დამახასიათებელ ნიშანზე მიგვითითებს. კერძოდ, წარმოაჩენს, რომ იდეოლოგიის პრობლემურობა დესკრიფციული და ნორმატიული აზროვნების, პოლიტიკური თეორიისა და პრაქტიკის ტრადიციულ საზღვრებს შორის მერყეობიდან მომდინარეობს. ერთი სიტყვით, იდეოლოგია ორი სახის სინთეზს წარმოშობს: ერთი მხრივ, აერთიანებს გაგებასა და ვალდებულებას, ხოლო მეორე მხრივ – აზროვნებასა და ქმედებას.

პირველი სახის სინთეზთან, ანუ გაგებისა და ვალდებულების შერწყმასთან დაკავშირებით იდეოლოგია აბუნდოვანებს განსხვავებას იმათ შორის, რაც "არის" და რაც "უნდა იყოს". იდეოლოგიების დესკრიფციულობა იმას ნიშნავს, რომ ისინი, სინამდვილეში, ცალკეულ ადამიანებსა და ჯგუფებს სთავაზობენ მათი საზოგადოების ფუნქციონირების ერთგვარ ინტელექტუალურ გეგმას და, კიდევ უფრო ვრცლად, სამყაროს ზოგად ხედვას. ეს, მაგალითად, გვეხმარება იდეოლოგიის ინტეგრირების მნიშვნელოვანი უნარის ახსნაში, უნარისა, რომელიც ადამიანების კონკრეტულ სოციალურ გარემოში "მოთავსებას" გულისხმობს. ასეთი დესკრიფციული გაგება ღრმადაა გამჯდარი როგორც არსებული სოციალური მოწყობის შესატყვისობის, ისე ალტერნატიული ან მომავალი საზოგადოების ბუნების შესახებ ნორმატიულ ან პრესკრიფციულ რწმენათა სისტემაში. ამდენად, იდეოლოგია ძლიერი ემოციური ბუნებისაა: ის იმედებისა და შიშების, კეთილგანწყობისა და სიძულვილის, მრწამსთა და გაგების გამოხატვის საშუალებაა.

რამდენადაც (ა) და (ბ) მომენტები ურთიერთდაკავშირებულია, "ფაქტები" იდეოლოგიებში გარდაუვლად მიდრეკილია "ღირებულებებთან" შერწყმისა და აღრევისაკენ. ამას ისიც მოწმობს, რომ შეუძლებელია იდეოლოგიისა და მეცნიერების რაიმეგვარი მკაფიო გამიჯვნა. ამ მხრივ, კარგი იქნებოდა, თუ იდეოლოგიებს პარადიგმებად განვიხილავდით, როგორც ამას აკეთებს თომას კუნი თავის წიგნში *მეცნიერული რევოლუციების სტრუქტურა* (*The Structure of Scientific Revolutions*, 1962). ასეთ შემთხვევაში იდეოლოგია შეიძლება აღვიქვათ იმ პრინციპთა, დოქტრინათა და თეორიათა ერთობლიობად, რომლებიც ინტელექტუალური კვლევის პროცესის სტრუქტურირე-

ბაში გვეხმარება. სინამდვილეში იგი ქმნის ჩარჩოს, რომლის შიგნითაც პოლიტიკური ცოდნის – პოლიტიკური დისკურსის ენის – ძიება მიმდინარეობს. მაგალითად, აკადემიური პოლიტიკური მეცნიერებისა და, კიდევ უფრო აშკარად – ეკონომიკურ მეცნიერებათა, ინდივიდუალისტური და რაციონალისტური ვარაუდები, უდავოდ, ლიბერალური წარმომავლობისაა. იდეოლოგიის როგორც ინტელექტუალური ჩარჩოს ან პოლიტიკური ენის გაგება, ასევე მნიშვნელოვანია, რადგან ის წარმოაჩენს სიღრმეს, რომლითაც იდეოლოგია ადამიანური გაგების სრუქტურირებას ახდენს. საკუთარ რწმენათა იდეოლოგიურობის უარყოფის ტენდენცია (მაშინ როცა სხვებს ხშირად ზუსტად იმავე ცოდვის ჩადენის გამო ვკიცხავთ) იმით შეიძლება ავხსნათ, რომ სწორედ იმ კონცეფციათა შემოთავაზებით, რომლებიც სამყაროს გასაგებს ხდის, ჩვენი იდეოლოგია ეფექტურად ინილბება (უჩინარდება). ვერ ვამჩნევთ, ან არ გვინდა შევამჩნიოთ, რომ სამყაროს აღვიქვამთ ისეთს, როგორადაც მას აჩენს ჩვენივე თეორიებისა და ვარაუდების რიდე, და ამის მიხედვით ვანიჭებთ მას (სამყაროს) მნიშვნელობას.

მეორე სახის სინთეზი, აზროვნებისა და ქმედების ნაზავი, რომელიც (ბ) და (გ) მომენტთა კავშირით გამოიხატება, არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამაზე ყურადღებას ამახვილებდა სელიჯერი (1976) იდეოლოგიის, მისსავე ტერმინებს თუ ვიხმართ, "ფუნდამენტურ" და "ოპერატიულ" დონეებზე საუბრისას. ფუნდამენტურ დონეზე იდეოლოგიები პოლიტიკურ ფილოსოფიებს ჰგავს, რადგან აბსტრაქტულ იდეებსა და თეორიებს ეხება. რაც შეეხება ამ იდეოლოგიების მხარდამჭერებს, მათი გამოკვლევები ზოგჯერ შემართებას მოკლებულად შეიძლება მოგვეჩვენოს. ტერმინს "ideologue" ხშირად კონკრეტულ იდეოლოგიათა დაუღვინებელი ან მორიდებული მხარდამჭერების დასახასიათებლად იყენებენ, თუმცა, იდეოლოგიური ტრადიციის განვითარებაში წვლილი ისეთ პატივცემულ პოლიტიკურ ფილოსოფოსებსაც მიუძღვით, როგორებიც არიან ჯონ ლოკი (იხ. გვ. 45), ჯონ სტიუარტ მილი (იხ. გვ. 34) და ფრიდრიხ ჰაიეკი (იხ. გვ. 108). ოპერატიულ დონეზე კი იდეოლოგიები ფართო პოლიტიკურ მოძრაობათა ფორმას იღებს და ხალხის მობილიზაციასა და ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ერთვება. ასეთი იერსახით იდეოლოგია შეიძლება გამოისახოს მოწოდებებში, პოლიტიკურ რიტორიკაში, პარტიის მანიფესტებსა და მთავრობის პოლიტიკურ კურსში. იდეოლოგიები როგორც იდეებზე, ასევე ქმედებებზე ზედმიწევნით ორიენტირებული უნდა იყოს, მაგრამ ზოგიერთი იდეოლოგია, უდავოდ, ერთ დონეზე უფრო ძლიერი, ვიდრე – მეორეზე. მაგალითად, ფაშიზმი ყოველთვის ოპერატიულ მიზნებს, გნებავთ, საქმის პოლიტიკას, უსვამდა ხაზს. ანარქიზმი კი, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის შუაწლებიდან მოყოლებული, მნიშვნელოვანწილად, ფუნდამენტურ ან ფილოსოფიურ დონეზეა შემორჩენილი.

და მაინც, იდეოლოგიებს პოლიტიკური ფილოსოფიებისათვის დამახასიათებელი მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფორმა და შინაგანი კონსისტენცია არა აქვს; ისინი მხოლოდ მეტ-ნაკლებადაა თანმიმდევრული. ეს აშკარა უფორმობა ნაწილობრივ იმის შედეგია, რომ იდეოლოგიები აზროვნების ჰერმეტულად დახშული სისტემები არაა; როგორც წესი, ისინი უფრო მუდმივად ცვალებადი იდეათა სისტემებია, რომლებიც სხვა იდეოლოგიებთან

ურთიერთქმედებენ და ურთიერთმონაცვლეობენ, რაც იდეოლოგიათა განვითარებასაც უწყობს ხელს და ისეთი ჰიბრიდული იდეოლოგიების აღმოცენებასაც, როგორიცაა ლიბერალური კონსერვატიზმი, სოციალისტური ფემინიზმი და კონსერვატიული ნაციონალიზმი. ყოველი იდეოლოგია განსხვავებულ, მეტიც – დაპირისპირებულ ტრადიციათა და თვალსაზრისთა სპექტრსაც კი შეიცავს. არცთუ იშვიათად ერთი და იმავე იდეოლოგიის მომხრეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა უფრო ცხარე და გაამფთრებულია, ვიდრე – მოწინააღმდეგე იდეოლოგიათა მომხრეებთან კამათი, რადგან დავა იდეოლოგიის ჭეშმარიტ ბუნებას შეეხება: რას ნიშნავს "ჭეშმარიტი" სოციალიზმი, "ჭეშმარიტი" ლიბერალიზმი ან "ჭეშმარიტი" ანარქიზმი? იდეოლოგიურ ტრადიციათა შიგნით და გარეთ მიმდინარე დავას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ მასში ხშირად ერთი და იგივე პოლიტიკური ტერმინები მონაწილეობს. ისეთ ცნებებს, როგორიცაა "თავისუფლება", "დემოკრატია", "სამართლიანობა" და "თანასწორობა" მოკამათე მხარეები მათი შეხედულებებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობით იყენებენ. აქ მივადექით პრობლემას, რომელსაც უილ. ბ. გეილიმ (Gallie, 1955-6) ასეთი სახელი მოუძებნა: "არსებითად საკამათო ცნებები". ეს არის ცნებები, რომელთა შესახებაც პოლემიკა იმდენად ღრმაა, რომ რაიმე მისაღებ დეფინიციაზე შეთანხმება შეუძლებელია. ამ მხრივ, იდეოლოგიის ცნება, რა თქმა უნდა, "არსებითად საკამათოა", ისევე, როგორც სხვა ტერმინები, განხილული ჩანართებში "თვალსაზრისები . . . შესახებ".

თუმცა, აშკარაა, რომ იდეოლოგიის არათანმიმდევრულობასა და უფორმობას ზღვარი უნდა ჰქონდეს. უნდა არსებობდეს მიჯნა, სადაც იდეოლოგია, რომელიმე განსაკუთრებით სათაყვანებელ პრინციპზე უარის თქმით, ან ადრე არასერიოზულად მიჩნეული თეორიის გაზიარებით, საკუთარ თვითმყოფადობას კარგავს ან, შესაძლოა, მოწინააღმდეგე იდეოლოგიაში შთაინთქმება. დარჩება ლიბერალიზმი ლიბერალიზმად, თუკი თავისუფლებისადმი ერთგულებაზე უარს იტყვის? დარჩება სოციალიზმი სოციალიზმად, ძალადობისა და ომის მიდრეკილებებს თუ განავითარებს? მაიკლ ფრიდენის (Freeden, 1996) თანახმად, ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთი გზა, ამოსავალ ცნებებთან დაკავშირებით, იდეოლოგიის მორფოლოგიის, ფორმისა და სტრუქტურის წარმოჩენაა, სწორედ ისე, როგორც ოთახში ავეჯის განლაგება გვკარნახობს, რომელია სამზარეულო, საძინებელი, სასტუმრო ოთახი და ა.შ. ყოველი იდეოლოგია, ამდენად, ცენტრალური, მომიჯნავე და პერიფერიული ცნებების ნაკრებისაგან შედგება, რომელთაგან უკლებლივ ყველას არსებობა აუცილებელი არ არის, რათა თეორია ან დოქტრინა ამ იდეოლოგიის ნაწილად ვაღიაროთ. მაგალითად, სამზარეულო სამზარეულოდ დარჩება, მასში ნიჟარა და გაზქურა რომც არ იყოს, ვერც ჭურჭლის სარეცხი მანქანებისა და მიკროტალღოვანი ღუმლების დანერგვა შეუცვლის მას კარგა ხანს იერსახეს. ინდივიდუალიზმი, თავისუფლება და ადამიანური რაციონალობა, მაგალითად, ლიბერალიზმის ცენტრალურ ცნებათა ჯაჭვად შეიძლება მივიჩნიოთ. ერთ-ერთის გამოკლება დოქტრინის ლიბერალურ პრინციპებს კითხვის ქვეშ არ დააყენებს, მაგრამ, თუ ამ ჯაჭვს ორი ცნება გამოაკლდება, ეს უკვე ახალი იდეოლოგიური ფორმის წარმოქმნის მანიშნებელი იქნება.

რას გვეუბნება ყოველივე ეს იდეოლოგიისა და ჭეშმარიტების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით? მარქსი, როგორც ვნახეთ, იდეოლოგიაში ჭეშმარიტების უწყალო მტერს ხედავდა. მისი აზრით, იდეოლოგია სიყალბეს გულისხმობს, მას მმართველი კლასი ქმნის ექსპლუატაციისა და ჩაგვრის შესანიღბად. როგორც მანჰაიმმა შენიშნა, ალიარო მარქსის კვალ-

## იდეოლოგიის შესახებ

**ლიბერალები**, განსაკუთრებით ცივი ომის წლებში, იდეოლოგიას განიხილავდნენ როგორც ოფიციალურად სანქცირებულ რწმენით სისტემას, რომელსაც ჭეშმარიტებაზე მონოპოლიის პრეტენზია აქვს, ხშირად ვითომდა მეცნიერულობაზე დამყარებულიც. ამდენად, იდეოლოგია შინაგანი ბუნებით რეპრესიულია, ტოტალიტარულიც კი; მისი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია: კომუნიზმი და ფაშიზმი.

**კონსერვატორები** იდეოლოგიას, ტრადიციულად, რაციონალიზმის თვითდაჯერებულობის გამოხატულებად განიხილავდნენ. იდეოლოგიები აზროვნების დახვეწილი სისტემებია, საშიში და არასაიმედო. ისინი, რეალობისაგან მოწყვეტით, ისეთ პრინციპებსა და ამოცანებს სახავენ, რომელთაც რეპრესიებამდე მივყავართ ან უბრალოდ განუხორციელებელია. ამ მხრივ, სოციალიზმი და ლიბერალიზმი აშკარად იდეოლოგიურია.

**სოციალისტები**, მარქსის მიხედვით, იდეოლოგიას აფასებენ როგორც იდეათა ერთიანობას, რომელიც კლასობრივი საზოგადოების წინააღმდეგობებს ნიღბავს, რითაც დამორჩილებულ კლასებში ყალბ ცნობიერებასა და პოლიტიკურ პასიურობას ავითარებს. ლიბერალიზმი მმართველი კლასის იდეოლოგიის კლასიკური ნიმუშია. მოგვიანებით მარქსისტებმა იდეოლოგიის ნეიტრალური კონცეფცია მიიღეს და მას განიხილავდნენ როგორც იდეებს, რომლებიც დამახასიათებელია ნებისმიერი სოციალური კლასისათვის, მათ შორის მუშათა კლასისთვისაც.

**ფაშისტები** იდეოლოგიას ხშირად უარყოფენ როგორც პოლიტიკური აზროვნების ზედმეტად მეთოდურ, მშრალ და ინტელექტუალიზებულ ფორმას, რომელიც მხოლოდ გონებრივ ანალიზს ემყარება და არა – ენთუზიაზმს ან ნებას. ნაცისტები ამჯობინებდნენ, საკუთარი იდეები გამოესახათ როგორც *Weltanschauung*, ანუ "მსოფლმხედველობა" და არა როგორც სისტემაში მოყვანილი ფილოსოფია.

**ეკოლოგისტები**, ჩვეულებრივ, ყველა ტრადიციულ პოლიტიკურ დოქტრინას ინდუსტრიალიზმის ზეიდეოლოგიის ნაწილად თვლიან. ამგვარად, მათი აზრით, იდეოლოგია შერყვნილია ქედმაღლურ ჰუმანიზმთან და ზრდაზე ორიენტირებულ ეკონომიკასთან კავშირით – ლიბერალიზმი და სოციალიზმი ამის ნათელი მაგალითებია.

**რელიგიური ფუნდამენტალისტები** იდეოლოგიად განიხილავენ მთავარ რელიგიურ ტექსტებს, რადგან ღვთით გამჟღავნებული სიტყვის გამოხატვით ისინი საფუძვლიანი სოციალური რეკონსტრუქციის პროგრამას გვთავაზობენ. საერო რელიგიები, ამდენად, უარყოფილია, რადგან რელიგიურ პრინციპებს არ ეფუძნება და ზნეობრივ არსს მოკლებულია.

დაკვალ, რომ პროლეტარიატს ილუზია და იდეოლოგია არ სჭირდება, ერთობ რომანტიზებული შეხედულებაა მუშათა მასებზე, როგორც კაცობრიობის გამათავისუფლებლებზე. თუმცა, არც ამ პრობლემის თავად მაინჰაიმისეულ გადაწყვეტას – თავისუფალი ინტელექტუალებისადმი რწმენას – მივყავართ საჭირო პასუხამდე. ცნობიერად თუ არაცნობიერად, ადამიანთა შეხედულებებს სოციალური და კულტურული ფაქტორები განსაზღვრავს; და რამდენადაც განათლება ეხმარება მათ ამ შეხედულებათა უფრო მკაფიოდ და დამაჯერებლად ჩამოყალიბებაში, იმდენადვე საეჭვოა, იგივე განათლება ამ შეხედულებებს ოდნავ მაინც ნაკლებ სუბიექტურს ან ცოტათი მეტად მიუკერძოებელს ხდიდეს.

ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ჭეშმარიტების რაიმე ობიექტური კრიტერიუმი, რომელთან მიმართებაშიც შეგვიძლია იდეოლოგიები განვიხილოთ. მართლაც, იდეოლოგიების მხოლოდ ჭეშმარიტად ან მცდარად შეფასებით მხედველობის მიღმა რჩება ის უმთავრესი მომენტი, რომ ისინი თავის თავში ღირებულებებს, ოცნებებსა და მისწრაფებებს აერთიანებენ, რომლებიც, სწორედ მათი ბუნებიდან გამომდინარე, მეცნიერულ ანალიზს არ ექვემდებარება. არავის შეუძლია "ამტკიცოს", რომ სამართლიანობის ერთი თეორია მეორეზე უკეთესია, ისევე როგორც შეუძლებელია, ადამიანის ბუნების შესახებ არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფციები ქირურგიული ჩარევით შემოწმდეს – ამ გზით ერთხელ და სამუდამოდ ნაჩვენები იქნას, რომ ადამიანებს უფლებები აქვთ, რომ თავისუფლება მათი განუყოფილი უფლებაა, რომ ბუნებით ისინი ან თავკერძანი არიან ან ზნექველნი. იდეოლოგიებს გავლენა აქვთ არა იმიტომ, რომ ისინი სიმწყობრესა და ლოგიკურ ანალიზს ექვემდებარებიან, არამედ იმიტომ, რომ ცალკეულ ადამიანებს, ჯგუფებსა და საზოგადოებებს ეხმარებიან, საზრისი დაინახონ სამყაროში, რომელშიც ცხოვრობენ. ენდრიუ ვინსენტისა არ იყოს (Vincent, 1995), "იდეოლოგიას თანამგზავრის პოზიციიდან ვუჭვრეტთ და არა – ნეიტრალური დამკვირვებლისა".

ასე რომ, იდეოლოგიებს უდავოდ აქვს ჭეშმარიტების დადგენის პრეტენზია; ამ გაგებით, მათ "ჭეშმარიტების რეჟიმები" შეიძლება ვუწოდოთ. იდეოლოგიები გვთავაზობენ პოლიტიკური დისკურსის ენას, მოსაზრებებსა და ვარაუდებს იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს და როგორ უნდა ფუნქციონირებდეს საზოგადოება; ამდენად, ისინი განსაზღვრავენ როგორც ჩვენს აზროვნებას, ისე – ქმედებასაც. როგორც "ჭეშმარიტების რეჟიმი", იდეოლოგია ყოველთვის კავშირშია ძალაუფლებასთან. დაპირისპირებული ჭეშმარიტებების, ღირებულებებისა და თეორიების სამყაროში იდეოლოგიები გარკვეული ღირებულებების სხვებზე პრიორიტეტულად აღიარებისაკენ და კონკრეტული თეორიებისა თუ მნიშვნელობათა სისტემებისათვის ლეგიტიმურობის მინიჭებისკენაა მიმართული. მეტიც, იდეოლოგიები სოციალური სამყაროს ინტელექტუალური რუკებით გვამარაგებენ და ამით უზრუნველყოფენ, ერთი მხრივ, ცალკეულ ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს, ხოლო მეორე მხრივ, ძალაუფლების უფრო ფართო სტრუქტურას შორის ურთიერთობის დამყარებას. ამდენად, იდეოლოგიები გადამწყვეტ როლს თამაშობენ როგორც გაბატონებული ძალაუფლებრივი სტრუქტუ-

რის შენარჩუნებაში, განიხილავენ რა მას როგორც სამართლიანს, ბუნებრივს, კანონიერს და ა. შ., ისე მის დასუსტებასა და მის მიმართ ეჭვის გაღვივებაში, როდესაც მის უსამართლობებს ან უკანონობებს წარმოაჩენენ და ყურადღებას ალტერნატიული ძალაუფლებრივი სტრუქტურებისაკენ მიმართავენ.

## მემარცხენეობა, მემარჯვენეობა და ცენტრისტობა

პოლიტიკურ იდეათა და იდეოლოგიათა კატეგორიზაციისა და ურთიერთდაკავშირების მრავალი მცდელობა არსებობს. ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ხერხია მათი მემარცხენე-მემარჯვენე პოლიტიკურ სპექტრად დაყოფა. ეს წრფივი სპექტრია, რომელიც პოლიტიკურ მრწამსებს ორ უკიდურესობას – უკიდურეს მემარცხენე და უკიდურეს მემარჯვენე მიმართულებებს – შორის გარკვეულ ზღვარზე განალაგებს. ვისიმე პოლიტიკური შეხედულებების ან მრწამსის დასაჯამებლად ფართოდ გამოიყენება ტერმინები: "მარცხენა ფრთა" ან "მარჯვენა ფრთა"; ხოლო ერთი იდეის გარშემო ადამიანთა გაერთიანების აღსანიშნად იყენებენ ტერმინებს "მემარცხენეები", "მემარჯვენეები" და, რა თქმა უნდა, "ცენტრისტები". ასევე თანხმდებიან ამ სპექტრში განსხვავებული იდეებისა და იდეოლოგიების განლაგებაზეც. დიაგრამაზე 1.1 გამოსახული სპექტრი, ალბათ, ბევრისთვის ნაცნობია.

პოპულარობის მიუხედავად, იმის დადგენა, თუ ზუსტად რას ნიშნავს სპექტრი და რამდენად გვეხმარება პოლიტიკური იდეებისა და შეხედულებების განსაზღვრასა და დახასიათებაში, იოლი სულაც არ არის. ტერმინები "მემარცხენე" და "მემარჯვენე" საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიდან მოდის. 1789 წელს დიდგვაროვანთა პირველ კრებაზე განსხვავებული ქონებრივი მდგომარეობის ჯგუფებს განსხვავებული ადგილები ეკავათ. მეფის მხარდამჭერი არისტოკრატები მისგან მარჯვნივ ისხდნენ, რადიკალები კი, მესამე წოდების წევრები, – მარცხნივ. ადგილთა ასეთი განლაგება შენარჩუნდა მომდევნო ფრანგულ თავყრილობებზეც. ტერმინმა "მემარჯვენე" მალევე დაიმკვიდრა რეაქციულის ან მონარქისტულის გაგება, ხოლო "მემარცხენემ" – რევოლუციის ან ეგალიტარიზმის მომხრე მიმართულების მნიშვნელობა. თუმცა, თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში მემარცხენედ და მემარჯვენედ დაყოფა სულ უფრო რთული ხდება და აღარ გამოხატავს უბრალო არჩევანს რევოლუციასა და რეაქციას შორის. მაგალითად, მართალია, მემარჯვენე შეხედულებები ხშირად რეაქციული შეიძლება იყოს და ადრინდელ, უკეთეს დროში დაბრუნებას ქადაგებდეს, მაგრამ ფაშიზმი,

**დიაგრამა 1.1** წრფივი სპექტრი

კომუნიზმი სოციალიზმი ლიბერალიზმი კონსერვატიზმი ფაშიზმი

როგორც უკიდურესი მემარჯვენე მიმართულება, რევოლუციურიც იყო, ხოლო იტალიური ფაშიზმის შემთხვევაში – აშკარად შორსმჭვრეტელურიც. ამგვარადვე, თუმცა მემარცხენე შეხედულებები, ჩვეულებრივ, პროგრესულად ან რევოლუციურად მიიჩნევა, სოციალისტები და კომუნისტები დროდადრო ცვლილებებს ეწინააღმდეგებიან. მაგალითად, საყოველთაო კეთილდღეობის/უზრუნველყოფის სახელმწიფოს იცავენ, უარს ამბობენ ცენტრალიზებული დაგეგმვის ეკონომიკის რეფორმირებაზე ან გაუქმებაზე.

წრფივ სპექტრში, როგორც საზოგადოდ მიიჩნევენ, განსხვავებული პოლიტიკური ღირებულებები ან ეკონომიკური პოლიტიკის თაობაზე ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები აისახება. ღირებულებებთან დაკავშირებით, ეს სპექტრი, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ, თანასწორობის შესახებ განსხვავებულ დამოკიდებულებებს ასახავს. მემარცხენეები თანასწორობის პრინციპთა ერთგულნი არიან და მისი მიღწევის საკითხში ოპტიმიზმს გამოხატავენ. მემარჯვენეები, როგორც წესი, უარყოფენ თანასწორობის პრინციპს როგორც არასასურველს ან მიუღწეველს. ეს საკითხი ახლო კავშირშია ეკონომიკასთან, კერძოდ, მატერიალურ სიკეთეთა ფლობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პოზიციასთან. კომუნისტები, როგორც უკიდურესი მემარცხენე მიმართულება, სახელმწიფო დაგეგმვის ეკონომიკის მომხრენი არიან; სოციალისტები და თანამედროვე ლიბერალები შერეულ ეკონომიკასა და სახელისუფლო რეგულირებას უჭერენ მხარს; მემარჯვენე კონსერვატორები თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმსა და კერძო საკუთრებას იცავენ. მაგრამ ყველა ასეთ ინტერპრეტაციაში გარკვეული შეუსაბამობებია. მაგალითად, ფაშისტური რეჟიმები ეკონომიკურ მართვასა და სახელმწიფო კონტროლს ახორციელებდნენ, მიუხედავად მათი უკიდურესად მემარჯვენე პოზიციებისა. უფრო მეტიც, გარკვეული არ არის, უნდა მოთავსდეს თუ არა წრფივ სპექტრში ანარქიზმიც. ანარქისტები მკაცრად იცავენ თანასწორობის იდეას, რაც მათ, წესით, ამ სპექტრში უკიდურეს მემარცხენე პოზიციაზე განალაგებდა, მაგრამ ანარქისტები ასევე უარყოფენ ეკონომიკური მართვისა და მთავრობის ყველა ფორმას, რის საფუძველზეც ისინი უკიდურესი მემარჯვენე ფრთისათვის შეიძლება მიგვეკუთვნებინა.

წრფივი სპექტრის ნაკლი ისაა, რომ მას პოლიტიკა ერთ განზომილებამდე დაჰყავს და მიგვანიშნებს, რომ პოლიტიკური შეხედულებების კლასიფიცირება მხოლოდ ერთი კრიტერიუმის მიხედვითაც შეიძლება; ასეთი კრიტერიუმი კი ცვლილებისადმი დამოკიდებულებაც შეიძლება იყოს, თანასწორობის პრინციპიცა და ეკონომიკური ფილოსოფიაც. პოლიტიკური იდეოლოგიები რწმენათა, ღირებულებათა და დოქტრინათა მეტად რთული ნაკრებია და მის გამარტივებას ვერანაირი სპექტრი გვერდს ვერ აუვლის. იყო მცდელობები უფრო დახვეწილი პოლიტიკური სპექტრის შექმნისა, რომელსაც ორი ან მეტი განზომილება ექნებოდა. წრფივი სპექტრის კრიტიკას, მაგალითად, ზოგჯერ ის იწვევს, რომ მისი კიდური წევრები, კომუნიზმი და ფაშიზმი, მსგავსებებს ავლენს. კერძოდ, როგორც კომუნისტურმა, ისე ფაშისტურმა რეჟიმმა პოლიტიკური მართვის რეპრესიული, ავტორიტარული ფორმები განავითარა, რომლებსაც ზოგიერთი "ტოტალიტარულს" უწო-

**დიაგრამა 1.2** ნალისებრი სპექტრი




დებს. შედეგად, ალტერნატიული პოლიტიკური სპექტრი ნალის ფორმის შეიძლება იყოს, რითაც მიგვანიშნებს, რომ კიდური მარცხენა და მარჯვენა ბოლოები შეერთებისკენ მიისწრაფვის და რითაც ორივეს ლიბერალიზმის, სოციალიზმისა და კონსერვატიზმის "დემოკრატიულ" მრწამსთაგან განარჩევს (დიაგრამა 1.2).

კიდევ ერთ სპექტრს გვთავაზობს ჰანს აიზენკი თავის წიგნში *საზრისი და უსაზრისობა ფსიქოლოგიაში* (Eysenck, *Sense and Nonsense in Psychology*, 1964). აიზენკმა ტრადიციული მემარცხენე-მემარჯვენე სპექტრი საკუთარი სპექტრის ჰორიზონტალურ ღერძად გამოიყენა, მაგრამ მას პოლიტიკური პოზიციების საზომი ვერტიკალური ღერძი დაამატა, რომლის ერთ ბოლოზე "ხისტად მოაზროვნენი", ანუ ავტორიტარები, ხოლო მეორე ბოლოზე "რბილნი", ანუ დემოკრატები განალაგა. ამდენად, პოლიტიკური იდეების განლაგება შესაძლებელია როგორც მემარცხენე-მემარჯვენე ღერძზე, ასევე "სიხისტისა" და "სილბოს" ღერძზეც. ასეთ შემთხვევაში, განსხვავებები, ვთქვათ, ნაციზმსა და სტალინიზმს შორის ნათლად შეიძლება ვაჩვენოთ, თუ მათ მემარცხენე-მემარჯვენე ღერძის კიდურ ბოლოებზე განვალაგებთ, ხოლო მათ მსგავსებებს წარმოვაჩენთ, თუ ორივეს ვერტიკალური ღერძის "ხისტ" ბოლოზე მყარად მოვათავსებთ (დიაგრამა 1.3).

ამასთან, ყველა ასეთი სპექტრი სირთულეებს წარმოშობს, რადგან პოლიტიკური იდეების უაღრესად კომპლექსური სისტემების გამარტივებისა და განზოგადებისკენაა მიმართული. საუკეთესო შემთხვევაში ისინი პოლიტიკური იდეებისა და რწმენების აღსაწერად ერთგვარ სტენოგრაფიულ მეთოდად შეიძლებოდა მიგვეჩნია და ამიტომ მათთან დაკავშირებით სიფრთხილე გვმართებს. მკვლევართა უმეტესობა სულ უფრო ხშირად საერთოდ უარყოფს მემარცხენე-მემარჯვენედ დაყოფის იდეას. როგორც გიდენსი (Giddens, 1994) აღნიშნავს, ახალ პოლიტიკურ თემათა წარმოშობამ, როგორებიცაა: ფემინიზმი, ცხოველთა უფლებები და გარემო, ტრადიციული მემარცხენე-მემარჯვენე იდეები მნიშვნელოვანწილად დრომოჭმულად აქცია. ამ აზრს მეტად თამამად გამოხატავენ მწვანეები ისეთ ლოზუნგებში, როგორიცაა: "არც მარცხნივ, არც მარჯვნივ, მხოლოდ წინ". ეს პროცესი გააღრმავა ძველ კლასობრივ დაპირისპირებებზე უარის თქმამაც, რის შედეგადაც,

**დიაგრამა 1.3** ორგანზომილებიანი სპექტრი




მაგალითად, კონსერვატორებს გაუჩნდათ რადიკალიზმისა და იდეოლოგიური პოლიტიკისადმი მზარდი მიდრეკილება, ხოლო სოციალისტები ბაზარმა და კონკურენციამ გაიტაცა. მკვეთრად კონტრასტულ შეხედულებას გვთავაზობს ნორბერტო ბობიო (Bobbio, 1996); მისი აზრით, რადგან მემარცხენეობა და მემარჯვენეობა თანასწორობის შესახებ არსებითად განსხვავებულ დამოკიდებულებებს ასახავს, ეს ტერმინები საზოგადოებრივი და მზარდი გლობალური უთანასწორობის ახალი ფორმების სამყაროში უმნიშვნელო სულაც არ არის.

## პოლიტიკური იდეოლოგიები ოცდამეერთე საუკუნეში

მეოცე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული პოლიტიკურმა, სოციალურმა თუ კულტურულმა ძვრებმა სახე უცვალეს სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ; ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისტორიამ "სვლას უმატა". წარსულს თვალს თუ გადავავლებთ, ბასტილიის დაცემიდან (1789) ბერლინის კედლის დანგრევამდე (1989) ორასწლიანი შუალედი, განსაკუთრებით კი პირველი მსოფლიო ომის დაწყებასა (1914) და 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკსა და ვაშინგტონზე განხორციელებულ ტერორისტულ შეტევებს შორის პერიოდი, თანმიმდევრულობითა და შედარებითი სტაბილურობით ხასიათდება, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე სამყაროს არამდგრადობასა თუ უფორმობასთან შედარებით. 1848 წელს მარქსის მიერ ნათქვამი ფრაზა, "ყოველივე მყარი განქარდება", დღეს შემაძრწუნებლად, მაგრამ აშკარად მართებულად ჟღერს. ზოგისათვის ეს ძვრები "იდეოლოგიათა ხანის" დასასრულს ნიშნავს; მათი აზრით, მთავარი იდეოლოგიები ახლა თითქმის ჩამოსცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას, რომელსაც ოდესღაც განსაზღვრავდნენ და აყალიბებდნენ. ამ არგუმენტებს წიგნის უკანასკნელ თავში განვიხი-

ლავთ. ყოველ შემთხვევაში, ტრადიციული იდეოლოგიები იძულებულია, შეეწყოს მრავალ ახალსა და ხშირად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ გამოწვევას, ზოგჯერ კი მათი გავლენით ახლიდან განისაზღვროს თავი. ამ გამოწვევათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ცვლადი მსოფლიო წესრიგი
- პოსტმოდერნი და "პოსტ-იზმები"
- გლობალიზაცია

## ცვლადი მსოფლიო წესრიგი

მსოფლიო წესრიგი მნიშვნელოვნად შეცვალა ცივი ომის დამთავრებამ, რაც, თავის მხრივ, 1989-91 წლების აღმოსავლეთ ევროპის რევოლუციების სახით კომუნიზმის მარცხის, შედარებით ახლახან კი გლობალური ტერორიზმის "მოსვლის" (იხ. გვ. 351) შედეგია. "ხანგრძლივი" ცივი ომის – ან როგორც ჰობსბაუმი (Hobsbawm, 1994) იტყოდა, "მოკლე" მეოცე საუკუნის, 1914-91 – მთავარი მახასიათებელი იყო იდეოლოგიური ბრძოლა კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის, რომელიც კიდევ უფრო გაამძაფრა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ზესახელმწიფოთა სახით დაპირისპირებამ. კომუნიზმის კრახმა მრავალმხრივი და ღრმა იდეოლოგიური კვალი დატოვა, რომელიც დღესაც მსჯელობის საგანია. ერთ-ერთი პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერპრეტაციით, კომუნიზმის პოლიტიკური ასპარეზიდან გასვლის შემდეგ მსოფლიოში ერთადერთ სიცოცხლისუნარიან იდეოლოგიურ მოდელად დასავლური ყაიდის, კერძოდ, ამერიკული ლიბერალური დემოკრატია შემოგვრჩა. ამ შეხედულების ასახვაა ე. წ. "ისტორიის დასასრულის" თეზისი, რომელსაც მე-11 თავში გავაანალიზებთ. მსგავსმა შედეგებმა, რასაკვირველია, ძლიერი დარტყმა მიაყენა სოციალიზმს. რევოლუციური, განსაკუთრებით საბჭოური, მარქსისტულ-ლენინური სტილის სოციალიზმი გაცვეთილ ძალად იქცა როგორც განვითარებად სამყაროში, ისე პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც. დაზარალდა დემოკრატიული სოციალიზმიც; ზოგიერთის აზრით, ის დასამარების საფრთხის წინაშე დადგა. კერძოდ, ცენტრალური დაგეგმვის იდეის მარცხმა სახელმწიფოს "ზევიდან ქვევით" მართვის შედარებით მოკრძალებულ ფორმათა მიმართაც კი შეასუსტა რწმენა და დემოკრატი სოციალისტები იქამდე მიიყვანა, რომ მათ ბაზარი სიმდიდრის შექმნის ერთადერთ საიმედო საშუალებად აღიარეს. ამ ძვრებს დაწვრილებით მე-4 თავში განვიხილავთ.

ცივმა ომმა კვალი არა მხოლოდ სოციალისტურ იდეოლოგიას დაამჩნია. უნივერსალური ლიბერალიზმიც შორსაა გამარჯვებისაგან; კომუნიზმის კრახმა ახალი იდეოლოგიური ძალები წარმოშვა. მათგან უმთავრესი იდეოლოგიური მიმართულებებია ნაციონალიზმი, განსაკუთრებით ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელმაც, როგორც მოწინავე იდეოლოგიამ, მრავალ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში შეცვალა მარქსიზმ-ლენინიზმი; და რელიგიური ფუნდამენტალიზმი, რომელიც, თავის მხრივ, მრავალსახოვანია და სულ უფრო მეტი გავლენა აქვს განვითარებად სამყაროში. მეტიც, ზიანი მიადგა,

ზოგჯერ მნიშვნელოვანიც, იმ იდეოლოგიებსაც კი, რომელთათვისაც "სოციალიზმის გარდაცვალებას" სარგებელი უნდა მოეტანა, განსაკუთრებით – ლიბერალიზმსა და კონსერვატიზმს. მეოცე საუკუნეში ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმისათვის დამახასიათებელ ავტორიტეტსა და სიმწყობრეს, გარკვეულწილად, ის გარემოება განაპირობებდა, რომ ისინი სოციალისტური თუ კომუნისტური "მტრისადმი" დაპირისპირებულობის კონტექსტში განისაზღვრებოდნენ. ასე მაგალითად, მეოცე საუკუნის ბოლოს ახალი მემარჯვენე მოძრაობის გამოჩენა "შემპარავი (creeping) სოციალიზმისადმი" ზოგადი ანტიპათიისა და საბჭოთა კომუნიზმისადმი განსაკუთრებული მტრული დამოკიდებულების გამოხატულება იყო. ტრადიციული მტრის დამარცხება ან მისთვის ფრთების შეკვეცა იმის ნიშანია, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ლიბერალიზმიცა და კონსერვატიზმიც სულ უფრო დაკარგავს ფორმის მთლიანობას და დანაწევრდება.

2001 წლის 11 სექტემბერი, ნიუ იორკსა და ვაშინგტონზე შემაძრწუნებელი ტერორისტული თავდასხმების დღე, ფართოდ გაიაზრებოდა როგორც "დღე, როდესაც მსოფლიო შეიცვალა". მაგრამ მთლად ნათელი არ არის, როგორ შეიცვალა იგი; არც ის არის ნათელი, რა მნიშვნელობა აქვს ან შეიძლება ჰქონდეს ამას მთავარი იდეოლოგიებისათვის. გლობალური ტერორიზმის ტალღას, ეჭვს გარეშეა, უდიდესი საერთაშორისო და ნაციონალური შედეგები მოჰყვა. საერთაშორისო დონეზე ჯორჯ უ. ბუშის "ტერორიზმთან ომის" ეგიდით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკიდურესად შემტევი და, გარკვეული თვალსაზრისით, ცალმხრივი საგარეო პოლიტიკური კურსი აირჩია. ამის მაგალითებია თალიბანის რეჟიმის დამხობა ავღანეთში და ომი სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ერაყში. და მაინც, რთულია ასეთ ქმედებათა იდეოლოგიური შედეგების წინასწარ გათვლა. ერთი მხრივ, თუ "ტერორიზმთან ომი" შეძლებს შეზღუდოს ან აღმოფხვრას ანტიდასავლური რელიგიური ამხედრება და მოსპოს ისინი, ვინც ამ შემართებას მხარს უჭერენ, მაშინ მან ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები და ინსტიტუტები ხანგრძლივი დროით საყოველთაო შეიძლება გახადოს. მეორე მხრივ, სემუელ ჰანტინგტონის (Huntington, 1993) *ცივილიზაციათა შეჯახების* თეზისის თანახმად, მან შეიძლება კიდევ უფრო მწვავე ანტიამერიკული და ანტიდასავლური საპასუხო ტალღა წარმოშვას და ფუნდამენტალიზმი კიდევ უფრო გააძლიეროს. ნაციონალურ დონეზე გლობალური ტერორიზმი, საზოგადოდ, სახელმწიფოს პოზიციებს იცავდა, კონკრეტულად კი, მიმართული იყო იმისკენ, რომ სახელმწიფო ხელისუფლება მყარად დაეფუძნებინა მის უნარზე, რაც მოქალაქეთა დაცვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გამოიხატებოდა. ფილიპ ბობიტი კი თავის წიგნში *აქილევსის ფარი* (Philip Bobbit, *The Shield of Achilles*, 2002) ამბობს, რომ სახელმწიფო, არსებითად, "ომისმქმნელი ინსტიტუტია". რამდენადაც ტერორიზმის საფრთხე სამოქალაქო თავისუფლებებსა და ინდივიდუალურ უფლებებზე უფრო მაღლა წესრიგსა და სახელმწიფო უსაფრთხოებას აყენებს, ის კონსერვატიზმისკენ გადახრასა და ლიბერალურ შეხედულებათა ეროზიას შეიძლება დავუკავშიროთ.

## პოსტმოდერნი

პოლიტიკურ იდეოლოგიათა გაჩენა იმ პროცესებიდან იწყება, რომლებმაც თანამედროვე სამყაროს არსებობას დაუდო სათავე. მოდერნიზაციის პროცესი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მახასიათებლებით იზომება. სოციალური თვალსაზრისით, ის ბაზარზე ძლიერ ორიენტირებული კაპიტალისტური ეკონომიკების წარმოშობას უკავშირდებოდა, რომლებშიც მთავარი ძალა ახალი სოციალური კლასები – საშუალო ფენა და მუშათა კლასი იყო. პოლიტიკური თვალსაზრისით, იგი მონარქიული აბსოლუტიზმის კონსტიტუციური და, საჭიროებისამებრ, დემოკრატიული მმართველობით ჩანაცვლებას გულისხმობდა. კულტურული თვალსაზრისით, ეს განმანათლებლობის იდეებისა და შეხედულებების გავრცელებაში გამოიხატა, რომლებიც გონებისა და პროგრესისადმი ერთგულების პრინციპებზე დამყარებულ რელიგიის, პოლიტიკისა და, საზოგადოდ, სწავლის ტრადიციულ დოქტრინებს უპირისპირდებოდა. "ძირეული" პოლიტიკური იდეოლოგიები – ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და სოციალიზმი – რომელთაგანაც მათი საპირისპირო შემდგომი იდეოლოგიები წარმოიქმნა და განვითარდა, მოდერნიზაციის პროცესის საწინააღმდეგო რეაქციას ასახავდა.

თუ უმთავრესი პოლიტიკური იდეოლოგიები, თავისებურად, მოდერნიზაციის პროდუქტია, მათი როლისა და ბუნებისათვის შეუძლებელია უდიდესი მნიშვნელობა არ ჰქონდეს თანამედროვედან პოსტმოდერნულ საზოგადოებაზე გადასვლას. თუ მოდერნული საზოგადოებები ინდუსტრიალიზაციისა და კლასობრივი შეკავშირებულობის შედეგია, პოსტმოდერნული საზოგადოებები სულ უფრო დანაწევრებული და პლურალისტური "ინფორმაციული საზოგადოებებია", რომლებშიც ადამიანები მწარმოებლებიდან მომხმარებლებად გარდაიქმნებიან; ინდივიდუალიზმი კლასის, რელიგიისა და ეთნოსისადმი ერთგულებას ენაცვლება. პოსტმოდერნი, რომელსაც ზოგჯერ გვიან მოდერნს უწოდებენ, სწრაფად ავითარებს ახალ იდეოლოგიურ მოძრაობებს და, ამასთან, უკვე დამკვიდრებულ იდეოლოგიებსაც უცვლის სახეს. ეს უკანასკნელი ტენდენცია აისახა ისეთი საკითხების წინა პლანზე წამოწევაში, როგორიცაა ე. წ. "ცხოვრების სტილი" და "იდენტობა"; ორივე მათგანი პოსტმატერიალურ მგრძნობელობათა გამახვილებასა და იმ კლასობრივი უნარის დაქვეითებას უკავშირდება, რომელიც სოციალური იდენტობის გრძნობას წარმოშობს. ეს ტენდენცია XX ს-ის 60-იანი წლებიდან გამოიკვეთა ახალ სოციალურ მოძრაობებში, როგორებიცაა: მშვიდობის მოძრაობა, ქალთა მოძრაობა, ჰომოსექსუალთა მოძრაობა, მწვანეთა მოძრაობა, აგრეთვე ახალ იდეოლოგიურ ტრადიციებში, სახელდობრ, რადიკალურ ფემინიზმსა და ეკოლოგიზმში. ახალ იდეოლოგიურ აზროვნებას ბიძგი მისცა არსებულ იდეოლოგიურ ტრადიციებთან პოსტმოდერნიზმის (იხ. გვ. 373) იდეების შერწყმის მცდელობებმაც. ამან კი მრავალი "პოსტ-იზმი" წარმოშვა, მაგალითად, "პოსტლიბერალიზმი", "პოსტმარქსიზმი", "პოსტფემინიზმი". თითოეულს შესაბამის თავში განვიხილავთ. პოსტმოდერნიზმის პერსპექტივებზე – ჩაენაცვლოს ტრადიციულ იდეოლოგიურ აზროვნებას, მე-11 თავში ვისაუბრებთ.

## გლობალიზაცია

გლობალიზაცია არასაიმედო და არაპირდაპირი ცნებაა. მისი მთავარი თემა, გნებავთ, ტენდენცია კენიჩი ომეს (Ohmae, 1989) სიტყვებით, "უსაზღვრებო მსოფლიოს" წარმოშობაა; ეს ტენდენცია გულისხმობს, რომ ტრადიციული პოლიტიკური საზღვრები, რომლებიც ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საზღვრებს ემთხვევა, ამჟამად შეღწევადი ხდება. ამდენად, გლობალიზაცია სახეს უცვლის სოციალურ სივრცეს: ის ტერიტორიულ საკითხებს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან მუდმივად გაფართოებად კავშირებს "მსოფლიოს მომცველი" (transworld) ან "საზღვრების გადამლახავი" ბუნება გააჩნია. აი, რამდენიმე თვალნათლივი მაგალითი ამისა: ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის სირთულეს აღარ წარმოადგენს პროდუქციისა და ინვესტიციების გადაადგილება, ფინანსური ბაზრები თითქმის მომენტალურად რეაგირებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მომხდარ ეკონომიკურ ცვლილებებზე, წარმოიშვა ე. წ. გლობალური საქონელი, როგორიცაა: მთელ მსოფლიოში გავრცელებული კოკა-კოლა, მაკდონალდსის ბიფბურგერები, ნაიკის სპორტული ფეხსაცმელი თუ სტარბუკსის ყავის სახლები.

გლობალიზაცია პოლიტიკურ იდეოლოგიებზე სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს. უპირველესად, დიდია მისი გავლენა ნაციონალიზმსა და სხვა იდეოლოგიურ პროექტებზე, რომელთა ბალავარს ერი წარმოადგენს. მაგალითად, ეროვნულ თვითგამორკვევასთან დაკავშირებული პოლიტიკური ნაციონალიზმი შესაძლოა უადგილო აღმოჩნდეს. სამყაროში, სადაც ეროვნული სახელმწიფოები "პოსტსუვერენულ" პირობებში ფუნქციონირებენ, მეორე მხრივ, კულტურული, ეთნიკური და რელიგიური ნაციონალიზმის ფორმები შეიძლება გაძლიერდეს კიდეც იმ ფაქტორის ზეგავლენით, რომ სახელმწიფო კარგავს უნარს, დანერგოს პოლიტიკური და სამოქალაქო ლოიალობა. თანამედროვე ლიბერალიზმსა და სოციალურ დემოკრატიას საფრთხის წინაშე აყენებს ისეთი ნაციონალური ეკონომიკური სტრატეგიების ცხოველუნარიანობის შესუსტება, როგორიცაა, მაგალითად, კეინზისეული მოთხოვნის მენეჯმენტი, კონსერვატიზმს კი ტრადიციისა და ეროვნული იდენტობის შესუსტებით გამოხატულ გლობალიზაციის ტენდენციასთან უხდება ჭიდილი. მეორეც, გლობალიზაცია სულაც არ არის ნეიტრალური იდეოლოგიური ძალა. შეიძლება ითქვას, ის მჭიდრო კავშირშია ნეოლიბერალიზმთან, რადგან სახელმწიფოს ხარჯზე ბაზრის გაძლიერების მომხრეა. მესამეც, გლობალიზაციამ რიგი ოპოზიციური ძალა წარმოშვა. მან ხელი შეუწყო რელიგიური ფუნდამენტალიზმის გაძლიერებას განვითარებად სამყაროში, სადაც გლობალიზაციას ხშირად განიხილავენ როგორც დასავლური, უფრო კონკრეტულად – ამერიკული იმპერიალიზმის ფორმას; და ანტიგლობალიზაციას, ანუ ანტიკაპიტალისტურ მოძრაობას განვითარებად სამყაროში, რომლის სათავეც, სხვადასხვა სახით, სოციალისტური, ანარქისტული, ფემინისტური და ეკოლოგისტური იდეებია. გლობალიზაცია, როგორც იდეოლოგია, მე-11 თავშია განხილული.

## რეკომენდებული ლიტერატურა

Eagleton, T., *Ideology: An Introduction* (London and New York, 1991). წარმოდგენილია იდეოლოგიის განსხვავებული დეფინიციები, ამომწურავადაა განხილული იდეები მარქსიზმის მთავარი მოაზროვნეებით დაწყებული, მრავალი პოსტსტრუქტურალისტის ჩათვლით.

Freeden, M., *Ideologies and Political Theory: A Conceptual Approach* (Oxford: Clarendon Press, 1996). განხილულია უმთავრესი იდეოლოგიები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მათ კონცეპტუალურ აგებულებას.

*Journal of Political Ideologies* (Abingdon, UK and Cambridge, Mass., USA: Carfax Publishing). ჟურნალი გამოდის 1996 წლიდან, მასში მოცემულია პოლიტიკური იდეოლოგიის ბუნების ანალიზი და ცალკეულ იდეოლოგიურ ტრადიციათა განხილვა; ვიწრო-სპეციალურია, მაგრამ ამავდროულად მასშტაბური და ავტორიტეტული.

McLellan, D., *Ideology* (Milton Keynes: Open University Press, 2nd edn 1995). გვთავაზობს იდეოლოგიის ძნელადმოსახელთებელი ცნების ნათელ და მოკლე, ამავდროულად ამომწურავ განხილვას.

Schwartzmantel, J. *The Age of Ideology: Political Ideologies from the American Revolution to Post-Modern Times* (Basingstoke: Macmillan, 1998). მრავლისმომცველი ანალიზია იმისა, როგორ პასუხობს უდიდესი იდეოლოგიური ტრადიციები პოსტმოდერნული საზოგადოების გამოწვევას.

Seliger, M., *Ideology and Politics* (London: Allen & Unwin, 1976). იდეოლოგიის კარგად გააზრებული შეფასება, ზოგიერთის აზრით – ამ საკითხის კლასიკური ანალიზი.

Thompson, J. B., *Studies in the Theory of Ideology* (Cambridge: Polity Press, 1984). კარგი შესავალი დისკუსიისათვის იდეოლოგიის ბუნებისა და მნიშვნელობის შესახებ.

თავი 2

# ლიბერალიზმი

*წარმოშობა და განვითარება*
*ინდივიდის უზენაესობა – მთავარი თემები*
*ლიბერალიზმი, მმართველობა და დემოკრატია*
*კლასიკური ლიბერალიზმი*
*თანამედროვე ლიბერალიზმი*
*ლიბერალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში*

## წარმოშობა და განვითარება

ტერმინს "ლიბერალური" მეთოთხმეტე საუკუნიდან მოყოლებული ხმარობენ, თუმცა მას ამ ხნის განმავლობაში უამრავი განსხვავებული მნიშვნელობა მიეწერებოდა. ლათინური სიტყვა *ლიბერ* თავისუფალ ადამიანთა კლასს აღნიშნავდა, ანუ ადამიანებს, რომლებიც არც ყმები იყვნენ და არც მონები. ეს სიტყვა უხვსაც ნიშნავდა – საჭმელ-სასმელის "უხვ" მოხმარებას; სოციალურ მიმართებაში კი სიწრფელეს ან მიუკერძოებლობას გულისხმობდა. მას ფართოდ უკავშირებდნენ თავისუფლებისა და არჩევანის იდეებსაც. პოლიტიკურ დატვირთვას ტერმინი "ლიბერალიზმი" გაცილებით გვიან იძენს – ამ მნიშვნელობით პირველად ის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1812 წელს, ესპანეთში გამოიყენეს. უკვე XIX ს-ის 40-იან წლებში ამ ტერმინით მთელ ევროპაში ფართოდ აღინიშნებოდა პოლიტიკურ იდეათა განსაკუთრებული ერთობლიობა. საყურადღებოა, რომ გაერთიანებულ სამეფოში მის დამკვიდრებას საკმაო დრო დასჭირდა: მიუხედავად იმისა, რომ ვიგები (Whigs) თავს ლიბერალებს XIX ს-ის 30-იანი წლებიდან უწოდებდნენ, პირველი გამოკვეთილად ლიბერალური მთავრობა მხოლოდ 1868 წელს ჩამოყალიბდა, როდესაც ქვეყნის სათავეში გლედსტოუნი მოვიდა.

მართალია, როგორც ერთიან პოლიტიკურ მრწამსს, ლიბერალიზმს მეცხრამეტე საუკუნემდე არ უარსებია, მაგრამ ის იმ იდეებსა და თეორიებზე განვითარდა, რომლებიც მთელი სამასი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა. ლიბერალური იდეები ევროპაში ფეოდალიზმის რღვევისა და მის ადგილზე კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების შედეგია. ლიბერალიზმი ფართოდ ასახავდა განვითარებადი საშუალო ფენის მისწრაფებებს, რომლის ინტერესები აბსოლუტურ მონარქთა და მიწათმფლობელთა ძალაუფლებას უპირისპირდებოდა. ლიბერალური იდეები რადიკალური

იყო, მიმართული ძირეული რეფორმისა და ზოგჯერ რევოლუციური ცვლილებისკენაც კი. მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისის რევოლუციასაც და მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციებსაც გამოკვეთილად ლიბერალური ნიშნები ჰქონდა, თუმცა სიტყვა "ლიბერალური" იმ ხანებში პოლიტიკური გაგებით არ გამოიყენებოდა. ლიბერალები უპირისპირდებოდნენ მონარქიის აბსოლუტურ ძალაუფლებას, რომელიც თითქოსდა "მეფეთა ღვთიური უფლების" დოქტრინაზე იყო დამყარებული. აბსოლუტიზმის სანაცვლოდ ისინი კონსტიტუციური, მოგვიანებით კი წარმომადგენლობითი მთავრობის იდეას ემხრობოდნენ. ლიბერალები მიწათმფლობელთა პოლიტიკური და ეკონომიკური პრივილეგიებისა და ფეოდალური სისტემის უსამართლობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, რომელშიც სოციალურ მდგომარეობას "დაბადების ფაქტორი" განსაზღვრავდა. ისინი მხარს უჭერდნენ რელიგიაში სინდისის თავისუფლებისათვის მოძრაობას და არც ეკლესიის გაბატონებულ გავლენას იწონებდნენ.

მეცხრამეტე საუკუნე მრავალი კუთხით მართლაც ლიბერალური იყო. დასავლეთის ქვეყნებში ინდუსტრიის განვითარებას თან სდევდა ლიბერალურ იდეათა გამარჯვება. ლიბერალები ემხრობოდნენ მთავრობის ჩარევისაგან "თავისუფალ" ინდუსტრიულ და საბაზრო ეკონომიკურ წყობას, რომელიც ბიზნესს საშუალებას მისცემდა მოგებაზე ემუშავა, ხალხებს კი თავისუფალ ვაჭრობაში შეუწყობდა ხელს. ინდუსტრიული კაპიტალიზმის ასეთი სისტემა პირველად გაერთიანებულ სამეფოში ვითარდება მეთვრამეტე საუკუნის შუახანებში, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისთვის კი ის იქ უკვე კარგადაც იკიდებს ფეხს. გაერთიანებული სამეფოს შემდეგ ეს სისტემა ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში გავრცელდა, თავდაპირველად დასავლეთ ევროპაში, შემდგომ კი – თანდათანობით აღმოსავლეთ ევროპაშიც. მეოცე საუკუნიდან აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნებიც ინდუსტრიულ კაპიტალიზმზე გადადიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება, არსებითად, დასავლურ ყაიდაზე წარიმართა. და მაინც, განვითარებადი სამყაროს სახელმწიფოები ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდნენ ლიბერალური კაპიტალიზმის ცდუნებებს, რადგან მათ პოლიტიკურ კულტურებში ინდივიდზე მეტად თემი ფასობდა. ასეთ ქვეყნებში სოციალიზმისა და ნაციონალიზმის განვითარებას უფრო ნოყიერი ნიადაგი ექმნებოდა, ვიდრე დასავლურ ლიბერალიზმს. იქ კი, სადაც წარმატებით დამკვიდრდა კაპიტალიზმი, ვთქვათ იაპონიაში, მან უფრო კოლექტიური ბუნება გამოავლინა, ვიდრე ინდივიდუალისტური. იაპონურ მრეწველობას, მაგალითად, უფრო მეტად კოლექტიური ლოიალობისა და ვალდებულების ტრადიციული იდეები წარმართავს, ვიდრე პირადი ინტერესი.

დასავლეთის პოლიტიკური სისტემები ასევე ლიბერალური იდეებისა და ღირებულებების თარგზეა გამოჭრილი, იმდენად, რომ ისინი საზოგადოდ კლასიფიცირდება როგორც ლიბერალური დემოკრატიები. ეს სისტემები კონსტიტუციურია, რადგან ხელისუფლების ძალაუფლების შეზღუდვისა და სამოქალაქო თავისუფლებების დაცვისაკენაა მიმართული და წარმომადგენლობითია იმ გაგებით, რომ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება

თავისუფალი არჩევნების გზით ხდება. ლიბერალური დემოკრატია, რომელიც თავდაპირველად დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში განვითარდა, განვითარებადი სამყაროს ცალკეულ ნაწილებში, 1989-91 წლების რევოლუციების შემდეგ კი უკვე აღმოსავლეთ ევროპაშიც იმკვიდრებს ადგილს. აფრიკისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანას დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე მემკვიდრეობით ერგო დასავლური ყაიდის ლიბერალური რეჟიმები, ოღონდ მათ ყველგან ერთნაირი წარმატებით ვერ მოიკიდეს ფეხი. დღემდე მსოფლიოში უდიდეს ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოდ ინდოეთი რჩება. სხვაგან კი, სამრეწველო კაპიტალიზმის არარსებობისა თუ ადგილობრივი ტრადიციული პოლიტიკური კულტურის თავისებური ბუნების გამო, ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემები რიგ შემთხვევაში ინგრეოდა. განსხვავებული ვითარება იყო დასავლეთის სახელმწიფოთა უმეტესობაში, სადაც პოლიტიკური კულტურები ლიბერალურ-კაპიტალისტურ ღირებულებათა საერთო ბაზაზე აღმოცენდა. ისეთი იდეები, როგორიცაა: სიტყვის თავისუფლება, რელიგიური რწმენის თავისუფლება და საკუთრების ფლობის უფლება, ყველა ლიბერალიზმიდან მოდის და იმდენად ღრმადაა ფესვგადგმული დასავლურ საზოგადოებებში, რომ ღიად იშვიათად თუ გაილაშქრებს ვინმე მათ წინააღმდეგ ან თუნდაც ეჭვის თვალით შეხედავს.

დღეისათვის ლიბერალიზმი ინდუსტრიულ დასავლეთში გაბატონებულ იდეოლოგიად იქცა. ზოგიერთი პოლიტიკური მოაზროვნე კიდეც უარყოფს აუცილებელ და გარდაუვალ კავშირს ლიბერალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. ასეთ აზრს ლიბერალიზმის კრიტიკოსებიც გამოთქვამენ და მისი მომხრეებიც. მაგალითად, მარქსისტები მიიჩნევდნენ, რომ ლიბერალური იდეები, უბრალოდ, კაპიტალისტური საზოგადოების შიგნით მესაკუთრეთა "მმართველი კლასის" ეკონომიკურ ინტერესებს ასახავს; ლიბერალიზმს ისინი "ბურჟუაზიული იდეოლოგიის" კლასიკურ მაგალითად თვლიან. მეორე მხრივ, ისეთი პოლიტიკური მოაზროვნენი, როგორც ფრიდრიხ ჰაიეკია (Hayek, იხ. გვ. 107), ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობა – საკუთრების ფლობისა და განკარგვის უფლება – პოლიტიკური თავისუფლების უმთავრესი საწინდარია. შესაბამისად, ჰაიეკის მტკიცებით, ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემისა და სამოქალაქო თავისუფლებათა პატივისცემის განვითარება მხოლოდ კაპიტალისტური ეკონომიკური წყობის პირობებშია შესაძლებელი.

მეცხრამეტე საუკუნიდან განვითარებულმა ისტორიულმა მოვლენებმა ლიბერალური იდეოლოგიის ბუნებასა და არსს აშკარა კვალი დაამჩნია. ეკონომიკასა და პოლიტიკაში "მზარდი საშუალო ფენის" დამკვიდრებასთან ერთად იცვლებოდა ლიბერალიზმის ბუნებაც. ყოველი წარმატების შემდეგ ლიბერალიზმის რადიკალური, ზოგჯერ კი რევოლუციური შემართება სულ უფრო მქრქალი ხდებოდა. ასე რომ, ლიბერალიზმი სულ უფრო კონსერვატიული ხდებოდა, სულ უფრო ნაკლებ იხრებოდა ცვლილებისა და რეფორმისაკენ და სულ უფრო მეტად უჭერდა მხარს არსებულ – ძირითადად ლიბერალურ – ინსტიტუტთა შენარჩუნებას. იცვლებოდა თვით ლიბერალური იდეებიც. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან ინდუსტრიულმა პროგ-

რესმა ლიბერალებს უბიძგა, ეჭვი შეეტანათ და, გარკვეულწილად, გადაესინჯათ ადრეული პერიოდის ლიბერალიზმის იდეები.

ადრინდელი ლიბერალებისაგან განსხვავებით, რომლებიც მთავრობისაგან მოითხოვდნენ, რაც შეიძლება ნაკლებ ჩარეულიყო მოქალაქეთა ცხოვრებაში, თანამედროვე ლიბერალებმა აზრი შეიცვალეს და თვლიან, რომ მთავრობას უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა ისეთ სოციალურ მომსახურებაზე, როგორიცაა: ჯანდაცვა, ბინათმონწყობა, პენსიები, განათლება; ასევე ეკონომიკის მართვაზე, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მის რეგულირებაზე. ყოველივე ამან ლიბერალურ აზროვნებაში ორი ტრადიცია გაინავითარა: ე. წ. კლასიკური ლიბერალიზმი და თანამედროვე ლიბერალიზმი. ამიტომაა, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი ლიბერალიზმს არათანმიმდევრულობაში ამხელს და ამტკიცებს, რომ ის აერთიანებს წინააღმდეგობრივ შეხედულებებს, სახელდობრ, სახელმწიფოს სასურველი როლის შესახებ. მეოცე საუკუნის მიწურულიდან თავისსავე მშობლიურ დასავლეთში ლიბერალიზმი მზარდი მორალური და კულტურული მრავალფეროვნებიდან წარმომდგარ გამოწვევათა პირისპირ აღმოჩნდა. პრობლემებს ქმნის რელიგიური ფუნდამენტალიზმისა და სხვა პოლიტიკური დოქტრინების აღზევებაც, რაც წინააღმდეგობაშია ძირეულ ლიბერალურ პრინციპებთან. ამის გამო ლიბერალები ხშირად იცვლიდნენ იდეებსა და ღირებულებებს; ზოგჯერ დაეჭვებულან კიდეც: ესადაგება კი ლიბერალიზმი ყველა ხალხსა და საზოგადოებას?

## ინდივიდის უზენაესობა – მთავარი თემები

ლიბერალიზმი, გარკვეული გაგებით, ინდუსტრიულად განვითარებული დასავლეთის იდეოლოგიაა. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას ისე აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი ლიბერალური იდეები, რომ მათი გავლენის ამოცნობა ადვილი არაა; ისე ჩანს, ლიბერალიზმი, საზოგადოდ, "დასავლური ცივილიზაციისაგან" განუსხვავებელია. მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში უნივერსალური გონისადმი განმანათლებლობის რწმენის გავლენით ლიბერალი მოაზროვნეები ლიბერალიზმის აშკარად ფუძემდებლური ფორმისაკენ იხრებოდნენ; ამ უკანასკნელს უნდა დაედგინა ძირეული ღირებულებები და მოეცა გამორჩეული ხედვა ადამიანის აღზევებისა ან ზეობისა, რაც, საზოგადოდ, პირად ავტონომიასთანაა დაკავშირებული. ლიბერალიზმის ეს ფორმა აშკარად უნივერსალისტური იყო, რადგან ადამიანთა მოდგმის ისტორიაში ლიბერალური პრინციპებისა და ინსტიტუტების თანდათანობით, მაგრამ გარდაუვალ გამარჯვებას გულისხმობდა. ერთი სიტყვით, პროგრესი მკაცრად ლიბერალურ კონტექსტში მოიაზრებოდა.

მაგრამ მეოცე საუკუნეში უკვე მოდად იქცა ლიბერალიზმის მორალურად ნეიტრალურ იდეოლოგიად წარმოჩენა. ეს აისახა შეხედულებაში, რომლის თანახმადაც, ლიბერალიზმი "მართებულსა" და "კარგს" შორის უპირატესობას პირველს ანიჭებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიბერა-

ლიზმი ცდილობს, ისეთი პირობები დაამყაროს, როდესაც ადამიანები და ჯგუფები თვითონ განსაზღვრავენ, რა არის კარგი ცხოვრება და შეძლებენ სწორედ ასეთი ცხოვრებით იცხოვრონ; იგი არ ადგენს და არც ცდილობს კონკრეტულად განსაზღვროს, რა არის კარგი. ამ გადასახედიდან ლიბერალიზმი უბრალოდ იდეოლოგია არ არის, ის "მეტაიდეოლოგიაა", ანუ წესთა ერთობაა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია პოლიტიკური და იდეოლოგიური დებატები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ლიბერალიზმი უბრალოდ "საკუთარი საქმის კეთების" ფილოსოფია იყოს. ლიბერალიზმი, უდავოდ, ღიაობას, კამათსა და თვითგამორკვევას უჭერს მხარს; იგი მაღალი ზნეობრივი ნდობითაც ხასიათდება. ლიბერალიზმის მორალური და იდეოლოგიური პოზიცია განსაზღვრული ღირებულებებისა და შეხედულებებისადმი ერთგულების განსახიერებაა. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ინდივიდი
- თავისუფლება
- გონება
- სამართლიანობა
- შემწყნარებლობა და მრავალფეროვნება.

## ინდივიდი

თანამედროვე სამყაროში ინდივიდის ცნება ისე მყარად დამკვიდრდა, რომ მისი პოლიტიკური დატვირთვა ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. ფეოდალურ სამყაროში სათანადოდ არ ესმოდათ, რომ ინდივიდს საკუთარი ინტერესები ან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იდენტობა ჰქონდა. მაშინ ადამიანებს იმ სოციალური ჯგუფების წევრებად თვლიდნენ, რომლებსაც ისინი ეკუთვნოდნენ: ოჯახების, სოფლის, ადგილობრივი თემის ან სოციალური კლასისა. მათ ყოფასა და იდენტობას მნიშვნელოვანწილად იმ ჯგუფის ბუნება განსაზღვრავდა, რომელიც თავისი განვითარების გზაზე თაობიდან თაობამდე თითქმის არ იცვლებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ფეოდალიზმი ბაზარზე ძლიერ ორიენტირებულმა საზოგადოებებმა შეცვალა, ინდივიდების წინაშე უფრო ფართო არჩევანი და სოციალური პერსპექტივები გადაიშალა. მათ, ცხოვრებაში შესაძლოა პირველად, მიეცათ საშუალება, დამოუკიდებლად ეაზროვნათ და საკუთარი თავი პიროვნული კუთხით შეეფასებინათ. მაგალითად, ყმა, რომლის ოჯახმაც მთელი ცხოვრება ერთ ნაგლეჯ მიწაზე გაატარა, "თავისუფალი ადამიანი" გახდა; მას უკვე ჰქონდა შესაძლებლობა, აერჩია, ვისთვის ემუშავა, ან სულაც მიწის მიტოვება გადაეწყვიტა და მზარდ ქალაქებში ეძებნა სამუშაო.

ფეოდალური ცხოვრების საფუძველთა ნგრევამ ახალი ინტელექტუალური კლიმატი მოიტანა. ტრადიციული რელიგიური აზროვნება თანდათანობით რაციონალურმა და მეცნიერულმა ხედვამ შეცვალა. შედეგად საზოგადოების შეფასებას ინდივიდის თვალსაწიერი დაედო. ინდივიდებში უკვე პიროვნულ და მათთვის დამახასიათებელ, ამასთან, განსაკუთრებული ღირებულების მქონე თვისებებს ხედავდნენ. ამას მოწმობდა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ბუნებრივ უფლებათა თეორიების განვითარება. ამ

თეორიათა თანახმად, ინდივიდები აღჭურვილნი იყვნენ ღვთივმიმადლებული ბუნებრივი უფლებებით, რომლებიც ჯონ ლოკმა (Locke, იხ. გვ. 43) ასე განსაზღვრა: "სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება". ადამიანთა ღირსებისა და თანაბარი ღირებულების ასეთსავე შეფასებას გვთავაზობს გერმანელი ფილოსოფოსი იმანუილ კანტი (Kant, 1724-1804), რომლის კონცეფციის თანახმად, ინდივიდი " თვითმიზანია" და არა სხვათა მიზნის მიღწევის საშუალება. უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდის როლის ხაზგასმაში ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი იგულისხმება. ერთი, რომ ყურადღება ეთმობა თითოეული ადამიანის უნიკალობას: ინდივიდებს, უპირველეს ყოვლისა, სპეციფიკური შინაგანი თვისებები და მახასიათებლები განსაზღვრავს. მეორეც, ადამიანებს მაინც ერთი სტატუსი აქვთ იმ თვალსაზრისით, რომ ყველანი, უწინარეს ყოვლისა, ინდივიდები არიან. მართლაც, ლიბერალური იდეოლოგიის მრავალი წინააღმდეგობის სათავე უნიკალობისა და თანასწორობის ეს მოპაექრე იდეები შეიძლება იყოს.

ინდივიდის უზენაესობის რწმენა ლიბერალური იდეოლოგიის დამახასიათებელი მოტივია, მაგრამ მან ლიბერალურ აზროვნებაზე არაერთგვაროვანი კვალი დატოვა. მისი გავლენით ზოგიერთი ლიბერალი საზოგადოებას უბრალოდ ინდივიდთა ნაკრებად განიხილავდა, რომლის თითოეული წევრი მხოლოდ საკუთარი საჭიროებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობს. ასეთ ხედვას ატომისტური ხედვა ეწოდა, რადგან ის ინდივიდებს საზოგადოებაში "განმხოლოებულ ატომებად" მოიაზრებს. ამ შეხედულებამ მართლაც შეიძლება მიგვიყვანოს რწმენამდე, რომ "საზოგადოება" თავისთავად არ არსებობს, რომ ის, უბრალოდ, თვითკმარი ინდივიდების ნაკრებია. ასეთი უკიდურესი ინდივიდუალიზმი იმ ვარაუდიდან მოდის, რომ ინდივიდი თაეკერძაა, ანგარებიანი და ერთობ თავდაჯერებული. ჩ. ბ. მაქფერსონი (Macpherson, 1973) ადრეულ ლიბერალიზმს ახასიათებს როგორც "მესაკუთრულ ინდივიდუალიზმს", რადგან, მისი აზრით, ინდივიდი "ფლობს საკუთარ პიროვნებას ან უნარებს; ამიტომ მას საზოგადოებისა არაფერი მართებს". მოგვიანებით ლიბერალები ადამიანის ბუნების შეფასე-

---

**ინდივიდუალიზმი**

ინდივიდუალიზმი არის რწმენა ინდივიდის უზენაესობისა ნებისმიერი სოციალური ჯგუფის ან კოლექტივის წინაშე. მისი ერთ-ერთი სახის, *მეთოდოლოგიური* ინდივიდუალიზმის მიხედვით, ინდივიდის ცნება ნებისმიერი პოლიტიკური თეორიის ან სოციალური განსაზღვრებისათვის ამოსავალი უნდა იყოს; საზოგადოების შესახებ გაკეთებული ნებისმიერი შეფასება იმ ინდივიდებს უნდა უკავშირდებოდეს, რომლებიც მას შეადგენენ. მეორე მხრივ, *ეთიკური* ინდივიდუალიზმი გულისხმობს საზოგადოების ისე მოწყობას, რომ სახეირო იყოს ინდივიდისათვის; ამასთან, მორალური თვალსაზრისით უპირატესობა ინდივიდის უფლებებს, საჭიროებებსა და ინტერესებს დაეთმოს. კლასიკური ლიბერალები და ახალი მემარჯვენეები *ეგოისტურ* ინდივიდუალიზმს ემხრობიან, რომელიც ყურადღებას ამახვილებს პირად ინტერესსა და თავდაჯერებულობაზე. ამათგან განსხვავებით, თანამედროვე ლიბერალებმა ინდივიდუალიზმის *განვითარებითი* ფორმა წამოაყენეს, რომელიც ინტერესის დაკმაყოფილების სწრაფვაზე მაღლა ადამიანურ წარმატებულობას აყენებს.

ბისას უფრო ოპტიმისტურნი გახდნენ. მათთვის მისაღები გახდა აზრი, რომ ინდივიდებს ერთმანეთის მიმართ სოციალური პასუხისმგებლობა გააჩნიათ, განსაკუთრებით იმათ მიმართ, ვისაც თავის მიხედვა არ შეუძლია. როგორადაც უნდა მიიჩნევდნენ ადამიანურ ბუნებას – ეგოისტურად თუ ალტრუისტულად, ლიბერალებს აერთიანებთ სურვილი, შექმნან საზოგადოება, რომელშიც თითოეულ ადამიანს ექნება საშუალება, სრულად და წარმატებით განავითაროს თავისი შესაძლებლობები.

## თავისუფლება

ინდივიდის უზენაესობის რწმენას ბუნებრივად მივყავართ ინდივიდის დამოუკიდებლობის აღიარებამდე. ინდივიდის თავისუფლება (თავისუფლება და დამოუკიდებლობა ურთიერთმონაცვლე ცნებებია) ლიბერალთათვის უზენაესი პოლიტიკური ღირებულება და ლიბერალურ იდეოლოგიაში, მრავალი გაგებით, გამაერთიანებელი პრინციპია. ადრეული პერიოდის ლიბერალთათვის თავისუფლება ბუნებრივი უფლება იყო; ის იყო უმთავრესი აუცილებლობა ჭეშმარიტად ადამიანური არსებობისათვის. მისი წყალობით, არჩევანის გამოყენების გზით, ადამიანებს შეეძლოთ ეცხოვრათ საკუთარი სურვილების შესაბამისად. შეეძლოთ აერჩიათ საცხოვრებელი ადგილი, ვისთვის ემუშავათ, რა ეყიდათ და ა. შ. მოგვიანებით ლიბერალებმა თავისუფლებაში დაინახეს ერთადერთი პირობა, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევდა, განევითარებინა ცოდნა და ნიჭი და სრულად განეხორციელებინა თავისი პოტენციალი.

და მაინც, ლიბერალები არ აღიარებენ, რომ ინდივიდი აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს. შეუზღუდავი თავისუფლება შეიძლება გადაიქცეს "ნებართვად", სხვათა შეურაცხყოფის უფლებად. თავის ნაშრომში *თავისუფლების შესახებ* ([1859] 1972, გვ. 73) ჯონ სტიუარტ მილი (Mill, იხ. გვ. 35) ასეთ აზრს ავითარებს: "ერთადერთი მიზანი, რომელიც ამართლებს ძალის გამოყენებას ცივილიზებული საზოგადოების რომელიმე წევრის მიმართ ამ უკანასკნელის სურვილის საწინააღმდეგოდ, სხვებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებაა". მილის პოზიცია ლიბერტარულია (იხ. გვ. 103); იგი დასაშვებად თვლის ინდივიდის თავისუფლების მხოლოდ უმცირეს შეზღუდვებს და ისიც "სხვათათვის ზიანის მიყენების" თავიდან აცილების მიზნით. იგი მკვეთრად განასხვავებს საკუთარი თავისადმი მიმართულ ქმედებებს, როცა ინდივიდი აბსოლუტურად თავისუფალია სხვებისადმი მიმართული ქმედებებისაგან, რომელთაც სხვათა თავისუფლების შეზღუდვა ან სხვათათვის ზიანის მიყენება შეუძლია. მილი არ ეთანხმება ინდივიდის რაიმენაირ შეზღუდვას, რომელიც მას საკუთარი თავის მიმართ მიყენებული ფიზიკური თუ მორალური ზიანისაგან იცავს. ასეთი ხედვის თანახმად, მაგალითად, კანონები, რომლებიც მძღოლს დამცავი ქამრის, მოტოციკლისტს კი ჩაფხუტის ხმარებას ავალდებულებს, ისევე მიუღებელია, როგორც ნებისმიერი ცენზურა, რომელიც ინდივიდს უზღუდავს უფლებას, წაიკითხოს ან მოუსმინოს იმას, რაც მას სურს. ამ პოზიციიდან გამომდინარე, თავისუფლების დოქტრინის რადიკალურ მომხრეებს შეუძლიათ დაიცვან ადამიანის უფლე-

გაერთიანებული სამეფოს ფილოსოფოსი, ეკონომისტი და პოლიტიკოსი. გაძლიერებული და მკაცრი სწავლების რეჟიმმა, რომელიც მას მამამ, უტილიტარიზმის თეორეტიკოსმა ჯეიმზ მილმა განუწესა, 20 წლის ასაკში მილის ფსიქიკური კოლაფსი გამოიწვია. შემდგომში მან დააარსა და ხელმძღვანელობდა *London Review*-ს, იყო ასევე ინგლისის პარლამენტის წევრი 1865-1881 წლებში.

მილის მრავალმხრივმა და კომპლექსურმა შრომებმა ლიბერალიზმის განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, რადგან მათ ხიდი გადეს კლასიკურ და თანამედროვე თეორიებს შორის. კოლექტივისტური ტენდენციებისა და ტრადიციებისადმი მილის წინააღმდეგობა მეცხრამეტე საუკუნის პრინციპებიდან მოდის. სამაგიეროდ, ინდივიდუალური ცხოვრების სიკეთის – ინდივიდუალობის აუცილებლობის – ხაზგასმით, ქალთა საარჩევნო უფლების აღიარებით, მოგვიანებით კი მუშათა კოოპერატივებისადმი თანადგომით, ის მეოცე საუკუნის მოვლენებს ეხმიანებოდა. მილის შრომათაგან აღსანიშნავია: *თავისუფლების შესახებ* (*On Liberty*, 1859), *როგორი უნდა იყოს წარმომადგენლობითი მთავრობა* (*Considerations on Representative Government*, 1861) და *ქალთა დაქვემდებარება* (*The Subjection of Women*, 1869).

ბა, გამოიყენონ ნარკოტიკები, მაგალითად, ჰეროინი და კოკაინი. ინდივიდს, რა თქმა უნდა, უფლება აქვს, თავად განკარგოს საკუთარი სხეული და სული, მაგრამ თითოეულ ადამიანს უნდა ესმოდეს და პატივს სცემდეს სხვა ადამიანის ასეთსავე უფლებას, იყოს თავისუფალი. ეს აზრია გამოხატული თანამედროვე ლიბერალის, ჯონ როულსის (Rawls, იხ. გვ. 70) პრინციპში, რომლის თანახმადაც, ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს მაქსიმალური თავისუფლება, რომელიც არ შებღალავს სხვა დანარჩენთა ასეთსავე უფლებას, იყვნენ თავისუფალნი.

მართალია, ლიბერალები თანხმდებიან თავისუფლების ღირებულების თაობაზე, მაგრამ ისინი ყოველთვის არ არიან ერთიანნი საკითხში, რას უნდა ნიშნავდეს ინდივიდისთვის "თავისუფლება". გაერთიანებული სამეფოს იდეოლოგი და იდეათა ისტორიის მკვლევარი ისაია ბერლინი (1909-97) თავის წიგნში *თავისუფლების ორი კონცეფცია* (Isaiah Berlin, [1958] 1969) განარჩევს თავისუფლების "ნეგატიურ" და " პოზიტიურ " თეორიებს. ადრეულ და კლასიკურ ლიბერალებს სწამდათ, რომ თავისუფლება ნიშნავდა თითოეული ადამიანის დამოუკიდებლობას, მის ცხოვრებაში ჩაურევლობასა და უფლებას, ემოქმედა ისე, როგორც სურდა. თავისუფლების ეს კონცეფცია "ნეგატიურია", რადგან ინდივიდის გარეგან შეზღუდვებს ან იძულებით ზომებს არ ითვალისწინებს. თანამედროვე ლიბერალები თავისუფლების უფრო "პოზიტიურ" კონცეფციას ემხრობიან, რომელიც ბერლინმა განსაზღვრა როგორც საკუთარი თავის ბატონ-პატრონად ყოფნის, ავტონომიურობის უნარი. საკუთარი თავის ბატონ-პატრონობა ნიშნავს, რომ ინდივიდს ცოდნის, ნიჭის, გაგების უნარის გაფართოება და მიზნების ხორცშესხმა უნდა შეეძლოს. ჯონ სტიუარტ მილის აზრით, მაგალითად, თავისუფლება გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ გარეშე შეზღუდვებისაგან თავისუფლებას: ის გულისხმობს ადამიანის უნარს, განავითაროს და ბოლომდე

გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები. თავისუფლების ამ მოპაექრე ცნებებმა არა მარტო ხელი შეუწყო ლიბერალთა შორის აკადემიურ კამათს, არამედ განაპირობა კიდეც ლიბერალურ იდეოლოგიაში სრულიად გან-

## თავისუფლების შესახებ

**ლიბერალები** უპირატესობას თავისუფლებას ანიჭებენ, როგორც უზენაეს პიროვნულ ღირებულებას. კლასიკური ლიბერალები ნეგატიურ თავისუფლებას უჭერენ მხარს, რომელიც მათ ესმით როგორც შეზღუდვების არარსებობა ან არჩევანის თავისუფლება, მაშინ როცა თანამედროვე ლიბერალები პოზიტიურ თავისუფლებას ემხრობიან პიროვნული განვითარებისა და ადამიანური წარმატებულობის სახით.

**კონსერვატორებს** თავისუფლებაზე ტრადიციულად სუსტი შეხედულება აქვთ; ისინი თვლიან, რომ თავისუფლება ვალდებულებათა და პასუხისმგებლობათა ნებაყოფლობითი აღიარებაა, ხოლო ნეგატიური თავისუფლება საზოგადოებრივ წყობას საფრთხეს უქმნის. რაც შეეხება ახალ მემარჯვენეებს, ისინი ეკონომიკურ სფეროში ნეგატიური თავისუფლების, ბაზარზე კი არჩევანის თავისუფლების მომხრენი არიან.

**სოციალისტებს** თავისუფლება ზოგადად გაგებული აქვთ პოზიტიური აზრით; იგი უკავშირდება თავისუფალი შემოქმედებითი შრომის ან საერთო თანამშრომლობაზე დაფუძნებული სოციალური თანამოქმედების გზით მიღწეულ თვითრეალიზებას. სოციალ-დემოკრატები თანამედროვე ლიბერალიზმს უახლოვდებიან, როდესაც თავისუფლებას ადამიანის პოტენციალის განხორციელებად განიხილავენ.

**ანარქისტები** თავისუფლებას აბსოლუტურ ღირებულებად მიიჩნევენ. მათი აზრით, თავისუფლება შეუთავსებელია პოლიტიკური ძალაუფლების ნებისმიერ ფორმასთან. იგი საშუალებაა პიროვნული ავტონომიის მისაღწევად, რაც გულისხმობს გონივრულ დონეზე საკუთარი ნებითა და საკუთარი გადაწყვეტილებით არსებობას და არა უბრალოდ "საკუთარი თავის ანაბარა" დარჩენას.

**ფაშისტები** ინდივიდუალური თავისუფლების ნებისმიერ ფორმას უარყოფენ როგორც უაზრობას. სხვებისაგან განსხვავებით, მათი აზრით, "ჭეშმარიტი" თავისუფლება ლიდერის ნებისადმი სრულ მორჩილებასა და ინდივიდის ეროვნულ ერთობაში გათქვეფას ნიშნავს.

**ეკოლოგისტებისთვის**, განსაკუთრებით ღრმა ეკოლოგისტებისთვის თავისუფლება თვითობის მიღწევას ნიშნავს, თვითრეალიზაციას პირადი ეგოს ეკოსფეროში ან სამყაროში გათქვეფის გზით. ზოგი ფიქრობს, რომ ასეთი თავისუფლება, პოლიტიკური თავისუფლებისაგან განსხვავებით, "შინაგანი" თავისუფლებაა, თავისუფლება, როგორც თვითდადგენა.

**რელიგიური ფუნდამენტალისტები** თავისუფლებას არსებითად შინაგან ან სულიერ თვისებად თვლიან. მათი აზრით, თავისუფლება ღვთით გაცხადებულ ნებასთან შესაბამისობას ნიშნავს, სულიერი სრულქმნა კი რელიგიური ავტორიტეტისადმი მორჩილებას უკავშირდება.

სხვავებული შეხედულებების შემუშავება ინდივიდისა და სახელმწიფოს სასურველი ურთიერთობის თაობაზე.

## გონება

ლიბერალურ იდეოლოგიაში თავისუფლების საკითხის გადაწყვეტა მჭიდრო კავშირშია გონებისადმი რწმენასთან. ლიბერალიზმი მნიშვნელოვანწილად იყო და დღესაც არის განმანათლებლობის იდეის ნაწილი. განმანათლებლობის მთავარი თემა იყო კაცთა მოდგმის დახსნა ცრურწმენებისა და უვიცობის მარწუხებიდან, "გონების ხანის" დადგომა. უდიდესი განმანათლებლები იყვნენ ჟან ჟაკ რუსო (Rousseau, იხ. გვ. 189), იმანუილ კანტი, ადამ სმითი (Smith, იხ. გვ. 59) და ჯერემი ბენთამი (Bentham, იხ. გვ. 58). განმანათლებლობის მოძრაობისათვის დამახასიათებელმა რაციონალიზმმა მნიშვნელოვნად შეცვალა ლიბერალიზმი. პირველ რიგში, მისი დამსახურებით გაძლიერდა რწმენა როგორც ინდივიდის, ისე თავისუფლების მიმართ. რამდენადაც ადამიანები რაციონალური, მოაზროვნე არსებები არიან, მათ აქვთ უნარი, თავად განსაზღვრონ და განახორციელონ საკუთარი ინტერესები. ლიბერალები სულაც არ თვლიან, რომ ადამიანები, ამ მხრივ, უშეცდომონი არიან, მაგრამ გონების რწმენა ლიბერალურ იდეოლოგიას პატერნალიზმის (იხ. გვ. 98) წინააღმდეგ განაწყობს. პატერნალიზმი არა მარტო ხელს უშლის ინდივიდებს საკუთარი ზნეობრივი გადაწყვეტილებების მიღებაში და, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი შეცდომებიდან დასკვნების გამოტანაში, ის სხვათა მიმართ პასუხისმგებლობით აღჭურვილ პირებს უქმნის პერსპექტივას, თავიანთი მდგომარეობა ბოროტად გამოიყენონ საკუთარი მიზნებისთვის.

რაციონალიზმის კიდევ ერთი დანატოვარია ლიბერალების ძლიერი რწმენა პროგრესისადმი. პროგრესი, სიტყვასიტყვით, წარმატებას, წინსვლას ნიშნავს. ლიბერალური ხედვით, ცოდნის გავრცელებამ, განსაკუთრებით მეცნიერული რევოლუციის შედეგად, ადამიანებს შესაძლებლობა მისცა, არა მხოლოდ გაეგოთ და აეხსნათ სამყარო, რომელშიც ცხოვრობდნენ, არამედ წვლილი შეეტანათ მის უკეთ მოწყობაში. მოკლედ, გონების ძალა

### რაციონალიზმი

რაციონალიზმის მიხედვით, სამყაროს რაციონალური სტრუქტურა აქვს და ამის გამჟღავნება შესაძლებელია განსჯისა და კვლევის გზით. როგორც ფილოსოფიური თეორია, რაციონალიზმი არის რწმენა იმისა, რომ შემეცნების წყარო გონებაა და არა გამოცდილება, რითაც ემპირიზმს უპირისპირდება. ზოგადი პრინციპის სახით, რაციონალიზმი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უნარს, შეიმეცნოს და ახსნას სამყარო, რომელშიც ცხოვრობს და მოაგვაროს პრობლემები. რაციონალიზმი არ გვკარნახობს ჩვენი ქცევის მიზნებს, მაგრამ მიგვითითებს, როგორ მივაღწიოთ მათ. რაციონალიზმი ყურადღებას პრინციპსა და გონქვემდებარე ქცევაზე ამახვილებს, საპირისპიროდ ადათისა და ტრადიციისა, ანუ არარაციონალური ლტოლვებისა და იმპულსებისა.

ადამიანებს მათი სიცოცხლის განკარგვისა და საკუთარი ბედ-იღბლის განსაზღვრის უნარს სძენს. ამგვარად, რაციონალიზმი კაცობრიობას წარსულის მარწუხებისა და ადათებისა და წეს-ჩვეულებათა სიმძიმისაგან ათავისუფლებს. ცოდნის თანდათანობითი გაფართოების შედეგად ყოველი თაობა წინამორბედს უსწრებს განვითარების დონით. ამით აიხსნება ლიბერალების მიერ განათლების განსაკუთრებული აქცენტირებაც. ცოდნის მიღებითა და ცრურწმენებისაგან გათავისუფლებით ადამიანებს საკუთარი თავის გაუმჯობესება შეუძლიათ. განათლება, განსაკუთრებით, თანამედროვე ლიბერალთა აზრით, თავისთავად უკვე სიკეთეა. ის პიროვნული თვითგანვითარებისა და, უფრო ზოგადად, ისტორიული და სოციალური პროგრესის მიღწევის აუცილებელი საშუალებაა.

მეტიც, გონება დიდ როლს თამაშობს დისკუსიის, საჯაროდ აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და კამათის მნიშვნელობის გამოკვეთაში. მართალია, ადამიანის ბუნების შეფასებისას ლიბერალები, საზოგადოდ, ოპტიმისტები არიან, ანუ მიაჩნიათ, რომ ადამიანები ხელმძღვანელობენ გონებით, მაგრამ უმეტესწილად არ იზიარებენ ადამიანის სრულყოფადობის უტოპიურ რწმენას, რადგან აღიარებენ პირადი ინტერესისა და ეგოიზმის ძალას. ამის გარდაუვალი შედეგია მეტოქეობა და კონფლიქტი. ადამიანები დეფიციტური რესურსებისათვის იბრძვიან, საწარმოები მოგების გაზრდის მიზნით ერთმანეთს ეჯიბრებიან, სახელმწიფოები იბრძვიან უსაფრთხოების ან სტრატეგიული უპირატესობის მოსაპოვებლად და ა.შ. ამგვარ კონფლიქტთა მოწესრიგებაში ლიბერალები აშკარა უპირატესობას აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და მოლაპარაკებას ანიჭებენ. გონების დიდი უპირატესობა ისაა, რომ ის გვთავაზობს საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ურთიერთპრეტენზიები და მოთხოვნები შეიძლება შეფასდეს – "უძლებენ" კი ისინი ანალიზს, არიან კი "გონივრულნი"? მეტიც, ის მიგვითითებს შედეგზე, რომელიც კონფლიქტთა არამშვიდობიან გადაწყვეტას მოსდევს, ესაა ძალადობა, სისხლისღვრა, სიკვდილი. ამიტომ ლიბერალები გმობენ ძალის გამოყენებასა და აგრესიას; მაგალითად, ომი, მათი საყოველთაო აზრით, უკიდურესი არჩევანი უნდა იყოს. ძალადობა არა მხოლოდ გონების მარცხს ნიშნავს, ის სულ უფრო ხშირად აღვივებს სისხლის უგუნურ წყურვილს და ლტოლვას ძალაუფლებისაკენ ძალაუფლებისავე გულისათვის. ლიბერალები ძალის გამოყენებას უშვებენ მხოლოდ თავდაცვის მიზნით ან მჩაგვრელთა საპასუხოდ, მაგრამ ყველა შემთხვევაში – მას შემდეგ, რაც გონება და არგუმენტაცია უნაყოფო აღმოჩნდება.

## სამართლიანობა

სამართლიანობა მორალური განსჯის განსაკუთრებული სახეა, კერძოდ ისეთი, ჯილდოსა და სასჯელის განაწილებას რომ ეხება. მოკლედ, სამართლიანობა თითოეულ ადამიანს განუსაზღვრავს, რა არის მისთვის "ჯეროვანი". სოციალური სამართლიანობის უფრო ვიწრო გაგება ასახავს საზოგადოებაში მატერიალურ გასამრჯელოთა და დახმარებათა განაწილებას, როგორებიცაა ხელფასი, სხვადასხვაგვარი შემოსავალი, საბინაო საკითხი,

ჯანდაცვა, სოციალური დახმარებები და ა. შ. სამართლიანობის ლიბერალური თეორია ემყარება სხვადასხვაგვარი თანასწორობის რწმენას. პირველ რიგში, ინდივიდუალიზმი გულისხმობს ფუძემდებლური თანასწორობის პრინციპის მიმდევრობას. ადამიანები "თანასწორნი" იბადებიან იმ გაგებით, რომ ზნეობრივად თითოეული თანაბრად ღირებულია, ეს ის იდეაა, ბუნებრივ, ანუ ადამიანთა უფლებების ცნებაში რომ დევს. მეორეც, ფუძემდებლური თანასწორობა ფორმალურ თანასწორობას გულისხმობს, ანუ რწმენას, რომ ინდივიდებს საზოგადოებაში ერთი ფორმალური სტატუსი უნდა ჰქონდეთ, განსაკუთრებით უფლებათა და უფლებამოსილებათა დანაწილების საკითხში. შესაბამისად, ლიბერალები მკაცრად ეწინააღმდეგებიან ნებისმიერი სახის სოციალურ პრივილეგიასა თუ უპირატესობას, რომლითაც სარგებლობენ ერთნი, მეორეთ კი ამის უფლებას უზღუდავს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სქესი, რასა, კანის ფერი, მრწამსი, რელიგია ან სოციალური წარმომავლობა. უფლებები ცალკეულ კლასსა თუ პიროვნებაზე არ უნდა ვრცელდებოდეს, მაგალითად, მამაკაცებზე, თეთრკანიანებზე, ქრისტიანებზე ან მდიდრებზე. ფორმალური თანასწორობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმებია სამართლებრივი თანასწორობა და პოლიტიკური თანასწორობა. პირველი "კანონის წინაშე თანასწორობას" გამოკვეთს და დაჟინებით მოითხოვს, არ იქნას გათვალისწინებული რაიმე არასამართლებრივი ფაქტორი სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას. მეორე ფორმა ხორცშესხმულია იდეაში "ერთი პიროვნება, ერთი ხმა; ერთი ხმა, ერთი ღირებულება"; თანასწორობის ამ გაგებიდან მოდის დემოკრატიის პრინციპისადმი ლიბერალთა ერთგულება.

მესამეც, თანასწორობაში ლიბერალები თანაბარ შესაძლებლობას გულისხმობენ. აბსოლუტურად ყველას საზოგადოებაში აღზევებისა თუ დაცემის ერთნაირი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. ამ აზრით, ცხოვრება ყველასათვის ერთნაირ სათამაშო მოედანზე უნდა გათამაშდეს. ცხადია, ვერც შედეგი, ვერც ჯილდო ერთნაირი ვერ იქნება, ვერც ცხოვრებისა და სოციალური გარემო-პირობები იქნება ყველასთვის ერთი. სოციალურ თანასწორობას ლიბერალები მიზანშეუწონლად მიიჩნევენ, რადგან ადამიანები ერთნაირები არ იბადებიან, მათ განსხვავებული ნიჭი და უნარი აქვთ, ზოგს სხვაზე მეტის გაკეთება შეუძლია. ლიბერალთა აზრით, ღირსება, უნარი და მუშაობის სურვილი უნდა ფასდებოდეს – დაფასება, მათი აზრით, მართლაც უმნიშვნელოვანესია, რაკი ადამიანთა პოტენციალის რეალიზებასა და თანდაყოლილ ნიჭთა განვითარებას წახალისება სჭირდება. ლიბერალებს თანასწორობა ასე ესმით: განსხვავებული უნარისა და ნიჭის განვითარებისათვის ინდივიდებს თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

ამას კი "მერიტოკრატიის" (ნიჭის უზენაესობის) რწმენამდე მივყავართ, სიტყვასიტყვით, ნიჭიერთა ან უნარიანთა მმართველობამდე. მერიტოკრატიულია საზოგადოება, რომელშიც სიმდიდრითა და სოციალური მდგომარეობით გამოხატული უთანასწორობანი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანებში ნიჭისა და უნარის არათანაბარ განაწილებას ასახავს, ან ისეთი ფაქტორებით აიხსნება, რომლებსაც ადამიანი ვერ მართავს, მაგალითად, იღბლით ან შემთხვევითობით. ასეთი საზოგადოება სოციალურად სამართლიანია,

რადგან ადამიანებს მათი სქესის, კანის ფერისა ან რელიგიის მიხედვით კი არ აფასებენ, არამედ მათი ნიჭისა და მუშაობის სურვილის, ან, როგორც მარტინ ლუთერ კინგი ამბობდა, "მათი ხასიათის შინაარსის" მიხედვით. საზოგადოდ, სოციალური თანასწორობა უსამართლოა, რადგან არათანაბარუნარიან ინდივიდებს თანაბრად ეპყრობა.

ლიბერალები ვერ თანხმდებიან იმ საკითხში, როგორ უნდა განხორციელდეს პრაქტიკაში სოციალური სამართლიანობის ეს ფართო პრინციპები. კლასიკური ლიბერალები მკაცრ მერიტოკრატიას ემხრობიან როგორც ეკონომიკურ, ისე მორალურ საწყისებზე. ეკონომიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოკვეთენ სტიმულის საჭიროებას. ფართო სოციალური უთანასწორობა ღარიბებსაც და მდიდრებსაც ძლიერ სტიმულს აძლევს, იმუშაონ: მდიდრებს აქვთ პერსპექტივა, კიდევ უფრო მეტი სიმდიდრე მოიპოვონ, ღარიბებს კი სიღატაკისთვის თავის დაღწევის ძლიერი სურვილი ამოძრავებთ. მორალური თვალსაზრისით, სამართლიანობა ინდივიდის უფლებათა პატივისცემას მოითხოვს. ვიდრე ადამიანები სამართლიანად მოიპოვებენ ან სხვას გადასცემენ საკუთარ სიმდიდრეს, სიმდიდრის განაწილება, რაოდენ უთანასწოროც უნდა იყოს იგი, სამართლიანად უნდა ჩაითვალოს. უფრო უნარიან ან გამრჯე ადამიანს სიმდიდრე "შრომით აქვს ნაშოვნი" და ზარმაცზე ან უმწეოზე უკეთეს ცხოვრებას იმსახურებს. სამართლიანობის ასეთი თეორია განავითარა ჯონ ლოკმა მეჩვიდმეტე საუკუნეში; ეს თეორია მეოცე საუკუნის ბოლოს ნეოლიბერალებმა აიტაცეს, რომლებიც ხშირად რობერტ ნოზიკის (Nozick, იხ. გვ. 111) იდეების გავლენასაც განიცდიან.

მეორე მხრივ, თანამედროვე ლიბერალები სოციალურ სამართლიანობაში რაღაც ზომით სოციალურ თანასწორობასაც გულისხმობენ. მაგალითად, ჯონ როულსი (Rawls, იხ. გვ. 70) *სამართლიანობის თეორიაში* (1970) ამბობს, რომ ეკონომიური უთანასწორობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ის საზოგადოების ულატაკესი ნაწილის სასარგებლოდ იქნება მიმართული. შესაბამისად, როულსის მსგავსი სოციალ-ლიბერალები ასკვნიან, რომ სამართლიანია ის საზოგადოება, რომელშიც მატერიალური სიკეთენი სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გარკვეული ფორმის მეშვეობით ნაკლებად შეძლებულ მოსახლეობაზე გადანაწილდება. სოციალურ სამართლიანობაზე ასეთი განსხვავებული თვალსაზრისები ასახავს ძირეულ უთანხმოებას ლიბერალურ აზროვნებაში იმ პირობებთან დაკავშირებით, რომელთა მეშვეობითაც უნდა ჩამოყალიბდეს სამართლიანი საზოგადოება. კლასიკურ ლიბერალებს სწამთ, რომ ბაზრით ან კაპიტალისტური საზოგადოებით ფეოდალიზმის შეცვლამ ისეთი სოციალური პირობები შექმნა, რომლებშიც ყოველ ინდივიდს შეეძლო იმ კეთილდღეობით ეცხოვრა, რომელსაც მისი ნიჭი იმსახურებდა. კლასიკური ლიბერალებისაგან განსხვავებით, თანამედროვე ლიბერალები იმ აზრისანი არიან, რომ შეუზღუდავმა კაპიტალიზმმა გამოიწვია სოციალური უსამართლობის ახალი ფორმების გაჩენა, რომლებმაც ადამიანები არათანაბარ პირობებში ჩააყენა.

## შემწყნარებლობა და მრავალფეროვნება

ლიბერალურ სოციალურ მორალს განსაკუთრებით ახასიათებს მზაობა, აღიაროს მორალური, კულტურული და პოლიტიკური მრავალფეროვნება. მართლაც, პლურალიზმი, ანუ ნაირგვარობა, შეიძლება ითქვას, ჩაფესვებულია ინდივიდუალიზმის პრინციპში და იმ მოსაზრებაში, რომ ადამიანები დამოუკიდებელი და განუმეორებელი არსებები არიან. ისიც უნდა ითქვას, რომ ლიბერალების მიერ მრავალფეროვნების სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი შემწყნარებლობას უფრო უკავშირდება. შემწყნარებლობა ნიშნავს მოითმინო, აიტანო, რომ სხვამ შენგან განსხვავებულად იფიქროს, ილაპარაკოს და იმოქმედოს. ეს აზრი გამოხატა ფრანგმა მწერალმა ვოლტერმა (1694-1778) თავის დეკლარაციაში: "მძაგს, რასაც ამბობ, მაგრამ საფლავის კარამდე დავიცავ შენს უფლებას, თქვა შენი სათქმელი". შემწყნარებლობა ზნეობრივი იდეალიცაა და სოციალური პრინციპიც. ერთი მხრივ, ის პიროვნული ავტონომიის მიზანს განასახიერებს, მეორე მხრივ კი, ადამიანებს შორის ურთიერთმოპყრობის წესებს ადგენს. შემწყნარებლობის თემა ლიბერალურ აზროვნებაში პირველად მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩნდება; ის ჯონ მილტონისა (Milton, 1608-74) და ჯონ ლოკის მიერ რელიგიური თავისუფლების დაცვაში გამოიხატა. ლოკი თავის *წერილში ტოლერანტობის შესახებ* (Locke, *A Letter Concerning Toleration*, [1689] 1963) ამბობს: რადგან მთავრობის უპირველესი ფუნქცია სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების დაცვაა, მას უფლება არა აქვს "ადამიანთა სულებზე ზრუნვაში" ჩაერიოს. ასეთი შეფასება ნათლად გვიჩვენებს, თუ რაში ხედავენ ლიბერალები "საჯარო" და "პირად" ცხოვრებას შორის მთავარ განსხვავებას. შემწყნარებლობა უნდა ვრცელდებოდეს ყველაფერზე, რაც შეიძლება განვიხილოთ როგორც "პირადი". რელიგიის მსგავსად, პირადულია ზნეობრივი საკითხები, რომლებზეც მხოლოდ მოცემული ინდივიდი უნდა აგებდეს პასუხს. ტოლერანტობა, ამგვარად, ნეგატიური თავისუფლების გარანტი არის.

ჯ. ს. მილი თავის წიგნში *თავისუფლების შესახებ* (Mill, *On Liberty*, [1859] 1972), შემწყნარებლობის უფრო ფართო გამართლებას გვთავაზობს, სადაც ის მის მნიშვნელობას წარმოაჩენს როგორც საზოგადოებისათვის, ასევე ინდივიდისათვისაც. ინდივიდის პოზიციიდან, შემწყნარებლობა, უპირველეს ყოვლისა, პირადი ავტონომიის საწინდარი და, შესაბამისად, ზნეობრივი თვითგანვითარების პირობაა. მეორე მხრივ, შემწყნარებლობა ასევე აუცილებელია მთლიანად საზოგადოების ძალისა და სიჯანსაღის უზრუნველსაყოფად. მხოლოდ იდეათა თავისუფალი ბაზრის პირობებში, იქ, სადაც კარგი იდეები ცუდ იდეებს ენაცვლება, ნიადაგი ეცლება უმეცრებას, აღმოცენდება "ჭეშმარიტება". განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების ნაყოფი – შეჯიბრი, კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა – სოციალური პროგრესის ძრავაა. მილი ფიქრობდა, რომ ყოველივე ამას განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნიდა დემოკრატია და "ბრიყვული კონფორმიზმის" გავრცელება, რომელიც დაკავშირებული იყო რწმენასთან, რომ სიმართლე ყოველთვის უმრავლესობის მხარეს უნდა იყოს. მილი ([1859] 1972) თავის აზრს ასე ავითარებს:

მთელი კაცობრიობა, ერთი ადამიანის გამოკლებით, ერთი აზრისა რომ იყოს და მხოლოდ ამ ერთ ადამიანს ჰქონდეს საპირისპირო აზრი, კაცობრიობის მიერ იმ ერთი კაცის აზრის უგულებელყოფას ისევე არ ექნება გამართლება, როგორც იმ კაცის მიერ მთელი საზოგადოების აზრის უგულებელყოფას, მას ამის ძალა რომც შესწევდეს.

შემწყნარებლობისა და მრავალფეროვნებისადმი ლიბერალთა კეთილგანწყობა ასევე უკავშირდება გაწონასწორებული საზოგადოების რწმენას – საზოგადოებისას, რომელიც ძირეულ კონფლიქტს შუაზე არ გაუხლეჩია. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდებს და სოციალურ ჯგუფებს სრულიად განსხვავებული ინტერესები ამოძრავებთ, ლიბერალებს სწამთ, რომ ამ დაპირისპირებულ ინტერესებს შორის უფრო ღრმა ჰარმონია თუ წონასწორობა არსებობს. მაგალითად, ერთმანეთისაგან განსხვავდება მუშა-მოსამსახურეთა და მეწარმეთა ინტერესები: მუშა-მოსამსახურეებს უკეთესი გასამრჯელო, უფრო მოკლე სამუშაო დღე და სამუშაო პირობების გაუმჯობესება სურთ; მეწარმეებს თავიანთი მოგების გაზრდა უნდათ წარმოებაზე რაც შეიძლება დაბალი დანახარჯების – მათ შორის ხელფასების – შენარჩუნებით. და მაინც, ეს დაპირისპირებული ინტერესებიც კი ერთმანეთს ავსებს: მუშა-მოსამსახურეებს სამუშაო სჭირდებათ, მეწარმეთ კი – მუშახელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი ჯგუფის მიზნის მისაღწევად მეორე ჯგუფი უნდა არსებობდეს და – პირიქით. ინდივიდებს და ჯგუფებს შესაძლოა პირადი ინტერესი ამოძრავებდეთ, მაგრამ ბუნებრივი წონასწორობა აუცილებლად თავისთავად ჩამოყალიბდება. წონასწორობის ეს პრინციპი ლიბერალიზმს მკვეთრად მიჯნავს ტრადიციული სოციალიზმისაგან, რომელიც საზოგადოების კონფლიქტურ მოდელს გვთავაზობს, ისევე, როგორც კონსერვატიზმისაგან, რომლისთვისაც მორალური, სოციალური და კულტურული მრავალფეროვნება უწესრიგობასა და არასტაბილურობას უკავშირდება.

### პლურალიზმი

პლურალიზმი, ფართო გაგებით, მრავალფეროვნების ან მრავალსახეობის, ანუ, მრავალ საგანთა არსებობის რწმენაა. როგორც დესკრიპტიული ცნება, პლურალიზმი შეიძლება ნიშნავდეს პარტიულ კონკურენციას (*პოლიტიკური პლურალიზმი*), ზნეობრივ ღირებულებათა სიმრავლეს (*მორალური, ანუ ღირებულებათა პლურალიზმი*), კულტურულ ნაირსახეობას (*კულტურული პლურალიზმი*) და ა. შ. იგი, როგორც ნორმატიული ცნება, მიგვანიშნებს, რომ მრავალფეროვნება სასარგებლო და სასურველია, რადგან იცავს ადამიანის თავისუფლებას და ხელს უწყობს კამათს, აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და გაგებას. უფრო ვიწრო გაგებით, პლურალიზმი პოლიტიკური ძალაუფლების განაწილების თეორიაა, რომლის მიხედვითაც, ძალაუფლება ფართოდ და თანაბრად ვრცელდება საზოგადოებაში, ის ელიტის ან მმართველი კლასის ხელში არ იყრის თავს. ასეთი ფორმით პლურალიზმს, ჩვეულებრივ, აღიქვამენ როგორც "გუნდური პოლიტიკის" თეორიას, რაც იმას გულისხმობს, რომ გუნდური მთავრობის ჩამოყალიბება ფართო დემოკრატიულ აქტივობას უზრუნველყოფს.

და მაინც, ლიბერალური შემწყნარებლობა შეუზღუდავი პლურალიზმისა და მრავალფეროვნების მხარდაჭერას არ გულისხმობს. მაგალითად, ლოკი შემწყნარებლობის პრინციპს არ ავრცელებდა კათოლიკეებზე, რომლებიც, მისი აზრით, ეროვნული სუვერენიტეტისათვის საფრთხეს წარმოადგენდნენ, რადგან უცხო პაპს ერთგულებდნენ. უფრო ფართოდ, შემწყნარებლობა შეიძლება განისაზღვროს იმ შეხედულებებთან კავშირში, რომლებიც თავისთავად შეუწყნარებელია. ლიბერალები, ამგვარად, შეიძლება ავლენდნენ მზადყოფნას ისეთი კანონების მხარდასაჭერად, რომლებიც, მაგალითად, რასისტული აზრების გამოხატვას, ან არადემოკრატიული პოლიტიკური პარტიების არსებობას კრძალავს – იმ მიზეზით, რომ ასეთი აზრების გავრცელება ან ასეთი პარტიების წარმატება ლიბერალური შემწყნარებლობის დასამარებას მოასწავებს. და მაინც, ლიბერალთა აზრით, უმეტეს შემთხვევაში შეუწყნარებლობის შეზღუდვა სულაც არ არის აუცილებელი. როგორც ჯ. ს. მილი ამბობდა, ღია დებატებსა და დისკუსიებს ის მნიშვნელობა აქვს, რომ "ცუდი" იდეები გამოაშკარავდება, რაც "კარგი" იდეების მოჭარბებას ნიშნავს. ასე რომ, შემწყნარებლობის რწმენა უკავშირდება უნივერსალისტურ რწმენას, რომ ლიბერალური პრინციპები და ღირებულებები, საბოლოო ჯამში, აუცილებლად დაჯაბნის არალიბერალურ ალტერნატივებს.

მაგრამ მეოცე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული მრავალი ლიბერალი შემწყნარებლობის იდეას გასცდა და მორალური ნეიტრალიტეტის იდეა აიტაცა. ეს ლიბერალურ იდეოლოგიაში უნივერსალიზმიდან პლურალიზმისაკენ გადახრაზე მეტყველებს; ლიბერალები ხშირად თავს ანებებდნენ ფუნდამენტურ ღირებულებათა სისტემის ძიებას და ამჯობინებდნენ ეფიქრათ ისეთი პირობების შექმნაზე, რომელთა წყალობითაც განსხვავებული მორალური და მატერიალური მოთხოვნილებების ადამიანები ერთად მშვიდობიანად და საკუთარი თავის სასიკეთოდ იცხოვრებდნენ. ასეთი ხედვა ემყარება რწმენას, რომელიც ერთობ დამაჯერებლად ჟღერს ისაია ბერლინის შრომებში ([1958] 1969): ღირებულებათა კონფლიქტები ადამიანის ცხოვრებისათვის ბუნებრივია. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანები სიცოცხლის საბოლოო მიზნების საკითხში ვერ თანხმდებიან. ამ აზრის გამო ლიბერალურ ღირებულებებს შესაძლოა პრივილეგირებული სტატუსის დათმობა მოუ-

**ლიბერალიზმში (1)**

| უნივერსალისტ. ლიბერალიზმი | v. | პლურალისტური ლიბერალიზმი |
|---|---|---|
| უნივერსალური გონი | – | სკეპტიციზმი |
| ჭეშმარიტების ძიება | – | წესრიგისაკენ სწრაფვა |
| ფუნდამენტური ღირებულებები | – | ღირებულებათა პლურალიზმი |
| ლიბერალური შემწყნარებლობა | – | განსხვავების პოლიტიკა |
| ადამიანის უფლებები | – | კულტურული უფლებები |
| ლიბერალურ-დემოკრატ. კულტურა | – | მულტიკულტურალიზმი |
| ლიბერალური ტრიუმფიზმი | – | პლურალური პოლიტიკური ფორმები |

წიოთ, მაგრამ ეს გამოკვეთს შემწყნარებლობის უზრუნველმყოფ ლიბერალურ ინსტიტუტთა, როგორც პლურალიზმის კონტექსტში წესრიგისა და სტაბილურობის შენარჩუნების საუკეთესო და, ალბათ, ერთადერთ საშუალებათა მნიშვნელობას. თუმცა, როგორც კი ლიბერალიზმი მორალურ პლურალიზმს აღიარებს, რთული ხდება მისთვის ლიბერალური ჩარჩოს მორგება. ჯონ გრეისათვის (Gray, 1995b), მაგალითად, პლურალიზმი "პოსტ-ლიბერალურ" პოზიციას გულისხმობს, რომლის მიხედვითაც, ლიბერალურ ღირებულებებს, ინსტიტუტებსა და რეჟიმებს ლეგიტიმურობაზე მონოპოლია დაკარგული აქვთ.

## ლიბერალიზმი, მმართველობა და დემოკრატია

### ლიბერალური სახელმწიფო

ლიბერალებს არ სჯერათ, რომ ცალკეულ ადამიანთა თავისუფალი ქმედებები და ნებაყოფლობითი გაერთიანებები ბუნებრივად განავითარებს გაწონასწორებულ, ტოლერანტულ საზოგადოებას. სწორედ ამ საკითხში არ ეთანხმებიან ლიბერალები ანარქისტებს, რომლებსაც საჭიროდ არ მიაჩნიათ არც კანონი და არც მთავრობა. ლიბერალებს გაცნობიერებული აქვთ საფრთხე იმისა, რომ თავისუფალ ადამიანებს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლიათ დაჩაგრონ, გაძარცვონ ან სულაც მონებად აქციონ სხვები. თუ სახეიროდ მიიჩნიეს, საკუთარი კონტრაქტების გაუქმება და უგულებელყოფაც შეუძლიათ. ამიტომ ერთი ადამიანის თავისუფლებაში სხვათა დამცრობის საფრთხეც იგულისხმება. შეიძლება ითქვას, საზოგადოების ყოველი წევრი საფრთხეს უქმნის სხვას და თავადაც ექცევა ასეთივე საფრთხის ქვეშ. ჩვენი თავისუფლება მოითხოვს, სხვებმა თავი შეიკავონ მისი ხელყოფისაგან, მათი თავისუფლებაც, თავის მხრივ, ჩვენგან დაცულობას საჭიროებს. ლიბერალებს, ტრადიციულად, სწამთ, რომ ასეთი დაცვა მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოს ხელეწიფება, რომელსაც საზოგადოების შიგნით ყველა ცალკეული წევრისა თუ ჯგუფის გაკონტროლების უნარი აქვს. ამდენად, თავისუფლება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ "კანონის პირობებში"; ჯონ ლოკს თუ დავესესხებით: "თავისუფლება არ არის იქ, სადაც კანონი არ არსებობს".

ეს არგუმენტი სოციალური კონტრაქტის თეორიის საფუძველია, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში თომას ჰობსმა (Hobbes, იხ. გვ. 86) და ჯონ ლოკმა განავითარეს და რომლითაც ლიბერალები სახელმწიფოს წინაშე ინდივიდის პოლიტიკურ ვალდებულებებს განმარტავენ. ჰობსმა და ლოკმა დახატეს სურათი ცხოვრებისა უსახელმწიფოო, მთავრობამდელ საზოგადოებაში. ასეთ საზოგადოებას ისინი "ბუნების სახელმწიფოს" უწოდებდნენ. რადგან ადამიანები თავკერძა, ხარბი და ძალაუფლებისმოყვარულნი არიან, ბუნების სახელმწიფოსათვის მუდმივი მახასიათებელი იქნებოდა სამოქალაქო ომი თითოეულისა ყველას წინააღმდეგ, რომელშიც, ჰობსის სიტყვებით, ადამიანის სიცოცხლე იქნებოდა "ეული, საწყალი, საძაგელი, სასტიკი და

ინგლისელი ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი. დაიბადა სომერსეტში; შეფტსბერის პირველი გრაფის, ენთონი ეშლი კუპერის მდივნად გახდომამდე ოქსფორდში მედიცინას სწავლობდა. მისი პოლიტიკური შეხედულებები ინგლისის რევოლუციის ფონზე ჩამოყალიბდა.

ლოკს, აბსოლუტიზმის უდრეკ ოპონენტს, ხშირად 1688 წლის "ბრწყინვალე რევოლუციის" ფილოსოფოსს უწოდებენ, იმ რევოლუციისა, რომელმაც კონსტიტუციური მონარქია დაამკვიდრა. ლოკი ადრეული ლიბერალიზმის ერთ-ერთ მთავარ მოაზროვნედ ითვლება. მართალია, ლოკი აღიარებდა, რომ ადამიანები ბუნებით თავისუფალნი და თანასწორნი არიან, მაგრამ უპირატესობა, რომელსაც ის საკუთრების უფლებებს ანიჭებდა, ხელს უშლიდა, თანამედროვე აზრი ჰქონოდა პოლიტიკურ თანასწორობასა და დემოკრატიაზე. ლოკის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური შრომებია *წერილი ტოლერანტობის თაობაზე* (*A Letter Concerning Toleration*, 1689) და მმართველობის ორი ტრაქტატი (Two Treatises of Government, 1690).

ხანმოკლე". ამის შედეგად, მათი აზრით, მოაზროვნენი შეთანხმდებოდნენ, ანუ "სოციალურ კონტრაქტს" გააფორმებდნენ სუვერენული მმართველობის ჩამოყალიბების საკითხზე, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა მოწესრიგებული და სტაბილური ცხოვრება. კანონზე დამყარებული სისტემის შესაქმნელად ყველა ინდივიდს უნდა ეღიარებინა საკუთარი თავისუფლების ნაწილის მსხვერპლად გაღების აუცილებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი უფლებები და, რა თქმა უნდა, სიცოცხლეც მუდმივი საშიშროების ქვეშ იქნებოდა. ჰობსმაც და ლოკმაც იცოდნენ, რომ ეს "კონტრაქტი" ისტორიული ფიქცია იყო. სოციალური კონტრაქტის არგუმენტის მიზანი ინდივიდისათვის სუვერენული სახელმწიფოს მნიშვნელობის წარმოჩენაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰობსსა და ლოკს სურდათ, ინდივიდები ისე მოქცეულიყვნენ, რომ ისტორიული ფიქცია ჭეშმარიტებას დამსგავსებოდა; ასეთი ქცევა მთავრობისა და კანონის მორჩილებასა და პატივისცემას გულისხმობდა მადლიერების ნიშნად იმ უსაფრთხოებისთვის, რომელიც მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს.

სოციალური კონტრაქტის არგუმენტი თავის თავში აერთიანებს ლიბერალთა რამდენიმე მნიშვნელოვან თვალსაზრისს კონკრეტულად სახელმწიფოსა და ზოგადად პოლიტიკური ძალაუფლების შესახებ. პირველ რიგში, ის გულისხმობს, რომ პოლიტიკური ძალაუფლება, გარკვეული გაგებით, "ქვემოდან" მოდის. სახელმწიფოს ინდივიდები ქმნიან ასევე ინდივიდებისათვის; მისი არსებობის მიზანია, *მათ* ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ემსახუროს. მმართველობა მართულთა შეთანხმებიდან, ან თანხმობიდან აღმოცენდება. იგულისხმება, რომ მოქალაქეები ბოლომდე ვალდებულნი არ არიან, ყველა კანონს დაემორჩილონ ან მმართველობის ნებისმიერი ფორმა მიიღონ. თუ მთავრობა კონტრაქტს ეფუძნება, რომელსაც მმართველობის ქვეშ მყოფნი ადგენენ, თავად მთავრობამ შეიძლება ამ კონტრაქტის პირობები დაარღვიოს. იქ, სადაც მმართველობის ლეგიტიმურობა იშრიტება,

ადამიანებს აჯანყების უფლება ეძლევათ. ამ პრინციპის განვითარებას ვხედავთ ლოკის წიგნში *მმართველობის ორი ტრაქტატი* (*Two Treatises of Government*) ([1690] 1962); მისი მიზანი 1688 წლის "ბრწყინვალე რევოლუციის" გამართლება იყო, რომელმაც ტახტიდან ჩამოაგდო ჯეიმზ მეორე და ბრიტანეთში მეფე უილიამისა და დედოფალ მარიამის მმართველობით კონსტიტუციური მონარქია დაამყარა. ეს პრინციპი ასევე ნათლად გამოხატა თომას ჯეფერსონმაც (Jefferson, იხ. გვ. 55) დამოუკიდებლობის ამერიკულ დეკლარაციაში (1776), რომელშიც განცხადებულია: როდესაც მმართველობა აბსოლუტური დესპოტიზმის სახეს იღებს, "ხალხს უფლება აქვს, შეცვალოს ან გააუქმოს იგი".

მეორეც, სოციალური კონტრაქტის თეორია სახელმწიფოს სუპერარბიტრის ან ნეიტრალური არბიტრის ფუნქციას განუწესებს. სახელმწიფო არ არის შექმნილი პრივილეგირებული ელიტის მიერ, რომლის სურვილი მასების ექსპლუატაციაა. სახელმწიფოს საფუძველი ყველა ადამიანს შორის შეთანხმებაა და, ამდენად, ის ყველა მოქალაქის ინტერესებს აერთიანებს და ნეიტრალური არბიტრის როლში გვევლინება, როდესაც ინდივიდები თუ ჯგუფები ერთმანეთს უპირისპირდებიან. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული ადამიანები დაარღვევენ სხვებთან დადებულ კონტრაქტს, სახელმწიფო "თამაშის წესებს" იყენებს და კონტრაქტის პირობებს განახორციელებს. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ თითოეული მხარე კონტრაქტს ნებაყოფლობითა და სრული პასუხისმგებლობით შეუერთდა. ნებისმიერი ასეთი სუპერარბიტრის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ის, რომ მისი ქმედებები მიუკერძოებელია და ასეთად აღიქმება კიდეც. ამგვარად, ლიბერალები სახელმწიფოს საზოგადოებაში დაპირისპირებულ ინდივიდთა და ჯგუფთა შორის მომრიგებელ არბიტრად განიხილავენ.

## კონსტიტუციური მმართველობა

მართალია, ლიბერალებს მმართველობის საჭიროებაში ეჭვი არ ეპარებათ, მაგრამ კარგად ხედავენ იმ საფრთხეებს, რომლებსაც ის წარმოშობს. მათი აზრით, ყველა მმართველობა ინდივიდის წინააღმდეგ მიმართული პოტენციური ტირანიაა. ერთი მხრივ, ასეთი დასკვნის საფუძველი ის ფაქტია, რომ მთავრობა სუვერენული ძალაუფლებითაა აღჭურვილი და ამიტომ ინდივიდის თავისუფლებას მუდმივ საფრთხეს უქადის. მეორე მხრივ, ეს დასკვნა ძალაუფლების მიმართ ლიბერალთათვის დამახასიათებელ შიშს ასახავს. ადამიანები ანგარებიანი ქმნილებები არიან და თუ ძალაუფლებას – სხვათა ქცევაზე გავლენის მოხდენის უნარს – ჩავუგდებთ ხელთ, ისინი მას, ბუნებრივია, თავისავე სასარგებლოდ გამოიყენებენ, თანაც სხვათა ხარჯზე. მარტივად რომ ვთქვათ, ლიბერალები ამტკიცებენ, რომ ეგოიზმს პლუს ძალაუფლება უდრის კორუფციას. ეს აზრია გატარებული ლორდ აქტონის ცნობილ გაფრთხილებაში: "ძალაუფლება ხრწნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება ხრწნის აბსოლუტურად", და მისსავე დასკვნაში: "დიდი ადამიანები თითქმის ყოველთვის ცუდი ადამიანები არიან". ამიტომაა, რომ ლიბერალები თავისუფალი მმართველობის იდეას უფრთხიან და შეზღუდული მმართვე-

## კონსტიტუციონალიზმი

კონსტიტუციონალიზმი, ვიწრო გაგებით, შეზღუდული მმართველობის განხორციელებაა, რომელსაც კონსტიტუცია უდევს საფუძვლად. კონსტიტუციონალიზმი, ამ გაგებით, შეიძლება ითქვას, არსებობს იქ, სადაც კონსტიტუციური კანონები ძალაუფლებრივ ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ პროცესებს ეფექტურად აკონტროლებს. უფრო ფართო გაგებით, კონსტიტუციონალიზმი არის პოლიტიკურ ღირებულებათა და მისწრაფებათა გარკვეული სისტემა, რომელიც გამოხატავს ნებას, დაიცვას თავისუფლება ხელისუფლებისთვის შინაგანი და გარეგანი შეზღუდვების დაწესებით. მისთვის დამახასიათებელია კონსტიტუციურ დებულებათა მხარდაჭერა, რომლებიც კონსტიტუციონალიზმის მიზანს განამტკიცებს; ესენია: სისტემაში მოყვანილი კონსტიტუცია, უფლებათა ბილი, ძალაუფლებათა გამიჯვნა, ორპალატიანობა და ფედერალიზმი ანუ დეცენტრალიზაცია. ასე რომ, კონსტიტუციონალიზმი პოლიტიკური ლიბერალიზმის სახეობაა.

ლობის პრინციპს ემხრობიან. მთავრობა შეუძლია შეზღუდოს ან "მორჩილი გახადოს" კონსტიტუციურ შეზღუდვებს, ან დემოკრატიას, რის თაობაზეც მომდევნო ქვეთავში ვისაუბრებთ.

კონსტიტუცია არის წესთა კრებული, რომელთა მიზანიც მმართველობის სხვადასხვა ინსტიტუტს შორის მოვალეობების, ძალაუფლებებისა და ფუნქციების დანაწილებაა. შესაბამისად, ის წარმოადგენს წესებს, რომლებიც თავად ხელისუფლებას მართავენ. როგორც ასეთი, ის ხელისუფლებისთვის ძალაუფლების ზომასაც საზღვრავს და მის გამოყენებასაც ზღუდავს. კონსტიტუციონალიზმის მხარდაჭერა ორი ფორმით ვლინდება. პირველ რიგში, მმართველობის ორგანოთა და პოლიტიკოსთა უფლებამოსილებების შეკვეცა შესაძლებელია გარეგანი, როგორც წესი, სამართლებრივი შეზღუდვებით. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია წერილობითი კონსტიტუცია, რომელიც ერთი საყოველთაოდ აღიარებული დოკუმენტის ფარგლებში აერთიანებს და აწესრიგებს მმართველობის ორგანოთა უმთავრეს უფლება-მოვალეობებს. ასე რომ, წერილობითი კონსტიტუცია "უმაღლეს" კანონს წარმოადგენს. პირველი ასეთი დოკუმენტი 1787 წელს დაწერილი ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია იყო. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში წერილობითი კონსტიტუციები მიიღო ყველა ლიბერალურ-დემოკრატიულმა სახელმწიფომ, გაერთიანებული სამეფოს, ისრაელისა და ახალი ზელანდიის გამოკლებით. მრავალ სახელმწიფოში არსებობს ასევე უფლებათა ბილები, რომლებიც სამართლებრივად განმარტავენ პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას და ამით პიროვნულ უფლებებს იცავენ. შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი ათი შესწორება, მაგალითად, ინდივიდუალურ უფლებათა ჩამონათვალია, რომლებსაც კრებითი სახელწოდება აქვთ – "უფლებათა ბილი". ამის მსგავსი "ადამიანის უფლებათა დეკლარაცია" (1789) მიიღეს საფრანგეთის რევოლუციის დროს. იქ კი, სადაც არც კონსტიტუცია არსებობს და არც უფლებათა ბილები, მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, ლიბერალები კანონის უზენაესობის პრინციპის გატარებით ხელისუფლებაზე კონტროლისათვის

სტატუტური სამართლის მნიშვნელობას გამოკვეთენ. ეს ყველაზე კარგად გამოვლინდა მეცხრამეტე საუკუნის გერმანიაში *Rechtsstaat*-ის ცნებაში, რაც კანონით მართულ სახელმწიფოს ნიშნავს.

მეორეც, კონსტიტუციონალიზმის დამკვიდრება შინაგან შეზღუდვათა დანესებით შეიძლება, რომლებიც პოლიტიკურ ძალაუფლებას მმართველობის რამდენიმე ორგანოზე გაანაწილებენ და "კონტროლთა და ბალანსთა" ერთგვარ ქსელს შექმნიან. როგორც ფრანგი ფილოსოფოსი მონტესკიე (Montesquieu, 1689-1775) ამბობდა: "ძალაუფლება ძალაუფლებას უნდა ზღუდავდეს". ყველა ლიბერალური პოლიტიკური სისტემა გარკვეული ოდენობით ავლენს შინაგან დანაწევრებას. მისი მიღწევა შესაძლებელია თავად მონტესკიეს მიერ შემოთავაზებული ძალაუფლებათა გამიჯვნის დოქტრინის გამოყენებით. ამ დოქტრინის მიხედვით, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ძალაუფლებებს სამი დამოუკიდებელი ინსტიტუტი უნდა ახორციელებდეს, რომ ვერც ერთმა ინდივიდმა ან პატარა ჯგუფმა ვერ შეძლოს დიქტატორული ძალაუფლების მოხვეჭა. ასე მაგალითად, მმართველობა შეერთებულ შტატებში ემყარება ძალაუფლების მკაცრ გამიჯვნას კონგრესს, პრეზიდენტსა და უზენაეს სასამართლოს შორის. სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი დაცულია ყველა ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოში. რაკი სასამართლო განმარტავს როგორც კონსტიტუციურ, ისე სტატუტურ კანონს და, შესაბამისად, თვით ხელისუფლების უფლებამოსილებებსაც გადასინჯავს, იგი ფორმალურად დამოუკიდებელი და პოლიტიკურად მიუკერძოებელი უნდა იყოს, თუკი საქმე ინდივიდის სახელმწიფოსგან დაცვას ეხება. მმართველობის დანაწილების სხვა საშუალებებია კაბინეტური მთავრობა (რომელიც პრემიერ-მინისტრის ძალაუფლებას ზღუდავს), საპარლამენტო მმართველობა (რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას აკონტროლებს), ორპალატიანი სისტემა (რომელიც თითოეული საკანონმდებლო პალატის ძალაუფლებას აკონტროლებს) და ტერიტორიული დაყოფა, მაგალითად, ფედერალიზმი, დევოლუცია და ადგილობრივი მმართველობა (რომელიც ცენტრალური მთავრობის ძალაუფლებას აკონტროლებს).

## დემოკრატია

ცნება "დემოკრატია" ძველ საბერძნეთში წარმოიშვა. ეს სიტყვა, ყველა იმ სიტყვის მსგავსად, რომელთა მეორე ნაწილს "კრატია" შეადგენს – ავტოკრატია, არისტოკრატია, ბიუროკრატია და ა. შ – წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან *კრატოს*, რაც ძალაუფლებას ან ხელისუფლებას ნიშნავს. ამგვარად, დემოკრატია "*დემოსის* მმართველობას" წარმოადგენს, სადაც *დემოსი* "ხალხს" ნიშნავს, თუმცა თავდაპირველად ამ სიტყვაში "ღარიბები" ან "ხალხის მასა" იგულისხმებოდა. დემოკრატიული პრინციპის უფრო თანამედროვე გაგება აისახა აბრაამ ლინკოლნის 1863 წლის გეტისბერგის სიტყვაში, რომელშიც განდიდებულია "ხალხის, ხალხისმიერი და ხალხისათვის მმართველობის" სიქველენი. უნდა ითქვას, დემოკრატია ჯერაც სადავო ცნებაა: დაპირისპირებულ დეფინიციათა გარდა, არ არსებობს ამ ტერმინის რაიმე

შეთანხმებული ან დადგენილი განსაზღვრება; მისი მხოლოდ რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული დეფინიცია გვაქვს. ამიტომაა, რომ არ არსებობს დემოკრატიული მმართველობის ერთი მოდელი, არის მხოლოდ ურთიერთმოქიშპე რამდენიმე ვერსია. ისტორიულად ამათგან ყველაზე წარმატებული ლიბერალური დემოკრატიის ვერსიაა; მეოცე საუკუნის ბოლოსათვის ლიბერალურმა დემოკრატიამ, როგორც ჩანს, თავისი უმთავრესი მოწინააღმდეგენი დაამარცხა. და მაინც, ლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებს ჰიბრიდული ბუნება აქვთ: ისინი ორ განსხვავებულ თვისებას აერთიანებენ, ლიბერალურსა და დემოკრატიულს. ლიბერალური ელემენტი შეზღუდული მმართველობის რწმენას ასახავს, დემოკრატიული კი – სახალხო მმართველობის იდეისადმი ერთგულებას. როგორც დემოკრატიის მოდელში, ლიბერალურ დემოკრატიაში სამი მთავარი თვისება გამოიყოფა:

- ლიბერალური დემოკრატია დემოკრატიის არაპირდაპირი და წარმომადგენლობითი ფორმაა. პოლიტიკური ძალაუფლება ფორმალურ პოლიტიკურ თანასწორობაზე დამყარებულ რეგულარულ არჩევნებში გამარჯვებით მოიპოვება – "ერთი ადამიანი, ერთი ხმა: ერთი ხმა, ერთი ღირებულება".
- ის კონკურენციასა და ამომრჩევლის არჩევანს ეფუძნება და პოლიტიკური პლურალიზმითაა უზრუნველყოფილი; ეს უკანასკნელი კი შეურიგებელ რწმენათა, მოდავე სოციალურ ფილოსოფიათა და მოქიშპე პოლიტიკურ მოძრაობათა თუ პარტიათა ურთიერთშემწყნარებლობაში გამოიხატება.
- ის მკვეთრად მიჯნავს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას. ეს გამოიხატება როგორც ხელისუფლების შინაგან და გარეგან შეზღუდვებში, ისე ავტონომიურ ჯგუფთა და ინტერესთა, აგრეთვე ბაზრის, ანუ ეკონომიკური ცხოვრების კაპიტალისტური ორგანიზაციის არსებობაში.

ლიბერალური დემოკრატიის ჰიბრიდული ბუნება დემოკრატიისადმი ლიბერალიზმის ძირეულ წინააღმდეგობრიობას ასახავს. ამ წინააღმდეგობის წყარო, შეიძლება ითქვას, ინდივიდუალიზმის ურთიერთსაპირისპირო მოტივებია. ინდივიდუალიზმი გულისხმობს როგორც შიშს კოლექტიური ძალაუფლების მიმართ, ისე პოლიტიკური თანასწორობის რწმენასაც. მეცხრამეტე საუკუნეში ლიბერალები დემოკრატიას საშიშ ტენდენციებს მიაწერდნენ. ამ მხრივ, მათი იდეები ისეთი ადრინდელი პოლიტიკური თეორეტიკოსების ნააზრევთა გამოძახილი იყო, როგორებიც პლატონი და არისტოტელე იყვნენ და რომლებიც დემოკრატიას მასების მმართველობის სისტემად თვლიდნენ, სიბრძნისა და საკუთრების ფასად რომ მიიღწევა. ლიბერალები მთავარ საშიშროებას იმაში ხედავდნენ, რომ დემოკრატიას შეეძლო, ხელეყო ინდივიდის თავისუფლება. ამის თავი და თავი კი ისაა, რომ "ხალხი" ერთი მთლიანობა არ არის; ის განსხვავებული შეხედულებებისა და დაპირისპირებული ინტერესების მქონე ინდივიდთა და ჯგუფთა გაერთიანებაა. კონფლიქტის "დემოკრატიული გზით მოგვარება" მასებისადმი მიმართვასა და უმრავლესობის ნების, ანუ იმ პრინციპის განხორციელებას გულისხმობს, რომლის მიხედვითაც, უმცირესობის ნება უმრავლესობის ანუ მოსახლეობის

უდიდესი ნაწილის ნებას უნდა ემორჩილებოდეს. დემოკრატია ასეთ შემთხვევაში 51 პროცენტის ნების გამოხატულება ხდება. ამ შემთხვევას კარგად განსაზღვრავს ფრანგი პოლიტიკოსისა და სოციოლოგის ალექსი დე ტოკვილის (Tocqueville, 1805-59) ცნობილი გამოთქმა – "უმრავლესობის ტირანია". ასეთ პირობებში შეიძლება ხალხის სახელით დაითრგუნოს ინდივიდის თავისუფლება და უმცირესობის უფლებები. ასეთივე აზრი გამოხატა ჯეიმზ მედისონმაც ამერიკის შეერთებული შტატების საკონსტიტუციო ყრილობაზე ფილადელფიაში 1787 წელს. ის ამბობდა, რომ უმრავლესობის ტირანიისგან თავდაცვის საუკეთესო პირობა შეზღუდვათა და დაბალანსების საშუალებათა ისეთი ქსელის შექმნაა, რომელიც მთავრობას გულისხმიერს გახდის ოპოზიციურად განწყობილი უმცირესობის მიმართ და ამავე დროს არამრავალრიცხოვან მდიდართა ფენას გარანტიებს შეუქმნის ღარიბი მასების წინაშე.

ლიბერალები შეშფოთებას დემოკრატიის თაობაზე მარტო უმრავლესობის მმართველობასთან დაკავშირებით არ გამოთქვამენ. მათ ანალვლებთ, როგორ ყალიბდება უმრავლესობა თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებებში. მაგალითად, ჯ. ს. მილი წუხდა, რომ პოლიტიკური შეგნება საზოგადოებაში არათანაბრად არის გადანაწილებული; და ის პირდაპირ უკავშირდება განათლებულობას. გაუნათლებლები უფრო ადვილად ემორჩილებიან ვიწრო კლასობრივ ინტერესებს, მაშინ როცა განათლებულთ მათი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება შეუძლიათ სხვათა სასიკეთოდაც. სწორედ ამიტომ, მილის მტკიცებით, ხალხის მიერ არჩეული პოლიტიკოსები საკუთარ შეხედულებებს უნდა გამოხატავდნენ და არა ამომრჩევლისას. ამისათვის ის გვთავაზობს მრავალჯერადი ხმის მიცემის უფლების სისტემის შემოღებას. ასეთ შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ გაუნათლებლები; ადამიანს ერთი, ორი, სამი ან ოთხი ხმის უფლება ეძლევა განათლების დონის ან სოციალური მდგომარეობის შესაბამისად.

ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტოლოგი. მედისონი ვირჯინიელი იყო და კონტინენტალურ კონგრესზე 1774-1775 წლებში თავგამოდებით უჭერდა მხარს ამერიკულ ნაციონალიზმს. მან წვლილი შეიტანა 1778 წლის საკონსტიტუციო კონვენციის მიღებაში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კონსტიტუციის შემუშავებაშიც. 1801-9 წლებში მედისონი ჯეფერსონის კაბინეტში სახელმწიფო მინისტრად მსახურობდა, ხოლო 1809-17 წლებში შეერთებული შტატების რიგით მეოთხე პრეზიდენტი გახლდათ.

მედისონი პლურალიზმისა და ხელისუფლების დაყოფის აქტიური მომხრე იყო. მისი აზრით, შეერთებული შტატების მთავრობას საფუძვლად ფედერალიზმი, ორპალატიანობა და ძალაუფლებათა გამიჯვნა უნდა დასდებოდა. ამდენად, მედისონის დოქტრინა ტირანიის წინააღმდეგ მთავარ საშუალებად შეზღუდვებსა და დაბალანსებას ასახელებს. ეს კია, პრეზიდენტობისას მედისონი ნაციონალური მთავრობის ძალაუფლებათა გამყარების პოლიტიკას ატარებდა. მის პოლიტიკურ ნაშრომთაგან საუკეთესოა 1787-8 წლებში *ფედერალისტში* გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც კონსტიტუციის რატიფიკაციის კამპანიის ნაწილს წარმოადგენდა.

კიდევ უფრო მძაფრ შეფასებებს აკეთებს ორტეგა ი გასეტი (Gasset, 1883-1955), ესპანელი საზოგადო მოღვაწე, თავის წიგნში *მასების ამბოხი* (*The Revolt of the Masses*, 1930). გასეტი გვაფრთხილებს, რომ მასების ქვენა ინსტინქტებზე აპელირებით მასობრივი დემოკრატიის დამყარებამ ცივილიზებული საზოგადოება და მორალური წესრიგი დაამხო და ავტორიტარ მმართველებს ძალაუფლებისაკენ მიმავალი გზა გაუკვალა.

მაგრამ მეოცე საუკუნის ლიბერალთა დიდი ნაწილი დემოკრატიაში უფრო სიქველეს ხედავს, რისთვისაც მათ საკუთარი არგუმენტები და დოქტრინები აქვთ. ადრეული ლიბერალების თვალში დემოკრატიას გამართლება იმიტომ ჰქონდა, რომ ის ემყარებოდა თანხმობას და იმ იდეას, რომ მოქალაქეებს მთავრობის ზემოქმედებისაგან თავდაცვის საშუალება უნდა ჰქონდეთ. მეჩვიდმეტე საუკუნეში ჯონ ლოკმა დამცველი დემოკრატიის შეზღუდული თეორია შეიმუშავა, რომელშიც მდიდართათვის ხმის მიცემის უფლების გაფართოებას ითხოვდა, რითაც მდიდრები მთავრობის წინაშე მათი ბუნებრივი უფლებების დაცვას შეძლებდნენ. თუ მთავრობას, დაბეგვრის გზით, საკუთრების ექსპროპრიაციის უფლება აქვს, მოქალაქეები უფლებამოსილნი არიან, თავი დაიცვან გადასახადების დამწესებელი ორგანოს შემადგენლობაზე – საკანონმდებლო ხელისუფლებაზე – კონტროლის განხორციელებით. ამერიკის რევოლუციის დროს ეს იდეა ლოზუნგად იქცა: "არანაირი დაბეგვრა წარმომადგენლობის გარეშე". უტილიტარიზმის თეორეტიკოსების – ჯერემი ბენთამისა (Bentham) და ჯეიმზ მილის (1773-1836) მიერ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით, დემოკრატია საყოველთაო საარჩევნო უფლების შემთხვევაში ინდივიდის დაცვის ერთგვარ ფორმად წარმოგვიდგება. უტილიტარიზმი (იხ. გვ. 57) ამოდის რწმენიდან, რომ ინდივიდები სიამოვნებას ესწრაფვიან და ტკივილის თავიდან არიდება სურთ; ამიტომ ისინი ხმას მისცემენ იმას, რაც მათ დაიცავს და დაეხმარება მათი ინტერესების განხორციელებაში. ბენთამი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლება (მის დროს ეს უფლება მხოლოდ მამაკაცებზე ვრცელდებოდა) არის ერთადერთი საშუალება "უდიდესი რაოდენობისათვის უდიდესი ბედნიერების" უზრუნველსაყოფად. და მაინც, დაცვის პოზიციებიდან დემოკრატიის გამართლება დემოკრატიული მმართველობის მხოლოდ პირობითი აღიარებაა. საბოლოო ჯამში, დამცველი დემოკრატიის მიზანია, მოქალაქეებს საშუალება ჰქონდეთ, ისე მოიწყონ ცხოვრება, როგორც სურთ; ეს კი მთავრობის მხრიდან მინიმალურ ჩარევას გულისხმობს.

დემოკრატიის უფრო რადიკალური მხარდაჭერა პოლიტიკაში ჩართულობის სიქველეებს უკავშირდება. ეს მიმართულება ჟან-ჟაკ რუსოს იდეებთან ასოცირდება, მაგრამ მის ლიბერალურ ინტერპრეტაციას ვხვდებით ჯ.ს.მილის შრომებში. მილი, გარკვეული აზრით, აჯამებს დემოკრატიისადმი ლიბერალური დამოკიდებულების წინააღმდეგობრიობას. ერთი მხრივ, შეუზღუდავ დემოკრატიას ტირანიისაკენ მივყავართ, მაგრამ დემოკრატიის არარსებობა უმეცრებასა და სისასტიკეს აძლევს გასაქანს. მილის აზრით, დემოკრატიისათვის დამახასიათებელი მთავარი სიქველე ისაა, რომ ის ადამიანურ შესაძლებლობათა "უმაღლეს და უჰარმონიულეს" განვითარებას უწყობს ხელს. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობით მოქალაქე-

ები უფრო მეტ გაგებას აღწევენ, უფრო მგრძნობიარენი ხდებიან და პიროვნული განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ადიან. ასეთი ევოლუციური დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა, განათლებაზეა ორიენტირებული. ამიტომ, მართალია, მილი პოლიტიკური თანასწორობის მომხრე არ გახლდათ, მას მაინც სჯეროდა, რომ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება წერა-კითხვის

## დემოკრატიის შესახებ

**ლიბერალები** დემოკრატიას ინდივიდუალიზმთან მიმართებაში განიხილავენ როგორც თანხმობას, რომელიც საარჩევნო ყუთის საშუალებით გამოიხატება. დემოკრატია რეგულარულ და კონკურენტულ არჩევნებთან არის გაიგივებული. რადგან დემოკრატია ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ზღუდავს, მაჟორიტარული ტირანიისაგან თავდაცვის მიზნით ის ყოველთვის კონსტიტუციურ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული.

**კონსერვატორები** ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობის ფორმას ემხრობიან, ოღონდ საჭიროდ მიიჩნევენ შეზღუდვებს იმ მოსაზრებით, რომ დაცული იყოს საკუთრება და ტრადიციული ინსტიტუტები "ბევრის" როყიო ნებისაგან. ახალ მემარჯვენეებს რაც შეეხებათ, ისინი არჩევით დემოკრატიას მმართველობის გადამეტებისა და ეკონომიკური სტაგნაციის პრობლემებს უკავშირებენ.

**სოციალისტებისათვის**, ტრადიციულად, ამოსავალია ხალხის მონაწილეობაზე დამყარებული რადიკალური დემოკრატიის ერთგვარი ფორმა და სახალხო კონტროლისადმი ეკონომიკის დაქვემდებარების სურვილი. ისინი ლიბერალურ დემოკრატიას უარყოფენ და მას აფასებენ როგორც უბრალოდ კაპიტალისტურ დემოკრატიას. და მაინც, თანამედროვე სოციალ-დემოკრატები ახლა უკვე მყარად ერთგულებენ ლიბერალურ-დემოკრატიულ სტრუქტურებს.

**ანარქისტები** დემოკრატიის პირდაპირი ფორმის მომხრენი არიან და ხალხის განუხრელი მონაწილეობისა და რადიკალური დეცენტრალიზაციის იდეებს ქადაგებენ. არჩევითი თუ წარმომადგენლობითი დემოკრატია მათთვის უბრალოდ გარეგნული სახეა ელიტის ბატონობის შესანიღბად და ჩაგრულ მდგომარეობასთან მასების შესაგუებლად.

**ფაშისტები** ტოტალიტარული დემოკრატიის იდეებს განადიდებენ. მათი რწმენით, ნამდვილი დემოკრატია აბსოლუტური დიქტატურაა; იდეოლოგიურ სიბრძნეს ერთი ლიდერი განაგებს და მხოლოდ მას შეუძლია თქვას, რა არის ხალხის ჭეშმარიტი ინტერესები. პარტიაცა და კონკურენტული არჩევნებიც სიმახინჯე და გადაგვარებულობაა.

**ეკოლოგისტები** ხშირად გვევლინებიან ხოლმე რადიკალური ან მონაწილეობითი დემოკრატიის მომხრეებად. "მუქი" მწვანეები განსაკუთრებით აკრიტიკებენ არჩევით დემოკრატიას და მიაჩნიათ, რომ იგი ადამიანთა ამჟამინდელი თაობის ინტერესების თავს მოხვევაა მომდევნო თაობებისთვის, სხვა სახეობებისთვის და მთელი ბუნებისთვის.

უცოდინართა გარდა ყველას უნდა ჰქონოდა. შემდეგ მილი თანდათანობით იმ აზრამდე მივიდა (იმ დროისათვის ეს რადიკალური პოზიცია იყო), რომ არჩევნებში მონაწილეობა ქალებსაც უნდა მიეღოთ.

მაგრამ მეოცე საუკუნიდან მოყოლებული დემოკრატიის ლიბერალურ თეორიებში თანხმობიდან და მონაწილეობიდან ყურადღება საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევის საჭიროებაზე გადადის. ეს ჩანს პლურალისტ თეორეტიკოსებთანაც, რომელთა აზრით, პოლიტიკის მთავარი აქტორები ინდივიდების ნაცვლად ორგანიზებული ჯგუფები გახდნენ. პლურალისტები თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებებს მზარდ კომპლექსად გვიხატავენ, რომელსაც განსხვავებულ ინტერესთა შორის შეჯიბრი ახასიათებს. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიის ხიბლი ისაა, რომ იგი მმართველობის ერთადერთი სისტემაა, რომელსაც რთულ და მუდმივად ცვლად თანამედროვე საზოგადოებებში წონასწორობის შენარჩუნება შეუძლია. დაპირისპირებული ჯგუფებისათვის პოლიტიკური ხმის მიცემით დემოკრატია მათ მჭიდროდ უკავშირებს კონკრეტულ პოლიტიკურ სისტემას და ამგვარად უზრუნველყოფს პოლიტიკურ სტაბილურობას. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებამ დემოკრატიის უფრო ზომიერი თეორიები ჩამოაყალიბა. ამერიკელმა პოლიტოლოგებმა რობერტ დალმა (Dahl, დაიბ. 1915) და ჩარლზ ლინდბლომმა (Lindblom) თანამედროვე დემოკრატიულ სისტემებს "პოლიარქიები" უწოდეს, რაც, ყველა მოქალაქის მმართველობისგან განსხვავებით, მრავალთა მმართველობას გულისხმობს. პოლიარქიისთვის დამახასიათებელია მოქალაქეობის გავრცელება მოზრდილთა საკმაოდ დიდ ნაწილზე. ასევე გამოკვეთილია მოქალაქეების უფლება, დაუპირისპირდნენ მთავრობის ოფიციალურ პირებს და არჩევნების გზით მმართველობას ჩამოაშორონ ისინი. ეს მიმართულება ალბათ შორს დგას ხალხის თვითმმართველობის კლასიკური იდეალისაგან, მაგრამ მას გადამწყვეტი უპირატესობა გააჩნია პასუხისმგებლობისა და საზოგადო გულისხმიერების მყარად შენარჩუნების თვალსაზრისით.

## კლასიკური ლიბერალიზმი

კლასიკური ლიბერალიზმი ყველაზე ძველი ლიბერალური ტრადიციაა. მისი იდეები ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ გარდამავალ პერიოდში განვითარდა, ამ განვითარების კულმინაცია კი მეცხრამეტე საუკუნე, ადრეული ინდუსტრიალიზაციის ეპოქა იყო. ამიტომ კლასიკურ ლიბერალიზმს ზოგჯერ "მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალიზმს" უწოდებენ. კლასიკური ლიბერალიზმის აკვანი გაერთიანებულ სამეფოში დაირწა, იქ, სადაც კაპიტალისტური და ინდუსტრიული რევოლუციები ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა. ეს იდეები ანგლო-საქსურ ქვეყნებში, სახელდობრ, გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყოველთვის უფრო ძირეული იყო, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანაში. და მაინც, კლასიკური ლიბერალიზმი ლიბერალიზმის უბრალოდ მეცხრამეტე საუკუნისათვის დამახასიათებელი ფორმა არ არის, რომლის იდეებიც ახლა მხოლოდ ისტო-

რიულ ინტერესს თუ წარმოშობს. მისი პრინციპები და თეორიები სინამდვილეში მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ ხდება სულ უფრო პოპულარული. ის კი, რასაც ნეოკლასიკურ ლიბერალიზმს, ანუ ნეოლიბერალიზმს ვუწოდებთ, თავდაპირველად ძალზე გავლენიანი იყო გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, საიდანაც დაიწყო კიდეც მისი ფართოდ გავრცელება; ამ პროცესს ნაწილობრივ გლობალიზაციამაც შეუწყო ხელი.

კლასიკური ლიბერალური იდეები მრავალგვარია, მაგრამ მათ არაერთი საერთო ნიშანი გააჩნიათ. პირველი, რაც კლასიკურ ლიბერალებს საერთო აქვთ, ეგოისტური ინდივიდუალიზმის რწმენაა. ადამიანებში ისინი რაციონალური პირადი ინტერესით მოქმედ არსებებს ხედავენ, რომლებსაც თავდაჯერებულობისაკენ გამოკვეთილი მიდრეკილება ახასიათებთ. ამიტომ, მათი ხედვით, საზოგადოება ატომისტურია, უმთავრესად თვითკმარი ინდივიდებისაგან შემდგარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების მახასიათებლები ადამიანური ბუნების უფრო ძირეულ ნიშნებში უნდა ვეძიოთ. კლასიკური ლიბერალების მეორე საერთო ნიშანია ნეგატიური თავისუფლების რწმენა. ინდივიდი თავისუფალია იმდენად, რამდენადაც საკუთარი თავის ბატონ-პატრონია, სხვები არც ხელს უშლიან და არც ზეწოლას ახდენენ მასზე. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ თავისუფლება ამ გაგებით ინდივიდის მიმართ გარეგან შეზღუდვათა არარსებობას ნიშნავს. მესამე ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ის დებულება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო, საუკეთესო შემთხვევაში, თომას ფეინის (Paine) სიტყვებით, "აუცილებელ ბოროტებად" მიიჩნევა. მისი არსებობა აუცილებელია, რადგან ის, სულ მცირე, წესრიგის პირობებს ადგენს. ბოროტება კი იმიტომაა, რომ საზოგადოებას კოლექტიურ ნებას ახვევს თავს და ამით ინდივიდს თავისუფლებასა და პასუხისმგებლობებს უზღუდავს. ასე რომ, კლასიკური ლიბერალები მინიმალური სახელმწიფოს იდეას ქადაგებენ, რომელიც ლოკმა მეტაფორულად "გუშაგს" შეადარა. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს უპირატესი დანიშნულება საშინაო წესრიგის უზრუნველყოფაზე, კონტრაქტების განხორციელებასა და გარედან თავდასხმებისაგან სახელმწიფოს დაცვაზე დადის. სამოქალაქო საზოგადოება მხოლოდ "თავისუფლების სამკვიდროდ" კი არ მოიაზრება სახელმწიფოსთან შედარებით, რომელიც "ძალმომრეობის სამკვიდროა", არამედ მასში აისახება გაწონასწორების პრინციპი. ამის ნათელი გამოხატულებაა კლასიკური ლიბერალების რწმენა, რომ საბაზრო ეკონომიკა თვითრეგულირებადია. და მაინც, კლასიკური ლიბერალიზმი სხვადასხვა დოქტრინიდან და თეორიიდან იღებს სათავეს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ბუნებრივ უფლებათა თეორია
- უტილიტარიზმი
- ეკონომიკური ლიბერალიზმი
- სოციალური დარვინიზმი
- ნეოლიბერალიზმი

## ბუნებრივ უფლებათა თეორია

ლიბერალურ იდეოლოგიაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში მოღვაწე ბუნებრივ უფლებათა თეორეტიკოსებმა, ჯონ ლოკმა ინგლისში და თომას ჯეფერსონმა ამერიკაში. თანამედროვე პოლიტიკოსებს ერთთავად პირზე აკერიათ სიტყვა "უფლებები" და გამუდმებით ითხოვენ მათ. უფლება, მარტივად რომ ვთქვათ, არის ნებართვა, რომელიც ერთ ადამიანს ეძლევა სამოქმედოდ მეორე ადამიანთან მიმართებაში. ასეთი ნებართვები მორალური ან კანონისმიერია. ლოკისა და ჯეფერსონის აზრით, უფლებები "ბუნებრივია", რადგან მათ ბუნება ან ღმერთი არგუნებს ადამიანებს. ბუნებრივ უფლებებს დღეს, საზოგადოდ, ადამიანის უფლებებს ეძახიან. ჯეფერსონის სიტყვებით, უფლებები "განუყოფელია", რადგან ადამიანებს ისინი მხოლოდ მათი ადამიანობის გამო ებოძათ: ამ გაგებით, მათი წართმევა არ შეიძლება. ასე რომ, ბუნებრივი უფლებები ქმნიან ძირეულ პირობებს ჭეშმარიტად ადამიანური არსებობისათვის. ლოკი სამი სახის ბუნებრივ უფლებას განარჩევდა: "სიცოცხლეს, თავისუფლებასა და საკუთრებას". ჯეფერსონს საკუთრება ბუნებრივ ან ღვთივმიმადლებულ უფლებად არ მიაჩნდა; ის თვლიდა, რომ საკუთრების უფლება ადამიანის ინტერესებში შეიქმნა. ამიტომ ამერიკის თავისუფლების დეკლარაციაში განუყოფელ უფლებებად ის ასახელებს "სიცოცხლეს, თავისუფლებასა და ბედნიერებისკენ სწრაფვას".

ბუნებრივი, ანუ ადამიანის უფლებების იდეამ ლიბერალური აზროვნება რამდენადმე შეცვალა. მაგალითად, ამ უფლებების აქცენტირებამ ისეთი ავტორიტარული მოაზროვნე, როგორიც თომას ჰობსი იყო, ადრეულ ლიბერალ ჯონ ლოკს დაუპირისპირა. ადრე უკვე განვმარტეთ, ჰობსიც და ლოკიც ერთნაირად ფიქრობდნენ, რომ მთავრობის საფუძველი "სოციალური კონტრაქტი" უნდა იყოს. მაგრამ, *Leviathan*-ში, (Hobbes, [1651] 1968), რომელიც

ამერიკელი ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე ჯეფერსონი იყო მდიდარი პლანტატორი ვირჯინიიდან. ის გახლდათ 1775 წლის მეორე კონტინენტური კონგრესის დელეგატი, 1779-81 წლებში კი – ვირჯინიის გუბერნატორი. 1789-94 წლებში იყო პირველი სახელმწიფო მდივანი, ხოლო 1801-9 წლებში – ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მესამე პრეზიდენტი. ჯეფერსონი იყო მთავარი ავტორი თავისუფლების დეკლარაციისა; დაწერილი აქვს უამრავი მიმართვა და წერილი.

ჯეფერსონმა განავითარა აგრარიზმის დემოკრატიული ფორმა, რომელშიც იგულისხმებოდა ბუნებრივი არისტოკრატიის მმართველობა შეზღუდული მთავრობითა და *laissez-faire*-ით. იგი სოციალურ რეფორმასაც თანაუგრძნობდა, მომხრე იყო სახალხო განათლების გაფართოებისა, მონობის გაუქმებისა (მიუხედავად იმისა, რომ თავად მონათმფლობელი იყო) და ფართო ეკონომიკური თანასწორობისა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯეფერსონიზმი ნიშნავს ძლიერ ცენტრალურ მთავრობასთან წინააღმდეგობას, პიროვნების თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას, შტატების უფლებების გამოკვეთას.

ინგლისის სამოქალაქო ომის წლებში დაიწერა, ჰობსი ამბობს, რომ მხოლოდ ძლიერ მთავრობას – უმჯობესია, ეს მონარქია იყოს – შეუძლია საზოგადოებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დამყარება. იგი მზად იყო, დაეშვა მეფისათვის სუვერენული ან აბსოლუტური ძალაუფლების გადაცემა, ოღონდ "ბუნების სახელმწიფო" არ ელიარებინა. ამიტომ, მისი აზრით, მოქალაქემ მმართველობის ნებისმიერი ფორმა უნდა მიიღოს, რადგან თვით რეპრესიული მთავრობაც კი უკეთესია, ვიდრე საზოგადოება საერთოდ მთავრობის გარეშე. შესაბამისად, ჰობსი წესრიგის საჭიროებას თავისუფლების სურვილზე მაღლა აყენებდა. მეორე მხრივ, ლოკი თვითნებური ან შეუზღუდავი მმართველობის წინააღმდეგი იყო. მთავრობა სამი ძირითადი უფლების – "სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების" – დაცვის მიზნით იქმნება. თუ სახელმწიფო ამ უფლებებს იცავს, მოქალაქეებმა მთავრობას პატივი უნდა სცენ და მის კანონებს უნდა დაემორჩილონ. იმ შემთხვევაში კი, თუ მთავრობა მოქალაქეთა უფლებებს არღვევს, ამ უკანასკნელთ, თავიანთი მხრივ, უფლება აქვთ, აჯანყდნენ. ამით ლოკი მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისის რევოლუციას ამართლებდა და 1688 წლის კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას მიესალმებოდა. მომდევნო საუკუნეებში ლიბერალები ხშირად მიმართავდნენ ადამიანის უფლებების იდეას, ტირანული მმართველობის წინააღმდეგ მათი ამბოხი რომ გაემართლებინათ.

გარდა ამისა, ლოკის აზრით, კონტრაქტი სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის სპეციფიკური და შეზღუდულია: მისი მიზანია, დაიცვას განსაზღვრული ბუნებრივი უფლებები. ამ გზამ ლოკი შეზღუდული მმართველობის რწმენამდე მიიყვანა. მთავრობის ლეგიტიმური როლი "სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების" დაცვით შემოისაზღვრება. ამიტომ, მთავრობათა ფუნქციები საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისა და საკუთრების დაცვის, გარედან თავდასხმის შემთხვევაში თავდაცვისა და კონტრაქტების განხორციელების უზრუნველყოფის "მინიმალურ" ამოცანებს არ უნდა სცდებოდეს. სხვა საკითხები და პასუხისმგებლობები უკვე ცალკეულ ინდივიდთა საქმეა. ამასვე ამბობდა თომას ჯეფერსონი ერთი საუკუნის შემდეგ: "საუკეთესო ის მმართველობაა, რომელიც ყველაზე ნაკლებად მართავს".

## უტილიტარიზმი

ბუნებრივ უფლებათა თეორიები ერთადერთი საფუძველი არ იყო ადრეული ლიბერალიზმისა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში უტილიტარისტებმა, კერძოდ, ჯერემი ბენთამმა და ჯეიმზ მილმა ადამიანის ბუნების ალტერნატიული და ერთობ გავლენიანი თეორია წამოაყენეს. ბენთამი უფლებათა იდეას "უაზრობად" მიიჩნევდა, ხოლო ბუნებრივ უფლებებს უწოდებდა "უაზრობას ოჩოფეხებზე". მათ ნაცვლად გვთავაზობდა, მისი აზრით, უფრო მეცნიერულ და ობიექტურ იდეას: ინდივიდებს პირადი ინტერესი ამოძრავებთ და ეს ინტერესები შეიძლება განისაზღვროს როგორც სიამოვნების ან ბედნიერების წყურვილი და ტკივილის თავიდან აცილების სურვილი; ორივე შეიძლება აღიწეროს სარგებლიანობის ტერმინებით. სარგებლიანობის პრინციპი, ამასთანავე, მორალური პრინციპიცაა, რადგან გულისხმობს, რომ

ქმედების, პოლიტიკის ან ინსტიტუტთა "მართებულობა" შეიძლება განისაზღვროს იმით, თუ რამდენად უწყობს ხელს ბედნიერების მიღწევას. როგორც ყოველ ინდივიდს შეუძლია დაადგინოს, რა არის ზნეობრივად კარგი, გამომდინარე სიამოვნების იმ ოდენობიდან, რომელსაც ქმედება წარმოშობს. სწორედ ასევე შეიძლება პრინციპი "უდიდესი ბედნიერება უდიდესი რაოდენობისათვის" გამოვიყენოთ იმის დასადგენად, თუ რომელი პოლიტიკა წაადგება საზოგადოებას საზოგადოდ.

უტილიტარულმა იდეებმა ლიბერალიზმს მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია. კერძოდ, მათ მოგვცეს ადამიანის ქცევის ეთიკური ახსნა. უტილიტარული კონცეფცია, რომელიც ადამიანს რაციონალური პირადი ინტერესით მოქმედ არსებად განიხილავს, ლიბერალთა შემდგომმა თაობებმა გაითავისეს. მეტიც, თითოეულ ინდივიდს მიეწერება უნარი, გაარჩიოს, რა არის მისთვის საუკეთესო. მის მაგიერ ამას პატერნალური ძალაუფლებით მოსილი რომელიმე ინსტიტუტი, მაგალითად, სახელმწიფო, ვერ გააკეთებს. ბენთამის აზრით, ინდივიდების ქმედებას განსაზღვრავს ნებისმიერი გზით სიამოვნების ან ბედნიერების მიღწევის სურვილი. მათი ბედნიერების ხარისხს სხვა ვერავინ განსჯის. თუ მხოლოდ ინდივიდმა იცის, რა მოუტანს მას სიამოვნებას, მაშინ მხოლოდ მას შეუძლია განსაზღვროს, რა არის ზნეობრივად მართებული.

მეორე მხრივ, უტილიტარულ იდეებს არალიბერალური ქვეტექსტებიც გააჩნია. ბენთამი მიიჩნევდა, რომ სარგებლიანობის პრინციპი მთელი საზოგადოებისათვის შეიძლებოდა მიგვესადაგებინა და არა მხოლოდ ცალკეული ადამიანის ქცევისათვის. ინსტიტუტებისა და კანონმდებლობის სარგებლიანობის საზომად "უდიდესი ბედნიერება" გამოდგებოდა. უნდა ითქვას, რომ ამ ფორმულაში მაჟორიტარელთა აზრები იგრძნობა რადგან გამოყენებულია "მეტი ოდენობის" ბედნიერება, როგორც ზნეობრივად მართებულის საზომი. გამოდის, დასაშვებია, რომ უმრავლესობის ინტერესებმა გადაწონოს უმცირესობის ინტერესები. ამის საპირისპიროდ, ლიბერალებს მიაჩნიათ, რომ თითოეულ ინდივიდს უნდა ჰქონდეს უფლება, მისდიოს საკუთარ ინტერესს, და არა იმ ინტერესებს, რომლებიც უბრალოდ უმრავლესო-

## უტილიტარიზმი

უტილიტარიზმი ეთიკური მიმდინარეობაა, რომელიც ჯერემი ბენთამმა და ჯეიმზ მილმა განავითარეს. ის "სიკეთეს" – სიამოვნებასა და ბედნიერებასთან, "ბოროტებას" კი ტკივილსა და უბედურებასთან აიგივებს. ასეთი ხედვის შესაბამისად, ადამიანები მოქმედებენ სიამოვნების მაქსიმუმამდე გაზრდისა და ტკივილის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, ეს უკანასკნელნი კი სარგებლიანობის, ანუ გამოყენების ღირებულების საზომით იზომება და, ჩვეულებრივ, აღიქმება როგორც მატერიალური მოხმარებიდან მიღებული კმაყოფილება. "უდიდესი ბედნიერების" პრინციპი შეიძლება გამოვიყენოთ კანონთა, ინსტიტუტთა და თავად პოლიტიკურ სისტემათა შესაფასებლად. *ქმედების* (*act*) უტილიტარიზმის მიხედვით, ქმედება მართებულია, თუ მისით მონიჭებული სიამოვნება ტკივილს აღემატება. *წესის* (*rule*) უტილიტარიზმი ქმედებას მართებულად მიიჩნევს, თუ ის თანხმობაშია წესთან, რომელსაც, მისი საზოგადოდ დაცვის შემთხვევაში, კარგი შედეგები მოაქვს.

ბრიტანელი ფილოსოფოსი, კანონშემოქმედი და უტილიტარიზმის ფუძემდებელი. ბენთამის იდეებმა საფუძველი ჩაუყარა ფილოსოფიურ რადიკალიზმს, რომელსაც უკავშირდება მრავალი რეფორმა სოციალური ადმინისტრაციის, კანონმდებლობისა და მმართველობის სფეროში ვიქტორიანული პერიოდის ინგლისში.

ბენთამმა ბუნებრივი უფლებების თეორიის სავარაუდოდ მეცნიერული ალტერნატივა განავითარა ეთიკური და ფილოსოფიური სისტემის სახით, რომლის ამოსავალია რწმენა, რომ ადამიანები რაციონალური პირადი ინტერესით მოქმედი ქმნილებები არიან, ან მაქსიმალურ სარგებლიანობას ესწრაფვიან. ზოგადი სარგებლიანობის პრინციპზე – "უდიდესი ბედნიერება უდიდესი რაოდენობისთვის" – დაყრდნობით, ის ეკონომიკაში ჩაურევლობის პოლიტიკას, საკონსტიტუციო რეფორმასა და, მოგვიანებით, პოლიტიკურ დემოკრატიას ამართლებდა. უტილიტარიზმის იდეა ბენთამს განხილული აქვს წიგნში *ფრაგმენტები მმართველობის შესახებ* (*Fragments on Government*, 1776). ამ საკითხზე თავის შეხედულებებს იგი უფრო სრულად წარმოგვიდგენს ნაშრომში *ეთიკისა და კანონმდებლობის პრინციპები* (*Principles of Morals and Legislation*, 1789).

ბაში გაჩნდა. ამიტომაც ლიბერალები შიშობენ, რომ ბენთამისეული პრინციპების ზედმიწევნით გატარებას შეიძლება უმრავლესობის ტირანია მოჰყვეს. ერთი რამ ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ: "მეტი ოდენობის" ფაქტორი იძლევა იმის ახსნას, თუ რამ გამოიწვია უტილიტარიზმისაკენ სოციალისტების ლტოლვა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში.

## ეკონომიკური ლიბერალიზმი

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური ეკონომისტების, ადამ სმითისა (Smith, იხ. გვ. 59) და დეივიდ რიკარდოს (Ricardo, 1770-1823) შრომების სახით განვითარება ჰპოვა კლასიკური ეკონომიკის თეორიამ. სმითის *ერთა კეთილდღეობა* (*The Wealth of Nations* [1776], 1976), თამამად შეიძლება ითქვას, ეკონომიკის პირველი სახელმძღვანელო იყო. მისი იდეების სათავე, მნიშვნელოვანწილად, ლიბერალური და რაციონალისტური მოსაზრებებია ადამიანის ბუნების შესახებ. დიდია ამ იდეების როლი კამათში, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებაში მთავრობის სასურველ როლს შეეხება. დრო, რომელშიც სმითი ცხოვრობდა, ეკონომიკურ მოღვაწეობაზე მთავრობის მხრიდან მასშტაბური შეზღუდვებით ხასიათდებოდა. მერკანტილიზმი, მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში გაბატონებული ეკონომიკური იდეა, ხელს უწყობდა მთავრობებს, ჩარეულიყვნენ ეკონომიკურ ცხოვრებაში საქონლის ექსპორტის გაზრდისა და იმპორტის შეზღუდვის მიზნით. სმითის ნაშრომები ეკონომიკურ საკითხებზე სწორედ მერკანტილიზმის წინააღმდეგაა მიმართული; მის სანაცვლოდ მას შემოაქვს პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკა უკეთესად იმუშავებს, თუ მთავრობა მასში არ ჩაერევა.

ადამ სმითი შოტლანდიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი იყო. საზოგადოდ, მას "პირქუში მეცნიერების" დამაარსებლად მიიჩნევენ. ხელმძღვანელობდა ლოგიკის, შემდგომ კი ეთიკის კათედრას გლაზგოს უნივერსიტეტში; ამის მერე გახდა ჰერცოგ ბაკლეჩის კერძო მასწავლებელი; ამან საშუალება მისცა, სწვეოდა საფრანგეთსა და ჟენევას და დაემუშავებინა თავისი ეკონომიკური თეორიები.

*ზნეობრივი განცდის თეორიაში* (*The Theory of Moral Sentiment*, 1759) სმითმა განავითარა მოტივაციის თეორია, რაც იყო მცდელობა იმისა, რომ ადამიანური თავკერძობა უმართავ სოციალურ წესრიგთან შეეჯერებინა. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომია *ერთა კეთილდღეობა* (*The Wealth of Nations*, 1776), რომელშიც საბაზრო ტერმინებით პირველად არის სისტემურად გააზრებული ეკონომიკის პროცესები და ხაზგასმულია შრომის დანაწილების მნიშვნელობა. მართალია, სმითს ხშირად მოიხსენიებენ თავისუფალი ბაზრის თეორეტიკოსად, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მას კარგად ესმოდა *laissez-faire*-ის შეზღუდულობანიც.

სმითი ეკონომიკას განიხილავდა როგორც ბაზარს, უფრო სწორად, როგორც ურთიერთდაკავშირებულ ბაზართა წყებას. მისი აზრით, ბაზარს თავისუფალ ინდივიდთა სურვილები და გადაწყვეტილებები ამუშავებს. თავისუფლება ბაზრის შიგნით არჩევანის თავისუფლებას ნიშნავს: საწარმოები ირჩევენ, რა საქონელი აწარმოონ, მუშა-მოსამსახურეები დამქირავებელს ირჩევენ, მომხმარებელი წყვეტს, რა საქონელი იყიდოს ან რა მომსახურება აირჩიოს. შესაბამისად, ურთიერთობები ასეთ ბაზარზე – დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის, მყიდველსა და გამყიდველს შორის – ნებაყოფლობითია და ეფუძნება კონტრაქტს, რომელსაც პირადი ინტერესის მქონე ადამიანები დებენ, ვისთვისაც სიამოვნება სიმდიდრის მოხვეჭასა და მოხმარებასთან არის გაიგივებული. ამიტომ ეკონომიკურმა თეორიამ "ეკონომიკური ადამიანის" – თავკერძა და მომხვეჭელი არსების – იდეის შემუშავებისას უტილიტარიზმი გამოიყენა.

მიმზიდველი კლასიკურ ეკონომიკაში შემდეგი იყო: მართალია, ყოველი ადამიანი მატერიალურად ანგარებიანია, თავად ეკონომიკას ობიექტური ბერკეტები – საბაზრო ძალები – წარმართავს, რომლებიც, ბუნებრივად, ეკონომიკური აყვავებისა და კეთილდღეობისკენაა მიმართული. მაგალითად, სამომხმარებლო საქონელზე ფასს ერთი ცალკე აღებული მწარმოებელი ვერ დააწესებს – ფასებს ბაზარი ადგენს გასაყიდი საქონლისა და მყიდველთა რაოდენობის გათვალისწინებით. ამათ მომარაგებისა და მოთხოვნილების ძალები ჰქვია. ბაზარი თვითმართვადი მექანიზმია: მას არ სჭირდება ხელმძღვანელობა გარედან. ბაზარი მთავრობის ჩარევისაგან "თავისუფალი" უნდა იყოს, რადგან მას, როგორც ადამ სმითი ამბობდა, "უხილავი ხელი" მართავს. თვითმართვადი ბაზრის ეს იდეა ასახავს ლიბერალურ რწმენას საზოგადოებაში საპირისპირო ინტერესთა შორის ბუნებრივად არსებული ჰარმონიის შესახებ. სმითმა ([1776] 1976) ამ იდეის ეკონომიკური ვერსია ასე დაახასიათა:

ჩვენი სადილი ყასბის, ლუდის მწარმოებლის ან ხაბაზის კეთილმოსურნეობის შედეგი კი არ არის, არამედ მათ მიერ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისა.

"უხილავი ხელი" შემდგომი თაობის ეკონომისტებმა გამოიყენეს იმის ასახსნელად, თუ როგორ შეიძლება ბაზრის მექანიზმების გამოყენებით ისეთ პრობლემათა გადაჭრა, როგორებიცაა უმუშევრობა, ინფლაცია ან გადასახადების დეფიციტის დაბალანსება. უმუშევრობა, მაგალითად, მაშინ იჩენს თავს, როდესაც მუშაობის მსურველნი სჭარბობენ სამუშაო ადგილებს: სხვაგვარად რომ ვთქვათ, მუშახელი უფრო მეტია, ვიდრე მასზე მოთხოვნა. შედეგად, საბაზრო ძალები შრომის "ფასს", ანუ გასამრჯელოს, დაბლა წევს. გასამრჯელოს შემცირებით დამქირავებლებს საშუალება ეძლევათ, მეტი მუშახელი დაიქირავონ. ეს კი უმუშევრობის შემცირებას ნიშნავს. ასე რომ, საბაზრო ძალებს მთავრობის ჩაურევლად შეუძლიათ უმუშევრობის აღმოფხვრა, ოღონდ იმ პირობით, თუ ხელფასების დონე, ისევე როგორც საერთოდ ფასები, მოქნილი იქნება.

მეცხრამეტე საუკუნეში გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისუფალი ბაზრის იდეები ეკონომიკურ ორთოდოქსობაში გადაიზარდა. თავისუფალი ბაზრის იდეის წარმატება *laissez-faire*-ის დოქტრინის დამსახურებაა, რაც ასე ითარგმნება: "დაე, იმოქმედონ". ამ იდეის თანახმად, სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია საერთოდ არ უნდა ჰქონდეს; მან უბრალოდ თავი უნდა დაანებოს ეკონომიკას და მოქმედების სრული თავისუფლება ბიზნესის წარმომადგენლებს მიანიჭოს. *laissez-faire*-ის იდეები ეწინააღმდეგება მეწარმეობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ნებისმიერ ფორმას, მათ შორის ბავშვების დასაქმებასთან, სამუშაო საათებთან და სამუშაო პირობების რაიმენაირ რეგულირებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ასეთი ეკონომიკური ინდივიდუალიზმი, ჩვეულებრივ, მოდის რწმენიდან, რომ შეუზღუდავი სწრაფვა მოგებისაკენ, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს შედეგამდე, რომელიც ყველასათვის სარგებლის მომტანი იქნება. *laissez-faire* თეორიები გაერთიანებულ სამეფოში თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მყარად იყო ფეხმოკიდებული, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი 1930 წლამდე სერიოზული დაბრკოლება არ შეხვედრია. მეოცე საუკუნის დასასრულს ნეოლიბერალიზმის აღზევებამ და მისმა შეტევამ მთავრობის "მკვდარ ხელზე" (ამას ოდნავ ქვემოთ შევეხებით) ისევ გააძლიერა თავისუფალი ბაზრის რწმენა. მე-6 თავში ეკონომიკური ლიბერალიზმის მეორე გამოვლინებას – თავისუფალი ვაჭრობის რწმენას – განვიხილავთ ლიბერალურ ინტერნაციონალიზმთან მიმართებით.

## სოციალური დარვინიზმი

კლასიკური ლიბერალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მისი დამოკიდებულება სიღატაკისა და სოციალური თანასწორობის საკითხებისადმი. ინდივიდუალისტური პოლიტიკური მრწამსი სოციალური გარემოპირობების ახსნას თითოეული ადამიანის ნიჭისა და გარჯის ხარჯზე ცდი-

ლობს. ინდივიდები იმას სჩადიან, რაც სურთ; საკუთარ სიცოცხლეს როგორც უნდათ, ისე განკარგავენ. მუშაობის უნარის მქონე და მოსურნე ადამიანები წარმატებას მიაღწევენ, უუნარონი და ზარმაცები კი – არა. ეს იდეა შთამბეჭდავად აღიბეჭდა სემუელ სმაილსის წიგნის სათაურში *თვითდახმარება* (Smiles, *Self-Help* [1859] 1986), რომელიც ნაცნობი და გამოცდილი შეგონების – "უფალი იმას ეხმარება, ვინც საკუთარ თავს ეხმარება" – შეხსენებით იწყება. მსგავს იდეებს პირადი პასუხისმგებლობის შესახებ ფართოდ მიმართავდნენ *laissez-faire*-ის მიმდევრები მეცხრამეტე საუკუნეში. მაგალითად, რიჩარდ კობდენი (Cobden, 1804-65), ინგლისელი ეკონომისტი და პოლიტიკოსი, მომხრე იყო მუშათა კლასის პირობების გაუმჯობესებისა, მაგრამ მიაჩნდა, რომ ამისთვის უნდა მიეღწიათ "არა იმდენად კანონის მეშვეობით, რამდენადაც საკუთარი მცდელობითა და საკუთარ თავზე დაყრდნობით". ის მუშებს ურჩევდა: "იმედი გქონდეთ არა პარლამენტისა, არამედ მხოლოდ საკუთარი თავისა".

პიროვნული თავდაჯერებულობის იდეების ყველაზე თამამ გამოხატვას ჰერბერტ სპენსერის წიგნი *ადამიანი სახელმწიფოს წინააღმდეგ* (Spencer, *The man versus the State*, [1884] 1940) წარმოადგენს. ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციალური თეორეტიკოსი სპენსერი (1820-1904) ძალ-ღონეს არ ზოგავდა *laissez-faire*-ის დასაცავად. სპენსერის თეორია ინგლისელი მეცნიერის, ჩარლზ დარვინის (1809-82) *სახეობათა წარმოშობაში* (Darwin, *The Origin of Species*, [1859] 1972) ჩამოყალიბებულ იდეებზეა აგებული. დარვინმა შემოგვთავაზა ევოლუციის თეორია, რომელიც ხსნის დედამიწაზე აღმოჩენილ სახეობათა მრავალფეროვნებას. მისი ვარაუდით, ყოველი სახეობა განიცდის შემთხვევითი ფიზიკური და ფსიქიკური ცვლილებების სერიას, ანუ მუტაციებს. ზოგიერთი ცვლილება რომელიმე სახეობას გადარჩენისა და წარმატებით განვითარების პირობას უქმნის: ასეთებს შემგუებლები ეწოდათ. ზოგი მუტაცია ნაკლებ სასარგებლოა და სახეობათა გადარჩენას უფრო რთულს, ხან კი შეუძლებელსაც ხდის. ამიტომ, დედამიწაზე ცოცხალ არსებათა მრავალი სახეობა განვითარდა, მრავალი კი გაქრა. "ბუნებრივი გადარჩევის" პროცესი თავად წყვეტს, რომელ სახეობებს გადაარჩენს ბუნება და რომელს – არა.

თავად დარვინი ამ იდეებს მხოლოდ ბუნებას უსადაგებდა, მაგრამ მალე მათ ახალ სოციალურ თუ პოლიტიკურ თეორიებში გადაინაცვლეს. მაგალითად, სპენსერი ამბობდა, რომ ბუნებრივი გადარჩევის პროცესი საზოგადოებაშიც არსებობს, სადაც მოქმედებს პრინციპი "გადარჩება ყველაზე შემგუებელი". საზოგადოებას ის წარმოადგენდა როგორც ინდივიდთა შორის გადარჩენისათვის ბრძოლას. ისინი, ვისაც ბუნება გადარჩენისათვის საუკეთესო პირობებს უქმნის, განვითარების კიბის თავში ექცევიან, უარეს პირობებში მყოფნი კი იღუპებიან. სიმდიდრის, სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკური ძალაუფლების უთანასწორობანი, შესაბამისად, ბუნებრივი და გარდუვალია. მთავრობა ამ პროცესში ვერანაირად ჩაერევა. უდავოა, რომ ღარიბთა, უმუშევართა და უნიათოთა დახმარების ყველა მცდელობა თავად ბუნების წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავს. ეს პრინციპი თამამად გამოთქვა 1884 წელს სპენსერის ამერიკელმა მოწაფემ უილიამ სამნერმა (Sumner, 1840-1910) სიტყვებით: "ღოთის ადგილი, დიახაც, წუმპეა".

## ნეოლიბერალიზმი

ნეოლიბერალიზმი, რომელსაც ზოგჯერ ნეოკლასიკურ ლიბერალიზმსაც უწოდებენ, 1970-იან წლებში ეკონომიკური ლიბერალიზმის ახალი ძალით აღორძინებას უკავშირდება. ნეოლიბერალიზმი ანტირევოლუციური თეორიაა: მისი მიზანია, შეაჩეროს და შეძლებისდაგვარად რადიკალურად შეცვალოს "დიდი" მთავრობისაკენ სწრაფვა და სახელმწიფო ჩარევის პოლიტიკა, რაც მნიშვნელოვნად დამახასიათებელი იყო მეოცე საუკუნისათვის. თავდაპირველად ნეოლიბერალიზმს უდიდესი წარმატება ჰქონდა იმ ორ სახელმწიფოში, სადაც თავისუფალი ბაზრის ეკონომიკური პრინციპები ძალზე მყარად დაინერგა მეცხრამეტე საუკუნეში. ეს სახელმწიფოებია გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები. გაერთიანებულ სამეფოში ის "თეტჩერიზმის", შეერთებულ შტატებში კი "რეიგანიზმის" სახით მოგვევლინა. უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში ნეოლიბერალიზმი უფრო დიდი, ახალი მემარჯვენე იდეოლოგიის პროექტის ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მიზანიც იყო *laissez-faire*-ზე დამყარებული ეკონომიკის შერევა არსებითად კონსერვატიულ სოციალურ ფილოსოფიასთან. ამ პროექტს მე-3 თავში განვიხილავთ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ნეოლიბერალიზმი ახალი მემარჯვენე მოძრაობის უბრალოდ ერთი დიდი განშტოება არ არის. ის უფრო მასშტაბურმა ძალებმა ჩამოაყალიბა, კერძოდ, ეკონომიკური გლობალიზაციის ძალებმა. მისი გავლენა იგრძნობა როგორც ლიბერალურ და სოციალისტურ პარტიებზე, ისე კონსერვატიულზეც; ეს გავლენა ანგლო-ამერიკულ მიწა-წყალსაც გასცდა.

ნეოლიბერალიზმი საბაზრო ფუნდამენტალიზმის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს. ბაზარი მორალურად და პრაქტიკულად მთავრობაზე და საერთოდ პოლიტიკური კონტროლის რაიმე ფორმაზე მაღლა დგას. ამ გაგებით, ნეოლიბერალიზმი კლასიკური ეკონომიკური თეორიის ჩარჩოებს სცილდება. მაგალითად, ადამ სმითი, თუმც კი სრულიად სამართლიანად ითვლება საბაზრო ეკონომიკის მამამთავრად, ბაზრის ნაკლოვანებებსაც აღიარებდა და, რა თქმა უნდა, სულაც არ იზიარებდა ადამიანის ბუნების მაქსიმალური სარგებლიანობის უხეშ მოდელს. ნეოლიბერალთა თვალთახედვით, მთავრობას მრავალი განსხვავებული ნაკლი აქვს. თავისუფალი ბაზრის ეკონომისტებმა, მათ შორის ფრიდრიხ ჰაიეკმა (იხ. გვ 108) და ამერიკელმა ეკონომისტმა მილტონ ფრიდმანმა (Friedman, 1962), მთავრობის ეკონომიკური როლის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ჰაიეკმა (1944) მამხილებელი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიტიკა წამოიწყო, კონკრეტულად, ცენტრალური დაგეგმვისა და, საზოგადოდ, ეკონომიკური ჩარევის წინააღმდეგ. მისი აზრით, დაგეგმვა ნებისმიერი ფორმით, საბოლოო ჯამში, ეკონომიკურად არაეფექტურია; სახელმწიფო ბიუროკრატები, როგორი კომპეტენტურებიც უნდა იყვნენ, იმდენად მრავალგვარ ინფორმაციას ეხებიან, რომ მას, უბრალოდ, თავს ვერ გაართმევენ. ჰაიეკის აზრით, ეკონომიკაში ჩარევა ინდივიდის თავისუფლებისათვის ყველაზე სერიოზული მუქარაა, რადგან ეკონომიკური ცხოვრების გაკონტროლების ნებისმიერი მცდელობა სახელმწიფოს გარდაუვლად ჩაითრევს არსებობის სხვა სფეროებში და სა-

ბოლოოდ ტოტალიტარიზმამდე მიიყვანს (იხ. გვ. 263). ფრიდმანი კეინზიანიზმს (იხ. გვ. 72) აკრიტიკებდა იმის გამო, რომ "დაბეგვრისა და ხარჯვის" პოლიტიკა ხელს უწყობს ინფლაციას იმით, რომ მთავრობას უბიძგებს, სულ უფრო მეტი სესხი აიღოს იმავდროულად უმუშევრობის "ბუნებრივ დონეზე" ზემოქმედების გარშე. საზოგადოების არჩევანის თეორეტიკოსები, უტილიტარიზმის გავლენით, საზოგადოების ინტერესისადმი მთავრობის არასწორ დამოკიდებულებას აკრიტიკებენ და მისი ლეგიტიმურობის საკითხს აყენებენ. რადგან ადამიანები რაციონალური პირადი ინტერესით მოქმედი არსებები არიან, მთავრობის წარმომადგენლები თავის მდგომარეობას აუცილებლად საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენებენ და არა – საზოგადოებისა. ეს იმას ნიშნავს, რომ "დიდი" მთავრობის ჩამოყალიბება დემოკრატიული წნეხის გამო, ან კაპიტალიზმის ცთომილებათა გამოსასწორებლად კი არ მომხდარა, არამედ, როგორც წესი, საჯარო სექტორის მუშაკთა კარიერისკენ სწრაფვის შედეგია.

ამის საპირისპიროდ, ბაზარს თითქმის სასწაულებრივი თვისებები აქვს. ეს თვისებები, პირველ რიგში, ხანგრძლივი წონასწორობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. ბაზარი თვითმართვადია. სმითის "უჩინარი ხელის" იდეის ისევ შემოტანით ჰაიეკმა ბაზარი უზარმაზარ ნერვულ სისტემას შეადარა, რომელსაც ეკონომიკის მართვა შეუძლია, რადგან ფასის მექანიზმის მეშვეობით ერთდროულად თითქმის უსასრულო რაოდენობის ინფორმაციის გადაცემა შეუძლია. მეორეც, ბაზარი ბუნებრივად ეფექტური და პროდუქტიულია. საბაზრო ეკონომიკა ეფექტურია მაკროეკონომიკურ დონეზე იმიტომ, რომ რესურსები გამალებით მიედინება იქით, სადაც ყველაზე მეტი სარგებელია და კიდევ იმიტომ, რომ მდიდრებსაც და ღარიბებსაც მუშაობის ერთნაირი სტიმული აქვთ. მიკროეკონომიკურ დონეზე კერძო ბიზნესი, თავისთავად, საზოგადოებრივ სტრუქტურებზე უფრო ეფექტურია, რადგან კერძო ბიზნესს მართავს მოგების ინტერესი, რაც მას ფასების დაბალ დონეზე შენარჩუნებას აიძულებს, გადასახადების გადამხდელნი კი, თავის მხრივ, ყოველთვის სახელმწიფოს დაზარალებას არჩევენ. მესამეც, ბაზარი მგრძნობიარე მექანიზმია, დემოკრატიულიც კი. კონკურენცია მოითხოვს, რომ მეწარმეებმა მხოლოდ ის აწარმოონ, რაზეც მოთხოვნილებაა; ფასებიც მსყიდველობითი უნარის შესაბამისი უნდა იყოს. მოკლედ, მომხმარებელი მეფეა. დაბოლოს, ბაზარი კეთილსინდისიერებასა და ეკონომიკურ სამართლიანობას ამკვიდრებს. ის ყველა ადამიანს აძლევს შანსს, თავისი ნიჭისა და გარჯის წყალობით აღზევდეს ან დაეცეს. ამგვარად, მატერიალური უთანასწორობა უბრალოდ კაცობრიობისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ უთანასწორობას ასახავს.

ნეოლიბერალური იდეებისა და სტრუქტურების უკან მთავარი მამოძრავებელი ძალა – ეკონომიკური გლობალიზაცია – დგას. გლობალიზაციამ ეროვნული ეკონომიკები გლობალურ ეკონომიკაში ერთმანეთს გადააჯაჭვა, სადაც წარმოება ინტერნაციონალიზებულია, ხოლო კაპიტალი ერთი ქვეყნიდან მეორეში თავისუფლად, ხშირად დაუბრკოლებლად გადაედინება. ფილიპ ბობიტის (Bobbit, 2002) აზრით, ამან ხელი შეუწყო ერი-სახელმწიფოს ჩანაცვლებას "საბაზრო სახელმწიფოთი", რომლის როლი ოდნავ მე-

ტია, ვიდრე ინდივიდთათვის ხელმისაწვდომ არჩევანთა მაქსიმუმამდე გაზრდის მცდელობა. გლობალიზაციის გავრცელებას წანამძღვრები 1970-იან წლებში ბრეტონ ვუდსის შეთანხმების მარცხმა შეუქმნა. ლაპარაკია შეთანხმებაზე მყარ სავალუტო კურსთა შესახებ, რომელიც 1945 წლიდან მოყოლებული საერთაშორისო ეკონომიკის სტაბილურობას უზრუნველყოფდა. ამის შედეგად, თავისუფალი ბაზრისა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებზე დამყარებული ნეოგლობალური ეკონომიკის იდეას ეზიარა გლობალურ ეკონომიკურ მართვაში შემავალი ინსტიტუტები, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და 1995 წლიდან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (ოფიციალური სახელწოდებით GATT). ასე რომ, გლობალიზაცია და ნეოლიბერალიზმი გვერდიგვერდ მიაბიჯებს. ეს პროცესი XX ს-ის 90-იან წლებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში, ლათინურ ამერიკასა და განვითარებადი სამყაროს უმეტეს ნაწილში საბაზრო პრინციპებზე ეკონომიკათა მასობრივი რესტრუქტურიზაციით დაგვირგვინდა. ის, რომ ნეოლიბერალიზმმა ბაზარზე ორიენტირებული გლობალური კაპიტალიზმის პრინციპები შეუზღუდავად მიიღო, იმის ნიშანია, რომ ის საგრძნობლად დასცილდა ვიწრო ეკონომიკურ ლიბერალიზმს, რომლის ინტერესთა სფერო შედარებით შეზღუდულია. მაგალითად, ნეოლიბერალები თავს არ იტკივებენ ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მზარდი ძალაუფლების დემოკრატიულობაზე ფიქრით, არც იმ სირთულეზე ამახვილებენ ყურადღებას, რომელიც ახლავს თავაშვებული მომხმარებლობისა და კონკურენტული ინდივიდუალიზმის მორიგებას ადამიანური წარმატებულობის რაიმე ღირებულ წარმოდგენასთან; არც იმ საფრთხეს დაგიდევენ, რომელიც ეკონომიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებას ემუქრება გლობალური საქონლის გაჩენითა და გაერთიანება-მონოპოლიზაციის ტენდენციით. ყოველივე ეს შეიძლება უბრალოდ იმ გამორჩეულ ზნეობრივ სენტიმენტებს ააშკარავებდეს, რომლებსაც ლიბერალიზმი ავლენს დროდადრო, როდესაც სოციალისტური და ავტორიტარული საზოგადოებების ნაკლოვანებათა გამომზეურებას არჩევს და არა – კაპიტალისტურისას.

## თანამედროვე ლიბერალიზმი

თანამედროვე ლიბერალიზმს ზოგჯერ "მეოცე საუკუნის ლიბერალიზმსაც" უწოდებენ. კლასიკური ლიბერალიზმის მსგავსად, რომლის განვითარებაც მჭიდრო კავშირში იყო ინდუსტრიული კაპიტალიზმის წარმოშობასთან მეცხრამეტე საუკუნეში, თანამედროვე ლიბერალური იდეებიც ინდუსტრიალიზაციის შემდგომ განვითარებას უკავშირდებოდა. ინდუსტრიალიზაცია ზოგიერთისათვის დიდძალი სიმდიდრის შეძენას მოასწავებდა, მაგრამ ამავე დროს მან ჯურღმულები, სიღატაკე, უმეცრება და ავადმყოფობებიც გააჩინა. უკვე რთული იყო სოციალური უთანასწორობის უგულებელყოფა, იმისა, როგორ იტანჯებოდა მზარდი ინდუსტრიული მუშათა კლასი დაბალი ანაზღაურების, უმუშევრობისა და ცუდი სამუშაო თუ საცხოვრებელი

პირობების გამო, რომლებიც დღითი დღე კიდევ უფრო უარესდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან დაწყებული, ამ მოვლენებმა გავლენა იქონია ბრიტანულ ლიბერალიზმზე, სხვა ქვეყნებში კი შედეგმა დააგვიანა; მაგალითად, ამერიკულ ლიბერალიზმს XX ს-ის 30-იანი წლების დეპრესიამდე მკვეთრი ცვლილება არ განუცდია. ასეთ ცვლად ისტორიულ გარემოში ლიბერალებს სულ უფრო უჭირდათ მტკიცება, რომ ინდუსტრიულმა კაპიტალიზმმა საყოველთაო კეთილდღეობა და თავისუფლება მოიტანა. შესაბამისად, მრავალმა ლიბერალმა შეიცვალა აზრი იმის თაობაზე, რომ პირადი ინტერესისკენ შეუზღუდავი სწრაფვა სოციალურად სამართლიან საზოგადოებას შექმნიდა. ხოლო რადგან ეკონომიკური ინდივიდუალიზმის იდეა სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას ხვდებოდა, ლიბერალებმა სახელმწიფოსაც სხვაგვარად დაუწყეს ყურება. კლასიკური თეორიის მინიმალურ სახელმწიფოს აღარ შეეძლო გამოესწორებინა სამოქალაქო საზოგადოების უსამართლობა და უთანასწორობა. ამიტომ თანამედროვე ლიბერალები მზად იყვნენ დაეცვათ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისა და ხელშეწყობის იდეა.

თანამედროვე ლიბერალიზმს ორი სრულიად განსხვავებული ასპექტით აფასებენ. კლასიკური ლიბერალები თვლიან, რომ მან ეფექტურად გაწყვიტა კავშირი ლიბერალიზმის პირვანდელ პრინციპებსა და დოქტრინებთან. კერძოდ, უარი თქვა ინდივიდუალიზმზე და კოლექტივიზმს მიემხრო (იხ. გვ. 124). თანამედროვე ლიბერალები აღნიშნავენ, რომ ზურგი კი არ აქციეს კლასიკურ ლიბერალიზმს, არამედ განავითარეს იგი. ამ თვალსაზრისით, თუკი კლასიკური ლიბერალიზმი წმინდა თეორიული თანმიმდევრულობით ხასიათდება, თანამედროვე ლიბერალიზმი ახალი და ძველი ლიბერალიზმის ერთგვარი ნაჯვარია და თავის თავში იდეოლოგიურ და თეორიულ წინააღმდეგობებს მოიცავს. თანამედროვე ლიბერალიზმის დამახასიათებელი იდეებია:

- ინდივიდუალობა
- პოზიტიური თავისუფლება
- სოციალური ლიბერალიზმი
- ეკონომიკური მართვა

## ინდივიდუალობა

"ლიბერალიზმის გული" – ასე აღწერდნენ ჯონ სტიუარტ მილის იდეებს. მილმა ასეთი შეფასება იმით დაიმსახურა, რომ მან "ხიდი" გადო კლასიკურსა და თანამედროვე ლიბერალიზმს შორის. მისი იდეები წარსულსაც – მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს – ასახავს და მომავლისაკენ, მეოცე საუკუნისკენაცაა მიპყრობილი. მილი მრავალ საკითხზე მუშაობდა, პოლიტიკური ეკონომიკიდან დაწყებული და ქალთა საარჩევნო უფლებებით დამთავრებული, მაგრამ მილის წვლილზე თანამედროვე ლიბერალურ აზროვნებაში ყველაზე კარგად ის იდეები მეტყველებს, რომლებიც მან განავითარა ნაშრომში *თავისუფლების შესახებ* (Mill, *On Liberty*, [1859] 1972). ეს ნაშრომი შეიცავს ზოგიერთ მეტად თამამ განცხადებას, რომელსაც ლიბერალები აკეთებენ ინ-

დივიდის თავისუფლების სასარგებლოდ. მილი ფიქრობდა, რომ "ინდივიდი თავად განკარგავს საკუთარ თავს, თავის სხეულსა და სულს" (1972, გვ. 73). თავისუფლების ეს კონცეფცია არსებითად ნეგატიურია, რადგან თავისუფლებაში ადამიანის "ეგოისტური" ქმედებების შეუზღუდაობას გულისხმობს. მილის აზრით, ეს თავისუფლების აუცილებელი, თუმცა თავისთავად არასაკმარისი პირობაა. მილი თავისუფლებას პოზიტიურ და კონსტრუქტიულ ძალად თვლიდა, რადგან ადამიანებს საკუთარი სიცოცხლის მართვის, დამოუკიდებლობის მოპოვებისა და შესაძლებლობათა განვითარების უნარს ანიჭებდა.

მილზე ძლიერი გავლენა ჰქონდა ევროპულ რომანტიზმს; მისთვის ის დებულება, რომ ადამიანი მაქსიმალური სარგებლიანობისკენაა მიდრეკილი, არაფრისმთქმელი და არადამაჯერებელია. მას მხურვალედ სწამდა, რომ თითოეული ადამიანი ინდივიდუალური, გამორჩეული, უნიკალურიც კია. თავისუფლების ღირებულება სწორედ იმაშია, რომ ის ადამიანს განვითარების, ნიჭის, უნარისა და ცოდნის შეძენისა და გრძნობების დახვეწის საშუალებას აძლევს. მილი ბენთამის უტილიტარიზმს არ ეთანხმებოდა, რადგან ბენთამის აზრით, ქმედებები ერთმანეთისგან მხოლოდ იმ სიამოვნებისა თუ ტკივილის ოდენობით განირჩევა, რომელსაც ისინი წარმოქმნიან. მილი ლაპარაკობს "უმაღლეს" და "უმდაბლეს" სიამოვნებებზე. მილის საზრუნავი იმგვარი სიამოვნების ხელშეწყობა იყო, რომელიც ინდივიდის ინტელექტუალურ, მორალურ ან ესთეტიკურ შეგრძნებებს ავითარებს. მას აინტერესებდა არა უბრალო სიამოვნებისაკენ სწრაფვა, არამედ ადამიანის თვითგანვითარება და იგი აცხადებდა, რომ ამჯობინებდა, ყოფილიყო "უკმაყოფილო სოკრატე, ვიდრე კმაყოფილი სულელი". არსებითად, მან ჩაუყარა საფუძველი ინდივიდუალიზმის განვითარებად მოდელს, რომლის მთავარი მიმართულება ადამიანური წარმატება უფრო იყო, ვიდრე ინტერესთა ყოვლად უაზრო დაკმაყოფილება. და მაინც, მილი არ ასკვნიდა, თითქოს სახელმწიფომ უნდა იკისროს ვალდებულება, ადამიანებს პირადი ზრდისა და "უმაღლესი" სიამოვნებისაკენ გაუძღვეს; ტოკვილის არ იყოს, მასაც ეშინოდა, რომ საზოგადოებაში კონფორმიზმი მოიკიდებდა ფეხს. მაგალითად, მართალია, განათლების გავრცელების მომხრე იყო და მიაჩნდა, რომ განათლების მიღება საუკეთესო გზაა ინდივიდის სრულყოფისათვის, იგი შიშობდა, რომ სახელმწიფო განათლების შემთხვევაში უბრალოდ ყველას ერთნაირი შეხედულებები და წარმოდგენები ჩამოუყალიბდებოდა.

## პოზიტიური თავისუფლება

ადრეულ ლიბერალურ აზროვნებასთან მკვეთრი გამიჯვნა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ხდება, რაც ინგლისელი ფილოსოფოსის ტ. ჰ. გრინის (Green, 1836-82) შრომას უკავშირდება. ამ შრომამ გავლენა იქონია ე. წ. "ახალ ლიბერალ" მოაზროვნეთა თაობაზე ლ. ტ. ჰობჰაუსისა (Hobhouse, 1864-1929) და ჯ. ა. ჰობსონის (Hobson, 1854-1940) სახით. გრინის აზრით, კლასიკური ლიბერალიზმისათვის დამახასიათებელმა მოგებისკენ შეუზღუდავმა სწრაფვამ სიღატაკისა და უსამართლობის ახალი სახეები წარმოშვა. მცირეთა

ეკონომიური თავისუფლება მასის სასიცოცხლო შესაძლებლობებს თრგუნავდა. ჯ. ს. მილის მსგავსად, ისიც უარყოფდა ადრეულ ლიბერალურ წარმოდგენას, თითქოს ადამიანი არსებითად მაქსიმალური სარგებლის სურვილით იყოს შეპყრობილი და ადამიანის ბუნების უფრო ოპტიმისტურ შეფასებას გვთავაზობს. ინდივიდები, ამბობს გრინი, ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილნი არიან; მათ ახასიათებთ ალტრუიზმი. ინდივიდს აქვს სოციალური და არა უბრალოდ ინდივიდუალური ვალდებულებები, ამდენად, სხვა ინდივიდებთან მზრუნველობა და თანაგრძნობა აკავშირებს. ადამიანის ბუნების ასეთ კონცეფციაში აშკარად იკვეთება სოციალისტური იდეების კვალი, რომლებიც ადამიანთა მოდგმის ბუნებაში თანაზიარობისა და თანამშრომლობის თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას. ამიტომაა, რომ გრინის იდეებს "სოციალისტურ ლიბერალიზმს" უწოდებენ.

გრინი თავისუფლების კლასიკურ ლიბერალურ წარმოდგენასაც აკრიტიკებს. ნეგატიური თავისუფლება ინდივიდს უბრალოდ გარეგანი შეზღუდვებისაგან ათავისუფლებს და არჩევანის თავისუფლებას ანიჭებს. იმ წარმოებებთან დაკავშირებით, რომელთა მიზანიც მაქსიმალური მოგებაა, ნეგატიური თავისუფლება ამართლებს რაც შეიძლება იაფი მუშახელის დაქირავებას – მაგალითად, მოზრდილთა ნაცვლად ბავშვების, ან მამაკაცების ნაცვლად ქალების დასაქმებას. ამიტომ ეკონომიკურმა თავისუფლებამ შესაძლებელია ექსპლუატაციამდე მიგვიყვანოს. გრინის აზრით, სამუშაო კონტრაქტებს თავისუფალი და თანასწორი ადამიანები არ დებენ. მუშები ხშირად იძულებულნი არიან, სამუშაოზე თანხმობა განაცხადონ, რადგან მათი ერთადერთი ალტერნატივა სიღატაკე და შიმშილია, მაშინ როცა დამქირავებელს, ჩვეულებრივ, მდიდარი არჩევანი აქვს. ამდენად, ბაზარზე არჩევანის თავისუფლების ცნება ადამიანის თავისუფლების არაადეკვატური წარმოდგენაა.

ნეგატიურის ნაცვლად გრინმა პოზიტიური თავისუფლების იდეა შემოგვთავაზა. თავისუფლება არის ადამიანის უნარი, განვითარდეს და მიაღწიოს ინდივიდუალობას; ის ასევე გულისხმობს ინდივიდუალური პოტენციალის გამოვლენის, უნარებისა და ცოდნის მოპოვებისა და სრულყოფილების მიღწევის შესაძლებლობას. შეუზღუდავი კაპიტალიზმი ინდივიდებს შესაძლებლობათა განვითარებისათვის განსხვავებულ პირობებს უქმნის. მაგალითად, მუშათა შესაძლებლობების განვითარებას აფერხებს სიღატაკე, ავადმყოფობა, უმუშევრობა და უმეცრება. გარეგანი შეზღუდვებისაგან ინდივიდის გათავისუფლებით ნეგატიურმა თავისუფლებამ შესაძლებელია მოგვცეს უბრალოდ შიმშილის თავისუფლება, მაშინ როცა პოზიტიური თავისუფლება ძალმოსილს ხდის ინდივიდს და იცავს იმ სოციალურ უკულმართობათაგან, რაც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს. ასეთ შეფასებას ვკითხულობთ, მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში გამოქვეყნებულ *ბევერიჯის მოხსენებაში* (*Beveridge Report*, 1942) – გაფართოებული კეთილდღეობის ქვეყნის ერთგვარ მონახაზში – რომელმაც ე. წ. "ხუთ დევს" შეუტია: გაჭირვებას, ავადმყოფობას, უმეცრებას, სიღატაკესა და უსაქმურობას.

თუ საბაზრო გარემო ინდივიდებს ზრდისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს ვერ უქმნის, თანამედროვე ლიბერალთა აზრით, ამის მიღ-

წევა მხოლოდ მთავრობის მიერ ორგანიზებული კოლექტიური ზომებით შეიძლება. გერმანელი ფილოსოფოსის, ჰეგელის (1770-1831) გავლენით, ვისი აზრითაც სახელმწიფო მორალური იდეაა, რომელიც საზოგადოების კოლექტიურ მისწრაფებებს აერთიანებს, გრინი სახელმწიფოს მოქალაქეთა წინაშე სოციალურ ვალდებულებებს აკისრებდა. სახელმწიფო ინდივიდის თავისუფლებისთვის საფრთხეს კი არ წარმოადგენს, გარკვეული გაგებით, ამ თავისუფლების გარანტია. ადრეული ლიბერალებისაგან განსხვავებით, თანამედროვე ლიბერალები სახელმწიფოს უყურებენ პოზიტიურად, როგორც ხელისშემწყობ სახელმწიფოს, რომელიც პასუხისმგებელია ფართო სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე.

ამან კლასიკური ლიბერალური თეორიების გადასინჯვა მოითხოვა, თუმცა ამას ძირეული ლიბერალური იდეებისთვის ზურგის შექცევა არ მოჰყოლია. თანამედროვე ლიბერალიზმი სოციალიზმს დაუახლოვდა, მაგრამ მან საზოგადოება ინდივიდს არ დაუპირისპირა. მაგალითად, გრინის შეხედულებებში თავისუფლება, საბოლოო ჯამში, ინდივიდის ზნეობრივ ქცევას ნიშნავდა. სახელმწიფოს არ შეუძლია აიძულოს ადამიანები, იყვნენ კარგები, მას მხოლოდ პირობების შექმნა შეუძლია, რომლებშიც ისინი უფრო საპასუხისმგებლო მორალურ გადაწყვეტილებებს მიიღებენ. სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის თანაფარდობა შეიცვალა, მაგრამ უცვლელი დარჩა ძირითადი ვალდებულებები ინდივიდის მოთხოვნილებებისა და ინტერესების წინაშე. თანამედროვე ლიბერალები კლასიკურ ლიბერალებს ემხრობიან და პრიორიტეტს ანიჭებენ თავდაჯერებულ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ სიცოცხლეზე პასუხისმგებლობას თავზე იღებენ; მაგრამ, კლასიკური ლიბერალების შეხედულებისაგან განსხვავებით, ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სოციალური პირობები საამისო გარემოს ქმნის. მაშასადამე, თანამედროვე ლიბერალიზმის მთავარი დებულება ასეთია: ინდივიდებს დახმარება სჭირდებათ, რომ საკუთარ თავს დაეხმარონ.

## სოციალური ლიბერალიზმი

მეოცე საუკუნე მომსწრეა სახელმწიფოს ინტერვენციის (ჩარევის) ზრდისა დასავლეთის თითქმის ყველა და მრავალ განვითარებად ქვეყანაში. ამ ჩარევამ ძირითადად სოციალური კეთილდღეობის სახე მიიღო: იგულისხმება მთავრობის მცდელობები, რომლებიც მოქალაქეთა სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით სიღარიბის, ავადმყოფობისა და უმეცრების დაძლევაში გამოიხატება. თუ მეცხრამეტე საუკუნისათვის მინიმალური სახელმწიფოს იდეა იყო დამახასიათებელი, მეოცე საუკუნეში დამკვიდრდა საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ცნება. ეს მრავალმა ისტორიულმა და იდეოლოგიურმა ფაქტორმა განაპირობა. მაგალითად, მთავრობები ცდილობენ გაზარდონ ეროვნული პროდუქტი, უზრუნველყონ მეტი ჯანსაღი მუშახელი და ძლიერი ჯარი. ისინი აღმოჩნდნენ ამომრჩეველთა ზეწოლის ქვეშაც: სოციალური რეფორმის გატარებას ითხოვდა ახლად საარჩევნო უფლებამინიჭებული საწარმოო მუშახელიცა და ზოგჯერ – გლეხობაც. პოლიტიკური არგუმენტი საყოველთაო კეთილდღეობის იდეის

სასარგებლოდ რომელიმე ცალკე აღებული იდეოლოგიის პრეროგატივა არასოდეს ყოფილა. მას სხვადასხვა სახით აყენებდნენ სოციალისტები, ლიბერალები, კონსერვატორები, ფემინისტები და დროდადრო ფაშისტებიც კი. ლიბერალურ იდეოლოგიაში სოციალური კეთილდღეობის საკითხის წამოჭრა თანამედროვე ლიბერალებს მიეწერებათ, რითაც ისინი მკვეთრად განსხვავდებიან კლასიკური ლიბერალებისაგან, რომლებიც თვითდახმარებისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სიქველეებს განადიდებდნენ.

თანამედროვე ლიბერალები საყოველთაო კეთილდღეობის იდეას საფუძვლად თანასწორი შესაძლებლობის პრინციპს უდებენ. იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული ინდივიდები ან ჯგუფები სოციალური პირობების გამო ზარალდებიან, სახელმწიფოს ეკისრება სოციალური პასუხისმგებლობა, შეამციროს ან აღკვეთოს ზიანი. და მაინც, თანამედროვე ლიბერალებს სწამთ, რომ მთავრობის მოვალეობების ასეთი გაფართოება ინდივიდთა უფლებებს არ ამცირებს, პირიქით – აფართოებს. მოქალაქეებს უჩნდებათ მთელი რიგი სოციალური უფლება, როგორებიცაა შრომის, განათლებისა და ნორმალური საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლებები. კლასიკურ ლიბერალებს, საპირისპიროდ ამისა, სწამთ, რომ მოქალაქეებს მხოლოდ ნეგატიური უფლებები აქვთ, ანუ უფლებები, რომლებიც მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვაზეა დამოკიდებული. ეს შეეხება იმ ტრადიციულ სამოქალაქო თავისუფლებათა უმრავლესობას, რომლებსაც ლიბერალები აღიარებენ და პატივს სცემენ, მაგალითად, სიტყვის თავისუფლებას, რელიგიური აღმსარებლობის უფლებასა და შეკრებების თავისუფლებას. ეს უფლებები "კერძო სფეროს" შეადგენს, რომელსაც მთავრობა არ უნდა ეხებოდეს. მეორე მხრივ, სოციალური კეთილდღეობის უფლებები პოზიტიური უფლებებია, რადგან მათი დაკმაყოფილება მხოლოდ მთავრობის პოზიტიური ქმედებებით შეიძლება სახელმწიფო პენსიათა, დახმარებათა და სულაც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ჯანდაცვისა და განათლების უზრუნველყოფით.

მეოცე საუკუნეში სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეს, ჩვეულებრივ, ლიბერალური პარტიები და ლიბერალური მთავრობები ედგა სათავეში. გაერთიანებულ სამეფოში საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს საფუძველი პირველ მსოფლიო ომამდე ასქვითის ლიბერალურმა მთავრობამ ჩაუყარა, რომელმაც მოხუცებულობის პენსიები და ჯანდაცვისა და უმუშევრობის შეზღუდული სადაზღვევო სისტემა შემოიღო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაერთიანებულ სამეფოში ატლის ლეიბორისტულმა მთავრობამ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო განავრცო 1942 წლის ბევერიჯის მოხსენების საფუძველზე. მოხსენების ავტორი გახლდათ თანამედროვე ლიბერალი უილიამ ბევერიჯი (1879-1963). შეიქმნა პირობები სოციალური უზრუნველყოფის საფუძვლიანი სისტემის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ყველა მოქალაქეს "აკვნიდან სამარემდე" მოიცავდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ლიბერალური კეთილდღეობის იდეა XX ს-ის 30-იან წლებში განვითარდა ფ. დ. რუზველტის პრეზიდენტობის წლებში. ეკონომიკური ინდივიდუალიზმისა და თვითდახმარების იდეები მეოცე საუკუნეშიც კარგა ხანს გაბატონებულ იდეებად რჩებოდა, მაგრამ რუზველტის "ახალი კურსის" (New Deal) პოლიტიკამ უმუშევრებს, მოხუცებს,

ბავშვებს, ქვრივებსა და უსინათლოთ მდგომარეობა შეუმსუბუქა. ახალი კურსის ლიბერალიზმი რუზველტის სიკვდილის (1945) შემდეგაც მოქმედებდა და პიკს XX ს-ის 60-იან წლებში ჯონ კენედის "ახალი საზღვრის" (New Frontier) პოლიტიკისა და ლინდონ ჯონსონის პროგრამის "დიდი საზოგადოება" (Great Society) სახით მიაღწია. ამ უკანასკნელის მთავარი მიზანი ამერიკელი ზანგების სამოქალაქო უფლებების გაუმჯობესება და ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში სიღარიბისა და სიღატაკის დაძლევა იყო.

თანამედროვე ლიბერალიზმი, გარკვეული გაგებით, ხიდს დებს ლიბერალიზმსა და სოციალიზმს შორის. მეოცე საუკუნის ბოლოს "ახალი" ლიბერალები, მაგალითად, ფაბიანური სოციალიზმის იდეის გავლენას განიცდიდნენ. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ე. წ. სოციალურ-დემოკრატიული ლიბერალიზმის წარმოშობამ თანამედროვე ლიბერალიზმისა და სოციალიზმის გადაკვეთა განსაკუთრებით შესამჩნევი გახადა; ამ მხრივ საყურადღებოა ჯონ როულსის შრომები. სოციალურ-დემოკრატიულ ლიბერალიზმს ახასიათებს შედარებითი სოციალური თანასწორობის იდეის წინ წამოწევა, რომელსაც, ჩვეულებრივ, სოციალიზმის განმსაზღვრელ ღირებულებად მიიჩნევენ. *სამართლიანობის თეორიაში* (Rawls, *Theory of Justice*, 1970), როულსმა განავითარა რედისტრიბუციისა და სოციალური უზრუნველყოფის პრინციპთა დაცვა, რასაც საფუძვლად დაუდო იდეა: "თანასწორობა, როგორც სამართლიანობა". მისი აზრით, თუ ადამიანებს გათვითცნობიერებული არა აქვთ მათი სოციალური მდგომარეობა და პირობები, მათ თვალში ეგალიტარული საზოგადოება უფრო "სამართლიანი" გამოჩნდება, ვიდრე არაეგალიტარული, რადგან სიღატაკისაგან თავის დაღწევის სურვილი

ჯონ როულსი ამერიკელი მეცნიერი და პოლიტიკური ფილოსოფოსი იყო. მისი მთავარი ნაშრომი, *სამართლიანობის თეორია* (*Theory of Justice*, 1970), მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პოლიტიკური ფილოსოფიის დარგში ინგლისურ ენაზე დაწერილ შრომათაგან ყველაზე მნიშვნელოვნადაა მიჩნეული. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც თანამედროვე ლიბერალური, ისე სოციალურ-დემოკრატიული აზროვნებისათვის.

რედისტრიბუციისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებთან ლიბერალური ინდივიდუალიზმის შეთანხმების მიზნით, როულსი სოციალური კონტრაქტის თეორიის ერთგვარ ფორმას იყენებდა. მის მიერ დამკვიდრებული ცნება "სამართალი, როგორც სამართლიანობა", იმ რწმენიდან მოდის, რომ "უმეცრების რიდეს" (ანუ საკუთარი სოციალური მდგომარეობისა და გარემო პირობების უცოდინრობას) ამოფარებული ადამიანების უმეტესობა ორ ძირითად პრინციპს არჩევს: ა) ყოველი ადამიანის თავისუფლება უნდა თავსდებოდეს თავისუფლებასთან ყველასათვის და ბ) სოციალური უთანასწორობის არსებობის გამართლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საზოგადოების ულატაკესი ნაწილის სასარგებლოდ იმუშავებს. ამ ადრეულ ნაშრომში ჩამოყალიბებულმა უნივერსალისტურმა ვარაუდებმა გარკვეული სახეცვლილება განიცადა მის შემდგომდროინდელ ნაშრომში *პოლიტიკური ლიბერალიზმი* (*Political Liberalism*, 1993).

გამდიდრების წყურვილზე ძლიერია. ამ მიზნით როულსს შემოაქვს "განსხვავების პრინციპი": სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობებს იმგვარი სახე უნდა ჰქონდეს, რომ ყველაზე ნაკლებ შეძლებული ფენაც კი დაინტერესდეს; მუშაობის სტიმულს უთანასწორობის გარკვეული დოზა სჭირდება. და მაინც, სამართლიანობის ეს თეორია ლიბერალური უფროა, ვიდრე სოციალისტური, რადგან მისი წყარო არის მოსაზრებები ეგოიზმისა და პირადი ინტერესის შესახებ და არა სოციალური სოლიდარობის რწმენა.

## ეკონომიკური მართვა

სოციალურ უზრუნველყოფასთან ერთად მეოცე საუკუნის დასავლურ მმართველობებში ასევე აღინიშნებოდა სწრაფვა წარმატებული ცხოვრების დამკვიდრებისაკენ ეკონომიკათა "მართვის" გზით. ეს კიდევ ერთი მოტივი იყო კლასიკურ ლიბერალურ აზროვნებაზე უარის სათქმელად. იგულისხმება, სახელდობრ, თვითმართვადი თავისუფალი ბაზრის რწმენა და *laissez-faire*. ამ უკანასკნელისათვის ზურგის შექცევის მიზეზი იყო ინდუსტრიული კაპიტალისტური ეკონომიკების კომპლექსურობა და მათი აშკარა უუნარობა, უზრუნველეყოთ საყოველთაო კეთილდღეობა. XX ს-ის 30-იანი წლების დიდ დეპრესიას, რომელსაც ბიძგი 1929 წლის უოლ სტრიტის კრიზისმა მისცა, მთელ ინდუსტრიულ სამყაროში უმუშევრობის სწრაფი ზრდა მოჰყვა. ამ პროცესს უკვალოდ არც განვითარებადი სამყაროსათვის ჩაუვლია. ეს თავისუფალი ბაზრის ყველაზე მწარე მარცხი იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმუშევრობის ომამდელი სურათის განმეორების თავიდან ასაცილებლად დასავლეთის თითქმის ყველა სახელმწიფომ ეკონომიკაში ჩარევის პოლიტიკური კურსი აირჩია.

ჩარევის პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში უმნიშვნელოვანესია ინგლისელი ეკონომისტის, ჯონ მეინარდ კეინზის (Keynes, 1883-1946) როლი. ნაშრომში *დასაქმების, მოგებისა და ფულის ზოგადი თეორია* (*The General Theory of Employment, Interest and Money*, [1936] 1963) კეინზი კლასიკურ ეკონომიკურ აზროვნებას უტევს და უარყოფს რწმენას თვითმართვადი ბაზრის შესახებ. კლასიკური ეკონომისტების აზრით, უმუშევრობის პრობლემას "ბაზარი გადაწყვეტს", ისე როგორც ყველა სხვა ეკონომიკურ პრობლემას. ისინი თვლიან, რომ ხელფასების დაწევით უმუშევრობაც შემცირდება, მაგრამ უმუშევრობა შენარჩუნდება, თუ ხელფასები პროფკავშირთა დაწოლით უცვლელი დარჩება. ასეთი შეხედულების თანახმად, მუშები, სიტყვასიტყვით, "საკუთარ თავს უმუშევრობისაკენ უბიძგებენ". კეინზის აზრით კი, ეკონომიკური ცხოვრებისა და, შესაბამისად, დასაქმების დონეს ეკონომიკაში მოთხოვნის – ერთიანი მოთხოვნის – საერთო ოდენობა განსაზღვრავს. მას მიაჩნია, რომ ხელფასის დონის შემცირება ეკონომიკაში მსყიდველობითი უნარისა და, ამასთან, ერთიანი მოთხოვნის შესუსტებას გამოიწვევს. ხალხს თუ ნაკლები ფული ექნება დასახარჯად, საქონლის წარმოებაც შემცირდება, ეს კი უმუშევრობის ზრდას ნამდვილად ვერ შეაჩერებს. თავისუფალი ბაზარი ამის გამო თანდათან ისეთ ღრმა დეპრესიაში შეიძლება ჩაეფლოს, რომ თავის დაღწევა ველარც კი მოახერხოს. სწორედ ეს მოხდა, კეინზის აზრით,

## კეინზიანიზმი

კეინზიანიზმი, ვიწრო გაგებით, ჯ. მ. კეინზის ეკონომიკურ თეორიებს, ფართო გაგებით კი, იმ ეკონომიკურ პოლიტიკებს გულისხმობს, რომლებზეც ამ თეორიებმა იქონია გავლენა. კეინზიანიზმი ნეოკლასიკური ეკონომიკის ალტერნატივაა. მას წინა პლანზე გამოაქვს *laissez-faire* პოლიტიკის გამტარებელი კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი "ეკონომიკური ანარქიის" კრიტიკა. კეინზი ამტკიცებდა, რომ ეკონომიკაში ზრდისა და დასაქმების დონეებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს "ერთიანი მოთხოვნის" დონე, და რომ მთავრობას სრული დასაქმების უზრუნველსაყოფად შესწევს ძალა, აკონტროლოს მოთხოვნა, პირველ რიგში, ფისკალური პოლიტიკის რეგულირებით. კეინზიანიზმს "დაბეგვრისა და ხარჯვის" პოლიტიკის იდეით აკვიატებულობას უკავშირებენ, მაგრამ ეს შეფასება ყურადღების მიღმა ტოვებს კეინზის შრომების მრავლისმომცველობასა და სიღრმეს.

1930 წელს. წინამორბედი სავაჭრო პროცესებისაგან განსხვავებით, დიდი დეპრესია "ბუნებრივი" ეკონომიკური აღმავლობით არ დასრულებულა.

კეინზის აზრით, ერთიანი მოთხოვნის დონეზე ზემოქმედებით მთავრობებს შეუძლიათ "მართონ" თავიანთი ეკონომიკა. სინამდვილეში, მთავრობის დანახარჯები ეკონომიკაში მოთხოვნის ერთგვარი "ინიექციაა". სკოლის აშენებით მთავრობა მშენებელ მუშებსაც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებით და სამშენებლო მასალაზე მოთხოვნასაც წარმოშობს; შედეგი კი მთელ ეკონომიკაზე აისახება, რაკი მუშებს მეტი ფული ექნებათ დასახარჯად. ამას კეინზი "მამრავლ ეფექტს" (multiplier effect) უწოდებს. მეორე მხრივ, დაბეგვრა ეკონომიკიდან "გამოსვლას" ნიშნავს. ის ერთიან მოთხოვნას ამცირებს და ეკონომიკურ აქტივობას ანელებს. ძლიერი უმუშევრობის დროს კეინზი მთავრობას ეკონომიკის "პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად" სოციალურ ხარჯთა გაზრდას ან გადასახადთა შემცირებას სთავაზობს. ანუ უმუშევრობის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია არა კაპიტალიზმის უხილავი ხელით, არამედ მთავრობის ჩარევით, ამ შემთხვევაში ბიუჯეტის დეფიციტური პოლიტიკის გატარებით, რაც, ზედმიწევნით, "გადახარჯვას" ნიშნავს. ამგვარად, კეინზისეული მოთხოვნის მართვა მთავრობებს დასაქმებითა და ზრდის დონით მანიპულირების საშუალებას და, შესაბამისად, საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფას ჰპირდებოდა.

ისევე, როგორც სოციალური უზრუნველყოფის პრინციპებში, ეკონომიკურ მართვაშიც თანამედროვე ლიბერალებმა ის კონსტრუქტიული ელემენტები დაინახეს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებაში კეთილდღეობასა და ჰარმონიას შეუწყობდა ხელს. კეინზი კაპიტალიზმის მოწინააღმდეგე არ იყო; ის მის მხსნელადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ. კეინზი უბრალოდ ფიქრობდა, რომ კომპლექსურ ინდუსტრიულ საზოგადოებებში შეუზღუდავი კერძო საწარმო არაქმედითუნარიანია. კეინზის იდეების განხორციელების პირველი, თუმც შეზღუდული მცდელობა იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში რუზველტის "ახალი კურსის" (New Deal) პოლიტიკა. მაგრამ რუზველტი დაბალანსებული ბიუჯეტის პრინციპს ერთგულებდა, ამიტომ უარს ამ-

## ლიბერალიზმში (2)

| კლასიკური ლიბერალიზმი | v. | თანამედროვე ლიბერალიზმი |
|---|---|---|
| ეკონომიკური ლიბერალიზმი | – | სოციალური ლიბერალიზმი |
| ეგოისტური ინდივიდუალიზმი | – | განვითარებადი ინდივიდუალიზმი |
| სარგებლიანობის მაქსიმალიზაცია | – | პიროვნული ზრდა |
| ნეგატიური თავისუფლება | – | პოზიტიური თავისუფლება |
| მინიმალური სახელმწიფო | – | ხელშემწყობი სახელმწიფო |
| თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა | – | მართული ეკონომიკა |
| უფლებებზე დამყარებ. სამართალი | – | სამართ. როგორც სამართლიანობა |
| მკაცრი მერიტოკრატია | – | ზრუნვა ღარიბებზე |
| პირადი პასუხისმგებლობა | – | სოციალური პასუხისმგებლობა |
| დაცულობის ქსელი | – | საყოველთაო კეთილდღეობა |

ბობდა, ისე გაეზარდა საზოგადოებრივ პროექტებზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები, რომ გადასახადებიდან მიღებული მოგებისათვის გადაემეტებინა. ასეთმა პოლიტიკამ შედეგად მხოლოდ ის მოიტანა, რომ უმუშევრობამ უმნიშვნელოდ იწყო კლება. დიდ დეპრესიას, სინამდვილეში, ომის მზადებაზე გაწეულმა დიდი ოდენობით სამხედრო დანახარჯებმა მოუღო ბოლო და არა უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტის გააზრებულმა მცდელობამ. ეს ყველაზე კარგად გამოჩნდა გერმანიაში, სადაც უმუშევრობა განახევრდა 1933 წელს ჰიტლერის კანცლერად დანიშვნიდან თვრამეტ კვირაში. ომთაშორისი პერიოდის უმუშევრობას, ამდენად, უნებურმა კეინზიანიზმმა უშველა.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს *laissez-faire*-ის რწმენას კეინზიანიზმი ჩაენაცვლა და ფართოდ მოიკიდა ფეხი დასავლეთში ეკონომიკური ორთოდოქსობის სახით. ომისშემდგომი ეკონომიკის აღმშენებლობისა და მომავალი განვითარების დაგეგმვის განსახორციელებლად თითქმის ყველა ქვეყანამ ეკონომიკური მართვის პოლიტიკა აირჩია. კეინზიანიზმით ხსნიან "ხანგრძლივ ბუმს" – XX ს-ის 50-60-იან წლებში ისტორიაში უპრეცედენტო ეკონომიკურ აღმავლობას – რომელსაც, ყოველ შემთხვევაში დასავლეთის ქვეყნებში, შეძლებულობის მასობრივი გავრცელება მოჰყვა. მაგრამ 70-იან წლებში კვლავ თავს იჩენს ეკონომიკური სირთულეები და ახლდება კეთილგანწყობა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის თეორიებისადმი. ამან კეინზისეული პრიორიტეტები ნეოლიბერალურით ჩაანაცვლა, კერძოდ, სრული დასაქმების პრინციპი დაბალი, ან ნულოვანი ინფლაციის პრინციპმა შეცვალა. მაგრამ 80-90-იან წლებში თავისუფალი ბაზრის რევოლუციის მარცხმა, რომლის მიზანიც უწყვეტი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა იყო, "ახალი" პოლიტიკური ეკონომიკა, ანუ ნეოკეინზიანიზმი წარმოშვა. არავინ უარყოფს, რომ გლობალიზაციამ 50-60-იანი წლების "უხეში" კეინზიანიზმი გამოდევნა, მაგრამ ხელახლა ხდება იმის გააზრება, რომ უმართავ კაპი-

ტალიზმს დაბალი ინვესტირება, მოკლევადიანობა და სოციალური დანაწევრება, ანუ დაშლა მოაქვს.

## ლიბერალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში

მეოცე საუკუნეში ლიბერალიზმმა საყოველთაო გამარჯვება მოიპოვა; წარმომადგენლობითი მთავრობისა და საბაზრო ეკონომიკის ლიბერალური მოდელი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნიდან დასავლეთის პოლიტიკურ და სოციალურ განვითარებას განსაზღვრავდა, მთელ პლანეტაზე გავრცელდა. ეს შეხედულება ყველაზე დასამახსოვრებლად გამოთქვა ამერიკელმა სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენელმა, ფრენსის ფუკუიამამ (Fukuyama, 1989); მისი თქმით, "ჩვენ მოწმენი ვართ ისტორიის დასასრულისა, როგორც ასეთისა, ანუ კაცობრიობის იდეოლოგიური ევოლუციისა და ადამიანური მმართველობის უკანასკნელი ფორმის – დასავლური ლიბერალური დემოკრატიის უნივერსალიზაციის დასკვნითი მომენტისა". ამ თეზისის დასადასტურებლად ფაქტების მოძიება რთული არ არის. 1945 წელს ფაშიზმის დამარცხების შემდეგ დასავლური ლიბერალიზმის მთავარი ალტერნატივა საბჭოური ყაიდის კომუნიზმი გახდა. მაგრამ 1989-91 წლების აღმოსავლეთ ევროპის რევოლუციათა სახით მანაც დიდი მარცხი განიცადა; თანდათან ძირი გამოეთხარა სწორედ დაგეგმვისა და ჩარევის იდეებს. აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში იწყებოდა "დემოკრატიზაციის" პროცესი, რომელიც კონკურენტული პარტიული სისტემებისა და საბაზრო რეფორმებისადმი მზარდ ენთუზიაზმს გულისხმობდა. ასახავდა ეს პროცესი ლიბერალიზმის აშკარა უპირატესობას მეტოქე იდეოლოგიებთან, კერძოდ, სოციალიზმთან, მიმართებით (როგორც ამას "ისტორიის დასასრულის" თეორეტიკოსები გვთავაზობენ) თუ იყო შედეგი მულტინაციონალური კორპორაციებით დომინირებული გლობალური კაპიტალისტური სისტემის წარმოშობისა (როგორც კრიტიკოსები გვაფრთხილებენ), მომავალი მაინც, როგორც ჩანს, წინასწარგანსაზღვრული იყო. ოცდამეერთე საუკუნეში მოსალოდნელია ეკონომიკური და პოლიტიკური განსხვავებების თანდათანობით წაშლა, რადგან ყველა საზოგადოება, რაგინდ განსხვავებული დონისაც უნდა იყოს, განვითარების ლიბერალურ მოდელში ინტეგრირდება. ამას მოწმობს, მაგალითად, "საბაზრო სახელმწიფოს" პოპულარობა, ასევე პირადი მოხმარების სფეროსა და ინდივიდუალური არჩევანის საკითხთა წინა პლანზე წამოწევა (Bobbit, 2002).

თუმცა, ლიბერალთა ტრიუმფალიზმი უფრო ზომიერ შეფასებას ითხოვს იმ ახალი გამოწვევების აღიარების ფონზე, რომლებმაც ლიბერალები აიძულა, გადაეაზრებინათ საკუთარი შეხედულებები, ზოგიერთი კი გადაესინჯათ კიდეც. რა თქმა უნდა, ლიბერალური იდეოლოგია, გარკვეული გაგებით, ნდობის კრიზისს განიცდის. ამაზე მიგვითითებს ის, რომ ლიბერალები სულ უფრო ნაკლებ მონდომებულნი არიან, საკუთარი იდეები საყოველთაო ან ფუნდამენტურ პრინციპებად წარმოადგინონ. ოცდამეერთე საუკუნის გამოწვევებს ლიბერალიზმის წინააღმდეგ სხვადასხვა წყარო აქვს, მაგრამ

სოციალიზმის აშკარა მარცხის შემდეგ მათი ჩვეული თემა განსხვავებულობის, ანუ მრავალფეროვნების მნიშვნელობის აღიარებაა. ეს ნათელს ჰფენს იმ ფაქტს, რომ სულ უფრო რთული ხდება ღირებულებებისა და "იდენტობის" ფესვების ძიება ინდივიდის აბსტრაქტულ ცნებაში, რადგან "კონკრეტული" "უნივერსალურზე" მეტად დამაჯერებელი ხდება. კომუნიტარიზმი (იხ. გვ. 171) ლიბერალიზმზე ერთ-ერთი პირველი ასეთი შეტევის საფუძველი იყო. ალისდერ მაკინტაიარი (MacIntyre, 1981) და მაიკლ სანდელი (Sandel, 1982), მაგალითად, ინდივიდუალიზმს უარყოფენ როგორც ზედაპირულს იმის საფუძველზე, რომ "მეს" "დატვირთვა აკლია", ის "იდენტობას" სოციალური, ისტორიული თუ კულტურული კონტექსტის გაუთვალისწინებლად მთლიანად შინაგან ბუნებაზე აგებს. ამიტომ, ლიბერალური საზოგადოება, როდესაც ქადაგებს, რომ ყოველმა ადამიანმა ისეთი სვებედნიერი ცხოვრებით უნდა იცხოვროს, როგორითაც თვით მას სურს, შეუზღუდავ ეგოიზმში გადასვლის საფრთხეს ქმნის და ხელს ვერ შეუწყობს ვერც თანამშრომლობასა და ვერც კოლექტიურ მისწრაფებებს.

"განსხვავებულობის პოლიტიკის" საკუთარი ვერსია განავითარეს ფემინისტებმა. ეს ვერსია ლიბერალიზმს აკრიტიკებს და თვლის, რომ ის ქალთა სოციალური როლის წინა პლანზე წამოსაწევად არ გამოდგება, რადგან ვერ აცნობიერებს სქესთა განსხვავებულობის მნიშვნელობას და მისეულ "პიროვნულობის" კონცეფციაში მამაკაცთა მახასიათებლები ჭარბობს. მათი აზრით, ქალებისათვის ისეთი ღირებულებები და იდენტობაა მისაღები, რომლებიც "ქალური იდენტობაა"; ეს კი ლიბერალური უნივერსალიზმის მოთხოვნებზე უარის თქმას ნიშნავს. ლიბერალიზმს სირთულეები შეუქმნა აგრეთვე მულტიკულტურული საზოგადოებების იდეამ. მართალია, ლიბერალები დიდი ხნით ადრე ქადაგებდნენ ტოლერანტობას და მორალური თუ კულტურული მრავალსახეობის სიკეთეებსაც აღიარებდნენ, მრავალკულტურიანობა მათ, სულ ცოტა, ორი პრობლემის წინაშე მაინც აყენებს. პირველი პრობლემა ისაა, რომ მულტიკულტურალიზმი ეთნიკურობაზე, რასაზე,

## მულტიკულტურალიზმი

მულტიკულტურალიზმი გამოიყენება როგორც აღწერითი, ისე ნორმატიული ტერმინის სახით. როგორც აღწერითი ტერმინი, ის კულტურულ მრავალფეროვნებას უკავშირდება, რასაც, თავის მხრივ, საზოგადოებაში ორი ან მეტი ისეთი ჯგუფის არსებობა იწვევს, რომელთა რწმენა და ქმედებები კოლექტიური იდენტობის დამახასიათებელ გრძნობას წარმოშობს. მულტიკულტურალიზი ზედგამოჭრილია ჯგუფური მრავალსახეობისათვის, რაც რასობრივი, ეთნიკური თუ ენობრივი განსხვავებულობიდან იღებს სათავეს. როგორც ნორმატიული ტერმინი, იგი ჯგუფური მრავალსახეობის სრულ გაზიარებას გულისხმობს, რომლისთვისაც განმსაზღვრელია განსხვავებული კულტურული ჯგუფებისათვის აღიარებისა და პატივისცემის უფლებათა მინიჭება. ამ გაგებით, მულტიკულტურალიზმი აღიარებს რწმენათა, ღირებულებათა და ცხოვრების წესის მნიშვნელობას როგორც ინდივიდისთვის, ისე ჯგუფებისათვის საკუთარი ღირსების გრძნობის გასაღვივებლად.

ენაზე და ა. შ. დამყარებული იდენტობის კოლექტიურ ცნებას უკავშირდება. მეორე კი ისაა, რომ ფასეულობები, რომლებიც არსებითია ჯგუფური იდენტობისათვის, ღირებულად უნდა მივიჩნიოთ იმისგან დამოუკიდებლად, ლიბერალურია ისინი, არალიბერალური თუ თუნდაც ანტილიბერალური.

გამოწვევები ლიბერალიზმს მისი დასავლური სამშობლოს ფარგლებს გარედანაც არ აკლია. ერთნაირი ძალით შეგვიძლია ვამტკიცოთ როგორც ის, რომ დასასრულმა ბიპოლარული მსოფლიო წესრიგისა, რომელსაც კაპიტალისტურ დასავლეთსა და კომუნისტურ აღმოსავლეთს შორის შეჯახება განსაზღვრავდა, ახალი არალიბერალური პოლიტიკური ძალები წარმოშვა, ისე ისიც, რომ ლიბერალური დემოკრატია წინ მიიწევს. აღმოსავლეთ ევროპასა და განვითარებადი სამყაროს ზოგიერთ ნაწილში აღორძინებული ნაციონალიზმი, რომლის სახალხოობა ძალას, მტკიცე რწმენასა და საიმედოობას ემყარება, ხშირად უფრო ძლიერი და დამაჯერებელია, ვიდრე ორაზროვანი ლიბერალიზმი. მეტიც, ასეთ ნაციონალიზმს ეროვნულ სიწმინდესა და ავტორიტარიზმს უფრო ხშირად უკავშირებენ, ვიდრე ლიბერალურ იდეალებს, როგორებიცაა, მაგალითად, თვითგამორკვევა და მოქალაქეობრივი სიამაყე. ლიბერალურ კულტურასთან უთანხმოებაში მყოფი ფუნდამენტალიზმის (იხ. გვ. 345) მრავალი ფორმა ჩაისახა ასევე ცენტრალურ აღმოსავლეთსა და აფრიკისა და აზიის ზოგ ქვეყანაში. პოლიტიკურმა ისლამმა სწორედ არადასავლური, მეტიც, ანტიდასავლური პოზიციის შემოთავაზების წყალობით, შესაძლოა დაამარცხოს ლიბერალიზმი განვითარებადი სამყაროს ძირითად ნაწილში. ამას გარდა, იქაც კი, სადაც წარმატებით განვითარდა საბაზრო ეკონომიკა, მისი საფუძველი ყოველთვის ლიბერალური ღირებულებები და ინსტიტუტები არ ყოფილა. მაგალითად, აღმოსავლეთი აზიის პოლიტიკური რეჟიმები სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებას, შესაძლოა, კონფუციანიზმს უფრო უნდა უმადლოდნენ, ვიდრე ლიბერალური იდეების, მაგალითად, კონკურენციის გავლენას.

გაერთიანებული, ლიბერალური სამყაროსაკენ სვლის ნაცვლად, ოცდამეერთე საუკუნის პოლიტიკურ განვითარებაში შესაძლოა თავი იჩინოს მზარდმა იდეოლოგიურმა მრავალსახეობამ. დასავლურ ლიბერალიზმს მუდმივ მეტოქეებად კვლავაც შეიძლება მოევლინოს პოლიტიკური ისლამი, კონფუციანიზმი, ავტორიტარული ნაციონალიზმიც კი. დასავლურმა საზოგადოებებმა, თავის მხრივ, შესაძლოა ასეთ გამოწვევებს ლიბერალიზმიდან გადახვევით უპასუხონ. ამის მაგალითია სამოქალაქო თავისუფლებათა შეკვეცა ე. წ. "ტერორის ომის" საპასუხოდ. პოსტმოდერნიზმის პერსპექტივიდან (იხ. გვ. 373), ლიბერალიზმის კრიზისი განმანათლებლობის გეგმის საბოლოოდ დამარცხების შედეგია; ლიბერალიზმი ხომ ყოველთვის იყო ამ გეგმის ნაწილი. განმანათლებლობის გეგმის ქვაკუთხედი კი იყო მოსაზრება, რომ საყოველთაოდ მიღებული რაციონალური პრინციპების ერთობლიობას შესწევს უნარი, ჩამოაყალიბოს პირობები, რომლებიც ადამიანებს საშუალებას მისცემს, არათანაზომად მიზნებს მისდიონ. ისიც უნდა ვთქვათ, პოსტმოდერნიზმის მოაზროვნეებმა, მაგალითად, რიჩარდ რორტიმ (Rorty, 1989), კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ობიექტური ჭეშმარიტების იდეა და ამ-

ტკიცებდა, რომ ლიბერალიზმი, სხვა იდეოლოგიათა და, რა თქმა უნდა, ყველა რწმენითი სისტემის მსგავსად, უბრალოდ "ლექსიკონია", რომელზეც ვერ ვიტყვით, რომ სხვა "ლექსიკონებზე" "ზუსტია". ამ კუთხით, ლიბერალიზმი როგორც "მეტა-ნარატივი", თეორია, რომელიც ისტორიული განვითარების მიმართულებას გვიჩვენებს, მკვდარია. თუ ეს ასეა, ლიბერალიზმს შესაძლოა ისეთივე მომავალი ელოდეს, რომელშიც ის პოლიტიკური წყობის მრავალ მოდელთა შორის უბრალოდ ერთ-ერთი აღმოჩნდება. ამიტომ ამბობდა ჯონ გრეი (Grey, 1995): ლიბერალიზმის ჭეშმარიტი მემკვიდრე პლურალიზმია, რომლის ძალაც იმაშია, რომ ის თანაბარუფლებიანად განიხილავს და ეთანხმება როგორც ლიბერალურ, ისე არალიბერალურ ღირებულებებსა და ინსტიტუტებს.

## რეკომენდებული ლიტერატურა


Arblaster, A., *The Rise and Decline of Western Liberalizm* (Oxford: Basil Blackwell, 1984). ლიბერალურ დოქტრინათა ერცელი და ძალზე მოდური შეფასება, რომელიც მათ ინდივიდუალისტურ ბუნებას გამოკვეთს.

Bellamy, R., *Liberalizm and Modern Society: An Historical Argument* (Cambridge: Polity Press, 1992). ლიბერალიზმის განვითარების ანალიზი, სადაც ყურადღება გამახვილებულია ადაპტაციებზე, რომლებიც აუცილებელია ახალი სოციალური რეალობებისადმი ლიბერალური ღირებულებების მისასადაგებლად.

Conway, D., *Classical Liberalism: The Unvanquished Ideal* (Basingstoke: Macmillan and New York: St Martin's Press, 1995). კლასიკური ლიბერალური ფილოსოფიის ანალიზი. ეხმიანება და იცავს მინიმალური სახელმწიფოს იდეას თანამედროვე ლიბერალური, კოლექტივისტური და კონსერვატიული კრიტიკოსებისაგან.

Gray, J., *Two Faces of Libaralizm* (Cambridge: Polity Press, 2000). ლიბერალიზმის შეფასება, რომელიც მის უნივერსალისტურ და პლურალისტურ ფორმებს შორის დაპირისპირებას წარმოაჩენს.

Gray, J., *Liberalizm*, 2nd edn (Milton Keynes: Open University Press, 1995b). მოკლე და საკმაოდ კრიტიკული შესავალი კურსი ლიბერალიზმის, როგორც თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური თეორიისა; შეიცავს პოსტლიბერალიზმის განხილვასაც.

Holden, B., *Understanding Liberal Democracy*, 2nd edn (Hemel Hempstead: Harvester Wheatsheaf, 1993). ადვილად გასაგები შესავალი კურსი ლიბერალური დემოკრატიის ცნებისა და ბუნებისათვის; განხილულია როგორც კრიტიკული, ისე დადებითი შეხედულებები.

Ramsay, M., *What's Wrong with Liberalizm? A Radical Critique of Liberal Political Philosophy* (London: Leicester University Press, 1997). ლიბერალური თეორიისა და პრაქტიკის გააზრებული, ადვილად გასაგები და მრავალი კუთხით კრიტიკული შეფასება.

თავი 3

# კონსერვატიზმი

*წარმოშობა და განვითარება*
*არსებულის შენარჩუნებისადმი სწრაფვა – ძირითადი თემები*
*ავტორიტარული კონსერვატიზმი*
*პატერნალისტური კონსერვატიზმი*
*ლიბერტარული კონსერვატიზმი*
*ახალი მემარჯვენეობა*
*კონსერვატიზმი ოცდამეერთე საუკუნეში*

## წარმოშობა და განვითარება

ყოველდღიურ მეტყველებაში ტერმინი "კონსერვატიული" მრავალგვარი მნიშვნელობით იხმარება. ის შეიძლება გულისხმობდეს თავშეკავებულ ან წინდახედულ ქცევას, ცხოვრების ტრადიციულ ყაიდას, კონფორმისტულსაც კი, ან კიდევ – შიშს ცვლილებების წინაშე ან მათთვის თავის არიდებას. ყოველივე ეს ინგლისურში აღინიშნება ზმნით "to conserve". ტერმინი "კონსერვატიზმი" საგანგებო პოლიტიკური პოზიციის ან იდეოლოგიის დასახასიათებლად პირველად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გამოიყენეს. აშშ-ში ის მიანიშნებდა პესიმისტურ შეხედულებაზე საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ. XIX ს-ის 20-იან წლებში (ან წლებისთვის) ეს ტერმინი მიუთითებდა ოპოზიციურ დამოკიდებულებაზე 1789 წლის რევოლუციის პრინციპებისა და სულისკვეთების მიმართ. გაერთიანებულ სამეფოში "ტორების", როგორც ვიგების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პარტიის, სახელწოდებას თანდათან შეენაცვლა და 1835 წელს ამ პარტიის ოფიციალურ სახელწოდებად იქცა "კონსერვატორები".

კონსერვატიული იდეები აღმოცენდა იმ მძაფრი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების საპასუხოდ, რომელთა გავლენა სულ უფრო ძალუმად იგრძნობოდა და რომელთა სიმბოლო, მრავალი თვალსაზრისით, საფრანგეთის რევოლუცია იყო. კონსერვატიული პრინციპების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და, შესაძლოა, კლასიკური განსაზღვრება წარმოდგენილია ედმუნდ ბერკის თხზულებაში *განაზრებანი საფრანგეთის რევოლუციის შესახებ* (*Reflections on the Revolution in France*, [1790] 1968), (იხ. გვ. 84), რომელშიც ავტორი სინანულს გამოთქვამდა *ancien régime*-ის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციასთან დაკავშირებით, რაც წინამორბედ წელს განხორციელდა. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დასავლეთის

სახელმწიფოებზე არსებითი ზეგავლენა მოახდინა ინდუსტრიალიზაციამ, ეს კი აისახა ლიბერალიზმის, სოციალიზმისა და ნაციონალიზმის განვითარებაში. მაშინ, როდესაც ეს იდეოლოგიები მიზნად ისახავდნენ რეფორმებს და ზოგჯერ რევოლუციასაც უჭერდნენ მხარს, კონსერვატიზმი გახშირებული თავდასხმებისგან იცავდა ტრადიციულ სოციალურ წყობას.

კონსერვატიული აზროვნება მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რადგან ის ურთიერთგანსხვავებულ ტრადიციებსა და ეროვნულ კულტურებს მიესადაგა. მაგალითად, ბრიტანულმა კონსერვატიზმმა მნიშვნელოვანწილად აითვისა ბერკის იდეები. ამ უკანასკნელის აზრით, მიზანშეწონილია არა ბრმა წინააღმდეგობა ცვლილებების მიმართ, არამედ – კეთილგონივრული მზადყოფნა "შეცვალო, რათა შეინარჩუნო". მეცხრამეტე საუკუნის ბრიტანელი კონსერვატორები იცავდნენ პოლიტიკურსა და სოციალურ წყობას, რომელმაც უკვე განიცადა ძირეული ცვლილება, კერძოდ, მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისის რევოლუციის შედეგად დაემხო აბსოლუტური მონარქია. მსგავსმა პრაგმატულმა პრინციპებმა ზეგავლენა მოახდინა იმ კონსერვატიულ პარტიებზეც, რომლებიც ბრიტანეთის თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში ჩამოყალიბდა. კანადის კონსერვატიულმა პარტიამ თავის სახელწოდებად აირჩია პროგრესული კონსერვატიული პარტია სწორედ იმიტომ, რომ რეაქციულ იდეებს გამიჯნოდა.

კონტინენტურ ევროპაში, სადაც ზოგიერთი თვითმპყრობელური მონარქია თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებდა არსებობას, განვითარდა კონსერვატიზმის სრულიად განსხვავებული და უფრო ავტორიტარული ფორმა, რომელიც მონარქიასა და მყარ ავტოკრატიულ ფასეულობებს რეფორმების მზარდი ნაკადისაგან იცავდა. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიების ჩამოყალიბებასთან ერთად, კონტინენტური ქვეყნების კონსერვატორებმა (განსაკუთრებით – გერმანიასა და იტალიაში) ბოლომდე მიიღეს პოლიტიკური დემოკრატია და სოციალური რეფორმა. მეორე მხრივ, კონსერვატიულმა იდეებმა შედარებით უმნიშვნელო ზეგავლენა მოახდინა აშშ-ზე. აშშ ბრიტანეთის სამეფოს წინააღმდეგ კოლონიათა წარმატებული ბრძოლის შედეგად ჩამოყალიბდა. აშშ-ის სახელმწიფო სისტემა და მისი პოლიტიკური კულტურა მყარად ჩამოყალიბებულ ლიბერალურსა და პროგრესულ ღირებულებებს ასახავს. როგორც წესი, დახასიათება ტერმინით "კონსერვატორები" ორივე ძირითადი პარტიის პოლიტიკოსთა – რესპუბლიკელებისა და დემოკრატების – აღშფოთებას იწვევდა. მხოლოდ XX ს-ის 60-იანი წლების შემდეგ გამოითქმებოდა აშკარად კონსერვატიული შეხედულებები ამ ორი პარტიის წარმომადგენელთა მიერ. ნათქვამი განსაკუთრებით შეეხება სამხრეთელ დემოკრატებსა და რესპუბლიკური პარტიის იმ ფრთას, რომელსაც XX ს-ის 60-იან წლებში სათავეში ედგა სენატორი ბარი გოლდუოტერი და რომელიც 70-80-იან წლებში მხარს უჭერდა რონალდ რეიგანს, თავდაპირველად როგორც კალიფორნიის გუბერნატორს, შემდეგ კი – როგორც პრეზიდენტს (1981-89).

კონსერვატიული იდეოლოგია საფრანგეთის რევოლუციისა და დასავლეთ ევროპაში განვითარებული მოდერნიზაციის პროცესების საპასუხოდ

აღმოცენდა, ამიტომ პოლიტიკური კონსერვატიზმის გამოვლინებათა მოძიება ევროპისა და ჩრდილოეთი ამერიკის საზღვრებს გარეთ შედარებით ძნელია. აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის პოლიტიკურ მოძრაობებში შეიმჩნეოდა ცვლილებების უგულებელყოფისა და ცხოვრების ტრადიციული ყაიდის შენარჩუნებისადმი სწრაფვა, მაგრამ იქ იშვიათად გამოიყენებოდა სპეციფიკური კონსერვატიული არგუმენტები და ფასეულობები. ალბათ, გამონაკლისს წარმოადგენს იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც 1955 წლიდან ამ ქვეყნის პოლიტიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს. ლდპ უშუალოდ ითვალისწინებს ბიზნესის ინტერესებს და ხელს უწყობს კერძო სექტორის აყვავებას. ამავე დროს, ის ცდილობს, დაიცვას იაპონიის ტრადიციული ფასეულობები და ადათ-წესები, რის მეშვეობითაც განამტკიცებს საგანგებო კონსერვატიულ პრინციპებს, მაგალითად, ლოიალურობას, პასუხისმგებლობის გრძნობასა და იერარქიულობას. სხვა ქვეყნებში კონსერვატიზმს პოპულისტურ-ავტორიტარული ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, პერონმა არგენტინაში და ხომეინიმ ირანში (იხ. გვ. 354) დაამყარეს რეჟიმები, რომლებიც ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას ეფუძნება, მაგრამ მათ, აგრეთვე, მოახერხეს მასების ფართო მხარდაჭერა მოეპოვებინათ იმგვარ საშუალებებზე დაყრდნობით, როგორიცაა ნაციონალიზმი, ეკონომიკური პროგრესი და ტრადიციული ფასეულობების დაცვა.

თუმცა კონსერვატიზმი ინტელექტუალურად ყველაზე ზომიერი პოლიტიკური იდეოლოგიაა, მაგრამ ის, აგრეთვე, ძალზე ელასტიურიცაა, ალბათ, სწორედ ამ ზომიერების გამო. კონსერვატიზმმა იმიტომ მიაღწია წარმატებებს, რომ არ მიჯაჭვია იდეების ამა თუ იმ ფიქსირებულ სისტემას. კონსერვატიზმის მნიშვნელოვანი აღორძინება იწყება XX ს-ის 70-იანი წლებიდან, როდესაც მემარჯვენე პოლიტიკოსებმა კვლავ მოიპოვეს ძალაუფლება მრავალ ქვეყანაში. ამ მხრივ განსაკუთრებით ცნობილია თეტჩერის მთავრობა დიდ ბრიტანეთში (1979-1990) და რეიგანის მმართველობა აშშ-ში (1981-1989); მათ დაამკვიდრეს კონსერვატიზმის უჩვეულოდ რადიკალური და იდეოლოგიური სახეობა, რომელსაც ზოგადად "ახალ მემარჯვენეობას" უწოდებენ. ამ უკანასკნელის იდეები მნიშვნელოვანწილად ემყარება თავისუფალი ბაზრის ეკონომიკას, რამაც განაპირობა ღრმა განხეთქილებების წარმოშობა კონსერვატიზმში. ამიტომ კომენტატორები ამტკიცებენ, რომ "თეტჩერიზმი", "რეიგანიზმი" და ახალი მემარჯვენეობა ზოგადად მკაცრად როდი შეესატყვისება კონსერვატიულ იდეოლოგიას, იმდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა მათზე კლასიკურმა ლიბერალურმა ეკონომიკამ.

ახალი მემარჯვენეობის კონცეფციამ ეჭვქვეშ დააყენა ტრადიციული კონსერვატიული ეკონომიკური შეხედულებები, მაგრამ ის მაინც წარმოადგენს კონსერვატიული იდეოლოგიის ნაწილს. ჯერ ერთი, მას არ უგულებელუყვია იმგვარი ტრადიციული კონსერვატიული სოციალური პრინციპები, როგორიცაა წესრიგი, ძალაუფლება და დისციპლინა, არამედ, გარკვეულწილად, განამტკიცა კიდეც ისინი. შემდგომ, ახალი მემარჯვენეების გატაცებამ თავისუფალი ბაზრით შექმნა ერთგვარი ნაპრალი, რომლის მეშვეობით კონსერვატიზმში შეიჭრა ლიბერალური იდეები. ყველა სხვა პოლიტიკური იდეოლოგიის მსგავსად, კონსერვატიზმიც მოიცავს მრავალგვარ ტრადიცი-

ებს. მეცხრამეტე საუკუნეში ის მჭიდროდ უკავშირდებოდა მონარქიისა და არისტოკრატიის ავტორიტარულ დაცვას, რაც განვითარებად ქვეყნებში შენარჩუნებულია ავტორიტარული პოპულისტური მოძრაობების ფორმით. მეოცე საუკუნეში დასავლეთის კონსერვატორთა ნაწილი მიმართავდა სახელმწიფო ინტერვენციის/ჩარევის პატერნალისტურ მხარდაჭერას, მეორე ნაწილი კი თავისუფალი ბაზრის მიმართ ლიბერტარულ პოზიციას გამოხატავდა. ახალი მემარჯვენეობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი მიმდევრები შეეცადნენ, აელორძინებინათ კონსერვატიზმის შესაძლებლობები ამ ტრადიციათა ბალანსის შეცვლის მეშვეობით ლიბერტარიზმის სასარგებლოდ (იხ. გვ. 103). თუმცა, ამ პროცესში იმდენად ღრმა იდეოლოგიური დაძაბულობა შეიქმნა, რომ შესაძლოა თვით კონსერვატიზმის სიცოცხლისუნარიანობის საკითხი დამდგარიყო დღის წესრიგში.

## არსებულის შენარჩუნებისადმი სწრაფვა – ძირითადი თემები

კონსერვატიული იდეოლოგიის არსი იქცა საგანგებო არგუმენტაციისა და კამათის წყაროდ. მაგალითად, ხშირად ამბობენ, რომ კონსერვატორებს უფრო ნათლად ესმით ის, თუ რას უპირისპირდებიან, ვიდრე ის, თუ რას ემხრობიან. ამ გაგებით, კონსერვატიზმმა გამოხატულება ჰპოვა როგორც ნეგატიურმა ფილოსოფიამ, რომლის მიზანი ცვლილებათა მიმართ წინააღმდეგობის გაწევა, ან, ყოველ შემთხვევაში, ეჭვის გაღვივებაა. ამასთან, თუ კონსერვატიზმს წარმოვიდგენთ, როგორც მარტოოდენ status quo-ს დაცვას, ის იქნება მხოლოდ პოლიტიკური პოზიცია და არა – იდეოლოგია. ფაქტობრივად, ბევრ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფებს შეიძლება ვუწოდოთ "კონსერვატორები" იმ გაგებით, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან ცვლილებებს, მაგრამ შეუძლებელია უეჭველად იმის მტკიცება, რომ ისინი აღიარებენ კონსერვატიულ პოლიტიკურ კრედოს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის კომუნისტები, რომლებიც კოლექტივიზებული ეკონომიკის დაშლას ეწინააღმდეგებოდნენ, ისევე, როგორც სოციალისტები, რომლებიც ატარებენ კამპანიას საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ან ნაციონალიზებული მრეწველობის დასაცავად, შეიძლება დახასიათებულ იქნან როგორც კონსერვატორები მათი ქმედებების მიხედვით, მაგრამ არა მათი პოლიტიკური პრინციპების შესაბამისად. ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის სურვილი შეიძლება წარმოადგენდეს პერიოდული განხილვის თემას კონსერვატიზმის ფარგლებში, მაგრამ სხვა პოლიტიკური თვალსაზრისების მომხრეთაგან კონსერვატორებს განასხვავებს საგანგებო მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ისინი თავიანთ პოზიციას იცავენ.

მეორე პრობლემა ისაა, რომ კონსერვატიზმის როგორც იდეოლოგიის დახასიათებამ შეიძლება თავად კონსერვატორთა გაღიზიანება გამოიწვიოს. ისინი ხშირად ამჯობინებენ ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა "აზროვნების წესი" ან "საღი განსჯა", "დოქტრინის" (-იზმის) ან "იდეოლოგიის" საპირისპიროდ. ლორდმა ჰიუ სესილმა (Lord Hugh Cecil, 1912), მაგალითად, კონსერვა-

ტიზმი დაახასიათა როგორც "ადამიანის გონების ბუნებრივი მიდრეკილება". სხვები ამტკიცებდნენ, რომ კონსერვატიზმს გამოარჩევს საგანგებო ყურადღება ისტორიისა და გამოცდილების მიმართ და დისტანცირება რაციონალური აზროვნებისგან. პირველ თავში ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ კონსერვატორები, როგორც წესი, თავს არიდებენ "პრინციპულ პოლიტიკას" და ამის ნაცვლად იკავებენ ტრადიციონალისტურ პოლიტიკურ პოზიციას. მათი ოპონენტები, რომლებიც ამჩნევენ კონსერვატიზმის ამ თვისებებს, ზოგჯერ ახასიათებენ მას როგორც მმართველი კლასის ან ელიტის ინტერესების უპრინციპო დაცვას. ამასთან, როგორც კონსერვატორები, ისე მათი კრიტიკოსები სათანადოდ ვერ ითვალისწინებენ იმ თეორიების მნიშვნელობასა და მრავალფეროვნებას, რომლებიც "სადი განსჯის" საფუძველს წარმოადგენს. მაგალითად, კონსერვატორებს შეუძლიათ, დააფუძნონ თავიანთი შეხედულებები გამოცდილებასა და ისტორიაზე (და არა აბსტრაქტულ პრინციპებზე), მაგრამ ეს არჩევანი, თავის მხრივ, ემყარება სპეციფიკურ თვალსაზრისებს, კერძოდ – თვალსაზრისს ადამიანის შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების შესახებ. კონსერვატიზმი არც მარტივი პრაგმატიზმია (იხ. გვ. 12) და არც – უბრალო ოპორტუნიზმი, ის ეფუძნება პოლიტიკური შეხედულებების გარკვეულ ერთობლიობას ადამიანების, საზოგადოებათა სახეობებისა და საგანგებო პოლიტიკურ ფასეულობათა ერთობლიობის შესახებ. ამდენად, ლიბერალიზმისა და სოციალიზმის მსგავსად, კონსერვატიზმს სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ იდეოლოგია. მისი ძირითადი იდეებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ტრადიცია
- ადამიანის არასრულყოფილება
- ორგანული საზოგადოება
- იერარქია და ძალაუფლება
- საკუთრება

## ტრადიცია

კონსერვატორები ცვლილებებს მრავალი მოტივით ეწინააღმდეგებიან. კონსერვატიზმის ძირითადსა და აქტუალურ თემას წარმოადგენს ტრადიციის, ანუ იმ ღირებულებათა, ადათ-წესებისა და ინსტიტუტების დაცვა, რომლებმაც გაუძლო დროს და, კერძოდ, თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ლიბერალები, პირიქით, ამტკიცებენ, რომ სოციალური ინსტიტუტები მათი არსებობის ხანგრძლივობის მიხედვით კი არ უნდა შეფასდეს, არამედ – იმის შესაბამისად, რამდენად სრულად აკმაყოფილებენ ისინი ადამიანთა მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. თუ ინსტიტუტები ვერ უძლებენ ამ გამოცდას, საჭიროა მათი რეფორმირება ან, შესაძლოა, გაუქმება. მაგალითად, ლიბერალები ხშირად ასკვნიდნენ, რომ მონარქია ამჟამად ზედმეტ ინსტიტუტად გვევლინება და ის უნდა გაუქმდეს. ამასთან, კონსერვატორები თავგამოდებით ეპაექრებიან ამ თვალსაზრისს და, მრავალი მიზეზის გამო, მიიჩნევენ, რომ ადათ-წესები და ინსტიტუტები უცვლელად უნდა იქნას შენარჩუნებული, რადგან მათ ისტორიის გამოცდას გაუძლეს.

ზოგიერთი კონსერვატორის შემთხვევაში ეს დასკვნა მათ რელიგიურ რწმენას ასახავს. თუ სამყარო შექმნა ღმერთმა, მაშასადამე, საზოგადოების ტრადიციული ადათ-წესები "ღმერთმა დაადგინა". ამიტომ ბერკს სწამდა, რომ საზოგადოება ჩამოყალიბდა შემოქმედის ნებით, ანუ, როგორც ის ამბობდა, "ბუნებრივი კანონის" თანახმად. თუ ადამიანები ერევიან საზოგადოების ცხოვრებაში, ისინი ეწინააღმდეგებიან ღვთის ნებას და, შედეგად, ალბათ, უარესად ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას და არა – უკეთესად. მეთვრამეტე საუკუნის შემდეგ სულ უფრო ძნელდება იმის მტკიცება, რომ ტრადიცია ღვთის ნებას ასახავს. ბერკს შეეძლო ერწმუნა, რომ მონარქიის ინსტიტუტი ღვთის ნებით ჩამოყალიბდა, რადგან ის დიდი ხნის წინ შეიქმნა და თითქმის საყოველთაო გავრცელება ჰპოვა. ამასთან, ისტორიული განვითარების ტემპი დაჩქარდა და ძველ ტრადიციებს შეენაცვლა აშკარად ადამიანის მიერ შექმნილი და არა (ნებისმიერი გაგებით) "ღვთის მიერ ბოძებული" ახალი წესები, მაგალითად, თავისუფალი არჩევნები და საყოველთაო საარჩევნო უფლება. მიუხედავად ამისა, გარდაქმნების რელიგიურ გმობას კვლავ მიმართავენ თანამედროვე ფუნდამენტალისტები. მათი აზრით, ღვთის ნება ვლინდება რელიგიური ტექსტების წერილობით დადასტურებულ ჭეშმარიტებებში. კონსერვატიზმისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის ურთიერთმიმართებები განხილულია მე-10 თავში.

ამასთან, კონსერვატორთა უმრავლესობა მხარს უჭერს ტრადიციას, ისე, რომ არ მოითხოვს მისი ღვთაებრივი წარმომავლობის მტკიცებას. მაგალითად, ბერკი აღწერს საზოგადოებას როგორც "ცოცხლების, გარდაცვლილებისა და ჯერ არდაბადებული თაობების" ურთიერთთანამშრომლობას. ინგლისელმა რომანისტმა და ესეისტმა ჯ. კ. ჩესტერტონმა (1874-1936) ეს იდეა ამგვარად გამოხატა:

> ტრადიცია ნიშნავს ხმის მიცემას იმ კლასისთვის, რომელიც ჩვენთვის ყველაზე ამოუცნობია: ჩვენი წინაპრებისთვის. ეს გარდაცვლილთა დემოკრატიაა. ტრადიციის წყალობით შეგვიძლია არ დავემორჩილოთ იმათ ქედმაღლურ ოლიგარქიას, ვინც შემთხვევით აღმოჩნდა ჩვენს თანამედროვეთა რიგებში.

ამ გაგებით, ტრადიცია წარსულის აკუმულირებულ სიბრძნეს ასახავს. წარსულში ჩამოყალიბებულმა ინსტიტუტებმა და ადათ-წესებმა "დროს გაუძლო" და, მაშასადამე, შეიძლება შენარჩუნებულ იქნას ცოცხალი ადამიანებისა და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ. ტრადიციის ეს ცნება გამოხატავს თითქმის დარვინისტულ რწმენას, რომ ჩვენამდე მოღწეული ინსტიტუტები და ადათ-წესები სიცოცხლისუნარიანია და გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენს. ისინი "ბუნებრივი შერჩევის" პროცესმა განამტკიცა და გამოავლინა მათი ცხოველმყოფელობა. მაგალითად, ინგლისელი კონსერვატორების აზრით, მონარქიის ინსტიტუტი უნდა შენარჩუნდეს იმის გამო, რომ ის ისტორიულ სიბრძნესა და გამოცდილებას განასახიერებს. კერძოდ, სამეფო ხელისუფლებამ დიდ ბრიტანეთში ეროვნული ლოიალობა და პიეტეტი მოიხვეჭა, რომლებიც პარტიულ პოლიტიკაზე მაღლა დგას. მარტივად რომ ვთქვათ, ის სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

დუბლინში დაბადებულ ბრიტანელ სახელმწიფო მოღვაწესა და თეორეტიკოს-პოლიტიკოსს, ბერკს ხშირად ანგლო-ამერიკული კონსერვატიული ტრადიციის მამად მოიხსენიებენ. როგორც ლიბერალი პოლიტიკოსი, ბერკი თანაუგრძნობდა 1776 წლის ამერიკის რევოლუციას, მაგრამ რეპუტაცია მას 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის შეუვალმა კრიტიკამ შესძინა, რომელმაც ასახვა ჰპოვა მის წიგნში *განაზრებანი საფრანგეთის რევოლუციის შესახებ* (*Reflections on the Revolution in France*, 1790).

ბერკი ძირეულად ეწინააღმდეგებოდა ფრანგული პოლიტიკის გარდაქმნის მცდელობას ისეთი აბსტრაქტული პრინციპების მიხედვით, როგორიცაა თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა. მისი აზრით, ცხოვრებისეული სიბრძნის სათავე უმთავრესად გამოცდილებაში, ტრადიციასა და ისტორიაში ძევს. მიუხედავად ამისა, ის თვლიდა, რომ საფრანგეთის მონარქია ნაწილობრივ თავადვე იყო თავის ხვედრზე პასუხისმგებელი, რადგან ჯიუტად უარყოფდა "ცვლილებას კონსერვაციის მიზნით". ბერკის შეხედულება ხელისუფლების შესახებ ერთობ პესიმისტურია: იგი აღიარებს, რომ ხელისუფლებას ძალუძს ბოროტების თავიდან აცილება, თუმცა, მისი აზრით, ის იშვიათად გამოდის სიკეთის ხელშემწყობად. ბერკი ასევე ადამ სმითის (იხ. გვ. 59) კლასიკურ ეკონომიკას უჭერდა მხარს და საბაზრო ძალებს "ბუნებრივ კანონად" მიიჩნევდა.

კონსერვატორები ტრადიციას იმის გამოც სცემენ პატივს, რომ მის საფუძველზე საზოგადოებასა და პიროვნებას საკუთარი ინდივიდუალობის შეგრძნება უჩნდებათ. მყარია იმგვარი ადათ-წესები, რომლებსაც ადამიანები ადვილად ცნობენ ხოლმე. ისინი ჩვეულია და სანდო. ამიტომ ტრადიციის წყალობით ადამიანები ფესვმოკიდებულობისა და ეროვნული კუთვნილების გრძნობით აღიჭურვებიან, რომელიც მით უფრო მყარია, რომ ისტორიულადაა განმტკიცებული. მაგალითად, მონარქიის ინსტიტუტი აერთიანებს საზოგადოებას, რადგან ადამიანებს წარსულთან აკავშირებს და საშუალებას აძლევს, ერთობლივად გაიცნობიერონ თავიანთი ეროვნული სტატუსი. მეორე მხრივ, ცვლილებები უცხო მხარეში მოგზაურობას წააგავს: ისინი გზას უხსნის გაურკვევლობასა და დაუცველობას და, ამდენად, ხიფათს უქმნის ჩვენს ბედნიერებას. ამგვარად, ტრადიცია არ შედგება მხოლოდ იმ პოლიტიკური ინსტიტუტებისგან, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს. ის მოიცავს ჩვენთვის მახლობელ ყველა იმ ადათსა და სოციალურ ჩვევას, რომელთა წყალობით გვიჩნდება უხიფათობის შეგრძნება და ვიცნობიერებთ საკუთარ წარმომავლობას. ეს ადათ-წესები მრავალფეროვანია, დაწყებული მოსამართლეთა მიერ ტრადიციული ტანსაცმლისა და პარიკის ტარებით და დამთავრებული კამპანიებით საფოსტო ყუთებისა ან სატელეფონო ჯიხურების ტრადიციული შეფერილობის შესანარჩუნებლად.

## ადამიანის არასრულყოფილება

კონსერვატიზმი დიდწილად წარმოადგენს "ადამიანის არასრულყოფილების" ფილოსოფიას (ო'სალივანი – O'Sullivan, 1976). სხვა იდეოლოგიები ვარა-

უდობენ, რომ ადამიანი, საზოგადოდ, ბუნებით სრულყოფილია ან რომ ის შეიძლება სრულყოფილი იყოს სათანადო სოციალურ პირობებში. უკიდურესი ფორმით გამოხატვის შემთხვევაში ამგვარი შეხედულებები უტოპიური ხასიათისაა და განიხილავს იდეალურ საზოგადოებაში კაცობრიობის მიერ სრულყოფილების მიღწევის უნარს. კონსერვატორები უარყოფენ მსგავს იდეებს როგორც, უკეთეს შემთხვევაში, იდეალისტურ ოცნებებს. მათი თეორიები ეფუძნება იმის რწმენას, რომ ადამიანი არასრულყოფილია და მისი სრულყოფა შეუძლებელია.

ადამიანის არასრულყოფილება განიხილება რამდენიმე ასპექტში. ჯერ ერთი, ადამიანი გაიაზრება როგორც ფსიქოლოგიურად შეზღუდული და დამოკიდებული არსება. კონსერვატორთა თვალსაზრისით, ადამიანი უფრთხის იზოლაციასა და არასტაბილურობას. ის ფსიქოლოგიურად ისწრაფის უხიფათოსა და ნაცნობისკენ და, რაც მთავარია, ეძიებს უსაფრთხოებას, რომლის გარანტს "საკუთარი ადგილის" ცოდნა წარმოადგენს. ამგვარი დახასიათება მნიშვნელოვნად განსხვავდება ადამიანის თავდაჯერებული, ინიციატივიანი "მაქსიმალურად უტილიტარული" ხატისგან, რომელიც ადრეულმა ლიბერალებმა შეიმუშავეს. იმის რწმენამ, რომ ადამიანი ისწრაფის უხიფათობისა და კუთვნილებისაკენ, აიძულა კონსერვატორები, ძირითადი ყურადღება სოციალური წესრიგის მნიშვნელობისთვის მიექციათ და ეჭვქვეშ დაეყენებინათ თავისუფლების საცთურები. წესრიგი ადამიანის ცხოვრების სტაბილურობასა და პროგნოზირებადობას უზრუნველყოფს; ის არასაიმედო სამყაროში უხიფათობის გარანტიას იძლევა. მეორე მხრივ, თავისუფლება ადამიანს არჩევანის შესაძლებლობას უქმნის, და შესაძლოა განაპირობოს ცვლილებები და გაურკვევლობა. კონსერვატორები ხშირად იმოწმებდნენ თომას ჰობსის შეხედულებებს, როდესაც მოუწოდებდნენ, თავისუფლება მსხვერპლად მიეტანათ სოციალური წესრიგის სასარგებლოდ.

მაშინ, როდესაც სხვა პოლიტიკური ფილოსოფიები ამორალური ან დანაშაულებრივი ქცევის მიზეზად საზოგადოებას მიიჩნევენ, კონსერვატორებს სჯერათ, რომ მისი ფესვები თვით ადამიანში უნდა ვეძიოთ, რადგან ის მორალურად არასრულყოფილი არსებაა. კონსერვატორებს ადამიანის ბუნების შესახებ პესიმისტური, ჰობსიანური თვალსაზრისი აქვთ. კაცობრიობას ბუნებრივად ახასიათებს ეგოიზმი და სიხარბე, მაგრამ არა – სრულყოფილების მიღწევის უნარი. როგორც ჰობსმა დაასკვნა, "უსაზღვრო ძალაუფლების" წყურვილი ადამიანის ძირითად მისწრაფებას წარმოადგენს. ზოგიერთი კონსერვატორი ამას პირველცოდვის შესახებ ძველ აღთქმაში გამოხატული თვალსაზრისის საფუძველზე განმარტავს. აქედან გამომდინარე, დანაშაული სოციალური ჩაგვრის, უთანასწორობის შედეგი (როგორც სოციალისტებსა და თანამედროვე ლიბერალებს სჯერათ) კი არ არის, არამედ – ადამიანის ძირეული ინსტინქტებითა და მიდრეკილებებითაა განპირობებული. ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიქცევა ცივილიზებულად, თუ თავს შეიკავებს საკუთარი ბობოქარი და ანტისოციალური იმპულსების გამოვლენისგან. ერთადერთ ეფექტიან შემაკავებელ საშუალებას წარმოადგენს კანონი, განმტკიცებული იმის ცოდნით, რომ ის მკაცრად იქნება გატარებული. ეს განმარტავს, თუ რატომ ანიჭებენ კონსერვატორები

ინგლისელი პოლიტიკური ფილოსოფოსი. ჰობსი უმცროსი მღვდელმსახურის ვაჟი იყო, რომელმაც მოგვიანებით ოჯახი მიატოვა, უელსის დევნილი პრინცის, ჩარლზ სტიუარტის შინა მასწავლებელი გახდა და მას მერე კავენდიშთა ოჯახის მფარველობის ქვეშ ცხოვრობდა. ჰობსის მოღვაწეობა ერთობ ცვალებადსა და სოციალური წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდს დაემთხვა, რომელსაც სიმძაფრეს ინგლისის რევოლუციაც მატებდა. მან, არისტოტელეს შემდეგ პირველმა, განავითარა ბუნებისა და ადამიანური ქცევის თეორია.

ჰობსის კლასიკური ნაშრომი *ლევიათანი* (1651) აბსოლუტიზმის მომხრე მთავრობის პოზიციას იცავდა როგორც ერთადერთ ალტერნატივას ანარქიისა და არეულობათა წინააღმდეგ. მას ეკუთვნის იდეა, რომლის თანახმადაც, მოქალაქეებს სახელმწიფოს წინაშე უპირობო ვალდებულება აქვთ. ამით ჰობსმა ავტორიტარიზმს რაციონალისტური საფუძველი შეუქმნა (იხ. გვ. 95), რამაც, მიუხედავად ამისა, მეფეთა ღვთივმიმადლებული უფლების მომხრეები გაანბილა. ჰობსის ინდივიდუალისტურმა მეთოდოლოგიამ და მის მიერ სოციალური კონტრაქტის თეორიის ფართოდ გამოყენებამ ადრეული ლიბერალიზმის პირველსახე შექმნა.

უპირატესობას მტკიცე მმართველობასა და "მკაცრ" სასამართლო რეჟიმებს, რაც ხშირად გრძელვადიან საპატიმრო განაჩენებს, აგრეთვე – ფიზიკურად ან თვით სიკვდილით დასჯის გამოყენებას ემყარება. კონსერვატორების აზრით, კანონის როლი თავისუფლების მხარდაჭერა კი არაა, არამედ – წესრიგის შენარჩუნება. "კანონისა" და "წესრიგის" ცნებები იმდენად მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს კონსერვატიულ ცნობიერებაში, რომ თითქმის ერთიანი, განუყოფელი ცნების სახით წარმოგვიდგება.

კონსერვატორები შეზღუდულად მიიჩნევენ ადამიანთა მოდგმის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსაც. როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, კონსერვატორები, ტრადიციულად, მიიჩნევენ, რომ სამყარო უბრალოდ მეტისმეტად რთულია საიმისოდ, რომ მას ადამიანის გონება სრულად ჩასწვდეს. ინგლისელ ფილოსოფოს-პოლიტიკოსს, მაიკლ ოუკშოტს (Michael Oakeshott, 1901-90) თუ დავესესხებით, პოლიტიკური სამყარო "უსაზღვრო და უძიროა". ამიტომ, კონსერვატორები ეჭვის თვალით უყურებენ აბსტრაქტულ იდეებსა და აზროვნების სისტემებს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ, რომ ძალუძთ ჩასწვდნენ იმას, რაც კონსერვატორთა აზრით, გონებისათვის უბრალოდ ყოვლად მიუწვდომელია. ისინი, ჩვეულებისამებრ, ამჯობინებენ, საკუთარ იდეებს გამოცდილება და ისტორია დაუდონ საფუძვლად; სამყაროსადმი ფრთხილ, მოზომილ, უპირველესად კი პრაგმატულ მიდგომას ირჩევენ, დოქტრინარულ და დოგმატურ რწმენას შეძლებისდაგვარად თავს არიდებენ. ისეთი ხმამაღალი პოლიტიკური პრინციპები, როგორიცაა "ადამიანის უფლებები", "თანასწორობა" და "სოციალური სამართლიანობა" მათთვის ხიფათის შემცველია, რადგანაც ისინი სამყაროს გარდაქმნის ან რეკონსტრუქციის მონახაზს იძლევა. რეფორმასა და რევოლუციას, გვაფრთხილებენ კონსერვატორები, ტანჯვის შემცირების ნაცვლად შედეგად ხშირად უფრო დიდი ტანჯვა მოაქვს. კონსერვატორისათვის რაღაცის კე-

## ადამიანის ბუნების შესახებ

**ლიბერალები** ადამიანის ბუნებას განიხილავენ როგორც ინდივიდის თანდაყოლილ შინაგან თვისებათა ერთობლიობას; სოციალურ და ისტორიულ პირობებს უმნიშვნელო ან არანაირ დატვირთვას არ ანიჭებენ. ადამიანები ანგარებიანი და მნიშვნელოვანწილად თავდაჯერებული არსებები არიან; მაგრამ მათ გონებაც მართავს და აქვთ პიროვნული განვითარების უნარი, სახელდობრ, განათლების გზით.

**კონსერვატორები** ადამიანებს, არსებითად, შეზღუდულ და უსაფრთხოების მაძიებელ არსებებად განიხილავენ, რომელთაც ურჩევნიათ ნაცნობი, ახლობელი, ნაცადი და შემოწმებული. ადამიანური რაციონალიზმი არასაიმედოა, ყოველ ადამიანში ბუდობს ზნეობრივი სიმახინჯე. მიუხედავად ამისა, ახალი მემარჯვენეობა ანგარებით ინდივიდუალიზმს შემწყნარებლურად უყურებს.

**სოციალისტები** ადამიანებს, არსებითად, სოციალურ არსებებად მიიჩნევენ. მათი აზრით, ადამიანის უნარ-ჩვევებსა და ქცევას ბუნებაზე მეტად აღზრდა აყალიბებს, განსაკუთრებით – შემოქმედებითი შრომა. ადამიანთა მიდრეკილება თანამშრომლობის, გულღიაობისა და რაციონალობისადმი ნიშნავს, რომ მათ განვითარებისა და პიროვნული ზრდის მნიშვნელოვანი პერსპექტივები აქვთ.

**ანარქისტები** ადამიანის ბუნებას ძალზე ოპტიმისტური პოზიციიდან აფასებენ. ზოგი მათგანი თვლის, რომ ადამიანებს დიდი მიდრეკილება აქვთ კომუნიკაბელობის, ჯგუფურობისა და თანამშრომლობისაკენ და მათ წესრიგის შენარჩუნება მხოლოდ კოლექტიური მცდელობით შეუძლიათ; ანარქისტთა მეორე ნაწილის თვალსაზრისით, ადამიანებს შეიძლება სიღრმისეულად პირადი ინტერესები ამოძრავებდეთ, მაგრამ გონებით განათლებულნი იყვნენ.

**ფაშისტების** რწმენით, ადამიანებს ნება და სხვა არარაციონალური იმპულსები მართავს, განსაკუთრებით – ერზე ან რასაზე ფოკუსირებული სოციალური მიკუთვნებულობის ღრმა გრძნობა. მასებს მხოლოდ მსახურება და მორჩილება ძალუძთ, სამაგიეროდ ეროვნული ელიტის წარმომადგენლებს ერის ან რასის სახელით "ახალ ადამიანებად" რეგენერაცია შეუძლიათ.

**ფემინისტებს**, ჩვეულებრივ, მიაჩნიათ, რომ მამაკაცებსა და ქალებს საერთო ადამიანური ბუნება აქვთ, გენდერულ განსხვავებებს კულტურული ან სოციალური პირობები განაპირობებს. თუმცა, სეპარატისტი ფემინისტები ამტკიცებენ, რომ მამაკაცები გენეტიკურად ძალაუფლებისა და სისასტიკისადმი არიან მიდრეკილნი, ხოლო ქალები ბუნებრივად თანამგრძნობნი, შემოქმედებითნი და მშვიდობიანნი არიან.

**ეკოლოგისტები**, განსაკუთრებით – ღრმა ეკოლოგისტები, ადამიანის ბუნებას ვრცელი ეკოსისტემის ნაწილად თვლიან, თვით ბუნების ნაწილადაც კი. მატერიალიზმი, სიხარბე და ეგოიზმი მოწმობს, რამდენად გაუცხოვდა ადამიანი სიცოცხლის ერთიანი არსისგან და, შესაბამისად, საკუთარი ჭეშმარიტი ბუნებისგანაც. ადამიანური სრულქმნილებისათვის აუცილებელია, ბუნებას დავუბრუნდეთ.

თებას, შესაძლოა, არაფრის კეთება სჯობდეს. კონსერვატორს სურს, ყოველთვის დარწმუნებული იყოს, რომ, როგორც ოუკშოტი ამბობდა, "მკურნალობა ავადმყოფობაზე უარესი არ არის". თუმცა, რაც ასპარეზზე ახალი მემარჯვენეები გამოჩნდნენ, კონსერვატორები ტრადიციონალიზმსა და პრაგმატიზმს ისე აქტიურად აღარ უჭერენ მხარს. ახალი მემარჯვენე მოძრაობა, ჯერ ერთი, რადიკალური მოძრაობაა, რადგან თავისუფალი საბაზრო რეფორმების გატარებას ესწრაფვის მემკვიდრეობით მიღებული, სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული და ინტერვენციონისტული სახელმწიფო სტრუქტურების დაშლის ხარჯზე. მეორეც, ახალ მემარჯვენეთა რადიკალიზმი, ერთი მხრივ, რაციონალიზმს (იხ. გვ. 37) და, მეორე მხრივ, აბსტრაქტული თეორიებითა და პრინციპებით, განსაკუთრებით ეკონომიკური ლიბერალიზმით, გატაცებას ეფუძნება.

## ორგანული საზოგადოება

საზოგადოებას კონსერვატორები ლიბერალებისაგან სრულიად განსხვავებულად აფასებენ. ლიბერალთა აზრით, საზოგადოება ინდივიდთა ქმედებებიდან წარმოიშობა, თითოეულ მათგანს კი საკუთარი ინტერესი ამოძრავებს. სოციალური ჯგუფები და გაერთიანებები ნებაყოფლობით დადებული "კონტრაქტის" საფუძველზე იქმნება. ლიბერტარული ფრთის კონსერვატორები, მათ შორის ახალი მემარჯვენე ლიბერალური გაერთიანება, რომლებსაც ლიბერალური, თავისუფალი ბაზრის იდეები იზიდავს, ამ აზრისადმი გარკვეულწილად კეთილგანწყობილნი არიან. მარგარეტ თეტჩერმა, მაგალითად, ჯერემი ბენთამის (იხ. გვ. 58) ასეთი პარაფრაზირება მოახდინა: "არ არსებობს საზოგადოება როგორც ასეთი, არსებობენ მხოლოდ ინდივიდები და მათი ოჯახები".

ტრადიციულ კონსერვატორებს კი მიაჩნიათ, რომ ეს საზოგადოების "ატომისტური" სურათია, რომელიც ემყარება წარმოდგენას, თითქოს ინდივიდებს შეუძლიათ ან სურთ, საკუთარ თავზე დამოკიდებულნი იყვნენ. კონსერვატორებს სწამთ, როგორც ადრე განვმარტეთ, რომ ადამიანები დამოკიდებული და უსაფრთხოების მაძიებელი არსებები არიან. მათ არ შეუძლიათ და არც არსებობენ საზოგადოების გარეთ, აუცილებლად უნდა ეკუთვნოდნენ მას, "ფესვები" მასში უნდა ჰქონდეთ გადგმული. ინდივიდი საზოგადოებას ვერ გამოეყოფა, ის ნაწილია მისივე დამდგენი სოციალური ჯგუფებისა: ოჯახის, მეგობრებისა და თანატოლების, თანამშრომლებისა და კოლეგების, ადგილობრივი თემისა და თვით ერისაც კი. ეს ჯგუფები ინდივიდის ცხოვრებას უსაფრთხოს და შინაარსიანს ხდის. შედეგად, ტრადიციულ კონსერვატორებს არ სურთ, თავისუფლება გაიგონ როგორც "ნეგატიური თავისუფლება", რომელშიც ინდივიდი "თავის თავთან მარტო" რჩება. მათთვის თავისუფლება სოციალურ ვალდებულებათა და საზოგადო ტვირთის ნებაყოფლობითი გათავისება უფროა იმ ინდივიდთა მიერ, რომელთაც შეგნებული აქვთ ამ ვალდებულებათა მნიშვნელობა. თავისუფლება "საკუთარი მოვალეობის შესრულებას" გულისხმობს. მაგალითად, როდესაც მშობლები შვილებს არიგებენ, როგორ მოიქცნენ, ისინი მათ თავისუფლებას კი არ

უზღუდავენ, არამედ კეთილდღეობის გზას უჩვენებენ. დამჯერი შვილი მშობლების ნების აღსრულებისას თავისუფლად მოქმედებს, მას გაცნობიერებული აქვს საკუთარი ვალდებულება. კონსერვატორებს სჯერათ, რომ საზოგადოება, რომელშიც ინდივიდებმა იციან მხოლოდ თავიანთი უფლებები და გათავისებული არა აქვთ მოვალეობები, ზედაპირული და ატომისტურია. სწორედ მოვალეობისა და ვალდებულების შეგნებაა საზოგადოების შექმნა-არსებობის პირობა.

ასეთი იდეები საზოგადოების ძალზე კონკრეტულ წარმოდგენას ემყარება. კონსერვატორები საზოგადოებას, ტრადიციულად, ცოცხალ არსებად, ორგანიზმად განიხილავდნენ, რომლის ნაწილები შეთანხმებულად მუშაობენ, სწორედ ისე, როგორც ტვინი, გული, ფილტვები და ღვიძლი ადამიანის ორგანიზმში. ორგანიზმებს მატერიალური კულტურის ნიმუშებისა და მანქანებისაგან ორი მნიშვნელოვანი რამ განასხვავებს. პირველი, მანქანებისაგან განსხვავებით, ორგანიზმები უბრალოდ ცალკეულ ნაწილთა ნაკრები არ არის, რომლებიც სურვილისდა მიხედვით შეიძლება აიწყოს და გადაიწყოს. ორგანიზმში მთელი უფრო მეტია, ვიდრე მისი ცალკეული ნაწილების ნაკრები; მთელის მუშაობას მის ნაწილებს შორის ფაქიზი ურთიერთობები განსაზღვრავს, რომლებმაც, თუკი ერთხელ მოიშალა, მთელი ორგანიზმის სიკვდილი შეიძლება გამოიწვიოს. ასე რომ, ადამიანის სხეულს ვერ დაშლი დაააწყობ ისე, როგორც, ვთქვათ, ველოსიპედს. მეორეც, ორგანიზმებს უფრო "ბუნებრივი" ფაქტორები ძერწავს, ვიდრე ადამიანის გამჭრიახობაა. ორგანულ საზოგადოებას, საბოლოო ჯამში, ბუნებრივი აუცილებლობა აყალიბებს. მაგალითად, ოჯახი რომელიმე სოციოლოგს ან პოლიტიკურ თეორეტიკოსს არ "გამოუგონია", ის ისეთი ბუნებრივი სოციალური იმპულსების პროდუქტია, როგორებიცაა სიყვარული, ზრუნვა და პასუხისმგებლობა. ბავშვები ოჯახში გაწევრიანების თაობაზე "კონტრაქტს" არ დებენ – ისინი უბრალოდ მასში იზრდებიან და ოჯახი აკვალიანებს მათ.

ეს "ორგანული მეტაფორა" საზოგადოების გაგების თვალსაზრისით რამდენიმე აშკარად კონსერვატიულ მინიშნებას შეიცავს. საზოგადოების მექანიკური შეფასებით, რასაც ლიბერალები და სოციალისტთა უმეტესობა იზიარებს და რომლის მიხედვითაც, საზოგადოებას გონიერი ინდივიდები საკუთარი მიზნებისათვის აკონსტრუირებენ, გულისხმობს, რომ საზოგადოების გარდაქმნა და გაკეთილშობილება შესაძლებელია. ამ ხედვას მივყავართ პროგრესის რწმენამდე, რომელიც რეფორმით ან რევოლუციით მიიღწევა. თუ საზოგადოება ორგანულია, მაშინ მისი სტრუქტურები და ინსტიტუტები ისეთი ძალების ჩამოყალიბებულია, რომლებიც ადამიანის კონტროლს და შესაძლოა გაგებასაც არ ექვემდებარება. ეს კი გულისხმობს, რომ მისი დახვეწილი "ქსოვილი" შენარჩუნებას და პატივისცემას იმსახურებს იმ ინდივიდების მხრიდან, რომლებიც მასში ცხოვრობენ. ორგანიციზმი ასევე გვიქმნის დამოკიდებულებას კონკრეტული ინსტიტუტების, საზოგადოების "ნაწილების" მიმართაც. ყოველივე ეს ფუნქციონალური პერსპექტივიდანაა დანახული: ინსტიტუტების განვითარებასა და არსებობას თავისი მიზეზი აქვს და ეს მიზეზი ისაა, რომ ისინი უფრო დიდი მთელის შენარჩუნებას ემსახურება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავიანთი არსებობით ინ-

## საზოგადოების შესახებ

**ლიბერალები** საზოგადოებას განიხილავენ არა როგორც სრულუფლებიან ორგანიზმს, არამედ როგორც ინდივიდთა ნაკრებს. გარკვეულ დონემდე საზოგადოება იმ ადამიანთა ნებაყოფლობითი და საკონტრაქტო შეთანხმებების საფუძველზეა ჩამოყალიბებული, რომლებსაც პირადი ინტერესი ამოძრავებთ. მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში არსებობს ინტერესთა ზოგადი ბალანსი, რომელიც ხელს უწყობს ჰარმონიასა და წონასწორობას.

**კონსერვატორები** საზოგადოებას აღიქვამენ როგორც ორგანიზმს, ცოცხალ არსებას. საზოგადოება, ამდენად, პიროვნების გარეშეც არსებობს და, გარკვეული გაგებით, პიროვნებაზე მაღლა დგას; მის ერთიანობას ტრადიცია, ავტორიტეტი და საერთო მორალი განსაზღვრავს. ახალი მემარჯვენეები, ამისგან განსხვავებით, ლიბერალური ატომიზმისკენ იხრებიან.

**სოციალისტები** საზოგადოებას, ტრადიციულად, უთანასწორო კლასობრივი ძალაუფლების კონტექსტში განიხილავენ, მათთვის ეკონომიური და საკუთრებრივი დაყოფა უფრო ღრმა და ნამდვილია, ვიდრე რომელიმე უფრო ფართო სოციალური კავშირი. მარქსისტებს სწამთ, რომ საზოგადოებას ახასიათებს კლასობრივი ბრძოლა და ერთადერთ სტაბილურ და შედუღაბებულ საზოგადოებად უკლასო საზოგადოებას მიიჩნევენ.

**ანარქისტების** აზრით, საზოგადოებას ახასიათებს მართვის საჭიროებას მოკლებული და ბუნებრივი ჰარმონია, რომლის საყრდენი თანამშრომლობისა და სოციაბილობისკენ ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებაა. სოციალური კონფლიქტი და დისჰარმონია, ამდენად, სრულიად არაბუნებრივია, ისინი პოლიტიკური მმართველობისა და ეკონომიკური უთანასწორობის შედეგია.

**ნაციონალისტების** ხედვა საზოგადოების კულტურულ და ეთნიკურ განსხვავებებზეა დამყარებული. აქედან გამომდინარე, საზოგადოების მახასიათებელია საერთო ღირებულებები და რწმენები, რომელთა ფესვები, საბოლოო ჯამში, საერთო ეროვნულ იდენტობაშია. აქ, ეტყობა, იგულისხმება, რომ მრავალეროვან საზოგადოებებს თანდაყოლილი არასტაბილურობა ახასიათებს.

**ფაშისტებისათვის** საზოგადოება ერთიანი ორგანული მთლიანობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდის არსებობა აზრს მოკლებულია, თუ პირად სიკეთეზე მეტად საერთო სიკეთეზე არ ზრუნავს. თუმცა, ამავდროულად, საზოგადოების წევრობას მკაცრად ზღუდავს ნაციონალური ან რასობრივი ფაქტორი.

**ფემინისტები** საზოგადოებას, ჯერ ერთი, პატრიარქალობისა და, მეორეც, ცხოვრების "საზოგადო" და "პირად" სფეროებად ხელოვნური დაყოფის კონტექსტში განიხილავენ. ამდენად, საზოგადოება შეიძლება განიხილებოდეს როგორც ორგანიზებული ფარისევლობა, რომლის მიზანი მამაკაცთა ძალაუფლების გამყარება და დაკანონებაა.

სტიტუტები ამტკიცებენ, რომ ისინი ღირებული და სასურველია. ამგვარად, რომელიმე ინსტიტუტის სახეცვლის ან, კიდევ უარესი, გაუქმების ნებისმიერი მცდელობა სახიფათოა.

აშკარად ორგანულია ის იდეებიც, რომლებითაც კონსერვატორები ოჯახის, დადგენილი ღირებულებებისა და ერის სასარგებლოდ კამათის დროს ხელმძღვანელობენ. კონსერვატორები თვლიან, რომ ოჯახი საზოგადოების ყველაზე მთავარი ინსტიტუტი და, მრავალი კუთხით, მოდელიც კია ყველა სხვა სოციალური ინსტიტუტისათვის. ოჯახი, რომელიც შვილების გაჩენისა და აღზრდის უბრალო საჭიროებიდან წარმოდგება, თავის წევრებს, განსაკუთრებით ბავშვებს, იცავს და უფრთხილდება, ასწავლის ინდივიდებს მოვალეობის მნიშვნელობასა და სხვათა პატივისცემას. ამიტომ კონსერვატორებს ჯანსაღი ოჯახური გარემო საზოგადოების სტაბილურობის აუცილებელ პირობად მიაჩნიათ; ოჯახი დაცვას და, თუ საჭიროა, გაძლიერებას საჭიროებს. ორგანიციზმი კონსერვატორებს დადგენილი ღირებულებების დაცვაშიც ეხმარება. თუ ზნეობა პირადი არჩევანის საქმეა, როგორც ლიბერალები მიიჩნევენ, მაშინ საეჭვო ხდება საზოგადოების "ზნეობრივი ქსოვილი" და, მასთან ერთად, მისი შედუღაბებულობა, რასაც სოციალური წესრიგი ეფუძნება. ასე რომ, კონსერვატორები უფრთხიან ზნეობრივ და კულტურულ პლურალიზმს (იხ. გვ. 42). მათი აზრით, მაგალითად, მრავალკულტურული საზოგადოებები თავიანთი ბუნებით არასტაბილურია. ამის სანაცვლოდ, კონსერვატორები საერთო კულტურისა და საზიარო ღირებულებების იდეებს უჭერენ მხარს. თუმცა, ასეთ კულტურას მრავალი წყარო შეიძლება აყალიბებდეს, რომელთაგან მნიშვნელოვანია ტრადიცია, ოჯახი და რელიგია, "ტრადიციული ღირებულებების", "ოჯახის ღირებულებებისა" და "ქრისტიანული ღირებულებების" სახით. დაბოლოს, ორგანიციზმშია პასუხი კითხვაზე, რატომ ანიჭებენ კონსერვატორები დიდ მნიშვნელობას ერს. ერები, ოჯახების მსგავსად, ბუნებრივად ყალიბდება. ამ შემთხვევაში მათი საწყისი ბუნებრივი ნათესაური კავშირია, რომელიც ვითარდება იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც საერთო ენა, ისტორია, კულტურა და ტრადიციები აქვთ. შესაბამისად, პატრიოტიზმი (იხ. გვ. 192) ის ძალაა, რომელიც ინდივიდებსაც და საზოგადოებასაც ერთიანობაში იდენტობისა და მიკუთვნებულობის აუცილებელ გრძნობებს უვითარებს. ეს იდეები უდევს საფუძვლად კონსერვატიულ ნაციონალიზმს, რომელსაც მე-5 თავში განვიხილავთ.

## იერარქია და ძალაუფლება

კონსერვატორებს ტრადიციულად სჯეროდათ, რომ საზოგადოება ბუნებრივად იერარქიულია, რომ მას მყარი და აღიარებული სოციალური გრადაციები ახასიათებს. ამდენად, სოციალური თანასწორობა მათთვის მიუღებელია როგორც არასასურველი და მიუღწევადი; ძალაუფლება, სტატუსი და საკუთრება ყოველთვის უთანასწოროდ ნაწილდება. კონსერვატორები ლიბერალებს ეთანხმებიან და მათ მსგავსად ინდივიდთა ბუნებრივი უთანასწორობის იდეას იზიარებენ: ერთნი ნიჭითა და უნარით დაჯილდოებულნი იბადებიან, მეორენი კი – მოკლებულნი არიან ამათ. მაგრამ ლიბერალთა შემთხვევაში ამას მერიტოკრატიის რწმენამდე მივყავართ, რომლის მიხედვითაც, ინდივიდების წარმატებასა თუ წარუმატებლობას მათი უნარები და

მუშაობის სურვილი განსაზღვრავს. ტრადიციულად, კონსერვატორებს სჯეროდათ, რომ უთანასწორობას ფესვები უფრო ღრმადა აქვს გადგმული. იგი ორგანული საზოგადოების აუცილებელი თვისებაა, და არა უბრალოდ ინდივიდუალურ განსხვავებათა შედეგი. ამ თვალსაზრისით, ბერკის მსგავს დემოკრატიამდელ კონსერვატორებს საფუძველი ჰქონდათ, გაეზიარებინათ "ბუნებრივი არისტოკრატიის" იდეა. განსხვავებულ კლასებსა და ჯგუფებს, რომლებიც საზოგადოებას შეადგენენ, ისევე აქვთ გადანაწილებული მათთვის განკუთვნილი სპეციფიკური როლები, როგორც ტვინს, გულსა და ღვიძლს, რომლებიც სხეულში სრულიად განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ. უნდა არსებობდნენ ლიდერები და მათი მიმდევრებიც; უნდა არსებობდნენ მმართველები და მუშები; ამისათვის კი, უნდა არსებობდნენ ისინი, ვინც სამუშაოდ დადის და ისინი, ვინც სახლში რჩება და შვილებს უვლის. ასე რომ, ჭეშმარიტი სოციალური თანასწორობა მითია; სინამდვილეში, არსებობს სიმდიდრისა და სოციალური მდგომარეობის ბუნებრივი უთანასწორობა, რომელიც სოციალურ პასუხისმგებლობათა შესაბამისი უთანასწორობით აიხსნება. მომუშავე კლასის წარმომადგენლებს შესაძლოა ისეთივე საცხოვრებელი პირობები და შანსები არ ჰქონდეთ ცხოვრებაში, როგორიც მათ დამქირავებლებს, მაგრამ იმავდროულად მათ მხრებზე ტვირთად არ აწევთ მრავალი სხვა ადამიანის საარსებო პირობებსა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ამგვარად, იერარქიულობამ და ორგანიციზმმა ტრადიციულ კონსერვატიზმში პატერნალიზმის (იხ. გვ. 98) ტენდენცია გამოკვეთა.

იერარქიის რწმენას აძლიერებს კონსერვატორების მხრივ ძალაუფლებაზე ყურადღების საგანგებო გამახვილება. ისინი არ იზიარებენ ლიბერალთა რწმენას, თითქოს ძალაუფლების წინაპირობა თავისუფალ ინდივიდთა შეთანხმება იყოს. ლიბერალურ თეორიაში ძალაუფლებას ინდივიდები საკუთარი სიკეთისთვის ამყარებენ. ამის საწინააღმდეგოდ, კონსერვატორების რწმენით, ძალაუფლება, ისევე, როგორც საზოგადოება, ბუნებრივად ვითარდება. მშობლებს გავლენა აქვთ შვილებზე: ისინი მათ სიცოცხლეს, ფაქტობრივად, ყველა ასპექტით აკონტროლებენ, რაიმე კონტრაქტისა თუ შეთანხმების გარეშე. ძალაუფლებას ისევ და ისევ ბუნებრივი აუცილებლობა განაპირობებს, ბავშვების შემთხვევაში ესაა მათზე ზრუნვა, ხიფათისგან დაცვა, ჯანსაღი კვება, თავის დროზე დაძინება და ა. შ. ასეთი ძალაუფლება მხოლოდ "ზევიდან" შეიძლება მოდიოდეს, უბრალოდ იმიტომ, რომ ბავშვებმა არ იციან, რა არის მათთვის უკეთესი. ის "ქვევიდან" არ მოდის და არც შეიძლება მოდიოდეს; ვერავინ იტყვის, თითქოს ბავშვები თავად თანხმდებოდნენ იმაზე, რომ უფროსებმა მართონ.

ძალაუფლებას, კონსერვატორთა აზრით, საფუძველი საზოგადოების ბუნებასა და ყველა სოციალურ ინსტიტუტში აქვს. სკოლებში მას მასწავლებელი უნდა ახორციელებდეს, საწარმოში – მეწარმე, მთლიანად საზოგადოებაში კი – მთავრობა. ძალაუფლება, ამბობენ ისინი, აუცილებელიცაა და სასარგებლოც, რადგან ყველა ადამიანს სჭირდება დაკვალიანება, მხარდაჭერა და იმის საიმედო ცოდნა, "სად დგას" და რას ელიან მისგან. ასე რომ, ძალაუფლება უსაფუძვლობასა და უკანონობას არ ცნობს. ამის გამოა, რომ

კონსერვატორები განსაკუთრებით გამოკვეთენ ლიდერობისა და დისციპლინის როლს. ლიდერობა ნებისმიერი საზოგადოების აუცილებელი ელემენტია, რადგან ის წარმოადგენს უნარს, რომლითაც ლიდერი გზას უჩვენებს და შთაგონებით ალავსებს სხვებს. დისციპლინა უბრალოდ გაუაზრებელი მორჩილება არაა, ის ძალაუფლების ნებაყოფლობითი და გონივრული პატივისცემაა. ავტორიტარული ფრთის კონსერვატორები კიდევ უფრო შორს მიდიან და ძალაუფლებას გვიხასიათებენ როგორც აბსოლუტურს და უცილობელს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კონსერვატორთა უმეტესობის აზრით, ძალაუფლების განხორციელებას საზღვრები უნდა ჰქონდეს და ამ საზღვრებს ხელოვნური კონტრაქტი კი არ განსაზღვრავს, არამედ – თავად ძალაუფლებიდან გამომდინარე ბუნებრივი მოვალეობები. მშობლებს შვილებზე გავლენა უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შვილების მიმართ ნებისმიერი სახის მოპყრობაა დასაშვები. მშობლის უფლებამოსილებაში იგულისხმება ვალდებულება, გაზარდონ შვილები, გზაზე დააყენონ და, თუ საჭიროა, დასაჯონ, მაგრამ მშობელს უფლება არა აქვს, ცუდად მოექცეს ან, ვთქვათ, მონად გაყიდოს საკუთარი შვილი.

## საკუთრება

საკუთრებას კონსერვატორები დიდ და ზოგჯერ თითქმის მისტიკურ მნიშვნელობას ანიჭებენ. ლიბერალთა აზრით, საკუთრება დამსახურების ასახვაა: ვინც ბევრს მუშაობს და ნიჭიერია, სიმდიდრეს მოიხვეჭს და დამსახურებულადაც. შესაბამისად, საკუთრება "შრომით მოიპოვება". ეს დოქტრინა კონსერვატორთა იმ ნაწილს იზიდავს, რომელსაც სიმდიდრის დაგროვების უნარი მნიშვნელოვან ეკონომიკურ სტიმულად მიაჩნია. მაგრამ კონსერვატორები საკუთრებას მთელ რიგ ფსიქოლოგიურ და სოციალურ უპირატესობასაც აკუთვნებენ. მაგალითად, ის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. გაურკვევლობითა და მოულოდნელობებით აღსავსე სამყაროში საკუთრების ფლობა ადამიანებს თავდაჯერებულობისა და დაზღვეულობის გრძნობას უვითარებს, რაღაც ისეთს, "გაჭირვების ჟამს" რომ გამოადგებათ. საკუთრება, ნებისმიერი ფორმით, იქნება ეს სახლის ქონა თუ დანაზოგი ბანკში, ადამიანის დაცულობის წყაროა. ამიტომ კონსერვატორებს სჯერათ, რომ მომჭირნეობა – სიფრთხილე ფულის განკარგვაში – თავისთავად სიქველეა და ცდილობენ, წაახალისონ პირადი დანაზოგები და საკუთრებაში ფულის დაბანდება.

საკუთრების ფლობა მთელ რიგ სოციალურ ღირებულებებსაც ავითარებს. მესაკუთრე, ვინც იცის საკუთრების ყადრი, სხვის საკუთრებასაც მეტად დააფასებს. მას გათვითცნობიერებული ექნება ისიც, რომ საკუთრება დაცული უნდა იყოს უწესრიგობისა და უკანონობისაგან. ამიტომ მესაკუთრეებს საზოგადოებაში ერთგვარი "წილი" აქვთ; ანუ ისინი დაინტერესებულნი არიან, დაიცვან კანონი და წესრიგი. ამ გაგებით, მესაკუთრეობას შეუძლია განავითაროს ის, რასაც კანონის, ძალაუფლებისა და სოციალური წესრიგის პატივისცემის "კონსერვატიული ღირებულებები" შეიძლება ვუწოდოთ. და მაინც, არსებობს უფრო ღრმა და პიროვნული მიზეზი იმისა,

რატომ ემხრობიან კონსერვატორები მესაკუთრეობას – საკუთრება მათ ლამის ინდივიდის პიროვნულობის გავრცობად მიაჩნიათ. საკუთრება მისი მფლობელის სარკეა, ადამიანები მასში საკუთარი თავის "რეალიზებას ახდენენ". საკუთრება უბრალოდ გარეშე საგანი არაა, რომელიც მხოლოდ იმიტომაა ღირებული, რომ სასარგებლოა – სახლი გვათბობს და წვიმისგან გვიცავს, მანქანა სატრანსპორტო საშუალებაა და ა. შ. – ის მისი მესაკუთრის პიროვნებასა და ხასიათზეც მეტყველებს. სწორედ ამიტომ, აღნიშნავენ კონსერვატორები, ქურდობა განსაკუთრებით არასასურველი დანაშაულია: მატერიალურის გარდა, დაზარალებულს მორალური ზიანიც ადგება – უჩნდება პირადი შეურაცხყოფის გრძნობა. ბინა ყველაზე პირადული და ძვირფასია საკუთრებათაგან, მესაკუთრე მას საკუთარი გემოვნებისა და მოთხოვნილებების მიხედვით მოაწყობს და ამიტომ ის მისი მფლობელის პიროვნებაზე მეტყველებს. კონსერვატორებს განსაკუთრებით აღაშფოთებთ სოციალისტების მოთხოვნა, რომ მოხდეს საკუთრების "სოციალიზება", ანუ საკუთრება იყოს საერთო მფლობელობაში და არა კერძო პიროვნებათა ხელში. კონსერვატორთა აზრით, ეს უსულგულო და დეპერსონალიზებული საზოგადოების ჩამოყალიბების საშიშროებას ქმნის.

კონსერვატორები მაინც ისე შორს ვერ მიდიან, როგორც *laissez-faire*-ის პოლიტიკის მომხრე ლიბერალები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისი საკუთრება ისე განკარგოს, როგორც მოესურვება. ერთი მხრივ, ლიბერტარული ფრთის კონსერვატორებს და, მაშასადამე, ლიბერალ ახალ მემარჯვენეებსაც, საკუთრებაზე, არსებითად, ლიბერალური შეხედულება აქვთ, მეორე მხრივ, კონსერვატორები ტრადიციულად თვლიან, რომ ყველა უფლება, მათ შორის საკუთრების უფლებებიც, ვალდებულებებს წარმოშობს. საკუთრება საკუთრივ ინდივიდს არ ეხება, მას საზოგადოებისთვისაც აქვს მნიშვნელობა. ინდივიდის უფლებები გაწონასწორებული უნდა იყოს საზოგადოების ანუ ერის კეთილდღეობასთან. თუ, მაგალითად, კონსერვატორთა აზრით, მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში ეროვნულ ინტერესებს ემსახურება, ასეთ შემთხვევაში ბიზნესის თავისუფლება უნდა შეიკვეცოს. გარდა ამისა, საკუთრებას მხოლოდ არსებული თაობა არ ქმნის. მისი უდიდესი ნაწილი – მიწა, სახლები, ხელოვნების ნიმუშები – თაობიდან თაობას გადაეცემა. არსებული თაობა, ამ გაგებით, ერის სიმდიდრის დარაჯია და მისი მოვალეობაა, დაიცვას ის მომავალი თაობების საკეთილდღეოდ. ჰაროლდ მაკმილანმა, გაერთიანებული სამეფოს კონსერვატორმა პრემიერ-მინისტრმა 1957-63 წლებში, სწორედ ეს აზრი გამოხატა XX ს-ის 80-იან წლებში, როდესაც თეტჩერის მთავრობის მიერ წარმოებული პრივატიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდა, რომელსაც "ოჯახის ვერცხლეულის იაფად გაყიდვას" ადარებდა.

## ავტორიტარული კონსერვატიზმი

ერთი მხრივ, ყველა კონსერვატორი იჩემებს ძალაუფლების პატივისცემას, მეორე მხრივ კი, თანამედროვე კონსერვატორთაგან ცოტა თუ აღიარებს,

რომ მათი შეხედულებები ავტორიტარულია. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე კონსერვატორები დემოკრატიული, განსაკუთრებით ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულებას გამოხატავენ, კონსერვატიზმისათვის უცხო არ არის ავტორიტარული მმართველობის მომხრეობის ტრადიცია, განსაკუთრებით – კონტინენტურ ევროპაში. საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში თვითმპყრობელური მმართველობის მთავარი ქომაგი იყო ფრანგი პოლიტიკოსი ჟოზე დე მესტრი (Joseph de Maistre, 1753-1821). დე მესტრი გაათრებით აკრიტიკებდა საფრანგეთის რევოლუციას, მაგრამ, ბერკისაგან განსხვავებით, ის მემკვიდრეობითი მონარქიისთვის აბსოლუტური ძალაუფლების აღდგენას ლამობდა. ის რეაქციონერი გახლდათ და სულ არ იყო მზად, 1789 წელს დამხობილი *ancien régime*-ის რაიმეგვარი ცვლილება მიეღო. მისი პოლიტიკური ფილოსოფია "ბატონის" ნებასურვილისადმი სრულ მორჩილებას ემყარებოდა. *Du Pape*-ში (1817) დე მესტრი კიდევ უფრო შორს მიდის, როდესაც ამბობს, რომ მიწიერ მონარქიებს უნდა განაგებდეს უზენაესი სულიერი ძალაუფლება პაპის სახით. დე მესტრს ღრმად სწამდა, რომ საზოგადოება ორგანულია და რომ ის დაქუცმაცდება ან დაიშლება, "ტახტისა და საკურთხევლის" პრინციპთა წყვილი რომ არ კრავდეს ერთ მთლიანობად. ამიტომ მისთვის მთავარი წესრიგის შენარჩუნება იყო. მხოლოდ ასე შეიძლებოდა, მისი აზრით, ხალხის უზრუნველყოფა დაცვითა და უსაფრთხოებით. რევოლუცია, რეფორმაც კი, შეასუსტებდა ჯაჭვებს, რომლებითაც ხალხი ერთმანეთსაა გადაბმული და ქაოსისა და ჩაგვრისაკენ უბიძგებდა მას. თვით ულმობელ მმართველსაც კი უნდა მორჩილებდნენ, რადგან, თუ ერთხელ მაინც დადგა ეჭვქვეშ ძალაუფლების დადგენილი პრინციპი, ამას უსასრულოდ უფრო დიდი ტანჯვა მოჰყვება.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში კონსერვატორები კონტინენტურ ევროპაში თვითმპყრობელური მმართველობის მყარი, იერარქიული ღირებულებების ერთგულნი რჩებოდნენ და მზარდ ლიბერალურ, ნაციონალისტურ და სოციალისტურ პროტესტს წარბშეუხრელად ხვდებოდნენ. ალბათ არსად იცავდნენ თვითმპყრობელობას ისე, როგორც მეფის რუსეთ-

## ავტორიტარიზმი

ავტორიტარიზმი არის "ზემოდან" მართვის რწმენა ან ისეთი მმართველობის გატარება, რომლის დროსაც ხორციელდება ძალაუფლება ხალხზე მისი თანხმობით ან მისი ნების წინააღმდეგ. ამდენად, ავტორიტარიზმის ცნება ძალაუფლების ცნებისაგან განსხვავდება. ეს უკანასკნელი ლეგიტიმურობას ეფუძნება და, ამ გაგებით, "ქვევიდან" მოდის. ავტორიტარი მოაზროვნენი, როგორც წესი, საკუთარ შეხედულებებს ან წარმატებულ ლიდერთა სიბრძნის რწმენაზე აგებენ ან იმ იდეალზე, რომ სოციალური წესრიგის მიღწევის ერთადერთი პირობა უსიტყვო მორჩილებაა. თუმცა, ჩვეულებრივ, ავტორიტარიზმს ტოტალიტარიზმისგან (იხ. გვ. 263) განარჩევენ. "ზემოდან" მართვის ტრადიცია, რომელიც მონარქიულ აბსოლუტიზმთან, ტრადიციულ დიქტატურებსა და თითქმის ყველა ფორმის სამხედრო მმართველობასთან ასოცირდება, ოპოზიციისა და პოლიტიკური თავისუფლების დათრგუნვას უფრო გულისხმობს, ვიდრე სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის განსხვავების წაშლის უფრო რადიკალურ მიზანს.

ში. მეფე (ცარი) ნიკოლოზ I-ის, 1825-55, მიერ გამოცხადებული პრინციპები: "მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა და ეროვნულობა" კონტრასტული იყო იმ ღირებულებებისა, რომლებმაც საფრანგეთის რევოლუციას შთაბერა სული: "თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა". ნიკოლოზის შთამომავლები ჯიუტად უარობდნენ, ძალაუფლება კონსტიტუციით ან პარლამენტარული ინსტიტუციებით შეეზღუდათ. გერმანიაში, მართალია, განვითარდა კონსტიტუციური მმართველობა, მაგრამ ბისმარკმა, იმპერიის კანცლერმა, 1871-90, ცხადყო, რომ ეს თვალთმაქცობა იყო. სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კათოლიკურში, თვითმპყრობელობა ძალას ინარჩუნებდა. იტალიის გაერთიანებამ რომის პაპის ძალაუფლება შეზღუდა; პიუს IX იძულებული შეიქნა, თავი "ვატიკანის ტუსაღად" გამოეცხადებინა; აგრეთვე, ეთქვა, რომ საერო პოლიტიკურმა იდეოლოგიებმა ვატიკანის დოქტრინებსაც შეუტია. 1864 წელს პაპმა დაგმო ყველა რადიკალური თუ პროგრესული იდეა, მათ შორის ნაციონალიზმი, ლიბერალიზმი და სოციალიზმი, როგორც "ჩვენი ერთობ ბედუკუღმართი დროის ყალბი დოქტრინები". ვატიკანის ქვეშევრდომი ქვეყნებისა და რომის დაკარგვის შემდეგ კი, 1870 წელს, მან პაპის ინსტიტუტის ურყევობის ედიქტი გამოსცა. კონტინენტურ ევროპაში კონსერვატორთა წინააღმდეგობა რეფორმებისა და დემოკრატიული მთავრობის მიღება-აღიარებასთან დაკავშირებით მეოცე საუკუნეშიც გრძელდებოდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იტალიასა და გერმანიაში, მაგალითად, კონსერვატიულმა ელიტებმა განვითარების პროცესში მყოფი ფაშისტური მოძრაობების ხელშეწყობისა და პატივისცემის გამოხატვით ხელი შეუწყვეს საპარლამენტო დემოკრატიის დამხობასა და ხელისუფლებაში მუსოლინისა (იხ. გვ. 264) და ჰიტლერის (იხ. გვ. 255) მოსვლას.

სხვა შემთხვევებში, კონსერვატიულ-ავტორიტარულმა რეჟიმებმა პოლიტიკური მხარდაჭერისათვის მასებს მიმართეს, რომელთაც ახლად ჰქონდათ მიღებული არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ასე მოხდა საფრანგეთში, სადაც 1848 წელს მამაკაცებს საყოველთაო ხმის უფლება დაუდგინდათ. ლუი ნაპოლეონმა (Louis Napoleon) პრეზიდენტად არჩევას მიაღწია, მოგვიანებით კი წვრილ გლეხობაზე – ფრანგული ელექტორატის უდიდეს ნაწილზე – გავლენის მოპოვებით თავი იმპერატორ ნაპოლეონ მესამედ გამოაცხადა.

ნაპოლეონის რეჟიმმა თვითმპყრობელობა ეკონომიკური კეთილდღეობის დაპირებებსა და სოციალურ რეფორმას დაუკავშირა პლებისციტური დიქტატურის სახით, რომელიც მეოცე საუკუნეს უფრო ესადაგება. ბონაპარტიზმი მეოცე საუკუნის პერონიზმს შეიძლება შევადაროთ. ხუან პერონი არგენტინის დიქტატორი იყო, 1946-55; მის მოწოდებებში მორჩილების, წესრიგისა და ეროვნული ერთიანობის ნაცნობი ავტორიტარული თემები ჟღერდა. მაგრამ პერონი პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად ტრადიციულ ელიტათა ინტერესებს კი არ იყენებდა, არამედ – გაღატაკებულ მასებს, "უპერანგოებს", როგორც თავად ეძახდა მათ. პერონის რეჟიმი პოპულისტური იყო (იხ. გვ. 348), რადგან მისი პოლიტიკის მიმართულებები უბრალო ადამიანთა ინსტინქტებსა და სურვილებს, ამ შემთხვევაში "იანკების იმპერიალიზმისადმი" ხალხის გულისწყრომასა და ეკონომიკური და სოციალური პროგრესისადმი მასობრივ სწრაფვას პასუხობდა. მსგავსი რეჟიმე-

ბი განვითარდა აფრიკაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში. ასეთი რეჟიმები კონსერვატიულ ელიტათა მდგომარეობის განმტკიცებას ემსახურება და ხშირად ნაციონალიზმის განსაკუთრებით კონსერვატიულ ფორმას იღებს, რათა დიქტატორულ მმართველობას სახალხო მხარდაჭერა მოუპოვოს. მაგრამ პერონის რეჟიმის მსგავსი პოპულისტურ-ავტორიტარული რეჟიმები ისეთ თვისებებს ავლენენ, რომლებიც ფაშიზმს უფრო გვაგონებს, ვიდრე კონსერვატიზმს.

## პატერნალისტური კონსერვატიზმი

კონტინენტურ ევროპაში კონსერვატორებმა ცვლილებისადმი უკომპრომისო წინააღმდეგობის გზა აირჩიეს. ამ მიმართულებით უფრო მოქნილი და, საბოლოო ჯამში, უფრო წარმატებული ანგლო-ამერიკული ტრადიცია ჯერ კიდევ ედმუნდ ბერკთან შეიძლება აღმოვაჩინოთ. საფრანგეთის რევოლუციამ ბერკს ასწავლა, რომ ცვლილება შეიძლება ბუნებრივი ან გარდაუვალი იყოს და ასეთ შემთხვევაში მას წინ არ უნდა აღვუდგეთ. "თუ სახელმწიფო ცვლილებას არ საჭიროებს, - ამბობდა ბერკი, – ეს იმას ნიშნავს, რომ მას კონსერვაცია არ სჭირდება" ([1790] 1975, გვ. 285). ბერკის კონსერვატიზმს ახასიათებს სიფრთხილე, ზომიერება და პრაგმატიზმი; მასში გამოსჭვივის უნდობლობა დადგენილი პრინციპებისადმი, იმისდა მიუხედავად, რევოლუციურია თუ რეაქციული ისინი. იან გილმურს (Gilmour, 1978) თუ დავესესხებით, "ბრძენი კონსერვატორი ბარგის გარეშე მოგზაურობს". კონსერვატორთათვის სათაყვანო ღირებულებებს – ტრადიციას, წესრიგს, ძალაუფლებას, საკუთრებას და ა. შ. – საშიშროება მხოლოდ იმ შემთხვევაში არ ემუქრება, თუ პოლიტიკა პრაქტიკული ვითარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით წარიმართება. ასეთი პოზიცია იშვიათად თუ გაამართლებს უცაბედ ან რადიკალურ ცვლილებას, სანაცვლოდ ის არჩევს კეთილგონივრულ მზადყოფნას "ცვლილებისათვის კონსერვაციის მიზნით". პრაგმატისტი კონსერვატორები პრინციპულად არც ინდივიდს და არც სახელმწიფოს უჭერენ მხარს, სამაგიეროდ მზად არიან, მიემხრონ ორივეს, ან, უმეტესწილად, გვთავაზობენ მათ დაბალანსებას იმისდა მიხედვით, თუ "რა იმუშავებს". სინამდვილეში, რეფორმირების იმპულსი კონსერვატიულ იდეოლოგიაში მჭიდროდ უკავშირდება მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში შემორჩენილ ნეოფეოდალურ პატერნალისტურ ღირებულებებს. პატერნალისტურ კონსერვატიულ იდეოლოგიაში ორ ძირითად ტრადიციას განარჩევენ. ესენია:

- ერთი ერის კონსერვატიზმი
- ქრისტიანული დემოკრატია

### ერთი ერის კონსერვატიზმი

ანგლო-ამერიკული პატერნალისტური ტრადიციის კვალს ხშირად ბენჯამინ დიზრაელისთან (Benjamin Dizraeli, 1804-81) მივყავართ, რომელიც გაერთია-

ნებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი იყო 1868 წელს და კვლავ 1874-80 წლებში. დიზრაელიმ თავისი პოლიტიკური ფილოსოფია ორ რომანში განავითარა, ესენია *Sybil* (1845) და *Coningsby* (1844), რომლებიც პრემიერ-მინისტრად არჩევამდე დაწერა. ამ რომანებში ყურადღება გამახვილებულია სოციალური ვალდებულების პრინციპზე იმ უკიდურესი ინდივიდუალიზმის აშკარად საპირისპიროდ, რომელიც იმჟამინდელ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში იყო გაბატონებული. დიზრაელის მოღვაწეობა იმ პერიოდს დაემთხვა, რომლის მახასიათებლებიც იყო მზარდი ინდუსტრიალიზაცია, ეკონომიკური უთანასწორობა და რევოლუციური ძვრები, ყოველ შემთხვევაში, კონტინენტურ ევროპაში. ის ყურადღებას ამახვილებდა საშიშროებაზე, რომელიც ბრიტანეთს "ორ ერად: მდიდრებად და ღარიბებად" დაყოფას უქადდა. დიზრაელის არგუმენტაცია საუკეთესო კონსერვატიული ტრადიციის შესანიშნავი ნიმუშია და კეთილგონიერებისა და პრინციპულობის შეხამებაზეა აგებული.

დიზრაელი, ერთი მხრივ, მზარდ სოციალურ უთანასწორობაში რევოლუციის საფრთხეს ხედავდა. ის გრძნობდა, რომ გაღატაკებული და ჩაგრული მუშათა კლასი ასე იოლად ვერ აიტანდა სიდუხჭირეს. როგორც ჩანს, ამ რწმენის საფუძველი იყო რევოლუციები, რომლებმაც 1830 და 1848 წლებში იფეთქა ევროპაში. ამიტომ რეფორმის გატარება გონივრული იქნებოდა, რადგან რევოლუციის ტალღის შეჩერებით ის, საბოლოო ჯამში, მდიდართა ინტერესებს უპასუხებდა. მეორე მხრივ, დიზრაელი ზნეობრივი ღირებულებებით აპელირებდა. მისი აზრით, სიმდიდრესა და პრივილეგიებს თან სოციალური ვალდებულებები მოაქვს, კერძოდ, პასუხისმგებლობა ღატაკთა და ნაკლებ შეძლებულთა წინაშე. ამგვარი არგუმენტაციით დიზრაელი ხაზს უსვამდა ორგანულ კონსერვატიულ რწმენას, რომ საზოგადოების ერთიანობის პირობა მოვალეობისა და ვალდებულებების აღიარებაა. მას სჯეროდა, რომ საზოგადოება ბუნებრივად იერარქიულია და იმავდროულად მიაჩნდა, რომ სიმდიდრისა თუ სოციალურ პრივილეგიათა უთანასწორობანი წარმოშობს პასუხისმგებლობათა უთანასწორობას. მდიდარმა და ძალაუფ-

## პატერნალიზმი

პატერნალიზმი სიტყვასიტყვით მამათა ყაიდაზე მოქმედებას ნიშნავს. როგორც პოლიტიკური პრინციპი, ის უკავშირდება ძალას ან ძალაუფლებას, რომელსაც სხვებზე ახორციელებენ სარგებლის ნახვის ან ზიანის თავიდან აცილების მიზნით. სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები და კანონები, როგორიცაა, მაგალითად, უსაფრთხოების ქამრების სავალდებულო ხმარება ავტომობილებში, პატერნალიზმის მაგალითებია. "რბილი" პატერნალისტები ფართო თანხმობით ხასიათდებიან. "მკაცრი" პატერნალისტური მიმართულება თანხმობის არსებობისგან დამოუკიდებლად მოქმედებს და, ამგვარად, ავტორიტარიზმს ერწყმის. პატერნალიზმი იმ პრინციპზე იგება, რომ სიბრძნე და გამოცდილება საზოგადოებაში არათანაბრადაა განაწილებული; ხელისუფლებაში მყოფებმა "უკეთ უწყიან". ამის ოპონენტთა აზრით, ხელისუფლების ნდობა არ გამართლებს, ხოლო პატერნალიზმი თავისუფლებას ზღუდავს და საზოგადოების "ინფანტილიზაციას" უწყობს ხელს.

ლებით აღჭურვილმა უნდა ზიდოს სოციალური პასუხისმგებლობის ტვირთი, რაც არის კიდეც, საბოლოო ჯამში, პრივილეგიის ფასი. ეს იდეები *noblesse oblige*-ის ფეოდალურ პრინციპზე იყო აგებული, ანუ არისტოკრატიის ვალდებულებაზე, ყოფილიყო კეთილშობილი და უხვი. მაგალითად, მიწათმფლობელ თავადაზნაურობას თავის მოვალეობად მიაჩნდა საკუთარი გლეხების პატერნალური მეურვეობა, ისეთი, როგორიც მეფეს ჰქონდა ერთან მიმართებაში. დიზრაელის რჩევით, ასეთი ვალდებულებები წარსულს კი არ უნდა ჩაბარებოდა, არამედ მზარდი ინდუსტრიალიზაციის სამყაროში სოციალურ რეფორმაში უნდა ასახულიყო. ასეთი იდეები თანდათან ერთიანდებოდა ლოზუნგის ქვეშ – "ერთი ერი". ხელისუფლებაში მოსული დიზრაელი კი პასუხს აგებდა როგორც 1867 წლის "მეორე რეფორმის აქტზე", რომელმაც პირველად მისცა მუშათა კლასს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ისე იმ სოციალურ რეფორმებზე, რომლებმაც საბინაო პირობები და ჰიგიენა გააუმჯობესა.

დიზრაელის იდეებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა კონსერვატიზმზე და თავისი წვლილი შეიტანა იმ რადიკალური და რეფორმისტული ტრადიციის ჩამოყალიბებაში, რომელსაც ჯერაც არ დაუკარგავს მიმზიდველობა კონსერვატორთა პრაგმატული ინსტინქტებისა და მათი სოციალური მოვალეობის გრძნობისათვის. გაერთიანებულ სამეფოში ეს იდეები ბალავარს ქმნიან ე. წ. "ერთი ერის კონსერვატიზმისათვის", რომლის მიმდევარნიც ინდუსტრიამდელი, იერარქიული და პატერნალური ღირებულებებისადმი ერთგულების ნიშნად ზოგჯერ თავის თავს "ტორებს" უწოდებენ. დიზრაელის იდეები შემდგომ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ლორდ რენდოლფ ჩერჩილმა (Randolph Churchill) განავითარა "ტორების დემოკრატიის" სახელით. პოლიტიკური დემოკრატიის ფართოდ გავრცელების ხანაში ჩერჩილი ხალხის უფრო მტკიცე მხარდაჭერის მოსაპოვებლად ტრადიციული ინსტიტუტების საჭიროებას გამოკვეთდა – მაგალითად, მონარქიის, ლორდთა პალატისა და ეკლესიისა. ამისათვის კონსერვატიულ პარტიას მუშათა კლასის ხმები უნდა მოეპოვებინა, რაც დიზრაელის სოციალური რეფორმის პოლიტიკური გზის გაგრძელებას გულისხმობდა. ამგვარად, ერთი ერის კონსერვატიზმი შეიძლება დავინახოთ როგორც ტორების კეთილდღეობითობის (Tory welfarism) ერთგვარი გამოხატულება.

ერთი ერის ტრადიციის პიკი XX ს-ის 50-60-იან წლებზე მოდის, როდესაც კონსერვატიული მთავრობები გაერთიანებულ სამეფოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში კეინზიანური სოციალ-დემოკრატიის ვერსიის გატარებას შეუდგნენ; ეს იყო ეკონომიკის მართვის ისეთი ხაზი, რომელიც მიმართული იყო სრული დასაქმებისა და გაზრდილი კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ. ეს პოზიცია არც პოზიტიური თავისუფლების რწმენას ეფუძნებოდა (თანამედროვე ლიბერალიზმის მსგავსად), არც თანასწორობისადმი ერთგულებას (საპარლამენტო სოციალიზმის მსგავსად); მისი საფუძველი იყო არაიდეოლოგიური, "საშუალო ხაზი" *laissez-faire*-ის ლებერალიზმის უკიდურესობებსა და სოციალისტურ სახელმწიფო დაგეგმვას შორის. ანუ, კონსერვატიზმი გაზომიერების გზა იყო, მისი მიზანი იყო უკონტროლო ინდივიდუალიზმისა და იძულებაზე დამყარებული კოლექტივიზმის დაბალანსე-

### ტორიზმი

"ტორი" მეთვრამეტე საუკუნეში ბრიტანეთის პარლამენტში ერთ-ერთი ფრაქციის სახელწოდება იყო (ვიგების ოპოზიცია), რომელიც მონარქიულ ძალაუფლებასა და ანგლიკანურ ეკლესიას უჭერდა მხარს და მიწათმფლობელ წვრილ თავად-აზნაურობას წარმოადგენდა; ამერიკის შეერთებულ შტატებში ის ბრიტანეთის გვირგვინისადმი ლოიალობას გულისხმობდა. მართალია, მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში ტორებისაგან ბრიტანეთის კონსერვატიული პარტია წარმოიქმნა, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში "ტორი" კვლავაც ფართოდ (თუმცა ამაოდ) იხმარება როგორც კონსერვატიულის სინონიმი, ტორიზმის ყველაზე სწორი განმარტება მაინც ზოგადად კონსერვატიზმის შიგნით მისი განსხვავებულ იდეოლოგიურ პოზიციად შეფასებაა. მისი მახასიათებლებია: იერარქიის, ტრადიციის, მოვალეობისა და ორგანიციზმის რწმენა. მაშინ როცა "მაღალი" ტორიზმი მმართველი კლასისადმი ნეოფეოდალურ რწმენასა და დამკვიდრებულ ინსტიტუტთა დემოკრატიამდელ მრწამსს ქადაგებს, ტორთა ტრადიცია გულღიად იღებს კეთილდღეობითობისა და რეფორმისტულ იდეებს, რადგან თვლის, რომ ისინი სოციალური სტაბილობის მიზანს ემსახურება.

ბა. გაერთიანებულ სამეფოში ეს იდეა ყველაზე მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ჰაროლდ მაკმილანის წიგნში *საშუალო ხაზი* (Harold Macmillan, *The Middle Way*, [1938] 1966). მაკმილანი, რომელსაც 1957-63 წლებში პრემიერ-მინისტრობა ელოდა, ემხრობოდა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "დაგეგმილ კაპიტალიზმს", რომელსაც ის აღწერს როგორც "შერეულ სისტემას, რომელიც აერთიანებს, ერთი მხრივ, სახელმწიფო საკუთრებას, ეკონომიკური საქმიანობის გარკვეული მხარეების მართვას ან კონტროლს და, მეორე მხრივ, კერძო საწარმოს ინიციატივასა და დაინტერესებას". მაგრამ ერთი ერის ანუ ტორების იდეები მხოლოდ გარკვეული საფუძველია სოციალური და ეკონომიკური ინტერვენციისათვის. ერთი ერის კონსერვატიზმის მიზანი იერარქიის გაძლიერება უფროა, ვიდრე მისი მოშლა, ხოლო მისი სურვილი, პირობები გაუუმჯობესოს ნაკლებად შეძლებულთ, დაიყვანება სწრაფვამდე, არსებულ წყობას საშიშროება აღარ ექმნებოდეს ღარიბებისაგან.

## ქრისტიანული დემოკრატია

ინტერვენციონისტული პოლიტიკა აირჩიეს 1945 წლის შემდგომ კონტინენტური ევროპის სხვადასხვა ნაწილში ჩამოყალიბებულმა ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიებმაც. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი (CDU) მაშინდელ დასავლეთ გერმანიაში და ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია (DC) იტალიაში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კონსერვატორებმა ევროპის კონტინენტურ ნაწილში უარი თქვეს ავტორიტარულ შეხედულებებზე. კონსერვატიზმის ამ ახალ ფორმაში აისახა პოლიტიკური დემოკრატიის იდეის ერთგულება და კათოლიციზმის პატერნალისტური სოციალური ტრადიციების გავლენა. ვინაიდან პროტესტანტიზმი იმ რწმენას უკავშირდება, რომლის თანახმადაც, ხსნა ცალკეული ადამიანის მონდომებაშია, ამის გამო მისი სოციალური თეორია ინდი-

ვიდუალიზმის (იხ. გვ. 33) გაზიარებად და მძიმე შრომის, შეჯიბრისა და პირადი პასუხისმგებლობის განდიდებად აღიქმება. გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი (Max Weber, 1864-1920), მაგალითად, პროტესტანტულ მორალს "კაპიტალიზმის სულისკვეთებას" უკავშირებდა. კათოლიკური სოციალური თეორიის ყურადღების ცენტრში კი, პირიქით, ტრადიციულად, უფრო სოციალური ჯგუფი მოექცა და არა ინდივიდი. კათოლიციზმისთვის მთავარი უფრო დაბალანსება ან ორგანული ჰარმონიაა და არა შეჯიბრი. მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში, ავტოკრატიისადმი რომის პაპის ინსტიტუტის მყარი ერთგულების მიუხედავად, კათოლიკურმა პარტიებმა, როგორიც იყო *Zentrum* – ცენტრის პარტია გერმანიაში, კონსტიტუციურ მთავრობას, პოლიტიკურ დემოკრატიასა და სოციალურ რეფორმას დაუჭირეს მხარი. 1945 წლის შემდეგ კათოლიკური სოციალური თეორიის ხელშეწყობით ახლად ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიებში დემოკრატიული კორპორატიზმის ერთგვარი ფორმა დაინერგა, რომელიც შუალედურ ინსტიტუტთა, მაგალითად, ეკლესიის, კავშირებისა და ბიზნეს-ჯგუფების მნიშვნელობას გამოკვეთდა, რომლებსაც ერთმანეთთან "სოციალური პარტნიორობის" გაგება აკავშირებდათ. ქრისტიანულმა დემოკრატიამ, ტრადიციულად ერზე ყურადღების გამახვილების სანაცვლოდ, განსაკუთრებით გერმანიაში, ასევე სუბსიდიარობის კათოლიკური პრინციპი აირჩია, ანუ იდეა, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილებებს შესაბამისი უდაბლესი ინსტიტუტი უნდა იღებდეს. სუბსიდიარობისადმი კეთილგანწყობის წყალობით ქრისტიან-დემოკრატებს საშუალება მიეცათ, მხარი დაეჭირათ როგორც დეცენტრალიზაციისთვის, კერძოდ ფედერალიზმის ფორმით, ისე, განსხვავებით გაერთიანებული სამეფოს კონსერვატორებისაგან, ევროპეიზაციისთვის, ანუ ევროპული ინტეგრაციისთვის.

ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიების კეთილგანწყობა კეინზიანური კეთილდღეობითობის პოლიტიკის მიმართ უფრო მყარ დასაყრდენს ისეთ ეკონომისტთა მოქნილ და პრაგმატულ იდეებში პოულობს, როგორიც ფრიდრიხ ლისტი (Friedrich List, 1789-1846) იყო, ვიდრე ადამ სმითისა (იხ. გვ. 59) და დეივიდ რიკარდოს მკაცრ საბაზრო პრინციპებში. ლისტი პოლიტიკისა და პოლიტიკური ძალაუფლების ეკონომიკურ მნიშვნელობას გამოკვეთდა, მაგალითად, როდესაც წარმოების ახალ დარგთა დასაცავად მთავრობის ჩარევის საჭიროებას აღიარებდა უცხოური კონკურენციის მძაფრ პირობებში. ამას შედეგად მოჰყვა "სოციალური საბაზრო ეკონომიკის" იდეისადმი მიმხრობა, რომელსაც ფართო გავლენა ჰქონდა კონტინენტური ევროპის უდიდეს ნაწილში. სოციალური ბაზარი ისეთი ეკონომიკაა, რომელიც საბაზრო პრინციპებზე იგება და მთავრობის კონტროლისაგან უმთავრესად თავისუფალია; მისი ფუნქციონირება ისეთ საზოგადოებას გულისხმობს, რომელშიც ერთიანობა და შეკავშირებულობა საფუძვლიანი სოციალური უზრუნველყოფის სისტემისა და ქმედითი საზოგადოებრივი სამსახურების საშუალებით მიიღწევა. ასე რომ, ბაზარი იმდენად თვითმიზანი არ არის, რამდენადაც სიმდიდრის შექმნის საშუალება უფრო ფართო სოციალური მიზნების მისაღწევად. ასეთი აზროვნების შედეგად ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის განსაკუთრებული მოდელი, რომელიც გავრცელდა კონტინენტური

ევროპის უდიდეს ნაწილში და, გარკვეულწილად, ევროკავშირშიც. მას ზოგჯერ რაინ-ალპური კაპიტალიზმის ან "სოციალური კაპიტალიზმის" მეტსახელით მოიხსენიებენ ანგლო-ამერიკული კაპიტალიზმის ან "სამეწარმეო კაპიტალიზმის" საპირისპიროდ. პირველი პარტნიორობისა და თანამშრომლობის აქცენტირებას ახდენს, მაშინ როცა მეორე საბაზრო ეკონომიკის შეუზღუდავ ფუნქციონირებას ემყარება. სოციალური ბაზრის აზროვნებამ XX ს-ის 70-იანი წლებიდან საკუთრივ ქრისტიანული დემოკრატია, საზოგადოდ კი კონტინენტური ევროპის კონსერვატიზმი, განსხვავებით გაერთიანებულ სამეფოსა თუ შეერთებულ შტატებში განვითარებული ერთეროვნული პატერნალიზმისნაირსახეობებისგან, თავისუფალი ბაზრის ეკონომიკის გავლენისაგან გაცილებით თავისუფალი გახადა.

## ლიბერტარული კონსერვატიზმი

მართალია, კონსერვატიზმი ძირითადად ინდუსტრიამდელი ეპოქის იდეებს ეფუძნება, ისეთებს, როგორებიცაა ორგანიციზმი, იერარქია და ვალდებულება, მაგრამ ამ იდეოლოგიაზე დიდი გავლენა იქონია ლიბერალურმა იდეებმაც, განსაკუთრებით კლასიკური ლიბერალიზმისა. ამას მეოცე საუკუნის დასასრულის მოვლენადაც აფასებენ, როდესაც ახალმა მემარჯვენეებმა, ასე ვთქვათ, "მოიტაცეს" კონსერვატიზმი კლასიკური ლიბერალიზმის ინტერესებისთვის. და მაინც, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან კონსერვატორებმა ლიბერალური დოქტრინები წამოაყენეს, განსაკუთრებით თავისუფალ ბაზართან დაკავშირებით. ისინი კონსერვატიული პატერნალიზმის მეტოქე ტრადიციად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს იდეები ლიბერტარულია, რამდენადაც მაქსიმალურ ეკონომიკურ თავისუფლებასა და სოციალური სფეროს რაც შეიძლება მინიმალურ სახელისუფლო რეგულირებას ქადაგებს. ლიბერტარელი კონსერვატორები უბრალოდ ლიბერალებად კი არ გადაიქცნენ, არამედ სწამთ, რომ ლიბერალური ეკონომიკა თავსებადია უფრო ტრადიციულ, კონსერვატიულ სოციალურ ფილოსოფიასთან, რომელიც ისეთ ღირებულებებს ეფუძნება, როგორებიცაა ძალაუფლება და მოვალეობა. ეს ნათლად ჩანს ედმუნდ ბერკის მოღვაწეობის მაგალითზე, რომელიც მრავალი გაგებით ტრადიციული კონსერვატიზმის ფუძემდებელი, მაგრამ ამავე დროს ადამ სმითის ლიბერალური ეკონომიკის ერთგული მიმდევარიც გახლდათ.

ლიბერტარული ტრადიცია ყველაზე ძლიერი იმ ქვეყნებში აღმოჩნდა, სადაც კლასიკური ლიბერალიზმის იდეებს ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდათ, ისევ და ისევ გაერთიანებულ სამეფოსა და შეერთებულ შტატებში. უკვე მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ბერკმა მკაფიოდ მიანიჭა უპირატესობა კომერციულ ურთიერთობებში თავისუფალ ვაჭრობას, საშინაო საქმეებში კი კონკურენციაზე დამყარებულ, თვითმართვად საბაზრო ეკონომიკას. თავისუფალი ბაზარი ეფექტური და სამართლიანია, მაგრამ ის, ბერკის აზრით, ასევე ბუნებრივი და აუცილებელიცაა. "ბუნებრივია", რადგან ასახავს სიმდიდრისაკენ ლტოლვას, "სარფის სიყვარულს", რომელიც ადამიანის ბუნე-

## ლიბერტარ(იან)იზმი

ლიბერტარიზმი მოიცავს თეორიებს, რომლებიც ისეთ ღირებულებებთან შედარებით, როგორებიცაა ძალაუფლება, ტრადიცია და თანასწორობა, მტკიცე პრიორიტეტს თავისუფლებას (ნეგატიურად გაგებულს) ანიჭებს. ამდენად ლიბერტარელები ისწრაფიან, მაქსიმალურად გააფართოვონ ინდივიდის თავისუფლების არეალი და მინიმუმამდე დაიყვანონ საზოგადოებრივი ძალაუფლების საზღვრები; სახელმწიფოს ისინი, როგორც წესი, თავისუფლების ძირითად საფრთხედ თვლიან. ორი ყველაზე ცნობილი ლიბერტარული ტრადიცია სათავეს იღებს ინდივიდის უფლებების იდეიდან (რობერტ ნოზიკი, იხ. გვ. 111) და *laissez-faire* ეკონომიკის დოქტრინებიდან (ფრიდრიხ ჰაიეკი, იხ. გვ. 108), თუმცა ლიბერტარიზმს სოციალისტებიც ემხრობიან. ზოგჯერ ლიბერტარიზმის ლიბერალიზმისაგან გამიჯვნას საფუძვლად უდებენ იმას, რომ ეს უკანასკნელი, კლასიკური ფორმითაც კი, უარს ამბობს, თავისუფლება წესრიგზე მაღლა დააყენოს. და მაინც, ის განსხვავდება ანარქიზმისაგან, რადგან ლიბერტარელები, საზოგადოდ, აღიარებენ მინიმალური ან გუშაგის ფუნქციის შემსრულებელი სახელმწიფოს საჭიროებას, ზოგჯერ კი თავს "მონარქისტებადაც" წარმოაჩენენ.

ბის ნაწილია. ამიტომ ბაზრის კანონები "ბუნებრივი კანონებია". ის ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ სამუშაო პირობები, რომლებსაც ბაზარი გვკარნახობს, ბევრისათვის "დამამცირებელი, შეუფერებელი, უღირსი და ხშირად ერთობ საზიანოა", მაგრამ იმაზეც მიგვითითებს, რომ უარესს უნდა მოველოდეთ, თუ "ბუნებრივი განვითარების პროცესი" დაირღვევა. ბერკი ვერ ხედავდა წინააღმდეგობას მის მიერ, ერთი მხრივ, საბაზრო ეკონომიკის მხარდაჭერასა და, მეორე მხრივ, ტრადიციული სოციალური წესრიგისადმი ერთგულებას შორის, რადგან, მისი რწმენით, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსათვის ტრადიციული ფეოდალური წყობა ბრიტანეთში კაპიტალისტურმა შეცვალა. შესაბამისად, კაპიტალისტური თავისუფალი ბაზრის იდეა უკვე ტრადიციის ძალით არსებობდა, სწორედ ისევე, როგორც მონარქია და ეკლესია.

და მაინც, ლიბერტარელი კონსერვატორები თანმიმდევრული ლიბერალები არ არიან. მათ სჯერათ ეკონომიკური ინდივიდუალიზმისა და იმისა, რომ "მთავრობამ ბიზნესის კისერზე ჯდომას თავი უნდა დაანებოს", მაგრამ არ არიან მზად, ინდივიდუალური თავისუფლების ეს პრინციპი სოციალური სფეროს სხვა მხარეებზეც ჯეროვნად განავრცონ. ადრეული ლიბერალები, მაგალითად, რიჩარდ კობდენი (1804-65) და ჯონ სტიუარტ მილი მზად იყვნენ, სოციალური და მორალური პასუხისმგებლობა, და არა უბრალოდ ეკონომიკური პასუხისმგებლობა, ინდივიდისათვის გადაეცათ. როგორც ჰაიეკი აღნიშნავდა *The Constitution of Liberty*-ში (Hayek, 1960), კონსერვატიზმისგან და, მისი აზრით, სოციალიზმისგანაც ლიბერალიზმს გამოარჩევს რწმენა, რომ ზნეობრივი გადაწყვეტილებები ინდივიდს უნდა მივანდოთ, თუ მათ ისეთ ქცევამდე არ მივყავართ, რომელიც საფრთხეს უქადის სხვა ადამიანებს. ამიტომ ინდივიდი სახელმწიფოსგან რაც შეიძლება ნაკლებ უნდა იყოს მართული. კონსერვატორები, თვით ლიბერტარელი კონსერვატორებიც კი, ადამიანის ბუნებას უფრო პესიმისტური კუთხით აფასებენ. ძლიერი სახელმწიფო საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლადაა საჭირო და კიდევ

### კონსერვატიზმში (1)

| პრაგმატული კონსერვატიზმი | v. | ლიბერტარული კონსერვატიზმი |
|---|---|---|
| პრაგმატული | – | იდეოლოგიური |
| ტრადიციონალიზმი | – | რადიკალიზმი |
| სოციალური მოვალეობა | – | ეგოიზმი |
| ორგანული საზოგადოება | – | ატომისტური ინდივიდუალიზმი |
| იერარქია | – | მერიტოკრატია |
| პატერნალიზმი | – | თვითდახმარება |
| ზნეობრივი პასუხისმგებლობა | – | ეკონომიკური უფლებები |
| ბუნებრივი წესრიგი | – | საბაზრო წესრიგი |
| "საშუალო ხაზის" ეკონომიკა | – | *laissez-faire* ეკონომიკა |
| სრულუფლებ. კეთილდღეობითობა | – | ანტიკეთილდღეობითობა |

იმის გარანტად, რომ ძალაუფლებას ხალხი პატივს სცემს. ლიბერტარელ კონსერვატორებს გარკვეულწილად მართლაც იზიდავს თავისუფალი ბაზრის პრინციპები, კერძოდ, იმიტომ, რომ ისინი სოციალური წესრიგის უზრუნველყოფის პირობაა. იმ დროს, როცა, ლიბერალების რწმენით, საბაზრო ეკონომიკა ინდივიდს პიროვნულ თავისუფლებასა და თავისუფალი არჩევანის უფლებას უნარჩუნებს, კონსერვატორების მხრიდან ბაზრისადმი დროდადრო გამოხატული კეთილგანწყობა იმით აიხსნება, რომ ისინი მას სოციალური დისციპლინის ინსტრუმენტად თვლიან. საბაზრო ძალები ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობას აწესრიგებს და აკონტროლებს. მაგალითად, მათ შეუძლიათ, შეაკავონ მუშები და უარი ათქმევინონ ხელფასის მომატების პრეტენზიებზე უმუშევრად დარჩენის პერსპექტივის მუქარით. როგორც ასეთი, ბაზარი შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ ინსტრუმენტად, რომელიც სოციალურ სტაბილობას უზრუნველყოფს და მხარში უდგას ყველაზე აშკარა ძალისმიერ მექანიზმებს: პოლიციასა და სასამართლოს. მაშინ როცა ზოგიერთი კონსერვატორი გამოთქვამდა შიშს, რომ საბაზრო კაპიტალიზმი შეიძლებოდა უსასრულო ინოვაციებსა და გამუდმებულ შეჯიბრში გადაზრდილიყო, რაც სოციალურ შედუღაბებულობას მოშლიდა, სხვებს ეს იდეა იზიდავდა იმდენად, რამდენადაც სწამდათ, რომ მას "საბაზრო წესრიგის" დამყარება შეეძლო, რომელსაც ობიექტური "ბუნებრივი კანონები" გაუმაგრებდა საფუძველს – და არა პოლიტიკური ძალაუფლების მეურვე ხელი.

## ახალი მემარჯვენეობა

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის დასაწყისში დასავლური სამყაროს უდიდეს ნაწილში კონსერვატიულ იდეოლოგიაში პრაგმატული და პატერნალისტური იდეები გაბატონდა. 1970-იან წლებში პორტუგალიასა

და ესპანეთში დიქტატორული რეჟიმების გადაგდებასთან ერთად ავტორიტარული კონსერვატიზმის ნაშთებიც მოისპო. სწორედ ისე, როგორც თავის დროზე, მეცხრამეტე საუკუნეში, კონსერვატორები პოლიტიკური დემოკრატიის აღიარებამდე მივიდნენ, 1945 წლის შემდგომ მათ სოციალური დემოკრატიის შეზღუდულ ფორმას დაუჭირეს მხარი. ამ ტენდენციას ასაბუთებდა ომის შემდგომი წლების სწრაფი და უწყვეტი ეკონომიკური ზრდა, "ხანგრძლივი ბუმი", რომელმაც "მართული კაპიტალიზმის" წარმატება დაამტკიცა. მაგრამ 1970-იან წლებში კონსერვატიულ იდეოლოგიაში უფრო რადიკალურ იდეათა სისტემა განვითარდა, რომელიც პირდაპირი გამოწვევა იყო კეინზიანური კეთილდღეობითი ორთოდოქსობისა. ამ ახალ მემარჯვენე იდეებს თავდაპირველად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოში ჰქონდა უდიდესი გავლენა, თანდათანობით მათი გავლენა კონტინენტური ევროპის ზოგიერთ ქვეყანაზე, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაზეც გავრცელდა და გარკვეული ზემოქმედება დასავლური ყაიდის სახელმწიფოებზეც იქონია მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

"ახალი მემარჯვენეობა" ფართო ცნების ამსახველი ტერმინია. ამ ტერმინით აღნიშნავენ იდეებს, დაწყებული გადასახადების შემცირების მოთხოვნიდან და დამთავრებული ტელევიზიებსა და ფილმებზე ცენზურის გაზრდის მოწოდებებით; გარდა ამისა, იმიგრაციის საწინააღმდეგო თუ რეპატრიაციის მხარდამჭერ კამპანიებსაც კი. არსობრივად ახალი მემარჯვენეობა ორი აშკარად კონტრასტული იდეოლოგიური ტრადიციის შეჯვარებაა. ამათგან პირველი კლასიკური ლიბერალური ეკონომიკაა, კერძოდ ადამ სმითის თავისუფალი ბაზრის პრინციპები, რომლებიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში "დიდი" მთავრობისა და ეკონომიკური და სოციალური ინტერვენციის კრიტიკის სახით აღორძინდა. ამ მიმართულებას ლიბერალურ ახალ მემარჯვენეობას, ანუ ნეოლიბერალიზმს უწოდებენ (იხ. გვ. 62-4). მეორე ელემენტი ახალ მემარჯვენეობაში არის ტრადიციული კონსერვატიული – განსაკუთრებით დიზრაელიმდელი – სოციალური თეორია, განსაკუთრებით წესრიგის, ძალაუფლებისა და დისციპლინის დაცვა. ეს მიმართულება კონსერვატიული ახალი მემარჯვენეობის, ანუ ნეოკონსერვატიზმის სახელითაა ცნობილი. ამგვარად, ახალი მემარჯვენეობა ცდილობს, ეკონომიკური ლიბერტარიზმი სახელმწიფო და სოციალურ ავტორიტარიზმთან შეადუღაბოს. როგორც ასეთი, ის რადიკალურ, რეაქციულ და ტრადიციულ თვისებათა ნაზავია. მისი რადიკალობა ჩანს მისსავე მედგარ მცდელობებში, დაშალოს ან "უკუაქციოს" მემკვიდრეობით დანატოვარი ღირებულებები, სახელდობრ, ინტერვენციონისტული მთავრობა და ლიბერალური ანუ შემწყნარებლური სოციალური ღირებულებები. ასეთი რადიკალიზმი ყველაზე ნათლად ლიბერალურ ახალ მემარჯვენეობაში ვლინდება, რომელიც რაციონალურ თეორიებსა და აბსტრაქტულ პრინციპებს ეფუძნება და, ამგვარად, ტრადიციას უგულებელყოფს. მიუხედავად ამისა, ახალი მემარჯვენეობის რადიკალიზმი მაინც რეაქციული რადიკალიზმის ერთგვარი ფორმაა, რადგანაც როგორც ლიბერალური, ისე კონსერვატიული ახალი მემარჯვენეობა მეცხრამეტე საუკუნის ე. წ. ეკონომიკური წესიერებისა და ზნეობრივი სიმტკიცის სიმბოლოდ მიჩნეულ "ოქროს ხანას" მიელტვის. და მაინც, ახალი მე-

მარჯვენეობა ტრადიციასაც მიმართავს, კერძოდ ნეოკონსერვატორთა მხრიდან ყურადღების ე. წ. "ტრადიციულ ღირებულებებზე" გამახვილების საშუალებით.

ახალ მემარჯვენეთა იდეები მრავალი ისტორიული ფაქტორის პროდუქტია. ყველაზე მნიშვნელოვანი, შესაძლოა, ის იყო, რომ ომისშემდგომი "ხანგრძლივი ბუმი" 1970-იან წლებში ეკონომიკური დაცემით დასრულდა, როდესაც ერთდროულად უმუშევრობაც და ინფლაციაც გაიზარდა, ანუ მოხდა ის, რასაც ეკონომისტები "სტაგფლაციას" უწოდებენ. კეინზისეული მოთხოვნის მართვა, რომელიც მანამდე სტაბილური ეკონომიკური ზრდისა და სოციალური შედუღაბებულობის გამო ნდობით სარგებლობდა, მზარდი კრიტიკის საგანი ხდებოდა მემარჯვენე პოლიტიკოსთა იმ ფრთის მხრიდან, რომელიც ადრეული, თავისუფალი ბაზრის აზროვნებისადმი სულ უფრო მეტ სიმპათიას ავლენდა. ახალ მემარჯვენე აზროვნებაზე სოციალური ფაქტორებიც ახდენდა გავლენას, განსაკუთრებით ლიბერალური სოციალური ფილოსოფიის გავრცელება. კონსერვატორები შიშობდნენ, რომ ამას შეეძლო ბოროტების წყვილი წარმოეშვა: განუკითხაობა და ფართოდ გავრცელებული დამოკიდებულება სოცუზრუნველყოფაზე. მაგალითად, ნეოკონსერვატიზმი აშშ-ში XX ს-ის 70-80-იან წლებში აღმოცენდა ყოფილ ლიბერალ ინტელექტუალთა წარმომადგენლებით თავისი რიგების შევსების შედეგად, ირვინგ კრისტოლისა და ნორმან პოდჰორეცის მეთაურობით, რომელთა რწმენითაც, საზოგადოების სიავენი უმთავრესად დაკავშირებული იყო უფლებებზე დამყარებული კულტურის გავრცელებასთან, რომელშიც მოქალაქეებს მოვალეობისა და პასუხისმგებლობის დაქვეითებული გრძნობა ჰქონდათ. საბოლოოდ ასპარეზზე გამოსული ახალი მემარჯვენე მოძრაობის ჩამოყალიბებას საერთაშორისო ფაქტორებმაც შეუწყო ხელი, რომლებმაც კონსერვატიული იდეოლოგიის შიგნით ნაციონალური გრძნობები გააძლიერა და მხარდაჭერა აღუდგინა ძალის პოლიტიკას. ახალი მემარჯვენეები აშშ-ში შეშფოთებას გამოხატავდნენ იმის მიმართ, რასაც საბჭოთა კავშირის მზარდი სამხედრო ძლიერების სახით ხედავდნენ და იმ ზიანის გამო, რომელიც შეერთებული შტატების ნაციონალურ პრესტიჟს ვიეტნამისა და ირანის მოვლენებმა მიაყენა. გაერთიანებულ სამეფოში წუხდნენ მძლავრი სახელმწიფოს სტატუსის დაკარგვისა და იმ საფრთხის გამო, რომელსაც ევროპული ინტეგრაციის პროცესი მათი ქვეყნის ნაციონალურ სუვერენიტეტს უქადდა, განსაკუთრებით 1980-იანი წლებიდან მოყოლებული.

## ლიბერალური ახალი მემარჯვენეობა

ახალი მემარჯვენე მსოფლმხედველობის ლიბერალური ასპექტების პირველწყარო სრულიად ერთმნიშვნელოვნად არის არა თანამედროვე, არამედ კლასიკური ლიბერალიზმი, კერძოდ, ნეოლიბერალიზმი, რომელიც მეორე თავში განვიხილეთ. ის მინიმალური სახელმწიფოს იდეის აღდგენას გულისხმობს. დასკვნის სახით ეს ასე ჟღერს: "კერძო კარგია; საზოგადო – ცუდი". ლიბერალური ახალი მემარჯვენეობა სახელმწიფოს იდეის წინააღმდეგია.

მის მიმდევართა აზრით, სახელმწიფო ძალდატანებისა და შეზღუდვის მექანიზმია: კოლექტივიზმი ზღუდავს ინდივიდის ინიციატივას და ასუსტებს მისი ღირსების გრძნობას. მთავრობა, რაოდენ კეთილგანწყობილიც უნდა იყოს, უცილობლად ზიანის მომტანია ადამიანთა ურთიერთობისთვის. სანაცვლოდ ლიბერალი ახალი მემარჯვენეები ინდივიდისა და ბაზრის რწმენას ქადაგებენ. ინდივიდებს ხელის შეწყობა სჭირდებათ, რათა თავდაჯერებულნი იყვნენ და საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ რაციონალური არჩევანი გააკეთონ. ბაზარი პატივისცემას იმსახურებს როგორც მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ინდივიდუალურ არჩევანთა ერთობლიობა პროგრესამდე და საერთო სიკეთემდე მიგვიყვანს. ლიბერალურმა ახალმა მემარჯვენეობამ, როგორც ასეთმა, სცადა, კონსერვატიულ იდეოლოგიაში ლიბერტარული იდეები პატერნალისტურზე მაღლა დაეყენებინა.

ამ ანტისახელმწიფოებრივი/ანტისტეიტისტური დოქტრინის მთავარი თემა იდეოლოგიის რანგში აყვანილი ერთგულებაა თავისუფალი ბაზრისადმი. ახალმა მემარჯვენეობამ აღადგინა სმითისა და რიკარდოს (1772-1823) კლასიკური ეკონომიკა იმ სახით, როგორც ის ისეთ ეკონომისტთა შრომებში გვხვდება, როგორებიც ფრიდრიხ ჰაიეკი და მილტონ ფრიდმანი არიან. თავისუფალი ბაზრის იდეებმა, რომლებსაც მეოცე საუკუნის დასაწყისში კეინზიანიზმის სასარგებლოდ აქციეს ზურგი, 1970-იან წლებში ახალი დამაჯერებლობა შეიძინა. მთავრობებს სულ უფრო უჭირდათ ეკონომიკური სტაბილობისა და უწყვეტი ზრდის უზრუნველყოფა. შესაბამისად, გაჩნდა ეჭვები, შესწევდა კი საერთოდ ძალა მთავრობას, ეკონომიკური პრობლემები გადაეწყვიტა. ჰაიეკი და ფრიდმანი, მაგალითად, ეჭვქვეშ აყენებდნენ თვით "მართული" ან "დაგეგმილი" ეკონომიკის იდეას. ისინი მიუთითებდნენ საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთი ევროპის ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკის არაეფექტურობაზე და მიაჩნდათ, რომ რესურსების გადანაწილება კომპლექსურ, ინდუსტრიალიზებულ ეკონომიკაში უბრალოდ იმდენად რთული იყო, რომ ამ ამოცანას წარმატებით სახელმწიფო ბიუროკრატთა ვერანაირი გუნდი ვერ გაართმევდა თავს. გარდაუვალი შედეგი, რომელიც კოლექტივიზაციას მოჰყვა, იყო სასიცოცხლო მოხმარების საქონლის დეფიციტი და რიგები პირველადი საჭიროების საგნებზე. მეორე მხრივ, ბაზრის ძალა ისაა, რომ ის ეკონომიკაში ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციას ასრულებს – მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოჰყავს საქონლით უზრუნველყოფა და მომსახურება. იგი რესურსებს ყველაზე მომგებიანი მიმართულებით გადაანაწილებს და ამით მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. XX ს-ის 70-იანი წლების კრიზისის ფონზე, როდესაც კვლავ იჩინა თავი უმუშევრობამ და ინფლაციამ, ჰაიეკი და ფრიდმანი მიიჩნევდნენ, რომ მთავრობა ეკონომიკურ პრობლემებს კი არ აგვარებდა, არამედ თავად იყო მათი მიზეზი.

კეინზიანიზმის იდეები (იხ. გვ. 72) ახალ მემარჯვენეთა კრიტიკის მთავარი სამიზნე იყო. კეინზის აზრით, კაპიტალისტური ეკონომიკები თვითრეგულირებადი არ იყო. ის ეკონომიკაში განსაკუთრებულ აქცენტს "მოთხოვნაზე" აკეთებდა, რადგან სწამდა, რომ ეკონომიკური საქმიანობისა და დასაქმების დონეს ეკონომიკაში "ერთიანი მოთხოვნა" განსაზღვრავდა. უმუ-

ავსტრიელი ეკონომისტი და პოლიტიკის ფილოსოფოსი. ჰაიეკი ცნობილი მეცნიერი გახლდათ, ასწავლიდა ლონდონის ეკონომიკის სკოლასა და ჩიკაგოს, ფრაიბურგისა და ზალცბურგის უნივერსიტეტებში. 1974 წელს ნობელის პრემია მიენიჭა ეკონომიკის დარგში.

როგორც ე. წ. ავსტრიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჰაიეკი ინდივიდუალიზმისა და საბაზრო წესრიგის ერთგული მომხრე და სოციალიზმის შეუვალი კრიტიკოსი იყო. მისი ნაშრომი "ყმობის გზა" (*The road of Serfdom*, 1944) იყო ერთგვარი დებიუტი, რომელიც ეკონომიკურ ინტერვენციონიზმს გმობდა როგორც შინაგანად ტოტალიტარულს. მოგვიანებით დაწერილ ნაშრომებში – "თავისუფლების კონსტიტუცია" (*The Constitution of Liberty*, 1960) და "კანონი, კანონმდებლობა და თავისუფლება" (*Law, Legislation and Liberty*, 1979) – ჰაიეკი ტრადიციონალიზმის სახეცვლილ ფორმას ემხრობოდა და კონსტიტუციონალიზმის (იხ. გვ. 47) ანგლოამერიკულ ვარიანტს ექომაგებოდა. ჰაიეკის შრომებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ასპარეზზე ახლად გამოსულ ახალ მემარჯვენეობაზე.

შეერობის პრობლემის კეინზიანური გადაწყვეტა იმით გამოიხატებოდა, რომ მთავრობებმა უნდა "მართონ მოთხოვნილება" ბიუჯეტის დეფიციტის ხარჯზე: მთავრობამ მეტი ფინანსები უნდა "შეიყვანოს" ეკონომიკაში სოციალური დანახარჯების სახით, ვიდრე "გამოიტანს" გადასახადების აკრეფით. თუმცა, მილტონ ფრიდმანი ამტკიცებდა, რომ არსებობდა "უმუშევრობის ბუნებრივი დონე", რომლის შეცვლაც მთავრობის შესაძლებლობებს აღემატებოდა და რომ მთავრობის მცდელობებს, კეინზიანური ხერხებით აღმოეფხვრა უმუშევრობა, უბრალოდ, სხვა, უფრო სავალალო ეკონომიკური პრობლემები მოჰყვა.

თავისუფალი ბაზრის ეკონომისტებისათვის ყველაზე სერიოზული პრობლემა ინფლაციაა და არა უმუშევრობა. ინფლაცია ფასის ზოგადი დონის აწევაა, რომელსაც ფულის ღირებულების ვარდნა მოსდევს, ანუ იმავე ოდენობის თანხით ნაკლებ საქონელს ვყიდულობთ. ინფლაცია, ნეოლიბერალთა აზრით, საშიშროებას უქმნის საბაზრო ეკონომიკის მთელ საფუძველს, რადგან ფულისადმი, რომელიც მიმოცვლის საშუალებაა, უნდობლობის ზრდასთან ერთად ადამიანებს კომერციული ან ეკონომიკური საქმიანობის სტიმული უქრებათ. ამიტომ ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკისათვის საჭიროა, ფულს მყარი და სტაბილური ღირებულება ჰქონდეს. ამგვარად, ჰაიეკიცა და ფრიდმანიც მიიჩნევდნენ, რომ მთავრობის მთავარი ეკონომიკური პასუხისმგებლობა "მყარი ფულის" უზრუნველყოფაა, რაც ინფლაციის შემცირებით, ან, როგორც ჰაიეკი იმედოვნებდა, საერთოდ მისი აღმოფხვრით მიიღწევა. კეინზიანიზმმა კი ინფლაცია გააცხოველა და XX ს-ის 70-იანი წლების "სტაგფლაცია" წარმოშვა. ამას მაშინ მონეტარიზმით ხსნიდნენ. ეს არის თეორია, რომლის მიხედვითაც, ფასის დონეს ეკონომიკაში ფულის ოდენობა განსაზღვრავს – ფულადი რესურსები. სხვა სიტყვებით, ინფლაცია მაშინ წარმოიშობა, როდესაც "ძალზე დიდი ოდენობით ფული მოდის ძალზე მცირე ოდენობის საქონელზე". კეინზიანურმა პოლიტიკურმა კურსმა,

რომელმაც დაუშვა, სახელმწიფო დანახარჯებს გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებისათვის გადაეჭარბებინა, ფულადი რესურსების ზრდა გამოიწვია და ამით ინფლაცია წარმოშვა, რასაც, ამასთანავე, უმუშევრობის "ბუნებრივი დონისათვის" რაიმე სასარგებლო ეფექტი არ ჰქონია. სინამდვილეში მთავრობები "ფულს ბეჭდავდნენ". როგორც რეიგანის, ისე თეტჩერის ადმინისტრაციის ეკონომიკურ კურსს XX ს-ის 80-იან წლებში თავისუფალი ბაზრისა და მონეტარიზმის სწორედ ეს თეორიები განსაზღვრავდა. ორივე ადმინისტრაციამ 80-იანი წლების დასაწყისში უმუშევრობის მკვეთრი ზრდა დაუშვა იმ რწმენით, რომ მხოლოდ ბაზარს შეეძლო პრობლემის გადაწყვეტა. ისინი ასევე ცდილობდნენ ინფლაციის დონე დაეწიათ სახელმწიფო დანახარჯების შემცირების ან მათი შეზღუდვის გზით.

ახალი მემარჯვენეობა არც თვით შერეული ეკონომიკისა და საზოგადო საკუთრების იდეას იზიარებს. 1945 წლის შემდგომ დასავლეთის სახელმწიფოებმა თავიანთ ეკონომიკათა მართვის ხელშეწყობის მიზნით ძირითად საწარმოთა ნაციონალიზება მოახდინეს. შედეგად წარმოიქმნა ეკონომიკები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული "საზოგადო სექტორისა" და ინდივიდუალურ მფლობელობაში არსებული "კერძო სექტორის" წარმოებათა ნაზავს წარმოადგენდნენ. ახალმა მემარჯვენეობამ ამ გეზის შემობრუნება განიზრახა. 80-იან წლებში გაერთიანებულ სამეფოში თეტჩერის მმართველობის დროს, შემდგომ დასავლეთის მრავალ ქვეყანაში, ყველაზე აგრესიულად კი პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში 90-იან წლებში, ტარდებოდა პრივატიზაციის პოლიტიკა, რომელმაც წარმოებების საზოგადოებრივი საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში გადაცემით წარმატებით დაშალა როგორც შერეული, ისე კოლექტივიზებული ეკონომიკები. ნაციონალიზებული საწარმოები კრიტიკის საგანი იყო და საფუძველშივე არაეფექტურად მიიჩნეოდა, რადგან კერძო ფირმებისა და საწარმოებისაგან განსხვავებით, მათ მოგების სურვილი არ ამოძრავებთ. დანაკარგი და არაეფექტურობა დასაშვებია საზოგადო სექტორში, მიიჩნევენ ახალი მემარჯვენეები, რადგან გადასახადების გადამხდელი ყოველთვის თავის თავზე აიღებს დანახარჯებს.

მეტიც, თავისუფალი ბაზრის ეკონომისტებმა ყურადღება ეკონომიკაში "მოთხოვნიდან" "მიწოდებაზე" გადაიტანეს. მიწოდების ტიპის ეკონომიკა გულისხმობს, რომ მთავრობამ ზრდას უნდა შეუწყოს ხელი და შექმნას პირობები, რომლებიც უფრო იმისკენ იქნება მიმართული, მწარმოებელი დაინტერესებული იყოს აწარმოოს, ვიდრე მომხმარებელმა მოიხმაროს. სამეწარმეო, მიწოდების კულტურის ჩამოყალიბებას ორი ძირითადი დაბრკოლება ელობება გზაზე. ესენია: მაღალი გადასახადები და სახელისუფლო რეგულირება. გადასახადები, ამ თვალსაზრისით, წარმოების სტიმულს ადუნებს და საკუთრების უფლებებს ლახავს. 80-იან წლებში "რეიგანომიკის" მთავარი მახასიათებელი იყო პერსონალური და კორპორატიული დაბეგვრის ყველაზე მკვეთრი შემცირება ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში. 2000 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ჯორჯ უ. ბუშმა ეს პოლიტიკა გადასახადთა საყოველთაო შემცირების თავისი პროგრამით განაახლა. თეტჩერის მმართველობის დროს გაერთიანებულ სამეფოში პირ-

დაპირი დაბეგვრის დონეები თანდათანობით შეერთებული შტატების დონეებამდე დავიდა, როდესაც საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 1979 წელს ერთ გირვანქა სტერლინგზე 83 პენსიდან 1988 წლისათვის 40 პენსამდე შემცირდა. რეიგანის ადმინისტრაციაც დერეგულაციის გზას მიჰყვებოდა. ადმინისტრაციის აზრით, დამოუკიდებელი მართვის სააგენტოები, რომლებსაც კონგრესი აყალიბებს და რომლებიც 60-იანი წლებიდან მოყოლებული ფართოდ ინერგებოდა, ხელს უშლიდა კერძო ეკონომიკის ეფექტურ მუშაობას; საზოგადოებრივი ინტერესისათვის უკეთესი გარანტი თავად საბაზრო მექანიზმი უფრო იქნებოდა, ვიდრე რაიმე სახის სამთავრობო სააგენტო. შესაბამისად, ასეთ სააგენტოთა დაფინანსება მკვეთრად შემცირდა. მაგალითად, 50%-ით შეუმცირდა ბიუჯეტი გარემოს დაცვის სააგენტოს. მეტიც, ამ სააგენტოებში ინიშნებოდნენ მუშაკები, რომელთაც თავისუფალი ბაზრისადმი მეტი სიმპათიები ჰქონდათ, ვიდრე სახელმწიფო რეგულირებისადმი.

ლიბერალური ახალი მემარჯვენეობის ანტისახელმწიფოებრივ მიდგომას საფუძვლად მხოლოდ ეკონომიკური ეფექტურობა და გულისხმიერება როდი უდევს; ამის მიზეზი მისი პოლიტიკური პრინციპებიცაა, განსაკუთრებით პიროვნული თავისუფლების პრინციპისადმი ერთგულება. ახალი მემარჯვენეები ამტკიცებენ, რომ თავისუფლებას "დაერდომილი კოლექტივიზმისაგან" იცავენ. უკიდურესი ფორმით ამ იდეებს ანარქო-კაპიტალიზმისაკენ მივყავართ, რომელსაც მეშვიდე თავში განვიხილავთ და რომელიც ქადაგებს, რომ ყოველგვარი საქონელი და სამსახური, სასამართლოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ჩათვლით, ბაზარმა უნდა უზრუნველყოს. თავისუფლება, რომელსაც ახალ მემარჯვენეთა ლიბერალურად, ლიბერტარულად და ანარქისტულად მოაზროვნე წარმომადგენლებიც კი ემხრობიან, ნეგატიური თავისუფლებაა: ინდივიდის გათავისუფლება გარეშე შეზღუდვათაგან. რადგან მთავრობის კოლექტიური ძალა ადამიანისთვის მთავარ მუქარად აღიქმება, თავისუფლების უზრუნველყოფის ერთადერთი გზა "სახელმწიფოს უკანდახევაა". კონკრეტულად კი ეს საყოველთაო კეთილდღეობის გაუქმებას გულისხმობს. კეთილდღეობის წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური არგუმენტების გარდა – მაგალითად, რომ გაზრდილი სოციალური დანახარჯები გადასახადებს ზრდის, რომ საზოგადოებრივი სექტორის სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებები საფუძველშივე არაეფექტურია – ახალი მემარჯვენეები საყოველთაო კეთილდღეობას ზნეობრივი თვალსაზრისითაც უპირისპირდებიან. უპირველეს ყოვლისა, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს იმიტომ აკრიტიკებენ, რომ მეცხრამეტე საუკუნის თვითდახმარების იდეების აღორძინებით მან "დამოკიდებულების კულტურა" შექმნა; ის ძირს უთხრის ინიციატივასა და მეწარმეობის სურვილს და ადამიანებს ღირსებასა და თავმოყვარეობას ართმევს. ამგვარად, კეთილდღეობა პრობლემებს წარმოშობს, ნაცვლად იმისა, რომ წყვეტდეს მათ. ამგვარი თეორია აღადგენს "უღირს ლატაკთა" ცნებას. ის აზრი, რომ არც ხალხს მართებს საზოგადოებისა და არც, თავის მხრივ, საზოგადოებას – ხალხისა, ერთობ გამოკვეთილად გამოიხატა მარგარეტ თეტჩერის ფრაზაში: "საზოგადოება საერთოდ არ არსებობს". ჩარლზ მიურეის აზრი-

ამერიკელი მეცნიერი და პოლიტიკური ფილოსოფოსი. ნოზიკის მთავარი ნაშრომი *ანარქია, სახელმწიფო და უტოპია* (*Anarchy, State and Utopia*, 1974) ფართოდაა აღიარებული როგორც პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები; მას დიდი გავლენა ჰქონდა ახალ მემარჯვენე თეორიებსა და შეხედულებებზე.

ჯონ როულსის (იხ. გვ. 70) იდეების საპასუხოდ, ნოზიკმა უფლებებზე დამყარებული ლიბერტარიზმის ერთგვარი ფორმა განავითარა. ნოზიკი, რომელმაც თავისი მსოფლმხედველობა ლოკისა და მეცხრამეტე საუკუნის ისეთი ამერიკელი ინდივიდუალისტების იდეებზე ააგო, როგორებიც იყვნენ ლისანდერ სპუნერი (1808-87) და ბენჯამინ ტაკერი (1854-1939), თვლიდა, რომ საკუთრების უფლებებს მკაცრი დაცვა სჭირდება, თუ, რა თქმა უნდა, საკუთრება სამართლიანადაა შეძენილი ან ერთი პირიდან მეორისათვის გადაცემული. ასეთი პოზიცია მინიმალური მთავრობისა და მინიმალური დაბეგვრის მხარდაჭერას გულისხმობს და ძირს უთხრის საყოველთაო კეთილდღეობისა და რედისტრიბუციის იდეას. მოგვიანებით ნოზიკმა შეარბილა თავისი უკიდურესი ლიბერტარიზმი.

თაც (Murray, 1984), რადგან საყოველთაო კეთილდღეობა ქალებს "მარჩენალ" მამაკაცებზე დამოკიდებულებისაგან ათავისუფლებს, ის ოჯახის რღვევის მთავარი მიზეზია და, როგორც წესი, მარტოხელა დედათა და უმამო ბავშვთა უდაბლეს კლასს წარმოშობს. საყოველთაო კეთილდღეობის წინააღმდეგ ახალ მემარჯვენეთა კიდევ ერთი არგუმენტი პირადი უფლებებისადმი ერთგულებას ემყარება. ამ არგუმენტს ყველაზე აქტიურად რობერტ ნოზიკი (Nozick, 1974) აყენებდა, რომელიც კეთილდღეობისა და რედისტრიბუციის ნებისმიერ პოლიტიკას გმობდა როგორც საკუთრების უფლებების დარღვევას. ამ თვალსაზრისით, თუკი საკუთრება სამართლიანი გზითაა მოპოვებული, ერთიდან მეორე ადამიანისათვის შეუთანხმებლად მისი გადაცემა "ლეგალიზებულ ძარცვას" ნიშნავს.

## კონსერვატიული ახალი მემარჯვენეობა

კონსერვატიულ ახალ მემარჯვენეობას, ანუ ნეოკონსერვატიზმს, ახასიათებს სოციალური ფრაგმენტაციის ანუ დაშლის შიში, რომელიც აღიქმება როგორც ლიბერალური რეფორმისა და "პროგრესული" ღირებულებების გავრცელების შედეგი. ძალაუფლება, მისი მრავალგვარი იერსახით, ფრაგმენტაციისგან და ქაოსისგან თავის დაღწევის საშუალებად მოიაზრება, რადგან ის ერთგვარი "სოციალური დუღაბის" როლს ასრულებს, ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს და უქმნის მათ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რანი არიან და რა ძალუძთ. შედეგად, ახალ მემარჯვენეობას "ავტორიტარული პოპულიზმის" ერთგვარ ფორმად განიხილავენ, რაც საზოგადოებაში ზნეობრივი ნორმების მოდუნებისა და ძალაუფლების შესუსტების გამო ხალხში ფართოდ გავრცელებული შეშფოთების ანარეკლი და გამოძახილია (Hall and Jacques, 1983). ძალაუფლების აქცენტირებამ და მასთან ერთად

საზოგადოების სიმყიფის მიმართ განსაკუთრებულმა მგრძნობელობამ ნათლად აჩვენა, რომ ნეოკონსერვატიზმის წყარო ტრადიციული, ანუ ორგანული კონსერვატიზმია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ის მკვეთრად განსხვავდება პატერნალისტური კონსერვატიზმისგან, რომლის ჩამოყალიბებაც მნიშვნელოვანწილად ასევე ორგანულმა იდეებმა განაპირობა. მაგალითისათვის, თუ ერთი ერის კონსერვატიზმის მიმდევრებს სწამთ, რომ საზოგადოებაზე ზრუნვის საუკეთესო საშუალება სილატაკის დონისა და მატერიალურ უთანასწორობათა შემცირებაა, ნეოკონსერვატორებისათვის საზოგადოების გაძლიერების საწინდარი ძალაუფლების აღდგენა და სოციალური დისციპლინის შემოღებაა. ნეოკონსერვატიული ავტორიტარიზმი, ამდენად, თანხმობაშია ნეოლიბერალურ ლიბერტარიზმთან.

კონსერვატიული ახალი მემარჯვენეობა სამ საკვანძო საკითხს სვამს. ესენია: კანონი და წესრიგი, საზოგადოების ზნეობრიობა და ეროვნული იდენტობა. ნეოკონსერვატორთა რწმენით, დამნაშავეობის ზრდა, კანონდარღვევები და ანტისოციალური ქცევა, საზოგადოდ, ძალაუფლების დაკნინების შედეგია, რაც XX ს-ის 60-იანი წლებიდან მოყოლებული უარყოფითად აისახა დასავლეთის სახელმწიფოთა უმეტესობაზე. ხალხს სჭირდება და სურს, გარკვევით იცოდეს "თავისი ადგილი". ამის გარანტი კი ძალაუფლებაა – ოჯახში მამის, სკოლაში მასწავლებლის, სამსახურში მეწარმის, ხოლო, საზოგადოდ, საზოგადოებაში – "კანონისა და წესრიგის" სისტემისა. განუკითხაობა, ინდივიდუალიზმის კულტი და "რაც მინდა, იმის კეთება" ძირს უთხრის საზოგადოების დადგენილ სტრუქტურას, რადგან უშვებს ძალაუფლების ეჭვქვეშ დაყენებას, წაქეზებაც კია ამისკენ. ამდენად, ნეოკონსერვატორები სოციალური ავტორიტარიზმის ერთგვარი სახეობის მიმდევრები არიან. ამის დასტურია ოჯახის გაძლიერებისკენ მიმართული ნეოკონსერვატორთა მოწოდებები. თავად "ოჯახის" შესახებ კი მათ მკაცრად ტრადიციული წარმოდგენა აქვთ. მათი აზრით, ოჯახი ბუნებრივად იერარქიულია: ბავშვები უნდა უჯერებდნენ, პატივს სცემდნენ და ემორჩილებოდნენ მშობლებს; თანაც ოჯახი ბუნებრივად პატრიარქალურია: ქმარი მარჩენალია, ცოლი კი – დიასახლისი. თუ ავტორიტეტზე დამყარებული ურთიერთობები შესუსტდება, ბავშვები ზნეობრივ ღირებულებათა სათანადო სისტემის გარეშე აღიზრდებიან და არ ექნებათ უფროსების ჯეროვანი პატივისცემა.

სოციალურ ავტორიტარიზმს ეხამება სახელმწიფოებრივი ავტორიტარიზმი, სწრაფვა ძლიერი სახელმწიფოსკენ, რაც კანონისა და წესრიგის კუთხით "მკაცრ" პოზიციაში აისახა. ნეოკონსერვატორები თანდაყოლილი მორალური გახრწნილების იდეას ეთანხმებიან და მიიჩნევენ, რომ უწესრიგობის ფესვები ადამიანის სულში უნდა ვეძებოთ და არა სოციალურ უსამართლობაში. ამიტომ დანაშაულთან და კანონდარღვევებთან გამკლავება მხოლოდ დასჯის შიშს ძალუძს, დასჯა კი შედეგს მხოლოდ სიმკაცრის შემთხვევაში მოგვცემს. ასეთ მიდგომას თავისუფლების აღკვეთისა და ხანგრძლივი პატიმრობის მისჯის მოთხოვნები მოჰყვა, განსაკუთრებით აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში, საფუძველი კი ასეთი პოზიციისა არის რწმენა, რომ "ციხეს შედეგი მოაქვს". ნეოკონსერვატორები ამერიკის შეერ-

თებულ შტატებში სიკვდილით დასჯის აღდგენას მოითხოვდნენ, რომელიც 60-იან წლებში უზენაესმა სასამართლომ დაგმო როგორც "სასჯელის სასტიკი და მიუღებელი ფორმა". 80-იანი წლების ბოლოსათვის შტატების უმეტესობაში სიკვდილით დასჯა აღადგინეს. გაერთიანებულ სამეფოში 80-იან წლებში მოზარდთა საპატიმროებში დაინერგა "ხანმოკლე, მკვეთრი შოკის" რეჟიმი, 90-იან წლებში კი ჯონ მეიჯორის მთავრობამ მხარი დაუჭირა მინიმალურ განაჩენებსა და ამერიკული ყაიდის "სადამსჯელო ბანაკების" (boot camps) შემოღებას ახალგაზრდა კანონდამრღვევთათვის.

კონსერვატიული ახალი მემარჯვენეობა აქტიურად განიხილავდა საზოგადოებრივი მორალის საკითხებსაც, რაც მრავალმხრივ შეიძლება დახასიათდეს როგორც გარკვეული რეაქცია ე. წ. "დამთმობი 60-იანი წლების" მიმართ. 60-იანი წლებისათვის საზოგადოებაში სიმდიდრის ზრდამ ომის შემდგომ პერიოდში ხელი შეუწყო ტენდენციას, განსაკუთრებით ახალგაზრდათა შორის, ეჭვის თვალით შეეხედათ და გაეკრიტიკებინათ ტრადიციული მორალური და სოციალური კრიტერიუმები. ახალი მემარჯვენეები ამაში ხედავდნენ სერიოზულ საფრთხეს, მიმართულს იმ ტრადიციული ღირებულებებისა და საერთო ზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ, რომლებსაც საზოგადოების სტაბილურობა ეფუძნება. ამგვარი ლიბერალური მორალის საპირისპიროდ, გაერთიანებულ სამეფოში თეტჩერმა მხარდაჭერა გამოუცხადა "ვიქტორიანული ხანის ღირებულებებს", ხოლო აშშ-ში "ოჯახის ღირებულებების" დაბრუნების კამპანია გააჩაღეს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიც იყო, მაგალითად, Moral Majority. ნეოკონსერვატორები პერმისიულ (შემწყნარებლურ) საზოგადოებაში ორი სახის საშიშროებას ხედავენ. უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ზნეობისა თუ ცხოვრების წესის არჩევანის თავისუფლებამ შესაძლოა ამორალური ან "მანკიერი" შეხედულებების არჩევამდე მიგვიყვანოს. კონსერვატიულ ახალ მემარჯვენეობაში მნიშვნელოვანი რელიგიური ელემენტი ძევს, განსაკუთრებით აშშ-ში. XX ს-ის 70-80-იან წლებში აშშ-ში წარმოიშვა მრავალი ჯგუფი, რომლებიც შეშფოთებას გამოხატავდნენ "ტრადიციულ ღირებულებათა" დაკნინების გამო. ამათგან მრავალი "ხელმეორედ შობილ" ქრისტიანულ მოძრაობას უკავშირდებოდა და საბოლოო ჯამში ერთგვარ "ქრისტიანულ ახალ მემარჯვენეობას" წარმოადგენდა. Moral Majority, რომელიც ჯერი ფალუელმა დააარსა 1979 წელს და რომელსაც მხარს უჭერდნენ რონალდ რეიგანი და ისეთი გავლენიანი სამხრეთელი სენატორები, როგორიც იყო ჯესი ჰელმსი, ამ მოძრაობისთვის ქოლგა-ორგანიზაციის როლს ასრულებდა. 80-იანი წლებიდან მისი ძირითადი ძალები აბორტის საწინააღმდეგო კამპანიასა და განსაკუთრებით Roe vs Wade საქმეზე 1973 წელს უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებისკენ იყო მიმართული, რომლის საფუძველზეც აშშ-ში აბორტი კანონით დაშვებულად იყო გამოცხადებული. ჰომოსექსუალიზმი, პორნოგრაფია, ქორწინებამდელი სქესობრივი ურთიერთობა და, ყოველ შემთხვევაში აშშ-ში, "შესაქმის" ბიბლიური მოძღვრების ნაცვლად დარვინის ევოლუციური თეორიის სწავლება ასევე მკაცრად იგმობოდა როგორც ზნეობრივად "ცუდი". განუკითხაობის მეორე საშიშროება არის არა იმდენად იმის შესაძლებლობა, რომ ხალხში მცდარი მორალი

ან ცხოვრების წესი დამკვიდრდეს, არამედ ის, რომ ხალხმა შეიძლება უბრალოდ განსხვავებული ზნეობრივი პოზიციები აირჩიოს. ლიბერალისათვის მორალური პლურალიზმი ჯანსაღი პოზიციაა, რადგან ის განსხვავებულ აზრსა და რაციონალურ კამათს ავითარებს. ნეოკონსერვატორი კი ამაში დიდ საფრთხეს ხედავს. მისი აზრით, ასეთი პოზიცია საზოგადოების ერთიანობას უთხრის ძირს. შემწყნარებლური საზოგადოება ისეთი საზოგადოებაა, რომელიც ეთიკური ნორმებისა და გამაერთიანებელი მორალური კრიტერიუმების ნაკლებობას განიცდის. ის არის "გაუვალი უდაბნო", რომელიც ადამიანს და მის ოჯახს არც მხარში უდგას და არც გზას უჩვენებს. თუ ადამიანები ისე იცხოვრებენ, როგორც მოესურვებათ, ქცევის ცივილიზებული ნორმების დაცვა შეუძლებელი იქნება.

დაბოლოს, კონსერვატიულ ახალ მემარჯვენეობას გამოარჩევს სურვილი, გააძლიეროს ეროვნული იდენტობის გრძნობა შიდა თუ გარეშე საფრთხეთა წინაშე. ერის ღირებულება, ნეოკონსერვატორთა თვალთახედვით, ისაა, რომ ის საზოგადოებას აერთიანებს, კერძოდ, იმით, რომ სთავაზობს საერთო კულტურულ და სამოქალაქო იდენტობას; მისი ძალა სულ უფრო მატულობს, რადგან ფესვები ისტორიასა და ტრადიციაში აქვს. ერები ორგანული ერთობებია, წარმოშობილი ბუნებრივი ტენდენციიდან, რომელიც მსგავსი ადამიანების ერთმანეთისკენ ლტოლვაში გამოიხატება. ერის წინაშე ყველაზე მნიშვნელოვანი "შიდა" საფრთხე მულტიკულტურალიზმის გავრცელებაა. მზარდი კულტურული მრავალფეროვნება ეროვნულ კავშირებსაც ასუსტებს, რითაც საშიშროებას უქმნის პოლიტიკურ წარმონაქმნს, და ეთნიკური და რასობრივი კონფლიქტის სპექტრს ქმნის. ამ მიზეზთა გამო იმიგრაციის უფრო მკაცრი შეზღუდვების კამპანიების ავანგარდში სწორედ ნეოკონსერვატორები იდგნენ და ზოგჯერ "მასპინძელი" ხალხის კულტურისთვის პრივილეგირებული სტატუსის მინიჭების ინიციატივებითაც გამოდიოდნენ. მაგალითად, აშშ-ის ნეოკონსერვატორებმა მოითხოვეს, ლათინოამერიკელი მოსახლეობის ზრდის საპასუხოდ ქვეყნის "ოფიციალურ" ენად ინგლისური გამოცხადებულიყო. "გარეშე" საფრთხეები მრავალი და მრავალგვარია. გაერთიანებულ სამეფოს უმთავრესი საფრთხე ევროპის ინტეგრაციამ შეუქმნა; მართლაც, 90-იან წლებში გაერთიანებული სამეფოს კონსერვატიზმს ლამის "ევროსკეპტიციზმად" ახასიათებდნენ, რაც ევროპული ინტეგრაციისა და, კერძოდ, სავალუტო კავშირის მიმართ წინააღმდეგობას გულისხმობდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში 70-80-იან წლებში მთავარ საფრთხედ მსოფლიო კომუნიზმი, კერძოდ საბჭოთა კავშირი მოიაზრებოდა, რომელსაც რონალდ რეიგანი "ბოროტების იმპერიას" უწოდებდა. თუმცა, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდგომ აშშ-ის ეროვნული იდენტობის წინაშე პირველი რიგის სტრატეგიულ, პოლიტიკურ და კულტურულ საფრთხედ გლობალური ტერორიზმი იქცა. ჯორჯ უ. ბუშის სულ უფრო კატეგორიულ და ცალმხრივ საგარეო პოლიტიკას ავღანეთსა თუ სხვა ქვეყნებში, რომელსაც "ტერორიზმთან ომის" ნაწილად მოიაზრებენ, შესაბამისად, ახასიათებენ როგორც ამერიკულ ღირებულებათა და ამერიკული ცხოვრების წესის დაცვას.

## დაპირისპირებები ახალ მემარჯვენეობაში

ახალ მემარჯვენეთა იდეების გამზიარებელი ყველა მოაზროვნე თუ პოლიტიკოსი როგორც ნეოლიბერალურ, ასევე ნეოკონსერვატიულ შეხედულებებს ერთდროულად როდი იზიარებს. მაგალითად, როჯერ სკრუტონი (Scruton, 2001), გაერთიანებული სამეფოს გამორჩეული ნეოკონსერვატორი, ამტკიცებდა, რომ თავისუფალი ბაზრისადმი პრინციპული ერთგულება კონსერვატიული იდეოლოგიისათვის სრულიად უცხოა. ამგვარადვე, მყარი ლიბერტარელები, როგორებიც იყვნენ ნოზიკი და ანარქო-კაპიტალისტები, არანაირ სიმპათიას არ ავლენენ კონსერვატიული სოციალური თეორიისადმი. და მაინც, ნეოლიბერალური და ნეოკონსერვატიული შეხედულებები, ჩვეულებრივ, მაინც ერთმანეთს ემთხვევა. ახალ მემარჯვენეობასაც სწორედ ეკონომიკური ლიბერალიზმის სოციალურ კონსერვატიზმთან შერწყმის მცდელობა გამოარჩევს. რეიგანისა და თეტჩერის ადმინისტრაციები, ახალი მემარჯვენე იდეების ყველაზე აშკარა გავლენის ქვეშ მყოფი ეს ორი მთავრობა, ემხრობოდა, თუმცა კი განსხვავებული ხარისხით, როგორც ლიბერალურ, ისე კონსერვატიულ ახალ მემარჯვენეობას. თეტჩერიზმის ორმაგი ბუნება გაერთიანებულ სამეფოში ენდრიუ გემბლმა (Gamble, 1988) შეაჯამა როგორც "თავისუფალი ეკონომიკისა და ძლიერი სახელმწიფოს" პრინციპი. ახალ მემარჯვენეთა მიზანი, ამ თვალსაზრისით, ძლიერი, თუმცა კი მინიმალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაა. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანი კამათის წყაროდ იქცა იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თავსებადია ერთმანეთთან ნეოლიბერალიზმი და ნეოკონსერვატიზმი.

გემბლი თავის ანალიზში საკვანძო პოლიტიკურ კავშირებად "თავისუფალ ბაზარსა" და "ძლიერ სახელმწიფოს" შორის კავშირებს გამოკვეთს, რადგან მზარდი უთანასწორობისა და შესუსტებული სახელმწიფო სუბსიდიების კონტექსტში მატულობს საბაზრო წესრიგის განხორციელებისა და სოციალური და პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების საჭიროება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკური და სოციალური ძალების მოთოკვა,

### კონსერვატიზმში (2)

| ლიბერალ. ახ. მემარჯვენეობა | v. | კონსერვატ. ახ. მემარჯვენეობა |
|---|---|---|
| კლასიკური ლიბერალიზმი | – | ტრადიციული კონსერვატიზმი |
| ატომიზმი | – | ორგანიციზმი |
| რადიკალიზმი | – | ტრადიციონალიზმი |
| ლიბერტარიზმი | – | ავტორიტარიზმი |
| ეკონომიკური დინამიზმი | – | სოციალური წესრიგი |
| პირადი ინტერესი / ინიციატივა | – | ტრადიციული ღირებულებები |
| თანაბარი შესაძლებლობები | – | ბუნებრივი იერარქია |
| მინიმალური სახელმწიფო | – | ძლიერი სახელმწიფო |
| ინტერნაციონალიზმი | – | კარჩაკეტილი ნაციონალიზმი |
| პროგლობალიზაცია | – | ანტიგლობალიზაცია |

რომლებსაც სახელმწიფოს "უკანდახევა" იწვევს, მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლების გამყარებით შეიძლება. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად ახალი მემარჯვენეობის თეორეტიკოსების აზრით, ნეოლიბერალიზმი და ნეოკონსერვატიზმი უფრო ღრმა, იდეოლოგიურ დონეზეა თავსებადი. მაგალითად, ლეტუინი (Letwin, 1992) თეტჩერიზმს გაერთიანებულ სამეფოში ახასიათებდა როგორც ზნეობრივ გალაშქრებას ე. წ. "ძლიერ სათნოებათათვის" – პირდაპირობის, თვითკმარობის, ენერგიის, თავისუფალი აზრის, ლოიალობისა და აქტიურობისათვის, რომლებიც ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს იდეის უკანდახევას საჭიროებს, სოციალურში კი უფრო მეტ ინტერვენციას გულისხმობს კანონისა და წესრიგის შენარჩუნების, ნაციონალურ იდეალთა დაცვისა და თავდაცვის გაძლიერების მიზნით. უილეტსის აზრით (Willetts, 1992), ის აშკარა დაპირისპირება, რომელიც ახალ მემარჯვენეობაში შეინიშნება, სხვა არაფერია, თუ არა კონსერვატიზმის საფუძვლიანი და გამუდმებული მცდელობები, გააწონასწოროს პიროვნებისადმი ერთგულების დაპირისპირებულობა საზოგადოებისადმი ერთგულებასთან.

და მაინც, რთულია, ახალი მემარჯვენეობა შევაფასოთ როგორც სრულიად თანმიმდევრული, გინდ იდეოლოგიური, გინდ პოლიტიკური გაგებით. ნეოლიბერალიზმი იცავს ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა თავისუფლება, არჩევანი, უფლებები და კონკურენცია; ისინი ადამიანის ბუნების იმ კონცეფციიდან მოდის, რომელიც აქტიურ ინდივიდუალიზმსა და თავდაჯერებულობას გამოკვეთს. ნეოკონსერვატიზმი უპირატესობას ანიჭებს ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა ძალაუფლება, დისციპლინა, პატივისცემა და მოვალეობა; ესენი კი ადამიანის ბუნების იმ გაგებიდან იღებს სათავეს, რომელიც სიმყიფეს, ცდომილებისაკენ მიდრეკილებასა და სოციუმზე დამოკიდებულებას უსვამს ხაზს. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს დაპირისპირება აისახება ნეოლიბერალიზმის ტენდენციაში, იერიში მიიტანოს იმ ფასეულობებზე, რომლებიც განსაკუთრებით სათუთია ნეოკონსერვატორთათვის. მაგალითად, უმართავი კაპიტალიზმის შეუპოვარი დინამიზმი ზღუდავს სოციალურ ერთიანობას და ასუსტებს საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებებისა და ტრადიციული ინსტიტუტების ძალას. მეტიც, მართალია, ნეოლიბერალებს თავისუფლება არსებითად ეკონომიკურ კონტექსტში ესმით და მას განიხილავენ როგორც არჩევანის თავისუფლებას ბაზარზე, ძალზე რთულია წინ აღუდგე იმას, რომ პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი ზნეობრივ თუ სხვა საკითხებზეც არ გავრცელდეს. დაბოლოს, რადგან ბაზრები ეროვნულ საზღვრებს არად დაგიდევენ, თანმიმდევრულ ნეოლიბერალიზმს აქვს გლობალური და ინტერნაციონალისტური ქვეტექსტები, რომლებიც ემსახურება იმას, რომ მოშალოს ერი როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ერთობა.

## კონსერვატიზმი ოცდამეერთე საუკუნეში

მეოცე საუკუნის დასასრული ახალი ძალის მიმცემი აღმოჩნდა კონსერვატორთა ოპტიმიზმისთვის, თუ არ ვიტყვით – ტრიუმფალიზმისთვის. აღმოჩ-

ნდა, რომ კონსერვატიზმმა წარმატებით განდევნა "პროსახელმწიფოებრივი" ტენდენცია, რომელიც მთავრობის მახასიათებელი იყო თითქმის მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში, განსაკუთრებით 1945 წლიდან. მან ასევე წარმატებით დაამკვიდრა "ბაზრის მომხრე" ალტერნატიული ტენდენცია. და მაინც, კონსერვატიზმის უდიდესი მიღწევა ალბათ მისი მთავარი მოწინააღმდეგის, სოციალიზმის დამარცხებაა. პარლამენტარიზმის მომხრე სოციალისტები, ახალი ზელანდიიდან და ავსტრალიიდან დაწყებული და ესპანეთით, შვედეთითა და გაერთიანებული სამეფოთი დამთავრებული, გამუდმებით ეძებდნენ გზებს ამომრჩეველთა ნდობის მოსაპოვებლად საბაზრო ღირებულებებისა და აზროვნების მიღების გზით, იმის აღიარებით, რომ კაპიტალიზმს არა აქვს რაიმე ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივა. მეტიც, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ მოხდა: კომუნიზმის მარცხმა აღმოსავლეთ ევროპაში და სხვაგანაც, ყოველ შემთხვევაში თავდაპირველად, ტრადიციული პოლიტიკური და თავისუფალი ბაზრის ეკონომიკის დოქტრინები აალორძინა; კონსერვატიზმის წვლილი ამ პროცესში მნიშვნელოვანწილად საკუთარი თავის როგორც იდეოლოგიური პროექტის გარდაქმნის უნარში გამოვლინდა. ორგანიციზმის, იერარქიულობისა და არაიდეოლოგიური ინსტინქტებისაგან განმდგარი და ახალი მემარჯვენეობის იერსახით წარმდგარი კონსერვატიზმი საბაზრო ინდივიდუალიზმისა და სოციალური ავტორიტარიზმის მომხრედ მოგვევლინა. და თუმც, შესაძლოა, წარსულს ჩაბარდა ახალ მემარჯვენეთა პოლიტიკის "ჰეროიკული" ფაზა, რომელიც "ძიძა სახელმწიფოს" წინააღმდეგ ბრძოლასა და ისეთ პიროვნებებს უკავშირდებოდა, როგორებიც იყვნენ თეტჩერი და რეიგანი და ასპარეზი "მენეჯერულ" ფაზას დაეთმო, ამან არ უნდა მიჩქმალოს ის ფაქტი, რომ საბაზრო ღირებულებათა გაზიარება კონსერვატიულ რწმენათა მთელ სპექტრს შეეხო. მას შემდეგ, რაც მეოცე საუკუნეში ცენტრალური დაგეგმვის "სოციალისტური" შეცდომები და საყოველთაო კეთილდღეობის კაპიტალიზმის ნაკლოვანებები გამომჟღავნდა, მომზადდა ნიადაგი იმისათვის, რომ ოცდამეერთე საუკუნის საზოგადოებრივ პოლიტიკაში თავისუფალი ბაზრისა და ძლიერი სახელმწიფოს "ახალი" კონსერვატიული ჰიბრიდი გაბატონებულიყო. ამის თვალსაჩინო მაგალითია აშშ, სადაც, განსაკუთრებით ჯორჯ უ. ბუშის ადმინისტრაციის პერიოდში, გაძლიერდა თვითმმართველობის მომხრე და საყოველთაო კეთილდღეობითობის საწინააღმდეგო ტენდენციები, ხოლო პარალელურად გლობალური ტერორიზმის ტალღამ წინა პლანზე დააყენა ქვეყნის შიდა უსაფრთხოება და სამხედრო ძლიერებაზე ზრუნვა.

თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კონსერვატიზმს წინააღმდეგობები არ ხვდება. ერთ-ერთი ასეთი წინააღმდეგობა ისაა, რომ თავისთავად სოციალიზმის მარცხი წარმოშობს პრობლემებს. რაც უფრო წინ მიიწევდა მეოცე საუკუნე, კონსერვატიზმი სულ უფრო გამოკვეთილად ავლენდა ანტიპათიას სახელმწიფო კონტროლის მიმართ, რაც, ჩვეულებრივ, სოციალიზმის მოძალებას უკავშირდებოდა. სწორედ ამაში უნდა ვხედავდეთ ახალი მემარჯვენეობის იდეათა და ღირებულებათა გაჩენის ჭეშმარიტ მნიშვნელობას. მაგრამ თუ კონსერვატიზმი ცენტრალური დაგეგმვისა და ეკონომიკუ-

რი მართვის ერთგვარ კრიტიკად იქცა, რაღა ფუნქცია დაეკისრებოდა მას შემდეგ, როცა ეს უკანასკნელნი აღარ იარსებებდნენ? სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ შეიძლება შეინარჩუნოს კონსერვატიზმმა აქტუალობა პოსტსოციალისტურ ხანაში? მეორე პრობლემა თავისუფალი ბაზრის აზროვნების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობიდან მოდის. თავისუფალი ბაზრის რწმენა ისტორიულად და კულტურულად შეზღუდული იყო. უმართავი კაპიტალიზმით გატაცება მნიშვნელოვანწილად ანგლო-ამერიკული მოვლენაა, რომლის პიკი მეცხრამეტე საუკუნეზე მოდის კლასიკურ ლიბერალიზმთან დაკავშირებით და რომელიც მეოცე საუკუნის ბოლოს ახალი მემარჯვენეობის სახით აღორძინდა. ეკონომიკის სფეროში "სახელმწიფოს უკანდახევას" შესაძლოა მოჰყვეს სტიმულთა გამძაფრება, კონკურენციის გაძლიერება და მეწარმეობის ხელშეწყობა, მაგრამ ადრე თუ გვიან აშკარა გახდება ნაკლოვანებები, კერძოდ, ხანმოკლეობა, კაპიტალდაბანდებათა დაბალი დონე, მზარდი უთანასწორობა და სოციალური გარიყულობა. სწორედ ლიბერალების მსგავსად, რომლებმაც საბოლოოდ აღიარეს, რომ თავისუფალი ბაზარი ეკონომიკური ჩიხია, კონსერვატორებმაც მეოცე საუკუნეში შესაძლოა იგივე გაკვეთილი მიიღონ. აშშ-ის მყარი რწმენა საბაზრო ეკონომიკისადმი, ამ გაგებით, შესაძლოა უბრალოდ ამერიკული განსაკუთრებულობის მაგალითი იყოს.

მეტიც, კონსერვატიზმს, უკეთეს შემთხვევაში, წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება აქვს პოსტმოდერნიზმთან. ერთი მხრივ, განმანათლებლობის გეგმის პოსტმოდერნისტული უარყოფა მხოლოდ ტრადიციული კონსერვატიული სკეპტიციზმის უბრალო გამოძახილი არ არის. ტრადიციული კონსერვატიზმიცა და პოსტმოდერნიზმიც (იხ. გვ. 373) ქადაგებს, რომ ჭეშმარიტება, არსებითად, ნაწილობრივი და ლოკალურია. მეტიც, გიდენსის აზრით (იხ. გვ. 173), რისკისა და გაურკვევლობის ზრდასთან ერთად მატულობს "ფილოსოფიური კონსერვატიზმის" ხიბლი, რომელსაც განიხილავენ როგორც დაცვის, კონსერვაციისა და სოლიდარობის ფილოსოფიას. მეორე მხრივ, გვიანი მოდერნის ანუ პოსტმოდერნის დამკვიდრებამ შესაძლოა სულაც ძირი გამოუთხაროს ტრადიციულ ანუ ორგანულ კონსერვატიზმს. თანამედროვე საზოგადოების მზარდი კომპლექსურობა პიროვნებას სულ უფრო ფართო არჩევანისა და შესაძლებლობების წინაშე აყენებს და სულ უფრო ართულებს "საყოველთაოდ აღიარებული" ღირებულებებისა თუ "საერთო" კულტურის იდენტიფიცირებას, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ დაცვაზე. "დეტრადიციონალიზაციის" ამ პროცესს ხელს უწყობს გლობალიზაციაც ინტენსიური სოციალური ცვლილებებითა და ეროვნული იდენტობის გრძნობის შესუსტებით. რა თქმა უნდა, კანონზომიერი აზრია, რომ კონსერვატიზმმა, ამ მხრივ, ლიბერალური ახალი მემარჯვენეობის სახით, უდიდესი წვლილი შეიტანა კონსერვატიზმის გაუქმების პროცესში. ბოლოს და ბოლოს, ნეოლიბერალური უტოპია ხომ ზედმიწევნით ინდივიდუალისტური და უსასრულოდ დინამიური საზოგადოებაა.

და მაინც, თავისუფალი ბაზრის ნეოლიბერალიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური ნაკლოვანებების მიუხედავად, კონსერვატორები შესაძლოა იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ახალი მემარჯვენე იდეებისთვის ხელის კვრა

უფრო რთულია, ვიდრე თავის დროზე მათთვის წამყვანი როლის მინიჭება იყო. თუ წარსულში ახალი მემარჯვენეობის პრინციპების აღიარება არსებითად პრაგმატული საპასუხო რეაქცია შეიძლებოდა ყოფილიყო არჩევნებსა და პოლიტიკაში კონსერვატორთა წარმატების შესუსტებაზე, ამ პრინციპებმა თან მოიტანა პრინციპულობისადმი გამოკვეთილად არაკონსერვატიული ვნება და კონსერვატიზმი იდეოლოგიური დარწმუნებულობის ვირუსით დაავადა. ამას გარდაუვლად მოჰყვება ხოლმე მეტი ინტელექტუალური სიხისტე. სხვა სიტყვებით, კონსერვატორებმა შესაძლოა იდეოლოგიური გაგებით "მსუბუქად" ველარ "იმგზავრონ". საშიშროება კი ისაა, რომ თუ წარსულში კონსერვატიული იდეოლოგია საკუთარი თავის სიცოცხლისუნარიან იდეოლოგიურ პროექტად ხელახლა ჩამოყალიბების გზაზე უმნიშვნელო შიდა წინააღმდეგობებს აწყდებოდა, მომავალში მოვლენები შესაძლოა სხვაგვარად განვითარდეს.

## რეკომენდებული ლიტერატურა


Adonis, A. and Hames, T. (eds) *A Conservative Revolution? The Thatcher-Reagan Decade in Perspective* (Manchester: Manchester University Press, 1994). სტატიათა კრებული, რომელიც კონსერვატიულ იდეოლოგიაში 1980-იან წლებში მომხდარ ცვლილებათა ბუნებას, მასშტაბსა და მემკვიდრეობას იკვლევს.

Eatwell, R. and N. O'Sullivan (eds), *The Nature of the Right: European and American Politics and Political Thought since 1789* (London: Printer, 1989). აღიარებული ესეთა კრებული, რომელშიც კარგად არის გააზრებული დამოკიდებულებები მემარჯვენე მიმდინარეობისა და სხვადასხვა კონსერვატიული და მემარჯვენე ტრადიციისადმი.

Gamble, A., *The Free Economy and the Strong State* (London: Macmillan, 1988). შთამბეჭდავი განხილვა ახალი მემარჯვენე პროექტისა, რომელიც ყურადღებას საგანგებოდ თეტჩერიზმზე ამახვილებს ბრიტანეთში.

Gray, J. and Willetts, D., *Is Conservatism Dead?* (London: Profile Books, 1997). მოკლედ და გასაგებ ენაზე წარმოდგენილი ანგარიში კონსერვატიზმის მომავლის თაობაზე კამათის ორივე საპირისპირო თვალსაზრისის შესახებ.

Honderich, T., *Conservatism* (London: Hamish Hamilton, 1991). კონსერვატიული აზროვნების თავისებური და მკვეთრად არაკეთილგანწყობილი შეფასება; დეტალურად არგუმენტირებული და საინტერესო.

O'Sullivan, N., *Conservatism* (London: Dent; New York: St Martin's, 1976). კონსერვატიზმის კლასიკური შეფასება, რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს კონსერვატიზმზე როგორც "არასრულყოფილების ფილოსოფიაზე".

Scruton, R., *The Meaning of Conservatism*, 3rd edn (Basingstoke: Macmillan, 2001). სტილური და ღიად კეთილგანწყობილი გამოკვლევა, რომელიც ავითარებს საკუთარ შეხედულებას კონსერვატიული ტრადიციის შესახებ.

თავი 4

# სოციალიზმი

*წარმოშობა და განვითარება*
*არც ერთი ადამიანი არ არის კუნძული – ძირითადი თემები*
*გზები სოციალიზმისკენ*
*მარქსიზმი*
*სოციალური დემოკრატია*
*სოციალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში*

## წარმოშობა და განვითარება

ტერმინი "სოციალისტი" წარმოდგება ლათინური სიტყვისგან *sociare*, რაც გაერთიანებას (შერწყმას) ან გაყოფას (გაზიარებას) ნიშნავს. ის პირველად 1827 წელს ბრიტანეთში, ჟურნალ *The Co-operative Magazine*-ის ერთ-ერთ ნომერში იქნა გამოყენებული. XIX ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში რობერტ ოუენის (Robert Owen, 1760-1858) მიმდევრები ბრიტანეთში და სენ-სიმონისა (Saint-Simon, 1760-1825) საფრანგეთში თავიანთ მრწამსს "სოციალიზმს" უწოდებდნენ, ხოლო XIX ს-ის 40-იანი წლებისთვის ეს ტერმინი უკვე ცნობილი იყო მთელ რიგ ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანულ სახელმწიფოებში.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტები ზოგჯერ იმ ინტელექტუალურ მემკვიდრეობაზე აცხადებდნენ პრეტენზიას, რომელიც პლატონის "რესპუბლიკაში" ან თომას მორის "უტოპიაში" ([1516] 1965) იღებს სათავეს, სოციალიზმის საწყისები, ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის მსგავსად, მეცხრამეტე საუკუნეში ძევს. სოციალიზმი იმ სოციალური და ეკონომიკური პირობების საწინააღმდეგოდ წარმოიშვა, რომელიც ინდუსტრიული კაპიტალიზმის ზრდამ წარმოქმნა ევროპაში. სოციალისტური იდეები სწრაფად დაუკავშირდა ახალი, მაგრამ მზარდი ინდუსტრიული მუშათა კლასის განვითარებას, რომელიც ადრეული ინდუსტრიალიზაციისათვის ასე დამახასიათებელ სიღარიბესა და დეგრადაციას განიცდიდა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმსა და ლიბერალიზმს საერთო ფესვები აქვთ განმანათლებლობაში და იზიარებენ ისეთი პრინციპების რწმენას, როგორიცაა გონება და პროგრესი, სოციალიზმი წარმოიშვა როგორც ლიბერალური საბაზრო საზოგადოების კრიტიკა და გამოირჩეოდა ინდუსტრიული კაპიტალიზმის ალტერნატივის შემოთავაზების მცდელობით.

ადრეული სოციალიზმის ხასიათზე იმ მკაცრმა და ხშირად არაადამიანურმა პირობებმა მოახდინა გავლენა, რომელშიც ინდუსტრიული მუშათა

კლასი ცხოვრობდა და შრომობდა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში *Laissez-fair*-ის პოლიტიკამ ფაბრიკების მეპატრონეებს სრული თავისუფლება მისცა ხელფასების დონისა და სამუშაო პირობების დადგენის საქმეში. ხელფასები ტიპურად დაბალი იყო, ბავშვისა და ქალის შრომა – ჩვეულებრივი მოვლენა, სამუშაო დღე ხშირად თორმეტი საათი გრძელდებოდა და უმუშევრობის მუდმივი შიში არსებობდა. ამასთან, ახალი მუშათა კლასი, რომელიც მეტწილად ქალაქელთა პირველი თაობისგან შედგებოდა, დეზორიენტირებული იყო. მისთვის ინდუსტრიული ცხოვრებისა და მუშაობის პირობები უცნობი იყო და მხოლოდ რამდენიმე ხელმისაწვდომი სოციალური ინსტიტუტი არსებობდა, რომელთაც შეეძლოთ სტაბილურობა და აზრი მიენიჭებინათ მათი ცხოვრებისთვის. შედეგად, ადრეული სოციალისტები ხშირად ინდუსტრიული კაპიტალიზმის რადიკალურ, რევოლუციურ ალტერნატივასაც კი ეძებდნენ. მაგალითად, ჩარლზ ფურიე (Charles Fourier, 1772-1837) საფრანგეთში და რობერტ ოუენი ბრიტანეთში მხარს უჭერდნენ არა კონკურენციასა და სიხარბეზე, არამედ თანამშრომლობასა და სიყვარულზე დაფუძნებული უტოპიური თემების შექმნას. გერმანელებმა კარლ მარქსმა (იხ. გვ. 145) და ფრიდრიხ ენგელსმა (1820-95), უფრო კომპლექსური და სისტემური თეორიები განავითარეს, რომელთაც პრეტენზია ჰქონდათ "ისტორიის კანონზომიერებათა" ამოხსნაზე და აცხადებდნენ, რომ კაპიტალიზმის დამხობა რევოლუციის გზით გარდუვალი იყო.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს სოციალიზმის ხასიათმა, მუშათა კლასის ცხოვრების პირობების თანდათანობითი გაუმჯობესებისა და პოლიტიკური დემოკრატიის წინსვლის შედეგად, ტრანსფორმაცია განიცადა. პროფკავშირების, მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიებისა და სპორტული და სოციალური კლუბების რიცხვის ზრდამ უზრუნველყო მეტი ეკონომიკური უსაფრთხოება და მუშათა კლასის ერთ ინდუსტრიულ საზოგადოებად ინტეგრირება. დასავლეთ ევროპის მოწინავე ინდუსტრიულ საზოგადოებებში სულ უფრო ძნელდა მუშათა კლასის რევოლუციური ძალის როლში დანახვა. მუშათა კლასის წარმომადგენელთათვის მიცემულ ხმათა რაოდენობის თანდათანობითი ზრდით გამხნევებული სოციალისტური პოლიტიკური პარტიები სულ უფრო მეტად იყენებდნენ სამართლებრივ და კონსტიტუციურ ტაქტიკებს. პირველი მსოფლიო ომისთვის სოციალისტური მსოფლიო აშკარად დაიყო იმ სოციალისტურ პარტიებად, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლას არჩევნების გზით ცდილობდნენ და რეფორმას ქადაგებდნენ, და იმ პარტიებად, რომლებიც რევოლუციის საჭიროებას აცხადებდნენ, ჩვეულებრივ, ისეთ უფრო ჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორიც რუსეთი იყო. 1917 წლის რუსეთის რევოლუციამ ეს განხეთქილება კიდევ უფრო განამტკიცა. რევოლუციონერი სოციალისტები, ლენინისა (იხ. გვ. 151) და ბოლშევიკების მსგავსად, ჩვეულებრივ, "კომუნისტების" სახელს ირქმევდნენ, მაშინ როცა რეფორმატორმა სოციალისტებმა შეინარჩუნეს სახელწოდება "სოციალისტი" ან "სოციალ-დემოკრატი".

მეოცე საუკუნე სოციალისტური იდეების აფრიკულ, აზიურ და ლათინოამერიკულ ქვეყნებში გავრცელების მოწმე გახდა, სადაც ინდუსტრიული კაპიტალიზმის მცირე ან საერთოდ არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ. ამ

ქვეყნებში სოციალიზმი ხშირად არა კლასობრივი, არამედ ანტიკოლონიალური ბრძოლის შედეგად ვითარდებოდა. კლასობრივი ექსპლუატაციის იდეა კოლონიალურმა ჩაგვრამ ჩაანაცვლა და შექმნა სოციალიზმისა და ნაციონალიზმის მძლავრი ნაზავი, რაც უფრო სრულყოფილად მეხუთე თავშია განხილული. კომუნიზმის ბოლშევიკური მოდელი აღმოსავლეთ ევროპას 1945 წლის შემდეგ მოახვიეს თავს; 1949 წლის რევოლუციის შემდეგ ის ჩინეთში მიიღეს და შემდგომში ჩრდილოეთ კორეაში, ვიეტნამში, კამბოჯასა და ლაოსში გავრცელდა. სოციალიზმის უფრო ზომიერი ფორმები სხვაგანაც ხორციელდებოდა, მაგალითად კონგრესის პარტიის მიერ, რომელიც 1947 წელს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ათწლეულების განმავლობაში დომინირებდა ინდურ პოლიტიკაში. ამასთანავე, ტრადიციული ტომური ცხოვრების თემური ღირებულებებისა და ისლამის მორალური პრინციპების გავლენით, აფრიკული და არაბული სოციალიზმის თავისებური ფორმები განვითარდა. XX ს-ის 60-70-იან წლებში სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში სოციალისტმა რევოლუციონერებმა მილიტარისტული დიქტატურების წინააღმდეგ ომი გააჩაღეს, რაც ხშირად ისე ჩანდა, თითქოს ეს შეერთებული შტატების იმპერიალისტურ ინტერესებში შედიოდა. კასტროს რეჟიმი, რომელიც ხელისუფლებაში 1959 წლის კუბის რევოლუციის შემდეგ მივიდა, მჭიდროდ დაუკავშირდა საბჭოთა კავშირს, მაშინ როცა სანდინისტი პარტიზანები, რომელთაც ნიგერიაში 1979 წელს ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, უმოკავშიროდ დარჩნენ. 1970 წელს სალვადორ ალიენდე ჩილეში მსოფლიოში პირველი დემოკრატიულად არჩეული მარქსისტი სახელმწიფო მეთაური გახდა, მაგრამ ჩამოგდებულ და მოკლულ იქნა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) მიერ მხარდაჭერილ 1973 წლის სახელმწიფო გადატრიალების დროს.

მეოცე საუკუნის ბოლოს სოციალიზმმა მთელი რიგი შესამჩნევი წარუმატებლობა განიცადა, რამაც ზოგიერთებს საფუძველი მისცა, "სოციალიზმის აღსასრული" გამოეცხადებინათ. რა თქმა უნდა, ამ წარუმატებლობათა შორის ყველაზე დრამატული კომუნიზმის კოლაფსი იყო 1989-91 წლების აღმოსავლეთევროპული რევოლუციების შედეგად. თუმცა, სოციალისტები დასავლური სოციალ-დემოკრატიის პრინციპების ირგვლივ კი არ გაერთიანებულან, არამედ მოხდა ამ პრინციპთა ეჭვქვეშ დაყენება, რადგანაც მსოფლიოს მრავალ კუთხეში საპარლამენტო სოციალისტურმა პარტიებმა ისეთი იდეები და პოლიტიკა გაიზიარეს, რაც ჩვეულებრივ ლიბერალიზმთან ან სულაც კონსერვატიზმთან ასოცირდებოდა. აქვს თუ არა მომავალი სოციალიზმს, როგორც იდეოლოგიას? – ეს საკითხი განხილულია ამ თავის ბოლო ქვეთავში.

## არც ერთი ადამიანი არ არის კუნძული – ძირითადი თემები

სოციალიზმის ანალიზისას ერთ-ერთ სიძნელეს წარმოადგენს ის, რომ ტერმინს, სულ ცოტა, სამი სხვადასხვა გაგება აქვს: ერთი შეხედულებით, სოცი-

ალიზმი არის ეკონომიკური მოდელი, რომელიც, ჩვეულებრივ, კოლექტივიზაციისა და დაგეგმარების რაიმე ფორმას უკავშირდება. ამ გაგებით სოციალიზმი კაპიტალიზმის ალტერნატივას წარმოადგენს, ხოლო ამ ორ ხარისხობრივად განსხვავებულ პროდუქციულ სისტემას შორის არჩევანი ტრადიციულად ყველა ეკონომიკურ საკითხს შორის ყველაზე გადამწყვეტად ითვლებოდა. თუმცა არჩევანი "წმინდა" სოციალიზმსა და "წმინდა" კაპიტალიზმს შორის ყოველთვის ილუზია იყო, ვინაიდან ყველა ეკონომიკურ ფორმაციას, თუმც სხვადასხვაგვარად, მაგრამ მაინც აქვს ორივე სისტემის შერეული მახასიათებლები. მართლაც, თანამედროვე სოციალისტები სოციალიზმს განიხილავენ არა იმდენად კაპიტალიზმის ალტერნატივად, რამდენადაც კაპიტალიზმის უფრო ფართო სოციალურ მიზნებთან დაკავშირების საშუალებად. მეორე მიდგომა სოციალიზმს ლეიბორისტული მოძრაობის ინსტრუმენტად განიხილავს. ამ თვალსაზრისით სოციალიზმი მუშათა კლასის ინტერესებს წარმოადგენს და მისი პროგრამის მიხედვით, მუშებს შეუძლიათ პოლიტიკური ან ეკონომიკური ძალაუფლების მიღება. ამგვარად, სოციალიზმი მართლაც "ლეიბორიზმის" ერთ-ერთი ფორმაა, მექანიზმი, რომელიც წინ წამოსწევს ორგანიზებული მუშათა კლასის ინტერესებს. ამ გადასახედიდან, სოციალიზმის მნიშვნელობა მსოფლიოში მუშათა კლასის მოძრაობების ბედის კვალად მერყეობს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმსა და ორგანიზებულ მუშათა კლასს შორის კავშირი ეჭვგარეშეა, სოციალიზმი კვალიფიციურ ხელოსნებთან, გლეხობასთან და, ფაქტობრივად, პოლიტიკურ და ბიუროკრატიულ ელიტასთანაც ასოცირდებოდა. სწორედ ამიტომ, ამ წიგნში სოციალიზმი მესამე და უფრო ფართო აზრით არის გაგებული როგორც პოლიტიკური მრწამსი ან იდეოლოგია იდეათა განსაკუთრებული ნაკრებით, ღირებულებებითა და თეორიებით. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

- საზოგადოება/თემი
- თანამშრომლობა
- თანასწორობა
- სოციალური კლასი
- საზოგადოებრივი საკუთრება

## საზოგადოება/თემი

სოციალისტური თვალთახედვა აერთიანებს ადამიანებს, როგორც სოციალურ არსებებს, რომელთაც არა უბრალოდ ინდივიდუალურ მცდელობაზე, არამედ საზოგადოების/თემის ძალაზე დაყრდნობით შეუძლიათ სოციალური და ეკონომიკური პრობლემების დაძლევა. ეს კოლექტივისტური ხედვაა, რადგან პირადი ინტერესებისთვის ბრძოლის საპირისპიროდ ხაზს უსვამს ადამიანთა კოლექტიური მოქმედების ნიჭს, მათ სურვილსა და შესაძლებლობას – მიზანს ერთობლივი შრომით მიაღწიონ. მაგალითად, სოციალისტთა უმრავლესობა მზად იქნება გაიმეოროს ინგლისელი მეტაფიზიკოსი პოეტის ჯონ დონის (John Donne, 1571-1631) სიტყვები:

არც ერთი ადამიანი არ არის კუნძული, ალსავსე საკუთარ თავით;
ყოველი ადამიანი კონტინენტის ნაწილია, ძირითადის ნაწილი;. . .
ნებისმიერი ადამიანის სიკვდილი მამცრობს, რადგან მე
კაცობრიობის ნაწილი ვარ;
და ამიტომ ნურასდროს გაგზავნი იმის შესატყობად, ვის გამო
რეკს ზარი;
ის რეკს შენს გამო.

ამდენად, ადამიანები ზოგადსაკაცობრიო კავშირებით ურთიერთგადაჯაჭვული "ამხანაგები", "ძმები" ან "დები" არიან.

სოციალისტებს ლიბერალებთან და კონსერვატორებთან შედარებით გაცილებით ნაკლებად სურთ იმის დაჯერება, რომ ადამიანური ბუნება უცვლელია და დაბადებიდანვე ფიქსირებული. მათ უფრო სწამთ, რომ ადამიანური ბუნება "პლასტიურია", სოციალური ცხოვრების გამოცდილებითა და გარემოებებით ჩამოყალიბებული. ძველ ფილოსოფიურ დებატებში იმის თაობაზე, "აღზრდა/წვრთნა" განსაზღვრავს ადამიანურ ქცევას თუ "ბუნება", სოციალისტები გადაჭრით იჭერდნენ აღზრდის მხარეს. დაბადებიდან, შესაძლოა დედის მუცელშიც კი, ყოველი ინდივიდი გამოცდილებას იძენს, რომელიც აყალიბებს და განსაზღვრავს მის პიროვნებას. ყოველგვარი ადამიანური უნარი და თვისება საზოგადოებისგან შეისწავლება, იმ ფაქტიდან, რომ ჩვენ იმ ენას ვემყარებით, რომელზეც ვმეტყველებთ. მაშინ როცა ლიბერალები "ინდივიდსა" და "საზოგადოებას" მკვეთრად მიჯნავენ, სოციალისტებს სჯერათ, რომ ინდივიდი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. ადამიანები არც დამოუკიდებელნი არიან და არც სრულყოფილნი. მათზე როგორც ცალკეულ, დანაწევრებულ "ინდივიდებზე" ფიქრი აბსურდულია. ინდივიდების გაგება და ასევე მათ მიერ საკუთარი თავის გაგება მხოლოდ იმ სოციალურ ჯგუფებშია შესაძლებელი, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან.

## კოლექტივიზმი

კოლექტივიზმი, ფართო გაგებით, არის რწმენა იმისა, რომ კოლექტიური ადამიანური მცდელობა უფრო დიდი პრაქტიკული და მორალური ღირებულების მქონეა, ვინემ ინდივიდუალური სწრაფვა. ამდენად ის ირეკლავს იმ იდეას, რომ ადამიანურ ბუნებას სოციალური ბირთვი აქვს და გულისხმობს, რომ სოციალური ჯგუფები, იქნება ეს "კლასები", "ერები", "რასები" თუ სხვა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულებია. თუმცა, ტერმინი შეთანხმებულად ნაკლებად გამოიყენება. ბაკუნინი (იხ. გვ. 227) და სხვა ანარქისტები კოლექტივიზმს თავისუფალ ინდივიდთა თვითმმართველი ასოციაციების აღსანიშნავად იყენებდნენ. სხვები კოლექტივიზმს იხილავდნენ როგორც ინდივიდუალიზმის (იხ. გვ. 33) საპირისპიროს, იმის გათვალისწინებით, რომ ის ინდივიდუალურ ინტერესებზე მაღლა კოლექტივის ინტერესების დაყენებას გულისხმობს. ის ზოგჯერ სახელმწიფოსაც უკავშირდება როგორც მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც კოლექტივის ინტერესების მხარდაჭერა ხდება და კოლექტივიზმის წინსვლა სახელმწიფო პასუხისმგებლობის ზრდით აღინიშნება.

ამიტომაც, ადამიანთა ქცევა უფრო იმ საზოგადოებაზე მეტყველებს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ ან აღიზარდნენ, ვიდრე მტკიცე ან უცვლელ ადამიანურ ბუნებაზე.

ლიბერალები და კონსერვატორები ხშირად ამტკიცებენ, რომ ადამიანები არსებითად ანგარებიანები და ეგოისტები არიან. სოციალისტები კი, მეორე მხრივ, ეგოისტურ, მომხვეჭელურ, მატერიალისტურ ან აგრესიულ ქცევას უყურებენ როგორც სოციალურად განპირობებულსა და არაბუნებრივს. ასეთი თვისებები იმ საზოგადოების პროდუქტია, რომელიც ახალისებს და აჯილდოვებს ეგოისტურ და მომხვეჭელურ ქცევას. ეს სწორედ ის მტკიცებულებაა, რომელიც სოციალისტებს ტრადიციულად კაპიტალიზმის წინააღმდეგ მოჰყავდათ. ადამიანები არ არიან სარგებელზე დაგეშილნი. მათ უფრო სარგებლის მოხვეჭაზე ორიენტირებული კაპიტალისტური ბაზრის მექანიზმი უბიძგებს მოიქცნენ ასე.

სოციალიზმის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი სათავეს იღებს არა ადამიანთა რაგვარობის შესახებ მისი შეხედულებიდან, არამედ იმ შეხედულებიდან, თუ როგორრებად გახდომის უნარი შესწევთ მათ. ამან სოციალისტები მიიყვანა უკეთეს საზოგადოებაზე უტოპიური შეხედულების განვითარებამდე, სადაც ადამიანები, როგორც საზოგადოების წევრები, შეძლებენ ნამდვილი თავისუფლებისა და სრულყოფილების მიღწევას. აფრიკელი და აზიელი სოციალისტები ხშირად ამახვილებდნენ ყურადღებას იმაზე, რომ მათი ტრადიციული, წინარეინდუსტრიული საზოგადოებები უკვე ხაზს უსვამენ საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელობასა და საზოგადოების ღირებულებას. ასეთ გარემოებებში სოციალიზმი, დასავლური ინდივიდუალიზმის საპირისპიროდ, ტრადიციული საზოგადოებრივი ღირებულებების შენარჩუნებას ცდილობდა. როგორც ტანზანიის პრეზიდენტი 1964-85 წლებში იულიუს ნაირერე (Julius Nyerere) აღნიშნავდა, "ჩვენ აფრიკაში ნაკლებად გვაქვს რეალური საჭიროება იმისა, რომ "გადავიდეთ" სოციალიზმზე, ვინემ იმისა, რომ "გვასწავლონ" დემოკრატია". ამიტომაც საკუთარ შეხედულებებს ის აღწერდა როგორც "ტრაიბალურ სოციალიზმს".

დასავლეთში კი ინდუსტრიული კაპიტალიზმის თაობათა შემდეგ ცხოვრების სოციალური განზომილება "გამოსწორებას" საჭიროებდა. ეს იყო მეცხრამეტე საუკუნის ისეთი უტოპისტი სოციალისტების მიზანი, როგორებიც არიან ფურიე და ოუენი, რომლებმაც კომუნალური ცხოვრების ექსპერიმენტები ჩაატარეს. ჩარლზ ფურიე მხარს უჭერდა საჩვენებელი საზოგადოებების შექმნას, თითოეულში 1800 წევრის შემადგენლობით, რომელთაც ის "ფალანსტერიებს" (phalansteries) უწოდებდა. ასევე რობერტ ოუენმაც შექმნა რამდენიმე ექსპერიმენტული საზოგადოება, მათ შორის ყველაზე კარგად ცნობილია "ახალი ჰარმონია" ინდოეთში (1824-9). ყველაზე წარმატებული კომუნიტარული ექსპერიმენტი კიბუცის (Kibbutz) სისტემაა ისრაელში, რომელიც კოოპერატიული, ჩვეულებრივ, სასოფლო დასახლებებისგან შედგება და მათ კოლექტიურად ფლობენ და მართავენ მათი წევრები. პირველი კიბუცი 1909 წელს დაარსდა და ამჟამად ისრაელის მოქალაქეთა დაახლოებით 3 პროცენტი კიბუციზმის პრინციპით ცხოვრობს, ხოლო კიდევ 5 პროცენტი – შედარებით ნაკლებად მკაცრ მოშავის (Moshav) დასახლებებში.

## თანამშრომლობა

თუ ადამიანები სოციალური ცხოველები არიან, სოციალისტებს სჯერათ, რომ ბუნებრივი ურთიერთობა მათ შორის თანამშრომლობა უფროა, ვინემ კონკურენცია. ლიბერალები და კონსერვატორები ადამიანთა შორის კონკურენციას ბუნებრივ და, გარკვეული თვალსაზრისით, ჯანმრთელ პროცესად მიიჩნევენ. ის ბუნებრივია იმიტომ, რომ ადამიანები ანგარებიან არსებად ითვლებიან, ხოლო ჯანმრთელია იმდენად, რამდენადაც ინდივიდებს ბეჯითად მუშაობისა და თავიანთი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებისკენ აქეზებს. ინდივიდები პერსონალური მიღწევებისთვის უნდა დაჯილდოვდნენ, იქნება ეს სხვებზე სწრაფად სირბილი, გამოცდაზე უფრო მაღალი ნიშნების მიღება თუ კოლეგებზე ბეჯითად მუშაობა.

სოციალისტებს კი, მეორე მხრივ, სჯერათ, რომ კონკურენცია ინდივიდებს ერთმანეთის წინაალმდეგ განაწყობს და აიძულებს თითოეულ მათგანს, უარი თქვას ან იგნორირება გაუკეთოს საკუთარ სოციალურ ბუნებას, ნაცვლად იმისა, რომ ჩასწვდეს მას. შედეგად, კონკურენცია სოციალური თვისებების მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობას აქეზებს, სანაცვლოდ კი წინ წამოსწევს ეგოიზმსა და აგრესიას. თანამშრომლობას კი მორალური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ურთიერთსიმპათია, მზრუნველობა და სიყვარული არა ერთმანეთის საწინააღმდეგოდ, არამედ ერთად მომუშავე ინდივიდებს უვითარდება. გარდა ამისა საზოგადოების ენერგიის გამოყენება უკეთ შეიძლება, ვიდრე ცალკეული ინდივიდებისა. მაგალითად, რუსი ანარქისტი პეტრე კროპოტკინი (იხ. გვ. 234) ამბობდა, რომ ადამიანთა მოდგმის გადარჩენისა და წარმატების ძირითადი მიზეზი "ურთიერთდახმარების" ნიჭი იყო. სოციალისტებს სჯერათ, რომ ადამიანთა მოტივირება შესაძლებელია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ მორალური სტიმულებითაც. თეორიულად კაპიტალიზმი აჯილდოვებს ინდივიდებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოსთვის. რაც უფრო ბეჯითად იმუშავებენ ისინი, ან რაც უფრო დიდი იქნება მათი უნარი, მით უფრო დიდი იქნება მათი ჯილდოც. თუმცა, ბეჯითად მუშაობის მორალური სტიმული საზოგადო კეთილდღეობაში საკუთარი წვლილის შეტანის სურვილიდან მოდის, რომელიც მოძმეთა მიმართ სიმპათიისა ან პასუხისმგებლობის გრძნობიდან ვითარდება. მარქსმა ეს იდეა დისტრიბუციის კომუნისტური თეორიის შემოთავაზებით გამოხატა: "თითოეულისგან შესაძლებლობის მიხედვით, თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით". მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სოციალ-დემოკრატთაგან რამდენიმე თუ იფიქრებდა მატერიალურ სტიმულთა სრულ გაუქმებას, ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ მატერიალურ და მორალურ სტიმულთა შორის რაიმე სახის ბალანსის შენარჩუნებას. მაგალითად, სოციალისტები არგუმენტად მოიყვანდნენ, რომ მნიშვნელოვანი სტიმული ეკონომიკური ალმავლობის მისაღწევად ის არის, რომ ეს ხელს შეუწყობდა საზოგადოების ულარიბესი და ყველაზე დაუცველი ნაწილისათვის სოციალური დახმარების დაფინანსებას.

თანამშრომლობის სოციალისტურმა რწმენამ სტიმული მისცა კოოპერატიულ საწარმოთა რიცხვის ზრდას, რომელსაც კაპიტალიზმის დროს გა

რცელებული კონკურენტუნარიანი და იერარქიული ბიზნესი უნდა შეეცვალა. ორივე, როგორც მწარმოებელთა, ისე მომხმარებელთა კოოპერატივები ცდილობდნენ ურთიერთსარგებლისათვის მშრომელ ადამიანთა ჯგუფების ძალები ემართათ. გაერთიანებულ სამეფოში კოოპერატიული საზოგადოებები მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა. ეს საზოგადოებები საქონელს ბითუმად ყიდულობდნენ და თავიანთი მუშათა კლასის წევრებს იაფად აძლევდნენ. 1844 წელს "როქდეილის პიონერებმა" (Rochdale Pioneers) გასტრონომიული მაღაზია გახსნეს და მათი მაგალითი სწრაფად აიტაცეს ინდუსტრიულ ინგლისსა და შოტლანდიაში. ჩრდილოეთ ესპანეთსა და ყოფილ იუგოსლავიაში, სადაც წარმოების ორგანიზაცია მუშათა თვითმმართველობის პრინციპს ემყარება, გავრცელებულია მუშათა კუთვნილი და მათ მიერვე მართული მწარმოებლური კოოპერატივები. საბჭოთა კავშირში არსებული კოლმეურნეობებიც კოოპერატიული და თვითმმართველობის უფლების მქონე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისინი მკაცრი დაგეგმარების სისტემაში თავსდებოდა და მათ, ჩვეულებრივ, ადგილობრივი პარტიული ბოსები მართავდნენ.

## თანასწორობა

თანასწორობის რწმენა სოციალისტური იდეოლოგიის განმსაზღვრელი შტრიხია. სწორედ თანასწორობა, როგორც პოლიტიკური ღირებულება, ნათლად გამოარჩევს სოციალიზმს მისი მეტოქეების, განსაკუთრებით ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმისაგან. კონსერვატორებს სწამთ, რომ საზოგადოება ბუნებრივად იერარქიულია და ამიტომაც სოციალური თანასწორობის იდეას უკუაგდებენ როგორც უბრალოდ აბსურდულს. ლიბერალები თანასწორობის იდეას კი ერთგულებენ, მაგრამ იმ საფუძველზე, რომ ყველა ინდივიდი ერთნაირი მორალური ღირებულებებისაა და ამიტომ თანაბარი უფლებებითა და პატივისცემით სარგებლობს. მიუხედავად ამისა, ისინი განსხვავებული ნიჭითა და უნარით იბადებიან და შესაბამისად უნდა დაჯილდოვდნენ: ისინი, ვინც ბეჯითად შრომობენ და აქვთ შესაძლებლობები, იმსახურებენ სხვებზე მდიდრები იყვნენ. ამდენად, ლიბერალები მხარს უჭერენ შესაძლებლობათა თანასწორობას, მაგრამ ვერ ხედავენ იმის მიზეზს, თუ რატომ უნდა გადაიზარდოს ეს სოციალურ ან ეკონომიკურ თანასწორობაში.

სოციალიზმი სოციალური თანასწორობის ან შედეგის თანაბრობის რწმენით ხასიათდება. სოციალისტებმა, სულ ცოტა, სამი არგუმენტი მაინც წამოაყენეს თანასწორობის ამ ფორმის მხარდასაჭერად. პირველ ყოვლისა, სოციალური თანასწორობა განამტკიცებს სამართლიანობასა და პატიოსნებას. სოციალისტები ქონებრივ უთანასწორობას უხალისოდ ხსნიან ინდივიდთა თანდაყოლილ შესაძლებლობებს შორის სხვაობით. სოციალისტებს სჯერათ, რომ როგორც კაპიტალიზმმა წააქეზა კონკურენტული და ეგოისტური ქცევა, ასევე ადამიანური უთანასწორობაც ძალიან კარგად ასახავს საზოგადოების უნიკალურ სტრუქტურას. მათ არა აქვთ იმის მიამიტური რწმენა, რომ ყოველი ადამიანი იდენტური იბადება, ზუსტად ერთნაირი ნი-

ქითა და უნარით. მაგალითად, საზოგადოება, სადაც ყველა სტუდენტი მათემატიკის გამოცდაში ერთნაირ ნიშანს მიიღებს, ეგალიტარული არ იქნება. მიუხედავად ამისა, სოციალისტებს სჯერათ, რომ ადამიანური უთანასწორობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმები საზოგადოებისადმი არაერთგვაროვანი მოპყრობის შედეგი უფროა, ვინემ ბუნების მიერ ნიჭთა არათანაბრად მომადლებისა. ამიტომაც, სოციალისტთა შეხედულებით, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ადამიანებს საზოგადოება ერთნაირად, ან უფრო თანაბრად მაინც მოექცეს მათი ანაზღაურებისა და მატერიალური მდგომარეობის თვალსაზრისით. ფორმალური თანასწორობა, მისი ლეგალური და პოლიტიკური გაგებით, სრულიად არაადეკვატურია, რადგანაც იგნორირებას უკეთებს კაპიტალისტური სისტემის სტრუქტურულ უთანასწორობას. შესაძლებლობათა თანასწორობა, თავის მხრივ, თანდაყოლილი უთანასწორობის მითის უკვდავყოფის გზით უთანასწორობის ლეგიტიმაციას ახდენს.

მეორე მხრივ, სოციალური თანასწორობა საზოგადოებასა და ურთიერთთანამშრომლობას უმაგრებს საფუძველს. თუ ადამიანები თანაბარ სოციალურ პირობებში ცხოვრობენ, მოსალოდნელია, რომ ისინი უფრო ადვილად მოახდენენ ურთიერთიდენტიფიკაციას და ერთად იშრომებენ საერთო სარგებლისთვის. ამდენად, თანაბარი შედეგები სოციალურ სოლიდარობას განამტკიცებს. სოციალური უთანასწორობა კი, თავის მხრივ, კონფლიქტისა და არასტაბილურობის საფუძველია. ეს ყველაზე ნათლად კლასობრივი კონფლიქტების, ან სულაც "კლასობრივი ომების" სოციალისტურ თეორიებშია ასახული. აქვე განმარტებულია ის, თუ რატომ გააკრიტიკეს სოციალისტებმა შესაძლებლობათა თანასწორობა ისეთი მენტალიტეტის წარმოქმნისთვის, როგორიცაა "უძლიერესი გადარჩება". მაგალითად, რ. ჰ. ტონი (R. H. Tawney, იხ. გვ. 162) უკუაგდებდა მას როგორც "თავკომბალას ფილოსოფიას", დაბოლოს, სოციალისტები სოციალურ თანასწორობას იმიტომაც უჭერენ მხარს, რომ ადამიანური სრულქმნისა და თვითრეალიზაციის საფუძველში სწორედ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მომენტს ხედავენ. "მოთხოვნილება" აუცილებელია: ის *მოითხოვს* დაკმაყოფილებას. ეს არ არის უბრალოდ ფრივოლური სურვილი ან წარმავალი გატაცება. ბაზისური მოთხოვნილებები, როგორიცაა საკვების, წყლის, თავშესაფრის, საამხანაგოს მოთხოვნილება, ფუნდამენტურია ადამიანური ბუნებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალისტები მათ დაკმაყოფილებაში თავისუფლების არსს ხედავენ. ვინაიდან ადამიანებს, ფართო გაგებით, მსგავსი მოთხოვნილებები აქვთ, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საფუძველზე დოვლათის განაწილებას აშკარად ეგალიტარული ქვეტექსტი გააჩნია. ამდენად, ლიბერალებისაგან განსხვავებით, სოციალისტებს სჯერათ, რომ თავისუფლება და თანასწორობა შეთავსებადი პრინციპებია. მიუხედავად ამისა, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრინციპს შესაძლოა არაეგალიტარული ქვეტექსტიც ჰქონდეს, როგორც ეგრეთ წოდებულ "სპეციალურ" მოთხოვნილებათა შემთხვევაში, რომლებიც, მაგალითად, ფიზიკური ან გონებრივი უუნარობისას წარმოიშობა.

თუმცა სოციალისტები თანხმდებიან სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის სიკეთეზე, მაგრამ ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ რა ზომამდე შე-

## თანასწორობის შესახებ

**ლიბერალებს** სწამთ, რომ ადამიანები "დაბადებით" თანასწორნი არიან იმ გაგებით, რომ მათ თანაბარი მორალური ღირებულება აქვთ. ეს ფორმალურ თანასწორობას გულისხმობს, განსაკუთრებით ლეგალურსა და პოლიტიკურ თანასწორობას, ისევე როგორც შესაძლებლობათა თანასწორობას. მაგრამ სოციალური თანასწორობა, როგორც ჩანს, თავისუფლებისა და ნიჭის ჩახშობის ფასად მიიღწევა. მიუხედავად ამისა, მაშინ როცა ძველი ლიბერალები ხაზს უსვამენ მკაცრი მერიტოკრატიისა და ეკონომიკური ინიციატივის აუცილებლობას, თანამედროვე ლიბერალები ამტკიცებენ, რომ სრულიად თანაბარი შესაძლებლობები შეფარდებით სოციალურ თანასწორობას მოითხოვს.

**კონსერვატორები** ტრადიციულად საზოგადოებას განიხილავდნენ როგორც ბუნებრივად იერარქიულს და ამიტომაც თანასწორობას უკუაგდებდნენ, როგორც აბსტრაქტულსა და მიუღწეველ მიზანს. მიუხედავად ამისა, ახალი მემარჯვენეობა თანაბარ შესაძლებლობათა მკაცრად ინდივიდუალისტურ რწმენას ავლენს და ხაზს უსვამს მატერიალური უთანასწორობის ეკონომიკურ სარგებლიანობას.

**სოციალისტები** თანასწორობას ფუნდამენტურ ღირებულებად მიიჩნევენ, კერძოდ, ისინი მხარს უჭერენ სოციალურ თანასწორობას. მიუხედავად სოციალურ დემოკრატიაში მომხდარი შესაძლებლობათა თანასწორობის ლიბერალური რწმენისაკენ მიმართული ცვლილებებისა, სოციალური თანასწორობა, მისი შეფარდებითი (სოციალ-დემოკრატიული) თუ აბსოლუტური (კომუნისტური) გაგებით, არსებით ელემენტად მიიჩნევა სოციალური ერთიანობისა და ძმობის უზრუნველყოფაში, რადგან ამკვიდრებს მართლმსაჯულებას ან თანასწორობას, და აფართოებს თავისუფლებას პოზიტიური გაგებით.

**ანარქისტები** განსაკუთრებულად ამახვილებენ ყურადღებას პოლიტიკურ თანასწორობაზე როგორც პერსონალური ავტონომიის თანასწორ და აბსოლუტურ უფლებაზე, რაც იმას გულისხმობს, რომ პოლიტიკური უთანასწორობის ყველა ფორმა ჩაგვრამდე მიდის. ანარქო-კომუნისტებს სანარმოო ქონების კოლექტიური საკუთრებით მიღწეული აბსოლუტური სოციალური თანასწორობისა სჯერათ.

**ფაშისტებს** სწამთ, რომ კაცობრიობა რადიკალური უთანასწორობითაა დალდასმული. ეს ეხება როგორც ლიდერებსა და მათ მიმდევრებს, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ერებსა და რასებს. მიუხედავად ამისა, ერზე ან რასაზე ყურადღების გამახვილება გულისხმობს, რომ მათი ყველა წევრი თანასწორია, სულ ცოტა, მათი ღრმა სოციალური იდენტურობის გამო.

**ფემინისტები** თანასწორობაში სქესობრივ თანასწორობას გულისხმობენ, თანაბარი უფლებებისა და თანაბარი შესაძლებლობების მნიშვნელობით (ლიბერალური ფემინიზმი), ან თანაბარი სოციალური თუ ეკონომიკური ძალაუფლების მნიშვნელობით (სოციალისტური ფემინიზმი), მიუხედავად სქესისა. თუმცა, ზოგი რადიკალურად განწყობილი ფემინისტი ამტკიცებდა, რომ თანასწორობის მოთხოვნამ შეიძლება უბრალოდ ქალთა "მამრებად იდენტიფიკაციამდე" მიგვიყვანოს.

**ეკოლოგისტები** ბიოცენტრული თანასწორობის ცნებას წამოსწევენ წინ, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ სიცოცხლის ყველა ფორმას "სიცოცხლისა და აყვავების" ერთნაირი უფლება აქვს. ამიტომაც თანასწორობის ტრადიციული ცნებები ანთროპოცენტრისტულად არის მიჩნეული, რადგანაც ისინი კაცობრიობის გარდა ყველა სხვა ორგანიზმისა და არსების ინტერესებს გამორიცხავს.

იძლება გაიზარდოს ეს თანასწორობა. მარქსისტებსა და კომუნისტებს კერძო საკუთრების გაუქმებითა და საწარმოო ქონების კოლექტივიზაციით მიღწეული აბსოლუტური სოციალური თანასწორობისა სჯერათ. უფრო მეტიც, მარქსს სწამდა, რომ მას შემდეგ, რაც კაპიტალისტური კლასობრივი სისტემის ნარჩენები გაქრება, ანაზღაურება მთლიანად მოთხოვნილების საფუძველზე უნდა გადანაწილდეს. სოციალ-დემოკრატებს კი სჯერათ შედარებითი სოციალური თანასწორობისა, რომელიც "საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოსა" (სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მქონე სახელმწიფოსა) და პროგრესულ საგადასახადო სისტემაში ქონების რედისტრიბუციით მიიღწევა. კაპიტალიზმის არა გაუქმების, არამედ მისი მოთოკვის სოციალ-დემოკრატიული სურვილი ირეკლავს მატერიალურ სტიმულთა როლის აღიარებას და იმ ფაქტს, რომ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მნიშვნელობა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული სიღარიბის აღმოფხვრასთან.

## სოციალური კლასი

ფართო გაგებით, სოციალური კლასი ერთნაირი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ადამიანთა ჯგუფებს მოიცავს. სოციალისტები სოციალურ კლასს ტრადიციულად განიხილავდნენ, როგორც ყველაზე ღრმასა და პოლიტიკურად უმნიშვნელოვანეს სოციალურ კატეგორიას. ამასთან, სოციალისტურმა კლასობრივმა პოლიტიკამ ორნაირი გამოხატულება ჰპოვა. უპირველეს ყოვლისა, სოციალური კლასი ანალიტიკური ინსტრუმენტია. ყოველ შემთხვევაში, სოციალიზმამდელ საზოგადოებებში სოციალისტებს სწამდათ, რომ ადამიანებს სჩვევიათ აზროვნება და მოქმედება სხვებთან ერთად – იმათთან ერთად, ვისაც მსგავსი ეკონომიკური მდგომარეობა ან მიზანი აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორიის მთავარი პერსონაჟები არიან არა ინდივიდები, არამედ – სოციალური კლასები, რომლებიც, ამგვარად, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებათა წვდომის საშუალებას იძლევიან. მაგალითად, კაპიტალისტური სისტემის ბიწიერებისა და უსამართლობის გამოვლინებანი სრულად აიხსნება პრივილეგირებული და მდიდარი კლასების მისწრაფებით, დათრგუნონ და ექსპლუატაცია გაუწიონ ჩაგრულ კლასებს. სოციალისტური კლასობრივი პოლიტიკის მეორე სახეობაში ყურადღება საგანგებოდაა გამახვილებული მუშათა კლასზე, პოლიტიკურ ბრძოლასა და განთავისუფლებაზე. სოციალიზმი ხშირად განიხილებოდა როგორც მუშათა კლასის ინტერესთა გამოხატულება, ხოლო მუშათა კლასი – როგორც ის საშუალება, რომლის მეშვეობითაც შეიძლება სოციალიზმის დამყარება. მიუხედავად ამისა, სოციალური კლასი საზოგადოების აუცილებელ ან განუყოფელ ნიშან-თვისებად არ ითვლებოდა. სოციალისტური საზოგადოებები მიიჩნეოდა უკლასო საზოგადოებებად ან ისეთებად, რომლებშიც კლასობრივი უთანასწორობა მნიშვნელოვანწილად აღმოფხვრილია. კაპიტალისტური ექსპლუატაციისგან განთავისუფლებისას მუშათა კლასი თავისუფლდება საკუთარი კლასობრივი ინდივიდუალობისგან და ამ პროცესში იქცევა სრულად განვითარებული პიროვნებების ერთობლიობად.

ამავდროულად, სოციალისტებს სხვადასხვაგვარად ესმით სოციალური კლასის არსი და მნიშვნელობა. მარქსისტული ტრადიციით, კლასი უკავშირდება ეკონომიკურ ძალაუფლებას, რადგან განისაზღვრება წარმოების საშუალებებისადმი ადამიანთა მიმართებით. ამ თვალსაზრისით, კლასობრივი დაყოფა გულისხმობს "კაპიტალისა" და "შრომის" ურთიერთგამიჯვნას, ანუ შრომის პროდუქტის მესაკუთრეების (ბურჟუაზიის) დაპირისპირებას იმათ მიმართ, ვინც ცხოვრობს საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვის ხარჯზე (პროლეტარიატი). ეს მარქსისტული ორკლასიანი მოდელი ხასიათდება ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შეურიგებელი კონფლიქტით, რომელიც გარდუვალად იწვევს კაპიტალიზმის დამხობას პროლეტარული რევოლუციის წყალობით. მარქსისა და ენგელსის "კომუნისტური მანიფესტი" მთავრდება მოწოდებით: "პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! თქვენ არაფერი გაქვთ დასაკარგი, საკუთარი ბორკილების გარდა." მეორე მხრივ, სოციალ-დემოკრატები სოციალურ კლასს "თეთრსაყელოიანების" ანუ არაფიზიკური შრომით დაკავებული მუშაკებისა (საშუალო კლასი) და "ლურჯსაყელოიანების" ანუ ფიზიკურად მომუშავე ადამიანების (მუშათა კლასი) სხვადასხვაგვარი შემოსავლისა და სტატუსის საფუძველზე განსაზღვრავდნენ. ამ თვალსაზრისით, სოციალიზმის განვითარება უკავშირდება საშუალო კლასსა და მუშათა კლასს შორის არსებული ნაპრალის შემცირებას, რაც ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების მეშვეობით ხორციელდება. მაშასადამე, სოციალ-დემოკრატების რწმენით, მომავალი ეკუთვნის სოციალური სტრუქტურის გაუმჯობესებასა და კლასთა ჰარმონიულ ურთიერთმიმართებებს, და არა – სოციალურ პოლარიზაციასა და კლასობრივ ბრძოლას.

ამასთან, მეოცე საუკუნის შუა ხანებიდან კავშირი სოციალიზმსა და კლასობრივ პოლიტიკას შორის შესუსტდა. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა კლასობრივი სოლიდარობის მოშლამ და, განსაკუთრებით, ტრადიციული მუშათა კლასის ანუ ქალაქის პროლეტარიატის რაოდენობრივმა შემცირებამ. ტრადიციული კავშირი სოციალიზმსა და მუშათა კლასს შორის ფორმალურად გაუქმდა ისეთ ნაშრომებში, როგორიცაა ანდრე გორცის "დამშვიდობება მუშათა კლასთან" (André Gorz, *Farewell to the Working Class*, 1982). კლასობრივი პოლიტიკის დაქვეითება გამოიწვია დეინდუსტრიალიზაციამ, ეკონომიკის სამრეწველო საფუძვლის რღვევამ, რაც ტრადიციული შრომატევადი სამრეწველო დარგების (მაგალითად, ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის, გემთმშენებლობის და ა.შ.). შეკვეცაში აისახა. "ფორდისტულ" სისტემას, რომელიც მასობრივ წარმოებასა და მასობრივ მოხმარებას ემყარება, "პოსტფორდისტული" სისტემა შეენაცვლა, ეს უკანასკნელი კი ხასიათდება უფრო პლურალიზებული კლასობრივი ფორმაციებით. პოსტფორდიზმმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა სოციალისტურ პარტიებზე. ამ ზეგავლენამ გამოხატულება ჰპოვა არა მარტო ტრადიციული სოციალისტური პოლიტიკური კურსის უგულებელყოფაში (საშუალო კლასის ამომრჩეველთა მიზიდვის მიზნით), არამედ – იმაშიც, რომ სოციალისტურ პარტიათა რადიკალიზმი სულ უფრო ნაკლებად ითვალისწინებს კლასობრივ განთავისუფლებას და სულ უფრო მეტად მოიცავს

ისეთ საკითხებს, როგორიცაა სქესთა თანასწორობა, ეკოლოგიური ჰარმონია, ცხოველთა უფლებების დაცვა, მშვიდობა და ინტერნაციონალური განვითარება.

## საზოგადოებრივი საკუთრება

კონკურენციისა და უთანასწორობის წყაროდ სოციალისტები ხშირად კერძო საკუთრების ინსტიტუტს მიიჩნევდნენ, რომელშიც, ჩვეულებრივ, იგულისხმება შრომის პროდუქტები ანუ "კაპიტალი" და არა პირადი საკუთრება, მაგალითად, ტანსაცმელი, ავეჯი ან სახლები. ამგვარი დამოკიდებულება საკუთრებისადმი განასხვავებს სოციალიზმს ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმისგან, რომელთა მიხედვით, უფლება საკუთრებაზე ბუნებრივი და მართებული რამაა. სოციალისტები კერძო საკუთრებას მრავალი მიზეზით აკრიტიკებენ. პირველ ყოვლისა, საკუთრება უსამართლობის შედეგია: დოვლათი ადამიანთა კოლექტიური შრომის საფუძველზე იქმნება და ამიტომ უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივ (და არა ინდივიდუალურ) საკუთრებას. გარდა ამისა, სოციალისტთა შეხედულებით, საკუთრება სიხარბეს იწვევს და, ამგვარად, ადამიანებს მორალურად ხრწნის. კერძო საკუთრება აღვივებს მერკანტილურ მისწრაფებებს და განამტკიცებს იმის რწმენას, რომ ბედნიერება ან სრულყოფილება შეიძლება მიღწეულ იქნას სიმდიდრის მოპოვების მეშვეობით. საკუთრების მფლობელნი ცდილობენ, კიდევ უფრო მეტი ქონება დააგროვონ, ხოლო უმნიშვნელო ავლადიდების მქონენი ან უპოვარნი მისი შეძენისკენ მიისწრაფიან. ბოლოს, საკუთრება განხეთქილებებს წარმოშობს. ის ხელს უწყობს საზოგადოებრივ კონფლიქტებს მესაკუთრეებსა და მშრომელებს, მეწარმეებსა და მუშებს ან, უბრალოდ, მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ამიტომ სოციალისტები აცხადებენ, რომ საჭიროა კერძო საკუთრების გაუქმება და შრომის პროდუქტების ქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად, ან (რაც უფრო ზომიერი მოთხოვნაა) საკუთრების უფლების დაბალანსება საზოგადოების ინტერესთა შესაბამისად.

კარლ მარქსი განიხილავდა კერძო საკუთრების გაუქმებისა და, კაპიტალიზმის ნაცვლად, უკლასო, კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბების საკითხს. მას უეჭველად სწამდა, რომ აუცილებელია საკუთრების განსაზოგადოება და გამოყენება ადამიანთა საკეთილდღეოდ. ამასთან, მარქსს ბევრი არაფერი უთქვამს იმის შესახებ, როგორ შეიძლება რეალურად ამ მიზნის მიღწევა. როდესაც 1917 წელს ლენინმა და ბოლშევიკებმა რუსეთში ძალაუფლება ხელთ ჩაიგდეს, მათ სჯეროდათ, რომ სოციალიზმის აშენება ნაციონალიზაციის, ეკონომიკაზე უშუალო სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების მეშვეობით შეიძლებოდა. ეს პროცესი XX ს-ის 30-იან წლებამდე გაგრძელდა, როდესაც სტალინის "მეორე რევოლუციამ" ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკის, სახელმწიფო კოლექტივიზაციის შექმნის პროცესი დაასრულა. "საზოგადოებრივი საკუთრება" გაუტოლდა "სახელმწიფო საკუთრებას" ან იმას, რასაც საბჭოთა კონსტიტუცია "სოციალისტურ

სახელმწიფო საკუთრებას" უწოდებდა. ამგვარად, საბჭოთა კავშირმა სახელმწიფო სოციალიზმის ფორმა განავითარა.

სოციალ-დემოკრატები სახელმწიფოს ასევე იმ ინსტრუმენტად მიიჩნევდნენ, რომლის საშუალებითაც დოვლათის კოლექტიურ საკუთრებად ქცევა და ეკონომიკის რაციონალურად დაგეგმვა შეიძლებოდა. ამასთან, დასავ-

## ეკონომიკის შესახებ

**ლიბერალები** ეკონომიკას განიხილავენ როგორც სამოქალაქო საზოგადოების არსებით ნაწილს და მყარ უპირატესობას ანიჭებენ ბაზარს ანუ კაპიტალისტურ ეკონომიკურ წყობას, რომელიც ემყარება საკუთრებას, კონკურენციასა და მატერიალურ სტიმულებს. ამასთან, თუ კლასიკური ლიბერალიზმის წარმომადგენლები უპირატესობას ანიჭებდნენ *Laissez-faire*-ის კაპიტალიზმს, თანამედროვე ლიბერალები ბაზრის შემზღუდველი ღონისძიებების საჭიროებასა და ეკონომიკის შეზღუდულ მართვას აღიარებენ.

**კონსერვატორები** უყოყმანოდ უჭერენ მხარს კერძო მეწარმეობას. ამასთან, ისინი უპირატესობას ანიჭებენ პრაგმატულ, თუმცა შეზღუდულ ჩარევას, რადგან საყოველთაო *Laissez-faire*-ისა და სოციალური არასტაბილურობის თანმხლებ საშიშროებებს აცნობიერებენ. რაც შეეხება ახალ მემარჯვენეობას, ის არარეგულირებულ კაპიტალიზმს უჭერს მხარს.

**სოციალისტებმა**, მარქსისტული ტრადიციის შესაბამისად, უპირატესობა საზოგადოებრივ საკუთრებასა და აბსოლუტურ სოციალურ თანასწორობას მიანიჭეს, რაც ორთოდოქსულ კომუნიზმში სახელმწიფო კოლექტივიზაციასა და ცენტრალურ დაგეგმვაში გამოიხატა. ამასთან, სოციალ-დემოკრატები ემხრობიან საყოველთაო კეთილდღეობის ანუ რეგულირებულ კაპიტალიზმს, რადგან, მათი თვალსაზრისით, ბაზარი კარგი მსახურია, მაგრამ – უხეირო ბატონი.

**ანარქისტები** ეკონომიკის კონტროლს ან მართვის ნებისმიერ ფორმას უგულებელყოფენ. აღსანიშნავია, რომ ანარქო-კომუნისტები საზოგადოებრივ საკუთრებასა და მცირემასშტაბიან თვითმმართველობას უჭერენ მხარს, მაშინ როდესაც ანარქო-კაპიტალისტები მთლიანად არარეგულირებულ საბაზრო ეკონომიკას იცავენ.

**ფაშისტებმა** კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის მესამე გზა გაკვალეს, რაც ხშირად კორპორატიზმის იდეების მეშვეობით გამოიხატებოდა, ეს კი შრომისა და კაპიტალის გაერთიანებას გულისხმობს ორგანული მთლიანობის სახით. ისინი მხარს უჭერდნენ დაგეგმვასა და ნაციონალიზაციას როგორც ერის ან რასის (მათი მტკიცებით) საჭიროებებისათვის მოგების გამოყენების საშუალებას.

**ეკოლოგისტები** გმობენ როგორც საბაზრო კაპიტალიზმს, ისე სახელმწიფო კოლექტივიზმს ზრდით უკანმოუხედავი გატაცებისა და გარემოს დაცვისადმი უყურადღებობის გამო. ამგვარად, ეკონომიკა უნდა ექვემდებარებოდეს ეკოლოგიის ინტერესებს, ხოლო ნებისმიერ ფასად მოგების მიღების ტენდენციას უნდა ჩაენაცვლოს ზრუნვა კაცობრიობისა და ბუნების ხანგრძლივი ურთიერთშემწეობისა და ჰარმონიის შესახებ.

ლეთში ნაციონალიზაცია შერჩევით განხორციელდა. მის მიზანს არა სრული სახელმწიფო კოლექტივიზმი წარმოადგენდა, არამედ – შერეული ეკონომიკის შექმნა, სადაც მრეწველობის ზოგიერთი დარგი კერძო მფლობელობაში უნდა დარჩენილიყო, ხოლო სხვები – სახალხო საკუთრებაში. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ატლის ლეიბორისტულმა მთავრობამ (Attlee Labour government, 1945-51) ეკონომიკის ე.წ. "წარმმართველი სიმაღლეების" ნაციონალიზაციას მიმართა, რასაც ძირითადი სამრეწველო დარგები შეადგენდა: ქვანახშირის, ფოლადის, ელექტროენერგიისა და გაზის მრეწველობა. მთავრობა იმედოვნებდა, რომ მთელ ეკონომიკას ამ დარგების მეშვეობით დაარეგულირებდა სრული კოლექტივიზმის საჭიროების გარეშე. ამასთან, XX ს-ის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, საპარლამენტო სოციალისტურმა პარტიებმა "საკუთრების პოლიტიკა" თანდათან უგულებელყვეს და ამჯობინეს, სოციალიზმის მიზნებად დაესახათ უფრო თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა, ვიდრე – საზოგადოებრივი საკუთრების განვითარება. რა თქმა უნდა, ეგრეთ წოდებული "ახალი" რევიზიონიზმის ერთ-ერთ ძირითად ნიშან-თვისებას 1980-იანი წლების შემდგომ წარმოადგენდა ეკონომიკის იმთავითვე კერძო მფლობელობაში არსებული სექტორის აღიარება და ზოგჯერ პრივატიზაციის მხარდაჭერაც კი.

## გზები სოციალიზმისკენ

სოციალიზმის ფარგლებში ორ ძირითად პრობლემასთან დაკავშირებით ორი ურთიერთსაპირისპირო ტრადიცია და ტენდენცია გამოიკვეთა. პირველ მათგანს სოციალისტთა ამოცანები ან "მიზნები" წარმოადგენდა. სოციალისტებმა მრავალი განსხვავებული კონცეფცია შეიმუშავეს სოციალისტური საზოგადოების არსის შესახებ. ფაქტობრივად, მათ "სოციალიზმის" ურთიერთსაპირისპირო დეფინიციები განავითარეს. აქ პრინციპული განხეთქილება შეიმჩნევა ფუნდამენტალისტურსა და რევიზიონისტურ სოციალიზმს შორის, რომელიც თავს იჩენს, შესაბამისად, კომუნისტურსა და სოციალ-დემოკრატიულ ტრადიციებში. ეს ტრადიციები განხილულია წინამდებარე თავის ორ მომდევნო ქვეთავში. ამჯერად კი ვიმსჯელებთ მეორე საკითხის შესახებ, რომელმაც სოციალისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა: ვგულისხმობთ საშუალებებს, რომლებიც სოციალისტური მიზნების მისაღწევად გამოიყენებოდა ხოლმე, ანუ "გზებს სოციალიზმისკენ". მათი არსებითი მნიშვნელობა იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმი ყოველთვის გამოირჩეოდა ოპოზიციური ხასიათით: მის მოწოდებას იმ კაპიტალისტური ან კოლონიური საზოგადოებების შეცვლა, ტრანსფორმაცია წარმოადგენს, საიდანაც თვითონ აღმოცენდა. სოციალისტთა მიერ არჩეულ "გზას" მარტოოდენ სტრატეგიული მნიშვნელობა როდი გააჩნია; ის სოციალისტური მოძრაობის ხასიათს განსაზღვრავს და აგრეთვე, სოციალიზმის საბოლოო ფორმას აყალიბებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალიზმის ფარგლებში საშუალებები და მიზნები ხშირად ურთიერთდაკავშირებულია.

## რევოლუციური სოციალიზმი

ბევრი ადრეული სოციალისტი ფიქრობდა, რომ სოციალიზმის დამყარება მარტოოდენ არსებული პოლიტიკური სისტემის რევოლუციური დამხობის გზით იყო შესაძლებელი და რომ ამგვარი რევოლუციის აუცილებელი ნიშან-თვისება ძალმომრეობა იქნებოდა. რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული აპოლოგეტი ფრანგი სოციალისტი ოგიუსტ ბლანკი (Auguste Blanqui, 1805-1881) იყო. მისი აზრით, საჭირო იყო საიმედო კონსპირატორთა მცირერიცხოვანი რაზმის ჩამოყალიბება, რომელიც რევოლუციას დაგეგმავდა და განახორციელებდა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. მეორე მხრივ, მარქსი და ენგელსი პროლეტარულ რევოლუციას განიხილავდნენ როგორც კლასობრივად შეგნებულ მუშათა მასების ამბოხს კაპიტალიზმის დასამხობად. ამასთან, წარმატებული სოციალისტური რევოლუცია არ განხორციელებულა 1917 წლამდე, როდესაც ერთეული და დისციპლინირებული რევოლუციონერების ჯგუფებმა, ლენინისა და ბოლშევიკთა მეთაურობით, ხელთ ჩაიგდეს ძალაუფლება რუსეთში, ეს კი უფრო coup d' état (სახელმწიფო გადატრიალება) იყო, ვიდრე – სახალხო ამბოხი. ბოლშევიკური რევოლუცია ბევრწილად მოდელს წარმოადგენდა სოციალისტ რევოლუციონერთა მომდევნო თაობებისთვის.

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში რევოლუციური ტაქტიკა სოციალისტებს ორი მიზეზის გამო იზიდავდა. ჯერ ერთი, ინდუსტრიალიზაციის ადრეულ სტადიებზე სრული უსამართლობა სუფევდა, მშრომელი მასები დამთრგუნველი სიღატაკისა და საყოველთაო უმუშევრობისგან იტანჯებოდნენ. კაპიტალიზმი აღიქმებოდა როგორც სასტიკი ჩაგვრისა და ექსპლუატაციის სისტემა. მუშათა კლასი რევოლუციის ზღვარზე იმყოფებოდა. როდესაც მარქსი და ენგელსი 1848 წელს წერდნენ, "აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა", კონტინენტის უმეტესი ნაწილი ამბოხებებითა და რევოლუციებით იყო მოცული. აღსანიშნავია, რომ მუშათა კლასებს პოლიტიკური ზეგავლენის არცთუ ბევრი ალტერნატიული საშუალება გააჩნდათ. რა თქმა უნდა, მათ თითქმის არსად არ ჰქონდათ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება. იმ ქვეყნებში (მაგალითად, რუსეთში), სადაც მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში შენარჩუნებულ იქნა ავტოკრატიული მონარქიები, გაბატონებული იყო მიწათმფლობელი არისტოკრატია, ხოლო სახელმწიფოებში, რომლებსაც მართავდნენ კონსტიტუციური და არჩევითი მთავრობები, ხმის უფლება, ჩვეულებრივ, იზღუდებოდა საშუალო კლასების ქონებრივი არჩევითი ცენზით. გამონაკლისს წარმოადგენდა ქვეყნები, სადაც საყოველთაო საარჩევნო უფლება შემოიღეს გაცილებით ადრე (მაგალითად, საფრანგეთში – 1848 წ.). ეს იყო, უპირატესად, აგრარული და ჯერ კიდევ ღრმად რელიგიური სახელმწიფოები, სადაც ამომრჩეველთა უმეტესობა (მცირემიწიანი გლეხობა) პოლიტიკური კონსერვატიულობით გამოირჩეოდა. ამგვარ შემთხვევებთან დაკავშირებით ფრანგი ანარქისტი პრუდონი (იხ. გვ. 230) აღნიშნავდა, რომ "საყოველთაო საარჩევნო უფლება კონტრრევოლუციურია". საარჩევნო უფლებებს მოკლებული მშრომელი მასებისთვის სოციალიზმის დამყარების ერთადერთ რეალისტურ პერსპექტივას პოლიტიკური რევოლუცია წარმოადგენდა.

ამასთან, სოციალისტებისთვის რევოლუცია უბრალოდ ტაქტიკური მოსაზრება როდი გახლდათ; ის აგრეთვე ასახავს მათ თვალსაზრისს სახელმწიფო ძალაუფლების მდგომარეობისა და არსის შესახებ. მაშინ როდესაც ლიბერალების შეხედულებით, სახელმწიფო არის ნეიტრალური ორგანო, რომელიც ითვალისწინებს ყველა მოქალაქის ინტერესებსა და საერთო კეთილდღეობას, რევოლუციონერი სოციალისტები სახელმწიფოს მიიჩნევენ კლასობრივი ჩაგვრის აგენტად, რომელიც მოქმედებს "კაპიტალის" ინტერესებში და მუშათა კლასის ინტერესების საპირისპიროდ. მაგალითად, მარქსისტების თვალსაზრისით, პოლიტიკური ძალაუფლება ასახავს კლასობრივ ინტერესებს, ხოლო სახელმწიფო არის "ბურჟუაზიული სახელმწიფო", რომელიც გარდუვალად მოქმედებს კაპიტალის სასარგებლოდ. პოლიტიკური რეფორმები და თანმიმდევრული ცვლილებები აზრს მოკლებულია. საყოველთაო საარჩევნო უფლება, აგრეთვე, რეგულარული და კონკურენციაზე დამყარებული არჩევნები საუკეთესო შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა ფასადი. მათ მიზანს წარმოადგენს ჩაგრული კლასის დაბრკოლება და მუშათა პოლიტიკური ენერგიის წარმართვა მცდარი გეზით. ამგვარად, კლასობრივად შეგნებულ პროლეტარიატს არავითარი ალტერნატივა არ გააჩნია: სოციალიზმის ასაშენებლად მან თავდაპირველად უნდა დაამხოს ბურჟუაზიული სახელმწიფო პოლიტიკური რევოლუციის მეშვეობით. მარქსს მიაჩნდა, რომ ამ რევოლუციას უნდა მოჰყოლოდა ე.წ. "პროლეტარიატის დიქტატურის" პერიოდი, რომლის განმავლობაში რევოლუციას დასჭირდებოდა დაცვა საკუთრებადაკარგული ბურჟუაზიის მხრიდან მომდინარე კონტრრევოლუციის საფრთხისგან.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში რევოლუციის რწმენა ყველაზე მტკიცედ განვითარებადი მსოფლიოს სოციალისტებმა შეინარჩუნეს. 1945 წლის შემდგომ ბევრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართავდა "შეიარაღებულ ბრძოლას" კოლონიური ბატონობის დაძლევისა და განადგურების მიზნით. აზიაში 1949 წელს მაო ძე დუნის მეთაურობით განხორციელებული ჩინეთის რევოლუცია იაპონიისა და ჩინელი ნაციონალისტების, გომინდანის წინააღმდეგ წარმოებული ხანგრძლივი კამპანიის კულმინაციას წარმოადგენდა. ვიეტნამის ეროვნული გაერთიანება მიღწეულ იქნა 1975 წელს, მას შემდეგ, რაც დასრულდა გაჭიანურებული ომი ჯერ საფრანგეთის, შემდეგ კი შეერთებული შტატების წინააღმდეგ. არგენტინელი რევოლუციონერი ჩე გევარა სიცოცხლის ბოლომდე (1967 წ.) ხელმძღვანელობდა პარტიზანულ რაზმებს სამხრეთი ამერიკის სხვადასხვა ნაწილში და მეთაურობდა ჯარებს კუბის 1959 წლის რევოლუციის დროს, როდესაც დაემხო აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი ბატისტას რეჟიმი და ხელისუფლებას სათავეში ფიდელ კასტრო ჩაუდგა. ანალოგიური რევოლუციური ბრძოლები მიმდინარეობდა აფრიკაშიც; მაგალითად, სასტიკი ომი, რომლის მეშვეობითაც ალჟირი ბოლოს და ბოლოს განთავისუფლდა (1962 წ.) საფრანგეთის ბატონობისგან. ალჟირული გამოცდილების საფუძველზე ფრანგი რევოლუციონერი თეორეტიკოსი ფრანც ფანონი (Frantz Fanon, 1925-61) თავის წიგნში "განწირულნი დედამიწაზე" (*Wretched of the Earth*, [1961] 1965) ამტკიცებდა, რომ მძვინვარე ამბოხი უბრალოდ პოლიტიკურ აუცილებლობას კი არ წარმო-

ადგენდა, არამედ ანტიკოლონიური ბრძოლის ფსიქოლოგიურად ადეკვატურ თავისებურებას. ფანონის აზრით, კოლონიური ბატონობის წლებმა არასრულფასოვნებისა და უძლურების დამთრგუნველი გრძნობა გაუჩინა აფრიკის შავკანიან ხალხებს. ამ გრძნობისგან განთავისუფლება მხოლოდ ამბოხებისა და სისხლისღვრის მეშვეობით შეიძლებოდა.

არჩევანს ისეთ პოლიტიკურ საშუალებებს შორის, როგორებიცაა რევოლუცია და ამბოხება, ღრმა მნიშვნელობა ჰქონდა სოციალიზმისთვის. მაგალითად, რევოლუციას ჩვეულებრივ, მოსდევს ფუნდამენტალისტური მიზნების განხორციელების სწრაფვა. რევოლუციას ის უპირატესობა გააჩნია, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელია ძველი წყობილების გადმონაშთების განადგურება და სრულიად ახალი სოციალისტური სისტემის შექმნა. ამიტომ, როდესაც წითელმა ქჰმერებმა პოლ პოტის მეთაურობით ხელთ იგდეს ძალაუფლება კამბოჯაში (1975 წ.), მათ ეს წელი "ნულოვან წლად" გამოაცხადეს. შეიძლება კაპიტალიზმი განადგურდეს და მის ნაცვლად აშენდეს თვისობრივად განსხვავებული სოციალისტური საზოგადოება. ამ კონტექსტში სოციალიზმი, ჩვეულებრივ, სახელმწიფო კოლექტივიზაციის ფორმას ღებულობს, რომელიც ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში სტალინისტური პერიოდის განმავლობაში. რევოლუციური "გზა" აგრეთვე უკავშირდებოდა დიქტატურის დამყარებისა და პოლიტიკური რეპრესიების ტენდენციას, რასაც მრავალი მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი, რევოლუციის შემდგომ ახალი მმართველები ბუნებრივად განიხილავდნენ ძალმომრეობას ლეგიტიმურ პოლიტიკურ ინსტრუმენტად. მაოს თქმისა არ იყოს, "ძალაუფლება თოფის ლულაშია". გარდა ამისა, რევოლუციური პარტიები, როგორც წესი, წარმოადგენდნენ სამხედრო ტიპის ორგანიზაციებს, რომლებიც მტკიცე ხელმძღვანელობასა და მკაცრ დისციპლინას ემყარებოდა, რაც ძალაუფლების მოპოვების შემდეგ უბრალოდ განმტკიცდა. საგულისხმოა ისიც, რომ ძველი რეჟიმის გადმონაშთების აღმოფხვრისას გაანადგურეს ყველა ოპოზიციური ძალა, რამაც ოპერატიულად მოამზადა ნიადაგი ტოტალიტარული დიქტატურის შესაქმნელად. მიუხედავად ამისა, რევოლუციური სოციალისტური ტრადიცია საბოლოოდ დაასამარა კომუნიზმის კოლაფსმა, რისი ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება 1989-91 წლების კონტრრევოლუციები იყო. ამით საბოლოოდ დამთავრდა პერიოდი, რომელიც სოციალისტურ პოლიტიკაში 1917 წელს დაიწყო და დასრულდა სოციალიზმის გარდაქმნით კონსტიტუციურ და დემოკრატიულ პოლიტიკად. შენარჩუნებულია რევოლუციური სოციალიზმის მხოლოდ ცალკეული კერები, როგორიცაა, მაგალითად, ხანგრძლივი მაოისტური ამბოხება პერუსა და ნეპალში.

## ევოლუციური სოციალიზმი

თუმცა ადრეული სოციალისტები ხშირად მხარს უჭერდნენ რევოლუციის იდეას, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ინტერესი სახალხო აჯანყებათა მიმართ შენელდა, ყოველ შემთხვევაში – დასავლეთი და ცენტრალური ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებში. კაპიტალიზმის მომწიფებასთან ერთად, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ქალაქის მუშათა კლასმა რევოლუ-

ციური ხასიათი დაკარგა და ინტეგრირებულ იქნა საზოგადოებასთან. დაიწყო ხელფასებისა და საარსებო სტანდარტების მატება, რაც ნაწილობრივ 1875 წლის კოლონიურმა ექსპანსიამ გამოიწვია აფრიკასა და აზიაში. მუშათა კლასმა, აგრეთვე, ჩამოაყალიბა სხვადასხვაგვარი ინსტიტუტები – მუშა მამაკაცთა კლუბები, პროფკავშირები, პოლიტიკური პარტიები და ა.შ. – რომლებიც მშრომელთა ინტერესებს იცავდნენ. შედეგად ამ უკანასკნელთ დაცულობის შეგრძნება გაუჩნდათ და ისინი თავიანთ თავს ინდუსტრიული საზოგადოების განუყოფელ ნაწილად აღიქვამდნენ. გარდა ამისა, პოლიტიკური დემოკრატიის თანდათანობითმა განვითარებამ მუშათა კლასების საარჩევნო უფლებათა გაფართოება განაპირობა. პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისას დასავლეთის სახელმწიფოთა უმრავლესობამ შემოიღო საყოველთაო საარჩევნო უფლებები მამაკაცებისთვის და გააფართოვა ქალთა საარჩევნო უფლებები. ამ ფაქტორების ერთობლივი ზეგავლენის შედეგად სოციალისტებმა უგულებელყვეს ძალმომრეობითი ამბოხებები. ისინი დარწმუნდნენ, რომ არსებობდა სოციალიზმის დამყარების ალტერნატიული ევოლუციური, "დემოკრატიული" ან "საპარლამენტო" გზა. საგულისხმოა, მაგალითად, რომ სიცოცხლის ბოლოს მარქსი ემზადებოდა დასავლეთი ევროპის განვითარებული ქვეყნების სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის გასააზრებლად, ხოლო ენგელსი აშკარად ეთანხმებოდა საარჩევნო ტაქტიკას, რომელსაც სულ უფრო მეტად იყენებდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია (სდპ). ჩვეულებრივ, რევოლუციური დოქტრინები უწინდებურად დომინირებდა მხოლოდ ეკონომიკურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, მაგალითად, რუსეთში.

ფაბიანური საზოგადოება, რომელიც 1884 წ. ჩამოყალიბდა, გაერთიანებულ სამეფოში საპარლამენტო სოციალიზმის განვითარების საკითხს იხილავდა. ფაბიანელებმა ბეატრის უებისა (Bealrice Webb, 1858-1943) და სიდნეი უების (Sidney Webb, 1859-1947) ხელმძღვანელობით, აგრეთვე – ცნობილი ინტელექტუალების, მაგალითად, ჯორჯ ბერნარდ შოუსა და ჰ. ჯ. უელსის მონაწილეობით, თავიანთი საზოგადოების სახელწოდება რომაელი გენერლის, ფაბიუს მაქსიმუსის საპატივსაცემოდ შეარჩიეს, რომელმაც სახელი გაითქვა შეუპოვარი და თავდაცვითი ტაქტიკით ჰანიბალის შემოჭრილი ჯარების წინააღმდეგ. მათი თვალსაზრისით, სოციალიზმი ბუნებრივად და მშვიდობიანად უნდა განვითარებულიყო ლიბერალური კაპიტალიზმიდან მსგავსი პროცესის მეშვეობით და, ამასთან, პოლიტიკური საქმიანობისა და განათლების კომბინირების გზით. პოლიტიკური საქმიანობა საჭიროებდა სოციალისტური პარტიის ჩამოყალიბებას, რომელიც ძალაუფლების მოსაპოვებლად არსებულ საპარლამენტო პარტიებს გაეჯიბრებოდა და არ მიმართავდა ძალმომრეობით რევოლუციას. ამგვარად, ფაბიანელები აღიარებდნენ ლიბერალურ თეორიას სახელმწიფოს, როგორც ნეიტრალური გამგებლის შესახებ და ემიჯნებოდნენ მარქსისტულ შეხედულებას, რომლის თანახმად, სახელმწიფო კლასობრივი ჩაგვრის ფაქტორს წარმოადგენს. სიდნეი უები მეუღლესთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა გაერთიანებული სამეფოს ლეიბორისტული პარტიის ფორმირებასა და ამ პარტიის 1918 წლის კონსტიტუციის შექმნაში. ფაბიანელები, აგრეთვე, ფიქრობდნენ, რომ შეიძლებოდა

ელიტური წრეების წარმომადგენელთა, მაგალითად, ყველა პარტიის პოლიტიკოსთა, სახელმწიფო მოხელეთა, მეცნიერთა სოციალისტებად ქცევა განათლების მეშვეობით. ეს ელიტური წრეები უნდა გამსჭვალულიყვნენ სოციალისტური იდეებით იმის გააზრების შემდეგ, რომ სოციალიზმი, მორალური თვალსაზრისით, აღემატება კაპიტალიზმს, რადგან ემყარება, მაგალითად, ბიბლიურ პრინციპებს და, ამასთან, უფრო რაციონალური და ქმედითია. სოციალისტური ეკონომიკის მეშვეობით შესაძლებელია ზედმეტი კლასობრივი კონფლიქტებისა და დამთრგუნველი სიღატაკის თავიდან აცილება.

ფაბიანურმა იდეებმა ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე SPD-ზე, რომელიც 1975 წ. ჩამოყალიბდა. SPD სწრაფად იქცა ევროპის ყველაზე მრავალრიცხოვან სოციალისტურ პარტიად, 1912 წელს კი – ყველაზე მრავალრიცხოვან პარტიად გერმანიის რაიხსტაგში. თეორიულად SPD მარქსისტულ სტრატეგიას უკავშირდებოდა, მაგრამ პრაქტიკულად მან ფერდინანდ ლასალის (Ferdinand Lassalle, 1825-64) ზეგავლენით ჩამოყალიბებული რეფორმისტული იდეები აითვისა. ლასალი ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური დემოკრატიის განვითარება სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, გაითვალისწინოს მუშათა კლასის ინტერესები. მან განჭვრიტა სოციალიზმის დამყარება თანმიმდევრულ სოციალურ რეფორმათა მეშვეობით, რომელთაც ღმობიერი სახელმწიფო განახორციელებდა. ამგვარი იდეები უფრო საფუძვლიანად განავითარა ედუარდ ბერნშტაინმა (იხ. გვ. 164). ამ უკანასკნელის "ევოლუციურ სოციალიზმში" (1898) წარმოდგენილი იდეები წააგავდა ფაბიანურ შეხედულებას გრადუალიზმის შესახებ. ბერნშტაინზე განსაკუთრებით მძაფრი შთაბეჭდილება მოახდინა დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესმა, რამაც, მისი რწმენით, მარქსისტულ მოწოდებას რევოლუციის აუცილებლობის თაობაზე საფუძველი გამოაცალა. მუშათა კლასს შეეძლო საარჩევნო ყუთების გამოყენება სოციალიზმის ინტერესებში, რომელიც, ამგვარად, კაპიტალიზმის ევოლუციის შედეგად უნდა განვითარებულიყო. ამგვარი პრინციპები დომინირებდა მუშათა კლასის იმ პოლიტიკურ პარტიებში, როლებიც საუკუნის ბოლოს შეიქმნა: ავსტრალიის ლეიბორისტული პარტია დაარსდა 1891 წ., გაერთიანებული სამეფოს ლეიბორისტული პარტია – 1900 წ., იტალიის სოციალისტური პარტია – 1892 წ., მისი ფრანგული ანალოგი – 1905 წ. და ა. შ. 1970-იან წლებში ეს პრინციპები აითვისეს აგრეთვე დასავლეთის კომუნისტურმა პარტიებმა. ესპანეთის, იტალიისა და საფრანგეთის კომუნისტურ პარტიათა ხელმძღვანელობით. ევროკომუნიზმი, რომელიც საბოლოოდ მივიღეთ, გაჰყვა კომუნიზმისკენ მიმავალ დემოკრატიულ გზას და მხარი დაუჭირა ღია, კონკურენციაზე დამყარებულ პოლიტიკურ სისტემას.

## გრადუალიზმის გარდუვალობა?

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური დემოკრატიის ჩამოყალიბების შედეგად მთელი სოციალისტური მოძრაობა ოპტიმიზმის ტალღამ მოიცვა, რაც აისახა, მაგალითად, ფაბიანელთა მი-

ერ "გრადუალიზმის გარდუვალობის" დეკლარირებაში. იდეა იმის შესახებ, რომ სოციალიზმი უცილობლად გაიმარჯვებდა, ახალი როდი გახლდათ. მაგალითად, მარქსმა იწინასწარმეტყველა კაპიტალისტური საზოგადოების განადგურება რევოლუციის მეშვეობით. ამასთან, მაშინ როდესაც, მარქსის თვალსაზრისით, ისტორიას მართავდა კლასობრივ კონფლიქტთა გადაულახავი ძალები, ევოლუციურ სოციალისტთა ყურადღების ცენტრში თვით დემოკრატიული პროცესის ლოგიკა აღმოჩნდა.

მათი ოპტიმიზმი მრავალ ვარაუდს ემყარებოდა. ჯერ ერთი, საარჩევნო უფლებათა თანმიმდევრული გაფართოების შედეგად, საბოლოო ანგარიშში, უნდა განმტკიცებულიყო მოზრდილ ადამიანთა საყოველთაო საარჩევნო უფლებები და, მაშასადამე, პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა. შემდგომ, პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა რეალურად შეესაბამებოდა უმრავლესობის ინტერესებს, ე. ი. ხელსაყრელი იყო იმათთვის, ვინც წყვეტს არჩევნების ბედ-იღბალს. ამგვარად, სოციალისტების რწმენით, პოლიტიკურ დემოკრატიას მუშათა კლასისთვის ანუ ინდუსტრიული საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასისთვის უნდა გადაეცა ძალაუფლება. საყურადღებოა ისიც, რომ სოციალიზმი მუშათა კლასის ბუნებრივ "თავშესაფრად" მოიაზრებოდა, რადგან კაპიტალიზმი კლასობრივი ექსპლუატაციის სისტემად ითვლებოდა, ამიტომ ჩაგრული მუშები ბუნებრივად მიმართავდნენ სოციალისტურ პარტიებს, რომლებიც მათ სოციალური სამართლიანობისა და თავისუფლების პერსპექტივას სთავაზობდნენ. მაშასადამე, სოციალისტური პარტიების საარჩევნო წარმატება მუშათა კლასის რაოდენობრივი სიმრავლით იქნებოდა უზრუნველყოფილი. ბოლოს, ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ სოციალისტურ პარტიებს თანმიმდევრულ სოციალურ რეფორმათა მეშვეობით უნდა განეხორციელებინათ საზოგადოების ფუნდამენტური ტრანსფორმაცია. ამ გზით პოლიტიკურმა დემოკრატიამ არა მარტო მშვიდობიანი მეთოდებით სოციალიზმის დამყარების შესაძლებლობა გახადა თვალსაჩინო, არამედ ამ პროცესის გარდუვალობაც. პოლიტიკური თანასწორობის მიღწევისთანავე სოციალური თანასწორობაც დამყარდებოდა.

თუმცა, ეს ოპტიმისტური იმედები რეალურად არ გამართლდა. ზოგიერთი იმასაც ამტკიცებდა, თითქოს დემოკრატიული სოციალიზმი შეუსაბამობას ეფუძნებოდა: საარჩევნო დაბრკოლებათა წარმატებით გადალახვის მიზნით სოციალისტები იძულებული იყვნენ, თავიანთი იდეოლოგიური მრწამსი გადაემუშავებინათ ან შეერბილებინათ. გარკვეულ პერიოდებში სოციალისტურ პარტიებს ხელთ ეპყრათ ძალაუფლება, ფაქტობრივად, ყველა ლიბერალურ დემოკრატიულ სახელმწიფოში, ჩრდილოეთი ამერიკის გარდა. ამასთან მათ ამ ძალაუფლების შენარჩუნება, რა თქმა უნდა, გარანტირებული არ ჰქონდათ. ამ მხრივ, შვედეთის სოციალურ-დემოკრატიულმა ლეიბორისტულმა პარტიამ (SAP) ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწია, რადგან 1951 წლის შემდგომ ის ქვეყანას უმეტესად დამოუკიდებლად განაგებდა ან კოალიციურ მთავრობას ედგა სათავეში. მიუხედავად ამისა, თვით SAP-მაც მხოლოდ ერთხელ მოიპოვა ამომრჩეველთა ხმების 50 პროცენტი (1968 წელს). გაერთიანებული სამეფოს ლეიბორისტულ პარტიას ამომრჩეველთა მაქსიმალურმა რაოდენობამ (49 პროცენტმა) მხარი დაუჭირა 1951 წელს,

1982 წელს კი იმავე შედეგს მიაღწია ესპანეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ. 1972 წელს გერმანიაში SPD-მ მოიპოვა ხმების 46 პროცენტი, ხოლო სოციალისტებისა და კომუნისტების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ იტალიაში 1976 წელს 44 პროცენტი შეადგინა. გარდა ამისა, თუმცა ზემოდასახელებულმა პარტიებმა ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს მნიშვნელოვანი სოციალური რეფორმები ნამდვილად გაატარეს (მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისა და ეკონომიკის მართვის ჩათვლით), უეჭველია ისიც, რომ არავითარი ფუნდამენტური სოციალური გარდაქმნები არ განუხორციელებიათ. საუკეთესო შემთხვევაში, კაპიტალიზმის რეფორმირება მოხდა და არა – განადგურება.

დემოკრატიული სოციალიზმის წინაშე, ფაქტობრივად, უამრავი ისეთი პრობლემა წამოიჭრა, რომელთა შესახებ მის ფუძემდებლებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ: ჯერ ერთი, საკითხავია, კვლავ შეადგენს თუ არა მუშათა კლასი ამომრჩეველთა უმრავლესობას ინდუსტრიულ საზოგადოებებში? სოციალისტური პარტიების საარჩევნო მოწოდებები, ტრადიციულად, ფიზიკური შრომით დაკავებულ ქალაქელ მუშებს კაპიტალისტურ საზოგადოებათა "საქარხნო პირუტყვს" ითვალისწინებდა. ამასთან, თანამედროვე კაპიტალიზმი ტექნოლოგიურად სულ უფრო მეტად ვითარდება და, შესაბამისად, განაფულ მუშახელს საჭიროებს, რომელსაც, უმეტესად, ტექნიკური და არა ხელის შრომა მოეთხოვება. ამიტომ ძველი ყაიდის მძიმე მრეწველობაში ორგანიზებული ფიზიკური შრომით დაკავებული ტრადიციული "მუშათა კლასის" რაოდენობამ იკლო. შეიქმნა წარმოდგენა ეგრეთ წოდებული "ორ მესამედად და ერთ მესამედად" დაყოფილი საზოგადოების შესახებ, სადაც სიღატაკე და ბეჩავი ცხოვრება "დაბალი კლასის" ხვედრია. "კმაყოფილების კულტურაში" (*The Culture of Contentment*, 1992) ჯ. კ. გელბრაითმა (J. K. Galbraith) აღნიშნა, რომ თანამედროვე ან, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურად აქტიურ საზოგადოებებში წარმოიშვა "კმაყოფილი უმრავლესობა", რომელთაც მატერიალური შეძლება და ეკონომიკური დაცულობა პოლიტიკური კონსერვატიულობისაკენ უბიძგებს. ვინაიდან მუშათა კლასი უკვე აღარ უზრუნველყოფს სოციალისტურ პარტიებს ამომრჩეველთა უმრავლესობით, ისინი უფრო ფართო მხარდაჭერისთვის მიმართავენ სხვა სოციალურ კლასებს ან ძალაუფლებას ინაწილებენ (როგორც კოალიციური პარტნიორები) საშუალო კლასის პარტიებთან. ორივე შემთხვევაში სოციალისტურ პარტიებს მოეთხოვება მათი იდეოლოგიური პოსტულატების გადამუშავება იმ ამომრჩეველთა მისაზიდად, რომლებიც ნაკლებად ან სულაც არ არიან დაინტერესებულნი სოციალიზმის გამარჯვებით, ან კიდევ – კაპიტალიზმის მხარდამჭერ პარტიებთან თანამშრომლობის მიზნით.

გასარკვევია ისიც, სოციალისტურია თუ არა თავისი არსით მუშათა კლასი? ნამდვილად შეესაბამება თუ არა სოციალიზმი მუშათა კლასის ინტერესებს? სოციალისტური პარტიები იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ კაპიტალიზმს გააჩნია "დოვლათის განაწილების" უნარი, განსაკუთრებით – 1945 წლის შემდეგ, "დიდი ბუმის" პერიოდში, რომელმაც დასავლეთის საზოგადოებების მატერიალური შეძლება აამაღლა. 1950-იანი წლების განმავლობაში სოციალისტურმა პარტიებმა (ფუნდამენტური ცვლილებე-

ბის განხორციელების შემდეგ) საკუთარი კურსი გადაამუშავეს და თავიანთი მოწოდებებით შეძლებულ მუშათა კლასს მიმართეს. ანალოგიურმა პროცესმა იჩინა თავი 1980-იანსა და 1990-იან წლებში, როდესაც სოციალისტური პარტიები ცდილობდნენ, კაპიტალიზმის კლასობრივი სტრუქტურის ცვლილებები და ეკონომიკის გლობალიზაციის ზეგავლენა გაეთვალისწინებინათ. არსებითად, სოციალიზმი ამჟამად საბაზრო ეკონომიკის ამოქმედებასთან დაკავშირებულ მცდელობებთან ასოცირდება და არა კაპიტალიზმის სოციალური სტრუქტურის გარდაქმნასთან. ამგვარი ცვლილებების შესახებ უფრო დეტალურად ვიმსჯელებთ ქვემოთ, სოციალური დემოკრატიის ცვალებადი ხასიათის განხილვისას.

მეორე მხრივ, მემარცხენე ფრთის სოციალისტებს არ სურდათ იმის აღიარება, რომ მუშათა კლასი გაემიჯნა ფუნდამენტალისტურ სოციალიზმს. მათ უფრო იმისა სწამთ, რომ მუშათა კლასს თავისი ინტერესების ამსახველი პოლიტიკური დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანის უნარი აღარ შესწევს. მაგალითად, მარქსისტების აზრით, კაპიტალიზმის განმტკიცება იდეოლოგიური მანიპულირების პროცესის მეშვეობით ხორციელდება. "ბურჟუაზიული იდეოლოგია" მსჭვალავს საზოგადოებას და ხელს უშლის მუშათა კლასს, გააცნობიეროს თავისი ექსპლუატაციის არსი. გავიხსენოთ, რომ ლენინის შეხედულებით, რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე მუშათა კლასს ძალუძს მარტოოდენ "პროფკავშირულ ცნობიერებამდე" ამაღლდეს, რაც გულისხმობს კაპიტალისტური სისტემის ფარგლებში მატერიალური პირობების გაუმჯობესებისადმი სწრაფვას, მაგრამ არა მთლიანად რევოლუციურ "კლასობრივ თვითშეგნებას". გრამში (იხ. გვ. 10) ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზია კაპიტალისტურ წყობილებაში დომინირებს არა მარტო ეკონომიკური ძალაუფლების, არამედ "იდეოლოგიური ჰეგემონიის" პროცესის მეშვეობითაც.

დაბოლოს, შეუძლიათ თუ არა სოციალისტურ პარტიებს სოციალისტური რეფორმების განხორციელება, თუ ისინი არჩევნების გზით მივლენ ხელისუფლებაში? სოციალისტურმა პარტიებმა დასავლეთის მრავალ ქვეყანაში, საფრანგეთის, შვედეთის, ესპანეთის, გაერთიანებული სამეფოს, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ჩათვლით, ერთპარტიული მთავრობები ჩამოაყალიბეს. ამასთან, ისინი მაშინვე დაუპირისპირდნენ სახელმწიფოსა და საზოგადოების მკვიდრ ინტერესებს. ჯერ კიდევ 1902 წელს კარლ კაუცკი მიუთითებდა, რომ "კაპიტალისტთა კლასი ბატონობს, მაგრამ არ მართავს. ის კმაყოფილდება მთავრობის მართვით". არჩეული მთავრობები იმ სტრუქტურის ფარგლებში მოქმედებენ, რომელსაც მილიბენდი (Miliband, 1983) სახელმწიფო სისტემას უწოდებდა. ესაა ადმინისტრაცია, სასამართლოები, პოლიცია და ჯარი. მათი კადრები არ აირჩევიან, მსგავსი სოციალური წარმომავლობისა არიან და შემდგომ კაპიტალისტებად იქცევიან. ამ წრეებს კლასობრივი ტენდენციურობა ახასიათებს და ძალუძთ, ხელი შეუშალონ ან, ყოველ შემთხვევაში, შეასუსტონ რადიკალური სოციალისტური კურსი. გარდა ამისა, ნებისმიერი იდეოლოგიური მიმართულების მქონე არჩეულმა

მთავრობებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ძალაუფლებას დიდი ბიზნესისა, რომელიც მთავარი დამსაქმებელი და ინვესტორია ეკონომიკაში, ხოლო პარტიულ ფონდებში ყველაზე მსხვილ თანხებს აბანდებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუმცა დემოკრატიულ სოციალისტურ პარტიებს არჩევნების გზით შეუძლიათ ჩამოაყალიბონ მთავრობები, არსებობს საფრთხე, რომ არჩევნებში მოპოვებული გამარჯვება მათ რეალური ძალაუფლებით არ უზრუნველყოფს.

## მარქსიზმი

"მარქსიზმი", როგორც აზროვნების სისტემა, მხოლოდ 1883 წელს მარქსის გარდაცვალების შემდეგ გაფორმდა. ეს იყო შედეგი მარქსის იდეებისა და თეორიების კონდენსირებისა სისტემურ და გასაგებ მსოფლმხედველობად, რომელიც მზარდი სოციალური მოძრაობის საჭიროებებს მოერგებოდა, მარქსის დიდი ხნის თანამშრომლის, ენგელსის, გერმანელი სოციალისტი ლიდერის, კარლ კაუცკისა და რუსი თეორეტიკოსის, გიორგი პლეხანოვის (1857-1918) მიერ. ენგელსის მიერ 1876 წელს, ჯერ კიდევ მარქსის სიცოცხლეში დაწერილი *Anti-Dühring* ზოგჯერ მარქსისტული ორთოდოქსიის პირველ ნაშრომად ითვლება, რომელიც ხაზს უსვამს მარქსის ნაშრომების ავტორიტეტულ ინტერპრეტაციათა ერთგულების აუცილებლობას. ეს ორთოდოქსული მარქსიზმი, რომელსაც ხშირად "დიალექტიკურ მატერიალიზმს" უწოდებდნენ (ტერმინი პლეხანოვს ეკუთვნის, მარქსს არასოდეს გამოუყენებია), მოგვიანებით საბჭოთა კომუნიზმის საფუძველი გახდა. "ვულგარული" მარქსიზმი, როგორც მას უწოდებდნენ, უეჭველად უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას მექანისტურ თეორიებსა და ისტორიულ გარდუვალობაზე, ვინემ ამას თავად მარქსი აკეთებდა თავის ნაწერებში. თუმცა საქმეს კიდევ უფრო ართულებს მარქსის ნაწერთა ფართო ხასიათი და კომპლექსურობა და "მარქსის მარქსიზმის" გამოკვეთასთან დაკავშირებული სიძნელეები. მაგალითად, ზოგიერთები მარქსს ეკონომიკურ დეტერმინისტად მიიჩნევენ, სხვები კი აცხადებენ, რომ ის ჰუმანისტი სოციალისტია. უფრო მეტიც, ასხვავებდნენ მის ადრინდელ და გვიანდელ ნაწერებს და ზოგჯერ "ახალგაზრდა მარქსსა" და "მოწიფულ მარქსს" შორის განსხვავების სახით წარმოადგენდნენ. გარდა ამისა, ცხადია, მარქსს თვითონ სჯეროდა, რომ განავითარა სოციალიზმის ახალი სახე, რომელიც მეცნიერული იყო იმ გაგებით, რომ, პირველ ყოვლისა, სოციალური და ისტორიული განვითარების ბუნების ახსნით იყო დაინტერესებული და არა კაპიტალიზმის არსებითად ეთიკური კრიტიკის წინ წამოწევით.

მარქსიზმის, სულ ცოტა, სამი ფორმის გამოყოფა შეიძლება. ესენია:

- კლასიკური
- ორთოდოქსული კომუნიზმი
- თანამედროვე

## კლასიკური მარქსიზმი

### ფილოსოფია

კლასიკური მარქსიზმის არსი – მარქსის მარქსიზმი – ისტორიის ფილოსოფიაა, რომელიც არკვევს, თუ რატომ არის კაპიტალიზმი განწირული და რატომ უნდა დაიკავოს სოციალიზმმა მისი ადგილი. თუმცა, ეს განსაკუთრებული სახის ფილოსოფიაა. როგორც მარქსი *ფოიერბახის თეზისებში* – *Theses on Feuerbach* ([1845] Marx and Engels, 1968) – ამბობს, "ფილოსოფოსებმა სხვადასხვა გზით სამყაროს მხოლოდ *ინტერპრეტირება* მოახდინეს, თუმცა მიზანი მისი *შეცვლაა*". ამიტომაც ის თავის ნაშრომს განიხილავდა ერთდროულად როგორც საზოგადოების თეორიასა და სოციალისტურ პოლიტიკურ პროექტს. მართლაც, მარქსის ნაწერთათვის დამახასიათებელი დაწვრილმანება და სირთულე იმითაა გამოწვეული, რომ მას არ სურდა თეორიისა და პრაქტიკის განცალკევება და აგრეთვე მისი რწმენიდან, რომ ადამიანები თავიანთი სამყაროს შექმნის პროცესში თავიანთი თავის ჩამოყალიბებასაც ეხმარებიან. მაგრამ რა გაგებით მიიჩნევდა მარქსი ამ პროცესს მეცნიერულად? ადრეულ სოციალისტ მოაზროვნეებს, როგორებიცაა სენ-სიმონი, ფურიე და ოუენი, მარქსი აკრიტიკებდა როგორც "უტოპიურებს" იმის საფუძველზე, რომ მათი სოციალიზმი კლასობრივ ბრძოლასა და რევოლუციასთან კავშირის გარეშე სრული სოციალური ტრანსფორმაციის სურვილს ეფუძნებოდა. მარქსმა, პირიქით, ისტორიისა და საზოგადოების შრომატევადი ემპირიული ანალიზი წამოიწყო იმ იმედით, რომ სამომავლო განვითარების ხასიათსაც განსაზღვრავდა. თუმცა, მარქსის დახმარებით თუ მის გარეშე, მარქსიზმი, როგორც სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით ისტორიული შეთანხმების მიღწევის მცდელობა, მოგვიანებით გადაიზარდა მარქსიზმში, როგორც სამეცნიერო ჭეშმარიტებაში, რადგან უფრო რელიგიის მონათესავე სტატუსი მიიღო. ენგელსის განცხადება, რომ მარქსმა ისტორიული და სოციალური განვითარების "კანონზომიერებანი" ამოხსნა, ამ სახეცვლილების აშკარა მანიშნებელი იყო.

რაც მარქსის მიდგომას სხვა სოციალურ მოაზროვნეთა მიდგომებისგან განასხვავებდა, ის იყო, რომ მარქსი ემხრობოდა იმას, რასაც ენგელსი "ისტორიის მატერიალისტურ კონცეფციას" ან ისტორიულ მატერიალიზმს უწოდებდა. უკუაგდებდა რა გერმანელი ფილოსოფოსის, ჰეგელის (1770-1831) იდეალიზმს, რომელსაც სჯეროდა, რომ ისტორია ეგრეთ წოდებული "მსოფლიო სულის" გამომჟღავნებას მიაღწევდა, მარქსი სოციალური და ისტორიული განვითარების ყველა ფორმისთვის ფუნდამენტურად მატერიალურ პირობებს მიიჩნევდა. ეს აისახა იმის რწმენაში, რომ ადამიანურ ქმედებათა შორის ყველაზე გადამწყვეტი საარსებო საშუალების წარმოებაა. ვინაიდან ადამიანები ვერ იარსებებენ საკვების, წყლის, თავშესაფრისა და მისთანათა გარეშე, უკანასკნელთა წარმოების გზები ცხოვრების სხვა ასპექტებსაც განაპირობებს. მოკლედ, "სოციალური ყოფა განსაზღვრავს ცნობიერებას". მარქსი ამ თეორიას ყველაზე მოკლედ 1859 წელს დაწერილი წიგნის *წვლილი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის* შესავალში იძლევა,

გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და პოლიტიკური მოაზროვნე, ჩვეულებრივ, მეოცე საუკუნის კომუნიზმის მამად წოდებული. ხანმოკლე სამასწავლებლო და ჟურნალისტური კარიერის შემდეგ მარქსმა დარჩენილი ცხოვრება გაატარა როგორც აქტიურმა რევოლუციონერმა და მწერალმა. უმთავრესად ლონდონში ცხოვრობდა და მეგობრისა და დიდი ხნის თანამშრომლის, ფრიდრიხ ენგელსის მხარდაჭერით სარგებლობდა.

მარქსის ნაშრომი ჰეგელის ფილოსოფიის, ბრიტანული პოლიტიკური ეკონომიისა და ფრანგული სოციალიზმის სინთეზით შეიქმნა. მისი ძირითადი თემა კაპიტალიზმის კრიტიკა იყო, რაც სისტემური უთანასწორობისა და არასტაბილურობის ხაზგასმით მის გარდამავალ ხასიათს ჰფენდა ნათელს. მარქსი ისტორიის ტელეოლოგიურ თეორიას ემხრობოდა, რომლის თანახმადაც, სოციალური განვითარების კულმინაცია აუცილებლად კომუნიზმის დამკვიდრება იქნებოდა. მისი კლასიკური ნაშრომია სამტომიანი *კაპიტალი* (*Capital*, 1867, 1885 და 1894); მარქსის ენგელსთან ერთად შექმნილი ყველაზე ცნობილი და პოპულარული ენით დაწერილი ნაშრომია *კომუნისტური მანიფესტი* (1848).

სადაც ამბობს, რომ სოციალური შეგნება და "ლეგალური და პოლიტიკური ზედნაშენი" საზოგადოების რეალური საძირკვლის, "ეკონომიკური ბაზისიდან" წარმოსდგება. ამ ბაზისს არსებითად "საწარმოო წესი" ან ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს – ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, სოციალიზმი და ა.შ. თუმცა ბაზისსა და ზედნაშენს შორის ურთიერთობის ზუსტი ხასიათის განსაზღვრა მნიშვნელოვანი დისკუსიისა და განსჯის საგანი იყო, მან მარქსი უეჭველად იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ცხოვრების პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურული, რელიგიური და სხვა ასპექტების ახსნა შესაძლებელი იყო უწინარესად ეკონომიკურ ფაქტორებთან მათი კავშირით.

მიუხედავად იმისა, რომ მარქსი ჰეგელს სხვა მხრივ აკრიტიკებდა, იგი იზიარებდა მის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ისტორიული ცვლილებების მამოძრავებელი ძალა დიალექტიკა იყო, მოპაექრე ძალთა ურთიერთქმედების პროცესი, რომელსაც განვითარების უფრო მაღალი საფეხურისკენ მივყავართ. სინამდვილეში, პროგრესი შიდა კონფლიქტის შედეგია. ჰეგელთან ამით აიხსნება "მსოფლიო სულის" მოძრაობა თვითრეალიზაციისკენ თეზისსა და მის საწინააღმდეგო ძალას, ანტითეზისს შორის კონფლიქტის გზით, რაც ქმნის უფრო მაღალ დონეს, სინთეზს, რომელიც, თავის მხრივ, ახალ თეზისს ადგენს. მარქსმა, ჰეგელიანურ დიალექტიკაში მატერიალისტური ინტერპრეტაციის ჩადებით, ენგელსის თქმით, "ჰეგელი თავდაყირა დააყენა". ამდენად, მარქსი ისტორიულ ცვლილებას წარმოების საშუალებებს შორის არსებული შინაგანი დაპირისპირებით ხსნიდა, რასაც კერძო საკუთრების არსებობა წარმოშობდა. კაპიტალიზმი იმიტომ არის განწირული, რომ თავადვე მოიცავს საკუთარ ანტითეზისს – პროლეტარიატს, რომელსაც მარქსი "კაპიტალიზმის მესაფლავეედ" განიხილავდა. ამიტომაც კონფლიქტი კაპიტალიზმსა და პროლეტარიატს შორის განვითარების უფ-

რო მაღალ საფეხურამდე მიგვიყვანს სოციალისტური, საბოლოოდ კი კომუნისტური, საზოგადოების დაარსებით.

ამდენად, მარქსის ისტორიის თეორია ტელეოლოგიურია იმ გაგებით, რომ ის ისტორიას მნიშვნელობას ან მიზანმიმართულებას ანიჭებს, რაც მის საბოლოო მიზანში, უკლასო კომუნიზმში აისახება. თუმცა, ამ მიზნის მიღწევამდე ისტორიამ რამდენიმე საფეხური და ეპოქა უნდა გაიაროს, თითოეული საკუთარი ეკონომიკური სტრუქტურითა და კლასობრივი სისტემით. *გერმანულ იდეოლოგიაში* (*The German Ideology*, [1846] 1970) მარქსი ოთხ ასეთ საფეხურს გამოყოფს: (1) პრიმიტიული კომუნიზმი ან პირველყოფილი თემური საზოგადოება, სადაც მატერიალისტური სიდუხჭირე კონფლიქტის ძირითადი წყარო იყო; (2) მონობა კლასიკურ ანუ ძველ საზოგადოებებში, რომლებიც ბატონსა და მონას შორის კონფლიქტით ხასიათდება; (3) ფეოდალიზმი, რომელიც მიწათმფლობელსა და ყმას შორის ანტაგონიზმით აღინიშნება; და (4) კაპიტალიზმი, სადაც ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ბრძოლა დომინირებს. ამდენად, ადამიანური ისტორია იყო ხანგრძლივი ბრძოლა ჩაგრულსა და მჩაგვრელს, ექსპლუატირებულსა და ექსპლუატატორს შორის. მიუხედავად ამისა, ყოველი მომდევნო საფეხური წინაზე უკეთესი იყო იმით, რომ თან მოჰქონდა "საწარმოო ძალთა" შემდგომი განვითარება: მანქანები, ტექნოლოგიები, სამუშაო პროცესები და სხვა. თუმცა, ჰეგელის მსგავსად, მარქსიც ხედავდა ისტორიის დასასრულს, რაც მაშინ მოხდება, როცა შეიქმნება საზოგადოება, სადაც არ იქმნება შინაგანი დაპირისპირება და ანტაგონიზმი. ეს მარქსისთვის კომუნიზმს ნიშნავდა, საწარმოო ქონების საზოგადოებრივ ფლობაზე დაფუძნებულ უკლასო საზოგადოებას. კომუნიზმის დამკვიდრებით დასრულდებოდა ის, რასაც მარქსი "კაცობრიობის პრეისტორიას" უწოდებდა.

## ეკონომიკა

მარქსის ადრეულ ნაწერებში კაპიტალიზმის კრიტიკის უდიდესი წილი გაუცხოების ცნებაზე მოდის. იგი გულისხმობს, რომ კაპიტალიზმმა ხალხი თავის ნამდვილ, არსისმიერ ბუნებას დააშორა, დააშორა როგორც მშრომელები შესაძლებლობას, განევითარებინათ საკუთარი უნარი, ნიჭი და გონება თავისუფალი მწარმოებლური შრომითი გამოცდილებით. ვინაიდან კაპიტალიზმი გაცვლითი ხასიათის წარმოების სისტემაა, ის ადამიანებს თავიანთი შრომის ნაყოფს აშორებს. ისინი მუშაობენ არა იმისთვის, რომ შექმნან ის, რაც სჭირდებათ ან სასარგებლოა, არამედ იმისთვის, რომ აწარმოონ სარგებლით გასაყიდი "საქონელი". ისინი შრომითი პროცესისგანაც გაუცხოებულნი არიან, რადგან უმრავლესობა იძულებულია ზედამხედველის ან მენეჯერის მეთვალყურეობის ქვეშ იმუშაოს. გარდა ამისა, შრომა არ არის სოციალური: ინდივიდებს ანგარებისკენ უბიძგებენ და ამიტომაც ხდება თანამოძმეთაგან მათი გაუცხოება. დაბოლოს, მშრომელები საკუთარი თავისგანაც გაუცხოებულნი არიან. თვით შრომა უბრალოდ საქონელზე დაიყვანება და მუშაობა, ნაცვლად შემოქმედებითი და სრულქმნილი მოღვაწეობისა, დეპერსონალიზებულ ქმედებად იქცევა. თუმცა, მარქსის გვიანდელ ნაშ-

რომებში კაპიტალიზმი უფრო ხშირად კლასობრივი კონფლიქტისა და ექსპლუატაციის ტერმინებშია განხილული.

მარქსი კლასს ეკონომიკური ძალაუფლების ტერმინებით განსაზღვრავდა, განსაკუთრებით იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავს ხალხს "წარმოების საშუალებათა", ანუ საწარმოო ქონების საკუთრებასთან მიმართებით. მას სჯეროდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოება სულ უფრო იყოფოდა "ორ დიდ დაპირისპირებულ კლასად: ბურჟუაზიად და პროლეტარიატად". ბურჟუაზია კაპიტალისტურ კლასს ქმნის და საწარმოო ქონების ფლობის ხარჯზე ცხოვრობს. პროლეტარიატს უქონელი მასები შეადგენენ, რომლებიც იძულებულნი არიან საარსებოდ საკუთარი სამუშაო ძალა გაყიდონ და, ამდენად, შეიძლება "დაქირავებულ მონებად" ჩაითვალონ. მარქსისა და გვიანდელი მარქსისტებისთვის კლასობრივი სისტემის ანალიზი ისტორიული გაგების გასაღებს იძლევა და შესაძლებელს ხდის კაპიტალიზმის განვითარების პროგნოზირებას. *კომუნისტურ მანიფესტში* ნათქვამია, რომ "ყველა აქამდე არსებული საზოგადოების ისტორია კლასობრივი ბრძოლის ისტორიაა".

ისტორიული ცვლილების გამომწვევი ძირითადი ფაქტორი კლასები უფროა, ვინემ ინდივიდები, პარტიები ან სხვა მოძრაობები. მარქსს მტკიცედ სჯეროდა იმისა, რომ კლასებს შორის ურთიერთობა შეურიგებელი ანტაგონიზმია. დამოკიდებული კლასი აუცილებლად და სისტემატურად განიცდის "მმართველი კლასის" ექსპლუატაციას. ამას ის "ჭარბი ღირებულების" იდეასთან მიმართებით ხსნიდა. ტრადიციული ეკონომისტებისგან განსხვავებით, რომლებიც ღირებულების გამოანგარიშებას ბაზარზე მოქმედი ძალებით განსაზღვრული ფასით ახდენდნენ, მარქსი, ადრეულ თეორეტიკოსთა მსგავსად, როგორიცაა, მაგალითად, ლოკი (Locke, იხ. გვ. 46), ღირებულების შრომით თეორიას ეთანხმებოდა, რაც გულისხმობს, რომ საქონლის ღირებულება მის წარმოებაზე გაწეული შრომის ოდენობას ასახავს. სარგებლისკენ კაპიტალისტური სწრაფვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუ "ჭარბი ღირებულება" მუშებისგან იქნება ამოღებული მათთვის იმაზე ნაკლები ღირებულების გადახდით, ვინემ მათი შრომა ქმნის. ამდენად, ეკონომიკური ექსპლუატაცია წარმოების კაპიტალისტური წესის არსებითი ნიშანია და მოქმედებს ამა თუ იმ კონკრეტული დამქირავებლის სიძუნწისა თუ გულუხვობის მიუხედავად.

მარქსს კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი, შეურიგებელ კლასობრივ კონფლიქტზე დაფუძნებული არასტაბილურობის გაშუქება როდი აინტერესებდა მხოლოდ, არამედ კაპიტალისტური განვითარების ხასიათის ანალიზიც. ის განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას მისთვის დამახასიათებელ მზარდი ეკონომიკური კრიზისის ტენდენციაზე, რასაც ჭარბი წარმოების ციკლური კრიზისი წარმოშობდა და ეკონომიკა ჩიხში შეჰყავდა, ხოლო მუშათა კლასისთვის უმუშევრობა და გაღატაკება მოჰქონდა. ყოველი მომდევნო კრიზისი წინაზე მწვავე იქნებოდა, რადგან, მარქსის გაანგარიშებით, დროთა განმავლობაში მოგების დონე დაიწევდა. შემდგომი დაძაბულობა მონოპოლიზაციის, კაპიტალის სულ უფრო მცირე რაოდენობის ადამიანთა ხელში კონცენტრირებისა და ყველა სხვა კლასის პროლეტა-

რიატში შთანთქმის შედეგად შეიქმნებოდა. ამდენად, საერთო ეკონომიკური ინტერესით გაერთიანებული ექსპლუატირებული მასები ნებისმიერ კაპიტალისტურ საზოგადოებაში დიდ უმრავლესობას შექმნიდნენ.

პოლიტიკა

მარქსის წინასწარმეტყველებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომელიც ამბობდა, კაპიტალიზმს პროლეტარული რევოლუციით დამხობა უწერიაო. ეს არ იქნებოდა უბრალოდ პოლიტიკური რევოლუცია, რომელიც მმართველ ელიტას მოიშორებდა ან სახელმწიფო მანქანას დაამხობდა, არამედ იქნებოდა სოციალური რევოლუცია, რომელიც წარმოების ახალ წესს დაადგენდა და სრული კომუნიზმის მიღწევით დაგვირგვინდებოდა. მარქსის აზრით, სოციალური რევოლუციის ეპოქა მაშინ დადგებოდა, როდესაც კლასობრივი სისტემა, "საწარმოო ურთიერთობები" წარმოების ტექნოლოგიის შემდგომ განვითარებასა და ინოვაციას, ეგრეთ წოდებულ საწარმოო ძალებს დააბრკოლებდა. ის წინასწარმეტყველებდა, რომ ასეთი რევოლუციები ყველაზე მომწიფებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგალითად, გერმანიაში, ბელგიაში, საფრანგეთსა და ბრიტანეთში მოხდებოდა, სადაც საწარმოო ძალები კაპიტალიზმის ფარგლებში ზღვრულ დონემდე გაფართოვდა. მიუხედავად ამისა, რევოლუცია უბრალოდ ობიექტური პირობების შექმნის გამო არ მოხდებოდა. სუბიექტურ ელემენტს "კლასობრივი შეგნების" პროლეტარიატი შემოიტანდა და რევოლუციაც მაშინ მოხდებოდა, როდესაც მომწიფდებოდა ორივე, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური პირობები. როდესაც კლასობრივი ანტაგონიზმი ინტენსიურ ხასიათს მიიღებდა, პროლეტარიატი საკუთარი ექსპლუატაციის ფაქტს სცნობდა და გახდებოდა რევოლუციური ძალა: თავისთავადი კლასი. ამ გაგებით, რევოლუცია იქნებოდა სპონტანური აქტი, განხორციელებული პროლეტარული კლასის მიერ, რომელიც სინამდვილეში საკუთარ თავს გაუძღვებოდა ან უხელმძღვანელებდა.

ამ რევოლუციის პირველადი სამიზნე ბურჟუაზიული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო. მარქსის ნაშრომებში სახელმწიფოს ორი თეორიის გამოყოფა შეიძლება. პირველი *კომუნისტური მანიფესტის* ხშირად ციტირებულ გამონათქვამშია გადმოცემული: "თანამედროვე სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანო ბურჟუაზიის საქმეთა მმართველი კომიტეტია". ამ ხედვის თანახმად, სახელმწიფო აშკარად საზოგადოებაზეა დამოკიდებული და ფუნქციონირებს მხოლოდ როგორც ჩაგვრის ინსტრუმენტი ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ხელში. სახელმწიფოს მეორე, უფრო რთული და დაწვრილებითი თეორია მოცემულია ნაშრომში *Eighteenth Brumaire of Louis Bonaparte* ([1852] 1968). აქ მარქსი აკეთებს დაშვებას, რომ სახელმწიფო მმართველი კლასისგან "შედარებითი ავტონომიით" შეიძლება სარგებლობდეს და მისი მთავარი როლი დაპირისპირებულ კლასთა შორის შუამავლობა იყოს, რითაც კლასობრივ სისტემას უკვდავყოფს. თუმცა პროლეტარიატს არც ერთ შემთხვევაში არჩევანი არა აქვს: კაპიტალიზმის დასამარცხებლად მან პირველად მისი მხარდამჭერი სახელმწიფო მანქანა უნდა დაამხოს.

მიუხედავად ამისა, მარქსი აღიარებდა, რომ კაპიტალიზმიდან პირდაპირ კომუნიზმზე გადასვლა შეიძლებოდა არ მომხდარიყო. განვითარების გარდამავალი, "სოციალისტური" საფეხური კლასთა შორის ანტაგონიზმის მოსპობამდე გაგრძელდებოდა. ამ პერიოდში, მარქსის თქმით, "პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა" დამყარდებოდა, ფაქტობრივად შეიქმნებოდა პროლეტარული სახელმწიფო, რომლის მიზანიც ქონებაჩამორთმეული ბურჟუაზიის კონტრ-რევოლუციისგან რევოლუციური მიღწევების დაცვა იქნებოდა. თუმცა, სრული კომუნიზმის დამყარებასთან ერთად კლასობრივი ანტაგონიზმი შესუსტდებოდა და სახელმწიფოც "გაქრებოდა", რადგან კლასობრივი სისტემის გაუქმებით სახელმწიფოს არსებობასაც აზრი დაეკარგებოდა. ამის შედეგად წარმოქმნილი კომუნისტური საზოგადოება იქნებოდა როგორც უკლასო, ასევე სახელმწიფო მმართველობისგან თავისუფალი და სასაქონლო წარმოების სისტემა გზას დაუთმობდა ისეთ წარმოებას, რომლის მოწოდება ადამიანურ საჭიროებათა დაკმაყოფილება იქნებოდა. ადამიანებს პირველად მიეცემოდათ თავიანთი ბედის ფორმირებისა და საკუთარი პოტენციის სრული რეალიზების უფლება, რაც მარქსის რწმენას ასახავდა იმის თაობაზე, რომ "თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების წინაპირობაა".

## ორთოდოქსული კომუნიზმი

მეოცე საუკუნის კომუნიზმის სახე რუსეთის რევოლუციამ და მისმა შედეგებმა განსაზღვრა. 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებისას ბოლშევიკურმა პარტიამ ლენინის წინამძღოლობით ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და მომდევნო წელს "კომუნისტური პარტიის" სახელი მიიღო. ბოლშევიკები, როგორც პირველი წარმატებული კომუნისტი რევოლუციონერები, კომუნისტურ სამყაროში უდავო ავტორიტეტით სარგებლობდნენ, სულ ცოტა, XX ს-ის 50-იან წლებამდე მაინც. სხვადასხვა ადგილებში დაარსებული კომუნისტური პარტიები მოსკოვის იდეოლოგიურ ხელმძღვანელობას აღიარებდნენ და 1919 წელს შექმნილ კომუნისტურ ინტერნაციონალს ანუ "კომინტერნს" უერთდებოდნენ. დასავლეთ ევროპაში 1945 წლის შემდეგ, ჩინეთში 1949 წელს და კუბაში 1959 წელს დამყარებული კომუნისტური რეჟიმები შეგნებულად საბჭოთა კავშირის სტრუქტურის მიხედვით შეიქმნა. ამდენად, საბჭოთა კომუნიზმი კომუნისტური მმართველობის გაბატონებული მოდელი გახდა, მარქსიზმ-ლენინიზმი კი – კომუნისტური სამყაროს მმართველი იდეოლოგია.

თუმცა, მეოცე საუკუნის კომუნიზმი მარქსისა და ენგელსის იდეათა და მოლოდინთაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნეში შექმნილი კომუნისტური პარტიები კლასიკური მარქსიზმის თეორიებს ეფუძნებოდა, ისინი იძულებულნი იყვნენ, გამარჯვებული და ხელისუფლებაში მყოფი ძალის ამოცანებთან შეეთავსებინათ თავიანთი თეორიები. კომუნიზმი, ამ გაგებით, იყო "მარქსიზმი პრაქტიკაში". მეოცე საუკუნის კომუნისტ ლიდერებს მეტი ყურადღების მიქცევა უწევდათ ხელმძღვანელობის, პოლიტიკური ორგანიზაციისა და

ეკონომიკური მენეჯმენტის საკითხებისთვის, ვინემ მარქსს. მეორე მხრივ, კომუნისტურ რეჟიმებს ის ისტორიული პირობები აყალიბებდა, რომელშიც ისინი ვითარდებოდნენ. კომუნისტური პარტიები ისეთ ჩამორჩენილ და არაურბანიზებულ ქვეყნებში მოვიდნენ ხელისუფლებაში, როგორც რუსეთი და ჩინეთი, და არა დასავლეთ ევროპის განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, როგორც მარქსი წინასწარმეტყველებდა. შედეგად, ქალაქის პროლეტარიატი მუდამ მცირერიცხოვანი და ერთგვაროვანი იყო და ნამდვილი კლასობრივი რევოლუციის განხორციელება მის ძალებს სრულიად აღემატებოდა. ამდენად, კომუნისტური მმართველობა კომუნისტური ელიტისა და კომუნისტ ლიდერთა მმართველობა გახდა. გარდა ამისა, ჩამორჩენილობის კონტექსტში წარმოქმნილი, ახლად ფორმირებული კომუნისტური რეჟიმების მთავარი ამოცანა ეკონომიკური განვითარება იყო. მეოცე საუკუნის კომუნიზმი ამიტომაც მოდერნიზაციის იდეოლოგია უფრო გახდა, ვინემ სოციალური და პიროვნული ემანსიპაციისა. მეოცე საუკუნის კომუნისტურ რეჟიმებს შიდა და გარეშე მტრებთან დაპირისპირებაც უწევდათ. მაგალითად, ბოლშევიკურ რეჟიმს რუსეთში სამწლიანი სამოქალაქო ომის გადატანა მოუხდა, რომელშიც "თეთრებს" ანუ ცარისტულ ძალებს მხარდაჭერა ჰქონდათ გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთის, შეერთებული შტატებისა და იაპონიის ჯარების შემოჭრის სახით. შედეგად, პოლიტიკური სტაბილობის შენარჩუნებისა და "კლასობრივი მტრებისგან" თავდაცვის მიზნით იძულებითი ზომების გამოყენება ახალი კომუნისტური რეჟიმებისთვის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. და მესამეც, საბჭოთა კომუნიზმის ჩამოყალიბებაში, რომელიც მოგვიანებით მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საფუძველი გახდა, გადამწყვეტი როლი ორი პირველი ბოლშევიკი ლიდერის, ლენინისა და სტალინის (იხ. გვ. 153) პირადმა წვლილმა შეასრულა.

## ლენინიზმი

ლენინი პოლიტიკური ლიდერიც იყო და მთავარი პოლიტიკური მოაზროვნეც. ლენინის იდეებში აისახა მისი უმთავრესი საზრუნავი – ხელისუფლებაში მოსვლისა და კომუნისტური წყობის დამყარების საკითხები. ის რევოლუციის ერთგული რჩებოდა, რადგან თვლიდა, რომ საპარლამენტო პოლიტიკა უბრალოდ ბურჟუაზიული თვალთმაქცობა იყო პროლეტარიატის დასარწმუნებლად იმაში, თითქოს პოლიტიკური ძალაუფლების კონტროლი არჩევნების გზით ხორციელდებოდა. ძალაუფლების ხელში ჩაგდება შეიარაღებული აჯანყების გზით უნდა მომხდარიყო, ლენინის მოწოდების – "გაანადგურეთ სახელმწიფო!" – თანახმად. ლენინი მარქსის მოწოდებასაც იმეორებდა კაპიტალიზმის დამხობასა და "სრული კომუნიზმის" მიღწევას შორის პროლეტარიატის გარდამავალი დიქტატურის შესახებ. რევოლუცია უნდა დაეცვათ "კლასობრივი მტრების", განსაკუთრებით კაპიტალიზმის აღდგენის მოსურნე, ქონებაჩამორთმეული ბურჟუაზიის კონტრრევოლუციისგან. ამიტომაც, სოციალისტურ რევოლუციას პროლეტარული ან მუშათა სახელმწიფოს შექმნა უნდა მოჰყვეს.

რუსი მარქსისტი თეორეტიკოსი და რევოლუციონერი. ლენინი აქტიურ პოლიტიკაში 1887 წელს თავისი ძმის სიკვდილით დასჯის შემდეგ ჩაერთო და 1889 წელს მარქსისტი გახდა. 1903 წელს მან დააარსა ბოლშევიკური პარტია, რომელიც მოგვიანებით 1917 წლის რევოლუციას ხელმძღვანელობდა. ლენინი გარდაცვალებამდე საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერად დარჩა, თუმცა 1922 წლის ბოლოს, ტვინში სისხლის რამდენჯერმე ჩაქცევის შემდეგ იგი, პრაქტიკულად, გადადგა.

ლენინი, მეოცე საუკუნის უდავოდ ყველაზე გავლენიანი მარქსისტი თეორეტიკოსი, უპირველესად საორგანიზაციო და რევოლუციური საკითხებით იყო დაინტერესებული. *რა ვაკეთოთ?* (1902) ხაზს უსვამდა კარგად ორგანიზებული "ავანგარდული" პარტიის ძირითად მნიშვნელობას, რომელიც პროლეტართა კლასს უნდა გასძღოლოდა და ეხელმძღვანელა მისთვის. წიგნში *იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხური* (1916) ლენინი კოლონიალიზმს განიხილავდა როგორც ეკონომიკურ ფენომენს და მსოფლიო ომის კლასობრივ ომში გადაზრდის შესაძლებლობას აშუქებდა. წიგნში *სახელმწიფო და რევოლუცია* (1917) გამოვლინდა ლენინის მტკიცე ერთგულება "ჯანყის გზისადმი" და მის მიერ საარჩევნო დემოკრატიის როგორც "ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის" უარყოფა.

ყველაზე მნიშვნელოვანი და სიახლის შემცველი ლენინის იდეებში ახალი სახის პოლიტიკური პარტიის, რევოლუციური პარტიის, ანუ ავანგარდული პარტიის საჭიროების რწმენა იყო. მარქსისგან განსხვავებით, ლენინს არ სჯეროდა, რომ პროლეტარიატი რევოლუციურ შეგნებას სპონტანურად განავითარებდა, რადგანაც მუშათა კლასი ბურჟუაზიული იდეებითა და რწმენით შეცდომაში იყო შეყვანილი. ვინაიდან მარქსისტული განსჯა აკლდათ, მუშები ვერ ხვდებოდნენ, რომ მათი ნამდვილი მტერი თვით კაპიტალიზმი იყო და უკეთესი ანაზღაურების, უფრო მოკლე სამუშაო დღისა და ნაკლებად სახიფათო სამუშაო პირობების მიღწევით ცდილობდნენ კაპიტალიზმშივე გაეუმჯობესებინათ თავიანთი პირობები. ლენინის მიხედვით, მხოლოდ "რევოლუციურ პარტიას" შეეძლო მუშათა კლასის გადაყვანა "პროფკავშირული შეგნებიდან" რევოლუციურ კლასობრივ შეგნებაზე. ასეთ პარტიაში პროფესიონალი და ერთგული რევოლუციონერები იქნებოდნენ. ლიდერობაზე ამ პარტიის განაცხადი მის იდეოლოგიურ სიბრძნეს დაეფუძნებოდა, კერძოდ, მარქსისტული თეორიის გაგებას, რომელიც, როგორც ითვლებოდა, სოციალური და ისტორიული განვითარების მეცნიერულ ახსნას იძლეოდა. ამდენად, ეს პარტია შეძლებდა "პროლეტარიატის ავანგარდის" როლი შეესრულებინა, რადგანაც მარქსიზმით შეიარაღებული, ის პროლეტარიატის ნამდვილ ინტერესებს ჩახვდებოდა და პროლეტარული კლასის რევოლუციური პოტენციის გამოღვიძებას მიუძღვნიდა საკუთარ მოღვაწეობას.

ლენინი ამბობდა, რომ ავანგარდული (წამყვანი) პარტიის ორგანიზება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების მიხედვით უნდა მომხდარიყო. პარტია ინსტიტუციათა იერარქიისგან უნდა ყოფილიყო შედგენილი, და ადგილობრივი უჯრედები პარტიის უმაღლეს ორგანოებთან, ცენტრალურ

კომიტეტსა და პოლიტბიუროსთან უნდა დაეკავშირებინა. პარტიის შიდა დემოკრატია მოითხოვდა, რომ პარტიის ნებისმიერ დონეზე შესაძლებელი ყოფილიყო თავისუფალი დისკუსიის გამართვა და საკუთარ დელეგატთა არჩევა; თუმცა "ცენტრალიზაცია" იმას ნიშნავდა, რომ უმცირესობას უმრავლესობის შეხედულებები უნდა ეღიარებინა, ხოლო ქვემდგომი ორგანოები ზემდგომთა გადაწყვეტილებებს უნდა დამორჩილებოდნენ. რევოლუციური პარტია მკაცრად დისციპლინირებული და ცენტრისტულად ორგანიზებული უნდა ყოფილიყო, რათა პროლეტარიატისთვის საჭირო იდეოლოგიური წინამძღოლობა გაეწია. ლენინი აცხადებდა, რომ დემოკრატიული ცენტრალიზმი "დისკუსიის თავისუფლებასა და მოქმედების ერთიანობას" მიაღწევდა.

1917 წელს ბოლშევიკურმა პარტიამ ძალაუფლება ხელთ იგდო როგორც მოწინავე პარტიამ და, ამდენად, ეს პროლეტარიატის სახელით გააკეთა. თუ ბოლშევიკური პარტია მუშათა კლასის ინტერესებისთვის იღვწოდა, მაშინ, აქედან გამომდინარე, ოპოზიციურ პარტიებს პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილ კლასთა, განსაკუთრებით ბურჟუაზიის ინტერესები უნდა წარმოედგინათ. პროლეტარიატის დიქტატურა მოითხოვდა რევოლუციის დაცვას ყველა კლასობრივი მტრისგან, რაც ფაქტობრივად, კომუნისტური პარტიის გარდა ყველა სხვა პარტიის ჩახშობას ნიშნავდა. 1920 წლისთვის რუსეთი ერთპარტიული ქვეყანა გახდა. ამდენად, ლენინური თეორია მონოპოლისტური პარტიის არსებობას გულისხმობს, რომელიც მთავარი პასუხისმგებელია პროლეტარიატის ინტერესთა გამოხატვისთვის და რევოლუცია თავისი საბოლოო მიზნის, "კომუნიზმის მშენებლობისკენ" მიჰყავს. გარდა ამისა, ეს პარტია მმართველი პარტიაც უნდა იყოს. კომუნისტური პარტია, როგორც პოლიტიკური ავტორიტეტის წყარო კომუნისტურ სახელმწიფოში, მთავრობასა და ყველა სხვა ინსტიტუტში წამყვანი და ხელმძღვანელი ძალა უნდა იყოს. ამიტომაც მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე შექმნილმა ორთოდოქსულმა კომუნისტურმა სახელმწიფოებმა თავიანთი მმართველი პოლიტიკური პარტიები გაძლიერებული პოლიტიკური უფლებებითა და იდეოლოგიური სიბრძნის მონოპოლიით უნდა აღჭურვონ.

## სტალინიზმი

იოსებ სტალინის მმართველობამ არანაკლები გავლენა მოახდინა საბჭოთა კომუნიზმზე, ვიდრე – ლენინისამ. ფაქტობრივად, უფრო დიდი გავლენაც, რადგან XX ს-ის 30-იანი წლების სტალინის "მეორე რევოლუციამ" უფრო შესამჩნევად იმოქმედა საბჭოთა კავშირზე, ვიდრე ოქტომბრის რევოლუციამ. სტალინის ყველაზე მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ცვლილება ის იყო, რომ მან მიიღო დოქტრინა "სოციალიზმი ერთ ქვეყანაში", რომელიც თავდაპირველად ბუხარინმა განავითარა. 1924 წელს გამოცხადებული ეს დოქტრინა ამბობდა, რომ საბჭოთა კავშირს ინტერნაციონალური რევოლუციის გარეშეც შეეძლო "სოციალიზმის მშენებლობაში" წარმატებისთვის მიეღწია. ეს მკვეთრად გამოარჩევდა სტალინს ხელისუფლებისთვის ბრძოლაში მისი მეტოქისგან, ლევ ტროცკისგან (აგრეთვე, ლენინისა და მარქსისგან),

რომელმაც ინტერნაციონალისადმი უცვლელი ერთგულება შეინარჩუნა. თუმცა ხელისუფლებაში კონსოლიდაციის შემდეგ სტალინი მოწმე გახდა მკვეთრი ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებებისა, რაც 1928 წელს პირველი ხუთწლიანი გეგმის გამოცხადებასთან ერთად დაიწყო. 1921 წელს წარმოდგენილი ლენინის "ახალი ეკონომიკური პოლიტიკის" მიხედვით, საბჭოთა კავშირმა შერეული ეკონომიკა განავითარა, სადაც სოფლის მეურნეობა და მცირე წარმოება კერძო საკუთრებაში დარჩა, ხოლო სახელმწიფო მხოლოდ იმას აკონტროლებდა, რასაც ლენინი "ეკონომიკის საკომანდო სიმაღლეებს" უწოდებდა. თუმცა, სტალინის ხუთწლიანმა გეგმებმა მოიტანა როგორც სწრაფი ინდუსტრიალიზაცია, ისე კერძო საწარმოთა მეყსეული და მთლიანი აღმოფხვრა. 1929 წლიდან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია დაიწყო და საბჭოთა გლეხები, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მილიონობით სიცოცხლის ფასად, იძულებულნი გახდნენ, თავი მიენებებინათ საკუთარი მიწებისთვის და კოლექტივებში შესულიყვნენ. ამიტომაც ეკონომიკურმა სტალინიზმმა სახელმწიფო კოლექტივიზაციის ან "სახელმწიფო სოციალიზმის" ფორმა მიიღო. კაპიტალისტური ბაზარი მთლიანად მოსპო და ჩაანაცვლა ცენტრალური დაგეგმვის სისტემამ, რომელსაც სახელმწიფო დაგეგმვის კომიტეტი "გოსპლანი" განაგებდა და მოსკოვში განლაგებულ ძლიერ ეკონომიკურ სამინისტროთა ჯგუფი მართავდა.

ამ "მეორე რევოლუციას" მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა. ძალაუფლების მოსაპოვებლად სტალინმა კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობა გამოიყენა, რათა პარტიული აპარატის ყველა გავლენიან პოსტზე თავისი მომხრეები დაენიშნათ. პარტიული თანამდებობის პირები ქვემოდან კი არ ირჩეოდნენ, არამედ *ნომენკლატურის* სახელით ცნობილი სისტემით ზემოდან ინიშნებოდნენ. დემოკრატიული ცენტრალიზმი ნაკლებად დემოკრატიული და უფრო ცენტრალიზებული გახდა

რუსი რევოლუციონერი და საბჭოთა კავშირის ლიდერი 1924-53 წლებში. სტალინი, ხარაზის შვილი, რევოლუციური საქმიანობისთვის სემინარიიდან გარიცხეს და 1903 წელს ბოლშევიკებს შეუერთდა. 1922 წელს ის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გახდა და ლენინის გარდაცვალებისა და ხელისუფლებისთვის ბრძოლაში გამარჯვების მოპოვების შემდეგ მონოლითური მმართველ-აღმასრულებელი სისტემა შექმნა, რომელიც ფართომასშტაბიან ტერორსა და პიროვნების კულტს ემყარებოდა.

სტალინი, მიუხედავად მისი მრავალტომიანი ნაწერებისა, მნიშვნელოვანი თეორეტიკოსი არ ყოფილა, ვინაიდან სტალინიზმი უფრო გარკვეულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემას გულისხმობდა, ვიდრე იდეათა სისტემას. მისი იდეოლოგიური მემკვიდრეობა მომდინარეობს დოქტრინიდან "სოციალიზმი ერთ ქვეყანაში", რომელიც ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წარმართვას მოითხოვდა, რასაც კაპიტალისტური გარემოცვისადმი წინააღმდეგობის გაწევისა და კულაკთა (მდიდარ გლეხთა) როგორც კლასის მოსპობის საჭიროებით ამართლებდა. ამგვარად, სტალინმა კლასობრივი ომის კვაზიმარქსისტული იდეისა და რუსული ნაციონალიზმისადმი მოწოდების შერწყმა მოახდინა.

და "ძალაუფლების წრებრუნვას" ქმნიდა, რომელშიც პარტიული ლიდერი, პატრონაჟსა და დაწინაურებაზე კონტროლის საშუალებით, არნახული ძალაუფლებით სარგებლობდა. XX ს-ის 30-იან წლებში სტალინი ამ ძალაუფლებას მთელი სისასტიკით იყენებდა ღალატსა თუ კრიტიკაში ნებისმიერი ეჭვმიტანილის მოსაშორებლად საიდუმლო პოლიციის (НКВД) მიერ ჩატარებული მრავალრიცხოვანი ძალადობრივი წმენდის მეშვეობით. კომუნისტური პარტიის წევრთა რაოდენობა თითქმის განახევრდა, მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ლენინის პოლიტბიუროდან დარჩენილი წევრების ჩათვლით, და კიდევ მრავალი მილიონი ადამიანი მუშათა ბანაკებში ანუ *გულაგებში* დაამწყვდიეს. ამდენად, პოლიტიკური სტალინიზმი მონოლითური მმართველი პარტიის მეშვეობით განხორციელებული ტოტალიტარული დიქტატურის ფორმა იყო, სადაც დისკუსიისა და კრიტიკის ყველა ფორმა ტერორით აღმოიფხვრებოდა, რამაც თვით პარტიის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის დაწყებამდე მიიყვანა საქმე. ტოტალიტარიზმის ბუნება უფრო საფუძვლიანად მეშვიდე თავშია განხილული (იხ. გვ. 263).

## თანამედროვე მარქსიზმი

იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ ევროპასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში არსებულმა ორთოდოქსულმა კომუნისტურმა რეჟიმებმა მარქსიზმი – ან, როგორც იქ, ჩვეულებრივ, უწოდებენ, მარქსიზმ-ლენინიზმი – სამოქალაქო რელიგიად აქციეს, დასავლეთ ევროპაში მარქსიზმის უფრო დახვეწილი და რთული ფორმა ჩამოყალიბდა. თანამედროვე მარქსიზმი, იგივე დასავლური მარქსიზმი ან ნეომარქსიზმი, როგორც მას უწოდებდნენ, ცდილობდა შეესწორებინა ან გადაემუშავებინა მარქსის კლასიკური იდეები, თუმცა, ამავე დროს, მარქსის გარკვეული პრინციპებისა თუ მარქსისტული მეთოდოლოგიის ერთგული რჩებოდა.

თანამედროვე მარქსიზმის ხასიათი ორმა პრინციპულმა ფაქტორმა ჩამოაყალიბა. პირველი ის იყო, რომ როდესაც კაპიტალიზმის გარდუვალი კოლაფსის მარქსისეული წინასწარმეტყველება არ გამართლდა, თანამედროვე მარქსისტები იძულებულნი გახდნენ კლასთა ტრადიციული ანალიზისთვის გადაეხედათ. ისინი განსაკუთრებით ჰეგელის იდეებითა და მარქსის ადრეულ ნაწერებში აღმოჩენილი "შემოქმედი ადამიანით" დაინტერესდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანები ისტორიის შემქმნელებად იქნენ დანახულნი და არა უბრალოდ უპიროვნო მატერიალურ ძალთა მიერ კონტროლირებად თოჯინებად. ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის, ცხოვრების მატერიალურ პირობებსა და საკუთარი ბედის ფორმირების ადამიანურ უნარს შორის ურთიერთქმედების მტკიცებით თანამედროვე მარქსისტებმა თავი დააღწიეს "ბაზისი/ზედნაშენის" მკაცრ სწორხაზოვნებას. მოკლედ, კლასობრივი ბრძოლა უკვე აღარ იყო სოციალური ანალიზის თავი და ბოლო. მეორე ფაქტორი ის იყო, რომ თანამედროვე მარქსისტები, ჩვეულებრივ, არ ეთანხმებოდნენ, ზოგჯერ კი ძალიან შორს იდგნენ ორთოდოქსული კომუნიზმის ბოლშევიკური მოდელისგან. ისინი არა მხოლოდ მის ავტორიტარულ და რეპრესიულ ხასიათს აკრიტიკებდნენ, არამედ მის მექანიკურსა და ღიად მეცნიერულ პრეტენზიებსაც აქციეს ზურგი.

უნგრელი მარქსისტი გეორგ ლუკასი (Georg Lukács, 1885-1971) ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მარქსიზმი ჰუმანისტურ ფილოსოფიად წარმოადგინა ყურადღების გამახვილებით "რეიფიკაციის (მატერიალიზაციის) პროცეს-ზე, რომლითაც კაპიტალიზმი მუშათა დეჰუმანიზაციას ახდენდა, დაჰყავდა რა ისინი პასიურ ობიექტებამდე თუ საბაზრო საქონლამდე. ანტონიო გრამ-შიმ (Antonio Gramsci) ყურადღება მიაქცია იმას, რომ კლასობრივ სისტემას ზურგს უმაგრებდა არა უბრალოდ არათანაბარი ეკონომიკური და პოლი-ტიკური ძალაუფლება, არამედ ბურჟუაზიული "ჰეგემონიაც" – მმართველი კლასის სულიერი და კულტურული უპირატესობა, რაც ბურჟუაზიული ღი-რებულებებისა და შეხედულებების გავრცელებამ მოიტანა. სამოქალაქო საზოგადოების – მედიის, ეკლესიების, ახალგაზრდული მოძრაობების, პროფკავშირების და ა.შ. მეშვეობით.

მარქსიზმის უფრო აშკარად ჰეგელიანური სახეობა ეგრეთ წოდებულმა ფრანკფურტის სკოლამ განავითარა, რომლის წამყვანი წევრები იყვნენ თე-ოდორ ადორნო (Theodor adorno, 1903-69), მაქს ჰორკჰაიმერი (Max Horkheimer, 1895-1973) და ჰერბერტ მარკუზე (Herbert Marcuse, იხ. ქვემოთ). ფრანკფურტის თეორეტიკოსებმა ე.წ. "კრიტიკული თეორია" განავითარეს, რომელიც მარ-ქსისტული პოლიტიკური ეკონომიის, ჰეგელის ფილოსოფიისა და ფროი-დის ფსიქოლოგიის ნაზავს წარმოადგენდა და რამაც მნიშვნელოვანი გავ-ლენა იქონია ეგრეთ წოდებულ "ახალ მემარცხენეობაზე". XX ს-ის 60-70-იანი წლების დასაწყისში ასპარეზზე გამოსულმა ახალმა მემარცხენეებმა ორივე "ძველი მემარცხენე" ალტერნატივა უარყვეს – საბჭოთა სტილის სა-ხელმწიფო სოციალიზმიც და დერადიკალიზებული დასავლური სოცია-ლური დემოკრატიაც. ახალი მემარცხენე თეორიები, რომლებიც "ახალგაზ-რდა" მარქსის ნაშრომებს გარდა ანარქიზმისა და ასევე ფენომენოლოგიისა

გერმანელი პოლიტიკური ფილოსოფოსი და სოციალური თეორეტიკოსი, ფრან-კფურტის სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი. ჰიტლერის გერმანიიდან ლტოლვი-ლი მარკუზე შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა და განავითარა ნეომარქსიზმის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ჰეგელსა და ფროიდს ეყრდნობოდა. XX ს-ის 60-იან წლებში იგი ცნობილი გახდა როგორც წამყვანი ახალი მემარცხენე მოაზ-როვნე და სტუდენტური მოძრაობის "გურუ".

მარკუზეს საქმიანობის ძირითადი მხარე მოწინავე ინდუსტრიული საზოგა-დოების როგორც ყოვლისმომცველი რეპრესიული სისტემის – "რეპრესიული ტოლერანტობის" – წარმოჩენა იყო, რომელიც ასუსტებს არგუმენტებსა და დე-ბატებს, და ოპოზიციის ყველა ფორმას ისრუტავს. ამ "ერთგანზომილებიანი სა-ზოგადოების" საწინააღმდეგოდ მან პიროვნული და სექსუალური გათავისუფ-ლების უტოპიური პერსპექტივა წამოაყენა, სადაც რევოლუციურ ძალად ტრადი-ციულ მუშათა კლასს კი არ განიხილავდა, არამედ სტუდენტთა, ეთნიკურ უმცი-რესობათა, ქალთა და მესამე სამყაროს მუშათა ჯგუფებს: მარკუზეს უმნიშვნე-ლოვანესი ნაშრომებია: *გონება და რევოლუცია* (*Reasom and Revolution*, 1941), *ეროსი და ცივილიზაცია* (*Eros and Civilization*, 1958) და *ერთგანზომილებიანი ადამიანი* (*One-Dimentional Man*, 1964).

და ეგზისტენციალიზმის რადიკალური ფორმების ზეგავლენას განიცდიდნენ, ხშირად ბუნდოვანი იყო. მიუხედავად ამისა, ზოგადი თემები მოიცავდა: ტრადიციული საზოგადოების – "სისტემის" – როგორც მჩაგვრელის უარყოფას; მუშათა კლასის როგორც რევოლუციური ძალის შესახებ არსებული ილუზიის მოსპობას; პიროვნული ავტონომიისა და თვითსრულქმნის პრინციპების ერთგულებას "განთავისუფლების" ფორმით და დეცენტრალიზაციისა და მონაწილეობითი დემოკრატიისთვის უპირატესობის მინიჭებას.

საპირისპიროდ, სტრუქტურული მარქსიზმის ერთ-ერთი ფორმა წარმოიქმნა ფრანგი კომუნისტის ლუი ალტიუსერის (Louis Althusser, 1918-90) ნაშრომებიდან. ის ეფუძნებოდა ვარაუდს, რომ მარქსი ინდივიდებს განიხილავდა უბრალოდ როგორც მატარებლებს ფუნქციებისა, რომლებიც მათი სტრუქტურული ადგილმდებარეობიდან წარმოიქმნება. ამ ადგილმდებარეობაში მარქსიზმი იქცევა "ახალ მეცნიერებად", რომელიც არსებითად დაკავშირებულია სოციალური ტოტალობის სტრუქტურულ ანალიზთან. სრულიად განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ ანალიტიკოს მარქსისტებს, მაგალითად, ჯონ როიმერს (John Roemer, 1986), რომელმაც სცადა მარქსიზმის შერწყმა მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმთან, რომელიც, ჩვეულებრივ, უფრო ხშირად ლიბერალიზმთან ასოცირდება. ნაცვლად იმისა, რომ ისტორია კოლექტიური ერთობების, ამ შემთხვევაში – კლასების, შექმნილად მიიჩნიონ, ანალიტიკოსი მარქსისტები ცდილობენ კოლექტიური ქმედება რაციონალური ანგარიშიანობისა და პირადი ინტერესის მქონე ინდივიდთა კატეგორიებით ახსნან.

## მარქსიზმის ალსასრული?

1989 წელი კომუნიზმისა და ზოგადად იდეოლოგიურ ისტორიაში დრამატული გარდატეხის წელი იყო. აპრილში პეკინში, ტიანანმენის მოედანზე სტუდენტთა მიერ წარმართული "დემოკრატიული მოძრაობის" დემონსტრაციებით დაწყებულმა და ნოემბერში ბერლინის კედლის დაცემით კულმინაციას მიღწეულმა პროცესებმა წერტილი დაუსვა ევროპის კაპიტალისტურ დასავლეთად და კომუნისტურ აღმოსავლეთად დაყოფას. 1991 წლისთვის არსებობა შეწყვიტა საბჭოთა კავშირმა, ორთოდოქსული კომუნიზმის მოდელმა. იქ, სადაც კომუნისტური რეჟიმები განაგრძობენ არსებობას – ჩინეთში, კუბაში, ვიეტნამში, ჩრდილოეთ კორეასა და სხვაგან – მათ ან ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკას შეუერწყეს პოლიტიკური სტალინიზმი, (ყველაზე თვალნათლივ ჩინეთის შემთხვევაში), ან სულ უფრო მეტად იზოლირებულნი ხდებოდნენ (როგორც ჩრდილოეთ კორეის შემთხვევაში). მოვლენათა ასეთი განვითარება ორთოდოქსული კომუნიზმისთვის დამახასიათებელ მთელ რიგ სტრუქტურულ ხარვეზთა შედეგი იყო. ამ ხარვეზთა შორის კი უმთავრესი შემდეგი იყო: მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური დაგეგმვა ეფექტური გამოდგა ადრეული ინდუსტრიალიზაციის საქმეში, იგი ვერ გაუმკლავედა თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების კომპლექსურობას, კერძოდ, ვერ შეძლო კეთილდღეობის იმ დონის უზრუნველყოფა, როგორიც XX ს-ის 50-იანი წლების დამდეგს კაპიტალისტურ დასავ-

ლეთში იყო; რეპრესიული ერთპარტიული სახელმწიფოები ვერ პასუხობენ ურბანიზებულ, უკეთ განათლებულ და პოლიტიკურად უფრო გათვითცნობიერებულ მოსახლეობაში გაჩენილ პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებების მოთხოვნებს; პარტიული კონკურენციის დამოუკიდებელი ზეწოლის ჯგუფებისა და თავისუფალი მედიის არარსებობის პირობებში. კომუნისტურ პოლიტიკურ სისტემებს უნარი არ ჰქონდათ, თვალყური ედევნებინათ და ეპასუხათ მოქალაქეთა ცვალებად და მზარდ მოთხოვნებზე. 1985 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირში გატარებულმა გორბაჩოვის რეფორმებმა, რომლებიც *პერესტროიკის* ანუ ეკონომიკური "გარდაქმნისა" და *გლასნოსტის* ანუ "საჯაროობის" ლოზუნგებს ეფუძნებოდა, უბრალოდ დააჩქარა ორთოდოქსული კომუნიზმის აღსასრული მისი სტრუქტურული ხარვეზების წარმოჩენითა და უფრო დიდი პოლიტიკური ცვლილებების მადის აღძვრით. როგორც ალექს ტოკვილი (Alexis de Tocqueville) შენიშნავდა საფრანგეთთან დაკავშირებით 1789 წელს: "ყველაზე სახიფათო მომენტი ცუდი მთავრობისთვის ის არის, როდესაც ცდილობს გამოსწორდეს".

მიუხედავად ამისა, კომუნიზმის მარქსიზმისგან გამოყოფის მნიშვნელობა დიდი დებატების საგანია. ერთი მხრივ, არიან ისეთნი, ვინც "ისტორიის დასასრულის" თეორეტიკოსის, ფრენსის ფუკუიამას (Francis Fukuyama, 1989) მსგავსად ამტკიცებენ, რომ "კომუნიზმის კოლაფსი" მარქსიზმის როგორც მსოფლიო ისტორიული ძალის აღსასრულის უტყუარი საბუთია. ამ თვალსაზრისით, მეოცე საუკუნის კომუნიზმი კლასიკური მარქსიზმის პოლიტიკური გამოხატულება იყო, რა შემთხვევაშიც პირველის უარყოფა მეორის არარელევანტურობაზე მეტყველებდა. ასეთმა აზროვნებამ, რომელიც დანამდვილებით ემყარებოდა 50-60-იანი წლების ლიბერალურ და კონსერვატიულ ნაშრომთა მზარდ კორპუსს, მარქსის ნააზრევში ტოტალიტარული ქვეტექსტები გამოავლინა, რასაც რეალურად შეესხა ხორცი ლენინიზმისა და სტალინიზმის სახით. მარქსი სტალინური ტოტალიტარიზმის მამად მრავალ მიზეზთა გამო იყო მიჩნეული. მაგალითად, მისი რწმენა, რომ ისტორიის მიმართულება წინასწარაა განსაზღვრული, ადამიანური ბუნების დეტერმინისტულ მოდელზე დაფუძნებულად განიხილებოდა, რაც თავისუფალი ნებისთვის არანაირ ან მცირე ადგილს თუ ტოვებდა. მარქსიზმის მეცნიერული პრეტენზიები იმპლიციტურად რეპრესიული ხასიათის მქონედ იყო დანახული, რადგან ისინი მარქსისტ ლიდერებს თავიანთი შეხედულებების აბსოლუტურ სისწორეს შთააგონებდნენ და უბიძგებდნენ პოლიტიკური და სოციალური რესტრუქტურიზაციის გაბედული პროგრამების დასაწყებად. უკანასკნელის საპირისპიროდ, მარქსიზმი შინაგანად მონისტურად განიხილებოდა, რადგან საწინააღმდეგო იდეები იდევნებოდა როგორც "ბურჟუაზიული იდეოლოგია" და ადამიანთა საზოგადოება სოციალური ორგანიზაციის ერთადერთი, კომუნისტური მოდელის ირგვლივ უნდა გაერთიანებულიყო.

მეორე მხრივ, არსებითი განსხვავება იყო კომუნიზმის მარქსისეულ მოდელსა და იმას შორის, რაც მეოცე საუკუნეში მისი სახელით რუსეთში, ჩინეთსა და სხვაგან გაკეთდა და რაც ინილბებოდა მარქსის ცივი ომის დროინდელი, ხშირად მარქსიზმის მექანისტურ ან "ვულგარულ" ინტერპრეტა-

ციაზე ფოკუსირებული კრიტიკით. ეს განსხვავება მოიცავდა შემდეგს: მარქსი ვარაუდობდა წარმოების საშუალებათა სოციალიზაციას (კოლექტიურ საკუთრებას) და არა ნაციონალიზაციას (სახელმწიფო საკუთრებას); სახელმწიფო უნდა "გამქრალიყო" და არა – სულ უფრო ძალმოსილი და ბიუროკრატიული გამხდარიყო; მატერიალური ანაზღაურება მოთხოვნილების ეგალიტარული პრინციპის მიხედვით განაწილდებოდა, ნაცვლად იმისა, რომ კომუნისტური ელიტა გაეძლიერებინა; გადაწყვეტილებების მიღება სახალხო დემოკრატიის საფუძველზე მოხდებოდა და არა მონოპოლიური პარტიულ-სახელმწიფო აპარატის მტკიცე ძალაუფლებაზე დაყრდნობით. გარდა ამისა, საბჭოთა ბოლშევიზმის ბევრი მარქსისტი კრიტიკოსი მიუთითებდა, რომ როგორც ლენინიზმი, ისე მარქსიზმი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კლასიკური მარქსიზმისგან გადახრა ან მისი ფაქტობრივად დამახინჯება. მაგალითად, პოლონელი მარქსისტი რევოლუციონერი როზა ლუქსემბურგი (Rosa Luxemburg, 1871-1919) საუბრობდა იმ საშიშროებაზე, რომ ლენინის პარტიული თეორია შეიძლება "სუბსტიტუციონალიზმამდე" მისულიყო, სადაც მმართველი პარტია პროლეტარიატს შეცვლიდა, ხოლო პარტიას საბოლოოდ მთავარი ლიდერი ჩაანაცვლებდა. ლევ ტროცკი (იხ. გვ. 212) ამტკიცებდა, რომ სტალინის მმართველობის დროს საბჭოთა კავშირი "ბიუროკრატიულ გადაგვარებას" განიცდიდა და შემოდიოდა წინადადებით, რომ საჭირო იყო პოლიტიკური რევოლუცია სახელმწიფო ბიუროკრატთა პრივილეგირებული ფენის მოსაშორებლად და საბჭოთა კავშირის სოციალიზმის გზაზე დასაბრუნებლად.

თუმცა, იმის მტკიცება, რომ 1989-91 წლებში მარქსიზმ-ლენინიზმის სტალინური ვერსია დაემხო და არა მარქსიზმი სულაც არაა საკმარისი იმის საჩვენებლად, რომ მარქსიზმი კვლავაც რელევანტურია. მარქსიზმის გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემა მარქსის იმ წინასწარმეტყველებათა ჩავარდნაა, რომლებითაც კაპიტალიზმს გარდუვალი კრახი უნდა განეცადა და კომუნიზმით უნდა ჩანაცვლებულიყო. მოწინავე ინდუსტრიულ საზოგადოებებში "კომუნიზმის აჩრდილი" უბრალოდ არც კი გამოჩენილა. ზოგი კრიტიკოსის მტკიცებით, ეს ადასტურებს იმას, რომ ისტორიისა და საზოგადოების შესწავლისადმი მარქსის მიდგომა ძირფესვიანად მცდარი და არასანდოა. მაგალითად, კარლ პოპერი (Karl Popper, 1957) მარქსს "ისტორიციზმში" ადანაშაულებდა, იმის მცდარ რწმენაში, რომ ადამიანური ისტორიის უსასრულო სირთულე შეიძლება ისტორიულ "კანონთა" წყებამდე დაიყვანო. თანამედროვე მარქსისტები "ეკონომიზმის" შეცდომასაც აკრიტიკებდნენ, ანუ ეკონომიკურ ან მატერიალურ ფაქტორთა როლის გაზვიადებას ისტორიული და სოციალური ცვლილებების ახსნისას; თუმცა, თუ ეკონომიკური "ბაზისი" მეტად აღარ *განსაზღვრავს* პოლიტიკურ და იდეოლოგიურ "ზედნაშენს", მაშინ მარქსიზმი თავისი წინასწარმეტყველების უნარს მოკლებული რჩება. ისინიც კი, ვისაც სჯერა, რომ მარქსის შეხედულებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გაუცხოება და ექსპლუატაცია, რელევანტური რჩება, იძულებულნი არიან აღიარონ, რომ მარქსიზმმა კაპიტალიზმის დამახასიათებელი ელასტიკურობა და თვითსრულქმნის უნარი ვერ შეიცნო. ეს კარგად ჩანს კაპიტალიზმის უდრეკ სწრაფვაში ტექნოლოგიური ინოვა-

ციებისადმი, რაც იმას ნიშნავს, რომ ღრმა კრიზისში ჩავარდნის ნაცვლად, რასაც პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი შეგნება უნდა მოეტანა, კაპიტალიზმის კრიზისი ნაკლებად მკაცრი გახდა და კლასობრივი შეგნება საარსებო სტანდარტთა ამაღლებით განელდა. მსგავსადვე, კაპიტალიზმის კულტურული რესურსები და განსაკუთრებით სოციალიზმისადმი მხარდაჭერის აღმოფხვრის უნარი ისეთ ღირებულებათა დანერგვის საშუალებით, როგორებიცაა მომხმარებელთა ინტერესების დაკმაყოფილება და შეჯიბრზე დამყარებული ინდივიდუალიზმი, იმაზე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მარქსი მოელოდა.

ზოგიერთმა მარქსისტმა ამ პრობლემების საპასუხოდ "პოსტმარქსისტული" იდეები და თეორიები წამოაყენა. მიუხედავად ამისა, პოსტმარქსიზმს ორი ქვეტექსტი აქვს. პირველი ის არის, რომ მარქსისტული პროექტი და ისტორიული მატერიალიზმი, რომელსაც ის ეფუძნება, ალტერნატიულ იდეათა სასარგებლოდ უნდა იქნას უარყოფილი, იმ იდეათა, რომლებიც, ჩვეულებრივ, პოსტმოდერნიზმიდანაა აღებული (იხ. გვ. 373). ეს აშკარად ჩანს ყოფილი მარქსისტის ჟან ფრანსუა ლიოტარის (Jean-François Lyotard, 1984) ნაწერებში, რომელიც ამბობდა, რომ მარქსიზმი, როგორც ისტორიის ტოტალურად განმხილველი თეორია, და ამ მიზეზით ყველა "მნიშვნელოვანი ნარატივი", პოსტმოდერნის დადგომამ ზედმეტი გახადა. პოსტმარქსიზმის ალტერნატიული ვერსია, პოსტმოდერნიზმისა და პოსტსტრუქტურალიზმის ასპექტებთან მარქსიზმის მორიგების გზით, განსაზღვრულ მარქსისტულ შეხედულებათა გადარჩენის მცდელობას შეიცავს. ერნესტო ლაკლო (Emesto Laclau) და შანტალ მუფი (Chantal Mouffe, 1985) აღიარებდნენ, რომ პრიორიტეტი, რომელიც ტრადიციულად სოციალურ კლასს ეკუთვნოდა და ცენტრალური პოზიცია, რომელიც მუშათა კლასს ეკავა, როგორც სოციალურ ცვლილებათა მომტანს, უკვე აღარ იყო მყარი. ამით მათ მარქსიზმის შიგნით შექმნეს სივრცე ბრძოლის სხვა "მომენტებისათვის", რაც, ჩვეულებრივ, ეგრეთ წოდებულ ახალ სოციალურ მოძრაობებს უკავშირდებოდა, როგორებიცაა ქალთა მოძრაობა, ეკოლოგიური მოძრაობა, გეებისა და ლესბიანელთა მოძრაობა და ა.შ. პოლიტიკის ეს პლურალისტური სტილი შესაძლოა პოსტმოდერნული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ მზარდ ინდივიდუალიზმსა და მრავალფეროვნებას ეთანხმებოდეს, მაგრამ სოციალური და პიროვნული გათავისუფლების იმიჯის განვითარებით, რომელიც ეკონომიკურ საკითხებს არ ემყარება, ის, საფიქრებელია, ძირს უთხრის იმას, რაც გამორჩეულად ითვლება მარქსისტულ აზროვნებაში. სხვა სიტყვებით, პოსტმარქსისტული პოზიცია "პოსტ"-ზე უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე "მარქსისტულზე".

## სოციალური დემოკრატია

ტერმინს "სოციალური დემოკრატია" ბევრ ძალიან განსხვავებულ დეფინიციას უსადაგებდნენ. მისი საწყისი მნიშვნელობა ორთოდოქსულ მარქსიზმს უკავშირდებოდა და გამოიყენებოდა პოლიტიკური დემოკრატიის ვიწრო

მიზანსა და საწარმოო ქონების კოლექტივიზაციის, ან დემოკრატიზაციის, უფრო რადიკალურ ამოცანას შორის სხვაობის გამოსაკვეთად. ამიტომაც მარქსისტული პარტიები, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს შეიქმნა, ხშირად ყალიბდებოდნენ როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიები. ამის საუკეთესო მაგალითი 1875 წელს დაარსებული გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიაა (SPD). თუმცა, მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის ბევრმა ასეთმა პარტიამ საპარლამენტო ტაქტიკა აითვისა და, ამდენად, სოციალიზმში თანდათანობით და მშვიდობიანად გადასვლა არჩია. შედეგად, ტერმინი სოციალური დემოკრატია, რევოლუციური სოციალიზმის საპირისპიროდ, სულ უფრო ხშირად გამოიყენებოდა დემოკრატიულ სოციალიზმთან მიმართებით. 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ რევოლუციონერი სოციალისტები, რუსი ბოლშევიკების მსგავსად, რეფორმისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიებისგან გასამიჯნად, იყენებდნენ სახელწოდებას "კომუნისტი". ტერმინ სოციალური დემოკრატიის მნიშვნელობაში ბოლო ცვლილება მეოცე საუკუნის შუა წლებში მოხდა, რაც სოციალურ-დემოკრატიული პარტიების მიერ არა მხოლოდ საპარლამენტო სტრატეგიის მიღების, არამედ მათ სოციალურ მიზნებში შესწორებების შეტანის ტენდენციის შედეგი იყო. კერძოდ, დასავლელი სოციალ-დემოკრატები უკვე კაპიტალიზმის გარდაქმნაზე ან "გაჰუმანურებაზე" ფიქრობდნენ და არა მის გაუქმებაზე. ამდენად, სოციალური დემოკრატია, ერთი მხრივ, საბაზრო ეკონომიკასა, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო ინტერვენციას შორის ფართო ბალანსის მხარდამჭერად იქცა. თუმცა ეს პოზიცია ყველაზე აშკარად რეფორმისტულ სოციალიზმთან ასოცირდებოდა, ის მეტ-ნაკლებად სხვებმაც გაიზიარეს, განსაკუთრებით თანამედროვე ლიბერალებმა და პატერნალისტმა კონსერვატორებმა. სოციალ-დემოკრატიული პოზიციის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები შემდეგია:

- სოციალური დემოკრატია მხარს უჭერს ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებს და ღებულობს იმ აზრს, რომ პოლიტიკური ცვლილებები შესაძლოა და უნდა მოხდეს კიდევაც მშვიდობიანი და კონსტიტუციური გზით.
- კაპიტალიზმი დოვლათის შესაქმნელ ერთადერთ საიმედო საშუალებადაა მიჩნეული. ამდენად, სოციალიზმი კაპიტალიზმისგან ხარისხობრივად არ განსხვავდება.
- მიუხედავად ამისა, კაპიტალიზმი მაინც განიხილება როგორც მორალურად დეფექტური, განსაკუთრებით როგორც დოვლათის გადანაწილების საშუალება; კაპიტალიზმი სტრუქტურულ უთანასწორობასა და სიღარიბესთან ასოცირდება.
- კაპიტალისტური სისტემის დეფექტები შეიძლება სახელმწიფოს მიერ გამოსწორდეს ეკონომიკური და სოციალური ინჟინერიის პროცესში; სახელმწიფო საზოგადოებრივ ინტერესთა დამცველია.
- ერი-სახელმწიფო პოლიტიკური წყობის მნიშვნელოვანი ერთეულია იმ გაგებით, რომ სახელმწიფოებს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების საკუთარ საზღვრებში რეგულირების დიდი შესაძლებლობები აქვთ.

სოციალური დემოკრატია ყველაზე სრულად 1945 წლის შემდგომ პერიოდში განვითარდა, როდესაც სოციალ-დემოკრატიული იდეებითა და თეორიებით გატაცება თვით სოციალისტურ ქვეყნებს კარგა შორს გასცდა და ბევრ დასავლურ სახელმწიფოში სოციალ-დემოკრატიული კონსენსუსი შექმნა. თუმცა 70-80-იანი წლებიდან სოციალური დემოკრატია, ნეოლიბერალიზმის გავრცელებისა და შეცვლილი ეკონომიკური და სოციალური პირობების ვითარებაში, თავისი საარჩევნო და პოლიტიკური რელევანტურობის შენარჩუნებისთვის იბრძოდა. ამიტომაც მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულები რეფორმისტული სოციალისტური პარტიების იდეოლოგიური უკუსვლის პროცესის მომსწრე გახდა მთელ მსოფლიოში. ზოგიერთი ამ პარტიათაგანი განაგრძობდა მათ მიერ "მოდერნიზებულად" წოდებული სოციალური დემოკრატიის მხარდაჭერას, ხოლო სხვებმა მიიღეს ისეთი იდეები, როგორიცაა "მესამე გზა", "რადიკალური ცენტრი", "მოქმედი ცენტრი" ან "*Neue Mitte*" ("*ახალი ცენტრი*"). მიუხედავად ამისა, "მესამე გზას" ან "რადიკალურ ცენტრსა" და ტრადიციულ სოციალურ დემოკრატიას შორის ურთიერთობა და ზოგადად მათი კავშირი სოციალისტურ ტრადიციასთან მნიშვნელოვანი დებატებისა და არგუმენტირების საგანი გახდა.

## ეთიკური სოციალიზმი

სოციალური დემოკრატიის თეორიულ საფუძველს მორალური/ზნეობრივი და რელიგიური წარმოდგენები უფრო ქმნიდა, ვიდრე მეცნიერული ანალიზი. მარქსი და ენგელსი თავიანთ თეორიებს "მეცნიერულ სოციალიზმს" უწოდებდნენ და ადრეული წლების "უტოპიურ სოციალიზმს" უარყოფდნენ. მარქსიზმის პრეტენზია მეცნიერულობაზე იმ რწმენას ემყარებოდა, რომ მან სოციალური და ისტორიული განვითარების კანონზომიერებები გამოავლინა: სოციალიზმის გამარჯვება გარდაუვალი იყო, მაგრამ არა იმიტომ, რომ მას უფრო მაღალი ზნეობრივი ხედვა ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ კლასობრივი ბრძოლა ისტორიას, გარკვეული საფეხურების გავლით, უკლასო საზოგადოებამდე მიიყვანდა. მარქსის მეცნიერული მეთოდი ისტორიულ მატერიალიზმს ეფუძნებოდა, ანუ იმის რწმენას, რომ ადამიანურ აზროვნებასა და ქცევას ცხოვრების ეკონომიკური პირობები განსაზღვრავს. სოციალ-დემოკრატებს მარქსისა და ენგელსის მატერიალისტური და ძალიან სისტემური იდეები კი არ მიუღიათ, არამედ კაპიტალიზმის ზნეობრივ კრიტიკას მიანიჭეს უპირატესობა. მოკლედ, სოციალიზმი წარმოჩენილია როგორც ზნეობრივად კაპიტალიზმზე მაღლა მდგომი, რადგან ადამიანები ერთმანეთთან სიყვარულის, თანაგრძნობისა და სიბრალულის ძაფებით დაკავშირებული ეთიკური არსებები არიან. ხშირად ასეთი იდეები სოციალიზმს აშკარად უტოპიურ ხასიათს ანიჭებდა.

ზნეობრივი ხედვა, რომელსაც ეთიკური სოციალიზმი ეყრდნობოდა, ეფუძნებოდა როგორც ჰუმანისტურ, ისე რელიგიურ პრინციპებს. სოციალიზმმა საფრანგეთში, გაერთიანებულ სამეფოსა და ბრიტანული თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში უფრო ფურიეს, ოუენის და უილიამ მორისის (William Morris, 1854-96) უტოპიურ იდეათა გავლენა განიცადა, ვინემ კარლ მარ-

ქსის "მეცნიერული" მრწამსისა. სოციალიზმი მნიშვნელოვანწილად ქრისტიანობასაც ეფუძნებოდა. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ქრისტიანული დემოკრატიის დიდი ხნის ტრადიცია არსებობს, რაც მეოცე საუკუნეში რ. ჰ. ტონის (R. H. Tawney, იხ. ქვემოთ) ნაშრომებში აისახა. ქრისტიანული ეთიკა, რამაც ბრიტანული სოციალიზმი შთააგონა, გულისხმობს უნივერსალურ ძმობას, ყველა ინდივიდის, როგორც ღვთის ქმნილების, თანაბარ პატივისცემას, პრინციპს, რომელიც ჩადებულია მცნებაში "გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი". ნაშრომში *მომხვეჭელი საზოგადოება* (*The Acquisitive Society*, 1921) ტონი კიცხავდა არარეგულირებულ კაპიტალიზმს, რომელსაც, მისი აზრით, "გაუმაძღრობის ცოდვა" უფრო მართავდა, ვინემ "საზოგადო ჰუმანურობის" რწმენა. *თანასწორობაში* (*Equality*, [1931] 1969) ტონი ბრიტანულ კლასობრივ სისტემას აქილიკებდა როგორც "ქრისტიანობისთვის განსაკუთრებით მიუღებელს" და სოციალური უთანასწორობის მნიშვნელოვნად შემცირებისკენ მოუწოდებდა.

ასეთი რელიგიური ინსპირაცია თვალსაჩინო იყო განთავისუფლების თეოლოგიის იდეებშიც, რომლებმაც განვითარებადი მსოფლიოს მრავალ კათოლიკურ სახელმწიფოზე მოახდინა გავლენა, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში. აქ რეპრესიული რეჟიმებისადმი წლების განმავლობაში განეული მხარდაჭერის შემდეგ, 1968 წელს კოლუმბიაში, მედელინში გამართულ კრებაზე რომაელმა კათოლიკე ეპისკოპოსებმა "სიღარიბის მხარდაჭერის პრიორიტეტის" დეკლარირება მოახდინეს. სამღვდელოების რელიგიური პასუხისმგებლობა, როგორც ჩანს, ვიწრო სულიერის ფარგლებს გასცდა და ჩვეულებრივი ხალხის სოციალურ და პოლიტიკურ ბრძოლას მისწვდა. მიუხედავად პაპ იოანე პავლე II-ისა და ვატიკანის მხრიდან გაკიცხვისა, რადიკალი მღვდლები ლათინური ამერიკის ბევრ ნაწილში სიღარიბისა და პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და დროდადრო სოციალისტურ რევოლუციურ მოძრაობებსაც კი უჭერდნენ მხარს. ამის მსგავსად,

გაერთიანებული სამეფოს სოციალური ფილოსოფოსი და ისტორიკოსი. თავისი სოციალური ცნობიერებით ლონდონის ისტ ენდში საგანმანათლებლო სოციალურ მუშაობაში ჩართულმა ტონიმ თავისი ცხოვრება მუშათა საგანმანათლებლო ასოციაციასთან, ლეიბორისტულ პარტიასთან და, როგორც ეკონომიკის ისტორიის პროფესორმა, ლონდონის ეკონომიკის სკოლასთან თანამშრომლობით, სოციალური რეკონსტრუქციის საქმეს მიუძღვნა.

ტონის სოციალიზმს მტკიცედ ჰქონდა ფესვები გადგმული ქრისტიანულ სოციალურ მორალიზმში, რომელიც არ უკავშირდებოდა მარქსის კლასთა ანალიზს. კაპიტალიზმის უწესრიგობები "ზნეობრივი იდეალის" უქონლობიდან მოდის და თავშეუკავებელ მომხვეჭელობასა და ფართომასშტაბიან მატერიალურ უთანასწორობამდე მიდის. ამიტომაც სოციალიზმის პროექტის არსი "საზოგადოებრივი კულტურის" შექმნა იყო, რომელიც სოციალური ერთობისა და სოლიდარობის საფუძველს შექმნიდა. ტონის მნიშვნელოვანი ნაშრომებია: *მომხვეჭელი საზოგადოება* (*The Acquisitive Society*, 1921), *თანასწორობა* (*Equality*, 1931) და *რადიკალური ტრადიცია* (*The radical Tradition*, 1964).

ჩრდილოეთი აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა თუ აზიის უმეტესწილად მუსლიმანურ ქვეყნებში სოციალისტურ მოძრაობებს რელიგიამ შთაბერა სული. ისლამი სოციალიზმს იმით უკავშირდება, რომ ის სოციალური სამართლიანობის, მოწყალებისა და თანამშრომლობის პრინციპებს უჭერს მხარს და განსაკუთრებით კრძალავს მევახშეობას ან მოგებისმაძიებლობას.

თუმცა, მეცნიერული ანალიზისათვის ზნეობრივი და რელიგიური პრინციპების სასარგებლოდ თავის დანებებით სოციალურმა დემოკრატიამ სოციალიზმის თეორიული ბაზა შეასუსტა. სოციალური დემოკრატია თავდაპირველად საზოგადოებაში დოვლათის სამართლიანი ანუ პატიოსანი განაწილების დამკვიდრებას ცდილობდა. ეს სოციალური დემოკრატიის უმთავრეს პრინციპშია ჩადებული: სოციალური სამართლიანობა, რაც უფრო დიდი თანასწორობის რწმენას გულისხმობს და ისეთ ღირებულებებში აისახება, როგორიცაა მზრუნველობა და თანაგრძნობა. სოციალურმა დემოკრატიამ თანდათანობით შეხედულებათა უფრო ფართო სპექტრს დაუჭირა მხარი, დაწყებული თანასწორობისა და ქონების კოლექტიური საკუთრების გაფართოების მემარცხენე მიდგომებით და დამთავრებული ბაზრის ეფექტურობისა და ინდივიდუალური თვითრწმენის საჭიროების უფრო მემარჯვენე ხედვის მიღებით, რომელიც შეიძლება ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის გარკვეული ფორმებისგანაც კი ძნელად გასარჩევი იყო. მიუხედავად ამისა, იყო მცდელობები იმისა, რომ სოციალური დემოკრატიისთვის იმგვარი თეორიული საფუძველი შეექმნათ, რომელიც, ჩვეულებრივ, კაპიტალიზმის ხელახალ გადახედვასა და სოციალიზმის მიზნის ხელახალ განსაზღვრას ითვალისწინებდა.

## რევიზიონისტური სოციალიზმი

სოციალიზმის თავდაპირველი, ფუნდამენტური მიზანი ის იყო, რომ საწარმოო საშუალებები ყველას კუთვნილებაში ყოფილიყო და მისი გამოყენებაც საზოგადოებრივი სარგებლისთვის მომხდარიყო. ეს მოითხოვდა კერძო საკუთრების გაუქმებასა და, როგორც მარქსი უწოდებდა, "სოციალური რევოლუციის" მოხდენას, ანუ წარმოების კაპიტალისტური წესიდან სოციალისტურ წესზე გადასვლას. ფუნდამენტალისტური სოციალიზმი ეფუძნებოდა რწმენას, რომ კაპიტალიზმს გადარჩენა არ უწერია: ეს კლასობრივი ექსპლუატაციისა და ჩაგვრის სისტემაა, რომელიც მთლიანად გაუქმებას იმსახურებს და არა უბრალოდ გარდაქმნას.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის ზოგი სოციალისტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მარქსის ანალიზი ხარვეზებს შეიცავდა. ამის ყველაზე ნათელი თეორიული გამოხატულება ედუარდ ბერნშტაინის (Eduard Bernstein) *ევოლუციურ სოციალიზმშია* (*Evolutionary Socialism*, [1898] 1962) მოცემული, რომელმაც მარქსის საფუძვლიანი კრიტიკა და მარქსისტული ანალიზის პირველი მნიშვნელოვანი გადასინჯვა აიღო თავის თავზე. ბერნშტაინის ანალიზი მეტწილად ემპირიული იყო; მან ანალიზის მარქსისეული მეთოდი – ისტორიული მატერიალიზმი – უარყო, რადგანაც დადასტურდა, რომ მარქსის წინასწარმეტყველებანი არასწორი იყო. კაპიტალიზმმა თავი წარმოაჩინა

1

გერმანელი სოციალისტი პოლიტიკოსი და თეორეტიკოსი. ბერნშტაინი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი პირველი წევრი, მისი წამყვანი მოაზროვნეთაგანი გახდა; იგი ფართოდ იყო ჩაბმული რევიზიონისტულ დაპირისპირებებში. მან პარტია პირველი მსოფლიო ომისადმი ოპოზიციური დამოკიდებულების გამო დატოვა, თუმცა შემდგომ დაბრუნდა.

ბრიტანული ფაბიანიზმისა და კანტის (1724-1804) ფილოსოფიის გავლენით ბერნშტაინი ორთოდოქსული მარქსიზმის შესწორებასა და მოდერნიზებას ცდილობდა. *ევოლუციურ სოციალიზმში* (*Evolutionary Socialism*, 1898) ის ამტკიცებდა, რომ ეკონომიკური კრიზისები ნაკლებად მძაფრი ხდებოდა და ყურადღებას ამახვილებდა "მუშათა კლასის მტკიცე წინსვლაზე". ამიტომაც ის ლიბერალურ საშუალო კლასსა და გლეხობას შორის ალიანსისკენ მოუწოდებდა და სოციალიზმზე თანდათანობითი და მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობას უსვამდა ხაზს. თავის გვიანდელ ნაწერებში იგი მარქსიზმთან რაიმენაირ სიახლოვეს უარყოფდა და ნეოკანტიანიზმზე დაფუძნებული ეთიკური სოციალიზმის ფორმას ავითარებდა.

როგორც სტაბილურმა და, იმავდროულად, მოქნილმა სისტემამ. მართლაც, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისთვის ცოტა დამამტკიცებელი საბუთი იყო იმისა, რომ "კომუნიზმის აჩრდილი", რომელსაც მარქსი და ენგელსი "კომუნისტურ მანიფესტში" ახსენებდნენ, ევროპაში ისევ დაძრწოდა. ნაცვლად კლასობრივი კონფლიქტის ინტენსიფიცირებისა და საზოგადოების "ორ დიდ კლასად", ბურჟუაზიად და პროლეტარიატად დაყოფისა, ბერნშტაინი ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმი სულ უფრო კომპლექსური და დიფერენცირებული ხდებოდა. კერძოდ, საწარმოო საშუალებების მფლობელთა წრე გაფართოვდა სააქციო საზოგადოებების გამოჩენით, რომლებიც ნაცვლად ერთი ძლევამოსილი მეწარმისა, მრავალი აქციონერის/მეპაიის კუთვნილებას წარმოადგენდა. საშუალო კლასის რიგებიც გაიზარდა, რადგანაც ხელფასიანი მოსამსახურეები, ტექნიკოსები, სამთავრობო მოხელეები და პროფესიონალი მუშები არც კაპიტალისტები იყვნენ და არც პროლეტარები. ბერნშტაინის შეხედულებით, კაპიტალიზმი უკვე აღარ იყო შიშველი კლასობრივი ჩაგვრის სისტემა. ამიტომაც კაპიტალიზმის რეფორმირება ძირითად წარმოებათა ნაციონალიზაციისა და მშრომელთა კლასისთვის სამართლებრივი დაცვისა და სოციალური სარგებლის გაფართოებით იქნებოდა შესაძლებელი. ბერნშტაინი დარწმუნებული იყო, რომ ამის მიღწევა მშვიდობიანად და დემოკრატიულად შეიძლებოდა.

დასავლური სოციალისტური პარტიები თეორიულად ყოველთვის თუ არა, პრაქტიკაში ყოველთვის რევიზიონისტურები იყვნენ, დაკავებულნი უფრო კაპიტალიზმის "მოთვინიერებით", ვინემ მისი გაუქმებით. ზოგიერთ შემთხვევაში მათ ხანგრძლივად შეინარჩუნეს ფუნდამენტალისტური მიზნების ფორმალური ერთგულება, როგორც, მაგალითად, ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის კონსტიტუციის 1995 წლამდე უცვლელად მოღწეულ IV მუხლში გამოთქმული შეხედულება "წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების, დისტრიბუციისა და გაცვლა-გამოცვლის" საკითხში.

მიუხედავად ამისა, მეოცე საუკუნის განმავლობაში სოციალ-დემოკრატებმა უარი თქვეს გეგმიურობისადმი ერთგულებაზე, რამდენადაც კაპიტალისტური ბაზრის ეფექტურობა და ძლიერება აღიარეს. შვედეთის სოციალ-დემოკრატიულმა შრომის პარტიამ დაგეგმვაზე 30-იან წლებში თქვა უარი, ასევე მოიქცნენ დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატებიც 1959 წლის ბად გოდესბერგის კონგრესზე, რომელზეც მიღებულ იქნა პრინციპი "შეჯიბრი, როცა შესაძლებელია; დაგეგმვა, როცა აუცილებელია". გაერთიანებულ სამეფოში 50-იან წლებში რევიზიონიზმის ფორმალურად მიღების მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა, როდესაც ლეიბორისტული პარტიის კონფერენციამ მხარი არ დაუჭირა მაშინდელი ლიდერის ჰიუ გეიცკელის მცდელობას, გაეუქმებინა IV მუხლი. მიუხედავად ამისა, როდესაც ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებაში იყო, ფართომასშტაბიანი ნაციონალიზაციის დიდი სურვილი არასდროს გამოუმჟღავნებია.

გეგმიურობასა და ფართო ნაციონალიზაციაზე უარის თქმის შემდეგ სოციალურ დემოკრატიას სამი უფრო მოკრძალებული ამოცანა დარჩა. ამათგან პირველი შერეული ეკონომიკა იყო, საზოგადოებრივი და კერძო მესაკუთრეობის ნაზავი, რომელიც თავისუფალ საბაზრო კაპიტალიზმსა და სახელმწიფო კოლექტივიზმს შორის დგას. სოციალ-დემოკრატების მიერ პროპაგანდირებული ნაციონალიზაცია უცილობლად სელექციურია და მოიცავს მხოლოდ ეკონომიკის "საკომანდო სიმაღლეებს" ან "ბუნებრივ მონოპოლიებად" მიჩნეულ წარმოებებს. მაგალითად, 1945-51 წლების ატლის (Attlee) ლეიბორისტულმა მთავრობამ მოახდინა უმთავრესი დარგების – ელექტროენერგეტიკის, გაზის, ქვანახშირის, ფოლადის მომპოვებელი საწარმოების, რკინიგზისა და ასე შემდეგ – ნაციონალიზაცია, მაგრამ ბრიტანულ საწარმოთა უმრავლესობა კერძო საკუთრებაში დატოვა. მეორე ამოცანა ის იყო, რომ სოციალ-დემოკრატები ეკონომიკის ზრდისა და უმუშევ-

### სოციალიზმში (1)

| სოციალური დემოკრატია | v. | კომუნიზმი |
|---|---|---|
| ეთიკური სოციალიზმი | – | მეცნიერული სოციალიზმი |
| რევიზიონიზმი | – | ფუნდამენტალიზმი |
| რეფორმიზმი | – | უტოპიზმი |
| ევოლუცია/გრადუალიზმი | – | რევოლუცია |
| კაპიტალიზმის "გაჰუმანურება" | – | კაპიტალიზმის გაუქმება |
| რედისტრიბუცია | – | საზოგადოებრივი საკუთრება |
| კლასობრ. კონფლ. გამოსწორება | – | უკლასო საზოგადოება |
| შეფარდებითი თანასწორობა | – | აბსოლუტური თანასწორობა |
| შერეული ეკონომიკა | – | სახელმწიფო კოლექტივიზაცია |
| ეკონომიკური მენეჯმენტი | – | ცენტრალური დაგეგმვა |
| საპარლამენტო პარტია | – | ავანგარდული პარტია |
| პოლიტიკური პლურალიზმი | – | პროლეტარიატის დიქტატურა |
| ლიბერალ.-დემოკრატ. სახელმწიფო | – | პროლეტარული/სახალხო სახელმ. |

რობის დაბალი დონის შესანარჩუნებლად კაპიტალისტური ეკონომიკური სტრუქტურის რეგულირების ანუ მართვისკენ ილტვოდნენ. 1945 წლის შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ პარტიათა უმრავლესობა კეინზიანურ ეკონომიკაზე გადავიდა, როგორც ეკონომიკის კონტროლისა და სრული დასაქმების საშუალებაზე. დაბოლოს, სოციალისტებს საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო იზიდავდა როგორც კაპიტალიზმის რეფორმირების ან ჰუმანიზების პრინციპული საშუალება. ასეთი სახელმწიფო დანახული იყო როგორც რედისტრიბუციის მექანიზმი, რომელიც სოციალური თანასწორობის დამკვიდრებასა და სიღარიბის აღმოფხვრას შეუწყობდა ხელს. უკვე აღარ იყო საჭირო კაპიტალიზმის მოსპობა, მას მხოლოდ მოდიფიკაცია სჭირდებოდა რეფორმირებულ ანუ საყოველთაო კეთილდღეობის კაპიტალიზმად გარდაქმნით.

ამ ცვლილებათათვის თეორიული შინაარსის მინიჭება და, ფაქტობრივად, ბერნშტაინის მოდერნიზება სცადა გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკურმა მოღვაწემ და თეორეტიკოსმა, ენტონი კროსლანდმა (Anthony Crosland) *სოციალიზმის მომავალში* (The Future of Socialism, 1956). კროსლანდი (1918-77) ამტკიცებდა, რომ თანამედროვე კაპიტალიზმს თითქმის არაფერი აქვს საერთო მეცხრამეტე საუკუნის იმ მოდელთან, რომელსაც მარქსი გულისხმობდა. კროსლანდმა განიცადა ჯეიმზ ბერნემის (James Burnam) იდეების გავლენა, რომელიც თავის *მენეჯერულ რევოლუციაში* (The Managerial Revolution, [1941] 1960) ავითარებდა აზრს, რომ მენეჯერთა, ექსპერტთა და ტექნოკრატთა ახალმა კლასმა ძველი კაპიტალისტური კლასის ადგილი დაიკავა და ყველა განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში, კაპიტალისტურშიც და კომუნისტურშიც, გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. კროსლანდს სწამდა, რომ კაპიტალის მფლობელობა გაემიჯნა მის კონტროლს. იმ დროს, როცა აქციათა მფლობელები, რომლებიც ფლობენ ბიზნესებს, პრინციპულად მოგებით არიან დაინტერესებულნი, ხელფასიან მენეჯერებს, რომლებიც ყოველდღიურ ბიზნეს-გადაწყვეტილებებს იღებენ, უფრო ფართო მიზნები აქვთ, კერძოდ, ინდუსტრიული ჰარმონიის შენარჩუნება და იმავდროულად თავიანთი კომპანიის საზოგადოებრივი იმიჯის განმტკიცება. ამის გამო მარქსიზმი არარელევანტური გახდა; თუკი უკვე შეუძლებელია კაპიტალიზმის როგორც კლასობრივი ექსპლუატაციის სისტემის განხილვა, მაშინ ფუნდამენტალისტთა მიზნებმა ნაციონალიზაციასა და დაგეგმვასთან დაკავშირებით უბრალოდ დრომოჭმული სახე მიიღო.

თუმცა, როგორც სოციალისტი, კროსლანდი სოციალური სამართლიანობის მიზნის ერთგული დარჩა, რაც, მისი გაგებით, ქონების უფრო თანაბარ დისტრიბუციას ნიშნავდა. არ იყო საჭირო ქონების საზოგადოებრივ საკუთრებაში არსებობა, შესაძლებელი იყო მისი რედისტრიბუცია პროგრესული დაბეგვრით დაფინანსებული საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს მეშვეობით. ასეთი სახელმწიფო ღარიბთა და საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენების საარსებო სტანდარტებს აამაღლებდა, ამავდროულად კი პროგრესული საგადასახადო სისტემა აიძულებდა გაფართოებული სოციალური უზრუნველყოფის ტვირთი ძლიერსა და წარმატებულს ეტვირთა. საბოლოოდ კროსლანდმა აღიარა, რომ სოციალიზმის

დამკვიდრებაში გადამწყვეტ როლს ეკონომიკური აღმავლობა ასრულებს. უფრო გულუხვი სოციალური ხარჯების დასაფინანსებლად საჭირო საგადასახადო შემოსავლების წარმოსაქმნელად სწორედ ეკონომიკური აღმავლობაა არსებითი. დაბოლოს, შეძლებულნი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან მზად გაჭირვებულთა დასაფინანსებლად, თუ მათი საკუთარი საარსებო დონე ეკონომიკური აღმავლობით იქნება დაზღვეული.

## სოციალური დემოკრატიის კრიზისი

1945 წლის შემდგომი პერიოდი კეინზიანური სოციალური დემოკრატიის ანუ ტრადიციული სოციალური დემოკრატიის ტრიუმფის პერიოდია. მისი ძლიერება ის იყო, რომ მან საბაზრო დინამიზმის გამოყენება მოახერხა უთანასწორობისა და დესტაბილიზაციის დონეთა მიმართ დათმობების გარეშე, რომლებიც, მარქსის რწმენით, კაპიტალიზმს დაღუპავდა. ლიბერალური და კონსერვატიული პარტიები სიამოვნებით გამოეხმაურნენ ამ მოვლენას სოციალური დემოკრატიის საკუთარი ფორმების განვითარებით, რომელთაგან პირველი თანაბარ შესაძლებლობებს ეფუძნებოდა, ხოლო უკანასკნელი პატერნალისტურ ანუ "ერთი ერის" იდეალს. მაგრამ, ისე ჩანდა, თითქოს იდეათა ბრძოლაში ზომიერმა სოციალიზმმა გაიმარჯვა: პოლიტიკური აზროვნება განუხრელად მარცხნივ მიემართებოდა. მიუხედავად ამისა, კეინზიანური სოციალური დემოკრატია კომპრომისზე დაყრდნობას განაგრძობდა. ერთი მხრივ, აღიარებდნენ ბაზარს, როგორც დოვლათის შექმნის ერთადერთ საიმედო საშუალებას. ბაზრისკენ ეს იძულებითი მიბრუნება იმას ნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატები ბაზრის სხვა რაიმე სიცოცხლისუნარიანი სოციალური ალტერნატივის არარსებობას აღიარებდნენ, და გულისხმობდნენ, რომ სოციალური პროექტი ხელახლა დაიბადა არა როგორც კაპიტალიზმის ჩანაცვლების, არამედ მისი გარდაქმნის მცდელობა. მეორე მხრივ, სოციალისტური ეთიკა სოციალური სამართლიანობისადმი ერთგულების ფორმით შემორჩა, რაც საზოგადოებაში დოვლათისა და ამონაგების მორალურად გამართლებულ განაწილებას გულისხმობს. ეს კი, თავის მხრივ, თანასწორობის სუსტ ცნებასთან იყო დაკავშირებული: დისტრიბუციულ თანასწორობასთან, იდეასთან, რომლითაც სიმდიდრის მდიდრებისგან ღარიბებისკენ გადანაწილებით უნდა მომხდარიყო სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტებმა საყოველთაო სოციალური რეკონსტრუქციის ამოცანას თავი ანებეს, მათ სურდათ სანაცვლოდ სოციალური ინჟინერიის პროგრამა მიეღოთ.

თუმცა მაშინ, როცა ფუნდამენტალისტურ სოციალიზმს აშკარა და მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი ჰქონდა – კაპიტალიზმის გაუქმება, – კაპიტალიზმის რეფორმირების რევიზიონისტური მიზანი გაცილებით უფრო ბუნდოვანი იყო. ყველა სოციალისტი თანხმდებოდა იმაზე, რომ კაპიტალიზმის მოდიფიკაცია სოციალური სამართლიანობის პრინციპის მიხედვით უნდა მომხდარიყო, მაგრამ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიეღწიათ ამისთვის, ან თუ როგორი განმარტება უნდა ჰქონოდა "სოციალურ სამართლიანობას", მათ ძალზე განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. მაგალითად, რო-

გორი უნდა იყოს შერეულ ეკონომიკაში ბალანსი საზოგადოებრივ და კერძო საკუთრებას შორის, რომელი დარგების ნაციონალიზაცია უნდა მოხდეს და რომელი უნდა დარჩეს კერძო საკუთრებაში? რა დონემდე შეიძლება გაფართოვდეს საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო, ვიდრე მზარდი გადასახადები ეკონომიკური განვითარების დამაბრკოლებლად იქცევა? უნდა დააკმაყოფილონ თუ არა სოციალისტურმა მთავრობებმა დაბალანაზღაურებად მუშათა სახელფასო მოთხოვნები, როდესაც ამან შეიძლება ინფლაციის რისკი წარმოშვას? უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში სოციალ-დემოკრატებმა ჩარევის გამართლება დაიწყეს არა ტრადიციული სოციალური პრინციპებით, არამედ უფრო ლიბერალურ იდეებთან მიმართებით, როგორიცაა შესაძლებლობათა თანასწორობა და პოზიტიური თავისუფლება. სოციალიზმსა და ლიბერალიზმს შორის სხვაობა, ამდენად, სულ უფრო ბუნდოვანი ხდებოდა.

კეინზიანური სოციალური დემოკრატიის საფუძველში იდო კონფლიქტი, რომელიც მომდინარეობდა მისი ერთგულებიდან როგორც ეკონომიკური ეფექტურობისადმი, ისე ეგალიტარიზმისადმი. ომის შემდგომი პერიოდის "ხანგრძლივი ბუმის" დროს სოციალ-დემოკრატები ამ კონფლიქტის პირისპირ არ დამდგარან, რადგანაც სტაბილურმა ზრდამ, უმუშევრობის დაბალმა მაჩვენებელმა და დაბალმა ინფლაციამ ყველა სოციალური ჯგუფის ცხოვრების სტანდარტი გააუმჯობესა და დაეხმარა უფრო გულუხვი სოციალური დახმარების დაფინანსების საქმეს. თუმცა, კროსლანდის წინასწარმეტყველებისამებრ, 70-80-იანი წლების ეკონომიკურმა ვარდნამ სოციალურ დემოკრატიაში დაძაბულობა წარმოქმნა და მოახდინა სოციალისტური აზროვნების ორ უფრო მკაფიოდ გამოკვეთილ, მემარჯვენე და მემარცხენე პოზიციებად პოლარიზება. ვარდნამ "საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ფისკალური კრიზისი" დააჩქარა. ამავდროულად, გაიზარდა მოთხოვნილება სოციალურ დახმარებაზე, რადგან უმუშევრობა ისევ გაჩნდა და მოხდა იმ საგადასახადო შემოსავლების ამოწურვა, რითაც სოციალური ხარჯები ფინანსდებოდა, რადგან სულ უფრო ცოტა ხალხი რჩებოდა დასაქმებული და ბიზნესი ნაკლებ მომგებიანი იყო. პასუხი იყო გასაცემი ერთ ძნელ კითხვაზე: უნდა ეცადათ თუ არა სოციალ-დემოკრატებს საბაზრო ეკონომიკისთვის ეფექტურობის დაბრუნება, რაც, ალბათ, ინფლაციასა და, შესაძლოა, გადასახადების შემცირებას ნიშნავდა, თუ ღარიბები და დაბალი ანაზღაურების მქონენი უნდა დაეცვათ სოციალური ხარჯების შენარჩუნებით ან გაზრდითაც კი?

80-90-იან წლებში სოციალური დემოკრატიის ამ კრიზისის გამწვავება შემდეგ ფაქტორთა კომბინაციით მოხდა: პირველ რიგში, სოციალური დემოკრატიის საარჩევნო სიცოცხლისუნარიანობა დეინდუსტრიალიზაციამ და სოციალური დემოკრატიის ტრადიციული სოციალური საფუძვლის, მუშათა კლასის რიცხოვნობის შემცირებამ შეარყია. იმ დროს, როცა 1945 წლის შემდგომ პერიოდში დემოკრატიის ტალღა პროგრესულ პოლიტიკასთან ერთად მიედინებოდა, 1980-იანი წლებიდან ის იმათ ინტერესებზე ორიენტირებული გახდა, ვისაც ჯ. კ. გელბრაითი (J. K. Galbraith) "კმაყოფილ უმრავლესობას" უწოდებდა. ამდენად, კეინზიანიზმი ეკონომიკური მენეჯმენ-

ტისადმი "დაბეგრე და დახარჯე" ტიპის მიდგომასთან ასოცირდებოდა, რომელიც პერმანენტულად მაღალი დონის ინფლაციის რისკს ქმნიდა; საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო კონკრეტულად – მოსამსახურეების, ხოლო საზოგადოდ მდიდართა ტვირთად განიხილებოდა, ხოლო ნაციონალიზებული წარმოებები ალღოს მოკლებული და არაეფექტური გამოდგა. სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს სოციალური და საარჩევნო ელექტორატის ცვლილებებისთვის დიდი საფასურის გადახდა მოუწიათ. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს ლეიბორისტული პარტია 1979-1992 წლებში ზედიზედ ოთხ საყოველთაო არჩევნებში დამარცხდა. 1982-1998 წლებში SPD გერმანიაში ხელისუფლების მიღმა დარჩა; გამანადგურებელი მარცხი განიცადა საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამაც, განსაკუთრებით 1993 და 2002 წლებში, როდესაც სოციალისტმა კანდიდატმა ლიონელ ჟოსპინმა (Lionel Jospin) საპრეზიდენტო არჩევნების ბოლო ტურამდეც ვერ მიაღწია. მეორე ფაქტორი ის იყო, რომ სოციალური დემოკრატიის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას საფუძველი შეურყია ეკონომიკური გლობალიზაციის წინსვლამ. ნაციონალურ ეკონომიკათა უფრო დიდ, გლობალურ კაპიტალისტურ სისტემაში ინტეგრაციამ არა მხოლოდ უსარგებლო გახადა კეინზიანიზმი, რადგანაც კეინზიანური პოლიტიკა გულისხმობდა, რომ მთავრობებს უნდა შეძლებოდათ ცალკეულ ეროვნულ ეკონომიკათა მართვა, არამედ საერთაშორისო კონკურენციაც გააძლიერა, რადგან წარმოქმნა წნეხი გადასახადებისა და დანახარჯების დონეთა შესამცირებლად, განსაკუთრებით, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს გარდაქმნის გზით, აგრეთვე წნეხი შრომის მოქნილობის გაზრდის მოთხოვნით. მესამე ფაქტორი კი ის იყო, რომ სოციალური დემოკრატიის ინტელექტუალურ სანდოობას დიდი ზიანი მიაყენა კომუნიზმის კოლაფსმა. ამ მოვლენამ არა მხოლოდ ისეთი მსოფლიო შექმნა, რომელიც მოკლებული იყო რაიმე მნიშვნელოვან არაკაპიტალისტურ ფორმებს, არამედ იმის რწმენაც შეარყია, რასაც ენთონი გიდენსი (იხ. გვ. 173) სოციალიზმის კიბერნეტიკულ მოდელს უწოდებდა, რომელშიც სახელმწიფო, მოქმედი როგორც საზოგადოების ტვინი, ეკონომიკური და სოციალური რეფორმის მთავარ აგენტს წარმოადგენს. ამ კუთხით, კეინზიანური სოციალური დემოკრატია მხოლოდ და მხოლოდ იმ "თავდაყირა დაყენებული" სახელმწიფო სოციალიზმის უფრო მოკრძალებულ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც ასე გადაჭრით მოუღეს ბოლო 1989-91 წლების რევოლუციებმა.

## ნეორევიზიონიზმი და "მესამე გზა"

1980-იანი წლებიდან რეფორმისტულმა სოციალისტურმა პარტიებმა მთელ მსოფლიოში რევიზიონიზმის ახალ წრეზე დაიწყეს სვლა, რომელსაც ზოგჯერ ნეორევიზიონიზმს უწოდებენ და რომელშიც პარტიები მეტ-ნაკლებად დაშორდნენ ტრადიციული სოციალური დემოკრატიის პრინციპებსა და ვალდებულებებს. მიღებული იდეოლოგიური პოზიცია მრავალნაირად იწოდებოდა. მათ შორის, "მოდერნიზებულ" სოციალურ დემოკრატიად, "მესამე გზად", "რადიკალურ ცენტრად", "აქტიურ ცენტრად" და "*Neue Mi-*

*lle*"-დ (ახალი საშუალო). თუმცა, ნეორევიზიონიზმის იდეოლოგიური მნიშვნელობა და მისი მიმართება, კერძოდ, ტრადიციულ სოციალურ დემოკრატიასთან და, ზოგადად, სოციალიზმთან, საკამათო და გაუგებარია. ეს ნაწილობრივ იმით არის გამოწვეული, რომ ნეორევიზიონიზმმა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმა მიიღო. ამიტომაც, ბევრი კონტრასტული რევიზიონისტური პროექტი არსებობს, მათ შორის აშშ-ში ბილ კლინტონსა და "ახალ" დემოკრატებთან და გაერთიანებულ სამეფოში ტონი ბლერსა და "ახალ" ლეიბორისტებთან ასოცირებული პროექტები, ისევე როგორც გერმანიაში, ნიდერლანდებში, იტალიასა და ახალ ზელანდიაში წარმოქმნილი პროექტები. ზოგიერთ შემთხვევაში ეს პროექტები არასოციალისტური ან პოსტსოციალისტური ხასიათისაა, ხოლო სხვა შემთხვევაში, სოციალისტური, ან, სულ მცირე, სოციალ-დემოკრატიულ ღირებულებათა გადარჩენის მცდელობა იყო. გარდა ამისა, ნეორევიზიონიზმი სხვადასხვა იდეოლოგიურ ტრადიციებს ეფუძნება. გარდა სოციალური დემოკრატიისა მან ეკონომიკური ლიბერალიზმის, სოციალური ლიბერალიზმის, კომუნიტარიზმისა და სოციალური კონსერვატიზმის გავლენა განიცადა. ამდენად, ის არ არის ერთი თავისთავადი, თანმიმდევრული იდეოლოგიური ტრადიცია, არამედ მოწინააღმდეგე ტრადიციათა შერწყმისა და კონფლიქტურ იდეათა და ღირებულებათა მორიგების მცდელობა უფროა. დაბოლოს, ნეორევიზიონიზმს გამოკვეთილი მიდრეკილება აქვს პრაგმატიზმისკენ. ის ქმედითი პოლიტიკური გადაწყვეტილებების ძიებისა და საარჩევნო ნდობის ხელახალი მოპოვების მცდელობამ უფრო წარმოშვა, ვიდრე ახალი იდეოლოგიური სისტემის განვითარების სურვილმა. მართლაც, ნეორევიზიონიზმი ზოგჯერ პოსტმოდერნიზმს ემსგავსება იმით, რომ იდეოლოგიურ სისტემებს მკაცრად დრომოჭმულად მიიჩნევს.

ნეორევიზიონიზმის ძირითადი მიმართულება ეგრეთ წოდებული "მესამე გზის" განვითარების მცდელობა იყო. მესამე გზა, ფართო გაგებით, როგორც კაპიტალიზმის ისე სოციალიზმის ალტერნატივის იდეას მოიცავს. ტერმინი პირველად ფაშისტებმა გამოიყენეს და სავსებით შესაძლებელი იყო მისი გამოყენება ტრადიციული სოციალური დემოკრატიის აღსაწერადაც. თუმცა, თანამედროვე ფორმით, მესამე გზა ძველი სტილის სოციალური დემოკრატიისა და ნეოლიბერალიზმის ალტერნატივას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მესამე გზის ცნება (შესაძლოა შინაგანად) გაურკვეველია და ბევრი ინტერპრეტაცია აქვს, მესამე გზისთვის დამახასიათებელი რამდენიმე თემის გამოკვეთა მაინც შესაძლებელია. პირველი მათგანი იმის რწმენაა, რომ სოციალიზმი, ყოველ შემთხვევაში სახელმწიფო ინტერვენციის "თავდაყირა" ფორმით მაინც, აღარ არსებობს: აღარ არსებობს იმის ალტერნატივა, რასაც 1995 წელს გაერთიანებული სამეფოს ლეიბორისტული პარტიის ხელახლა დაწერილი კონსტიტუციის IV მუხლი "დინამიურ საბაზრო ეკონომიკად" მოიხსენიებს. ამას უკავშირდება ზოგადად გლობალიზაციის აღიარება და იმის რწმენა, რომ კაპიტალიზმმა განიცადა მუტაცია "ინფორმაციულ საზოგადოებად" ან "ცოდნის ეკონომიკად", რომელიც პირველხარისხოვან მნიშვნელობას საინფორმაციო ტექნოლოგიას, ინდივიდუალურ უნარებსა და როგორც შრომით, ისე ბიზნეს-მოქნილობას ანიჭებს. სა-

ხელმწიფოზე მაღლა ბაზრის დაყენება და ბიზნესისა და ინიციატივის მხარდამჭერ პოზიციაზე დგომა იმას ნიშნავს, რომ მესამე გზა 80-90-იანი წლების ნეოლიბერალურ რევოლუციებზე დაყრდნობას უფრო ცდილობს, ვინემ მათთვის ზურგის შექცევას.

მესამე გზის მეორე მნიშვნელოვანი შეხედულება საზოგადოებრივი და მორალური პასუხისმგებლობის ხაზგასმაა. საზოგადოებას, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი სოციალისტური მემკვიდრეობა აქვს, რომელიც, ძმობისა და თანამშრომლობის მსგავსად, სოციალური არსის იდეას ეფუძნება. თუმცა კომუნიტარიზმი, რომელიც მესამე გზის აზროვნებაზე ახდენს გავლენას, ლიბერალური ინდივიდუალიზმის კრიტიკასთან ასოცირდება. კომუნიტარელი თეორეტიკოსები, როგორიცაა ელისდერ მაკინტაირი (Alisdair MacIntyre, 1981) და მაიკლ სენდელი (Michael Sandel, 1982) ამტკიცებდნენ, რომ ინდივიდის, როგორც ლოგიკურად საზოგადოებაზე მაღლა ან მის "გარეთ" მდგომის წარმოდგენით, ლიბერალიზმმა უბრალოდ თავკერძა და ეგოისტური ქცევის ლეგიტიმაცია მოახდინა და ამით საზოგადოებრივი კეთილდღეობის იდეა შელახა. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მესამე გზა ნეოლიბერალიზმის ბევრ ეკონომიკურ თეორიას იზიარებს, იგი ხაზგასმით უარყოფს მის ფილოსოფიურ, მორალურ და სოციალურ საფუძვლებს. საბაზრო ფუნდამენტალიზმისგან მომდინარე საშიშროება ისაა, რომ ის წარმოშობს ყველაფრის დაშვებულობის ატმოსფეროს, რომელიც ძირს უთხრის საზოგადოების მორალურ საფუძვლებს. მესამე გზის ზოგიერთი ვერსია, განსაკუთრებით "ბლერის პროექტი" გაერთიანებულ სამეფოში, მაინც ცდილობს კომუნიტარული და ლიბერალური იდეების შერწყმას, რითაც ქმნის კომუნიტარული ლიბერალიზმის სახეობას, რომელიც ბევრი რამით ჰგავს გვიანი მეცხრამეტე საუკუნის "ახალ ლიბერალიზმს". კომუნიტარული ლიბერალიზმის ქვაკუთხედი უფლებებისა და მოვალეობების შინაგანი კავშირის რწმენაა: ყველა უფლებას მოვალეობები უნდა აბალანსებდეს და პირიქით. ეს შეხედულება ეგრეთ წოდებულ "ახალ" ინდივიდუალიზმს ეფუძნება, რომელიც მხარს უჭერს ავტონომიას, მაგრამ ხაზს უსვამს იმას, რომ ინდივიდები ურ-

## კომუნიტარიზმი

კომუნიტარიზმი იმის რწმენაა, რომ სელფი ან პიროვნება საზოგადოებაში ყალიბდება იმ გაგებით, რომ ინდივიდებს ის საზოგადოებები აყალიბებენ, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან და ამდენად, მათი პატივისცემა და ყურადღება მართებთ – "დაუვალებელი სელფები" არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალურ ინდივიდუალიზმთან არაფერი აქვს საერთო, კომუნიტარიზმი მაინც პოლიტიკურ ფორმათა მრავალფეროვნებით ხასიათდება. *მემარცხენე* კომუნიტარიზმის თანახმად, საზოგადოება შეუზღუდავ დამოუკიდებლობასა და სოციალურ თანასწორობას მოითხოვს (მაგალითად, ანარქიზმი). *ცენტრისტული* კომუნიტარიზმის მიხედვით, საზოგადოებამ კარგად იცის ორმხრივი უფლებები და მოვალეობები (მაგალითად, სოციალური დემოკრატია / ტორის პატერნალიზმი). *მემარჯვენე* კომუნიტარიზმის მიხედვით, საზოგადოება მოითხოვს ხელისუფლებისა და დამკვიდრებულ ფასეულობათა პატივისცემას (მაგალითად, ახალი მემარჯვენეობა).

თიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთკონტროლის კონტექსტში მოქმედებდნენ. ამ თვალსაზრისით, შეიძლება როგორც სოციალური დემოკრატიის, ისე ნეოლიბერალიზმის დადანაშაულება იმაში, რომ მათ მოახდინეს უფლებების გაფართოება მოვალეობების გაზრდის გარეშე; პირველ შემთხვევაში ეს არის სოციალური უფლებები, ხოლო უკანასკნელს რაც შეეხება – ეკონომიკური და საკუთრების უფლებები. ამიტომაც მესამე გზის პოლიტიკა საზოგადოებაში "მოვალეობათა დეფიციტის" გამოსწორებას ცდილობს.

მესამე მომენტი ის არის, რომ მესამე გზის მომხრეები საზოგადოებაზე, სოციალიზმის კონფლიქტური შეხედულების საპირისპიროდ, შემრიგებლური შეხედულების მიღებისკენ იხრებიან. ეს ჩანს, მაგალითად, საზოგადოების მიერ იმ ბმათა გამოკვეთის ტენდენციაში, რომლებიც საზოგადოების ყველა წევრს ერთმანეთს უკავშირებს, და ამ გზით, კლასობრივი განსხვავებებისა და ეკონომიკური უთანასწორობის იგნორირებას ახდენს ან ჩქმალავს. ამის მსგავსად, "ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის" იდეა იმ აზრის გამტარებელია, რომ მატერიალური ანაზღაურება ხდება უკვე არა სტრუქტურული უთანასწორობის საფუძველზე, არამედ უფრო მეტად საზოგადოებაში მიმდინარე შრომითი უნარ-ჩვევების განაწილებას შეესაბამება. მესამე გზის ფასეულობათა ჩარჩოში კონსენსუსისა და სოციალური ჰარმონიის რწმენაც თავსდება, რომელიც ტრადიციული მორალისა და იდეოლოგიური აზროვნების ან/ან ხასიათის მიდგომას უარყოფს და ისეთ რამეს გვთავაზობს, რაც თითქმის უტოლდება არადუალისტურ მსოფლმხედველობას. ამდენად, მესამე გზის მიმდევარი პოლიტიკოსები, ჩვეულებრივ, მხარს უჭერენ მეწარმეობასა და სამართლიანობას, პირადი შესაძლებლობების გამოყენებასა და უსაფრთხოებას, საკუთარი თავის რწმენასა და ურთიერთზე დამოკიდებულებას და ასე შემდეგ. მაშინ, როცა ამან შესაძლოა მესამე გზა "მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას მიღმა" არსებულად წარმოადგინოს, როგორც ამას ენთონი გიდენსი (Anthony Giddens, 1994) ამტკიცებდა, კრიტიკისთვის ღიად რჩება ის საკითხი, რომ საუკეთესო შემთხვევაში ყოველივე ეს ორაზროვანია, ხოლო უარეს შემთხვევაში – უბრალოდ, არათანმიმდევრული.

მეოთხე მომენტია ის, რომ მესამე გზამ თანასწორობისადმი ტრადიციული სოციალისტური ერთგულება სოციალურ ჩართულობაზე ზრუნვით ჩაანაცვლა. ეს ისეთი ლიბერალური იდეებისადმი ყურადღებიდან ჩანს, როგორიცაა საკუთარი შესაძლებლობების რწმენა და მერიტოკრატიაც კი. ამდენად, ეგალიტარიზმი შესაძლებლობათა თანასწორობის რწმენამდე ან "კაპიტალზე დაფუძნებულ ეგალიტარიზმამდე" დავიდა, ანუ კაპიტალისა და შესაძლებლობების გამოყენების უფლებამდე, რაც საშუალებას მისცემს ინდივიდებს, მოახდინონ თავიანთი პოტენციალის რეალიზება. ამიტომაც სოციალური უზრუნველყოფის რეფორმის მესამე გზისეული ვარიანტები, ჩვეულებრივ, უარყოფს როგორც "საკუთარ ორ ფეხზე დგომის" ნეოლიბერალურ არსებით თვალსაზრისს, ისე "აკვნიდან სამარემდე" სოციალური უზრუნველყოფის სოციალურ-დემოკრატიულ რწმენას. ამის ნაცვლად სოცუზრუნველყოფა "სოციალურად გარიყულებზე" უნდა იყოს მიმართული და უნდა ეთანხმებოდეს თანამედროვე ლიბერალურ მიდგომას "დავეხმა-

> გაერთიანებული სამეფოს სოციალური და პოლიტიკური თეორეტიკოსი. 1997-2003 წლებში გიდენსი ლონდონის ეკონომიკის სკოლის დირექტორი იყო. მან, ხშირად "ტონი ბლერის გურუდ" წოდებულმა, დიდი გავლენა იქონია ახალი სოციალ-დემოკრატიული წესრიგის განვითარებაზე გაერთიანებულ სამეფოში და სხვაგან.
>
> გიდენსის როგორც საზოგადოებრივი თეორეტიკოსის მნიშვნელობა მისმა სტრუქტურირების თეორიამ დაამკვიდრა, რაც განავითარა ნაშრომებში *სოციოლოგიური მეთოდის ახალი წესები* (*New Rules of Sociological Method*, 1976) და *საზოგადოების კონსტიტუცია* (*The Constitution of Society*, 1984) და რომელიც სტრუქტურისა და მოქმედების ტრადიციული დუალიზმის გადალახვას ისახავდა მიზნად. თავის გვიანდელ ნაშრომებში, რომელთა შორისაა *მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას მიღმა* (*Beyond Left and Right*, 1994), *მესამე გზა* (*The Third way*, 1998), *აშვებული მსოფლიო* (*The Runaway World*, 1999) და *მესამე გზა და მისი კრიტიკოსები* (*The Third Way and Its Critics*, 2000), გვიანი მოდერნიზმის დადგომის ფონზე და ისეთ პროცესთა განვითარების გათვალისწინებით, როგორებიცაა გლობალიზაცია, დეტრადიციონალიზაცია და სოციალური რეფლექსურობის (ურთიერთქმედებისა და ურთიერთზე დამოკიდებულების) ზრდა, იგი სოციალური დემოკრატიის ხელახალი მოდელირების გზებს ეძებდა.

როთ ხალხს, რომ დაეხმარონ საკუთარ თავს" ან, როგორც კლინტონმა თქვა, გავუწოდოთ ხალხს "თანადგომის და არა მოწყალების ხელი". შეერთებული შტატების "workfare"-ის (სამუშაოთი უზრუნველყოფის) იდეის თანახმად, სოცუზრუნველყოფის პოლიტიკა განსაკუთრებით სამუშაოს ხელმისაწვდომობის გაფართოებისკენ უნდა იყოს მიმართული. ეს იდეა გულისხმობს იმის რწმენას, რომ სოციალური დახმარება ინდივიდთა მიერ სამუშაოს პოვნისა და თავდაჯერებულ ადამიანებად გახდომის სურვილს უნდა ეთანადებოდეს.

დაბოლოს, მესამე გზა სახელმწიფოს როლის შესახებ ახალი იდეებით ხასიათდება. იმ დროს, როცა ნეოლიბერალები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო თავისი მინიმალური ანუ გუშაგის როლით უნდა შემოიფარგლოს, ხოლო სოციალ-დემოკრატებს კაპიტალისტურ უსამართლობათა დასაბალანსებლად სურთ მისი გამოყენება, მესამე გზა კონკურენციაზე დამყარებული (კონკურენციული) ან, სხვაგვარად, საბაზრო სახელმწიფოს იდეას ემხრობა. კონკურენციულია სახელმწიფო, რომლის ძირითადი როლი მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში ეროვნული კეთილდღეობის სტრატეგიის შემუშავება და ცხოვრებაში გატარებაა. ამიტომაც ასეთმა სახელმწიფომ სოციალურ ინვესტირებაზე უნდა მოახდინოს კონცენტრირება, რაც ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და, რაც ყველაზე მთავარია, ქვეყნის მშრომელი ძალის უნარებითა და ცოდნით უკეთ უზრუნველყოფას ნიშნავს. ეს ეკონომიკისადმი "მომწოდებლური" მიდგომა უფროა, რომელიც წარმოების გაზრდასა და კონკურენციის დახვეწას ისახავს მიზნად, ვიდრე სოციალ-დემოკრატიული "მომხმარებლური" მიდგომა, რომლის მიზანიც სოციალური დანახარჯების გაზრდა და სიღარიბის აღმოფ-

### სოციალიზმში (2)

| მესამე გზა | v. | სოციალური დემოკრატია |
|---|---|---|
| პრაგმატული | – | იდეოლოგიური |
| გლობალიზაცია | – | ერი-სახელმწიფო |
| საინფორმაციო საზოგადოება | – | ინდუსტრიული საზოგადოება |
| საზოგადოებრივი აქტივობა | – | კლასობრივი პოლიტიკა |
| საბაზრო ეკონომიკა | – | შერეული ეკონომიკა |
| სრული დასაქმებადობა | – | სრული დასაქმება |
| შესაძლებლობათა თანასწორობა | – | შედეგთა თანაბრობა |
| მერიტოკრატია | – | დაჩაგრულზე ზრუნვა |
| შესაძლებლობა ყველასთვის | – | სოციალური სამართლიანობა |
| ჩართულობის ხელშეწყობა | – | სიღარიბის აღმოფხვრა |
| უფლებები და მოვალეობები | – | სოციალური უფლებები |
| სოცუზრუნველყ. მომუშავეთათვის | – | სოცუზრუნვ. აკვნიდან საფლავამდე |
| კონკურენტული/საბაზრო სახელმწ. | – | სოციალურ-რეფორმისტ. სახელმწ. |

ხვრაა. ამდენად, მთავრობის პრიორიტეტი განათლება უნდა იყოს და არა სოციალური უზრუნველყოფა, სადაც განათლება ღირებულია არა მისი თავისთავადი მნიშვნელობით, როგორც პიროვნული განვითარების საწინდარი (თანამედროვე ლიბერალური შეხედულება), არამედ იმიტომ, რომ დასაქმებას უწყობს ხელს და სარგებელი მოაქვს ეკონომიკისთვის (უტილიტარული ან კლასიკური ლიბერალური შეხედულება). ამ გადასახედიდან, მთავრობა არსებითად კულტურული აქტორია, რომლის მიზანიც მოსახლეობის დამოკიდებულებების, ფასეულობების, უნართა, შეხედულებებისა და ცოდნის ფორმირება ან ხელახალი ჩამოყალიბება უფროა, ვიდრე ეკონომიკური ან სოციალური ინჟინერიის რაიმე პროგრამის გატარება.

## სოციალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში

ოცდამეერთე საუკუნის სოციალიზმზე მსჯელობა ვიღაცამ შეიძლება აზრსმოკლებულად ჩათვალოს. სოციალიზმი მოკვდა და ნეკროლოგებიც დაიწერა. მართლაც, არც ისე ძნელია გაიზიარო ეს შეხედულება. 1989-91 წლების აღმოსავლეთევროპულმა რევოლუციებმა "ფაქტობრივად არსებული სოციალიზმის" უკანასკნელი ნაკვალევიც კი წაშალა, და იქ, სადაც სოციალისტურმა რეჟიმებმა ნომინალურად სიცოცხლე შეინარჩუნა როგორც ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეასა და კუბაში, ასე მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ კომუნისტურმა პარტიებმა მზაობა გამოხატეს საბაზრო რეფორმები გაეტარებინათ. დანარჩენ მსოფლიოში საპარლამენტო სოციალისტური პარტიები ტრადიციულ პრინციპებს გაურბოდნენ, რათა ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკისადმი მზარდი სიმპათიის დემონსტრირებით ამომრჩეველთა ნდობა შეენარჩუნებინათ. სერიოზული დებატების საგანი მხოლოდ სოცია-

ლიზმის აღსასრულის გამომწვევი მიზეზი იყო. ისტორიის დასასრულის თეორიის წარმომადგენლები, მაგალითად, ფრენსის ფუკუიამა (1989) ამას ყველა სოციალისტურ მოდელში არსებულ შიდა დინებებსა და ლიბერალური კაპიტალიზმის აშკარა უპირატესობას მიაწერდნენ. დანარჩენები ხაზს უსვამდნენ გლობალიზებული ეკონომიკისთვის დამახასიათებელ ყველა ერის საერთაშორისო კაპიტალისტურ სისტემაში მოქცევის ტენდენციას. და კიდევ, სხვები ყურადღებას ამახვილებდნენ სოციალიზმის პოლიტიკური საფუძვლის, მუშათა კლასის მასობრივი რიგების იზოლირებულ და დეპოლიტიზებულ ქვეკლასამდე შეკუმშვის ფაქტორზე. რა ახსნაც უნდა ჰქონდეს სოციალიზმის სიკვდილს, მსოფლიო მნიშვნელოვნად შეიცვალა, თანაც გარდაუვალად მემარჯვენე მიმართულებით, გაგზავნა რა სოციალიზმი იქ, რასაც ტროცკი სრულიად განსხვავებულ პირობებში "ისტორიის სანაგვეს" უწოდებდა.

თუმცა, სოციალისტები, რომელთაც არ სჯერათ ისტორიის დასასრულისა, არ აპირებენ დამორჩილდნენ ამ გულგატეხილობას. სოციალიზმის გარდუვალი გამარჯვების შესახებ მეოცე საუკუნის დასაწყისში გაკეთებულ წინასწარმეტყველებათა მსხვრევის მსგავსად, არც სოციალიზმის აღსასრულის შესახებ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში გაკეთებული განცხადებები ჩანს სანდო. მართლაც, ჯერ კიდევ 60-იან წლებში სწორედ თავისუფალი საბაზრო ლიბერალიზმი ითვლებოდა ზედმეტად, ხოლო სოციალიზმი უდიდესი პროგრესის მომტანი ჩანდა. სოციალიზმის გადარჩენის იმედები კაპიტალისტური სისტემის მუდმივ და ალბათ შინაგან არასრულყოფილებას ემყარება. როგორც რალფ მილიბენდი (Ralph Miliband) ამბობდა თავის ბოლო ნაშრომში *სოციალიზმი სკეპტიკური საუკუნისთვის* (*Socialism for a Sceptical Age*, 1995), "წარმოდგენა, რომ კაპიტალიზმმა სრული ტრანსფორმაცია განიცადა და საუკეთესოა იმათ შორის, რისი მიღწევის იმედიც კაცობრიობას შეიძლება ჰქონდეს, ადამიანთა მოდგმის საშინელი შეურაცხყოფაა". ამ გაგებით, სოციალიზმს გადარჩენა უწერია, თუნდაც მხოლოდ იმის შესახსენებლად, რომ ადამიანური განვითარება შეიძლება საბაზრო ინდივიდუალიზმს გასცდეს. გარდა ამისა, გლობალიზაციამ სოციალიზმს გამოწვევასთან ერთად გარკვეული შესაძლებლობებიც შეიძლება მისცეს. სწორედ ისევე, როგორც კაპიტალიზმმა განიცადა ტრანსფორმირება ეკონომიკური ცხოვრების ზეეროვნული განზომილების მნიშვნელობის ზრდის გამო, სოციალიზმიც შეიძლება გლობალური ექსპლუატაციისა და უთანასწორობის კრიტიკად გადაქცევის პროცესში იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით თეორიულად განმტკიცებული არ არის, ეს უკიდურეს შემთხვევაში, ახალი ანტიკაპიტალისტური და ანტიგლობალიზაციური მოძრაობის საყრდენს წარმოადგენს. სხვა სიტყვებით, ოცდამეერთე საუკუნეში სოციალიზმი შეიძლება უბრალოდ კვლავ დაიბადოს ანტიკაპიტალიზმის სახებით.

თუ სოციალიზმი გადარჩება, რა სახის იქნება ის? რაც აშკარად სავარაუდოა, ისაა, რომ მისი შთაგონების წყარო საბჭოთა ეპოქის ბიუროკრატიული ავტორიტარიზმი არ იქნება. მარქსიზმ-ლენინიზმი ალბათ მართლაც მოკვდა და ცოტა სოციალისტური ცრემლი თუ დაიღვრება მისი გასვენები-

სას. ამის ერთ-ერთი შედეგი შესაძლოა მარქსის მემკვიდრეობის გადასინჯვა გახდეს, რომელიც ახლა ლენინური და სტალინური გამოცდილებისგან განთავისუფლდა. თუმცა, ეს ალბათ უფრო იქნება წარმოდგენა მარქსზე როგორც ჰუმანისტ-სოციალისტზე და არა მეოცე საუკუნისთვის უფრო ნაცნობი მარქსის როგორც ეკონომიკური დეტერმინისტის იმიჯი. მაშინ, როცა საპარლამენტო სოციალიზმს ეხება საქმე, ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა რჩება. კეინზიანური სოციალური დემოკრატია, ყოველ შემთხვევაში, მისი 1945 წლის შემდგომი სახით, შეიძლება ჩამოწერილი იყოს, მაგრამ საბაზრო კაპიტალიზმის პოლიტიკურად და ამომრჩეველთა ნდობის თვალსაზრისით სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივა ჯერ კიდევ შესაქმნელია. მესამე გზისა და სხვა ნეორევიზიონისტური პროექტებისადმი ინტერესი უეჭველად სოციალიზმის შიგნით "ახალი აზროვნების" სურვილს მოწმობს, განსაკუთრებით, ფუნდამენტალისტური ნეოლიბერალიზმისადმი წინააღმდეგობის გაწევის საჭიროებას, მაგრამ სოციალიზმის ხელახლა დაბადების საბუთად ამის აღქმა ძნელია: ამასობაში ახალი სოციალისტური პარადიგმის ძიება გრძელდება.

## რეკომენდებული ლიტერატურა

Giddens, A., *The Third Way: The Renewal of Social Democracy* (Cambridge: Polity Press, 1998). ფართოდაა აღიარებული მესამე გზის პოლიტიკის ძირითად ტექსტად.

Harrington, M., *Socialism Past and Future* (London: Pluto Press, 1993). გახმაურებული, მგზნებარე და გამჭრიახი მსჯელობა იმის თაობაზე, თუ სად იდგა სოციალიზმი და საით მიემართება.

Lane, D., *The Rise and Fall of State Socialism* (Oxford: Polity Press, 1997). 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციიდან წარმოშობილი სოციალისტური ტრადიციის თემებისა და სტრუქტურის ანალიზი.

Martell, L., (ed.) *Social Democracy: Global and National Perspectives* (Basingstoke and New York: Palgrave, 2001). სტატიათა კრებული, რომელიც სოციალური დემოკრატიის შიგნით მიმდინარე მოვლენებს განიხილავს გლობალიზაციის, ევროპეიზაციისა და განსხვავებულ ნაციონალურ ტრადიციათა ფონზე.

McLellan, D., *The Thought of Karl Marx, 2nd edn* (London: Macmillan, 1980). სრული და სასარგებლო შესავალი კურსი მარქსის ნაშრომისთვის, რჩეულ ტექსტთა თანხლებით.

Moschonas, G., *In the Name of Social Democracy – The Great Transformation: 1945 to the Present* (London and New York: Verso, 2002). სოციალური დემოკრატიის ხასიათის, ისტორიისა და გავლენის შთამბეჭდავი და სრული მიმოხილვა, რომელიც "ახალი სოციალური დემოკრატიის" წარმოქმნაზეა ფოკუსირებული.

Sassoon, D., *One Hundred Years of Socialism* (London: Fontana, 1997). დემოკრატიული სოციალისტური იდეებისა და მოძრაობათა არსებობისა და პერიოდების ძალიან სტილური და დეტალური მიმოხილვა.

Wright, A., *Socialisms: Theories and Practices* (Oxford and New York: Oxford University Press, 1996). სოციალიზმის ძირითად თემათა შესახებ კარგად, მოკლედ და პოპულარული ენით დაწერილი შესავალი კურსი, რომელიც სოციალისტურ ოჯახში არსებულ უთანხმოებათა მიზეზებს მიმოიხილავს.

თავი 5

# ნაციონალიზმი

*წარმოშობა და განვითარება*
*ქვეყნის სიყვარულით – ძირითადი თემები*
*ნაციონალიზმი და პოლიტიკა*
*ნაციონალიზმს მიღმა*
*ნაციონალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში*

## წარმოშობა და განვითარება

სიტყვა "nation" მეცამეტე საუკუნიდან იხმარება და წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან *nasci*, რაც დაბადებას ნიშნავს. ამ სიტყვის ფორმა *natio* აღნიშნავდა ადამიანებს, რომელთაც დაბადება ან დაბადების ადგილი აერთიანებდათ; თავისი შინაარსით კი იგი გულისხმობდა ტომს ან რასობრივ ჯგუფს, მაგრამ ის არ გამოიყენებოდა როგორც პოლიტიკური ტერმინი. მხოლოდ მოგვიანებით, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, შეიძინა ამ ტერმინმა პოლიტიკური დატვირთვა, როდესაც დაიწყეს ცალკეული ადამიანებისა და ჯგუფების "ნაციონალისტებად" დახასიათება. ბეჭდურ გამოცემაში სიტყვა "ნაციონალიზმი" პირველად 1789 წელს გამოიყენა ფრანგმა ანტიიაკობინელმა მღვდელმა ოგიუსტენ ბარუელმა (Augustin Barruel). მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებისათვის "ნაციონალიზმი" უკვე ფართოდ იყო ცნობილი როგორც პოლიტიკური დოქტრინა ან მოძრაობა, მაგალითად, როგორც 1848 წელს ევროპაში მომხდარი რევოლუციების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ელემენტი. ნაციონალიზმი მრავალი თვალსაზრისით გადაიქცა ყველაზე წარმატებულ და ძლიერ პოლიტიკურ მრწამსად, რომელიც დაახლოებით ორასი წლის განმავლობაში ქმნიდა და ცვლიდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ისტორიას.

ნაციონალიზმის იდეა საფრანგეთის რევოლუციის დროს წარმოიშვა. მანამდე ქვეყნებს აღიქვამდნენ როგორც "სათავადოებს", "სამთავროებსა" თუ "სამეფოებს". ქვეყნის მცხოვრებნი მმართველების "დაქვემდებარებაში მყოფი სუბიექტები" იყვნენ, რომელთა პოლიტიკური იდენტიფიკაცია უფრო მმართველისადმი ან მმართველი დინასტიისადმი ერთგულებით განისაზღვრებოდა, ვიდრე ეროვნული თვითგამორკვევით ან პატრიოტიზმით (იხ. გვ. 192). მიუხედავად ამისა, რევოლუციონერებმა, რომლებმაც 1789 წელს ხალხის სახელით ლუი XVI-ის წინააღმდეგ გაილაშქრეს, უპირატესობა სწორედ ამ უკანასკნელ კრიტერიუმებს მიანიჭეს და ხალხს "ფრანგ ერად"

მოიხსენიებდნენ. მათ იდეებზე ზეგავლენა ჟან-ჟაკ რუსოს ნაშრომებმა (იხ. გვ. 189) და სახალხო თვითმმართველობის ახალმა დოქტრინამ მოახდინა. ამრიგად, ნაციონალიზმი წარმოადგენდა რევოლუციურ და დემოკრატიულ მრწამსს, რომელიც გამოხატავდა აზრს, რომ "ტახტის მსახურნი" "საფრანგეთის მოქალაქეებად" უნდა ქცეულიყვნენ და ერი თვითონ იქნებოდა თავისი თავის ბატონ-პატრონი. რა თქმა უნდა, ამგვარი იდეები მარტო ფრანგების გამონაგონი როდი იყო. 1792-1815 წლებში, რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების დროს, კონტინენტური ევროპის დიდი ნაწილი საფრანგეთმა დაიპყრო, რამაც ადგილობრივ მაცხოვრებლებში ერთდროულად წარმოშვა ფრანგებისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი. სწორედ ოკუპაციამ შეუწყო ხელი მანამდე მრავალ წვრილ სახელმწიფოებად დანაწევრებული იტალიისა და გერმანიის მოსახლეობაში ეროვნული ერთიანობის ცნობიერების ჩამოყალიბებას, რომელიც საფრანგეთისგან მემკვიდრეობით მიღებული ნაციონალიზმის ახალი ენით იყო გამოხატული. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ნაციონალისტური იდეები ლათინურ ამერიკაშიც გავრცელდა, სადაც "განმათავისუფლებლად" წოდებული სიმონ ბოლივარი (1783-1830) ესპანელთა წინააღმდეგ რევოლუციას ხელმძღვანელობდა ახალ გრენადაში (ამჟამინდელი კოლუმბია, ვენესუელა და ეკვადორი), აგრეთვე პერუსა და ბოლივიაში.

ნაციონალიზმის ტალღამ მნიშვნელოვნად შეცვალა ევროპის რუკა მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ლიბერალური და ნაციონალური ზეწოლის გამო ნგრევა დაიწყეს ისეთმა ავტოკრატიულმა და მრავალეროვანმა იმპერიებმა, როგორებიც თურქეთი, რუსეთი და ავსტრია იყო. 1848 წელს იფეთქა ნაციონალისტურმა ამბოხებებმა იტალიის სახელმწიფოებში, დაპირისპირებებმა ჩეხებსა და უნგრელებს შორის. გერმანიაში კი ეროვნული ერთიანობის სურვილი აისახა ფრანკფურტის პარლამენტის შექმნით, თუმცა, მის არსებობას დიდი დღე არ ეწერა. მეცხრამეტე საუკუნე ერების ჩამოყალიბების პერიოდი იყო. იტალია, რომელსაც ერთ დროს ავსტრიის კანცლერმა მეტერნიხმა "უბრალო გეოგრაფიული ტერმინი" უწოდა, 1861 წელს ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანდა, საბოლოოდ კი ეს პროცესი 1870 წელს რომის შემოერთებით დაგვირგვინდა. გერმანია, რომელიც ადრე 39 სამეფოსაგან შედგებოდა, საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად 1871 წელს გაერთიანდა.

მიუხედავად ამისა, შეცდომა იქნება ვივარაუდოთ, რომ იმ პერიოდში ნაციონალიზმი აბსოლუტურად მიმზიდველი ან ჭეშმარიტად პოპულარული მოძრაობა იყო. ნაციონალიზმის ენთუზიაზმს ძირითადად მზარდი საშუალო კლასი თუ იზიარებდა, რომელსაც იზიდავდა ეროვნული ერთობისა და კონსტიტუციური მმართველობის იდეები. მართალია, საშუალო კლასის წიაღში განვითარებული ნაციონალური მოძრაობები ერის მთლიანობასა და დამოუკიდებლობაზე ოცნებებს ეფუძნებოდა, მაგრამ ისინი ნამდვილად არ იყო სათანადოდ ძლიერი, რათა დამოუკიდებელი ერის მშენებლობის პროცესი დაესრულებინათ. იტალიასა და გერმანიაში ნაციონალიზმის ამოცანები მიღწეულ იქნა იმდენად, რამდენადაც ისინი დაემთხვა განვითარების გზაზე მდგარი სახელმწიფოების – პიემონტისა და პრუსიის ამბიციებს. გერმანიის გაერთიანება, მაგალითად, ძირითადად სწორედ პრუსიის ჯარის

დამსახურება იყო, რომელმაც 1866 წელს დაამარცხა ავსტრია და 1870-71 წლებში – საფრანგეთი.

მიუხედავად ამისა, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის ნაციონალიზმი გადაიქცა ჭეშმარიტად პოპულარულ მოძრაობად თავისი დამახასიათებელი ატრიბუტებით – დროშებით, ეროვნული ჰიმნით, პატრიოტული პოეზიითა და ლიტერატურით, სახალხო ცერემონიებითა და დასვენების დღეებით. იგი მასობრივი პოლიტიკის ენად იქცა, რასაც ხელი შეუწყო ხალხში ზოგადი განათლების, წერა-კითხვის ცოდნის დონის ზრდამ და პოპულარული გაზეთების გავრცელებამ. ნაციონალიზმის ბუნებაც შეიცვალა. ადრე ის ასოცირდებოდა ლიბერალურ და პროგრესულ მოძრაობებთან, მაგრამ თანდათან კონსერვატორი და რეაქციონერი პოლიტიკოსების ხელში გადავიდა. ნაციონალიზმი უკვე გულისხმობდა საზოგადოების ერთიანობას, წესრიგსა და სტაბილურობას, განსაკუთრებით კი სოციალიზმის მზარდი პოპულარობის პირობებში, რომელიც სოციალური რევოლუციისა და მუშათა კლასის ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეებს ეყრდნობოდა. არსებული სოციალური სტრუქტურის შენარჩუნების მიზნით ნაციონალიზმი ცდილობდა სულ უფრო და უფრო გაძლიერებული მუშათა კლასის ერთიან ერში ინტეგრირებას. პატრიოტულ გზნებას უკვე იწვევდა არა პოლიტიკური თავისუფლებისა და დემოკრატიის პერსპექტივები, არამედ წარსული ეროვნული სიდიადისა და სამხედრო წარმატებების გახსენება. ასეთი ნაციონალიზმი უფრო მეტად შოვინისტური და ქსენოფობიური ხდებოდა. თითოეული ერი ამტკიცებდა, რომ უნიკალური და სხვებზე უკეთესი თვისებების მატარებელი იყო; სხვა ერები კი ითვლებოდა უცხოდ, არასაიმედოდ და საშიშადაც კი. სახალხო ნაციონალიზმის ეს ახალი კლიმატი ზურგს უმაგრებდა კოლონიური ექსპანსიის პოლიტიკას, რომელიც მკვეთრად განვითარდა XX ს-ის 70-80-იან წლებში და საუკუნის ბოლოს მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობა ევროპის კონტროლს დაუქვემდებარა. ამან ასევე ხელი შეუწყო საერთაშორისო ეჭვიანობისა და მეტოქეობის განწყობილების განვითარებას, რისი საბოლოო შედეგი 1914 წლის მსოფლიო ომი იყო.

პირველმა მსოფლიო ომმა დაასრულა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ერების მშენებლობის პროცესი. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი "ერთა თვითგამორკვევის" პრინციპს უჭერდა მხარს. გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის იმპერიები დაიშალა და შეიქმნა რვა ახალი სამეფო, მათ შორის: ფინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და იუგოსლავია. ამ ახალი ერი-სახელმწიფოების შექმნისას გათვალისწინებული იყო არსებული ეროვნული ან ეთნიკური ჯგუფების გეოგრაფიული განლაგება. ამისდა მიუხედავად, პირველმა მსოფლიო ომმა ვერ მოაგვარა ნაციონალურ საფუძველზე არსებული სერიოზული დაძაბულობა, რაც თვით ამ კონფლიქტის უპირველეს წინაპირობას წარმოადგენდა. მართლაც, მარცხის გამოცდილებამ და სამშვიდობო ხელშეკრულებების პირობებით გამოწვეულმა იმედგაცრუებამ ომში მონაწილე მრავალ ერს გალიზიანება და დაუკმაყოფილებელი ამბიციები დაუტოვა. ეს ყველაზე აშკარად გამოჩნდა გერმანიაში, იტალიასა და იაპონიაში, სადაც მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ქვეყნის სათავეში ფაშისტუ-

რი და ავტორიტარული მოძრაობები მოვიდნენ იმ დაპირებებით, რომ ხალხის ეროვნულ სიამაყეს ექსპანსიის პოლიტიკის გატარებითა და იმპერიების შექმნით აღადგენდნენ. ამგვარად, ნაციონალიზმი 1914 და 1939 წლებში ომების გამომწვევ უძლიერეს ფაქტორად იქცა.

ევროპაში დაბადებულმა ნაციონალიზმის დოქტრინამ მეოცე საუკუნის განმავლობაში გლობალური გავრცელება ჰპოვა, როდესაც აზიისა და აფრიკის ერები აღდგნენ კოლონიალური რეჟიმების წინააღმდეგ. კოლონიზაციის პროცესი მოიცავდა არა მარტო პოლიტიკასა და ეკონომიკას, არამედ ქვეყანაში დასავლური იდეების, მათ შორის ნაციონალიზმის იმპორტსაც, რაც შემდგომში თვით კოლონიალური მმართველების წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. 1919 წელს ეგვიპტეში დაიწყო ეროვნული აჯანყება, რომელიც სწრაფად გავრცელდა მთელ ახლო აღმოსავლეთში. ამავე წელს დაიწყო ინგლის-ავღანეთის ომი, აჯანყება მოედო ინდოეთს, დანიურ ოსტ-ინდოეთსა და ინდოჩინეთს. 1945 წლის შემდეგ აზიისა და აფრიკის რუკამ სულ სხვა სახე მიიღო მას შემდეგ, რაც ნაციონალური მოძრაობების გავლენით ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და პორტუგალიის იმპერიები დაიშალა. ამ ერებმა ან დამოუკიდებლობა მოიპოვეს წარმატებული მოლაპარაკებების გზით, ან გამარჯვებას მიაღწიეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომში.

ანტიკოლონიალიზმი არა მარტო დასავლური სტილის ნაციონალიზმის განვითარებად ქვეყნებში გავრცელების მოწმე გახდა, არამედ ნაციონალიზმის ახალი ფორმებიც კი წარმოშვა. განვითარებად ქვეყნებში ნაციონალიზმი მრავალნაირ მოძრაობებს მოიცავდა. ჩინეთში, ვიეტნამსა და აფრიკის ნაწილში ნაციონალიზმი მარქსიზმთან იყო შერწყმული და "ეროვნული თავისუფლება" არა უბრალო პოლიტიკურ მიზნად ითვლებოდა, არამედ სოციალური რევოლუციის ნაწილად. სხვა განვითარებად ქვეყნებში კი ჩამოყალიბდა ანტი-დასავლური ნაციონალიზმი, რომელმაც უარი თქვა ნაციონალიზმის როგორც ლიბერალურ-დემოკრატიულ, ასევე სოციალისტურ-რევოლუციურ კონცეფციაზე. მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური კონცეფციის – ისლამის აღმასვლამ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში შეცვალა პოლიტიკური ცხოვრება, განსაკუთრებით 1979 წლის ირანის რევოლუციის შემდეგ. გარკვეული თვალსაზრისით, ამჟამად ისლამი დასავლეთის ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებების მსოფლიო დომინირების ყველაზე მნიშვნელოვან მოწინააღმდეგე ძალას წარმოადგენს.

ამავდროულად ხშირია კამათი იმის თაობაზე, რომ ნაციონალიზმმა თავისი დრო მოჭამა და ანაქრონიზმად იქცა, რომ იგი მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ევროპის ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესის ან მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ანტიკოლონიური ბრძოლის დროს იყო ადეკვატური. ეს თეზისი ამ თავის დასკვნით ნაწილში, კერძოდ, გლობალიზაციის საკითხთან მიმართებაშია განხილული. მიუხედავად ყველაფრისა, არსებობს აშკარა მაჩვენებლები იმისა, რომ ნაციონალიზმი არა მარტო არსებობს თანამედროვე პირობებში, არამედ აღორძინებასაც კი განიცდის. XIX ს-ის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი დაძაბულობა სულ უფრო ხშირად არღვევს, ერთი შეხედვით, სტაბილური ქვეყნების მყუდროებას. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში შოტლანდიურმა, უელსურმა და მეტოქე ირლანდიურმა ნაციონალიზმმა მყარად

მოიკიდა ფეხი პოლიტიკაში. სეპარატისტული მოძრაობა დაიწყო კანადის პროვინცია კვებეკში და ისეთმა ჯგუფებმა, როგორიც არის, მაგალითად, ბასკები ჩრდილო ესპანეთში, ქურთები თურქეთსა და ერაყში, ტამილები შრი-ლანკაში და მუსულმანები ქაშმირში (ინდოეთი). 1889-91 წლებში აღმოსავლეთ ევროპის ტრანსფორმაციამ ხელი შეუწყო ნაციონალიზმის განვითარებას. საბჭოთა კავშირიც მზარდი ნაციონალური მოძრაობის გამო დაიშალა. 1992 წელს ჩეხოსლოვაკიამ არსებობა შეწყვიტა და მის ადგილას ორი დამოუკიდებელი რესპუბლიკა – ჩეხეთი და სლოვაკეთი წარმოიშვა. იუგოსლავია გახლიჩა ინტენსიურმა ეთნიკურმა კონფლიქტებმა, რისი შედეგიც იყო ფართომასშტაბიანი ომი სერბეთსა და ხორვატიას შორის 1991 წელს და სამოქალაქო ომი ბოსნიაში 1992-96 წლებში. ნაციონალიზმის ასეთ ფორმებს ახასიათებს აგრეთვე ეთნოკულტურული ერთიანობის მოთხოვნილება და ზოგიერთ შემთხვევაში ისინი აშკარად შოვინისტურ და ექსპანსიურ ხასიათს ატარებს.

## ქვეყნის სიყვარულით – ძირითადი თემები

თუ შევეცდებით, ნაციონალიზმი განვიხილოთ როგორც ჭეშმარიტად დამოუკიდებელი იდეოლოგია, სამ ძირითად პრობლემას წავაწყდებით. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ ნაციონალიზმი ზოგჯერ უფრო პოლიტიკურ დოქტრინად განისაზღვრება, ვიდრე სრულფასოვან იდეოლოგიად. მაშინ როდესაც, მაგალითად, ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და სოციალიზმი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული იდეებისა და ღირებულებების რთულ კომპლექსს, ნაციონალიზმი, თუ ჩავუკვირდებით, ეფუძნება მარტივ რწმენას, რომ ერი ხელისუფლების ჭეშმარიტ და სრულფასოვან შემადგენელ ერთეულს წარმოადგენს. ამ მიდგომის მთავარი ნაკლი ისაა, რომ ის მხოლოდ "კლასიკურ" პოლიტიკურ ნაციონალიზმს გულისხმობს და უგულებელყოფს ნაციონალიზმის სხვა გამოვლინებებს, რომლებიც ხშირად არანაკლებ მნიშვნელოვანია, მაგალითად კულტურულ ნაციონალიზმს ან ეთნიკურ ნაციონალიზმს. ამრიგად, ნაციონალიზმის მთავარი მახასიათებელი სულაც არ არის მისი "ვიწრო" ასოცირება თვითმმართველობასა ან ერსახელმწიფოსთან, არამედ მას ახასიათებს უფრო მასშტაბური კავშირი იმ მოძრაობებსა და იდეებთან, რომლებიც რაიმე ფორმით აღიარებენ ერის წამყვან მნიშვნელობას. მეორე პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ნაციონალიზმს ზოგჯერ ახასიათებენ როგორც თვისობრივად ფსიქოლოგიურ ფენომენს – რომელიმე ერის მიმართ ლოიალურობას ან სხვა ერების მიმართ სიძულვილს – და არა როგორც თეორიულ კონცეფციას. ეჭვგარეშეა, რომ ნაციონალიზმის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს გრძნობებისა და ემოციების დონეზე მისი მიმზიდველობის პოტენციალი წარმოადგენს, მაგრამ თუ ყველაფერს მხოლოდ ამ კუთხით აღვიქვამთ, ეს ნიშნავს, რომ ნაციონალისტური იდეოლოგია პატრიოტულ სენტიმენტალობაში გვეშლება.

მესამე, ნაციონალიზმს აქვს შიზოფრენიული პოლიტიკური ხასიათი. სხვადასხვა დროს ნაციონალიზმი იყო პროგრესული და რეაქციული, დემოკრატიული და ავტორიტარული, რაციონალური და ირაციონალური, მე-

მარცხენე და მემარჯვენე. ის დაკავშირებული იყო თითქმის ყველა ძირითად იდეოლოგიურ ტრადიციასთან. ნაციონალიზმი იზიდავდა ლიბერალებს, სოციალისტებს, ფაშისტებს, კონსერვატორებს, კომუნისტებსაც კი, ერთადერთი გამონაკლისი ანარქიზმი თუ იქნება, მხოლოდ მან ვერ შეითვისა ნაციონალიზმი, რადგანაც ანარქიზმი თვით სახელმწიფოს იდეას უარყოფდა. იმისდა მიუხედავად, რომ ნაციონალისტურ დოქტრინებს დიამეტრულად განსხვავებული მიზნების მისაღწევად იყენებენ მეტად მრავალფეროვანი მიმართულებების მქონე პოლიტიკური მოძრაობები, მაინც შესაძლებელია განისაზღვროს ნაციონალისტური იდეებისა და თეორიების ქვაკუთხედი. მასში შეიძლება შემდეგი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტების გამოყოფა:

- ერი
- საზოგადოება, როგორც ორგანული ერთობა
- თვითგამორკვევა
- თვითიდენტიფიკაციის პოლიტიკა

## ერი

ნაციონალიზმის ძირითადი მრწამსი ისაა, რომ ერი წარმოადგენს, ან უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკური წყობის ჩამოყალიბების ცენტრალურ ობიექტს. მიუხედავად ამისა, ბევრი გაუგებრობაა თვით ერის განმარტების თვალსაზრისით. ყოველდღიურ საუბარში ხალხი ხშირად ურევს შემდეგ ცნებებს: "ერი", "სამეფო", "ქვეყანა", "რასაც" კი და ერთმანეთს უნაცვლებს მათ. ხშირად პოლიტიკოსებიც დაობენ იმაზე, ჩაითვალოს თუ არა ადამიანების ესა თუ ის ჯგუფი ერად და შეიძლება თუ არა მან ისარგებლოს ერის უფლებებითა და სტატუსით. ეს ეხება, მაგალითად, ტიბეტელებს, ქურთებს, პალესტინელებს, ბასკებს და ა. შ. უპირველეს ყოვლისა ერები კულტურული ერთობებია, ადამიანთა ჯგუფებია, რომელთაც საერთო ღირებულებები და ტრადიციები აერთიანებთ, განსაკუთრებით კი – ენა, რელიგია და ისტორია. ჩვეულებრივ, მათი წარმომადგენლები ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობენ. აქედან გამომდინარე, ერი შეიძლება განისაზღვროს "ობიექტური" ფაქტორების მიხედვით: ერი შედგება ადამიანებისაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეული კულტურული კრიტერიუმების კომპლექსს; ის ადამიანები, რომლებიც ამ კრიტერიუმებს არ შეესაბამებიან, შეიძლება უცხო ერების ან უცხო ქვეყნების წარმომადგენლებად მივიჩნიოთ. მაგრამ თუ ერს განვსაზღვრავთ უბრალოდ როგორც საერთო კულტურით ან ტრადიციებით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფს, ჩვენ რიგი რთული კითხვების წინაშე აღმოვჩნდებით. მართალია, გარკვეული კულტურული მახასიათებლები ხშირად ასოცირდება ეროვნებასთან; განსაკუთრებით ეს ეხება ენას, რელიგიას, ეთნიკურ კუთვნილებას, ისტორიასა და ტრადიციებს. მიუხედავად ამისა, მაინც არ არსებობს ის მკაფიო ფორმულა ან ობიექტური კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით განვსაზღვრავდით, სად და როდის არსებობს ან არ არსებობს ერი.

ხშირად თვლიან, რომ ენა ერის ყველაზე მკაფიოდ გამოხატული მახასიათებელია. ენა შეიცავს საგნებისა და მოვლენებისადმი გარკვეულ დამოკიდებულებას, ღირებულებებსა და გამოხატვის ფორმებს, რომლებიც ამ ენაზე მოსაუბრეთა შორის მსგავსებისა და საერთო ჯგუფისადმი კუთვნილების შეგრძნებას იწვევს. გერმანული ნაციონალიზმი, მაგალითად, დაფუძნებული იყო კულტურულ ერთობაზე, რაც გერმანული ენის სიწმინდესა და შენარჩუნებაში აისახა. ერები ასევე ძალიან მგრძნობიარენი იყვნენ სხვა ენების მხრიდან მათი ენის აღრევისა და შევიწროების მიმართ. მაგალითად, სწორედ ენა გამოყოფს ფრანგულად მოლაპარაკე კვებეკის მოსახლეობას კანადის დანარჩენი ინგლისურენოვანი მოქალაქეებისაგან. უელსში ნაციონალიზმი მნიშვნელოვანწილად უელსური ენის შენარჩუნებისა და აღორძინების მცდელობაზე არის დაფუძნებული. ამავე დროს, არიან საერთო ენაზე მოლაპარაკე ხალხები, რომლებიც ამის გამო სულაც არ თვლიან თავს ერთი ერის წარმომადგენლებად. მაგალითად, ამერიკელები, ავსტრალიელები, ახალზელანდიელები ინგლისურ ენაზე მეტყველებენ, მაგრამ ეს მათში "ინგლისელი ერისადმი" კუთვნილების შეგრძნებას არ ბადებს. სხვა ერები კი პირიქით, სავსებით მტკიცე ეროვნულ მთლიანობას საერთო ენის გარეშეც განიცდიან, როგორც მაგალითად, შვეიცარიის შემთხვევაში, სადაც შვეიცარიული ენის არარსებობის პირობებში სამ ენაზე ლაპარაკობენ – ფრანგულად, გერმანულად და იტალიურად.

რელიგია ეროვნულობის კიდევ ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. იგი გამოხატავს საერთო მორალურ ღირებულებებსა და სულიერ მრწამსს. ჩრდილოეთ ირლანდიაში ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხს რელიგია ჰყოფს: პროტესტანტების უმრავლესობა თავიანთ თავს იუნიონისტებს უწოდებს და სურს შეინარჩუნოს კავშირი დიდ ბრიტანეთთან, მაშინ როცა ბევრი კათოლიკე მხარს უჭერს გაერთიანებული ირლანდიის იდეას. ისლამი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების მთავარი ფაქტორი იყო ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უმეტესობაში. 1979 წლის ირანის რევოლუცია შთაგონებული იყო შიიტი მუსლიმანი ფუნდამენტალისტების შეხედულებებით, რომელთაც სურდათ ირანი დაეცვათ დასავლური, კერძოდ კი ამერიკული გავლენისაგან. ამისდა მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური შეხედულებები ყოველთვის როდი ემთხვევა ეროვნულობის ცნებას. კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის განსხვავებებს დიდი ბრიტანეთის უმეტეს ნაწილში სულაც არ გამოუწვევიათ მოწინააღმდეგე ნაციონალური მოძრაობების ჩამოყალიბება, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა არ დაყოფილა სხვადასხვა ერებად იქ არსებული რელიგიური შეხედულებების უჩვეულო მრავალფეროვნების გამო. ამავე დროს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა პოლონეთი, იტალია, ბრაზილია და ფილიპინები, რომელთაც საერთო კათოლიკური სარწმუნოება აქვთ, ხალხი თავს სრულიადაც არ აღიქვამს ერთი დიდი "კათოლიკური ერის" ნაწილად.

ერები ასევე ეფუძნება ეთნიკურ ან რასობრივ ერთიანობას. ეს აშკარად გამოჩნდა ფაშიზმის დროინდელი გერმანიის მაგალითზე. "ხალხის" აღმნიშ-

ვნელი გერმანული სიტყვა *Volk* გულისხმობს როგორც კულტურულ, ასევე სისხლისმიერ კავშირს. რასის გადამწყვეტ მნიშვნელობას ხაზს უსვამენ აგრეთვე იმიგრაციის მიმართ ნეგატიურად განწყობილი ისეთი ულტრამემარჯვენე ჯგუფები, როგორიცაა ეროვნული ფრონტი საფრანგეთში და ბრიტანეთის ნაციონალური პარტია (BNP) გაერთიანებულ სამეფოში. მიუხედავად ამისა, ნაციონალიზმს კულტურული ფესვები უფრო აქვს, ვიდრე ბიოლოგიური; ის ასახავს ეთნიკურ მთლიანობას, რომლის საფუძველი შეიძლება იყოს საერთო რასობრივი კუთვნილება, მაგრამ უფრო ხშირად მის საყრდენს საერთო ღირებულებები და კულტურული ფასეულობები წარმოადგენს. მაგალითად, ამერიკელ შავკანიანთა ნაციონალიზმი უფრო მეტად მათ გამოკვეთილ ისტორიასა და კულტურას ეყრდნობა, ვიდრე კანის ფერს. შავკანიანთა ნაციონალური ცნობიერება აშშ-ში, ვესტ-ინდოეთსა და ევროპის ზოგიერთ ნაწილში ეფუძნება მათი კულტურული ფესვების ხელახალ აღმოჩენას, განსაკუთრებით საერთო აფრიკულ წარსულსა და მონობის გამოცდილებას. მიუხედავად ამისა, ეთნიკური ერთიანობა ყოველთვის როდი წარმოადგენს ნაციონალური ერთიანობის საფუძველს. ამის ნათელ მაგალითს კულტურული თვალსაზრისით არაერთგვაროვანი თანამედროვე ერები წარმოადგენენ – მაგალითად, აშშ ხშირად აღიქმება როგორც "ერიქვაბი", რომელშიც სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანები ერთ ერად გადადუღდებიან", ხოლო აპარტეიდის შემდგომი პერიოდის სამხრეთი აფრიკა – როგორც "ერი-ცისარტყელათი".

ერები, ჩვეულებრივ, საერთო ისტორიასა და ტრადიციებს ეყრდნობა. ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებისათვის ხშირად გამოიყენება წარსულის ღირსშესანიშნავი მოვლენების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნულ ლიდერთა დაბადების დღეების, აგრეთვე მნიშვნელოვანი სამხედრო გამარჯვებების საზეიმოდ აღნიშვნა. მაგალითად, აშშ ზეიმობს "დამოუკიდებლობის დღეს" და "სამადლობელ დღეს", საფრანგეთი – "ბასტილიის აღების დღეს"; დიდ ბრიტანეთში კვლავ ტარდება სადღესასწაულო ცერემონიები დიუნკერკის ბრძოლაში და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების აღსანიშნავად. მეორე მხრივ, ნაციონალური გრძნობები შეიძლება უფრო მეტად საერთო მომავლის იმედებს ეფუძნებოდეს, ვიდრე წარსულს. ეს ეხება იმიგრანტებს, რომლებმაც "ნატურალიზაციის" პროცესი გაიარეს, და ამის აშკარა მაგალითს "იმიგრანტების მიწა" – აშშ წარმოადგენს. ხომალდ *მეიფლაუერის* მგზავრობას და დამოუკიდებლობისათვის ომს ამერიკელების უმეტესობასთან არავითარი პირდაპირი კავშირი არა აქვს, ვინაიდან მათი წინაპრები ამ მოვლენების შემდეგ დიდი ხნის მერე ჩავიდნენ აშშ-ში. ამგვარად, ამერიკელების ნაციონალიზმი ნაკლებად ეყრდნობა საერთო ისტორიასა და ტრადიციებს, მას ასაზრდოებს საერთო ერთგულება კონსტიტუციისა და ლიბერალური კაპიტალიზმის ღირებულებების მიმართ, რომელთა გამოხატულებასა და დამცველს მათთვის აშშ-ის სახელმწიფო წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ ის კულტურული ერთიანობა, რომლის გამოხატულებადაც მრავალნი ერს მიიჩნევენ. იგი კულტურული ფაქტორების მერყევ კომბინაციას უფრო

წარმოადგენს, ვიდრე ზუსტ ფორმულას. საბოლოო ჯამში უნდა დავასკვნათ, რომ ერები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ "სუბიექტურად" – მათი ნევრების მიხედვით, და არა რაიმე გარე ფაქტორების საფუძველზე. ამ გაგებით, ერი წარმოადგენს ფსიქო-პოლიტიკურ ორგანიზმს, ეს არის ადამიანების ჯგუფი, რომელიც თავის თავს ბუნებრივ პოლიტიკურ საზოგადოებად აღიქვამს და გამოირჩევა ერთმანეთის მიმართ ერთგულებითა თუ სიმპათიით, რაც პატრიოტიზმითაა გამოხატული. ისეთი ობიექტური სირთულეები, როგორიცაა მიწის ნაკლებობა, მოსახლეობის სიმცირე ან მწირი ეკონომიკური რესურსები, ნაკლებ მნიშვნელოვანია, თუ ადამიანების ჯგუფი მოითხოვს იმას, რასაც ის "ეროვნულ უფლებებს" უწოდებს. ლატვია, მაგალითად, 1991 წელს დამოუკიდებელ ერად ჩამოყალიბდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსახლეობა სულ რაღაც 2.6 მილიონი ადამიანი იყო (აქედან ნახევარი თუ იქ-

## ერის შესახებ

**ლიბერალები** ემხრობიან ერის "სამოქალაქო" კონცეფციას, რომელიც ერთნაირად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკურ და კულტურულ ერთიანობას. ერი წარმოადგენს მორალურ გაერთიანებას, რადგანაც მას გააჩნია უფლებები, განსაკუთრებით კი თვითგამორკვევის თანასწორი უფლება.

**კონსერვატორები** ერს თვლიან უპირველესად "ორგანულ" ერთობად, რომლის ნევრებსაც აკავშირებს საერთო ისტორია და ეთნიკური კუთვნილება. პოლიტიკური თვალსაზრისით, როგორც სოციალური გაერთიანებისა და კოლექტიური იდენტურობის წყარო, ერი, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ ჯგუფს წარმოადგენს.

**სოციალისტების** აზრით, ერი კაცობრიობის ხელოვნურ დანაწევრებას წარმოადგენს, რომლის ამოცანაა მიჩქმალოს სოციალური უსამართლობა და დაიცვას დადგენილი წესრიგი. ამიტომ სოციალისტები თვლიან, რომ პოლიტიკურ მოძრაობებს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ინტერნაციონალური და არა ნაციონალური ხასიათი.

**ანარქისტები** თვლიან, რომ ერი ასოცირდება სახელმწიფოსთან და, შესაბამისად, ჩაგვრასთან. მათთვის "ერი" წარმოადგენს მითს, რომლის დანიშნულება მმართველი ელიტის ინტერესების დაცვა და მისდამი მორჩილების პროპაგანდაა.

**ფაშისტები** ერს განიხილავენ, როგორც ორგანულ სოციალურ ერთობას, რომელსაც ხშირად რასა განსაზღვრავს. ერი განსაზღვრავს ცალკეული ადამიანის ცხოვრების აზრსა და ამოცანას. ისინი ასევე თვლიან, რომ ერები იძულებულნი არიან დაუპირისპირდნენ ერთმანეთს გადარჩენისათვის ბრძოლაში, რომელშიც ზოგი იმარჯვებს და ზოგი მარცხდება.

**ფუნდამენტალისტები** ერს თვისობრივად რელიგიურ გაერთიანებად, მორწმუნეთა საზოგადოებად მიიჩნევენ. ამისდა მიუხედავად, რელიგია იშვიათად ეთანადება ერებს მათი ტრადიციული გაგებით, რის გამოც წარმოიქმნება ტრანსნაციონალური რელიგიური გაერთიანებები, მაგალითად "ისლამის ერი".

ნება ეთნიკური ლატვიელი), მას არ გააჩნდა ენერგეტიკული წყარო და თით-ქმის არავითარი ბუნებრივი რესურსი. მსგავსადვე, დღესდღეობით ახლო აღმოსავლეთში ქურთებსაც აქვთ ნაციონალისტური მისწრაფებები, მიუხე-დავად იმისა, რომ მათ არასოდეს ჰქონიათ პოლიტიკური ერთობა და ამჟა-მად გაფანტულად ცხოვრობენ თურქეთში, ერაყში, ირანსა და სირიაში.

ის ფაქტი, რომ ერები სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების კომბი-ნაციის საფუძველზე ყალიბდება, "ერის" სხვადასხვა, ხშირად საპირისპირო კონცეფციების წარმოშობის საფუძველი გახდა. მართალია, ყველა ნაციონა-ლისტი ეთანხმება აზრს, რომ ერი კულტურული და ფსიქო-პოლიტიკური ფაქტორების ნაზავს წარმოადგენს, მაგრამ არსებობს აზრთა მკვეთრი სხვა-დასხვაობა იმის თაობაზე, თუ როგორია ბალანსი ამ ორ ფაქტორს შორის. ერთი მხრივ, ერის "ექსკლუზიური" კონცეფციები ხაზს უსვამს ეთნიკური ერთობისა და საერთო ისტორიის მნიშვნელობას. თუ ვაღიარებთ, რომ ეროვნული იდენტურობა დასაბამიდანვეა განსაზღვრული, ის არ იცვლება და არც შეიძლება შეიცვალოს, მაშინ ეს გულისხმობს, რომ ერები საერთო წარმოშობას ეფუძნება და საკმაოდ ბუნდოვანია ზღვარი ერსა და რასას შორის. ამრიგად, ერებს აერთიანებს ერთგვარი "პირველყოფილი კავშირი" – მძლავრი და, ერთი შეხედვით, თანდაყოლილი ემოციური მიჯაჭვულობა ენაზე, რელიგიაზე, ცხოვრების ტრადიციულ წესსა და სამშობლოზე. ერის ასეთ კონცეფციას სხვადასხვა დოზით კონსერვატორები და ფაშისტები იზიარებენ. მეორე მხრივ, ერის "ინკლუზიური" კონცეფცია მეტ მნიშვნელო-ბას ანიჭებს სამოქალაქო ცნობიერებასა და პატრიოტულ ერთგულებას, გულისხმობს რა, რომ ერები შეიძლება სხვადასხვა რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ კუთვნილების ადამიანებისგან შედგებოდეს. ასეთი მიდ-გომის შემთხვევაში კი იშლება განსხვავება ერსა და სახელმწიფოს შორის და, ამდენად, ეროვნებასა და მოქალაქეობას შორის. ლიბერალები და სოცი-ალისტები ძირითადად ერის "ინკლუზიურ" კონცეფციას იზიარებენ.

## ორგანული ერთობა

შეიძლება ნაციონალისტები ვერ შეთანხმდნენ ერის ძირითადი მახასიათებ-ლების განსაზღვრისას, მაგრამ მათ აერთიანებთ რწმენა იმისა, რომ ერები საზოგადოების ორგანულ ერთობებს წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კაცობრიობა *ბუნებრივადაა* დაყოფილი განსხვავებული იდენტუ-რობისა და გამოკვეთილი ინდივიდუალური თვისებების მქონე ერებად. ნა-ციონალისტების მტკიცებით, სწორედ ეს ანიჭებს ერს გაცილებით უფრო ღრმა პოლიტიკურ მნიშვნელობას და ამიტომაც ადამიანის ერთგულება მის მიმართ უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე ნებისმიერი სხვა სოციალუ-რი ჯგუფების ან გაერთიანებების მიმართ. მაგალითად, მაშინ როდესაც კონკრეტული საზოგადოებისათვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ადამი-ანის ენა, კლასობრივი კუთვნილება, რელიგია, სქესი, ან შესაძლებელია ისი-ნი გარკვეულ სიტუაციაში გახდეს მნიშვნელოვანი, მათთან შედარებით ეროვნული კავშირები ყოველთვის უფრო ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს. კავშირი ეროვნულ ნიადაგზე და ეროვნული იდეალების ერთგულება ყველა

საზოგადოებაში არსებობს, მათ დროის გამოცდას გაუძლეს და ინსტინქტის, თითქმის ქვეცნობიერის დონეზე მოქმედებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთქმულის მრავალნაირი ახსნა არსებობს. ნაციონალიზმის "პირველყოფილი" ახსნის მომხრეები თვლიან, რომ ეროვნული თვისებები ისტორიული წარსულით არის განსაზღვრული: ერების ფესვები საერთო კულტურული მემკვიდრეობიდან და ენიდან მომდინარეობს, რომელთა წარმოშობა შეიძლება დიდად უსწრებდეს წინ სახელმწიფოებრიობის წარმოშობასა თუ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყებას და რომლებიც ნათესაური კავშირების მსგავსი ღრმა ემოციური მიჯაჭვულობით ხასიათდება. მაგალითად, ენთონი სმითი (Anthony Smith, 1986) ხაზს უსვამდა უწყვეტ კავშირს თანამედროვე ერებსა და უწინდელ ეთნიკურ გაერთიანებებს შორის, რომელთაც ის "ეთნიებს" ("ethnies") უწოდებდა. ეს გულისხმობს, რომ ეთნოსსა და ერს შორის მცირე განსხვავებაა და თანამედროვე ერები, ფაქტობრივად, უძველესი ეთნიკური ჯგუფების განახლებულ ვერსიას წარმოადგენს. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება "სიტუაციონალისტური" მიდგომა ნაციონალიზმისადმი, რომლის მიხედვითაც ეროვნულ იდენტურობას ისტორიული ცვლილებები და დროის მოთხოვნები განსაზღვრავს. ამიტომაც ერნესტ გელნერი (Ernest Geller, 1983) მიუთითებს, თუ რა დოზითაა ნაციონალიზმი დაკავშირებული მოდერნიზაციასთან, კერძოდ კი ინდუსტრიალიზაციის პროცესთან. ის ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ძველი ანუ სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული საზოგადოებები ფეოდალურ კავშირებზე და ვალდებულებებზე იყო აგებული. ინდუსტრიული საზოგადოების განვითარებამ სოციალური მობილურობა, დამოუკიდებელი ცხოვრების წესი და კონკურენცია წარმოშვა. ასეთი საზოგადოება კულტურული ერთობის ახალ წყაროს საჭიროებდა და მიიღო კიდეც ნაციონალიზმის სახით. მართალია, გელნერის თეორია გულისხმობს, რომ ერების გაერთიანება კონკრეტული სოციალური პირობებისა და ვითარების გამო მოხდა, ამავდროულად ის გულისხმობს, რომ ნაციონალურ ერთიანობას უკვე ღრმად აქვს გადგმული ფესვები და ის საკმაოდ გამძლე იქნება, აქედან გამომდინარე კი, ძველი დროის ღირებულებებისა და იდენტურობისკენ მიბრუნება წარმოუდგენელია.

ეროვნული საზოგადოება განსაკუთრებული სახის გაერთიანებაა. საზოგადოება, როგორც სოციალური ან პოლიტიკური პრინციპი, გულისხმობს სოციალურ ჯგუფს, რომელსაც აერთიანებს ამხანაგური კავშირები, ერთმანეთის მიმართ ლოიალობა და საერთო მოვალეობები. მაგალითად, გერმანელი სოციოლოგი ფერდინანდ ტონისი (Ferdinand Tonnies, 1815-1936) განასხვავებდა *Gemeinschaft*-ს (ერთობა, თემი), რომელიც, ჩვეულებრივ, ვლინდება ტრადიციულ საზოგადოებებში და რომელიც ბუნებრივი სიმპათიითა და ორმხრივი პატივისცემით ხასიათდება, და *Gesellschaft*-ს (თანამშრომლობა, ასოციაცია), ურთიერთობების უფრო ზედაპირულ, ხელოვნურ და ურთიერთმოლაპარაკებაზე დაფუძნებულ ფორმას, რომელიც, ჩვეულებრივ, ახასიათებს ურბანიზებულ და ინდუსტრიულ საზოგადოებებს. ნაციონალისტებისთვის ერი უცილობლად *Gemeinschaft* ტიპის ერთობაა. ამისდა მიუხედავად, როგორც ბენედიქტ ანდერსონი (Benedict Anderson, 1983) აღნიშნავს, ერები მხოლოდ "წარმოსახვით საზოგადოებებს" წარმოადგენენ. ანდერსონი ამტკი-

ცებდა, რომ ერი არსებობს უფრო როგორც მენტალური ხატება, ვიდრე ჭეშმარიტი გაერთიანება, სადაც ერთიანი იდენტურობის შესანარჩუნებლად ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტები არის საჭირო. ერის ფარგლებში ცალკეული პიროვნება მთელი ცხოვრების მანძილზე ძალიან მცირე ნაწილს თუ ხვდება იმ ადამიანებისა, ვისთანაც იგი თეორიულად ეროვნულ იდენტურობას უნდა იზიარებდეს. ერები წარმოსახვითი იდეალის დონეზე თუ არსებობს, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი ჩვენთვის განათლების, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და პოლიტიკური სოციალიზაციის გზით.

ნაციონალიზმის კრიტიკოსებმა სიამოვნებით აიტაცეს ხსენებული თეორია, რომლის მიხედვითაც ერი "წარმოსახვით" და არა ორგანულ ერთობას წარმოადგენს. "კონსტრუქტივიზმის" მიმდევრები ეროვნულ იდენტურობას განიხილავენ როგორც იდეოლოგიურ კონსტრუქციას, რომელიც ძირითადად ძლიერი ჯგუფების ინტერესებს ემსახურება. მაგალითად, მარქსისტი ისტორიკოსი ერიკ ჰობსბაუმი (Eric Hobsbawm, 1983) ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, თუ რამდენადაა ერები აგებული "გამოგონილი ტრადიციების" საფუძველზე. ჰობსბაუმი ამტკიცებდა, რომ ერების უწყვეტი ისტორიული განვითარებისა და კულტურული სიწმინდის რწმენა უბრალოდ მითია და სხვა არაფერი, უფრო მეტიც, ეს მითი თვით ნაციონალიზმის მიერაა შექმნილი. ამ თვალსაზრისით, ნაციონალიზმი ქმნის ერს და არა პირიქით. მაგალითად, ფართომასშტაბიანი ეროვნული ცნობიერება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა, რასაც შესაძლოა ხელი შეუწყო ეროვნული ჰიმნებისა და დროშების გამოგონებამ და დაწყებითი განათლების სასწავლო დაწესებულებებისა და, შესაბამისად, მასობრივი განათლების განვითარებამ. სოციალისტები, კერძოდ, მარქსისტები ამ პროცესს დასაბამიდანვე არასტაბილური კლასობრივი საზოგადოების კონსოლიდაციის მცდელობას უკავშირებდნენ. ამ კონტექსტში ნაციონალიზმი შეიძლება ჩაითვალოს მექანიზმად, რომლის საშუალებითაც მმართველი კლასი უპირისპირდებოდა სოციალური რევოლუციის საფრთხეს, ავრცელებდა რა რწმენას, რომ ეროვნული იდეალების ერთგულება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კლასების სოლიდარობა, რაც მშრომელ კლასს არსებული მმართველობის სისტემის მორჩილებას აიძულებდა.

## თვითგამორკვევა

ნაციონალიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, განვითარდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეროვნული საზოგადოების იდეა სახალხო სუვერენიტეტის დოქტრინას შეერწყა. ეს მოხდა საფრანგეთის რევოლუციის დროს და ამ პროცესზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ჟან-ჟაკ რუსოს იდეებმა, რომელსაც ზოგჯერ თანამედროვე ნაციონალიზმის "მამად" მოიხსენიებენ. მიუხედავად იმისა, რომ რუსო კონკრეტულად ეროვნულ საკითხს თავის ნაშრომებში არ ეხება და არც ნაციონალიზმის ფენომენს იხილავს, იგი დიდ ყურადღებას უთმობს სუვერენიტეტის თემას, რომელიც "საზოგადო ნების" იდეაში არის გამოხატული და რომელიც სწორედ ის მარცვალია, საიდანაც

ნაციონალური დოქტრინები განვითარდა. რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ პოლონეთის განმათავისუფლებელ ბრძოლაზე დაკვირვების შედეგად მან დაასკვნა, რომ ეს კულტურული ნიშნით გაერთიანებული ადამიანების ქმედება იყო. "საზოგადო ნება" წარმოადგენს საზოგადოების საერთო ან კოლექტიური ინტერესების გამოხატულებას, ადამიანების საერთო სურვილს, რომელიც ეფუძნება თითოეულის ქმედებას. რუსო ამტკიცებდა, რომ მთავრობა უნდა ეფუძნებოდეს არა მონარქის აბსოლუტურ ძალაუფლებას, არამედ მთელი საზოგადოების ერთიან კოლექტიურ ნებას. საფრანგეთის რევოლუციის დროს ამ იდეების გამოხატულება იყო ის, რომ ადამიანები უკვე აღარ აღიქმებოდნენ როგორც "ტახტის ქვეშევრდომნი" – ისინი უკვე ითვლებოდნენ "მოქალაქეებად", რომელთაც საკუთარი უფლებები და მოვალეობები გააჩნდათ; უზენაესი ძალაუფლება "ფრანგი ერის" კუთვნილება გახდა. ამრიგად, საფრანგეთის რევოლუციის შედეგად წარმოშობილი ნაციონალიზმი ეფუძნებოდა ხალხის ან ერის მიერ სახელმწიფოს მართვის იდეას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერი იყო არა მხოლოდ ბუნებრივი გაერთიანება, არამედ ბუნებრივი პოლიტიკური გაერთიანება.

ნაციონალიზმის საკითხის მიმართ ასეთი მიდგომის შემთხვევაში, ერი და სახელმწიფოებრიობა ერთმანეთთან უშუალო კავშირშია. ამრიგად, ეროვნული იდენტურობის მთავარი მახასიათებელი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის ან მისი შენარჩუნების სურვილია, რომელიც, ჩვეულებრივ, ერთა თვითგამორკვევის პრინციპითაა გამოხატული. აქედან გამომდინარე, ნაციონალიზმის მიზანია ეროვნული სახელმწიფოს შექმნა. დღესდღეობით ამის მისაღწევად ორი გზა არსებობს. პირველი შეიძლება ერის გაერთიანების პროცესს ეფუძნებოდეს. მაგალითად, გერმანიის ისტორიაში უნიფიკაციის პროცესი რამდენჯერმე განმეორდა. შუა საუკუნეებში გერმანული სამეფოები კარლოს დიდმა გააერთიანა "წმინდა რომის იმპერიაში", რომელსაც მოგვიანებით გერმანელმა ნაციონალისტებმა "პირველი

---

ჟენევაში დაბადებული ფრანგი ეთიკოსი და პოლიტიკური ფილოსოფოსი, საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი შთამაგონებელი. რუსო სრულიად თვითნასწავლი პიროვნება იყო. იგი 1742 წელს გადავიდა საცხოვრებლად პარიზში და დაუახლოვდა ფრანგ განმანათლებელთა რიგ ნამყვან ფიგურას, განსაკუთრებით კი დიდროს (1713-1784).

რუსოს ნაშრომების თემატიკა მრავალფეროვანია: განათლება, ხელოვნება, საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ლიტერატურა და ფილოსოფია. მისი ფილოსოფია ასახავს "ბუნებრივი ადამიანის" სიქველისა და "სოციალური ადამიანის" გახრწნილების ღრმა რწმენას. რუსოს პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც შეჯამებულია წიგნებში *ემილი* (1762) და *სოციალური კონტრაქტი* (1762), მხარს უჭერს დემოკრატიის რადიკალურ ფორმას, რომელიც "საზოგადო ნების" იდეას ეფუძნება. შეუძლებელია რუსოს დაკავშირება ერთ რომელიმე პოლიტიკურ ტრადიციასთან. მისმა შეხედულებებმა გავლენა მოახდინა ლიბერალურ, სოციალისტურ, ანარქისტულ და, ზოგიერთის აზრით, ფაშისტურ მოძღვრებაზეც კი.

რაიხი" უწოდეს. გერმანიის მეორე გაერთიანება მხოლოდ ბისმარკის დროს მოხერხდა (1871). მან შექმნა "მეორე რაიხი". ჰიტლერის "მესამე რაიხმა" ავსტრიის მიერთებით "დიდი გერმანიის" გაერთიანების პროცესი დაასრულა. მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად ქვეყანა კვლავ გაიყო ორ ნაწილად: აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიად (1949) და მას საბოლოოდ გამოეყო ავსტრია. ორი გერმანია კი საბოლოოდ კვლავ გაერთიანდა 1990 წელს.

ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მეორე გზა გულისხმობს დამოუკიდებლობის მიღწევას, როცა ერი ქვეყანას ათავისუფლებს უცხოელთა მმართველობისაგან და საკუთარი ბედის დამოუკიდებლად განკარგვას იწყებს. მაგალითად, პოლონეთის ისტორიაში არაერთხელ იყო სხვადასხვა უცხოელი მმართველის კონტროლისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების წარმატებული მცდელობა. 1793 წელს პოლონეთმა არსებობა შეწყვიტა, როცა მისი ტერიტორია დაინაწილეს ავსტრიამ, რუსეთმა და პრუსიამ. 1918 წელს პოლონეთი კვლავ განთავისუფლდა, რაც 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულებამ დაადასტურა და დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. მიუხედავად ამისა, 1939 წლის ნაცისტურ-საბჭოური პაქტის თანახმად, გერმანიამ დაიპყრო პოლონეთი, რომელიც კვლავ დაინაწილეს, ამჯერად გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა. თუმცა 1945 წელს ქვეყანამ ფორმალური დამოუკიდებლობა მიიღო, მაგრამ ომის შემდგომ პერიოდში იგი ძირითადად საბჭოთა კავშირის მტკიცე კონტროლქვეშ დარჩა. 1989 წელს კი არჩევნებში არაკომუნისტური მთავრობის გამარჯვების შედეგად ქვეყანა საბოლოოდ განთავისუფლდა უცხოური მმართველობისაგან.

ამრიგად, ნაციონალისტებისათვის ეროვნული სახელმწიფო პოლიტიკური ორგანიზაციის უზენაესი და ყველაზე სასურველი ფორმაა. მისი დიდი ძალა იმაში გამოიხატება, რომ იგი გულისხმობს როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ ერთიანობას. როდესაც საერთო კულტურისა და ეთნიკური წარმოშობის ხალხი თვითმმართველობის უფლებას იღებს, ეროვნება და მოქალაქეობა ერთმანეთს ემთხვევა. უფრო მეტიც, ნაციონალიზმი აკანონებს ხელისუფლების ძალაუფლებას. პოლიტიკური ძალაუფლება ეროვნულ სახელმწიფოში ადამიანებს ან თვით ერს ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, ნაციონალიზმი წარმოადგენს სახალხო თვითმმართველობის იდეას, რომლის მიხედვით, სახელმწიფოს მართვა ხორციელდება ან ხალხის მიერ, ან ხალხისათვის, მისი "ეროვნული ინტერესების" შესაბამისად. აი რატომ სჯერათ ნაციონალისტებს, რომ ეროვნული სახელმწიფოებისგან შემდგარი მსოფლიოს შემოქმედი ძალები ბუნებრივი და დაუმარცხებელია, და რომ ვერც ერთი სხვა სოციალური ჯგუფი ვერ შექმნის სრულფასოვან პოლიტიკურ საზოგადოებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ეროვნული სახელმწიფო ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური ერთეულია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცდარი იქნება იმის მტკიცება, თითქოს ნაციონალიზმი ყოველთვის დაკავშირებულია ეროვნულ სახელმწიფოსთან ან აუცილებლად ერის თვითგამორკვევის იდეას გულისხმობს. ზოგიერთ ერს პოლიტიკური ავტონომიაც აკმაყოფილებს და არ ისწრაფვის სრული დამოუკიდებლობისაკენ. ამის ნათელი მაგალითებია უელსური ნაციონალიზმი

დიდი ბრიტანეთში, ბრეტონელებისა და ბასკების ნაციონალიზმი საფრანგეთში. ამრიგად, ნაციონალიზმი ყოველთვის როდი გულისხმობს სეპარატიზმს, დიდი პოლიტიკური ფორმაციიდან გამოყოფის სურვილს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიზნით. ნაციონალიზმი შეიძლება გამოიხატოს სახელმწიფოს ფედერალური მოწყობის, ან ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებების განაწილების სახით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძნელია იმის განსაზღვრა, დააკმაყოფილებს თუ არა უფლებათა ასეთი გადანაწილების ან თუნდაც ქვეყნის ფედერალური პრინციპით მოწყობის გზით მიღებული თვითმმართველობა ნაციონალისტების მოთხოვნებს. მაგალითად, ესპანეთში ბასკონიის რეგიონისათვის ფართო ავტონომიური უფლებების მინიჭებას შედეგად არ მოჰყოლია ეტა-ს ტერორისტული კამპანიის შეჩერება. ანალოგიურად, დიდ ბრიტანეთში 1999 წელს შოტლანდიის პარლამენტის შექმნამ ვერ დაასრულა შოტლანდიის ნაციონალური პარტიის კამპანია დამოუკიდებელი შოტლანდიის შექმნისათვის ევროკავშირის ფარგლებში.

## თვითიდენტიფიკაციის პოლიტიკა

ნაციონალიზმის ყველა ფორმა ეფუძნება ერის თვითიდენტიფიკაციას (იდენტობას). როგორ პოლიტიკურ მიზნებთანაც უნდა იყოს დაკავშირებული ნაციონალიზმი, იგი წარმატების მისაღწევად ეფუძნება კოლექტიური თვითგამორკვევის გრძნობას, რომელსაც, ჩვეულებრივ, პატრიოტიზმს უწოდებენ. პოლიტიკური ნაციონალისტისათვის "სუბიექტური" ცნებები: ერის ნება, ეროვნული მეხსიერება და ერის პატრიოტული ერთგულება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც "ობიექტური" ცნებები: ტერიტორია, რელიგია და ენა. აქედან გამომდინარე, ნაციონალიზმი იბრძვის არა მხოლოდ პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, არამედ ხალხს ასწავლის: ვინ არიან ისინი, როგორია მათი ისტორია, სპობს სოციალურ საზღვრებს, ხელს უწყობს კოლექტიური სულისკვეთების ჩამოყალიბებას და არწმუნებს ადამიანს, რომ ერის ბედი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეული პიროვნების არსებობა. მართლაც, შესაძლოა სწორედ ნაციონალიზმის ემოციური შემადგენლის სიძლიერე და მისი დოქტრინის შედარებითი სისუსტე არის ნაციონალიზმის, როგორც პოლიტიკური მრწამსის უჩვეულო წარმატების მიზეზი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალიზმის ზოგიერთი ფორმა სხვებთან შედარებით ნაკლებადაა დაკავშირებული წმინდა პოლიტიკურ მოთხოვნებთან. ეს განსაკუთრებით ეხება კულტურულ ნაციონალიზმსა და ეთნიკურ ნაციონალიზმს. კულტურული ნაციონალიზმი ამ მიმდინარეობის ისეთი ფორმაა, რომელიც ძირითად ყურადღებას ერის, როგორც განსხვავებული ცივილიზაციის აღორძინებას უფრო ისახავს მიზნად, ვიდრე მის განცალკევებულ პოლიტიკურ გაერთიანებად ჩამოყალიბებას. არცთუ იშვიათად კულტურული ნაციონალისტები სახელმწიფოს უცხო თუ არა, პერიფერიულ ცნებად მაინც აღიქვამენ. პოლიტიკური ნაციონალიზმი უფრო "რაციონალური" და პრინციპულია, მაშინ როცა კულტურული ნაციონალიზმი უფრო "მისტიკურია", ვინაიდან ის ეფუძნება რომანტიკულ რწმენას ერის, რო-

## პატრიოტიზმი

პატრიოტიზმი (ლათ. *patria*-დან, რაც "მამულს" ნიშნავს) წარმოადგენს თავისი ერის მიმართ ადამიანის ემოციურ, ფსიქოლოგიურ მიჯაჭვულობას, სიტყვასიტყვით, "სამშობლოს სიყვარულს". ხშირად ნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს ერთმანეთში ურევენ. ნაციონალიზმს დოქტრინის ხასიათი აქვს და ეფუძნება რწმენას, რომ ერი ამა თუ იმ სახით სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციის წამყვან განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. პატრიოტიზმი კი ამ რწმენის განსახორციელებლად ემოციურ საფუძველს იძლევა და, ამრიგად, ნაციონალიზმის ყველა ფორმაში ვლინდება. ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე ეროვნული ჯგუფი ყოველგვარი პატრიოტული სულისკვეთებისა და ეროვნული ცნობიერების გარეშე მოითხოვდეს, ვთქვათ, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა პატრიოტი ნაციონალისტი არ არის. მრავლადაა ისეთი ადამიანი, ვინც ერთან თვითიდენტიფიკაციას ახდენს ან, უფრო მეტიც, უყვარს ეს ერი, მაგრამ სულაც არ თვლის, რომ ერი პოლიტიკური მოთხოვნების გამოხატვის ან პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებაა.

გორც უნიკალური ისტორიული და ორგანული მთლიანობის შესახებ. კულტურულ ნაციონალიზმს უფრო ხშირად ახასიათებს ყურადღების გამახვილება ხალხურ რიტუალებზე, ტრადიციებსა და ლეგენდებზე, ვიდრე ელიტარულ ან "მაღალ" კულტურაზე. ამის გამო კულტურული ნაციონალიზმი ბუნებით ხშირად უპირისპირდება თანამედროვე კულტურას, მაგრამ ის შეიძლება განახლების საშუალებაც გახდეს, თუ მას ადამიანები საკუთარი თავისა თუ ეროვნულ-კულტურული ღირებულებების "ხელახალი აღმოჩენისათვის" გამოიყენებენ.

გამოკვეთილი ეროვნული ცნობიერების მნიშვნელობაზე ყურადღება პირველად გერმანიაში, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს გაამახვილეს. ფილოსოფოსები ჰერდერი (Herder, 1744-1803) და ფიხტე (Fichte, 1762-1814) ხაზს უსვამდნენ იმას, რასაც ისინი გერმანული კულტურის უნიკალურობისა და უპირატესობის საფუძვლად მიიჩნევდნენ, საფრანგეთის რევოლუციის იდეების საპირისპიროდ. ჰერდერს სწამდა, რომ ყოველ ერს გააჩნდა Volksgeist ანუ "ეროვნული სული," რომელიც ამ ხალხებს შემოქმედებით მუხტს ანიჭებდა. ნაციონალიზმის როლი სწორედ ამ ეროვნული კულტურისა და ტრადიციების გაცნობასა და დაფასებაში მდგომარეობს. მეცხრამეტე საუკუნეში ასეთი კულტურული ნაციონალიზმი იყო გერმანიაში, სადაც ის ხალხური ტრადიციების, მითებისა და ლეგენდების აღორძინებაში გამოიხატა. მაგალითად, ძმებმა გრიმებმა შეკრიბეს და გამოაქვეყნეს გერმანული ხალხური ზღაპრები, ხოლო კომპოზიტორმა რიხარდ ვაგნერმა ძველი ლეგენდებისა და მითების მიხედვით არაერთი ოპერა შექმნა. კულტურული ნაციონალიზმი გაძლიერდა მეოცე საუკუნის შუა წლებიდან, როდესაც, მაგალითად, უელსელები დიდ ბრიტანეთში და ბრეტონელები და ბასკები საფრანგეთში შეეცადნენ დაეცვათ თავიანთი ნაციონალური კულტურა, რომელსაც მრავალეროვანი სახელმწიფოს წევრობა საფრთხეს უქმნიდა. გარკვეულწილად, ეს გადახრა პოლიტიკიდან კულტურისკენ და, შესაბამისად, სახელმწიფო-

დან რეგიონისკენ ასახავს იმ ფაქტს, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში ეროვნულ სახელმწიფოებს სულ უფრო და უფრო ნაკლებად შესწევთ უნარი, მოქალაქეებში პოლიტიკური ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობა შეინარჩუნონ.

გარკვეული თვალსაზრისით, ეთნიკური ნაციონალიზმი განსხვავდება კულტურული ნაციონალიზმისაგან, თუმცა ორივე შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ცნებებს, როგორებიცაა ეროვნება და კულტურა. ეროვნება გარკვეული ადამიანების, კულტურული ჯგუფის ან ტერიტორიის მიმართ ლოიალურობას გულისხმობს. ეს რთული ტერმინია, რადგანაც ის შეიცავს როგორც რასობრივ, აგრეთვე კულტურულ ელფერსაც. ხშირად თვლიან, ზოგჯერ გამართლებულად, ზოგჯერ კი გაუმართლებლად, რომ ეთნიკური ჯგუფის წევრებს ერთი წინაპარი ჰყავთ და, აქედან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ ჯგუფის წარმომადგენლებს თითქმის ნათესაური, სისხლისმიერი კავშირი აერთიანებთ. მაშინაც კი, როცა ეროვნება მხოლოდ კულტურული თვალსაზრისით განისაზღვრება, ის ღრმა ემოციურ დონეზე მოქმედებს და ხაზს უსვამს ღირებულებებს, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, რომლებიც ადამიანებს გამორჩეულობის შეგრძნებას ანიჭებს. ვინაიდან შეუძლებელია სხვა ეთნიკურ ჯგუფში "გადასვლა" (მის წარმომადგენელზე ქორწინების შესაძლებლობას თუ არ ჩავთვლით), ეთნიკურ ნაციონალიზმს აშკარად "ექსკლუზიური" ხასიათი აქვს.

დასავლეთის მრავალ ნაწილში შავკანიანთა ნაციონალიზმს მკვეთრად გამოხატული ეთნიკური ხასიათი აქვს. აშშ-ისა და ვესტ-ინდოეთის შავკანიანი მოსახლეობა მონების შთამომავლები არიან. ისინი გაიზარდნენ ისეთ კულტურულ გარემოში, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ ისინი მეორეხარისხოვანი ადამიანები არიან და მათგან მუდმივად დაქვემდებარებული, მომსახურე როლის შესრულებას მოითხოვდა. შესაბამისად, ცნობიერებისა და ეროვნული სიამაყის გამოღვიძება აიძულებდა შავკანიანებს, თავიანთი კულტურული ფესვები თეთრკანიანთა კულტურის მიღმა, აფრიკის კონტი-

### ნაციონალიზმში (I)

| სამოქალაქო ნაციონალიზმი | v. | ეთნოკულტურ. ნაციონალიზმი |
|---|---|---|
| პოლიტიკური ერი | – | კულტურული/ისტორიული ერი |
| ინკლუზიური | – | ექსკლუზიური |
| უნივერსალიზმი | – | პარტიკულარიზმი |
| თანასწორი ერები | – | უნიკალური ერები |
| რაციონალ./პრინციპებზე დაფუძნ. | – | მისტიკური/ემოციებზე დაფუძნებ. |
| ეროვნული სუვერენიტეტი | – | ეროვნული "სული" |
| ვოლუნტარისტული | – | ორგანული |
| მოქალაქეობაზე დაფუძნებული | – | წარმოშობაზე დაფუძნებული |
| სამოქალაქო ლოიალობა | – | ეთნიკური კუთვნილება |
| კულტურული მრავალფეროვნება | – | კულტურული ერთიანობა |

ნენტზე ეძებნათ. იამაიკელი პოლიტიკური მოღვაწე და აქტივისტი მარკუს გარვეი (Marcus Garvey, 1887-1940) ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც განაცხადა, რომ აშშ-ისა და კარიბის ზღვის რეგიონში მცხოვრები შავკანიანები აფრიკას უნდა თვლიდნენ სამშობლოდ. მეოცე საუკუნის 60-იან წლებში შავკანიანთა პოლიტიკამ შეერთებულ შტატებში უფრო რადიკალური ხასიათი მიიღო, წარმოიშვა რა მოძრაობა Black Power (შავი ძალა) და გაიზარდა შავკანიან მუსლიმანთა (Black Muslims) მოძრაობა მალკოლმ მეათის (1926-1965) ხელმძღვანელობით, რომელსაც მოგვიანებით ისლამის ნაცია (Nation of Islam) ეწოდა. მაშინ როდესაც შავკანიანთა ნაციონალიზმი ზოგადად ხაზს უსვამს ცნობიერების ამაღლებასა და კულტურული სიამაყის განმტკიცებას, ეთნიკურ ნაციონალიზმს თავისი უარყოფითი მხარეც გააჩნია. გაზვიადებულ ეთნიკურ ცნობიერებას ხშირად ამწვავებს ატავისტური შიში და სიძულვილი სხვა ხალხების მიმართ. ამიტომაც ეთნიკური ნაციონალიზმი ხშირად ასოცირდება შოვინიზმსა და რასიალიზმთან (იხ. გვ. 267) და აგრესიითა და დაპყრობებით გამოიხატება ხოლმე. ნაციონალიზმის ეს მხარე მოგვიანებით უფრო დაწვრილებითაა განხილული ექსპანსიურ ნაციონალიზმთან მიმართებაში.

## ნაციონალიზმი და პოლიტიკა

პოლიტიკური ნაციონალიზმი მეტად რთული ფენომენია, რომელშიც უფრო მეტია გაურკვევლობები და წინააღმდეგობები, ვიდრე მკაფიო ერთიანი ღირებულებები და მიზნები. მაგალითად, ნაციონალიზმი განმათავისუფლებელიც იყო და მჩაგვრელიც: ერთი მხრივ, მას თვითმმართველობა და ეროვნული თავისუფლება მოჰქონდა, მეორე მხრივ კი, დაპყრობა და სხვა ერების დამორჩილება. იგი პროგრესულიც იყო და რეგრესულიც: ის მომავალ ეროვნულ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე ზრუნავდა და იმავდროულად ზეიმობდა წარსულის დიად მოვლენებს და განამტკიცებდა დიდი ხნის წინ დამყარებულ ფასეულობებს. ნაციონალიზმი იყო რაციონალური და ირაციონალური: იგი ეყრდნობოდა კონკრეტული პრინციპებით განსაზღვრულ რწმენას, მაგალითად, ეროვნული თვითგამორკვევის სურვილს და ამავე დროს იკვებებოდა არარაციონალური ემოციებითა და იმპულსებით, უძველესი შიშებისა და სიძულვილის ჩათვლით. ის, რომ ნაციონალიზმი როგორც მიმდინარეობა მკაფიო ფორმისა და იდეების ნაკლებობას განიცდის, ბევრი მიზეზითაა განპირობებული. სხვადასხვა ერებსა და ქვეყნებში ნაციონალიზმი ჩაისახა მეტად განსხვავებულ ისტორიულ პირობებში, მასზე გავლენა იქონია სხვადასხვა, ზოგჯერ კონტრასტულმა კულტურულმა მემკვიდრეობამ და ბოლოს, ნაციონალიზმი გამოიყენებოდა ძალზე მრავალფეროვანი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მაგრამ ეს ყველაფერი ასახავს ნაციონალიზმის უნარს, შეერწყას ან შეიწოვოს სხვა პოლიტიკური დოქტრინები და იდეები, რის შედეგადაც წარმოიქმნება რიგი ერთმანეთის საწინააღმდეგო ნაციონალისტური ტრადიციები. ამ ტრადიციებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ლიბერალური ნაციონალიზმი
- კონსერვატორული ნაციონალიზმი
- ექსპანსიური ნაციონალიზმი
- ანტიკოლონიური და პოსტკოლონიური ნაციონალიზმი

## ლიბერალური ნაციონალიზმი

ლიბერალური ნაციონალიზმი ნაციონალიზმის უძველესი ფორმაა, რომელიც ფრანგული რევოლუციიდან იღებს სათავეს და მრავალ მის ღირებულებას ატარებს. მისი იდეები სწრაფად გავრცელდა ევროპის უმეტეს ნაწილში და ყველაზე ნათლად გამოხატა ჯუზეპე მაძინიმ, რომელსაც ხშირად იტალიის გაერთიანების "წინასწარმეტყველად" თვლიან. მათ აგრეთვე დიდი ზეგავლენა იქონიეს სიმონ ბოლივარზე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ლათინურ ამერიკაში ხელმძღვანელობდა მოძრაობას დამოუკიდებლობისათვის და რომელმაც განდევნა ესპანელები ესპანურენოვანი ამერიკის უმეტესი ნაწილიდან. ასევე ლიბერალურ ნაციონალურ პრინციპებს ეყრდნობოდა ვუდრო უილსონის "თოთხმეტი პუნქტი", რომელიც შეთავაზებულ იქნა საფუძვლად ევროპის რეკონსტრუქციისათვის პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. მეოცე საუკუნეში ანტიკოლონიალური ბრძოლის ბევრი ლიდერი შთაგონებული იყო ლიბერალური იდეებით, მათ შორის ჩინეთის 1911 წლის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი სუნ იატ-სენი და ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ.

ლიბერალური ნაციონალიზმის იდეები ნათლად გამოიხატა ჟ.-ჟ. რუსოს ნაშრომებში, სადაც იგი სახალხო სუვერენიტეტის იდეას ემხრობოდა, რის განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულებასაც "საზოგადო ნების" ცნება წარმოადგენს. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში სახალხო თვითმმართველობის სურვილი პროგრესულად ერწყმოდა ლიბერალურ პრინციპებს. ამ შერწყმის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მრავალეროვანი იმპერიები, რო-

იტალიელი ნაციონალისტი, დაიბადა იტალიაში, გენუაში, ექიმის ოჯახში. რევოლუციურ პოლიტიკას დაუახლოვდა როგორც საიდუმლო პატრიოტული ორგანიზაციის "კარბონარის" წევრი. 1848 წლის რევოლუციების დროს მაძინიმ მონაწილეობა მიიღო მილანის განთავისუფლებაში ავსტრიელებისაგან, მოგვიანებით კი რომის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური გახდა, რომელმაც მცირე ხანს იარსება.

მაძინის ნაციონალიზმში ერთმანეთს შეერწყა ერის, როგორც გამოკვეთილი ენობრივი და კულტურული თვისებების მქონე საზოგადოების რწმენა და ლიბერალური რესპუბლიკური პრინციპები. მაძინის ნაციონალიზმი მკაფიოდ გამოხატულ პრინციპებს ეყრდნობოდა. ნაციონალიზმის ეს ფორმა ერებს აღიქვამდა როგორც სუბლიმირებულ ინდივიდებს, რომელთაც თვითმმართველობის უფლება გააჩნიათ. მაძინის სწამდა, რომ ერების თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელება საბოლოო ჯამში მუდმივი მშვიდობის საფუძველი გახდებოდა.

მელთა წინააღმდეგ იბრძოდნენ ნაციონალისტები, ამავე დროს ავტოკრატიასა და ჩაგვრაზე იყო დაფუძნებული. მაგალითად, მაძინის სურდა იტალიის სახელმწიფოების გაერთიანება, მაგრამ ეს ასევე გულისხმობდა ავტოკრატიული ავსტრიის ზეგავლენისაგან განთავისუფლებას. მეცხრამეტე საუკუნის შუა წლების მრავალი ევროპელი რევოლუციონერისათვის ლიბერალიზმი და ნაციონალიზმი განუყოფელ ცნებებს წარმოადგენდა. მართლაც, მათი ნაციონალისტური მრწამსი მნიშვნელოვნად განსაზღვრა ლიბერალურმა იდეებმა, რომლებიც თავდაპირველად შემუშავდა ცალკეულ პიროვნებებთან, ერებთან და საერთაშორისო პოლიტიკასთან მიმართებაში.

ლიბერალიზმი შეიქმნა ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის მიზნით, რაც, ჩვეულებრივ, პიროვნების უფლებების დაცვაში გამოიხატებოდა. ნაციონალისტები თვლიან, რომ ერები სუვერენულ ჯგუფებს წარმოადგენენ, რომელთაც გააჩნიათ თავისუფლება და აგრეთვე უფლებები, პირველ რიგში თვითგამორკვევის უფლება. ამრიგად, ლიბერალური ნაციონალიზმი განმათავისუფლებელ ძალას წარმოადგენს ორი თვალსაზრისით: პირველი, ის ეწინააღმდეგება უცხოური დომინირებისა და ჩაგვრის ნებისმიერ ფორმას, იქნება ეს მრავალეროვანი იმპერია თუ კოლონიალური სახელმწიფო, და მეორე, იგი მხარს უჭერს ეროვნული თვითმმართველობის იდეას, რომელიც რეალობაში გამოიხატება კონსტიტუციონალიზმისა (იხ. გვ. 47) და წარმომადგენლობითი მმართველობის რწმენით. მაგალითად, ვუდრო უილსონი მხარს უჭერდა არა უბრალოდ ეროვნული სახელმწიფოებისაგან შემდგარ ევროპას, არამედ ისეთს, სადაც პოლიტიკური მმართველობა დემოკრატიის ხელში იქნებოდა და არა ავტოკრატიის. მისი აზრით, მხოლოდ ამერიკული ტიპის დემოკრატიული რესპუბლიკა შეიძლებოდა ყოფილიყო ნამდვილი ეროვნული სახელმწიფო.

უფრო მეტიც, ლიბერალ ნაციონალისტებს სჯეროდათ, რომ ერები, ისევე, როგორც ადამიანები, თანასწორნი არიან, ყოველ შემთხვევაში მათ თანაბრად გააჩნიათ თვითგამორკვევის უფლება. აქედან გამომდინარე, ლიბერალური ნაციონალისტების საბოლოო მიზანი ცალკეული ერების დამოუკიდებლობა კი არა არის, არამედ ეროვნული სახელმწიფოებისაგან შემდგარი ახალი მსოფლიოს შექმნა. ჯონ სტიუარტ მილმა (იხ. გვ. 35) ეს აზრი შემდეგ პრინციპში ჩამოაყალიბა: "ხელისუფლების საზღვრები ძირითადად ეროვნულ საზღვრებს უნდა ემთხვეოდეს." მაძინიმ შექმნა არალეგალური ორგანიზაცია "ახალგაზრდა იტალია", რომლის ამოცანა იტალიის გაერთიანების იდეის პროპაგანდა იყო, მაგრამ მან აგრეთვე დააარსა "ახალგაზრდა ევროპა" ნაციონალისტური იდეების მთელ კონტინენტზე გავრცელების იმედით. ვუდრო უილსონი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მხოლოდ იმიტომ კი არ იცავდა ერის თვითგამორკვევის პრინციპს, რომ ევროპული იმპერიების დაშლა ხელს აძლევდა ამერიკის ნაციონალურ ინტერესებს, არამედ იმიტომაც, რომ მას სწამდა: პოლონელებს, ჩეხებს, უნგრელებს და ა. შ. ჰქონდათ პოლიტიკური დამოუკიდებლობის ისეთივე უფლება, როგორც ამერიკელებს.

ლიბერალებს ასევე სჯეროდათ, რომ ბალანსის ანუ ბუნებრივი ჰარმონიის პრინციპი, არა მხოლოდ საზოგადოების წევრებს ეხება, არამედ მსოფლიოს

ერებსაც. ეროვნული თვითგამორკვევა მშვიდობიანი და სტაბილური საერთაშორისო წესრიგის დამყარების საშუალებაა. უილსონს სწამდა, რომ პირველი მსოფლიო ომის მიზეზი სწორედ მილიტარისტული და ავტოკრატიული იმპერიების "ძველებური წესრიგი" იყო. დემოკრატიული სახელმწიფოები კი პატივს სცემენ მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტს და არავითარი სურვილი არა აქვთ, სხვები დაჩაგრონ ან ომი გააჩაღონ. ლიბერალების წარმოდგენით, ნაციონალიზმი არ ყოფს ერებს, არ ქადაგებს უნდობლობას, მეტოქეობასა და შესაძლო ომს. უფრო მეტიც, ნაციონალიზმი ის ძალაა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს თითოეული ერის გაერთიანებას და ყველა ერის დამეგობრებას, ურთიერთპატივისცემისა და მათი უფლებების აღიარების საფუძველზე. ფაქტობრივად, ლიბერალიზმი სცდება ეროვნულ ფარგლებს და უახლოვდება კოსმოპოლიტიზმისა (იხ. გვ. 209) და ინტერნაციონალიზმის იდეებს, რომლებიც ამ თავში მოგვიანებითაა განხილული.

ლიბერალური ნაციონალიზმის კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ მისი იდეები გულუბრყვილო და რომანტიკულია. ლიბერალი ნაციონალისტები ნაციონალიზმში პროგრესულ და განმათავისუფლებელ მხარეს ხედავენ. მათი ნაციონალიზმი რაციონალური და ტოლერანტულია. მაგრამ ისინი შესაძლოა იგნორირებას უკეთებენ ნაციონალიზმის უფრო ბნელ მხარეს, ირაციონალურ კავშირებს ან ტრაიბალიზმს, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს სურვილი, განვასხვაოთ "ჩვენ" და უცხო, საშიში "ისინი". ლიბერალები ნაციონალიზმს განიხილავენ როგორც საყოველთაო პრინციპს, მაგრამ ნაკლებად ესმით ნაციონალიზმის ემოციური ძალა, რომელიც ომის დროს ადამიანებს უბიძგებს, მოკლან ან მოკვდნენ თავისი სამშობლოსათვის, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა სამართლიანობა მათი სამშობლოს

### ნაციონალიზმში (2)

| ლიბერალური ნაციონალიზმი | v. | ექსპანსიური ნაციონალიზმი |
|---|---|---|
| ეროვნული თვითგამორკვევა | – | ეროვნული შოვინიზმი |
| ინკლუზიური | – | ექსკლუზიური |
| ვოლუნტარისტული | – | ორგანული |
| პროგრესული | – | რეაქციული |
| რაციონალ. /პრინციპებზე დაფუძნ. | – | ემოციური/ინსტინქტური |
| ადამიანის უფლებები | – | ეროვნული ინტერესი |
| ერთა თანასწორობა | – | ერთა იერარქია |
| კონსტიტუციონალიზმი | – | ავტორიტარიზმი |
| ეთნიკური/კულტურ. პლურალიზმი | – | ეთნიკური/კულტურული სიწმინდე |
| კოსმოპოლიტიზმი | – | იმპერიალიზმი/მილიტარიზმი |
| კოლექტიური უსაფრთხოება | – | ძალისმიერი პოლიტიკა |
| სუპრანაციონალიზმი | – | საერთაშორისო ანარქია |

მხარეზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლიბერალური ნაციონალიზმის რწმენა იმისა, რომ ეროვნული სახელმწიფო პოლიტიკური და საერთაშორისო ჰარმონიის გასაღებს წარმოადგენს, ნაკლებად საფუძვლიანია. უილსონისეული ნაციონალიზმის შეცდომას წარმოადგენდა რწმენა იმისა, რომ ერები გარკვეულ მოსახერხებელ განცალკევებულ გეოგრაფიულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ და რომ სახელმწიფო საზღვრები სწორედ ამ ტერიტორიების საზღვრებს უნდა ემთხვეოდეს. სინამდვილეში კი ყველა ე. წ. "ეროვნული სახელმწიფო" შეიცავს მრავალ ენობრივ, რელიგიურ, ეთნიკურ და რეგიონალურ ჯგუფს, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება თვითონ თვლიდეს თავს ცალკე "ერად". მაგალითად, 1918 წელს ახლად შექმნილი ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის სახელმწიფოებში სახლობდა მრავალი გერმანულენოვანი ადამიანი, თვით ჩეხოსლოვაკია კი წარმოადგენდა ორი ეთნიკური ჯგუფის: ჩეხებისა და სლოვაკების გაერთიანებას. ყოფილ იუგოსლავიაშიც, რომელიც ასევე ვერსალის ხელშეკრულების თანახმად შეიქმნა, უამრავი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობდა: სერბები, სლოვენები, ბოსნიელები, ალბანელები და ა. შ., რომელთა უმეტესობასაც მოგვიანებით ცალკე ეროვნულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების სურვილი გაუჩნდათ. ფაქტობრივად, პოლიტიკურად და კულტურულად ერთიანი ეროვნული სახელმწიფო – ეს არის იდეალი, რომლის მიღწევა მხოლოდ უმცირესობების იძულებითი დეპორტაციისა და იმიგრაციის კატეგორიული აკრძალვის გზით შეიძლება.

## კონსერვატიული ნაციონალიზმი

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კონსერვატორები ნაციონალიზმს რადიკალურ და საშიშ ძალად თვლიდნენ, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სოციალურ წესრიგსა და პოლიტიკურ სტაბილურობას. ამისდა მიუხედავად, მოგვიანებით იმავე საუკუნეში ნაციონალიზმით დაინტერესდნენ ისეთი კონსერვატორი მმართველები, როგორებიც იყვნენ დიზრაელი, ბისმარკი და მეფე ალექსანდრე მესამეც კი, დაინახეს რა მასში სოციალური წესრიგის უზრუნველყოფისა და ტრადიციული წყობილების დაცვის მძლავრი საშუალება. თანამედროვე კონსერვატორთა უმრავლესობა ნაციონალიზმის მომხრეა. დიდ ბრიტანეთში ამის აშკარა გამოხატულება იყო მარგარეტ თეტჩერის ხმაურიანი საბრძოლო კამპანია 1982 წლის ფოლკლენდის კუნძულებისათვის გამართულ ომში, ხოლო უფრო ზოგადად ამ ტენდენციას გამოხატავს კონსერვატიული პარტიის სულ უფრო მზარდი ანტიპათია ევროპის ინტეგრაციის მიმართ. მოგვიანებით რონალდ რეიგანი შეეცადა განემტკიცებინა ამერიკული ნაციონალიზმი უფრო რადიკალური საგარეო პოლიტიკის გატარების გზით, რომლის შედეგიც გრენადის დაპყრობა და ლიბიის დაბომბვა იყო. ჯორჯ ბუშმა გააგრძელა ეს პოლიტიკა პანამის დაპყრობითა და 1991 წელს ამერიკის ჯარების სპარსეთის ყურეში საომრად გაგზავნით. უმცროსი ჯორჯ ბუშის ეგრეთ წოდებული "ომი ტერორიზმის წინააღმდეგ" ასევე ცდილობს სამხედრო მოქმედებები დაუკავშიროს ეროვნულ ღირებულებათა დაცვას და ეროვნული ხასიათის დემონსტრირებას.

კონსერვატიული ნაციონალიზმი უკვე არსებული ეროვნული სახელმწიფოების განვითარებისკენ უფრო მიმართული, ვიდრე ახალი ერების მშენებლობისკენ. კონსერვატორებს ნაკლებად ადარდებთ ნაციონალიზმის პრინციპული დასაბუთება ერისათვის მსოფლიო მასშტაბით სათანადო ადგილის მიჩენის მიზნით. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია სოციალური კავშირებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება, რის გამოხატულებასაც ემოციურ დონეზე პატრიოტიზმი წარმოადგენს. კონსერვატორებისთვის საზოგადოება ორგანულია: ერები ბუნებრივად წარმოშვა ადამიანთა სურვილმა, ეცხოვრათ იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც მათი მსგავსი აზრები, ჩვეევები და გარეგნობა გააჩნდა. ადამიანი შეზღუდული და არასრულყოფილი არსებაა, რომელიც ცდილობს, ეროვნულ საზოგადოებაში იპოვოს ცხოვრების აზრი და უსაფრთხოება. აქედან გამომდინარე, კონსერვატიული ნაციონალიზმის მთავარი მიზანია პატრიოტიზმისა და "ეროვნული სიამაყის" განმტკიცების გზით ეროვნული ერთიანობის შენარჩუნება. შარლ დე გოლი, საფრანგეთის პრეზიდენტი 1959-69 წლებში, განსაკუთრებით ოსტატურად იყენებდა ნაციონალიზმს კონსერვატიული იდეალების განსახორციელებლად. დე გოლი აპელირებდა ფრანგების ეროვნულ სიამაყეზე, ატარებდა რა დამოუკიდებელ, ზოგჯერ ანტი-ამერიკულ საგარეო და თავდაცვის პოლიტიკას, რომლის მკაფიო გამოხატულებაც ფრანგული ჯარების ნატოს კონტროლიდან გამოსვლა იყო. ის ასევე ცდილობდა აღედგინა სოციალური წესრიგი, განემტკიცებინა ქვეყნის ხელისუფლება და შეექმნა ძლიერი სახელმწიფო, რომელიც პრეზიდენტის გაფართოებულ უფლებამოსილებებზე იქნებოდა დაფუძნებული. ასეთმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო საფრანგეთში კონსერვატორების კონტროლის შენარჩუნებას მეხუთე რესპუბლიკის შექმნიდან (1958) პრეზიდენტად მიტერანის არჩევამდე 1981 წელს. გარკვეულ დონეზე თეტჩერიზმი დიდ ბრიტანეთში გოლიზმის ბრიტანულ ფორმას წარმოადგენდა, ერთმანეთს უკავშირებდა რა ნაციონალიზმს ან, ყოველ შემთხვევაში, ეროვნულ დამოუკიდებლობას ევროპისაგან და ძლიერი მთავრობისა და ქვეყნის მტკიცე ლიდერის პერსპექტივას.

ნაციონალიზმის კონსერვატულ ბუნებას წარსულის ტრადიციებისა და ისტორიისადმი აპელირება განაპირობებს; ამრიგად, ნაციონალიზმი ტრადიციული ინსტიტუტებისა და ცხოვრების წესის დამცველად გვევლინება. კონსერვატიული ნაციონალიზმი თვისობრივად ნოსტალგიური ბუნებისაა და მუდამ წარსულზე, გარდასული დღეების ეროვნული დიდებისა და ტრიუმფის გახსენებაზეა ორიენტირებული. ამის აშკარა მაგალითია წარსულის სამხედრო გამარჯვებების რიტუალური და საზეიმო აღნიშვნის ფართოდ გავრცელებული ტენდენცია, როდესაც ამ გამარჯვებებს წარმოადგენენ როგორც გადამწყვეტ მომენტებს ერის ისტორიაში. ამ მიდგომის კიდევ ერთი გამოხატულებაა ტრადიციული ინსტიტუტების გამოყენება ეროვნულ სიმბოლოებად. მაგალითად, ბრიტანეთის, ან უფრო ზუსტად, ინგლისის ნაციონალიზმი მჭიდრო კავშირშია მონარქიის ინსტიტუტთან. ბრიტანეთი (და ჩრდილოეთ ირლანდია) წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოს, მისი ჰიმნია "ღმერთო დაიფარე დედოფალი", ხოლო სამეფო ოჯახი წამყვან

როლს ასრულებს ეროვნულ დღესასწაულებსა და პარლამენტის სხდომის გახსნის მსგავს სახელმწიფო ცერემონიებზე.

კონსერვატიული ნაციონალიზმი განსაკუთრებით იკვეთება მაშინ, როცა საზოგადოებაში ჩნდება შეგრძნება იმისა, რომ ეროვნულ იდენტურობას რაიმე ემუქრება ან არსებობს მისი დაკარგვის საფრთხე. მრავალ თანამედროვე სახელმწიფოში ნაციონალიზმის ამ ფორმის შენარჩუნებას დიდად შეუწყო ხელი იმიგრაციისა და სუპრანაციონალიზმის პრობლემებმა. კონსერვატორების თავშეკავებული ან ნეგატიური დამოკიდებულება იმიგრაციის მიმართ გამოწვეულია მათი რწმენით, რომ მულტიკულტურალიზმი (კულტურული მრავალფეროვნება) (იხ. გვ. 75) ქვეყანაში არასტაბილურ სიტუაციასა და კონფლიქტებს იწვევს. სტაბილური და წარმატებული საზოგადოება უნდა ემყარებოდეს საერთო კულტურასა და ფასეულობებს. იმიგრაცია, განსაკუთრებით განსხვავებული რელიგიური ან სხვა მახასიათებლების მქონე საზოგადოებებიდან ან მკაცრად უნდა შეიზღუდოს, ან ხელი უნდა შეეწყოს ეთნიკური უმცირესობების ასიმილაციას "მასპინძელი ერის" კულტურაში. კონსერვატიული ნაციონალიზმის ყველაზე რადიკალური ფორმები, როგორებიცაა, მაგალითად, საფრანგეთის ეროვნული ფრონტი (Front Ntional – FN) ან ბრიტანული ნაციონალური პარტია (BNP) დიდ ბრიტანეთში, შეიძლება მოუწოდებდნენ უმცირესობების ნებაყოფლობითი ან იძულებითი რეპატრიაციის თაობაზე. ასეთი ანტიიმიგრაციული განწყობილებები ეფუძნება ეროვნული იდენტურობის მიმართ ექსკლუზიურ და ისტორიულად განპირობებულ მიდგომას, რომელიც მკვეთრ ზღვარს ავლებს ერის წევრებსა და უცხოებს შორის. კონსერვატორი ნაციონალისტები ასევე თვლიან, რომ ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურები, მაგალითად ევროკავშირი, საფრთხეს წარმოადგენს ეროვნული იდენტურობისა და საზოგადოების კულტურული კავშირებისათვის. გაერთიანებულ სამეფოში ეს გამოიხატა კონსერვატიული პარტიის "ევროსკეპტიციზმით"; მსგავსი პოზიცია აქვთ რიგ ულტრამემარჯვენე ჯგუფებს კონტინენტურ ევროპაშიც, მაგალითად, FN-ს. ევროსკეპტიკოსები არა მხოლოდ იცავენ საკუთარი ეროვნული ინსტიტუტების სუვერენიტეტსა და ეროვნულ ვალუტას იმ საბაბით, რომ ეს ყველაფერი ეროვნული იდენტურობის სიმბოლოებია, არამედ აგრეთვე თვლიან, რომ "ევროპული პროექტი" მარცხით დამთავრდება, ვინაიდან შეუძლებელია სტაბილური პოლიტიკური კავშირის შექმნა ასეთი ეთნიკური, ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების პირობებში.

თუმცა კონსერვატორმა პოლიტიკოსებმა და პარტიებმა ნაციონალისტური მოწოდებებით დიდი პოლიტიკური სარგებელი ნახეს, მათი ოპონენტები ხშირად მიუთითებენ, რომ კონსერვატორთა იდეები ხშირად მცდარ დასკვნებზეა დაფუძნებული. უპირველეს ყოვლისა, კონსერვატიული ნაციონალიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც ელიტარული წრეების მანიპულაცია. "ერს" ქმნიან და, რა თქმა უნდა, განსაზღვრავენ პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ამას შეიძლება საკუთარი პირადი ინტერესებისათვის იყენებდნენ. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ომის ან საერთაშორისო კრიზისის დროს, როდესაც ხდება ერის მობილიზაცია "სამშობლოსათვის" საბრძოლველად და კეთდება ემოციური მოწოდებები პატრიოტული მოვალე-

ობების თაობაზე. უფრო მეტიც, კონსერვატორული ნაციონალიზმი ხშირად შეიძლება შეუწყნარებლობისა და ფანატიზმის პროპაგანდისთვის იყოს გამოყენებული. ცდილობენ რა შეინარჩუნონ თავიანთი ერის კულტურული სიწმინდე და არსებული ტრადიციები, კონსერვატორები იმიგრანტებს, და ზოგჯერ მთლიანად უცხოელებს, წარმოაჩენენ როგორც შესაძლო საფრთხეს, და სათანადო პროცესების განვითარების შემთხვევაში ხელს უწყობენ ან აკანონებენ რასისტულსა და ქსენოფობიურ შიშებს.

## ექსპანსიური ნაციონალიზმი

მრავალ ქვეყანაში ნაციონალიზმი ძირითადად აგრესიულ და მილიტარისტულ ელფერს ატარებს, რაც საკმაოდ ეწინააღმდეგება რწმენას ერის თვითგამორკვევის უფლების თაობაზე. ნაციონალიზმის ასეთი აგრესიული სახე გამოაშკარავდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, როდესაც ევროპული სახელმწიფოები ერთმანეთს შეეჯახნენ "აფრიკისათვის ბრძოლაში" ეროვნული დიდებისა და "ამ სამყაროში თავისი ადგილის დამკვიდრების" ლოზუნგებით. ამ პერიოდის იმპერიალიზმი უფრო ადრეული დროის კოლონიური ექსპანსიისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მას მტკიცედ უმაგრებდა ზურგს ნაციონალისტური განწყობილებები საზოგადოებაში – ეროვნულ პრესტიჟს პირდაპირ უკავშირებდნენ იმპერიის ფლობას და ყოველ კოლონიალურ გამარჯვებას საზოგადოებრივი მოწონების აშკარა დემონსტრირება მოსდევდა. დიდ ბრიტანეთში აგრესიული ნაციონალიზმისა და იმპერიული ექსპანსიის მიმართ საზოგადოებრივი ენთუზიაზმის გამოსახატად ახალი სიტყვაც კი გამოიგონეს – "ჯინგოიზმი". მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპელ ხელისუფალთა მეტოქეობამ კონტინენტი ორ შეიარაღებულ ბანაკად დაჰყო: პირველ ბანაკში ("სამთა ანტანტა") შედიოდნენ გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და რუსეთი, ხოლო მეორე ბანაკში ("სამთა ალიანსი") – გერმანია, ავსტრია და იტალია. როდესაც ხანგრძლივი შეიარაღებისა და რამდენიმე საერთაშორისო კრიზისის შემდეგ ბოლოს და ბოლოს 1914 წლის აგვისტოში ომმა იფეთქა, ევროპის თითქმის ყველა დიდ ქალაქში ხალხი ამ ამბავს დიდი ზეიმით შეეგება. აგრესიულმა და ექსპანსიურმა ნაციონალიზმმა მაშინ მიაღწია პიკს ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, როცა იაპონიის, იტალიისა და გერმანიის ავტორიტარულმა და ფაშისტურმა რეჟიმებმა დაიწყეს იმპერიული ექსპანსიისა და მსოფლიო ბატონობის პოლიტიკის გატარება, რამაც საბოლოოდ 1939 წელს მეორე მსოფლიო ომის დაწყება განაპირობა.

ნაციონალიზმის ამ ფორმის მთავარი განმასხვავებელი უფრო ადრინდელი, ლიბერალური ნაციონალიზმისაგან არის შოვინიზმი, საკუთარი ერის უპირატესობისა ან დომინირების რწმენა. ეს ტერმინი ფრანგი ჯარისკაცის ნიკოლა შოვინის სახელს უკავშირდება, რომელიც ნაპოლეონს ფანატიკურად ერთგულებდა. შოვინისტების აზრით, ერებს არ გააჩნიათ თვითგამორკვევის თანაბარი უფლება; ისინი თვლიან, რომ ზოგიერთ ერს გააჩნია ისეთი თვისებები და უნარ-ჩვევები, რომელთა გამოც ეს ერი სხვებზე უპირატესად ითვლება. ეს იდეები ნათლად აისახა ევროპულ იმპერიალიზმში, რომ-

ლის მორალურ საფუძველსაც რასობრივი და კულტურული უპირატესობის იდეები წარმოადგენდა. მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში გავრცელდა აზრი, რომ ევროპის "თეთრკანიანი" ხალხები ინტელექტუალურად და მორალურად უფრო მაღლა დგანან, ვიდრე აფრიკისა და აზიის "შავკანიანი", "ყვითელკანიანი" და "ყავისფერკანიანი" ხალხები. ევროპელები კოლონიალიზმს ამართლებდნენ როგორც მორალურ მოვალეობას: კოლონიების მოსახლეობა "თეთრკანიანი ადამიანის ტვირთს" წარმოადგენდა. ითვლებოდა, რომ იმპერიალიზმმა ცივილიზაციას, კერძოდ, ქრისტიანობას აზიარა მსოფლიოს ნაკლებად იღბლიანი და ნაკლებად განვითარებული ხალხები.

ნაციონალური შოვინიზმის უფრო კონკრეტული ფორმები განვითარდა რუსეთსა და გერმანიაში. რუსეთში მან პანსლავიზმის ან სლავოფილური ნაციონალიზმის სახელწოდება მიიღო, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში. რუსები სლავები არიან და აქვთ ენობრივი და კულტურული კავშირი აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის სლავებთან. პრეფიქსი "პან" ნიშნავს "ყველას", "ყოველს" და, აქედან გამომდინარე, პანსლავიზმი მიზნად ისახავდა ყველა სლავის გაერთიანებას, რაც რუსებს თავის ისტორიულ მისიად მიაჩნდათ. ამ იდეების გამო ჯერ კიდევ 1914 წლამდე რუსეთი ჩაერთო კონფლიქტში ავსტრო-უნგრეთთან ბალკანეთზე კონტროლის მოსაპოვებლად. პანსლავიზმის შოვინისტური ბუნება მომდინარეობდა რწმენიდან, რომ რუსები სლავი ხალხის ლიდერები იყვნენ და სლავები კულტურულად და სულიერად ცენტრალური და დასავლეთი ევროპის ხალხებზე მაღლა იდგნენ. აქედან გამომდინარე, პანსლავიზმი ანტი-დასავლური და ანტი-ლიბერალური მოძრაობა იყო. 1991 წლიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პანსლავიზმის გარკვეული ფორმები კვლავ აღმოცენდა.

ტრადიციული გერმანული ნაციონალიზმიც ამჟღავნებდა აშკარა შოვინიზმის ნიშნებს, რაც ნაპოლეონთან ომში დამარცხების შედეგად ჩაისახა. მოაზროვნეები ფიხტე და იანი (Jahn) საფრანგეთისა და მისი რევოლუციური იდეალების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ და მათ საპირისპიროდ ხაზს უსვამდნენ გერმანული ენის, რასისა და კულტურის სიწმინდეს. 1871 წელს, გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ნაციონალიზმმა აშკარად შოვინისტური ხასიათი შეიძინა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაარსდა ისეთი გაერთიანებები, როგორიცაა პანგერმანული ლიგა და საზღვაო ლიგა, რომლებიც გერმანულენოვან ავსტრიასთან უფრო ახლო კავშირსა და გერმანული იმპერიის შექმნისათვის, გერმანიისათვის "ცისქვეშეთში ადგილის მოსაპოვებლად" იბრძოდნენ. პანგერმანიზმი ნაციონალიზმის ექსპანსიური და აგრესიული ფორმა იყო, რომლის ამოცანასაც ევროპაში გერმანიის დომინირება წარმოადგენდა. გერმანულმა შოვინიზმმა ყველაზე აშკარა გამოხატულება ჰპოვა ნაცისტების მიერ შექმნილ რასისტულ და ანტისემიტურ (იხ. გვ. 269) დოქტრინებში. ნაცისტებმა დიდი ენთუზიაზმით მიიღეს პანგერმანიზმის ექსპანსიური მიზნები იმ განსხვავებით, რომ ამჯერად დასასაბუთებლად უფრო ბიოლოგიას იყენებდნენ, ვიდრე პოლიტიკურ მოსაზრებებს (ეს საკითხი უფრო დეტალურადაა განხილული მე-7 თავში რასიალიზმთან მიმართებაში). 1945 წლის შემდეგ დასავლეთმა გერმანიამ სრულიად ახალი ეროვნული

ტრადიცია შემოიღო, რომელმაც ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა წარსულის ექსპანსიურ იდეებთან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 1990 წლის გერმანიის ხელახალ გაერთიანებას თან სდევდა ანტისემიტური თავდასხმებისა და ულტრამემარჯვენე აქტივობის აღორძინება, რაც ზოგიერთს აფიქრებინებს, რომ თანამედროვე გერმანულმა ნაციონალიზმმა მთლიანად როდი დაივიწყა თავისი წარსული.

ნაციონალური შოვინიზმის წყარო გამძაფრებული, ზოგჯერ ისტერიული ნაციონალური ენთუზიაზმია. ხდება ინდივიდუალური რაციონალური პიროვნების ჩათრევა პატრიოტული ემოციების ტალღებზე, რაც გამოიხატება აგრესიის, ექსპანსიისა და ომის წყურვილით. მემარჯვენე ფრანგი ნაციონალისტი შარლ მორასი (Charles Maurras, 1868-1952) ასეთ მწვავე პატრიოტიზმს "ინტეგრალურ ნაციონალიზმს" უწოდებდა. მისი აზრით, პიროვნებები და ცალკეული ჯგუფები კარგავენ თავიანთ იდენტურობას, როცა ხდებიან უზენაესი გაერთიანების – "ერის" წევრები, რომლის არსებობასა და მნიშვნელობას განუზომლად უფრო ღირებულად აღიქვამენ, ვიდრე ცალკეული ადამიანის სიცოცხლეს. ასეთ ნაციონალიზმს ხშირად მილიტარიზმიც სდევს თან. ერის დიდების ნათელ მტკიცებულებად სამხედრო გამარჯვებები და დაპყრობები აღიქმება და ადამიანებში მძაფრი ნაციონალისტური განცდის წარმოქმნის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. ამ დროს ფაქტობრივად ხდება სამოქალაქო საზოგადოების გასამხედროება – ხდება მისი დაავადება აბსოლუტური ერთგულებისა და სამშობლოსათვის თავდადების იდეებითა და მისთვის სიცოცხლის გაწირვის წყურვილით. როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ერის ღირსება და მთლიანობა, ჩვეულებრივ მოქალაქეთა სიცოცხლე უმნიშვნელო ხდება. ეს გრძნობები აშკარად გამოჩნდა 1914 წლის აგვისტოში და ალბათ სწორედ ისინი განსაზღვრავენ ასევე ისლამისტური დაჯგუფებებისთვის *ჯიჰადის* ანუ "წმინდა ომის" ემოციურ მიმზიდველობას.

ნაციონალური შოვინიზმი განსაკუთრებით მიმზიდველია იზოლირებული და სუსტი ადამიანებისათვის, რადგანაც ის მათ უსაფრთხოების, სიამაყისა და საკუთარი თავის პატივისცემის შეგრძნებას ანიჭებს. მილიტარისტული ანუ ინტეგრალური ნაციონალიზმი მოითხოვს კონკრეტული ეროვნული ჯგუფისადმი კუთვნილების გაძლიერებულ შეგრძნებას. ასეთ გამძაფრებულ ნაციონალისტურ გრძნობებს ხშირად აძლიერებს "უარყოფითი ინტეგრაციის" პერსპექტივები, როდესაც სხვა ერისა თუ სახელმწიფოსაგან მტრის ხატი იქმნება. საერთო მუქარის პირისპირ ერი შეკრული ხდება და საკუთარ იდენტურობასა და მნიშვნელობას უფრო მკაფიოდ შეიგრძნობს. ამრიგად, ნაციონალური შოვინიზმი საჭიროებს მტკიცე ზღვარს, რომლის ერთ მხარეს ვართ "ჩვენ", მეორე მხარეს კი – "ისინი". "ჩვენ" უნდა გვძულდეს და გვეზიზღებოდეს "ისინი", რათა უფრო მტკიცედ შევიგრძნოთ ჩვენი თავი. ნაციონალური შოვინიზმი პოლიტიკაში აისახა რასისტულ იდეოლოგიაში, რომელიც მსოფლიოს ყოფს "თავისიანთა ბანაკად" და "უცხო ბანაკად", აქედან ეს უკანასკნელი ხდება "თავისიანთა ბანაკის" ყველა უბედურებისა და წარუმატებლობის განტევების ვაცი. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ შოვინისტური პოლიტიკა რასისტული იდეების ჩამოყალიბების შესანიშნავ

საფუძველს წარმოადგენს, მაგალითად, პანსლავიზმსაც და პანგერმანიზმსაც აშკარა ანტისემიტიზმი ახასიათებს.

## ანტიკოლონიური და პოსტკოლონიური ნაციონალიზმი

მართალია, ნაციონალიზმი ევროპაში დაიბადა, მაგრამ იმპერიალიზმის წყალობით იგი მსოფლიო ფენომენად იქცა. კოლონიურმა მმართველობამ ხელი შეუწყო ეროვნულობის ცნებისა და "ეროვნული დამოუკიდებლობის" სურვილის გავრცელებას აფრიკისა და აზიის ხალხებში და საფუძველი ჩაუყარა ნაციონალიზმის სპეციფიკურად ანტიკოლონიურ ფორმას. მეოცე საუკუნის განმავლობაში ანტიკოლონიალიზმმა მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური გეოგრაფია. მართალია, ვერსალის ხელშეკრულებამ ევროპის ერების თვითგამორკვევას დაუჭირა მხარი, მაგრამ მსოფლიოს დანარჩენ კუთხეებთან მიმართებაში მის გამოყენებაზე ლაპარაკიც კი არ იყო. გერმანული კოლონიები, უბრალოდ, საფრანგეთისა და ინგლისის ხელში გადავიდა. ომებს შორის პერიოდში დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მეტისმეტად დიდ სივრცეებზე გაშლილ იმპერიებს არაერთხელ დაემუქრა ადგილობრივი ერების მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის. ევროპის იმპერიები საბოლოოდ დაიშალა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ზოგ შემთხვევაში კოლონიზატორებმა გაითვალისწინეს ადგილობრივი ნაციონალისტური ზეწოლა და საკუთარი ეკონომიკის დასუსტება და საკმაოდ "მშვიდობიანად" დატოვეს კოლონიები, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ინდოეთში – 1947 წელს და მალაიზიაში – 1957 წელს. მიუხედავად ამისა, 1945 წლის შემდეგ დეკოლონიზაციას ხშირად თან სდევდა რევოლუციები და შეიარაღებული გამოსვლები, მაგალითად, ჩინეთში 1937-45 წლებში (იაპონიის წინააღმდეგ), ალჟირში 1954-62 წლებში (საფრანგეთის წინააღმდეგ), ვიეტნამში 1946-54 წლებში (საფრანგეთის წინააღმდეგ) და 1964-75 წლებში (აშშ-ის წინააღმდეგ).

გარკვეულწილად, ევროპელმა კოლონიზატორებმა თვითონ შეიტანეს დაპყრობილ ქვეყნებში თავიანთი იმპერიების ნგრევის მარცვალი – ნაციონალური დოქტრინა. მაგალითად, ცნობილია, რომ დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის ლიდერთა უმრავლესობას განათლება დასავლეთში ჰქონდა მიღებული და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ანტიკოლონიური მოძრაობები თავიანთი ბრძოლისათვის მაძინისა და ვუდრო უილსონის იდეების მსგავს ლიბერალური ნაციონალიზმის იდეებს იყენებდნენ. მაგრამ აფრიკისა და აზიის ახალგაზრდა სახელმწიფოების მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მეცხრამეტე და ადრეული მეოცე საუკუნის ახლადშექმნილი ევროპული სახელმწიფოების მდგომარეობისაგან. ამ აზიური და აფრიკული ერების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და ევროპისა და ჩრდილო ამერიკის ინდუსტრიულ სახელმწიფოებზე დამოკიდებულების ფონზე. ამრიგად, ანტიკოლონიალიზმი გულისხმობდა ბრძოლას "ეროვნული თავისუფლებისათვის" როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური გაგებით და, ამრიგად, გავლენა

იქონია განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ნაციონალიზმის ფორმაზე.

აზიური და აფრიკული ანტიკოლონიურ მოძრაობათა ლიდერების უმეტესობა ამა თუ იმ ფორმით სოციალიზმის იდეით იყო დაინტერესებული, დაწყებული განდისა და ნერუს შედარებით ზომიერი და მშვიდობიანი მოწოდებებით ინდოეთში და დამთავრებული რევოლუციური მარქსიზმით, რომელსაც იზიარებდნენ მაო ძე-დუნი ჩინეთში, ჰო ში მინი ვიეტნამში და ფიდელ კასტრო კუბაში. ერთი შეხედვით, როგორც ამას მოგვიანებით განვიხილავთ, სოციალიზმი ინტერნაციონალიზმს უფრო უკავშირდება, ვიდრე ნაციონალიზმს. ამისდა მიუხედავად, განვითარებად ქვეყნებში ნაციონალისტები აქტიურად იყენებენ სოციალისტურ იდეებს. პირველ რიგში, სოციალიზმი ხაზს უსვამს საზოგადოებრივი თანამშრომლობისა და კოლექტიური ურთიერთდახმარების იდეებს, რომლებიც კარგად იყო განვითარებული ტრადიციულ, წინაინდუსტრიულ საზოგადოებებში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის რომ, სოციალიზმი, კერძოდ მარქსიზმი იძლეოდა არათანასწორუფლებიანობისა და ექსპლოატაციის ანალიზს, რომელიც, თავის მხრივ, კოლონიური წარსულის ახსნისა და კოლონიურ მმართველობასთან დაპირისპირების საშუალებას იძლევა.

მარქსიზმი ყურადღებას ამახვილებს კლასობრივ ბრძოლაზე საკუთრების მფლობელ "მმართველ კლასსა" და ჩაგრულ და ექპლუატირებულ მშრომელ მასებს შორის. ის ასევე ქადაგებს კლასობრივი სისტემის მოსპობას "პროლეტარული რევოლუციის" გზით. ასეთი იდეები უკვე იქნა გამოყენებული ლენინის (იხ. გვ. 151) მიერ სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობების განხილვისას. ლენინი ([1916] 1970) თვლიდა, რომ იმპერიალიზმი ძირითადად ეკონომიკური ფენომენია – კაპიტალისტური ქვეყნები ფინანსური მოგების მიღების მიზნით ეძებენ საინვესტიციო შესაძლებლობებს, იაფ ნედლეულსა და მუშახელს, გასაღების მყარ ბაზარს. განვითარებადი ქვეყნების ნაციონალისტებმა მარქსისტული ანალიზი გამოიყენეს კოლონიზატორებსა და ხალხს შორის ურთიერთობებთან მიმართებაში. კლასობრივი ბრძოლა გახდა კოლონიური ბრძოლა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ. კოლონიური მმართველობის დამხობა გულისხმობდა არა მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას, არამედ სოციალურ რევოლუციას, რომელიც იძლეოდა პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების პერსპექტივას.

ზოგიერთ შემთხვევაში განვითარებადი მსოფლიოს ქვეყნები პირდაპირ ნერგავდნენ თავისთან მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს, ხშირად კონკრეტული საჭიროებებისათვის მათი ადაპტაციის გათვალისწინებით. დამოუკიდებლობის მიღწევისთანავე ჩინეთმა, ჩრდილოეთმა კორეამ, ვიეტნამმა და კამბოჯამ შეწყვიტეს უცხოური აქტივების მიღება და მოახდინეს ეკონომიური რესურსების ნაციონალიზაცია. მათ, საბჭოთა კავშირის მსგავსად, ერთპარტიული სახელმწიფოები და ეკონომიკის ცენტრალიზებული სისტემა შექმნეს. სხვა შემთხვევებში აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ზოგმა სახელმწიფომ ნაციონალისტური სოციალიზმის ნაკლებ იდეოლოგიური

ფორმა აირჩია. ეს აშკარად გამოჩნდა ალჟირის, ლიბიის, ზამბიის, ერაყისა და სამხრეთ იემენის მაგალითზე, სადაც ერთპარტიული სახელმწიფოები შეიქმნა, რომელთაც ხშირად ძლიერი, "ქარიზმატული" ლიდერები მართავდნენ, როგორც, მაგალითად, კადაფი ლიბიაში და სადამ ჰუსეინი ერაყში. ამ ქვეყნებში გამოცხადებული სოციალიზმი, როგორც წესი, საერთო ეროვნული ინტერესების ან საქმის განხორციელების იდეას ეყრდნობა, რაც, ჩვეულებრივ, ქვეყნის ეკონომიკურ ან სოციალურ განვითარებას გულისხმობს.

ანტიკოლონიალიზმი იყო ამბოხება დასავლეთის ზეგავლენისა და ძალაუფლების წინააღმდეგ და, შესაბამისად, ის ყოველთვის როდი იყენებდა სოციალიზმისა და ლიბერალიზმის ენას. ზოგიერთ შემთხვევაში დასავლური აზრები ადაპტირდებოდა და წარმოუდგენლად იცვლებოდა. ამის მაგალითია ე. წ. "აფრიკული სოციალიზმი" ტანზანიაში, ზიმბაბვესა და ანგოლაში. აფრიკული სოციალიზმი ეფუძნება არა საბჭოთა სტილის სახელმწიფო სოციალიზმს ან დასავლურ დემოკრატიას, არამედ ტრადიციულ საზოგადოებრივ ღირებულებებსა და სხვადასხვა მოქიშპე ტომების საერთო ეკონომიკური ინტერესებისათვის გაერთიანებას. ზოგიერთმა განვითარებადმა ქვეყანამ თავისი ნაციონალიზმი გამოხატა სხვა ყოფილ კოლონიებთან კავშირის დამყარებით და ახალი, "მესამე სამყაროს" შექმნის მცდელობით, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა კაპიტალისტური "პირველი სამყაროსა" და კომუნისტური "მეორე სამყაროსაგან". ამის მცდელობა ჰქონდა 1955 წელს აზიისა და აფრიკის ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ ქვეყნებს ბანდუნგის კონფერენციაზე, რისი გამოხატულებაც იყო მესამე სამყაროს ქვეყნების მიუერთებლობის მოძრაობა მთელი "ცივი ომის" პერიოდის განმავლობაში. "მესამე სამყაროს მოძრაობა" (Third Worldism) ასახავდა იმპერიალიზმის მტკიცე უარყოფას და პროგრესისაკენ მისწრაფებას ისეთ ქვეყნებში, რომლებიც საერთო კოლონიურ წარსულს იზიარებდნენ. მაგრამ ასეთი კავშირები შესუსტდა, როცა ეს კოლონიური წარსული თანდათან დავიწყებას მიეცა, და წინა პლანზე უფრო აშკარად გამოვიდა განვითარებად ქვეყნებს შორის კულტურული და პოლიტიკური განსხვავებები.

პოსტკოლონიურმა პერიოდმა წინ წამოწია ნაციონალიზმის სრულიად განსხვავებული ფორმები. ეს უფრო მეტად დასავლური კულტურისა და იდეების უარყოფას გულისხმობდა, ვიდრე მათგან დამოუკიდებლობის შენარჩუნების ან ამ იდეების ადგილობრივი პირობებისათვის ადაპტაციის სურვილს. თუ დასავლეთს აღვიქვამთ ჩაგვრისა და ექსპლუატაციის წყაროდ, მაშინ პოსტკოლონიურმა ნაციონალიზმმა უნდა ეძებოს "ანტიდასავლური" და არა უბრალოდ "არადასავლური" იდეები. გარკვეულწილად ეს წარმოადგენს რეაქციას დასავლეთის, ხშირად კი უფრო კონკრეტულად ამერიკის კულტურისა და ეკონომიკის დომინანტურ როლზე. მართალია, ამერიკა არ ახორციელებდა სუფთა პოლიტიკური კოლონიალიზმის პოლიტიკას, მაგრამ მისი გავლენა ასახავს აშშ ეკონომიკის დომინირებას მთელ მსოფლიოში, რაც გულისხმობს მსოფლიო მასშტაბით ინვესტიციების კონტროლს, სამუშაო ადგილების შექმნას და დასავლური წარმოების პროდუქციის გავრცელებას. ასეთი ტიპის ე. წ. ნეოკოლონიალიზმთან ბრძოლა გაცილებით უფრო ძნელია, ვინაიდან მას არ გააჩნია აშკარა პოლიტიკური

ფორმა, მაგრამ მასაც მრავლად გაუჩნდა მოწინააღმდეგეები. მაგალითად, ირანის რევოლუციის დროს აიათოლა ხომეინი (იხ. გვ. 354) ამერიკას "დიდ სატანას" უწოდებდა. 1979 წლის რევოლუციის დროიდან მოყოლებული ანტიამერიკანიზმი ირანული პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს, მას ასევე აქტიურად იყენებდნენ კადაფი ლიბიაში და სადამ ჰუსეინი ერაყში, განსაკუთრებით სპარსეთის ყურის ომის შემდეგ (1991). უარყოფენ რა ზოგადად დასავლურ, და კონკრეტულად ამერიკულ ღირებულებებს, ნაციონალიზმის ეს ფორმები სულ უფრო მეტად საზრდოობენ არადასავლური ფილოსოფიითა და იდეებით. რელიგიის, განსაკუთრებით კი ისლამის კვლავ გაზრდილმა მნიშვნელობამ განვითარებადი ქვეყნების ნაციონალიზმს განსხვავებული ხასიათი და პოტენციალი შესძინა. ეს საკითხი განხილულია მე-10 თავში, რელიგიურ ფუნდამენტალიზმთან მიმართებაში.

## ნაციონალიზმს მიღმა

მრავალ პოლიტიკურ მიმდინარეობაზე შეიძლება ითქვას, რომ ის ერის ფარგლებს სცდება. აქ იგულისხმება ნებისმიერი დოქტრინა და იდეოლოგია, რომელსაც პოლიტიკურ იდენტურობაზე ტრანსნაციონალური შეხედულება აქვს. აქედან გამომდინარე, მეტად ძნელია ნაციონალიზმის ფემინიზმთან შეთავსება, ვინაიდან ეს უკანასკნელი გენდერსა და სქესობრივ განსხვავებებს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად თვლის და ეროვნებას ან მეორე პლანზე აყენებს, ან თვლის, რომ მას საერთოდ არ გააჩნია პოლიტიკური ღირებულება. ამის მსგავსად, იმისდა მიუხედავად, რომ ზოგჯერ რასიალიზმი და რელიგიური ფუნდამენტალიზმი ნაციონალიზმთანაა დაკავშირებული, მაინც არ შეიძლება მათი როგორც ნაციონალიზმის ქვეჯგუფების განხილვა, ვინაიდან რასობრივი და რელიგიური იდენტურობა ხშირად სცდება ეროვნულ საზღვრებს. ამ თვალსაზრისით ისინი მხოლოდ ინტერნაციონალიზმის სუსტ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნაციონალიზმი თავისი ძლიერი ფორმით შეიცავს უფრო რადიკალურ რწმენას იმისას, რომ პოლიტიკური ნაციონალიზმი უნდა გადაილახოს, რადგან მსოფლიოს ხალხებს გაცილებით მეტი რამ აკავშირებთ, ვიდრე ყოფთ. ამ მიდგომის მიხედვით, ინტერნაციონალიზმის მიზანი არის სუპრანაციონალური (ზეეროვნული) სტრუქტურის შექმნა, რომელიც მსოფლიოს *ყველა* ხალხისაგან მოითხოვს პოლიტიკურ ერთგულებას, მიუხედავად რელიგიური, რასობრივი, სოციალური და ნაციონალური განსხვავებისა. ასეთმა "ერთი მსოფლიოს იდეამ" წარმოქმნა, მაგალითად, "იდეალისტური" ტრადიცია ეროვნებათშორის ურთიერთობებში, რომელიც გულისხმობდა საერთო საკაცობრიო მორალური ღირებულებების რწმენასა და გლობალური მშვიდობისა და თანამშრომლობის პერსპექტივას. ამ პოლიტიკური ტრადიციის მამად ხშირად გერმანელ ფილოსოფოს იმანუელ კანტს (1724-1804) მიიჩნევენ. მან თავის ნაშრომში *მარადიული მშვიდობისკენ* ([1795] 1991) წინასწარ განჭვრიტა "ერთა ლიგის" მსგავ-

სი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც დაეფუძნებოდა რწმენას, რომ მიზანი და მორალი ერთიანდება და გვკარნახობს, რომ "ომი აღარ უნდა მოხდეს." ძირითადი იდეოლოგიებიდან ასეთ მსოფლმხედველობას ყველაზე მეტად ლიბერალიზმი და სოციალიზმი იზიარებენ ხოლმე, ორივემ ინტერნაციონალიზმის თავისებური მიმდინარეობები წარმოშვა.

## ლიბერალური ინტერნაციონალიზმი

ლიბერალები პრინციპში იშვიათად უარყოფენ ნაციონალიზმს. ჩვეულებრივ, ისინი აღიარებენ იმასაც, რომ ერები წარმოადგენენ ბუნებრივ ორგანიზმებს, სადაც კულტურული მსგავსება ხელს უწყობს საერთო იდენტურობისა და კონკრეტული საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობის ჩამოყალიბებას, და იმასაც, რომ ერი პოლიტიკური მმართველობისათვის ყველაზე ხელსაყრელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს – ამიტომაც არსებობს ლიბერალური ნაციონალიზმი. მაგრამ ლიბერალებისათვის მიუღებელია პრინციპი, რომლის მიხედვითაც ერი უმაღლეს პოლიტიკურ ხელისუფალს წარმოადგენს. მათთვის შეუზღუდავი ეროვნული ძალაუფლება ისეთსავე ნაკლოვანებებს შეიცავს, როგორც შეუზღუდავი პიროვნული თავისუფლება. ფართო გაგებით, ლიბერალური ინტერნაციონალიზმის ორი ძირითადი საფუძველი არსებობს. პირველი არის "უმართავი მსოფლიოს" შიში.

ლიბერალებმა დიდი ხანია აღიარეს, რომ ერის თვითგამორკვევას დადებით მხარეებთან ერთად უარყოფითიც გააჩნია. ერთი მხრივ, ის ინარჩუნებს თვითმმართველობას და კრძალავს უცხოურ კონტროლს, მაგრამ ამავდროულად ის ქმნის სუვერენული ერი-სახელმწიფოების მსოფლიოს, სადაც თითოეულ ერს საშუალება აქვს იზრუნოს საკუთარი ინტერესების გატარებაზე, სავსებით შესაძლებელია, სხვა ერის ხარჯზე. ლიბერალური ნაციონალისტები თვლიან, რომ კონსტიტუციონალიზმი და დემოკრატია ამცირებს ქვეყანაში მილიტარიზმისა და ომის მომხრე განწყობილებების ჩამოყალიბების საშიშროებას, მაგრამ როცა ერები მოქმედებენ "ინტერნაციონალური ანარქიის" დევიზით, მხოლოდ ცალკეული ერების თავშეკავება და შინაგანი კონტროლი შეიძლება საკმარისი არ იყოს მუდმივი მშვიდობის დასამყარებლად. ლიბერალები დამპყრობლური ომებისა და ძარცვის საშიშროების აღმოსაფხვრელად ძირითადად ორ გზას გვთავაზობენ: პირველია ერების დამოკიდებულება ერთმანეთზე, როგორც ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გზა. ამის გამო უჭერენ ლიბერალები ტრადიციულად მხარს თავისუფალი სავაჭრო ბაზრის პოლიტიკას: ერების ერთმანეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება გულისხმობს, რომ საერთაშორისო კონფლიქტით გამოწვეული მატერიალური ხარჯები იმდენად დიდი იქნება, რომ პრაქტიკულად გამორიცხავს ომის საშიშროებას. მეცხრამეტე საუკუნის "მანჩესტერელი ლიბერალების" – რიჩარდ კობდენის (Richard Cobden, 1804-1865) და ჯონ ბრაითის (John Bright, 1811-1889) შემთხვევაში ეს ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი კოსმოპოლიტიზმის უფრო ფართო პრინციპებისკენ მიმავალ საფეხურს წარმოადგენდა. ის არა მარტო ხელს შეუწყობდა

ყოველ ქვეყანას, ეწარმოებინა ის, რისი წარმოებაც მას ყველაზე უკეთ გამოსდიოდა (თეორია, რომელსაც ეკონომისტები "შედარებით უპირატესობას" უწოდებენ), არამედ გააერთიანებდა ყველა რასის, მრწამსისა და ენობრივი ჯგუფის წარმომადგენელ ადამიანებს იმაში, რასაც კობდენი "მუდმივი მშვიდობის კავშირს" უწოდებდა.

ლიბერალები ასევე გვთავაზობენ, რომ ეროვნული ამბიციები უნდა შეიზღუდოს ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებით, რომლებიც შეძლებენ წესრიგი დაამყარონ სხვა მხრივ ყოველგვარი კანონის გარეშე მოქმედ საერთაშორისო არენაზე. ამ არგუმენტში იგივე ლოგიკაა, რაც სოციალური კონტრაქტის თეორიაში – ხელისუფლება ნებისმიერი უწესრიგობის აღმოფხვრის საშუალებაა. აი რატომ უჭერდა მხარს ვუდრო უილსონი მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბების პირველ, მართალია, წარუმატებელ მცდელობას – "ერთა ლიგას", რომელიც 1919 წელს შეიქმნა, და სწორედ ეს იყო იმ ბევრად უფრო მასშტაბური მხარდაჭერის მიზეზი, რომელიც ამ ორგანიზაციის მემკვიდრემ – გაერომ – მიიღო სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 1945 წელს. ლიბერალები ამ ორგანიზაციებს განიხილავდნენ როგორც საერთო კანონმდებლობის მორჩილ სახელმწიფოთა გაერთიანებას და თვლიდნენ, რომ ეს სისტემა საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრის შესაძლებლობას შექმნიდა. ამავე დროს ლიბერალები ეთანხმებოდნენ აზრს, რომ კანონს განხორციელება სჭირდება და რომ აგრესიის დამარცხების საუკეთესო გზა რამდენიმე ერის გაერთიანებული მოქმედებაა. სუპრანაციონალიზმის იდეის მხარდაჭერა ასევე ნათლად ჩანს ლიბერალების დამოკიდებულებიდან ევროკავშირის მსგავსი გაერთიანებების მიმართ. კონსერვატორებისაგან განსხვავებით, რომელნიც ფიქრობენ, რომ ევროპის ინტეგრაცია შეზღუდავს ეროვნულ დამოუკიდებლობას და შეასუსტებს ეროვნულ იდენტურობას, ლიბერალები ძირითადად მხარს უჭერენ "ფედერალურ ევროპას", თვლიან რა მას ისეთ საშუალებად, რომელიც

## კოსმოპოლიტიზმი

კოსმოპოლიტიზმი სიტყვასიტყვით ნიშნავს *Cosmopolis*-ის ანუ "მსოფლიო სახელმწიფოს" რწმენას. იგი გულისხმობს ცალკეული ერების ეროვნული იდენტურობის მოსპობას და ერთი საერთო პოლიტიკური ერთეულის შექმნას, რომელიც ყველა ადამიანს გააერთიანებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივ ეს ტერმინი გამოიყენება უფრო ზომიერი მიზნის ასახვისათვის და გულისხმობს ერებს შორის მშვიდობისა და ჰარმონიის დამყარებას, რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთგაგებაზე, ტოლერანტობასა და, რაც მთავარია, ერთმანეთზე დამოკიდებულების პრინციპზე. ლიბერალური კოსმოპოლიტიზმი დიდი ხანია ასოცირდება თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერასთან, რისი საფუძველიც არის რწმენა იმისა, რომ თავისუფალი ვაჭრობის განვითარება ხელს უწყობს როგორც ერებს შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას, ისე მატერიალურ კეთილდღეობას. კოსმოპოლიტურ იდეალებს აგრეთვე ახორციელებენ ზეეროვნული (სუპრანაციონალური) ორგანიზაციები, რომელთა მიზანი უფრო ერებს შორის თანამშრომლობის პროპაგანდაა, ვიდრე ეროვნული სახელმწიფოების გაუქმება.

ხელს შეუწყობს თანამშრომლობისა და ურთიერთდამოკიდებულების განვითარებას ერებს შორის, რომლებიც სხვა მხრივ სრულიად შეინარჩუნებენ თავიანთ ტრადიციებსა და იდენტურობას.

ლიბერალური ინტერნაციონალიზმის მეორე საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებად ცალკეული ინდივიდუუმების და ინდივიდუალიზმის პრინციპის აღიარება (იხ. გვ. 33). ეს გულისხმობს, რომ ყოველ ადამიანს, მიუხედავად მისი რასისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, სოციალური მდგომარეობისა და ეროვნებისა, თანაბარი მორალური ღირებულება გააჩნია. მართალია, ლიბერალები იზიარებენ ეროვნული თვითგამორკვევის იდეას, მაგრამ ისინი არავითარ შემთხვევაში არ უშვებენ იმ აზრს, რომ სახელმწიფოს შეუძლია განუკითხავად მოექცეს თავის ხალხს. ამ თვალსაზრისით ადამიანის უფლებების პატივისცემა ლიბერალებისათვის უფრო მაღლა დგას, ვიდრე ეროვნული სუვერენიტეტის მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, ლიბერალური ინტერნაციონალიზმი იმას კი არ გულისხმობს, რომ ერი როგორც პოლიტიკური ფორმაცია უნდა გაუქმდეს, არამედ ის ერებისაგან მოითხოვს, დაიცვან მაღალი მორალური პრინციპები, რომელიც ადამიანის უფლებების დოქტრინაშია გამოხატული. ასეთი რწმენის საფუძველზე შეიქმნა ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაცია (1948) და ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (1956). ისინი ასევე უბრალოდ მხარს უჭერენ საერთაშორისო კანონიერების დაცვას, რასაც ახორციელებენ ისეთი ინსტიტუტები, როგორებიცაა ჰააგის საერთაშორისო სასამართლო და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო.

ასეთი სახის ლიბერალური ინტერნაციონალიზმის კრიტიკოსებს შორის არიან კონსერვატორები და განვითარებადი ქვეყნების ნაციონალისტები. პირველნი ამტკიცებენ, რომ ადამიანის უნივერსალურ უფლებათა იდეა არ ითვალისწინებს განსხვავებული კულტურებისა და ეროვნული ტრადიციების მოთხოვნებს, ხოლო მეორენი უფრო შორს მიდიან და ამტკიცებენ, რომ რაკი ადამიანის უფლებები დასავლური ლიბერალიზმის გამოვლინებაა, მათი გავრცელება დასავლური იმპერიალიზმის დანერგვის შეფარულ გზას წარმოადგენს.

## სოციალისტური ინტერნაციონალიზმი

სოციალისტები ლიბერალებზე მეტი პრინციპულობით უპირისპირდებიან ნაციონალიზმს, რადგანაც თვლიან, რომ ის ასაზრდოებს დაპირისპირებებსა და კონფლიქტებს, და რომ ნაციონალიზმი თავისი ბუნებით აშკარად მემარჯვენე ხასიათს ატარებს. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია თანამედროვე სოციალისტებისათვის, როგორც სახელმწიფოს არსებულ მმართველებს ან მმართველობაზე პრეტენზიის მქონეებს, გარკვეულად მაინც მიეღოთ ერი-სახელმწიფოს იდეა. ამის გამო ისინი, რიტორიკის დონეზე მაინც, ინტერნაციონალიზმს განიხილავენ როგორც ძირითად ღირებულებას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, როგორც რწმენის ობიექტს. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მარქსისტულ ტრადიციასთან მიმართებაში. მარქსიზმი ტრადიციულად

შეიცავდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ფორმას, რომელიც ეფუძნებოდა იდეას, რომ კლასობრივი სოლიდარობა უფრო მტკიცე და პოლიტიკურად უფრო ღირებულია, ვიდრე ნაციონალური იდენტურობა. *კომუნისტური პარტიის მანიფესტში* მარქსი (იხ. გვ. 145) წერდა:

> "მშრომელ ადამიანებს ქვეყანა არა აქვთ. მათ ვერ წაართმევ იმას, რაც არ გააჩნიათ. ვინაიდან პროლეტარიატმა უპირველეს ყოვლისა უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უპირატესობა, უნდა ამაღლდეს ქვეყნის წამყვანი კლასის მდგომარეობამდე, თვითონ უნდა ქმნიდეს ქვეყანას, ამიტომაც ის თავისთავად ერს წარმოადგენს, მართალია, არა ამ სიტყვის ბურჟუაზიული გაგებით". (Marx and Engels, [1848] 1968, გვ. 56)

მარქსი აღიარებდა ნებისმიერი სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელოვან ნაციონალურ ასპექტს; როგორც ის ამბობდა, თითოეული ქვეყნის პროლეტარიატმა "პირველ რიგში საქმე თავის საკუთარ ბურჟუაზიასთან უნდა მოაგვაროს". უფრო მეტიც, ის აღიარებდა, რომ გარკვეული ერებისათვის ეროვნული გათავისუფლება სოციალისტური რევოლუციის წინაპირობას წარმოადგენს, რაც აისახა მის მიერ პოლონეთისა და ირლანდიის დამოუკიდებლობის მხარდაჭერაში. ამის მიუხედავად, ის არ თვლიდა, რომ მუშათა კლასი იქნებოდა ნაციონალური "ამ სიტყვის ბურჟუაზიული მნიშვნელობით", რაშიც ის გულისხმობდა, რომ მუშათა კლასი, აღიარებდა რა ყველა პროლეტარის ძმობას, გადალახავდა იმას, რასაც ენგელსი "ნაციონალურ ეგოიზმს" უწოდებდა. *კომუნისტური პარტიის მანიფესტი* ამას ხატოვნად ასახავს თავის ცნობილ დასკვნით სიტყვებში: "პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" ამგვარად, სოციალიზმს ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ხასიათი აქვს. პროლეტართა კლასის სოლიდარობა არათუ გადალახავს ინტერნაციონალურ საზღვრებს, არამედ, როგორც მარქსმა მიუთითა, მსოფლიო ბაზრების წარმოშობამ კაპიტალიზმი საერთაშორისო სისტემად გარდაქმნა, რომელსაც ასევე ჭეშმარიტად მხოლოდ საერთაშორისო მოძრაობა თუ დაუპირისპირდება. აი, რატომ შეუწყო ხელი მარქსმა მუშათა საერთაშორისო გაერთიანების, ე. წ. "პირველი ინტერნაციონალის" ჩამოყალიბებას 1864 წელს. მეორე ანუ "სოციალისტური" ინტერნაციონალი დაფუძნდა 1889 წელს და განახლდა 1951 წელს. მესამე ინტერნაციონალი ანუ "კომინტერნი" დააფუძნა ლენინმა 1919 წელს, ხოლო მისი კონკურენტი მეოთხე ინტერნაციონალი დააფუძნა 1936 წელს ლევ ტროცკიმ, სტალინის "ერთი ქვეყნის სოციალიზმის" პოლიტიკის მთავარმა კრიტიკოსმა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტები იშვიათად განიხილავდნენ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, როგორც უბრალოდ სასრულ ამოცანას. მათ მიზანს წარმოადგენდა არა ნაციონალური საზღვრებით დანაწილებული მსოფლიოს შეცვლა კლასობრივი საზღვრებით დანაწილებული მსოფლიოთი, არამედ საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლის გზით მსოფლიოს ყველა ხალხს შორის ჰარმონიისა და თანამშრომლობის დამყარება. ამგვარად, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, ფაქტობრივად, საყოველთაო ჰუმანურობის რწმენაზეა დამყარებული. ეს იდეა, რომლის მიხედ-

რუსი მარქსისტი, პოლიტიკური მოაზროვნე და რევოლუციონერი. ლენინის ადრეული კრიტიკოსი და 1905 წლის სანკტ-პეტერბურგის საბჭოს წევრი, ტროცკი შეუერთდა ბოლშევიკებს 1917 წელს, გახდა რა საგარეო საქმეთა კომისარი და მოგვიანებით სამხედრო კომისარი. მას შემდეგ, რაც ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინმა მას აჯობა ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, 1929 წელს ტროცკი გააძევეს საბჭოთა კავშირიდან და, სტალინის ბრძანებით, მოგვიანებით მოკლეს მექსიკაში 1940 წელს.

ტროცკის თეორიული შენატანი მარქსიზმში ეფუძნება მუდმივი რევოლუციის თეორიას, რაც გულისხმობდა, რომ რუსეთში სოციალიზმი უნდა დამყარებულიყო განვითარების ბურჟუაზიული ეტაპის გარეშე. ტროცკიზმი ჩვეულებრივ ასოცირდება ინტერნაციონალიზმის პრინციპების მიმართ უდრეკ ერთგულებასა და ანტისტალინიზმთან; სტალინიზმში ის ბიუროკრატიზაციის საშიშროებას ხედავს, რაც ასახულია ნაშრომში *რევოლუციის ღალატი* (*The Revolution Betrayed*, 1937).

ვით, კაცობრიობას აერთიანებს ურთიერთსიმპათია, თანაგრძნობა და სიყვარული, ეფუძნება იმის რწმენას, რომ ადამიანებს გაცილებით მეტი აერთიანებთ, ვიდრე ყოფთ. ამ თვალსაზრისით, სოციალისტები შეიძლება უარყოფდნენ ნაციონალიზმს არა მარტო იმიტომ, რომ ის, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის სახესხვაობა ნიღბავს იმ წინააღმდეგობებს, რომელსაც ეფუძნება კაპიტალიზმი და სხვა კლასობრივი საზოგადოებები, არამედ იმიტომ, რომ ის აიძულებს ადამიანებს, უარყონ მათი საყოველთაო ჰუმანურობა. ამგვარად, სოციალისტისთვის ინტერნაციონალიზმი შეიძლება გულისხმობდეს არა უბრალოდ ერებს შორის თანამშრომლობას საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, არამედ უფრო რადიკალურ და უტოპიურ ამოცანას: გაქრეს ერები და შეიქმნას ერთი მსოფლიო და ერთი ხალხი.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის კრიტიკა ორ კატეგორიად იყოფა. პირველი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ინტერნაციონალურმა სოციალისტებმა ვერ შეძლეს თავიანთი მაღალი იდეალების პრაქტიკაში განხორციელება. მაგალითად, სხვადასხვა ინტერნაციონალებს ხელს უშლიდა ღრმა პირადი და იდეოლოგიური კონკურენცია და ასევე ნაციონალური განსხვავებები. კრიტიკოსების მეორე კატეგორია ხაზს უსვამს ზიანს, რომელიც მიაყენა სოციალიზმს თავისმა შეცდომამ, კერძოდ, იმ გარემოებამ, რომ არ აღიარა და არ გამოიყენა პოლიტიკური ნაციონალიზმის სიმტკიცე და ძალა. ნაციონალიზმის, როგორც ხელოვნური და გადაშენების გზაზე მყოფი ძალის უარყოფის ტენდენცია მუდამ უბიძგებდა სოციალისტებს, გადამეტებული მნიშვნელობა მიენიჭებინათ ინტერნაციონალური იდეალების მიმზიდველობისათვის. ეს ყველაზე დრამატულად წარმოაჩინა მეორე ინტერნაციონალის ძალზე ეფექტურმა მარცხმა 1914 წლის აგვისტოში, როდესაც ევროპის პროლეტარებმა და აგრეთვე ევროპის მრავალმა სოციალისტურმა პარტიამ დიდი მონდომებით დაუჭირა მხარი ომისა და ეროვნული დიდების პერსპექტივას. ნაციონალიზმის იდეას ბევრად უფრო მეტი პოტენციალი აღმოაჩნდა, ვიდრე სოციალისტური რევოლუციის პერსპექტივას.

## ნაციონალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში

ძნელად მოიძებნება სხვა პოლიტიკური იდეოლოგია, გარდა ნაციონალიზმისა, რომლის გარდაუვალ დასასრულზე წინასწარმეტყველებებს ასეთი ხანგრძლივი ისტორია გააჩნდეს. ჯერ კიდევ 1848 წელს მარქსმა განაცხადა, რომ "ნაციონალური განსხვავებები და ანტაგონიზმი ერებს შორის ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ქრება". მსგავსადვე, ნაციონალიზმის როგორც ერის მშენებლობის პროექტის სიკვდილი ფართოდ იქნა გამოცხადებული პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის ერთა თვითგამორკვევის პრინციპით რეკონსტრუქციის შემდეგ და აგრეთვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც აფრიკის, აზიისა და სხვა რეგიონების დეკოლონიზაციის შედეგი. რაღა როლი ექნება ნაციონალიზმს მას შემდეგ, რაც აშენდება ეროვნული სახელმწიფოების მსოფლიო? უფრო მეტიც, მეოცე საუკუნის განმავლობაში გამოვლინდა, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების პროგრესირებადი ინტერნაციონალიზაციის პირობებში ერის ცნება ზედმეტი გახდა. მსოფლიო პოლიტიკაში დომინირებენ საერთაშორისო ორგანიზაციები – გაეროდან ევროკავშირამდე და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდამდე, რომლებიც სულ უფრო და უფრო მცირე გადაწყვეტილების მიღების საშუალებას უტოვებენ ცალკეულ ერებს. ამ ფენომენს ხშირად "გლობალიზაციას" უწოდებენ.

გლობალიზაციას შორს მიმავალი გავლენა ჰქონდა როგორც ეროვნულ სახელმწიფოებზე, ასევე პოლიტიკურ დოქტრინებზე, რომლებიც ეროვნული განსხვავებულობის იდეაზე იყო დაფუძნებული. მან, მაგალითად, გამოიწვია გაერთიანებული გლობალური ეკონომიკის წარმოშობა, რაც გულისხმობს, რომ ხშირად მატერიალური კეთილდღეობა დამოკიდებულია უფრო მეტად ტრანსნაციონალური კორპორაციების, ვიდრე ნაციონალური მთავრობების გადაწყვეტილებებზე. კულტურული თვალსაზრისით, საჰაერო მგზავრობის, საერთაშორისო ტურიზმის, სატელიტური ტელევიზიისა და ინტერნეტის პირობებში, გლობალიზაცია გულისხმობს ისეთი საზოგადოების განვითარებას, რომლის მოქმედებასაც ბაზარი განსაზღვრავს, რაშიც ბევრი მსოფლიოს "მაკდონალდიზაციის" საშიშროებას ხედავს. შეიძლება თუ არა ერები კვლავ ჩაითვალოს გარკვეული შინაარსის მქონე ერთეულებად, როცა ადამიანები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ერთსა და იმავე ფილმებსა და ტელეგადაცემებს უყურებენ, იკვებებიან ერთი და იმავე საკვებით, მისდევენ ერთსა და იმავე სპორტის სახეობებს და ასე შემდეგ? თუ გავითვალისწინებთ მოვლენათა ასეთი განვითარების დაუნდობელ გარდუვალობას, ოცდამეერთე საუკუნე პოლიტიკური ნაციონალიზმის მზის საბოლოო დაბნელების მოწმე გახდება.

ყველაფრის მიუხედავად, სულ ცოტა, ორი ფაქტორი მიუთითებს იმაზე, რომ ერს ჯერ კიდევ გააჩნია პოლიტიკური მნიშვნელობა. პირველი ფაქტორი მდგომარეობს იმ აღიარებულ მტკიცებულებებში, რომ სწორედ ტრადიციული სამოქალაქო და ეროვნული კავშირების შესუსტებასთან ერთად, გლობალიზაციამ შეიძლება გააღვივოს ეთნიკურ პრინციპებზე დაფუძნებული ნაციონალიზმი და ხშირად მისი აგრესიული ფორმები. მაშინ როცა ტრა-

დიციულ ერ-სახელმწიფოს აღარ ძალუძს შინაარსიანი კოლექტიური იდენტურობის შექმნა, მის სანაცვლოდ შეიძლება განვითარდეს პარტიკულარიზმის ნაირსახეობები, რომლებიც ეფუძნება რეგიონს, რელიგიას, ეთნიკურ და რასობრივ კუთვნილებას. ეს უკვე გამოვლინდა, თანაც ძალზე დრამატულად, ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებაში ყოფილი საბჭოთა ბლოკის სხვადასხვა ნაწილებში, განსაკუთრებით ყოფილ იუგოსლავიაში. მაგრამ ეს ასევე აშკარად გამოჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ცენტრიდანული ნაციონალიზმის გამოვლინებებში, რომლებიც აღმოცენდა ისეთ სახელმწიფოებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია და ბელგია.

მეორე ფაქტორი ისაა, რომ გლობალიზაციამ შეიძლება ნაციონალურ პროექტს ახალი მნიშვნელობა და შინაარსი შესძინოს. ამ შემთხვევაში მისი ფუნქცია იქნება ერებისათვის მომავლის განსაზღვრა სულ უფრო გლობალიზებულსა და ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში. ამ გაგებით, გლობალიზაციამ შეიძლება არა იმდენად გააუფასუროს ერის ცნება, რამდენადაც აიძულოს ერები, ხელახლა გამოიგონონ საკუთარი თავი იმ სახით, რომ გააგრძელონ საზოგადოების უზრუნველყოფა სოციალური შერწყმისა და იდენტურობის წყაროებით, ოღონდ სულ უფრო ცვალებად და კონკურენტულ კონტექსტში. თავისი განსხვავებული გზებით გაიარეს თვითდამკვიდრების პროცესი ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორიცაა სინგაპური, მალაიზია, ავსტრალია, ახალი ზელანდია და კანადა, რომლებიც ცდილობდნენ მოეხდინათ თავისი ეროვნული იდენტურობის მოდიფიკაცია თავიანთი წარსული ელემენტების შერწყმით მუდმივად მომავლისკენ მიმართულ ორიენტაციასთან.

## რეკომენდებული ლიტერატურა

Alter, P., *Nationalism* (London: Edward Arnold, 1989). ნაციონალისტური იდეებისა და ნაციონალიზმის სხვადასხვა ფორმების თაობაზე კარგად და ნათლად დაწერილი შესავალი კურსი.

Brown, D. *Contemporary Nationalism: Civic, Ethnocultural and Multicultural Politics* (London: Roulledge: 2000). ნაციონალიზმის მიმართ განსხვავებული მიდგომებისა და თანამედროვე ნაციონალისტური პოლიტიკის კონტრასტული ფორმების მკაფიო და საინტერესო მიმოხილვა.

Hobsbawm, E. J., *Nations and Nationalism since 1780* (Cambridge and New York: Cambridge University Press, 1990). საკითხის შესახებ კარგი, პოპულარული ენით დაწერილი შესავალი კურსი.

Hutchinson, E. J. and A. D. Smith (eds), *Nationalism* (Oxford and New York: Oxford University Press, 1994). ფართო დიაპაზონის სასარგებლო ნაშრომების კრებული, რომელშიც წარმოდგენილია ნაციონალიზმის ხასიათის, განვითარებისა და მნიშვნელობის თაობაზე დებატების მიმოხილვა.

Kedoune, E., *Nationalism*, revised edition (London: Hutchinson, 1985). ნაციონალიზმის კლასიკური კრიტიკული მიმოხილვა, რომელშიც ხაზგასმულია თვითგამორკვევის მნიშვნელობა.

Smith, A. D., *Nationalism: Theory, Ideology, History* (Cambridge and Malden, MA: Polity Press, 2001). ნათელი და საფუძვლიანი შესავალი კურსი ნაციონალიზმისა და მისი სახესხვაობების გამოვლინებათა საკითხებისათვის.

Spencer, P. and Wollman, H., *Nationalism: A Critical Introduction* (London and Thousand Oaks, CA: Sage, 2002). ნაციონალიზმის მიმართ კლასიკური და თანამედროვე მიდგომების ძალიან სასარგებლო კვლევა, რომელშიც მიმოხილულია ყველა საკვანძო საკითხი, თეორია და დებატები.

თავი 6

# ანარქიზმი

*წარმოშობა და განვითარება*
*სახელმწიფოს წინააღმდეგ – ძირითადი თემები*
*კოლექტივისტური ანარქიზმი*
*ინდივიდუალისტური ანარქიზმი*
*გზები ანარქიისკენ*
*ანარქიზმი ოცდამეერთე საუკუნეში*

## წარმოშობა და განვითარება

სიტყვა "ანარქია" ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს და სიტყვასიტყვით ნიშნავს "წესის გარეშე". ტერმინი "ანარქიზმი" საფრანგეთის რევოლუციის დროიდან შემოვიდა ხმარებაში. იგი თავდაპირველად კრიტიკული ან ნეგატიური მნიშვნელობით – ცივილიზებული ან კანონზომიერი წესრიგის რღვევის გამოსახატად გამოიყენებოდა. პრაქტიკულად, მოცემულ ტერმინს დღესაც ხშირად იყენებენ დამაკნინებელი მნიშვნელობით. ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საუბარში, "ანარქიას" ქაოსსა და უწესრიგობას უკავშირებენ და არცთუ იშვიათად საზოგადოებრივ წარმოდგენაში ანარქისტები "ბომბის მატარებელი" ტერორისტებია. ბუნებრივია, თავად ანარქისტები ამგვარ შეფასებას კატეგორიულად უარყოფენ. სიტყვას "ანარქია" პოლიტიკური იდეების პოზიტიური და სისტემატიზებული ერთობლიობის მნიშვნელობა მხოლოდ 1971 წლიდან მიეცა, როდესაც პიერ ჟოზე პრუდონმა (იხ. გვ. 230) ნაწარმოებში სახელწოდებით *რა არის საკუთრება?* ([1840] 1971) სიამაყით განაცხადა: "მე ანარქისტი ვარ". ანარქისტები მართლაც ქადაგებენ კანონისა და სამთავრობო ინსტიტუტების გაუქმებას, თუმცა მათ ამგვარ სწრაფვას უფრო ბუნებრივი და სპონტანური სოციალური რეჟიმის დამყარებისა და განვითარების რწმენა უდევს საფუძვლად. როგორც პრუდონი აღნიშნავდა, "საზოგადოება წესრიგს ანარქიაში ეძებს." ანარქიზმის ძალადობასთან უშუალო დაკავშირება აგრეთვე შეიძლება მცდარი მიდგომა იყოს. ზოგჯერ ანარქისტები სრულიად ღიად და სიამაყის გრძნობით უჭერდნენ მხარს დაბომბვებსა და ტერორიზმს. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ანარქისტების უმრავლესობა ძალადობას არასწორ ნაბიჯად მიიჩნევს და თვლის, რომ მას მხოლოდ საწინააღმდეგო შედეგების მოტანა შეუძლია. აქედან გამომდინარე, ანარქიზმის მრავალი მიმდევარი ნებისმიერი სახის ძალადობას მორალურად მიუღებლად თვლის.

ანარქისტული იდეების წყაროებს ხშირად უკავშირებენ ტაოისტურ ან ბუდისტურ მსოფლმხედველობას, ძველი საბერძნეთის სტოიკოსთა და კინიკოსთა შეხედულებებს, ან ინგლისის სამოქალაქო ომის პერიოდის დიგერების იდეებს. ამისდა მიუხედავად, ანარქისტული პრინციპების პირველი, და ასე ვთქვათ, კლასიკური ჩამოყალიბება ეკუთვნის უილიამ გოდვინს (იხ. გვ. 222) ნაწარმოებში *კვლევა პოლიტიკური სამართლიანობის თაობაზე* ([1793] 1971), თუმცა, აღსანიშნავია, რომ გოდვინი თავის თავს ანარქისტს არასოდეს უწოდებდა. მეცხრამეტე საუკუნეში ანარქიზმი პოპულარული და მზარდი სოციალისტური მოძრაობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდა. 1864 წელს მარქსის მიმდევრებს პრუდონის მიმდევრებიც შეუერთდნენ და შექმნეს "მუშათა საერთაშორისო გაერთიანება", ანუ ე.წ. "პირველი ინტერნაციონალი". ამ უკანასკნელის 1871 წელს დაშლის მიზეზი გახდა მარქსისტებსა და ანარქისტებს შორის მზარდი დაპირისპირება. ამ დროს ანარქისტების სათავეში მიხაილ ბაკუნინი იყო (იხ. გვ. 227). მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ანარქისტები ცდილობდნენ, მასობრივი მხარდაჭერა მოეპოვებინათ რუსეთისა და სამხრეთი ევროპის უმიწაწყლო გლეხებისაგან და აგრეთვე (და შედარებით უფრო წარმატებულად) ინდუსტრიულ წარმოებაში ჩართული მუშათა კლასისაგან ანარქო-სინდიკალიზმის საშუალებით.

სინდიკალიზმი რევოლუციური პროფკავშირული მოძრაობის ფორმას წარმოადგენდა და პოპულარული იყო საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში. მან მეოცე საუკუნის დასაწყისში ანარქიზმი ჭეშმარიტად მასობრივ მოძრაობად აქცია. 1914 წლამდე ანარქისტები დომინირებდნენ საფრანგეთის საკმაოდ ძლიერ მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციულ გაერთიანებაში (CGT), იგივე მდგომარეობა იყო ესპანეთის მშრომელთა ეროვნულ ცენტრში (CNT), რომელიც სამოქალაქო ომის დროს ორ მილიონზე მეტ წევრს აერთიანებდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში ანარქო-სინდიკალისტურ მოძრაობას საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე ლათინურ ამერიკაში, კერძოდ, არგენტინასა და ურუგვაიში. სინდიკალიზმის იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა მექსიკის რევოლუციაზე, რომელსაც სათავეში ემილიანო ზაპატა ედგა. თუმცა, ავტორიტარიზმისა და პოლიტიკური რეპრესიების საყოველთაო მასშტაბი თანდათანობით ძირს უთხრიდა ანარქიზმს როგორც ევროპაში, ისე ლათინურ ამერიკაში. 1936-39 წლების ესპანეთის სამოქალაქო ომში გენერალ ფრანკოს გამარჯვებამ ანარქიზმს, როგორც მასობრივ მოძრაობას, ბოლო მოუღო. მშრომელთა ეროვნული ცენტრი დაიშალა, ხოლო ანარქისტებს, როგორც ყველა სხვა მემარცხენეებს, დევნა გამოუცხადეს. ანარქიზმის პოპულარობა მნიშვნელოვნად დაეცა აგრეთვე 1917 წელს, ლენინისა და ბოლშევიკების წარმატებების ფონზე, რის შედეგადაც სოციალისტურ და რევოლუციურ მოძრაობებს შორის კომუნიზმის პრესტიჟი ამაღლდა.

ანარქიზმს, სხვა პოლიტიკური იდეოლოგიებისგან განსხვავებით, მიუხედავად მრავალი მცდელობისა, არასოდეს მიუღწევია ძალაუფლებისთვის, თუნდაც ეროვნულ დონეზე. არ არსებობს საზოგადოება ან ერი, რომლის წყობა ანარქისტულ პრინციპებზე არის აგებული. ამიტომაც დიდია ცდუნება ჩავთვალოთ, რომ ანარქიზმი, როგორც იდეოლოგია, ნაკლებად ძლიე-

რია, ვიდრე, მაგალითად, ლიბერალიზმი, სოციალიზმი, კონსერვატიზმი თუ ფაშიზმი, რამეთუ თითოეულმა მათგანმა ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ საფეხურზე მაინც დაამტკიცა, რომ ძალუძს ძალაუფლების ხელში ჩაგდება და საზოგადოებრივი წყობის შეცვლა. ანარქისტები, ისტორიულად, ყველაზე მეტად მიუახლოვდნენ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში აკონტროლებდნენ აღმოსავლეთი ესპანეთის გარკვეულ ნაწილს და შექმნეს მუშათა და გლეხთა კოლექტივები (გაერთიანებები) კატალონიაში. შემდგომში ანარქისტები ცდილობდნენ მიებაძათ იმ ისტორიული საზოგადოებებისთვის, რომლებიც მათ პრინციპებს გამოხატავდნენ, ისეთებისთვის, როგორებიც იყო ანტიკური საბერძნეთის თუ შუა საუკუნეების ევროპული ქალაქები, ან ისეთი ტრადიციული გლეხური კომუნები, როგორიც რუსული *მირი* იყო. ანარქისტები, ამავდროულად, ხაზს უსვამდნენ მრავალი ტრადიციული საზოგადოების არაიერარქიულ და ეგალიტარულ ბუნებას, მაგალითად, ისეთების, როგორიც იყო ნუერი აფრიკაში, და მხარს უჭერდნენ ისეთ ექსპერიმენტებს, როგორიცაა მცირემასშტაბიანი კომუნალური ტიპის საზოგადოების შექმნა დასავლურ საზოგადოებაში.

ანარქიზმის როგორც პოლიტიკური მიმდინარეობის მიმზიდველობას ზღვარი თავად მისმა მიზნებმა და მათი მიღწევის საშუალებებმა დაუდეს. ანარქიზმის მიზანს, რომელიც სახელმწიფოს დამხობასა და პოლიტიკური ხელისუფლების ყველა ფორმის საბოლოო გაუქმებას გულისხმობს, ადამიანთა დიდი ნაწილი შეუძლებლად თუ არა, არარეალურად მაინც მიიჩნევს. მართლაც, მსოფლიოს ქვეყანათა უმეტესობის უახლესი ისტორია იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, როგორც წესი, თან სდევს მთავრობის ძალაუფლების გაძლიერება და არა მისი როლის შემცირება ან მისი არსებული ფორმების სრული გაქრობა. უფრო მეტიც, უმეტესობის აზრით, კონცეფცია საზოგადოებისა, რომელიც სახელმწიფოებრიობის გარეშე იარსებებს, საუკეთესო შემთხვევაში უტოპიური ოცნებაა. ანარქისტები უარყოფენ აგრეთვე პოლიტიკური გავლენის გავრცობის ტრადიციულ საშუალებებს (მაგ. პოლიტიკური პარტიების შექმნას, არჩევნებში მონაწილეობას, ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულებაში ადგილის მოპოვების მცდელობას და სხვ.), რადგანაც მიიჩნევენ, რომ ეს საშუალებები კორუმპირებულია და ყველა, ვინც მათ მიმართავს, თვითონაც ხდება კორუფციის თანამონაწილე. შედეგად, ანარქისტებმა თავად მოისპეს პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნისა თუ რაიმე სახის სტრატეგიული გეგმის შემუშავების უპირატესობანი, როდესაც თავიანთ იმედებს ხშირად სპონტანურ მასობრივ მოქმედებებზე და თავისუფლების პოპულარულ წყურვილზე ამყარებდნენ. მიუხედავად ზემოხსენებულისა, ანარქიზმი არ კვდება. სწორედ ხელისუფლებისა და პოლიტიკური აქტივობისადმი უკომპრომისო პოზიციის გამო, მას გააჩნია მდგრადი და ხშირად ძლიერი ხიბლი, განსაკუთრებით ახალგაზრდების თვალში. ამის კარგი მაგალითია ის, რომ ახლადწარმოქმნილ ანტიკაპიტალისტურ და ანტიგლობალიზაციურ მოძრაობებში დიდი ადგილი უჭირავს ანარქისტულ იდეებს, ლოზუნგებსა და ჯგუფებს.

## სახელმწიფოს წინააღმდეგ – ძირითადი თემები

ანარქიზმის მთავარ განმსაზღვრელ თვისებას წარმოადგენს მისი ოპოზიციური დამოკიდებულება სახელმწიფოსა და მისი თანმხლები სამთავრობო თუ სამართლებრივი ინსტიტუტების მიმართ. ანარქისტები უპირატესობას ანიჭებენ საზოგადოებას სახელმწიფოს გარეშე, რომელშიც თავისუფალი ინდივიდები საკუთარ ბედს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მართავენ, რაიმე ძალდატანებისა თუ ძალადობის გარეშე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანარქიზმის რეპუტაციაზე საკმაოდ ნეგატიური გავლენა მოახდინა ორმა ფაქტორმა. პირველი – ბევრის აზრით ანარქიზმი გაცილებით უფრო ძლიერია მორალური პრინციპების განსაზღვრის, ვიდრე ანალიზისა თუ ლოგიკურად დასაბუთების საქმეში. ანარქიზმი ძირითადად ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ადამიანი მაღალზნეობრივი არსებაა, რომელსაც დაბადებიდან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის ინსტინქტი დაჰყვება, აქედან გამომდინარე, მისი (ანარქიზმის) ენერგია უმეტეს შემთხვევაში მიმართულია სწორედ ამ მორალური ინსტინქტების გამოღვიძებისკენ და არა სახელმწიფოებრივი სისტემის უარყოფითი მხარეების გაანალიზებისა და მათთან ბრძოლის ლოგიკური და პრაქტიკული გზების დასახვისკენ; მეორე – ანარქიზმი ნაკლებად ერთიანი და ჰარმონიული იდეოლოგიაა, იგი, უმეტესწილად, ორი მოქიშპე იდეოლოგიის – ლიბერალიზმისა და სოციალიზმის იდეური თანხვედრის წერტილია, სადაც ორივე იდეოლოგია ანტისახელმწიფოებრივ დასკვნამდე მიდის. ამგვარად, ანარქიზმი ორმაგი ბუნებისაა. იგი, ერთი მხრივ, შეიძლება განისაზღვროს როგორც "ულტრალიბერალიზმის" გარკვეული ფორმა, რომელიც უკიდურეს ლიბერალურ ინდივიდუალიზმს მოგვაგონებს და, მეორე მხრივ, როგორც "ულტრასოციალიზმის" ფორმა, ორიენტირებული მკაცრად სოციალისტურ კოლექტივიზმზე. მიუხედავად ამისა, მაინც მართებული იქნება, თუ ანარქიზმს ცალკე მდგომ იდეოლოგიად განვიხილავთ, ვინაიდან მის მიმდევრებს, მიუხედავად განსხვავებულ პოლიტიკურ ტრადიციებზე დაყრდნობისა, გაცილებით ფართომასშტაბიანი პრინციპები და შეხედულებები აერთიანებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია:

- ანტისახელმწიფოებრიობა (ანტისტეიტიზმი)
- ბუნებრივი წესრიგი
- ანტიკლერიკალიზმი
- ეკონომიკური თავისუფლება

### ანტისახელმწიფოებრიობა/ანტისტეიტიზმი

სებასტიან ფორი *Encyclopédie anarchiste*-ში ანარქიზმს განმარტავს როგორც "ხელისუფლების პრინციპის უარყოფას". ანარქისტების ამგვარი მიდგომა ხელისუფლებისადმი ნათელი და ადვილად ასახსნელია: ხელისუფლება თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპების ხელყოფაა. ანარქიზმი უნიკალურია იმ გაგებით, რომ ეყრდნობა აბსოლუტური თავისუფლებისა და

შეუზღუდავი პოლიტიკური თანასწორობის პრინციპებს. ამ გაგებით, ხელისუფლება, რომელიც დაფუძნებულია პოლიტიკურ უთანასწორობასა და ერთი პიროვნების საყოველთაოდ აღიარებულ ძალაუფლებაზე, გავლენას ახდენს სხვათა ქცევაზე, იმონებს, ჩაგრავს და ზღუდავს ადამიანის სიცოცხლეს. ხელისუფლება რყვნის იმათ, ვინც ექვემდებარება ძალაუფლებას და იმათაც, ვინც ხელისუფლების სათავეშია. ვინაიდან ადამიანი თავისუფალი და დამოუკიდებელი ქმნილებაა, მის მიმართ ძალაუფლების გამოვლენა მის დაკნინებას, მისი თანდაყოლილი ბუნების იგნორირებასა და დამაჩლუნგებელი დადგენილი წესრიგისადმი მის იძულებით დამორჩილებას ნიშნავს. გქონდეს ძალაუფლება, თუნდაც საქმე ეხებოდეს ე. წ. "ცოდნით გამყარებულ ძალაუფლებას", მაგალითად, ექიმების ან მასწავლებლების ძალაუფლებას, რაც საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის ცოდნის არათანაბარი განაწილების შედეგს წარმოადგენს, წინაპირობაა იმისა, რომ ადამიანს გაუჩნდეს სწრაფვა პრესტიჟის მოპოვებისკენ, კონტროლისკენ და საბოლოოდ – ბატონობისკენ. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების ფენომენი ბადებს "ძალაუფლების ფსიქოლოგიას", რომელიც დაფუძნებულია "ბატონობისა და მორჩილების" პრინციპზე. იქმნება საზოგადოება, რომელშიც, ამერიკელი ანარქისტისა და სოციალური კრიტიკოსის პოლ გუდმენის (1911-1972) სიტყვებით, "მრავალნი არიან შეუბრალებელნი, უმეტესობა კი შიშში ცხოვრობს."

პრაქტიკულად, ხელისუფლების ანარქისტული კრიტიკა, როგორც წესი, პოლიტიკურ ხელისუფლებაზეა აქცენტირებული, განსაკუთრებით, თუ მას ზურგს უმაგრებს თანამედროვე სახელმწიფო აპარატი. ყველა სხვა პოლიტიკური იდეოლოგია ემხრობა აზრს, რომ სახელმწიფო საზოგადოებაში ამა თუ იმ მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება. მაგალითად, ლიბერალები სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა დამცველად თვლიან; კონსერვატორები ეთაყვანებიან სახელმწიფოს, რადგან, მათი აზრით, იგი საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალური ერთიანობის სიმბოლოა. სოციალისტებს სახელმწიფო რეფორმის ეფექტურ საშუალებად და სოციალური სამართლიანობის წყაროდ მიაჩნიათ. ანარქისტებს კი, ამის საწინააღმდეგოდ, მიაჩნიათ, რომ ამგვარი შეხედულებები პოლიტიკური ხელისუფლებისა და სახელმწიფოს შესახებ მცდარია, თუნდაც იმის გამო, რომ მათში არ არის გათვალისწინებული ის უარყოფითი და დამანგრეველი ფაქტორები, რომლებიც საკანონმდებლო და სამთავრობო დაწესებულებების განუყოფელი ნიშანთვისებებია. ამგვარი ანარქისტული კრიტიკის სურნელი იგრძნობა პრუდონის ცნობილ სიტყვებში:

> იყო მართული – ნიშნავს გითვალთვალებდნენ, გამოწმებდნენ, გჯაშუშობდნენ, გმართავდნენ, კანონებს გიწესებდნენ, სამხედრო სამსახურში გაგზავნიდნენ, გზღუდავდნენ, თავს გახვევდნენ იდეებს, ქადაგებას გიკითხავდნენ, გაკონტროლებდნენ, შემფასებლის თვალით გიცქერდნენ, ცენზურაში გატარებდნენ, გმბრძანებლობდნენ; და ამას ყველაფერს აკეთებდნენ არსებები, რომელთაც არ გააჩნიათ არც ამის უფლება, არც ძალა და არც სიბრძნე. (ციტირებულია წიგნში: Marshall, 1993, გვ. 245)

## სახელმწიფოს შესახებ

**ლიბერალების** თვალსაზრისით, სახელმწიფო წარმოადგენს ნეიტრალურ არბიტრს საზოგადოებაში არსებულ დაპირისპირებულ ინტერესებსა და ჯგუფებს შორის, სოციალური წესრიგის დაცვის უმთავრეს გარანტს. მაშინ, როდესაც კლასიკური ლიბერალები სახელმწიფოს აღიქვამენ როგორც გარდაუვალ ბოროტებას და ხოტბას ასხამენ მინიმალურ ანუ მხოლოდ "გუშაგის" ფუნქციის შემსრულებელ სახელმწიფოს, თანამედროვე ლიბერალები აღიარებენ სახელმწიფოს პოზიტიურ როლს თავისუფლების გაზრდისა და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობის საქმეში.

**კონსერვატორები** სახელმწიფოს უკავშირებენ ძალაუფლებისა და დისციპლინის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოს ქაოსისა და არეულობისაგან დაცვის აუცილებლობას, ამიტომაც არის, რომ კონსერვატორები, ტრადიციულად, უპირატესობას ანიჭებენ ძლიერ სახელმწიფოს.

**სოციალისტებს** შორის გავრცელებული შეხედულებები სახელმწიფოს შესახებ არაერთგვაროვანია. მარქსისტები ყურადღებას ამახვილებენ კავშირზე სახელმწიფოსა და კლასობრივ სისტემას შორის, თვლიან რა მას ან კლასობრივი მმართველობის ინსტრუმენტად, ან კლასებს შორის დაძაბულობის შემარბილებელ საშუალებად. მაგრამ სოციალიზმის სხვა მიმართულებები სახელმწიფოს საზოგადო სიკეთის განსხეულებად მიიჩნევენ და, შესაბამისად, მხარს უჭერენ ინტერვენციონიზმს მისი სოციალურ-დემოკრატიული ან სახელმწიფო-კოლექტივისტური ფორმით.

**ანარქისტები** სრულიად უარყოფენ სახელმწიფოს, რადგან უსარგებლო ბოროტებად მიიჩნევენ. სახელმწიფოს სუვერენული, სავალდებულო და იძულებითი ძალაუფლება მათ მიერ აღიქმება როგორც ლეგალიზებული ჩაგვრის ფორმა, რომელიც ძლიერთა, მდიდართა და პრივილეგირებულთა ინტერესებში მოქმედებს.

**ფაშიზმი**, კერძოდ მისი იტალიური ტრადიცია, სახელმწიფოს უმაღლეს ეთიკურ იდეალად მიიჩნევს, რომელიც ეროვნული საზოგადოების ერთიან, არადიფერენცირებულ ინტერესებს გამოხატავს (იხ. გვ. 262). თუმცა, ნაცისტები სახელმწიფოს აღიქვამდნენ უფრო როგორც "ჭურჭელს", რომელიც იტევს, ან როგორც ინსტრუმენტს, რომელიც ემსახურება რასას ან ერს.

**ფემინისტები** სახელმწიფოს მამაკაცთა ძალაუფლების იარაღად მიიჩნევენ, მათი აზრით, პატრიარქალური სახელმწიფო ემსახურებოდა ცხოვრების საზოგადოებრივი ან "პოლიტიკური" სფეროდან ქალთა გამოდევნის ან მის ფარგლებში მათი დამორჩილების ამოცანას. თუმცა, ამისდა მიუხედავად, ლიბერალი ფემინისტები თვლიან, რომ სახელმწიფო რეფორმების იარაღს წარმოადგენს, რომელიც მგრძნობიარეა ელექტორატის ზეწოლის მიმართ.

**ფუნდამენტალისტების** დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ მეტად პოზიტიურია, რადგანაც ისინი თვლიან, რომ სახელმწიფო სოციალური, ზნეობრივი და კულტურული განახლების საშუალებაა. შესაბამისად, ფუნდამენტალისტური სახელმწიფო რელიგიური მმართველობისა და სიბრძნის პოლიტიკურ გამოხატულებად ითვლება.

სახელმწიფო სუვერენული ორგანოა, რომელსაც უზენაესი ძალაუფლება აქვს მინიჭებული ყველა იმ ინდივიდსა თუ ჯგუფზე, რომლებიც განსაზღვრულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ანარქისტები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფოს ძალაუფლება აბსოლუტური და შეუზღუდავია: კანონს შეუძლია საზოგადოების წევრების ესა თუ ის ქმედება აკრძალოს, შეზღუდოს მათი პოლიტიკური საქმიანობა, არეგულიროს ეკონომიკის სფერო, ჩაერიოს პირად ზნეობასა თუ აზროვნებაში და ა. შ. სახელმწიფოს ძალაუფლებაც იძულებითი და თავსმოხვეულია. ანარქისტები უარყოფენ ლიბერალების კონცეფციას იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური ძალაუფლება ნებაყოფლობითი შეთანხმების, გარკვეული "სოციალური კონტრაქტის" პროდუქტია, და ამტკიცებენ, რომ ინდივიდები სახელმწიფო ხელისუფლების ქვეშევრდომები ხდებიან მხოლოდ იმის გამო, რომ ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში დაიბადნენ, ან დაპყრობილი ხალხის სტატუსი ერგოთ წილად. უფრო მეტიც, სახელმწიფო მოძალადეა, რამეთუ მისი წეს-კანონების დაცვა ყველასათვის სავალდებულოა იმის გამო, რომ არსებობს სასჯელის საშიშროება. რუსეთში დაბადებული ამერიკელი ანარქისტი ემა გოლდმენი (1869-1940) თვლიდა, რომ მთავრობის სიმბოლოს წარმოადგენს "ხელკეტი, თოფი, ხელბორკილი, ან ციხე". სახელმწიფო უფლებამოსილია, ინდივიდებს წაართვას ქონება, თავისუფლება და უმაღლესი სასჯელის მეშვეობით – სიცოცხლეც კი. სახელმწიფო ექსპლუატატორია იმ გაგებით, რომ იგი ძარცვავს ინდივიდებს საგადასახადო სისტემის საშუალებით, რასაც კვლავ მხარს უჭერს კანონის ძალა და დასჯის მუქარა. ანარქისტები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო "თანამშრომლობს" მდიდარ და პრივილეგირებულ ფენასთან და, აქედან გამომდინარე, მბრძანებლობს სუსტსა და ღარიბზე. დასკვნისათვის, სახელმწიფო დამანგრეველი ძალაა. როგორც რანდოლფ ბურნი (1886-1918), ანარქისტი აშშ-იდან, აღნიშნავს: "სახელმწიფოს ჯანმრთელობა ომია". ინდივიდები იძულებულნი არიან იბრძოლონ, მოკლან და დაიხოცონ ომში, რომელიც გაჩაღებულია ერთი რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოების, ნადავლის ან ეროვნული დიდების მოპოვების მიზნით სხვათა ხარჯზე.

ანარქისტების მხრიდან სახელმწიფოსადმი ასეთი კრიტიკული განწყობის საფუძველი ადამიანის ბუნების თაობაზე მათსავე შეხედულებებში უნდა ვეძებოთ. მიუხედავად იმისა, რომ ანარქისტები ადამიანური პოტენციალის შესახებ მეტად ოპტიმისტურ, ხშირად კი უტოპიურ შეხედულებას იზიარებენ, მათ პესიმისტური დამოკიდებულება ახასიათებთ პოლიტიკური ძალაუფლებისა და ეკონომიკური უთანასწორობისადმი, რომელთაც საზოგადოებაზე გამრყვნელ გავლენას მიაწერენ. ადამიანი შესაძლოა იყოს "კარგი" ან "ცუდი", იმისდა მიხედვით, თუ რა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში უწევს არსებობა. ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ ვითარებაში ერთგულნი, შეთანხმებულად მოქმედების მომხრენი და სოციაბილურნი არიან, სხვებზე ძალაუფლების, პრივილეგიის ან სიმდიდრის მოპოვების შემდეგ მტანჯველ ტირანებად გარდაიქმნებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანარქისტები ლიბერალების აზრს იმის თაობაზე, რომ "ძალაუფლება რყვნის და აბსოლუტურ ძალაუფლებას აბსოლუტური უზნეობა მოაქვს" (ლორდი აქ-

ტონი), ცვლიან უფრო რადიკალური და საგანგაშო გაფრთხილებით იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი ფორმისა და შინაარსის მქონე ძალაუფლება სრული უზნეობის საწინდარია. სახელმწიფო, როგორც სუვერენული, ძალისმიერი და იძულებითი ძალაუფლების ინსტიტუტი, მხოლოდ და მხოლოდ ბოროტების კონცენტრირებული ფორმაა. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სახელმწიფოს თაობაზე ანარქისტულ თეორიასაც ხშირად აკრიტიკებენ. გარდა ადამიანის ბუნების შესახებ წამოყენებული მოსაზრებებისა, რომლებსაც ანარქიზმი ეყრდნობა, მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოებრივი ჩაგვრა ინდივიდების უზნეობის ნიადაგზე კონკრეტულ პოლიტიკურ და სოციალურ გარემოში წარმოიშობა, ჩაკეტილ წრეს ქმნის, ვინაიდან ანარქიზმი ვერ იძლევა იმის ახსნას, თუ როგორ დაიკავა პოლიტიკურმა ძალაუფლებამ წამყვანი ადგილი.

## ბუნებრივი წესრიგი

ანარქისტები სახელმწიფოს არა მხოლოდ ბოროტებად თვლიან, არამედ ზედმეტადაც მიაჩნიათ. უილიამ გოდვინი ამის დასაბუთების მიზნით თავდაყირა აყენებდა სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ გამართლებას – სოციალურ დაკვეთას. სოციალურ დაკვეთასთან დაკავშირებით ჰობსისა (იხ. გვ. 86) და ლოკის (იხ. გვ. 45) მიერ წამოყენებული არგუმენტები გულისხმობს, რომ საზოგადოება სახელმწიფოს გარეშე, ანუ საზოგადოების "ბუნებრივი მდგომარეობა" ეკვივალენტურია საზოგადოების თითოეული წევრის მიერ სამოქალაქო ომის გაჩაღებისა ყველა დანარჩენის წინააღმდეგ, რაც შეუძლებელს ხდის სტაბილურ და წესრიგს დაქვემდებარებულ ცხოვრებას. ასეთი "ბუნებრივი მდგომარეობისკენ"

ბრიტანელი ფილოსოფოსი და მწერალი. გოდვინი პრესვიტერიანული ეკლესიის მღვდელი იყო, რომელმაც რწმენა დაკარგა და, საბოლოოდ, პროფესიონალი მწერალი გახდა. მისი ყველაზე წარმატებული ნაწარმოები იყო რომანი *კალებ უილიამსი* (1794). იგი უძღვებოდა ინტელექტუალთა წრეს, რომელშიც შედიოდნენ მისი მეუღლე, მერი უოლსთოუნქრაფთი (იხ. გვ. 291) და ახალგაზრდა მწერლების ჯგუფი, მათ შორის უოდსუორთი და შელი, მისი სიძე.

გოდვინის პოლიტიკური რეპუტაცია ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც მან შექმნა *კვლევა პოლიტიკური სამართლიანობის თაობაზე* (*Enquiry Concerning Political Justice*, [1773] 1971), რომელშიც ავტორიტარიზმის ფუნდამენტური კრიტიკის საშუალებით პირველად იყო ჩამოყალიბებული ანარქისტული იდეები. გოდვინმა განავითარა ლიბერალური რაციონალიზმის უკიდურესი ფორმა, რომელიც ეყრდნობოდა განათლებისა და სათანადო სოციალური წრთობის გზით ადამიანის სრულყოფის შესაძლებლობის იდეას. მართალია, გოდვინი ინდივიდუალისტი იყო, მაგრამ მას სწამდა, რომ ადამიანებს თანდაყოლილი უნარი აქვთ, ჭეშმარიტი თანადგომა გაუწიონ ერთმანეთს, ყოველგვარი პირადი ინტერესის გარეშე.

სწრაფვა ადამიანური ბუნების თვისებაა, ხოლო ადამიანი თავისი ბუნებით, ჰობსისა და ლოკის აზრით, ეგოისტი, ძუნწი და პოტენციურად აგრესიულია. მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოს ძალუძს ამ იმპულსების შეკავება და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება. მოკლედ, წესრიგის დამყარება კანონის გარეშე შეუძლებელია. ამის საწინააღმდეგოდ, გოდვინი ამტკიცებდა, რომ ადამიანი რაციონალური აზროვნებით დაჯილდოებული არსებაა, რომელსაც მიღებული განათლება და აზროვნების უნარი ყველა წინაპირობას უქმნის საიმისოდ, რომ სიმართლით იცხოვროს და საყოველთაო მაღალზნეობრივ კანონებს დაემორჩილოს. ამგვარად, მას სწამდა, რომ ადამიანი ისწრაფვის და, ამასთან, უნარიც შესწევს, დამოუკიდებლად უზრუნველყოს საკუთარი ჰარმონიული და მშვიდობიანი ცხოვრების წესი. პრაქტიკულად, იგი ფიქრობდა, რომ სწორედ მთავრობისა და არაბუნებრივი კანონების გამრყვნელი ზემოქმედება და არა ადამიანის რაიმე "პირველცოდვაა" უსამართლობის, სიხარბისა და აგრესიის საფუძველი. ანუ, სამთავრობო ინსტიტუტის არსებობა არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საშუალებად, იგი, პირიქით, პრობლემატურს ხდის მას.

ანარქისტები საკმაოდ კეთილგანწყობილნი არიან ჟან-ჟაკ რუსოს (იხ. გვ. 189) ცნობილი მოსაზრებისადმი, რომელსაც იგი თავისი თხზულების *სოციალური კონტრაქტის* ([1762] 1913) დასაწყისში გვაწვდის: "ადამიანი დაბადებიდან თავისუფალია და მაინც მას ყველგან (მთელ მსოფლიოში) ბორკილი ადევს." ანარქიზმის საფუძველი დაუფარავი უტოპიურობაა – რწმენა კაცობრიობის ბუნებრივი კეთილშობილებისა, უკიდურეს შემთხვევაში – პოტენციური კეთილშობილებისა. თუ მოვლენებს ამ კუთხით განვიხილავთ, სოციალური წესრიგი უნდა დამყარდეს ბუნებრივად და სპონტანურად. იგი არ საჭიროებს "კანონისა და წესრიგის რაიმე მექანიზმს". სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ანარქისტულ იდეოლოგიას ყოველთვის მხოლოდ ის პოლიტიკური მოაზროვნეები ემხრობოდნენ, რომლებიც ოპტიმისტურად იყვნენ გამსჭვალულნი ადამიანური ბუნებისადმი და, ამგვარად, სწამდათ ბუ-

## უტოპიზმი

უტოპია (ბერძ. outopia-დან, რაც ნიშნავს "არსად", ან eutopia-დან, რაც "კარგ ადგილს" ნიშნავს) სიტყვასიტყვით იდეალურ ან სრულყოფილ საზოგადოებას ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მრავალნაირი უტოპიების წარმოდგენა, მათ უმეტესობას ახასიათებს გაჭირვების აღმოფხვრა, კონფლიქტების არარსებობა და ჩაგვრისა და ძალადობის თავიდან აცილება. უტოპიზმი პოლიტიკური თეორიის ჩამოყალიბების ისეთ ფორმას წარმოადგენს, რომელიც არსებული სისტემის კრიტიკას იდეალური ან სრულყოფილი ალტერნატივის შექმნის გზით ავითარებს. ამის კარგი მაგალითებია ანარქიზმი და მარქსიზმი. უტოპიური თეორიები, ჩვეულებრივ, ეყრდნობა დასკვნებს ადამიანის თვითსრულყოფის უკიდეგანო შესაძლებლობების თაობაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უტოპიზმი ხშირად გამოიყენება როგორც დამაკნინებელი ტერმინი, როცა გულისხმობენ მცდარ ან არარეალისტურ აზროვნებას, არარეალისტური და მიუღწეველი ამოცანის განხორციელების რწმენას.

ნებრივი წესრიგისა და სპონტანური ჰარმონიის არსებობისა. მაგალითად, კოლექტივისტური ანარქიზმის მიმდევრები ძირითად აქცენტს აკეთებენ ადამიანის უნარზე, იყოს კეთილგანწყობილი საზოგადოების მიმართ და შეთანხმებულად მოქმედებდეს მის წევრებთან ერთად. მეორე მხრივ, ინდივიდუალისტური ანარქიზმის მიმდევრები ძირითად მნიშვნელობას განათლებული ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს ანიჭებენ. ის აზრი, რომ ადამიანს ახასიათებს სპონტანური სწრაფვა ბუნებრივი ჰარმონიისკენ, მჭიდრო კავშირშია რწმენასთან, რომ ბუნება და მთელი სამყარო თავად, თავისი სტრუქტურითა და მოწყობით ბუნებრივი წესრიგისკენ მიისწრაფვის. ამ კუთხით, ანარქისტები პერიოდულად ექცეოდნენ ისეთი არადასავლური რელიგიური მიმდინარეობების გავლენის ქვეშ, როგორებიცაა ბუდიზმი და ტაოიზმი, რომლებიც ურთიერთკავშირისა და ერთიანობის პრინციპებზეა აგებული. ამგვარი იდეების ყველაზე პოპულარულ თანამედროვე ვერსიას ეკოლოგიური კონცეფცია შეიცავს, კერძოდ კი მიურეი ბუკჩინისა (იხ. გვ. 332) და მისი მსგავსი მოაზროვნეების "სოციალური ეკოლოგიის" კონცეფცია. საზოგადოებრივ ეკოლოგიასა და ეკოანარქიზმს შორის დამოკიდებულების საკითხები დაწვრილებით განხილულია მე-9 თავში.

უნდა აღინიშნოს, რომ ანარქიზმი უბრალოდ ადამიანის "სიკარგეზე" დაფუძნებული მიმდინარეობა არ არის. უპირველეს ყოვლისა, ანარქისტული თეორიები ადამიანური ბუნების თაობაზე ხშირად რთულია და მათში სავსებით გაცნობიერებულია, რომ ადამიანის სულში წინააღმდეგობრივი შესაძლებლობები იყრის თავს. მაგალითად პრუდონი, ბაკუნინი და კროპოტკინი (იხ. გვ. 234) აღიარებდნენ, რომ ადამიანებს ისევე ძალუძთ იყვნენ მეგობრულნი და კეთილგანწყობილნი, როგორც – ეგოისტები და მოქიშპენი (Morland, 1997). ადამიანის სულიერი "ბირთვი" შესაძლოა ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარების მაღალ საფეხურზე იყოს, მაგრამ კორუფციისა და უზნეობის პოტენციალი ფარულად ყველა ადამიანში არსებობს. მეორე მხრივ, ანარქისტები სოციალურ ინსტიტუტებს ისეთსავე დიდ ყურადღებას უთმობენ, როგორც ადამიანის ბუნებას. ანარქისტები ადამიანურ ბუნებას "ელასტიურად" მიიჩნევენ იმ გაგებით, რომ იგი ფორმირდება სწორედ იმ სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოცვით, რომელშიც მას არსებობა უწევს. თუ კანონი, სამთავრობო დაწესებულებები და სახელმწიფო დომინირება/მორჩილების კომპლექსს ბადებს, სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებები პატივისცემის, ურთიერთშეთანხმებული ქმედებისა და სპონტანური ჰარმონიის განვითარებას უწყობენ ხელს. ამიტომაც არის, რომ კოლექტივისტური ანარქიზმის მიმდევრები ემხრობიან საერთო საკუთრების პრინციპს, ხოლო ინდივიდუალისტი ანარქისტები უპირატესობას ბაზარს ანიჭებენ. მიუხედავად ამისა, სტაბილური, მშვიდობიანი, მაგრამ სახელმწიფოსგან თავისუფალი საზოგადოებების შექმნის შესაძლებლობის რწმენა ანარქისტული თეორიის ყველაზე სუსტ და სადავო ასპექტადაა მიჩნეული. ანარქიზმის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად პროგრესული და სრულყოფილია სოციალური ინსტიტუტი, თუ ვაღიარებთ, რომ

ეგოისტური ან სხვა ნეგატიური იმპულსები ადამიანური ბუნების განუყოფელი ნაწილია და არა გარეშე მიზეზების ზემოქმედებით გახრწნის შედეგი, მაშინ ბუნებრივი წესრიგის დამყარების პერსპექტივა სხვა არაფერია, თუ არა უტოპიური ოცნება.

## ანტიკლერიკალიზმი

მიუხედავად იმისა, რომ ანარქისტების მტრობის მთავარი ობიექტი სახელმწიფოა, ისინი არანაკლებ კრიტიკულები არიან იძულებითი მმართველობის ნებისმიერი სხვა ფორმისადმი. მართლაც, ანარქისტების დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ ზოგჯერ ისეთივე მწვავე იყო, როგორც სახელმწიფოს მიმართ, რაც უმწვავესი ფორმით მეცხრამეტე საუკუნეში გამოვლინდა. შესაძლოა, სწორედ ეს მოვლენა ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ განვითარდა ანარქიზმი ისეთი ძლიერი რელიგიური ტრადიციების მქონე ქვეყნებში, როგორებიცაა კათოლიკური ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია და ლათინოამერიკული ქვეყნები, სადაც ანარქიზმი ანტიკლერიკალური განწყობების გამოხატვის საშუალებაც იყო.

ანარქისტის მტრული დამოკიდებულება რელიგიის ნებისმიერი ორგანიზებული ფორმისადმი ასახავს იმ უფრო მასშტაბურ კრიტიკულ დამოკიდებულებას, რომელიც ანარქისტებს ყველა სახის ხელისუფლების მიმართ გააჩნიათ. მაგალითად, ხშირად თვით რელიგიას მიიჩნევდნენ ხელისუფლების იდეის გამოხატულებად. ღმერთის არსებობის იდეა უკავშირდება "უზენაესი არსების" კონცეფციას, რომელიც შეუვალ და უდავო ძალაუფლებას გულისხმობს. იმისათვის, რომ ადამიანი სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი არსება გახდეს, ისეთი ანარქისტების აზრით, როგორებიც პრუდონი და ბაკუნინი არიან, პოლიტიკური ფილოსოფია ქრისტიანობის უარყოფის იდეაზე უნდა იყოს აგებული. უფრო მეტიც, ანარქისტები ყოველთვის გამოთქვამდნენ ეჭვს იმის თაობაზე, რომ რელიგია და პოლიტიკური ხელისუფლება ერთმანეთის წისქვილზე ასხამენ წყალს. ბაკუნინი აცხადებდა: "საზოგადოების გათავისუფლების უპირველესი და გარდაუვალი პირობა ეკლესიისა და სახელმწიფოს გაუქმებაა." ანარქისტების აზრით, რელიგია სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია, ვინაიდან იგი ქადაგებს მორჩილების იდეოლოგიას როგორც სულიერი ლიდერებისადმი, ისე მიწიერი მმართველებისადმი, ანუ, როგორც ბიბლია ამბობს: "მიეცით კეისარს კეისრისა". მიწიერი მმართველები საკუთარი ლეგიტიმური უფლებების განმტკიცებას ხშირად რელიგიის მეშვეობით ცდილობდნენ, ამის ყველაზე აშკარა მაგალითს წარმოადგენს რწმენა იმისა, რომ მეფეთათვის ხელმწიფობის უფლება ღვთიური ნებით არის მინიჭებული.

დაბოლოს, რელიგია ცდილობს ზნეობრივი პრინციპები თავს მოახვიოს ცალკეულ ინდივიდებს, დააწესოს საყოველთაოდ მისაღები ქცევის ნორმები. რელიგიური რწმენა მოითხოვს მკვეთრი საზღვრის გავლებას "კარგსა" და "ცუდს" შორის, ხოლო თვით საზღვრის დადგენა ისეთი რელიგიური ავტორიტეტების ფუნქციაა, როგორებიც არიან ეპისკოპოსები, მღვდლები და პაპები. ამგვარად, ინდივიდს არ გააჩნია ზნეობრივი დამოუკიდებლობა და

შესაძლებლობა, თავად გამოიტანოს ეთიკურად მისაღები გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხის თაობაზე. მიუხედავად ამისა, ანარქისტები ზოგადად რელიგიური იმპულსის არსებობას არ უარყოფენ. ანარქიზმი აშკარა მისტიკური ქვეტექსტის მატარებელია. შეიძლება ითქვას, რომ ანარქისტები ხასიათდებიან წმინდა წყლის სპირიტუალური მიდგომით ადამიანური ბუნებისადმი, რაც გამოიხატება უტოპიურ რწმენაში, რომ ადამიანს აქვს თვითგანვითარების შეუზღუდავი უნარი და რომ არსებობს უწყვეტი კავშირი, რომელიც უხილავი ძაფებით აკავშირებს ერთმანეთთან საზოგადოების წევრებსა და ყველა ცოცხალ ორგანიზმს. ადრეული ხანის ანარქისტები ზოგჯერ ექცეოდნენ მილენარიზმის, ანუ იმ რწმენის გავლენის ქვეშ, რომ "ათასი წლის" შემდეგ ქრისტე დაბრუნდება და დამყარდება ღვთის სასუფეველი. თანამედროვე ანარქისტების შეხედულებებზე პერიოდულად მძლავრ გავლენას ახდენდნენ ისეთი რელიგიური მიმდინარეობები, როგორებიცაა ბუდიზმი და ტაოიზმი, რომლებიც შინაგანი ხედვის განვითარებას, მოთმინებისა და პატივისცემის გამომუშავებასა და ბუნებრივი ჰარმონიის დამყარებას ქადაგებენ.

## ეკონომიკური თავისუფლება

ანარქისტები იშვიათად მიიჩნევდნენ, რომ მათი ერთადერთი და საბოლოო მიზანი მხოლოდ სახელმწიფოს გაუქმება იყო. ისინი ასევე მწვავე კრიტიკით უდგებოდნენ სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების სტრუქტურებს. ბაკუნინი ამტკიცებდა, რომ "პოლიტიკური ძალაუფლება და სიმდიდრე განუყოფელია." მეცხრამეტე საუკუნეში ანარქისტების საქმიანობა, ჩვეულებრივ, მუშათა მოძრაობასთან იყო დაკავშირებული და ისინი სოციალისტურ საზოგადოებრივ ფილოსოფიას ემხრობოდნენ. კაპიტალიზმი აღიქმებოდა კლასობრივი ასპექტით: "მმართველი კლასი" ექსპლუატაციას უწევს და ჩაგრავს "მასებს". თუმცა, "მმართველი კლასი", ანარქისტების წარმოდგენით, მარქსიზმის მიერ ვიწრო ეკონომიკური გაგებით განსაზღვრული "მმართველი კლასი" კი არ იყო, არამედ მოცემული ტერმინი გულისხმობდა საზოგადოებაში ძალაუფლების მქონე, მდიდარ და პრივილეგირებულ ფენას. ამგვარად, "მმართველ კლასს" განეკუთვნებოდნენ მეფეები და თავადები, პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოხელეები, მოსამართლეები და პოლიციის თანამშრომლები, მღვდლები და ეპისკოპოსები, მრეწველები და ბანკირები. ბაკუნინი ამტკიცებდა, რომ ყოველი განვითარებული საზოგადოება შესაძლოა დაიყოს სამ ფენად: დიდი უმრავლესობა, რომელიც ექსპლუატირებულ მდგომარეობაში იმყოფება, უმცირესობა, რომელიც ექსპლუატირებულია, მაგრამ თავადაც იმავე ზომით უწევს ექსპლუატაციას სხვებს და "უმაღლესი მმართველი კლასი" – "ექსპლუატატორებისა და მჩაგვრელების სრული უმცირესობა". ასე რომ, მეცხრამეტე საუკუნის ანარქისტები თავს ღარიბ და ჩაგრულ ხალხთან აიგივებდნენ და მიისწრაფოდნენ, "ექსპლუატირებული მასების" სახელით მოეხდინათ საზოგადოებრივი რევოლუცია, რომელიც ბოლოს მოუღებდა როგორც კაპიტალისტურ წყობას, ისე სახელმწიფოსაც.

რუსი ანარქისტი და რევოლუციონერი. ბაკუნინი მდიდარ არისტოკრატულ ოჯახში დაიბადა. მან უარი თქვა სამხედრო კარიერაზე, სწავლობდა ფილოსოფიას, რის შემდეგაც, 1848-9 წლების რევოლუციების დროს პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერთო. მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებისთვის მან უარყო სლავური ნაციონალიზმი ანარქიზმის სასარგებლოდ და მთელი დარჩენილი ცხოვრება იყო აგიტატორი და პროპაგანდისტი, განთქმული თავისი ინტერესით საიდუმლო საზოგადოებებისადმი და უზომო მადით პოლიტიკური ინტრიგების მიმართ.

ბაკუნინის ანარქიზმი ეფუძნებოდა ადამიანის სოციაბილურობის რწმენას, რაც გამოიხატებოდა თავისუფლების სურვილით თანაბართა საზოგადოებაში და "ამბოხების წმინდა ინსტინქტით". ის იზიარებდა შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, კოლექტივიზმი თავისუფალ ინდივიდუუმთა თვითმმართველ საზოგადოებას წარმოადგენს, რითაც დაუპირისპირდა მარქსსა და მის მიმდევრებს. თუმცა, ბაკუნინი მნიშვნელოვანია არა იმდენად როგორც ორიგინალური მოაზროვნე და ანარქიზმის თეორეტიკოსი, რამდენადაც როგორც ისტორიული ანარქისტული მოძრაობის დამაარსებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ანარქიზმის შინაგან წინააღმდეგობებს ყველაზე მძაფრად სწორედ ცხოვრების ეკონომიკური სტრუქტურა ასახავს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ანარქისტი აღიარებს მათი მიმდინარეობის მსგავსებას სოციალიზმთან, რომელთანაც აერთიანებთ ზიზღი საკუთრებისა და უთანასწორობის მიმართ, არსებობენ ანარქიზმის ისეთი მიმდევრებიც, რომლებიც თავგამოდებით იცავენ საკუთრების უფლებას და კონკურენციაზე დაფუძნებულ კაპიტალიზმსაც კი ემხრობიან. აღნიშნულიდან კარგად ჩანს განსხვავება ანარქიზმის ორ ძირითად მიმდინარეობას – კოლექტივისტურ და ინდივიდუალისტურ ანარქიზმს შორის. კოლექტივისტური ანარქიზმი ქადაგებს ეკონომიკის ისეთი მოდელის შემუშავებას, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთთანამშრომლობისა და კოლექტიური საკუთრების პრინციპებზე, ხოლო ინდივიდუალისტური ანარქიზმი მხარს უჭერს ბაზარს და კერძო საკუთრებას.

მიუხედავად ზემოხსენებული ფუნდამენტური განსხვავებებისა, ანარქისტები ერთსულოვნად და სრულიად აშკარად გამოხატავენ ანტიპათიას მეოცე საუკუნეში დომინანტური ეკონომიკური სისტემების მიმართ. ყველა ანარქისტი უარყოფითად აფასებს "მართული კაპიტალიზმს", რომელიც დასავლეთის ქვეყნებში 1945 წლიდან განვითარდა. კოლექტიური ანარქიზმის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს ჩარევა კაპიტალისტური სისტემის მუშაობაში უბრალოდ საყრდენს უმყარებს კლასობრივ ექსპლუატაციას და კაპიტალიზმს ადამიანურ სახეს აძლევს. ინდივიდუალური ანარქიზმის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ჩარევა ამახინჯებს კონკურენციაზე დაფუძნებულ ბაზარს და დასაბამს აძლევს ისეთი სახის ეკონომიკური სისტემის შექმნას, რომელშიც დომინანტური მდგომარეობა როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო მონოპოლიას უკავია. ანარქისტები კიდევ უფრო ერ-

თსულოვნად ეწინააღმდეგებიან საბჭოთა სტილის "სახელმწიფო სოციალიზმს". ინდივიდუალისტი ანარქისტები პროტესტს აცხადებენ საკუთრების უფლებებისა და პიროვნების თავისუფლების დარღვევის გამო, რაც მათი აზრით გეგმიური ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კოლექტივისტი ანარქისტები აცხადებენ, რომ "სახელმწიფო სოციალიზმი" სრულიად არაადეკვატური და აბსურდული სიტყვათშეთანხმებაა, ვინაიდან ასეთი წყობის დროს სახელმწიფო მხოლოდ და მხოლოდ ცვლის კაპიტალისტურ კლასს როგორც ექსპლუატაციის ძირითად წყაროს. ყველა სახისა და მიმდინარეობის ანარქისტი უპირატესობას ისეთ ეკონომიკურ სისტემას ანიჭებს, სადაც ინდივიდები დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ წარმართავენ საკუთარ საქმიანობას, სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლად. თუმცა, სწორედ ასეთი შეხედულებების გამო წარმოიშვა მთელი რიგი ურთიერთგანსხვავებული ეკონომიკური კონცეფცია, დაწყებული "ანარქო-კომუნიზმიდან" და "ანარქო-კაპიტალიზმით" დამთავრებული.

## კოლექტივისტური ანარქიზმი

სავარაუდოდ, კოლექტივისტური ანარქიზმის ფილოსოფიის საფუძველი უფრო სოციალიზმშია, ვიდრე ლიბერალიზმში. ფაქტობრივად, ანარქისტული იდეები სხვა არაფერია, თუ არა სოციალისტური კოლექტივიზმის უკიდურესი ფორმები. კოლექტივიზმი (იხ. გვ 124) თავისი არსით არის რწმენა იმისა, რომ ადამიანები სოციალურ არსებებს წარმოადგენენ, რომელთაც კოლექტიური მუშაობა უფრო ხელეწიფებათ, ვიდრე ინდივიდუალური ინტერესებისთვის ჭიდილი. კოლექტივისტური ანარქიზმის (რომელსაც ზოგჯერ საზოგადოებრივ ანარქიზმსაც უწოდებენ) მთავარი თემა საზოგადოებრივი სოლიდარობაა, ანუ ის, რასაც კროპოტკინი "ურთიერთდახმარებას" უწოდებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არ არის უბრალოდ მიამიტი რწმენა "ბუნებრივი კეთილშობილებისა". კოლექტივისტური ანარქიზმი აქცენტს აკეთებს კეთილშობილების, სიკეთის პოტენციალზე, რომელიც ყოველ ადამიანშია ჩადებული. ადამიანი თავისი არსით არის სოციაბილური, კოლექტივისტური და კოოპერატიული ქმნილება. ამ გაგებით, ადამიანებს შორის ბუნებრივ და მისაღებ ურთიერთობად აღიქმება ურთიერთსიმპათია, სიყვარული და ჰარმონია. როდესაც ადამიანები დაკავშირებულნი არიან ჰუმანურობის საერთო შეგნებით, მათ მთავრობის მხრიდან კონტროლი და მართვა აღარ სჭირდებათ. როგორც ბაკუნინი აცხადებდა, "საზოგადოებრივი სოლიდარობა უპირველესი ადამიანური კანონია, მეორე კანონი კი თავისუფლებაა." ანარქისტების აზრით, მთავრობა არა მხოლოდ ზედმეტია საზოგადოებისთვის, არამედ თავისი არსებობით იგი საზოგადოებას თავისუფლების ნაცვლად ჩაგვრის სისტემას სთავაზობს, რის შედეგადაც საზოგადოებრივ სოლიდარობაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

ანარქიზმსა და სოციალიზმს, განსაკუთრებით მარქსისტულ სოციალიზმს, შორის რიგი ფილოსოფიური და იდეოლოგიური თანხვედრა იმ ფაქტით დასტურდება, რომ ანარქისტები ხშირად ფართომასშტაბიანი რე-

ვოლუციური სოციალისტური მოძრაობის ფარგლებში მოქმედებდნენ. მაგალითად, "პირველი ინტერნაციონალი" (1864-72) შექმნეს პრუდონისა და მარქსის მომხრეებმა. კოლექტივისტურ ანარქიზმსა და მარქსიზმს შორის აშკარა თეორიული პარალელები არსებობს. ორივე ფუნდამენტურად უარყოფს კაპიტალიზმს, რომელსაც თვლის კლასობრივი ექსპლუატაციისა და სტრუქტურული უსამართლობის სისტემად. ორივე მიმდინარეობა აღიარებს რევოლუციას როგორც პოლიტიკური ცვლილებების განხორციელების საუკეთესო საშუალებას. ორივე მათგანი უპირატესობას ანიჭებს ქონების კოლექტიურ საკუთრებას და სოციალური ცხოვრების კომუნალურ, ჯგუფურ ორგანიზაციას. ორივე თეორიის მიმდევრებს სწამთ, რომ წმინდა კომუნისტური საზოგადოება ანარქისტულია, რასაც მარქსმა სახელმწიფოს "გაქრობა" უწოდა. ორივე მიმდინარეობა ემხრობა აზრს, რომ ადამიანს გააჩნია საკმარისი უნარი, პოლიტიკური ძალების ჩაურევლად მოაგვაროს საკუთარი საქმეები.

მიუხედავად ამისა, ანარქიზმსა და სოციალიზმს რიგი ნიშან-თვისებები განასხვავებს, რაც ყველაზე მძაფრად თავს პარლამენტურ სოციალიზმთან მიმართებაში იჩენს. პარლამენტურ სოციალისტებს დიდი ხანია, რაც მშრომელი მასების რევოლუციური პოტენციალის იმედი გადაეწურათ და თვლიან, რომ მუშათა კლასს, თავისი რაოდენობრივი უპირატესობებიდან გამომდინარე, ძალუძს "სოციალიზმის საარჩევნო ყუთის გზით" დამყარება. ბევრი სოციალისტის აზრით, ეს არა მარტო შესაძლებელი, არამედ გარდუვალიცაა. ამასთანავე, ისინი მოწყალე თვალით უყურებენ სახელმწიფოს როგორც კაპიტალიზმის გარდაქმნისა და "გაჰუმანურების" მთავარ საშუალებას. მეორე მხრივ, ანარქისტები უარყოფენ პარლამენტურ სოციალიზმს როგორც არაადეკვატურ სიტყვათშეთანხმებას. მათი თვალსაზრისით, არა მხოლოდ სოციალიზმის წინსვლაა შეუძლებელი კორუმპირებული და გამხრწნელი სამთავრობო მექანიზმების საშუალებით, არამედ სახელმწიფოს ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გაზრდა, თუნდაც თანასწორობისა და საზოგადოებრივი სამართლიანობის სახელით, მხოლოდ ჩაგვრის აპარატის გაძლიერების საშუალებად შეიძლება გამოდგეს.

აზრთა უთანხმოება კოლექტივისტ ანარქისტებსა და მარქსისტებს შორის ყველაზე მწვავედ თავს კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის კონცეფციასთან დაკავშირებით იჩენს. მარქსისტების აზრით, პროლეტარულ რევოლუციასა და სრული კომუნიზმის მიღწევას შორის გარდამავალ პერიოდში "პროლეტარიატის დიქტატურა" გარდაუვალია. მოცემულ პერიოდში პროლეტარიატი უნდა შეიარაღდეს და თავი დაიცვას კონტრრევოლუციის საფრთხისაგან. საბოლოოდ, კაპიტალისტური კლასის ანტაგონიზმის შესუსტებასთან ერთად პროლეტარული სახელმწიფოც "გაქრება". ამ გაგებით, სახელმწიფო ძალაუფლება სხვა არაფერია, თუ არა კლასობრივი სისტემის ფორმა და კლასობრივი ჩაგვრის საშუალება. მეორე მხრივ, ანარქისტები სახელმწიფოს თავისთავად მჩაგვრელ და ბოროტ ძალად თვლიან; იგი თავისი ბუნებით გახრწნილი და გამხრწნელია. აქედან გამომდინარე, ანარქისტების წარმოდგენით, არანაირი განსხვავება ბურჟუაზიულ და პროლეტარულ სახელმწიფოებს შორის არ არსებობს. ანარქისტის აზრით, ნამდვი-

ლი რევოლუცია არა მარტო დაამხობს კაპიტალიზმს, არამედ სახელმწიფო ძალაუფლებასაც საბოლოოდ დაასამარებს. სახელმწიფო თანდათან კი არ უნდა "გაქრეს", იგი უნდა გაუქმდეს.

## მიუტიუელიზმი

საზოგადოებრივი სოლიდარობის ანარქისტული რწმენა კოოპერატიული ქცევის სხვადასხვა ფორმების გასამართლებლად და დასასაბუთებლად გამოიყენება. მის ერთ უკიდურესობას წმინდა კომუნისტურ შეხედულებებამდე მივყავართ. თუმცა, მისთვის უცხო არც მიუტიუელიზმის თანამედროვე და შედარებით ზომიერი იდეებია, რომლებიც პიერ-ჟოზე პრუდონს უკავშირდება. პრუდონისეული ლიბერტარული სოციალიზმი ანარქიზმის ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური იდეების შუალედურ ფორმას წარმოადგენს. პრუდონის იდეებს ბევრი რამ აქვს საერთო აშშ-ის ისეთი ინდივიდუალისტების იდეებთან, როგორიცაა, მაგალითად, ჯოზი უორენი (Josiah Warren, 1798-1874). წიგნში *რა არის საკუთრება?* პრუდონი საბოლოოდ მივიდა ცნობილ დასკვნამდე, რომ "ქონება ნაქურდალია", და შეაჩვენა ეკონომიკური ექსპლუატაციის ისეთი სისტემა, რომელიც კაპიტალის დაგროვების პრინციპზეა აგებული. მიუხედავად ამისა, პრუდონი, მარქსისგან განსხვავებით, ყველა ქონებრივ ფორმას ხელაღებით არ ეწინააღმდეგებოდა, კერძოდ, განასხვავებდა "საკუთრებასა" და იმას, რასაც "მფლობელობაში არსებულს" უწოდებდა. პრუდონში განსაკუთრებულ აღტაცებას მცირე მესაკუთრე გლეხების, რეწვის ოსტატებისა და ხელოსნების დამოუკიდებლობა და ინიციატივა იწვევდა. აქედან გამომდინარე, პრუდონი ეძებდა საშუალებას, შეექმნა ქონებრივი საკუთრების იმგვარი სისტემა, რომელიც გასაქანს არ მისცემდა ექსპლუატაციას და ხელს შეუწყობდა საზოგადოებრივ ჰარმონიას.

მიუტიუელიზმი არის სამართლიანი და თანასწორუფლებიანი გაცვლა-გამოცვლის სისტემა, რომლის დროსაც ინდივიდები ან ჯგუფები ერთმანეთთან საქონლითა და მომსახურებით ივაჭრებენ მოგების მოხვეჭისა და ექსპლუატაციის გარეშე. საზოგადოებრივი ურთიერთქმედება, რომელიც არანაირ დახმარებასა და ჩარევას არ საჭიროებს მთავრობის მხრიდან, ნებაყოფლობითი, ურთიერთსასარგებლო და ჰარმონიულია. პრუდონის მიმდევრები მსგავსი იდეების განხორციელებას საფრანგეთსა და შვეიცარიაში მიუტიუელური სასესხო ბანკების გახსნით შეეცადნენ. ბანკები ინვესტორებზე შეღავათიანი სესხების გაცემით იყვნენ დაკავებულნი და მხოლოდ იმ ოდენობის პროცენტს არიცხავდნენ სესხს, რაც ბანკის ფუნქციონირებისთვის იყო აუცილებელი, ოღონდ არა იმხელას, რომ ბანკს მოგება ენახა. თვით პრუდონის იდეები მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა იმ აღტაცებას, რომელსაც მასში გლეხებისა და ხელოსნების მცირე საზოგადოებები იწვევდა. იგი განსაკუთრებული სიმპათიით იყო გამსჭვალული შვეიცარიელი მესაათების მიმართ, რომლებიც თავიანთ საქმიანობას, ტრადიციულად, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის საფუძველზე წარმართავდნენ.

## ანარქო-სინდიკალიზმი

მიუხედავად იმისა, რომ გვიან მეცხრამეტე საუკუნესა და ადრეულ მეოცე საუკუნეში მიუტიუელიზმმა და ანარქო-კომუნიზმმა უდიდესი გავლენა მოახდინა სოციალისტურ მოძრაობაზე, ანარქიზმი მასობრივ მოძრაობად მხოლოდ ანარქო-სინდიკალიზმის ფორმით იქცა. სინდიკალიზმი რევოლუციური ტრედ-იუნიონიზმის ფორმას წარმოადგენს, რომლის სახელწოდებაც ფრანგული სიტყვიდან *syndicat* მომდინარეობს, რაც გაერთიანებას ან ჯგუფს ნიშნავს. სინდიკალიზმი საფრანგეთში წარმოიშვა და 1914 წლამდე საკმაოდ ძლიერ – "მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციული გაერთიანების" (CGT) შემადგენლობაში შედიოდა. სინდიკალისტური იდეები გავრცელდა იტალიაში, ლათინურ ამერიკაში, შეერთებულ შტატებში, ხოლო ყველაზე ფართო გავრცელება მათ ესპანეთში ჰპოვეს – ქვეყანაში, სადაც სინდიკალიზმს მხარს უდიდესი გაერთიანება – "მშრომელთა ეროვნული ცენტრი" (CNT) – უჭერდა.

სინდიკალისტური თეორია იდეებს სოციალიზმს "დაესესხა" და განავითარა კლასობრივი ბრძოლის საწყისი კონცეფცია. მუშათა და გლეხთა კლასი ჩაგრულ ფენად მიიჩნეოდა, ხოლო მრეწველები, მიწათმფლობელები, პოლიტიკოსები, მოსამართლეები და პოლიციის მოხელეები – მჩაგვრელ კლასად. მუშათა კლასს თავის დაცვა კონკრეტულ ხელობაზე, მრეწველობის დარგზე ან პროფესიაზე დაფუძნებული სინდიკატებისა და გაერთიანებების შექმნის გზით შეეძლო. ასეთი სინდიკატების მოკლევადიან ამოცანას პროფესიული კავშირების ფუნქციის შესრულება წარმოადგენდა, ხელფასების მატების, სამუშაო საათების შემცირებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების გზით. მაგრამ სინდიკალისტები გვევლინებიან რევოლუციონერე-

ფრანგი ანარქისტი. პრუდონი დიდწილად თვითნასწავლი მესტამბე იყო. სანამ 1847 წელს საცხოვრებლად პარიზში გადავიდოდა, იგი ლიონში ჩართული იყო რადიკალურ პოლიტიკურ საქმიანობაში. როგორც 1848 წლის საკონსტიტუციო ასამბლეის წევრმა, პრუდონმა სახელი გაითქვა იმით, რომ ხმა მისცა კონსტიტუციის წინააღმდეგ იმის საფუძველზე, რომ "ის კონსტიტუცია იყო". მოგვიანებით მან სამი წელი პატიმრობაში გაატარა, რის შემდეგაც აქტიური პოლიტიკისადმი იმედგაცრუებამ შეიპყრო და ძირითადად პუბლიცისტური და თეორიული საქმიანობით იყო დაკავებული.

თავის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებში *რა არის საკუთრება?* (*What is Property?* [1840] 1970) პრუდონი თავს ესხმოდა როგორც ტრადიციულ უფლებებს საკუთრებაზე, ასევე კომუნიზმსაც, და მათ საწინააღმდეგოდ მხარს უჭერდა მიუტიუელიზმს, კოოპერატიულ მწარმოებლურ სისტემას, რომელიც უფრო ორიენტირებულია საჭიროებაზე, ვიდრე მოგებაზე და ორგანიზებულია თვითმართვადი საზოგადოების შიგნით. ამისდა მიუხედავად, ცხოვრების ბოლოს პრუდონი ცდილობდა შეექმნა ალიანსი მუშათა მოძრაობასთან და თავის ნაწარმოებში *ფედერალური პრინციპი* (1863) აღიარა მინიმალური სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობა "იმისთვის, რომ ყველაფერმა იმუშაოს".

ბადაც, რომლებიც მიზნად კაპიტალიზმის დამხობასა და ძალაუფლების მუშათა კლასისათვის გადაცემას ისახავდნენ. ჟორჟ სორელი – საფრანგეთის საკმაოდ გავლენიანი სინდიკალისტი თეორეტიკოსი (1847-1922), *ძალადობის ასპექტებში* (Georges Sorel, *Reflections on Violence*, [1908] 1950) აღნიშნავს, რომ ასეთი სახის რევოლუციის მოხდენა საყოველთაო გაფიცვით, "ცარიელი ხელების რევოლუციით" არის შესაძლებელი. სორელს სწამდა, რომ საყოველთაო გაფიცვა იყო "მითი", მუშათა კლასის ძალის სიმბოლო, რომელსაც სახალხო აჯანყების გამოწვევა შეეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ სინდიკალისტური თეორია უსისტემო და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი იყო, იგი საკმაო პოპულარობით სარგებლობდა ანარქისტებს შორის, რომელთაც სურდათ, საკუთარი იდეები ფართო მასებში გაევრცელებინათ. ანარქისტებმა სინდიკალისტურ მოძრაობასთან შეერთებისთანავე შეიმუშავეს ანარქო-სინდიკალიზმის სრულიად განსაკუთრებული იდეები. სინდიკალიზმის ორი გამორჩეული თვისება ანარქისტებში განსაკუთრებულ ენთუზიაზმს იწვევდა. პირველი – სინდიკალიზმის მიმდევრები უარყოფდნენ ტრადიციულ პოლიტიკას, რადგან მას უზნეო, გამხრწნელ და სრულიად უსარგებლო ინსტიტუტად თვლიდნენ. მათ სწამდათ, რომ მუშათა კლასს საკუთარი ძალა ისეთი პირდაპირი საშუალებებით უნდა გამოევლინა, როგორიცაა ბოიკოტი, საბოტაჟი და გაფიცვა, რასაც შედეგად საყოველთაო აჯანყება უნდა მოჰყოლოდა. მეორე – ანარქისტები სინდიკატებს განიხილავდნენ როგორც მომავლის დეცენტრალიზებული, არაიერარქიული საზოგადოების მოდელს. სინდიკატები, ჩვეულებრივ, დემოკრატიის მარტივი ფორმების სიმრავლით ხასიათდებოდა და იმავე არეალში ან იმავე სამრეწველო სფეროში სხვა სინდიკატებთან ერთად ფორმირებული ფედერაციების საფუძველს წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ანარქო-სინდიკალიზმი ფართო მასების დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, მან ვერ შეძლო განეხორციელებინა თავისი რევოლუციური მიზნები, ყოველ შემთხვევაში – ესპანეთის სამოქალაქო ომამდე. გარდა საყოველთაო გაფიცვის საკმაოდ ბუნდოვანი იდეისა, ანარქო-სინდიკალიზმმა ვერ შეძლო შეემუშავებინა კონკრეტული პოლიტიკური თუ რევოლუციური სტრატეგია და ამის ნაცვლად იმედებს ექსპლუატირებული და ჩაგრული ფენების სპონტანურ აჯანყებაზე ამყარებდა. სხვა ანარქისტები სინდიკალიზმს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მისი ინტერესის სფერო ხშირად მხოლოდ პროფკავშირების არცთუ შორსმიმავალი მიზნების მიღწევით შემოიფარგლებოდა და, ამრიგად, ანარქიზმს რევოლუციის გზის ავლით რეფორმიზმისკენ მიმართავდა.

## ანარქო-კომუნიზმი

საზოგადოებრივი სოლიდარობის რწმენის ყველაზე რადიკალურ ფორმას კოლექტივიზაციისა და ჭეშმარიტი კომუნიზმის დამყარების იდეებთან მივყავართ. სოციაბილური და კომუნიკაბელური ადამიანები თანაარსებობისკენ უნდა ისწრაფოდნენ. მაგალითად, შრომა არის საზოგადოებრივი მოვლენა. ადამიანები შრომობენ ერთიანი ძალებით და, აქედან გამომდინარე,

შრომის შედეგად მოპოვებული ქონებაც უნდა ეკუთვნოდეს საზოგადოებას და არა ცალკეულ ინდივიდებს. ამ კუთხით, ქონების დაგროვება ქურდობაა, რამეთუ იგი წარმოადგენს მისი შემქმნელი მშრომელების ექსპლუატაციას მათი დამქირავებლების მხრიდან. გარდა ამისა, კერძო საკუთრება ბადებს მესაკუთრეობას, რაც განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია ანარქისტისთვის. კერძო საკუთრება ასევე ხელს უწყობს კონფლიქტურ სიტუაციებსა და დისჰარმონიას. ქონების არათანაბარი გადანაწილება ბადებს სიხარბის, შურისა და განაწყენების გრძნობას, რაც შესანიშნავ ნიადაგს უქმნის დამნაშავეობასა და უწესრიგობას.

ანარქო-კომუნიზმის საფუძველია ძალზე ოპტიმისტური რწმენა იმისა, რომ ადამიანებს გააჩნიათ ურთიერთთანამშრომლობის თანდაყოლილი უნარი, რაც კარგადაა გამოხატული პიოტრ კროპოტკინის ცნობილ თეორიაში "ურთიერთდახმარების" თაობაზე. კროპოტკინი ცდილობდა დარვინისეული ევოლუციის თეორიის ახლებური გააზრების გზით ბიოლოგიური ახსნა მოეძებნა საზოგადოებრივი სოლიდარობისთვის. მართალია, ისეთი საზოგადოებრივი მოაზროვნეები, როგორიც, მაგალითად, ჰერბერტ სპენსერი იყო (1820-1903), დარვინიზმზე დაყრდნობით ამტკიცებდნენ, რომ ადამიანური მოდგმა დაბადებით აგრესიულია და პირველობისკენ სწრაფვით ხასიათდება, კროპოტკინი თვლიდა, რომ ადამიანებს უნარი შესწევთ, ერთმანეთის ენერგია ურთიერთთანამშრომლობისკენ მიმართონ. ამ თვალსაზრისით, ევოლუცია უფრო სოციაბილურობასა და უფრო ურთიერთთანამშრომლობას აძლიერებს ვიდრე კონკურენციას. კროპოტკინი ასკვნიდა, რომ ევოლუციის თვალსაზრისით წარმატებული სახეობები, მათ შორის ადამიანიც, ხასიათდებიან მკვეთრად გამოხატული თანდაყოლილი სწრაფვით ურთიერთდახმარებისკენ. კროპოტკინის აზრით, მაშინ როცა ურთიერთდახმარებისა და ურთიერთთანამშრომლობის სურვილი უმაღლეს რანგში იყო აყვანილი, მაგალითად, ანტიკური საბერძნეთისა და შუა საუკუნეების ევროპის ქალაქ-სახელმწიფოებში, კაპიტალისტურმა წყობამ ეს მისწრაფება სრულიად დაასამარა, რაც, შესაბამისად, საფრთხეს უქმნის ადამიანის შემდგომ ევოლუციას.

მიუხედავად პრუდონის გაფრთხილებისა, რომ კომუნიზმის დამყარება მხოლოდ ავტორიტარული სახელმწიფოს მიერაა შესაძლებელი, ისეთი ანარქო-კომუნისტები, როგორც კროპოტკინი და მალატესტა (1853-1932), ამტკიცებდნენ, რომ კომუნისტური რეჟიმის დამყარების უცილებელი პირობა სახელმწიფოს გაუქმებაა. ანარქო-კომუნისტები ეთაყვანებოდნენ შუა საუკუნეების ქალაქების ან გლეხური თემების მსგავს მცირე ზომის თვითმმართველური საზოგადოებების ჩამოყალიბების იდეას. კროპოტკინი ფიქრობდა, რომ ანარქისტული საზოგადოება უმეტესწილად უნდა შედგებოდეს პატარა საზოგადოებებისგან, რომელთაგანაც თითოეულს სრულად შეეძლება საკუთარი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილება და ქონების ერთობლივ ფლობაზე იქნება დაფუძნებული. ანარქო-კომუნისტური თვალსაზრისით, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების კომუნალურ მოწყობას სამი ძირითადი უპირატესობა გააჩნია. პირველი – რადგანაც კომუნები განაწილებასა და კოლექტიურ ძალისხმევაზეა დაფუძ-

რუსი გეოგრაფი და ანარქიზმის თეორეტიკოსი. წარჩინებული ოჯახიშვილი, რომელიც თავდაპირველად იმპერატორ ალექსანდრე II-ის სამსახურში იყო. კროპოტკინი პირველად მაშინ გაეცნო ანარქისტულ იდეებს, როცა საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვარზე იურას რეგიონში მუშაობდა. სანკტ-პეტერბურგში 1874 წელს პატიმრობის შემდეგ ის ბევრს მოგზაურობდა ევროპაში და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში დაბრუნდა.

კროპოტკინის ანარქიზმი მეცნიერული სულისკვეთებით იყო გაჯერებული და ეყრდნობოდა ევოლუციის თეორიას, რომელიც უპირისპირდებოდა დარვინისეულს. თვლიდა რა, რომ ურთიერთდახმარება ადამიანისა და ცხოველის განვითარების მთავარი საშუალება იყო, კროპოტკინი ამტკიცებდა, რომ გამონახა ემპირიული საფუძველი როგორც ანარქიზმისთვის, ისე კომუნიზმისთვის. კროპოტკინის ძირითად ნაშრომებს შორის გამოირჩევა *ურთიერთდახმარება* (*Mutual Aid*, 1897), *მინდვრები, ფაბრიკები და საამქროები* (*Fields, Factories and Workshops*, 1901) და *პურის დაპყრობა* (*The Conquest of Bread*, 1906).

ნებული, ისინი ხელს უწყობენ ურთიერთანგარიშგაწევისა და სოლიდარობის განმტკიცებას და თოკავენ სიძუნწესა და ეგოიზმის გრძნობას. მეორე – კომუნის წევრები გადაწყვეტილებას მონაწილეობითი ანუ პირდაპირი დემოკრატიის გზით იღებენ, რაც ფართო სახალხო მონაწილეობისა და პოლიტიკური თანასწორობის გარანტიას იძლევა. სახალხო თვითმმართველობა წარმოადგენს მართვის ერთადერთ ფორმას, რომელიც მისაღებია ანარქისტებისათვის. მესამე – კომუნა მცირე, ანუ "ადამიანის მასშტაბის" საზოგადოებას წარმოადგენს, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, თავად წარმართონ საკუთარი საქმიანობა ერთმანეთთან უშუალო (პირისპირ) კონტაქტის გზით. ანარქისტების შეხედულებით, ცენტრალიზება ყოველთვის დეპერსონალიზებულ და ბიუროკრატიულ საზოგადოებრივ პროცესებთანაა დაკავშირებული.

## ინდივიდუალისტური ანარქიზმი

ინდივიდუალისტური ანარქიზმის ფილოსოფიურ საფუძველს სუვერენული ინდივიდის ლიბერალური იდეა წარმოადგენს. მრავალი თვალსაზრისით, ანარქიზმის დასკვნები ლიბერალური ინდივიდუალიზმის (იხ. გვ. 33) ლოგიკურ უკიდურესობამდე მიყვანის შედეგს წარმოადგენს. მაგალითად, უილიამ გოდვინის ანარქიზმი კლასიკური ლიბერალიზმის უკიდურესი ფორმაა. ლიბერალიზმის საფუძველი ინდივიდის უზენაესობისა და პირადი თავისუფლების უპირველესი მნიშვნელობის რწმენაა. კლასიკური ლიბერალური თვალსაზრისით, თავისუფლება ნეგატიურია: იგი გარეგანი ზეწოლისაგან ინდივიდის თავისუფლებას გულისხმობს. ინდივიდუალიზმის უკიდურესი ფორმა ინდივიდუალურ სუვერენობას გულისხმობს. იდეას, რომლითაც თითოეულ ინდივიდში აბსოლუტური და შეუზღუდავი ძალაუფლე-

ბა სუფევს. ამ გაგებით, ინდივიდზე განხორციელებული ნებისმიერი გარეგანი ზეწოლა ბოროტებაა, მაგრამ როდესაც ასეთ ზეწოლას სახელმწიფო ახორციელებს, რომელიც წარმოადგენს სუვერენულ, სავალდებულო და იძულებით თავსმოხვეულ ორგანოს, ეს უკვე აბსოლუტური ბოროტებაა. ასევე მარტივად მიიღება დასკვნა, რომ ინდივიდი შეუძლებელია სუვერენული იყოს საზოგადოებაში, რომელიც კანონითა და მთავრობით იმართება. ამგვარად, ინდივიდუალიზმი და სახელმწიფო სრულიად შეუთავსებელი ცნებებია.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი არგუმენტები თავისი არსით საკმაოდ ლიბერალურია, ლიბერალიზმსა და ანარქიზმს შორის დიდი განსხვავებაა. პირველი, რაც მათ განასხვავებს, არის ის, რომ ლიბერალები, აღიარებენ რა ინდივიდის თავისუფლების მნიშვნელობას, ამავდროულად მიიჩნევენ, რომ ამ თავისუფლების მიღწევა შეუძლებელია ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც სახელმწიფოებრიობა არ გააჩნია. კლასიკური ლიბერალიზმის მიმდევრები თვლიან, რომ ანგარებიანი ინდივიდებისათვის სხვათა მიმართ დანაშაულის ჩადენის – ქურდობის, დაშინების, ძალადობისა და მკვლელობის – პრევენციის მიზნით საკმარისია მინიმალური მასშტაბის სახელმწიფო აპარატის არსებობა, რომელიც ძირითადად "გუშაგის" ფუნქციის შესრულებით იქნება შემოფარგლული. ასეთი გაგებით, კანონი კანონობს, რათა დაიცვას და არა შეზღუდოს თავისუფლება. თანამედროვე ლიბერალები უფრო ღრმად ავითარებენ ასეთ არგუმენტაციას და იცავენ სახელმწიფოს, როგორც თავისუფლების განმტკიცების საფუძველს. ამის საწინააღმდეგოდ, ანარქისტებს მიაჩნიათ, რომ ინდივიდებს შესწევთ უნარი, სრულიად დამოუკიდებლად, სახელმწიფოსა და მთავრობის მხრიდან ჩაურევლად, ერთმანეთთან მშვიდობით, ჰარმონიულად და წარმატებულად იცხოვრონ, და ამასთან თავიც დაიცვან. ანარქისტები ლიბერალებისგან განსხვავდებიან იმ რწმენით, რომ თავისუფალ ინდივიდებს შეუძლიათ იცხოვრონ და იშრომონ ურთიერთშეთანხმებულად, რადგან ისინი შეგნებული და მაღალზნეობრივი ქმნილებები არიან. ადამიანური გონიერება გვკარნახობს, რომ წამოჭრილი კონფლიქტი არბიტრაჟისა და დებატების ძალით უნდა გადაიჭრას და არა ძალადობით.

მეორე განსხვავება ანარქისტებსა და ლიბერალებს შორის ის არის, რომ ეს უკანასკნელნი თვლიან, რომ შესაძლებელია მთავრობის ძალაუფლების "მოთვინიერება" და კონტროლი კონსტიტუციური და წარმომადგენლობითი დანესებულებების საშუალებით. კონსტიტუცია შექმნილია იმ მოსაზრებით, რომ დაიცვას ინდივიდები მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის გზით. პერიოდული არჩევნების ჩატარების მიზანს წარმოადგენს მთავრობაზე პასუხისმგებლობის დაკისრება საზოგადოების, უკიდურეს შემთხვევაში, ამომრჩევლების უდიდესი ნაწილის წინაშე. ანარქისტები უკუაგდებენ შეზღუდული, კონსტიტუციური ან წარმომადგენლობითი მთავრობის იდეას. ისინი კონსტიტუციონალიზმსა (იხ. გვ. 47) და დემოკრატიას მიიჩნევენ იმ ნიღბად, რომლის მიღმაც პოლიტიკური ჩაგვრა იმალება. ნებისმიერი კანონი, მიუხედავად იმისა, მიღებულია იგი მთავრობის მიერ კონსტიტუციური თუ ავტოკრატიული წესით, ხელყოფს პირად თავისუფლებას. სხვა სიტყვე-

ბით რომ ვთქვათ, ნებისმიერი სახელმწიფო ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლების ხელყოფაა.

## ეგოიზმი

სუვერენული ინდივიდის ყველაზე გაბედული ანარქისტული თეორია გამოსჭვივის მაქს შტირნერის ნაწარმოებში *ეგო და მისი არსი* (Max Stirner, *The Ego and His Own*, [1845] 1971). მარქსის მსგავსად, გერმანელ ფილოსოფოს შტირნერზე (1806-56) დიდი გავლენა მოახდინა ჰეგელის (1770-1831) იდეებმა, თუმცა ამ იდეების საფუძველზე მარქსი და შტირნერი დიამეტრალურად განსხვავებულ დასკვნებამდე მივიდნენ. შტირნერის თეორიები ინდივიდუალიზმის უკიდურესი ფორმის გამოხატულებაა. ტერმინ "ეგოიზმს" ორი მნიშვნელობა აქვს. იგი გულისხმობს, რომ ინდივიდები, პირველ ყოვლისა, საკუთარი ეგოთი, ანუ "საკუთარი მე"-თი, სელფით (self) არიან დაინტერესებულნი. ეს არის მოსაზრება, რომელიც მისაღები იქნებოდა ისეთი მოაზროვნეებისთვის, როგორებიც ჰობსი და ლოკი არიან. მაგრამ მხოლოდ საკუთარი ინტერესებით მოქმედება შესაძლოა ინდივიდებს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდეს და ამით გამართლებული ხდება სახელმწიფო აპარატის არსებობა, რომელიც აუცილებელია, რათა ცალკეულმა ინდივიდებმა არ დაჩაგრონ და ზიანი არ მიაყენონ ერთმანეთს.

შტირნერის აზრით, ეგოიზმი არის ფილოსოფია, რომლის თანახმადაც, ინდივიდის "მე" (სელფი) ადამიანის ზნეობრივი სამყაროს ამოსავალი წერტილია. ასეთი გაგებით, ინდივიდი მოქმედებს საკუთარი შეხედულებისამებრ, უარყოფს რა კანონებს, საზოგადოებრივ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, რელიგიურ თუ მორალურ პრინციპებს. ასეთი განწყობა ნიჰილიზმის ტოლფასია, რომელიც "არაფრის" რწმენასა და პოლიტიკური, სოციალური და ზნეობრივი პრინციპების უარყოფას ნიშნავს. ეს არის პოზიცია, რომელიც ტოლფასია როგორც ათეიზმისა, ასევე ინდივიდუალისტური ანარქიზმის უკიდურესი ფორმისა. მაგრამ, ვინაიდან შტირნერისეულმა ანარქიზმმა ზურგი შეაქცია განმანათლებლობის იდეებს და მცირერიცხოვან რჩევებს შეიცავდა იმის თაობაზე, თუ რა გზებითაა შესაძლებელი წესრიგის შენარჩუნება არასახელმწიფოებრივ საზოგადოებაში, მას დიდი გავლენა არ მოუხდენია ანარქისტულ მოძრაობაზე. თუმცა, შტირნერის იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა ნიცშესა (იხ. გვ. 252) და მეოცე საუკუნის ეგზისტენციალიზმზე.

## ლიბერტარიზმი

ინდივიდუალისტური არგუმენტი ყველაზე მძლავრად აშშ-ში განვითარეს ისეთმა ლიბერტარელმა მოაზროვნეებმა, როგორებიც იყვნენ ჰენრი დევიდ თორო (Henry David Thoreau, 1817-62), ლიზანდერ სპუნერი (Lysander Spooner, 1808-87), ბენჯამინ ტაკერი (Benjamin Tucker, 1854-1939) და ჯოზი უორენი. თორო სპირიტუალური სიმართლისა და საკუთარი ძალების რწმენის ძიებამ იქამდე მიიყვანა, რომ იგი ცივილიზებულ სამყაროს გაექცა და რამდენიმე წლის მანძილზე სრულ მარტოობაში, ბუნებაში ცხოვრობდა, რაც თავის Walden-ში

([1854] 1983) აღწერა, თორო თავის ყველაზე პოლიტიზირებულ ნაშრომში *სამოქალაქო დაუმორჩილებლობა* (*Civil Disobedience*, [1849] 1983) სრულიად ემხრობა ჯეფერსონის ლიბერალურ ლოზუნგს: "საუკეთესოა მთავრობა, რომელიც მინიმალურად მართავს"; თუმცა, თორომ ეს ლოზუნგი საკუთარ ანარქისტულ იდეას მოარგო და შემდეგი ჟღერადობა მისცა: "საუკეთესოა მთავრობა, რომელიც საერთოდ არ მართავს." თოროს აზრით, ინდივიდუალიზმს მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ მივყავართ, რამეთუ ინდივიდი მართალი უნდა იყოს საკუთარ სინდისსა და შეგნებასთან და აკეთოს მხოლოდ ის, რასაც საკუთარი მოსაზრებით სწორად ჩათვლის, მიუხედავად საზოგადოების მოთხოვნებისა და მთავრობის მიერ დაწესებული კანონებისა. თოროსეული ანარქიზმი პირად შეგნებას უფრო მაღალ შეფასებას აძლევს, ვიდრე პოლიტიკურ მოვალეობებს. სწორედ ამის გამო თორო არ ემორჩილებოდა აშშ მთავრობას, რომელსაც მონობის მხარდამჭერად და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ომის გამჩაღებლად თვლიდა.

ბენჯამინ ტაკერმა ლიბერტარიზმი (იხ. გვ. 103) ახალ სიმაღლეზე აიყვანა, განსაზღვრა რა საიმისო გზები, რომ ინდივიდებმა იცხოვრონ და იშრომონ ურთიერთთანხმობით, კონფლიქტების საფრთხისა და წესრიგის დარღვევის გარეშე. ინდივიდუალისტისთვის ამ პრობლემის გადაჭრა ორი გზით შეიძლება. პირველი მათგანი აქცენტს აკეთებს ადამიანის სალი განსჯის უნარზე და გულისხმობს, რომ წამოჭრილი კონფლიქტისა თუ უთანხმოების გადაჭრა გონივრული განსჯითაა შესაძლებელი. ეს იყო პოზიცია, რომელსაც გოდვინი იზიარებდა, თვლიდა რა, რომ სიმართლე ყოველთვის იმარჯვებს სიცრუეზე. მეორე საშუალება ასეთი პრობლემის გადაჭრისა იყო გარკვეული სახის მექანიზმის შემუშავება, რომლის საშუალებითაც თავისუფალი ინდივიდების დამოუკიდებელ ქმედებათა სრულ ჰარმონიაში მოყვანა იქნებოდა შესაძლებელი.

ყველაზე უკიდურესი ინდივიდუალიზმის მიმდევრებს, ისეთებს, როგორებიც ჯოზი უორენი და ბენჯამინ ტაკერი იყვნენ, სწამდათ, რომ ამის მიღწევა საბაზრო გაცვლის სისტემის საშუალებით იყო შესაძლებელი. უორენი მიიჩნევდა, რომ ინდივიდებს აქვთ იმ ქონების საკუთრების სუვერენული უფლება, რომელსაც ისინი ქმნიან, მაგრამ ამავდროულად ეკონომიკური ლოგიკა მათ აიძულებს იშრომონ სხვებთან ერთად, რათა შრომის დანაწილების უპირატესობებით ისარგებლონ. უორენი ამტკიცებდა, რომ ამის მიღწევა შესაძლებელი იყო სისტემით, რომელსაც "შრომა შრომის სანაცვლოდ" ჰქვია. ამავე დროს უნდა შეიქმნას "დროის რეზერვი", რომლის საშუალებითაც ერთი ადამიანის შრომა გაიცვლება მეორეს მიერ მიცემული პირობის სანაცვლოდ, რომ ეს უკანასკნელი ანალოგიურ სამსახურს გაუწევს. ტაკერი ამტკიცებდა, რომ "წმინდა ანარქიზმი არის მტკიცე მანჩესტერიზმი", გულისხმობდა რა რიჩარდ გობდენისა (1804-65) და ჯონ ბრაიტის (1811-89) პრინციპებს თავისუფალი ვაჭრობისა და თავისუფალი ბაზრის შესახებ. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის აშშ-ის ინდივიდუალისტი ანარქისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბაზრის "უხილავ ხელს" ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის მართვა შეეძლო და ამით პოლიტიკური ორგანიზაციის აუცილებლობა დღის წესრიგიდან იხსნებოდა.

## ანარქო-კაპიტალიზმი

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისადმი ინტერესის აღორძინებამ დასაბამი მისცა სულ უფრო რადიკალურ პოლიტიკურ იდეებს. ახალი მემარჯვენე კონსერვატორები, რომლებსაც კლასიკური ეკონომიკური მოდელი იზიდავდა, მიისწრაფოდნენ, "ჩამოესვათ მთავრობა ბიზნესის მხრებიდან" და გზა გაეხსნათ ეკონომიკის ამუშავებისთვის მხოლოდ საბაზრო ძალების ზემოქმედების საფუძველზე და არა ინტერვენციული სახელმწიფოს მართვის სტილზე დაყრდნობით. ისეთმა მემარჯვენე ლიბერტარიელებმა, როგორიც იყო, მაგალითად, რობერტ ნოზიკი (Robert Nozick, იხ. გვ. 111), აღორძინეს მინიმალური სახელმწიფოს იდეა, რომლის ძირითადი ფუნქცია ინდივიდის უფლებათა დაცვა იქნებოდა. სხვა მოაზროვნეებმა, როგორებიც იყვნენ აინ რენდი (Ayn Rand, 1905-82), მიურეი როთბარდი (Murray Rothbard, 1926-95) და დევიდ ფრიდმანი, ხელი შეუწყვეს თავისუფალი ბაზრის უკიდურესი ფორმის იდეის განვითარებას და ანარქო-კაპიტალიზმის კონკრეტულ მიმდინარეობას ჩაუყარეს საფუძველი. ისინი თვლიდნენ, რომ მთავრობის ინსტიტუტი უნდა გაუქმებულიყო და მისი ადგილი არარეგულირებად საბაზრო კონკურენციას უნდა დაეკავებინა. ქონება უნდა იყოს სუვერენული ინდივიდების საკუთრება, რომლებიც თავად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტენ სხვებთან ურთიერთობის საკითხს. ამგვარად, ინდივიდი თავისუფალი რჩება, ხოლო ბაზარი არ კონტროლდება რომელიმე ცალკეული ინდივიდის ან ჯგუფის მიერ და ამ გზით თავად არეგულირებს ყველა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობას.

ანარქო-კაპიტალიზმის იდეები სცდება თავისუფალი ბაზრის პრინციპზე დაფუძნებული ლიბერალიზმის საზღვრებს. ლიბერალებს სწამთ, რომ ბაზარი ეფექტური და ქმედითუნარიანი მექანიზმია, რომელსაც ძალუძს, უზრუნველყოს ინდივიდები უმეტესი სახის მომსახურებითა და საქონლით, თუმცა აღიარებენ, რომ მას ასევე თავისი საზღვრები აქვს. მომსახურების ისეთი სახეები, როგორიცაა საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება, ადამიანებს შორის ურთიერთობების რეგულირება და ადამიანის დაცვა გარე საფრთხისაგან, წარმოადგენს "საზოგადოებრივ საქონელს", რომელიც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ, ვინაიდან საბაზრო კონკურენციას ასეთი მომსახურების უზრუნველყოფა არ შეუძლია. მაგრამ ანარქო-კაპიტალიზმის მიმდევრებს სწამთ, რომ ბაზარს ადამიანის ნებისმიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია. მაგალითად, როთბარდი (1978) აღიარებდა, რომ ანარქისტული საზოგადოების წარმომადგენლები თავდაცვას ერთმანეთის მეშვეობით განახორციელებენ, მაგრამ ამტკიცებდა, რომ ამგვარ დაცვას კონკურენტული, კერძო საკუთრებაში მყოფი "დაცვის ასოციაციები" და "კერძო სასამართლოები" შეძლებდნენ, ხოლო პოლიციური ძალებისა და სახელმწიფო სასამართლო სისტემის არსებობა სრულიად ზედმეტია.

პრაქტიკულად, ანარქო-კაპიტალისტების აზრით, უსაფრთხოების დაცვის კომერციული სააგენტოები უკეთ შეასრულებენ დაკისრებულ ფუნქცი-

ანარქიზმში

| | | |
|---|---|---|
| ინდივიდუალისტური ანარქიზმი | v. | კოლექტივისტური ანარქიზმი |
| ულტრალიბერალიზმი | – | ულტრასოციალიზმი |
| უკიდურესი ინდივიდუალიზმი | – | უკიდურესი კოლექტივიზმი |
| სუვერენული ინდივიდუუმი | – | მთელი კაცობრიობა |
| სამოქალაქო დაუმორჩილებლობა | – | სოციალური რევოლუცია |
| ატომიზმი | – | კლასობრივი პოლიტიკა |
| ეგოიზმი | – | თანამშრომლობა/მიუტიუელიზმი |
| კონტრაქტით განსაზღ. მოვალეობა | – | საზოგადოებრივი ვალდებულება |
| საბაზრო მექანიზმი | – | კომუნალური ორგანიზაცია |
| კერძო საკუთრება | – | საერთო საკუთრება |
| ანარქო-კაპიტალიზმი | – | ანარქო-კომუნიზმი |

ას, ვიდრე არსებული პოლიციური ძალები, რადგანაც კონკურენციის გამო მომხმარებელს მიეცემა არჩევანის საშუალება, თუ ვის მიმართოს საჭიროების შემთხვევაში, ხოლო სააგენტოები თავისთავად "იძულებულნი" იქნებიან, მომხმარებელს შესთავაზონ იაფი, ეფექტური, მოთხოვნაზე ორიენტირებული მომსახურება. ანალოგიურად, კერძო სასამართლოები "იძულებულნი" იქნებიან, ნებისმიერი დავის გადაჭრისას მოიპოვონ სამართლიანი დაწესებულების რეპუტაცია და მომხმარებლის ნდობა დაიმსახურონ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ურთიერთშეთანხმება ინდივიდსა და კერძო სააგენტოს შორის, განსხვავებით საზოგადოებრივი დაწესებულებისგან, იქნება ნებაყოფლობითი და დარეგულირდება მხოლოდ მიუკერძოებელი საბაზრო ფაქტორებით. რაოდენ რადიკალურადაც უნდა მოგვეჩვენოს ამგვარი მოსაზრებები, მრავალ დასავლურ ქვეყანაში პრივატიზაციის ამგვარმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. აშშ-ის ზოგიერთ შტატში უკვე არსებობს კერძო ციხეები, ხოლო ექსპერიმენტის სახით ინერგება კერძო სასამართლოები და სხვა საარბიტრაჟო სისტემები. დიდ ბრიტანეთში კერძო ციხეები და კერძო დაცვის სამსახურები ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო "სამეზობლო მეთვალყურეობის" სხვადასხვა მოდელების შემოღების შედეგად საზოგადოებრივი წესრიგისთვის პასუხისმგებლობამ პოლიციიდან საზოგადოებაზე/თემზე (community) გადაინაცვლა.

## გზები ანარქიისკენ

ანარქისტებს ყოველთვის უფრო მეტად ხელეწიფებოდათ საკუთარი იდეების წიგნებსა და პამფლეტებში გადმოცემა, ვიდრე მათი პრაქტიკაში განხორციელება. საკმაოდ ხშირად ანარქისტები ზურგს აქცევენ აქტიური პოლიტიკის გატარების კურსს და ამის ნაცვლად უპირატესობას ანიჭებენ წერას ან ექსპერიმენტების ჩატარებას ინდივიდების საზოგადოებრივი თუ

კოოპერატიული თანაარსებობის ფორმებზე. ანარქისტები არა მხოლოდ აპოლიტიკურები გახდნენ, იმ გაგებით, რომ ზურგს აქცევდნენ პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ ხაზგასმით ანტიპოლიტიკურნიც, რადგან უარყოფდნენ პოლიტიკის ტრადიციულ პროცესებსა და მექანიზმებს. ანარქიზმის წინაშე არსებული პრობლემა ისაა, რომ თუ სახელმწიფოს ბოროტებად და ჩაგვრის წყაროდ ჩავთვლით, მაშინ ნებისმიერი მცდელობა სამთავრობო ხელისუფლების ხელში ჩაგდებისა და მთავრობაზე გავლენის მოხდენისა კორუფციული და არაჯანსაღი იქნება. მაგალითად, საარჩევნო პოლიტიკა დაფუძნებულია წარმომადგენლობითი დემოკრატიის მოდელზე, რასაც ანარქისტები მტკიცედ უარყოფენ. პოლიტიკური ძალაუფლება ყოველთვის ჩაგვრის ფუნქციას ასრულებს, მიუხედავად იმისა, მოპოვებულია იგი არჩევნების შედეგად თუ იარაღის მუქარით. ანარქისტები არც საპარლამენტო თუ რევოლუციური პოლიტიკური პარტიებით იხიბლებიან, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ბიუროკრატიული და იერარქიული ორგანიზაციებია. აქედან გამომდინარე, ანარქისტული მთავრობის, ანარქისტული პოლიტიკური პარტიისა თუ ანარქისტი პოლიტიკოსის ცნებები წინააღმდეგობის შემცველია. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს რაიმე ტრადიციული "გზა ანარქიისაკენ", ანარქისტები იძულებულნი არიან პოლიტიკური აქტივობის ნაკლებად ორთოდოქსული საშუალებები ეძებონ.

## რევოლუციური ძალადობა

მეცხრამეტე საუკუნეში ანარქისტი ლიდერები ცდილობდნენ, "ჩაგრული მასები" აემხედრებინათ და მათ აჯანყებისა და ბუნტისაკენ მოუწოდებდნენ. მაგალითად, მიხაილ ბაკუნინი მეთაურობდა საიდუმლო საძმოს, სახელწოდებით "ალიანსი სოციალური დემოკრატიისათვის" და მონაწილეობას იღებდა ანარქისტულ გამოსვლებში საფრანგეთსა და იტალიაში. სხვა ანარქისტები, მაგალითად, მალატესტა იტალიაში, რუსი ხალხოსნები და ზაპატას რევოლუციონერები მექსიკაში, გლეხთა რევოლუციის ორგანიზებაზე მუშაობდნენ. მიუხედავად ყოველი მცდელობისა, ანარქისტების აჯანყებები უმეტესწილად კრახით მთავრდებოდა იმის გამო, რომ დაფუძნებული იყო მხოლოდ სპონტანური აჯანყების რწმენაზე და არა წინასწარ კარგად გათვლილ გეგმაზე. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მრავალმა ანარქისტმა ყურადღება სინდიკალისტური მოძრაობის რევოლუციურ პოტენციალზე გადაიტანა, ხოლო მეოცე საუკუნეში ანარქიზმმა მრავალი მხარდამჭერი დაკარგა, რომლებმაც იმედები უფრო კარგად ორგანიზებულ და დისციპლინირებულ კომუნისტურ მოძრაობაზე დაამყარეს.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ანარქისტი კვლავ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ტერორიზმისა და ძალადობის რევოლუციურ პოტენციალს. ანარქისტულმა ძალადობამ განსაკუთრებით თავი ორ ისტორიულ პერიოდში იჩინა: პირველად – მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, მიაღწია რა თავის პიკს 1890-იან წლებში, ხოლო მეორედ – 1970-იან წლებში. ანარქისტები იყენებდნენ "ფარულ ძალადობას", რაც ხშირად გულისხმობდა ბომბის აფეთქებებსა და მკვლელობებს, რომელთა დანიშნულება ტერორის ან ცუდი წი-

ნათგრძნობის ატმოსფეროს შექმნა იყო. ანარქისტების მსხვერპლი გახდა მეფე ალექსანდრე მეორე, იტალიის მეფე ჰუმბერტი, ავსტრიის იმპერატრიცა ელიზაბეთი, საფრანგეთის პრეზიდენტი კარნო და აშშ-ის პრეზიდენტი მაკკინლი. ტიპური ანარქისტ-ტერორისტი ან დამოუკიდებლად მოქმედი პირი იყო, როგორც, მაგალითად, ემილ ჰენრი, რომელმაც 1894 წელს სიცოცხლე გილიოტინაზე დაასრულა იმის გამო, რომ პარიზის ერთ-ერთ კაფეში, "ტერმინუსში", ბომბი დადო, ან საიდუმლო ჯგუფები, როგორც, მაგალითად, რუსეთის "ხალხის ნება", რომელმაც ალექსანდრე მეორე მოკლა. 1970-იან წლებში ანარქისტული ძალადობა აიტაცეს ისეთმა ჯგუფებმა, როგორიც იყო "ბაადერ-მაინჰოფი" დასავლეთ გერმანიაში, "იტალიის წითელი ბრიგადები", "იაპონიის წითელი არმია" და "მრისხანე ბრიგადა" დიდ ბრიტანეთში.

პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ძალადობას მხარი დაუჭირეს ან მიმართეს სხვადასხვაგვარმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა და მოძრაობებმა. ანარქისტული ძალადობა მათგან იმით განსხვავდებოდა, რომ ანარქისტებს ტერაქტები და მკვლელობები თავისთავად სამართლიან და კანონიერ ზომებად მიაჩნდათ და არა უბრალოდ პოლიტიკური ძალაუფლების გაფართოების საშუალებებად. ანარქისტის აზრით, ძალადობა შურისძიების ერთ-ერთი ფორმაა. ძალადობა იბადება იმ ჩაგვრისა და ექსპლუატაციის პირობებში, რომელსაც პოლიტიკოსები, მრეწველები, მოსამართლეები და პოლიციის მოხელეები მუშათა მასებთან ურთიერთობაში მიმართავენ. ანარქისტული ძალადობა ყოველდღიური საზოგადოებრივი ძალადობის ანარეკლია და რეალურ დამნაშავეთა წინააღმდეგაა მიმართული. ასეთი გაგებით, იგი "რევოლუციური სამართლიანობის" ფორმას წარმოადგენს. მაგალითად, იტალიის "წითელმა ბრიგადებმა" შექმნეს "სახალხო სასამართლოები" და საკუთარი მსხვერპლის მკვლელობამდე (ერთ-ერთი ასეთი მსხვერპლი იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ალდო მორო გახდა) "პროლეტარულ სასამართლო გარჩევებს" აწყობდნენ. ძალადობა, აგრეთვე, მმართველი კლასის დემორალიზაციის საშუალებად მიიჩნევა, რაც აიძულებს მას, საკუთარი ნებით უარი თქვას ძალაუფლებასა და მინიჭებულ პრივილეგიებზე. გარდა ამისა, ძალადობა ითვლება პოლიტიკური შეგნების ამაღლების საშუალებად და მასებს აჯანყებისთვის განაწყობს. რუს ხალხოსნებს სწამდათ, რომ ძალადობა "პრაქტიკული პროპაგანდის" გარკვეული ფორმა იყო. ეს იყო მმართველი კლასის სისუსტისა და დაუცველობის დემონსტრირების საშუალება, რომელიც, ხალხოსნების აზრით, გლეხებში აჯანყების სტიმულს აღვიძებდა.

მიუხედავად ყველაფრისა, პრაქტიკაში ანარქისტულ ძალადობას, უკეთეს შემთხვევაში, საპირისპირო შედეგები მოჰქონდა. პოლიტიკური ძალადობა, ჩაგრული მასებისთვის თვალის ახელისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ აჯანყების ნაცვლად, როგორც წესი, საყოველთაო შიშსა და აღშფოთებას იწვევდა. ეჭვგარეშეა, რომ ანარქიზმის ძალადობასთან ასოცირებამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ამ იდეოლოგიის პოპულარობას. მეტიც, ძალადობა უპერსპექტივო მეთოდი ჩანს მმართველი კლასის დასარწმუნებლად, უარი თქვას ძალაუფლებაზე. გამოიყენო ძალადობა და ძალდატანება

– ეს ნიშნავს ებრძოლო სახელმწიფოს იმ ტერიტორიაზე, რომელზეც მისი უპირატესობა აშკარაა. XIX ს-ის 90-იანი და XX ს-ის 70-იანი წლების ტერორისტულმა იერიშებმა შედეგად მხოლოდ წააქეზეს სახელმწიფო, გაეძლიერებინა და გაეფართოებინა რეპრესიული მექანიზმები, და ეს, ჩვეულებრივ, საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით ხდებოდა.

## პირდაპირი მოქმედება

გარდა არსებულ საზოგადოებაზე რევოლუციური თავდასხმისა, ანარქისტები ხშირად მიმართავდნენ პირდაპირი მოქმედების ტაქტიკას. პირდაპირი მოქმედება გულისხმობს პოლიტიკური ქმედების განხორციელებას კონსტიტუციურ და სამართლებრივ ფარგლებს გარეთ და შეიძლება მოიცავდეს ქმედებებს, პასიური წინააღმდეგობით დაწყებული და ტერორიზმით დამთავრებული. მაგალითად, ანარქისტ-სინდიკალისტები უარს ამბობდნენ ტრადიციულ, წარმომადგენლობით პოლიტიკაში მონაწილეობაზე და ამჯობინებდნენ უშუალო ზეწოლა განეხორციელებინათ დამქირავებლებზე მათი პროდუქციისადმი ბოიკოტის გამოცხადებით, მათი ტექნიკა-აღჭურვილობის საბოტაჟითა და გაფიცვის ორგანიზებით. თანამედროვე ანტიგლობალიზაციური და ანტიკორპორაციული მოძრაობა, ანარქიზმის გავლენით, მასობრივ პროტესტსა და პირდაპირ პოლიტიკურ მოქმედებას ანიჭებს უპირატესობას. ანარქისტული თვალსაზრისით, პირდაპირ მოქმედებას ორი დადებითი თვისება აქვს. პირველი არის ის, რომ მას არ განუცდია სამთავრობო პროცესებისა და სახელმწიფო მექანიზმების გამხრწნელი ზემოქმედება, აქედან გამომდინარე, ღიად და გულწრფელად შეუძლია გამოხატოს პოლიტიკური უკმაყოფილება და ოპოზიციური განწყობა; ოპოზიციური ძალების კონსტიტუციური ქმედებისკენ მიმართვა შეუძლებელია და პროფესიონალ პოლიტიკოსებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი, "მართონ" ისინი.

მეორე დადებითი თვისება პირდაპირი მოქმედებისა არის ის ფაქტი, რომ იგი წარმოადგენს სახალხო პოლიტიკური აქტივობის ისეთ ფორმას, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს დეცენტრალიზაციისა და გადაწყვეტილებების ერთობლივი მიღების საფუძველზე. იგი ხშირად ითვლება "ღია პოლიტიკად", რომელიც უარყოფს არსებულ პარტიებს, წარმომადგენლობით პროცესებს და უმეტესწილად საპროტესტო პოლიტიკის ახლებურ და თეატრალიზებულ ფორმად წარმოგვიდგება. ანარქიზმის აშკარა გავლენა იგრძნობა ე. წ. "ახალი" საზოგადოებრივი მოძრაობების, მაგალითად, ფემინისტური, ეკოლოგიის დაცვის, სექსუალური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და ანტიგლობალიზაციური მოძრაობების ტენდენციაში, ჩაერთონ ამ ფორმის "ანტიპოლიტიკურ" პოლიტიკაში. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, პირდაპირ მოქმედებას უარყოფითი მხარეებიც აქვს. კერძოდ, მან შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს იმ პოლიტიკური ჯგუფებისა და მოძრაობების საზოგადოებრივ მხარდაჭერაზე, რომლებიც მას მიმართავენ, რადგანაც ამ ჯგუფებსა და მოძრაობებს შეიძლება ადვილად დასდონ ბრალი "უპასუხისმგებლობასა" და "ექსტრემიზმში". უფრო მეტიც, გარდა იმისა, რომ პირდაპირი მოქმედება მედიისა და საზოგადოების ყურადღებას

იპყრობს, მან შეიძლება თვითონვე შეიზღუდოს პოლიტიკური გავლენა, ვინაიდან ამა თუ იმ ჯგუფსა თუ მოძრაობას იგი პოლიტიკურ "აუტსაიდერად" წარმოაჩენს, რომელსაც ხელი არ მიუწვდება საზოგადოებრივ პოლიტიკაში ტრადიციული გზებით მონაწილეობაზე.

## ძალადობის უარყოფა

პრაქტიკულად, ანარქისტების უმეტესობა ძალადობას არასწორ ტაქტიკად მიიჩნევს, ხოლო გოდვინისა და პრუდონის მიმდევრებისათვის ის საერთოდ მიუღებელია როგორც პრინციპი. ამ უკანასკნელთ ხშირად იზიდავდა ლევ ტოლსტოისა (1828-1910) და მაჰატმა განდის (1869-1948) მიერ შემოთავაზებული არაძალადობრივი პრინციპები და პაციფიზმი. თუმცა, ვერც ტოლსტოი და ვერც განდი ანარქისტებად ვერ ჩაითვლებიან, ორივემ, სხვადასხვაგვარად, წამოჭრა იდეები, რომლებიც მიმზიდველი იყო ანარქიზმისთვის. რუსმა მწერალმა, ტოლსტოიმ თავის პოლიტიკურ ნაშრომებში უზნეო და ყალბი თანამედროვე ცივილიზაციის სურათი დახატა. იგი ამტკიცებდა, რომ ხსნა მხოლოდ რელიგიური პრინციპებით ცხოვრებასა და მარტივ, რუსი გლეხობის ცხოვრების ტრადიციულ სტილზე დაფუძნებულ ყოფაშია. შეიქმნა კომუნები, რომლებიც ავრცელებდნენ ტოლსტოის სწავლებას. მათი მოქმედების მთავარი პრინციპი ძალადობაზე უარის თქმა იყო. ტოლსტოის აზრით, ცხოვრების ქრისტიანული წესი ნიშნავდა, რომ "არც ერთ ადამიანს მეორის წინააღმდეგ არანაირი მოსაზრებით არ უნდა მიემართა ძალადობისთვის".

განდი ილაშქრებდა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ხელმძღვანელობდა დიდი ბრიტანეთის ბატონობისაგან ინდოეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაც საბოლოოდ მიღწეულ იქნა 1947 წელს. განდის პოლიტიკური მეთოდი ეფუძნებოდა *სატიაგრაჰას* ანუ არაძალადობრივი წინააღმდეგობის იდეას. განდის იდეებზე დიდი გავლენა მოახდინეს ტოლსტოის იდეებმა და ინდუისტურმა რელიგიურმა პრინციპებმა. მიუხედავად იმისა, რომ განდი ანარქისტი თეორეტიკოსი არ ყოფილა, იგი დარწმუნებული იყო, რომ მთავრობის ინსტიტუტი "ძალადობის კონცენტრირებული ფორმა" იყო იმ მიზეზის გამო, რომ მის საფუძველში ძალდატანება და იძულება ძევს. განდი ილვწოდა სიყვარულის პრინციპზე დაფუძნებული ცხოვრების დასამკვიდრებლად, თვით სიყვარულს კი "ჩვენი ყოფიერების კანონს" უწოდებდა. მის წარმოდგენაში იდეალური საზოგადოება ტრადიციული თვითმმართველი ინდური სოფელი იყო, რომელიც უმეტესწილად თვითონ უზრუნველყოფდა თავის მოთხოვნილებებს. ასეთი საზოგადოების სიმბოლო – მბრუნავი ბორბალი, რომელიც მისი ცხოვრების წყაროც და მისი დამოუკიდებლობის ნიშანიცაა, ინდოეთის დროშაზე გამოსახეს.

ძალადობაზე უარის თქმის პრინციპი ორი მიზეზის გამო იყო განდის ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი. პირველი – იგი ასახავდა ადამიანისა და, მეტიც, ყველა ცოცხალი არსების სიცოცხლის სიწმინდეს. განდის აზრით, სიყვარულით მართული საზოგადოება თანაგრძნობასა და პატივისცემაზე უნდა იყოს დაფუძნებული. მეორე – ძალადობაზე უარის თქმა პოლი-

ტიკურ სტრატეგიას წარმოადგენდა. თავშეკავება ძალის გამოყენებისგან, განსაკუთრებით მუქარისა და პროვოკაციის პირობებში, ადამიანის მრწამსის ურყევობისა და მორალური სიწმინდის მაჩვენებელია. ბრიტანული მმართველობის წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიაში არაძალადობრივი წინააღმდეგობა იყო მძლავრი იარაღი, რომელმაც სახალხო მხარდაჭერა აღძრა არა მარტო საკუთრივ ინდოეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. თუმცა, ანარქისტებმა, რომლებიც პაციფიზმისა და არაძალადობრივი მეთოდების გამოყენების იდეებით იყვნენ გამსჭვალულნი, ამის მიუხედავად, მასობრივი პოლიტიკური აქტივობისთვის თავის არიდება არჩიეს. სანაცვლოდ, ისინი ისეთი სანიმუშო საზოგადოებების მოდელების შექმნას ცდილობენ, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე იქნება დაფუძნებული. ისინი იმედოვნებენ, რომ ანარქისტული იდეები გავრცელდება არა პოლიტიკური კამპანიებისა და დემონსტრაციების საშუალებით, არამედ იმ მკაფიო განსხვავების ხარჯზე, რომელიც, ერთი მხრივ, ასეთი საზოგადოებების შიგნით არსებულ სიმშვიდესა და კმაყოფილების განცდასა და, მეორე მხრივ, ტრადიციული საზოგადოებისთვის ტიპურ "ჩუმ სასოწარკვეთას" (თოროს სიტყვებით რომ ვთქვათ) შორის არის.

## ანარქიზმი ოცდამეერთე საუკუნეში

ძალიან ადვილი იქნებოდა, ოცდამეერთე საუკუნის ანარქიზმის არსებობის იდეა უბრალო ფანტაზიად წარმოგვედგინა. ბოლოს და ბოლოს, ანარქიზმს ხომ, როგორც რაიმე მნიშვნელოვან მოძრაობას მეოცე საუკუნის დასაწყისის შემდგომ არც კი უარსებია და მაშინაც კი მან ვერ შეძლო შეექმნა რაიმე სერიოზული საფუძველი თუნდაც ერთი მოცემული საზოგადოების გარდასაქმნელად. თუმცა, ანარქიზმის არსებითი მნიშვნელობა ალბათ ნაკლებად მდგომარეობს იმაში, რომ მან პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების იდეოლოგიური ბაზა უზრუნველყო, არამედ უფრო მეტად იმაში, რომ ის დაუპირისპირდა და, შესაბამისად, გაამდიდრა სხვა პოლიტიკური მიმდინარეობები. ანარქისტები აქცენტს აკეთებდნენ პოლიტიკური ძალაუფლების ძალადობრივ და დამანგრეველ ბუნებაზე და ამით დაუპირისპირდნენ სხვა იდეოლოგიების, განსაკუთრებით კი ლიბერალიზმის, სოციალიზმისა და კონსერვატიზმის სახელმწიფოებრივ ტენდენციებს. ამ გაგებით, ანარქიზმმა, ფაქტობრივად, ძლიერი იდეოლოგიური გავლენა მოახდინა თანამედროვე პოლიტიკურ აზროვნებაზე. მაგალითად, ახალი მემარცხენეები და ახალი მემარჯვენეები ხასიათდებოდნენ ლიბერტარული ტენდენციებით, რომლებიც ანარქიზმის იდეათა დამლას ატარებს. ახალი მემარცხენეობა XX ს-ის 60-იან და ადრეულ 70-იან წლებში მოძრაობათა მთელ რიგს აერთიანებდა, სტუდენტური აქტივობის, ანტიკოლონიალიზმის, ფემინიზმისა და გარემოსდაცვითი მოძრაობების ჩათვლით. ახალ მემარცხენეებს ამოძრავებდათ ერთი საერთო – "გათავისუფლების" მიზანი, რომელიც პიროვნულ სრულყოფას გულისხმობდა და მხარს უჭერდა სახალხო პროტესტის გამოხატვისა და პირდაპირი მოქმედების პრინციპზე დაფუძნე-

ამერიკელი ლინგვისტი თეორეტიკოსი და რადიკალი ინტელექტუალი. ჩომსკის ნაშრომმა *სინტაქსური სტრუქტურები* (*Syntactic Structures*, 1957) გადატრიალება მოახდინა ლინგვისტიკაში. მასში გადმოცემული ტრანსფორმაციული გრამატიკის თეორიის მიხედვით, ადამიანებს აქვთ ენის ათვისების თანდაყოლილი უნარი. ჩომსკის პოლიტიკური რადიკალიზმი ანარქისტულ იდეებზეა აგებული, კერძოდ კი, ცალკეული მოქალაქეების მორალური მგრძნობიარობის რწმენაზე და ადამიანების მიერ შექმნილი ყველა ადამიანური ინსტიტუტის მიმართ უნდობლობაზე. მმართველი ძალაუფლებისადმი მისი კრიტიკული დამოკიდებულება ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის კრიტიკაში, რომელსაც ჩომსკი ნეოკოლონიალიზმსა და მილიტარიზმში ამხელდა. ეს ასახულია მის 30-ზე მეტ წიგნში, მათ შორის უნდა აღინიშნოს *ამერიკული ძალაუფლება და ახალი მანდარინები* (*American Power and the New Mandarins*, 1969), *ახალი სამხედრო ჰუმანიზმი* (*New Military Humanism*, 1999) და *9/11* (2003). აშშ-ის დემოკრატიის მისეული კრიტიკა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მედიის უნარს, მოახდინოს რიგითი მოქალაქეებით მანიპულირება, რაც განხილულია ნაშრომში *თანხმობის წარმოება* (*Manufacturing Consent*, ედვარდ ჰერმანის თანაავტორობით, 1988). ჩომსკი აშშ-ის ყველაზე გამორჩეული პოლიტიკური დისიდენტია.

ბული პოლიტიკური ქმედების აქტიურ სტილს, რასაც აშკარად ანარქიზმის გავლენა ეტყობოდა. ახალი მემარჯვენეობაც აქცენტს პირადი თავისუფლების მნიშვნელობაზე აკეთებს, თუმცა თვლის, რომ ასეთი თავისუფლების გარანტიას მხოლოდ საბაზრო კონკურენცია იძლევა. ანარქო-კაპიტალისტები ცდილობდნენ აეხსნათ, თუ რატომ თვლიდნენ სახელმწიფოს ჩარევას ბოროტების გამოვლინებად და საბოლოო არჩევანი თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გააკეთეს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ოცდამეერთე საუკუნის ანარქიზმი მხოლოდ და მხოლოდ იდეათა მარტივ ერთობლიობას წარმოადგენს, რომელსაც ესა თუ ის პოლიტიკური მოაზროვნე თუ მოძრაობა შეიძლება იდეებს დაესესხოს? აქვს თუ არა ანარქიზმს ამჟამად მხოლოდ ფილოსოფიური მნიშვნელობა? ანარქიზმის მომავალს შეიძლება საკმაო ოპტიმიზმით შევხედოთ. გარკვეული თვალსაზრისით, ანარქიზმის უწყვეტი პრაქტიკული მნიშვნელობა უბრალოდ შენიღბულია მისი მზარდი მრავალფეროვნებით. დიდი ხანია, არსებულ პოლიტიკურ და კლასობრივ ბრძოლასთან ერთად და ზოგჯერ მათ სანაცვლოდაც ანარქისტებმა ყურადღება გაამახვილეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, დაბინძურება და გარემოს განადგურება, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, ქალაქთმშენებლობა, სქესთა ურთიერთდამოკიდებულება და გლობალური უთანასწორობა. აღნიშნულ იდეებზე დაფუძნებულია მრავალი თანამედროვე ანტიკაპიტალისტური თუ ანტიგლობალისტური მოძრაობა, რომლებიც იდეოლოგიური ძალების კოალიციის გზით ანარქიზმის იდეებს ავითარებენ. მაგალითად, ნოამ ჩომსკი, რომელმაც უდიდესი თეორიული გავლენა მოახდინა ანტიგლობალისტურ მოძრაობაზე, საკუთარ იდეებს ანარქისტული მოსაზრებების საფუძველზე ავითარებს. იმის მტკიცება, რომ ანარქიზმმა თავისი დრო მოჭამა, მხოლოდ იმის საფუძ-

ველზე, რომ იგი აღარ წამოადგენს მასობრივ მოძრაობას, უმართებულო იქნებოდა. შესაძლოა, მსოფლიოს მზარდ გართულებასა და დანაწევრებასთან ერთად თვით მასობრივმა პოლიტიკამ მოჭამა თავისი დრო. ამ თვალსაზრისით, ეყრდნობა რა ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა ინდივიდუალიზმი, მონაწილეობა, დეცენტრალიზაცია და თანასწორუფლებიანობა, ანარქიზმი, სხვა პოლიტიკურ მიმდინარეობებთან შედარებით შესაძლოა, ბევრად უკეთაა შეიარაღებული პოსტმოდერნისტული საზოგადოების მოთხოვნებზე საპასუხოდ.

## რეკომენდებული ლიტერატურა

Carter, A., *The Political Theory of Anarchism* (London: Routledge & Kegan Paul, 1971). ანარქისტული იდეების სასარგებლო და უკომპრომისო კვლევა, რომელშიც ანარქისტული იდეები დაპირისპირებულია უფრო ორთოდოქსულ პოლიტიკურ თეორიასთან.

Marshall, P., *Demanding the Impossible: A History of Anarchism* (London: Fontana, 1993). ანარქისტული თეორიებისა და იდეების სრული დიაპაზონის მომცველი, ძალზე ფუნდამენტური, ავტორიტეტული და შთამბეჭდავი მიმოხილვა.

Miller, D., *Anarchizm* (London: Dent, 1984). ანარქისტული იდეებისა და თეორიების შესანიშნავი და ღრმა ანალიზის შემცველი შესავალი კურსი.

Purkis, J. and J. Bowen, *Twenty-first Century Anarchism: Unorthodox Ideas for a New Millennium* (London: Cassell, 1997). ესეების საინტერესო კრებული, რომელშიც განხილულია მეოცე საუკუნის დასასრულის ანარქისტული იდეები და მოქმედებები.

Roussopoulos, D. (ed.), *The Anarchist Papers* (New York and London: Black Rose Books, 2002). ანარქისტ მოაზროვნეთა სტატიების კრებული, რომელშიც ასახულია თანამედროვე ანარქისტული პრობლემატიკის ფართო დიაპაზონი.

Wolff, R. P., *In Defence of Anarchism*, 2nd edn (Berkeley, CA: University of California Press, 1998). ანარქისტული იდეის ფილოსოფიური საფუძვლის თანამედროვე კლასიკური კვლევა, რომელშიც პასუხი არის გაცემული ანარქიზმის მიმართ არსებულ ძირითად კრიტიკულ შენიშვნებზე.

Woodcock, G., Anarchism: *A History of Libertarian Ideas and Movements* (Harmondsworth and New York: Penguin, 1962). ერთ დროს სანიმუშო ნაშრომი ანარქიზმის, როგორც იდეისა და პოლიტიკური მიმდინარეობის შესახებ; ავტორიტეტული კვლევა, რომელსაც ჯერაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

თავი 7

# ფაშიზმი

*წარმოშობა და განვითარება*
*ძალა ერთობაშია – ძირითადი თემები*
*ფაშიზმი და სახელმწიფო*
*ფაშიზმი და რასიალიზმი*
*ფაშიზმი ოცდამეერთე საუკუნეში*

## წარმოშობა და განვითარება

ტერმინი "ფაშიზმი" მომდინარეობს იტალიური სიტყვიდან *fasces* (ფაშეს), ნიშნავს წნელის შეკვრას, რომლიდანაც გამოშვერილია ნაჯახი და რომელიც აღნიშნავდა მაგისტრატების ძალაუფლებას რომის იმპერიაში. XIX ს-ის 90-იანი წლებისთვის სიტყვა *fascia* იტალიაში გამოიყენებოდა პოლიტიკური ჯგუფის (ჩვეულებრივ, რევოლუციონერი სოციალისტების) აღსანიშნავად. მუსოლინიმდე (იხ. გვ. 264) ამ ტერმინით არ მოიხსენიებდნენ იმ ნახევრადსამხედრო შეიარაღებულ ჯგუფებს, რომლებიც მან ჩამოაყალიბა პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას და მისი დამთავრების შემდეგ, როცა *fascismo*-მ აშკარად იდეოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა. მიუხედავად ამისა, ალბათ არც ერთი პოლიტიკური ტერმინი არ გამოიყენებოდა ისე ხშირად და არააკურატულად, როგორც "ფაშისტი" და "ფაშიზმი". მათ, ჩვეულებრივ, დამამცირებელი მნიშვნელობით იყენებენ, ზოგჯერ კი – პოლიტიკური ლანძღვის უნივერსალურ ტერმინებადაც. "ფაშისტი" და "დიქტატორი", მაგალითად, ჩვეულებრივ, ურთიერთჩანაცვლებადი სიტყვებია ისეთი ადამიანის მიმართ, რომელსაც აქვს ან გამოხატავს არატოლერანტულ ან არალიბერალურ შეხედულებებს. თუმცა, ფაშიზმი არ უნდა გავაიგივოთ უბრალო რეპრესიასთან. ფაშიზმის თეორეტიკოსებმა განიცადეს გარკვეული თეორიებისა და ღირებულებების ზეგავლენა და XX ს-ის 20-30-იან წლებში ჩამოყალიბებულმა ფაშისტურმა რეჟიმებმა პოლიტიკური მმართველობის ახალი ფორმები შექმნეს.

თუ ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და სოციალიზმი მეცხრამეტე საუკუნის იდეოლოგიებია, ფაშიზმი მეოცე საუკუნის პირმშოა, შეიძლება ითქვას – ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდისა. სინამდვილეში ფაშიზმი გაჩნდა, როგორც ჯანყი თანამედროვეობის წინააღმდეგ, განმანათლებლობის იდეათა, ღირებულებათა და მის მიერ წარმოქმნილი პოლიტიკური შეხედულებების წინააღმდეგ. მაგალითად, ნაცისტებმა გერმანიაში განაცხადეს,

რომ "1789 გაუქმებულია". ფაშისტურ იტალიაში ისეთმა ლოზუნგებმა, როგორც "გჯეროდეს, მორჩილებდე, იბრძოლე" და "წესრიგი, ძალაუფლება, სამართალი" შეცვალეს საფრანგეთის რევოლუციის უფრო ნაცნობი პრინციპები "თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა". ფაშიზმი მოვიდა არა მხოლოდ როგორც "მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა", როგორც აღნიშნა ოსალივანმა (1983), არამედ ასევე შეეცადა პოლიტიკური სამყარო თავიდან შეექმნა, სიტყვასიტყვით – ამოეძირკვა და გაენადგურებინა ტრადიციული პოლიტიკური აზრის მემკვიდრეობა.

მიუხედავად იმისა, რომ ფაშიზმის უმთავრესი იდეებისა და დოქტრინების საფუძვლები შეიძლება მეცხრამეტე საუკუნეში ვიპოვოთ, საბოლოო სახე ამ იდეებს პირველმა მსოფლიო ომმა და მისმა შედეგებმა მისცა, კერძოდ კი ომისა და რევოლუციის ძლიერმა ნაზავმა. იტალიაში ფაშისტური პარტია 1919 წელს ჩამოყალიბდა, მისი ლიდერი ბენიტო მუსოლინი 1922 წელს პრემიერ-მინისტრად დაინიშნა და 1926 წლისთვის დაფუძნდა ერთპარტიული ფაშისტური სახელმწიფო. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია, ცნობილი ნაცისის (ნაცისტურის) სახელით, ასევე 1919 წელს ჩამოყალიბდა და ადოლფ ჰიტლერის (იხ. გვ. 255) ლიდერობით შეგნებულად გადმოიღო მუსოლინისეული ფაშიზმის სტილი. 1933 წელს ჰიტლერი დაინიშნა გერმანიის კანცლერად და ერთ წელიწადზე ოდნავ მეტ ხანში გერმანია ნაცისტური დიქტატურის ქვეშ მოაქცია. იმავე პერიოდში ევროპის უმეტეს ნაწილში კრახი განიცადა დემოკრატიამ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ჩანაცვლებულ იქნა მემარჯვენე ფრთის, ავტორიტარული ან ღია ფაშისტური რეჟიმებით. 1938 წლისთვის ჩეხოსლოვაკია ერთადერთი შემორჩენილი დემოკრატია იყო აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, ამავდროულად უნგრეთი და რუმინეთი მტკიცედ ადგა ფაშიზმისა და ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობის გზას. პორტუგალიაში 1928 წელს სალაზარმა დიქტატურა დაამყარა, ხოლო ესპანეთში ნაციონალისტთა გამარჯვება სამოქალაქო ომში (1936-9) ფრანკოს დიქტატურის ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა. ევროპის გარეთაც ჩამოყალიბდა რეჟიმები, რომლებიც გარკვეულწილად უკავშირდებოდნენ ფაშიზმს, განსაკუთრებით XX ს-ის 30-იანი წლების იმპერიულ იაპონიასა და პერონის მმართველობის ქვეშ მყოფ არგენტინაში 1945-55 წლებში.

ფაშიზმის წარმოშობასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებული საკითხები დიდი ისტორიული ინტერესისა და ხშირად გაათრებული უთანხმოების მიზეზიც გამხდარა. არც ერთი ცალკე აღებული ფაქტორი არ შეიძლება დასახელდეს ფაშიზმის წარმოშობის მიზეზად; ფაშიზმი წარმოშვა იმ ისტორიული ძალების რთულმა წყებამ, რომლებიც ომთაშორის პერიოდში მოქმედებდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე. პირველ ყოვლისა, ევროპის დიდ ნაწილში დემოკრატიული მთავრობები ახალი ჩამოყალიბებული იყო და დემოკრატიულ პოლიტიკურ ფასეულობებს ჯერ ვერ მოესწრო უფრო ძველი, ავტოკრატიული ფასეულობების ჩანაცვლება. მეტიც, დემოკრატიული მთავრობები, რომლებიც პარტიათა ინტერესების კოალიციას წარმოადგენდა, უმეტესწილად სუსტი და არასტაბილური აღმოჩნდა ეკონომიკური ან პოლიტიკური კრიზისების პირისპირ. ამ კონტექსტში ძლიერი ლიდერობის

პერსპექტივა პიროვნული მართვის წესის ზეგავლენით მეტად მიმზიდველი გახდა. მეორე: ევროპული საზოგადოება დეზინტეგრირებული იყო ინდუსტრიალიზაციის უარყოფითი ზეგავლენის შედეგად, რომელიც საავდრო ღრუბელივით ეკიდა ქვედა საშუალო კლასის წარმომადგენელ მაღაზიების მფლობელთა, მცირე მეწარმეთა, ფერმერთა და ხელოსანთა თავზე, რომლებიც, ერთი მხრივ, დიდი ბიზნესის მზარდი ძლევამოსილების, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი ძალის, ორგანიზებული შრომის მზარდი ძალის მარწუხებში იყო მოქცეული. ფაშისტურმა მოძრაობებმა თავიანთი წევრები და მხარდაჭერა უმეტესწილად სწორედ ამგვარი ქვედა საშუალო კლასის ელემენტებში ჰპოვეს. თავისი არსით ფაშიზმი იყო "ცენტრის ექსტრემიზმი" (ლიფსეტი, Lipset, 1983) ქვედა საშუალო კლასების ჯანყი, და ამ ფაქტის ცოდნა გვეხმარება როგორც კაპიტალიზმის, ისე კომუნიზმის მიმართ ფაშიზმის თანაბრად მტრული განწყობის ასახსნელად.

მესამე: პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი რუსული რევოლუციის დიდი ზეგავლენის ქვეშ იყო. გარდა ამისა, შეძლებულთა კლასებში არსებობდა შიში, რომ სოციალური რევოლუცია შეიძლებოდა ევროპაშიც გავრცელებულიყო. უეჭველია, რომ ფაშისტურმა ჯგუფებმა როგორც ფინანსური, ისე პოლიტიკური მხარდაჭერა მიიღეს ბიზნეს-ინტერესებისგან. ამის გამო ფაშიზმი მარქსისტი ისტორიკოსების მიერ ინტერპრეტირებულ იქნა, როგორც კონტრრევოლუციის ფორმა, ბურჟუაზიის მცდელობა, მიტმასნოდნენ ფაშისტი დიქტატორების ძალას მათთვის მხარდაჭერის გაწევის გზით. მეოთხე, XX ს-ის 30-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ხშირ შემთხვევაში უკანასკნელი წვეთის როლი ითამაშა უკვე დანგრევამდე მისული დემოკრატებისთვის. მზარდმა უმუშევრობამ და ეკონომიკურმა მარცხმა წარმოშვა კრიზისის ატმოსფერო და პესიმიზმი, რომლის გამოსაყენებლად ნოყიერი ნიადაგი შეექმნათ პოლიტიკურ ექსტრემისტებსა და დემაგოგებს. დაბოლოს, პირველმა მსოფლიო ომმა ვერ შეძლო საერთაშორისო კონფლიქტებისა და მეტოქეობის გადაწყვეტა და დატოვა იმედგაცრუებული ნაციონალიზმისა და შურისძიების მწარე მემკვიდრეობა. ნაციონალისტური დაძაბულობა ყველაზე მეტად იგრძნობოდა "არასრულფასოვნების კომპლექსის მქონე" იმ ერებში, რომლებმაც, გერმანიის მსგავსად, ან ომში დამარცხება იწვნიეს, ან დიდი იმედგაცრუება დაეუფლათ ვერსალის ზავის პირობების გამო; მაგალითად, ასეთნი იყვნენ იტალია და იაპონია. გარდა ამისა თვით ომის გამოცდილებამ წარმოშვა ნაციონალიზმის განსაკუთრებით აგრესიული ფორმა და მილიტარისტული ფასეულობებით აღჭურვა იგი.

ფაშისტური რეჟიმები დაემხო არა სახალხო აჯანყების ან პროტესტის გზით, არამედ მეორე მსოფლიო ომის შედეგად. 1945 წლიდან მოყოლებული, ფაშისტურ მოძრაობებს მხოლოდ მარგინალური წარმატებისთვის თუ მიუღწევიათ, რის გამოც გაჩნდა თვალსაზრისი, რომ ფაშიზმი სპეციფიკურად ომთაშორისი ფენომენი იყო, დაკავშირებული ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი ისტორიული ვითარების განსაკუთრებულობასთან (ნოლტე, Nolte, 1965). თუმცა, სხვა თვალსაზრისით, ფაშიზმი მუდმივად არსებული საფრთხეა. ამგვარი გააზრების მომხრენი ფაშიზმის ძირებს ადამიანის ფსი-

ქოლოგიაში, ან, როგორც ერიხ ფრომი (Fromm, 1984) უწოდებდა, "თავისუფლების შიშში" ხედავენ. თანამედროვე ცივილიზაციამ მეტი ინდივიდუალური თავისუფლება მოიტანა, მაგრამ ამავდროულად იზოლაციისა და დაუცველობის საფრთხე გაიზარდა. ამის გამო კრიზისულ მომენტებში ინდივიდები შეიძლება გაურბოდნენ თავისუფლებას და ეძებდნენ უსაფრთხოებას ყოვლისშემძლე ლიდერის ან ტოტალიტარული სახელმწიფოს მორჩილებაში. ამის გამო პოლიტიკურმა არასტაბილურობამ ან ეკონომიკურმა კრიზისმა შეიძლება შექმნას პირობები ფაშიზმის აღორძინებისთვის. მაგალითად, არსებობდა შეშფოთება ნეოფაშიზმის ზრდის თაობაზე აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ნაწილში კომუნისტური მმართველობის კოლაფსის შემდგომ პერიოდში (1989-91). ამის მსგავსად, დაძაბულობამ, რომელიც წარმოშვა ეკონომიკურმა და კულტურულმა გლობალიზაციამ და მოსახლეობის მზარდმა ტრანსნაციონალურმა გადაადგილებებმა, ზოგ შემთხვევაში ხელი შეუწყო უკიდურესად მემარჯვენე და ფაშისტური სტილის პოლიტიკურ აქტივობას. რადგან ეკონომიკური კრიზისის პოლიტიკური არასტაბილურობისა და იმედგაცრუებული ნაციონალიზმის ერთობლიობამ წარსულში ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ფაშისტურ მოძრაობებს, უგუნურება იქნებოდა, არ გაგვეთვალისწინებინა ფაშიზმის მომავალში აღორძინების შესაძლებლობა. მსჯელობა ფაშიზმის პერსპექტივების შესახებ ამ თავის ბოლო ქვეთავშია წარმოდგენილი.

## ძალა ერთობაშია – ძირითადი თემები

სულ მცირე, ორი მიზეზი არსებობს, რის გამოც ფაშიზმის, როგორც იდეოლოგიის, ანალიზი რთულია. პირველი, ზოგჯერ ეჭვქვეშ დგება საკითხი, შეიძლება თუ არა ფაშიზმი რაიმე მნიშვნელოვანი არგუმენტაციით მოვიაზროთ იდეოლოგიად. აკლია რა რაციონალური და თანმიმდევრული ბირთვი, ფაშიზმი წარმოგვიდგება, როგორც ჰიუ ტრევორ-როუპერმა უწოდა, "იდეების აბდაუბდად" (Woolf, 1981, გვ. 20). ჰიტლერი, მაგალითად, უპირატესობას ანიჭებდა საკუთარი იდეების როგორც *Weltanschauung*-ის ანუ "სამყაროს ხედვის" აღწერას, ვიდრე – როგორც სისტემური იდეოლოგიისა. სამყაროს ამგვარი ხედვა გულისხმობს განწყობათა დასრულებული, თითქმის რელიგიური ნყების არსებობას, რომელიც მოითხოვს ვალდებულებასა და რწმენას და არა გონივრული ანალიზისა და დებატების მხარდაჭერას. ფაშისტები იდეებისა და თეორიებისთვის ნაკლებად იყვნენ მოწოდებულნი არა იმდენად იმის გამო, რომ ისინი, ინტელექტუალური გაგებით, სამყაროს შეგრძნების შექმნას ემსახურებოდნენ, არამედ უფრო იმის გამო, რომ მათ ჰქონდათ პოლიტიკური აქტივობის სტიმულირების უნარი. ამდენად, ფაშიზმი უკეთ დახასიათდებოდა როგორც პოლიტიკური მოძრაობა ან თუნდაც პოლიტიკური რელიგია, ვიდრე – როგორც იდეოლოგია. ამის მიუხედავად, როგორც ქვემოთ იქნება ახსნილი, ფაშისტებისთვის დამახასიათებელი ყურადღების გამახვილება ქმედებაზე და არა იდეებზე, სულზე და არა ინტელექტზე, თავისთავად იყო მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და ფილოსო-

ფიური ძვრის, კერძოდ კი განმანათლებლობის რაციონალისტური იდეების საწინააღმდეგო უარყოფითი რეაქციის შედეგი.

მეორეც, ფაშიზმი, როგორც ისტორიული ფენომენი იმდენად რთულია, რომ ძნელია განისაზღვროს მისი ძირითადი პრინციპები ანუ "ფაშიზმის მინიმუმი", ის, რასაც ზოგჯერ ფაშიზმის ზოგად მახასიათებლებად მიიჩნევენ. სად იწყება და სად მთავრდება ფაშიზმი? რომელი მოძრაობებისა და რეჟიმების კლასიფიკაცია შეიძლება როგორც ჭეშმარიტად ფაშისტურის? მაგალითად, არსებობს გარკვეული დავა იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ფაშისტურად ისეთი სახელმწიფოებრივი სისტემები, როგორებიც იყო იმპერიული იაპონია, ვიშის საფრანგეთი, ფრანკოს ესპანეთი, პერონის არგენტინა და ჰიტლერის გერმანიაც კი. როგორც ამ თავის ბოლო ნაწილში მოყვანილი განხილვიდან ჩანს, განსაკუთრებული გაურკვევლობა არსებობს ფაშიზმისა და ისეთი თანამედროვე რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების ურთიერთობების ირგვლივ, როგორიცაა, მაგალითად, *ეროვნული ფრონტი* (*Front National*) საფრანგეთში: როგორია ეს ჯგუფები – "ფაშისტური", "ნეოფაშისტური", "პოსტფაშისტური", "უკიდურესად ნაციონალისტური" თუ კიდევ სხვაგვარი? ფაშიზმის იდეოლოგიური ბირთვის განსაზღვრის მცდელობებს შორის უნდა აღინიშნოს ერნსტ ნოლტეს (Ernst Nolte, 1965) თეორია, რომლის მიხედვით ფაშიზმის ბირთვს "ტრანსცენდენციის მიმართ წინააღმდეგობა" წარმოადგენს, ა. ჯ. გრეგორის (A. J. Gregor, 1969) რწმენა, რომ ის "ტოტალური ქარიზმატული თემის" შექმნას ცდილობს, როჯერ გრიფინის (Roger Griffin, 1993) დასკვნა, რომ ის "პალინგენეტურ ულტრანაციონალიზმს" წარმოადგენს ("პალინგენეზისი" ხელახალ დაბადებას ნიშნავს) და როჯერ ითუელის (Roger Eatwell, 1996) მოსაზრება, რომ ის "ჰოლისტურ-ნაციონალურ მესამე გზას" წარმოადგენს. მართალია, თითოეული ეს მოსაზრება ნამდვილად ასახავს ფაშიზმის მნიშვნელოვან მახასიათებლებს, მაგრამ ძნელია იმის აღიარება, რომ ერთი წინადადებით ჩამოყალიბებული ფორმულით შესაძლებელია ისეთი თვისობრივად უფორმო ფენომენის შეჯამება, როგორც ფაშისტური იდეოლოგიაა. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება იმედი გვქონდეს, განვსაზღვროთ იმ თემების კრებული, რომლებიც ერთობლიობაში ფაშიზმის სტრუქტურულ ბირთვს წარმოადგენს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ანტირაციონალიზმი
- ბრძოლა
- ლიდერობა და ელიტიზმი
- სოციალიზმი
- ულტრანაციონალიზმი

## ანტირაციონალიზმი

მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტური პოლიტიკური მოძრაობები პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული ცვლილებების საფუძველზე წარმოიშვა, ისინი იკვებებოდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან არსებული იდეებითა და თეორიებით. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ანტირაციონალიზმი და,

ზოგადად, განმანათლებლობის მოწინააღმდეგე აზრის ზრდა. განმანათლებლობა, რომელიც უნივერსალური გონის, ბუნებრივი სიკეთისა და გარდაუვალი პროგრესის იდეებს ეყრდნობოდა, იბრძოდა კაცობრიობის გასათავისუფლებლად ირაციონალიზმისა და ცრურწმენების სიბნელისაგან. ის აისახა საფრანგეთის რევოლუციის იდეებში და უფრო ზოგადი გამოხატულება ჰპოვა ლიბერალიზმსა და სოციალიზმში. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მოაზროვნეები უკვე მიუთითებდნენ ადამიანის გონების შეზღუდულობაზე და ყურადღება მიაპყრეს აგრეთვე სხვა, შესაძლოა უფრო მძლავრ მამოძრავებლებსა და იმპულსებს. მაგალითად, ფრიდრიხ ნიცშე ამტკიცებდა, რომ ადამიანების მოტივაცია განპირობებულია ძლიერი ემოციებით, უფრო მათი "ნებით", ვიდრე რაციონალური გონით, და კერძოდ იმით, რასაც იგი "ძალაუფლების ნებას" უწოდებდა. თავის ნაშრომში *ფიქრები ძალადობაზე* (*Reflections of Violence*, [1908] 1950) ფრანგი სინდიკალისტი ჟორჟ სორელი (Georges Sorel, 1847-1922) მიუთითებდა "პოლიტიკური მითების" და განსაკუთრებით "საყოველთაო გაფიცვის მითის" მნიშვნელობაზე, რომელიც წარმოადგენს არა პოლიტიკური რეალობის პასიურ ასახვას, არამედ "ნების გამოხატულებას", რაც მოიცავს ემოციებს და იწვევს მოქმედებას. ფრანგი ფილოსოფოსი ანრი ბერგსონი (Henri Bergson, 1859-1941) ავითარებდა ვიტალიზმის თეორიას, დაფუძნებულს იდეაზე, რომ ცოცხალი ორგანიზმები საკუთარ მახასიათებელ ნიშან-თვისებებს უნივერსალური "სასიცოცხლო ძალისაგან" იღებენ. აქედან გამომდინარე, ადამიანის ცხოვრების დანიშნულებაა, მისცეს გამოხატულება ამ სასიცოცხლო ძალას, და არ დაუშვას მისი შეზღუდვა ან დამახინჯება ცივი გონებისა და უსულო გაანგარიშების ტირანიით.

მართალია, აუცილებელი არაა, რომ ანტირაციონალიზმს მემარჯვენე ან პროფაშისტური ხასიათი ჰქონდეს, ფაშიზმმა პოლიტიკური გამოხატულება

გერმანელი ფილოსოფოსი. ნიცშე ოცდახუთი წლის ასაკში ბერძნული ენის პროფესორი გახდა ბაზელის უნივერსიტეტში, მაგრამ მიატოვა ფილოლოგია და, შოპენჰაუერის (1788-1860) იდეების გავლენით, შეეცადა შეემუშავებინა ტრადიციული რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნების კრიტიკა. გაუარესებული ჯანმრთელობისა და განვითარებადი ფსიქიკური დაავადების გამო იგი 1889 წლის შემდეგ თავისი დის – ელისაბედის კონტროლის ქვეშ მოექცა, რომელიც რედაქტირებას უკეთებდა და ამახინჯებდა მის ნაშრომებს.

ნიცშეს რთულ და ამბიციურ ნაშრომებში ხაზგასმული იყო ნების, განსაკუთრებით "ძალაუფლების ნების" მნიშვნელობა და ის, რომ ადამიანები თვითონ ქმნიან საკუთარ სამყაროს და ანესებენ საკუთარ ღირებულებებს – "ღმერთი მოკვდა". ამ მხრივ ნიცშე თანამედროვე ეგზისტენციალიზმის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. ნიცშე სასტიკად აკრიტიკებდა ქრისტიანობას და უპირისპირდებოდა ეგალიტარიზმსა და ნაციონალიზმს. მისმა იდეებმა გავლენა იქონია ანარქიზმსა და ფემინიზმზე, აგრეთვე, ფაშიზმზეც. ნიცშეს ყველაზე ცნობილი ნაშრომებია *ასე ამბობდა ზარატუსტრა* (1883-4), *სიკეთისა და ბოროტების მიღმა* (1886) და *მორალის გენეალოგიის თაობაზე* (1887).

მისცა განმანათლებლობის მოწინააღმდეგე აზროვნების ყველაზე რადიკალურ და უკიდურეს ფორმებს. ანტირაციონალიზმმა ფაშიზმზე სხვადასხვა თვალსაზრისით იმოქმედა. პირველ რიგში, მან ფაშიზმს მკვეთრად გამოხატული ანტიინტელექტუალური ხასიათი მიანიჭა, რაც აბსტრაქტული აზროვნების მიმართ ზიზღისა და, ამავდროულად, მოქმედების თაყვანისცემის ტენდენციაში აისახა. მაგალითად, მუსოლინის საყვარელ ლოზუნგებს შორის იყო "მოქმედება და არა ლაპარაკი" და "უმოქმედობა სიკვდილია". ინტელექტუალურმა ცხოვრებამ ღირებულება დაკარგა, მას ზიზღითაც კი ეპყრობოდნენ: იგი ცივი, მშრალი და უსიცოცხლოა. ფაშიზმი, ამის საპირისპიროდ, აქცენტირებულია სულზე, ემოციებსა და ინსტინქტებზე. მის იდეებში არაა დიდი თანმიმდევრულობა ან სიზუსტე, მაგრამ ის ცდილობს გამოამჟღავნოს მითიური მიმზიდველობა. მისი მთავარი იდეოლოგები, კერძოდ ჰიტლერი და მუსოლინი, ფაქტობრივად, პროპაგანდისტები იყვნენ, რომლებსაც იდეები და თეორიები უმეტესად იმის გამო აინტერესებდათ, რომ ამ უკანასკნელთ ძალა შესწევდათ, გამოეწვიათ ემოციური რეაქცია და სამოქმედოდ აღეძრათ მასები. ამრიგად, ფაშიზმი ახორციელებს "ნების პოლიტიკას". მაგრამ ფაშიზმი უბრალოდ ირაციონალიზმი როდია. ფაშიზმის დამახასიათებელი ნიშანი არის არა მისი აქცენტი ირაციონალურ მამოძრავებელ ძალებსა და ემოციებზე, არამედ შეხედულებებისა და ღირებულებების საკმაოდ კონკრეტული დიაპაზონი, რომელთა საშუალებითაც ის ცდილობს ემოციებზე ზემოქმედებას და პოლიტიკური აქტივობის წარმოშობას.

მეორე, განმანათლებლობის უარყოფამ ფაშიზმს, უპირველეს ყოვლისა, ნეგატიური და დესტრუქციული ხასიათი მიანიჭა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაშისტები ყოველთვის უფრო მკაფიოდ გამოხატავდნენ იმას, თუ რას ეწინააღმდეგებოდნენ, ვიდრე იმას, რას ემხრობოდნენ. ამრიგად, ფაშიზმი უფრო "ანტიფილოსოფიაა" – ის ანტირაციონალურია, ანტილიბერალურია, ანტიკონსერვატიულია, ანტიკაპიტალისტურია, ანტიბურჟუაზიულია, ანტიკომუნისტურია და ასე შემდეგ. ამ თვალთახედვით, ზოგიერთი ფაშიზმს აღწერდა ნიჰილიზმის ფორმად, ფაქტობრივად, არაფრის რწმენად, არსებული მორალური და პოლიტიკური პრინციპების უარყოფად. მაგალითად, ნაციზმს აღწერდნენ როგორც "ნიჰილიზმის რევოლუციას". მაგრამ ფაშიზმი არ არის დადგენილი შეხედულებებისა და პრინციპების უბრალო უარყოფა. ის უფრო განმანათლებლობის მემკვიდრეობის უკუღმა შეტრიალების მცდელობაა. ის არის დასავლური პოლიტიკური ტრადიციის უფრო ბნელი მხარე, რომლის ცენტრალური და გადამწყვეტი ღირებულებები კი არ უარყვეს, არამედ შეცვალეს ან თავდაყირა დააყენეს. მაგალითად, ფაშიზმში "თავისუფლება" უპირობო მორჩილებას ნიშნავს, "დემოკრატია" უტოლდება აბსოლუტურ დიქტატურას და "პროგრესი" მუდმივ ბრძოლასა და ომს გულისხმობს. უფრო მეტიც, ფაშიზმი, თავისი უდავო გადახრის მიუხედავად, ნიჰილიზმის, ომისა და სიკვდილისკენაც, თავის თავს მიიჩნევდა შემოქმედებით ძალად, "შემოქმედებითი დესტრუქციის" გზით ახალი ცივილიზაციის მშენებლობის საშუალებად. მართლაც, დაბადებისა და სიკვდილის, შექმნისა და დესტრუქციის ეს ერთობლიობა შეიძლება განხილულ იქნას როგორც ფაშიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება.

მესამე, უნივერსალური გონის სტანდარტის უარყოფასთან ერთად, ფაშიზმმა რწმენა მთლიანად ისტორიაზე, კულტურაზე და ორგანული საზოგადოების იდეაზე დაამყარა. მაგალითად, განმანათლებლობის მოწინააღმდეგე გერმანელი ფილოსოფოსი იოჰან გოტფრიდ ჰერდერი (1744-1803) უარყოფდა უნივესალიზმს, როგორც აისტორიულ პრინციპს: ყოველ ერს აცოცხლებს მისი კოლექტიური სული, მისი *Volsgeist*, მისი უნიკალური ისტორიის, კულტურისა და განსაკუთრებით ენის პროდუქტი. ამრიგად, საზოგადოებები ორგანულ ან ბუნებრივ ერთობებს წარმოადგენენ, რომელთაც აყალიბებენ არა რაციონალური ინდივიდუუმების გაანგარიშებები და ინტერესები, არამედ თანდაყოლილი ერთგულება და ემოციური კავშირი, განპირობებული საერთო წარსულით. ორგანული ერთიანობის ეს იდეა ფაშიზმში უკიდურესობამდეა მიყვანილი. ეროვნული საზოგადოება, ან როგორც მას ნაცისტები უწოდებდნენ, *Volksgemeinschaft*, განიხილებოდა როგორც განუყოფელი მთლიანობა, სადაც ყველანაირი ქიშპი და კონფლიქტი ექვემდებარება უზენაეს, კოლექტიურ ამოცანას. აქედან გამომდინარე, ერის ან რასის ძლიერება მისი მორალური და კულტურული ერთიანობის ასახვას წარმოადგენს. აბსოლუტური სოციალური ერთიანობის ეს პერსპექტივა გამოხატული იყო ნაცისტურ ლოზუნგში "ძალა ერთობაშია" ("Strength through Unity" – [ინგლ. ვარ. – *რედ. შენ.*]).

## ბრძოლა

ბრიტანელი ბიოლოგის, ჩარლზ დარვინის (1809-1882) იდეებმა, რომლებიც მან *სახეობათა წარმოშობაში* (*The Origin of Species*, [1859] 1972) განავითარა, უდიდესი გავლენა იქონია არა მარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე, არამედ – მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის სოციალურ და პოლიტიკურ აზროვნებაზეც. სახეობების "ბუნებრივი სელექციის" გზით განვითარების მოდელი ლიბერალურმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა ჰერბერტ სპენსერმა (Herbert Spenser, 1820-1903) გარდაქმნა "ყველაზე უკეთ მორგებულის გადარჩენის" იდეად, რწმენად, რომ კონკურენცია ადამიანებს შორის საბოლოოდ დააჯილდოებს იმათ, ვინც ნიჭიერია და ბევრს მუშაობს და დასჯის ზარმაცებსა და არაკომპეტენტურებს. ცნება, რომ ადამიანების არსებობა კონკურენციასა და ბრძოლაზეა აგებული, განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა გამძაფრებული საერთაშორისო კონკურენციის პერიოდში, რომელმაც საბოლოოდ 1914 წელს პირველი მსოფლიო ომი გამოიწვია. სოციალურ დარვინიზმს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა აგრეთვე ახლადწარმოქმნილ ფაშიზმზე. ფაშისტები ბრძოლას, პირველ რიგში, როგორც საზოგადოებრივი, ისე საერთაშორისო ცხოვრების ბუნებრივ და გარდაუვალ პირობად მიიჩნევდნენ. მხოლოდ კონკურენცია და კონფლიქტი იძლევა ადამიანთა პროგრესის გარანტიას და უზრუნველყოფს იმას, რომ ყველაზე ძლიერები და მოხერხებულები მიაღწევენ კეთილდღეობას. როგორც ჰიტლერმა გერმანელ ოფიცერ კადეტებს უთხრა 1944 წელს, "გამარჯვება ძლიერებს ეკუთვნის, სუსტები უნდა დამარცხდნენ". თუ ადამიანის არსებობის საჯილდაო ქვა კონკურენცია და ბრძოლაა, მაშინ საუკეთესო გამოცდა არის ომი,

რომელსაც ჰიტლერი "მთელი არსებობის უცვლელ კანონს" უწოდებდა. ფაშიზმი შესაძლოა უნიკალურია პოლიტიკურ იდეოლოგიათა შორის იმ თვალსაზრისით, რომ ის ომს თავისთავად სიკეთედ მიიჩნევს. ამ მოსაზრებას ასახავს მუსოლინის რწმენა, რომ "ომი მამაკაცებისათვის იგივეა, რაც დედობა ქალებისათვის".

დარვინისტულმა აზროვნებამ აგრეთვე გაამდიდრა ფაშიზმი პოლიტიკური ღირებულებების მკვეთრად გამოხატული კომპლექსით, რომელშიც "კეთილი" უტოლდება ძლიერებას და "ბოროტი" – სისუსტეს. ისეთი ტრადიციული ჰუმანისტური ან რელიგიური ღირებულებების საპირისპიროდ, როგორიცაა, მაგალითად, ზრუნვა, სიბრალული და თანაგრძნობა, ფაშისტები პატივს სცემენ სრულიად სხვა სამხედრო ღირებულებებს: ერთგულებას, მოვალეობას, მორჩილებასა და თავგანწირვას. როდესაც ადიდებენ ძლიერის გამარჯვებას, ხდება ძალაუფლებისა და ძლიერების თაყვანისცემა მხოლოდ თვით ძალაუფლებისა და ძლიერების გულისათვის. ამის მსგავსად, სისუსტე ზიზღს იწვევს და სუსტებისა და შეუსაბამოების განადგურება პოზიტიურად აღიქმება: ისინი უნდა შეეწირონ საერთო კეთილდღეობას, ისევე როგორც სახეობის გადარჩენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ცალკეული წარმომადგენლისა. ამის საპირისპიროდ, ჰუმანისტური ღირებულებები ხელს უწყობს დეგრადაციის გამომწვევ სიმპათიას სისუსტის მიმართ. სისუსტე და ნაკლი არ უნდა მოვითმინოთ, ისინი უნდა გავანადგუროთ. ეს ყველაზე აშკარად გამოიხატა ევგენიკის ანუ სელექციური გამრავლების პროგრამით, რომელიც ნაცისტებმა შემოიღეს გერმანიაში, სადაც გონებრივად ან ფიზიკურად ავადმყოფ ადამიანებს ჯერ იძულებითი სტერილიზაცია გაუკეთდათ და შემდეგ 1931-1941 წლებში სისტემატიზებულად გაანადგურეს. ამ გაგებით, 1941 წლიდან მოყოლებული, ნაცისტების მცდელობა, გაენადგურებინათ ევროპის ებრაელობა, რასობრივი ევგენიკის მაგალითს წარმოადგენს.

დაბოლოს, ფაშიზმის კონცეფციამ, რომ ცხოვრება "უსასრულო ბრძოლაა", მას შეუკავებელი და ექსპანსიური ხასიათი მიანიჭა. ეროვნული თვი-

გერმანელი ნაცისტი დიქტატორი. ჰიტლერი ავსტრიელი საბაჟოს მოხელის შვილი იყო. ის 1919 წელს გახდა გერმანული მუშათა პარტიის (მოგვიანებით NSDAP ან ნაცისტები) წევრი, ხოლო 1921 წლიდან პარტიის ლიდერია. 1933 წელს მან კანცლერის თანამდებობა დაიკავა და მომდევნო წელს თავი გერმანიის ფიურერად (ლიდერად) გამოაცხადა. მისი რეჟიმი ხასიათდებოდა მუდმივი მილიტარისტული ექსპანსიონიზმითა და ევროპის ებრაელობის ამოწყვეტის მცდელობით.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერი სრულიადაც არ იყო ორიგინალური მოაზროვნე, თავის *Mein Kampf*-ში (*ჩემი ბრძოლა*) მან გააერთიანა გერმანული ნაციონალიზმი, რასობრივი ანტისემიტიზმი (იხ. გვ. 269) და შეუქცევადი ბრძოლის რწმენა თითქმის სისტემატიზებულ ნაცისტურ პროგრამაში. სამყაროს მისეული ხედვის ძირითადი მახასიათებელი იყო თეორია, რომ ისტორია ასახავს მუდმივ ბრძოლას გერმანელებსა და ებრაელებს შორის, რომლებიც, შესაბამისად, სიკეთისა და ბოროტების ძალებს წარმოადგენდნენ.

სებების დანერგვა შეიძლება მხოლოდ კონფლიქტის გზით, ხოლო მათი დამტკიცება – მხოლოდ ბრძოლითა და გამარჯვებით. ეს ნათლად აისახა ჰიტლერის საგარეო პოლიტიკის მიზნებში, რომლებიც განსაზღვრული იყო *Mein Kampf*-ში ([1925] 1969) როგორც "*Lebensraum* (სასიცოცხლო სივრცე) აღმოსავლეთში", და მსოფლიო ბატონობის საბოლოო პერსპექტივა. 1933 წელს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჰიტლერი შეიარაღების პოლიტიკას დაადგა 30-იანი წლების ბოლოს ექპანსიისათვის მოსამზადებლად. 1938 წლის *Anschluss*-ის შედეგად მოხდა ავსტრიის ანექსია. ჩეხოსლოვაკია დაპყრობილ იქნა 1939 წლის გაზაფხულზე. 1939 წელს მოხდა ინტერვენცია პოლონეთში, რამაც დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ომი გამოიწვია. 1941 წელს ჰიტლერმა წამოიწყო ოპერაცია "ბარბაროსა" – თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. 1945 წელს გარდაუვალი დამარცხების წინაშეც კი ჰიტლერს არ უარუყვია სოციალური დარვინიზმი, ამის სანაცვლოდ მან განაცხადა, რომ გერმანელმა ერმა დაალალატა იგი და გასცა ბრძანებები (რომლებიც სრულად არასოდეს შესრულებულა), რომ ებრძოლათ სიკვდილამდე და, ფაქტობრივად, გერმანიის სრულ განადგურებამდე.

## ლიდერობა და ელიტიზმი

ფაშიზმი განსხვავდება ტრადიციული პოლიტიკური აზროვნებისაგან აგრეთვე იმით, რომ ის რადიკალურად უარყოფს თანასწორობას. ფაშიზმი ღრმად ელიტისტური და მკაცრად პატრიარქალურია. მისი იდეები ეყრდნობოდა რწმენას, რომ აბსოლუტური ლიდერობა და ელიტური მმართველობა ბუნებრივი და სასურველია. ადამიანები რადიკალურად განსხვავებული შესაძლებლობებითა და მახასიათებლებით იბადებიან: ფაქტი, რომელიც აშკარა ხდება მას შემდეგ, რაც ლიდერობის იშვიათი უნარით დაჯილდოებულნი ბრძოლის საშუალებით ამაღლდებიან დანარჩენებზე, რომელთაც მხოლოდ მიმდევრების როლის შესრულება ძალუძთ. ფაშისტებს სჯერათ, რომ საზოგადოება, ფართო გაგებით, სამი ტიპის ადამიანებისაგან შედგება: პირველი და უმთავრესი არის ყოვლისმხედველი ლიდერი, რომლის ძალაუფლებაც უზენაესია. მეორე ტიპი არის "მეომარი" ელიტა, რომელიც შედგება მხოლოდ მამაკაცებისა და რჩეულებისაგან და რომელსაც ტრადიციული ელიტისაგან განასხვავებს მისი გმირობა, ხედვა და თავგანწირვის უნარი. გერმანიაში ეს როლი მიეკუთვნა SS-ს, რომელიც წარმოიქმნა როგორც პირადი დაცვა, მაგრამ ნაცისტების მმართველობის პერიოდში იქცა სახელმწიფოდ სახელმწიფოში. მესამე, არსებობს მასები, რომლებიც სუსტი, ინერტული და უცოდინარია და რომელთა ბედიც უპირობო მორჩილებაა. ჩვეულებრივი ხალხის შესაძლებლობებზე ასეთი პესიმისტური შეხედულება მკვეთრად უპირისპირებს ფაშიზმს ლიბერალურ დემოკრატიას, დროდადრო საარჩევნო პოლიტიკის საკუთარი ამოცანებისათვის გამოყენების ოპორტუნისტული მცდელობის მიუხედავად. ამისდა მიუხედავად, უზენაესი ლიდერობის იდეა უკავშირდება აგრეთვე გამოკვეთილად ფაშისტურ, თითქმის თავდაყირა დაყენებულ შეხედულებას დემოკრატიულ მმართველობაზე.

ლიდერობის მიმართ ფაშისტურ მიდგომაზე, განსაკუთრებით ნაცისტურ გერმანიაში, გადამწყვეტი ზეგავლენა ჰქონდა ფრიდრიხ ნიცშეს იდე-

ას *Übermensh*-ის, "ზეკაცის" ან "სუპერადამიანის", გამორჩეულად ნიჭიერი და ძლიერი პიროვნების შესახებ. ყველაზე სრულად ეს იდეა გამოხატულია ნაშრომში *ასე ამბობდა ზარატუსტრა* ([1884] 1961). ნიცშე "ზეადამიანს" აღწერდა როგორც პიროვნებას, რომელსაც ძალუძს ამაღლდეს ტრადიციული მორალის "ჯოგურ ინსტინქტზე" და იცხოვროს საკუთარი ნება-სურვილების მიხედვით. ფაშისტებმა ზეადამიანის იდეალი გადააქციეს უზენაესი და შეუვალი პოლიტიკური ლიდერობის თეორიად. ფაშისტი წინამძღოლები საკუთარ თავს უბრალოდ "ლიდერებს" უწოდებდნენ – მუსოლინიმ საკუთა-

## ხელისუფლების შესახებ

**ლიბერალებს** სწამთ, რომ ხელისუფლება "ქვემოდან", მის მიერ მართული ხალხის თანხმობიდან მომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება აუცილებელია მოწესრიგებული არსებობისათვის, ის რაციონალური, მიზანმიმართული და შეზღუდული უნდა იყოს. ამ მოსაზრების ამსახველია ის, რომ ისინი უპირატესობას კანონიერ-რაციონალურ ხელისუფლებასა და საზოგადოების წინაშე მის ანგარიშვალდებულებას ანიჭებენ.

**კონსერვატორები** მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება ბუნებრივ აუცილებლობას წარმოადგენს და რომ მისი ორგანიზება "ზევიდან" ხდება გამოცდილების, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სიბრძნის არათანაბარი განაწილებიდან გამომდინარე. ხელისუფლება სასარგებლო და აუცილებელია, ვინაიდან ის ავითარებს პატივისცემასა და ერთგულებას და ხელს უწყობს საზოგადოებრივ ერთიანობას.

**სოციალისტები** ხელისუფლებას, ჩვეულებრივ, ეჭვის თვალით უყურებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ის იმთავითვე მჩაგვრელია და ზოგადად ძლიერთა და პრივილეგირებულთა ინტერესებს უკავშირდება. ამისდა მიუხედავად, სოციალისტური საზოგადოებები ხელისუფლებას ამყარებდნენ სხვადასხვა ფორმით გამოხატული კოლექტიური ორგანოს სახით, რომელიც ინდივიდუალიზმისა და სიხარბის კონტროლის საშუალებად მიიჩნეოდა.

**ანარქისტები** ხელისუფლების ყველა ფორმას არასაჭიროდ და დესტრუქციულად მიიჩნევენ და ხელისუფლებას ჩაგვრასა და ექსპლუატაციასთან აიგივებენ. რადგანაც არ არსებობს განსხვავება ხელისუფლებასა და შიშველ ძალაუფლებას შორის, ხელისუფლების კონტროლისა და ანგარიშვალდებულებების ყველა ფორმა სრულიად ყალბია.

**ფაშისტები** ხელისუფლებას მიიჩნევენ პირადი ლიდერობის ან ქარიზმის გამოხატულებად, თვისებად, რომელსაც ფლობენ არაჩვეულებრივად ნიჭიერი (ან საერთოდ უნიკალური) ადამიანები. ასეთი ქარიზმატული ხელისუფლება აბსოლუტური და უდავოა, აქედან გამომდინარე, შინაგანად (და შესაძლოა გარეგნულადაც) იგი ტოტალიტარული ბუნების უნდა იყოს.

**რელიგიური ფუნდამენტალისტები** ხელისუფლებას რელიგიური სიბრძნის არათანაბარი ფლობის ასახვად მიიჩნევენ. ხელისუფლება, თვისობრივად, გათვითცნობიერებული პიროვნებების მორალურ თვისებას წარმოადგენს. ასეთ ხელისუფლებას ქარიზმატული ხასიათი აქვს, ამიტომ რთულია მისი კონსტიტუციონალიზმით (იხ. გვ. 47) შეზღუდვა ან მათი შეთავსება.

რი თავი *Il Duce*-დ (დუჩედ) გამოაცხადა, ხოლო ჰიტლერმა *Der Fürer*-ის (ფიურერის) ტიტული მიიღო – სწორედ იმისათვის, რომ არ ყოფილიყვნენ შეზღუდულნი ლიდერობის კონსტიტუციით განსაზღვრული რამენაირი გაგებით. ამრიგად, ლიდერობა გახდა მხოლოდ და მხოლოდ თვით ლიდერისგან მომდინარე ქარიზმატული ხელისუფლების გამოხატულება. მაშინ როდესაც კონსტიტუციური ან, მაქს ვებერის ტერმინი რომ მოვიშველიოთ, ლეგალურ-რაციონალური ხელისუფლება მოქმედებს კანონებისა და წესების ჩარჩოში, ქარიზმატული ხელისუფლება პოტენციურად უსაზღვროა. ვინაიდან ლიდერი მიიჩნეოდა უნიკალურად ნიჭიერ პიროვნებად, მისი ძალაუფლება აბსოლუტური იყო. ამიტომაც იყო, რომ ნიურნბერგის შეკრებების დროს ერთგული ნაცისტები სკანდირებდნენ "ადოლფ ჰიტლერი გერმანიაა, გერმანია ადოლფ ჰიტლერია". იტალიაში ფაშისტური დოგმის ბირთვად იქცა პრინციპი "მუსოლინი ყოველთვის მართალია".

ამრიგად, "ლიდერის პრინციპი" (გერმანულად *Fürerprinzip*), რომლის მიხედვით ყოველგვარი ძალაუფლება პირადად ლიდერისაგან მომდინარეობს, ფაშისტური სახელმწიფოს სახელმძღვანელო პრინციპად იქცა. შუალედური ინსტიტუტები, როგორიცაა, მაგალითად, არჩევნები, პარლამენტი და პარტიები, ან გაუქმდა, ან შესუსტდა, რათა ხელი არ შეეშალათ ან არ დაემახინჯებინათ ლიდერის ნება. აბსოლუტური ლიდერობის ეს პრინციპი ეყრდნობოდა რწმენას, რომლის მიხედვითაც ლიდერი ფლობდა მონოპოლიას იდეოლოგიურ სიბრძნეზე: ლიდერი და მხოლოდ და მხოლოდ იგი, განსაზღვრავს თავისი ხალხის ბედს, მის "ჭეშმარიტ" ნებას, მის "საერთო ნებას". ნიცშეს ლიდერობის თეორია, ამრიგად, დაემთხვა რუსოს რწმენას, რომ არსებობს ერთი, განუყოფელი საზოგადო ინტერესი. ამ თვალთახედვით, ჭეშმარიტი დემოკრატია აბსოლუტურ დიქტატურას წარმოადგენს, როდესაც ხდება აბსოლუტიზმისა და სახალხო ხელისუფლების გაერთიანება ერთგვარი "ტოტალიტარული დემოკრატიის" ფორმით. (ტალმონი, Talmon, 1952). ლიდერის როლი ისაა, რომ გააღვიძოს ხალხი მისი ბედის აღსასრულებლად, გადააქციოს ინერტული მასა ძლიერ და უძლეველ ძალად. ამიტომაც იყო, რომ ფაშისტურმა რეჟიმებმა გამოავლინეს პოპულისტურ-სამობილიზაციო თვისებები, რითაც ისინი მკვეთრად განსხვავდებოდნენ ტრადიციული დიქტატურებისაგან: იმ დროს, როცა ტრადიციული დიქტატურები ცდილობენ განდევნონ მასები პოლიტიკიდან, ტოტალიტარული დიქტატურები ცდილობენ ჩართონ ისინი რეჟიმის ღირებულებებსა და მიზნებში მუდმივი პროპაგანდისა და პოლიტიკური აგიტაციის საშუალებით. ფაშისტური რეჟიმების შემთხვევაში ეს პლებისციტების, პარადებისა და სახალხო დემონსტრაციების ფართო გამოყენებით გამოიხატებოდა.

## სოციალიზმი

მუსოლინიცა და ჰიტლერიც ზოგჯერ თავიანთ იდეებს "სოციალიზმის" ფორმებად წარმოაჩენდნენ. მუსოლინი ადრე იტალიური სოციალისტური პარტიის გავლენიანი წევრი და მისი გაზეთის *ავანტი*-ს რედაქტორი იყო, ხოლო ნაცისტური პარტია ემხრობოდა ფილოსოფიას, რომელსაც "ნაციო-

ნალ-სოციალიზმს" უწოდებდა. გარკვეულწილად, ეს უდავოდ წარმოადგენდა ქალაქელი მუშების მხარდაჭერის მოპოვების ცინიკურ მცდელობას. და მაინც, ფაშიზმსა და სოციალიზმს შორის არსებული აშკარა იდეოლოგიური ქიშპის მიუხედავად, ფაშისტები გარკვეულ სოციალისტურ იდეებსა და პოზიციებს ემხრობოდნენ. უპირველეს ყოვლისა, ქვედა საშუალო კლასის წარმომადგენელ ფაშისტ აქტივისტებს გააჩნდათ ღრმა სიძულვილი კაპიტალიზმის მიმართ, რაც გამოიხატებოდა დიდი ბიზნესისა და ფინანსური ინსტიტუტების ძალაუფლების მიმართ დაპირისპირებაში. მაგალითად, მცირე მაღაზიების მეპატრონეებს საფრთხეს უქმნიდა უნივერმაღების მომრავლება, მცირე საკუთრების მქონე გლეხობა აგებდა ფართომასშტაბიან ფერმერულ მეურნეობებთან შედარებით, მცირე ბიზნესი სულ უფრო და უფრო იყო ბანკებზე დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სოციალისტური ან მემარცხენე იდეები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ გერმანულ საბაზო ორგანიზაციებზე, მაგალითად, SA-ზე ანუ ყავისფერპერანგიანებზე, რომელთა დიდი ნაწილი ქვედა საშუალო კლასის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული. მეორეც, ფაშიზმი, სოციალიზმის მსგავსად, ემხრობა კოლექტივიზმს, რითაც უპირისპირდება კაპიტალიზმის "ბურჟუაზიულ ღირებულებებს". ფაშიზმი საზოგადოებას პიროვნებაზე მაღლა აყენებს. მაგალითად, ნაცისტურ მონეტებზე იყო ასეთი წარწერა: "საერთო კეთილდღეობა პირად კეთილდღეობაზე მაღლაა". კაპიტალიზმი, ამის საპირისპიროდ, პირადი ინტერესის ძიებითაა დაკავებული და, ამრიგად, შეიძლება შეასუსტოს ერის ან რასის მნიშვნელობა. ფაშისტებს სძულთ ასევე მატერიალიზმი, რომელსაც აყალიბებს კაპიტალიზმი: სიმდიდრისა და მოგების სურვილი ეწინააღმდეგება ფაშისტების შთამაგონებელ ერის აღდგენისა და მსოფლიოს დაპყრობის იდეალისტურ ხედვას.

მესამე, ფაშისტური რეჟიმები ხშირად იყენებდნენ სოციალისტური სტილის ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის ამოცანა კაპიტალიზმის რეგულირება ან კონტროლი იყო. კაპიტალიზმი დაექვემდებარა ფაშისტური სახელმწიფოს იდეოლოგიურ ამოცანებს. როგორც აღნიშნა "ფაშისტთა ბრიტანული კავშირის" ლიდერმა ოსვალდ მოსლიმ: "კაპიტალიზმი არის სისტემა, რომლის საშუალებითაც კაპიტალი ერს საკუთარი ინტერესებისათვის იყენებს. ფაშიზმი არის სისტემა, რომლის საშუალებითაც ერი იყენებს კაპიტალს საკუთარი ინტერესებისათვის". იტალიური და გერმანული რეჟიმებიც ნაციონალიზაციისა და სახელმწიფო კონტროლის პოლიტიკის გატარებით ცდილობდნენ დიდი ბიზნესი საკუთარი პოლიტიკური მოთხოვნილებებისთვის დაექვემდებარებინათ. მაგალითად, 1939 წლის შემდეგ მოხდა გერმანული კაპიტალიზმის რეორგანიზაცია ჰერმან გერინგის ოთხწლიანი გეგმის მიხედვით, რომელიც განზრახ იყო შემუშავებული საბჭოური ხუთწლედების იდეის მიხედვით.

თუმცა, ფაშისტური სოციალიზმის იდეას მკაცრი შეზღუდვები ჰქონდა. მაგალითად, როგორც კი ფაშისტურმა პარტიებმა ძალაუფლება ხელთ იგდეს, მალევე, დიდი ბიზნესის მხარდაჭერის მოპოვების იმედით, მოხდა ფაშისტურ მოძრაობაში არსებული "მემარცხენე" ელემენტების მარგინალიზაცია, ისეთების, როგორიც იყო SA გერმანიაში და სორელისტი რევოლუ-

ციური სინდიკალისტები – იტალიაში. ყველაზე დრამატულად ეს ნაცისტურ გერმანიაში მოხდა, როდესაც 1934 წელს, "გრძელი დანების ღამეს", განადგურებულ იქნა SA და მოკლეს მისი ლიდერი ერნსტ რომი. აქედან გამომდინარე, მარქსისტები ამტკიცებდნენ, რომ ფაშიზმის ამოცანა კაპიტალიზმის გადარჩენა იყო და არა მისი დამხობა. უფრო მეტიც, ფაშისტების იდეები ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციის თაობაზე, უკეთეს შემთხვევაში, ბუნდოვანი და ზოგჯერ არათანმიმდევრულიც იყო. ფაშისტების ეკონომიკურ პოლიტიკას განსაზღვრავდა პრაგმატიზმი და არა იდეოლოგია. რევოლუცია, რომლის მიღწევასაც ფაშისტები ცდილობდნენ, იყო არა სოციალური რევოლუცია, რომლის ამოცანაც საკუთრების სისტემის შეცვლა იყო, არამედ ფსიქეს (psiche) რევოლუცია, "სულის რევოლუცია", რომლის ამოცანა ახალი ტიპის ადამიანის შექმნა იყო (რომელიც ყოველთვის მამრობით სქესს გულისხმობდა). ეს იყო "ახალი ადამიანი" ან "ფაშისტი ადამიანი", გმირი, რომლის მოტივაცია იყო მოვალეობა, ღირსება და თავგანწირვა, და რომელიც მზად იყო, რომ მისი პიროვნულობა გათქვეფილიყო სოციალურ მთლიანობაში. დაბოლოს, ფაშიზმში უფრო გამოკვეთილი იყო ანტიკომუნიზმი, ვიდრე ანტიკაპიტალიზმი. ფაშიზმის ძირითადი ამოცანა იყო მშრომელი კლასის გადაბირება მარქსიზმისა და ბოლშევიზმის იდეებიდან, რომლებიც სახიფათო, უფრო მეტიც, ღალატის ტოლფას იდეას – მშრომელთა კლასის ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეას ქადაგებდნენ და ემხრობოდნენ თანამშრომლობისა და თანასწორობის მცდარ იდეებს. ფაშისტები ეროვნული ერთობისა და ინტეგრაციისათვის იბრძოდნენ და, შესაბამისად, სურდათ, რომ რასობრივი და ეროვნული კუთვნილების გრძნობა სოციალური კლასისაზე უფრო მყარი ყოფილიყო.

## ულტრანაციონალიზმი

ფაშიზმი დაეყრდნო შოვინისტური და ექსპანსიური ნაციონალიზმის უკიდურეს ფორმას, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინ განვითარდა და გამოვლინდა ევროპულ იმპერიალიზმსა და პანნაციონალიზმის ფორმებში. ეს ტრადიცია ერებს მიიჩნევდა არა თანასწორ და დამოუკიდებელ ერთობებად, არამედ ბუნებრივ კონკურენტებად დომინანტობისთვის ბრძოლაში. ფაშისტური ნაციონალიზმი ცალკეული კულტურებისა და ნაციონალური ტრადიციების პატივისცემას კი არ ქადაგებდა, არამედ ამტკიცებდა ერთი ერის უპირატესობას ყველა დანარჩენზე. ნაციზმის შეუფარავად რასობრივ ნაციონალიზმში ეს ასახული იყო არიანიზმის (არიელობის) იდეით, რწმენით, რომ გერმანელი ხალხი "მმართველ რასას" წარმოადგენს. მსოფლიო ომებს შორის შუალედურ პერიოდში ამგვარ მილიტარისტულ ნაციონალიზმს კვებავდა გამწარების გრძნობა და იმედგაცრუება. პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა იტალიამ ვერ მოახერხა ვერსალში ტერიტორიული მონაპოვრების მიღება. გერმანია ომშიც დამარცხდა და, გერმანელების თვალსაზრისით, დამცირებულ იქნა ვერსალში რეპარაციებით, ტერიტორიის დაკარგვითა და მისთვის მეტად საწყენი "სამხედრო ბრალეულობის მუხლით".

ფაშიზმი ცდილობს არა უბრალოდ ხელი შეუწყოს პატრიოტიზმს, სამშობლოს სიყვარულს. ის ცდილობს ნაციონალური იდენტურობის გამძაფრებული და მილიტარისტული გრძნობის დამკვიდრებას, რომელსაც შარლ მორასი (Charles Maurras, 1868-1952), მოძრაობა *Action Française*-ის ლიდერი, "ინტეგრალურ ნაციონალიზმს" უწოდებდა. ფაშიზმი მესიანისტური ანუ ფანატიკური მისიის შეგრძნებას ეყრდნობა: ერის აღორძინებისა და ეროვნული სიამაყის ხელახლა დაბადების პერსპექტივას. მართლაც, ფაშიზმის მიმზიდველობა ხალხისათვის უმეტესად სწორედ ეროვნული სიდიადის მიღწევის დაპირებით იყო გამოწვეული. გრიფინის მიხედვით (Griffin, 1993), ზოგადად ფაშიზმის მითიურ ბირთვს წარმოადგენს "პალინგენეზისის" ანუ პერიოდული ხელახალი დაბადებისა და "პოპულისტური ულტრანაციონალიზმის" იდეების შერწყმა. აქედან გამომდინარე, ყველა ფაშისტური მოძრაობა ხაზს უსვამს თანამედროვე საზოგადოების მორალურ გაკოტრებასა და კულტურულ დეკადანსს, მაგრამ ამტკიცებს, რომ შესაძლებელია საზოგადოების გაახალგაზრდავება, რისთვისაც ქმნის "ფენიქსივით ფერფლიდან აღმდგარი" საზოგადოების ხატს. მართალია, ფაშიზმი შეიძლება თანამედროვეობის წინააღმდეგ ამბოხს წარმოადგენდეს, მაგრამ ის არ მიჰყვება ტრადიციებისადმი რეაქციის გზას და არც ტრადიციების მიმზიდველობის ტყვეობაში ვარდება. პირიქით, ის აერთიანებს მითებს დიადი წარსულის შესახებ მომავლის ხედვასთან, რომელსაც აღორძინება და გამოღვიძება ახასიათებს, ანუ "ახალი" ადამიანის იდეასთან. იტალიაში ეს აისახა ძველი რომის სიდიადის აღორძინების მცდელობებში; გერმანიაში ნაცისტურ რეჟიმს წარმოაჩენდნენ როგორც "მესამე რაიხს", კარლოს დიდის "პირველი რაიხისა" და ბისმარკის "მეორე რაიხის" გაგრძელებას.

მაგრამ ერის განახლება, პრაქტიკულად, მუდმივად გულისხმობდა სხვა ერებზე ბატონობის დამკვიდრებას ექსპანსიონიზმის, ომისა და დაპყრობის გზით. სოციალური დარვინიზმის, ეროვნული და ზოგჯერ რასობრივი უპირატესობის რწმენის გავლენით ფაშისტური ნაციონალიზმი განუყრელად დაუკავშირდა მილიტარიზმსა და იმპერიალიზმს. ნაცისტური გერმანია ცდილობდა აეშენებინა "უფრო დიდი გერმანია" და შეექმნა იმპერია, რომელიც მოიცავდა საბჭოთა კავშირს – "*Lebensraum*-ს (სასიცოცხლო სივრცეს) აღმოსავლეთში". ფაშისტური იტალია 1934 წელს აბისინიაში ინტერვენციის გზით აფრიკული იმპერიის დაფუძნებას ცდილობდა. იმპერიულმა იაპონიამ 1931 წელს დაიპყრო მანჯურია, რადგან სურდა დაეარსებინა "დამატებითი კეთილდღეობის" სფერო ახალ, გაიაპონებულ აზიაში. ეს იმპერიები უნდა ყოფილიყვნენ ავტოკრატიულნი, დაფუძნებულნი მკაცრ თვითუზრუნველყოფაზე. განსხვავებით ლიბერალური რწმენისგან, რომ ეკონომიკური პროგრესი საერთაშორისო ვაჭრობითა და ურთიერთდამოკიდებულებით მიიღწევა, ფაშისტები ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკური სიძლიერე მომდინარეობს ერის უნარიდან, დაეყრდნოს მხოლოდ და მხოლოდ მისი უშუალო კონტროლის ქვეშ მყოფ რესურსებსა და ენერგიის წყაროებს. ამ თვალთახედვით, დაპყრობა და ექსპანსია ეკონომიკური უსაფრთხოების მოპოვების საშუალებებია; ავტოკრატიულ იმპერიაში უნდა იყოს აუცილებელი ნედლეული, გარანტირებული ბაზარი და უხვად უნდა იყოს იაფი მუშახელი.

აქედან გამომდინარე, ეროვნული აღორძინება და ეკონომიკური პროგრესი უშუალო კავშირში იყო სამხედრო ძლიერებასთან. ეს ლოგიკა ყველაზე მკაფიოდ ესმოდათ გერმანიაში, სადაც ჰიტლერმა უზრუნველყო ის, რომ შეიარაღება და ომისათვის მზადება მუდმივი პოლიტიკური პრიორიტეტი იყო ნაცისტური რეჟიმის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

## ფაშიზმი და სახელმწიფო

იმისდა მიუხედავად, რომ შესაძლებელია ფაშიზმისთვის დამახასიათებელი საერთო ღირებულებებისა და პრინციპების განსაზღვრა, მაინც, ფაშისტური იტალია და ნაცისტური გერმანია ფაშიზმის სხვადასხვა ვერსიებს წარმოადგენდნენ და მათი შთაგონების წყარო განსხვავებული და ხშირად საპირისპირო შეხედულებები იყო. აქედან გამომდინარე, ფაშისტური რეჟიმები და მოძრაობები ორი ძირითადი ტრადიციიდან ერთ-ერთს შეესაბამებოდნენ: ერთი, რომელიც იტალიური ფაშიზმის კვალს მიჰყვებოდა, ყურადღებას ამახვილებდა ყოვლისშემძლე ანუ ტოტალიტარულ სახელმწიფოზე; მეორე, რომელიც გერმანულ ნაციზმში ან ნაციონალ-სოციალიზმში იყო ასახული, რასისა და რასიალიზმის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს.

### ტოტალიტარული იდეალი

ტოტალიტარიზმი საკამათო ცნებაა. მისმა პოპულარობამ მწვერვალს ცივი ომის პერიოდში მიაღწია, როდესაც ის გამოიყენებოდა ფაშისტურ და კომუნისტურ რეჟიმებს შორის პარალელების გასავლებად, ხაზი ესმებოდა რა ორივეს სასტიკ თვისებებს. ამ თვალსაზრისით ის ანტიკომუნისტური შეხედულებებისა და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მიმართ მტრული დამოკიდებულების გამოხატვის საშუალება გახდა. ყველაფრის მიუხედავად, ტოტალიტარიზმი რჩება მნიშვნელოვან კონცეფციად ფაშიზმის ანალიზისათვის. როგორც წესი, ფაშიზმი ტოტალიტარიზმისაკენ იხრება, სულ მცირე, ორი მიზეზით მაინც. პირველი: ფაშისტური იდეოლოგიის საფუძველში არსებული უკიდურესი კოლექტივიზმი, ერთგული და უპირობოდ მორჩილი ქვეშევრდომის – "ფაშისტი ადამიანის" შექმნის ამოცანა ეფექტურად აქრობს სხვაობას "საზოგადოებრივსა" და "კერძო" არსებობას შორის. კოლექტიური ორგანოს, ერისა თუ რასის კეთილდღეობას გაცილებით უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე ინდივიდუალურ კეთილდღეობას: კოლექტიური ეგოიზმი შთანთქავს ინდივიდუალურ ეგოიზმს. მეორე: იქიდან გამომდინარე, რომ ფაშისტური ლიდერის პრინციპი ლიდერს შეუზღუდავ ძალაუფლებას ანიჭებს, ამით არღვევს ლიბერალურ იდეას სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ზღვარის არსებობის თაობაზე. უშუალო კავშირი ლიდერსა და მის ხალხს შორის გულისხმობს მოქალაქეთა მხრიდან აქტიურ მონაწილეობასა და სრულ ერთგულებას, ფაქტობრივად, მასების პოლიტიზაციას. ამავდროულად, ყოვლისშემძლე სახელმწიფოს იდეას განსაკუთრებული მნიშვნელობა კონკრეტულად იტალიურ ფაშიზმთან მიმართებით აქვს.

## ტოტალიტარიზმი

ტოტალიტარიზმი წარმოადგენს პოლიტიკური მმართველობის ყოვლისმომცველ სისტემას, რომელიც, ჩვეულებრივ, ტოტალური იდეოლოგიური მანიპულაციის, ღია ტერორისა და სისასტიკის გზით მყარდება. ის განსხვავდება ავტოკრატიის, ავტორიტარიზმისა და ტრადიციული დიქტატურისაგან იმით, რომ ცდილობს მოიპოვოს "ტოტალური ძალაუფლება", საზოგადოებრივი და პირადი არსებობის ყველა ასპექტის პოლიტიზირების გზით. ამრიგად, ტოტალიტარიზმი სამოქალაქო საზოგადოების სრულ გაუქმებას, "პირადულის" გაუქმებას გულისხმობს. ზოგჯერ ფაშიზმსა და კომუნიზმს ტოტალიტარიზმის მემარცხენე და მემარჯვენე ფორმებად მიიჩნევენ, ვინაიდან ისინი უარყოფენ შემწყნარებლობას, პლურალიზმსა და ღია საზოგადოებას. მაგრამ ისეთი რადიკალური მოაზროვნეები, როგორიც, მაგალითად, მარკუზე იყო (იხ. გვ. 155), ამტკიცებდნენ, რომ ლიბერალური დემოკრატიებიც ავლენენ ტოტალიტარულ თვისებებს.

იტალიური ფაშიზმის არსი სახელმწიფოს ერთგვარი თაყვანისცემა იყო. ფორმულაში, რომელსაც ხშირად იმეორებდა მუსოლინი, იდეალისტი ფილოსოფოსი ჯოვანი ჯენტილე (1875-1944) აცხადებს: "ყველაფერი სახელმწიფოსთვის; არაფერი სახელმწიფოს წინააღმდეგ; არაფერი სახელმწიფოს მიღმა." აქედან გამომდინარე, ინდივიდუუმის პოლიტიკური მოვალეობები აბსოლუტური და ყოვლისმომცველია. მოქალაქეს უპირობო მორჩილება და მუდმივი ერთგულება მოეთხოვება. სახელმწიფოს შესახებ ამ ფაშისტურ თეორიას ზოგჯერ უკავშირებენ გერმანელ ფილოსოფოსს ჰეგელს (1770-1831). მართალია ჰეგელი ლიბერალ-კონსერვატორი იყო, ის არ აღიარებდა სოციალური კონტრაქტის თეორიას, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უბრალოდ საშუალებაა მოქალაქეების ერთმანეთისაგან დასაცავად. ის უფრო ეთიკური იდეაა, რომელიც მისი წევრების ალტრუიზმსა და ურთიერთსიმპათიას გამოხატავს. ამ თვალთახედვით, სახელმწიფოს ძალა შესწევს მოტივირება გაუკეთოს და შთააგონოს ისინი ერთობლივი ინტერესებისათვის სამოქმედოდ. ჰეგელს სჯეროდა, რომ ცივილიზაციის უფრო მაღალი დონეების მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით სახელმწიფო განვითარდებოდა და გაფართოვდებოდა. ამრიგად, ჰეგელის ფილოსოფია გულისხმობდა სახელმწიფოს თაყვანისცემას კრიტიკის გარეშე, რაც პრაქტიკულად მისი თანამედროვე პრუსიული სახელმწიფოთი აღფრთოვანებაში გამოიხატებოდა.

ამის საპირისპიროდ, ნაცისტები არ ეთაყვანებოდნენ სახელმწიფოს როგორც ასეთს, არამედ მას თავიანთი მიზნის მიღწევის საშუალებად განიხილავდნენ. ჰიტლერი, მაგალითად, იმპერიას აღწერდა უბრალო "ჭურჭლად" და ამით გულისხმობდა, რომ შემოქმედებითი ძალა მომდინარეობს არა სახელმწიფოსაგან, არამედ რასისაგან, გერმანელი ხალხისაგან. მაგრამ უდავოა, რომ ტოტალიტარული იდეალის პრაქტიკაში განხორციელებას ჰიტლერის რეჟიმი ბევრად უფრო მიუახლოვდა, ვიდრე მუსოლინისა. მიუხედავად იმისა, რომ ნაცისტური სახელმწიფო გაჟღენთილი იყო ინსტიტუციური და პიროვნული კონკურენციით, ის სასტიკად ეფექტური იყო პოლიტიკური ოპოზიციის დაჩაგვრის თვალსაზრისით. მან წარმატებას მიაღწია მასობრი-

იტალიელი ფაშისტი დიქტატორი. ახალგაზრდობაში მუსოლინი მასწავლებელი და ჟურნალისტი იყო, შემდგომში კი გახდა სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი წამყვანი წევრი, საიდანაც გარიცხა 1914 წელს, პირველ მსოფლიო ომში ჩარევის მხარდაჭერის გამო. 1919 წელს მან დააარსა ფაშისტური პარტია, 1922 წელს დაინიშნა პრემიერ-მინისტრად და სამ წელიწადში დაამყარა ერთპარტიული ფაშისტური რეჟიმი.

მუსოლინის უყვარდა საკუთარი თავის ფაშიზმის დამაარსებლად წარმოჩენა, მიუხედავად იმისა, რომ წარმოსათქმელ სიტყვებსა და წერილობით ტექსტებს მას ხშირად სპეციალისტები უწერდნენ. მისი პოლიტიკური ფილოსოფიის საფუძველს წარმოადგენდა რწმენა, რომ ადამიანის არსებობას აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ მას საზოგადოება გამოცდის და განსაზღვრავს. მაგრამ ეს იმას მოითხოვდა, რომ სახელმწიფო აღიარებულიყო "უნივერსალურ ეთიკურ ნებად", ცნებად, რომელიც ტოტალიტარიზმის სახით იყო განხორციელებული (იხ. გვ. 262). სახელმწიფოს მიღმა "შეუძლებელია არსებობდეს ადამიანური ან სულიერი ღირებულებები, და საერთოდ ცოტა რამეს თუ გააჩნია ღირებულება".

ვი ინფორმაციის საშუალებებზე, ხელოვნებაზე და კულტურაზე, განათლებასა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებზე პოლიტიკური კონტროლის განვრცობის საქმეში. მეორე მხრივ, ტოტალიტარიზმის მიმართ თავისი ფორმალური ერთგულების მიუხედავად, იტალიური სახელმწიფო გარკვეულ საკითხებში მოქმედებდა როგორც ტრადიციული ან ინდივიდუალური დიქტატურა და არა როგორც ტოტალიტარული დიქტატურა. მაგალითად, იტალიურმა მონარქიამ იარსება ფაშისტური პერიოდის განმავლობაში; ბევრმა ადგილობრივმა პოლიტიკურმა ლიდერმა, განსაკუთრებით სამხრეთში, ძალაუფლება შეინარჩუნა, ისევე როგორც კათოლიკურმა ეკლესიამ – თავისი პრივილეგიები და დამოუკიდებლობა მთელი ფაშისტური პერიოდის განმავლობაში.

## კორპორატიზმი

მართალია, ფაშიზმის ყველა ფორმის მსგავსად, იტალიური ფაშიზმი ეროვნული სიდიადის წარსულ მოდელზე იყო ორიენტირებული, მას უფრო მკვეთრად გამოხატული თანამედროვე იერი ჰქონდა, ვიდრე გერმანულ ფაშიზმს. მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტები სახელმწიფოს ეთაყვანებიან, ეს არ გადაზრდილა ეკონომიკური ცხოვრების კოლექტივიზაციის მცდელობაში. ის, რომ ფაშისტური ეკონომიკური აზროვნება იშვიათადაა სისტემატიზებული, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ფაშიზმი ცდილობს ადამიანთა ცნობიერების და არა სოციალური სტრუქტურების გარდაქმნას. მისთვის დამახასიათებელია კორპორატიზმის იდეა, რომელიც მუსოლინიმ გამოაცხადა "მესამე გზად" კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის – ფაშისტურ აზროვნებაში გავრცელებული აზრი, რომელსაც იზიარებდნენ მოსლი დიდ ბრიტანეთში და პერონი არგენტინაში. კორპორატიზმი ეწინააღმდეგება თავისუფალ ბაზარსაც და ცენტრალურ დაგეგმვასაც: პირველი ინდივიდუუმებს მოგების შეუზღუდავი ძიებისაკენ უბიძგებს, მაშინ როდესაც მეორე

კლასობრივი ომის წინააღმდეგობრივ იდეასთანაა დაკავშირებული. ამის საპირისპიროდ, კორპორატიზმი ეყრდნობა იმის რწმენას რომ ბიზნესი და შრომა ერთიან მთლიანობადაა შეკავშირებული ორგანულად და სულიერად. ეს ჰოლისტური ხედვა ეფუძნებოდა რწმენას, რომ სოციალური კლასები კი არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ შეუძლიათ ჰარმონიულად ითანამშრომლონ საერთო კეთილდღეობისა და ეროვნული ინტერესებისათვის. ასეთ შეხედულებაზე გავლენა იქონია ტრადიციულმა კათოლიკურმა სოციალურმა აზროვნებამ, რომელიც, ინდივიდუალური მძიმე შრომის ღირებულებაზე პროტესტანტიზმისათვის დამახასიათებელი აქცენტის გამახვილების ნაცვლად, ხაზს უსვამს იმას, რომ სოციალური კლასები ერთიანდებიან მოვალეობითა და საერთო ვალდებულებებით.

ბიზნესისა და შრომის სოციალური ჰარმონია იძლევა როგორც მორალური, ასევე ეკონომიკური განახლების პერსპექტივას. მაგრამ საჭიროა, კლასობრივი ურთიერთობები დარეგულირდეს სახელმწიფოს მიერ, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ეროვნული ინტერესების უპირატესობა ვიწრო კერძო ინტერესებზე. 1927 წელს იტალიაში დაარსდა 22 კორპორაცია. თითოეულ მათგანში წარმოდგენილი იყვნენ დამქირავებლები, თანამშრომლები და სახელმწიფო. ამ კორპორაციებს იტალიაში წარმოების ყველა ძირითადი დარგის განვითარებაზე ზედამხედველობის უფლება მიენიჭათ. "კორპორატულმა სახელმწიფომ" თავის მწვერვალს 1939 წელს მიაღწია, როცა იტალიური პარლამენტის ნაცვლად შეიქმნა ფაშისტური ჯგუფებისა და კორპორაციების პალატა. ამისდა მიუხედავად, ფაშისტურ იტალიაში არსებობდა მკვეთრი სხვაობა კორპორატულ თეორიასა და ეკონომიკური პოლიტიკის რეალობას შორის. "კორპორატული სახელმწიფო" სხვა არაფერი იყო, თუ არა იდეოლოგიური ლოზუნგი, რეალურად კორპორატიზმი თავისი ფუნქციით ძირითადად იყო ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ფაშისტური სახელმწიფო ძირითად ეკონომიკურ ინტერესებს აკონტროლებდა. მუშათა კლასის ორგანიზაციები გაანადგურეს, ხოლო კერძო ბიზნესი დააშინეს.

## კორპორატიზმი

კორპორატიზმი, ფართო გაგებით, სამთავრობო პროცესებში ორგანიზებული ინტერესების გაერთიანების საშუალებაა. არსებობს კორპორატიზმის ორის სახე. ავტორიტარული კორპორატიზმი (რომელიც მჭიდროდ ასოცირდება ფაშისტურ იტალიასთან) წარმოადგენს იდეოლოგიას და ეკონომიკის ფორმას. როგორც იდეოლოგია, იგი გვთავაზობს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ალტერნატივას, რომელიც ჰოლიზმსა და ჯგუფურ ინტეგრაციას ეყრდნობა. როგორც ეკონომიკის ფორმა, ის ხასიათდება ინდუსტრიასა და ორგანიზებულ შრომაზე პირდაპირი პოლიტიკური კონტროლის განვრცობით. ლიბერალური კორპორატიზმი ("ნეოკორპორატიზმი" ან "საზოგადოებრივი" კორპორატიზმი) ასახავს განვითარებულ ლიბერალურ დემოკრატიებში არსებულ ტენდენციას, როდესაც ორგანიზებულ ინტერესებს პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე პრივილეგირებული და ინსტიტუციური ზეგავლენის საშუალება ეძლევა. ავტორიტარული ვარიანტის საპირისპიროდ, ლიბერალური კორპორატიზმი აძლიერებს ჯგუფებს და არა მთავრობას.

## მოდერნიზაცია

მუსოლინისა და იტალიელი ფაშისტებისათვის სახელმწიფო იმიტომაც იყო ძლიერ მიმზიდველი, რომ ისინი მასში მოდერნიზაციის საშუალებას ხედავდნენ. იტალია თავის მრავალ მეზობელთან, განსაკუთრებით ინგლისთან, საფრანგეთსა და გერმანიასთან შედარებით ნაკლებად ინდუსტრიალიზებული იყო და ბევრი ფაშისტი ეროვნულ აღორძინებას ეკონომიკურ მოდერნიზაციასთან აიგივებდა. ფაშიზმის ყველა ფორმა წარსულისკენ იყურება, ეროვნული დიდების ხანის დაკარგულ სიდიადეს წარმოაჩენს: მუსოლინის შემთხვევაში ეს რომის იმპერიაა. მაგრამ იტალიური ფაშიზმი გამოკვეთილად მომავლისკენ იყურებოდა: ემხრობოდა თანამედროვე ტექნოლოგიისა და ინდუსტრიული ცხოვრების ღირსებებს, სურდა შეექმნა განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოება. ეს ტენდენცია იტალიურ ფაშიზმში ხშირად უკავშირდება ფუტურიზმს – მეოცე საუკუნის დასაწყისის მიმდინარეობას ხელოვნებაში, რომელსაც სათავეში ფილიპო მარინეტი ედგა (Filippo Marinetti, 1876-1944) და რომელიც ხოტბას ასხამდა ქარხნებს, ხელსაწყოებსა და ინდუსტრიულ ცხოვრებას. 1922 წლის შემდეგ მარინეტი და სხვა წამყვანი ფუტურისტები ფაშიზმში იყვნენ ჩართულნი და მასში შეიტანეს დინამიზმის რწმენა, მანქანა-მექანიზმების კულტი და წარსულის უარყოფა. ყოვლისშემძლე სახელმწიფოს მიმზიდველობა მუსოლინისათვის გარკვეულწილად იმაში მდგომარეობდა, რომ ის დაეხმარებოდა იტალიას, აღმოეფხვრა ჩამორჩენილობა და გამხდარიყო მომავალზე ორიენტირებული, ინდუსტრიალიზებული სახელმწიფო.

## ფაშიზმი და რასიალიზმი

ფაშიზმის ყველა ფორმა როდი შეიცავს აშკარა რასიალიზმს და ყველა რასიალისტი აუცილებლად ფაშისტი არაა. იტალიური ფაშიზმი, მაგალითად, ძირითადად ეფუძნებოდა პიროვნულზე ფაშისტური სახელმწიფოს უზენაესობასა და მუსოლინის ნების ერთგულებას. ამგვარად, ის ფაშიზმის ვოლუნტარისტულ ფორმას წარმოადგენდა, რომელსაც, თეორიულად მაინც, შეეძლო მიეღო ადამიანები რასის, კანის ფერისა და დაბადების ადგილის მიუხედავად. როდესაც, 1937 წლის შემდეგ, მუსოლინიმ ანტისემიტური კანონები მიიღო, მან ეს უფრო ჰიტლერისა და გერმანელების დასამშვიდებლად გააკეთა, ვიდრე იდეოლოგიური მიზნით. ამის მიუხედავად, ფაშიზმი ხშირად ემთხვეოდა და იკვებებოდა რასიალისტური იდეებით. მართლაც, ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მის მიერ ყურადღების გამახვილება მილიტარისტულ ნაციონალიზმზე გულისხმობს, რომ ფაშიზმის ყველა ფორმა ან კეთილგანწყობილია რასიალიზმის მიმართ, ან მფარველობს იმპლიციტურ ან ექსპლიცისტურ რასიალისტურ დოქტრინებს (გრიფინი, Griffin, 1993). ეს კავშირი რასასა და ფაშიზმს შორის არსად არ ყოფილა ისეთი აშკარა, როგორც ნაცისტურ გერმანიაში, სადაც ოფიციალური იდეოლოგია დროდადრო სხვა არაფერს წარმოადგენდა, თუ არა ისტერიულ, ფსევდომეცნიერულ ანტისემიტიზმს.

## რასობრივი პოლიტიკა

"ერი" წარმოადგენს კულტურულ მთლიანობას, ნაკრებს ადამიანებისა, რომელთაც აერთიანებს ერთი ენა, რელიგია, ტრადიციები და ასე შემდეგ. მეორე მხრივ, ტერმინი "რასა" ასახავს ადამიანებს შორის ბიოლოგიური ან სახეობრივი განსხვავების არსებობის რწმენას. მაშინ, როდესაც შესაძლებელია ერთი ეროვნული იდენტურობის უარყოფა და სხვის მიღება "ნატურალიზაციის" პროცესის საშუალებით, ვერავინ შეცვლის თავის რასას, რომელიც დაბადებისას ან, უფრო სწორად, დაბადებამდე განისაზღვრება მშობლების რასობრივი კუთვნილებით. შესაძლებელია ეროვნულობის ყველა სიმბოლოს – მოქალაქეობის, პასპორტის, ენის და ასევე რელიგიის – ნებაყოფლობითი, არჩევითი მიღება, მაშინ როდესაც რასის სიმბოლოები – კანის ფერის ტონალობა, თმის ფერი, ფიზიოგნომიკა და სისხლის ტიპი – ფიქსირებული და უცვლელია. რასობრივი ტერმინებისა და კატეგორიების გამოყენება დასავლეთში მეცხრამეტე საუკუნეში გავრცელდა, როდესაც იმპერიალიზმმა უპირატესად "თეთრი" ევროპული რასები სულ უფრო ახლო კონტაქტში შეიყვანა აფრიკისა და აზიის "შავ", "ყავისფერ" და "ყვითელ" რასებთან. ეს რასები მიიჩნეოდა ცალკე ადამიანურ საზოგადოებებად, რომლებიც ერთმანეთისგან ბიოლოგიურად განსხვავდებოდა. რასიალისტი მოაზროვნეები ხშირად უარყოფდნენ ადამიანთა ერთიანი სახეობის არსებობას და რასებს ცალკე სახეობებად განიხილავდნენ.

რეალურად რასობრივი კატეგორიები ძირითადად კულტურულ სტერეოტიპებს ასახავს და თუ მათ საერთოდ გააჩნიათ რაიმე მეცნიერული საფუძველი, ისიც საკმაოდ მცირე. ყველაზე ფართო რასობრივი კლასიფიკაციები, მაგალითად, ისეთი, რომელიც კანის ფერს – თეთრს, ყავისფერს, ყვითელს და ასე შემდეგ ეფუძნება – უკეთეს შემთხვევაში მცდარია და უარეს შემთხვევა-

### რასიალიზმი

რასიალიზმი, ფართო გაგებით, წარმოადგენს რწმენას, რომლითაც პოლიტიკური ან სოციალური დასკვნები შეიძლება გაკეთდეს იმ იდეის საფუძველზე, რომ კაცობრიობა იყოფა ბიოლოგიურად განსხვავებულ "რასებად". ამრიგად, რასიალისტური თეორიები ორ დასკვნაზეა დაფუძნებული. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ დედამიწის ხალხებს შორის არსებობს ფუნდამენტური გენეტიკური, ანუ სახეობრივი განსხვავებები. მეორე არის ის, რომ ეს გენეტიკური სხვაობა აისახება კულტურულ, ინტელექტუალურ, და/ან მორალურ განსხვავებებში, რის გამოც ისინი პოლიტიკურად ან სოციალურად მნიშვნელოვანი ხდება. პოლიტიკური რასიალიზმი გამოიხატება რასობრივი სეგრეგაციის მოთხოვნებსა (მაგალითად, აპართეიდი) და დოქტრინებში, რომელთა მიხედვით არსებობს "სისხლით" განპირობებული უპირატესობები ან ნაკლოვანებები (მაგალითად, არიანიზმი ან ანტისემიტიზმი). ზოგჯერ "რასიალიზმსა" და "რასიზმს" ერთი და იმავე მნიშვნელობით იყენებენ, მაგრამ უკანასკნელი ტერმინი უფრო გამოიყენება ადამიანებისადმი რასობრივი კუთვნილების გამო მიკერძოებული და მტრული დამოკიდებულების გამოსახატად, იმის მიუხედავად, იქნება თუ არა დაკავშირებული ეს დამოკიდებულება ჩამოყალიბებულ რასობრივ თეორიასთან.

ში – სრულიად შემთხვევითი. უფრო დეტალური და ამბიციური რასობრივი თეორიები, როგორიცაა, მაგალითად, ნაცისტების თეორია, უბრალოდ ანომალიებს ქმნიდა, რომელთა შორის ყველაზე აშკარა იყო თუნდაც ის, რომ თვით ადოლფ ჰიტლერი ნამდვილად არ შეესაბამებოდა ნაცისტურ ლიტერატურაში ხშირად აღწერილი – მაღალი, მხარბეჭიანი, ქერა, ცისფერთვალება – არიელის სტერეოტიპს. თვით ის ნაცისტებიც, რომლებმაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს რასობრივ საკითხს, საბოლოოდ ვერ თანხმდებოდნენ იმაზე, თუ როგორ განესაზღვრათ "ბატონთა რასა". ზოგი მას "არიულს" უწოდებდა, რითაც გულისხმობდა რასობრივ მსგავსებას ჩრდილოეთი ევროპის ხალხებს შორის და რაც, შესაძლოა, ინდოეთის სუბკონტინენტზეც ვრცელდებოდა, სხვები უპირატესობას ანიჭებდნენ ტერმინს "ნორდიკული", რომელიც მოიცავს გერმანელებს და აგრეთვე ღია ფერის კანის მქონე ჩრდილოეთი ევროპის ხალხების უმეტესობას. გამოიყენებოდა ასევე ტერმინი "გერმანიკული", მაგრამ ეს ახლოს იყო რასის განსაზღვრებასთან ენის, კულტურისა და მოქალაქეობის საფუძველზე.

რასიალიზმის ძირითადი იდეა ისაა, რომ შესაძლებელია პოლიტიკური და სოციალური დასკვნების გაკეთება იმის საფუძველზე, რომ არსებობს ბუნებრივი ან ფუნდამენტური განსხვავებები მსოფლიო რასებს შორის. სიღრმისეულად, გენეტიკა პოლიტიკას განსაზღვრავს: რასიალისტური პოლიტიკური თეორიების წყაროები ბიოლოგიურ დასკვნებში შეიძლება ვეძიოთ. ფარული რასიალიზმის ფორმა კონსერვატიულ ნაციონალიზმს უკავშირდება. ეს ეფუძნება რწმენას, რომ სტაბილურ და წარმატებულ საზოგადოებებს კულტურა და საერთო ღირებულებები უნდა აერთიანებდეთ. მაგალითად, ენოქ პაუელი დიდ ბრიტანეთში XX ს-ის 60-იან წლებში და ჟან-მარი ლე პენი საფრანგეთში 80-იანი წლებიდან მოყოლებული იბრძოდნენ მათ ქვეყნებში "არა – თეთრი" იმიგრაციის წინააღმდეგ იმის საფუძველზე, რომ ამ უკანასკნელს შეეძლო საფრთხე შეექმნა "თეთრი" მასპინძელი ერის გამოკვეთილი ტრადიციებისა და კულტურისთვის. ასეთი შეხედულებები რასობრივ ცრურწმენებს წარმოაჩენენ როგორც ეროვნული ცნობიერების ბუნებრივ, ფაქტობრივად გარდაუვალ შედეგს. თუმცა, რასიალიზმის უფრო სისტემატიზებული და განვითარებული ფორმები ეფუძნება სხვადასხვა რასობრივი ჯგუფების ბუნების, შესაძლებლობებისა და ბედის თაობაზე მკაფიო დასკვნებს. ბევრ შემთხვევაში ასეთ დასკვნებს რელიგიური საფუძველი ჰქონდა. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის ევროპულ იმპერიალიზმს ნაწილობრივ ამართლებდნენ იმ უპირატესობით, რომელიც, როგორც ამტკიცებდნენ, გააჩნდა ევროპის ქრისტიანულ ერებს აფრიკისა და აზიის წარმართ ერებთან შედარებით. ბიბლიური დასაბუთება რასობრივი სეგრეგაციის დოქტრინისათვის გამოიყენეს აგრეთვე *კუ კლუქს კლანმა*, რომელიც აშშ-ში სამოქალაქო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, და სამხრეთ აფრიკაში XX ს-ის 40-იანი წლებიდან 1993 წლამდე მოქმედი აპართეიდის სისტემის დამაარსებლებმა ("აპართეიდი" აფრიკაანსულ ენაზე განცალკევებას ნიშნავს). ხოლო რაც შეეხება ნაცისტურ გერმანიას, რასიალიზმის ფესვები აქ ბიოლოგიური და კვაზიმეცნიერული დასკვნებიდან მომდინარეობდა. ბიოლოგიაზე დაფუძნებული რასობრივი თეორიები, კულტურასა ან რელიგი-

ასთან დაკავშირებულ თეორიებთან შედარებით, განსაკუთრებით მილიტარისტული და რადიკალურია, რადგანაც იგულისხმება, რომ მათი მტკიცება ხალხის აუცილებელი და გარდაუვალი თვისებების თაობაზე მეცნიერულად დასაბუთებულ და ობიექტურ შეხედულებას ეყრდნობა.

## ნაცისტური რასობრივი თეორიები

ნაცისტური იდეოლოგია ჩამოყალიბებულია რასობრივი ანტისემიტიზმისა და სოციალური დარვინიზმის კომბინირებით. ანტისემიტიზმი ქრისტიანული ხანის დასაწყისიდან წარმოადგენდა ძალას ევროპულ, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთევროპულ პოლიტიკაში. მისი საწყისები ძირითადად თეოლოგიური იყო: ებრაელები პასუხისმგებელნი იყვნენ ქრისტეს სიკვდილისათვის, ქრისტიანებად მოქცევის უარყოფით ისინი ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებასაც უარყოფდნენ და თავიანთ უკვდავ სულებსაც უქმნიდნენ საფრთხეს. ამრიგად, ებრაელების დაკავშირება ბოროტებასთან ნაცისტების შემოღებული კი არ იყო, არამედ მომდინარეობდა ევროპული შუა საუკუნეებიდან, იმ პერიოდიდან, როცა ებრაელები პირველად მოათავსეს გეტოებში და გარიყეს რესპექტაბელური საზოგადოებიდან. ამავდროულად, ანტისემიტიზმი გაძლიერდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან. ევროპაში ნაციონალიზმისა და იმპერიალიზმის გავრცელებასთან ერთად მრავალ ქვეყანაში გახშირდა ებრაელების დევნა: საფრანგეთში ამას შედეგად მოჰყვა დრეიფუსის გახმაურებული საქმე 1894-1906 წლებში; რუსეთში ეს აისახა პოგრომების სერიით, რომლებიც ებრაელთა წინააღმდეგ ალექსანდრე მესამის მთავრობამ განახორციელა.

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ანტისემიტიზმის ხასიათიც იცვლებოდა. "რასების შესახებ მეცნიერების" განვითარებამ, რომელიც ფსევდომეცნიერულ იდეებს სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს უსადაგებდა, შედეგად ის მოიტანა, რომ ებრაელებს უფრო რასად აღიქვამდნენ, ვიდრე რელიგიურ, ეკონომიკურ ან კულტურულ ჯგუფად. შესაბამისად, ებრა-

### ანტისემიტიზმი

ტრადიციის მიხედვით, სემიტები ნოეს ვაჟის, სემის შთამომავლები არიან და მოიცავენ შუა აღმოსავლეთის ხალხების უმეტესობას. ანტისემიტიზმი გულისხმობს ცრურწმენებს ან სიძულვილს ებრაელების მიმართ. თავისი ადრეული სისტემატიზებული ფორმით, ანტისემიტიზმს რელიგიური ხასიათი ჰქონდა და ასახავდა ქრისტიანების მტრულ დამოკიდებულებას ებრაელების მიმართ, ამ უკანასკნელთა ქრისტეს სიკვდილში თანამონაწილეობისა და მისი ღვთის შვილად არაღიარების გამო. ეკონომიკური ანტისემიტიზმი შუა საუკუნეებიდან განვითარდა და გამოხატავდა ზიზღს ებრაელების როგორც მევახშეებისა და ვაჭრების მიმართ. მეცხრამეტე საუკუნეში რასობრივი ანტისემიტიზმი წარმოიშვა ვაგნერისა და ჰ.ს. ჩემბერლენის ნაშრომებში, რომლებიც ებრაელ ხალხებს ფუნდამენტურად ბოროტად და დესტრუქციულად მიიჩნევდნენ. ასეთი იდეები გერმანული ნაციზმის იდეოლოგიური საფუძველი გახდა და ყველაზე გროტესკული გამოხატულება ჰოლოკოსტში ჰპოვა.

ელობა პირდაპირ განისაზღვრებოდა ისეთი ბიოლოგიური ფაქტორებით, როგორებიცაა თმის ფერი, სახის ნაკვთები და სისხლი. ამრიგად, ანტისემიტიზმი გარდაიქმნა რასობრივ თეორიად, რომელიც ებრაელების საზიანო და დამამცირებელ რასობრივ სტერეოტიპს ქმნიდა. რასიალისტური მეცნიერული თეორიის შემუშავების პირველი მცდელობა ეკუთვნის ფრანგ სოციალურ თეორეტიკოსს ჟოზე-არტურ გობინოს (Joseph-Arlur Gobineau, 1816-82), რომლის ნაშრომი *ესე ადამიანთა რასების უთანასწორობის შესახებ* (Essay on the Inequality of the Human Races, [1854] 1970) აცხადებდა, რომ იგი წარმოადგენდა "ისტორიულ მეცნიერებას". გობინო ამტკიცებდა, რომ არსებობს რასების იერარქია, მეტად განსხვავებული თვისებებითა და მახასიათებლებით. ყველაზე განვითარებული და შემოქმედებითი რასა არის "თეთრი ხალხები", რომელთა უმაღლეს ელემენტს გობინო "არიელებს" უწოდებდა. მეორე მხრივ, ებრაელები ფუნდამენტურად არაშემოქმედებითად მიიჩნეოდნენ. ამავდროულად, ნაცისტებისგან განსხვავებით, გობინო პესიმისტი რასიალისტი იყო. იგი მიიჩნევდა, რომ მისი დროისათვის შერეული ქორწინებები ისე შორს წავიდა და არიელთა მიერ შექმნილი დიდებული ცივილიზაცია უკვე ისეა შერყვნილი, რომ მისი აღდგენა შეუძლებელია.

გერმანიაში რასობრივი ანტისემიტიზმის იდეებმა გობინოს ნაშრომებიდან შეაღწია და მიიღო არიანიზმის ფორმა, რაც გულისხმობს არიელი ხალხების ბიოლოგიური უპირატესობის რწმენას. ეს იდეები აიტაცეს კომპოზიტორმა რიხარდ ვაგნერმა და მისმა ბრიტანული წარმოშობის სიძემ ჰ. ს. ჩემბერლენმა (H. S. Chamberlain, 1855-1919), რომლის ნაწარმოებმა *მეცხრამეტე საუკუნის საფუძვლები* (Foundations of the Nineteenth Century [1899] 1913) უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ჰიტლერსა და ნაცისტებზე. ჩემბერლენი უმაღლეს რასას უფრო ვიწროდ განსაზღვრავდა, უწოდებდა მას "ტევტონებს", რაც მკაფიოდ გულისხმობდა გერმანულ ხალხებს. მთელი კულტურული განვითარება გერმანულ ცხოვრების წესს მიეწერებოდა, მაშინ როდესაც ებრაელები მიიჩნეოდნენ "ფიზიკურად, სულიერად და მორალურად დეგრადირებულებად". ჩემბერლენი ისტორიას აღწერდა როგორც კონფრონტაციას ტევტონებსა და ებრაელებს შორის, და ამრიგად საფუძველი შეუმზადა ნაცისტურ რასობრივ თეორიებს, რომლებიც ებრაელობას გერმანიის ყველა უბედურების უნივერსალურ განმარტების ვაცად მიიჩნევდნენ. ნაცისტები ებრაელებს ადანაშაულებდნენ გერმანიის დამარცხებაში 1918 წელს; ისინი იყვნენ ვერსალში დამცირებისათვის პასუხისმგებელნი; ისინი იდგნენ ბანკებისა და დიდი ბიზნესის ფინანსური ძალაუფლების უკან, რომელმაც დაიმონა ქვედა საშუალო კლასი; და მათგან მომდინარეობდა მუშათა მოძრაობისა და სოციალური რევოლუციის საშიშროება. ჰიტლერის თვალსაზრისით, ებრაელები პასუხისმგებელნი იყვნენ კაპიტალისტებისა და კომუნისტების საერთაშორისო შეთქმულებისთვის, რომლის მთავარი ამოცანა გერმანელი ერის შესუსტება და დამხობა იყო.

ნაციზმი ანუ ნაციონალ-სოციალიზმი, სამყაროს ფსევდორელიგიური, ფსევდომეცნიერული ტერმინებით განსაზღვრავდა როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლას გერმანელებსა და ებრაელებს შორის, რომლებიც, შესაბამისად, "სიკეთესა" და "ბოროტებას" განასახიერებდნენ. თავად ჰიტ-

ლერმა მსოფლიოს რასები სამ კატეგორიად დაჰყო. პირველი, არიელები, წარმოადგენდნენ *Herrenvolk*-ს, "ბატონთა რასას". ჰიტლერი არიელებს აღწერდა როგორც "კულტურის დამაარსებლებს" და, კერძოდ, მიიჩნევდა, რომ ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ ხელოვნების, მუსიკის, ლიტერატურის, ფილოსოფიისა და პოლიტიკური აზროვნების განვითარებისთვის. მეორე ჯგუფი "კულტურის მატარებლები" იყვნენ, ხალხები, რომლებსაც გერმანელი ერის იდეებისა და გამოგონებების გამოყენების ძალა შესწევდათ, მაგრამ თვითონ არ გააჩნდათ შემოქმედებითი უნარი. ყველაზე დაბლა იყვნენ ებრაელები, რომელთაც ჰიტლერი აღწერდა როგორც "კულტურის დამანგრევლებს", რომლებიც კეთილშობილ და შემოქმედებით არიელებთან უსასრულო ბრძოლაში იყვნენ ჩართულნი. ამრიგად, ჰიტლერის მსოფლმხედველობაში დომინირებდა კეთილისა და ბოროტის კონფლიქტის იდეა, რაც აისახებოდა რასობრივ ბრძოლაში გერმანელებსა და ებრაელებს შორის, კონფლიქტში, რომელიც შეიძლება მხოლოდ დასრულდეს ან არიელთა მსოფლიო ბატონობით ან ებრაელთა საბოლოო გამარჯვებით.

ამ იდეოლოგიამ ჰიტლერი და ნაცისტები საშინელი და ტრაგიკული მიმართულებით წაიყვანა. არიანიზმი, რწმენა, რომ არიელები უნიკალურად შემოქმედებითი "მმართველი რასაა", პირველ რიგში განაპირობებდა ექსპანსიონიზმისა და ომის პოლიტიკას. თუ გერმანელებს რასობრივი უპირატესობა გააჩნიათ, მაშინ მათ სხვა რასებზე ბატონობის უფლება აქვთ. სხვა რასები ბიოლოგიურად მიეკუთვნებიან უფრო დაბალ და დაქვემდებარებულ პოზიციას. მაგალითად, აღმოსავლეთი ევროპის სლავები "ნახევრად ადამიანებად" ითვლებოდნენ, რომლებიც მხოლოდ გერმანელი ბატონებისათვის შავი სამუშაოს შესასრულებლად გამოდგებიან. შედეგად, ნაცისტური იდეოლოგია მოითხოვდა აგრესიულ საგარეო პოლიტიკას რასობრივი იმპერიისა და, საბოლოო ჯამში, მსოფლიო ბატონობის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, ის განაპირობებდა შეიარაღების, ექსპანსიონიზმისა და ომის პოლიტიკას.

მეორე, ნაცისტებს სჯეროდათ, რომ გერმანია ვერასდროს იქნებოდა უსაფრთხო მანამ, სანამ არსებობდნენ მისი მთავარი მტრები – ებრაელები. საჭირო იყო ებრაელების დევნა, მეტიც, ისინი იმსახურებდნენ დევნას, რადგანაც ბოროტებას განასახიერებდნენ. 1935 წელს მიღებული ნიურნბერგის კანონები კრძალავდა გერმანელებსა და ებრაელებს შორის ქორწინებასა და სექსუალურ ურთიერთობებსაც კი, ვითომდა იმ მიზნით, რომ ებრაელებს არ შეესუსტებინათ გერმანია რასობრივი რესურსის "დაბინძურებით" და საშიშროების შექმნით იმისათვის, რასაც ჰიტლერი "სასიცოცხლო ძალას" უწოდებდა. 1938 წლის *Kristallnacht*-ის შემდეგ ებრაელები ეფექტურად განდევნილნი აღმოჩნდნენ ეკონომიკიდან. თუმცა, *Mein Kampf*-ში მოცემული ლოგიკის შესაბამისად, გერმანიის სიდიადე ვერ იქნებოდა გარანტირებული მანამ, სანამ არ იქნებოდა მიღწეული ებრაული რასის საბოლოო განადგურება. აქედან გამომდინარე, ნაცისტურმა რასობრივმა თეორიებმა ჰიტლერი დევნის პოლიტიკიდან ტერორისა და, საბოლოოდ, გენოციდისა და რასობრივი განადგურების პოლიტიკამდე მიიყვანა. 1941 წელს, როდესაც ჯერ კიდევ მისაღწევი იყო გამარჯვება მსოფლიო ომში, ნაცისტურმა რეჟიმმა სცა-

და წამოეწყო ევროპის ებრაელი მოსახლეობის განადგურება, რასაც "საბოლოო გადაწყვეტილებას" უწოდებდა. იგი გამოიხატა მასობრივი მკვლელობების უპრეცედენტო პროცესში, რომლის შედეგიც დაახლოებით ექვსი მილიონი ებრაელის სიკვდილი იყო.

## გლეხური იდეოლოგია

ფაშიზმის იტალიურ და გერმანულ ნაირსახეობებს შორის კიდევ ერთი განსხვავება ისაა, რომ გერმანული ფაშიზმი აშკარად ანტითანამედროვე ფილოსოფიას უჭერდა მხარს. მაშინ როდესაც იტალიური ფაშიზმი მონადინებული იყო, საკუთარი თავი მოდერნიზაციის ძალად წარმოედგინა და ესარგებლა ინდუსტრიისა და ტექნოლოგიის უპირატესობებით, ნაციზმი თანამედროვე ცივილიზაციას უმეტესწილად დეკადენტურად და კორუმპირებულად მიიჩნევდა. ეს განსაკუთრებით იკვეთებოდა ურბანიზაციასა და ინდუსტრიალიზაციასთან მიმართებაში. ნაცისტური შეხედულებით, გერმანელ ერს სინამდვილეში გლეხები წარმოადგენენ, რომლებიც იდეალურად შეეფერებიან მიწასთან ახლო ცხოვრებას და რომელთაც ფიზიკური შრომა აკეთილშობილებს. ამავდროულად, ხალხით გადატვირთულ, დამქანცველ და არაჯანსაღ ქალაქებში ცხოვრებამ საძირკველი გამოუთხარა გერმანულ სულს და რასობრივი რესურსის შესუსტების საშიშროება შეიქმნა. ასეთი შიშები გამოხატული იყო უოლტერ დარეს "სისხლისა და მიწის" იდეებში. ამავე შიშებით აიხსნება, აგრეთვე, თუ რატომ ეთაყვანებოდნენ ნაცისტები *Kultur*-ის ღირსებებს, რომელიც გულისხმობდა გერმანელი ხალხების ხალხურ ტრადიციებსა და ხელობებს და მათ დასავლური ცივილიზაციის არსებითად ცარიელ პროდუქტებზე უფრო მაღლა აყენებდა. ამ გლეხურ იდეოლოგიას დიდი ზეგავლენა ჰქონდა საგარეო პოლიტიკაზე. კერძოდ, იგი ზრდიდა *Lebensraum*-ის მიმზიდველობას და ამით ხელი შეუწყო ექსპანსიონისტური ტენდენციების გამწვავებას. მხოლოდ ტერიტორიული ექსპანსიის გზით შეეძლო ხალხით გადატვირთულ გერმანიას თავისი ხალხისათვის სათანადო, გლეხური არსებობის განახლების საშუალება მიეცა.

### ფაშიზმში

| ფაშიზმი | v. | ნაციზმი |
|---|---|---|
| სახელმწიფოს თაყვანისცემა | – | სახელმწიფო როგორც ჭურჭელი |
| შოვინისტური ნაციონალიზმი | – | უკიდურესი რასიალიზმი |
| ვოლუნტარიზმი | – | ესენციალიზმი |
| ერის სიდიადე | – | ბიოლოგიური უპირატესობა |
| ორგანული ერთობა | – | რასობრივი სიწმინდე / ევგენიკა |
| პრაგმატული ანტისემიტიზმი | – | გენოციდური ანტისემიტიზმი |
| ფუტურიზმი/მოდერნიზმი | – | გლეხური იდეოლოგია |
| კორპორატიზმი | – | სამხედრო ეკონომიკა |
| კოლონიური ექსპანსია | – | მსოფლიო ბატონობა |

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს პოლიტიკა ღრმა შეუსაბამობას ეყრდნობოდა. არ არსებობს ომისა და მილიტარისტული ექსპანსიის (თუნდაც ის გამართლებული იყოს გლეხური იდეოლოგიის საჭიროებებით) განხორციელების სხვა საშუალება, თუ არა თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ტექნიკისა და პროცესების გამოყენება. ნაცისტური რეჟიმის მთავარი იდეოლოგიური ამოცანები დაპყრობა და იმპერიის შექმნა იყო. ეს მოითხოვდა ინდუსტრიული ბაზის გაფართოებასა და სამხედრო ტექნოლოგიების განვითარებას. ჰიტლერის პერიოდში გერმანელი ერი მიწას კი არ დაუბრუნდა, არამედ მოხდა ნაცისტებისათვის ესოდენ საძულველი სწრაფი ინდუსტრიალიზაცია და დიდი ქალაქების ზრდა. ამრიგად, გლეხური იდეოლოგია უბრალო რიტორიკა აღმოჩნდა. მილიტარიზმმა, აგრეთვე, მნიშვნელოვანი კულტურული ძვრები გამოიწვია. მაშინ როდესაც ნაცისტური ხელოვნება კვლავ კონცენტრირებული რჩებოდა პატარა ქალაქისა და სოფლის ცხოვრების სადა სურათებზე, პროპაგანდა განუწყვეტლივ ბომბავდა გერმანელ ხალხს თანამედროვე ტექნოლოგიის ხატებით, Stuka-ს ტიპის ბომბდამშენითა და Panzer ტანკით დაწყებული და V-1 და V-2 რაკეტებით დამთავრებული.

## ფაშიზმი ოცდამეერთე საუკუნეში

ზოგიერთი კომენტატორი აღნიშნავდა, რომ ფაშიზმი თავისი ჭეშმარიტი ფორმით მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში უკვე აღარ არსებობდა და კიდევ უფრო ნაკლებია იმის შესაძლებლობა, რომ მან ოცდამეერთე საუკუნეში იარსებოს. მაგალითად, ერნსტ ნოლტეს კლასიკურ ანალიზში (1965) ფაშიზმი განიხილება როგორც ისტორიის სპეციფიკური მონაკვეთის დამახასიათებელი ამბოხი მოდერნიზაციის წინააღმდეგ და ნაციონალიზმის განვითარება, რაც დაკავშირებული იყო ტრადიციული საზოგადოების კულტურული და სულიერი ერთიანობის შენარჩუნების მცდელობასთან. ვინაიდან მოდერნიზაციის პროცესში ამ მომენტმა უკვე განვლო, ფაშიზმი მხოლოდ წარსულ დროში შეიძლება მოვიხსენიოთ. აქედან გამომდინარე, ჰიტლერის თვითმკვლელობა ფიურერის ბუნკერში 1945 წლის აპრილში, როდესაც საბჭოთა წითელი არმია ბერლინის კარიბჭეს უახლოვდებოდა, შესაძლოა ფაშიზმის *Götterdämmerung*-ის, მისი "ღმერთების დაცემის" მომასწავებელი იყო. თუმცა ბევრად უფრო ძნელია ასეთი ინტერპრეტაციის გამოყენება მეოცე საუკუნის ბოლოს ფაშიზმის ან, ყოველ შემთხვევაში, ფაშიზმის ტიპის მოძრაობების აღორძინების ფონზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოძრაობები განსხვავებულ სტრატეგიებსა და სტილს იყენებენ.

საფრანგეთში *Front National*-მა, რომელსაც სათავეში ჟან-მარი ლე პენი ედგა, XX ს-ის 80-იანი წლებიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო მეტი ამომრჩევლის მხარდაჭერა მოიპოვა, ძირითადად ემიგრაციის წინააღმდეგ მიმართული პლატფორმის გამო. 2002 წელს ლე პენმა მიიღო 5 მილიონი ამომრჩევლის ხმა და გავიდა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში. 2000 წელს ავსტრიაში ულტრამემარჯვენე თავისუფლების პარტიამ, იორგ

ჰეიდერის ხელმძღვანელობით, საყოველთაო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 27% მოიპოვა და კოალიციური მთავრობის წევრი გახდა. 1994 წელს ჯიანფრანკო ფინის მოძრაობა *Movimento Sociale Italiano* (MSI) ცდილობდა თავისი ფაშისტური წარსულისგან განწმენდას თავისი თავის *Alleanza Nazionale*-დ (AN) ტრანსფორმირებითა და, ოფიციალურად "პოსტფაშისტური" დღის წესრიგის აღიარებით. გერმანიაში რადიკალური ნაციონალისტური და უცხოელების მიმართ ნეგატიურად განწყობილი ჯგუფები, მაგალითად, *Republicaner* პარტია, 1990 წლის ხელახალი გაერთიანების შემდეგ მნიშვნელოვან მხარდაჭერას ჰპოვებდნენ, ჩვეულებრივ, ყოფილი კომუნისტური აღმოსავლეთიდან იმიგრაციისადმი მტრული განწყობის გამო. დიდ ბრიტანეთში, ნაციონალური ფრონტის ანტიიმიგრაციული "ახალი რასიალიზმი" აღორძინა XX ს-ის 80-90-იან წლებში ბრიტანულმა ნაციონალურმა პარტიამ (BNP). ულტრამემარჯვენე, ანტიიმიგრაციული პარტიები პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა ბელგიაში, დანიასა და ნიდერლანდებში, სადაც ის ასოცირდება პიმ ფორტინის (Pim Fortuyn) სახელთან, რომელიც 2002 წელს მოკლეს.

გარკვეულწილად, მეოცე საუკუნის ბოლოდან ისტორიული პირობები ამყარებს მსოფლიო ომებს შორის პერიოდის გაკვეთილებს, კერძოდ იმას, რომ ფაშიზმი კრიზისის, გაურკვევლობისა და არეულობის ვითარებით იკვებება. 1945 წლის შემდგომი ადრეული პერიოდის მდგრადი ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკური სტაბილურობა საუკეთესო ანტიდოტი აღმოჩნდა ხშირად უკიდურეს მემარჯვენეობასთან ასოცირებული სიძულვილისა და წინააღმდეგობის პოლიტიკისათვის. თუმცა, მსოფლიო ეკონომიკაში არსებულმა გაურკვევლობამ და მზარდმა იმედგაცრუებამ წამყვანი პარტიების უნარში, მოაგვარონ პოლიტიკური და სოციალური პრობლემები, წარმოშვა შესაძლებლობები მემარჯვენე ფრთის ექსტრემიზმისათვის, რომელიც იმიგრაციასთან და ეროვნული იდენტურობის შესუსტებასთან დაკავშირებული შიშებით იკვებება. ცივი ომის დასრულებამ და გლობალიზაციის განვითარებამ გარკვეულწილად გააძლიერა ეს ფაქტორები. აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური მმართველობის დასასრულმა ბიძგი მისცა დიდხანს დათრგუნული ეროვნული შუღლისა და რასობრივი სიძულვილის ასპარეზზე ხელახალ გამოსვლას, რამაც, განსაკუთრებით ყოფილ იუგოსლავიაში, ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმების გაფურჩქვნას შეუწყო ხელი, რომელმაც აშკარად ფაშიზმის ტიპის თვისებები გამოავლინა. გლობალიზაციამ, თავის მხრივ, ერ-სახელმწიფოთა დასუსტებითა და ამით ნაციონალიზმის სამოქალაქო ფორმებისათვის ნიადაგის გამოცლით წვლილი შეიტანა შეზღუდული, ეთნიკურ ან რასობრივ პრინციპებზე დაფუძნებული ნაციონალიზმის ფორმების განვითარებაში.

მეორე მხრივ, მართალია უკიდურესმა მემარჯვენე და ანტიიმიგრაციულმა ჯგუფებმა აიტაცეს თემები, რომლებიც "კლასიკურ" ფაშიზმს მოგვაგონებს, პირობები, რომლებმაც ისინი ჩამოაყალიბა და პრობლემები, რომლებსაც ისინი უპირისპირდება, განსხვავდება პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის პირობებისა და პრობლემებისაგან. მაგალითად, ევროპული იმპერიალიზმის მემკვიდრეობის საფუძველზე განვითარების ნაც-

ვლად, თანამედროვე უკიდურესი მემარჯვენეები პოსტკოლონიზაციის კონტექსტში მუშაობენ. ბევრ დასავლურ საზოგადოებაში მულტიკულტურალიზმი (იხ. გვ 75) იმდენად შორსაა წასული, რომ ეთნიკურად ან რასობრივად წმინდა "ეროვნული საზოგადოებების" შექმნის პერსპექტივა სრულიად არარეალისტური ჩანს. მსგავსადვე, ტრადიციულმა კლასობრივმა დაყოფამ, რომელსაც ასეთი დიდი ზეგავლენა ჰქონდა ომთაშორისი პერიოდის ფაშიზმის ჩამოყალიბებასა და წარმატებაზე, გზა დაუთმო უფრო რთულ და მრავალფეროვან "პოსტინდუსტრიულ" სოციალურ ფორმაციებს. დაბოლოს, ეკონომიკური გლობალიზაცია კლასიკური ფაშისტური მოძრაობების ზრდის ძლიერ შემზღუდველ ფაქტორად მოქმედებს. სანამ გლობალური კაპიტალიზმი აგრძელებს ეროვნული საზღვრების მნიშვნელობის შემცირებას, ერის განახლების იდეა ომის, ექსპანსიონიზმის და ავტარკიის გზით მყარად ისარგებლებს გასული საუკუნის კუთვნილების იმიჯით.

ამასთან, დავსვათ კითხვა, რა ტიპის ფაშიზმს ემხრობიან თანამედროვე ფაშისტური ტიპის პარტიები? მაშინ როდესაც გარკვეული, ხშირად იატაკქვეშა პარტიები, ჯერ კიდევ მილიტარისტულ ან რევოლუციურ ფაშიზმს ქადაგებენ და თავის ფესვებს ამაყად უკავშირებენ ჰიტლერს ან მუსოლინის, უფრო დიდი პარტიებისა და მოძრაობების უმეტესობა ან ამტკიცებს, რომ იდეოლოგიური კავშირი განწყვიტა წარსულთან, ან რომ არასოდეს ყოფილა ფაშისტური. უკეთესი ტერმინის არარსებობის პირობებში ამ უკანასკნელთ შეიძლება "ნეოფაშისტები" ვუწოდოთ. ძირითადი საკითხი, რის საფუძველზეც ისეთი ჯგუფები, როგორებიცაა *Front National*, თავისუფლების პარტია ავსტრიაში, ბრიტანული ნაციონალური პარტია და MSI ან AN იტალიაში, ამტკიცებენ, რომ განსხვავდებიან ფაშიზმისაგან, არის ის, რომ ისინი აღიარებენ პლურალიზმსა და არჩევით დემოკრატიას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, "დემოკრატიული ფაშიზმი" არის ფაშიზმი, რომელმაც უკუაგდო ისეთი პრინციპები, როგორიცაა აბსოლუტური ლიდერობა, ტოტალიტარიზმი და შეუფარავი რასიალიზმი. ფაშიზმის ეს ფორმა გარკვეულწილად შეიძლება კარგად პოზიციონირებული აღმოჩნდეს ოცდამეერთე საუკუნეში გასაფურჩქნად. ერთი მხრივ, ლიბერალურ დემოკრატიასთან შეთანხმების მიღწევით მან თითქოს დამარხა თავისი წარსული და, ამდენად, აღარ არის პატივშელახული ჰიტლერისა თუ მუსოლინის პერიოდის ბარბაროსობით; მეორე მხრივ, კვლავ გააჩნია უნარი, განავითაროს ორგანული ერთობა და სოციალური მთლიანობა იმ შემთხვევაში, თუ ოცდამეერთე საუკუნე ეკონომიკურ კრიზისებსა და შემდგომ ეკონომიკურ არასტაბილურობას მოიტანს. პოლიტიკის ასეთი ფორმა განსაკუთრებით მიმზიდველი ჩანს იმ შემთხვევაში, როცა ძლიერი ხელისუფლების პერსპექტივა განსხეულებულია ქარიზმატულ ლიდერში, როგორც, მაგალითად, ლე პენის, ჰეიდერისა და ფორტინის შემთხვევაში.

ამასთანავე, ნეოფაშიზმის პერსპექტივების შეფასება მოითხოვს ორი შესაძლებლობის შესწავლას. პირველ ყოვლისა, სადავოა, შეძლებს თუ არა ფაშიზმი დარჩეს ტრადიციული ფაშისტური პრინციპების ერთგული და ამავდროულად იმოძრაოს ლიბერალიზმთან შეთანხმების მიმართულებით. ყურადღების გამახვილება ორგანულ ერთობაზე ეროვნული საზოგადოე-

ბის ფარგლებში ფაშიზმს გამოკვეთილად ანტილიბერალურ ელფერს ანიჭებს და უპირისპირებს ისეთ იდეებს, როგორიცაა პლურალიზმი, ტოლერანტობა, ინდივიდუალიზმი და პაციფიზმი. ეს ქმნის შესაძლებლობას, იქნებ დემოკრატიული სოციალიზმის განვითარების პარალელურადაც კი, რომ საარჩევნო სიცოცხლისუნარიანობისათვის ბრძოლაში "დემოკრატიული" ფაშისტური პარტიები იძულებულნი გახდნენ, თანდათან უარი თქვან თავიანთ ტრადიციულ ღირებულებებსა და შეხედულებებზე. ამრიგად, დემოკრატია ფაშიზმზე უპირატესობას მოიპოვებს. მეორე შესაძლებლობა ისაა, რომ ფაშიზმის შეგუება ლიბერალურ დემოკრატიასთან თვისობრივად ტაქტიკურ ხასიათს ატარებს. იგულისხმება, რომ ფაშიზმის ჭეშმარიტი სული ცოცხალია და ნეოფაშისტები უბრალოდ ჩქმალავენ მას რესპექტაბელურობის მოსაპოვებლად და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ეს, სინამდვილეში, ფაშიზმის დროში გამოცდილი სტრატეგიაა. მაგალითად, ჰიტლერი და ნაცისტები აგრძელებდნენ იმის მტკიცებას, რომ მხარს უჭერდნენ საპარლამენტო დემოკრატიას მანამ, სანამ ძალაუფლება არ ჩაიგდეს ხელში 1933 წელს. იყენებენ თუ არა ფაშისტური პარტიები და მოძრაობები დემოკრატიას უბრალოდ როგორც ტაქტიკურ საშუალებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოაშკარავდება, თუ ისინი მსგავს წარმატებას მიაღწევენ.

## რეკომენდებული ლიტერატურა


Eatwell, R., *Fascism: A History* (London: Vintage, 1996). ფაშიზმის საფუძვლიანი, ინფორმატიული და გასაგები ენით დაწერილი ისტორია, რომელშიც ხაზგასმულია იდეოლოგიის მნიშვნელობა; მოიცავს როგორც მსოფლიო ომებს შორის პერიოდის, ისე მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ფაშიზმს.

Griffin, R. (ed.), *Fascism* (Oxford and New York: Oxford University Press, 1995). შესანიშნავი და ფართო დიაპაზონის საკითხავი მასალა, რომელშიც მოცემულია ფაშისტური შეხედულებები და მათი ინტერპრეტაცია.

Griffin, R., *International Fascism: Theories, Causes and the New Consensus* (London: Arnold and New York: Oxford University Press, 1998). ესეების კრებული, რომლებშიც გამოკვლეულია ფაშიზმის კონტრასტული ინტერპრეტაციები, მაგრამ საბოლოო დასკვნები "ხელოვნების სახელმწიფოს" ("state of the art") თეორიის მიხედვით კეთდება.

Kallis, A.A. (ed.) *The Fascist Reader* (London and New York: Routledge, 2003). ფაშიზმის მრავალგვარი გამოვლინებებისა და მისი კლასიკური და თანამედროვე ინტერპრეტაციების ფართო დიაპაზონის მქონე შესავალი კურსი.

Laqueur, W. (ed.), *Fascism: A Reader's Guide* (Harmondsworth: Penguin, 1979). ცნობილი ავტორიტეტების მხრიდან ფაშიზმის სხვადასხვა ასპექტების კვლევათა მნიშვნელოვანი კრებული.

Neocleous, M., *Fascism* (Milton Keynes: Open University Press, 1997). ფაშიზმის მნიშვნელოვანი და ადვილად გასაგები მიმოხილვა, რომელიც მას თანამედროვეობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგობრიობათა კონტექსტში სვამს.

Passmore, K., *Fascism: A Very Short Introduction* (Oxford and New York: Oxford University Press, 2002). ფაშიზმის ბუნებისა და მიზეზების ამსახველი მკაფიო და საინტერესო შესავალი კურსი.

თავი 8

# ფემინიზმი

*წარმოშობა და განვითარება*
*პირადულის პოლიტიკა – ძირითადი თემები*
*სქესი და პოლიტიკა*
*ფემინიზმი ოცდამეერთე საუკუნეში*

## წარმოშობა და განვითარება

"ფემინიზმი", როგორც პოლიტიკური ტერმინი, მეოცე საუკუნის გამოგონებაა და ის ყოველდღიურ სასაუბრო ენაში მხოლოდ 60-იანი წლებიდან შემოვიდა. (ტერმინი "ფემინისტი" პირველად გამოიყენეს მეცხრამეტე საუკუნეში მამაკაცთა ფემინიზაციისა ან ქალთა მასკულინიზაციის აღსანიშნავად). დღეს ფემინიზმი უცვლელად უკავშირდება ქალთა მოძრაობასა და ქალთა სოციალური როლის განვითარების მცდელობას. ამ კუთხით მას ორ ძირითად შეხედულებასთან აკავშირებენ: ქალებს სქესის გამო აქვთ შეზღუდვები; მათი მოსპობა შეიძლება და ისინი უნდა მოისპოს. ამ მიმართულებით ფემინისტები ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რასაც ისინი სქესთა შორის პოლიტიკურ ურთიერთობად მიიჩნევენ, კერძოდ, მამაკაცთა უზენაესობას, და ქალთა დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე ყველა საზოგადოებაში თუ არა, მათ უმეტესობაში მაინც. ამისდა მიუხედავად, ფემინიზმს ახასიათებს აგრეთვე შეხედულებებისა და პოლიტიკური პოზიციების მრავალფეროვნება. მაგალითად, ქალთა მოძრაობა იბრძოდა ფართო დიაპაზონის მიზნების მისაღწევად, დაწყებული ქალებისათვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭებით, თანაბრად ხელმისაწვდომი განათლებითა და საზოგადოებრივი ცხოვრების ელიტარულ პოზიციებზე ქალთა რაოდენობის გაზრდით და დამთავრებული აბორტების ლეგალიზაციით, ქალთა წინადაცვეთის შეწყვეტითა და შემზღუდავი და დამამცირებელი ჩაცმის კოდექსთა გაუქმებით. მსგავსადვე, ფემინისტები ემხრობოდნენ როგორც რევოლუციურ, ასევე რეფორმისტულ პოლიტიკურ სტრატეგიებს, ხოლო დროდადრო ფემინისტური თეორია იკვებებოდა საკმაოდ განსხვავებული პოლიტიკური ტრადიციებითა და ღირებულებებით.

XX ს-ის 60-იან წლებამდე გენდერულ განსხვავებებს იშვიათად მიიჩნევდნენ პოლიტიკური თვალსაზრისით საინტერესოდ ან მნიშვნელოვნად. მაშინაც კი, როდესაც მამაკაცთა და ქალთა სრულიად განსხვავებულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ როლებს რაიმენაირად მაინც ითვალის-

წინებდნენ, ისინი, ჩვეულებრივ, "ბუნებრივად" და, შესაბამისად, გარდაუვლად მიიჩნეოდა. მაგალითად, მამაკაცებისა და ქალების უმეტესობა აღიარებდა, რომ საზოგადოებაში მამაკაცთა და ქალთა შორის შრომის განაწილება ბიოლოგიის მარტივი ფაქტორით იყო განპირობებული: ქალები შეეფერებიან საოჯახო და საყოფაცხოვრებო საქმიანობას იმის გამო, რომ მათ შეუძლიათ დაფეხმძიმება და ბავშვის ძუძუთი კვება, მაშინ როდესაც მამაკაცებს, უფრო დიდი ფიზიკური ძალის გამო, სახლის გარეთ შესასრულებელი და საზოგადოებრივ სფეროში საქმიანობა შეეფერებათ. ასეთი შეხედულებების შენარჩუნებაში ნაწილობრივ გარკვეული როლი ითამაშა ტრადიციულმა პოლიტიკურმა თეორიამ, რომელიც, ჩვეულებრივ, იგნორირებას უკეთებდა გენდერულ განსხვავებებს. მართლაც, ფემინიზმმა, შეიძლება ითქვას, გამოააშკარავა "მიკერძოების მობილიზაცია", რომელიც, ტრადიციულად, მოქმედებდა პოლიტიკურ თეორიაში. მისი საშუალებით მოაზროვნე მამაკაცების მრავალმა თაობამ, რომლებსაც არ სურდათ იმ პრივილეგიებისა და ძალაუფლების გადასინჯვა, რითაც მათი სქესი სარგებლობდა, წარმატებულად მოახერხეს ქალთა საკითხის პოლიტიკური დღის წესრიგის მიღმა დატოვება.

შესაძლოა "ფემინიზმი" ახალგაზრდა ტერმინია, მაგრამ ფემინისტური შეხედულებები მრავალ განსხვავებულ კულტურაში ადრეც გამოთქმულა და მისი საწყისების მოძიება თვით საბერძნეთისა და ჩინეთის უძველეს ცივილიზაციებში შეიძლება. ქრისტინე დე პიზანის *ქალთა ქალაქის წიგნში* (Christine de Pisan, *Book of the City of Ladies*), რომელიც იტალიაში 1405 წელს გამოიცა, განჭვრეტილი იყო თანამედროვე ფემინიზმის მრავალი იდეა; ავტორი აღწერდა წარსულის ცნობილ ქალთა საქმეებს და იცავდა ქალთა უფლებას, მიეღოთ განათლება და პოლიტიკური გავლენა. ამის მიუხედავად, ქალთა ორგანიზებული მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნემდე არ განვითარებულა. თანამედროვე ფემინიზმის პირველ ტექსტად ხშირად მიიჩნევენ მერი უოლსთოუნქრაფთის (იხ. გვ. 291) წიგნს *ქალთა უფლებების დაცვა* (Mary Wollstonecraft, *Vindication of the Rights of Women*, ([1792] 1967), რომელიც საფრანგეთის რევოლუციის ფონზე შეიქმნა. მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში ქალთა მოძრაობას ცენტრალური ამოცანა გაუჩნდა: ბრძოლა ქალებისათვის საარჩევნო უფლებათა მისანიჭებლად, რომლის შთაგონების წყაროც მამაკაცებისათვის განკუთვნილი ანალოგიური პროგრესული სისტემა იყო. ამ პერიოდს ხშირად მოიხსენიებენ როგორც ფემინიზმის "პირველ ტალღას" და ის ხასიათდება მოთხოვნით, ქალებს მიენიჭოთ იგივე იურიდიული და პოლიტიკური უფლებები, რაც მამაკაცებს. ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭება ამ პერიოდის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა, ვინაიდან მიიჩნევდნენ, რომ თუ ქალები მიიღებდნენ ხმის მიცემის უფლებას, მალე გაქრებოდა სქესობრივი დისკრიმინაციისა და ცრუმორწმუნეობის ყველა ფორმა.

ქალთა მოძრაობა უფრო მძლავრი იყო იმ ქვეყნებში, სადაც ყველაზე მეტად იყო განვითარებული პოლიტიკური დემოკრატია. ქალები მოითხოვდნენ იმ უფლებებს, რომლებიც ხშირად უკვე ჰქონდათ მათ მეუღლეებსა და ვაჟებს. აშშ-ში ქალთა მოძრაობა წარმოიშვა 1840-იან წლებში, რასაც გარკვეულწილად უბიძგა მონობის გაუქმებისათვის გაჩაღებულმა კამპანიამ.

1848 წელს ჩატარებულმა ცნობილმა თავყრილობამ სენეკა ფოლსში აშშ-ის ქალთა მოძრაობის დაბადება აღნიშნა. მასზე მიღებულ იქნა ელიზაბეტ ქეიდი სტენტონის (Elizabeth Cady Stanton, 1815-1902), მიერ დაწერილი *გრძნობათა დეკლარაცია* (*Declaration of Sentiments*), რომელიც განზრახ ბაძავდა დამოუკიდებლობის დეკლარაციის ენასა და პრინციპებს, და სხვა საკითხებთან ერთად ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭებას მოითხოვდა. ქალთა საარჩევნო უფლების ეროვნული ასოციაცია, რომელსაც სტენტონი და სიუზან ბ. ენთონი (Susan B. Anthony, 1820-1906) ხელმძღვანელობდნენ, 1869 წელს დაარსდა და 1890 წელს გაერთიანდა უფრო კონსერვატიულ ამერიკელ ქალთა საარჩევნო უფლების ასოციაციასთან. მსგავსი მოძრაობები განვითარდა დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც. დიდ ბრიტანეთში ორგანიზებული მოძრაობა განვითარდა 1850-იან წლებში და 1867 წელს თემთა პალატამ უარყო ქალებისათვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭების თაობაზე წარდგენილი პირველი წინადადება – ჯონ სტიუარტ მილის მიერ (John Stuart Mill, იხ. გვ. 35) შემოთავაზებული მეორე რეფორმის აქტის დანართი. ქალთა საარჩევნო უფლებების მხარდამჭერი ბრიტანული მოძრაობის ტაქტიკამ სულ უფრო და უფრო სამხედრო ხასიათი მიიღო 1903 წელს ქალთა სოციალური და პოლიტიკური კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ემელინე პანხურსტი (Emmeline Pankhurst, 1858-1928) და მისი ქალიშვილი ქრისტაბელი (1880-1958). პარიზში თავისი იატაკქვეშა ბაზიდან პანხურსტები ხელმძღვანელობდნენ პირდაპირი მოქმედებების კამპანიას, რომლის დროსაც "სუფრაჟისტი ქალები" ახორციელებდნენ თავდასხმებს კერძო საკუთრებაზე და რომელიც რიგ გახმაურებულ საზოგადოებრივ დემონსტრაციას მოითვლიდა.

ფემინიზმის "პირველი ტალღა" დასრულდა ქალებისათვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭებით, რაც პირველად ახალ ზელანდიაში შემოიღეს 1893 წელს. აშშ-ის კონსტიტუციის მეცხრე დამატებამ ამერიკელ ქალებს საარჩევნო უფლებები მიანიჭა 1920 წელს. იგივე კანონმდებლობა დიდ ბრიტანეთში 1918 წელს მიიღეს, მაგრამ ბრიტანელ ქალებს მამაკაცებთან თანაბარი საარჩევნო უფლებებით კიდევ ერთი ათწლეულის განმავლობაში არ უსარგებლიათ. ირონია ისაა, რომ საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლაში გამარჯვებამ მრავალი თვალსაზრისით დაასუსტა ქალთა მოძრაობა. ხმის უფლებისათვის ბრძოლა აერთიანებდა და შთაგონებას მატებდა მოძრაობას, ანიჭებდა რა მას მკაფიო მიზანსა და თანმიმდევრულ სტრუქტურას. უფრო მეტიც, ბევრ აქტივისტს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ საარჩევნო უფლებების მოპოვებით ქალებმა სრულ ემანსიპაციას მიაღწიეს. ქალთა მოძრაობა აღდგა მხოლოდ XX ს-ის 60-იან წლებში, ფემინიზმის "მეორე ტალღის" წარმოშობასთან ერთად.

1963 წელს ბეტი ფრიდანის *ქალის საიდუმლოს* (*The Feminine Mistique*) გამოქვეყნებამ დიდად შეუწყო ხელი ფემინისტური აზრის აღორძინებას. ფრიდანმა ამოცანად დაისახა შეესწავლა ის, რასაც იგი "უსახელო პრობლემას" უწოდებდა, – იმედგაცრუება და უბედურების გრძნობა, რასაც ბევრი ქალი განიცდიდა დიასახლისი-ცოლისა და დედის როლში ჩაკეტილობის გამო. ფემინიზმის "მეორე ტალღა" აღიარებდა, რომ პოლიტიკური და

იურიდიული უფლებების მიღებას არ გადაუჭრია "ქალთა საკითხი". მართლაც, ფემინისტური იდეები და არგუმენტები სულ უფრო და უფრო რადიკალური, ზოგჯერ კი რევოლუციურიც ხდებოდა. ისეთი წიგნები, როგორც ქეით მილეტის *სექსუალური პოლიტიკა* (Kate Millet, *Sexual Politics*, 1970) და ჟერმენ გრირის *ქალი-საჭურისი* (Germaine Greer, *The Female Eunuch*, 1970) იყო, უკუაგდებდნენ საზღვრებს, რომლებიც ადრე "პოლიტიკურად" ითვლებოდა და ყურადღებას ამახვილებდნენ ქალთა ჩაგვრის პირადულ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ასპექტებზე. ფემინიზმის "მეორე ტალღის" მიზანი იყო არა უბრალოდ პოლიტიკური ემანსიპაცია, არამედ "ქალთა განთავისუფლება", რაც აისახა ქალთა მზარდი განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებში. ასეთი მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო მხოლოდ პოლიტიკური რეფორმებითა და იურიდიული ცვლილებებით, ის მოითხოვდა, როგორც ამას თანამედროვე ფემინისტები ამტკიცებდნენ, სოციალური ცვლილებების რადიკალურ და, შესაძლოა, რევოლუციურ პროცესს.

XX ს-ის 60-იან და ადრეულ 70-იან წლებში, რადიკალური ფემინისტური აზროვნების პირველი გაფურჩქვნის შემდეგ, ფემინიზმი ჩამოყალიბდა გამოკვეთილ და აღიარებულ იდეოლოგიად, რომლის იდეები და ღირებულებები უპირისპირდება ტრადიციული პოლიტიკური აზროვნების ყველაზე ფუნდამენტურ დასკვნებს. ფემინიზმმა წარმატებულად მოახერხა სქესისა და გენდერული ასპექტების აკადემიურ დისციპლინათა შორის მნიშვნელოვან თემებად დანერგვა და, ზოგადად, საზოგადოების გათვითცნობიერებულობის ამაღლება გენდერულ საკითხებზე. XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში ფემინისტური ორგანიზაციები არსებობდა ყველა დასავლურ ქვეყანასა და განვითარებადი სამყაროს უმეტეს ნაწილში. მაგრამ ამ განვითარებას ერთვოდა ორი პროცესი: პირველი – დერადიკალიზაციის პროცესი, როდესაც მოხდა XX ს-ის 70-იანი წლების ადრეული ფემინიზმისათვის

ამერიკელი ფემინისტი და პოლიტიკური აქტივისტი, რომელსაც ზოგჯერ ქალთა განთავისუფლების "დედად" მიიჩნევენ. ხშირად თვლიან, რომ ფრიდანის *ქალურმა საიდუმლოებამ* (*The Feminine Mystique*, 1963) ხელი შეუწყო ფემინიზმის "მეორე ტალღის" წარმოშობას. 1966 წელს მისი ხელშეწყობით დაარსდა ქალთა ნაციონალური ორგანიზაცია (NOW) და ფრიდანი მისი პირველი პრეზიდენტი გახდა.

ფრიდანი თავს ესხმოდა კულტურულ მითებს, რომლებიც ქალთა ფუნქციას ოჯახურ მოვალეობებს უკავშირებდა, ხაზს უსვამდა რა იმ იმედგაცრუებისა და უიმედობის გრძნობას, რომელიც ტანჯავდა დიასახლისისა და დედის როლით შეზღუდულ ამერიკელ ქალებს ქალაქის გარეუბნებიდან. ის მიზნად ისახავდა ქალებისათვის განათლებისა და კარიერის შესაძლებლობების გაფართოებას, რაც გახდა რადიკალური ფემინისტების კრიტიკის ობიექტი საშუალო კლასის ქალებზე ყურადღების აქცენტირებისა და "პირადულ" სფეროში არსებული პატრიარქალური სტრუქტურების იგნორირების გამო. *მეორე ეტაპში* (*The Second Stage*, 1983) ფრიდანმა ყურადღება მიაქცია "პიროვნულობის" ძიების საშიშროებას, რომელსაც შესაძლოა ქალები ბავშვების, სახლ-კარისა და ოჯახის უარყოფამდე მიეყვანა.

დამახასიათებელი, ზოგჯერ უკომპრომისო, პოზიციებიდან უკანდახევა. ამან ხელი შეუწყო "პოსტ-ფემინიზმის" იდეის პოპულარობას, რაც გულისხმობს იმას, რომ ფემინისტური ამოცანების უმეტესობა უკვე მიღწეულია და ქალთა მოძრაობამ "ფემინიზმს მიღმა" გადაინაცვლა. მეორე პროცესია ფრაგმენტაცია. რადიკალური ან კრიტიკული მხარის უბრალოდ დაკარგვის ნაცვლად, ფემინისტური აზროვნება რადიკალურად მრავალფეროვანი გახდა, რის შედეგადაც რთულია, ზოგჯერ კი შეუძლებელიც, ფემინიზმის ფარგლებში ერთი "საერთო საფუძვლის" განსაზღვრა. "ძირითად" ფემინისტურ ტრადიციებს – ლიბერალურ, სოციალისტურ/მარქსისტულ და რადიკალურ ფემინიზმს – ახლა უნდა დაემატოს პოსტმოდერნული ფემინიზმი, ფსიქოანალიტიკური ფემინიზმი, შავკანიანთა ფემინიზმი, ლესბიანური ფემინიზმი და ა. შ.

## პირადულის პოლიტიკა – ძირითადი თემები

XX ს-ის 60-იან წლებამდე ფემინიზმის დამოუკიდებელ იდეოლოგიად ჩათვლა მეტად სადაოა. უფრო მართებული იქნებოდა ფემინიზმის განხილვა როგორც ლიბერალიზმის ან სოციალიზმის შემადგენელი კომპონენტისა, წერტილისა, სადაც ამ ორი იდეოლოგიის ძირითადი ღირებულებები და თეორიები შეიძლება გამოყენებულ იქნას გენდერულ საკითხებთან მიმართებაში. რადიკალური პოლიტიკური ფემინიზმის განვითარებამ ეს შეხედულება შეცვალა, ვინაიდან რადიკალმა ფემინისტებმა გამოაცხადეს გენდერულ განსხვავებათა ცენტრალური პოლიტიკური მნიშვნელობა, ის, რასაც ვერც ერთი ტრადიციული პოლიტიკური იდეოლოგია ვერ აღიარებდა. აქედან გამომდინარე, ტრადიციული იდეოლოგიები განიხილებოდა შეუსაბამო საშუალებებად ქალთა სოციალური როლის გასაფართოებლად და ზოგჯერ ისინი კრიტიკის ობიექტებიც კი ხდებოდნენ პატრიარქალური შეხედულებებისა და დასკვნების ხელშეწყობისათვის. მაგრამ ფემინიზმის განვითარებადი იდეოლოგია შეხედულებათა ვრცელ დიაპაზონს მოიცავდა, და თავიდანვე მასში შედიოდა ისეთი სამი ფართო ტრადიცია, როგორიც იყო ლიბერალური ფემინიზმი, მარქსისტული ან სოციალისტური ფემინიზმი და რადიკალური ფემინიზმი. ამას გარდა, ყოველი "ძირითადი" ფემინისტური ტრადიცია მოწინააღმდეგე ტენდენციებსაც შეიცავდა და განვითარდა ფემინიზმის ჰიბრიდული ან "ორსისტემიანი" ფორმები (მაგალითად, რადიკალური ფემინიზმის მარქსიზმის გარკვეულ იდეებთან შერწყმის მცდელობა) და წარმოიშვა ახალი ფემინისტური ტრადიციები, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან. აქედან გამომდინარე, ადვილია ფემინიზმის როგორც უიმედოდ დანაწევრებული იდეოლოგიის უარყოფა, იმის მტკიცება, რომ ფემინიზმში თანხმობაზე მეტი დაპირისპირებულობაა. ამისდა მიუხედავად, ფემინიზმში შესაძლებელია რიგი "საერთო" თემების განსაზღვრა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია:

- დაყოფა "საზოგადოებრივი/პირადული"
- პატრიარქალიზმი

- სქესი და გენდერი
- თანასწორობა და განსხვავება

## დაყოფა "საზოგადოებრივი/პირადული"

ტრადიციული კონცეფციები, რომლებიც განმარტავენ, თუ რა არის "პოლიტიკური", პოლიტიკას უფრო საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მოიაზრებენ, ვიდრე პირადის. პოლიტიკა ხშირად ესმოდათ როგორც საქმიანობა, რომელსაც ეწევიან სახელმწიფო ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიების, გავლენიანი პოლიტიკური ჯგუფებისა და საჯარო დებატების "საზოგადოებრივ სფეროში". ოჯახური ცხოვრება და პირადი ურთიერთობები ჩვეულებრივ განიხილებოდა როგორც "პირადი სფეროს" ნაწილი, და ის შესაბამისად "არაპოლიტიკურად" მიიჩნეოდა. ამის საწინააღმდეგოდ, თანამედროვე ფემინისტები ამტკიცებენ, რომ პოლიტიკა არის საქმიანობა, რომლისთვისაც ადგილი მოიპოვება ყველა სოციალურ ჯგუფში და ის არ შემოიფარგლება უბრალოდ მთავრობისა და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების საქმიანობით. პოლიტიკა არსებობს ყოველთვის და ყველგან, სადაც კი არსებობს სოციალური კონფლიქტი. მაგალითად, მილეტი (1970) პოლიტიკას განსაზღვრავდა როგორც "ძალაზე აწყობილ ურთიერთობებს, სისტემას, რომელშიც ადამიანთა ერთ ჯგუფს აკონტროლებს მეორე." აქედან გამომდინარე, მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობა აშკარად პოლიტიკურია, მაგრამ ასევე პოლიტიკურია ურთიერთობა ფირმასა და თანამშრომლებს შორის, და ურთიერთობები ოჯახში – ქმარსა და ცოლს, მშობლებსა და შვილებს შორის.

იმის განსაზღვრა, თუ რა არის "პოლიტიკური", არ წარმოადგენს უბრალო აკადემიური ინტერესის საგანს. ფემინისტები ამტკიცებენ, რომ სქესთა უთანასწორობის შენარჩუნების მიზეზია საზოგადოებაში გაბატონებული შრომის დანაწილება სქესის მიხედვით, რომელსაც ადრე უფრო "ბუნებრივ" დაყოფად მიიჩნევდნენ, ვიდრე "პოლიტიკურად". ამაზე ყურადღება გამახვილებულია ჯინ ბ. ელშტაინის წიგნის *საზოგადოებრივი მამაკაცი, კერძო ქალი* სახელწოდებაში (Jean B. Elslain, *Public Man, Private Woman*, 1981). ტრადიციულად, ცხოვრების საზოგადოებრივი სფერო, რომელიც მოიცავს პოლიტიკას, სამუშაოს, ხელოვნებასა და ლიტერატურას, მამაკაცთა ნაკრძალად ითვლებოდა, მაშინ როდესაც ქალები შეზღუდულნი იყვნენ კერძო ცხოვრების ფარგლებში არსებობით, რომელიც აგებული იყო საოჯახო და საშინაო მოვალეობებით. თუ პოლიტიკა მხოლოდ საზოგადოებრივი სფეროს კუთვნილებაა, მაშინ ქალთა როლსა და სქესთა თანასწორობის საკითხს მცირე ან არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ გააჩნია. ამის შედეგად ქალები, შეზღუდულნი დიასახლისისა და დედის კერძო როლით, პოლიტიკიდან გამოდევნილნი არიან.

აქედან გამომდინარე, ფემინისტები ილტვოდნენ "საზოგადოებრივ მამაკაცსა" და "კერძო ქალს" შორის აღმართული გამყოფი კედლის დასანგრევად. თუმცა, ისინი ყოველთვის როდი თანხმდებოდნენ იმაზე, თუ რას გულისხმობს "საზოგადოებრივსა და კერძოს" შორის ბარიერების დანგრევა,

როგორ შეიძლება ამ მიზნის მიღწევა და რამდენად შორს არის სასურველი ამ მიმართულებით წასვლა. რადიკალი ფემინისტები ყველაზე აქტიური ოპონენტები იყვნენ იმ იდეისა, რომ "პოლიტიკური" სახლის ზღურბლთან თავდება, და ამის საწინააღმდეგოდ ამტკიცებდნენ, რომ "პირადული პოლიტიკურია". აქედან გამომდინარე, მიიჩნეოდა, რომ ქალთა ჩაგვრა მოქმედებდა ცხოვრების ყველა დონეზე და მრავალი თვალსაზრისით ის თვით ოჯახში წარმოიშობა. შესაბამისად, რადიკალი ფემინისტები ცდილობდნენ გაეანალიზებინათ ის, რასაც შეიძლება "ყოველდღიური ცხოვრების პოლიტიკა" ვუწოდოთ. იგი მოიცავს ოჯახის ჩამოყალიბების პროცესს, საოჯახო საქმეებისა და სხვა მოვალეობების დანაწილებას, პირადი და სექსუალური ქცევის პოლიტიკას. ზოგიერთი ფემინისტისათვის საზოგადოებრივისა და კერძოს დაყოფის გაუქმება გულისხმობს პირადი ცხოვრების პასუხისმგებლობათა სახელმწიფოსა ან სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტებისთვის გადაბარებას. მაგალითად, ბავშვის აღზრდის ტვირთი ქალებს შეიძლება შეუმსუბუქდეს ოჯახების უფრო მასშტაბური ფინანსური დახმარებითა და სამუშაო ადგილებთან ბაგა-ბაღებისა და საბავშვო ბაღების მოწყობით. მეორე მხრივ, ლიბერალი ფემინისტები ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივისა და კერძოს გაყოფას იმის საფუძველზე, რომ ეს ზღუდავს ქალებისათვის ისეთი საზოგადოებრივი სფეროების ხელმისაწვდომობას, როგორებიცაა განათლება, სამუშაო და პოლიტიკური ცხოვრება. ამასთან ერთად, ისინი გვაფრთხილებენ პირადი ცხოვრების პოლიტიზაციის საშიშროების შესახებ, რომელიც, ლიბერალური თეორიის თანახმად, პირადი არჩევანისა და ინდივიდუალური თავისუფლების სფეროა.

## პატრიარქალობა

ფემინისტებს სჯერათ, რომ სქესი, ისევე როგორც სოციალური კლასი, რასა ან რელიგია, მნიშვნელოვან სოციალურ მახასიათებელს წარმოადგენს. მართლაც, რადიკალი ფემინისტები ამტკიცებენ, რომ სქესი ყველაზე ღრმა და პოლიტიკურად ყველაზე მნიშვნელოვანია პოლიტიკურ განსხვავებებს შორის. შესაბამისად, ფემინისტებმა განავითარეს "სქესობრივი პოლიტიკის" თეორია იმგვარადვე, როგორც სოციალისტები ქადაგებდნენ "კლასობრივი პოლიტიკის" იდეას. ისინი აგრეთვე "სექსიზმს" ჩაგვრის ფორმად თვლიან, პარალელებს ავლებენ რა "რასიალიზმთან" ან რასობრივ ჩაგვრასთან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციული პოლიტიკური თეორია, როგორც წესი, იგნორირებას უკეთებდა სექსუალურ ჩაგვრას და ვერ მოახერხა ელიარებინა სქესი პოლიტიკურად მნიშვნელოვან კატეგორიად. ამის შედეგად ფემინისტები იძულებულნი გახდნენ განევითარებინათ ახალი კონცეფციები და თეორიები, რათა გამოეხატათ იდეა, რომ საზოგადოება დაფუძნებულია სქესთა უთანასწორობასა და ჩაგვრაზე.

ფემინისტები მამაკაცთა და ქალთა შორის ძალთა გადანაწილების აღსანიშნავად "პატრიარქალობის/პატრიარქატის" ცნებას იყენებენ. ტერმინი სიტყვასიტყვით ნიშნავს "მამის მმართველობას" (pater ლათინურად მამას ნიშნავს) და შეიძლება ვიწრო გაგებით გულისხმობდეს ოჯახში ქმარ-მამის

უზენაესობას, და, შესაბამისად, ცოლისა და შვილების დაქვემდებარებულ მდგომარეობას. ზოგიერთი ფემინისტი პატრიარქალობის ცნებას მხოლოდ ამ კონკრეტული და შეზღუდული მნიშვნელობით იყენებს, ოჯახის სტრუქტურისა და მასში მამის დომინანტი როლის აღსაწერად, ფართო საზოგადოებაში გენდერული ურთიერთობების ასახვისათვის უპირატესობას ანიჭებს უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინების გამოყენებას, როგორც, მაგალითად, "მამაკაცთა უზენაესობა" ან "მამაკაცთა დომინირება". მაგრამ ფემინისტები თვლიან, რომ ოჯახში მამის დომინირება მამაკაცთა ყველა სხვა ინსტიტუტში უზენაესობის სიმბოლოა. უფრო მეტიც, ბევრი მათგანი იმასაც კი ამტკიცებს, პატრიარქალური ოჯახი მამაკაცთა დომინირების სისტემატური პროცესის მთავარ საყრდენს წარმოადგენს იმ კუთხით, რომ ის განავრცობს მამაკაცთა დომინირებას ცხოვრების ყველა სხვა სფეროში: განათლებაში, სამსახურებრივ სფეროსა და პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე, პატრიარქალობა, ჩვეულებრივ, გამოიყენება უფრო ფართო გაგებით და გულისხმობს, მარტივად რომ ვთქვათ, "მამაკაცთა მმართველობას", როგორც ოჯახში, ისევე მის გარეთაც. მაგალითად, მილეტი (Millett, 1970, გვ. 25) "პატრიარქალურ მთავრობას" აღწერდა როგორც ინსტიტუტს, სადაც "მოსახლეობის ნახევარს, რომელსაც ქალები შეადგენენ, აკონტროლებს მეორე ნახევარი – მამაკაცები". მისი თვალსაზრისით, პატრიარქალობა შეიცავს ორ პრინციპს: "მამაკაცი უნდა დომინირებდეს ქალზე, უფროსი მამაკაცი უნდა დომინირებდეს ახალგაზრდაზე". აქედან გამომდინარე, პატრიარქალობა წარმოადგენს იერარქიულ საზოგადოებას, რომელსაც ახასიათებს როგორც ერთი სქესის ჩაგვრა მეორის მიერ, ისევე – ერთი თაობის ჩაგვრა მეორის მიერ.

ამისდა მიუხედავად, პატრიარქალობის კონცეფცია ფართოა. ფემინისტებს შეიძლება სჯეროდეთ, რომ მამაკაცები ქალებზე ყველა საზოგადოებაში დომინირებდნენ, მაგრამ აღიარებენ, რომ ჩაგვრის ფორმა და მასშტაბი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვადასხვა კულტურისა და დროის პირობებში. მეოცე საუკუნის განმავლობაში ქალთა სოციალური პოზიცია, დასავლეთის ქვეყნებში მაინც, მნიშვნელოვნად განმტკიცდა საარჩევნო უფლებების მიღებისა და განათლების უფრო ფართო ხელმისაწვდომობის, ქორწინებისა და განქორწინების შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებების, აბორტის ლეგალიზაციისა და სხვა მიზეზების გამო. მაგრამ განვითარებადი ქვეყნების ნაწილში პატრიარქალობა ინარჩუნებს მკაცრ, ზოგჯერ საზარელ ფორმასაც კი: 80 მილიონი ქალი, უმეტესწილად აფრიკაში, წინადაცვეთის რიტუალის ობიექტია, ინდოეთში ჯერ კიდევ ხდება პატარძლების მკვლელობები და მზითვის სისტემის არსებობა იწვევს იმას, რომ მდედრობითი სქესის ბავშვები არასასურველია და ზოგჯერ მათი სიკვდილიც კია დასაშვები.

აქედან გამომდინარე, ფემინისტებს არ გააჩნიათ პატრიარქალობის ერთადერთი ან მარტივი ანალიზი. ლიბერალური ფემინისტები ამ ტერმინს იყენებენ ფართო გაგებით, საზოგადოებაში უფლებებისა და მოვალეობების უთანასწორო განაწილების აღსანიშნავად. აქედან გამომდინარე, ისინი ყურადღებას ამახვილებენ პატრიარქალობის ისეთ მხარეებზე, როგორებიცაა

ქალთა არასაკმარისი წარმომადგენლობა პოლიტიკაში, ბიზნესში, პროფესიულ საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სოციალისტი ფემინისტები ყურადღებას ამახვილებენ პატრიარქალობის ეკონომიკურ ასპექტებზე. მათი თვალთახედვით, პატრიარქალობა კაპიტალიზმთან ტანდემში მუშაობს, გენდერული სუბორდინაცია და კლასობრივი უთანასწორობა ჩაგვრის ურთიერთდაკავშირებული ფორმებია. ზოგიერთი სოციალისტი ფემინისტი საერთოდ უარყოფს ამ ტერმინს, თვლის რა, რომ სქესთა უთანასწორობა უბრალოდ კლასობრივი სისტემის შედეგია: პრობლემაა კაპიტალიზმი და არა პატრიარქალობა. თავის მხრივ, რადიკალი ფემინისტები მეტად ამახვილებენ ყურადღებას პატრიარქალობაზე. ისინი მას მიიჩნევენ მამაკაცთა ძალაუფლების სისტემატიზებულ, დაკანონებულ და ყოვლისმომცველ ფორმად, რომლის ფესვები ოჯახში უნდა ვეძიოთ. აქედან გამომდინარე, პატრიარქალობა გამოხატავს რწმენას, რომ მამაკაცთა დომინირებისა და ქალთა დაქვემდებარების პრინციპი, რომელიც მთლიანად საზოგადოებას ახასიათებს, ფაქტობრივად, ოჯახში არსებული ძალთა გადანაწილების ასახვას წარმოადგენს.

## სქესი და გენდერი

ყველაზე პოპულარული მოსაზრება ანტიფემინისტური არგუმენტებიდან, რომელსაც ხშირად მიმართავენ კონსერვატორები, გულისხმობს, რომ საზოგადოების გენდერული დაყოფა ბუნებრივია: ქალები და მამაკაცები უბრალოდ ასრულებენ იმ სოციალურ როლებს, რისთვისაც ისინი ბუნებამ შექმნა. ქალს, თავისი ფიზიკური და ანატომიური წყობის გამო, საზოგადოებაში დაქვემდებარებული და საოჯახო კერასთან დაკავშირებული როლის შესრულება უფრო შეეფერება; მოკლედ რომ ვთქვათ, "ბიოლოგია ბედია". პრაქტიკაში, ყველა ასეთი ბიოლოგიური არგუმენტი ფუჭია. შესაძლოა ქალის ტვინი მართლაც უფრო მცირეა, ვიდრე მამაკაცის, რასაც ხაზს უსვამენ ხოლმე შოვინისტი მამაკაცები, მაგრამ მის სხეულთან მიმართებაში პროპორციულად ის უფრო დიდია, რაც, ჩვეულებრივ, ინტელექტის უფრო ზუსტი ამსახველია. ქალები ჩვეულებრივ ფიზიკურად მამაკაცებზე უფრო სუსტები არიან, რადგან ნაკლებად განვითარებული მუსკულატურა ახასიათებთ. გარკვეულწილად ეს უბრალოდ სოციალურ ფაქტორებს ასახავს: მამაკაცებს ყოველთვის უბიძგებენ შეასრულონ ფიზიკური, სახლს გარეთ სამუშაო, მისდიონ სპორტს და შეესაბამებოდნენ მამაკაცის ფიზიკური აღნაგობის სტერეოტიპს. მართალია, ფიზიკური ძალა მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალიზაციის ეტაპებზე მყოფი საზოგადოებებისათვის, მაგრამ მას მცირე ღირებულება აქვს განვითარებულ საზოგადოებებში, სადაც იარაღები და ტექნიკა ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე ადამიანის ძალა. მართლაც, ძლიერი მუსკულატურის მქონე მამაკაცი შეიძლება უბრალოდ ზედმეტი იყოს რობოტების და მიკროჩიპების ტექნოლოგიურ სამყაროში. ნებისმიერ შემთხვევაში, მძიმე ფიზიკურ შრომას, რომელსაც მამაკაცის სხეული უკეთაა მორგებული, ტრადიციულად ასრულებდნენ დაბალი სტატუსის, და არა ხელისუფლების მქონე ადამიანები.

ბიოლოგიური ფაქტორი, რომელსაც ყველაზე ხშირად უკავშირებენ ქალის სოციალურ მდგომარეობას, არის მათი უნარი, გააჩინონ ბავშვები. უდავოა, რომ ბავშვის გაჩენა ქალთა სქესის უნიკალურ თვისებას წარმოადგენს, ისევე როგორც ის ფაქტები, რომ ქალებს ახასიათებთ მენსტრუაცია და ბავშვების ძუძუთი კვების უნარი. მაგრამ ეს ბიოლოგიური ფაქტორები არანაირად არ ზღუდავს ქალებს და არ განსაზღვრავს მათ სოციალურ ბედს. ქალები შეიძლება დედები იყვნენ, მაგრამ ისინი არ არიან ვალდებულნი, მიიღონ დედობის ვალდებულებები: ბავშვების კვება, განათლება და აღზრდა, საკუთარი თავის ოჯახისადმი და სახლისადმი მიძღვნით. კავშირი ბავშვის გაჩენასა და ბავშვის აღზრდას შორის უფრო კულტურულია, ვიდრე ბიოლოგიური: ტრადიციული ოჯახური ცხოვრების სტრუქტურიდან გამომდინარე, მოელიან ქალებისგან, რომ ისინი დარჩებიან შინ, აღზრდიან ბავშვებს და მიხედავენ სახლს. საოჯახო ვალდებულებები შეიძლება ქმარმა შეასრულოს, ან ისინი შეიძლება თანაბრად განაწილდეს ცოლსა და ქმარს შორის ეგრეთ წოდებულ "სიმეტრიულ ოჯახებში". უფრო მეტიც, ბავშვის აღზრდაზე შეიძლება საზოგადოებამ ან სახელმწიფომ იზრუნოს, ან ამ საქმეს შეიძლება ნათესავებმა მიხედონ, როგორც ეს "გაფართოებულ ოჯახებში" ხდება.

ფემინისტები ტრადიციულად უპირისპირდებოდნენ იდეას, რომ ბიოლოგია ბედს განსაზღვრავს, ავლებდნენ რა მკვეთრ ზღვარს სქესსა და გენდერს შორის. "სქესი", ამ შემთხვევაში, აღნიშნავს ბიოლოგიურ განსხვავებებს მამაკაცთა და ქალთა შორის; ეს განსხვავებები ბუნებრივია და, შესაბამისად, უცვლელი. ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობები სქესთა შორის დაკავშირებულია რეპროდუქტიულ ფუნქციასთან. "გენდერი", მეორე მხრივ, წარმოადგენს კულტურულ ტერმინს. ის ასახავს განსხვავებულ როლებს, რომელთაც საზოგადოება მამაკაცებსა და ქალებს მიაწერს. გენდერული განსხვავებები ჩვეულებრივ ინერგება "მასკულინურისა" და "ფემინურის" კონტრასტული სტერეოტიპებით. როგორც სიმონე დე ბოვუარმა მიუთითა (იხ. გვ. 299), "ქალებს ქმნიან, ისინი არ იბადებიან". პატრიარქალური იდეები აბუნდოვნებენ განსხვავებას სქესსა და გენდერს შორის და ასკვნიან, რომ ყველა სოციალური განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის ბიოლოგიით ან ანატომიითაა განპირობებული. ფემინისტები, პირიქით, ჩვეულებრივ უარყოფენ, რომ სქესსა და გენდერს შორის აუცილებელი ან ლოგიკური კავშირი უნდა იყოს, და ხაზს უსვამენ იმას, რომ გენდერული განსხვავებები სოციალურად (ან პოლიტიკურადაც კი) არის კონსტრუირებული.

ფემინისტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ სქესობრივი განსხვავება ქალებსა და მამაკაცებს შორის შედარებით უმნიშვნელოა და ის არც ხსნის და არც ამართლებს გენდერულ განსხვავებებს. შედეგად ისინი მიიჩნევენ, რომ ადამიანის ბუნება ანდროგინულია, შეიცავს ორივე სქესის მახასიათებლებს. ყველა ადამიანი, განურჩევლად სქესისა, ფლობს დედისა და მამის გენეტიკურ მემკვიდრეობას და, შესაბამისად, აერთიანებს როგორც ქალურ, ისე მამაკაცურ თვისებებსა და მახასიათებლებს. ასეთი მიდგომისას აღიარებენ, რომ სქესობრივი განსხვავებანი ცხოვრების ბიოლოგიურ ფაქტებს წარმოადგენს, მაგრამ ამტკიცებენ, რომ მათ არ გააჩნიათ სოციალური, პოლიტი-

კური ან ეკონომიკური ღირებულება. ქალებზე ან მამაკაცებზე მათი სქესის მიხედვით კი არ უნდა მსჯელობდნენ, არამედ როგორც ინდივიდუუმებზე, პიროვნებებზე. აქედან გამომდინარე, ფემინიზმის ამოცანას უგენდერო "პიროვნულობის" მიღწევა წარმოადგენს. გენდერის კონცეფციის დანერგვას, რომელიც განსხვავდება ბიოლოგიური სქესისაგან, საკვანძო მნიშვნელობა ჰქონდა ფემინისტური თეორიისათვის. მან არა მხოლოდ წარმოაჩინა სოციალური ცვლილების შესაძლებლობა – სოციალურად შექმნილი იდენტურობა შეიძლება შეიცვალოს და დაინგრეს კიდეც – არამედ ასევე ყურადღება გაამახვილა პროცესებზე, რომელთა გზითაც ხდება ქალების "გენდერის ჩარჩოებში მოქცევა" და, შესაბამისად, ჩაგვრაც.

## გენდერის შესახებ

**ლიბერალები** ტრადიციულად მიიჩნევდნენ, რომ განსხვავებებს ქალთა და მამაკაცთა შორის მხოლოდ პირადული ან კერძო მნიშვნელობა აქვს. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველა ადამიანი მიიჩნევა პიროვნებად, აქ სქესს ისევე არა აქვს მნიშვნელობა, როგორც ეთნიკურ კუთვნილებას ან სოციალურ კლასს. ამ თვალსაზრისით, ინდივიდუალიზმი "გენდერულად ბრმაა".

**კონსერვატორები** ტრადიციულად ხაზს უსვამდნენ გენდერული დაყოფის სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას, ისინი ამტკიცებდნენ რომ ქალთა და მამაკაცთა შორის სქესის მიხედვით სამუშაოს დანაწილება ბუნებრივი და გარდაუვალია.

**სოციალისტები**, ლიბერალების მსგავსად, იშვიათად მიიჩნევდნენ გენდერს პოლიტიკურად მნიშვნელოვან კატეგორიად. გენდერული განსხვავებები მნიშვნელოვანი თუ ხდება, – ჩვეულებრივ იმიტომ, რომ ისინი ასახავენ და მათ ხელს უწყობს უფრო ღრმა ეკონომიკური და კლასობრივი უთანასწორობანი.

**ფაშისტები** გენდერს კაცობრიობის გაყოფის ფუნდამენტურ საფუძვლად მიიჩნევენ. მამაკაცებს ბუნებრივად ეკუთვნით მონოპოლია ლიდერობასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე, მაშინ როდესაც ქალები მთლიანად შეეფერებიან დიასახლისის, დამხმარე და დაქვემდებარებულ როლს.

**ფემინისტები** გენდერს განიხილავენ როგორც კულტურულ ან პოლიტიკურ განსხვავებას, ბიოლოგიური და გარდაუვალი სქესობრივი განსხვავებების საპირისპიროდ. შესაბამისად, გენდერული დაყოფა მამაკაცთა ძალაუფლების ამსახველია. ამისდა მიუხედავად, "სხვაობის ფემინისტებს" შესაძლოა სჯეროდეთ, რომ გენდერული სხვაობები ასახავენ ფსიქო-ბიოლოგიურ უფსკრულს ქალურ და მამაკაცურ მახასიათებლებსა და მოთხოვნილებებს შორის.

**რელიგიური ფუნდამენტალისტები** გენდერს ჩვეულებრივ ღვთის მიერ ნაბოძებ დაყოფად მიიჩნევენ და შესაბამისად თვლიან, რომ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციისთვის. აქედან გამომდინარეა ტენდენცია, რომ პატრიარქალური სტრუქტურები და მამაკაცთა ლიდერობა მიჩნეულ იქნას ბუნებრივად და სასურველად.

თუმცა ფემინისტთა უმრავლესობა სქესსა და გენდერს შორის განსხვავებას სასარგებლო მძლავრ იარაღად მიიჩნევს, ნაწილმა მასზე იერიში მიიტანა. ეს თავდასხმები ორი ძირითადი მიმართულებით ხდებოდა. პირველი მიმართულება, რომლითაც აწარმოებდნენ თავდასხმებს ე. წ. "სხვაობის ფემინისტები", გულისხმობს, რომ ქალთა და მამაკაცთა შორის არსებობს ფუნდამენტური განსხვავებები. "ფუნდამენტური" თვალთახედვით, სოციალური და კულტურული მახასიათებლები უფრო ღრმა ბიოლოგიური განსხვავებების ამსახველად აღიქმება. მაგრამ ასეთი შეხედულება განსხვავდება კონსერვატიული ანტიფემინიზმისგან იმით, რომ იგი "ქალურ თვისებებს" პოზიტიური მახასიათებლების შემცველად მიიჩნევს, ისეთების, როგორებიცაა ბავშვის კვების, თანამშრომლობისა და ინტუიციის უნარი, და არა – ნეგატიურების, რომლებიც ასოცირდება მორჩილებასა და დაქვემდებარებულობასთან. მეორე იერიში, რომელიც სქესის/გენდერის განსხვავების მისამართით ხორციელდებოდა, კითხვის ქვეშ აყენებს თვით ამ კატეგორიებს. პოსტმოდერნისტი ფემინისტები ეჭვქვეშ აყენებდნენ თვით იმას, არის თუ არა "სქესი" მართლაც ისეთი მკაფიოდ გამოკვეთილი ბიოლოგიური განსხვავება, როგორც ამას აქამდე მიიჩნევდნენ. მაგალითად, "ბიოლოგიური ქალურობის" მახასიათებლები არ შეესაბამება ბევრს იმათგან, ვინც ქალად ითვლება: ზოგ ქალს არ შეუძლია დაფეხმძიმება, ზოგ ქალს არ იზიდავს მამაკაცები, და ა. შ. თუკი არსებობს უფრო ბიოლოგიურ-კულტურული კონტინუუმი, ვიდრე მტკიცედ განსაზღვრული ბიოლოგიური/კულტურული სხვაობა, მაშინ "ქალისა" და "მამაკაცის" კატეგორიები მეტნაკლებად პირობითი ხდება, ხოლო სქესისა და გენდერის კონცეფციები უიმედოდ რთულდება.

## თანასწორობა და სხვაობა

მართალია, ფემინიზმის მიზანი პატრიარქალიზმის დამხობა და სქესობრივ ნიადაგზე ჩაგვრის დასრულებაა, ფემინისტები ზოგჯერ ვერ ახერხებდნენ მკაფიოდ გარკვევას, თუ რას გულისხმობს ეს პრაქტიკაში და როგორ შეიძლება ამის მიღწევა. ტრადიციულად, ქალები მოითხოვდნენ მამაკაცებთან თანასწორობას, იმ ზომითაც კი, რომ ფემინისტურ მოძრაობას ზოგჯერ ახასიათებენ, როგორც მოძრაობას სქესთა თანასწორობის მისაღწევად. მაგრამ თანასწორობის საკითხმა გამოააშკარავა ფემინიზმში არსებული ძირითადი ბზარები: ფემინისტები თანასწორობის თაობაზე კონტრასტულ შეხედულებებს იზიარებდნენ და ზოგიერთი სრულიად უარყოფდა თანასწორობას განსხვავებულობის იდეის სასარგებლოდ. ლიბერალი ფემინისტები ემხრობიან მამაკაცებთან იურიდიულ და პოლიტიკურ თანასწორობას. ისინი მხარს უჭერენ თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რომელიც საშუალებას მისცემდა ქალებს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამაკაცებისთვის კონკურენცია გაეწიათ. ამრიგად, თანასწორობა გულისხმობს საზოგადოებრივი სფეროს თანაბარ ხელმისაწვდომობას. ამის საპირისპიროდ, სოციალისტი ფემინისტები ამტკიცებენ, რომ თანაბარ უფლებებს შეიძლება აზრი არ ჰქონდეს, თუ ქალებს ასევე სოციალური თანასწორობა არ ექნებათ. თანას-

წორობა, ამ გაგებით, უნდა ეხებოდეს ეკონომიკურ ძალაუფლებას და, აქედან გამომდინარე, უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სიმდიდრის ფლობა, განსხვავებები ხელფასებში და განსხვავება ანაზღაურებად და არაანაზღაურებად სამუშაოს შორის. რადიკალ ფემინისტებს, თავის მხრივ, უპირველესად აწუხებთ თანასწორობა ოჯახურ და პირად ცხოვრებაში. ამრიგად, მათთვის თანასწორობა უნდა მოქმედებდეს, მაგალითად, ბავშვების მოვლისა და სხვა საოჯახო მოვალეობების, პიროვნების მიერ საკუთარ სხეულზე კონტროლის ფლობისა და სექსუალური თვითგამოხატვისა და დაკმაყოფილების კუთხით.

ამ ეგალიტარულ პოზიციებს შორის დაძაბულობის მიუხედავად, მათ აერთიანებს გენდერული განსხვავებების უარყოფითი კუთხით განხილვა. ფემინიზმის ეგალიტარული ფორმები "განსხვავებულობას" პატრიარქალიზმს უკავშირებენ, რომელსაც განიხილავენ ჩაგვრისა და სუბორდინაციის გამოვლინებად. მათი თვალთახედვით, ფემინისტური პროექტის ამოცანა განისაზღვრება ქალების "განსხვავებულობისაგან" განთავისუფლების სურვილით. მაგრამ სხვა ფემინისტები უფრო განსხვავებულობას ემხრობიან, ვიდრე თანასწორობას. "სხვაობის ფემინისტები" თვით თანასწორობის ცნებას მცდარად ან უბრალოდ არასასურველად მიიჩნევენ. გსურდეს იყო მამაკაცის თანასწორი, ნიშნავს, რომ ქალები "მამაკაცთან იდენტიფიცირებულნი" არიან, იმ თვალსაზრისით, რომ ისინი თავიანთ ამოცანებს იმის მიხედვით განსაზღვრავენ, თუ რას წარმოადგენენ მამაკაცები და რა გააჩნიათ მამაკაცებს. ამრიგად, თანასწორობის მოთხოვნა გულისხმობს სურვილს, იყო "როგორც მამაკაცი". მართალია, ფემინისტები ილვწიან პატრიარქალობის გადაგდებისათვის, ბევრი აფრთხილებს მათ იმ საშიშროების შესახებ, რასაც ქალებს თავისი თავის მამაკაცების მაგალითის მიხედვით მოდელირება მოუტანს, რომელიც მათგან მოითხოვს, მაგალითად, მიიღონ მამაკაცთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პირველობაზე ორიენტირებული და აგრესიული ქცევა. მრავალი ფემინისტისთვის განთავისუფლება ნიშნავს სურვილს, განვითარდნენ და მიაღწიონ თვითდამკვიდრებას როგორც ქალებმა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იყვნენ "ქალად იდენტიფიცირებულნი".

აქედან გამომდინარე, "სხვაობის ფემინისტები" ემხრობიან "პრო-ქალურ" პოზიციას, რომლის მიხედვითაც, სქესთა სხვაობას პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. ეს პოზიცია ეფუძნება ესენციალისტურ რწმენას, რომ ქალები და მამაკაცები ფუნდამენტურად განსხვავდებიან ფსიქო-ბიოლოგიურ დონეზე. ითვლება, რომ მამაკაცთა აგრესიული და პირველობაზე ორიენტირებული ბუნება და ქალთა შემოქმედებითი და თანამგრძნობი ხასიათი უფრო ჰორმონალური და სხვა გენეტიკური განსხვავებების ამსახველია, ვიდრე უბრალოდ საზოგადოებრივი სტრუქტურისა. აქედან გამომდინარე, ანდროგინობის ან პიროვნულობის იდეალიზაცია და სქესობრივი განსხვავებების იგნორირება შეცდომაა. ქალებმა უნდა ალიარონ და მიიღონ ქალთა სქესის გამოკვეთილი მახასიათებლები. მათ უნდა ეძიონ განთავისუფლება არა როგორც უსქესო "პიროვნებებმა", არამედ როგორც განვითარებულმა და ჩამოყალიბებულმა ქალებმა. კულტურული

## ფემინიზმში (I)

| ეგალიტარული ფემინიზმი | v. | სხვაობის ფემინიზმი |
|---|---|---|
| ანდროგინია | – | ესენციალიზმი |
| პიროვნებათა ერთობა | – | ქალთა ერთობა |
| ადამიანის უფლებები | – | ქალთა უფლებები |
| სქესთა თანასწორობა | – | სექსუალური განთავისუფლება |
| განსხვავებათა შემცირება | – | განსხვავებათა ხაზგასმა |
| განსხვ. სქესსა და გენდერს შორის | – | სქესი და გენდერი ერთი და იგივეა |
| ბიოლოგიის გადალახვა | – | ბიოლოგიის აღიარება |
| ადამიანზე ორიენტაცია | – | ქალზე ორიენტაცია |
| მამაკაც. გადარჩენა შესაძლებელია | – | მამაკაცები "პრობლემაა" |
| მამაკაცებთან გაერთიანება | – | ფემინისტური სეპარატიზმი |

ფემინიზმის ფორმით ამან მოიტანა ყურადღების გამახვილება ქალთა ხელობებზე, ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, და გამოცდილებებზე, როგორებიცაა ბავშვის გაჩენა, დედობა და მენსტრუაცია, რომლებიც მხოლოდ ქალებს ახასიათებთ და ხელს უწყობს "დობის" გრძნობის განვითარებას.

## სქესი და პოლიტიკა

ფემინიზმი სხვადასხვა მიმართულებების მომცველი იდეოლოგიაა. ფემინიზმის მოქიშპე ტრადიციები ძირითადად განვითარებული იდეოლოგიებიდან და თეორიებიდან წარმოიშვა, ყველაზე აშკარად – ლიბერალიზმიდან და სოციალიზმიდან, აგრეთვე, უფრო მოგვიანებით, ისეთი იდეებიდან, როგორც პოსტმოდერნიზმი (იხ. გვ. 373) და ფსიქოანალიზია. ასეთი იდეოლოგიები და თეორიები ქალთა სოციალური როლის წინ წამოწევის საშუალებები იყო, ვინაიდან ისინი ზოგადად კეთილგანწყობილია თანასწორობის მიმართ. იერარქიული ან ელიტური იდეოლოგიები და თეორიები, პირიქით, ყველაზე ხშირად უკავშირდება ანტიფემინიზმს. მაგალითად, ტრადიციული კონსერვატიზმი მიიჩნევს, რომ საზოგადოების პატრიარქალური სტრუქტურა და სამუშაოს სქესის მიხედვით განაწილება "საზოგადოებრივ" კაცსა და "კერძო" ქალს შორის ბუნებრივი და გარდაუვალია. ქალები იბადებიან დიასახლისებად და დედებად, და ასეთი ბედის წინააღმდეგ აჯანყება უაზროა და არასწორიც. უკეთეს შემთხვევაში, კონსერვატორებმა შეიძლება ამტკიცონ, რომ მხარს უჭერენ სქესთა თანასწორობას იმ გაგებით, რომ ქალთა საოჯახო მოვალეობები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მამაკაცის საზოგადოებრივი ვალდებულებები. მამაკაცები და ქალები, აქედან გამომდინარე, არიან "თანასწორნი, მაგრამ – განსხვავებულნი".

გარკვეულ პირობებში განვითარდა აგრეთვე რეაქციული ფემინიზმის ფორმები. ეს მოხდა ისეთ შემთხვევებში, როცა ქალთა ტრადიციულ სტა-

ტუსსა და პოზიციას სწრაფი სოციალური ან კულტურული ცვლილებები დაემუქრა. ასეთი ხასიათი აქვს ე. წ. "ისლამურ ფემინიზმს". ისეთ ისლამურ ქვეყნებში, როგორებიცაა ირანი, პაკისტანი და სუდანი, *შარიათის* კანონის შემოღებას და ტრადიციული მორალური და რელიგიური პრინციპებისკენ მიბრუნებას ზოგჯერ ხატავენ როგორც საშუალებას, დაიცვან ქალის სტატუსი, რომელსაც საშიშროებას უქმნის დასავლური შეხედულებებისა და ღირებულებების გავრცელება. ამ გადასახედიდან, ჩადრისა და ჩაცმის სხვა წესების გამოდევნა ქალების საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ზოგიერთი მუსულმანი ქალის მიერ აღიქმებოდა როგორც განთავისუფლების სიმბოლოები. მაგრამ ტრადიციული ფემინიზმის თვალსაზრისით, რეაქციული ფემინიზმი უბრალოდ ტერმინთა შეუსაბამობაა, რომელიც ასახავს მცდარ რწმენას, რომ ტრადიციული დაყოფა საზოგადოებრივსა და კერძოს შორის რეალურად ქალთა სტატუსსა და დაცვას უზრუნველყოფდა. მართლაც, ის ასახავს პატრიარქალობის კულტურულ ძლიერებასა და მის უნარს, ჩაითრიოს ქალები მათ საკუთარ ჩაგვრაში. ფემინიზმის ფარგლებში ძირითადი ტრადიციები შემდეგია:

- ლიბერალური ფემინიზმი
- სოციალისტური ფემინიზმი
- რადიკალური ფემინიზმი
- ახალი ფემინისტური ტრადიციები

## ლიბერალური ფემინიზმი

ადრეული ფემინიზმი, კერძოდ ქალთა მოძრაობის "პირველი ტალღა", ლიბერალიზმის იდეებისა და ღირებულებების ძლიერ გავლენას განიცდიდა. პირველი მნიშვნელოვანი ფემინისტური ნაშრომი, უოლსტოუნქრაფთის *ქალის უფლებათა დასაბუთება* (Wollstonecraft, *Vindication of the Rights of Women*, ([1792]

ამერიკელი სოციალური თეორეტიკოსი და ფემინისტი. უოლსტოუნქრაფთი, რომელიც რადიკალურ პოლიტიკაში საფრანგეთის რევოლუციის გავლენით ჩაერთო, იყო შემოქმედებითი და ინტელექტუალური წრის წევრი, რომელშიც შედიოდა მისი მეუღლე, ანარქისტი უილიამ გოდვინი (იხ. გვ. 222). ის გარდაიცვალა მშობიარობისას, რომლის შედეგად გაჩენილი ქალიშვილი მერი გათხოვდა პოეტ შელიზე და დაწერა *ფრანკენშტაინი*.

უოლსტოუნქრაფთის ფემინიზმი ეფუძნებოდა განმანათლებლობის ლიბერალურ რწმენას გონებისადმი და თანასწორობის რადიკალურ ჰუმანისტურ ერთგულებას. ის ხაზს უსვამდა ქალებისათვის თანასწორი უფლებების მინიჭების აუცილებლობას, განსაკუთრებით განათლების თვალსაზრისით, "პიროვნულობის" ცნების საფუძველზე. ამასთანავე, მის ნაშრომებში განვითარდა ქალების როგორც სურვილის ობიექტებისა და სუბიექტების უფრო რთული ანალიზი, აგრეთვე წარმოდგენილი იყო საოჯახო სფერო, როგორც საზოგადოებისა და სოციალური წესრიგის მოდელი.

1967) ამტკიცებდა, რომ ქალებს უნდა მიენიჭოთ იგივე უფლებები და პრივილეგიები, რაც მამაკაცებს, იმის საფუძველზე რომ ისინი "ადამიანები" არიან. ის ამტკიცებდა, რომ "სქესთა განსხვავება" პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში უმნიშვნელო გახდებოდა, თუ ქალები განათლების მიღების შესაძლებლობას მოიპოვებდნენ და დამოუკიდებელ რაციონალურ არსებებად ჩაითვლებოდნენ. ჯონ სტიუარტ მილი თავის ნაშრომში *ქალთა დაქვემდებარების შესახებ* (Mill, *On the Subjection of Women*, [1869] 1970), რომელიც ჰარიეტ ტეილორთან თანამშრომლობით დაიწერა, ასაბუთებდა რომ საზოგადოება უნდა მოეწყოს "სალი აზრის" პრინციპით, და ისეთ "დაბადების შემთხვევითობებს", როგორც სქესია, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, ქალებს უნდა ჰქონდეთ იგივე უფლებები და თავისუფლებები რაც მამაკაცებს, განსაკუთრებით კი ხმის მიცემის უფლება.

ფემინიზმის "მეორე ტალღას" აგრეთვე მნიშვნელოვანი ლიბერალური კომპონენტი აქვს. ლიბერალური ფემინიზმი დომინირებდა აშშ-ის ქალთა მოძრაობაში. მისი მთავარი წარმომადგენელი იყო ბეტი ფრიდანი, რომლის *ქალის საიდუმლოთი* XX ს-ის 60-იან წლებში ფემინისტური აზროვნების აღორძინება აღინიშნა. *ქალის საიდუმლოში* ფრიდანი გულისხმობდა კულტურულ მითს, რომლის მიხედვითაც, ქალები უსაფრთხოებასა და თვითრეალიზაციას ეძიებენ ოჯახურ ცხოვრებასა და "ფემინისტურ" ქცევაში, მითს, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს ქალებს, დასაქმდნენ, ჩაერთონ პოლიტიკაში და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის ხაზს უსვამდა მის მიერ "უსახელო პრობლემად" წოდებულ უიმედობისა და ღრმა უბედურების შეგრძნებას, რომელსაც მრავალი ქალი განიცდის იმის გამო რომ, ისინი შემოფარგლულნი არიან ოჯახური ყოფითა და არ შეუძლიათ თვითრეალიზაცია კარიერასა თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1966 წელს ფრიდანის ხელშეწყობით დაარსდა ქალთა ნაციონალური ორგანიზაცია (NOW) და მისი პირველი ხელმძღვანელი ფრიდანი გახდა. ეს ორგანიზაცია იქცა მძლავრ მოქმედ ძალად და უმსხვილეს ქალთა ორგანიზაციად მსოფლიოში.

ლიბერალური ფემინიზმის ფილოსოფიური საფუძველი ინდივიდუალიზმის პრინციპში ძევს (გვ. 33), რწმენაში, რომ ყველა ადამიანი მნიშვნელოვანია და, შესაბამისად, ყველა ცალკეულ ადამიანს ერთნაირი მორალური ღირებულება აქვს. ინდივიდუუმებს ერთნაირად უნდა მოეპყრონ, მიუხედავად სქესის, რასის, კანის ფერის, რწმენისა თუ რელიგიური კუთვნილებისა. პიროვნების განსჯა უნდა ხდებოდეს რაციონალურ საფუძველზე, მისი ხასიათის, ნიჭისა თუ პიროვნული ღირებულების მიხედვით. ლიბერალები ამ რწმენას თანაბარი უფლებების მოთხოვნით გამოხატავენ: ყველა პიროვნებას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ან ხელი უნდა მიუწვდებოდეს მასზე. ამ თვალსაზრისით, ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმა მკაცრად უნდა იყოს აკრძალული. უოლსთოუნკრაფთი, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ განათლების მიღება, რომელიც მის დროს მამაკაცთა მონოპოლიას წარმოადგენდა, ქალებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო. ჯ. ს. მილი ასაბუთებდა თანაბა-

რი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების აუცილებლობას. მართლაც, მთელი მოძრაობა საარჩევნო უფლებების მოსაპოვებლად ეფუძნებოდა ლიბერალურ ინდივიდუალიზმსა და რწმენას, რომ ქალთა ემანსიპაცია მიღწეული იქნება, როგორც კი ქალები მამაკაცთა თანაბარ საარჩევნო უფლებებს მოიპოვებენ. ამის მსგავსად, ფრიდანის მუშაობა და NOW-ის მსგავსი ჯგუფების საქმიანობა მიზნად ისახავდა არსებული იურიდიული და სოციალური ზეწოლის დამხობას, რომლებიც ზღუდავდნენ ქალებს კარიერის გაკეთებასა და პოლიტიკურ აქტიურობაში. ისეთი ორგანიზაციები, როგორც NOW და Emily's List იყო, კონკრეტულად, იბრძოდნენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების წამყვან პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად.

ლიბერალი ფემინისტი არსებითად რეფორმისტია: ის ცდილობს საზოგადოებრივი ცხოვრების გახსნას ქალთა და მამაკაცთა ღია კონკურენციისათვის და არა დაპირისპირებას იმასთან, რასაც ბევრი ფემინისტი თვით საზოგადოების პატრიარქალურ სტრუქტურად მიიჩნევს. კერძოდ, ლიბერალ ფემინისტებს არ სურთ ცხოვრების საზოგადოებრივ და კერძო სფეროებს შორის განსხვავების გაუქმება. ისინი ამტკიცებენ, რომ რეფორმა აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანასწორი უფლებები საზოგადოებრივ სფეროში: განათლების მიღების უფლება, საარჩევნო უფლება, პროფესიული კარიერის გაკეთების უფლება და ა. შ. უდავოა, რომ ინდუსტრიულ დასავლეთში მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი რეფორმები, კერძოდ, თანასწორობის პრინციპის განვრცობა, განქორწინებასა და აბორტთან დაკავშირებული კანონმდებლობის "ლიბერალიზაცია", თანაბარი ხელფასები, და ა. შ. ამისდა მიუხედავად, გაცილებით ნაკლები ყურადღება დაეთმო პირადულ სფეროს, სქესის მიხედვით შრომის დაყოფასა და ოჯახში ძალათა გადანაწილებას.

ლიბერალი ფემინისტები ჩვეულებრივ მიიჩნევდნენ, რომ მამაკაცებსა და ქალებს განსხვავებული ბუნება და მიდრეკილებანი აქვთ და, აქედან გამომდინარე, აღიარებდნენ, რომ ქალთა გადახრა ოჯახისა და დიასახლისის ფუნქციისაკენ ნაწილობრივ მაინც ბუნებრივი იმპულსების ზეგავლენით ხდება და, შესაბამისად, ნებაყოფლობით არჩევანს წარმოადგენს. ეს თვალსაზრისი ნამდვილად მიესადაგებოდა მეცხრამეტე საუკუნის ფემინისტებს, რომლებიც ოჯახის ტრადიციულ სტრუქტურას "ბუნებრივად" მიიჩნევდნენ, მაგრამ იგივე აშკარად გამოსჭვივის ისეთი თანამედროვე ლიბერალი ფემინისტების ნაშრომებშიც, როგორიცაა ფრიდანი. *მეორე ეტაპში* (*The Second stage*, 1983) ფრიდანი განიხილავდა "პიროვნულობის" მიღწევისა (რომელიც შესაძლებელი გახდა ქალთათვის პროფესიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო ფართო შესაძლებლობების მოპოვების შედეგად) და სიყვარულის მოთხოვნილების (რომელსაც გამოხატავენ ბავშვები, სახლი და ოჯახი) შეთავსების პრობლემას. ფრიდანის აქცენტი ქალის ცხოვრებაში ოჯახის მუდმივ და წამყვან მნიშვნელობაზე კრიტიკის საგანი გახდა უფრო რადიკალი ფემინისტების მხრიდან, როგორც "დედობის საიდუმლოსათვის" ხარკის გაღება.

უფრო ღრმად თუ ჩავწვდებით, რადიკალმა ფემინისტებმა ყურადღება გაამახვილეს ინდივიდუალიზმის, როგორც გენდერული პოლიტიკის საფუძვლის შეზღუდულობაზე. უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალისტური მიდგომა ყურადღების მიღმა ტოვებს პატრიარქალობის სტრუქტურულ ხასიათს, რომელშიც ქალების დაქვემდებარება ხდება არა როგორც ინდივიდუალური პიროვნებებისა, რომლებსაც უარს ეუბნებიან უფლებებსა და შესაძლებლობებზე, არამედ როგორც მთელი სქესისა, რომელიც სისტემატური და მიკერძოებული ჩაგვრის საგანია. მეორეც, "პიროვნულობაში" ინდივიდუალიზმის აქცენტირებამ შეიძლება უფრო რთული გახადოს ქალებისათვის კოლექტიური აზროვნება და მოქმედება თავიანთი საერთო გენდერული იდენტობის, "ქალთა ერთობის" საფუძველზე. მესამე, შესაძლოა ლიბერალური ინდივიდუალიზმის სქესობრივ განსხვავებებზე "მაღლა დგომა" მხოლოდ მოჩვენებითი იყოს. განიხილავს რა ადამიანებს როგორც პიროვნებებს, ლიბერალიზმი გარკვეულწილად ლახავს გენდერულ და სხვა იდენტურობებს, რადგან იძლევა საშუალებას, ადამიანები შეაფასონ მათი პიროვნული ნიჭიერებისა და მიღწევების მიხედვით. მაგრამ ამან, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება სქესობრივი ურთიერთობების დეპოლიტიზაცია გამოიწვიოს სქესის ფაქტობრივად შეუმჩნევლად გარდაქმნის გზით, ხოლო უარეს შემთხვევაში შეიძლება მამაკაცური მახასიათებლები და მისწრაფებები ქალებზე გადაიტანოს, რადგანაც "პიროვნება", რომელსაც ვითომდა სქესი არ გააჩნია, მუდამ შეიცავს ფარულ მამაკაცურ მახასიათებლებს. ამრიგად, მოექცე ადამიანებს თანაბრად – შეიძლება ნიშნავდეს, მოექცე ქალს ისე, როგორც კაცს.

დაბოლოს, თანასწორუფლებიანობის მოთხოვნა, რომელიც ლიბერალური ფემინიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს, ძირითადად იზიდავს იმ ქალებს, ვისაც განათლება და სოციალური "ზურგი" საშუალებას აძლევთ, ისარგებლონ უფრო ფართო განათლების მიღებისა და კარიერის შესაძლებლობებით. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის ფემინისტები და ქალთა საარჩევნო უფლებებისათვის მებრძოლი მოძრაობის ლიდერები ძირითადად იყვნენ განათლებული, საშუალო კლასის ქალები, რომლებსაც ჰქონდათ შესაძლებლობა, ესარგებლათ საარჩევნო ხმის უფლებით, პროფესიული კარიერის შექმნითა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობით. თანასწორუფლებიანობის მოთხოვნა გულისხმობს, რომ ქალებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ, მაგალითად, უკეთესი განათლების მიღებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების უპირატესობით. რეალობაში, ქალებს განსჯიან არა მარტო მათი ნიჭიერებისა და შესაძლებლობების მიხედვით, არამედ აგრეთვე სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებითაც. თუ ემანსიპაცია უბრალოდ ქალებისა და მამაკაცებისათვის თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების მიღწევას გულისხმობს, მაშინ ხდება სოციალური დაბრკოლებების სხვა, მაგალითად, სოციალურ კლასთან ან რასასთან დაკავშირებული ფორმების იგნორირება. აქედან გამომდინარე, ლიბერალური ფემინიზმი შეიძლება ასახავდეს საშუალო კლასის თეთრკანიანი ქალების ინტერესებს განვითარებულ საზოგადოებებში, მაგ-

რამ ის ვერ ეხმიანება მუშათა კლასის წარმომადგენელი ქალების, შავკანიანი ქალებისა და განვითარებადი ქვეყნების ქალების პრობლემებს.

## სოციალისტური ფემინიზმი

მართალია, ზოგიერთი ადრეული ფემინისტი სოციალისტურ იდეებს ემხრობოდა, მაგრამ სოციალისტური ფემინიზმი მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გახდა შესამჩნევი. ლიბერალი თანამოაზრეებისაგან განსხვავებით, სოციალისტ ფემინისტებს არ სჯერათ, რომ ქალებს უბრალოდ ხელს უშლით პოლიტიკური ან იურიდიული დაბრკოლებები, რომელთა შემსუბუქება შესაძლებელია თანასწორი იურიდიული უფლებების მინიჭებით ან თანაბარი შესაძლებლობების მიღწევით. სოციალისტ ფემინისტებს მიაჩნიათ, რომ სქესთა შორის ურთიერთობა დაფუძნებულია თვით სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურაზე და ვერაფერი, გარდა ფუნდამენტური სოციალური ცვლილებისა, ზოგის აზრით კი სოციალური რევოლუციისა, ვერ შესთავაზებს ქალებს ჭეშმარიტი ემანსიპაციის პერსპექტივას; როგორც ეს გაეროს 1980 წლის ანგარიშში იყო აღნიშნული: "მაშინ, როდესაც ქალები მსოფლიო მოსახლეობის 50 პროცენტს შეადგენენ, ისინი სამუშაო საათების თითქმის ორ მესამედს ასრულებენ, ღებულობენ მსოფლიო მოგების ერთ მეათედს და ფლობენ მსოფლიო კერძო საკუთრების 1 პროცენტზე ნაკლებს".

სოციალისტური ფემინიზმის ცენტრალურ თემას წარმოადგენს ის, რომ პატრიარქალობა მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება იყოს გაგებული. ეს არგუმენტი კლასიკურად ჩამოაყალიბა ფრიდრიხ ენგელსმა ნაშრომში *ოჯახის წარმოშობა, კერძო საკუთრება და სახელმწიფო* ([1884] 1976). ენგელსი (1820-95), რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მეგობრობდა და თანამშრომლობდა კარლ მარქსთან (იხ. გვ. 145), თვლიდა, რომ ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში ფუნდამენტურად შეიცვალა კაპიტალიზმისა და კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარებასთან ერთად. წინარეკაპიტალისტურ საზოგადოებებში ოჯახური ცხოვრება კომუნისტური იყო და "დედის უფლება" – საკუთრებისა და სოციალური მდგომარეობის მემკვიდრეობით მიღება დედის ხაზით – ფართოდ იყო გავრცელებული. მაგრამ კაპიტალიზმმა, ეფუძნებოდა რა კერძო საკუთრების მამაკაცების მიერ ფლობას, დაამხო "დედის უფლება" და მოიტანა ის, რასაც ენგელსმა "მდედრობითი სქესის მსოფლიო ისტორიული დამარცხება" უწოდა. ისევე როგორც მრავალ სოციალისტ ფემინისტს შემდგომში, ენგელსს სჯეროდა, რომ ქალთა ჩაგვრა ოჯახის ინსტიტუტის საშუალებით ხორციელდებოდა. "ბურჟუაზიული ოჯახი" პატრიარქალური და მჩაგვრელია, ვინაიდან მამაკაცებს სურთ უზრუნველყონ თავისი საკუთრების გადაცემა მხოლოდ ვაჟიშვილებისათვის. მამაკაცები აღწევენ უდავო მამობრივ უფლებას მონოგამიური ქორწინების გზით, შეზღუდვით, რომელიც მკაცრად გამოიყენება ცოლების მიმართ და რომელიც არ აძლევს მათ უფლებას იყოლიონ სხვა სექსუალური პარტნიორები, მაგრამ რომელსაც,

როგორც ეს ენგელსმა აღნიშნა, ჩვეულებრივ უგულებელყოფენ მათი მეუღლეები. ამ რეპრესიის საკომპენსაციოდ ქალებისათვის იქმნება "ფემინურობის კულტი", რომელიც ხოტბას ასხამს რომანტიკული სიყვარულის ხიბლს, მაგრამ რეალობაში წარმოადგენს ორგანიზებულ ფარისევლობას, რომელიც შექმნილია მამაკაცების პრივილეგიებისა და საკუთრების დასაცავად. ენგელსს სწამდა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ქორწინება შეიძლება "განქორწინებით გაუქმდეს" და როდესაც გაუქმდება კერძო საკუთრება, გაუჩინარდება მისი პატრიარქალური მახასიათებლები და შესაძლოა მონოგამიაც. სხვა სოციალისტი ფემინისტების წინადადებით, ტრადიციული, პატრიარქალური ოჯახი უნდა შეიცვალოს კომუნალური ცხოვრების ან "თავისუფალი სიყვარულის" სისტემით, რასაც ემხრობოდნენ ისეთი ადრეული უტოპისტი სოციალისტები, როგორებიც იყვნენ ფურიე და ოუენი.

სოციალისტი ფემინისტების უმრავლესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ ქალის შეზღუდვა საოჯახო მოვალეობებისა და დედობის სფეროთი კაპიტალიზმის ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურება. ზოგი ამტკიცებდა, რომ ქალები "შრომის არმიის რეზერვს წარმოადგენენ", რომელიც მაშინ შეიძლება აყვანილ იქნას მუშახელად, როცა პროდუქციის გაზრდის საჭიროება არსებობს, მაგრამ ასევე ადვილად შეიძლება ჩაიკეტოს და დაუბრუნდეს რუტინულ ოჯახურ ცხოვრებას ეკონომიკური დეპრესიის დროს, ისე რომ ეს ტვირთად არ დააწვეს დამქირავებლებსა და სახელმწიფოს. ამას გარდა, როგორც დროებითი თანამშრომლები, ქალები იძულებულნი არიან დაკმაყოფილდნენ დაბალანაზღაურებადი, დაბალი სტატუსის მქონე სამუშაოებით, რასაც ის უპირატესობა აქვს, რომ ხელს უწყობს სახელფასო ხარჯების ისე დაწევას, რომ საფრთხე არ შეექმნას "მამაკაცთა სამუშაოს". ამავდროულად, ქალის საოჯახო შრომა აუცილებელია ეკონომიკის სიჯანსაღისა და ეფექტურობისათვის. ბავშვების გაჩენითა და აღზრდით ქალები ქმნიან სამუშაო ძალას შემდეგი თაობისათვის და ამრიგად წარმოების მომავლის გარანტიას ქმნიან. ქალები პასუხისმგებელნი არიან აგრეთვე ბავშვების საზოგადოებისთვის მორგებაზე, მოვლა-პატრონობასა და განათლებაზეც კი, უზრუნველყოფენ რა ამით მათ დისციპლინირებულ და მორჩილ მშრომელებად ჩამოყალიბებას.

მსგავსადვე, თავისი დიასახლისური როლით ქალები ათავისუფლებენ მამაკაცებს საოჯახო სამუშაოსა და ბავშვის აღზრდის ტვირთისაგან, რაც მამაკაცებს საშუალებას აძლევს, თავისი დროისა და ენერგიის კონცენტრაცია მოახდინონ ანაზღაურებად და პროდუქტიულ სამსახურზე. ამ გაგებით, სამუშაოს სქესის მიხედვით განაწილება – მამაკაცები ფასიან სამუშაოს ასრულებენ ქარხნებსა თუ ოფისებში, ქალები კი უფასო საოჯახო სამუშაოს ასრულებენ – ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. უფრო მეტიც, დიასახლისები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ მათი ქმრები დროულად მივიდნენ სამსახურში, სათანადოდ ჩაცმულნი და კარგად გამოკვებილნი, მზად იყვნენ მძიმე სამუშაო დღისათვის. ტრადიციული ოჯახი მოსამსახურეს სამუშაოს შოვნისა და შენარჩუნების ძლიერ სტიმულს აძლევს, რადგანაც მას ცოლ-შვილი ჰყავს შესანახი. ამას გარდა, ოჯახი უზრუნველყოფს მოსამსახურეს "ხელფასის მონობის" გამო ცხოვრებისაგან გაუცხოებისა და

იმედგაცრუებებისაგან დამცავი საჭირო "ბალიშით". მართლაც, ტრადიციული ოჯახური ცხოვრება უზრუნველყოფს ქმარ-მამას მნიშვნელოვანი კომპენსაციებით: ის სარგებლობს "პურის მშოვნელის" სტატუსით და გარანტირებული აქვს დასვენება და განტვირთვა შინ, მაშინ როდესაც დიასახლისი დაკავებულია "ტრივიალური" საოჯახო შრომით.

ზოგიერთი ფემინისტი ამტკიცებდა, რომ სწორედ საოჯახო საქმიანობის არაანაზღაურებადი ხასიათი არის მისი დაბალი სტატუსის მიზეზი და ქალებს მეუღლეებზე ფინანსურად დამოკიდებულად ტოვებს, ნერგავს რა მუდმივ სოციალურ უთანასწორობას. კამპანია "ხელფასი დიასახლისობისათვის", რომელიც დიდ ბრიტანეთში კოსტასა და ჯეიმზის სახელებთანაა დაკავშირებული (1972), გულისხმობდა, რომ ქალები იმ შემთხვევაში მოიპოვებენ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და უზრუნველყოფილნი იქნებიან გაფართოებული სოციალური სტატუსით, თუ მათი შრომა, მამაკაცების შრომის მსგავსად, აღიარებული იქნებოდა როგორც პროდუქტიული და ანაზღაურების ღირსი. იგივე არგუმენტი გამოიყენეს პროსტიტუციის, როგორც კანონიერი და ანაზღაურებადი საქმიანობის აღიარების დასასაბუთებლად. მაგრამ ამის საპირისპიროდ, სოციალისტი ფემინისტების უმრავლესობა მაინც მიიჩნევს, რომ ემანსიპაცია მოითხოვს, ქალებს სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების უფრო ფართო დიაპაზონი მიეცეთ და არა უბრალოდ ანაზღაურება დიასახლისის ან სექსუალური ობიექტის ტრადიციული როლების შესრულებისათვის.

მართალია, სოციალისტი ფემინისტები ეთანხმებიან იმას, რომ შეუძლებელია "ქალთა საკითხის" გამოყოფა სოციალური და ეკონომიკური ცხოვრებისაგან, მაგრამ მათ შორის არსებობს ფუნდამენტური განსხვავებები იმის თაობაზე, თუ რა ხასიათისაა ეს კავშირი. გენდერული დაყოფა მკვეთრად გამოხატულად ლახავს კლასობრივ ფარგლებს, რის გამოც წარმოიქმნება დაძაბულობა გენდერისა და სოციალური კლასის ურთიერთდამოკიდებულებაში სოციალისტური ფემინისტური ანალიზის ფარგლებში. განსაკუთრებით რთული კითხვები ჩნდება მარქსისტი ფემინისტებისათვის. ორთოდოქსი მარქსისტები ამტკიცებენ, რომ კლასობრივი პოლიტიკა სქესობრივ პოლიტიკაზე მაღლა დგას. ენგელსი, მაგალითად, თვლიდა, რომ "ბურჟუაზიული ოჯახი", რომელმაც ქალი დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩააყენა, წარმოიქმნა კერძო საკუთრების გაჩენის შედეგად და შესაბამისად კაპიტალიზმის თანამდევ პროდუქტს წარმოადგენს. იგულისხმება, რომ კლასობრივი ექსპლუატაცია გაცილებით უფრო ღრმა და უფრო მნიშვნელოვანი პროცესია, ვიდრე სქესობრივი ჩაგვრა. ქალებს ჩაგრავენ არა მხოლოდ მამაკაცები, არამედ კერძო საკუთრების ინსტიტუტი, კაპიტალიზმი. იგულისხმება აგრეთვე, რომ ქალთა ემანსიპაცია იქნება შედეგი სოციალური რევოლუციისა, რომლის დროსაც დამხობილი იქნება კაპიტალიზმი და მას სოციალიზმი შეცვლის. აქედან გამომდინარე, თავისუფლების მაძიებელმა ქალებმა უნდა აღიარონ, რომ "კლასთა ომი" უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე "სქესთა ომი". ამიტომაც ფემინისტებმა თავიანთი ენერგია უნდა მიუძღვნან უფრო მუშათა მოძრაობას, და არა ცალკეულ და დანაწევრებულ ქალთა მოძრაობების მხარდაჭერას.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ფემინისტებისათვის სულ უფრო რთული ხდება კლასობრივი პოლიტიკის სქესობრივ პოლიტიკაზე უპირატესობის აღიარება. ამის მიზეზი ნაწილობრივ გახდა ის იმედგაცრუება, რაც დაკავშირებული იყო ქალთა პროგრესთან სახელმწიფო სოციალიზმის საზოგადოებებში, ისეთებში, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სოციალიზმი თავისთავად არ გულისხმობს პატრიარქალობის დასასრულს. თანამედროვე ფემინისტებისათვის სქესობრივი ჩაგვრა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კლასობრივი ექსპლუატაცია. ბევრი მათგანი თანამედროვე მარქსიზმს ემხრობა, რომელიც აღიარებს საზოგადოებაში ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ძალების ურთიერთგავლენას, და არა ორთოდოქსულ მარქსიზმს, რომელიც კვლავ მატერიალური ან ეკონომიკური ფაქტორების უზენაესობას ამტკიცებს. აქედან გამომდინარე, ისინი უარს ამბობენ ქალის მდგომარეობას უბრალო ეკონომიკური ტერმინებით გაუკეთონ ანალიზი. ამის სანაცვლოდ, პატრიარქალობის კულტურულ და იდეოლოგიურ ფესვებზე ამახვილებენ ყურადღებას. მაგალითად, ჯულიეტ მიტჩელი, სოციალისტი ფემინისტი გაერთიანებული სამეფოდან (1971), ამტკიცებს, რომ ქალები ოთხ სოციალურ ფუნქციას ასრულებენ: (1) ისინი მუშა ძალის ნაწილს წარმოადგენენ და აქტიურად მონაწილეობენ წარმოებაში, (2) ისინი აჩენენ ბავშვებს და ამგვარად ადამიანების რეპროდუქციას უზრუნველყოფენ; (3) ისინი პასუხისმგებელნი არიან ბავშვების სოციალიზაციაზე; და (4) ისინი სექსუალური ნდომის ობიექტები არიან. ამ კუთხით, განთავისუფლება მოითხოვს, რომ ქალებმა მიაღწიონ ემანსიპაციას თითოეულ ამ სფეროში, და არა უბრალოდ კაპიტალისტური კლასობრივი სისტემის სოციალიზმით შეცვლას.

## რადიკალური ფემინიზმი

ფემინიზმის "მეორე ტალღის" ერთ-ერთი გამოკვეთილი მახასიათებელია ის, რომ ბევრი ფემინისტი მწერალი არსებული პოლიტიკური იდეოლოგიების პერსპექტივებს გასცდა. პირველად თავისთავად მნიშვნელოვნად ჩაითვალა საზოგადოებაში არსებული გენდერული განსხვავებები, რასაც საკუთარი კუთხით სჭირდებოდა გაგება. უკვე მოხდა ლიბერალური და სოციალისტური იდეების ადაპტაცია, რათა შუქი მოეფინოდა საზოგადოებაში ქალის მდგომარეობას, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მიიჩნევდა, რომ სქესი წარმოადგენს ყველაზე ფუნდამენტურს ყველა სოციალურ განსხვავებას შორის. თუმცა, XX ს-ის 60-იან და 70-იან წლებში ფემინისტური მოძრაობა ცდილობდა გამოევლინა პატრიარქალობის გავლენა არა მხოლოდ პოლიტიკაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ეკონომიკაზე, არამედ სოციალური, პირადი და სექსუალური ცხოვრების ყველა ასპექტით. ეს გეზი აშკარად ჩანდა სიმონა დე ბოვუარის გამოკვლევებში და განვითარებულ იქნა ადრეული რადიკალი ფემინისტების ნაშრომებში, ისეთების, როგორც ევა ფიგისი (Eva Figes) და ჟერმენ გრირი (Germaine Greer, დაბ. 1939) იყვნენ.

ფრანგი მწერალი, დრამატურგი და სოციალური კრიტიკოსი. დე ბოვუარი სორბონაში ფილოსოფიას ასწავლიდა 1931-1943 წლებში, მოგვიანებით კი დამოუკიდებელი მწერალი და სოციალური თეორეტიკოსი გახდა. *მეორე სქესს* (1949) მასობრივი გავლენა ჰქონდა ფემინისტურ მოძრაობაზე, ეფექტურად წამოჭრა რა გენდერული პოლიტიკის საკითხი, წინასწარ განჭვრიტა ზოგიერთი ისეთი თემა, რაც მოგვიანებით რადიკალმა ფემინისტებმა განავითარეს. დე ბოვუარი მრავალი წლის განმავლობაში თანაცხოვრობდა ჟან-პოლ სარტრთან (1905–1980).

დე ბოვუარი ამტკიცებდა, რომ ქალთა მდგომარეობას განსაზღვრავს სოციალური და არა ბუნებრივი ფაქტორები და განავითარა პატრიარქალური სტრუქტურის კომპლექსური კრიტიკა. მის ნაშრომებში ხაზგასმულია ის, თუ რა დონით აღიქმება მასკულინური დადებითად ან ნორმად, ხოლო ფემინური – "სხვად". ეს "სხვაობა" ფუნდამენტურად ზღუდავს ქალთა თავისუფლებას და ხელს უშლის მათ, სრულად გამოხატონ თავისი ადამიანობა. დე ბოვუარს სჯეროდა რომ რაციონალობა და კრიტიკული ანალიზი ამ პროცესის გამოაშკარავების საშუალებებია და მიაჩნდა, რომ ქალებს საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობა უნდა მიენიჭოთ.

ფიგისი *პატრიარქალურ მიდგომებში* (*Patriatchal Attitudes*, 1970) ყურადღებას ამახვილებდა არა იმდენად ქალებისათვის დაწესებულ ფართოდ ცნობილ იურიდიულ და სოციალურ შეზღუდვებზე, რამდენადაც პატრიარქალურ ღირებულებებსა და შეხედულებებზე, რომლებიც სჭარბობს საზოგადოების კულტურაში, ფილოსოფიაში, მორალსა და რელიგიაში. ცხოვრებისა და განათლების ყველა სფეროში ქალებს ხატავენ როგორც მამაკაცებზე დაქვემდებარებულებსა და დაბლა მდგომებს, ამავდროულად მამაკაცები ქალებს "ფემინურობის" სტერეოტიპს ახვევენ თავს. *საჭურის ქალში* (1970) გრირი ამტკიცებდა, რომ ქალებს აიძულებენ იყვნენ პასიურ სექსუალურ როლში, რამაც დათრგუნა მათი ჭეშმარიტი სექსუალობა, ისევე როგორც მათი პიროვნების უფრო აქტიური, საქმიანი მხარე. შედეგად, "მუდმივი ქალურობის" კულტურული სტერეოტიპის საშუალებით მოხდა ქალების კასტრაცია და გარდაქმნა უსქესო ობიექტებად. გრირის ნაშრომზე გავლენა იქონია ისეთმა ახალ-მემარცხენე მწერლებმა, როგორებიცაა ვილჰელმ რაიხი (Wilhelm Reich, 1897-1957) და ჰერბერტ მარკუზე (Herbert Marcuse, იხ. გვ. 155), რომლებიც ქადაგებდნენ "სექსუალური განთავისუფლების" აუცილებლობას და აკრიტიკებდნენ ტრადიციული საზოგადოების რეპრესიულ ბუნებას.

თუმცა, მხოლოდ ისეთი აქტივისტების ნაშრომებთან ერთად, როგორებიც იყვნენ ამერიკელი მწერალი ქეით მილეტი (Kate Millet, დაბ. 1934) და კანადელი ავტორი შულამით ფაიერსტოუნი (Shulamith Firestone, დაბ. 1945), შეიმუშავა რადიკალურმა ფემინიზმმა სქესობრივი ჩაგვრის სისტემატიზებული თეორია, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა დადგენილი ლიბერალური და სექსუალური ტრადიციებისაგან. რადიკალური ფემინიზმის ცენტრალუ-

რი მახასიათებელი არის რწმენა იმისა, რომ სქესობრივი ჩაგვრა არის საზოგადოების ყველაზე ფუნდამენტური მახასიათებელი და რომ ჩაგვრის ყველა სხვა სახეობა – კლასობრივი ექსპლუატაცია, რასობრივი სიძულვილი და ასე შემდეგ – უბრალოდ მეორეხარისხოვანია. გენდერი მიიჩნევა ყველაზე სიღრმისეულ და პოლიტიკურად ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ განმასხვავებლად; უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე, მაგალითად, სოციალური კლასი, რასა ან ეროვნება. აქედან გამომდინარე, რადიკალი ფემინისტები ამტკიცებდნენ, რომ საზოგადოება უნდა აიხსნას და აღიწეროს, როგორც "პატრიარქალური", რათა ხაზი გაესვას სქესობრივი ჩაგვრის ცენტრალურ როლს, ისევე როგორც სოციალისტები იყენებენ ტერმინს "კაპიტალისტი" ეკონომიკური ექსპლუატაციის მნიშვნელოვნებაზე ყურადღების გასამახვილებლად. ამრიგად, პატრიარქალობა გულისხმობს გენდერული ჩაგვრის სისტემატიზებულ, დაკანონებულ და ყოვლისმომცველ პროცესს.

მილეტმა *სქესობრივ პოლიტიკაში* (1970) პატრიარქალობა აღწერა როგორც სოციალური "მუდმივა", რომელიც გასდევს ყველა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურას და რომელიც ვლინდება ყველა ისტორიულ და თანამედროვე საზოგადოებაში, ისევე როგორც ყველა ძირითად რელიგიაში. ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული როლები სანყისს იღებენ "წრთობის" პროცესში: ყველაზე ადრეული ასაკიდან ბიჭებსა და გოგონებს უბიძგებენ შეესაბამებოდნენ კონკრეტულ გენდერულ იდენტობას. ეს პროცესი ძირითადად ოჯახში, "პატრიარქალობის მთავარ ინსტიტუტში" მიმდინარეობს, მაგრამ ის აგრეთვე აშკარაა ლიტერატურაში, ხელოვნებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ეკონომიკაში. მილეტი აყენებდა წინადადებას, რომ პატრიარქალობას უნდა დაუპირისპირდნენ "ცნობიერების ზრდის" პროცესის გზით – ეს იყო იდეა; რომელზეც XX ს-ის 60-70-იანი წლების შავკანიანთა მოძრაობამ მოახდინა გავლენა. დისკუსიებისა და განათლების გზით ქალები უნდა გახდნენ სულ უფრო და უფრო გათვითცნობიერებულნი იმ სექსიზმზე, რომელიც გამჯდარია მათ საზოგადოებაში და რომელიც უზრუნველყოფს ამ საზოგადოების სტრუქტურას, და, შესაბამისად, შესაძლებლობა ექნებათ უკეთ დაუპირისპირდნენ მას. აქედან გამომდინარე, ქალთა გათავისუფლება რევოლუციურ ცვლილებებს მოითხოვს: უნდა დაინგრეს ოჯახის ინსტიტუტი და დაემხოს საზოგადოების ყველა დონეზე მოქმედი ქალთა ფსიქოლოგიური და სქესობრივი ჩაგვრა.

ფაიერსთოუნის *სქესის დიალექტიკაში* (1972) იყო კიდევ უფრო ამბიციური მცდელობა, სოციალური და ისტორიული პროცესები სქესთა განსხვავებაზე დაყრდნობით აეხსნათ. ფაიერსთოუნმა მარქსისტული თეორია მიუსადაგა ქალის როლის ანალიზს, იმით რომ სოციალური კლასის კატეგორია შეცვალა სქესით. ფაიერსთოუნის მიხედვით, სქესთა განსხვავებები ჩნდება არა მხოლოდ სოციალური წრთობის, არამედ ბიოლოგიის ზეგავლენითაც. ქალების "დაფეხმძიმების" უნარის ზოგად ფაქტს შედეგად მოჰყვა შრომის ბუნებრივი დანაწილება იმ გარემოში, რომელსაც იგი "ბიოლოგიურ ოჯახს" უწოდებდა. ფეხმძიმობის დროს ქალები მუდამ ბიოლოგიის "წყალობაზე" არიან დამოკიდებულნი, და, შესაბამისად, იმისთვის, რომ გადარ-

ჩნენ, ბავშვების მსგავსად, მამაკაცებზე დამოკიდებულნი ხდებიან. ამისდა მიუხედავად, ფაიერსთოუნი არ აღიარებდა, რომ პატრიარქალობა ბუნებრივი ან გარდაუვალია. ის ამტკიცებდა, რომ ქალებს ძალუძთ მიაღწიონ ემანსიპაციას თავიანთი ბიოლოგიური ბუნების გადალახვითა და "ევას წყევლისაგან" თავის დაღწევით. ფაიერსთოუნს სჯეროდა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიამ სქესთა ჭეშმარიტი თანასწორობის პერსპექტივა შექმნა ქალის ფეხმძიმობისა და მშობიარობის ტვირთისაგან გათავისუფლებით. ფეხმძიმობა შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას კონტრაცეპციის საშუალებით ან შეჩერებულ იქნას აბორტის გზით, ახალი ტექნოლოგია აგრეთვე ქმნის ფეხმძიმობის თავიდან აცილების შესაძლებლობას ხელოვნური რეპროდუქციის საშუალებით სინჯარებში და ბავშვის აღზრდის მოვალეობების სოციალური ინსტიტუტებისთვის გადაბარებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეპროდუქციის ბიოლოგიური პროცესი კიბერნეტიკის გამოყენებით შეიძლება გადაიტანონ ლაბორატორიებში, რაც საშუალებას მისცემს ქალებს, პირველად ისტორიაში, გაექცნენ ბიოლოგიურ ოჯახს და საზოგადოებაში შევიდნენ, როგორც მამაკაცებთან ჭეშმარიტად თანასწორნი.

მართალია, მილეტი პატრიარქალობის ფესვებს სოციალურ პირობებში ხედავდა, ხოლო ფაიერსთოუნი მათ ბიოლოგიაში ეძიებდა, ისინი თანხმდებოდნენ იმაზე, რომ განთავისუფლება მოითხოვს მამაკაცთა და ქალთა შორის გენდერული სხვაობების შემცირებას და საბოლოოდ გაუქმებას. ორივე თვლიდა, რომ სქესთა ჭეშმარიტი ბუნება თანასწორი და იდენტურია – ფაქტი, რომელიც ამჟამად დაფარულია პატრიარქალური კულტურის გავლენით ან იმ "ნაკლოვანებით", რომ ქალები საშვილოსნოებით იბადებიან. ორივე აღიარებდა, რომ ადამიანური ბუნება თვისობრივად ანდროგინულია. თუმცა, რადიკალური ფემინიზმი რიგ განსხვავებულ ელემენტს შეიცავს და ზოგიერთი ამ ელემენტთაგან ხაზს უსვამს ქალთა და მამაკაცთა შორის ფუნდამენტურ და შეუცვლელ სხვაობას. ამის მაგალითია "პრო-ქალური" პოზიცია, რომელიც განსაკუთრებით მტკიცეა საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებში. ის მკვეთრად საპირისპიროა ფაიერსთოუნის რწმენისა, რომლის მიხედვითაც, ქალები უნდა განთავისუფლდნენ ბავშვის მუცლით ტარებისა და ბავშვის აღზრდის "წყევლისაგან". ეს პოზიცია ხოტბას ასხამს ნაყოფიერებისა და დედობის დადებით ღირსებებს. ქალები იმას კი არ უნდა ცდილობდნენ, რომ "უფრო მეტად დაემსგავსონ მამაკაცებს", არამედ უნდა აღიარონ და მიიღონ დობა, კავშირი, რომელიც მათ ყველა დანარჩენ ქალთან აერთიანებს. ამრიგად, "პრო-ქალური" პოზიცია აღიარებს, რომ ქალთა მიდგომები და ღირებულებები განსხვავებულია მამაკაცთა ღირებულებებისაგან, მაგრამ გულისხმობს, რომ გარკვეული ასპექტებით ქალები უფრო მაღლა დგანან, ვინაიდან ფლობენ შემოქმედებით, მგრძნობიარობისა და ზრუნვის ღირსებებს, რომლებსაც მამაკაცები სრულად ვერასოდეს აფასებენ ან ავითარებენ. ასეთი იდეები განსაკუთრებით ეკოფემინიზმთანაა დაკავშირებული, რომელიც მე-9 თავშია განხილული.

მამაკაცთა და ქალთა შორის შეუცვლელი განსხვავებების აღიარებამ ზოგიერთი ფემინისტი მიიყვანა კულტურულ ფემინიზმამდე, რაც გულისხმობს მამაკაცთა პოლიტიკური აქტივობის გამხრწნელი და აგრესიული

## ფემინიზმში (2)

| რადიკალური ფემინიზმი | v. | ლიბერალური ფემინიზმი |
|---|---|---|
| ქალთა განთავისუფლება | – | ქალთა ემანსიპაცია |
| პატრიარქალობა | – | გენდერული უთანასწორობა |
| დობა | – | ინდივიდუალიზმი |
| პირადული პოლიტიკურია | – | ტრადიციული პოლიტიკა |
| პირადული სფეროს გარდაქმნა | – | საზოგ./პირად. განცალკევებულია |
| გენდერული თანასწორობა | – | საზოგ. სფეროს ხელმისაწვდომობა |
| სექსუალური პოლიტიკა | – | თანასწორი უფლებ./შესაძლებ-ბი |
| რევოლუციური ცვლილება | – | რეფორმ./თანდათანობ. ცვლ-ბები |
| ცნობიერების ამაღლება | – | პოლიტიკური აქტივობა |

სამყაროდან განდგომას და შემოფარგვლას აპოლიტიკური, ქალზე აქცენტირებული კულტურითა და ცხოვრების სტილით. ამის საპირისპიროდ, სხვა ფემინისტები პოლიტიკურად ორიენტირებულნი და რევოლუციურებიც კი გახდნენ. თუ სქესთა განსხვავებები ბუნებრივია, მაშინ პატრიარქალობის ფესვები თვით მამრობით სქესში უნდა ვეძიოთ. "ყველა მამაკაცს" ფიზიკურად და ფიზიოლოგიურად აქვს მიდრეკილება, დაჩაგროს "ყველა ქალი"; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, "მამაკაცები მტრები არიან". ამგვარ მიდგომას აშკარად ფემინისტური სეპარატიზმისკენ მივყავართ. მამაკაცები ქმნიან მჩაგვრელ "სქესობრივ კლასს", რომელიც აგრესიაზე, დომინირებასა და დესტრუქციაზეა ორიენტირებული; აქედან გამომდინარე, ქალთა "სქესობრივი კლასი" "უნივერსალურ მსხვერპლს" წარმოადგენს. მაგალითად, სიუზენ ბრაუნმილერმა წიგნში *ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ* (Susan Brownmiller, *Agaisnt Our Will*, 1975) ხაზი გაუსვა იმას, რომ მამაკაცები დომინირებენ ქალებზე ფიზიკური და სექსუალური ძალადობის საშუალებით. მამაკაცებმა შექმნეს "გაუპატიურების იდეოლოგია", რომელიც გულისხმობს "დაშინების გაცნობიერებულ პროცესს, რომლის საშუალებითაც მამაკაცები ქალებს მუდმივი შიშის მდგომარეობაში ამყოფებენ". ბრაუნმილერი ამტკიცებდა, რომ მამაკაცები აუპატიურებენ იმიტომ, რომ მათ "გაუპატიურების ბიოლოგიური შესაძლებლობა გააჩნიათ" და რომ ის მამაკაცებიც კი, რომელნიც არ აუპატიურებენ, მაინც სარგებლობენ იმ შიშითა და დაძაბულობით, რომლებსაც ქალებში გაუპატიურება იწვევს.

ფემინისტები, რომლებიც არგუმენტირების ამ ხაზს მიჰყვნენ, მიიჩნევენ აგრეთვე, რომ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქალთა პირადი და სექსუალური ყოფაქცევის თვალსაზრისით. სქესთა თანასწორობა და ჰარმონია შეუძლებელია, რადგანაც მამაკაცსა და ქალს შორის ყველა ურთიერთობა უნდა შეიცავდეს ჩაგვრას. ამის გამო მიიჩნევა, რომ ჰეტეროსექსუალური ქალები "მამაკაცთან იდენტიფიცირებულნი" არიან, არ შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი ჭეშმარიტი ბუნების სრული რეალიზაცია და გახდნენ "ქალთან იდენტიფიცირებულნი". ამან შედეგად პოლიტიკური ლესბიანიზმის

განვითარება მოიტანა, რომელიც გულისხმობს, რომ სექსუალურ ორიენტაციას ქალისათვის გადამწყვეტი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ ის ქალები, რომლებიც დაუოჯახებელნი რჩებიან ან ლესბიანობას ირჩევენ, შეიძლება თვლიდნენ საკუთარ თავს "ქალად იდენტიფიცირებულ ქალებად", რომელთაც შეუძლიათ საბოლოოდ გაექცნენ მამაკაცთა ჩაგვრას. როგორც ეს თი-გრეის ატკინსონმა (Ti-Grace Atkinson) ჩამოაყალიბა: "ფემინიზმი თეორიაა, ლესბიანიზმი – პრაქტიკა." მაგრამ, სეპარატიზმისა და ლესბიანიზმის საკითხებმა ქალთა მოძრაობაში მკვეთრი უთანხმოება გამოიწვია. ფემინისტთა უმეტესობა ასეთ უკომპრომისო პოზიციას განიხილავს როგორც ამღვრეულ ანარეკლს იმ მიზოგინიისა ანუ ქალთა სიძულვილისა, რომელიც ჭარბობს მამაკაცთა საზოგადოებაში. ამის სანაცვლოდ, ისინი ერთგულნი რჩებიან სქესთა თანასწორობის მიღწევის ამოცანისა და რწმენისა, რომ არასექსისტურ საზოგადოებაში შესაძლებელია მამაკაცთა და ქალთა შორის ჰარმონიის დამყარება. აქედან გამომდინარე, მათ სჯერათ, რომ სექსუალური ორიენტაცია მხოლოდ პირადი არჩევანის და არა პოლიტიკური ვალდებულების საკითხია.

## ახალი ფემინისტური ტრადიციები

XX ს-ის 60-იანი წლებიდან სულ უფრო და უფრო რთული გახდა ფემინიზმის ანალიზი მხოლოდ სამ – ლიბერალურ, სოციალისტურ და რადიკალურ ტრადიციებად დაყოფით. ზოგჯერ განსხვავებები "ძირითად" ტრადიციებს შიგნით გაღრმავდა, ხოლო სხვა შემთხვევებში კი წაიშალა. წარმოიშვა აგრეთვე ფემინიზმის ახალი ფორმები. თუმცა ეს ახალი ფემინიზმები მრავალგვარი მიმართულებების ზეგავლენას განიცდიან, ისინი ასახავენ საერთო ინტერესს განსხვავებულობის საკითხის მიმართ, კერძოდ, ითვალისწინებენ სხვაობას ქალებს შორის და არა მხოლოდ მამაკაცისა და ქალის ურთიერთობებში. ახალ ფემინისტურ ტრადიციებში შედის ფსიქოანალიტიკური ფემინიზმი, პოსტმოდერნისტული ფემინიზმი, შავი (შავკანიანთა) ფემინიზმი და ლესბიანური ფემინიზმი. ისეთი ფემინისტები, როგორებიც იყვნენ სიმონე დე ბოვუარი, ფრიდანი და მილეტი, გააფთრებით აკრიტიკებდნენ ზოგადად ფსიქოანალიზს და კერძოდ ზიგმუნდ ფროიდს (1856-1939), და ისეთ თეორიებს, როგორებიცაა "პენისის შური" და "კასტრაციის კომპლექსი", აშკარა ქალთმოძულეობის გამოხატულებად განიხილავდნენ. თუმცა, დანყებული ჯულიეტ მიტჩელის გამოკვლევით *ფსიქოანალიზი და ფემინიზმი* (*Psychoanalysis and Feminism*, 1974), ფემინისტები თანდათან შეურიგდნენ ფროიდის ნაშრომებს, განსაკუთრებით იმ ფორმით, როგორც ის განვითარებული იყო ჟაკ ლაკანის (Jacques Lacan, 1901-81) მსგავსი მოაზროვნეების მიერ. ფსიქოანალიტიკური ფემინიზმის ცენტრალური მახასიათებელია ის, რომ პროცესი, რომლითაც მამაკაცები და ქალები გენდერებად იყოფიან და ხდება სქესობრივი განსხვავებების შექმნა, უფრო ფსიქოლოგიურად აღიქმება, ვიდრე ბიოლოგიურად.

პოსტმოდერნისტი ან პოსტსტრუქტურალისტი ფემინისტები დაუპირისპირდნენ ფემინიზმის ისეთ ფორმებს, როგორიცაა, მაგალითად, კულტურუ-

ლი ფემინიზმი, რომელიც აცხადებს, რომ არსებობს ფუნდამენტური განსხვავებები მამაკაცებსა და ქალებს შორის. მათი თვალთახედვით, არ არსებობს ისეთი რამ, როგორც ფიქსირებული ქალური იდენტობა, და "ქალის" ცნება სხვა არაფერია, თუ არა ფიქცია. თუმცა, მამაკაცთა/ქალთა დაყოფის საეჭვოობის საკითხის დაყენებით პოსტმოდერნისტული ფემინიზმი შესაძლოა ფატალურ კომპრომეტირებას უკეთებდეს თვით ქალთა მოძრაობის იდეას. შავკანიანთა ფემინიზმი დაუპირისპირდა ფემინიზმში გავრცელებულ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ხდებოდა რასობრივი განსხვავებების იგნორირება და რომელიც გულისხმობდა, რომ ქალები ერთნაირად იჩაგრებიან მათი სქესის გამო. შავი ფემინიზმი, რომელიც განსაკუთრებით ძლიერია აშშ-ში, სექსიზმსა და რასიზმს ჩაგვრის ურთიერთდაკავშირებულ სისტემებად ხატავს და ყურადღებას ამახვილებს იმ გენდერული, რასობრივი და ეკონომიკური დაბრკოლებების კონკრეტულ და რთულ დიაპაზონზე, რომელთანაც "ფერადკანიან ქალებს " უწევთ შეხება. ლესბიანურმა ფემინიზმმა მრავალფეროვანი ფორმები შეიძინა. ზოგიერთ შემთხვევაში ლესბიანიზმი განიხილება როგორც რადიკალური ფემინიზმის პოლიტიკური გამოხატულება, რომელიც წარმოადგენს ყველა ქალისათვის ხელმისაწვდომ საშუალებას, გაექცნენ პატრიარქალობას და გახდნენ "ქალად იდენტიფიცირებულნი". ამავე დროს, სხვა ლესბიანური ფემინისტები ყურადღებას ამახვილებენ ჰომოსექსუალური ქალისა და ჰეტეროსექსუალური ქალის განცდების განსხვავებაზე. აქედან გამომდინარე, ლესბიანელი ფემინისტები შეიძლება ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლას ისევე მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ, როგორც ბრძოლას პატრიარქალობის წინააღმდეგ.

## ფემინიზმი ოცდამეერთე საუკუნეში

ზოგიერთი თვალსაზრისით, ფემინისტურმა თეორიამ შემოქმედებითობის და რადიკალიზმის უმაღლეს წერტილს XX ს-ის 60-იან და ადრეულ 70-იან წლებში მიაღწია. მას შემდეგ ქალთა მოძრაობა, როგორც ჩანს, დაღმასვლას განიცდის და მოდაშია დისკუსიები ასპარეზზე "პოსტფემინიზმის" გამოსვლის შესახებ. უდავოა, რომ ფემინიზმი გარკვეულ სირთულეებს წააწყდა. პირველ რიგში, ქალთა მოძრაობა სულ უფრო და უფრო დანაწევრებული და არათანმიმდევრული ხდება; მართლაც, ზოგიერთი საერთოდ კითხვის ქვეშ აყენებს, შერჩა თუ არა აზრი საერთოდ ქალთა მოძრაობის ცნებას. მართალია, ფემინისტებს აერთიანებთ საერთო სურვილი, წინ წამოსწიონ ქალის როლი, ისინი ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ როგორ და რა საშუალებების გამოყენებით უნდა მიაღწიონ ამას. დიდი ხანია უკვე არსებობდა დაპირისპირება რეფორმისტ და რევოლუციურ ფემინისტებს, რადიკალ და სოციალისტ ფემინისტებს შორის და ისეთ სადავო საკითხებზე, როგორებიცაა სეპარატიზმი და ლესბიანიზმი. მაგრამ ახლა ეს უთანხმოებები გაიზარდა, წარმოიშვა რა განხეთქილება ისეთი საკითხების გარშემო, როგორებიცაა პროსტიტუცია, პორნოგრაფია და ცენზურა, აბორტები, დედობა, რასა და ეთნიკური კუთვნილება, სახელმწიფო დახმარება, და ასე შემდეგ. თუმცა,

ინტერესებისა და პრობლემების ასეთი ფართო დიაპაზონი ფემინიზმის ძალის მანიშნებელი უფროა, ვიდრე ფემინიზმის სისუსტეებისა. მართლაც, ეს შეიძლება უბრალოდ იმ ფაქტის ხაზგასმას უწყობდეს ხელს, რომ ფემინიზმი პოლიტიკური მოძრაობიდან პოლიტიკურ იდეოლოგიად განვითარდა, რომელიც, სხვა იდეოლოგიების მსგავსად, მოიცავს რიგ, ხშირად დაპირისპირებულ ტრადიციებს.

შემდგომი პრობლემა ისაა, რომ, ფემინიზმი მტრულ პოლიტიკურ გარემოში მოქმედებდა განსაკუთრებით XX ს-ის 80-იან წლებში. ისლამურ ქვეყნებში ფუნდამენტალიზმის გავრცელება აისახა ქალების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდევნით, მათი იურიდიული უფლებების გაუქმებითა და ჩადრისაკენ მიბრუნებით. კონსერვატიული უკურეაქცია ფემინისტურ მოძრაობაზე აშკარა იყო ინდუსტრიულ დასავლეთშიც. 1980-იანი წლების როგორც თეტჩერის, ისევე რეიგანის ადმინისტრაციები ღიად ანტიფემინისტურნი იყვნენ, ისინი მოითხოვდნენ "ოჯახური ღირებულებების" აღდგენას, ამახვილებდნენ ყურადღებას ქალის, როგორც დედისა და დიასახლისის, ტრადიციულ როლზე. ახალმა მემარჯვენეებმა სცადეს კვლავ განემტკიცებინათ "პრო-ოჯახური" პატრიარქალური ღირებულებები და იდეები, არა უბრალოდ იმიტომ, რომ ისინი ბუნებრივად მიიჩნეოდა, არამედ იმიტომაც, რომ ისინი სოციალური წესრიგისა და სტაბილურობის გარანტად აღიქმება. მაგალითად, ახალგაზრდებს შორის დანაშაულისა და ვანდალიზმის ზრდა მომუშავე დედებს დაბრალდა და როგორც აშშ-ში, ასევე დიდ ბრიტანეთში ხდებოდა მარტოხელა დედების, როგორც ტრადიციული ოჯახისათვის საფრთხის მატარებელთა და სახელმწიფო დახმარების ხარჯის გაზრდის მიზეზის "დემონიზაცია". ეს არის იმის მაგალითები, რაზეც სიუზან ფალუდი *რეაქციაში* (Susan Faludi, *Backlash*, 1991) საუბრობდა როგორც "ფემინიზმზე გადაბრალების" სინდრომის თაობაზე. ამავდროულად, ასეთი ანტიფემინიზმი ქალთა მოძრაობის მიმართ შეფარული კომპლიმენტიც იყო. ტრადიციული სოციალური და რელიგიური ღირებულებების აღდგენის მცდელობა ასახავდა ფემინიზმის წარმატებას, ებიძგა ქალებისათვის ეჭვქვეშ დაეყენებინათ არსებული მიდგომები და გადაეხედათ სქესთა ტრადიციული როლებისათვის.

ოცდამეერთე საუკუნის ფემინიზმის პრობლემაა აგრეთვე ის, რომ მისი თავდაპირველი მიზნების უმეტესობა მიღწეულია ან მიღწევასთან ახლოა, რაც პოსტფემინისტური კრიტიკის საფუძველი ხდება. ისევე როგორც მეოცე საუკუნის ადრეულ წლებში მოპოვებულ იქნა საარჩევნო უფლებები, ფემინიზმის "მეორე ტალღამ" წარმატებით იბრძოლა მრავალ ქვეყანაში აბორტების ლეგალიზაციის, ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობისა და განათლების მიღების, პოლიტიკურ და პროფესიულ ცხოვრებაში უფრო ფართო მონაწილეობის უფლების მისაღებად. ზოგი იმასაც ამტკიცებს, რომ ფემინიზმის გამარჯვება მამაკაცების ახალი სახეობის წარმოშობაშიც შეიძლება დავინახოთ, რომელიც აღარაა ისეთი შოვინისტი ფანატიკოსი, როგორც ძველი მამაკაცი, არამედ "ახალი მამაკაცია", რომელიც შეეგუა საკუთარი აგებულების "ფემინურ" მხარეებს და მზადაა გაიზიაროს ზოგიერთი საოჯახო და შინაური მოვალეობა "სიმეტრიული ოჯახის" ფარგლებში. ეგ-

რეთ წოდებული მამაკაცთა მოძრაობა ფაქტობრივად იმის მტკიცებამდეც კი მივიდა, რომ მამაკაცები გენდერული პოლიტიკის მსხვერპლნი გახდნენ და მეტად აღარ სარგებლობენ მისი უპირატესობებით. ეს თვალთახედვა გულისხმობს, რომ ფემინიზმის განვითარება უბრალოდ "მეტისმეტად შორს" წავიდა. ხედავენ რა ტრადიციული "მამაკაცური" საქმიანობების დაცემას, მზარდ კონკურენციას ქალების მხრიდან სამსახურშიც და სახლშიც, და ერთმევათ რა "პურის მომტანის" ტრადიციული როლი, მამაკაცები, განსაკუთრებით ახალგაზრდა მამაკაცები, შეიძლება ჩაიკეტონ უმოქმედობის კულტურაში და ვერ შეძლონ შეეგუონ მომავალს, რომელიც ქალური იქნება.

ამ გამოწვევების ფონზე ქალთა მოძრაობამ ნამდვილად გაიარა დერადიკალიზაციის პროცესი. მოძრაობის მეომარი და რევოლუციური ფრთა სულ უფრო და უფრო მარგინალური ხდება და ფემინისტური ლიტერატურა რევიზიონიზმის აშკარა მტკიცებულებებს შეიცავს. ფრიდანის *მეორე ეტაპიც* (1983) და გრირის *სქესი და ბედისწერაც* (1985) აღნიშნავდა ფეხმძიმობისა და დედობის მნიშვნელობას და კრიტიკის ობიექტი გახდა უფრო რადიკალი ფემინისტებისაგან ტრადიციული გენდერული სტერეოტიპების მხარდაჭერისათვის. უფრო მეტიც, ახალი ფემინისტი მოაზროვნეები ზოგადად უფრო ხატმებრძოლები და პოლიტიკურად ნაკლებ რადიკალურნი არიან, ვიდრე მათი კოლეგები XX ს-ის 60-70-იან წლებში. მაგალითად, კამილ პალიამ (Camille Paglia, 1990) გაილაშქრა ქალის როგორც "მსხვერპლის" იმიჯის წინააღმდეგ და ამტკიცებდა იმის აუცილებლობას, რომ ქალებმა მეტი პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ სექსუალურ და პიროვნულ ქცევაზე.

პოსტფემინიზმის მთავარ ილუზიას ის წარმოადგენს, რომ დაძლეულ იქნა სექსისტური ჩაგვრის ყველაზე აშკარა ფორმები და, შესაბამისად, საზოგადოება მეტად აღარაა პატრიარქალური. უდავოა, რომ ქალთა სულ უფრო დიდი რაოდენობა დადის სამსახურში, დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ეს გათხოვილ ქალთა აშკარა უმრავლესობას ეხება. მაგრამ მამაკაცების მიერ განცდილი კარიერისტული კრიზისის შესახებ არსებული დისკუსიების მიუხედავად, დაბალანაზღაურებად, დაბალი სტატუსის მქონე და ხშირად არასრული სამუშაო განაკვეთის მქონე სამუშაოებზე უმეტესად მაინც ქალები არიან დაკავებულნი. ქალებს აგრეთვე ნაკლები კონტროლი გააჩნიათ საკუთარ სხეულზე, ვიდრე მამაკაცებს, ქალურობისა და სილამაზის ჯერ კიდევ მძლავრი სტერეოტიპების წყალობით, ისინი დაქვემდებარებულ როლს ასრულებენ ქორწინებაში და არ არიან სათანადო რაოდენობით წარმოდგენილნი საზოგადოების ხელმძღვანელ პოზიციებზე. გრირი *სრულ ქალში* (The Whole Woman, 1999) თავს დაესხა მტკიცებას, რომ ქალებმა "ყველაფერი მიიღეს", იგი ამტკიცებს, რომ მათ მიატოვეს გათავისუფლების მიზანი და კმაყოფილდებიან ყალბი თანასწორობით, რომელიც ასიმილაციას გულისხმობს, და რომ ამით ისინი მამაკაცებს ემსგავსებიან. ეს ააშკარავებს პატრიარქალობის უნარს, მოახდინოს საკუთარი თავის რეპროდუქცია თაობიდან თაობაში, დაიქვემდებაროს ქალები ემანსიპაციის მოჩვენებითი ფორმების შექმნით. მარტივად რომ ვთქვათ, ფემინიზმი იარსებებს მანამ, სანამ არსებობს პატრიარქალობა. მიუხედავად ამისა, ფემინიზმისათვის მთა-

ვარი ამოცანაა ოცდამეერთე საუკუნეში, შექმნას გამოკვეთილი და თანმიმდევრული "მესამე ტალღა", რომელსაც შეეძლება შეცვალოს გენდერული ურთიერთობების ხასიათი და დაანგრიოს პოსტფემინიზმის მითი.

## რეკომენდებული ლიტერატურა


Beasley, C., *What is Feminism?* (London: Sage, 1999). ფემინიზმის ბუნების სასარგებლო კვლევა, რომელშიც ასახულია თანამედროვე ცვლილებები ფემინისტურ თეორიაში.

Bryson, V. (co-edited by Campling, J.), *Feminist Political Theory: An Introduction* (Basingstoke: Macmillan, 2003). ფემინისტური თეორიების განვითარებისა და დიაპაზონის საფუძვლიანი და გასაგები შესავალი კურსი.

Coole, D., *Women in Political Theory: From Ancient Misogyny to Contemporary Feminism*, 2nd edn (Hemel Hempstead: Harvester Wheatsheaf, 1993). დასავლეთის პოლიტიკურ აზროვნებაში ქალის მიმართ დამოკიდებულებების საინტერესო მიმოხილვა, რომელშიც განხილულია ქალთმოძულეობის მიერ მიღებული სხვადასხვა ფორმები.

Elshtain, J. B., *Public Man, Private Woman: Woman in Social and Political Thought* (Oxford: Martin Robertson, 1981). პირადისა და საზოგადოებრივის ცნებათა დასავლეთის წამყვანი პოლიტიკური მოაზროვნეების თეორიებში ასახვის კრიტიკული კვლევა ფემინისტური კუთხით.

Freedman, J., *Feminism* (Buckingham and Philadelphia, PA: Open University Press, 2001). ფემინისტური თეორიებისა და პრაქტიკის ზოგიერთი ძირითადი საკითხის მკაფიო, მოკლე და თანამედროვე შესავალი კურსი.

Schneir, M., *The Vintage book of Feminism: The Essential Writings of the Contemprorary Women's Movement* (London: Vintage, 1995). წამყვანი თანამედროვე ფემინიზმის თეორეტიკოსთა ნაშრომების სასარგებლო და მრავალმხრივი კრებული.

Squires, J., *Gender in Political Theory* (Cambridge and Malden, MA: Polity Press, 1999). ფემინისტური პოლიტიკური თეორიის ძირითადი საკითხების შინაარსიანი და ფართო დიაპაზონის მომცველი ანგარიში.

თავი 9

# ეკოლოგიზმი

*წარმოშობა და განვითარება*
*ბუნებისკენ მიბრუნება – ძირითადი თემები*
*ბუნება და პოლიტიკა*
*ეკოლოგიზმი ოცდამეერთე საუკუნეში*

## წარმოშობა და განვითარება

ტერმინი "ეკოლოგია" 1866 წელს შექმნა გერმანელმა ზოოლოგმა ერნსტ ჰეკელმა (Ernst Haeckel). ის ნაწარმოებია ბერძნული სიტყვიდან *oikos*, რაც სახლს ან საცხოვრებელ გარემოს ნიშნავს. ჰეკელი მისი საშუალებით აღნიშნავდა "ცხოველის როგორც ორგანულ, ისე არაორგანულ გარემოსთან ტოტალური ურთიერთმიმართების გამოკვლევებს". მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ეკოლოგია აღიარებულ იქნა ბიოლოგიის დარგად, რომელიც შეისწავლის ურთიერთობას ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ გარემოს შორის. მაგრამ ის თანდათან პოლიტიკურ ტერმინად გარდაიქმნება მწვანეთა მზარდი მოძრაობის მიერ მისი გამოყენების კვალობაზე, განსაკუთრებით XX ს-ის 60-იანი წლებიდან მოყოლებული. ამისდა მიუხედავად, ამ "ახალი" იდეოლოგიის სახელწოდების გარშემო მნიშვნელოვანი გაუგებრობა არსებობს.

"მწვანე" XX ს-ის 50-იანი წლებიდან გამოიყენებოდა ეკოლოგიური საკითხებისა და პროექტების მიმართ სიმპათიის აღსანიშნავად, და გვიანი 70-იანი წლებიდან სულ უფრო და უფრო იზრდებოდა იმ პოლიტიკური პარტიების რიცხვი, რომლებმაც ეს სახელწოდება მიიღეს, მათ შორის პირველები გერმანელი მწვანეები (*Die Grünen*) იყვნენ. მაგრამ მწვანეთა პარტიების წარმოშობა იმას ნიშნავდა, რომ ტერმინი ასეთი პარტიების კონკრეტულ იდეებსა და პოლიტიკას დაუკავშირეს, და არა უფრო ფართო ეკოლოგიური მოძრაობის პრინციპებს. "ენვირონმენტალიზმი", რომელიც ასევე XX ს-ის 50-იანი წლებიდან გამოიყენება, აღნიშნავს იდეებსა და თეორიებს, რომელთა ძირითადი მრწამსი ისაა, რომ ადამიანური ცხოვრება მხოლოდ ბუნებრივი სამყაროს კონტექსტში შეიძლება იყოს გაგებული. თავისთავად იგი მოიცავს მეცნიერული, რელიგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური შეხედულებების ვრცელ დიაპაზონს და არა პოლიტიკის კონკრეტულ კომპლექსს, როგორც ამას თანამედროვე მწვანეთა მოძრაობა აკეთებს. მაგრამ "ენვირონმენტალიზმის" ნაკლი ისაა, რომ იგი ზოგჯერ გამოიყენება გარემოს მიმართ ზომიერი ან რეფორმისტული მიდგომის აღსანიშნავად, რომე-

ლიც რეაგირებს ეკოლოგიურ კრიზისზე, მაგრამ ფუნდამენტურად ეჭვქვეშ არ აყენებს ბუნებრივი გარემოს მიმართ არსებულ ტრადიციულ დაშვებებს. "ეკოლოგიზმის" ღირსება ისაა, რომ იგი ხაზს უსვამს ეკოლოგიის ცენტრალურ მნიშვნელობას და ყურადღებას ამახვილებს ტრადიციულისაგან ხარისხობრივად განსხვავებულ პოლიტიკურ მიდგომაზე. მოითხოვდა რა რადიკალურ სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებასა და ადამიანებსა და ბუნებრივ სამყაროს შორის ურთიერთობების ფუნდამენტურად ახლებურ გააზრებას, ეკოლოგიზმი დამოუკიდებელ იდეოლოგიად განვითარდა.

მართალია, თანამედროვე გარემოსდაცვითი ანუ მწვანეთა პოლიტიკა მხოლოდ XX ს-ის 60-იან წლებში გამოვიდა ასპარეზზე, ეკოლოგიური იდეების ფესვები ბევრად უფრო ადრეულ წარსულში შეიძლება აღმოვაჩინოთ. მრავალთა მოსაზრებით, თანამედროვე ეკოლოგიზმის პრინციპები შეიძლება დიდად ეფუძნებოდეს ძველ წარმართულ რელიგიებს, რომლებიც "დედა მიწის" კონცეფციას ავითარებდნენ, და ისეთ აღმოსავლურ რელიგიებს, როგორებიცაა ინდუიზმი, ბუდიზმი და ტაოიზმი. მაგრამ ეკოლოგიზმი მნიშვნელოვანი დოზით იყო და არის რეაქცია ინდუსტრიალიზაციაზე. ეს აშკარა გახდა მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ქალაქური და ინდუსტრიული ცხოვრების გავრცელებამ გამოიწვია გაიდეალებული სოფლის ცხოვრების ძლიერი ნოსტალგია, გადმოცემული ისეთი მწერლების მიერ, როგორიც იყო თომას ჰარდი, და პოლიტიკური მოაზროვნეების მიერ, როგორებიც იყვნენ ამერიკელი ლიბერტანელი სოციალისტი უილიამ მორისი (William Morris, 1834-96) და პიოტრ კროპოტკინი (იხ. გვ. 234). ეს რეაქცია ხშირად ყველაზე ძლიერი ისეთ ქვეყნებში იყო, რომლებმაც ინდუსტრიალიზაციის პროცესი ყველაზე სწრაფად და დრამატულად გაიარეს. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გერმანია გადაიქცა ისეთ ინდუსტრიულ ძალად, რომელსაც შეეძლო დაპირისპირებოდა დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ეკონომიკურ ძლიერებას. ამ გამოცდილებამ ღრმა დაღი დაასვა გერმანულ პოლიტიკურ კულტურას, შექმნა მითები გლეხური ცხოვრების სიწმინდისა და ღირსეულობის შესახებ, წარმოშვა გერმანელ ახალგაზრდობაში ძლიერი მოძრაობა "უკან, ბუნებისაკენ". მეოცე საუკუნეში ამ რომანტიკულ პასტორალიზმს ექსპლუატაციას უწევდნენ ნაციონალისტები და ფაშისტები.

მეოცე საუკუნის ბოლოდან დაწყებული ეკოლოგიზმის ზრდას ბიძგი მისცა ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის შემდგომმა და უფრო მძლავრმა განვითარებამ. იმისმა შიშმა, რომ ეკონომიკურმა ზრდამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას კაცობრიობის გადარჩენასა და თვით იმ პლანეტას, რომელზეც ის სახლობს, ეკოლოგიური საკითხები კიდევ უფრო მწვავედ დააყენა. ხშირად მიიჩნევენ, რომ პირველი ნაშრომი, რომელშიც ყურადღება მიექცა მზარდ ეკოლოგიურ კრიზისს, იყო რეიჩელ კარსონის *ჩუმი გაზაფხული* (Rachel Carson, *The Sylent Spring*, 1962). სხვა მნიშვნელოვან ადრეულ ნაშრომებს შორის იყო ერლიხისა და ჰარიმანის *როგორ გადარჩე* (Erlich and Harriman, *How to Be a Survivor*, 1971) და გოლდსმითისა და თანაავტორების *გადარჩენის გეგმა* (Goldsmith et al., *Blueprint for Survival*, 1972), გაეროს არაოფიციალური ანგარიში *მხოლოდ ერთი დედამიწა* (*Only One Earth*, 1972) და რომის კლუბის *ზრდის ზღვრები* (*The Limits of Growth*, 1972). ამავდროულად, განვითარდა პო-

ლიტიკური აქტივისტი ჯგუფების ახალი თაობა, მაგალითად, *გრინფისი* (*Greenpeace*) და *დედამიწის მეგობრები* (*Friends of the Earth*), რომლებიც ყურადღებას ამახვილებდნენ ისეთ ეკოლოგიურ საკითხებზე, როგორიც არის ატომურ ენერგიასთან დაკავშირებული საფრთხეები, დაბინძურება და წიაღისეული საწვავის რესურსების შემცირება. ისეთ აღიარებულ და ბევრად უფრო დიდ ჯგუფებთან ერთად, როგორიცაა *ბუნების მსოფლიო ფონდი* (*Worldwide Fund of Nature*), ამან მოიტანა გახმაურებული და უფრო ძლიერი გარემოსდაცვითი მოძრაობის წარმოშობა. XX ს-ის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ეკოლოგიურმა საკითხებმა მიმდინარე პოლიტიკურ დღის წესრიგში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა იმ მწვანეთა პარტიების წყალობით, რომლებიც ამჟამად ინდუსტრიულ ქვეყანათა უმეტესობაში არსებობენ.

ეკოლოგიურმა პოლიტიკამ განსაკუთრებული ყურადღება მიმართა ისეთი საკითხებისკენ, როგორებიცაა: დაბინძურება, კონსერვაცია, მჟავიანი წვიმები, სათბურის ეფექტი და გლობალური დათბობა, მაგრამ ეკოლოგისტები უარყოფენ იმას, რომ ისინი უბრალოდ მორიგ, ერთი კონკრეტული საკითხის ლობირების ჯგუფს წარმოადგენენ. პირველ ყოვლისა, ეკოლოგიური მოძრაობა საკითხების ბევრად უფრო ფართო სპექტრის გადაჭრას ცდილობს. მაგალითად, გერმანიაში მწვანეები კამპანიებს ატარებდნენ როგორც ვიწრო ეკოლოგიურ საკითხებზე, ასევე ქალის როლის, თავდაცვისა და განიარაღების, სოციალური დახმარებისა და უმუშევრობის, ნაცისტური წარსულის გადახედვის აუცილებლობის თაობაზე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეკოლოგისტებმა შეიმუშავეს მსოფლიოს გაგებისა და ახსნის კონცეფციებისა და ღირებულებების რადიკალურად ახალი კომპლექსი. ეკოლოგიზმი ტრადიციული პოლიტიკური შეხედულებებისაგან განცალკევებით დგას, ვინაიდან ეკოლოგისტები იწყებენ იმის შესწავლას, რასაც სხვები, ტრადიციულად, იგნორირებას უკეთებდნენ ხოლმე: ურთიერთკავშირს, რომელიც აკავშირებს ადამიანებს ყველა ცოცხალ ორგანიზმთან, და, უფრო ფართოდ რომ ვთქვათ, "სიცოცხლის ქსელთან" (Capra, 1996). ამ მიზეზის გამო რთული და შეუძლებელიც კია ეკოლოგიზმის მოქცევა ტრადიციული მემარცხენე-მემარჯვენე პოლიტიკური დაყოფის ფარგლებში ან მისი გაგება ტრადიციული დოქტრინებისა და ფილოსოფიის პრინციპებზე დაყრდნობით, როგორც ეს ჩამოყალიბებულია გერმანელი მწვანეების ლოზუნგში: "არც მარცხნივ, არც მარჯვნივ, არამედ წინ".

## ბუნებისკენ მიბრუნება – ძირითადი თემები

ეკოლოგისტები აკრიტიკებენ ყველაზე საბაზისო დასკვნას, რომელსაც ეფუძნება ტრადიციული პოლიტიკური აზროვნება: ტრადიციული დოქტრინები და იდეოლოგიები "ანთროპოცენტრულია", ანუ მათ ცენტრში ადამიანი იმყოფება. ისინი, ეკოლოგისტების აზრით, ჩადიან სამწუხარო, კომიკურ შეცდომასაც კი, როდესაც მიიჩნევენ, რომ ადამიანი არსებობის ცენტრს წარმოადგენს. დევიდ ერენფელდი (David Ehrenfeld, 1978) ამას "ჰუმა-

ნიზმის ამპარტავნობას" უწოდებდა. მაგალითად, ტრადიციული აზროვნება სამყაროს ანალიზისას მიმართავს ადამიანებისა და მათი ჯგუფების კატეგორიებს: ინდივიდუუმს, სოციალურ კლასს, სქესს, ეროვნებასა და კაცობრიობას. უფრო მეტიც, მისი მუდმივი ღირებულებები ისინია, რაც ასახავს ადამიანურ საჭიროებებსა და ინტერესებს, კერძოდ, თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა და წესრიგი. ეკოლოგისტები ამტკიცებენ, რომ ყურადღების მხოლოდ ადამიანზე გამახვილებამ დაამახინჯა და დააზიანა ურთიერთობა ადამიანებსა და მათ ბუნებრივ გარემოს შორის. იმის ნაცვლად, რომ დაეცვათ და პატივი ეცათ დედამიწისა და მასზე მცხოვრები მრავალფეროვანი სახეობისათვის, ადამიანები ცდილობდნენ გამხდარიყვნენ, ჯონ ლოკის (იხ. გვ. 45) სიტყვით რომ ვთქვათ, "ბუნების ბატონები და მესაკუთრეები". ამ მიდგომის მიხედვით, ბუნება უნდა "დაიპყრონ", მას უნდა "შეებრძოლონ" ან მასზე უნდა "ამაღლდნენ".

ეკოლოგიზმი პოლიტიკაში ახალ სტილს წარმოადგენს. ის არ მომდინარეობს "კაცობრიობის" კონცეფციიდან ან ადამიანური საჭიროებებიდან, არამედ ხედვიდან, რომლის მიხედვითაც ბუნება წარმოადგენს ძვირფას, მაგრამ სათუთი ურთიერთობების ქსელს ცოცხალ არსებებსა (ადამიანების ჩათვლით) და ბუნებრივ გარემოს შორის. კაცობრიობას აღარ უჭირავს ცენტრალური ადგილი, არამედ ის მიიჩნევა ბუნების განუყოფელ ნაწილად. აქედან გამომდინარე, ადამიანებს მოეთხოვებათ, იყვნენ თავშეკავებულნი, ზომიერნი და ფაქიზნი და ხელი აიღონ მცდარ ოცნებაზე იმის შესახებ, რომ მეცნიერებასა და ტექნოლოგიას შეუძლია ყველა მათი პრობლემის გადაჭრა. ამ ხედვის გამოსახატად ეკოლოგისტები იძულებულნი არიან ეძებონ ახალი კონცეფციები მეცნიერების სფეროში ან ხელახლა აღმოაჩინონ ისინი რელიგიასა თუ მითოლოგიაში. ეკოლოგიზმის ძირითადი თემები შემდეგია:

- ეკოლოგია
- ჰოლიზმი
- თვითუზრუნველყოფა
- ენვირონმენტალური ეთიკა
- თვითაქტუალიზაცია

## ეკოლოგია

მწვანეთა აზროვნების ყველა ფორმის ცენტრალურ პრინციპს ეკოლოგია წარმოადგენს. ეკოლოგია ნიშნავს ორგანიზმების შესწავლას მათ "სახლში" ან "ბუნებრივ გარემოცვაში". ის განვითარდა ბიოლოგიის დამოუკიდებელ ქვედარგად მას შემდეგ, რაც სულ უფრო ფართოდ იქნა აღიარებული, რომ მცენარეები და ცხოველები არსებობენ თვითრეგულირებად ბუნებრივ სისტემებში – ეკოსისტემებში, რომლებიც შედგება როგორც სულიერი, ასევე უსულო ელემენტებისაგან. ეკოსისტემის მარტივი მაგალითებია: მინდორი, ტყე, ტბა და გუბურაც კი. მაგალითად, ტბაში ფსკერზე არსებული ნალექი შეიცავს საკვებ ელემენტებს, რომლითაც საზრდოობს სხვადასხვა მცენარე.

## ბუნების შესახებ

**ლიბერალები** ბუნებას ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილების წყაროდ განიხილავენ და, აქედან გამომდინარე, იშვიათად აყენებენ ეჭვქვეშ ადამიანის ბუნებაზე ბატონობას. ბუნება, რომელსაც თავისთავად არ გააჩნია ღირებულება, იძენს მას, როცა გარდაიქმნება ადამიანის შრომით ან როცა გამოიყენება ადამიანთა საჭიროებებისათვის.

**კონსერვატორები** ბუნებას ხშირად ხატავენ საშიშად, სასტიკადაც კი. თვლიან, რომ მას ახასიათებს ამორალური ბრძოლა და სისასტიკე, რომელიც აგრეთვე ადამიანურ ყოფასაც განსაზღვრავს. ადამიანები შეიძლება განიხილებოდნენ როგორც ბუნების ნაწილი "არსებობის დიდი ჯაჭვის" ფარგლებში. ამისდა მიუხედავად, მათი უზენაესობა უზრუნველყოფილია მათი, როგორც ბუნების მცველების სტატუსით.

**სოციალისტები**, ლიბერალების მსგავსად, ბუნებას განიხილავდნენ და ეპყრობოდნენ მხოლოდ როგორც რესურსს. მაგრამ სოციალიზმში არსებული რომანტიკული ან პასტორალური ტრადიცია ასევე ხოტბას ასხამს ბუნების სილამაზეს, ჰარმონიასა და სიმდიდრეს და ადამიანურ სრულყოფას ბუნებასთან სიახლოვეში ეძიებს.

**ანარქისტები** ხშირად ემხრობოდნენ ბუნებაზე იმ შეხედულებას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს არარეგულირებულ ჰარმონიასა და ზრდაზე. ამრიგად, ბუნება გვთავაზობს სიმარტივისა და წონასწორობის მოდელს, რომლის გამოყენება ადამიანების მიერ სოციალური ორგანიზაციის მიმართ, სოციალური ეკოლოგიის ფორმით, გონივრული იქნებოდა.

**ფაშისტები** ხშირად ემხრობოდნენ ბუნებაზე ბნელ და მისტიკურ შეხედულებას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ინსტინქტის ძალასა და სიცოცხლის პირველად ძალებზე, და რომლის მიხედვითაც ბუნებას ძალუძს გაათავისუფლოს ადამიანები დეკადენტური ინტელექტუალიზმისაგან. ბუნებას ახასიათებს სასტიკი ბრძოლა და ციკლური რეგენერაციის უნარი.

**ფემინისტები** ზოგადად მიიჩნევენ, რომ ბუნება შემოქმედებითი და კეთილისმყოფელია. ხშირად მიიჩნევენ, რომ ქალები, თავიანთი ნაყოფიერებისა და ბავშვის ძუძუთი კვების უნარის წყალობით, უფრო ახლო არიან ბუნებასთან და უკეთ შეეწყობიან ბუნების ძალებს, ვიდრე მამაკაცები, კულტურის ქმნილებანი, რომლებიც ან ფეხს ვერ უწყობენ ბუნებას, ან მასთან კონფლიქტში არიან.

**ეკოლოგისტები**, განსაკუთრებით კი ღრმა ეკოლოგისტები, ბუნებას ურთიერთდაკავშირებულ მთლიანობად მიიჩნევენ, რომელიც მოიცავს ადამიანებსაც და ცხოველებსაც, ისევე როგორც უსულო სამყაროს. ბუნება ზოგჯერ განიხილება როგორც ცოდნისა და "მართებული ცხოვრების" წყარო, ადამიანის სრულყოფა მოიპოვება ბუნებასთან სიახლოვითა და მისი პატივისცემით, და არა მასზე დომინირების მცდელობით.

**რელიგიური ფუნდამენტალისტები** ბუნებას ღვთიური შემოქმედების გამოვლინებად მიიჩნევენ: ამრიგად, რაც "ბუნებრივია", ღვთის მიერ არის ბოძებული. ეს შეიძლება გულისხმობდეს როგორც იმას, რომ ადამიანი ვალდებულია პატივი სცეს ბუნებას, ისევე იმასაც, რომ ბუნება კონკრეტულად ადამიანის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა.

ეს მცენარეები უზრუნველყოფენ ჟანგბადსა და საკვებს, რომელთა ხარჯზეც არსებობენ ტბაში ბინადარი თევზები და მწერები. როდესაც მცენარეები და ცხოველები კვდებიან, მათი სხეულები იშლება და ისინი აბრუნებენ საკვებ ელემენტებს უკან, ტბის ნალექში. ამგვარად წარმოიქმნება მუდმივი ბრუნვის პროცესი. ყველა ეკოსისტემას აქვს მიდრეკილება, თვითრეგულაციის საშუალებით მიაღწიოს ჰარმონიასა და ბალანსს. ხდება საკვებისა და სხვა რესურსების ბრუნვა, ცხოველების, მწერებისა და მცენარეების პოპულაციის მოცულობა შეესაბამება არსებული საკვების მოცულობას. მაგრამ ასეთი ეკოსისტემები არ არის სრულად "ჩაკეტილი" და თვითუზრუნველყოფადი; ყოველი ეკოსისტემა ურთიერთქმედებს სხვა ეკოსისტემებთან. ტბა შეიძლება ეკოსისტემა იყოს, მაგრამ ის აგრეთვე საჭიროებს სუფთა წყლის მარაგის მიღებას შენაკადებიდან და სითბოსა და ენერგიას მზისაგან. თავის მხრივ, ტბა საკვებით უზრუნველყოფს ნაპირებზე მცხოვრებ სახეობებს, ადამიანთა დასახლებების ჩათვლით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი სამყარო შედგება ეკოსისტემათა რთული ქსელისაგან, რომელთაგან ყველაზე დიდია გლობალური ეკოსისტემა, რომელსაც, ჩვეულებრივ, "ეკოსფეროს" ან "ბიოსფეროს" უწოდებენ.

მეცნიერული ეკოლოგიის განვითარებამ რადიკალურად შეცვალა ბუნებისა და მასში ადამიანთა ადგილის ჩვენეული გაგება. ეკოლოგია საკმაოდ მძაფრად უპირისპირდება კაცობრიობის როგორც ბუნების "ბატონ-პატრონის" ცნებას, და ამის საპირისპიროდ გვკარნახობს, რომ ყველა ადამიანური საზოგადოების, ფაქტობრივად, ყველა ადამიანის საყრდენია ურთიერთკავშირის მგრძნობიარე ქსელი, რომლის იგნორირება ყოველ წამს ხდება. ეკოლოგისტები ამტკიცებენ, რომ კაცობრიობა ამჟამად ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას სწორედ მატერიალური კეთილდღეობის ჟინიანი და ბრმა გამოდევნების გამო; მან, მარტივად რომ ვთქვათ, დაარღვია "ბუნებრივი წონასწორობა" და საფრთხე შეუქმნა თვით იმ ეკოსისტემებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ადამიანის არსებობას. ამას მრავალი რამ განაპირობებს: მსოფლიო მოსახლეობის ექსპონენციალური ზრდა; ისეთი სასრული და შეუცვლელი საწვავი რესურსების ამოწურვა, როგორებიცაა ქვანახშირი, ნავთობი და ბუნებრივი გაზი; ტროპიკული ტყეების განადგურება, რომლებიც ხელს უწყობენ ჰაერის გასუფთავებას და დედამიწის კლიმატის რეგულირებას; მდინარეების, ტბების, ტყეებისა და თვით ჰაერის დაბინძურება.; საკვებში ქიმიური, ჰორმონალური და სხვა მინარევების გამოყენება; და ბიოლოგიური მრავალფეროვნების გაქრობის საშიშროება, რაც გამოწვეულია სახეობათა გადაშენების ტემპის ათასჯერ გაზრდით და რაც ადამიანის დომინირებას დაემთხვა.

ეკოლოგიზმი გვთავაზობს ბუნებისა და მასში ადამიანთა ადგილის რადიკალურად განსხვავებულ ხედვას, რომელიც უფრო "ეკოცენტრული" ანუ ბუნებაზე ორიენტირებულია და არა ანთროპოცენტრული. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მწვანეები ან ენვირონმენტალისტები სხვადასხვაგვარად იყენებდნენ ეკოლოგიურ იდეებს და ზოგჯერ საკმაოდ განსხვავებულ დასკვნებსაც აკეთებდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ენვირონმენტალისტურ მოძრაობაში, ნორვეგიელი ფილოსოფოსის არნე ნაესის (Arne Naes,

## ეკოლოგიზმში

| "ღრმა" ეკოლოგიზმი | v. | "ზედაპირული" ეკოლოგიზმი |
|---|---|---|
| ეკოლოგიზმი | – | ენვირონმენტალიზმი |
| ეკოცენტრიზმი | – | "მსუბუქი" ანთროპოცენტრიზმი |
| მისტიციზმი | – | მეცნიერება |
| ბუნება | – | კაცობრიობა |
| რადიკალური ჰოლიზმი | – | თავშეკავებული ჰოლიზმი |
| ღირებულება თვით ბუნებაში | – | გამოყენებითი ღირებულება |
| ბიოცენტრული თანასწორობა | – | ბუნების დაცვა |
| ცხოველთა უფლებები | – | ცხოველთა დახმარება |
| სანინააღმდეგო | – | დასაშვები ზრდა |
| ეკოლოგიური ცნობიერება | – | პირადი განვითარება |

1973) ტერმინოლოგიით, განსხვავება "ზედაპირულ ეკოლოგიასა" და "ღრმა ეკოლოგიას" შორის. "ზედაპირული" მიდგომა აღიარებს ეკოლოგიის გაკვეთილებს, მაგრამ ცდილობს მიუსადაგოს ისინი ადამიანის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის გვასწავლის, რომ თუ ჩვენ შევინახავთ და მოვუვლით ბუნებრივ სამყაროს, იგი კვლავინდებურად იქნება ადამიანური სიცოცხლის საყრდენი. ეს შეხედულება გამოიხატება ისეთი საკითხების მიმართ განსაკუთრებული ყურადღებით, როგორებიცაა მოსახლეობის ზრდის კონტროლი, სასრული, არაგანახლებადი რესურსების გამოყენების შეზღუდვა და დაბინძურების შემცირება.

"ღრმა" ეკოლოგისტები უარყოფენ ზედაპირულ ეკოლოგიზმს, როგორც ანთროპოცენტრიზმის ოდნავ შეფარულ ფორმას და ამტკიცებენ, რომ მისი მთავარი ამოცანაა განვითარებული ქვეყნების მაცხოვრებელთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. "ღრმა" მიდგომა სრულიად უარყოფს ნებისმიერ შემორჩენილ რწმენას იმის შესახებ, რომ ადამიანები რაიმე კუთხით უკეთესნი ან უფრო მნიშვნელოვანნი არიან, ვიდრე სხვა სახეობები ან ვიდრე თვით ბუნება. ის ავითარებს უფრო რადიკალურ იდეას იმის თაობაზე, რომ ადამიანის დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს ბუნების შენარჩუნებას. ამრიგად, ის, რასაც ნაესი (1989) "ეკოსოფიას" უწოდებდა, წარმოადგენს ფილოსოფიურ ეკოლოგიაზე დაფუძნებულ ფუნდამენტურად ახალ მსოფლმხედველობას და აგრეთვე სრულიად ახალ მორალურ ხედვას. თავის მხრივ, ზედაპირული ეკოლოგისტები, ანუ, როგორც ისინი ამჯობინებენ საკუთარ თავს უწოდონ, "ჰუმანისტი" ეკოლოგისტები, აკრიტიკებენ ღრმა ეკოლოგიას "ირაციონალური" ან მისტიკური დოქტრინების გამოყენებისა და გამოკვეთილად არარეალისტური გადაწყვეტილებების შემოთავაზებისათვის, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში მცირედ მიმზიდველნი იქნებიან ადამიანთათვის. ალტერნატიული "სოციალური ეკოლოგიის" იდეა ამ თავში მოგვიანებით იქნება განხილული ეკოანარქიზმთან მიმართებით.

## ჰოლიზმი

ტრადიციული პოლიტიკური იდეოლოგიები არასოდეს სერიოზულად არ ეკიდებოდნენ ურთიერთობას კაცობრიობასა და ბუნებას შორის. ისინი ჩვეულებრივ გულისხმობდნენ, რომ ადამიანები ბუნებრივი სამყაროს ბატონ-პატრონნი არიან და, შესაბამისად, მათთვის ბუნება ოდნავ უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ ეკონომიკური რესურსი. ამ გაგებით ისინი უფრო პრობლემის ნაწილს წარმოადგენდნენ, ვიდრე მისი გადაწყვეტის ნაწილს. *გარდატეხის წერტილში* (The Turning Point, 1982) ფრიტიოფ კაპრამ (Fritjof Capra) ამგვარი იდეების წარმოშობის კვალს მიაკვლია ისეთ მეცნიერებთან და ფილოსოფოსებთან, როგორებიც არიან რენე დეკარტი (1596-1650) და ისააკ ნიუტონი (1642-1727). მანამდე სამყარო ორგანულად აღიქმებოდა, მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნის ეს ფილოსოფოსები მას ხატავდნენ როგორც მანქანას, რომლის ნაწილები უნდა გაანალიზდეს და გაგებულ იქნას ახლად აღმოჩენილი მეცნიერული მეთოდის საშუალებით, რომელიც გულისხმობდა ჰიპოთეზების შემოწმებას "ფაქტებთან მიმართებით" ფრთხილი, განმეორებადი ექსპერიმენტებით. მეცნიერებამ შესაძლებელი გახადა ადამიანთა ცოდნის უდიდესი წინსვლა: მან საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ინდუსტრიისა და ტექნოლოგიის განვითარებას. მეცნიერების ნაყოფი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ თანამედროვე სამყაროს ინტელექტუალურ ძიებაში დომინირება დაიწყო საიენტიზმმა, რწმენამ, რომ ჭეშმარიტების დადგენის ერთადერთი სანდო საშუალება მეცნიერული მეთოდია. მაგრამ კაპრა ამტკიცებდა, რომ ორთოდოქსულმა მეცნიერებამ, რომელსაც ის "კარტეზიანულ-ნიუტონისეულ პარადიგმას" უწოდებდა, თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისის ფილოსოფიური საფუძველი უზრუნველყო. მეცნიერება ბუნებას ეპყრობა როგორც მანქანას, რადგან გულისხმობს, რომ იგი, ნებისმიერი მანქანის მსგავსად, შეიძლება ზერელედ შეაკეთო, გააუმჯობესო ან გამოცვალო კიდეც. კაპრა ამტკიცებდა, რომ თუკი ადამიანები შეიგნებენ, რომ ისინი ბუნების ნაწილს წარმოადგენენ და არა მის ბატონ-პატრონს, მაშინ ეს ფიქსირება "კარტეზიანულ-ნიუტონისეულ პარადიგმაზე" უნდა გაუქმდეს და შეიცვალოს ახალი პარადიგმით.

ახალი პარადიგმის ძიებისას ეკოლოგიურ მოაზროვნეებს იზიდავდა სხვადასხვა იდეები და თეორიები, რომლებიც მომდინარეობდა როგორც თანამედროვე მეცნიერებიდან, ისე ძველი მითებიდან და რელიგიებიდან. თუმცა ამ იდეების გამაერთიანებელ თემას ჰოლიზმის ცნება წარმოადგენს. ტერმინი "ჰოლიზმი" 1926 წელს შექმნა იან სმუტსმა (Jan Smuts), ბურმა გენერალმა და სამხრეთ აფრიკის ორგზის პრემიერ-მინისტრმა. იგი ამ ტერმინს იყენებდა იმ იდეის გამოსახატად, რომლის მიხედვით, ბუნებრივი სამყარო შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ როგორც მთლიანობა და არა მისი ცალკეული ნაწილების მეშვეობით. სმუტსს სჯეროდა, რომ მეცნიერება რედუქციონიზმის ცოდვას ჩადის: ის აწერილმანებს ყველაფერს, რასაც სწავლობს ცალკეულ ნაწილებად და ცდილობს თითოეული ნაწილის ცალკე გაგებას. ამის საპირისპიროდ, ჰოლიზმი დაფუძნებულია რწმენაზე, რომ "მთლიანო-

ბა" უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეული "ნაწილები"; ფაქტობრივად, ის ამტკიცებს, რომ თითოეულ ნაწილს მხოლოდ სხვა ნაწილებთან და, საბოლოოდ, მთლიანობასთან მიმართებით აქვს მნიშვნელობა. მაგალითად, მედიცინაში დაავადება ტრადიციულად აღიქმებოდა, როგორც სხეულში კონკრეტული ორგანოს ან სულაც კონკრეტული უჯრედების დეფექტი და არა როგორც პაციენტის სიცოცხლის, როგორც მთელის, ბალანსის დარღვევა. აქედან გამომდინარე, ყურადღება ეთმობოდა ფიზიკური სიმპტომების განკურნებას, მაშინ როდესაც ფსიქოლოგიური, სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორები, როგორც წესი, იგნორირებული იყო.

მართალია, ბევრი მიიჩნევს, რომ მეცნიერებაა დამნაშავე იმაში, რომ ასწავლა ადამიანებს, თუ როგორ გაანადგურონ ბუნების სიმდიდრე უფრო ეფექტურად, მაგრამ სხვებმა გამოთქვეს აზრი, რომ შესაძლოა სწორედ თანამედროვე მეცნიერებამ შემოგვთავაზოს ადამიანური აზროვნების ახალი პარადიგმა. კაპრა, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ მრავალმა მეცნიერმა, განსაკუთრებით ფიზიკოსებმა, რომელთაც თვითონაც მიეკუთვნებოდა, უარი თქვა სამყაროს კარტეზიანულ-ნიუტონისეულ ხედვაზე. მეოცე საუკუნის განმავლობაში, "ახალი ფიზიკის" განვითარებასთან ერთად ფიზიკა ნიუტონის მექანიცისტურ და რედუქციონისტულ შეხედულებებზე ბევრად შორს წავიდა. მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინა მეოცე საუკუნის დასაწყისში გერმანიაში დაბადებულმა ამერიკელმა ფიზიკოსმა ალბერტ აინშტაინმა (1879-1955), რომლის ფარდობითობის თეორია ფუნდამენტურად დაუპირისპირდა დროისა და სივრცის ტრადიციულ კონცეფციებს. აინშტაინის შრომა უფრო განავრცო კვანტურმა თეორიამ, რომელიც შეიმუშავეს ისეთმა ფიზიკოსებმა, როგორებიც იყვნენ ნილს ბორი (1885-1952) და ვერნერ ჰაიზენბერგი (1901-76). ახალი ფიზიკა სუბატომური კვლევების მიღწევათა საფუძველზე წარმოიშვა და მივიდა აბსოლუტური ან ობიექტური ცოდნის უარყოფამდე. თავის მხრივ, ჰაიზენბერგმა შემოგვთავაზა "გაურკვევლობის პრინციპი": ფიზიკური სამყარო გაგებულია არა როგორც ინდივიდუალური მოლეკულების, ატომების ან სულაც ნაწილაკების კრებული, არამედ როგორც სისტემა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სისტემების ქსელი.

სამყაროს სისტემური ხედვა კონცენტრაციას ახდენს არა ცალკეულ შემადგენელ ბლოკებზე, არამედ სისტემის ორგანიზაციის პრინციპებზე. ამრიგად, ის ყურადღებას ამახვილებს ურთიერთობებზე სისტემის ფარგლებში და მთლიანობაში მისი ცალკეული ელემენტების ინტეგრაციაზე. ასეთ შეხედულებას მეტად რადიკალური ქვეტექსტები გააჩნია. მაგალითად, ობიექტური ცოდნა შეუძლებელია, რადგანაც თვით დაკვირვების ფაქტი ცვლის იმას, რაზეც დაკვირვება ხდება. მეცნიერი არ არის განცალკევებული თავისი ექსპერიმენტისაგან, არამედ არსებითად დაკავშირებულია მასთან. შესაბამისად, სუბიექტი და ობიექტი ერთია. მსგავსადვე, საჭიროა მიზეზისა და შედეგის კონცეფციების გადახედვა, რადგანაც მიიჩნევა, რომ ცვლილებები სისტემაში ვითარდება ფაქტორთა ქსელის ზემოქმედებით და არა ერთეულ, ხაზობრივ მიზეზთა მიმდევრობის სახით. კაპრა ამტკიცებდა, რომ სიცოცხლის მიმართ ასეთმა სისტემურმა მიდგომამ უკვე რევოლუციური ცვლილებები შეიტანა ფიზიკაში, ის ამჟამად ცვლის სხვა მეცნიერებებს და ერთნაირად კარგად შეიძლება გამოყენებულ იქნას სოციალური, პოლიტიკური ან ეკოლოგიური სა-

კითხების შესწავლისას. მოკლედ რომ ვთქვათ, ახალ ფიზიკას ძალუძს წარმოადგინოს პარადიგმა, რომელიც შეძლებს შეცვალოს ამჟამად გავრცელებული მექანიცისტური და რედუქციონისტური მსოფლმხედველობა.

ახალი კონცეფციებისა და თეორიების ალტერნატიული და განსაკუთრებით ნაყოფიერი წყარო რელიგიაა. *ფიზიკის ტაოში* (*The Tao of Physics*, 1975) კაპრამ ყურადღება გაამახვილა მნიშვნელოვან პარალელებზე თანამედროვე ფიზიკასა და აღმოსავლურ მისტიციზმს შორის. ის ამტკიცებდა, რომ ისეთი რელიგიები, როგორც ინდუიზმი, ტაოიზმი და ბუდიზმია, განსაკუთრებით კი ძენ ბუდიზმი, უკვე დიდი ხანია ქადაგებენ ყველაფრის ერთიანობას ან ერთობას, რაც დასავლურმა მეცნიერებამ ხელახლა მხოლოდ მეოცე საუკუნეში აღმოაჩინა. მწვანეთა მოძრაობაში ბევრს იზიდავს აღმოსავლური მისტიციზმი, რომელშიც ხედავენ როგორც ეკოლოგიური სიბრძნის გამომხატველ ფილოსოფიას, ისე ცხოვრების წესს, რომელიც სხვა ადამიანების, სხვა ცოცხალი არსებებისა და ბუნებრივი სამყაროს მიმართ თანადგომისკენ მოგვიწოდებს. სხვა ავტორებს სჯერათ, რომ ეკოლოგიურ პრინციპებს თავის თავში მოიცავენ ისეთი მონოთეისტური რელიგიები, როგორც ქრისტიანობა, იუდაიზმი და ისლამია, რომლებიც კაცობრიობასაც და ბუნებასაც ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფად მიიჩნევენ. ამ შემთხვევაში ადამიანები განიხილებიან, როგორც დედამიწაზე ღვთის რწმუნებულები, რომელთაც, შესაბამისად, ევალებათ პლანეტის მოვლა და შენარჩუნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი მწვანეებისათვის ალბათ ყველაზე გავლენიანი კონცეფცია განვითარდა წინაქრისტიანული სპირიტუალური იდეებისადმი მიბრუნების საფუძველზე. პრიმიტიული რელიგიები ხშირად ზღვარს არავლებენ ადამიანებსა და სიცოცხლის სხვა ფორმებს შორის და, შესაბამისად, მცირედ განასხვავებენ ცოცხალ და არაცოცხალ სამყაროებს. ყველა ცოცხალი არსება, ქვები, მდინარეები, მთები და თვით დედამიწა ხშირად აღიქმება, როგორც "დედა მიწა". დედა-მიწის იდეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკოლოგებისათვის, რომლებიც ცდილობენ ჩამოაყალიბონ ახალი ურთიერთობები ადამიანებსა და ბუნებას შორის, განსაკუთრებით კი იმათთვის, ვინც ამ თავში მოგვიანებით განხილულ ეკოფემინიზმს უჭერს მხარს. ჯეიმზ ლავლოკმა წიგნში *გეა: ახალი შეხედულება დედამიწაზე ცხოვრების შესახებ* (Lovelock, 1979) განავითარა იდეა, რომ თვითონ პლანეტაა ცოცხალი და მას ბერძნული მიწის ქალღმერთის სახელი "გეა" უწოდა. ლავლოკი (იხ. გვ. 318) "გეას" განსაზღვრავდა როგორც "დედამიწის ბიოსფეროს, ატმოსფეროს, ოკეანეებსა და მიწას" და ამტკიცებდა, რომ გეა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საკუთარი არსებობის შესანარჩუნებლად მოქმედებს. ლავლოკი ამას ამტკიცებდა იმის საფუძველზე, რომ დედამიწას ახასიათებს ზუსტად ისეთივე თვითრეგულირებადი ქცევა, როგორ სიცოცხლის სხვა ფორმებს. გეამ, მზის სისტემაში მომხდარი დრამატული ცვლილებების მიუხედავად, მიაღწია "ჰომეოსტაზისს", დინამიური ბალანსის მდგომარეობას. ამის ყველაზე დრამატული მტკიცებულება ისაა, რომ დედამიწის ტემპერატურა და მისი ატმოსფეროს შემადგენლობა ფაქტობრივად უცვლელი დარჩა მასზე სიცოცხლის წარმოშობის დროიდან, მიუხედავად იმისა, რომ მზის ტემპერატურა ამ ხნის განმავლობაში 25 პროცენტზე მეტად გაიზარდა. ატმოსფეროში ჟანგბადის შემცველობის ან დედამიწის საშუა-

ლო ტემპერატურის ოდნავ ცვლილებას შეეძლო საფრთხე შეექმნა პლანეტაზე სიცოცხლის ყველა ფორმისათვის. ესეში "ადამიანი და გეა" (Man and Gaia, 1988, გვ. 63) ლავლოკი გვაფრთხილებს, რომ ცოცხალი ეკოსისტემის ასეთი დიდი ბლოკის დანგრევა მაშინ, როდესაც ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ მუშაობს ეს ყველაფერი, დაახლოებით იგივეა, რომ შუა ფრენის დროს მოშალო თანამედროვე თვითმფრინავის მართვის სისტემა".

გეას იდეა განვითარდა "ეკოლოგიურ იდეოლოგიად", რომელიც შეიცავს მძლავრ მოწოდებას, რომ ადამიანებმა პატივი უნდა სცენ პლანეტის სიჯანსაღეს და იმოქმედონ მისი სილამაზისა და რესურსების დასაცავად. იგი აგრეთვე შეიცავს ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას შორის ურთიერთობის რევოლუციურ ხედვას. ლავლოკი ამტკიცებდა, რომ თვით დედამიწაა ცოცხალი და მისთვის ცოცხალი და არაცოცხალი სამყარო ერთიანია. მან ყურადღება მიაქცია, მაგალითად, იმას, რომ დედამიწაზე მიწისა და ქვების დიდი ნაწილი მცენარეების, მწერების და სიცოცხლის სხვა ფორმების გარდაქმნის შედეგადაა წარმოქმნილი და რომ ისინი, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ ამჟამად არსებული მცენარეებისა და ცხოველების არსებობას. მაგრამ გეას ფილოსოფია ყოველთვის როდი ემთხვევა ენვირონმენტალისტური მოძრაობის მოთხოვნებს. ზედაპირული ეკოლოგისტები ჩვეულებრივ ცდილობდნენ შეეცვალათ მიდგომები და შეხედულებები, რათა უზრუნველეყოთ ადამიანების, როგორც სახეობის, შემდგომი გადარჩენა. მეორე მხრივ, გეა ადამიანურ არსებებს ვერ მიეკუთვნება და გეას თეორია გულისხმობს, რომ პლანეტის ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მასზე ამჟამად მცხოვრები ნებისმიერი ცალკეული სახეობისა. ლავლოკი ამტკიცებდა, რომ წარმატებას მიაღწიეს სწორედ იმ სახეობებმა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს გეას საკუთარი არსებობის რეგულირებაში, მაშინ როდესაც ნებისმიერი სახეობა, რომელიც, ადამიანის მსგავსად, საფრთხეს უქმნის გეას მგრძნობიარე წონასწორობას, სავარაუდოდ, გადაშენდება.

---

კანადელი ატმოსფერული ქიმიის სპეციალისტი, გამომგონებელი და გარემოს დაცვის თეორეტიკოსი. კორნუოლში მცხოვრები დამოუკიდებელი მეცნიერი ლავლოკი თანამშრომლობდა NASA-სთან მათ კოსმოსურ პროგრამაში, კონსულტაციას უწევდა მუშაობას მარსზე სიცოცხლის მოძიების გზების შესახებ.

ლავლოკის ზეგავლენა მწვანეთა მოძრაობაზე მომდინარეობს მის მიერ დედამიწის წარმოჩენიდან ბიოსფეროს რთულ, თვითრეგულირებად, ცოცხალ "არსებად", რომელსაც მან გეა უწოდა (მწერალ უილიამ გოლდინგის იდეის საფუძველზე). მიუხედავად იმისა, რომ გეას ჰიპოთეზა განავრცობს ეკოლოგიურ იდეას, იყენებს მას დედამიწასთან, როგორც ეკოსისტემასთან, მიმართებით და ბუნების მიმართ ჰოლისტურ მიდგომას გვთავაზობს, ლავლოკი მაინც მხარს უჭერს ტექნოლოგიასა და ინდუსტრიალიზაციას და უპირისპირდება "ბუნებისაკენ მიბრუნების" მისტიციზმსა და დედამიწის თაყვანისცემის მსგავს იდეებს. მის მთავარ ნაშრომებს შორის აღსანიშნავია: *გეა: ახალი შეხედულება დედამიწაზე ცხოვრების შესახებ* (*Gaia: A New Look at Life on Earth*, 1979) და *გეას საუკუნეები: ჩვენი ცოცხალი დედამიწის ბიოგრაფია* (*The Ages of Gaia: A Biography of our Living Earth*, 1979).

## თვითუზრუნველყოფა

ეკოლოგისტები ამტკიცებენ, რომ მოსაზრება, რომელსაც ემხრობა ტრადიციული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტია ("ნაცრისფერი პარტიები") ისაა, რომ ადამიანის არსებობას მატერიალური ზრდისა და კეთილდღეობის უსაზღვრო შესაძლებლობები აქვს. მსოფლიოს მრავალ კუთხეში ადამიანები სარგებლობენ ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც წარმოუდგენელი იქნებოდა ორმოცდაათი და ასი წლის წინ. მეცნიერება და ტექნოლოგია გამუდმებით ჭრის ისეთ ძველ პრობლემებს, როგორებიცაა სილატაკე და ავადმყოფობები, და ხსნის ახალ შესაძლებლობებს ტელევიზიისა და ვიდეოს, კომპიუტერებისა და რობოტების, საჰაერო და კოსმოსური მგზავრობისთვისაც კი. მაგრამ, ეკოცენტრული თვალსაზრისით, უსაზღვრო კეთილდღეობისა და მატერიალური სიუხვის პერსპექტივა, "ზრდის მანია", როგორც მას ჰერმან დეილიმ (Herman Daly, 1974) უწოდა, არა უბრალოდ მცდარია, არამედ ეკოლოგიური კატასტროფის ძირითად მიზეზსაც წარმოადგენს. მართლაც, მწვანეთა თეორეტიკოსები ხშირად აერთიანებენ კაპიტალიზმსა და კომუნიზმს და მათ ორივეს "ინდუსტრიალიზაციის" მაგალითებად ხატავენ. აქედან გამომდინარე, მწვანე ეკონომიკა მოითხოვს, რომ გადაიხედოს ორთოდოქსული დასკვნები ბუნების თაობაზე და ეკონომიკური საქმიანობის დანიშნულებაზე, განსაკუთრებით კი დედამიწისა და მასზე არსებული რესურსების ჩვეულ ხედვასთან მიმართებით.

გარემოსდაცვითი მოძრაობისათვის განსაკუთრებით გავლენიან მეტაფორას წარმოადგენს "დედამიწა–კოსმოსური ხომალდი", რადგანაც ის ხაზს უსვამს შეზღუდული და სასრული სიმდიდრის ცნებას. იდეა, რომ დედამიწა შეიძლება განხილულ იქნას როგორც კოსმოსური ხომალდი, პირველად შემოთავაზებულ იქნა კენეტ ბოულდინგის მიერ (Kenneth Boulding, 1966). ღრმა ეკოლოგიის თვალთახედვით, ამ თეორიის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ იგი ეფუძნება ანთროპოცენტრულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ დედამიწა არსებობს ადამიანის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად: დედამიწა

### ინდუსტრიალიზმი

ტერმინი ინდუსტრიალიზმი, იმ გაგებით, როგორითაც მას გარემოს თეორეტიკოსები იყენებენ, გულისხმობს "სუპერიდეოლოგიას", რომელიც მოიცავს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს, მემარცხენე და მემარჯვენე შეხედულებებს. როგორც ეკონომიკურ სისტემას, ინდუსტრიალიზმს ახასიათებს ფართომასშტაბიანი წარმოება, კაპიტალის დაგროვება და შეუქცევადი ზრდა. როგორც ფილოსოფია ის ემხრობა მატერიალიზმს, უტილიტარულ ღირებულებებს, მეცნიერების აბსოლუტურ რწმენასა და ტექნოლოგიის თაყვანისცემას. აქედან გამომდინარე, მრავალი ეკოლოგისტი ინდუსტრიალიზმს "მთავარ პრობლემად" მიიჩნევს. თუმცა, ეკოსოციალისტები ბრალს უფრო კაპიტალიზმს სდებენ და არა ინდუსტრიალიზმს (რომელიც უგულებელყოფს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მფლობელობის, მოგებისა და ბაზრის როლი), მაშინ როდესაც ეკოფემინისტები ამტკიცებენ, რომ ინდუსტრიალიზმის წყარო პატრიარქატია.

ხომალდია, ჩვენი ხომალდი. ამის მიუხედავად, უსაზღვრო რესურსებისა და განუსაზღვრელი შესაძლებლობების შესახებ "დედამიწა–კოსმოსური ხომალდის" კონცეფცია ტრადიციული მრწამსის შეცვლას ემსახურება. ბოულდინგი ამტკიცებდა, რომ ადამიანები, ტრადიციულად, ისე მოქმედებდნენ, თითქოს ისინი "კოვბოური ეკონომიკის" ანუ აშშ-ის დასავლეთის ათვისების პერიოდის მსგავსი უსაზღვრო შესაძლებლობების ეკონომიკის პირობებში ცხოვრობდნენ. ბოულდინგი ამტკიცებდა, რომ ეს ხელს უწყობს, ისევე როგორც ამერიკის დასავლეთში ხდებოდა, "წინდაუხედავ, ექსპლუატატორულ და აგრესიულ მოქმედებას". მაგრამ კოსმოსური ხომალდი კაფსულაა და, შესაბამისად, მისი რესურსები სასრულია. მომავლის "კოსმოსელთა ეკონომიკაში" ადამიანებს მოუწევთ იცხოვრონ შეზღუდვებით და მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ იმ კოსმოსურ ხომალდს, რომელსაც ისინი კოსმოსურ სივრცეში გადაჰყავს.

კოსმოსურ ხომალდში ცხოვრება მოითხოვს ცხოვრების წარმმართველი ეკოლოგიური პროცესების ცოდნას. უპირველეს ყოვლისა, ადამიანებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ კოსმოსური ხომალდი "დედამიწა" ჩაკეტილი სისტემაა. ღია სისტემები ენერგიას ან მიწოდებას გარედან ღებულობენ: მაგალითად, დედამიწის ყველა ეკოსისტემას – ტბებს, ტყეებსა და ზღვებს – მზე ინახავს. ასეთი ღია სისტემები თვითრეგულირებადია და აქვთ ბუნებრივი ბალანსის ან სტაბილური მდგომარეობის დამყარების მიდრეკილება. მათგან განსხვავებით, დახურული სისტემები, როგორიცაა, მაგალითად, დედამიწა, თუ მას კოსმოსურ ხომალდად განვიხილავთ, "ენტროპიის" ნიშნებს ავლენენ. ენტროპია სისტემაში დეგრადირების ან დაშლის დონის მაჩვენებელია. ყველა ჩაკეტილ სისტემას აქვს დეგრადირების ან დაშლისაკენ მიდრეკილება, რადგან ისინი გარე წყაროებით არ არიან უზრუნველყოფილი. ისინი საკუთარ რესურსებს ეყრდნობიან, ხოლო როდესაც ეს უკანასკნელი ამოიწურება, მათი განახლება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გონივრულად მოიქცევიან ადამიანები, – დედამიწა, მზე და, საერთოდ, ყველა პლანეტა, ვარსკვლავი გამოიფიტება და მოკვდება. მაგალითად, შეუძლებელია ენერგიის უსასრულოდ რეციკლირება: ენერგიის ყოველი ტრანსფორმაციის დროს მისი ნაწილი იკარგება და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ის საერთოდ არ გაქრება. როდესაც "ენტროპიის კანონს" იყენებენ სოციალური და ეკონომიკური საკითხების მიმართ, ძალზე რადიკალურ შედეგებს ღებულობენ.

არც ერთი საკითხი ისე მკაფიოდ არ ასახავს "ენტროპიის კანონს", როგორც "ენერგეტიკული კრიზისი". ინდუსტრიალიზაცია და საერთო კეთილდღეობა შესაძლებელი გახდა ქვანახშირის, ნავთობისა და გაზის მარაგების ექსპლუატაციის შედეგად, რომლებმაც უზრუნველყვეს საწვავი ელექტროსადგურებისათვის, ქარხნებისათვის, ავტომანქანებისათვის, თვითმფრინავებისათვის და ა. შ. საწვავის ეს სახეობები წარმოადგენს წიაღისეულ საწვავს, რომელიც პრეისტორიულ დროში დაღუპული ორგანიზმების დაშლის ან დაწნეხვის შედეგია. ისინი ვერ განახლდება, ერთხელ გამოყენების შემდეგ მათი აღდგენა შეუძლებელია. ე. ფ. შუმახერი Fritz (Ernst Friedrich) Schumacher თავის წიგნში *მცირე ლამაზია* (1973) ამტკიცებდა, რომ ადამიანებმა შეცდომა დაუშვეს, როდესაც ენერგია აღიქვეს როგორც "შემოსავალი", რომელიც

გერმანიაში დაბადებული ბრიტანელი ეკონომისტი და გარემოს თეორეტიკოსი. შუმახერი ბრიტანეთში გადასახლდა 1930 წელს როგორც ოქსფორდის როდოსის კოლეჯის სტუდენტი, შემდგომ, სანამ კვლავ დაუბრუნდებოდა აკადემიურ ცხოვრებას, მიიღო ბიზნესის, ფერმერობისა და ჟურნალისტიკის პრაქტიკული გამოცდილება. ის იყო გერმანიაში ბრიტანეთის კონტროლის კომისიისა (1946-1950) და ქვანახშირის ეროვნული საბჭოს (1950-1970) ეკონომიკური მრჩეველი.

შუმახერის უმნიშვნელოვანესი ნაშრომი *მცირე ლამაზია: ეკონომიკის შესწავლა ისე, თითქოს ადამიანებს მნიშვნელობა ჰქონოდეთ* (*Small is Beautiful: A Study of Economics as if People Mattered*, 1973) იცავდა ადამიანური მასშტაბის წარმოების იდეას და მხარს უჭერდა "ბუდისტურ" ეკონომიკურ ფილოსოფიას (ეკონომიკა "ისეთი, თითქოს ადამიანებს მნიშვნელობა ჰქონოდეთ"), რომელიც ყურადღებას ამახვილებს მორალურობისა და "წესიერი შემოსავლის" მნიშვნელობაზე. თუმცა შუმახერი ეკონომიკური გიგანტიზმის მოწინააღმდეგე იყო, ის ემხრობოდა "სათანადო" მასშტაბის წარმოებას და "შუალედური" ტექნოლოგიის აქტიური დამცველი იყო.

ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად შეივსება, და არა როგორც "ბუნებრივი კაპიტალი", რომლითაც ისინი იძულებულნი არიან იარსებონ. ამ შეცდომამ დასაშვები გახადა ენერგიაზე მოთხოვნის ზრდა, განსაკუთრებით ინდუსტრიულ დასავლეთში, მაშინ როდესაც წიაღისეული რესურსები ამოწურვის ზღვარზეა და ძნელად თუ გასტანს მომავალი საუკუნის ბოლომდე. "კოსმოსური ხომალდი" უახლოვდება "წიაღისეული საწვავის საუკუნის დასასრულს", ამავდროულად კი ახლოვდება მისი მწყობრიდან გამოსვლაც, ვინაიდან ჯერჯერობით არ არსებობს ალტერნატიული საწვავი საშუალებები, რომლებითაც მოხდებოდა ქვანახშირის, ნავთობის და გაზის ამოწურვის კომპენსაცია. ჩვენი დარჩენილი საწვავი რესურსების კომპენსაცია ნიშნავს ნაკლები მანქანების ტარებას, ნაკლები ელექტრობის მოხმარებას და, მოკლედ რომ ვთქვათ, ცხოვრების უფრო დაბალი დონის შემოღების აუცილებლობის აღიარებას.

ეკოლოგიური ეკონომიკა მოიცავს არა მხოლოდ გაფრთხილებებსა და მუქარას, არამედ პრობლემის გადაწყვეტის გზებსაც. ენტროპია შეიძლება გარდაუვალი პროცესი იყოს; მაგრამ მისი ზემოქმედება შეიძლება მნიშვნელოვნად შენელდეს ან გადაიდოს, თუ მთავრობები და ცალკეული მოქალაქეები პატივს მიაგებენ ეკოლოგიურ პრინციპებს. ეკოლოგისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანის გადარჩენა და კეთილდღეობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გააცნობიერებს, რომ ის წარმოადგენს რთული ბიოსფეროს მხოლოდ ერთ ელემენტს და რომ მხოლოდ ჯანსაღ, გაწონასწორებულ ბიოსფეროს შეუძლია ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, პოლიტიკა და ქმედებები უნდა შეფასდეს "თვითუზრუნველყოფის" პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს სისტემის, ამ შემთხვევაში თვით ბიოსფეროს უნარს, შეინარჩუნოს სიჯანსაღე და გააგრძელოს არსებობა. თვითუზრუნველყოფა ადამიანის ამბიციებსა და მატერიალისტურ ოცნებებს მკაფიო ზღვარს უდებს, რადგანაც ის მოითხოვს, რომ წარმოებამ რაც შეიძლება მცირე ზარალი მიაყენოს მგრძნობიარე გლობალურ

ეკოსისტემას. მაგალითად, თვითუზრუნველყოფადი ენერგიის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს წიაღისეული საწვავის მოხმარების ძლიერ შემცირებას და ალტერნატიული, განახლებადი ენერგიის რესურსების ძიებას, როგორიცაა, მაგალითად, მზის, ქარის ან ტალღების ენერგია. ისინი თავიანთი ბუნებით თვითუზრუნველყოფადნი არიან და მათ შეიძლება მოექცე როგორც "შემოსავალს" და არა როგორც "ბუნებრივ კაპიტალს". აქედან გამომდინარე, მწვანეები ამტკიცებდნენ, რომ "წიაღისეული ენერგიის საუკუნემ" გზა "მზის საუკუნეს" უნდა დაუთმოს და მთავრობებისაგან მოითხოვდნენ განახლებადი ენერგიის წყაროების შესწავლასა და განვითარებას.

მაგრამ თვითუზრუნველყოფა მხოლოდ ბუნებრივი რესურსების უფრო შემსუბუქებულ მოხმარებას როდი მოითხოვს, არამედ ეკონომიკური საქმიანობის მიმართ ალტერნატიულ მიდგომასაც. ეს სწორედ ისაა, რის შემოთავაზებასაც შუმახერი (1973) ცდილობდა თავის "ბუდისტური ეკონომიკის" იდეაში. შუმახერისთვის ბუდისტური ეკონომიკა ეფუძნება "სწორი ცხოვრების" პრინციპს და მკვეთრად უპირისპირდება ტრადიციულ ეკონომიკურ თეორიებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ცალკეული პიროვნება სხვა არაფერია, თუ არა მაქსიმალისტი მომხმარებელი. ბუდისტებს სწამთ, რომ საქონლის შექმნისა და მომსახურების გარდა, წარმოება უზრუნველყოფს პირადულ ზრდას ცოდნისა და ნიჭის განვითარებით და ეხმარება ეგოცენტრულობის დაძლევას, რადგან ის ამყარებს სოციალურ კავშირებს და ხელს უწყობს ადამიანების თანამშრომლობას. ასეთი შეხედულება ეკონომიკას ბევრად აცილებს სიმდიდრის შექმნის ამჟამინდელი მანიისაგან, რომელიც, ეკოლოგისტების აზრით, დიდად არ წაადგა ადამიანს ცხოვრების წესისა თუ სულიერი დონის ამაღლების მხრივ. მაგრამ ბუდიზმის ძირითადი მიზანი – სულიერი განთავისუფლება – მატერიალურ კეთილდღეობასთან შეუთავსებელი როდია. შუმახერი მიუთითებდა (1973, გვ. 47): "განთავისუფლებას სიმდიდრე კი არ ელობება გზაზე, არამედ სიმდიდრეზე მიჯაჭვულობა; არა სიამოვნების მიღება სასიამოვნო რამეებისგან, არამედ მათი დაუოკებელი სურვილი". აქედან გამომდინარე, ეკოლოგიური მოძრაობა იმედოვნებს, რომ მომავალში ეკონომიკა გამოყენებული იქნება იმისთვის, რათა ემსახუროს კაცობრიობას და არა დაიმონოს იგი.

საკმაოდ დიდი დავაა იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში. ეგრეთ წოდებული "ღია მწვანეები", რომლებსაც გერმანიაში უწოდებენ *Realos* (რეალისტები), ემხრობიან "თვითუზრუნველყოფადი ზრდის" იდეას; ფაქტობრივად, გამდიდრებას, მაგრამ უფრო ნელი ტემპით. ეს გულისხმობს, რომ მატერიალური კეთილდღეობის სურვილი შეიძლება დაბალანსებულ იქნას ეკოლოგიურ ღირებულებებთან მიმართებით. ამის მიღწევის ერთ-ერთი გზაა საგადასახადო სისტემა, დაბინძურებისათვის დაჯარიმება ან მისი საწინააღმდეგო ღონისძიებები, ან არაგანახლებადი რესურსების გამოყენების შემცირება. ამ პოზიციის შუმახერისეული ვერსია ყურადღებას ამახვილებდა "ადამიანური სახის მქონე ტექნოლოგიის" ღირებულებაზე და ემხრობოდა იმას, რომ მცირემასშტაბიანმა ანუ "ადამიანური მასშტაბის მქონე" წარმოების სისტემამ უნდა შეცვალოს ის, რასაც იგი დიდი ქალაქებისა და მასობრივი წარმოების დეჰუმანიზებულ სამყაროდ მიიჩნევდა. მაგ-

რამ "მუქი მწვანეები", გერმანიაში *Fundis* (ფუნდამენტალისტები), ამტკიცებენ, რომ ასეთი შეხედულებები არასაკმარისად რადიკალურია. მათი თვალთახედვით, "თვითანაზღაურებადი ზრდის" ცნება უბრალოდ ჩქმალავს ეკოლოგიურ შიშებს, რადგან აძლევს ადამიანებს შესაძლებლობას, გააგრძელონ ცხოვრება ისე, თითქოს არაფერი ხდებოდეს. "მუქი მწვანეები" ამტკიცებენ, რომ თუკი ეკოლოგიური კრიზისის წყარო მატერიალიზმი, მომხმარებლობა და ეკონომიკური ზრდის მანიაა, პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება იყოს მხოლოდ "ნულოვანი ზრდა" და "პოსტინდუსტრიული საუკუნის" მშენებლობა, რომელშიც ხალხი იცხოვრებს მცირე სასოფლო თემებში და სხვადასხვა ხელობით იარსებებს. ეს კი გულისხმობს ინდუსტრიისა და თანამედროვე ტექნოლოგიის ფუნდამენტურ და სრულ უარყოფას, ფაქტობრივად, "ბუნებისკენ მიბრუნებას".

## ენვირონმენტალური ეთიკა

ეკოლოგიური პოლიტიკის ყველა ფორმა ცდილობს გააფართოოს მორალური აზროვნება რიგი ახალი მიმართულებებით. ამის მიზეზია ის, რომ ტრადიციული ეთიკური სისტემები მკვეთრად "ანთროპოცენტრულია". უტილიტარიზმი, მაგალითად, "კარგსა" და "ცუდს" განსაზღვრავს იმ სიამოვნებისა და ტკივილის მიხედვით, რომლებსაც განიცდიან ადამიანები. როგორც "მოხმარების მაქსიმიზატორები", ადამიანები იქცევიან – და უნდა მოიქცნენ – ისე, რომ მიიღონ მაქსიმალური ბედნიერება და მინიმალური უბედურება. თუ არაადამიანურ სამყაროს – სხვა სახეობებს, ხეებს, მცენარეებს, მიწასა და ასე შემდეგ – საერთოდ გააჩნია რაიმე ღირებულება, ის მხოლოდ ინსტრუმენტალური ხასიათისაა, საშუალებაა ადამიანური მიზნების მისაღწევად და ადამიანური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. იგივე შეიძლება ითქვას ღირებულებათა შრომის თეორიებთან მიმართებით, რომლებიც შეიმუშავეს ისეთმა მოაზროვნეებმა, როგორებიც იყვნენ ჯონ ლოკი, დავიდ რიკარდო (1772-1829) და კარლ მარქსი (იხ. გვ. 145). მათ მიხედვით, არა-ადამიანურ სამყაროს მხოლოდ ის ღირებულება გააჩნია, რომ ის "შერეულია" ადამიანის შრომასთან ან ის, რომ ადამიანებისა და ბუნების ურთიერთქმედება შრომის საშუალებით ხელს უწყობს ადამიანის ცოდნისა და გრძნობების განვითარებას.

ერთი ეთიკური საკითხი, რომელსაც ინტენსიურად ეჭიდებიან ჰუმანისტი ან ზედაპირული ეკოლოგისტები, მომავალი თაობების წინაშე ჩვენი მორალური პასუხისმგებლობაა. ეკოლოგიური საკითხების ბუნება ისეთია, რომ ბევრი ჩვენი ქმედების შედეგი შეიგრძნობა მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის ან საუკუნის შემდეგ. რატომ უნდა გვადარდებდეს წიაღისეული საწვავის ამოწურვა, თუკი ჩვენ აღარ ვიარსებებთ, როცა ისინი გაქრება? რატომ უნდა გვაწუხებდეს რადიოაქტიური ნარჩენების დაგროვება, თუკი ის თაობა, რომელსაც ეს პრობლემა რეალურად შეეხება, ჯერ არც კი დაბადებულა? აშკარაა, რომ ჩვენი და, შესაძლოა, ჩვენი ოჯახისა და მეგობრების ინტერესები უახლოეს მომავალს არ სცილდება. აქედან გამომდინარე, ეკოლოგისტები იძულებულნი არიან გააფართოონ ადამიანური ინტერესე-

ბის ცნება, რათა ის მოიცავდეს მთელ კაცობრიობას, და არ იყოს განსხვავება ამჟამინდელ და მომავალ თაობებს შორის, მათ შორის ვინც უკვე ცოცხლობს და ვინც ჯერ არ დაბადებულა. ასეთი "მომავლურობა" შეიძლება მრავალმხრივად დასაბუთდეს. მაგალითად, ეკოკონსერვატორებმა შეიძლება ის დაუკავშირონ ტრადიციასა და მუდმივობას, იმ ცნებას, რომ ამჟამინდელი თაობა წარსული თაობების მიერ დატოვებული სიმდიდრის უბრალო მეურვეა და უნდა შეუნახოს იგი მომავალ თაობებს. ეკოსოციალისტები, მეორე მხრივ, შეიძლება ამტკიცებდნენ, რომ მომავალ თაობებზე ფიქრი შეიძლება უბრალოდ ასახავდეს იმ ფაქტს, რომ კაცობრიობის თანადგომა და სიყვარული დროს არ ექვემდებარება, ისევე როგორც ის გადალახავს ეროვნულ, ეთნიკურ, გენდერულ და სხვა ბარიერებს.

ენვირონმენტალური ეთიკის მიმართ ალტერნატიული მიდგომა მოიცავს ადამიანებთან მიმართებით შექმნილი მორალური სტანდარტებისა და ღირებულებების გამოყენებას სხვა სახეობებისა და ორგანიზმების მიმართ. ამის ყველაზე ნაცნობი მცდელობა "ცხოველთა უფლებების" ფორმით გამოვლინდა. პიტერ ზინგერის (Peter Singer, 1976) მოთხოვნამ ცხოველთა სოციალური უზრუნველყოფის თაობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ცხოველთა განთავისუფლების მზარდ მოძრაობაზე. ზინგერი ამტკიცებდა, რომ სხვა სახეობების კეთილდღეობაზე ალტრუისტული ზრუნვა მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ გონიერ არსებებს შესწევთ აგრეთვე ტანჯვის განცდის უნარი. როგორც უტილიტარისტი, მან მიუთითა, რომ ცხოველები, ადამიანების მსგავსად, დაინტერესებულნი არიან თავიდან აიცილონ ფიზიკური ტკივილი და, შესაბამისად, დაგმო ადამიანის ინტერესების ცხოველების ინტერესებზე მაღლა დაყენება, როგორც "სპიშისიზმი" (ინგლ. species – სახეობა), სექსიზმისა და რასიზმის მსგავსი მიკერძოებული და ირაციონალური ცრურწმენა. მაგრამ სხვა სახეობებზე ალტრუისტული ზრუნვა არ გულისხმობს ერთნაირ მოპყრობას და ზინგერის დასაბუთება ვერ მიესადაგება ცხოვრების არაგონიერ ფორმებს, როგორებიცაა ხეები, ქვები და მდინარეები, რომელთაც ღირებულება არ გააჩნიათ.

უფრო რადიკალური იდეა იმის თაობაზე, რომ ადამიანებსა და ცხოველებს ერთნაირი მორალური სტატუსი უნდა ჰქონდეთ, განავითარა ამერიკელმა ფილოსოფოსმა ტომ რიგანმა (Tom Regan) წიგნში *ცხოველთა უფლებების დასაცავად* (*The Case for Animal Rights*, 1983), იმ საფუძველზე, რომ ყველა არსებას, რომელიც "სიცოცხლის სუბიექტს წარმოადგენს", უნდა ჰქონდეს უფლებები. ასეთი პოზიცია ძალიან ართულებს და ალბათ შეუძლებელსაც კი ხდის ცხოველთა და ადამიანთა სამყაროებს შორის მკაფიო ზღვრის გავლებას. ამისდა მიუხედავად, რიგანი აღიარებდა, რომ ადამიანებს ზოგიერთი უფლება იმის გამო აქვთ, რომ შეუძლიათ რაციონალური აზროვნება და მორალური ავტონომია გააჩნიათ, რაც მხოლოდ ზოგიერთი ცხოველის მიმართ შეიძლება იყოს გამოყენებული, კერძოდ, "ერთი წლის ან უფროსი ასაკის ნორმალური ძუძუმწოვრის" მიმართ. მაგრამ ეკოლოგიური ეთიკის მიმართ ეს ინდივიდუალისტური, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ვერ აკმაყოფილებს ღრმა ეკოლოგისტებს, რომლებიც ცდილობენ განავითარონ უფრო ჰოლისტური და ყოვლისმომცველი მორალური ხედვა.

ღრმა ეკოლოგიის მორალური პოზიცია ისაა, რომ ბუნებას თავისთავად გააჩნია ღირებულება, ანუ იგი თანდაყოლილი აქვს. ამ თვალსაზრისით, ენვირონმენტალურ ეთიკას არაფერი აქვს საერთო ადამიანის ინსტრუმენტალურ მოთხოვნილებებთან და არ შეიძლება გამოიხატოს ადამიანური ღირებულებების დანარჩენ სამყაროზე უბრალო გადატანით. გუდინი (Goodin, 1992), მაგალითად, ცდილობდა განევითარებინა "ღირებულების მწვანე თეორია", რომელიც ამტკიცებს, რომ რესურსებს ღირებულება გააჩნიათ ზუსტად იმიტომ, რომ ბუნებრივი პროცესის და არა ადამიანის საქმიანობის შედეგებს წარმოადგენენ. მაგრამ რადგანაც ეს ღირებულება მომდინარეობს ფაქტიდან, რომ ბუნებრივი პეიზაჟი ადამიანებს ეხმარება დაინახონ "გარკვეული აზრი და მოდელი თავისი ცხოვრებისათვის" და დააფასონ "რაღაც უფრო დიადი", ვიდრე თვით ისინი არიან, ის ამკვიდრებს ნარჩენ ჰუმანიზმს, რაც არ აკმაყოფილებს ზოგიერთ ღრმა ეკოლოგისტს. უფრო რადიკალური პოზიციის კლასიკური ჩამოყალიბება მოცემულია ალდო ლეოპოლდის *ქვიშის ოლქის ალმანახში* (Aldo Leopold, *Sand County Almanac* ([1948] 1968, გვ. 225) "მიწის ეთიკის" ფორმით: "სწორია ის, რაც ბიოსაზოგადოების ერთიანობის, სტაბილურობისა და სილამაზის შენარჩუნებას ემსახურება. არასწორია ის, რაც ამის საპირისპიროდ მოქმედებს." ამრიგად, თვით ბუნება წარმოჩენილია როგორც ეთიკური საზოგადოება, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანები უბრალოდ "ჩვეულებრივი მოქალაქეები" არიან, რომლებსაც არ გააჩნიათ უფრო მეტი უფლებები და არ იმსახურებენ მეტ პატივისცემას, ვიდრე ამ საზოგადოების ნებისმიერი სხვა წევრი. ეს მორალური პოზიცია "ბიოცენტრულ თანასწორობას" გულისხმობს", პრინციპს, რომლითაც ეკოსფეროში არსებულ ყველა ორგანიზმსა და ერთეულს თანაბარი მორალური ღირებულება გააჩნია, ვინაიდან თითოეული მათგანი ურთიერთდაკავშირებული მთლიანობის ნაწილს წარმოადგენს. არნე ნაესმა (Naess, 1989) ეს ჩამოაყალიბა, როგორც "ცხოვრებისა და კეთილდღეობის თანაბარი უფლება". ამისდა მიუხედავად, ღრმა ეკოლოგიის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს პოზიცია ემყარება ბუნებაზე არარეალისტურ, არკადიულ შეხედულებას, რომელიც უგულებელყოფს, მაგალითად, საკვებ ჯაჭვსა და ბრძოლას გადარჩენისათვის, ან რომ ეს პოზიცია "ბუნების თვითღირებულების" თაობაზე ვერ აცნობიერებს, რომ მორალი ადამიანის გამოგონებაა და ბუნება "ბუნებრივია" სწორედ იმიტომ, რომ ამორალურია.

## თვითაქტუალიზაცია

ვინაიდან ეკოლოგიზმის ერთ-ერთ მუდმივ თემას ადამიანის მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად მოქმედებისა და მატერიალური სიხარბის უარყოფა წარმოადგენს, ის ცდილობს განავითაროს ალტერნატიული ფილოსოფია, რომელიც პიროვნულ თვითრეალიზაციას ბუნებასთან წონასწორობას დაუკავშირებს. XX ს-ის 60-იანი წლებიდან მოყოლებული გარემოსდაცვითი საკითხებისადმი ყურადღების ზრდა, ჩვეულებრივ, უკავშირდება პოსტმატერიალიზმის ფენომენს (ინგლეჰარტი, Inglehart, 1977). პოსტმატერიალიზმი არის თეორია, რომელიც პოლიტიკური პრობლემებისა და

ღირებულებების ხასიათს ეკონომიკური განვითარების დონეების მეშვეობით ხსნის. ის ზედაპირულად ეყრდნობა აბრაჰამ მასლოუს (Abraham Maslow, 1908-1970) "საჭიროებათა იერარქიას", რომელიც დაფასებისა და თვითაქტუალიზაციის საჭიროებას მატერიალურ და ეკონომიკურ საჭიროებებზე მაღლა აყენებს. პოსტმატერიალიზმი ამტკიცებს, რომ იმ დროს, როდესაც მატერიალური სიღარიბე ეგოისტურ და მომხმარებლურ დამოკიდებულებებს ასაზრდოებს, ფართოდ გავრცელებული კეთილდღეობის პირობებში პიროვნებები შეძლებენ მეტი ინტერესი გამოიჩინონ პოსტმატერიალური ან "ცხოვრების ხარისხის" საკითხებისადმი. ისინი, ჩვეულებრივ, უკავშირდება მორალს, პოლიტიკურ სამართლიანობასა და პირად თვითრეალიზაციას, და მოიცავს ფემინიზმს, მსოფლიო მშვიდობას, რასობრივ ჰარმონიას, ეკოლოგიასა და ცხოველთა უფლებებს. გარკვეულწილად, ეკოლოგიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი "ახალი" სოციალური მოძრაობა, რომელიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახალ მემარცხენეობასთან, რომელიც უარყოფდა ტრადიციული საზოგადოების იერარქიულ, მატერიალისტურ და პატრიარქალურ ღირებულებებს.

თუმცა, ალბათ უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა ახალი სოციალური მოძრაობა, ეკოლოგიზმი ხასიათდება რადიკალური და ინოვაციური აზროვნებით ადამიანის გრძნობებისა და თვითრეალიზაციის ბუნების თაობაზე. მაგალითად, ყველა ეკოლოგისტი გარკვეული დოზით ემხრობა შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ადამიანის განვითარება სახიფათოდ დაუბალანსებელი გახდა: ადამიანებს აქვთ უზარმაზარი "ნოუჰაუ" და მატერიალური სიმდიდრე, მაგრამ ძალზე მცირედ აცნობიერებენ, რისთვისაა ეს ყველაფერი საჭირო. კაცობრიობამ შეიძინა უნარი, დაიკმაყოფილოს თავისი მატერიალური ამბიციები, მაგრამ არა იმის სიბრძნე, რომ საკუთარ თავს დაეკითხოს, თუ რამდენად გონიერი ან, საერთოდ, აზრიანია ეს ამბიციები. როგორც შუმახერი (1973) გვაფრთხილებდა: "ადამიანი ამჟამად მეტისმეტად ჭკვიანია საიმისოდ, რომ სიბრძნის გარეშე გადარჩენა შეძლოს." თუმცა, ზოგიერთ ზედაპირულ ან ჰუმანისტ ეკოლოგისტს სერიოზული შიშები უჩნდება, როცა სიბრძნის ეს ძიება რელიგიური მისტიციზმის ან "ნიუ ეიჯის" იდეების სფეროში გადადის. მაგალითად, მიურეი ბუკჩინი (Bookchin, იხ. გვ. 332) ასეთ ტენდენციებს "ანტიჰუმანიზმის" ფორმად მიიჩნევდა, ამტკიცებდა რა, რომ მითოლოგიზებული "ბუნების" შექმნა იმის მანიშნებელი იქნება, რომ ადამიანებმა სრულიად დაკარგეს საკუთარი თავის რწმენა და ხელი აიღეს სოციალურ პრობლემებზე. ამისდა მიუხედავად, მრავალმა მწვანემ, განსაკუთრებით კი იმათ, ვინც ღრმა ეკოლოგიას ემხრობა, მიიღეს ეს მსოფლმხედველობა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავებულია იმ იდეებისაგან, რომლებიც დომინირებდნენ განვითარებული დასავლეთის პოლიტიკურ აზროვნებაში. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს "პარადიგმის წანაცვლების" საფუძველია, რის განხორციელებასაც ეკოლოგიზმი ცდილობს და მის გარეშე ის იძულებული იქნება გაიმეოროს "ძველი" პოლიტიკის შეცდომები, რადგანაც ვერ შეძლებს გადალახოს ამ უკანასკნელის კონცეფციები და დასკვნები.

ღრმა ეკოლოგისტები, ჩვეულებრივ, სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ პოლიტიკაზე მათ შეხედულებას გარკვეულწილად სულიერი მხარე გააჩნია. ბუნებასთან სიახლოვე უბრალოდ თეორიული ან ეთიკური პოზიცია როდია; ის თავის სიღრმეში ადამიანურ გამოცდილებას, "ენვირონმენტალური ცნობიერების" ან "ეკოლოგიური სელფის" მიღწევას გულისხმობს. ავსტრალიელი ფილოსოფოსი უორვიკ ფოქსი (Warwick Fox, 1990) მოუწოდებდა ღრმა ეკოლოგიის გადალახვისა და "ტრანსპერსონალური ეკოლოგიის" მიღებისკენ, რომლის არსიც იმის გათვითცნობიერებაა, "რომ ყველაფერი თავისთავად არსებობს", რომ ადამიანები და ყველა სხვა ქმნილება ერთიანი ურღვევი რეალობის ნაწილია. ნაესისათვის თვითრეალიზაცია მიიღწევა უფრო ფართო და ღრმა "სხვებთან იდენტიფიკაციით". ასეთი იდეები ხშირად ყალიბდებოდა აღმოსავლური რელიგიების, განსაკუთრებით კი ბუდიზმის გავლენით, რომელიც თავისთავად ეკოლოგიურ ფილოსოფიად მიიჩნევა. ბუდიზმის ერთ-ერთი ძირითადი დოქტრინა მდგომარეობს "სელფის არარსებობის" ("no self") იდეაში, ცნებაში, რომლითაც ინდივიდუალური ეგო მითი ან შეცდომაა და რომ გამოღვიძება ან განათლება გულისხმობს საკუთარი თავის გადალახვას და იმის აღიარებას, რომ თითოეული პიროვნება დაკავშირებულია ყველა სხვა ცოცხალ არსებასთან და თვით სამყაროსთან.

ეს შეიძლება ერთგვარ ჰოლისტურ ინდივიდუალიზმად განვითარდეს, სადაც თავისუფლება უტოლდება "არსებობის" განცდასა და ორგანული ერთობის შეგრძნებას. ასეთ იდეებს აყალიბებდა თავის ნაშრომში *ფლობა თუ ყოფნა* (*To Have or To Be*, 1979) გერმანელი ფსიქოანალიტიკოსი და სოციალური ფილოსოფოსი ერიხ ფრომი (1900-80). ფრომი "ფლობას" ხატავდა როგორც გონების მიდგომას, რომელიც სრულყოფას დაუფლებასა და კონტროლში ეძებს და მკაფიოდ აისახება მომხმარებლობასა და მატერიალისტურ საზოგადოებაში. ამის საწინააღმდეგოდ, "ყოფნა" სიამოვნებას ღებულობს განცდიდან და გაზიარებიდან და მას პირადულ ზრდასა და სულიერ ცნობიერებამდე მიეყავართ. თუმცა ერიხ ფრომმა მიუთითა, რომ "ყოფნაზე ორიენტირებული" არსებობა მოითხოვს არა უბრალოდ რადიკალურ სოციოპოლიტიკურ ცვლილებებს, არამედ, არც მეტი, არც ნაკლები, კაცობრიობის გარდაქმნას.

## ბუნება და პოლიტიკა

ღრმა ეკოლოგები, ჩვეულებრივ, უარყოფენ ტრადიციულ პოლიტიკურ შეხედულებებს, რადგანაც ისინი უბრალოდ ანთროპოცენტრიზმის სხვადასხვა ვერსიებია და თითოეულს ბუნების საწინააღმდეგო განწყობა ახასიათებს. ეკოლოგიური და ჰოლისტური პრინციპების რადიკალური გამოყენების შედეგად განვითარდა მოთხოვნა, რომ შემუშავდეს სრულიად ახალი იდეოლოგიური პარადიგმა (მართალია, ბევრი ეწინააღმდეგება ტერმინ "იდეოლოგიას", რადგანაც ის ადამიანზე აქცენტირებული აზროვნების ასოციაციას ბადებს). ამისდა მიუხედავად, სხვა ეკოლოგიურმა ან გარემოსდამცველმა მოაზროვნეებმა შთაგონება მეტი ან ნაკლები დოზით სწორედ

არსებული პოლიტიკური ტრადიციებიდან მიიღეს. ასეთი პოზიციები ეყრდნობა რწმენას, რომ ეს ტრადიციები შეიცავენ ღირებულებებსა და დოქტრინებს, რომელთაც ძალუძთ მოიცვან ადამიანის მიღმა არსებული ბუნების შესახებ დადებითი შეხედულება, და შუქს ჰფენენ იმას, თუ როგორ წარმოიშვა ეკოლოგიური კრიზისი და როგორ შეიძლება მისი დაძლევა. ამ კუთხით, ეკოლოგიზმი, ნაციონალიზმისა და ფემინიზმის მსგავსად, ფართო დიაპაზონიან იდეოლოგიად შეიძლება იქნას მიჩნეული. სხვადასხვა დროს კონსერვატორები, ფაშისტები, სოციალისტები, ანარქისტები, ფემინისტები და ლიბერალები ამტკიცებდნენ, რომ განსაკუთრებულად თანაუგრძნობენ ბუნებას. მაგრამ ისინი ეკოლოგიურ იდეებს მეტად მრავალფეროვანი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებდნენ. ეკოლოგიზმის ფარგლებში არსებული უმნიშვნელოვანესი ქვეტრადიციების შემდეგია:

- მემარჯვენე ეკოლოგიზმი
- ეკოსოციალიზმი
- ეკოანარქიზმი
- ეკოფემინიზმი

## მემარჯვენე ეკოლოგიზმი

მართალია, თანამედროვე მწვანეთა პოლიტიკას უკავშირებენ იდეებსა და პრობლემატიკას, რომელიც ზოგადად მემარცხენეობად აღიქმება – მაგალითად, დეცენტრალიზაციისა და პირდაპირი მოქმედებების რწმენა, და დაპირისპირება იერარქიზმსა და მატერიალიზმთან – პოლიტიკური ეკოლოგიის ადრეული გამოვლინებები არსებითად მემარჯვენე ორიენტაციისა იყო (ბრომუელი, Bramwell, 1989). ყველაზე დრამატულად ეს გამოვლინდა გერმანიაში, ნაციზმის პერიოდში, ეკოლოგიზმის ფაშისტური ფორმის წარმოშობით. მისი მთავარი წარმომადგენელი იყო უოლტერ დარე (Walter Darré), რომელიც ჰიტლერის დროს (1933-1942 წლებში) სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო და ასევე ნაცისტური გლეხობის ლიდერის პოსტიც ეკავა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გერმანიის სწრაფმა ინდუსტრიალიზაციამ წარმოშვა ძლიერი მოძრაობა "უკან მიწისაკენ", რომელიც განსაკუთრებით მიმზიდველი იყო სტუდენტებისა და ახალგაზრდობისათვის. "გერმანელი ახალგაზრდობის მოძრაობა" განვითარდა *Wandervoegel*-იდან, გერმანელი სტუდენტების ჯგუფებიდან, რომლებმაც ქალაქური ცხოვრების გაუცხოებისაგან თავის დასაღწევად ტყეებსა და მთებს მიაშურეს. დარეს იდეები ნორდიკული რასიალიზმისა (იხ. გვ 267) და სოფლის ცხოვრების იდეალიზაციის ნაზავს წარმოადგენდა, რაც გაერთიანდა "სისხლისა და მიწის" აგრარულ ფილოსოფიაში, რომელიც რამდენიმე საკითხში ემთხვეოდა ნაციონალ-სოციალიზმს. ნაციზმი, მაგალითად, დაკავშირებული იყო ვიტალიზმის ფორმასთან, რომელიც განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას "სასიცოცხლო ძალაზე" და ამგვარად უპირისპირდება მატერიალიზმის ნებისმიერ ფორმას. როგორც გლეხთა ლიდერი, დარე პასუხისმგებელი იყო მემკვიდრეობითი ფერმერული საკუთრების კანონის შემოღებაზე, რომელიც

მცირე და საშუალო ფერმების მეპატრონეებს მიწათმფლობელობის სრული უსაფრთხოების გარანტიებს აძლევდა. მან აგრეთვე შექმნა "კვების პროდუქტების ნაციონალური მეურნეობა" სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარზე გატანის მიზნით, რათა მაღალი ფასები შეენარჩუნებინა კვების პროდუქტებზე და ხელი შეეწყო სოფლის კეთილდღეობისათვის.

ნაციზმთან კავშირის მიუხედავად, დარეს იდეებს ბევრი რამ აქვთ საერთო თანამედროვე მწვანე მოძრაობასთან. პირველ რიგში, ის დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ბუნებასთან ახლოს და მიწაზე გატარებული ცხოვრება შეიძლება იყოს სრულად დამაკმაყოფილებელი, შესაბამისად, მას სურდა გლეხური გერმანიის აღდგენა. ამ იდეების გამოხმაურებას ვხედავთ ისეთ თანამედროვე ეკოლოგისტებთან, როგორიცაა, მაგალითად, ედვარდ გოლდსმიტი (Edward Goldsmith, 1988). უფრო მეტიც, დარე გახდა თავგამოდებული დამცველი ორგანული სოფლის მეურნეობისა, რომელიც მხოლოდ ბუნებრივ სასუქებს იყენებს, მაგ. ნაკელს. დარე იზიარებდა ორგანული ციკლის, ცხოველი – მიწა – საკვები – ადამიანები, არსებობას, რომელიც მან ავსტრიელი ფილოსოფოსისა და პედაგოგ-თეორეტიკოსის რუდოლფ შტაინერის (Rudolph Steiner, 1861-1925) და ანთროპოსოფიური მოძრაობის წარმომადგენელთა ნაშრომებში აღმოაჩინა. ორგანული სოფლის მეურნეობა ასახავს ეკოლოგიურ პრინციპებს და იგი ეკოლოგიურად უსაფრთხო სოფლის მეურნეობის თეორიის ძირითადი ქვაკუთხედი გახდა. მესამე რაიხის პერიოდში დარეს გლეხურმა იდეოლოგიამ ნაცისტები გერმანიის სოფლის მოსახლეობის ერთგული მხარდაჭერით უზრუნველყო. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დარე მეცნიერული რასიალიზმის მომხრე იყო, იგი არასოდეს ყოფილა ნაცისტი და საჯაროდ ემიჯნებოდა Führerprinzip-ს ანუ ლიდერის პრინციპს, აგრეთვე ექსპანსიასა და იმპერიაზე საუბრებს. რეალურად ნაცისტურმა რეჟიმმა ცოტა რამ გააკეთა მძლავრი, გლეხური გერმანიის თაობაზე დარეს ოცნების განხორციელებისათვის. "სისხლისა და მიწის" იდეის ერთგულების მიუხედავად, სამხედრო ექსპანსიის ჰიტლერისეულმა მანიამ გააძლიერა გერმანიის ინდუსტრიალიზაცია და სოფელს სიღატაკე მოუტანა.

"რბილი" მემარჯვენეობის ფარგლებში კონსერვატორებმაც გამოხატეს სიმპათია ეკოლოგიური საკითხების მიმართ. ეკოკონსერვატიზმი ასახავს რომანტიკულ და ნოსტალგიურ მიჯაჭვულობას ცხოვრების სოფლური წესის მიმართ, რომელსაც ქალაქების ზრდა უქმნის საფრთხეს. ის ინდუსტრიალიზაციისა და "პროგრესის" იდეაზე აშკარა უკურეაქციას წარმოადგენს. მომავალში იგი მოელის არა პოსტინდუსტრიული საზოგადოების აშენებას, რომელიც დაფუძნებული იქნება თანამშრომლობისა და ეკოლოგიის პრინციპებზე, არამედ უფრო ნაცნობი, პრეინდუსტრიული საზოგადოებისაკენ მიბრუნებას ან მის შენახვას ისახავს მიზნად. ასეთი ეკოლოგიური მიდგომისას, ჩვეულებრივ, ყურადღებას ამახვილებენ კონსერვაციის იდეაზე და ბუნებრივი მემკვიდრეობის – ნაკრძალების, ტყეებისა და ა. შ., აგრეთვე არქიტექტურული და საზოგადოებრივი მემკვიდრეობის დაცვის მცდელობებზე. აქედან გამომდინარე, ბუნების კონსერვაციას უკავშირებენ ტრადიციული ღირებულებებისა და ინსტიტუტების დაცვას. შესაბამისად, ეკოლოგია შეიძლება გულისხმობდეს დაბრუნებას ფეოდალურ წარსულში, როცა მიწა

მცირერიცხოვანი უმცირესობის ხელში იქნება და იარსებებს ზემოდან დადგენილი პოლიტიკური კონტროლი. მაგალითად, ბრიტანული ეკოლოგიზმის მამა ედუარდ გოლდსმითი ამტკიცებდა, რომ ეკოლოგიურ საზოგადოებაში აღდგება ოჯახისა და საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული წესრიგი, რის შედეგადაც შეიქმნება ძლიერი ავტორიტარული ხელისუფლება.

## ეკოსოციალიზმი

მწვანეთა მოძრაობა სოციალიზმის მკაფიოდ გამოკვეთილ ელემენტს შეიცავს და ეს განსაკუთრებით აშკარაა გერმანელ მწვანეებში, რომელთა ლიდერების დიდი ნაწილი ადრე უკიდურესად მემარცხენე დაჯგუფებების წევრები იყვნენ. ეკოსოციალიზმი ხშირად ესესხება მარქსისტულ ანალიზს და, ჩვეულებრივ, ცდილობს გაემიჯნოს იმ კვაზირელიგიურ იდეებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ეკოლოგიური მოძრაობის სხვა მიმართულებებზე. მაგალითად, წამყვანი გერმანელი ეკოსოციალისტი რუდოლფ ბარო (Rudolph Bahro, 1982) ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმი ეკოლოგიური პრობლემების ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ბუნებრივი სამყარო განიძარცვა ინდუსტრიალიზაციის გამო, მაგრამ ეს უბრალოდ მოგების კაპიტალისტური ძიების შედეგია. ამრიგად, კაპიტალიზმს ახასიათებს არა მხოლოდ კლასობრივი კონფლიქტი, არამედ ბუნებრივი გარემოს განადგურებაც. ხდება როგორც ადამიანის შრომის, ასევე ბუნების ექსპლუატაციაც, ვინაიდან ორივე, უბრალოდ, ეკონომიკურ რესურსად მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების ნებისმიერი მცდელობა უნდა შეიცავდეს სოციალური ცვლილებების რადიკალურ პროცესს, ზოგის აზრით, სოციალურ რევოლუციასაც კი. მაგრამ თვით მარქსის პოზიცია ბუნებრივ სამყაროსთან მიმართებით გარკვეული დავის საგანია. მართალია, ზოგი მიიჩნევს, რომ მისეული რწმენა მწარმოებლური ძალების პროგრესული განვითარების შესახებ ინდუსტრიალიზაციის კლასიკურ გამოხატულებას წარმოადგენს, სხვები ამტკიცებენ, რომ მის ადრეულ ნაშრომებში მოცემული ბუნების "ჰუმანიზაციისა" და ადამიანის "გაბუნებრივების" აღწერა აშკარად ეკოლოგიური ხასიათისაა.

ეკოსოციალიზმის საკვანძო თემას წარმოადგენს იდეა, რომ კაპიტალიზმი ბუნებრივი გარემოს მტერია, ხოლო სოციალიზმი – მეგობარი. მაგრამ ისევე როგორც სოციალისტური ფემინიზმის შემთხვევაში, ასეთი ფორმულა შეიცავს დაძაბულობას ორ ელემენტს შორის, ამ შემთხვევაში "წითელ" და "მწვანე" პრიორიტეტებს შორის. თუ ეკოლოგიური კატასტროფა კაპიტალიზმის ნარჩენ პროდუქტს წარმოადგენს, ეკოლოგიური პრობლემების მოვლა ყველაზე ადვილია კაპიტალიზმის გაუქმებით ან მისი შერბილებით მაინც. შესაბამისად, ეკოლოგისტებმა ცალკე მწვანე პარტიები კი არ უნდა შექმნან ან ვიწრო ეკოლოგიური პროფილის ორგანიზაციები კი არ უნდა მოაწყონ, არამედ უფრო ფართო სოციალისტური მოძრაობის ფარგლებში იმუშაონ და იბრძოლონ ძირითადი პრობლემის გადასაჭრელად, რომელსაც ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს. მეორე მხრივ, სოციალიზმს განიხი-

ლავენ აგრეთვე როგორც ერთ-ერთ "პრო-პროდუქციულ" პოლიტიკურ მრწამსს: ის მოუწოდებს პლანეტის სიმდიდრის ექპლუატაციისკენ, თუმცა, მართალია, მთელი კაცობრიობისთვის და არა მხოლოდ კაპიტალისტთა კლასისათვის. სოციალისტური პარტიები არ ჩქარობდნენ ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავებას, ვინაიდან ისინი, სხვა "ნაცრისფერი" პარტიების მსგავსად, ამომრჩევლების თვალში საკუთარ პოპულარობას კვლავაც ეკონომიკური ზრდის დაპირებებს უკავშირებდნენ. ამის შედეგად, ეკოლოგისტები ხშირად არ ემხრობოდნენ მწვანის წითლისადმი დაქვემდებარებას, და აქედან მომდინარეობს გერმანელი მწვანეების მტკიცება, რომ ისინი "არც მემარცხენეები არიან, არც მემარჯვენეები". მართლაც, ისეთი სოციალისტები, როგორიც ბარო (1984) იყო, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეკოლოგიური კრიზისი იმდენად აქტუალურია, რომ მას კლასობრივ ბრძოლასთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

ეკოსოციალისტები ამტკიცებენ, რომ სოციალიზმი ბუნებით ეკოლოგიურია. თუკი სიმდიდრე საერთო მფლობელობაში იქნება, ის ყველას ინტერესებში იქნება გამოყენებული, აქედან გამომდინარე – კაცობრიობის გრძელვადიან ინტერესებში. მაგრამ ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ეკოლოგიური პრობლემები სიმდიდრის მფლობელთა უბრალო შეცვლით გადაიჭრას. ამის უხეი მაგალითები არსებობს საბჭოთა კავშირში და აღმოსავლეთ ევროპაში სახელმწიფო სოციალიზმის გამოცდილებიდან, რომელმაც რიგი ურთულესი ეკოლოგიური პრობლემა წარმოშვა. მაგალითად, XX ს-ის 60-იან წლებში ორ ძირითად მდინარეს, რომელიც საბჭოურ ცენტრალურ აზიაში არალის ზღვას კვებავდა, მიმართულება შეუცვალეს ბამბისა და ბრინჯის პლანტაციების ირიგაციის უზრუნველსაყოფად. ამის შედეგად არალის ზღვა, რომელიც ოდესღაც მსოფლიოში სიდიდით მეოთხე ტბა იყო, თავისი საწყისი ზომის ნახევრამდე დაპატარავდა და მისმა ნაპირებმა ზოგიერთ ადგილას 100 კილომეტრით დაიწია, რამაც მლაშე და დაბინძურებული უდაბნო წარმოშვა. აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე გახმაურებული ეკოლოგიური კატასტროფა 1986 წელს უკრაინაში მომხდარი ჩერნობილის ატომური აფეთქება იყო, რომლის მასშტაბებმა აიძულა საბჭოთა რეჟიმი, სულ მცირე, უფრო გულახდილი ყოფილიყო ზოგადად ეკოლოგიური პრობლემების თაობაზე. პოსტკომუნისტურ ეპოქაში გარემოსდაცვითი პროტესტის ჯგუფები წარმოიქმნა საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფოებში. ამავდროულად თვალშისაცემია ის, რომ დასავლეთის მწვანე მოძრაობებისაგან განსხვავებით, ეს ჯგუფები იშვიათად ემხრობიან ეკოსოციალიზმს და უფრო ხშირად დაკავშირებულნი არიან კონსერვატიულ ან რეაქციულ პოლიტიკურ დოქტრინებთან.

## ეკოანარქიზმი

შესაძლოა გარემოს სფეროში ყველაზე მგრძნობიარე იდეოლოგიის სახელისთვის ყველაზე მეტი პრეტენზიის უფლება ანარქიზმს გააჩნდეს. რეიჩელ კარსონის *ჩუმი გაზაფხულის* გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვით ადრე მიური ბუკჩინმა გამოაქვეყნა *ჩვენი სინთეტური გარემო* (*Our Synthetic Environment*,

[1962] 1975). მწვანე მოძრაობაში ბევრი აღიარებს, რომ დავალებულია მეცხრამეტე საუკუნის ანარქოკომუნისტების, კერძოდ პიოტრ კროპოტკინისაგან. ბუკჩინი (1977) მიუთითებდა, რომ არსებობს აშკარა თანხვედრა ანარქიზმის იდეებსა და ეკოლოგიის პრინციპებს შორის, რაც გამოიხატება "სოციალური ეკოლოგიის" იდეით, რწმენით, რომ ეკოლოგიური ბალანსი სოციალური სტაბილურობის ყველაზე მტკიცე საფუძველია. ანარქისტებს სწამთ სახელმწიფოს გარეშე საზოგადოება, რომელშიც ჰარმონია ვითარდება ადამიანთა ურთიერთპატივისცემისა და სოციალური სოლიდარობის საფუძველზე. ასეთი საზოგადოების სიმდიდრე მის მრავალფეროვნებაშია. ეკოლოგისტებს ასევე სჯერათ, რომ ბალანსი ან ჰარმონია სპონტანურად ვითარდება ბუნებაში ეკოსისტემების ფორმით და რომ ისინი, ანარქისტული საზოგადოებების მსგავსად, არ მოითხოვენ გარე ხელმძღვანელობასა და კონტროლს. ამგვარად, არსებობს პარალელი ანარქისტების მიერ ადამიანთა საზოგადოებაში ხელისუფლების უარყოფასა და ბუნებაში ადამიანის "ბატონობის" შედეგების თაობაზე ეკოლოგისტების გაფრთხილებებს შორის. ბუკჩინი, აქედან გამომდინარე, ანარქისტულ საზოგადოებას ეკოსისტემას უკავშირებდა და ამტკიცებდა, რომ ორივეს ახასიათებს მრავალფეროვნების, წონასწორობისა და ჰარმონიის პრინციპების პატივისცემა.

ანარქისტები ემხრობიან აგრეთვე დეცენტრალიზებული საზოგადოების შექმნას, რომლებიც თემებისა თუ სოფლების ნაკრების სახით იქნება წარმოდგენილი. ასეთ საზოგადოებებში ცხოვრება ბუნებასთან სიახლოვით იქნება აღბეჭდილი, თითოეული საზოგადოება შეეცდება მიაღწიოს თვითუზრუნველყოფის მაღალ დონეს. ასეთი საზოგადოებები ეკონომიკურად მრავალფეროვანი იქნება: ისინი შექმნიან საკვების, საქონლისა და მომსახურების ფართო სპექტრს და, შესაბამისად, მოიცავენ სოფლის მეურნეობას, ხელოსნობასა და მცირე მასშტაბის წარმოებას. თვითუზრუნველყოფა თი-

ამერიკელი ანარქისტი სოციალური ფილოსოფოსი და ენვირონმენტალისტი მოაზროვნე. ბუკჩინი XX ს-ის 30-იანი წლების ამერიკული მუშათა მოძრაობის რადიკალი აქტივისტი და ერთ-ერთი პირველი სოციალური მოაზროვნე იყო, რომელიც სერიოზულად მიუდგა გარემოს საკითხებს. ის ვერმონტში სოციალური ეკოლოგიის ინსტიტუტის საპატიო პროფესორი იყო.

ბუკჩინის ღვაწლი ანარქიზმში დაკავშირებულია ყურადღების გამახვილებასთან არაიერარქიული თანამშრომლობის პოტენციალზე პოსტდეფიციტურ (post-scarcity) პირობებში, და თანამედროვე საზოგადოებაში დეცენტრალიზაციისა და კომუნალური ცხოვრების პროპაგანდის გზებთან. ის, როგორც "სოციალური ეკოლოგიის" წამყვანი პროპაგანდისტი, ემხრობა შეხედულებას, რომ ეკოლოგიური პრინციპები შეიძლება მიესადაგოს სოციალურ ორგანიზაციას, და ამტკიცებს, რომ ეკოლოგიური კრიზისი როგორც საზოგადოების, ასევე ბუნებაში ორგანული პროცესების მოშლის შედეგია. ბუკჩინის მთავარ ნაშრომებს შორის აღსანიშნავია: *ანარქიზმი რესურსების ამოწურვის შემდგომ პერიოდში* (*Post-Scarcity Anarchism*, 1971), *თავისუფლების ეკოლოგია* (*The Ecology of Freedom*, 1982) და *შენიშვნები საზოგადოების თაობაზე* (*Remarking Society*, 1989).

თიეულ საზოგადოებას საკუთარ ბუნებრივ გარემოზე დამოკიდებულს გახდის, სპონტანურად ამას მოჰყვება ორგანულ ურთიერთობებსა და ეკოლოგიაში გარკვევა. ბუკჩინის თვალსაზრისით, დეცენტრალიზაციის შედეგად "გარემოს უფრო გონივრულად და მეტი სიყვარულით გამოიყენებენ". აქედან გამომდინარე, საზოგადოება, რომელსაც დაარეგულირებს ადამიანთა შორის სპონტანური კეთილგანწყობა, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს ეკოლოგიურ წონასწორობას ადამიანებსა და ბუნებრივ სამყაროს შორის.

უდავოა, რომ კონცეფციას, რომელსაც მრავალი ეკოლოგისტი იზიარებს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებასთან დაკავშირებით, კროპოტკინისა და უილიამ მორისის ნაშრომების გავლენას განიცდის. მწვანე მოძრაობამ მიიღო აგრეთვე ისეთი იდეები ანარქისტული აზროვნებიდან, როგორებიცაა დეცენტრალიზაცია, აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში და პირდაპირი მოქმედების ტაქტიკა. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ანარქიზმი აღიარებულია ეკოლოგიურად ჯანსაღი მომავლის ხედვის წყაროდ, მას იშვიათად მიიჩნევენ ამ მომავლის მიღწევის საშუალებად. ანარქისტებს სწამთ, რომ პროგრესის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც დამხობილი იქნება მთავრობის და პოლიტიკური ძალაუფლების ყველა ფორმა. ამის საპირისპიროდ, მწვანეთა მოძრაობაში მრავალნი განიხილავენ მთავრობას როგორც ორგანოს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კოლექტიური მოქმედების ორგანიზაცია. შესაბამისად, მათი აზრით, მთავრობას ყველაზე მეტი პერსპექტივა აქვს, მოკლევადიან პერიოდში მაინც გადაჭრას ეკოლოგიური კრიზისი. ისინი შიშობენ, რომ ხელისუფლების დამხობა ან თუნდაც შესუსტება გზას გაუხსნის პირველ რიგში სწორედ იმ ძალებს, რომლებმაც წარმოქმნეს ინდუსტრიალიზაცია და ზიანი მიაყენეს გარემოს.

## ეკოფემინიზმი

იდეამ, რომ ფემინიზმი იძლევა მწვანე პრობლემატიკის მიმართ გამოკვეთილ და ღირებულ მიდგომას, იმდენად მტკიცედ მოიკიდა ფეხი, რომ ეკოლოგიური აზროვნების ერთ-ერთ ძირითად ფილოსოფიურ სკოლად ჩამოყალიბდა. მისი საბაზისო თემა ისაა, რომ ეკოლოგიური დესტრუქციის სანყისები პატრიარქატშია: ბუნებას საფრთხეს კაცობრიობა კი არა, მამაკაცები და მამაკაცთა ძალაუფლების ინსტიტუტები უქმნიან. ფემინისტები, რომლებიც ადამიანის ბუნებაზე ანდროგინულ ან უსქესო შეხედულებას ემხრობიან, ამტკიცებენ, რომ პატრიარქალობამ დაამახინჯა მამაკაცთა ინსტინქტები და გრძნობები, განარიდა რა ისინი ბავშვების აღზრდის, ოჯახის მოვლისა და პირადი ურთიერთობების "კერძო" სამყაროს. ამრიგად, შრომის განაწილება სქესის მიხედვით გულისხმობს როგორც ქალების, ისე ბუნების მამაკაცებისადმი დაქვემდებარებას. ისინი თავის თავს ორივეს "ბატონ-პატრონად" მიიჩნევენ. ამ კუთხით ეკოფემინიზმი სოციალური ეკოლოგიის განსაკუთრებულ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა ბევრი ეკოფემინისტი ეთანხმება ესენციალიზმს იმაში, რომ მათი თეორიები ეფუძნება რწმენას ქალთა და მამაკაცთა შორის არსებული ფუნდამენტური და შეუცვლელი განსხვავების არსებობის თაობაზე.

ასეთ პოზიციას ემხრობა, მაგალითად, მერი დეილი *გინ/ეკოლოგია*-ში (Mary Daly, *Gyn/Ecology*, 1979). დეილი ამტკიცებდა, რომ ქალები შეძლებენ განთავისუფლდნენ პატრიარქალური კულტურისაგან იმ შემთხვევაში, თუ მიემხრობიან "ქალურ ბუნებას". მოსაზრება ქალებსა და ბუნებას შორის თანდაყოლილი კავშირის შესახებ ახალი არ არის. წინაქრისტიანული რელიგიები და "პრიმიტიული" კულტურები ხშირად ხატავდნენ მიწასა და ბუნებრივ ძალებს ქალღმერთის სახით და გეას ჰიპოთეზამ გარკვეულწილად აღორძინა ეს იდეა. ამისდა მიუხედავად, თანამედროვე ეკოფემინისტები ყურადღებას ამახვილებენ ქალების ბუნებასთან სიახლოვის ბიოლოგიურ საფუძველზე, განსაკუთრებით კი იმ ფაქტზე, რომ მათ შეუძლიათ დაფეხმძიმება და ბავშვების ძუძუთი კვება. თავის მხრივ, ის ფაქტი, რომ ქალებს არ შეუძლიათ ბუნებრივი რიტმებისა და პროცესებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრება, განსაზღვრავს მათ პოლიტიკურ-კულტურულ ორიენტაციას. აქედან გამომდინარე, ტრადიციული "ქალური" ღირებულებები მოიცავს ურთიერთდახმარებას, თანადგომასა და კვების ორგანიზებას, ღირებულებებს, რომლებიც "რბილი" ან ეკოლოგიური ხასიათისაა. ქალებისათვის უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცებისათვის მიუღებელია იდეა, რომ ბუნება წარმოადგენს რესურსს, რომელიც შეიძლება ექსპლუატირებულ იქნას, ან ძალას, რომელიც უნდა დაიძლიოს, ვინაიდან მათ იციან, რომ ბუნება მათში და მათი საშუალებით მოქმედებს და ინტუიტიურად ხვდებიან, რომ პირადი თვითრეალიზაცია შეიძლება მომდინარეობდეს ბუნებასთან ერთად და არა მისი საწინააღმდეგო ქმედებით. აქედან გამომდინარე, პატრიარქალობის დამხობას თან მოჰყვება ახალი ურთიერთობის დამყარება ადამიანების საზოგადოებასა და ბუნებრივ სამყაროს შორის.

თუ ქალებსა და ბუნებას შორის არსებობს აუცილებელი ან "ბუნებრივი" კავშირი, მამაკაცებისა და ბუნების ურთიერთობა ფრიად განსხვავებულია. ქალები ბუნების არსებანი არიან, ხოლო მამაკაცები – კულტურის: მათი სამყარო სინთეტური და ხელოვნურია, ის უფრო ადამიანის გამომგონებლობის შედეგია, ვიდრე ბუნების შემოქმედების. აქედან გამომდინარე, მამაკაცთა სამყაროში ინტელექტი ინტუიციაზე მეტად ფასობს, მატერიალიზმი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სულიერება და, ჰოლისტურთან შედარებით, უპირატესობა მექანიკურ ურთიერთობებს ენიჭება. საკმაოდ ნათელია, თუ რას ნიშნავს ეს ბუნებისათვის. ამ თვალთახედვით, პატრიარქალობა ამყარებს კულტურის უპირატესობას ბუნებაზე და ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა ძალა, რომლის დათრგუნვა, ექსპლუატაცია და რომელზეც ამაღლება საჭირო. ამრიგად, ეკოლოგიური კრიზისი და გენდერული უთანასწორობა წარმოადგენს ერთი და იმავე პროცესის ნაწილს, რომელშიც "კულტურული" მამაკაცები "ბუნებრივ" ქალებზე მბრძანებლობენ.

## ეკოლოგიზმი ოცდამეერთე საუკუნეში

ეკოლოგიზმის პერსპექტივები ოცდამეერთე საუკუნეში, როგორც ჩანს, მტკიცედ იქნება დაკავშირებული ეკოლოგიური კრიზისის მდგომარეობას-

თან და ეკოლოგიური საკითხებისა და პრობლემების ზოგად გაგებასთან. რაც უფრო აშკარაა ბუნებაზე დამღუპველი ზემოქმედების მტკიცებულებანი – ამინდის ცვლილება, რომელსაც გლობალური დათბობა იწვევს, დაბინძურებით გამოწვეული მამაკაცთა ნაყოფიერების დონის დაცემა, ცხოველთა და მცენარეთა სახეობების განადგურება და ა. შ. – მით უფრო ინტენსიური გახდება მზარდ განვითარებაზე ორიენტირებული ინდუსტრიალიზაციის ალტერნატივის ძიება. მწვანეთა პარტიების მერყევი წარმატება და ერთ საკითხზე ფოკუსირებული ეკოლოგიური ჯგუფები სათანადოდ ვერ ასახავენ ეკოლოგიური იდეებისა და ღირებულებების ძალას. მწვანეთა პარტიების წინაშე არსებული ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ მათზე უფრო ტრადიციულმა და ბევრად უფრო დიდმა კონკურენტებმა დაიკავეს "ეკოლოგიის მიმართ მეგობრული" პოზიცია, რომელიც ოდესღაც ექსკლუზიურად მწვანეებს ეკუთვნოდა. მსგავსადვე, ერთ საკითხზე ფოკუსირებული ეკოლოგიური ჯგუფების წევრობა და აქტივისტების ბაზა არ ასახავს მთელ საზოგადოებაში მათი აზრის გამზიარებლების რაოდენობას და არც უფრო ფართო გამოყენებას ისეთი ეკოლოგიური პრაქტიკისა, როგორიცაა რეციკლირება და ორგანული საკვების მოხმარება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნების დაცვის ჯგუფები და ეკოლოგისტი აქტივისტები აქტიურ როლს ასრულებენ განვითარებად ანტიგლობალისტურ მოძრაობაში. ამ კუთხით, ოცდამეერთე საუკუნეში კაცობრიობას არ ექნება სხვა არჩევანი, თუ არა ის, რომ შეცვალოს პოლიტიკა და პრაქტიკა, რომლებმაც ადამიანებიც და ბუნებაც დაღუპვას მიაახლოვა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური თეორიის წინაშე დგას რიგი პრობლემები. პირველ ყოვლისა, ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა გახდეს ეკოლოგიზმი გლობალური იდეოლოგია. რაც შეეხება განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფოებს, ამ იდეოლოგიის სიმკაცრე მათ დასავლეთის დაწევის შესაძლებლობასართმევს. დასავლეთის სახელმწიფოები ფართომასშტაბიანი ინდუსტრიალიზაციის, სასრული რესურსების ექსპლუატაციისა და გარემოს დაბინძურების მზადყოფნის შედეგად განვითარდნენ, ანუ იმის მეშვეობით, რაზეც ახლა ისინი ცდილობენ უარი უთხრან განვითარებად სამყაროს. თუმცა ეკოლოგიური პრიორიტეტების სრული აღიარება ინდუსტრიულ დასავლეთში იმაზე მეტად როდია მოსალოდნელი, ვიდრე განვითარებად სამყაროში, რადგანაც ეს ნიშნავს იმას, რომ მან, როგორც ენერგიისა და რესურსების მთავარმა მომხმარებელმა, უნდა დათმოს მთელი ის კეთილდღეობა, რომლითაც ამჟამად სარგებლობს. მეორეც, ინდუსტრიალიზაცია და მისი საყრდენი ღირებულებები, როგორებიცაა კონკურენტული ინდივიდუალიზმი და მომხმარებლობა, ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კავშირი ეკოლოგიზმსა და ანტიგლობალიზმს შორის შემთხვევითი არაა. მესამეც, ეკოლოგიზმის მოწოდებას "ზრდის საწინააღმდეგოდ" მრავალი სირთულე ახლავს. თვითუზრუნველყოფადი ან ნულოვანი ზრდის პოლიტიკა შეიძლება იმდენად მცირედ მიმზიდველი იყოს მოსახლეობისათვის, რომ მასზე არჩევანის შეჩერება შეუძლებელი ან მცდარი აღმოჩნდეს, როგორც ამას ბრამუელი ამტკიცებდა ნაშრომში *მწვანეთა ჭკნობა* (*Fading of the Greens*, 1994), ვინაი-

დან მხოლოდ განვითარებულ და მატერიალურად წარმატებულ საზოგადოებებს ძალუძთ ეკოლოგიური კრიზისის გადაჭრა. მეოთხეც, "მწვანეობა" შეიძლება უბრალოდ ქალაქურ ახირებას, ერთგვარ პოსტინდუსტრიულ რომანტიზმს წარმოადგენდეს. ეს გვაფიქრებინებს, რომ ეკოლოგიური ცნობიერება, უბრალოდ, ინდუსტრიულ პროგრესზე დროებით რეაქციას წარმოადგენს და მოსალოდნელია, რომ ის ახალგაზრდებითა და მატერიალურად უზრუნველყოფილებით შემოიზღუდება.

შესაძლოა ეკოლოგიზმის წინაშე არსებულ ყველაზე დიდ სირთულეს მის მიერ მოთხოვნილი ცვლილებების მასშტაბები წარმოადგენს. ეკოლოგიზმი, ყოველ შემთხვევაში ღრმა ეკოლოგიის ფორმით, უფრო რადიკალურია, ვიდრე სოციალიზმი, ფაშიზმი, ფემინიზმი ან ნებისმიერი სხვა პოლიტიკური მრწამსი, რომელიც ამ წიგნში იყო განხილული. ის არა უბრალოდ მოითხოვს ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმირებას ან პოლიტიკურ სისტემაში ძალათა თანაფარდობის შეცვლას, არამედ ცდილობს შექმნას, არც მეტი, არც ნაკლები, ცხოვრების ახალი წესი, არსებობის განცდისა და გაგების განსხვავებული გზა. უფრო მეტიც, მისი თეორიები, ღირებულებები და პრობლემები სრულიად განსხვავდება იმათგან, რომლებიც ტრადიციულად დომინირებდნენ ინდუსტრიულ საზოგადოებაში. ამრიგად, ეკოლოგიზმის პრობლემა ისაა, რომ იგი ეყრდნობა ფილოსოფიას, რომელიც სრულიად უცხოა იმ კულტურისათვის, რომელზეც მან, წარმატების შემთხვევაში, ზემოქმედება უნდა მოახდინოს. თუმცა, შეიძლება მისი მიმზიდველობაც ეს იყოს.

## რეკომენდებული ლიტერატურა


Baxter, B., *Ecologism: An Introduction* (Edinburgh: Edinburgh University Press, 1999). ეკოლოგიზმის ძირითადი კომპონენტების ნათელი და მრავალმხრივი კვლევა, რომელშიც განხილულია ეკოლოგიზმის მორალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები.

Bramwell, A., *Ecology in the 20th Century: A History* (New Haven and London: Yale University Press, 1989). ეკოლოგიური მოძრაობის ინტელექტუალური და პოლიტიკური ისტორიის მეტად გავლენიანი კვლევა; დეტალური და გამომწვევი.

Capra, F., *The Web of Life: A New Synthesis of Mind and Matter* (London: Flamingo, 1997). ეკოლოგიური პოლიტიკისათვის ახალი საფუძვლის შექმნის თამამი მცდელობა, რომელშიც თეორიულ პარადიგმად ღრმა ეკოლოგიაა გამოყენებული.

Dobson, A., *Green Political Thought, 3rd edn* (London: Harper Collins, 2000). მწვანე პოლიტიკის უკან არსებული იდეების გასაგებად დაწერილი და ძალზე სასარგებლო მიმოხილვა; ზოგჯერ ამ თემაზე კლასიკურ ნაშრომად მიიჩნევენ.

Dobson, A., *The Green Reader* (London: André Deutsch, 1991). ეკოლოგი მოაზროვნეების მნიშვნელოვანი ნაწარმოებებიდან მოკლე ფრაგმენტების შესანიშნავი კრებული; კარგი საფუძველი შემდგომი კითხვისათვის.

Eckersley, R., *Environmentalism and Political Theory: Towards an Ecocentric Approach* (London: UCL Press, 1992). ენვირონმენტალიზმის იდეების თანამედროვე პოლიტიკაზე ზეგავლენის დეტალური და მრავალმხრივი კვლევა.

Marshall, P., *Nature's Web: Rethinking Our Place on Earth* (London: Cassell, 1995). ეკოლოგიური იდეების ისტორია, რომელიც წარმოადგენს ბუნების მიმართ სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა კულტურებში არსებული მიდგომების მოკლე მიმოხილვას.

თავი 10

# რელიგიური ფუნდამენტალიზმი

*წარმოშობა და განვითარება*
*უკან, სათავეებისკენ – ძირითადი თემები*
*ფუნდამენტალიზმის სახეობათა ოჯახი*
*რელიგიური ფუნდამენტალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში*

## წარმოშობა და განვითარება

ტერმინი "ფუნდამენტალიზმი" მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *fundamentum*, რაც საფუძველს ნიშნავს. ეს ტერმინი პირველად მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოიყენეს ამერიკელ პროტესტანტთა შორის გამართული პოლემიკის დროს. 1910-1913 წლებში ევანგელისტმა პროტესტანტებმა გამოაქვეყნეს პამფლეტთა ციკლი, სახელწოდებით *საფუძვლები* (*The Fundamentals*), რომელიც ბიბლიის შინაგან არსს ან მისი უტყუარი, სიტყვასიტყვითი ჭეშმარიტების პოსტულატს ქრისტიანობის "თანამედროვე" ინტერპრეტაციებისგან იცავდა. ამჟამად ტერმინი ფუნდამენტალიზმი (იხ. გვ. 345) ასოცირდება მსოფლიოს ყველა ძირითად რელიგიასთან – ისლამთან, ინდუიზმთან, სიკჰიზმთან და ბუდიზმთან, ისევე, როგორც ქრისტიანობასთან, და გულისხმობს უფრო რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობის ან პროგრამის საგანგებო სახეობას, ვიდრე, უბრალოდ, საკრალური ტექსტების უტყუარი ჭეშმარიტების მტკიცებას (თუმცა, ეს უკანასკნელი კვლავ წარმოადგენს ფუნდამენტალიზმის გარკვეულ ფორმათა ნიშანს).

ტერმინი "ფუნდამენტალიზმი" უაღრესად სადავოა. გარკვეული თვისებების გამო (იგულისხმება რეპრესიები და შეუწყნარებლობა) ფუნდამენტალიზმი ლიბერალურ ფასეულობათა და პიროვნული თავისუფლების მტრად მიიჩნევა. ეს ტენდენცია კომუნიზმის კოლაფსმა გაამძაფრა. ამ უკანასკნელის ზეგავლენით, განვითარებულ დასავლეთში მრავალმა ადამიანმა ირწმუნა, რომ მარქსიზმს, მსოფლიო წესრიგისთვის საფრთხის შექმნის თვალსაზრისით, რელიგიური, ძირითადად კი – ისლამური ფუნდამენტალიზმი ჩაენაცვლა. ამგვარად, ცივი ომის დასასრულმა გლობალური "ცივილიზაციათა დაპირისპირება" განაპირობა (Huntington, 1993). რადგან ფუნდამენტალიზმი ასოცირდება სიხისტესთან, დოგმატიზმსა და ავტორიტარიზმთან, ბევრი მათგანი, ვინც ფუნდამენტალისტად მიიჩნევა, უგულებელყოფს ამ ტერმინს, როგორც პრიმიტიულს, ანდა – შეურაცხმყოფელს. ამასთან, იმგვარი ალტერნატიული ტერმინებისგან განსხვავებით, როგორიცაა "ტრადიცი-

ონალიზმი", "კონსერვატიზმი", "ორთოდოქსულობა" და "რევივალიზმი" (revivalism), "ფუნდამენტალიზმს" ის უპირატესობა აქვს, რომ გამოხატავს ამ პოლიტიკური ფენომენის სპეციფიკურ ხასიათს.

მეოცე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში რელიგიური ფუნდამენტალიზმის აღმავლობამ ჩიხში შეიყვანა ისინი, ვინც მხარს უჭერდა ეგრეთ წოდებულ სეკულარიზაციის თეზისს (შეხედულება იმის შესახებ, რომ მოდერნიზაციას და, კერძოდ, ინდუსტრიალიზაციას გამუდმებით თან ახლავს გონების გამარჯვება რელიგიაზე და სულიერი ფასეულობების ჩანაცვლება მატერიალური ღირებულებებით). მსოფლიოს ბევრ ნაწილში რელიგიურმა მოძრაობებმა ახალი ძალმოსილება მოიპოვა. უფრო მეტიც, ფუნდამენტალიზმის ნიღაბქვეშ რელიგიურმა რევივალიზმმა აშკარად პოლიტიკური ფორმა მიიღო. რელიგიური ფუნდამენტალიზმის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ის ჯეროვნად (როგორც იდეოლოგია) უნდა იქნას განმარტებული, ემყარება მის თვალსაზრისს, ერთი მხრივ, რელიგიისა და, მეორე მხრივ, სამართლისა და პოლიტიკის განუყოფლობის შესახებ, ეს კი აისახა საზოგადოების გარდაქმნისა და კომპლექსური რეკონსტრუქციის მცდელობებში.

წარსულზე ორიენტაციისა და აშკარა ანტიმოდერნიზმის მიუხედავად, რელიგიური ფუნდამენტალიზმი მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს თანამედროვე სამყაროს პირმშოს. მართლაც, კომენტატორთა უმრავლესობა მას გამორჩეულად თანამედროვე ფენომენად მიიჩნევს და ყოველგვარ ისტორიულ პარალელს უარყოფს. აქ გამონაკლისის სახით შეიძლება დავასახელოთ გერმანელი მქადაგებელი და ანაბაპტისტი თომას მიუნცერი (Thomas Münzer, 1489-1525), რომელიც მეთაურობდა გლეხთა ომს, და ფრანგი პროტესტანტი რეფორმატორი ჟან კალვინი (Jean Calvin, 1509-64), რომელმაც ჟენევაში თეოკრატია დააარსა და ამის მეშვეობით განაგებდა თითქმის მთელი ქალაქის ცხოვრებას. ანალოგიურად, მეჩვიდმეტე საუკუნეში პურიტანებმა ძირითადი როლი შეასრულეს ინგლისის რევოლუციის გაჩაღების საქმეში, ხოლო საამქვეყნო საქმეების მოგვარების, ანუ ახალი პოლიტიკური და სოციალური სისტემის შესაქმნელად გადასახლდნენ ამერიკაში, სადაც "ახალი ინგლისი" დააარსეს.

ძნელია ზოგადი მსჯელობა მეოცე საუკუნის ბოლოს ფუნდამენტალიზმის აღმავლობის მიზეზთა შესახებ, რადგან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მან სხვადასხვაგვარი კონცეპტუალური ფორმებით იჩინა თავი და ურთიერთსაპირისპირო იდეოლოგიური ნიშან-თვისებები გამოავლინა. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ ფუნდამენტალიზმი განვითარდა ძალზე რთულ საზოგადოებებში, განსაკუთრებით კი – იმათში, რომლებმაც განიცადეს საკუთარი თვითმყოფობის ფაქტობრივი ან შესამჩნევი კრიზისი. იმ ფაქტორთა შორის, რომლებმაც განაპირობა ამგვარი კრიზისები, რელიგიურ ფუნდამენტალიზმს უშუალოდ უკავშირდება: სეკულარიზაცია, პოსტკოლონიალიზმი და გლობალიზაცია. სეკულარიზაციამ – რელიგიური ან საკრალური იდეების ჩანაცვლებამ საამქვეყნო ან რაციონალისტური იდეებითა და ფასეულობებით – ხელი შეუწყო ტრადიციული რელიგიის დაკნინებასა და საზოგადოების "მორალური სტრუქტურის" მორყევას. ამ გაგებით, ფუნდა-

მენტალიზმი განასახიერებს მორალურ პროტესტს დეკადანსისა და ფარისევლობის წინააღმდეგ; მისი მიზანია "სამართლიანი" წესრიგის აღდგენა და ზეციურ სამყაროსთან ადამიანთა სამყაროს კავშირის აღდგენა. ამგვარი მორალური კონსერვატიზმი ძალზე თვალსაჩინოდ გამოვლინდა ეგრეთ წოდებულ ახალ ქრისტიანულ მემარჯვენეობაში, რომელმაც 1970-იანი წლებიდან იჩინა თავი აშშ-ში. ის, აგრეთვე, შეადგენდა ისლამური ფუნდამენტალიზმის მნიშვნელოვან კომპონენტს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ირანი, ეგვიპტე, თურქეთი, პაკისტანი და ავღანეთი.

ფუნდამენტალიზმი მთელ მსოფლიოში გვხვდება, მაგრამ მისი ყველაზე მძლავრი და გავლენიანი კერები განვითარებად მსოფლიოში შეიქმნა, რაც პოსტკოლონიალიზმის ზემოქმედებით აიხსნება. პოსტკოლონიური საზოგადოებები უამრავ მწვავე პრობლემას ებრძოდნენ. მაგალითად, კოლონიური ხელისუფლება გამუდმებით აუფასურებდა და ხშირად თრგუნავდა ადგილობრივ კულტურებს; ამიტომ პოსტკოლონიურმა კულტურებმა მემკვიდრეობით მიიღეს საკუთარი თვითმყოფობის დუნე შეგრძნება, რომელიც ხასიათდებოდა დასავლური ფასეულობებისა და ინსტიტუტებისადმი გამომფიტველი ერთგულებით, განსაკუთრებით – ელიტურ წრეებში. გარდა ამისა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ერთიანმა ანტიკოლონიურმა ბრძოლამ, რომელიც, ჩვეულებრივ, სოციალიზმის ამა თუ იმ სახეობას უკავშირდებოდა, ადგილი დაუთმო ეროვნული მშენებლობისა და რეჟიმის კონსოლიდაციის უფრო რთულ ამოცანებს. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად ვერ მოხერხდა, ვერც სოციალური ემანსიპაციის მიღწევა. უკეთ რომ ვთქვათ, ტრადიციულ იმპერიალიზმს შეენაცვლა ნეოკოლონიალიზმი, რომელმაც ხელახლა განამტკიცა გლობალური უთანასწორობა და დასავლეთის ძალაუფლებისადმი დაქვემდებარება. ამგვარ პირობებში რელიგიური ფუნდამენტალიზმის მიმზიდველობა ორი მიზეზით აიხსნება: ჯერ ერთი, მან დასახა არადასავლური და, ხშირად, საგანგებოდ ანტიდასავლური პოლიტიკური თვითმყოფობის პერსპექტივა; გარდა ამისა, რელიგიური ფუნდამენტალიზმი გამოხატავს (განსაკუთრებით, 70-იან წლებში რევოლუციური სოციალიზმის დეგრადაციის შემდგომ) ქალაქის ღატაკი მოსახლეობისა და ქვედა საშუალო კლასის მისწრაფებებს.

ბოლოს, ფუნდამენტალიზმი გლობალიზაციის განვითარებამ გაამყარა. გლობალიზაციამ ძირი გამოუთხარა "სამოქალაქო" ნაციონალიზმის იმ უნარს, რომელიც გამოიხატება საიმედო და მყარი პოლიტიკური თვითმყოფობის ჩამოყალიბებაში. ამიტომ რელიგია მიისწრაფოდა, ჩანაცვლებოდა ერს, როგორც კოლექტიური თვითმყოფობის ძირითად წყაროს, რაც ადასტურებს, რომ ფუნდამენტალიზმი იმთავითვე ეთნიკური ნაციონალიზმის ნაირსახეობას წარმოადგენდა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მსოფლიოს იმ ნაწილებში, სადაც ეროვნული თვითმყოფობა სადავო გახდა ან სადაც მას საფრთხე ემუქრებოდა. ფუნდამენტალიზმი როგორც ეთნიკური მობილიზაცია თავს იჩენს, მაგალითად, ისრაელის ებრაელ ახალმოშენეთა მოძრაობაში, შრი-ლანკას სინჰალელთა ბუდიზმის საომარ სულისკვეთებაში, ინდოელებისა და სიკჰების ექსტრემიზმსა და ოლსტერის პროტესტანტთა წინააღმდეგობაში ირლანდიის გაერთიანების მიმართ მი-

უხედავად ამისა, გლობალიზაციის ზეგავლენა ფუნდამენტალიზმზე არაერთმნიშვნელოვანია. მსოფლიოს ქვეყნების ურთიერთკავშირი სულ უფრო მყარ ხასიათს ღებულობს. ამიტომ ძნელდება საზოგადოების გარდაქმნა ცალკეული ეროვნული, რელიგიური თუ ჭეშმარიტად პოლიტიკური პროექტების შესაბამისად. აიათოლა ხომეინის (იხ. გვ. 354) გარდაცვალების შემდეგ ირანში ყალიბდება ეგრეთ წოდებული "პრაგმატული ფუნდამენტალიზმი", რომელიც არსებით მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკულ ზეწოლას ხელისუფლების სათავეში მყოფ ფუნდამენტალისტებზე. ამასთან, საგანგებო მსჯელობის საკითხს წარმოადგენს პუნქტი, რომელთან დაკავშირებითაც პრაგმატიზმი (იხ. გვ. 12) ეჭვქვეშ აყენებს რეჟიმის ფუნდამენტალისტურ უფლებამოსილებას.

## უკან, სათავეებისკენ – ძირითადი თემები

რელიგიურ ფუნდამენტალიზმს ორი თვალსაზრისით აღიარებენ უჩვეულო პოლიტიკურ იდეოლოგიად. უპირველეს ყოვლისა, ის მსჭვალავს, შესაძლოა, ყველა რელიგიას, მათი კონცეპტუალური და სტრუქტურული განსხვავების მიუხედავად. რელიგიური ფუნდამენტალიზმის როგორც ერთიანი, თანმიმდევრული მთლიანობის შესწავლისას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოს რელიგიათა არსებით სხვაობას – სულ ერთია, აღიარებენ ისინი ერთ ღმერთს, მრავალ ღმერთს თუ საერთოდ არ სწამთ ღმერთის არსებობა; აქვთ მათ საკრალური ტექსტი ან ტექსტები თუ ზეპირ ტრადიციას ემყარებიან; როგორია მათი თვალსაზრისი მორალისა და სოციალური მოწყობის შესახებ და ა. შ. გარდა ამისა, თუმცა ფუნდამენტალიზმის ზოგიერთი სახეობა ძალმომრეობასა და ანტიკონსტიტუციურ პოლიტიკურ ქმედებებს უკავშირდებოდა, სხვების იდეალს კანონმორჩილი და მშვიდობიანი ცხოვრება წარმოადგენდა. ამგვარი განსხვავებები იმ ფაქტს ააშკარავებს, რომ რელიგიური ფუნდამენტალიზმი უფრო პოლიტიკური აზროვნების *სტილია*, ვიდრე – პოლიტიკური იდეებისა და ფასეულობების *დამოუკიდებელი* ერთობლიობა. მაგალითად, მაშინ, როდესაც ფუნდამენტალიზმის სახეობათა უმეტესობა, საზოგადოდ, ვერ ეწყობა ლიბერალურ ფუნდამენტალიზმს, ჩრდილოეთი ამერიკის პროტესტანტული ფუნდამენტალიზმი აღიარებს "მკვეთრ ინდივიდუალიზმს", როგორც რწმენის დოგმატს. ამგვარადვე, ყურანის მიერ მევახშეობისა და კაპიტალიდან პროცენტების მიღების დაგმობა ხელს უშლის ისლამურ ფუნდამენტალისტებს, აითვისონ საბაზრო ეკონომიკა, მაშინ, როდესაც ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა აშშ-ში ენთუზიაზმით უჭერს მხარს *Laissez-faire*-ის კაპიტალიზმს. რელიგიური ფუნდამენტალიზმის ძირითადი ან საკვანძო თემების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ემყარება გარკვეულ პრინციპებს როგორც არსებით ან უდავო ჭეშმარიტებებს (მათი შინაარსის მიუხედავად).

გარდა ამისა, საკრალური, სასულიერო თუ მიღმიერ სამყაროსთან დაკავშირებული საკითხების მიმართ რელიგიის ტრადიციული დამოკიდებულებიდან გამომდინარე, უჩვეულოა ვარაუდი, თითქოს რელიგიურ დოქ-

ტრინებსა და ფასეულობებს პოლიტიკური იდეოლოგიის ჩამოყალიბება ძალუძთ. რა თქმა უნდა, იდეოლოგია ხშირად ემყარება რელიგიურ იდეებს. მაღალზნეობრივი სოციალისტები მიდრეკილნი იყვნენ ქრისტიანობის, ისლამის, იუდაიზმისა და სხვა რელიგიების მიმართ და მათი მეშვეობით ქმნიდნენ ფასეულობათა საკუთარი სისტემის საფუძველს, ხოლო კონსერვატორები მიესალმებოდნენ რელიგიას, როგორც "სოციალური დუღაბის" ფორმას. ამასთან, ფუნდამენტალიზმის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ის განიხილავს რელიგიურ იდეებს არა როგორც პოლიტიკური დოქტრინების დაცვის ან შელამაზების საშუალებებს, არამედ – საკუთრივ პოლიტიკური აზროვნების მასალად მიიჩნევს. ფუნდამენტალიზმს, როგორც საზოგადოების ფართომასშტაბიანი რესტრუქტურიზაციის პროგრამას, რომელიც ეფუძნება რელიგიურ სულისკვეთებასა და რელიგიურ პრინციპებს, სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ იდეოლოგია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთის აზრით, ფუნდამენტალიზმი ნაციონალიზმის ქვესახეობას წარმოადგენს და ძნელია იმის უარყოფა, რომ გარკვეულ შემთხვევებში ფუნდამენტალიზმი რელიგიური ნაციონალიზმის სახით გვევლინება. ამასთან, რელიგიური ფუნდამენტალიზმი (ყოველ შემთხვევაში, მისი უფრო რადიკალური გამოვლინებები) მიზნად არ ისახავს ეროვნული ან ეთნიკური განსხვავებების დადასტურებას და, კერძოდ, ისლამში ის აშკარად ტრანსნაციონალური მასშტაბებით ხასიათდება. რელიგიური ფუნდამენტალიზმის დამახასიათებელი თემებია:

- რელიგია და პოლიტიკა
- ფუნდამენტალისტური იმპულსი
- ანტიმოდერნიზმი
- საომარი სულისკვეთება

## რელიგია და პოლიტიკა

ფუნდამენტალიზმის მთავარ თემას წარმოადგენს რელიგიასა და პოლიტიკას შორის არსებული განსხვავების უგულებელყოფა. მართლაც, ხომეინის თქმით, "პოლიტიკა რელიგიაა". რელიგია შეიძლება იქცეს პოლიტიკის საფუძვლად, მაგრამ რა არის რელიგია? ყველაზე ზოგადი გაგებით, რელიგია ორგანიზებული ერთობაა ადამიანებისა, რომელთაც აკავშირებს ტრანსცენდენტური რეალობის გარკვეული სახეობისადმი რწმენა; ეს უკანასკნელი კი, ჩვეულებრივ, ვლინდება საყოველთაოდ გავრცელებული და აღიარებული აქტივობებისა და პრაქტიკების კომპლექსში. რა იგულისხმება "ტრანსცენდენტურში", ძნელად განსასაზღვრია, რადგან აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ყველაფერი, დაწყებული ღმერთით, შემოქმედი ღვთაებით, და დამთავრებული პიროვნული განთავისუფლების განცდით, მაგალითად, ბუდისტური ნირვანით, რაც, სიტყვასიტყვით, "ჩაქრობას" ნიშნავს.

ლიბერალური კულტურისა და იდეების გავრცელების წყალობით, რელიგიის გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე სულ უფრო მეტად იზღუდებოდა და ამ პროცესში ინიციატივას ბუნებრივად იღებდა თავის თავზე ინდუსტრიალიზებული დასავლეთი. მიუხედავად ამისა, ლიბერალური სეკულა-

რიზმი სულაც არ წარმოადგენს ანტირელიგიურ ტენდენციას. ის უფრო უკავშირდება რელიგიის "ჭეშმარიტი" სფეროსა და როლის დადგენას. ლიბერალური კულტურის ძირითადი თვისებაა ეგრეთ წოდებული საზოგადოებრივისა და პრივატულის ურთიერთგამიჯვნა. ამის მეშვეობით მოინიშ-

## რელიგიის შესახებ

**ლიბერალების** შეხედულებით, რელიგია საგანგებო "პრივატული" საკითხია, რომელიც ინდივიდუალურ არჩევანსა და პირად განვითარებას უკავშირდება. ამიტომ, მათი აზრით, რელიგიური თავისუფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამოქალაქო თავისუფლებისთვის და შეიძლება გარანტირებულ იქნას მარტოოდენ რელიგიისა და პოლიტიკის, ეკლესიისა და სახელმწიფოს მკვეთრი ურთიერთგამიჯვნის მეშვეობით.

**კონსერვატორები** რელიგიას სტაბილურობისა და სოციალურ ძალთა გაერთიანების არსებით წყაროდ მიიჩნევენ. ის საზოგადოებას საერთო ფასეულობებითა და ზოგადი კულტურის ძირითადი პრინციპებით უზრუნველყოფს; ამიტომ რელიგიისა და კულტურის, ეკლესიისა და სახელმწიფოს თანხვდომა გარდუვალი და სასურველია.

**სოციალისტები** რელიგიას, ჩვეულებრივ, უარყოფითი ტერმინებით ახასიათებენ, ანუ, მათი აზრით, ესაა, საუკეთესო შემთხვევაში, პოლიტიკური ბრძოლისგან თავის არიდება და, უარეს შემთხვევაში, მმართველი კლასის იდეოლოგიის ფორმა, რაც ზოგჯერ სახელმწიფო ათეიზმის დამკვიდრებას განაპირობებს. ამასთან, სიყვარულისა და თანაგრძნობის აქცენტირების მეშვეობით რელიგიას ძალუძს, სოციალიზმი ეთიკური ბაზისით უზრუნველყოს.

**ანარქისტები** რელიგიას განიხილავენ ძირითადად როგორც ჩაგვრის ინსტიტუციონალიზებულ წყაროს. ეკლესია და სახელმწიფო მყარადაა ურთიერთშეკავშირებული. რელიგია ამქვეყნიური მეუფეებისადმი მორჩილებასა და დაქვემდებარებას ქადაგებს, ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, ადგენენ ავტორიტარულ ფასეულობებს და, ამ გზით, ინდივიდს მორალურ ავტონომიას ართმევენ.

**ფაშისტები** ზოგჯერ უგულებელყოფდნენ რელიგიას იმ მოტივით, რომ ის ლოიალურობის ან იდეური რწმენის მოქიშპე სანყისს წარმოადგენს და "დეკადენტურ" ფასეულობებს ქადაგებს, მაგალითად, თანალმობასა და ურთიერთგაგებას. მიუხედავად ამისა, ფაშიზმი ცდილობს ალიჭურვოს პოლიტიკური რელიგიის ფუნქციით იქ, სადაც საქმე ეხება მის ტერმინოლოგიასა და შინაგან სტრუქტურას – ხელდასხმას, მსხვერპლშეწირვას, თავდადებას, ცოდვის გამოსყიდვასა და ა. შ.

**რელიგიური ფუნდამენტალისტები** აღიარებენ, რომ რელიგია სხვა არაფერია, თუ არა ძირითადი და უცილობელი პრინციპების კორპუსი. ის განსაზღვრავს არა მარტო ინდივიდუალურ ქცევას, არამედ – სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზების თავისებურებებსაც. რელიგიას არ ძალუძს და არ მართებს "კერძო სფეროთი" შეზღუდვა. ის უმაღლეს და ჭეშმარიტ გამოხატულებას პოულობს ხალხის მობილიზებისა და სოციალური აღორძინების პოლიტიკაში.

ნება მკაფიო ზღვარი ცხოვრების საზოგადოებრივ სფეროსა (რომელსაც არეგულირებს კოლექტიური ნორმები და პოლიტიკური ძალაუფლების სუბიექტი) და პრივატულ სფეროს (სადაც ადამიანთა თავისუფლებას არაფერი ზღუდავს) შორის. ამ გამიჯვნის უდიდეს ღირსებას, ლიბერალური თვალსაზრისით, წარმოადგენს ინდივიდუალური თავისუფლების უზრუნველყოფა, რის საშუალებასაც წარმოადგენს პერსონალურ ან კერძო საქმეებში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვა. მას, აგრეთვე, არსებითი მნიშვნელობა აქვს რელიგიისთვის, რომელიც იფარგლება პრივატული სფეროთი და საზოგადოებრივ ცხოვრებას უტოვებს მარტოოდენ სეკულარულ საფუძველზე ორგანიზების საშუალებას. "რელიგიის პრივატიზების" განხორციელებისას სეკულარიზაციამ განავრცო საზოგადოებრივისა და პრივატულის ოპოზიცია პოლიტიკისა და რელიგიის შეპირისპირების მეშვეობით. ამის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებას წარმოადგენს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნა, რაც კონსტიტუციურად დადასტურებულია აშშ-ისა და სხვა სახელმწიფოებში, და მნიშვნელოვნად შენარჩუნებულია ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა გაერთიანებული სამეფო; აქ "ოფიციალური" ეკლესიები კვლავ სარგებლობენ ფორმალური პრივილეგიებით სახელმწიფოსთან მიმართებაში.

რელიგიური ფუნდამენტალიზმის სულისკვეთება მნიშვნელოვანწილად მდგომარეობს მის მიერ საზოგადოებრივისა და პრივატულის ურთიერთგამიჯვნის უგულებელყოფაში. გარკვეულ დონეზე, ფუნდამენტალიზმი წარმოადგენს პოლიტიკური თვითმყოფობის გამოვლინებას. სეკულარულსა და რაციონალისტურ საფუძველზე ორგანიზებული საზოგადოებრივი სფეროს ექსპანსიამ ძირი გამოუთხარა ტრადიციულ სოციალურ ნორმებს, თავისებურებებს, ფასეულობებს და დატოვა თვითმყოფობის უამრავი ნამუსრევი ან, ერიკ ჰობსბაუმის (Eric Hobsbawm, 1994) თქმით, "ობლები" თანამედროვე მსოფლიოში. ფუნდამენტალიზმის დამახასიათებელი ენერგია და გზნება განამტკიცებს რელიგიას როგორც კოლექტიური თვითმყოფობის ძირითად ფორმას და უზრუნველყოფს მის წარმომადგენლებსა და მომხრეებს ფესვგადგმულობისა და კუთვნილების შეგრძნებით, რომელიც მათ, სხვა შემთხვევაში, არ გაუჩნდებოდათ. უფრო არსებითია, რომ სწორედ ფუნდამენტალიზმის მიერ რელიგიის, როგორც პრივატული ან პირადი საკითხის უარყოფა განსაზღვრავს მის იდეოლოგიურ "მანდატებს". რელიგიის აღიარება მხოლოდ პრივატულ ან პირად საკითხად ნიშნავს ბოროტებისა და გახრწნილების დაშვებას საზოგადოებრივის ტერიტორიაზე და, მაშასადამე, უპრინციპობის, მატერიალიზმის, კორუფციის, სიხარბის, დანაშაულებათა და უზნეობის გავრცელებას. ფუნდამენტალისტური თვალსაზრისი მარტივია: სამყარო უნდა გარდაიქმნას, არსებულ სტრუქტურებს უნდა ჩაენაცვლოს ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც დაემყარება რელიგიურ პრინციპებს და მოიცავს სამართალს, პოლიტიკას, საზოგადოებას, კულტურასა და ეკონომიკას.

ამასთან, სეკულარული სფეროს საგრძნობმა ბიწიერებამ შეიძლება გამოიწვიოს ორიდან ერთ-ერთი რეაქცია: ჯერ ერთი, ზოგჯერ ეგრეთ წოდებული "პასიური" ფუნდამენტალიზმი ირჩევს უკანდახევის გეზს და ცდი-

ლობს, შექმნას მომხრეთა გაერთიანებები, რომელნიც შეურყვნელია უფრო ფართო საზოგადოების მიერ. ისეთ დაჯგუფებებს, როგორიცაა "ამიში" (Amish) აშშ-ში და ულტრაორთოდოქს ებრაელთა "ჰარედიმი" (Haredim) ისრაელში, უეჭველად სწამთ, რომ რელიგია განსაზღვრავს სოციალურ, ეკონომიკურსა და პოლიტიკურ პრინციპებს, მაგრამ ძირითადად უფრო ამ პრინციპების ინდივიდუალურ დაცვაზე ზრუნავენ, ვიდრე საზოგადოების ფართომასშტაბიან აღორძინებაზე. მეორეგვარ რეაქციას წარმოადგენს "აქტიური" ფუნდამენტალიზმი, რომელიც ოპოზიციაში დადგომისა და ბრძოლის გზას ირჩევს. სწორედ ის უნდა იქნას მიჩნეული იდეოლოგიად, იმის გამო, რომ მარტოოდენ აქტიური ფუნდამენტალიზმი იკავებს აშკარად პოლიტიკურ პოზიციას. ამასთან, მისი პოლიტიკური თვალსაზრისი შესამჩნევად კონვენციურია, განსხვავებით ფემინისტებისგან, რომლებმაც აგრეთვე უგულებელყვეს საზოგადოებრივისა და პრივატულის ურთიერთგამიჯვნა. რელიგიური ფუნდამენტალისტები პოლიტიკას სამთავრობო კურსისა და სახელმწიფო საქმიანობის სახით განიხილავენ. ისინი სულაც არ ფიქრობენ, რომ პოლიტიკა გარდუვალად ბიწიერია, არამედ, ჩვეულებრივ, ცდილობენ, ხელში ჩაიგდონ ხელისუფლების სადავეები ან, ყოველ შემთხვევაში, თავიანთი ზეგავლენის ქვეშ მოაქციონ სახელმწიფო, როგორც მორალური აღორძინების საშუალება. მიუხედავად ამისა, ფუნდამენტალიზმის კრიტიკოსთა მტკიცებით, სწორედ გადაწყვეტილება რელიგიისა და პოლიტიკის გამმიჯვნელი ზღვრის გაუქმების შესახებ ანიჭებს ფუნდამენტალიზმს ტოტალიტარულ იმპულსს. რელიგიურ პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფო თავისუფალია (თითქმის ამ ცნების, ე. ი. "სახელმწიფოს" განსაზღვრების შესაბამისად) დაძაბულობისგან, რომელსაც წარმოშობს საზოგადოებრივისა და პრივატულის ურთიერთგამიჯვნის მცდელობა. ამასთან, ამ ტოტალიტარული იმპულსისადმი ფუნდამენტალიზმის ცალკეულ სახეობათა დაქვემდებარების ხარისხი მნიშვნელოვნად მერყეობს.

## ფუნდამენტალისტური იმპულსი

ყველაზე ფართო გაგებით, ფუნდამენტალიზმი "ძირეული" ან "ფუძემდებლური" იდეებისა და ფასეულობებისადმი ერთგულებასთან ასოცირდება. ვინაიდან ფუნდამენტური მრწამსი თეორიული სისტემის არსად ითვლება (პერიფერიული და დროებითი თვალსაზრისებისგან განსხვავებით), მას, ჩვეულებრივ, მყარი და უცვლელი ხასიათი აქვს და უკავშირდება სისტემის ჭეშმარიტ, ანუ "კლასიკურ" ფორმას. მაშასადამე, ფუნდამენტალიზმი უპირისპირდება რელატივიზმს და უარყოფს ნებისმიერ ობიექტურ ან "აბსოლუტურ" სტანდარტებს, როგორც ეს ასახულია იმის რწმენაში, რომ თვალსაზრისები უნდა შეფასდეს მხოლოდ მათი კონტექსტის შესაბამისად. ამ სტანდარტის მიხედვით, გარკვეული პოლიტიკური იდეოლოგიები (განსაკუთრებით ფაშიზმი და კომუნიზმი) შეიძლება განლაგებულ იქნას ფუნდამენტალიზმ-რელატივიზმის სპექტრის ფუნდამენტალისტური პოლუსის მახლობლად, მაშინ, როდესაც ლიბერალიზმი (თუმცა, მიდრეკილი სკეპტიციზმისადმი გონებისა და ტოლერანტობის პრინციპთა მიმართ მისი დამო-

კიდებულების წყალობით) უნდა განთავსდეს რელატივისტური პოლუსის მეზობლად. ამასთან, ყველა იდეოლოგია შეიცავს ფუნდამენტალისტურ ელემენტებს. ვინაიდან ფუნდამენტალიზმი გულისხმობს ამოსავალი ან "კლასიკური" იდეებისადმი რწმენის შენარჩუნებას, შესაძლებელია, აგრეთვე, გარკვეული იდეოლოგიური ტრადიციები მივაკუთვნოთ ფუნდამენტალიზმს, სხვები კი – არა. ამ მხრივ ფუნდამენტალიზმი რევიზიონიზმს უპირისპირდება. შესაბამისად, კლასიკური მარქსიზმი, რომლის მიზანს წარმოადგენდა კაპიტალიზმის განადგურება და შემდგომ მისი ჩანაცვლება, ფუნდამენტალისტური სოციალიზმის ფორმად მიიჩნეოდა. რაც შეეხება სოციალურ დემოკრატიას, ის ხასიათდება როგორც რევიზიონისტური სოციალიზმი, ვინაიდან მან შეზღუდა თავისი დაპირისპირება კერძო საკუთრების, ბაზრის, მატერიალური სტიმულებისა და ა. შ. მიმართ.

რელიგიური ფუნდამენტალიზმის შემთხვევაში "ძირითადი პრინციპები" ჩვეულებრივ (მაგრამ არა ყოველთვის) ყალიბდება საკრალურ ტექსტთა შინაარსის საფუძველზე, რასაც ხელს უწყობს მათი უცილობელი ჭეშმარიტების მტკიცება. მართლაც, ბიბლიის სიტყვასიტყვითი ჭეშმარიტების რწმენა წარმოადგენდა ამერიკული პროტესტანტული ფუნდამენტალიზმის ძირითად ნიშან-თვისებას. ამიტომ ის ქადაგებდა კრეაციონიზმს ან "კრეაციულ მეცნიერებას", ე. ი. გამოთქვამდა შეხედულებას იმის თაობაზე, რომ კაცობრიობა ღმერთმა შექმნა (ისე, როგორც აღწერილია "დაბადებაში") და მთლიანად უარყოფდა ევოლუციის დარვინისეულ თეორიას. ამგვარი ტენდენციები მოიპოვება სამივე მწიგნობრულ რელიგიაში – ქრისტიანობაში, ისლამსა და იუდაიზმში. თითოეული მათგანის საკრალური ტექსტები აღიარებულ იქნა ღმერთის გაცხადებული სიტყვის გამოხატულებად. მიუხედავად ამისა, თუმცა რელიგიურ ფუნდამენტალიზმში ხშირად გამოითქმება საკრალური ტექსტების სიტყვასიტყვითი ჭეშმარიტების პოსტულატი, მათ შორის იგივეობის ნიშანი არ უნდა დაისვას. პირველ ყოვლისა, ყველა საკრა-

## ფუნდამენტალიზმი

ფუნდამენტალიზმი არის აზროვნების ყაიდა, რომელიც გარკვეულ პრინციპებს ძირეულ ჭეშმარიტებებად მიიჩნევს. ამ უკანასკნელთა ურყევი და უდავო ავტორიტეტი შეუვალია, მათი შინაარსის მიუხედავად. ამიტომ ფუნდამენტალიზმის დამოუკიდებელ სახეობებს ოდენ უმნიშვნელო მსგავსება აქვთ ერთმანეთთან ან საერთო არაფერი აქვთ, გარდა მათი მომხრეების მისწრაფებისა, გულმოდგინედ ან მგზნებარედ ამტკიცონ დოქტრინის უეჭველობა. ფუნდამენტალიზმი, ჩვეულებრივ, ასოცირდება რელიგიასა და საკრალური ტექსტების სიტყვასიტყვით ჭეშმარიტებასთან, მაგრამ ის შეიძლება, აგრეთვე, გამოვლინდეს პოლიტიკურ მსოფლმხედველობებშიც. თვით ლიბერალურ სკეპტიციზმშიც შეინიშნება ფუნდამენტალისტური შეხედულება იმის შესახებ, რომ შეიძლება დაეჭვება ყველა თეორიაში (საკუთარი თეორიის გარდა). ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება დაცინვის მიზნით და მიუთითებს სიხისტეზე, დოგმატიზმსა და ავტორიტარიზმზე, მაგრამ ზოგჯერ პრინციპისადმი ერთგულებასა და თავდადებასაც აღნიშნავს.

ლური ტექსტი შეიცავს რთულსა და მრავალფეროვან იდეებს, კონცეფციებსა და პრინციპებს. იმისათვის, რომ საკრალური ტექსტი აღიარებულ იქნას პოლიტიკური იდეოლოგიის ან მორალური და პოლიტიკური პროგრამის სახით, რომლის მიზანს წარმოადგენს საზოგადოების აღორძინება და მასების მობილიზაცია, აუცილებელია, მასში გამოიყოს "ძირითადი პრინციპები". ესაა მარტივი და მკაფიო პრინციპები, რომლებიც რელიგიური თვითმყოფობის ზუსტი და არაორაზროვანი განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ჯონ გარვეის (John Garvey, 1993) თქმით, ფუნდამენტალიზმი რელიგიის "გაშიშვლებული სახეობაა", რომელიც იოლად და სწრაფად ვრცელდება".

გარდა ამისა, ულტრაორთოდოქსალისტებისგან განსხვავებით, რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს "ცხოვრება საკრალური ტექსტის შესაბამისად", ფუნდამენტალისტები მიმართავენ ტექსტების "აქტივისტურ" კითხვას და საკრალური ტექსტის მთელი სირთულე და სიღრმე თეოპოლიტიკურ პროგრამამდე დაჰყავთ. ისლამში ამას "დინამიკურ ინტერპრეტაციას" უწოდებენ. ამასთან, შერჩევითობა და ინტერპრეტაცია წარმოქმნის პრობლემას იმისა, რა ნიშნით უნდა მიენიჭოს უპირატესობა საკრალური ტექსტის ან დოქტრინის ერთ-ერთ ვერსიას სხვებთან შედარებით. ამ პრობლემას ფუნდამენტალისტები, ჩვეულებრივ, ინტერპრეტატორის *ვინაობის* გათვალისწინების საფუძველზე წყვეტენ. აქ კლერიკალურ თანამდებობას ან სასულიერო წოდებას შეიძლება მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდეს. უფრო არსებითია, რომ "ჭეშმარიტი ინტერპრეტატორი" უნდა იყოს ღრმად მორწმუნე და მაღალზნეობრივი აქტივისტი (აუცილებლად მამაკაცი), რომლის სულიერი მგზნებარება საბრძოლო გამოცდილებითაა გაღრმავებული. ამიტომაა, რომ რელიგიური ფუნდამენტალიზმი გამუდმებით ასოცირდება ქარიზმატული ლიდერის ხატთან, რაც მას, კრიტიკოსთა მტკიცებით, უპირობოდ ავტორიტარულ ხასიათს ანიჭებს.

ფუნდამენტალიზმის უდიდესი ძალმოსილება (რაც დაადასტურა ფუნდამენტალისტური მოძრაობების გავრცელებამ, დაწყებული მეოცე საუკუნის ბოლო წლებით) გამოიხატება მის უნარში, ბიძგი მისცეს პოლიტიკურ აქტივობას და მორწმუნეთა მობილიზაციას. ამგვარად, ფუნდამენტალიზმი ზემოქმედებს როგორც ფსიქოლოგიურ, ისე სოციალურ დონეებზე. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ფუნდამენტალიზმის მიმზიდველობა ეფუძნება მის უნარს, განსაზღვრულობა შეიტანოს არამდგრად სამყაროში. ვინაიდან ის რელიგიურია, ამდენად, თავისი ყურადღების ცენტრში აქცევს კაცობრიობის წინაშე წამოჭრილ ზოგიერთ ყველაზე ღრმასა და რთულ პრობლემას; რადგან ის ფუნდამენტალისტურია, ამდენად, იძლევა განმარტებებს, რომლებიც სიმარტივით, პრაქტიკულობითა და, რაც მთავარია, სისრულით გამოირჩევა. ფუნდამენტალიზმის ზეგავლენამ მოიცვა განათლებული და პროფესიონალური საზოგადოებრივი ფენები, მაგრამ რელიგიური ფუნდამენტალიზმი განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევდა მაშინ, როდესაც ეკონომიკურად და პოლიტიკურად ჩაგრული ფენების ინტერესებს გამოხატავდა. მან დასახა მყარი თვითმყოფობისა და სოციალური წესრიგის პერსპექტივა, და, გარდა ამისა, გამოდევნა სოციალიზმი (განსაკუთრებით – განვითარებად მსოფლიოში) როგორც მოძღვრება პოლიტიკური აღორძინებისა

და სოციალური სამართლიანობის შესახებ. ამასთან, ფუნდამენტალიზმის ერთ-ერთ ხარვეზს წარმოადგენს მისი სიმარტივე და სიშიშვლე, რაც ხელს უშლის რთული პრობლემებისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შემუშავებას. ხელისუფლებაში მყოფი ფუნდამენტალისტები (მაგალითად, ირანში) პოლიტიკური პროექტების ნაკლებობის გამო იძულებულნი არიან, იმპროვიზებას მიმართონ და არსებულ პოლიტიკურ ტრადიციებს დაესესხონ. ფუნდამენტალისტურმა მოძრაობებმა და ლიდერებმა ვერსად შეძლეს "ფუნდამენტალისტური ეკონომიკის" ჯეროვანი ფორმის განვითარება.

## ანტიმოდერნიზმი

რელიგიური ფუნდამენტალიზმის ყველაზე შესამჩნევი თვისება ისაა, რომ გამომწვევად აქცევს ზურგს თანამედროვე მსოფლიოს. მოდერნიზაციას ის დაცემად და დაკნინებად მიიჩნევს, რასაც განასახიერებს ულვთო სეკულარიზმი. ფუნდამენტალისტების აზრით, ალორძინება შეიძლება მიღწეულ იქნას მარტოოდენ ძველთაძველი "ოქროს ხანის" სულისკვეთებისა და ტრადიციებისკენ მიბრუნების მეშვეობით. საუბედუროდ, ეს წარმოდგენა პრიმიტიული და, გარკვეულწილად, მაცდურია. რელიგიური ფუნდამენტალიზმი შერჩევით ეკიდება როგორც ტრადიციებს, ასევე – თანამედროვეობას. თანამედროვეობისადმი მისი მიმართება შურსა და გულისწყრომაში გამოიხატება. ფუნდამენტალიზმის უმნიშვნელოვანეს ასპექტს უეჭველად წარმოადგენს მძაფრი ანტიმოდერნიზმი. ეს ყველაზე თვალსაჩინოდ ვლინდება მის მიერ იმ "ტრადიციულ" ფასეულობათა მხარდაჭერაში, რომლებიც მორალური კონსერვატიზმის კუთვნილებაა. დასავლურ საზოგადოებას, რომელიც ემსხვერპლა პიროვნების კულტს და მიილტვის პიროვნული კმაყოფილებისკენ, მიეწერება, უკეთეს შემთხვევაში, ამორალობა, ხოლო უარესში – გადაგვარება. თავისუფალი მორალი, ადიულტერი, პროსტიტუცია, ჰომოსექსუალობა და პორნოგრაფია ამ ზნეობრივი გახრწნის მხოლოდ ზოგიერთ სიმპტომად მიიჩნევა. სწორედ მორალური უფსკრული მიჯნავს ლიბერალურ ინდივიდუალიზმს რელიგიური ფუნდამენტალიზმისგან; პირველი უბიძგებს ადამიანებს, დამოუკიდებლად გააკეთონ საკუთარი მორალური არჩევანი, მაშინ როდესაც მეორე მოითხოვს, რომ ისინი შეეგუონ დაწესებულ და ღმერთის მიერ წინასწარ განსაზღვრულ მორალურ სისტემას. ამიტომ ისლამური ფუნდამენტალიზმის წარმომადგენლები ძველი *შარიათის* კანონის ხელახლა შემოღებას მოითხოვენ, ხოლო ქრისტიანი ფუნდამენტალისტები მორალური თავისუფლებისა და მატერიალიზმის გავრცელებას ებრძვიან "ოჯახური" ან "რელიგიური" ფასეულობებისადმი მიბრუნების მეშვეობით.

ამასთან, ფუნდამენტალიზმი არ უნდა აგვერიოს კონსერვატიზმსა ან ტრადიციონალიზმში. მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატიზმი და ფუნდამენტალიზმი ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს და იოლად ქმნიდა ალიანსებს (განსაკუთრებით – აშშ-ში, ისეთი ორგანიზაციების მეშვეობით, როგორიცაა "მორალური უმრავლესობა" და რესპუბლიკური პარტია), ორივე მათგანს განსხვავებული ხასიათი და მიზნები აქვს. კონსერვატიზმი ზომიე-

რი და წინდახედულია იქ, სადაც ფუნდამენტალიზმი ბობოქრობს და მძვინვარებს; კონსერვატიზმი მიისწრაფვის, დაიცვას საზოგადოების მაღალი ფენები და განამტკიცოს იერარქია, მაშინ როდესაც ფუნდამენტალიზმი პოპულისტურსა და ეგალიტარულ მიზნებს ახორციელებს; კონსერვატიზმი მხარს უჭერს უწყვეტობასა და ტრადიციას, ხოლო ფუნდამენტალიზმი რადიკალურია და ზოგჯერ აშკარად რევოლუციური. ტრადიციონალიზმი არის იმის რწმენა, რომ მემკვიდრეობითი ინსტიტუტები და პრაქტიკები (განსაკუთრებით – ხანგრძლივი და უწყვეტი ისტორიის მქონენი) ადამიანთა საუკეთესო სახელმძღვანელო პრინციპებია. ფუნდამენტალიზმი, როგორც ასეთი, ნაკლებად ენათესავება ტრადიციონალიზმს, რომელიც რელიგიური დოქტრინების "ორიგინალურ" ინტერპრეტაციას ემხრობა და ფართომასშტაბიან სოციალურ რეგენერაციას მოითხოვს. ფუნდამენტალიზმს მეტი საერთო ნიშნები აკავშირებს ახალი მემარჯვენეობის რეაქციულ რადიკალიზმთან. მიუხედავად ამისა, ფუნდამენტალიზმი აშკარად უფრო რეაქტიულია, ვიდრე – რეაქციული: ტრადიციონალიზმის მორალური რიტორიკა შესაძლოა გულისხმობს ორიენტაციას განწმენდილ მომავალზე და არა – იდეალიზებულ წარსულზე. ქარიზმატული ლიდერობის, პოპულიზმისა და ფსიქოსოციალური რეგენერაციისკენ ფუნდამენტალიზმის სწრაფვის გამო ზოგიერთი უშუალო პარალელს ავლებს ფაშიზმთან, მაგრამ ეს ნიშნავს იმ როლის იგნორირებას, რომელიც ფუნდამენტალიზმში უშუალოდ რელიგიური განცდებით შთაგონებას განეკუთვნება.

ყველაზე თვალსაჩინო არგუმენტს იმ შეხედულების სასარგებლოდ, რომ ფუნდამენტალისტები მარტოოდენ თავგადადებული რეაქციონერები არ არიან, წარმოადგენს მათი გატაცება თანამედროვეობის სპეციფიკური ასპექტებით. მაგალითად, მთელი მსოფლიოს ფუნდამენტალისტებმა გონივრულად გამოიყენეს მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებათა უპირატესობები (და არა მარტო აშშ-ის "ტელევანგელისტთა" შემთხვევაში). ეს აშკარად უპირისპირდება რევივალისტურ და ულტრაორთოდოქ-

## პოპულიზმი

ტერმინი პოპულიზმი (ლათინური *populus*-იდან, რაც "ხალხს" აღნიშნავს) გამოიყენება სხვადასხვაგვარი პოლიტიკური მოძრაობების, აგრეთვე პოლიტიკური აზროვნების კონკრეტული ტრადიციის აღსანიშნავად. პოპულისტური მოძრაობები და პარტიები აცხადებენ, რომ სურთ დაიცვან უბრალო ადამიანები "კორუმპირებული" ეკონომიკური ან პოლიტიკური ელიტარული წრეებისგან. როგორც პოლიტიკური ტრადიცია, პოპულიზმი ასახავს რწმენას, რომ ადამიანთა ინსტინქტები და სურვილები პოლიტიკური საქმიანობის ძირითად კანონიერ სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს. ამიტომ პოპულისტი პოლიტიკოსები უშუალოდ მიმართავენ ხალხს და ამტკიცებენ, რომ გამოხატავენ მის უღრმეს იმედებსა და შიშს, რადგან ყველა შუალედური ინსტიტუტი ნდობას არ იმსახურებს. მიუხედავად იმისა, რომ პოპულიზმი შეიძლება უკავშირდებოდეს ნებისმიერ საქმიანობას ან იდეოლოგიას, ის ხშირად მიიჩნევა ფარულად ავტორიტარულ, "პოპულისტურ" დემოკრატიად, რომელიც "პლურალისტური" დემოკრატიის მტერია.

სულ მოძრაობებს, რომლებიც ილაშქრებდნენ მსოფლიოს "ცოდვილი" ხალხების წინააღმდეგ და მათ ოდინდელი ადათ-წესების აღდგენის მეშვეობით განუდგნენ. თანამედროვეობის მიმართ ფუნდამენტალისტური კომპრომისი მხოლოდ ცინიკური რიტუალი როდია. თანამედროვე ტექნოლოგიის, მეცნიერების, მანქანებისა და თვით ბირთვული იარაღის აღიარებისათვის მზადყოფნა უფრო თანამედროვეობის სულისკვეთებისადმი სოლიდარობას და "საამქვეყნო" რაციონალიზმის მიმართ პატივისცემას გულისხმობს, ვიდრე – "მიღმურ" მისტიციზმში ჩაძირვას. მაგალითად, ირანში ინტერესს "ისლამური მეცნიერების" მიმართ სწრაფად შეენაცვლა კონვენციური და, მაშასადამე, დასავლური მეცნიერების აღიარება. ანალოგიურად, "ისლამური ეკონომიკის" შექმნის მცდელობის შემდეგ იმ საბაზრო პრინციპების გამოყენების ჯერი დადგა, რომლებიც ეკონომიკურ ლიბერალიზმს ემყარებოდა. ბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ ფუნდამენტალისტები გამოთქვამენ, არსებითად, მოდერნისტულ შეხედულებას რელიგიის შესახებ და ეს შეხედულება ეფუძნება უფრო მემკვიდრეობითი სტრუქტურებისა და ტრადიციების "დინამიკურ" ინტერპრეტაციას, ვიდრე მათ რწმენას. პარეხის (Parekh, 1994, გვ. 121) თქმით, ფუნდამენტალიზმი "ხელახლა აყალიბებს" რელიგიას თანამედროვეობის საზღვრებში, მაშინაც კი, როდესაც ის თანამედროვეობას რელიგიის მიჯნებით ზღუდავს.

## საომარი სულისკვეთება

მართალია, რელიგიურმა ფუნდამენტალისტებმა აღიარეს კონვენციური, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი პოლიტიკის შესახებ, მაგრამ მათი პოლიტიკური საქმიანობის სტილი მეტად თავისებურია – ენერგიული, საომარი სულისკვეთებით გამსჭვალული და ზოგჯერ ძალმომრეობითიც. ფუნდამენტალისტები, ჩვეულებრივ, ხალისით უწოდებენ საკუთარ თავს მეომრებს, იმ გაგებით, რომ საომარი სულისკვეთება გულისხმობს მეომართა დამახასიათებელ ენთუზიაზმსა და შემართებას. საიდან მომდინარეობს ეს საომარი სულისკვეთება და როგორია მისი მნიშვნელობა? ფუნდამენტალისტთა საომარ სულისკვეთებას მრავალფეროვანი მიზეზი აყალიბებს: პირველ რიგში, არსებობს მისწრაფება კონფლიქტებისადმი, რაც განაპირობებს რელიგიის ძალმოსილების ზრდას (რელიგიის სფერო ხომ ფუნდამენტურ ფასეულობებსა და შეხედულებებს მოიცავს). რელიგიური მიზნებით შთაგონებულ ადამიანს სწამს, რომ მის ქმედებას ღვთაებრივი ნება წარმართავს, ეს კი აშკარად აყენებს ამგვარ თვალსაზრისს ყველა სხვა მოსაზრებაზე მაღლა. ალბათ, ამით აიხსნება რელიგიური ომების სიხშირე წარსულში.

მეორე ფაქტორი ისაა, რომ ფუნდამენტალიზმი, კერძოდ, წარმოადგენს თვითმყოფობის პოლიტიკის ფორმას: მისი დახმარებით განისაზღვრება ერის რაობა და ეს უკანასკნელი კოლექტიური თვითმყოფობით აღიჭურვება. თვითმყოფობის პოლიტიკის ყველა ფორმა, განურჩევლად იმისა, ემყარება თუ არა ის სოციალურ, ეროვნულ, ეთნიკურ თუ რელიგიურ სხვაობებს, ცდილობს განარჩიოს "ისინი" და "ჩვენ", "უცხოები" და "თავისიანები". რა თქმა უნდა, რელიგიური ფუნდამენტალიზმი უკავშირდება წარმოდგე-

ნას მტრული და საშიში "სხვის" არსებობის შესახებ, რაც კოლექტიური თვითმყოფობის შეგრძნებას აძლიერებს და ოპოზიციურსა და საბრძოლო სულისკვეთებას განამტკიცებს. ეს დემონიზებული "სხვა" შეიძლება ნაირგვარ ნიღაბს შეეფაროს, დაწყებული სეკულარიზმითა და შემწყნარებლობით და დამთავრებული საპირისპირო ხასიათის რელიგიებით, ვესტერნიზაციით, აშშ-ით, მარქსიზმითა და იმპერიალიზმით. მესამე (და მონათესავე) ფაქტორს წარმოადგენს ფუნდამენტალისტთა მანიქეველური მსოფლაღქმა, რომელიც საგანგებოდ უპირისპირებს ერთმანეთს სინათლესა და წყვდიადს, ანუ სიკეთესა და ბოროტებას. თუ "ჩვენ" (ე. ი. რჩეული ხალხი) ვმოქმედებთ ღვთის ნების შესაბამისად, "ისინი" ჩვენს მიმართ მოშუღლე ხალხადაც კი არ ინოდება. ესაა ჯგუფი, რომელიც აქტიურად ეწინააღმდეგება ღვთის მიზანს დედამიწაზე და ოდენ "წყვდიადის ძალას" წარმოადგენს. ამგვარად, ფუნდამენტალისტთა აზრით, პოლიტიკური კონფლიქტი სხვა არაფერია, თუ არა ბრძოლა ან ომი, სადაც, საბოლოო ანგარიშში, მორწმუნეებმა ან ურჯულოებმა უნდა გაიმარჯვონ.

ამ საომარი სულისკვეთების ერთ-ერთი შედეგია მზადყოფნა ექსტრალეგალურ, ანტიკონსტიტუციურ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობისთვის. ამასთან, თუმცა ღვთის ნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანებისა, ფუნდამენტალისტები ყოველთვის როდი უგულებელყოფენ მეორე მათგანს, ამას მოწმობს ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობის მიერ კანონისა და წესრიგის მტკიცე მხარდაჭერა. ყველაზე სადავო საკითხად მიჩნეულია ძალმომრეობა, რომელსაც მიმართავენ ხოლმე ფუნდამენტალისტები. გავრცელებული წარმოდგენა ფუნდამენტალისტების როგორც ხელყუმბარებით შეიარაღებული თვითმკვლელებისა და ტერორისტების შესახებ შეუსაბამო და მცდარია, რადგან ფუნდამენტალისტური პროტესტი უმეტესწილად მშვიდობიანი და, ჩვეულებრივ, ლეგალური ხასიათისაა. ამასთან, შეუძლებელია ტერორიზმსა და ძალმომრეობასთან მისი კავშირის უარყოფა, რის ყველაზე დრამატულ მაგალითს წარმოადგენს ალ-ქაიდას ტერორისტთა გამანადგურებელი თავდასხმა მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე 2001 წლის 11 სექტემბერს. სხვა მაგალითებია: 1981 წელს ისლამური ფუნდამენტალისტების მიერ ეგვიპტის პრეზიდენტის, ანვარ სადათის მკვლელობა, 1984 წელს ინდოეთის პრემიერ-მინისტრის, ინდირა განდის მკვლელობა სიკჰების მიერ და 1995 წელს ისრაელის პრემიერ-მინისტრის, იცხაკ რაბინის მკვლელობა ებრაელი ფანატიკოსის მიერ; ისრაელში მომხდარი ტერორისტული კამპანიები, რომლებიც ისეთი ისლამური დაჯგუფებების ინიციატივით განხორციელდა, როგორიცაა ჰეცბოლა (ალაჰის პარტია) და ჰამასი; ძალმომრეობა მეთემეებზე, რომელშიც, სხვებთან ერთად, წვლილი მიუძღვით აგრესიულ ბუდისტებს შრი-ლანკაში; ებრაელ ფუნდამენტალისტთა ქმედებები ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ისლამური ტერორისტების ძალმომრეობა ალჟირში; აგრეთვე – აშშ-ში აბორტების საწინააღმდეგო კამპანიის მონაწილე ექსტრემისტთა მიერ ჩადენილი დაბომბვები და სისხლისღვრა.

ამგვარი აქტების ყველაზე ზოგადი ფუნდამენტალისტური დასაბუთება ბოროტების აღმოფხვრასა და ღვთის ნების აღსრულებაში მდგომარეობს.

## ტერორიზმი

ყველაზე ფართო გაგებით, ტერორიზმი ნიშნავს ტერორის გამოყენებას შორსმიმავალი პოლიტიკური მიზნებით; ტერორიზმის ამოცანაა შიშისა და დაბნეულობის ატმოსფეროს შექმნა. მიუხედავად ამისა, ეს ტერმინი ძალზე სადავოა. ჯერ ერთი, განსხვავებას, ერთი მხრივ, ტერორიზმსა და მეორე მხრივ, ძალმომრეობის ან ბრძოლის სხვა ფორმებს შორის ის ფაქტი აქარწყლებს, რომ ეს უკანასკნელნი შეიძლება, აგრეთვე, ფართო მასების დაშინებას ესწრაფოდნენ. გარდა ამისა, რადგან ტერმინი "ტერორისტი" ძალზე დამამცირებელია, ის შერჩევით და ხშირად სუბიექტურად გამოიყენება (ის, ვინც ერთ ადამიანს ტერორისტად მიაჩნია, სხვისი აზრით, შეიძლება, "თავისუფალ მებრძოლს" წარმოადგენდეს). ბოლოს, თუმცა ტერორიზმს, როგორც წესი, ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას უწოდებენ, სახელმწიფოები ზოგჯერ ტერორს საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებენ, რაც "სახელმწიფო ტერორიზმის" სახით გვევლინება.

მუსლიმან ხელყუმბარებიან თვითმკვლელებს, მაგალითად, სწამთ, რომ ალაჰისადმი თავდადების გამო სიცოცხლის განწირვისას ისინი დაუყოვნებლივ სამოთხეში მოხვდებიან. ფუნდამენტალისტური ჯგუფების ძალმომრეობითი აქტების სიხშირე უეჭველად იზრდება გამძაფრებული მოლოდინისა და რევოლუციური შემართების წყალობით; ეს კი პროვოცირებულია აპოკალიფსიზმით, ანუ რწმენით, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყნიერების არსებობის "ბოლო ჟამს". ფუნდამენტალისტური მოძრაობები ხშირად აღიარებენ მილენარიზმს, ე. ი. სჯერათ, რომ მალე დამყარდება ღმერთის ათასწლიანი საუფლო და გამოთქვამენ მესიანისტურ შეხედულებებს, რომლებიც დედამიწაზე ღმერთის დაბრუნების იმედს ეფუძნება.

## ფუნდამენტალიზმის სახეობათა ოჯახი

მარტის (Marty, 1988) მითითებით, ფუნდამენტალიზმის სახეობები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ჰიპოთეზური "ოჯახის" შემადგენელი წევრები. მიუხედავად ამისა, "ოჯახის" წევრები განირჩევიან ერთმანეთისგან სამ არსებით ასპექტში. ჯერ ერთი, მათი საფუძველია ძალზე განსხვავებული რელიგიები. თუმცა ფუნდამენტალისტური ან ფუნდამენტალისტური ტიპის მოძრაობები ყველა რელიგიამ წარმოშვა, შეიძლება ზოგი მათგანი უფრო იოლად დაექვემდებაროს ფუნდამენტალისტურ "ევოლუციას", ან ნაკლები დაბრკოლებები შეუქმნას ფუნდამენტალიზმს ასპარეზზე გამოსვლისას. ამ მხრივ, ისლამსა და პროტესტანტულ ქრისტიანობაში ყველაზე მეტი შესაძლებლობა მოიპოვება ფუნდამენტალისტური მოძრაობების წარმოსაშობად, რადგან თითოეული მათგანი ერთადერთ საკრალურ ტექსტს ემყარება; გარდა ამისა, ორივე მათგანის თვალსაზრისით, მორწმუნეებს უშუალოდ უკეთ ძალუძთ მადლმოფენილი სიბრძნის წვდომა, ვიდრე – რელიგიის სრულუფლებიან წარმომადგენელთა მეშვეობით (Parekh, 1994). შემდგომ, ფუნდამენტალიზმის სახეობანი წარმოიშობა ძალზე განსხვავებულ საზოგადოე-

ბებში. შესაბამისად, ფუნდამენტალისტური მოძრაობების გავლენიანობა და არსი განპირობებულია მათი წარმომშობი საზოგადოებების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურით. ბოლოს, ფუნდამენტალიზმის სახეობები განსხვავდება მათთან დაკავშირებული პოლიტიკური მოტივების შესაბამისად, და, საზოგადოდ, შეიძლება გავაერთიანოთ სამ კატეგორიაში. რელიგიური ფუნდამენტალიზმი ფართომასშტაბიანი პოლიტიკური აღორძინების იარაღად მიიჩნევა, რაც განსაკუთრებით მიმზიდველია უუფლებო და ჩაგრულ ხალხთათვის; ის გამოიყენება, აგრეთვე, როგორც არაპოპულარული ლიდერისა ან მთავრობის მხარდაჭერის საშუალება, რისთვისაც იქმნება უნიფიცირებული პოლიტიკური კულტურა; ფუნდამენტალიზმი, ბოლოს, ემსახურება ძირმორყეული ეროვნული ან ეთნიკური თვითმყოფობის განმტკიცების მიზანს. ფუნდამენტალიზმის ძირითადი ფორმებია:

- ისლამური ფუნდამენტალიზმი
- ქრისტიანული ფუნდამენტალიზმი
- ფუნდამენტალიზმის სხვა სახეობები

## ისლამური ფუნდამენტალიზმი

ისლამი, რომელიც მსოფლიოს მეორე უმნიშვნელოვანესი რელიგიაა, უაღრესად სწრაფად ვრცელდება. თანამედროვე მსოფლიოში დაახლოებით 1,3 მილიარდი მუსლიმანია, რომლებიც 70-ზე მეტ სახელმწიფოში ცხოვრობენ. ისლამი გავლენის თვალსაზრისით კონცენტრირებულია აზიასა და აფრიკაში; გამოთვლილია, მაგალითად, რომ მალე აფრიკის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი მუსლიმანი იქნება. ამასთან, ისლამი გავრცელდა, აგრეთვე, ევროპასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში. იგი ნამდვილად არაა და არც არასოდეს ყოფილა მარტოოდენ "რელიგია". ის უფრო ცხოვრების უნივერსალური სახელმძღვანელოა, რომელიც შეიცავს ინსტრუქციებს ადამიანებისა და ერების მორალთან, აგრეთვე – პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით. "ისლამის გზა" ეფუძნება წინასწარმეტყველ მუჰამადის (ახ.წ. 570-632) ქადაგებებს, რომლებიც წარმოდგენილია ყურანსა (ანუ, მუსლიმანთა აზრით, ალაჰის გაცხადებულ სიტყვასა) და სუნაში ანუ "გაკვალულ გზაში", სადაც გადმოცემულია ღვთისმოსავ მუსლიმანთა ტრადიციული წეს-ჩვეულებები და აღწერილია თვით წინასწარმეტყველის ცხოვრება. ისლამში არსებობს ორი ძირითადი სექტა, რომლებიც წარმოიშვა მუჰამადის სიკვდილის (ახ.წ. 632) შემდეგ ორმოცდაათი წლის განმავლობაში. სუნიტთა სექტა აერთიანებს მუსლიმანთა უმრავლესობას, მაშინ, როდესაც შიიტები ანუ შიას სექტა მუსლიმანთა მხოლოდ ერთ მეათედზე ოდნავ მეტს მოიცავს და ირანსა და ერაყშია კონცენტრირებული.

ირანის ისტორიის განმავლობაში თავს იჩენდა კონფლიქტი რელიგიასა და პოლიტიკას შორის; მუსლიმანთა ზოგიერთი ლიდერი ხშირად არარელიგიური მიზნებით ხელმძღვანელობდა და მოქნილად იყენებდა ისლამის პრინციპებს პოლიტიკური ცხოვრების მიმართ; მეორე მხრივ, ფუნდამენტა-

ლისტები მკაცრად მისდევდნენ წინასწარმეტყველის ცხოვრების ყაიდასა და პრინციპებს. ფუნდამენტალიზმი ისლამში არ გულისხმობს ყურანის უცილობელი ჭეშმარიტების რწმენას; ამაში ეჭვი არ ეპარება არც ერთ მუსლიმანს (ამიტომ, შეიძლება ითქვას, ყველა მუსლიმანი ფუნდამენტალისტია). ისლამური ფუნდამენტალიზმი ნიშნავს ძლიერ და საომარი სულისკვეთებით გამსჭვალულ რწმენას იმისა, რომ ისლამის პოსტულატები წარმოადგენს სოციალური ცხოვრებისა და პოლიტიკის, აგრეთვე – მორალის ძირითად პრინციპებს. ისლამურ ფუნდამენტალისტებს სურთ განამტკიცონ რელიგიის პრიმატი პოლიტიკაზე. პრაქტიკულად ეს ნიშნავს "ისლამური სახელმწიფოს", ანუ იმგვარი თეოკრატიის დაარსებას, რომელსაც მართავს სასულიერო, და არა საერო ხელისუფლება *შარიათის* ღვთაებრივი კანონის (ე. ი. ყურანში ჩამოყალიბებული პრინციპების) მიხედვით. *შარიათი* წარმოადგენს ეთიკური და სამართლებრივი ნორმების კოდექსს, მათ შორის – სასჯელთა სისტემას დანაშაულთა უმრავლესობისთვის, ისევე, როგორც მამაკაცთა და ქალთა პირადი ქცევის წესებს. სხვა რელიგიათა მსგავსად, ისლამი შეიცავს კონცეფციებსა და შეხედულებებს, რომლებმაც შეიძლება გაამართლოს პოლიტიკურ მოვლენათა ფართო სპექტრი. ეს განსაკუთრებით შეეხება ისლამურ ეკონომიკურ იდეებს. მაგალითად, ყურანი იცავს კერძო საკუთრების ინსტიტუტს, რომელიც, ზოგიერთის აზრით, კაპიტალიზმს განამტკიცებს. ამასთან, ის, აგრეთვე, კრძალავს მევახშეობას ანუ მოგების მოხვეჭას, რაც, სხვების მტკიცებით, სოციალიზმის მიმართ სიმპათიაზე მიუთითებს.

მეოცე საუკუნეში ისლამური ფუნდამენტალიზმის აღორძინებას სათავე დაუდო 1928 წელს ეგვიპტეში მუსლიმანური საძმოს დაარსებამ. თუმცა ეგვიპტემ 1922 წელს ნომინალური დამოუკიდებლობა მოიპოვა და 1936 წელს სრულ დამოუკიდებლობასაც მიაღწია, გაერთიანებულმა სამეფომ ამ ქვეყანაზე ძლიერი ეკონომიკური და სამხედრო ზეგავლენა შეინარჩუნა. საძმო დააარსა ჰასან ალ ბანამ (1906-49) იმ განზრახვით, რომ განეახლებინა, მისი რწმენით, შერყვნილი ისლამური სარწმუნოება და უზრუნველეყო მორწმუნეები პოლიტიკური ხმით, ისლამის პარტიით. ძმობა ცდილობდა დაეარსებინა ისლამური მთავრობა, რომელსაც განვითარების კაპიტალისტური და სოციალისტური ფორმებისთვის ალტერნატივა უნდა შეექმნა. ამგვარი მთავრობა გადაახალისებდა სოციალურ სისტემას ისლამური პრინციპებისადმი ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების, ისევე, როგორც პიროვნული მორალის მისადაგების მეშვეობით. სულიერი განწმენდის ამ პროცესს აგრეთვე უნდა განეპირობებინა ეგვიპტის საბოლოო განთავისუფლება საზღვარგარეთის კონტროლისგან. საძმო ყველა ისლამური ხალხის განთავისუფლებასა და გაერთიანების საკითხსაც განიხილავდა. მუსლიმანთა საძმო მოიცავდა იორდანიას, სუდანსა და სირიას. ამ ქვეყნებში დაარსებული ფილიალები აერთიანებდა მეჩეთებს, სკოლებს, ახალგაზრდულ კლუბებსა და თვით კომერციულ საწარმოებსაც. ის მიმართავდა ახალგაზრდების ფიზიკურსა და სამხედრო წვრთნას მომავალი *ჯიჰადისთვის* ანუ იმ საღვთო ომისთვის, რომლის მეშვეობითაც თავისი მიზნების განხორციელებას აპირებდა.

თუმცა, ფუნდამენტალიზმი არაბული პოლიტიკის პერიფერიაზე დარჩა იმ დროს, როდესაც არაბი ლიდერები დასავლეთისკენ მიისწრაფოდნენ ან, ეგვიპტის ხელისუფლებაში გამალ ნასერის მისვლის შემდეგ, არაბული სოციალიზმის გარკვეულ ფორმას უჭერდნენ მხარს. 1956 წელს ნასერმა განახორციელა სუეცის არხის ნაციონალიზაცია, მოიგერია გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთისა და ისრაელის სამხედრო ინტერვენცია და იქცა არაბული სამყაროს ჭეშმარიტ ლიდერად. სოციალიზმმა მას საშუალება მისცა, დაემყარებინა მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან და გაეუქმებინა მუსლიმანური საძმო. ამასთან, 1967 წელს არაბთა და ისრაელის ომში ეგვიპტის დამარცხების შედეგად იდეამ არაბული სოციალიზმის შესახებ მნიშვნელოვანი დისკრედიტაცია განიცადა. წარმოიქმნა ფუნდამენტალისტური მოძრაობის აღმავლობის შესაძლებლობა. კოლონიური მმართველობის დასრულების მიუხედავად, საშუალო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთი აფრიკის ქვეყნებმა კარგად იცოდნენ, რომ ეკონომიკურად კვლავ დამოკიდებულნი იყვნენ დასავლეთზე ან საბჭოთა კავშირზე და გაცნობიერებული ჰქონდათ საკუთარი პოლიტიკური უძლურება, რის სიმბოლურ განსახიერებასაც ისრაელის სახელმწიფოს გადარჩენა წარმოადგენდა. ამგვარ ვითარებაში აღორძინებულმა ნაციონალიზმმა კიდევ ერთხელ იჩინა თავი ისლამური ფუნდამენტალიზმის ფორმით. 1970-იანი წლების შემდეგ ფუნდამენტალისტური დაჯგუფებები შეიქმნა ყველაზე ისლამურ ქვეყნებში და ახალგაზრდების, აგრეთვე – პოლიტიკურად კომპრომეტირებულ პირთა მზარდი მხარდაჭერა მოიპოვა.

ამ პროცესის ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენდა ირანი, სადაც 1979 წ. სახალხო რევოლუციამ ხელისუფლების სათავეში აიათოლა ხომეინი მიიყვანა და განაპირობა ირანის "ისლამურ რესპუბლიკად" თვითგამოცხადება.

ირანის რელიგიური და პოლიტიკური ლიდერი. შიიტთა ოჯახიდან გამოსულმა ხომეინიმ რელიგიური აღზრდა მიიღო და ქომის მთავარი თეოლოგიური ცენტრის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო, სანამ (1964 წ.) ირანიდან გააძევებდნენ. 1979 წელს მისმა დაბრუნებამ ბიძგი მისცა სახალხო რევოლუციას, რომელმაც დაამხო შაჰის ძალაუფლება და აიათოლა (სიტყვასიტყვით – *ალაჰის საჩუქარი*) მსოფლიოს პირველი ისლამური სახელმწიფოს უზენაეს მმართველად აქცია (ხომეინის სიკვდილამდე).

ხომეინიმ ჯერ კიდევ 40-იან წლებში წამოაყენა იდეა ისლამური მთავრობის შესახებ, მაგრამ ინსტიტუციონალიზებული სასულიერო მმართველობის, როგორც "ისლამური რესპუბლიკის" საფუძვლის, საკითხი 60-იანი წლების ბოლომდე არ წამოუჭრია. ხომეინის მსოფლაღქმა ეფუძნებოდა ჩაგრულთა (ანუ, ფართო გაგებით, ღატაკთა და მესამე მსოფლიოს მკვიდრთა) და მჩაგვრელთა მკაფიო გამიჯვნას. მჩაგვრელებად მიიჩნეოდა ორი ტყუპი სატანა: აშშ და საბჭოთა კავშირი, კაპიტალიზმი და კომუნიზმი, დასავლეთი და აღმოსავლეთი. ამიტომ ისლამი იქცა თეოპოლიტიკურ პროგრამად, რომელიც მიზნად ისახავდა ისლამური სამყაროს აღორძინებას, გარეშე ოკუპაციისა და კორუფციისგან მისი განთავისუფლების მეშვეობით.

ირანის მაგალითმა, რომელიც უფრო სრულადაა განხილული მომდევნო თავში (შიიტი ფუნდამენტალისტების შესახებ საუბრისას), მსოფლიოს მრავალ კუთხეში ფუნდამენტალისტური დაჯგუფებები წაახალისა. 1981 წელს მუსლიმანურმა საძმომ მოკლა ეგვიპტის პრეზიდენტი სადათი; რამდენიმე ისლამური ქვეყნის (მაგალითად, პაკისტანისა და სუდანის) ლიდერებმა, ფუნდამენტალისტთა მზარდი ზეწოლის გავლენით, შემოიღეს *შარიათის* კანონი. ფუნდამენტალიზმმა განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი ლიბანში (1980-იან წლებში), როდესაც ქრისტიანებისა და მუსლიმანების სამოქალაქო ომის შედეგად ისედაც დანაწევრებული ქვეყანა (ლიბანის სამხრეთი ნაწილი ოკუპირებული იყო ისრაელის მიერ, ჩრდილოეთ ნაწილს კი სირია დაეუფლა) ორად გაიყო. ბეირუთის გარკვეულ რაიონებს ფუნდამენტალისტთა ჯგუფები აკონტროლებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ჰეზბოლამ, რომელსაც ირანი უჭერდა მხარს, დასავლელი მტრების უამრავი გახმაურებული გატაცება განახორციელა.

ისლამიზმმა შემდგომი განვითარებისას მრავალფეროვანი ხორცშესხმა ჰპოვა. თურქეთში ფუნდამენტალიზმის კონსტიტუციურმა ფორმამ იჩინა თავი 2002 წელს, როდესაც უმნიშვნელოვანეს საარჩევნო წარმატებებს მიაღწია წინამორბედ წელს ჩამოყალიბებულმა (უწინ აკრძალული ისლამისტური ჯგუფებისგან შედგენილმა) სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ (AKP). ამასთან, ავღანეთში რევოლუციური ფუნდამენტალიზმის ძალმოსილება დემონსტრირებულ იქნა თალიბანის რეჟიმის მიერ, რომელიც 1997 წელს დამყარდა, მაგრამ 2001 წელს დამხობილ იქნა აშშ-ის მიერ ორგანიზებული სამხედრო აქციის მეშვეობით. თალიბანი ფუნდამენტალიზმის რადიკალურად ახალ ნიმუშს წარმოადგენს, კერძოდ, ის გადაჭრით გაემიჯნა ნებისმიერ (ისლამისტურ ან სხვაგვარ) იდეას, რომელიც არ შეესაბამებოდა მის მსოფლმხედველობას. ეს ემყარებოდა დეობანდიზმის უკიდურეს ფორმას, ე.წ. "სუნი ჰანაფი" ისლამის სახეობას, რომელიც ბრიტანულ ინდოეთში განვითარდა, მაგრამ ყველაზე ღრმად ფესვები პაკისტანში გაიდგა. თალიბანი ცდილობდა, "არაისლამური" კორუფციის ყველმა ფორმა აღმოეფხვრა და იძულებით დაენერგა *შარიათის* კანონის მკაცრი და რეპრესიული ინტერპრეტაცია. ქალებს სავსებით აღუკვეთეს განათლების მიღების, ეკონომიკური საქმიანობისა და, საერთოდ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. უაღრესად მკაცრი ცენზურა მუსიკის ყველა ფორმას კრძალავდა. თალიბანის უკიდურესად ავტორიტარული გამგებლობის დროს პოლიტიკური ძალაუფლება უზენაეს სასულიერო პირებს ეპყრათ ხელთ, მოლა ომარის ხელმძღვანელობით.

*ჯიჰადის* ახალმა მრავალრიცხოვანმა ჯგუფებმა, რომლებიც 1990-იანი წლების შემდგომ შეიქმნა (მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ალ-ქაიდა, ოსამა ბინ ლადენის მეთაურობით) აგრეთვე გარკვეული ექსპრესია მიანიჭეს ამ რადიკალურად ახალ ფუნდამენტალიზმს. ამ ჯგუფების ისლამისადმი ერთგულება გამოვლინდა *ჯიჰადის*, ანუ აშშ-ისა და ისრაელის (ე.ი. ქრისტიანებისა და ებრაელების) წინააღმდეგ გამიზნული საღვთო ომის სახით. ისინი ძირითად მიზნად საზღვარგარეთის ზეგავლენისგან საუდის არაბეთის განთავისუფლებას ისახავდნენ. ამგვარი მებრძოლი ისლამიზმი ტე-

რორიზმსა და თვითმკვლელების თავდასხმებს (მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტს აშშ-ში და 2002 წელს ბალის დაბომბვას) პოლიტიკური და სოციალური ბრძოლის კანონიერ და ცოდვათაგან განმწმენდ გამოხატულებებად მიიჩნევს. ისლამის კრიტიკოსთა შეხედულებით, მსგავსი მოვლენების საფუძველი ისლამური და ლიბერალურ-დემოკრატიული დასავლური ფასეულობების ძირეული შეუთავსებლობაა. ამ თვალსაზრისით, ისლამი გარდუვალად ტოტალიტარულია, რადგან *შარიათის* კანონზე დაფუძნებული "ისლამური სახელმწიფოს" საპყრობილე აბსოლუტურად ანტიპლურალისტურია და ვერ ეგუება საზოგადოებრივისა და პრივატულის გამიჯვნას. აშკარაა, რომ ტერორისა და ძალმომრეობის გამოყენება უბრალოდ ტოტალიტარული პოტენციალის უკიდურეს გამოვლინებას წარმოადგენს.

თუმცა, ისლამისადმი ამგვარი მოპყრობა სერიოზულად აყალბებს მის ძირითად პრინციპებს. ეს უკანასკნელნი კი ტერორიზმს სულაც არ უჭერს მხარს, არამედ, პირიქით, ქადაგებს მშვიდობას, ურთიერთპატივისცემასა და სამართლიანობას. მაგალითად, წინასწარმეტყველ მუჰამადის თანახმად, "უდიდეს *ჯიჰადს*" წარმოადგენს არა პოლიტიკური ბრძოლა ურჯულოთა წინააღმდეგ, არამედ – შინაგანი ჭიდილი და, შედეგად, პიროვნების სრულყოფა მორალური დისციპლინისა და ისლამისადმი ერთგულების გზით. ყველა რელიგიური ტრადიციის მსგავსად, ისლამში უკიდურესად მრავალფეროვანი თვალსაზრისებია გაერთიანებული. ის იმდენად წინააღმდეგობრივ ინტერპრეტაციებს ექვემდებარება, რომ მისი მეშვეობით თითქმის ნებისმიერი მოტივის ან ქმედების გამართლებაა შესაძლებელი. საბოლოო ჯამში, რელიგიურ ფუნდამენტალიზმს რელიგიური მოძღვრებების უჩვეულო ინტერპრეტაცია და, შემდგომ, ამ ინტერპრეტაციათა უეჭველი ავტორიტეტულობის მტკიცება ახასიათებს.

## შიიტური ფუნდამენტალიზმი

ირანი პოლიტიკური ისლამის აღორძინების სიმბოლოდ იქცა, ხოლო ფუნდამენტალისტური დაჯგუფებები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ლიბანი, პაკისტანი, ავღანეთი და გაერთიანებული სამეფო, ირანს სულიერ და პოლიტიკურ ლიდერად მიიჩნევენ. ირანის მოსახლეობის უმრავლესობა შიიტთა სექტის წევრებია (ესაა უფრო მცირერიცხოვანი სექტა ორი ისლამური სექტიდან). ორ სექტად ისლამის დაყოფას ის პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რომ ორივე მათგანის ხასიათი და პოლიტიკური მისწრაფებები, ტრადიციულად, სხვადასხვაგვარია. მათი განხეთქილება გამოიწვია თითოეული სექტის სპეციფიკურმა მიდგომამ წინასწარმეტყველ მუჰამადის მემკვიდრეთა საკითხისადმი. სუნიტებს სწამდათ, რომ მუჰამადის გარდაცვალების შემდგომ პირველი ოთხი ("მადლცხებული") ხალიფა ანუ "მემკვიდრე", "სწორად დამოძღვრილი ხალიფები", ეზიარნენ ღვთაებრივ სიბრძნეს. ბოლო მათგანი, ალი, წინასწარმეტყველის ნათესავი იყო. სუნიტების აზრით, ალის მემკვიდრეების საკითხი *ულამას* ანუ განსწავლულ სასულიერო პირთა კონსენსუსის შედეგად უნდა დადგენილიყო. ამგვარად არჩეულ ლიდერს ვერა-

ვინ მიიჩნევდა ღვთაებრივ ან შეუცდომელ არსებად. შიიტებს, პირიქით, სწამდათ, რომ ალისა და ფატიმას (წინასწარმეტყველის ერთ-ერთი ასულის) შთამომავლები ღვთაებრივ სიბრძნესთან წილნაყარნი იყვნენ. მათი აზრით, ყოველი ახალი *იმამი* ანუ რელიგიური ლიდერი, უცოდველი და შეუცდომელია და, მაშასადამე, აბსოლუტურ რელიგიურსა და პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობს.

სუნიტების შეხედულებით, ისლამის ისტორია მუჰამადისა და მისი ოთხი მემკვიდრის დროინდელი იდეალური საზოგადოებისგან თანმიმდევრულ დაცილებას წარმოადგენს. ამასთან, შიიტებს სწამთ, რომ შეუცდომელი *იმამის* ქადაგებები ყოველთვის ღმერთის მიერაა შთაგონებული ან რომ ღვთაებრივი სიბრძნე ხელახლა გამოვლინდება სამყაროში "ფარული *იმამის*" დაბრუნებისას, ანუ მაჰდის (ღმერთის მიერ უშუალოდ წარმოგზავნილი მეთაურის) მოსვლასთან ერთად. შიიტების აზრით, ისტორიის განვითარების გეზი მიმართულია იდეალური საზოგადოებისკენ და არა – პირუკუ. ამგვარი წარმოდგენები აღორძინების ან მოახლოებული ხსნის შესახებ შიიტთა სექტას მესიანისტურ ხასიათსა და ემოციურ შთამბეჭდაობას ანიჭებს, რაც არ შეიმჩნევა უფრო ზომიერ სუნიზმში. შიიტთა სექტის რელიგიური ტემპერამენტი, აგრეთვე, განასხვავებს მას სუნიტთა სექტისგან. შიიტებს სწამთ, რომ პიროვნებამ თავისი სამარცხვინო ცოდვები ტანჯვის, აგრეთვე – ღვთისმოსაობისა და ღარიბული ცხოვრების მეშვეობით შეიძლება გამოისყიდოს. სულიერი ხსნის პერსპექტივამ შიიტთა სექტას მისი დამახასიათებელი ენერგია და ემოციური ძალა მიანიჭა. როდესაც ამგვარი რელიგიური გზნება პოლიტიკური მიზნით გამოიყენება, ის რელიგიისადმი ურყევ ერთგულებასა და თავდადებას წარმოშობს. შიიტთა სექტა ტრადიციულად უფრო პოლიტიკური ხასიათისა იყო, სუნიტთა სექტასთან შედარებით. ის განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა ღარიბი და უუფლებო ადამიანებისთვის, ვისთვისაც სამყაროში ღვთაებრივი სიბრძნის ხელახალი გამოვლენა საზოგადოების განწმენდას, უსამართლობის მოსპობასა და ჩაგვრისგან განთავისუფლებას ნიშნავს.

1979 წელს ირანს სახალხო დემონსტრაციების მძლავრმა ტალღამ გადაუარა, რამაც შაჰი აიძულა, ქვეყანა დაეტოვებინა. მომზადდა ნიადაგი ხომეინის დასაბრუნებლად. ირანი ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადდა. ძალაუფლება ხელთ ჩაიგდო ისლამურმა რევოლუციურმა საბჭომ, რომელიც 15 უზენაეს სასულიერო პირს აერთიანებდა თვითონ ხომეინის მეთაურობით. კანონმდებლობა მთლიანად გადაეცა ხალხის მიერ არჩეულ ისლამურ საკონსულტაციო ასამბლეას, რომელსაც კონსტიტუციის დაცვის საბჭო ამტკიცებდა ექვსი კლერიკალური და ექვსი სამოქალაქო იურისტის შემადგენლობით. საბჭო უზრუნველყოფდა კონსტიტუციის შესაბამისობას ისლამური პრინციპებისადმი. ირანმა მძლავრი რელიგიური თვითშეგნება გამოავლინა, რაც აისახა სახალხო სიძულვილში "დიდი სატანის", აშშ-ისადმი, აგრეთვე – მკაცრი ისლამური პრინციპების დანერგვაში სოციალურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგალითად, თავშლისა და ჩადრის, ფართო ტანისამოსის ტარება ირანში ყველა ქალისთვის სავალდებულოა, როგორც მაჰმადიანებისთვის, ისე არამაჰმადიანებისთვის. მოიხსნა შეზღუდვები პო-

ლიგამიაზე, აიკრძალა კონტრაცეფცია, ადიულტერი ისჯებოდა საჯაროდ გაროზგვის ან სიკვდილით დასჯის მეშვეობით; სიკვდილით დასჯა შემოღებულ იქნა, აგრეთვე, ჰომოსექსუალიზმისთვის. ირანის პოლიტიკაცა და საზოგადოებაც მთლიანად ისლამიზებულ იქნა და პარასკევის ლოცვები თეირანში ოფიციალური სამთავრობო პოლიტიკის გამოხატულებად და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალურ მომენტად იქცა. ისლამური რევოლუციის შედეგად წარმოშობილმა რელიგიურმა ნაციონალიზმმა ახალ სიმაღლეებს 1980-88 წლებში, ირან-ერაყის ომის დროს მიაღწია.

ამასთან, რევოლუციური შემართების შენარჩუნება ირანში მჭიდროდ უკავშირდებოდა პატრიოტულ ომს დამპყრობელი ერაყის წინააღმდეგ და თვით ხომეინის გამუდმებულ მესიანისტურ ზეგავლენას. ომის დასასრულმა და აიათოლა ხომეინის სიკვდილმა გზა გაუკვალა უფრო ზომიერ პოლიტიკურ ძალებს. ქვეყნის ეკონომიკა გაპარტახებული იყო რვაწლიანი ომის გამო გაწეული უზარმაზარი ხარჯების, აგრეთვე – საზღვარგარეთთან ვაჭრობისა და კაპიტალდაბანდებათა არარსებობის გამო. ირანში თანდათან ყველა მიხვდა, რომ ეკონომიკის აღორძინება შეუძლებელი იქნებოდა ინდუსტრიული დასავლეთისგან ირანის დიპლომატიური იზოლაციის პირობებში. 1989 წელს პრეზიდენტად აირჩიეს ჰაშემი რაფსანჯანი, ირანის პარლამენტის სპიკერი, რის შემდეგაც ქვეყნის პოლიტიკა უფრო პრაგმატული და ნაკლებად იდეოლოგიური კურსით წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პოლიტიკა პალესტინასა და სხვა ქვეყნებში არსებულ რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებებთან კავშირსა და მათ მხარდაჭერას ითვალისწინებდა, ირანის ისლამური რევოლუციის ისტორიამ გამოავლინა პრივილეგირებული და საომარი სულისკვეთებით გამსჭვალული ფუნდამენტალიზმის უნაყოფობა მზარდი გლობალიზაციის ეპოქაში. ამასთან, საგულისხმოა, რომ ირანის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების მზარდ პრაგმატიზმს აქამდე რელიგიური წეს-ჩვეულებების მოშლა ან რწმენის შესუსტება არ მოჰყოლია.

## ქრისტიანული ფუნდამენტალიზმი

ქრისტიანული სარწმუნოება, რომელსაც ორი მილიარდი აღმსარებელი ჰყავს, მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური რელიგიაა. ის წარმოიშვა პალესტინაში და გავრცელდა ჯერ რომის იმპერიაში, შემდეგ კი – ევროპაში, ხოლო მოგვიანებით, ევროპელ ახალმოსახლეთა წყალობით, ექსპორტირებულ იქნა ამერიკასა და მსოფლიოს სხვა კუთხეებში. ახალი ქვეყნების დაპყრობისა და მისიონერთა მცდელობების მიუხედავად, 1900 წლისათვის მსოფლიოს ქრისტიანთა დაახლოებით 83 პროცენტს ჯერ კიდევ დასავლეთის მკვიდრნი შეადგენდნენ. მეოცე საუკუნეში ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელთა რაოდენობა დასავლეთში (განსაკუთრებით ევროპაში) შემცირდა, მაგრამ მათმა საერთო რაოდენობამ მკვეთრად იმატა განვითარებად მსოფლიოში. ეს ნიშნავს, რომ ქრისტიანთა უმრავლესობა ამჟამად აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში ცხოვრობს.

ქრისტიანობა იუდაიზმის ფარგლებში ჩამოყალიბდა. ქრისტიანობის მიმდევრებს სწამთ, რომ იესო იყო ძველ აღთქმაში ნაწინასწარმეტყველები

მესია, ხოლო მისი ცხოვრება და ქადაგებები ახალ აღთქმაშია გადმოცემული. ყველა ქრისტიანი აღიარებს ბიბლიის ავტორიტეტს, მაგრამ ქრისტიანობა დანაწევრებულია კათოლიკურ, მართლმადიდებლურ და პროტესტანტულ ეკლესიებად. რომაული კათოლიციზმის საფუძველია რომის პაპის საერო და სასულიერო ხელისუფლება, რომელიც ემყარება დოქტრინას პაპის შეუცდომლობის შესახებ. აღმოსავლური მართლმადიდებლური ქრისტიანობა წარმოიშვა რომის ეკლესიის განხეთქილების შედეგად, 1054 წელს, და დანაწევრდა მრავალ ავტონომიურ ეკლესიად. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია და საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესია. პროტესტანტიზმი მრავალგვარ მიმდინარეობას მოიცავს. მეთექვსმეტე საუკუნეში, რეფორმაციის დროს, მათ უგულებელყვეს რომის ავტორიტეტი და ჩამოაყალიბეს ქრისტიანობის რეფორმირებული ეროვნული სახეობები. ყველაზე გავლენიანი პროტესტანტული მიმდინარეობები იყო ლუთერანიზმი შვედეთში და, ნაწილობრივ, გერმანიაში, კალვინიზმი – ჟენევასა და შოტლანდიაში, ბოლოს – ანგლიკანიზმი ინგლისში. პროტესტანტიზმის მიმართულებებს, კონცეპტუალური განსხვავებების მიუხედავად, აერთიანებს ბიბლიის, როგორც ჭეშმარიტების ერთადერთი წყაროს, აღიარება და რწმენა იმისა, რომ ადამიანებს ღმერთთან უშუალო ურთიერთობის დამყარება ძალუძთ.

რეფორმაციის შემდგომ ქრისტიანობის პოლიტიკური მნიშვნელობა მნიშვნელოვანწილად შესუსტდა. ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის პროგრესმა ნაწილობრივი ასახვა ჰპოვა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნასა და პოლიტიკური ცხოვრების რადიკალურ სეკულარიზაციაში. ქრისტიანობა (ყოველ შემთხვევაში, განვითარებულ დასავლეთში) შეეწყო ამ ვითარებას, რადგან თანდათან იქცა პერსონალურ რელიგიად და უკავშირდება უფრო პიროვნების სულიერ ხსნას, ვიდრე – საზოგადოების მორალურსა და პოლიტიკურ რეგენერაციას. ამან, თავის მხრივ, მეოცე საუკუნის დასასრულს ხელი შეუწყო ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის თვისებრივ ჩამოყალიბებას. ფუნდამენტალისტები, რომლებიც მყარ სოციალურ, ეკონომიკურსა და პოლიტიკურ სტრუქტურებს უპირისპირდებოდნენ და შესისხლხორცებული ჰქონდათ სეკულარული ფასეულობები და მიზნები, ძირითადად პლურალისტურ და კონსტიტუციურ ჩარჩოებში მუშაობით კმაყოფილდებოდნენ. ისინი ნაკლებად ესწრაფოდნენ თეოკრატიის დამყარებას და, ჩვეულებრივ, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებულ კამპანიებს ატარებდნენ ან მორალის სიწმინდისათვის იბრძოდნენ.

ერთ-ერთი მოვლენა, რომლის გამოაშკარავებასაც ხელი შეუწყო ფუნდამენტალიზმმა, ეთნიკური ნაციონალიზმია. ასე მოხდა ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც ევანგელური პროტესტანტიზმის აღმავლობა 1969 წლის ბობოქარი მოვლენების ერთ-ერთი შედეგი იყო. იან პეისლის მიერ გამოყოფილი თავისუფალი პრესვიტერიანული ეკლესიისა და *დემოკრატიული იუნიონისტური პარტიის* (DUP) მეშვეობით პოლიტიკურად ორგანიზებული ოლსტერის ფუნდამენტალიზმი ირლანდიის გაერთიანებას კათოლიციზმისა და რომის გამარჯვებას უთანაბრებდა. თვით პეისლი აქტიურად არასოდეს უწყობდა ხელს ამბოხებას, მაგრამ, მისი განცხადებით, თუ გაერთიანება

გაგრძელდებოდა, ეს პროტესტანტთა შეიარაღებულ წინააღმდეგობას გამოიწვევდა. პროტესტანტ, ისევე, როგორც ფუნდამენტალისტ მშრომელთა მიმართ აპელირების მეშვეობით პეისლიმ და მისმა მომხრეებმა "რკინისებრ უდრეკი ნებით" აღჭურვეს ოლსტერის იუნიონიზმი და გზა გადაულობეს იმ პოლიტიკურ მოძრაობებს, რომელთაც, საბოლოო ანგარიშში, ირლანდიის გაერთიანებისთვის შეეძლოთ მიეღწიათ (Bruce, 1993). ამასთან, პეისლიანური მოძრაობის თეოლოგიურ წყაროს წარმოადგენდა აშშ, როგორც ევანგელური პროტესტანტიზმის სამშობლო. სწორედ ამ ქვეყანაში ჩაისახა ყველაზე გავლენიანი ქრისტიანული ფუნდამენტალისტური მოძრაობა, ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა.

## ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა

თუ ეკლესიურ ქრისტიანთა რაოდენობას გავითვალისწინებთ, აშშ, ალბათ, დასავლეთის სახელმწიფოთა შორის ყველაზე რელიგიური ქვეყანაა. აშშ-ის დაახლოებით 60 მილიონი მოქალაქე აცხადებს, რომ "ხელახლა მოიქცა" და მათი ნახევარი საკუთარ თავს ფუნდამენტალისტებს უწოდებს. ეს მნიშვნელოვანწილადაა განპირობებული იმ ფაქტით, რომ ამერიკა ოდითგანვე თავშესაფარს აძლევდა დევნილ რელიგიურ სექტებსა და მოძრაობებს. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ამერიკული პროტესტანტიზმის ფარგლებში სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობდა, ერთი მხრივ, ბიბლიის ტექსტის მიმართ ლიბერალური დამოკიდებულების მომხრე მოდერნისტებსა და, მეორე მხრივ, კონსერვატორებს (შემდგომ – "ფუნდამენტალისტებს") შორის. ამასთან უკანასკნელთ ბიბლიის ურყევი, სიტყვასიტყვითი ჭეშმარიტება სწამდათ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი რელიგიური ვნებები და თვალსაზრისები, არსებითად, ოჯახისა და სახლის პრივატული საზღვრებით იზღუდებოდა. რელიგიური ჯგუფები იშვიათად მონაწილეობდნენ აქტიურ პოლიტიკაში და თუ ამას სჩადიოდნენ, წარმატებას იშვიათად აღწევდნენ. 1920-33 წლებში პოლიტიკაში მონაწილეობაზე აკრძალვის შემოღება მნიშვნელოვან გამონაკლისს წარმოადგენდა. 1970-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბებული ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა უჩვეულო მოვლენა გახლდათ, რადგან ის რელიგიისა და პოლიტიკის შერწყმისკენ მიისწრაფოდა. ამგვარად, ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა ამერიკის "ქრისტესკენ მოქცევას" ცდილობდა.

"ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა" გამაერთიანებელი ტერმინია. ის იმ დაჯგუფებათა თავისუფალ კოალიციას აღნიშნავს, რომლებსაც, უპირველეს ყოვლისა, აერთიანებს გარკვეული მიმართება მორალისა და სოციალური საკითხებისადმი. ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა შეუპოვრად მიისწრაფის ე.წ. "ქრისტიანული კულტურის" შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის. ამ მოძრაობის წარმოშობა ორმა ძირითადმა ფაქტორმა განაპირობა: ჯერ ერთი, 1945 წლის შემდგომ აშშ-ში, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საზოგადოებრივი სფერო. მაგალითად, 1960-იანი წლების დასაწყისში უზენაესმა სასამართლომ ამერიკულ სკოლებში ლოცვების კითხვა აკრძალა, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის პირველ შესწორებას, რომელიც რელიგიური თავისუფლების

გარანტიას იძლევა. სამოქალაქო უფლებების დაკანონებას მოჰყვა დასაქმების კვოტების გამოყენება, აგრეთვე – თეთრ- და ფერადკანიან მოსწავლეთა ერთობლივად მგზავრობის დაშვების წყალობით სკოლების დესეგრეგაციის განმტკიცება, და (კერძოდ, ლინდონ ჯონსონის იმ ინიციატივის მეოხებით, რომელიც "დიადი საზოგადოების" შექმნას ითვალისწინებდა) კეთილდღეობის გაზრდა, ქალაქთა განვითარება და სხვა პროგრამების დანერგვა. ამის შედეგად ბევრმა "ღვთისმოშიშმა" სამხრეთელმა კონსერვატორმა მიიჩნია, რომ მათ ტრადიციულ ფასეულობებსა და ცხოვრების წესს საშიშროება ემუქრებოდა და რომ ამაში ვაშინგტონის ლიბერალურ მმართველ ელიტას მიუძღოდა ბრალი.

მეორე ფაქტორს წარმოადგენდა იმ ჯგუფების მზარდი პოლიტიკური დაწინაურება, რომლებიც აერთიანებდა შავკანიანებს, ქალებსა და ჰომოსექსუალებს. მათი გაძლიერება საფრთხეს უქმნიდა ტრადიციულ სოციალურ სტრუქტურებს, განსაკუთრებით – ამერიკის სოფლებსა და მცირე ქალაქებში. როდესაც 1970-იან წლებში ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა წარმოიშვა, რათა დაწყებულიყო კამპანია "ტრადიციულ ოჯახურ ფასეულობათა" აღდგენის მიზნით, მის საგანგებო სამიზნეებს შეადგენდა "მტკიცებითი საქმიანობა" (პოზიტიური დისკრიმინაცია შავკანიანთა სასარგებლოდ), ფემინიზმი (კერძოდ, 'თანაბარ უფლებათა შესწორება') და გეების უფლებათა დაცვის მოძრაობა. 80-90-იან წლებში ზნეობრიობის ეს პოლიტიკა სულ უფრო მეტად გაერთიანდა ანტისააბორტო საკითხის ირგვლივ.

დასახელებული საკითხების შესასწავლად შექმნილი მრავალგვარი ორგანიზაციის მობილიზაციას ხშირ შემთხვევაში ზემოხსენებული ტელევანგელისტები ახორციელებდნენ. ამ ორგანიზაციათა შორის იყო: *რელიგიური მრგვალი მაგიდა*, *ქრისტიანული ხმა*, *ტრადიციულ ფასეულობათა დაცვის ამერიკული კოალიცია* და ყველაზე გავლენიანი *მორალური უმრავლესობა*, რომელიც ჯერი ფოლუელმა (Jerry Falwell) ჩამოაყალიბა 1980 წელს. ანტისააბორტო მოძრაობაში კათოლიკები დაწინაურდნენ, მაგრამ ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა ჩამოაყალიბეს ევანგელისტმა პროტესტანტებმა, რომლებიც, როგორც "ბიბლიის მორწმუნეები", საღმრთო წერილის სულისკვეთებას ეზიარნენ და ხშირად აცხადებდნენ, რომ "მოიქცნენ", იმ გაგებით, რომ პირადად განიცადეს ქრისტესკენ მოქცევა. ევანგელისტთა შორის გარკვეული განსხვავება შეიმჩნევა. კერძოდ, ეგრეთ წოდებული ფუნდამენტალისტები ისწრაფვიან, ურწმუნო საზოგადოებას გაემიჯნონ, ხოლო ქარიზმატიკოსებს სწამთ, რომ სულიწმიდა ადამიანებს წინასწარმეტყველებისა და განკურნების უნარით აჯილდოებს და, ამდენად, ძალუძს, მათი მეშვეობით იმოქმედოს. 1980-იანი წლების შემდეგ "მორალურმა უმრავლესობამ" და სხვა მსგავსმა ჯგუფებმა დააფინანსეს კამპანია და დაიწყეს ამომრჩეველთა დაუყოვნებელი რეგისტრაცია იმ მიზნით, რათა ლიბერალური ან "ალტერნატივის მომხრე" დემოკრატები დაემარცხებინათ და რესპუბლიკელები ახალი სოციალური და მორალური პროგრამის მისაღებად წაექეზებინათ. ეს პროგრამა აბორტების აკრძალვას და აშშ-ის სკოლებში ლოცვათა კითხვის განახლებას ითვალისწინებდა. მითითებული პროგრამის ხორ-

ცშესხმისთვის რონალდ რეიგანის მზადყოფნა (1980-იან წლებში) გულისხმობს, რომ ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა მნიშვნელოვან კომპონენტად იქცა კოალიციისა, რომელიც ისევე იყო დაინტერესებული მორალის საკითხებით, როგორც ტრადიციული პრობლემებით (მაგალითად, ეკონომიკითა და საგარეო პოლიტიკით). რეიგანმა ენთუზიაზმით აითვისა ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობის რიტორიკა და უზენაეს სასამართლოში აბორტთა მოწინააღმდეგეებიც შეიყვანა, მაგრამ, საერთოდ, ამ მოძრაობის მორალური პროგრამის დანერგვა ვერ შეძლო.

მას შემდეგ, რაც რეიგანის ეპოქა დამთავრდა, ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შეირყა. რეიგანის მემკვიდრე ჯორჯ ბუშ-უფროსი ამ მოძრაობას არ ემხრობოდა (მაგალითად, 1980 წლამდე იმ მხარს უჭერდა აბორტებს). მან, აგრეთვე, დაარღვია თავისი არჩევნებისდროინდელი დაპირება, არ გაეზარდა გადასახადები. ამან ქრისტიანული მემარჯვენეები აიძულა, პრეზიდენტობის თავიანთი კანდიდატი წამოეყენებინათ, რასაც 1992 წელს ტელევანგელისტი პატ რობერტსონის წარუმატებლობა მოჰყვა რესპუბლიკელთა წინასაარჩევნო ნომინაციაში. რობერტსონის მარცხმა, აგრეთვე იმან, რომ რეიგანმა და ბუშმა არჩევნებში მემარჯვენეთა წარმატება ვერ უზრუნველყვეს, მოძრაობას ორი ძირითადი დაბრკოლება შეუქმნა. გარდა იმისა, რომ ქრისტიანულმა მემარჯვენეობამ თავისი პოლიტიკური ბაზისი ვერ გააფართოვა და თეთრკანიანთა ევანგელისტური პროტესტანტული გაერთიანების ფარგლებით შეიზღუდა, გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ ისეთ პლურალისტურ საზოგადოებებში, როგორიცაა აშშ, ძირითადი პარტიები ვერ იქნებიან ექსკლუზიურად დაკავშირებული ამა თუ იმ სოციალურ, ეთნიკურ თუ რელიგიურ მიზანთან. ამ პრობლემების საპასუხოდ ევანგელისტური მოძრაობის წევრებმა უფრო აგრესიულ სტრატეგიებს მიმართეს. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული მილიციის შექმნა, რასაც მართავდნენ ძალზე საეჭვო დაჯგუფებები, მაგალითად, "ქრისტიანი პატრიოტები". სწორედ ამ მილიციამ განახორციელა ტერორისტული კამპანია და, კერძოდ, ოკლაჰომის დაბომბვა 1995 წელს.

ამასთან, ქრისტიანულმა მემარჯვენეობამ გარკვეული მხარდაჭერა მოიპოვა მას შემდეგ, რაც 2000 წელს პრეზიდენტად ჯორჯ უ. ბუში აირჩა. ბუშის კაბინეტის მრავალი წევრი, თვით ბუშისა და ვიცე-პრეზიდენტის, დიკ ჩეინის ჩათვლით, "ხელახლა მოქცეული" ქრისტიანები არიან. გარდა ამისა, ევანგელისტთა ლიდერი ჯონ ეშკროფტი გენერალურ პროკურორად დაინიშნა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამან განამტკიცა ბუშის ადმინისტრაციის მიერ ისრაელის მხარდაჭერა 11 სექტემბრის მოვლენათა შემდგომ, რაც ძველ აღთქმაში პალესტინის "ებრაელთა ქვეყნად" მოხსენიებით იყო განპირობებული.

## ფუნდამენტალიზმის სხვა სახეობანი

ისლამისა და პროტესტანტული ქრისტიანობის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს იმ ფართომასშტაბიანი (თუმცა, ძალზე სპეციფიკური არსისა

და მიზნების მქონე) პროგრამების შემუშავების უნარი, რომლებიც პოლიტიკურ განახლებას ითვალისწინებს. ამასთან, უმეტესწილად, სხვა ფუნდამენტალისტური მოძრაობები უფრო მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული თუ ეთნიკური თვითმყოფობის გამოვლენის ან განსაზღვრის ამოცანას. ამ გაგებით, ფუნდამენტალიზმის მრავალი სახეობა შეიძლება ეთნიკური ნაციონალიზმის სახესხვაობებად იქნას მიჩნეული. ესაა, ჩვეულებრივ, რეაქცია ეროვნული თვითმყოფობის ცვლილებებზე, რასაც იწვევს ხოლმე კონკურენტული ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების გაძლიერება, ან კიდევ – ტერიტორიული გარდაქმნების ფაქტობრივი ან სამომავლო საფრთხე. რელიგია, როგორც თვითმყოფობის ძირითადი წყარო, ეროვნულობაზე უფრო მიმზიდველია, რადგან ის, ალბათ, ძირეულსა და ურყევ საფუძველს უზრუნველყოფს გარკვეულ ჯგუფში გაერთიანებისთვის. ამიტომ რელიგია ანკლავური კულტურის წარმოქმნასთან ასოცირდება. ოლსტერის პროტესტანტთა ფუნდამენტალიზმი, რომელთა რელიგია შეესატყვისება მათ ეროვნულ თვითმყოფობას, მათ "ბრიტანულობას", ანუ ეთნიკურ არსს – ძალზე განსხვავდება აშშ-ის ევანგელისტთა ფუნდამენტალიზმისგან, რომელსაც ნაკლები შეხება აქვს მათ ეთნიკურ არსთან. ფუნდამენტალიზმის ინდური, სიკჰური, ებრაული და ბუდისტური სახეობები აგრეთვე წააგავს ეთნიკური მობილიზაციის ფორმებს.

ინდოეთის ძირითადი რელიგია, ინდუიზმი, გარეგნულად შედარებით მკაცრად ეკიდება ფუნდამენტალიზმს. ესაა იმგვარი რელიგიის ყველაზე მკაფიო ნიმუში, სადაც აქცენტი კეთდება უფრო წეს-ჩვეულებებსა და სოციალურ პრაქტიკაზე, ვიდრე (უაღრესად მრავალფეროვან) ტექსტებსა ან დოქტრინებზე. მიუხედავად ამისა, ფუნდამენტალისტური მოძრაობა მაინც ჩამოყალიბდა ინდოეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის შედეგად; დამოუკიდებლობა მოპოვებულ იქნა 1947 წელს, თუმცა, ის შედარებით ზომიერი იყო, სეკულარული კონგრესის პარტიის მიერ მიღებულ მხარდაჭერასთან შედარებით. ამასთანავე, როდესაც კონგრესის პარტია დამარცხდა და 1980-იანი წლების შუა ხანებში ნერუ-განდის დინასტიის მმართველობა დასრულდა, ფუნდამენტალიზმმა ინდოეთში წარმატებას მიაღწია. ის უგულებელყოფს ინდოეთის მულტიკულტურულ, მულტიეთნიკურ მოზაიკას და ეროვნული თვითმყოფობის საფუძვლად ინდუიზმს აღიარებს. ამ ქვეყანაში ფუნდამენტალისტური მოძრაობის წარმომადგენლები იმდენად არა "უცხო" რელიგიებისა და კულტურის განდევნას მოითხოვენ, რამდენადაც – მუსლიმანების, სიკჰების, ჯაინებისა და სხვა თემთა ინდუიზაციას. 1996 წლის შემდგომ ინდოეთის პარლამენტის ყველაზე მსხვილი პარტია ბჰარატია ჯანატა პარტი (BJP) იყო, რომელმაც გამოავლინა (და ახლაც ავლენს) ახალგამდიდრებული საშუალო კლასისთვის დამახასიათებელი წინაალმდეგობრივი დამოკიდებულება თანამედროვეობის მიმართ და, განსაკუთრებით, მღელვარება ეროვნული თვითმყოფადობის შესუსტებასთან დაკავშირებით. უფრო რადიკალური "მსოფლიოს ინდოელთა საბჭო" ქადაგებს: "ინდოეთი ინდოელებისთვის", მაშინ, როდესაც მისი სათავო ორგანიზაცია, RSS, მიისწრაფვის, შეიქმნას ბირმიდან ერაყამდე გადაჭიმული "დიდი ინდოეთი", და დაამყაროს ინდოეთის გეოპოლიტიკური ბატონობა მთელ ცენ-

ტრალურ აზიაში. ინდოელთა საომარი შემართების ყველაზე დრამატული დემონსტრირება 1992 წელს განხორციელდა; ფუნდამენტალისტებმა გაანადგურეს ძველთაძველი ბაბრი მასჯიდი (მეჩეთი) აიოდჰიაში, რომელიც ღმერთი რამას დაბადების ადგილად ითვლება. ამან გამოიწვია ხანგრძლივი კონფლიქტი ინდუისტთა და მუსლიმანთა შორის გუჯარათის შტატში.

სიკჰური ფუნდამენტალიზმი სხვაგვარია, იმ გაგებით, რომ ის უკავშირდება ბრძოლას დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისთვის და არ კმაყოფილდება ეროვნული თვითმყოფობის აღდგენით არსებული სახელმწიფოს ფარგლებში. როგორც ასეთი, ის ემთხვევა ლიბერალურ ნაციონალიზმს და ამ უკანასკნელისგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ ეროვნებას, არსებითად, რელიგიურ მთლიანობად მიიჩნევს. ამიტომ სიკჰური ნაციონალიზმი დღევანდელი პენჯაბის ტერიტორიაზე "ხალისტანის" დაარსებას ესწრაფვის, სიკჰიზმით როგორც სახელმწიფო რელიგიითა და საკუთარი მთავრობით, რომელმაც მისი დაუბრკოლებელი განვითარება უნდა უზრუნველყოს. ინდუისტურ ნაციონალიზმს აშკარად ანტიისლამური ხასიათი აქვს. ზუსტად ასევე, სიკჰურ ნაციონალიზმს ნაწილობრივ განაპირობებს მისი ანტიპათია ინდუიზმის მიმართ. ეს 1982 წელს გამოააშკარავა ამრიტსარში ოქროს კოშკის დაპყრობამ დამდამი ტაქსალის მიერ, მისი სამხედრო მეთაურის, ჯარაილ სინგჰ ბჰინდრანვალეს ხელმძღვანელობით, აგრეთვე – ინდირა განდის მკვლელობამ კოშკის აღებიდან ორი წლის შემდეგ. ინდოეთში ინდუისტური, სიკჰური და ისლამური ფუნდამენტალიზმის ცალკეული გამოვლინებები უეჭველად ურთიერთდაკავშირებული რიგის ფაქტებია. მათ არა მარტო წარმოშვეს შიშისა და უკმაყოფილების ჯაჭვური რეაქცია, არამედ – ერთმანეთის ინსპირირება მოახდინეს ეთნიკური თვითმყოფობისა და რელიგიური გზნების ურთიერთშერწყმის მეშვეობით.

როგორც ებრაული, ისე ბუდისტური ფუნდამენტალიზმი აგრეთვე მჭიდროდ უკავშირდება ეთნიკური კონფლიქტის გამწვავებას. ულტრაორთოდოქს ებრაელთაგან განსხვავებით, რომელთა ნაწილი ისრაელს ძველ აღთქმაში ნაწინასწარმეტყველებ ებრაულ სახელმწიფოდ არ მიიჩნევს, ებრაელმა ფუნდამენტალისტებმა სიონიზმი გარდაქმნეს და მის მიზნად მიიჩნიეს დაცვა "ისრაელის დიდი მიწისა", რაც ტერიტორიული აგრესიულობით ხასიათდება. ისრაელის კარგად ცნობილ ფუნდამენტალისტური ჯგუფის, გუშმუნ ემუნიმის (მართლმორწმუნეთა ბლოკის) შემთხვევაში ეს გამოიხატა ექვსდღიანი ომის დროს (1967 წ.) ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმ ებრაული დასახლებების ასაშენებლად გამიზნულ კამპანიაში, რომლებიც შემდგომ ფორმალურადაც უნდა მიერთებოდა ისრაელს. უფრო რადიკალური დაჯგუფებები, როგორიც, მაგალითად, იყო კათჩი ("ამიტომ"), აცხადებენ, რომ ებრაელები და არაბები ერთად ვერასოდეს იცხოვრებენ. ამდენად, მათ სურთ ყველა არაბის განდევნა იმ ტერიტორიიდან, რასაც ისინი "აღთქმულ ქვეყანას" უწოდებენ. თუმცა ისრაელის ულტრაორთოდოქსული პარტიების რაოდენობა მცირერიცხოვანია, ისინი დისპროპორციული ზეგავლენის მოხდენისკენ ისწრაფვიან, რადგან მათი მხარდაჭერა, ჩვეულებრივ, ძირითად პარტიათაგან თითოეულს, ლიკუდსა და ლეიბორისტულს, მთავრობის ჩამოსაყალიბებლად სჭირდება.

### სიონიზმი

სიონიზმი (სიონი ებრაულად ზეციურ სამეფოს ნიშნავს) არის მოძრაობა ებრაელთა სახელმწიფოს დასაარსებლად. ჩვეულებრივ, იგულისხმება, რომ ის პალესტინაშია. ეს იდეა, რომელიც ითვალისწინებდა დევნისგან ებრაელი ხალხის დაცვას, პირველად თეოდორ ჰერცლმა (Theodore Herzl, 1860-1904) წამოაყენა სიონისტთა კონგრესზე ბაზელში. ადრეულ სიონისტებს ახასიათებდათ სეკულარისტული და ნაციონალისტური მისწრაფებები, რასაც ხშირად სოციალისტური სიმპათიები ერთვოდა. ამასთან, 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ სიონიზმი უკავშირდება ისრაელის ოდინდელ პერსპექტივას, უზრუნველყოს სამშობლო ყველა ებრაელისთვის, აგრეთვე – ისრაელის მიმართ სიმპათიის გაძლიერების მცდელობებსა და მტრებისგან მის დაცვას. უკანასკნელი ფაქტორის თვალსაზრისით, ისრაელის შექმნას საფუძვლად დაედო ფუნდამენტალიზმი, რომელმაც პალესტინელთა აზრით, ექსპანსიონისტური, ანტიარაბული ხასიათი შეიძინა.

ბუდისტური ნაციონალიზმის გავრცელება შრი-ლანკაში ძირითადად განხორციელდა როგორც კონფლიქტი უფრო მრავალრიცხოვან და მნიშვნელოვანწილად ბუდისტურ მოსახლეობას – სინჰალელებსა და, მეორე მხრივ, ტამილებს შორის, რომლებიც ინდუისტებს, ქრისტიანებსა და მუსლიმანებს აერთიანებენ. ბუდიზმი გარეგნულად – სავალდებულო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის, რელიგიური შემწყნარებლობისა და ძალმომრეობით მეთოდებზე უარის მხრივ – ყველაზე ნაკლებად ფუნდამენტალისტური რელიგიაა ძირითად რელიგიებს შორის (Dalai Lama, 1996); მიუხედავად ამისა, სამხრეთი აზიის თერავადა ბუდიზმმა ხელი შეუწყო ფუნდამენტალისტური ტიპის მოვლენებს, როდესაც ურთიერთს გადაეჯაჭვა ნაციონალიზმი და მოძრაობა რელიგიური აღორძინებისთვის. შრი-ლანკაში კამპანიას ეროვნული თვითმყოფობის "სინჰალიზაციისთვის" სათავეში ჩაუდგა ისეთი სამხედრო დაჯგუფებები, როგორიცაა მაგალითად, "თავისუფლების სახალხო ფრონტი", რომელიც ბუდიზმის სახელმწიფო რელიგიად ქცევას მოითხოვდა. მსგავსმა ზეწოლამ, არსებითად, ტამილთა სეპარატიზმი გააღვივა, რომელიც 70-იანი წლების ბოლოს "ტამილელი ვეფხვების" ტერორისტულ კამპანიაში გადაიზარდა.

## რელიგიური ფუნდამენტალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში

უწერია თუ არა გადარჩენა რელიგიურ ფუნდამენტალიზმს ოცდამეერთე საუკუნეში? ან იქნებ, საბოლოო ჯამში, ის დროებით მოვლენად იქნება მიჩნეული, რომელიც საგანგებო ისტორიული მოვლენების თანხვედრას უკავშირდებოდა? საკითხი ფუნდამენტალიზმის მომავლის შესახებ ორ სრულიად განსხვავებულ სცენარს გვისახავს. პირველი მათგანის თანახმად, თანამედროვე სამყაროში საეჭვოა, დიდხანს იარსებოს რელიგიაზე დაფუძნებულმა პოლიტიკურმა მრწამსმა. ეს სცენარი ყურადღებას ფუნდამენტალიზმის, როგორც პოლიტიკური პროგრამის, სპეციფიკურ შეზღუდვებზე

ამახვილებს. მის თანახმად, ფუნდამენტალისტური რელიგია, არსებითად, წარმოადგენს მოდერნიზაციით გამოწვეულ რთულ პროცესებთან შეჯახება-შეგუების სიმპტომს. ის, საბოლოო ჯამში, განწირულია, რადგან მოდერნიზაციის პროცესის ძირითად კურსს არ შეესაბამება. მოდერნიზაცია, ვესტერნიზაციის ფორმით, აუცილებლად მიაღწევს მიზანს, ვინაიდან მას მხარს უჭერს ეკონომიკის გლობალიზაციისა და ლიბერალური დემოკრატიის გავრცელების ტენდენცია. ამგვარად, რელიგია დაუბრუნდება თავის "ჭეშმარიტ", პრივატულ სფეროს და საზოგადოებრივი საქმეები კვლავ სეკულარული პოლიტიკური მოძღვრებების გამგებლობაში გადავა.

ეს ანალიზი ვარაუდობს, რომ თეოპოლიტიკური პროგრამა, რომელიც ფუნდამენტალიზმის არსს წარმოადგენს, თანდათან აზრს დაკარგავს. რელიგიური ჯგუფები მარტოოდენ ნაციონალისტურ მოძრაობათა შემადგენელი ნაწილის სახით მოგვევლინება. დასავლეთში გაბატონებული გლობალური სისტემის წარმოქმნამ შეიძლება იმგვარი სამოქალაქო ნაციონალიზმის გადარჩენა განაპირობოს, რომელიც ორიენტირებული იქნება თვითგანსაზღვრის მიზანზე; ამასთან, ეს გულისხმობს, რომ სამხედრო ეთნიკურ ნაციონალიზმს მომავალი არა აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის რელიგიურ გამორჩეულობას ემყარება. ამგვარად, ფუნდამენტალიზმის შეზღუდვები განსაკუთრებით აშკარად მაშინ იჩენს თავს, როდესაც ფუნდამენტალისტები ხელთ იგდებენ ძალაუფლებას და დაუპირისპირდებიან სახელმწიფოს წინაშე არსებულ რთულ ამოცანებს. მკაფიო პოლიტიკურ პროგრამას ან თანმიმდევრულ ეკონომიკურ ფილოსოფიას მოკლებული ფუნდამენტალიზმი, როგორც პროტესტის იდეოლოგია, გადარჩება (თუკი საერთოდ გადარჩება) მხოლოდ როგორც რიტორიკა ან – როგორც რეჟიმის "ძირეული მითი".

საპირისპირო თვალსაზრისის თანახმად, ფუნდამენტალიზმი "პოსტმოდერნულ" მომავალზე მიგვანიშნებს. ეს თვალსაზრისი გულისხმობს, რომ კრიზისს სწორედ სეკულარიზმი და ლიბერალური კულტურა განიცდის. მათი სისუსტე, რომელიც დრამატულად ამხილა ფუნდამენტალიზმმა, გამომდინარეობს მათივე უუნარობიდან, გაიზიარონ და უფრო ღრმად განსაზღვრონ ადამიანის მოთხოვნილებები და ის ავტორიტეტული ფასეულობები, რომელთაც ძალუძთ, სოციალური წყობა მორალური საფუძვლით აღჭურვონ. ეს თვალსაზრისი მნიშვნელოვნადაა დაშორებული თანამედროვე გლობალური სისტემის არსს, რომელიც დასავლეთის ლიბერალური დემოკრატიის მიერ მოდელირებულ ერთგვაროვნებას განამტკიცებს და გულისხმობს, რომ უფრო შესაბამისი სცენარი ამგვარია: კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის მეოცე საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლა განაპირობებს ცივილიზაციათა შეპირისპირების გარკვეული ფორმის შექმნას. წარმოიშობა კონკურენტულ ტრანსნაციონალურ ძალთა ბლოკები, და რელიგია, ალბათ, მათ სხვადასხვაგვარი პოლიტიკურ-კულტურული თვითმყოფობით უზრუნველყოფს. ამ ვერსიის მიხედვით, ფუნდამენტალიზმი უფრო ძლიერ ფენომენად მიიჩნევა, ვიდრე სუსტად. თანამედროვე სამყაროს შესაძლებლობებისა და სულის გათავისებით რელიგიური ფუნდამენტალიზმის სახეობებმა, აგრეთვე ადაპტაციის უნარი გამოავლინეს, და ის ფაქ-

ტი, რომ ისინი დამძიმებულნი არ არიან ტრადიციებით და შეუძლიათ "სწრაფად და იოლად" გავიდნენ ფონს, საშუალებას აძლევს მათ, თავიანთი შეხედულებების ადაპტირება მოახდინონ პოსტმოდერნული ხანის გამოწვევათა საპასუხოდ.

## რეკომენდებული ლიტერატურა

Ahmed, A. and H. Donnan, *Islam, Globalization and Postmodernity* (London and New York: Routledge, 1994). სტატიათა სასარგებლო კრებული, რომლებშიც მიმოხილულია როგორც პოლიტიკური ისლამის ბუნება, ისე მოდერნულობასთან მისი მიმართება.

Ahmed, R., Jihad: *The Rise of Militant Islam in Central Asia* (New Haven, CT: Yale University Press, 2001). ამომწურავი და ავტორიტეტული ანგარიში ცენტრალური აზიის სხვადასხვა ნაწილში რადიკალური ახალი ფუნდამენტალიზმის აღმავლობისა და მნიშვნელობის თაობაზე.

Bruce, S., *Fundamentalism* (Oxford: Polity Press, 2000). ფუნდამენტალიზმის როგორც საბაზისო კონცეფციის მიმოხილვა, რომელიც მას წარმოაჩენს როგორც სწრაფი სოციალური ცვლილების სიმპტომს, მაგრამ, ამავდროულად, სერიოზულად ეკიდება მის იდეოლოგიურ ხასიათს.

Hadden, J. K. and A. Shupe (eds), *Prophetic Religions and Politics: Religion and Political Order* (New York: Paragon House, 1986). სტატიათა სასარგებლო კრებული, რომლებიც ეკუთვნით რელიგიის სოციოლოგიის მნიშვნელოვან წარმომადგენლებს და მიმოიხილავს მოძრაობათა ფართო სპექტრს დედამიწის მასშტაბით.

Hiro, D., *Islamic Fundamentalism* (London: Paladin, 1988). კარგი და გასაგები ენით გადმოცემული ანგარიში ფუნდამენტალისტური ისლამის განვითარებისა და გავლენის თაობაზე.

Marty, M. E. and R. S. Appleby (eds), *Fundamentalisms and the State: Remaring Polities, Economies, and Militance* (Chicago and London: University of Chicago Press, 1993). "ფუნდამენტალიზმის პროექტის" ყოვლისმომცველი, ავტორიტეტული და გასაგებად დაწერილი ექვსტომეულის ნაწილი. საკითხისთვის საინტერესო სხვა ტომებია: Fundamentalisms Observed (1991) და Accounting for Fundamentalisms (1994).

Parekh, B., "The Concept of Fundamentalism" in A. Shtromas (ed.), *The End of "isms"? reflections on the Fate of Ideological Politics after Communism's Collapse* (Oxford and Cambridge, Mass.: Blackwell, 1994). ნათლად და საკითხის ცოდნით დაწერილი შესავალი კურსი ფუნდამენტალიზმის სახეობათა ბუნებისა და მოდერნიზაციის პროცესის შესახებ.

თავი 11

# დასკვნა: უსასრულო იდეოლოგია?

*იდეოლოგიის დასასრული?*
*ისტორიის დასასრული?*
*პოსტმოდერნიზმი როგორც იდეოლოგია*
*გლობალიზმი როგორც იდეოლოგია*

ორას წელიწადზე მეტია, რაც პოლიტიკური იდეოლოგია მსოფლიო ისტორიის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. იდეოლოგია წარმოიშვა იმ ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ძვრების შედეგად, რომლებმაც თანამედროვე მსოფლიოს სახე ჩამოაყალიბეს და რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული სოციალური ტრანსფორმაციისა და პოლიტიკური განვითარების მიმდინარე პროცესთან. მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგია თავდაპირველად ინდუსტრიულ დასავლეთში განვითარდა, შემდგომში მან მთელი დედამიწა მოიცვა და პოლიტიკური დისკურსის მსოფლიო ენა წარმოქმნა. მაგრამ არსებობს აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა იმის თაობაზე, თუ რა როლი შეასრულა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ მსოფლიო ისტორიაში. ემსახურებოდა იდეოლოგია ჭეშმარიტების, პროგრესისა და სამართლიანობის საქმეს თუ წარმოშვა დამახინჯებული და არათანმიმდევრული მსოფლმხედველობები, რისი შედეგიც შეუწყნარებლობა და ჩაგვრა იყო?

ამ საკითხზე დავა სათავეს იღებს მეცხრამეტე საუკუნეში, იმ მკაფიო საზღვართან, რომელიც მარქსმა (იხ. გვ 145) "იდეოლოგიასა" და "მეცნიერებას" შორის გაავლო. შეხედულება, რომ მეცნიერება იძლევა ობიექტურ და უფასო მეთოდს ადამიანთა ცოდნის განსავითარებლად, რითაც კაცობრიობას ირაციონალური იდეოლოგიების მონობიდან ათავისუფლებს, თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე ურყევ მითს წარმოადგენს. მეცნიერება იდეოლოგიის საპირისპირო ცნება კი არ არის, არამედ შეიძლება თვითონ განიხილებოდეს იდეოლოგიის ფორმად. მაგალითად, მეცნიერება დაკავშირებულია ძლიერი სოციალური ძალების ინტერესებთან, განსაკუთრებით იმათთან, რომლებიც წარმოდგენილია ინდუსტრიითა და ტექნოლოგიით. მან ხელი შეუწყო სოციალური ძვრების საფუძვლიან პროცესს და, გარკვეულწილად, ინდუსტრიული საზოგადოების გაბატონებული იდეოლოგია გახდა. ამ თვალსაზრისით, იდეოლოგია წარმოადგენს უბრალოდ საშუალებას, რომლითაც სოციალური ჯგუფი ან მთელი კლასი გარკვეულ დონემდე გაიცნობიერებს საკუთარ თავს და განსაზღვრავს საერთო იდენტურობას ან კოლექტიური ამოცანების კომპლექსს. ამ სახით იდეოლოგია არ უნდა განვიხილოთ

არც განთავისუფლებისა და არც ჩაგვრის საშუალებად, არც მცდარად და არც ჭეშმარიტად. ის შეიძლება აქედან ნებისმიერი იყოს. იდეოლოგიის ხასიათი ყალიბდება მისი წარმომშობი ისტორიული ძალების გავლენით და ის სოციალური და პოლიტიკური საჭიროებები განსაზღვრავს, რომლებსაც იგი ემსახურება. ამრიგად, იდეოლოგია ადამიანური ყოფის აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია. ამისდა მიუხედავად, აღნიშვნას იმსახურებს ის, თუ რაოდენ ხშირად აცხადებდნენ პოლიტიკური მოაზროვნეები, რომ იდეოლოგია დასასრულს უახლოვდება ან უნდა მიუახლოვდეს.

## იდეოლოგიის დასასრული?

იდეოლოგიის დასასრულის იდეა პოპულარული გახდა XX ს-ის 50-60-იან წლებში. ამ პოზიციის მხარდამჭერი ყველაზე დიდი ზეგავლენის მქონე განაცხადი ეკუთვნის დანიელ ბელს (1960). ბელზე შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთის პოლიტიკას ახასიათებდა ფართო თანხმობა ძირითად პოლიტიკურ პარტიებს შორის და იდეოლოგიური დაპირისპირებისა და დებატების არარსებობა. ფაშიზმმაც და კომუნიზმმაც თავისი მიმზიდველობა დაკარგეს, ხოლო დარჩენილ პარტიებს შორის ერთადერთი დავის საგანი იყო ის, თუ რომელი მათგანი უფრო სანდო იყო ეკონომიკური ზრდისა და მატერიალური კეთილდღეობის მოსატანად. შედეგად, პოლიტიკა ეკონომიკამ დაჯაბნა. პოლიტიკა დაყვანილი აღმოჩნდა ტექნიკურ საკითხამდე, თუ "როგორ" მივაღწიოთ მატერია-

ამერიკელი მეცნიერი და ესეისტი. ჰარვარდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორის თანამდებობაზე ყოფნისას შეიმუშავა თანამედროვე საზოგადოების ანალიზი, რომელსაც ფართო კულტურული და აკადემიური ზეგავლენა ჰქონდა. 60-იან წლებში ირვინგ კრისტოლთან (Irving Kristol) ერთად დააარსა ჟურნალი *The Public Interest* (*საზოგადოებრივი ინტერესი*), რომელიც თავს ესხმოდა "დიდი" მთავრობის ფილოსოფიას და დაეხმარა ნეოკონსერვატიზმს, ინტელექტუალურად დასაბუთებული გამხდარიყო ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის თვალში.

თავის ნაშრომში *იდეოლოგიის დასასრული* (*The End of Ideology*, 1960) ბელმა ყურადღება გაამახვილა სოციალური და პოლიტიკური საკითხების მიმართ რაციონალისტური მიდგომების კვდომაზე. 1988 წლის გამოცემის ბოლოსიტყვაში ის უტოპიური სასრული სახელმწიფოების ტირანიის წინააღმდეგ ილაშქრებს. მან ხელი შეუწყო აგრეთვე "პოსტინდუსტრიალიზმის" პოპულარიზაციას, ამახვილებდა რა ყურადღებას "ინფორმაციული საზოგადოებების" წარმოშობაზე, რომლებშიც ახალი "ცოდნის კლასი" დომინირებს. ნაშრომში *კაპიტალიზმის კულტურული წინააღმდეგობები* (*The Cultural Contradictions of Capitalizm*, 1979) ბელმა გააანალიზა მზარდი დაძაბულობა, ერთი მხრივ, წარმოების შესანარჩუნებლად საჭირო რაციონალიზმსა და ეფექტურობის მოთხოვნილებას და, მეორე მხრივ, კაპიტალიზმის ტენდენციას შორის, გააძლიეროს ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა "გრძნობები", პირადი დაკმაყოფილება და თვითგამოხატვა.

ლურ კეთილდღეობას და ის უკვე აღარ ცდილობდა გადაეწყვიტა მორალური ან ფილოსოფიური საკითხები "კარგი საზოგადოების" ბუნების თაობაზე. იდეოლოგია ყველა თვალსაზრისით არარელევანტური გახდა.

მაგრამ პროცესი, რომელზეც ბელი ყურადღებას ამახვილებდა, იმდენად "იდეოლოგიის დასასრული" კი არ იყო, რამდენადაც ძირითად პარტიებს შორის ფართო იდეოლოგიური კონსენსუსის განვითარება და, შესაბამისად, იდეოლოგიური კამათის შეწყვეტა. უშუალოდ ომის შემდგომ პერიოდში სამი ძირითადი დასავლური იდეოლოგიის – ლიბერალიზმის, სოციალიზმისა და კონსერვატიზმის წარმომადგენლებმა საერთო მიზნის – "მართული კაპიტალიზმის" მიღწევა დაისახეს. თუმცა, ეს მიზანი თავისთავად იდეოლოგიური ხასიათისა იყო – მაგალითად, ის ასახავდა მყარ რწმენას საბაზრო ეკონომიკის, კერძო საკუთრებისა და მატერიალური დაინტერესების აუცილებლობის მიმართ, რომელთაც სოციალური დაცვა და ეკონომიკური ჩარევა გააწონასწორებდა. საბოლოო ჯამში "საყოველთაო კეთილდღეობის კაპიტალიზმის" ან "სოციალური დემოკრატიის" იდეოლოგიამ აჯობა კონკურენტებს. თუმცა, ეს ტრიუმფი მხოლოდ დროებითი აღმოჩნდა. 60-იანი წლები უფრო რადიკალური მემარცხენე იდეების გაღვივების, მარქსისტული და ანარქისტული მოძღვრებების მიმართ ინტერესის აღორძინებისა და ფემინიზმისა და ეკოლოგიზმის მსგავსი თანამედროვე იდეოლოგიების განვითარების მოწმე გახდა. 70-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა თავისუფალი ბაზრის დოქტრინების მიმართ დიდი ხნის განმავლობაში მიძინებული ინტერესის გამოღვიძება გამოიწვია და ხელი შეუწყო ახალი მემარცხენე თეორიების ჩამოყალიბებას, რომლებიც 1945 წლის შემდგომ კონსენსუსსაც უპირისპირდებოდნენ.

დაბოლოს, "იდეოლოგიის დასასრულის" თეზისი ყურადღებას ამახვილებდა მხოლოდ ინდუსტრიული დასავლეთის განვითარებაზე და უგულებელყოფდა იმ ფაქტს, რომ 50-60 წლებში კომუნიზმი მყარად იყო ფეხმოკიდებული საბჭოთა კავშირში, აღმოსავლეთ ევროპაში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში და რომ აზიაში, აფრიკასა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ნაწილში რევოლუციური პოლიტიკური მოძრაობები არსებობდა.

## ისტორიის დასასრული?

უფრო ფართო პერსპექტივა მოიცვა ფრენსის ფუკუიამამ თავის ესეში *ისტორიის დასასრული* (*The End of History*, 1989). ბელისაგან განსხვავებით, ფუკუიამა არ თვლიდა, რომ პოლიტიკური იდეები არარელევანტური გახდა, არამედ მიიჩნევდა რომ იდეათა ერთმა კონკრეტულმა კომპლექსმა დაჯაბნა სხვა დანარჩენი. ფაშიზმი დამარცხდა 1945 წელს და ფუკუიამა აშკარად გამოხატავს რწმენას, რომ 1989 წელს აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური მმართველობის დაცემა მარქსიზმ-ლენინიზმის როგორც მსოფლიო მნიშვნელობის იდეოლოგიის დაცემის მანიშნებელია. "ისტორიის დასასრულში" ფუკუიამა გულისხმობდა, რომ დასრულდა იდეათა ისტორია და მასთან ერთად ფუნდამენტალური იდეოლოგიური დავაც. ის ამტკიცებდა, რომ მთელ

მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მეტად თანხმდებოდნენ იმაზე, რომ სასურველია ლიბერალური დემოკრატიის შექმნა, რაშიც ის გულისხმობდა საბაზრო ანუ კაპიტალისტურ დემოკრატიას და ღია, შეჯიბრებითობაზე დამყარებულ პოლიტიკურ სისტემას.

უდავოა, რომ 1989-1991 წლების აღმოსავლეთევროპულმა რევოლუციებმა და დარჩენილი კომუნისტური რეჟიმების (მაგალითად, ჩინეთის) რადიკალურმა რეფორმებმა ფუნდამენტურად შეცვალა იდეოლოგიური დებატების მსოფლიო ბალანსი. მაგრამ ბევრად ნაკლებად სარწმუნოა, რომ ეს პროცესი "ისტორიის დასასრულს" გულისხმობს. "ისტორიის დასასრულის" თეორიის ერთ-ერთი სირთულე ისაა, რომ მისი გამოცხადებისთანავე ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი იდეოლოგიური ძალები. მართალია, ლიბერალურმა დემოკრატიამ შესაძლოა შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია მეოცე საუკუნის განმავლობაში, საუკუნის დასასრულს გამოიკვეთა სრულიად განსხვავებული იდეოლოგიების აღორძინების აშკარა ტენდენციები, კერძოდ და განსაკუთ-

## ისტორიის შესახებ

**ლიბერალები** მიიჩნევდნენ, რომ ისტორია არის პროგრესი, რომელიც ვითარდება იმ სახით, რომ ყოველი მომდევნო თაობა წინაზე უფრო შორს მიდის ცოდნისა და გათვიცნობიერებულობის დაგროვების გზით. ლიბერალები, ჩვეულებრივ, მიიჩნევენ, რომ ეს თანდათანობითი ანუ ეტაპობრივი რეფორმების გზით ხდება და არა რევოლუციის საშუალებით.

**კონსერვატორები** ისტორიას ტრადიციებისა და უწყვეტობის კუთხით უყურებენ, პროგრესისათვის მცირე ადგილს ტოვებენ. წარსულის გაკვეთილები ამჟამინდელი და მომავალი მოქმედებების გზამკვლევია. რეაქციონერ კონსერვატორებს სჯერათ, რომ ისტორიას დაცემის ტენდენცია ახასიათებს და სურთ უკეთეს წარსულ დროებას დაუბრუნდნენ.

**სოციალისტები** ემხრობიან ისტორიაზე პროგრესულ შეხედულებას, რომელიც დიდ ყურადღებას სოციალური და პირადი განვითარების შესაძლებლობაზე ამახვილებს. მარქსისტებს სჯერათ, რომ კლასობრივი კონფლიქტი ისტორიის მამოძრავებელია და რომ ისტორიის საბოლოო შედეგი არაკლასობრივი, კომუნისტური საზოგადოება იქნება.

**ფაშისტები** ისტორიას ძირითადად ხედავენ როგორც დეგრადაციისა და დაცემის პროცესს, დაღმასვლას წარსულის "ოქროს საუკუნესთან" მიმართებაში. ამისდა მიუხედავად, ისინი ემხრობიან შეხედულებას, რომ ისტორიას ახასიათებს ციკლური განვითარება, რომელიც იძლევა ერის განახლებისა და ხელახალი დაბადების საშუალებას, ჩვეულებრივ, მწვავე ბრძოლისა და ომის საშუალებით.

**რელიგიურ ფუნდამენტალისტებს** წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება აქვთ ისტორიის მიმართ. მართალია, ისინი მიიჩნევენ, რომ აწმყო მორალურად და სულიერად გახრწნილია იდეალიზებულ წარსულთან შედარებით, სოციალური განახლება მოდერნისტული გაგებით ესმით და, ამრიგად, ისინი უარყოფენ კონსერვატიულ ტრადიციონალიზმს.

რებით აღსანიშნავია – პოლიტიკური ისლამის, რომლის ზეგავლენა გავრცელდა აზიისა და აფრიკის მუსლიმანური ქვეყნებიდან ყოფილ სსრკ-მდე და აგრეთვე ინდუსტრიალიზებულ დასავლეთამდე. შესაძლებელია, მაგალითად, რომ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში "კომუნიზმის სიკვდილმა" ლიბერალური დემოკრატიის საბოლოო გამარჯვების შესაძლებლობის შექმნის ნაცვლად საფუძველი მოუმზადა ნაციონალიზმის, რასიალიზმის ან რელიგიური ფუნდამენტალიზმის აღორძინებას.

ფუკუიამას თეზისის საფუძველს წარმოადგენს კლასიკური ლიბერალიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული ოპტიმისტური რწმენა იმისა, რომ ინდუსტრიული კაპიტალიზმი საზოგადოების ყველა წევრს აძლევს სოციალური მობილობისა და მატერიალური უსაფრთხოების გარანტიას, რის გამოც ყოველმა მოქალაქემ შესაძლოა ის გონივრულად და მიმზიდველად მიიჩნიოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელია მიღწეულ იქნას ვრცელი, უნივერსალური შეთანხმებაც კი "კარგი საზოგადოების" ბუნების თაობაზე. ამისდა მიუხედავად, ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდება ისეთი საზოგადოების აშენება, რომელსაც შესწევს ძალა, დააკმაყოფილოს როგორც ძირითადი სოციალური ჯგუფების ინტერესები, ისე ცალკეულ მოქალაქეთა მნიშვნელოვანი უმრავლესობის მოთხოვნილებები. მიუხედავად უდავო ენერგიულობისა და ეფექტურობისა, რომლებიც გამოავლინა კაპიტალისტურმა ბაზარმა, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ კაპიტალიზმი ყველა სოციალურ კლასს ან ყველა პიროვნებას ერთნაირად მოეპყრო. აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ იდეოლოგიური კონფლიქტი და დებატები მეოცე საუკუნის ბოლოს ლიბერალიზმის მსოფლიო ტრიუმფით დასრულდა, ზუსტად ისევე, როგორც არ მომხდარა სოციალიზმის "გარდაუვალი" გამარჯვება, როგორც ამას ფართოდ წინასწარმეტყველებდნენ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს.

## პოსტმოდერნიზმი როგორც იდეოლოგია

"დასასრულის" თეორიების კიდევ ერთ ფორმას წარმოადგენს რწმენა, რომ, თანამედროვე საზოგადოების ტრადიციული თვისებების მსხვრევასთან ერთად, მის საფუძველზე წარმოქმნილი პოლიტიკური დოქტრინები და იდეოლოგიები არარელევანტური გახდა. ამ თვალსაზრისის წინ წამოწევა, ჩვეულებრივ, ხდება პოსტმოდერნულობის იდეის საშუალებით, რაც პირველ თავში იყო განხილული. ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიები არა მხოლოდ გარკვეულწილად ადაპტირდა "პოსტმოდერნულ მდგომარეობასთან", რითაც ისეთი "პოსტ-იზმების" განვითარება გამოიწვია, როგორებიცაა პოსტლიბერალიზმი, პოსტმარქსიზმი და პოსტფემინიზმი, არამედ, როგორც ამას პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, შეიცვალა ან უნდა შეიცვალოს მსოფლიოს გაგებისა და ინტერპრეტაციის ჩვეულებრივი გზა. ეს ასახავს მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმზე გადასვლას. მოდერნიზმი მნიშვნელოვანწილად განმანათლებლობის იდეებიდან და თეორიებიდან მომდინარეობდა და პოლიტიკურად გამოხატული იყო იდეოლოგიური

ტრადიციებით, რომლებიც კარგი ცხოვრების მოპაექრე კონცეფციებს გვთავაზობდა. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითებია ლიბერალიზმი და მარქსიზმი. მოდერნისტული აზროვნება ხასიათდება ფუნდაციონალიზმით, რწმენით, რომ შესაძლებელია ობიექტური ჭეშმარიტებისა და უნივერსალური ღირებულებების დადგენა, რაც, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია პროგრესის მტკიცე რწმენასთან. ამის საპირისპიროდ, პოსტმოდერნიზმი ანტიფუნდაციონალისტურია; პოსტმოდერნიზმის ცენტრალური თემა ჟანფრანსუა ლიოტარმა (Jean-François Lyotard, 1984) შეაჯამა როგორც "უნდობლობა მეტანარატივების მიმართ", მეტანარატივებში იგულისხმებოდა ისტორიის უნივერსალური თეორიები, რომლებიც საზოგადოებას უყურებენ როგორც ურთიერთდაკავშირებულ/თანმიმდევრულ ერთობლიობას.

თუ "განმანათლებლობის პროექტი" მკვდარია, რა ბედი ელის პოლიტიკურ იდეოლოგიას? ერთი მხრივ, პოსტმოდერნიზმს მოსდევს იდეოლოგიის როგორც აზროვნების პრინციპისა და სოციალური ცხოვრების ორგანიზების საშუალების დასასრული. პოლიტიკურ იდეოლოგიებს, როგორც იდეების მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულ ერთობლიობებს, რომლებიც იძლევა არსებული საზოგადოების კრიტიკას უკეთესი ალტერნატივის ხატის შექმნით, ვერ დავადანაშაულებთ ბაზისურობაში, იმისდა მიუხედავად, წარმოადგენს თუ არა ისინი სრულფასოვან მეტანარატივებს. ერთი შეხედვით, მყარი რეალობისა და აღიარებული შეხედულებების მძაფრი კრიტიკის საშუალებით პოსტმოდერნული თეორიები ცდილობენ იმის ჩვენებას, რომ შეუძლებელია ფართომასშტაბიანი თეორიების შემდგომი განვითარება. ყველანაირი ცოდნა ლოკალური და კონკრეტული უნდა იყოს. ამან გამოიწვია ინტერესის ზრდა იდენტურობისა და განსხვავებულობის თაობაზე შეხედულებების მიმართ და ყურადღების გამახვილება ახალი სოციალური მოძრაობების როლისადმი პოლიტიკური მოთხოვნების გამოხატვაში. ამ თვალსაზრისით, ანტიკაპიტალისტური ან ანტიგლობალისტური მოძრაობა, რომელზეც ზეგავლენა ისეთი ავტორების იდეებმა იქონია, როგორებიცაა ნაომი კლაინი და ნოამ ჩომსკი (იხ. გვ. 245), შესაძლოა ოცდამეერთე საუკუნის

## პოსტმოდერნიზმი

პოსტმოდერნიზმი წინააღმდეგობრივი და ბუნდოვანი ტერმინია, რომელიც თავდაპირველად გამოიყენებოდა დასავლურ ხელოვნებაში, არქიტექტურასა და, ზოგადად, კულტურულ განვითარებაში ექსპერიმენტული მიმდინარეობების აღსაწერად. როგორც სოციალური და პოლიტიკური ანალიზის საშუალება, პოსტმოდერნიზმი თვალსაჩინოს ხდის ცვლილებას ინდუსტრიალიზაციითა და კლასობრივი სოლიდარობით განსაზღვრული სტრუქტურის მქონე საზოგადოებებიდან სულ უფრო ფრაგმენტირებული და პლურალისტური, "ინფორმაციული" საზოგადოებებისაკენ, რომლებშიც ინდივიდუუმები მწარმოებლებიდან მომხმარებლებად გარდაიქმნებიან და ინდივიდუალიზმი კლასობრივი, რელიგიური და ეთნიკური ლოიალობის ადგილს იჭერს. პოსტმოდერნისტები ამტკიცებენ, რომ არ არსებობს განსაზღვრულობის მსგავსი რამ; აბსოლუტური და უნივერსალური ჭეშმარიტების იდეა უარყოფილ უნდა იქნას, როგორც თვითდაჯერებული ილუზია. ამის საწინააღმდეგოდ, ყურადღება მახვილდება დისკურსზე, დებატებსა და დემოკრატიაზე.

"ახალი პოლიტიკის" მოდელი გახდეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ "ახალ პოლიტიკას" მეტად მნიშვნელოვანი ქვეტექსტები გააჩნია. მაგალითად, როდესაც პოლიტიკურმა პარტიებმა განწყვიტეს კავშირი იდეოლოგიურ ტრადიციებთან, რომლებიც მათ დანიშნულების შეგრძნებასაც ანიჭებდა და ემოციური მიჯაჭვულობის საბაბსაც აძლევდა, ისინი გადაიქცნენ საარჩევნო მანქანებად, რომლებსაც მხოლოდ საარჩევნო მარკეტინგი და მომხმარებელთა რეაქცია აინტერესებთ. თავისი ტრადიციული "იზმების" მიტოვების შედეგად, დეიდეოლოგიზირებული პარტიები მენეჯერიალიზმს ემსხვერპლნენ. აღსანიშნავია, რომ, მსგავსადვე, თანამედროვე პოლიტიკური მოძრაობები, ისეთები, როგორიც ანტიგლობალისტური მოძრაობაა, უფრო წარმატებული იყო განსხვავებულ ჯგუფებს შორის პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებისას, ვიდრე იმის თანმიმდევრული ანალიზის შემუშავებაში, თუ როგორ და რატომ უნდა გადაწყდეს პოლიტიკური პრობლემები.

თუმცა, ნაკლებად გარკვეულია, თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდეს პოლიტიკური ცხოვრების დეიდეოლოგიზაცია ამ გაგებით. უპირველეს ყოვლისა, დეიდეოლოგიზებულ პოლიტიკას არ ძალუძს მოწინააღმდეგე ძალებისა და პოლიტიკური უკმაყოფილების სათანადოდ ასახვა. პოსტმოდერნიზმს შეიძლება ადვილად დასდონ ბრალი პოლიტიკურ კონსერვატიულობაში. მიუხედავად იმისა, რომ იდეათა იერარქიის უარყოფა ნებისმიერი სოციალური და პოლიტიკური იერარქიის უარყოფას გულისხმობს, ანტიფუნდაციონალისტური (ანტიბაზისური) პოლიტიკური პოზიცია ვერ იძლევა ვერც იმ ლოგიკურ ჭრილს, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა არსებული წყობილების კრიტიკა და ვერც ალტერნატიული სოციალური წყობის მშენებლობის საფუძველს. მეორეც, დეიდეოლოგიზებული პოლიტიკა უფრო რეალიზმს გულისხმობს, ვიდრე იდეალიზმს: ის ყიდის პოლიტიკურ პროდუქტს და არა პოლიტიკურ ხედვას. პარტიათა წევრების რაოდენობის შემცირება და არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობის დაცემა შესაძლოა სინამდვილეში იმის შედეგია, რომ ძირითადმა, ორგანიზებულმა პარტიებმა

კანადელი ჟურნალისტი, მწერალი და ანტიკორპორატიული აქტივისტი. კლაინი ხშირად გამოდის კომენტარებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ის ცხოვრობს ტორონტოში, მაგრამ ბევრს მოგზაურობს ჩრდილოეთ ამერიკაში, აზიაში, ლათინურ ამერიკასა და ევროპაში, რათა გამოიკვლიოს ის, რასაც თავად "პირველ ჭეშმარიტად საერთაშორისო სახალხო მოძრაობას" უწოდებს.

მისი ნაწარმოების, *ლოგოს გარეშე* (*No Logo*, 2001) საერთაშორისო წარმატებამ კლაინი ანტიკორპორატიული მოძრაობის მთავარ გამხმოვანებლად აქცია და ხელი შეუწყო ახალი თაობისათვის პოლიტიკის ახლებურ წარმოჩენას. წიგნი ცხოვრების სტილის "სავაჭრო ნიშნების" პრინციპით სტანდარტიზაციის ფართომასშტაბიან კრიტიკას წარმოადგენს და მიმოიხილავს გლობალიზაციისადმი და კორპორაციების ბატონობისადმი წინააღმდეგობის განვითარებად ფორმებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნს "განვითარებადი ანტიკორპორაციული მოძრაობის *კაპიტალს* (*Das Kapital*) უწოდებდნენ", მას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ხელი შეუწყო სამომხმარებლო კაპიტალიზმის ბუნებისა და სავაჭრო ნიშნების კულტურის ტირანიის გააზრებას.

მორალური ერთგულებისა და გრძნობების დონეზე ვერ მოახერხეს ელექტორატის მიზიდვა. უფრო მეტიც, თუ ძირითადი პარტიები ვერ შეუქმნიან ამომრჩევლებს მხოლოდ პირადი ინტერესის დაკმაყოფილებასა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე უფრო მნიშვნელოვანი რამის რწმენის საფუძველს, მაშინ ისინი, ვინც პოლიტიკაში უფრო ღრმად ჩართვას ლამობს, ამას მხოლოდ ექსტრემისტულ ჯგუფებსა და პარტიებში შეძლებენ.

## გლობალიზმი როგორც იდეოლოგია

საბოლოო საშიშროება პოლიტიკური იდეოლოგიებისათვის გლობალიზაციის პროცესიდან მომდინარეობს. გლობალიზაციას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდა რიგ იდეოლოგიურ ტრადიციებზე, განსაკუთრებით სოციალიზმზე, ნაციონალიზმსა და რელიგიურ ფუნდამენტალიზმზე, მაგრამ მას უფრო ფართო მნიშვნელობაც ჰქონდა საერთოდ იდეოლოგიისათვის. გლობალიზაციის ერთ-ერთ საკვანძო ასპექტს ადამიანთა შორის "ზეტერიტორიული" კავშირების ზრდა წარმოადგენს: ფიზიკური გეოგრაფია ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება ურთიერთკავშირის რთული ქსელის განვითარების ფონზე, რომლისთვისაც ტრადიციულ საზღვრებს დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს. ეს აშკარად ჩანს ეკონომიკისა და ვაჭრობის ახალი ტრანსნაციონალური მოდელებიდან და აგრეთვე ინფორმაციისა და ტექნოლოგიის ახალი ფორმების განვითარებიდან, რომლებიც ქმნიან, მაგალითად, ისეთ ფენომენს, როგორიც "კიბერსამყაროა". ამჟამად ჩვენ უკვე გეოგრაფიულად განცალკევებულ საზოგადოებებში კი არ ვცხოვრობთ, სადაც შეზღუდულია პირადი, სოციალური და საქმიანი ურთიერთობების რაოდენობა, არამედ გლობალურ სამყაროში, სადაც ჩვენს ცხოვრებაზე სულ უფრო მეტად ზემოქმედებს მოვლენები, რომლებიც ჩვენგან ძალზე შორს ვითარდება და გადაწყვეტილებები, რომლებსაც მსოფლიოს სხვა კუთხეში იღებენ. ასეთი ცვლილებები იდეოლოგიისათვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გლობალურმა ურთიერთკავშირმა საგრძნობლად გაზარდა რისკის, გაურკვევლობისა და არასტაბილურობის ტენდენცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთხელაც მყარი რეალობა "ჰაერში აორთქლდება". ამ თვალსაზრისით, იდეოლოგია შეიძლება უფრო ადრინდელ და უბრალო დროს განეკუთვნებოდეს, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო პრობლემების მკაფიოდ განსაზღვრა და მათი თანმიმდევრული გადაწყვეტის გზების პოვნა.

ყველაფრის მიუხედავად, რთულია გლობალიზაცია იდეოლოგიურად ნეიტრალურად მივიჩნიოთ. გლობალიზმის ორი ალტერნატიული ვარიანტი არსებობს. პირველი, ნეოლიბერალური გლობალიზმი, მას ბაზარზე დაფუძნებული ეკონომიკური სტრუქტურებისა და ღირებულებების განვითარებას უკავშირებს. ამ თვალსაზრისით, გლობალიზაციის არსს გლობალური კაპიტალისტური ეკონომიკის მშენებლობა წარმოადგენს, რომელიც ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესებთანაა დაკავშირებული და რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს სახელმწიფოს ძალაუფლებას, გან-

საკუთრებით მის უნარს, გარდაქმნას სოციალური სტრუქტურა. ამრიგად, გლობალიზაცია არის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მიღწეულ იქნება "ისტორიის დასასრული" ლიბერალური კაპიტალიზმის ტრიუმფის სახით. გლობალიზმის მეორე ვარიანტი სახელმწიფო უშიშროებასთანაა დაკავშირებული. ის, ძირითადად, გლობალური ტერორიზმის განვითარებისა და მასაზე დასავლური სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი აშშ-ის რეაქციის პროდუქტია. ეგრეთ წოდებული "ომი ტერორიზმთან" არის "ომი საზღვრებს გარეშე", ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს ტრანსნაციონალური ორგანიზაციების ფარგლებში მოქმედი, სახელმწიფოებრივზე უფრო დაბალ დონეზე მოქმედი ძალები. სახელმწიფო უშიშროებაზე დაფუძნებული გლობალიზმი განიხილება ხოლმე აგრეთვე როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დაცვა და როგორც ერთადერთი დარჩენილი ზესახელმწიფოს – აშშ-ის მიერ მსოფლიო ჰეგემონიის დამყარების მცდელობა.

თუმცა, იმისდა მიუხედავად, საქმე გვაქვს გლობალიზმთან, პოსტმოდერნიზმთან, ისტორიისა თუ იდეოლოგიის დასასრულთან, იდეოლოგიაზე ყველა ამ იერიშს აერთიანებს ის, რომ ისინი თვითონ არიან იდეოლოგიურნი. თითოეული ხსენებული მოვლენა, არსებითად, წარმოადგენს მცდელობას, პოლიტიკური იდეებისა და ღირებულებების ერთი კონკრეტული კომპლექსი წარმოჩნდეს როგორც მის კონკურენტებზე უპირატესი და ამ მიზნით ის წინასწარმეტყველებს თავის საბოლოო ტრიუმფს. ხდება ისტორიის მანდატის მოშველიება ერთი კონკრეტული იდეოლოგიის ან მრწამსის (იქნება ეს სოციალური რეფორმიზმი, ლიბერალური დემოკრატია, სათათბირო დემოკრატია თუ გლობალური კაპიტალიზმი) ღირებულების დასასაბუთებლად და ყველა სხვა მრწამსის დისკრედიტაციის მიზნით. ასეთი დასკვნები იდეოლოგიის საბოლოო დაცემის მანიშნებელი კი არ არის, არამედ უბრალოდ თვალსაჩინოს ხდის, რომ იდეოლოგიური კამათი კვლავაც არსებობს და ეს კარგია, და რომ იდეოლოგია მუდმივი და უსასრულო პროცესია.

## რეკომენდებული ლიტერატურა

Butler, C., *Postmodernism: A Very Short Introdaction* (Oxford and New York: Oxford University, 2002). პოსტმოდერნიზმის ისტორიისა და მნიშვნელობის მკაფიო და კომპაქტური შესავალი.

Freedan, M., *Reassessing Political Ideologeis: The Durability of Dissent* (London and New York: Roulledge, 2001). ესეების კრებული, რომელშიც მოცემულია ძირითადი იდეოლოგიური ტრადიციების ახლებური შეფასების მცდელობა ეგრეთ წოდებულ "პოსტიდეოლოგიურ ეპოქაში".

Gray, J., *Endgames: Questions in Late Modem Political Thought* (Oxford and Malden, Mass.: Blackwell, 1997). ძირითადი იდეოლოგიური ტრადიციების მდგომარეობის საინტერესო და ღრმა მიმოხილვა "განმანათლებლობის პროექტის" დაცემის ფონზე.

Scholte, J. A., *Globalization: An Introduction* (London: Palgrave, 2001). გლობალიზაციისა და მისი მნიშვნელობის თაობაზე კამათის საფუძვლიანი და ავტორიტეტული შესავალი.

Shiromas, A. (ed.), *The End of "isms"?: Reflections on the Fate of Ideological Politics after Communism's Collapse* (Oxford and Cambridge, Mass.: Blackwell, 1994). კომუნიზმის დაცემის შემდეგ იდეოლოგიის მდგომარეობისა და მომავალი პერსპექტივების შესახებ ავტორიტეტული და დეტალური განხილვის შემცველი ესეების კრებული.

# ტერმინთა ლექსიკონი

*როცა ტერმინი უფრო სრულადაა განხილული ჩანართში წიგნის ძირითად ტექსტში, ლექსიკონში მოცემული განმარტების ბოლოს მითითებულია შესაბამისი გვერდის ნომერი.*

**აბსოლუტიზმი** მმართველობის სახეობა, რომელშიც პოლიტიკური ძალაუფლება კონცენტრირებულია კონკრეტული პიროვნების ან მცირე ჯგუფის, კერძოდ, აბსოლუტური მონარქიის ხელში.

**ადამიანის უფლებები** უფლებები, რომლითაც ადამიანები სარგებლობენ ადამიანებად ყოფნის გამო; უნივერსალური და ფუნდამენტური უფლებები.

**ადამიანური ბუნება** ყველა ადამიანის ძირეული და შინაგანი ნიშან-თვისება, რითაც ისინი დავალებულნი არიან ბუნების და არა საზოგადოების წინაშე.

**ავტარკია** ეკონომიკური თვითკმარობა, რომელიც შექმნილია ან ექსპანსიონიზმის გზით, რომლის მიზანია ბაზრებისა და ნედლეულის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, ან საერთაშორისო ეკონომიკისგან მოშორებით დგომით.

**ავტონომია** სიტყვასიტყვით, თვითმმართველობა; საკუთარი ბედის კონტროლის უნარი გარეშე გავლენათაგან დამოუკიდებლობის პირობებში.

**ავტორიტარიზმი** რწმენა, რომ მკაცრი ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც ზემოდანაა დაწესებული, სასურველი ან აუცილებელია და, აქედან გამომდინარე, უპირობო მორჩილებას საჭიროებს (იხ. გვ. 95).

**ალტრუიზმი** ზრუნვა სხვების ინტერესთა და კეთილდღეობის გამო, რაც ეფუძნება ან განმანათლებლურ პირად დაინტერესებას, ან, ზოგადად, ჰუმანურობის რწმენას.

**ანდროგინია** ერთდროულად მამაკაცური და ქალური მახასიათებლების ქონა; გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რომ ადამიანები უსქესო პიროვნებები არიან იმ გაგებით, რომ სქესი არ განაპირობებს (არარელევანტურია) მათს სოციალურ როლს ან პოლიტიკურ სტატუსს.

**ანთროპოცენტრიზმი** იმის რწმენა, რომ ადამიანური მოთხოვნილებები და ინტერესები ყველაზე მაღალი რიგის მორალური და ფილოსოფიური მნიშვნელობის მატარებელია; ეკოცენტრიზმის საპირისპირო ცნებაა.

**ანტისემიტიზმი** ებრაელთა მიმართ მიკერძოებული აზრი ან სიძულვილი; ანტისემიტიზმმა შეიძლება მიიღოს რელიგიური, ეკონომიკური ან რასობრივი ფორმა (იხ. გვ. 269).

**ანარქია** სიტყვასიტყვით, მმართველობის (წესის) გარეშე; სიტყვა "ანარქია" ხშირად კნინობითი მნიშვნელობით იხმარება არასტაბილურობის ან სულაც ქაოსის აღსანიშნავად.

**ანომია** ღირებულებათა და ნორმატიული წესების დასუსტება, რაც იზოლირებულობის, მარტოობისა და უმნიშვნელობის გრძნობებს უკავშირდება.

***Ancien régime*** სიტყვასიტყვით, ძველი წესრიგი; ჩვეულებრივ, კავშირშია აბსოლუტისტურ სტრუქტურებთან, რომლებიც ხელისუფლებაში იყვნენ საფრანგეთის რევოლუციამდე.

**ატომიზმი** რწმენა, რომ საზოგადოება წარმოადგენს ანგარებიანი და დიდწილად თვითკმარი პიროვნებების, ან ატომების, და არა სოციალური ჯგუფების, ერთობლიობას.

**ახალი მემარცხენეობა** იდეოლოგიური მოძრაობა, რომელიც ცდილობს გააცოცხლოს სოციალისტური აზრი განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოების რადიკალური კრიტიკის შემუშავების გზით, ყურადღების გამახვილებით დეცენტრალიზაციის, მონაწილეობისა და პიროვნული გათავისუფლების საჭიროებაზე.

**ახალი მემარჯვენეობა** იდეოლოგიური მიმართულება კონსერვატიზმში, რომელიც მოიცავს საბაზრო ინდივიდუალიზმისა და სოციალური ავტორიტარიზმის ნაზავს.

**ბაზარი** კომერციული გაცვლის სისტემა მყიდველებსა და გამყიდველებს შორის, რომელსაც უპიროვნო ეკონომიკური ძალები – "საბაზრო ძალები" – აკონტროლებს.

**ბუნების სახელმწიფო** (state of nature) წინარეპოლიტიკური საზოგადოება, რომელიც ხასიათდება შეუზღუდავი თავისუფლებითა და დადგენილი ხელისუფლების არარსებობით.

**ბუნებრივი არისტოკრატია** იდეა, რომლის მიხედვით, ნიჭი და ლიდერობა თანდაყოლილი ანუ შთამომავლობით მიღებული თვისებებია, რომელთა მიღება შეუძლებელია ძალისხმევის ან თვითგანვითარების მეშვეობით.

**ბუნებრივი უფლებები** ღვთივმიმადლებული უფლებები, რომლებიც ფუნდამენტურია ადამიანთათვის და ამის გამო განუყოფელია (მათი წართმევა შეუძლებელია).

**ბურჟუაზიული იდეოლოგია** მარქსისტული ტერმინი; აღნიშნავს იდეებსა და თეორიებს, რომლებიც ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობათა შენიღბვის მეშვეობით.

**ბურჟუაზია** მარქსისტული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს კაპიტალისტური საზოგადოების მმართველ კლასს, საწარმოო სიმდიდრის მფლობელთ.

**გაუცხოება** ვინმეს გამიჯნულობა საკუთარი ჭეშმარიტი ან არსებითი ბუნებისგან; იყენებდნენ მარქსისტები იმ პროცესის აღსაწერად, რომლის დროსაც კაპიტალიზმის ზეგავლენის გამო შრომა უბრალო საქონლამდეა დამდაბლებული და დეპერსონალიზებულ აქტივობად უფრო იქცევა, ვიდრე – შემოქმედებითად და კმაყოფილების მომგვრელად.

**განმანათლებლობა** ინტელექტუალური მოძრაობა, რომელმაც განვითარების მწვერვალს მეთვრამეტე საუკუნეში მიაღწია და გონებისა და პროგრესის სახელით დაუპირისპირდა ტრადიციულ რელიგიურ, პოლიტიკურსა და საგანმანათლებლო შეხედულებებს.

**გენდერი** სოციალური და კულტურული განსხვავება მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის, რაც საპირისპიროა სქესისა, რომელიც ასახავს ბიოლოგიურ და, ამდენად, აუცილებელ განსხვავებას მამაკაცებსა და ქალებს შორის.

**გლობალიზაცია** ურთიერთდაკავშირებულობის რთული ქსელი, რომლის მეშვეობითაც ცხოვრებას სულ უფრო მეტად განსაზღვრავს შორს მიღებული გადაწყვეტილებები ან მომხდარი მოვლენები; გლობალიზაცია ერ-სახელმწიფოთა მზარდ შეღწევადობას (გამტარობას) ასახავს.

**გლობალიზმი** იდეოლოგიური პოზიცია, რომელიც მხარს უჭერს გლობალიზაციას როგორც თანამედროვე საზოგადოების სასურველსა და აუცილებელ ნიშან-თვისებას.

**დასავლეთი** მსოფლიოს ნაწილები, რომლებიც კულტურულად – საერთო ბერძნულ-რომაული და ქრისტიანული ძირებით, სოციალურად – ინდუსტრიული კაპიტალიზმის

დომინირებით, და პოლიტიკურად – ლიბერალური დემოკრატიის პრევალირებით გამოირჩევიან.

**დევოლუცია** ძალაუფლების გადაცემა ცენტრალური მთავრობიდან დაქვემდებარებული რეგიონული ორგანოებისთვის, რაც საზიარო სუვერენულობის წარმოშობას არ გულისხმობს (განსხვავებით ფედერალიზმისგან).

**დემოკრატია** ხალხის მმართველობა; დემოკრატია გულისხმობს როგორც ხალხის მონაწილეობას, ისე მთავრობის დგომას საზოგადო ინტერესის სამსახურში, რაც შეიძლება მრავალგვარი ფორმით განვითარდეს.

**დემოკრატიული ცენტრალიზმი** პარტიის ორგანიზაციის ლენინური პრინციპი, რომელიც ეფუძნება ბალანსს დისკუსიის თავისუფლებასა და მოქმედების მკაცრ ერთიანობას შორის.

**დეტერმინიზმი** რწმენა, რომ ადამიანთა ქმედებები და არჩევანები მთლიანად გარეშე ფაქტორებითაა განპირობებული; დეტერმინიზმი გულისხმობს, რომ თავისუფალი ნება მითია.

**დეცენტრალიზაცია** ადგილობრივი ავტონომიის გაფართოება ეროვნული ან ცენტრალური ორგანოებიდან უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობათა გადაცემის გზით.

**დიალექტიკა** განვითარების პროცესი, რომლის დროსაც ორი დაპირისპირებული ძალის ურთიერთქმედებას ავყავართ მომდევნო ან უფრო მაღალ საფეხურზე; ისტორიული ცვლილება, რომელიც საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობების შედეგად წარმოიშობა.

**დიალექტიკური მატერიალიზმი** მარქსიზმის უხეში და დეტერმინისტული სახეობა, რომელიც გაბატონებული იყო ორთოდოქსული კომუნისტური სახელმწიფოების ინტელექტუალურ ცხოვრებაში.

**დისკურსი** ადამიანთა ურთიერთქმედება, კერძოდ, კომუნიკაცია; დისკურსს შეუძლია ახსნას ან ილუსტრირება გაუკეთოს ძალაუფლებრივ ურთიერთობებს.

**ეგალიტარიზმი** თეორია ან პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება თანასწორობის დამკვიდრების სურვილს; ეგალიტარიზმს ზოგჯერ განიხილავენ როგორც იმის რწმენას, რომ თანასწორობა უზენაეს პოლიტიკურ ღირებულებას წარმოადგენს.

**ეგოიზმი** ზრუნვა საკუთარ ინტერესზე ან კეთილდღეობაზე, თავკერძობა; ან რწმენა, რომ ყოველი ინდივიდი საკუთარი მორალური სამყაროს ცენტრია და, ამდენად, მოწოდებულია იმოქმედოს როგორც მორალურად ავტონომიურმა არსებამ.

**ევგენიკა** შერჩევითი გამრავლების თეორია ან პრაქტიკა, რომელიც მიიღწევა ან სახეობის "შესაფერ" წევრებს შორის აღწარმოების ხელშეწყობით, ან "შეუფერებელთა" აღწარმოების არდაშვებით.

**ევროკომუნიზმი** დერადიკალიზებული კომუნიზმის სახეობა, რომელიც ცდილობს მარქსიზმის შერწყმას ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებთან.

**ეთნიკური კუთვნილება** (ethnicity) კონკრეტული პოპულაციის, კულტურული ჯგუფის ან ტერიტორიული არეალის ერთგულების გრძნობა; კავშირები, რომლებიც უფრო კულტურულია, ვიდრე რასობრივი.

**ეთნიკური ნაციონალიზმი** ნაციონალიზმის სახეობა, რომელსაც ასაზრდოებს, პირველ ყოვლისა, ეთნიკური განსხვავებულობის მწვავე შეგრძნება და ამ განსხვავებულობის შენარჩუნების სურვილი.

**ეკოლოგია** სწავლება ცოცხალ ორგანიზმებსა და გარემოს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ; ეკოლოგია ყურადღებას ამახვილებს ურთიერთობათა ქსელზე, რომელიც ხელს უწყობს სიცოცხლის ყველა ფორმის არსებობა-შენარჩუნებას.

**ეკონომიკური ლიბერალიზმი** რწმენა, რომ ბაზარი, როგორც თვითრეგულირებადი მექანიზმი, ნამდვილად ქმნის ყველასთვის ხელმისაწვდომ ზოგად კეთილდღეობასა და შესაძლებლობებს.

**ეკოცენტრიზმი** თეორიული ორიენტაცია, რომელიც, ადამიანთა მიზნების განხორციელების საპირისპიროდ, პრიორიტეტს ეკოლოგიური ბალანსის დაცვა-შენარჩუნებას ანიჭებს.

**ელიტიზმი** ელიტის ან უმცირესობის მმართველობის რწმენა; ელიტის მმართველობა შეიძლება მიჩნეულ იქნას სასურველად – ელიტა აღმატებული ტალანტებისა და უნარების მატარებელია – ან გარდაუვლად იმ შემთხვევაში, როცა ისეთი ეგალიტარული იდეები, როგორიცაა დემოკრატია და სოციალიზმი, უბრალოდ არაპრაქტიკულად არის მიჩნეული.

**ენვირონმენტალიზმი** ბუნებრივი გარემოს პოლიტიკური მნიშვნელობის რწმენა; ენვირონმენტალიზმი ხშირად გამოიყენება (ეკოლოგიზმის საპირისპიროდ) ბუნებისადმი რეფორმისტული დამოკიდებულების აღსანიშნავად, რომელიც ადამიანურ მოთხოვნილებებსა და ზრუნვას ასახავს.

**ერთი ერის კონსერვატიზმი** კონსერვატიული რეფორმიზმის ტრადიცია, რომელიც ხასიათდება პატერნალური ვალდებულების რწმენითა და ფართო სოციალური უთანასწორობის შიშით.

**ერი** ერთობლიობა ადამიანებისა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან საზიარო ღირებულებებითა და ტრადიციებით, საერთო ენით, რელიგიითა და ისტორიით და, ჩვეულებრივ, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში სახლობენ.

**ერი-სახელმწიფო** (nation-state) სუვერენული პოლიტიკური გაერთიანება, რომელშიც მოქალაქეობა და ეროვნება ურთიერთს ფარავს; ერთი ერი ერთ სახელმწიფოში.

**ვიტალიზმი** თეორია, რომლის მიხედვითაც, ცოცხალი ორგანიზმები თავიანთ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს უნივერსალური "სასიცოცხლო ძალისგან" იღებენ; ვიტალიზმი უფრო ინსტინქტსა და იმპულსზე ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე ინტელექტსა და გონებაზე.

**ზედაპირული ეკოლოგია** (shallow ecology) მწვანეთა იდეოლოგიური თვალსაზრისი, რომელიც ეკოლოგიის გაკვეთილებს ადამიანთა მოთხოვნილებებისა და მიზნების სამსახურში აყენებს და დაკავშირებულია ისეთ ფასეულობებთან, როგორიცაა მდგრადობა და კონსერვაცია.

**თავისუფალი ბაზარი** შეუბოჭავი საბაზრო კონკურენციის პრინციპი ან პოლიტიკა, რომელიც თავისუფალია სახელმწიფო ჩარევისგან.

**თავისუფალი ვაჭრობა** სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობის სისტემა, რომელიც ტარიფებით ან პროტექციონიზმის სხვა ფორმით არ არის შეზღუდული.

**თავისუფლება** შესაძლებლობა, იფიქრო ან იმოქმედო საკუთარი სურვილის მიხედვით, უნარი, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ინდივიდთან, სოციალურ ჯგუფთან ან ერთან.

**თანამედროვე ლიბერალიზმი** ტრადიცია ლიბერალიზმში, რომელიც უზრუნველყოფს (კლასიკური ლიბერალიზმის საპირისპიროდ) სოციალური და ეკონომიკური ჩარევის, როგორც თავისუფლების გაფართოების საშუალების, კვალიფიციურ მხარდაჭერას.

**თანასწორობა** პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ადამიანებს თანაბარი ღირებულება აქვთ, ან თანაბარი მოპყრობის ღირსნი არიან; თანასწორობის მრავალგვარი გაგება არსებობს.

**თეოკრატია** სიტყვასიტყვით, ღვთის მმართველობა; პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ რელიგიური ხელისუფლება უნდა პრევალირებდეს პოლიტიკურზე, ჩვეულებრივ, სახელმწიფოზე ეკლესიის ბატონობის მეშვეობით.

**თეტჩერიზმი** თავისუფალი ბაზრის / ძლიერი სახელმწიფოს იდეოლოგიური პოზიცია, რომელიც მარგარეტ თეტჩერს უკავშირდება; ახალი მემარჯვენე პოლიტიკური პროექტის ბრიტანული (გაერთიანებული სამეფოს) ვერსია.

**თვითაქტუალიზაცია** პერსონალური სრულყოფა (პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაცია), რაც გრძნობიერების დახვეწით მიიღწევა; თვითაქტუალიზაცია, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია ეგოიზმისა და მატერიალიზმის გადალახვასთან.

**იდეალიზმი** პოლიტიკური ხედვა, რომელიც ხაზს უსვამს მორალურობისა და იდეალების მნიშვნელობას; ფილოსოფიური თვალსაზრისით, იდეალიზმი შეიძლება გულისხმობდეს, რომ იდეები უფრო "რეალურია", ვიდრე მატერიალური სამყარო.

**იდეოლოგია** იდეათა მეტ-ნაკლებად თანმიმდევრული ერთობლიობა, რომელიც საფუძველს უქმნის ორგანიზებული პოლიტიკური ქმედების რაიმე სახეობას.

**იერარქია** სოციალური მდგომარეობების ან სტატუსების გრადაცია; იერარქია გულისხმობს სტრუქტურულ ან დადგენილ უთანასწორობას, რომლის დროსაც მდგომარეობა არ არის კავშირში პიროვნულ უნართან.

**იმპერიალიზმი** ერთი ქვეყნის კონტროლის გავრცელება მეორეზე, იმის მიუხედავად, ხდება ეს აშკარა პოლიტიკური საშუალებებით თუ ეკონომიკური ბატონობის გზით.

**ინდივიდუალიზმი** ინდივიდის, როგორც სოციალურ ჯგუფთან ან კოლექტივთან დაპირისპირებულის, ცენტრალური მნიშვნელობის რწმენა (იხ. გვ. 33).

**ინდივიდუალობა** თვითკმარობა, რომელიც მიიღწევა ინდივიდის განსაკუთრებული ან უნიკალური იდენტობისა და თვისებების რეალიზაციით; ის, რაც განასხვავებს პიროვნებას სხვებისგან.

**ინდუსტრიალიზმი** ეკონომიკური თეორია ან სისტემა, რომელიც ემყარება მსხვილ საფაბრიკო-ქარხნულ წარმოებასა და კაპიტალის განუწყვეტელ დაგროვებას (იხ. გვ. 319).

**ინტერნაციონალიზმი** პოლიტიკური თეორია ან პრაქტიკა, რომელიც ემყარება ტრანსნაციონალურ ან გლობალურ კოოპერაციას; რწმენა, რომ ერები ხელოვნური და არასასურველი წარმონაქმნებია.

**ისტორიული მატერიალიზმი** მარქსისტული თეორია, რომელიც თვლის, რომ მატერიალური ანუ ეკონომიკური პირობები მეტწილად განსაზღვრავს (აყალიბებს) კანონებს, პოლიტიკას, კულტურასა და სოციალური ყოფის სხვა ასპექტებს.

**კანონი** სოციალური ქცევის დადგენილი და საზოგადო წესები, რომლებსაც ზურგს უმაგრებს სახელმწიფო მანქანა: პოლიცია, სასამართლოები და ციხეები.

**კაპიტალიზმი** ეკონომიკური სისტემა, რომელშიც სიმდიდრეს ფლობენ კერძო პირები ან ბიზნესები და სამომხმარებლო ნივთები იწარმოება გაცვლის მიზნით, ბაზრის კარნახით.

**კეთილდღეობითობა (welfarism)** შეხედულება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ან თემი პასუხისმგებელია თავისი მოქალაქეების კეთილდღეობაზე, რაც, ჩვეულებრივ, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს წარმოქმნით გამოიხატება.

**კეინზიანიზმი** ეკონომიკური მართვის თეორია (ჯ. მ. კეინზის მიერ შექმნილი) ან პოლიტიკა, რომელიც უკავშირდება საერთო (საყოველთაო) მოთხოვნის რეგულირებასა და სრული დასაქმების მიღწევას (იხ. გვ. 72).

**კლასიკური ლიბერალიზმი** ტრადიცია ლიბერალიზმში, რომელიც ცდილობს მაქსიმალურად გააფართოვოს შეუზღუდავი ინდივიდუალური ქმედების არეალი, რაც, როგორც წესი, ხორციელდება მინიმალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებითა და საბაზრო ეკონომიკაზე დაყრდნობით.

**კლასობრივი თვითშეგნება** მარქსისტული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს კლასის ინტერესების ზედმიწევნით გაცნობიერებასა და მათი ურყევი ერთგულების მზაობას; კლასობრივი შეგნების მქონე კლასი არის "თავისთავადი კლასი".

**კოლექტივიზაცია** კერძო საკუთრების გაუქმება და საერთო ან საზოგადოებრივი საკუთრების ყოვლისმომცველი სისტემის ჩამოყალიბება, ჩვეულებრივ, სახელმწიფო მექანიზმების მეშვეობით.

**კოლექტივიზმი** რწმენა, რომ ადამიანთა მიზნები უკეთ მიიღწევა თანამშრომლობაზე დაფუძნებული ანუ კოლექტიური ძალისხმევით; ეს რწმენა ხაზს უსვამს სოციალური ჯგუფების მნიშვნელობას (იხ. გვ. 124).

**კოლონიალიზმი** უცხოურ ტერიტორიაზე კონტროლის დაწესების თეორია ან პრაქტიკა, ჩვეულებრივ, დასახლებების ან ეკონომიკური ბატონობის მეშვეობით.

**კომუნიტარიზმი** რწმენა, რომ სელფი ანუ პიროვნება ყალიბდება საზოგადოების/თემის (community) მეშვეობით იმ გაგებით, რომ არ არსებობენ "სელფები პასუხისმგებლობის ტვირთის გარეშე".

**კომუნიზმი** სიმდიდრის საერთო საკუთრების პრინციპი; კომუნიზმის ცნება ხშირად გამოიყენება უფრო ფართო მნიშვნელობით იმ მოძრაობებისა და რეჟიმების აღსანიშნავად, რომლებიც მარქსისტულ პრინციპებს ეფუძნება.

**კოოპერაცია** ერთობლივი მუშაობა; კოლექტიური ძალისხმევა ურთიერთსარგებლის მისაღწევად.

**კონსენსუსი** თანხმობა საბაზისო საკითხებსა და პრინციპებზე, რამაც შეიძლება დასაშვები გახადოს შეუთანხმებლობა დეტალებსა და კონკრეტულ საკითხებზე.

**კონსტიტუციონალიზმი** რწმენა, რომ მთავრობის ძალაუფლება უნდა განხორციელდეს წესების ჩარჩოში (კონსტიტუციის ფარგლებში), რაც განსაზღვრავს, ერთი მხრივ, სამთავრობო ინსტიტუტების ვალდებულებებს, ძალაუფლების ფარგლებსა და ფუნქციებს და, მეორე მხრივ, პიროვნების უფლებებს (იხ. გვ. 47).

**კონტრაქტი** შეთანხმება, რომელიც ძალაში შედის ნებაყოფლობითი და ურთიერთმისაღები პირობებით.

**კონფლიქტი** ორი ან მეტი ძალის ოპოზიცია ან შეჯიბრი, რომელიც წარმოიშობა ან არათავსებადი ამოცანების ქონის ან დაპირისპირებულ იდეათა შეჯახების გამო.

**კორპორატიზმი** თეორია (დაკავშირებული ან ფაშისტურ, ან ლიბერალურ თეორიასთან), რომლითაც, უმთავრესი ეკონომიკური ინტერესები – ბიზნესი და შრომა – არის ან უნდა იყოს ინკორპორირებული სამთავრობო პროცესებში.

**კოსმოპოლიტიზმი** სიტყვასიტყვით, მსოფლიო სახელმწიფოს რწმენა; უფრო ხშირად აღნიშნავს ზრუნვით მიღწეული პარმონიისა და ერთა ურთიერთგაგების რწმენას (იხ. გვ. 209).

**კულტურული ნაციონალიზმი** ნაციონალიზმის სახეობა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს, პირველ ყოვლისა, ერის როგორც განსაკუთრებული ცივილიზაციის ხელახალ ჩამოყალიბებაზე და არა თვითმმართველობაზე.

***Laissez-faire*** (ჩაურევლობა) დოქტრინა, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკური აქტივობა სრულიად თავისუფალი უნდა იყოს სახელმწიფო ჩარევისგან; თავისუფალი ბაზრის რწმენის უკიდურესი ხარისხი.

**ლეგიტიმურობა** პოლიტიკური ხელისუფლების კანონიერებისა და, შესაბამისად, იმის აღიარება, რომ მის ობიექტებს მორჩილების მორალური ვალდებულება აქვთ.

**ლეიბორიზმი** სოციალისტური პარტიების მხრიდან გამჟღავნებული ტენდენცია, ემსახურონ ორგანიზებული შრომის ინტერესებს იმის მაგიერ, რომ უფრო ფართო იდეოლოგიურ მიზნებს მისდევდნენ.

**ლენინიზმი** ლენინის თეორეტიკული წვლილი მარქსიზმში, განსაკუთრებით მისი რწმენა, რომ საჭიროა რევოლუციური ან ავანგარდული პარტია პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებამდე ასამაღლებლად.

**ლიბერალური დემოკრატია** დემოკრატიის სახეობა, რომელიც მოიცავს როგორც შეზღუდულ ხელისუფლებას, ისე რეგულარული და კონკურენტული არჩევნების სისტემას; ცნებას ლიბერალური დემოკრატია ასევე რეჟიმის ტიპის აღსანიშნავადაც იყენებენ.

**ლიბერტარ(იან)იზმი** რწმენა, რომ პიროვნება უნდა სარგებლობდეს თავისუფლების რაც შეიძლება ფართო არეალით; ლიბერტარიზმი გულისხმობს პიროვნებისთვის როგორც გარეგანი, ისე შინაგანი შეზღუდვების მოხსნას (იხ. გვ. 103).

**მაჟორიტარიზმი** უმრავლესობის მმართველობის რწმენა; მაჟორიტარიზმი გულისხმობს ან იმას, რომ უმრავლესობა დომინირებს უმცირესობაზე, ან იმას, რომ უმცირესობამ უმრავლესობის თვალსაზრისს უნდა დაუთმოს.

**მდგრადობა** (sustainability) სისტემის უნარი, შეინარჩუნოს თავისი სიჯანსაღე და განაგრძოს არსებობა; მწვანეთა ეკონომიკის ძირითადი პრინციპი.

**მემარცხენეობა** ფართო იდეოლოგიური განწყობა, რომელიც ხასიათდება ისეთი პრინციპებისადმი სიმპათიით, როგორიცაა თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და პროგრესი.

**მემარჯვენეობა** ფართო იდეოლოგიური განწყობა, რომელიც ხასიათდება ისეთი პრინციპების მიმართ სიმპათიით, როგორიცაა ძალაუფლება, წესრიგი, იერარქია და ვალდებულება.

**მენეჯერიალიზმი** თეორია, რომლის მიხედვითაც, მენეჯერთა, ტექნოკრატთა და სახელმწიფო მოხელეთა მმართველი კლასი – ისინი, ვინც ტექნიკური და ადმინისტრაცი-

ულ უნარებითაა ალჭურვილი – დომინირებენ ყველა ინდუსტრიულ საზოგადოებაში, კაპიტალისტურშიც და კომუნისტურშიც.

**მერიტოკრატია** სიტყვასიტყვით, დამსახურებულთა მმართველობა, სადაც დამსახურებაში იგულისხმება ინტელექტი (გონიერება) პლიუს ძალისხმევა; საზოგადოება, რომელშიც სოციალურ მდგომარეობას განსაზღვრავს მხოლოდ და მხოლოდ უნარი და შრომისმოყვარეობა.

**მესამე გზა** იდეა (ცნება) ეკონომიკისა, რომელიც ალტერნატიულია როგორც სახელმწიფო სოციალიზმის, ისე თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმისა; სხვადასხვა დროს მას მიმართავდნენ კონსერვატორები, სოციალისტები და ფაშისტები.

**მეცნიერება** ცოდნის მოპოვების მეთოდი ფრთხილი დაკვირვების ან შედეგთა თანხვედრაზე მიმართული ექსპერიმენტების მეშვეობით ჰიპოთეზათა ტესტირების პროცესზე დაყრდნობით.

**მითი, პოლიტიკური** რწმენა, რომელსაც უნარი აქვს მოახდინოს პოლიტიკური ქმედების პროვოცირება თავისი ემოციური ან სიმბოლური ძალის წყალობით და არა გონებაზე დაყრდნობით.

**მილენარიზმი** ღვთის ათასწლიანი მმართველობის რწმენა; პოლიტიკური მილენარიზმი სიღარიბისა და ჩაგვრისგან მყისიერი და სრული გათავისუფლების პერსპექტივას სახავს.

**მილიტარიზმი** მიზნების მიღწევა ომის საშუალებით, ან მილიტარისტული იდეების, ღირებულებებისა და პრაქტიკის გავრცელება სამოქალაქო (არასამხედროს გაგებით) საზოგადოებაზე.

**მიუტიუელიზმი/მუტუალიზმი** ნებაყოფლობითი, ურთიერთსასარგებლო და ჰარმონიული გაცვლა, რომელშიც ინდივიდები ან ჯგუფები ერთმანეთს ურიგდებიან და საქონლით ან მომსახურებით ვაჭრობენ მოგების მიღების ან ექსპლოატაციის გარეშე.

**მოდერნიზაცია** სოციალური და პოლიტიკური ცვლილების პროცესი, რომლის წყალობითაც თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებები აღმოცენდა; კაპიტალისტური ეკონომიკური წესრიგისა და ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის წარმოშობა-განვითარება.

**მონეტარიზმი** თეორია, რომლის მიხედვითაც, ინფლაცია ფულის მარაგის გაზრდითაა განპირობებული: "მეტისმეტად მცირერიცხოვან საქონელზე 'მონადირე' მეტისმეტად დიდი ფული".

**მონიზმი** მხოლოდ ერთი თეორიის ან ღირებულების რწმენა; მონიზმი პოლიტიკურად ასახვას პპოვებს უნიტარული ძალისადმი იძულებით მორჩილებაში და, ამდენად, იმპლიციტურად ტოტალიტარულია.

**მოქალაქეობა** სახელმწიფოს წევრობა; ურთიერთობა პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის, რომელიც ორმხრივ უფლებებსა და ვალდებულებებს ეფუძნება.

**მულტიკულტურალიზმი** თემობრივი (კომუნალური) მრავალფეროვნების მხარდაჭერა (ჩვეულებრივ, დაკავშირებულია რასასთან, ეთნიკურობასთან, რელიგიასთან ან ენასთან), რომელიც, ჩვეულებრივ, ეფუძნება რწმენას, რომ განსხვავებული კულტურული ჯგუფები პატივისცემასა და აღიარებას იმსახურებს.

**ნაციონალიზაცია** სახელმწიფო ან საზოგადო მფლობელობის გავრცობა კერძო ქონებაზე ან საწარმოებზე.

**ნაციონალ-სოციალიზმი** ფაშიზმის სახეობა, რომელიც ჰიტლერის გერმანიაში იყო გავრცელებული და ხასიათდებოდა ტოტალიტარული ტერორით, გენოციდური ანტისემიტიზმითა და ექსპანსიონისტური რასიზმით.

**ნეგატიური თავისუფლება** ინდივიდთან მიმართებით გარე შეზღუდვების არარსებობა, რაც არჩევანის თავისუფლებას იძლევა.

**ნეოკონსერვატიზმი** სოციალური კონსერვატიზმის თანამედროვე ვერსია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს წესრიგის აღდგენის, ტრადიციულ ან ოჯახის ღირებულებებთან დაბრუნების, ან ეროვნულობის გაცოცხლების საჭიროებაზე.

**ნეოლიბერალიზმი** კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის განახლებული ვერსია, რომელიც მხარს უჭერს საბაზრო ინდივიდუალიზმსა და მინიმალურ სტეიტიზმს.

**ნეომარქსიზმი** მარქსიზმის განახლებული და შევსებული ვერსია, რომელიც უარყოფს დეტერმინიზმს, ეკონომიკის პრიმატსა და პროლეტარიატის პრივილეგირებულ მდგომარეობას.

**ნიჰილიზმი** სიტყვასიტყვით, არაფრის რწმენა, ყველა მორალური და პოლიტიკური პრინციპის უარყოფა; ნიჰილიზმი ზოგჯერ, მაგრამ არა აუცილებლად, ასოცირდება დესტრუქციასთან და ძალადობასთან.

**ნორმატიული** მორალური სტანდარტის დადგენა იმ თვალსაზრისით, თუ რა "უნდა" იყოს, საპირისპიროდ აღწერითი განცხადებისა, თუ რა "არის".

**ორგანიციზმი** რწმენა, რომ საზოგადოება ფუნქციონირებს როგორც ორგანიზმი ან ცოცხალი არსება, უფრო როგორც მთლიანი არსება, ვიდრე მისი ცალკეული ნაწილების კრებული.

**ორთოდოქსობა** დამკვიდრებული ან საყოველთაოდ მიღებული შეხედულების ერთგულება, რომელიც, ჩვეულებრივ, "ოფიციალური" სანქციით ან მხარდაჭერით სარგებლობს.

**პატერნალიზმი** ძალაუფლება, რომელიც ხორციელდება ზემოდან იმათ გასაძლოლად და მხარდასაჭერად, ვინც ქვემოთ არის, და რომელიც მამებისა და შვილების ურთიერთობის მოდელს ეფუძნება.

**პაციფიზმი** ომისა და ძალადობის ყველა ფორმის, როგორც ფუნდამენტური ბოროტების, უარყოფა.

**პანნაციონალიზმი** ნაციონალიზმის სტილი, რომელიც მხარს უჭერს ძირეულად განსხვავებული ხალხების გაერთიანებას ან ექსპანსიონიზმის, ან პოლიტიკური სოლიდარობის გზით ("პან" ნიშნავს ყველას ან ყოველს).

**პარტიკულარიზმი** რწმენა, რომ ხალხებსა და საზოგადოებებს შორის ისტორიული, კულტურული და სხვა ტიპის განსხვავებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც მათ საერთო აქვთ.

**პასტორალიზმი** სოფლური ყოფის ღირსებათა – სისადავის, თემში ცხოვრებისა და ბუნებასთან სიახლოვის – რწმენა-აღიარება, ურბანული და ინდუსტრიალიზებული ცხოვრების თითქოსდა გამხრწნელი ზემოქმედების საპირისპიროდ.

**პატრიარქატი** სიტყვასიტყვით, მმართველობა მამის ხაზით; პატრიარქატი ხშირად ზოგადი მნიშვნელობით იხმარება საზოგადოებაში მამაკაცების დომინირებისა და ქალთა დაქვემდებარებულობის აღსანერად.

**პატრიოტიზმი** სიტყვასიტყვით, საკუთარი მამულის სიყვარული; საკუთარი ერის ან ქვეყნისადმი ფსიქოლოგიური მიჯაჭვულობა და ერთგულება (იხ. გვ. 192).

**პირდაპირი დემოკრატია** სახალხო თვითმმართველობა, რომელიც ხასიათდება მოქალაქეთა პირდაპირი და მუდმივი მონაწილეობით სამთავრობო ფუნქციების აღსრულებაში.

**პირდაპირი მოქმედება** პოლიტიკური მოქმედება კონსტიტუციურ და ლეგალურ ფარგლებს გარეთ; პირდაპირი მოქმედება შეიძლება ვარირებდეს პასიური წინააღმდეგობიდან ტერორიზმამდე.

**პლურალიზმი** არჩევანის მრავალფეროვნების რწმენა, ან იმის რწმენა, რომ პოლიტიკური ძალა ფართოდ და თანაბრად არის ან უნდა იყოს განაწილებული (იხ. გვ. 42).

**პოზიტიური თავისუფლება** თვითდახელოვნება ან თვითრეალიზაცია; ავტონომიის მიღწევა და ადამიანურ უნართა განვითარება.

**პოლიტიკა** სახელმწიფოს ინსტიტუტთან ან ხელისუფლების მექანიზმთან დაკავშირებული აქტივობა; უფრო ფართო გაგებით, პროცესები, რომელთა მეშვეობითაც პოლიტიკური კონფლიქტი გამოიხატება და შეძლებისდაგვარად გადაიჭრება.

**პოპულიზმი** შეხედულება, რომლის მიხედვითაც, პოპულარული ინსტინქტები და სურვილები წამყვან როლს ასრულებს პოლიტიკური ქმედების ლეგიტიმაციის თვალსაზრისით და ხშირად პოლიტიკური ელიტების მიმართ უნდობლობასა და მტრულ დამოკიდებულებას ასახავს.

**პოსტმატერიალიზმი** თეორია, რომლის მიხედვითაც, მატერიალური სიმდიდრის გავრცელების კვალობაზე, ეკონომიკურ საკითხებსა და ინტერესებს ენაცვლება "ცხოვრების ხარისხთან" დაკავშირებული თემატიკა.

**პოსტმოდერნი** ძვრა ინდუსტრიალიზაციისა და კლასთა სოლიდარობის მიერ სტრუქტურირებული საზოგადოებებიდან სულ უფრო მეტად ფრაგმენტირებული, დენადი და პლურალისტური "ინფორმაციული" საზოგადოებებისკენ.

**პოსტმოდერნიზმი** ინტელექტუალური მოძრაობა, რომელიც აბსოლუტური და უნივერსალური ჭეშმარიტების იდეას უარყოფს და, ჩვეულებრივ, ყურადღების ცენტრში აქცევს დისკურსს, დებატებსა და დემოკრატიას (იხ. გვ. 373).

**პრაგმატიზმი** ქცევა, რომელიც უფრო მეტად განსაზღვრულია პრაქტიკული ამოცანებითა და მიზნებით, ვიდრე იდეოლოგიური მოსაზრებებით (იხ. გვ. 12).

**პრივატიზაცია** სახელმწიფო ქონების საზოგადოდან კერძო სექტორში გადატანა, რაც სახელმწიფოს ვალდებულებათა შეკვეცას ასახავს.

**პროლეტარიატი** მარქსისტული ტერმინი; აღნიშნავს კლასს, რომელიც თავს ირჩენს საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით; მკაცრად თუ მივუდგებით, პროლეტარიატი არ შეიძლება მივიჩნიოთ მუშათა კლასის (ხელის შრომის მუშაკების) ეკვივალენტად.

**პროლეტარიატის დიქტატურა** მარქსისტული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს გარდამავალ ფაზას კაპიტალიზმის კოლაფსსა და სრული კომუნიზმის დამყარებას შორის, და რომელიც დროებითი პროლეტარული სახელმწიფოს ჩამოყალიბებით ხასიათდება.

**პროტექციონიზმი** შეზღუდვები იმპორტზე, როგორიცაა კვოტები და ტარიფები, რაც მიზნად ისახავს ადგილობრივი მწარმოებლების დაცვას უცხოელი კონკურენტებისგან.

**პროგრესი** წინსვლა, რომელიც, ჩვეულებრივ, გაუმჯობესებას გულისხმობს; პროგრესი ემყარება იმის რწმენას, რომ კაცობრიობის ისტორია აღბეჭდილია ცოდნის განეითარებითა და ცივილიზაციის უფრო მაღალი დონეების მიღწევით.

**რადიკალიზმი** ფუნდამენტური ან სერიოზული შედეგების მქონე ცვლილებების რწმენა, რაც უპირისპირდება ზომიერ ან თანმიმდევრულ რეფორმებს.

**რადიკალური დემოკრატია** დემოკრატიის სახეობა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს დეცენტრალიზაციასა და მონაწილეობას: პოლიტიკური ძალაუფლების რაც შეიძლება ფართოდ განფენას.

**რადიკალური ფემინიზმი** ფემინიზმის სახეობა, რომელიც გენდერულ დაყოფას სოციალური განხეთქილების ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ გამოხატულებად მიიჩნევს, და თვლის, რომ ამგვარ დაყოფას ფესვები ოჯახური ცხოვრების სტრუქტურებში აქვს გადგმული.

**რასა** ხალხების ერთობლიობა, რომელთაც ერთნაირი გენეტიკური წარმომავლობა აქვთ და, ამდენად, სხვებისგან ბიოლოგიური ფაქტორებით განსხვავდებიან.

**რასიალიზმი** შეხედულება, რომლითაც, რასობრივი დაყოფა პოლიტიკურად მნიშვნელოვანია ან იმის გამო, რომ რასებმა ცალ-ცალკე უნდა იცხოვრონ, ან იმიტომ, რომ მათ სხვადასხვაგვარი თვისებები აქვთ და, ამდენად, განსხვავებული სოციალური როლები შეეფერებათ (იხ. გვ. 267).

**რაციონალიზმი** რწმენა, რომ სამყაროს გაგება და ახსნა შესაძლებელია ადამიანის გონების დახმარებით, რაც ეფუძნება დაშვებას, რომ მას რაციონალური სტრუქტურა აქვს.

**რეაქციულობა** ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა ან ყოფილ სისტემაში დაბრუნების სურვილი, რაც ეფუძნება რწმენას, რომ კაცობრიობის ისტორია დაღმასვლით ან დაცემითაა აღბეჭდილი.

**რევიზიონიზმი** პოლიტიკური თეორიის რევიზია ან გადამუშავება, რითაც ის უარს ამბობს ადრეულ ინტერპრეტაციებზე იმ მიზნით, რომ "შესწორებული" ხედვა წარმოადგინოს.

**რევოლუცია** ფუნდამენტური და შეუქცევადი ცვლილება, გადატრიალების ხშირად ხანმოკლე, მაგრამ დრამატული პერიოდი; სისტემური ცვლილება.

**რელატივიზმი** რწმენა, რომლის მიხედვითაც, მორალური ან ფაქტობრივი მტკიცებები მხოლოდ მათ კონტექსტთან მიმართებაში შეიძლება განისაჯოს, რადგანაც რაიმე ობიექტური ან "აბსოლუტური" სტანდარტი არ არსებობს.

**რეფორმიზმი** თანმიმდევრული, თანდათანობითი გაუმჯობესების რწმენა, რაც თანაბრად უპირისპირდება რევოლუციასაც და რეაქციასაც; რეფორმა არის ქმედება ან პოლიტიკა, რომელიც მოწოდებულია გამოასწოროს პრობლემა ან დააცხროს უკმაყოფილება.

**საბაზრო სოციალიზმი** ეკონომიკური სისტემა, დამყარებული თვითმმართველ კოოპერატიულ საწარმოებზე, რომლებიც საბაზრო კონკურენციის კონტექსტში ფუნქციონირებენ.

**სათათბირო დემოკრატია** (deliberative democracy) დემოკრატიის სახეობა, რომელიც ხაზს უსვამს დისკუსიისა და დებატების როლს საზოგადო ინტერესის განსაზღვრის საქმეში.

**საიენტიზმი** რწმენა, რომ მეცნიერული მეთოდი ერთადერთი მიუკერძოებელი და ობიექტური საშუალებაა ჭეშმარიტების დასადგენად, და რომ მისი გამოყენება ყველა საკვლევი სფეროს მიმართ არის შესაძლებელი.

**საზოგადო ნება** (general will) კოლექტიური ორგანოს არსებითი ინტერესები, საყოველთაო სიკეთის ეკვივალენტი; ყველას ნება იმ პირობით, რომ თითოეული პირი უანგაროდ მოქმედებს.

**საკუთრება** მატერიალური ნივთების ან სიმდიდრის ფლობა, დამოუკიდებლად იმისა, საუბარია კერძო პირებზე, ადამიანთა ჯგუფებზე თუ სახელმწიფოზე.

**სამართლიანობა** სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის მორალური სტანდარტი; სოციალური სამართლიანობა არის ცნება, რომელიც ასახავს შეხედულებას საზოგადოებაში დოვლათისა და საზღაურის სამართლიანი ან დამტკიცებადი (კანონიერი) განაწილების თაობაზე.

**სამოქალაქო თავისუფლება** არსებობის პრივატული სფერო, რომელსაც განაგებს მოქალაქე და არა სახელმწიფო; მთავრობისგან თავისუფლება.

**სამოქალაქო საზოგადოება** ავტონომიური ასოციაციებისა და ჯგუფების არეალი, რომელსაც აყალიბებენ კერძო მოქალაქეები და რომელიც სარგებლობს მთავრობისგან დამოუკიდებლობით; სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს ბიზნესებს, კლუბებს, ოჯახებსა და ა. შ.

**საყოველთაო (ინტეგრალური) ნაციონალიზმი** ინტენსიური (ისტერიულიც კი) ნაციონალისტური ენთუზიაზმი, რომელიც იწვევს ეროვნული იდენტობის მიერ პიროვნული იდენტობის შთანთქმას.

**სახელმწიფო** გაერთიანება, რომელიც გარკვეულ ტერიტორიულ არეალში დაადგენს სუვერენულ ძალაუფლებას, ჩვეულებრივ, იძულებითი ძალაუფლების მონოპოლიის მქონეს.

**სახელმწიფო სოციალიზმი** სოციალიზმის სახეობა, რომელშიც სახელმწიფო აკონტროლებს და მართავს ეკონომიკურ ცხოვრებას, რითაც, თეორიულად, ხალხის ინტერესებში მოქმედებს.

**საბრძოლო/საომარი განწყობილება** (militancy) გაზრდილი ან უკიდურესი მხარდაჭერა; შემართებისა და გზნების ხარისხი, რომელიც, როგორც წესი, დაკავშირებულია ბრძოლასთან ან ომთან.

**სარგებელი** სარგებლიანობის ღირებულება; ეკონომიკაში სარგებელი გამოხატავს კომპენსაციას, რომელიც მიღებულია მატერიალური ნივთებისა და მომსახურების მოხმარების სფეროდან.

**სეკულარიზმი** რწმენა, რომლის მიხედვითაც, რელიგია არ უნდა ჩაერიოს სეკულარულ (საერო) ურთიერთობებში; ჩვეულებრივ, გამოიხატება ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის სურვილში.

**სეპარატიზმი** პოლიტიკური წარმონაქმნიდან გამოყოფის ძიება დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე იმედის დამყარებით.

**სიონიზმი (Zionism)** მოძრაობა ებრაელთა სამშობლოს დაფუძნებისთვის, რომელიც ამჟამად ისრაელის ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას უკავშირდება (იხ. გვ. 316).

**სინდიკალიზმი** რევოლუციური ტრედ-იუნიონიზმის სახეობა, რომელიც ემყარება კლასობრივი ომის უხეშ (დაუმუშავებელ) იდეას და ყურადღებას ამახვილებს პირდაპირი მოქმედებისა და საყოველთაო გაფიცვის გამოყენებაზე.

**სოციალური დემოკრატია** სოციალიზმის ზომიერი ან რეფორმისტული სახეობა, რომელიც, კაპიტალიზმის გაუქმებასთან შედარებით, უპირატესობას ბაზარსა და სახელმწიფოს შორის ბალანსს ანიჭებს.

**სოციალური ეკოლოგია** თეორია, რომლის მიხედვითაც, ადამიანთა საზოგადოება ეკოლოგიური პრინციპების შესაბამისად მოქმედებს, რაც გულისხმობს, ჯერ ერთი, ბუნებრივი ჰარმონიისა და, მეორეც, კაცობრიობასა და ბუნებას შორის ბალანსის აუცილებლობის რწმენას.

**სოციალური კლასი** სოციალური დაყოფა, რაც ეკონომიკურ ან სოციალურ ფაქტორებს ეფუძნება; სოციალურ კლასს შეადგენს ადამიანები, რომელთაც მსგავსი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ.

**სოციალური კონტრაქტი** (ჰიპოთეტური) შეთანხმება ინდივიდებს შორის, რის მეშვეობითაც ისინი აყალიბებენ სახელმწიფოს, რათა თავიდან აიცილონ "ბუნების სახელმწიფოს" უწესრიგობა და ქაოსი.

**სოციალური რევოლუცია** საზოგადოების სტრუქტურის ხარისხობრივი ცვლილება; მარქსისტებისთვის სოციალური რევოლუცია მოიცავს წარმოების წესისა და საკუთრების სისტემის შეცვლას.

**სტალინიზმი** ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა სისტემატური და დაუნდობელი, სტალინის რუსეთის სტრუქტურებზე დაფუძნებული პოლიტიკური წნეხი.

**სტეიტიზმი** რწმენა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ყველაზე შესაფერი საშუალებაა პრობლემათა გადასაჭრელად და ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად.

**სუვერენობა** აბსოლუტური ან შეუზღუდავი ძალაუფლების პრინციპი, რაც გამოხატულია ან როგორც უდავო ლეგალური ხელისუფლება, ან როგორც უეჭველი პოლიტიკური ძალაუფლება.

**სუპრანაციონალიზმი** ტრანსნაციონალური ან გლობალური იურისდიქციის მქონე ორგანიზაციათა უნარი (შესაძლებლობა), თავს მოახვიონ თავიანთი ნება ერ-სახელმწიფოებს.

**ტერორიზმი** ძალადობის გამოყენება შიშისა და ტერორის კლიმატის შექმნის მიზნით და დასახული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად; აშკარად კნინობითი ხასიათისა და, ჩვეულებრივ, სუბიექტური ტერმინია (იხ. გვ. 351).

**ტოლერანტობა** შემწყნარებლობა; მზადყოფნა, მიიღო შეხედულებები ან მოქმედება, რომელსაც არ ეთანხმები.

**ტორიზმი** იდეოლოგიური პოზიცია კონსერვატიზმში, რომელიც ხასიათდება იერარქიის რწმენით, ტრადიციის აქცენტირებითა და ვალდებულებისა და ორგანიციზმის მხარდაჭერით (იხ. გვ. 100).

**ტოტალიტარიზმი** პოლიტიკური მმართველობის ყოვლისმომცველი პროცესი, რომლის დროსაც სახელმწიფო იჭრება და აკონტროლებს ყველა სოციალურ ინსტიტუციას და, ამდენად, სამოქალაქო საზოგადოებასა და "პირად" ცხოვრებას აუქმებს (იხ. გვ. 263).

**ტოტალიტარული დემოკრატია** აბსოლუტური დიქტატურა, რომელიც დემოკრატიის ნიღაბს არის ამოფარებული; ჩვეულებრივ, ემყარება ლიდერის პრეტენზიას, რომ მას მონოპოლია აქვს იდეოლოგიურ სიბრძნეზე.

**ტრადიციონალიზმი** შეხედულება, რომლის მიხედვითაც, მემკვიდრეობით მიღებული ინსტიტუციები და პრაქტიკები, კერძოდ კი ისინი, რომელთაც ხანგრძლივი და უწყვეტი ისტორია აქვთ, ადამიანური ქცევის საუკეთესო გზამკვლევებია.

**ტრადიცია** პრაქტიკა ან ინსტიტუცია, რამაც დროს გაუძლო და, შესაბამისად, წინა პერიოდიდან მემკვიდრეობით იქნა მიღებული.

**უნივერსალიზმი** რწმენა იმისა, რომ შესაძლებელია ყველა ხალხისა და ყველა საზოგადოებისთვის საერთო გარკვეული ღირებულებებისა და პრინციპების აღმოჩენა, მიუხედავად ისტორიული, კულტურული და სხვა განსხვავებებისა.

**უტილიტარიზმი** ეთიკური და პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც "სიკეთეს" სიამოვნებისა და ტკივილის ტერმინებით აფასებს, და უმეტესწილად მიისწრაფის, მიაღწიოს "მაქსიმალურ ბედნიერებას უმრავლესობისთვის".

**უტოპიზმი** ადამიანის განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობათა რწმენა, რაც, როგორც წესი, სრულყოფილი ან იდეალური საზოგადოების, უტოპიის, ხედვაშია ჩადებული.

**უფლებები** მორალური უფლებამოსილებანი, იმოქმედო ან გეპყრობოდნენ გარკვეული წესით.

**ფედერალიზმი** ძალაუფლების ტერიტორიული განაწილება, რომელიც ეფუძნება სუვერენულობის საზიაროობას ცენტრალურსა (ჩვეულებრივ, ნაციონალურ) და პერიფერიულ ორგანოებს შორის.

**ფეოდალიზმი** სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული წარმოების სისტემა, რომელიც ხასიათდება მყარი სოციალური იერარქიებითა და ვალდებულებათა მკაცრი მოდელით.

**ფუნდამენტალიზმი** რელიგიური მოძღვრების პირველადი ან ყველაზე მთავარი პრინციპების რწმენა, რაც ხშირად დაკავშირებულია მკაცრ ვალდებულებებთან და ზოგჯერ ფანატიკური გზნებითაა გამოხატული (იხ. გვ. 345).

**ქარიზმა** შარმი ან პიროვნული ხიბლი; უნარი, აღძრა სხვებში ერთგულება, ემოციური დამოკიდებულება ან თაყვანისცემაც კი.

**ქრისტიანული დემოკრატია** იდეოლოგიური ტრადიცია ევროპულ კონსერვატიზმში, რომელიც ხასიათდება სოციალური ბაზრისა და კვალიფიციური ეკონომიკური ჩარევის (ინტერვენციის) მხარდაჭერით.

**ქსენოფობია** უცხოელთა შიში ან სიძულვილი; პათოლოგიური ეთნოცენტრიზმი.

**ღვთაებრივი (ღვთივმიმადლებული) უფლება** დოქტრინა, რომლის მიხედვით, მიწიერი მმართველები ღვთის რჩეულები არიან და, აქედან გამომდინარე, უდავო ძალაუფლებით სარგებლობენ; ღვთაებრივი უფლება მონარქიული აბსოლუტიზმის გამართლებას ემსახურება.

**ღრმა ეკოლოგია** მწვანეთა იდეოლოგიური ხედვა, რომელიც უარყოფს ანთროპოცენტრიზმს და პრიორიტეტს ანიჭებს ბუნების დაცვა-შენარჩუნებას, ამასთან, უკავშირდება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ბიოცენტრული თანასწორობა, მრავალფეროვნება და დეცენტრალიზაცია.

**ყალბი/მცდარი თვითშეგნება** (false consciousness) მარქსისტული ტერმინი; აღნიშნავს მცდარ ხედვასა და მისტიფიკაციას, რომელიც ხელს უშლის დაქვემდებარებულ კლასებს, შეიგნონ თავისი ექსპლოატაციის ფაქტი.

**შემწყნარებლობა** (permissiveness) ადამიანებისთვის თავიანთი მორალური არჩევანის გაკეთების დაშვების სურვილი; შემწყნარებლობა გულისხმობს, რომ ავტორიტეტული ღირებულებები საერთოდ არ არსებობს.

**შოვინიზმი** რაიმე ჯგუფის უკრიტიკო და დაუფიქრებელი ერთგულება, რაც, როგორც წესი, მისი უპირატესობის რწმენას ემყარება, როგორც, მაგალითად, "ეროვნულ შოვინიზმში" ან "მამაკაცურ შოვინიზმში".

**ძალადობა** ქონების ან პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დესტრუქციული ქმედება.

**ძალაუფლება** (authority) უფლება, ახორციელებდე ზემოქმედებას სხვებზე მორჩილების აღიარებული ვალდებულების ძალით.

**ძმობა** ერთობისა და ამხანაგობის კავშირები ადამიანთა შორის.

**წარმომადგენლობითი დემოკრატია** დემოკრატიის შეზღუდული და არაპირდაპირი სახეობა, რომელიც ეფუძნება იმათ შერჩევას (ჩვეულებრივ, არჩევნების გზით), ვინც ხალხის სახელით მართავს.

**წესრიგი** დადგენილი, პროგნოზირებადი და მშვიდობიანი სოციალური პირობები, რომელშიც დაცულია პიროვნული უსაფრთხოება.

**ჭარბი ღირებულება** (surplus value) მარქსისტული ტერმინი; აღნიშნავს ღირებულებას, რომელიც მიღებულია პროლეტარიატის შრომიდან კაპიტალისტური ექსპლოატაციის მექანიზმის მეშვეობით.

**ხელისუფლება** (government) მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოს სახელით მიიღება კოლექტიური გადაწყვეტილებები; ჩვეულებრივ, იგულისხმება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო გადაწყვეტილებები.

**ჯინგოიზმი** ნაციონალისტური ენთუზიაზმისა და სახალხო ზეიმის გაწყობა, რომელიც პროვოცირებულია სამხედრო ექსპანსიით ან იმპერიული დაპყრობით.

**ჰეგემონია** სისტემის ერთი ელემენტის სხვებზე მაღლა დგომა ან ბატონობა; მარქსისტებისთვის ჰეგემონია იდეოლოგიურ ბატონობას გულისხმობს.

**ჰოლიზმი** რწმენა, რომ მთელი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ნაწილები; ჰოლიზმი გულისხმობს, რომ გაგება მიიღწევა ნაწილებს შორის ურთიერთობის შესწავლით.

**ჰუმანიზმი** ფილოსოფია, რომელიც მორალურ პრიორიტეტს ადამიანთა მოთხოვნილებებისა და მიზნების მიღწევას ანიჭებს.

# ბიბლიოგრაფია


Adams, I. (1989) *The Logic of Political Belief: A Philosophical Analysis*. London and New York: Harvester Wheatsheaf.

Adams, I. (2001) *Political Ideology Today*, 2nd edn. Manchester: Manchester University Press.

Adonis, A. and Hames, T. (1994) *A Conservative Revolution? The Thatcher-Reagan Decade in Perspective*. Manchester: Manchester University Press.

Ahmed, A. and H. Donnan (1994) *Islam, Globalization and Postmodernity*. London and New York: Routledge.

Ahmed, R. (2001) *Jihad: The Rise of Militant Islam in Central Asia*. New Haven, CT: Yale University Press.

Alter, P. (1989) *Nationalism*. London: Edward Arnold.

Anderson, B. (1983) *Imagined Communities: Reflections on the Origins and Spread of Nationalism*. London: Verso.

Arblaster, A. (1984) *The Rise and Decline of Western Liberalism*. Oxford: Basil Blackwell.

Arendt, H. (1951) *The Origins of Totalitarianism*. London: Allen & Unwin.

Aristotle (1962), *The Politics*, trans. T. Sinclair. Harmondsworth: Penguin (Chicago, Ill.: University of Chicago Press, 1985).

Aughey, A., G. Jones and W. T. M. Riches (1992) *The Conservative Political Tradition in Britain and the United States*. London: Pinter.

Bahro, R. (1982) *Socialism and Survival*. London: Heretic Books.

Bahro, R. (1984) *From Red to Green*. London: Verso/New Left Books.

Bakunin, M. (1977) 'Church and State', in G. Woodcock (ed.), *The Anarchist Reader*. London: Fontana.

Ball, T. and Dagger, R.(2002) *Political Ideologies and the Democratic Ideal*, 4th edn. London and New York: Longman.

Baradat, L. P. (2003) *Political Ideologies: Their Origins and Impact*, 8th edn. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall.

Barker, R. (1997) *Political Ideas in Modern Britain: In and After the 20th Century*, 2nd edn. London and New York: Routledge.

Barry, J. (1999) *Rethinking Green Politics*. London and Thousand Oaks, CA: Sage.

Barry, N. (1987) *The New Right*. London: Croom Helm.

Baxter, B. (1999) *Ecologism: An Introduction*. Edinburgh: Edinburgh University Press.

Beasley, C. (1999) *What is Feminism?* London: Sage.

Beauvoir, S. de (1968) *The Second Sex*, trans. H. M. Parshley. New York: Bantam.

Bell, D. (1960) *The End of Ideology*. Glencoe, Ill.: Free Press.

Bellamy, R. (1992) *Liberalism and Modern Society: An Historical Argument.* Cambridge: Polity Press.

Benn, T. (1980) *Arguments for Democracy.* Harmondsworth: Penguin.

Bentham, J. (1970) *Introduction to the Principles of Morals and Legislation*, ed. J. Burns and H. L. A. Hart. London: Athlone Press (Glencoe, Ill.: Free Press, 1970).

Berki, R. N. (1975) *Socialism.* London: Dent.

Berlin, I. (1969) 'Two Concepts of Liberty', in *Four Essays on Liberty.* London: Oxford University Press.

Bernstein, E. (1962) *Evolutionary Socialism.* New York: Schocken.

Blakeley, G and Bryson, V. (eds) (2002) *Contemporary Political Concepts: A Critical Introduction.* London: Pluto Press.

Bobbio, N. (1996) *Left and Right.* Oxford: Polity Press.

Bobbitt, P. (2002) *The Shield of Achilles.* New York: Knopf and London: Allen Lane.

Bookchin, M. (1975) *Our Synthetic Environment.* London: Harper & Row.

Bookchin, M. (1977) 'Anarchism and Ecology', in G. Woodcock (ed.), *The Anarchist Reader.* London: Fontana.

Boulding, K. (1966) 'The Economics of the Coming Spaceship Earth', in H. Jarrett (ed.), *Environmental Quality in a Growing Economy.* Baltimore: Johns Hopkins Press.

Bourne, R. (1977) 'War is the Health of the State', in G. Woodcock (ed.), *The Anarchist Reader.* London: Fontana.

Bracher, K. D. (1985) *The Age of Ideologies: A History of Political Thought in the Twentieth Century.* London: Methuen.

Bramwell, A. (1989) *Ecology in the Twentieth Century: A History.* New Haven, CT, and London: Yale University Press.

Bramwell, A. (1994) *The Fading of the Greens: The Decline of Environmental Politics in the West.* New Haven, CT: Yale University Press.

Brown, D. (2000) *Contemporary Nationalism: Civic, Ethnocultural and Multicultural Politics.* London: Routledge.

Brownmiller, S. (1975) *Against Our Will: Men, Women and Rape.* New York: Simon & Schuster.

Bruce, S. (1993) 'Fundamentalism, Ethnicity and Enclave', in M. Marty and R. S. Appleby (eds), *Fundamentalism and the State.* Chicago, Ill. and London: Chicago University Press.

Bruce, S. (2000) *Fundamentalism.* Oxford: Polity Press.

Bryson, V. (2003) *Feminist Political Theory: An Introduction*, 2nd edn. Basingstoke: Palgrave Macmillan.

Burke, E. (1968) *Reflections on the Revolution in France.* Harmondsworth: Penguin.

Burke, E. (1975) *On Government, Politics and Society*, ed. B. W. Hill. London: Fontana.

Burnham, J. (1960) *The Managerial Revolution.* Harmondsworth: Penguin and Bloomington: Indiana University Press.

Butler, C. (2002) *Postmodernism: A Very Short Introduction.* Oxford and New York: Oxford University Press.

Capra, F. (1975) *The Tao of Physics.* London: Fontana.

Capra, F. (1982) *The Turning Point*. London: Fontana (Boston, Mass.: Shambhala, 1983).

Capra, F. (1997) *The Web of Life: A New Synthesis of Mind and Matter*. London: Flamingo.

Carson, R. (1962) *The Silent Spring*. Boston, Mass.: Houghton Mifflin.

Carter, A. (1971) *The Political Theory of Anarchism*. London: Routledge & Kegan Paul.

Cecil, H. (1912) *Conservatism*. London and New York: Home University Library.

Chamberlain, H. S. (1913) *Foundations of the Nineteenth Century*. New York: John Lane.

Charvert, J. (1982) *Feminism*. London: Dent.

Club of Rome. See Meadows *et al.* (1972).

Collins, P. (1993) *Ideology After the Fall of Communism*. London: Bowerdean.

Constant, B. (1988) *Political Writings*. Cambridge: Cambridge University Press.

Conway, D. (1995) *Classical Liberalism: The Unvanquished Ideal*. London: Macmillan and New York: St Martin's Press.

Coole, D. (1993) *Women in Political Theory: From Ancient Misogyny to Contemporary Feminism*, 2nd edn. Hemel Hempstead: Harvester Wheatsheaf.

Costa, M. D. and S. James (1972) *The Power of Women and the Subordination of the Community*. Bristol: Falling Wall Press.

Crewe, I. (1989) 'Values: The Crusade that Failed', in D. Kavanagh and A. Seldon (eds), *The Thatcher Effect*. Oxford: Oxford University Press.

Crick, B. (1962) *A Defence of Politics*. Harmondsworth: Penguin.

Critchley, T. A. (1970) *The Conquest of Violence*. London: Constable.

Crosland, C. A. R. (1956) *The Future of Socialism*. London: Cape (Des Plaines, Ill.: Greenwood, 1977).

Dahl, R. (1961) *Who Governs? Democracy and Power in an American City*. New Haven, CT: Yale University Press.

Dalai Lama (1996) *The Power of Buddhism*. London: Newleaf.

Daly, H. (1974) 'Steady-state economics vs. growthmania: a critique of orthodox conceptions of growth, wants, scarcity and efficiency', in *Policy Sciences*, vol. 5, pp. 149–67.

Daly, M. (1979) *Gyn/Ecology: The Meta-Ethics of Radical Feminism*. Boston, Mass.: Beacon Press.

Darwin, C. (1972) *On the Origin of Species*. London: Dent.

Dickinson, G. L. (1916) *The European Anarchy*, London: Allen & Unwin.

Dobson, A. (1991) *The Green Reader*. London: André Deutsch.

Dobson, A. (2000) *Green Political Thought*. London: HarperCollins.

Downs, A. (1957) *An Economic Theory of Democracy*. New York: Harper & Row.

Eagleton, T. (1991) *Ideology: An Introduction*. London: Verso.

Eatwell, R. (1996) *Fascism: A History*. London: Vintage.

Eatwell, R. and N. O'Sullivan (eds) (1989) *The Nature of the Right: European and American Politics and Political Thought since 1789*. London: Pinter.

Eatwell, R. and A. Wright (eds) (1999) *Contemporary Political Ideologies*, 2nd edn. London: Pinter.

Eccleshall, R. *et al.* (2003) *Political Ideologies: An Introduction*, 3rd edn. London and New York: Routledge.
Eckersley, R. (1992) *Environmentalism and Political Theory: Towards an Ecocentric Approach*. London: UCL Press.
Edgar, D. (1988) 'The Free or the Good', in R. Levitas (ed.) *The Ideology of the New Right*. Oxford: Polity Press.
Ehrenfeld, D. (1978) *The Arrogance of Humanism*. Oxford: Oxford University Press.
Ehrlich, P. and A. Ehrlich (1970) *Population, Resources and Environment: Issues in Human Ecology*. London: W. H. Freeman.
Ehrlich, P. and R. Harriman (1971) *How to be a Survivor*. London: Pan.
Elshtain, J. B. (1981) *Public Man, Private Woman*. Princeton, NJ: Princeton University Press.
Engels, F. (1976) *The Origins of the Family, Private Property and the State*. London: Lawrence & Wishart (New York: Pathfinder, 1972).
Etzioni, A. (1995) *The Spirit of Community: Rights, Responsibilities and the Communitarian Agenda*. London: Fontana.
Eysenck, H. (1964) *Sense and Nonsense in Psychology*. Harmondsworth: Penguin.
Faludi, S. (1991) *Backlash: The Undeclared War Against American Women*. New York: Crown.
Fanon, F. (1965) *The Wretched of the Earth*. Harmondsworth: Penguin (New York: Grove-Weidenfeld, 1988).
Faure, S. (1977) 'Anarchy-Anarchist', in G. Woodcock (ed.), *The Anarchist Reader* London: Fontana.
Figes, E. (1970) *Patriarchal Attitudes*. Greenwich, CT: Fawcett.
Firestone, S. (1972) *The Dialectic of Sex*. New York: Basic Books.
Foley, M. (1994) (ed.) *Ideas that Shape Politics*. Manchester and New York: Manchester University Press.
Fox, W. (1990) *Towards a Transpersonal Ecology: Developing the Foundations for Environmentalism*. Boston, Mass.: Shambhala.
Freeden, M. (1996) *Ideologies and Political Theory: A Conceptual Approach*. Oxford and New York: Oxford University Press.
Freeden, M. (2001) *Reassessing Political Ideologies: The Durability of Dissent*. London and New York: Routledge.
Freedman, J. (2001) *Feminism*. Buckingham and Philadelphia, PA: Open University Press.
Friedan, B. (1963) *The Feminine Mystique*. New York: Norton.
Friedan, B. (1983) *The Second Stage*. London: Abacus (New York: Summit, 1981).
Friedman, M. (1962) *Capitalism and Freedom*. Chicago, Ill.: University of Chicago Press.
Friedman, M. and R. Friedman (1980) *Free to Choose*. Harmondsworth: Penguin (New York: Bantam, 1983).
Friedrich, C. J. and Z. Brzezinski (1963) *Totalitarian Dictatorships and Autocracy*. New York: Praeger.
Fromm, E. (1979) *To Have or To Be*. London: Abacus.
Fromm, E. (1984) *The Fear of Freedom*. London: Ark.

Fukuyama, F. (1989) 'The End of History', *National Interest*, Summer.

Galbraith, J. K. (1992) *The Culture of Commitment*. London: Sinclair Stevenson.

Gallie, W. B. (1955–6) 'Essentially Contested Context', in *Proceedings of the Aristotelian Society*, vol. 56.

Gamble, A. (1988) *The Free Economy and the Strong State*. London: Macmillan (Durham, NC: Duke University Press, 1988).

Gandhi, M. (1971) *Selected Writings of Mahatma Gandhi*, ed. R. Duncan. London: Fontana.

Garvey, J. H. (1993) 'Fundamentalism and Politics', in Martin E. Marty and R. Scott Appleby (eds), *Fundamentalisms and the State*. Chicago, Ill., and London: University of Chicago Press.

Gasset, O. Y. (1972) *The Revolt of the Masses*. London: Allen & Unwin.

Gellner, E. (1983) *Nations and Nationalism*. Oxford: Blackwell.

Giddens, A. (1984) *The Constitution of Society*. Cambridge: Polity Press.

Giddens, A. (1994) *Beyond Left and Right: The Future of Radical Politics*. Cambridge: Polity Press.

Giddens, A. (1998) *The Third Way: The Revival of Social Democracy*. Cambridge: Polity Press.

Giddens, A. (2000) *The Third Way and its Critics*. Cambridge: Polity Press

Gilmour, I. (1978) *Inside Right: A Study of Conservatism*. London: Quartet Books.

Gilmour, I. (1992) *Dancing with Dogma: Britain under Thatcherism*. London: Simon & Schuster.

Gobineau, J.-A. (1970) *Gobineau: Selected Political Writings*, ed. M. D. Biddiss. New York: Harper & Row.

Godwin, W. (1971) *Enquiry Concerning Political Justice*, ed. K. C. Carter. Oxford: Oxford University Press.

Goldsmith, E. *et al.* (ed.) (1972) *Blueprint for Survival*. Harmondsworth: Penguin.

Goldsmith, E. (1988) *The Great U-Turn: De-industrialising Society*. Bideford: Green Books.

Goodin, R. E. (1992) *Green Political Theory*. Oxford: Polity Press.

Goodman, P. (1964) *Compulsory Miseducation*. New York: Vintage Books.

Goodman, P. (1977) 'Normal Politics and the Psychology of Power', in G. Woodcock (ed.), *The Anarchist Reader*. London: Fontana.

Goodwin, B. (1997) *Using Political Ideas*, 4th edn. London: John Wiley & Sons.

Gorz, A. (1985) *Farewell to The Working Class*. London: Pluto Press (Boston, Mass.: South End Press, 1982).

Gould, B. (1985) *Socialism and Freedom*. London: Macmillan (Wakefield, NH: Longwood, 1986).

Gramsci, A. (1971) *Selections from the Prison Notebooks*, ed. Q. Hoare and G. Nowell-Smith. London: Lawrence & Wishart.

Gray, J. (1995a) *Enlightenment's Wake: Politics and Culture at the Close of the Modern Age*. London: Routledge.

Gray, J. (1995b) *Liberalism*, 2nd edn. Milton Keynes: Open University Press.

Gray, J. (1996) *Post-liberalism: Studies in Political Thought*. London: Routledge.

Gray, J. (1997) *Endgames: Questions in Late Modern Political Thought*. Cambridge and Malden, Mass.: Blackwell.

Gray, J. (2000) *Two Faces of Liberalism.* Cambridge: Polity Press.

Gray, J. and Willetts, D. (1997) *Is Conservatism Dead?* London: Profile Books.

Green, T. H. (1988) *Works*, R. Nettleship (ed.). London: Oxford University Press (New York: AMS Press, 1984).

Greenleaf, W. H. (1983) *The British Political Tradition: The Ideological Heritage*, vol. 2. London: Methuen.

Greer, G. (1970) *The Female Eunuch.* New York: McGraw-Hill.

Greer, G. (1985) *Sex and Destiny.* New York: Harper & Row.

Greer, G. (1999) *The Whole Woman.* London: Doubleday.

Gregor, A. J. (1969) *The Ideology of Fascism.* New York: Free Press.

Griffin, R. (1993) *The Nature of Fascism.* London: Routledge.

Griffin, R. (ed.) (1995) *Fascism.* Oxford and New York: Oxford University Press.

Griffin, R. (ed.) (1999) *International Fascism: Theories, Causes and the New Consensus.* London: Arnold and New York: Oxford University Press.

Hadden, J. K. and A. Shupe (eds) (1986) *Prophetic Religions and Politics: Religion and Political Order.* New York: Paragon House.

Hall, J. A. (1988) *Liberalism: Politics, Ideology and the Market.* London: Paladin.

Hall, S. and M. Jacques (eds) (1983) *The Politics of Thatcherism.* London: Lawrence & Wishart.

Harrington, M. (1993) *Socialism, Past and Future.* London: Pluto Press.

Hattersley, R. (1987) *Choose Freedom.* Harmondsworth: Penguin.

Hayek, F. A. (1944) *The Road to Serfdom.* London: Routledge & Kegan Paul (Chicago, Ill.: University of Chicago Press, 1956, new edn).

Hayek, F. A. (1960) *The Constitution of Liberty.* London: Routledge & Kegan Paul.

Hayward, T. (1998) *Political Theory and Ecological Values.* Cambridge: Polity Press.

Heath, A., R. Jowell and J. Curtice (1985) *How Britain Votes.* Oxford: Pergamon.

Heffernan, R. (2001) *New Labour and Thatcherism.* London: Palgrave.

Hegel, G. W. F. (1942) *The Philosophy of Right*, trans. T. M. Knox. Oxford: Clarendon Press.

Hiro, D. (1988) *Islamic Fundamentalism.* London: Paladin.

Hitler, A. (1969) *Mein Kampf.* London: Hutchinson (Boston, Mass.: Houghton Mifflin, 1973).

Hobbes, T. (1968) *Leviathan*, ed. C. B. Macpherson. Harmondsworth: Penguin.

Hobhouse, L. T. (1911) *Liberalism.* London: Thornton Butterworth.

Hobsbawm, E. (1983) 'Inventing Tradition', in E. Hobsbawm and T. Ranger (eds) *The Invention of Tradition.* Cambridge: Cambridge University Press.

Hobsbawm, E. (1992) *Nations and Nationalism Since 1780: Programme, Myth and Reality*, 2nd edn. Cambridge: Cambridge University Press.

Hobsbawm, E. (1994) *Age of Extremes: The Short Twentieth Century 1914–1991.* London: Michael Joseph.

Hobson, J. A. (1902) *Imperialism: A Study.* London: Nisbet.

Holden, B. (1993) *Understanding Liberal Democracy*, 2nd edn. Hemel Hempstead: Harvester Wheatsheaf.

Honderich, T. (1991) *Conservatism.* Harmondsworth: Penguin.

Huntington, S. (1993) 'The Clash of Civilizations', *Foreign Affairs*, vol. 72, no. 3.

Hutchinson, J. and A. D. Smith (eds) (1994) *Nationalism*. Oxford and New York: Oxford University Press.

Hutton, W. (1995) *The State We're In*. London: Jonathan Cape.

Illich, I. (1973) *Deschooling Society*. Harmondsworth: Penguin (New York: Harper & Row, 1983).

Inglehart, R. (1977) *The Silent Revolution: Changing Values and Political Styles amongst Western Publics*. Princeton, NJ: Princeton University Press.

Jefferson, T. (1979) 'The United States Declaration of Independence', in W. Laqueur and B. Rubin (eds), *The Human Rights Reader*. New York: Meridan.

Kallis, A. A. (ed.) (2003) *The Fascist Reader*. London and New York: Routledge.

Kant, I. (1991) *Kant: Political Writings*, ed. Hans Reiss, trans. H. B. Nisbet. Cambridge: Cambridge University Press.

*Journal of Political Ideologies*. Abingdon, UK and Cambridge, Mass.: Carfax.

Kedourie, E. (1985) *Nationalism*, rev. edn. London: Hutchinson.

Keynes, J. M. (1963) *The General Theory of Employment, Interest and Money*. London: Macmillan (San Diego: Harcourt Brace Jovanovich, 1965).

Kingdom, J. (1992) *No Such Thing as Society? Individualism and Community*. Buckingham and Philadelphia PA: Open University Press.

Klein, M. (2001) *No Logo*. London: Flamingo.

Kropotkin, P. (1914) *Mutual Aid*. Boston, Mass.: Porter Sargent.

Kuhn, T. (1962) *The Structure of Scientific Revolutions*. Chicago, Ill.: Chicago University Press.

Lane, D. (1996) *The Rise and Fall of State Socialism*. Oxford: Polity Press.

Laqueur, W. (ed.) (1979) *Fascism: A Reader's Guide*. Harmondsworth: Penguin.

Larrain, J. (1983) *Marxism and Ideology*. London: Macmillan.

Leach, R. (1996) *British Political Ideologies*, 2nd edn. London: Harvester Wheatsheaf.

Lenin, V. I. (1964) *The State and Revolution*. Peking: People's Publishing House.

Lenin, V. I. (1970) *Imperialism, the Highest Stage of Capitalism*. Moscow: Progress Publishers.

Lenin, V. I. (1988) *What is to be Done?* Harmondsworth and New York: Penguin.

Leopold, A. (1968) *Sand County Almanac*. Oxford: Oxford University Press.

Letwin, S. R. (1992) *The Anatomy of Thatcherism*. London: Fontana.

Lindblom, C. (1977) *Politics and Markets*. New York: Basic Books.

Lipset, S. M. (1983) *Political Man: The Social Bases of Behaviour*. London: Heinemann.

Locke, J. (1962) *Two Treatises of Government*. Cambridge: Cambridge University Press.

Locke, J. (1963) *A Letter Concerning Toleration*. The Hague: Martinus Nijhoff.

Lovelock, J. (1979) *Gaia: A New Look at Life on Earth*. Oxford and New York: Oxford University Press.

Lovelock, J. (1988) 'Man and Gaia', in E. Goldsmith and N. Hilyard (eds), *The Earth Report*. London: Mitchell Beazley.

Lyotard, J.-F. (1984) *The Postmodern Condition: The Power of Knowledge*. Minneapolis: University of Minnesota Press.

MacIntyre, A. (1981) *After Virtue*. London: Duckworth.

Macmillan, H. (1966) *The Middle Way*. London: Macmillan.
Macpherson, C. B. (1973) *Democratic Theory: Essays in Retrieval*. Oxford: Clarendon Press.
Mannheim, K. (1960) *Ideology and Utopia*. London: Routledge & Kegan Paul.
Manning, D. (1976) *Liberalism*. London: Dent.
Marcuse, H. (1964) *One Dimensional Man: Studies in the Ideology of Advanced Industrial Society*. Boston, Mass.: Beacon.
Marquand, D. (1988) *The Unprincipled Society*. London: Fontana.
Marquand, D. (1992) *The Progressive Dilemma*. London: Heinemann.
Marquand, D. and A. Seldon (1996) *The Ideas that Shaped Post-War Britain*. London: Fontana.
Marshall, P. (1993) *Demanding the Impossible: A History of Anarchism*. London: Fontana.
Marshall, P. (1995) *Nature's Web: Rethinking our Place on Earth*. London: Cassell.
Martell, L. (2001) *Social Democracy: Global and National Perspectives*. Basingstoke and New York: Palgrave.
Marty, M. E. (1988) 'Fundamentalism as a Social Phenomenon', *Bulletin of the American Academy of Arts and Sciences*, vol. 42, pp. 15–29.
Marty, M. E. and R. S. Appleby (eds) (1993) *Fundamentalisms and the State: Remaking Politics, Economics, and Militance*. Chicago, Ill. and London: University of Chicago Press.
Marx, K. and F. Engels (1968) *Selected Works*. London: Lawrence & Wishart.
Marx, K. and F. Engels (1970) *The German Ideology*. London: Lawrence & Wishart.
McLellan, D. (1979) *Marxism After Marx*. London: Macmillan.
McLellan, D. (1980) *The Thought of Karl Marx*, 2nd edn. London: Macmillan.
McLellan, D. (1995) *Ideology*. 2nd edn. Milton Keynes: Open University Press.
Meadows, D. H., D. L. Meadows, D. Randers and W. Williams (1972) *The Limits to Growth*. London: Pan (New York: New American Library, 1972).
Michels, R. (1958) *Political Parties*. Glencoe, Ill.: Free Press.
Miliband, R. (1969) *The State in Capitalist Society*. London: Verso (New York: Basic, 1978).
Miliband, R. (1995) *Socialism for a Sceptical Age*. Oxford: Polity.
Mill, J. S. (1970) *On the Subjection of Women*. London: Dent.
Mill, J. S. (1972) *Utilitarianism, On Liberty and Consideration on Representative Government*. London: Dent.
Miller, D. (1984) *Anarchism*. London: Dent.
Millett, K. (1970) *Sexual Politics*. New York: Doubleday.
Mitchell, J. (1971) *Women's Estate*. Harmondsworth: Penguin.
Montesquieu, C. de (1969) *The Spirit of Laws*. Glencoe, Ill.: Free Press.
More, T. (1965) *Utopia*. Harmondsworth: Penguin (New York: Norton, 1976).
Morland, D. (1997) *Demanding the Impossible: Human Nature and Politics in Nineteenth Century Social Anarchism*. London and Washington DC: Cassell.
Mosca, G. (1939) *The Ruling Class*, trans. and ed. A. Livingstone. New York: McGraw-Hill.
Moschonas, G. (2002) *In the Name of Social Democracy – The Great Transformation: 1945 to the Present*. London and New York: Verso.

Murray, C. (1984) *Losing Ground: American Social Policy: 1950–1980*. New York: Basic Books.

Murray, C. and R. Herrnstein (1995) *The Bell Curve: Intelligence and Class Structure in American Life*. New York: Free Press.

Naess, A. (1973) 'The shallow and the deep, long-range ecology movement: a summary'. *Inquiry*, vol. 16.

Naess, A. (1989) *Community and Lifestyle: Outline of an Ecosophy*. Cambridge: Cambridge University Press.

Neocleous, M. (1997) *Fascism*. Milton Keynes: Open University Press.

Nietzsche, F. (1961) *Thus Spoke Zarathustra*, trans. R. J. Hollingdale. Harmondsworth: Penguin (New York: Random, 1982).

Nolte, E. (1965) *Three Faces of Fascism: Action Française, Italian Fascism and National Socialism*. London: Weidenfeld & Nicolson.

Nozick, R. (1974) *Anarchy, State and Utopia*. Oxford: Blackwell (New York: Basic, 1974).

Oakeshott, M. (1962) *Rationalism in Politics and Other Essays*. London: Methuen (New York: Routledge Chapman & Hall, 1981).

Ohmae, K. (1989) *Borderless World: Power and Strategy in the Interlinked Economy* (London: HarperCollins).

O'Sullivan, N. (1976) *Conservatism*. London: Dent.

O'Sullivan, N. (1983) *Fascism*. London: Dent.

Paglia, C. (1990) *Sex, Art and American Culture*. New Haven, CT: Yale University.

Paglia, C. (1992) *Sexual Personae: Art and Decadence from Nefertiti to Emily Dickinson*. Harmondsworth: Penguin.

Parekh, B. (1994) 'The Concept of Fundamentalism', in A. Shtromas (ed.), *The End of 'isms'? Reflections on the Fate of Ideological Politics after Communism's Collapse*. Oxford and Cambridge, Mass.: Blackwell.

Parekh, B. (2000) *Rethinking Multiculturalism: Cultural Diversity and Political Theory*. Basingstoke: Macmillan.

Pareto, V. (1935) *The Mind and Society*. London: Cape and New York: AMS Press.

Passmore, K. (2002) *Fascism: A Very Short Introduction*. Oxford and New York: Oxford University Press.

Pierson, C. (1995) *Socialism After Communism*. Cambridge: Polity Press.

Plato (1955) *The Republic*, trans. H. D. Lee. Harmondsworth: Penguin (New York: Random, 1983).

Popper, K. (1945) *The Open Society and Its Enemies*. London: Routledge & Kegan Paul.

Poulantzas, N. (1968) *Political Power and Social Class*. London: New Left Books (New York: Routledge Chapman & Hall, 1987).

Proudhon, P. J. (1970) *What is Property?*, trans. B. R. Tucker. New York: Dover.

Purkis, J. and J. Bowen (1997) *Twenty-First Century Anarchism: Unorthodox Ideas for a New Millennium*. London: Cassell.

Ramsay, M. (1997) *What's Wrong with Liberalism? A Radical Critique of Liberal Political Philosophy*. London: Leicester University Press.

Randall, V. (1987) *Women and Politics: An International Perspective*, 2nd edn. Basingstoke: Macmillan.
Rawls, J. (1970) *A Theory of Justice*. Oxford: Oxford University Press (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1971).
Regan, T. (1983) *The Case for Animal Rights*. London: Routledge & Kegan Paul.
Roemer, J. (ed.) (1986) *Analytical Marxism*, Cambridge: Cambridge University Press.
Rorty, R. (1989) *Contingency, Irony and Solidarity*. Cambridge: Cambridge University Press.
Rothbard, M. (1978) *For a New Liberty*. New York: Macmillan.
Rousseau, J. J. (1913) *The Social Contract and Discourse*, ed. G. D. H. Cole. London: Dent (Glencoe, Ill.: Free Press, 1969).
Roussopoulos, D. (ed.) (2002) *The Anarchist Papers*. New York and London: Black Rose Books.
Sandel, M. (1982) *Liberalism and the Limits of Justice*. Cambridge: Cambridge University Press.
Sassoon, D. (1997) *One Hundred Years of Socialism*. London: Fontana.
Schneir, M. (1995) *The Vintage Book of Feminism: The Essential Writings of the Contemporary Women's Movement*. London: Vintage.
Scholte, J. A. (2001) *Globalization: An Introduction*. London: Palgrave.
Schumacher, E. F. (1973) *Small is Beautiful*. London: Blond & Briggs (New York: Harper & Row, 1989).
Schumpeter, J. (1976) *Capitalism, Socialism and Democracy*. London: Allen & Unwin (Magnolia, Mass.: Petersmith, 1983).
Schwarzmantel, J. (1991) *Socialism and the Idea of the Nation*. Hemel Hempstead: Harvester Wheatsheaf.
Schwartzmantel, J. (1998) *The Age of Ideology: Political Ideologies from the American Revolution to Post-Modern Times*. Basingstoke: Macmillan.
Scruton, R. (2001) *The Meaning of Conservatism*, 3rd edn. Basingstoke: Macmillan.
Seliger, M. (1976) *Politics and Ideology*. London: Allen & Unwin (Glencoe, Ill.: Free Press, 1976).
Shtromas, A. (ed.) (1994) *The End of 'isms'? Reflections on the Fate of Ideological Politics After Communism's Collapse*. Oxford, and Cambridge, Mass.: Blackwell.
Singer, P. (1976) *Animal Liberation*. New York: Jonathan Cape.
Smart, B. (1993) *Postmodernity*. London and New York: Routledge.
Smiles, S. (1986) *Self-Help*. Harmondsworth: Penguin.
Smith, A. (1976) *An Enquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations*. Chicago, Ill.: University of Chicago Press.
Smith, A. D. (1986) *The Ethnic Origins of Nations*. Oxford: Blackwell.
Smith, A. D. (1991) *National Identity*. Harmondsworth: Penguin.
Smith, A.D. (2001) *Nationalism: Theory, Ideology, History*. Cambridge and Malden, MA: Polity Press.
Sorel, G. (1950) *Reflections on Violence*, trans. T. E. Hulme and J. Roth. New York: Macmillan.

Spencer, H. (1967) *On Social Evolution: Selected Writings*. Chicago, Ill.: University of Chicago Press.

Spencer, H. (1940) *The Man versus the State*. London: Watts & Co.

Spencer, P. and Wollman, H. (2002) *Nationalism: A Critical Introduction*. London and Thousand Oaks, CA: Sage.

Squires, J. (1999) *Gender and Political Theory*. Cambridge and Malden MA: Polity Press.

Stirner, M. (1971) *The Ego and His Own*, ed. J. Carroll. London: Cape.

Sumner, W. (1959) *Folkways*. New York: Doubleday.

Sydie, R. A. (1987) *Natural Women, Cultured Men: A Feminist Perspective on Sociological Theory*. Milton Keynes: Open University Press.

Talmon, J. L. (1952) *The Origins of Totalitarian Democracy*. London: Secker & Warburg.

Tam, H. (1998) *Communitarianism: A New Agenda for Politics and Citizenship*. London: Macmillan.

Tawney, R. H. (1921) *The Acquisitive Society*. London: Bell (San Diego: Harcourt Brace Jovanovich, 1955).

Tawney, R. H. (1969) *Equality*. London: Allen & Unwin.

Thompson, J. B. (1984) *Studies in the Theory of Ideology*. Cambridge: Polity Press.

Thoreau, H. D. (1983) *Walden and 'Civil Disobedience'*. Harmondsworth: Penguin.

Tocqueville, A. de (1968) *Democracy in America*. London: Fontana (New York: McGraw, 1981).

United Nations (1972). See Ward and Dubois (1972).

United Nations (1980) *Compendium of Statistics: 1977*. New York: United Nations.

Vincent, A. (1995) *Modern Political Ideologies*, 2nd edn. Oxford: Blackwell.

Ward, B. and R. Dubois (1972) *Only One Earth*. Harmondsworth: Penguin.

White, S (ed.) (2001) *New Labour: The Progressive Future?* London: Palgrave.

Willetts, D. (1992) *Modern Conservatism*. Harmondsworth, Penguin.

Wollstonecraft, M. (1967) *A Vindication of the Rights of Women*, ed. C. W. Hagelman. New York: Norton.

Wolff, R. P. (1998) *In Defence of Anarchism*, 2nd edn. Berkeley, CA: University of California Press.

Woodcock, G. (1962) *Anarchism: A History of Libertarian Ideas and Movements*. Harmondsworth and New York: Penguin.

Woolf, S. J. (1981) (ed.) *European Fascism*. London: Weidenfeld & Nicolson.

Wright, A. (1996) *Socialisms: Theories and Practices*. Oxford and New York: Oxford University Press.

# საძიებელი

შენიშვნა: მუქად გამოყოფილი რიცხვებით აღნიშნულია იმ გვერდების ნომრები, რომლებზედაც ჩანართის სახით არის წარმოდგენილი განმარტებითი ხასიათის ინფორმაცია.

---


აბისინია 261
აბორტი 113, 277, 284, 293, 301, 304-5, 350, 361-2
აბსოლუტური მონარქია/აბსოლუტიზმი 4, 28-9, 46, 95, 258, 377, 390
ადამიანები 2, 56-7, 66-7, 113, 210, 228-9
*ადამიანი და გეა* (Lovelock, 1988) 317-8, 398
*ადამიანი სახელმწიფოს წინააღმდეგ* (Spencer, 1884) 61, 402
ადამიანის არასრულყოფილება/არასრულყოფადობა 84-8, 119, 199
ადამიანის ბუნება 33, 56, 58, 62, 87, 116, 124, 377
ადამიანის სიცოცხლე 45, 308
ადამიანის სრულყოფადობა 38
ადამიანის სული 112, 224, 269
ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (1956) 210
ადამიანის უფლებათა დეკლარაცია (საფრანგეთი, 1789) 47
ადამიანის უფლებები 38, 54-5, 210, 377
*იხ. აგრ.* ბუნებრივი უფლებები
ადამიანის უფლებები (rights of man) 86
ადონისი, ა. 119, 392
ადორნო, ტ. 155
ავადმყოფობა 67
ავანგარდული პარტია 8-9, 151, 383
ავსტრალია 105, 117, 142, 214
ავსტრია 178, 190, 195-6
ავსტრიული სკოლა 108
ავსტრო-უნგრეთის იმპერია 179, 202
ავტარკია 377
ავტოკრატია 79, 101, 135, 197
ავტონომია 217-8, 377
ავტორიტარიზმი 76, 86, 94-98, 96, 105, 179, 337, 345, 377
ავტორიტარული კორპორატიზმი 265
ავტორიტარული პოპულიზმი 111
ავღანეთი 24, 114, 339, 355, 356
აზია 29, 74, 76, 97, 121, 163, 180, 202, 204, 213, 268, 352, 358, 370
აზიური სოციალიზმი 124-5, 205
ათეიზმი 236, 342
აიზენკი, ჰ. 21, 395
აინშტაინი, ა. 316
აიოდჰია: ბაბრი მასჯიდი 364
აკრძალვა 360-1
ალ-ქაიდა 350, 355
ალბანელები 198
ალექსანდრე მეორე, მეფე (ცარი) 241, 234
ალექსანდრე მესამე, მეფე (ცარი) 198, 269
ალი (წინასწარმეტყველ მუჰამადის ბიძაშვილი) 356-7
ალიანსი სოციალური დემოკრატიისთვის 239-40
ალიენდე, ს. 122
ალჟირი 136, 204, 206, 350
ალტერი, პ. 214, 392
ალტიუსერი, ლ. 156
ალტრუიზმი 67, 293, 377
ამერიკელ ქალთა საარჩევნო უფლების ასოციაცია (1890-) 279
ამერიკის შეერთებული შტატები xiv, 3, 23, 46, 53, 60, 79, 99-100, 102, 105, 114, 136, 150, 201-2, 231, 238-9, 279, 292-3, 301, 340, 350, 358, 375-6
"დიდი სატანა" 357
ერი-სახელმწიფოს მოდელი 196
იმპერიალიზმი 26, 96, 122-3, 206
ლიბერალიზმი 65
ნაციონალიზმი 198
პრეზიდენტობა 46
რელიგიური მრავალფეროვნება 183

ამერიკის შეერთებული შტატები (გაგრძ.)
საგარეო პოლიტიკა 244-5
ქვეყნისშიდა უსაფრთხოება 118
ამერიკის შეერთებული შტატები:
კონგრესი 48, 110
ამერიკის შეერთებული შტატები:
კონსტიტუცია (1787-) 4-5, 47-8, 50, 183-4
მეცხრამეტე შესწორება (ქალთა საარჩევნო უფლება, 1920-) 392
პირველი შესწორება 260-1
ამერიკის შეერთებული შტატები:
უზენაესი სასამართლო 48, 113, 360
ამერიკული იდეოლოგია 4
ამერიკული რევოლუცია xiv, 48, 84
ამიში (აშშ) 342-3
ამრისტარი: ოქროს ტაძარი 364
ანარქია 377
*ანარქია, სახელმწიფო და უტოპია* (Nozick, 1974) 111, 400
ანარქიზმი 15, 19-20, 26-7, 44-5, 124-5, 170-1, 181-2, 215-246, 251-2, 370-1
"არასოდეს მიუღწევია ძალაუფლებისთვის" 216
ადამიანის ბუნება 87, 217-224
ბუნება 312
განსაზღვრება 218-9
გზები 239-244
დაპირისპირებები 238-9
დემოკრატია 62
ეკონომიკა 133
ერი 185
ეტიმოლოგია 215
თავისუფლება 36
თანასწორობა 129
ინდივიდუალისტური 234-9, 239
კოლექტივისტური 223-4, 226-9, 238-9
მარქსი/მარქსიზმი და 216, 226-7, 230
ოცდამეერთე საუკუნეში 244-6
რელიგია 342
საზოგადოება 90
სახელმწიფო 220
ქმედებები, შეხედულებები, იდეები, თეორიები 245-6
ძირითადი თემები 217-228
ხელისუფლება 218-9, 220
ანარქო-კაპიტალიზმი 110-11, 114-5, 133, 227-8, 237-9, 224-5
ანარქო-კომუნიზმი 133, 227-8, 232-4
ანარქო-სინდიკალიზმი 216, 231-3
ანდერსონი, ბ. 187-8, 392
ანდროგინია 286-7, 290, 377
ანთროპოსოფიური მოძრაობა 328-9
ანთროპოცენტრიზმი 129, 310-11, 314-5, 319, 327-8, 377
*ანომია* 377
ანტიამერიკანიზმი 206
ანტიგლობალიზაცია 175-6, 217-8, 242-3, 244-6, 335-6
ანტიკაპიტალიზმი 175-6, 217-8, 244-5, 260-1
ანტიკლერიკალიზმი 225-6
ანტიკოლონიალიზმი 121, 179-81, 244-5
ანტიკომუნიზმი 260-1
ანტიკორპორატული მოძრაობა 242-3, 373-4
ანტიმოდერნიზმი 338-9, 346-9
ანტირაციონალიზმი 251-5
"ანტიპოლიტიკური" პოლიტიკა 242-3
ანტისემიტიზმი 3, 202-4, 255-6, 265-6, 269, 272-3, 377
ეკონომიკური 269
რასობრივი 269-71
ანტისტეიტიზმი 106-7, 217-222
ანტიფემინიზმი (კონსერვატიული) 285-8, 304-5
ანტიფუნდაციონალიზმი 374-5
ანტიჰუმანიზმი 326-7
*აპართეიდი* 266-8
არაბები 363-5
არაბული სოციალიზმი 353-4
არალის ზღვა 330-1
არბლასტერი, ა. 77, 392
არგენტინა 79, 96-7, 216, 248-9
არენდტი, ჰ. 11-2, 392
არიანიზმი 260, 266-7, 270-2
არისტოკრატია 4-5, 81
არისტოტელე 49, 86
არსებითად საკამათო ცნებები (გეილი) 16
არჩევანი 32, 34, 36, 74, 103, 107, 116, 118
არჩევნები 4, 29, 49, 52, 83, 136, 190, 217, 235, 239, 256, 374
*ასე ამბობდა ზარატუსტრა* (ნიცშე) 252, 257, 399
ასქვითი, ჰ. ჰ. 69
ატკინსონი, ტ-გ. 303
ატლი, ს. რ. 69, 134, 165
ატომიზმი 378
აფრიკა 29-30, 74, 76, 80, 97, 121-2, 125, 136-7, 163, 180, 183-4, 193-4, 202, 204-5, 213, 217, 261, 267-8, 284, 315, 352, 354, 358, 370, 372
"ბრძოლა" ა-თვის 201
აფრიკული სოციალიზმი 125, 206
*აქილევსის ფარი* (Bobbitt, 2002) 24, 393
აქტონი, ლორდ 46 221

აქციონერები / მეპაიეები 164-5
აღზრდა/წვრთნა 124, 312
აღმოსავლეთი აზია 76
აღმოსავლეთი გერმანია 190
აღმოსავლეთი ევროპა xv, 23, 29-30, 64, 74, 76, 107, 117, 122, 154, 174, 179, 181, 202, 248, 250, 269, 271, 274, 331, 370-2
იხ. აგრ. კომუნიზმი/კოლაფსი
ახალგაზრდა ევროპა 196
ახალგაზრდა იტალია 196
ახალგაზრდობა 112-3, 263, 304-6, 309, 328-9
ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (ლენინი) 4, 152-3
ახალი ზელანდია 47, 105, 117, 142-3, 170, 214
ქალთა საარჩევნო უფლება (1893-) 279
ახალი ინდივიდუალიზმი 171-2
"ახალი ადამიანი" 260, 305-6
"ახალი კურსი" (აშშ) 69, 72
ახალი ლიბერალიზმი (გვიანი მეცხრამეტე საუკუნე) 171
ახალი მემარცხენეობა 155, 244, 326, 370, 378
ახალი მემარჯვენეობა 19, 22, 24-5, 36, 52, 62-3, 80-1, 87, 102, 104-119, 129, 170-1, 237-8, 245, 304-5, 370-1, 378
დაპირისპირებები 115-6, 116
რეაქციული რადიკალიზმი 347-8
ახალი რასიალიზმი (გაერთიანებული სამეფო) 274
"ახალი საზღვარი" (აშშ) 69
"ახალი სოციალური მოძრაობები" 326, 373
ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა (აშშ) 339, 340, 350, 360, 360-2
"ახალი პოლიტიკა" 242-3, 373-4
"ახალი ჰარმონია" (ინდიანა) 126
აჯანყება 239-42
აჯანყების უფლება 46, 55
აპმედი, ა. 367, 392

ბაადერ-მაინჰოფ ჯგუფი (დასავლეთი გერმანია) 241
ბავშვები 67, 89, 91-2, 284, 293
დასაქმება 60, 121
უმამო 111
ბავშვის აღზრდა 283, 333
ბავშვის გაჩენა / ორსულობა 286, 290, 296, 301
ბავშვის მოვლა 289
ბაზარი 238-9, 378
ბაკუნინი, მ. 124-5, 216, 224-8, 227, 240, 392
ბალის დაბომბვა (2002) 356
ბანდუნგის კონფერენცია (1955) 206
ბანკები / საბანკო საქმე 259, 340-1
ბარისი, ტ. 119, 392
ბარო, რ. 330-1, 392
ბარუელი, ო. 177
ბასკები 181, 182, 191-2
ბევერიჯის მოხსენება (1942) 67, 69
ბეირუთი 355
ბელგია 120, 148, 274
ბელი, დ. 369, 369, 370
ბენთამი, ჯ. 37, 51, 58, 58, 66, 393
ბერგსონი, ჰ. 252
ბერკი, ე. 78, 83, 84, 92, 95, 97, 102-3, 393
ბერლინი, ი. 35, 43, 393
ბერნემი, ჯ. 166, 393
ბერნშტაინი, ე. 139, 163-4, 164, 166, 393
ბიბლია 225, 237-8, 360, 361-2
ახალი აღთქმა 359
შესაქმის წიგნი 346
ძველი აღთქმა 85, 358, 362, 364
ბილი (უფლებათა) 47
ბიოლოგია 183-4, 202, 268, 271-2, 285-6, 300-1, 334-5
ფსიქო-ბიოლოგია 287, 289
ბიომრავალფეროვნება 313
ბიოსფერო 313, 321
ბიოცენტრული თანასწორობა 325
ბირთვული იარაღი 349
ბირმა 363
ბისმარკი, ო. ფონ 96, 190, 198, 261
ბიუროკრატია / ბიუროკრატები 62, 107, 158
ბიუროკრატიული ავტორიტარიზმი 175
ბიპევიორიზმი 2
ბლანკი, ლ. ა. 135
ბლერი, ა. ს. ლ. 170-1, 173
ბობიო 22, 393
ბობიტი, ფ. 24, 63, 393
ბოვუარი, ს. დე 228-9, 299, 303, 392
ბოლივარი, ს. 178, 195
ბოლივია 178
ბოლშევიზმი 121, 133, 135, 148-9, 151, 153, 157, 160-1, 176, 212, 216, 260
ბონაპარტიზმი 96
ბორი, ნ. 316
ბოროტება 234, 343
"მორალური გახრწნილება" 346
ბოსნია/ბოსნიელები 181, 198
ბოულდინგი, კ. 319-20, 393
ბრაზილია 183

ბრაიტი, ჯ. 208, 237
ბრამუელი, ა. 335, 393
ბრაუნი, დ. 214, 393
ბრაუნმილერი, ს. 302, 393
ბრეტონული ნაციონალიზმი 191-2
ბრიტანეთის ნაციონალური პარტია (BNP) 184, 200, 274
ბრწყინვალე რევოლუცია (1688) 45-6
ბუდიზმი 215, 224, 309, 317, 322, 327, 337, 339, 341-2, 350
  თერავადა 365
  ფუნდამენტალიზმი 365
  ძენ 317, 225-6
ბუდისტური ეკონომიკა 322
ბუკჩინი, მ. 224, 326, 332, 331-3
ბუნება 312
  "ქალური" 333-5
ბუნების მსოფლიო ფონდი 309
ბუნების სახელმწიფო 44, 56, 378
ბუნებრივი ადამიანი (რუსო) 189
ბუნებრივი არისტოკრატია (ბერკი) 92, 378
ბუნებრივი კანონი 84
ბუნებრივი კაპიტალი (შუმახერი) 321
ბუნებრივი უფლებები 33, 38, 45-6, 51, 54-6, 56-8, 378
ბუნებრივი შერჩევა 83, 254-5
ბუნებრივი წესრიგი 222-5
"ბუნებრივი წონასწორობა" 313
ბურნი, რ. 221
ბურჟუაზია 9, 131, 136, 142, 14-8, 149, 152, 163, 211, 249, 378
  ქონებაჩამორთმეული 149-50
ბურჟუაზიული იდეოლოგია / ფასეულობები 142, 212, 259, 378
ბუში, ჯ. უ. (აშშ ამჟამინდელი პრეზიდენტი) 24, 109, 114, 117, 198, 362
ბუში, ჯ. პ. უ. (აშშ პრეზიდენტი, 1989-93) 198, 362
ბუხარინი, ნ. 152
ბჰარატია ჯანატა პარტი (BJP) 363
ბჰინდრანველე 364

"გადარჩება ყველაზე შემგუებელი" (სპენსერი) 61, 128, 254
*გადარჩენის გეგმა* (Goldsmith *et al.*, 1972) 309, 396
გაერთიანებული ერები / გაერო 208-9, 213, 294-5
  ადამიანის უფლებათა დეკლარაცია (1948) 210
  Ward, B. და R. Dubois (1972) 309, 402
გაერთიანებული სამეფო 28-9, 47-8, 53-4, 60, 84, 102, 104-6, 109-110, 112-3, 114-7, 120-1, 126-7, 134, 142-3, 147-8, 150, 161-2, 182-4, 199, 238-9, 341-2
  კლასობრივი სისტემა 161-2
  ნაციონალიზმის გამოვლინებები 180-1, 213-4
  ხმის მიცემა ქალებისთვის (1918-) 279
გაზეთები 178
გათავისუფლება: პიროვნული და სექსუალური 155-6
გამოგონილი ტრადიცია (ჰობსბაუმი) 188, 200-1
*განაზრებანი საფრანგეთის რევოლუციის შესახებ* (Burke, 1790) 178, 84, 393
*განაზრებანი ძალადობის შესახებ* (Sorel, 1908) 232, 252, 401
განათლება 18, 38, 50, 52, 66, 69, 138-9, 174, 178, 188, 204, 223, 263, 296
განდი, ი. 350
განდი, მ. კ. 205, 243
განვითარებადი მსოფლიო/სამყარო 26, 64, 76, 80-1, 136, 210, 335, 339, 346, 358
განმანათლებლობა 25, 31, 37, 76, 120, 188, 236, 291-2, 378
  განმანათლებლობის მოწინააღმდეგე (ფაშიზმი) 247, 251-3
განმანათლებლობა (ბუდისტური) 327
განმანათლებლობის პროექტი 373, 376
განსაზღვრულობა 346-7
  "არ არსებობს განსაზღვრულობის მსგავსი რამ" 373
განსხვავების პრინციპი (როულსი) 171
განუკითხაობა / (ყოვლის) შემწყნარებლობა 106, 112, 113, 341-2, 346-7, 350, 391
განქორწინების კანონმდებლობა 284, 293
*განწირულნი დედამიწაზე* (ფანონი) 136, 395
*გარდატეხის წერტილი* (Capra, 1982) 315, 393
გარემო 21
გარემოს დაცვის სააგენტო 110
გარვეი, მ. 194
გარვეი, ჯ. პ. 346, 396
გაუპატიურება 302-3
გაურკვევლობა 217-8
გაუცხოება 146, 158, 296, 328, 378
გეა (დედამიწის ბერძნული ღვთაება) 317, 334

*გეა: ახალი შეხედულება დედამიწაზე ცხოვრების შესახებ* (Lovelock, 1979) 317, 398
"გეგმიური კაპიტალიზმი" (მაკმილანი) 100
გეების უფლებათა მოძრაობა 25-6, 159, 242-3, 361
გევარა, ე. ("ჩე") 136
*გეზელშაფტი* (თანამშრომლობა, ასოციაცია) 187
გეილი, უ. ბ. 16, 395
გეიცკელი, ჰ. 164
გელბრაითი, ჯ. კ. 141, 168, 395
გელნერი, ე. 187, 396
*გემაინშაფტი* (ერთობა/თემი) 187
გემბლი, ა. 115, 119, 396
გენდერი 87, 131-2, 244-5, 280-1, 285-7, 287, 298-9, 301, 387
"სქესისგან" განსხვავებით 285-8
გენეტიკა 268
გენოციდი 153-4, 255, 269, 271
გერმანელი ახალგაზრდობის მოძრაობა 328
გერმანია 2, 3, 5, 11, 48, 73, 79, 96, 100, 120, 147-8, 178, 183, 201, 192, 249, 270, 309, 322, 359
ალმოსავლეთი 273-4
გაერთიანება 189, 202
ნაციონალიზმი 182, 202
ხელახალი გაერთიანება (1990) 202, 274
*იხ.* აგრ. ნაცისტური გერმანია
გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია (NSDAP) 248, 255
*გერმანული იდეოლოგია* (Marx and Engels, 1846) 8, 146
გეტისბერგის სიტყვა (ლინკოლნი, 1863) 48
გიდენსი, ა. 21, 118, 160, 172, 173, 176, 396
ნაშრომები 172-3, 196
გილმური, ი. 97, 196
*გინ/ეკოლოგია* 334, 394
გიორინგი, ჰ. 258-9
*გლასნოსტი* 157
გლეიდსთოუნი, უ. 28
გლეხობა 68, 96, 98, 123, 135, 153, 163, 216, 230, 233, 240-1, 259, 309, 328-9
გლეხური იდეოლოგია 272-3, 309, 329
გლობალიზაცია xvi, 26, 54, 62-4, 73, 118, 119, 141, 168, 170, 175-6, 193, 213, 250, 274, 335, 338-40, 358, 366, 375-6, 378
"ჰიპერინდუსტრიალიზმის სახეობა" 335
გლობალიზმი 375-6, 378
გლობალური დათბობა 310, 335
გლობალური საქონელი 26, 64
გლობალური ტერორიზმი xv, xvi, 23, 114, 117, 376
გობინო, ჟ.-ა. 270, 396
გოდვინი, უ. 215, 222, 222, 223, 234, 237, 243, 291
გოლდი, შ. დნ 199
გოლდინგი, უ. 318
გოლდმენი, ე. 221
გოლდსმითი, ე. 309, 329, 395
გოლდუოთერი, ბ. 79
*გომინდანი* 136
გონება 37-8, 120, 222-3, 291-2, 344-5
გამარჯვება რელიგიაზე 338
*გონება და რევოლუცია* (Marcuse, 1941) 155
გორბაჩოვი, მ. 157
გორკი, ა. 131, 396
გრამში, ა. 9, 10, 142, 155, 396
გრეგორი, ე. ჯ. 251, 397
გრეი, ჯ. 44, 77, 119, 396
გრინი, თ. ჰ. 66-8, 396
გრინფისი 309
გრირი, ჯ. 279, 298-9, 306, 397
გრიფინი, რ. 251, 261, 276, 397
გრძნობათა დეკლარაცია (1848) 279
გუდინი, რ. ე. 325, 396
გუდმენი, პ. 219, 396
*გულაგები* 154
გულფების ომი (1991) 198, 206
გუშმუნ ემუნიმი (მართლმორწმუნეთა ბლოკი) 364

დაბალი / უდაბლესი კლასი (underclass) 110-11, 141, 174-5
დაბეგვრა 63, 72, 168-70
"არავითარი დაბეგვრა რეპრეზენტაციის გარეშე" 110-11
მინიმალური 72, 104-5, 109-111, 167, 221-2, 322-3, 361-2
პროგრესული 128, 166
დაბინძურება 245, 310, 313-4, 322, 334-6
დამდამი ტაქსალი 364
დამოუკიდებლობა 196, 205, 339
დამოუკიდებლობის დეკლარაცია (1776) 46, 55
დამქირავებლები 41-2, 92
*დამშვიდობება მუშათა კლასთან* (გორცი) 131-2, 396
დამწერლობა 178, 187-8
დანაშაული 85, 94, 112, 158, 172, 235, 305, 343

დანია 274
დანიური აღმოსავლეთი ინდოეთი (ამჟამად ინდონეზია) 180
დარე, უ. 272, 328-9
დარვინი, ჩ. 61, 113, 234, 345, 394
დარვინიზმი 54, 60, 233-4, 254, 256, 261, 269
დასავლეთი 294, 335, 337, 339, 341, 354, 358, 370-2, 378
დასავლეთი გერმანია 100, 190, 202
დასავლეთი ევროპა 121, 137, 154
დასაქმება 292
*დასაქმების, მოგებისა და ფულის ზოგადი თეორია* (Keynes, 1936) 2, 71
დაქირავებული მონობა 146, 296
დაცვის ასოციაციები (როთბარდი) 238
დაწერილი კონსტიტუციები 47-8
დედა მიწა (Earth Mother) (კონცეფცია) 309, 317
დედამიწის მეგობრები 309
"დედის უფლება" 295
დედობა 296, 301, 304-6
"საიდუმლო" 294
დევოლუცია 48, 379
დეილი, მ. 334, 394
დეილი, პ. 319, 394
დეინდუსტრიალიზაცია 131, 168
დეკარტი, რ. 315
დეკოლონიზაცია 204, 213
დემოკრატია 16, 26, 39, 41, 47-8, 50-3, 79, 83, 96, 100, 105, 121, 125, 137-9
მარტივი ფორმები 232
მონაწილეობითი 52, 156, 234
წარმომადგენლობითი 52, 391
*იხ. აგრ.* ლიბერალური დემოკრატია
დემოკრატიული იუნიონისტური პარტია (DUP) 359
დემოკრატიული კორპორატიზმი 101
დემოკრატიული პარტია (აშშ) 3, 79, 361-2
ახალი დემოკრატები 169-70
დემოკრატიული ცენტრალიზმი 151-3, 379
დეობანდიზმი 355
დეტერმინიზმი 10, 379, 385
დეტრადიციონალიზაცია 118, 173
დეცენტრალიზაცია 47, 52, 332, 378-9, 387, 391
დიალექტიკა 145, 379
დიალექტიკური მატერიალიზმი 2, 143, 379
დიგერები 216
დიდერო, დ. 189
დიდი ბიზნესი 143, 249, 259, 270
დიდი დეპრესია (1930-იანები) 65, 71
დიდი მთავრობა 62, 105
დიდი საზოგადოება (აშშ) 69, 360-1
დიზრაელი, ბ. 97-9, 105, 198
დისკურსი 15, 18, 368-9, 373, 386
დისციპლინა 80, 93, 104-5, 112, 116, 137, 220, 280, 356
დიუი, ჯ. 12
დიქტატურა 52, 95-6, 137, 154, 248, 253, 258, 263, 390
მილიტარისტული 122
"ტრადიციული" "ტოტალიტარულის" საპირისპიროდ 258, 264
დობა 288-9, 294, 301
დობსონი, ა. 336, 394
დონი, ჯ. 123
დრეიფუსის საქმე (1894-1906) 269
*დუჩე* 257-8

ებრაელ ახალმოშენეთა მოძრაობა 339
ებრაელები 255, 269-72, 362-3
პოგრომები 269
ულტრაორთოდოქსი 364
*იხ. აგრ.* ანტისემიტიზმი; გენოციდი; ჰოლოკოსტი; ისრაელი; კიბუცების სისტემა; პოგრომები
ებრაული ფუნდამენტალიზმი 350
ეგვიპტე 179, 339
ეგზისტენციალიზმი 156, 252
*ეგო და მისი არსი* (Stirner, 1845) 235-6, 401
ეგოიზმი 38, 70-1, 74-5, 235-7, 262-3, 379
ეგოისტური ინდივიდუალიზმი 54
ევგენიკა 255, 272, 379
ევოლუცია 113, 232, 346
*ევოლუციური სოციალიზმი* (Bernstein, 1898) 139, 163, 393
ევროკომუნიზმი 139, 379
ევროპა 28, 79, 97, 100, 101-2, 105, 120, 184, 196, 205, 352
ევროპის კავშირი 102, 191, 202, 210, 213
ევროპული ინტეგრაცია 101, 106, 114, 198, 209
ევროსკეპტიციზმი 114, 200
"ეთნები" ("ethnies", ა. დ. სმითი) 187
ეთნიკური იდენტობა 189, 362-3
ეთნიკური სიწმინდე 76
ეთნიკური უმცირესობები 155-6, 200
ეთნიკური/რასობრივი ერთობა 184, 186, 187
ეთნიკურობა 75, 183, 187, 213-4, 304, 384
ეკვადორი 178

ეკოანარქიზმი 224, 314, 328, 331
ეკოკონსერვატიზმი 329
ეკოკონსერვატორები 324
ეკოლოგია 131-2, 311-4, 380
"ეკოლოგიური სელფი" 327
ეკოლოგიზმი 25-7, 370-1
ადამიანის ბუნება 87
ბუნება 312, 327-335
დაპირისპირებები **314**
დემოკრატია **52**
ეკოლოგიზმი 308-336
ეკონომიკა . **133**
ეტიმოლოგია 308
"ზედაპირული" 313-4, **314**, 317-8, 323-4, 380
თავისუფლება **36**
თანასწორობა **129**
იდეოლოგია 17
ისტორია, იდეები, გავლენა, მთავარი კომპონენტები, ტექსტები 336
მემარჯვენე ფრთის 328-330
ოცდამეერთე საუკუნეში 334-6
პოლიტიკა 326-335
პოლიტიკის ახალი სტილი 314-5
პრობლემები 335-6
"ღრმა" 313-4, 315, 319, 325, 335-6, 391
ძირითადი თემები 310-328
წარმოშობა 308-311, 336
ეკონომიზმი 158
ეკონომიკა 15
მინოდების ტიპის 109, 172-3
მოთხოვნის ტიპის 109, 172-3
ეკონომიკური დაცემა / რეცესია (1970-იანები, 1980-იანები) 106, 168
ეკონომიკური თავისუფლება 226-8
"ეკონომიკური ანარქია" (კეინზი) 71
ეკონომიკური ლიბერალიზმი 58-60, 380
ეკონომიკური მენეჯმენტი 70-4
ეკოსისტემები 311-2
ეკოსოფია (ნაესი) 313-4
ეკოსოციალიზმი 319, 328, 330-1
ეკოფემინიზმი 319, 333-4
ეკოცენტრიზმი 314, 337, 380
ელიზაბეთი, იმპერატრიცა (ავსტრია) 241
ელიტები 5, 52, 82, 96, 123, 139, 148, 192, 200, 347
თანაბარი ხელმისაწვდომობა ქალებისთვის 277
კომუნისტური 150, 158
ელიტიზმი 256-8, 290, 380
ელშტაინი, ჯ. ბ. 282, 307, 395
ენა 76, 90, 114, 182, 187, 191, 200-1, 254
ენგელსი, ფ. 8, 121, 135, 138, 143, 149, 161, 210, 295, 395, 399
ენერგია 320-2, 335
განახლებადი 322
*იხ. აგრ.* წიაღისეული საწვავი
ენვირონმენტალიზმი 244-5, 308, 380
ენვირონმენტალური ეთიკა 323-5
ენვირონმენტალური მოძრაობა 25, 242, 335
"ენვირონმენტალური ცნობიერება" 327
ენთონი, ს. ბ. 278
"ენტროპიის კანონი" 320, 322
ეპლბი, რ. ს. 367, 399
ერაყი 24, 181, 186, 205, 206, 352, 358, 363
ერენფელდი, დ. 310, 395
*ერთა კეთილდღეობა* (Smith, 1776) 59, 401
ერთა ლიგა 207, 209
*ერთგანზომილებიანი ადამიანი* (Marcuse, 1964) 10, 155, 398
ერთი მსოფლიოს იდეა 207
ერთიანი მოთხოვნა 72, 107
ერთპარტიული სახელმწიფოები 157, 204, 263
ერი 91, 94, 129, 133, 182-6, **185**, 200-3, 251-5, 258-61, 262-3, 268, 339-40, 362-3, 380
გლობალიზაციით მოშლილი 116-8
"ფსიქო-პოლიტიკური ორგანიზმი" 185-6
ერი-სახელმწიფო 4-5, 63, 160, 178-81, 181-2, 188-90, 192-3, 196, 198, 208, 211, 213-4, 380
ერის მშენებლობა 213, 339-40
ერლიხი, პ. 309, 395
ეროვნება 187, 188-91
ეროვნული გათავისუფლება 178-181, 203-5, 211
ეროვნული ერთობა 178, 199
ეროვნული თვითგამორკვევა 26-7, 179
ეროვნული იდენტობა 112, 114, 119, 187, 190, 199, 200-1, 211, 214, 260-1, 362-4, 365
ეროვნული ინტერესი 190
ეროვნული სუვერენიტეტი 43, 106, 199, 210
ეროვნული ფრონტი (გაერთიანებული სამეფო) 273-4
ეროვნულობა/ეროვნული 187, 198
*ეროსი და ცივილიზაცია* (Marcuse, 1958) 155
*ესე ადამიანთა რასების უთანასწორობის შესახებ* (Gobineau, 1854) 270

ესენციალიზმი 333
ესპანეთი 28, 105, 117, 127, 141, 181, 191, 214, 216, 225
ესპანეთის სამოქალაქო ომი (1936-9) 216, 232, 248
ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტია 141
ექვსდღიანი ომი (1967) 364
ექსპანსიონიზმი 272
ექსპლოატაცია 147-8, 158, 163, 166, 175, 206, 226-7, 230, 233, 241-2
ეშკროფტი, ჯ. 362

ვაგნერი, რ. 192, 269-70
ვალდებულება/მოვალეობა 14, 29, 34, 36, 44, 56, 67-8, 86, 93-4, 98-100, 102, 104, 169, 171, 174, 187, 239, 250, 265, 280, 286, 290, 303, 380, 382-4, 386, 389-91
*ვალდენი* (ვარენი) 236, 402
ვარენი, ჯ. 230, 236-8, 402
ვებერი, მ. 101, 258
ვენესუელა 178
ვერსალის ხელშეკრულება (1919) 190, 198, 204, 249-50, 260-1, 270-1
ვესტ-ინდოეთი 184, 193
ვიგები (გაერთიანებული სამეფო) 28, 78, 99-100
ვიეტნამი 106, 121, 136, 156, 180, 204-5
ვინსენტი, ა. 18, 402
ვიტალიზმი (ბერგსონი) 252, 380
ვიშის საფრანგეთი 251
ვოლტერი, ფ. მ. ა. დე 41
ვუდკოკი, ჯ. 145-6, 402

ზამბია 205
ზაპატა, ე. 216, 240
ზელიგერი, მ. 12-3, 15, 27, 401
ზიმბაბვე 206
ზინგერი, პ. 324, 401
*ზნეობრივი განცდის თეორია* (სმითი, 1759) 59
ზრდა (ეკონომიკური) 168, 323, 331, 335, 369
*ზრდის ლიმიტი* (Club of Rome, 1972) 309, 394, 399
"ზრდის მანია" (Daly, 1874) 319, 394

თავადაზნაურობა 98
თავდაჯერება 173
თავისუფალი ბაზარი 102, 109, 115-8, 237-8, 245, 264, 380
ეკონომიკა 80
კაპიტალიზმი 20
მარცხი 71
რეფორმები 86
თავისუფალი ვაჭრობა 60, 102, 209, 237, 261, 280
თავისუფალი ნება 156-7
თავისუფალი პრესვიტერიანული ეკლესია 359
"თავისუფალი სიყვარული" 296
თავისუფლება 16, 33-6, 36, 44-5, 55-6, 85, 116, 217-8, 228, 380
აბსოლუტური 218
ინდივიდუალური 103, 196
ნეგატიური 36, 41, 54, 66-7, 88, 110, 234, 385
პოზიტიური 66-8, 99, 167, 235-6, 386
*თავისუფლების კონსტიტუცია* (Hayek, 1960) 108, 397
*თავისუფლების ორი კონცეფცია* (Berlin, 1959) 35, 393
თავისუფლების პარტია (ავსტრია) 273-4
*თავისუფლების შესახებ* (J. S. Mill, 1859) 34-5, 41, 65, 399
თავისუფლების შიში (ფრომი) 250
თალიბანი 24, 355
თამილები 181, 365
თანაბარ უფლებათა შესწორება (განსახილველად შეტანილი) 361
თანაბარი ანაზღაურება/ხელფასი 294, 305-6
თანაბარი უფლებები 292-3
თანამედროვე ლიბერალიზმი (მეოცე საუკუნის ლიბერალიზმი) 31, 64-74, 172-3, 381
თანასწორობა 1, 20, 22, 86, 99, 127-30, 260, 381
თანასწორობა კანონის წინაშე 39
*თანასწორობა* (Tawney, 1931) 162, 402
თეთრკანიანი ადამიანის ტვირთი 201-2
თემთა პალატა 278
თემი/საზოგადოება (community) 123-5
თეოკრატია 381
თერთმეტი სექტემბერი, 2001 (აშშ) 22, 24, 350, 355-6, 362-3
თეტჩერი, მ. 88, 94, 109-110, 113, 115-6, 198, 305
თეტჩერიზმი 62-3, 80-1, 115, 119, 199, 381
"თავისუფალი ეკონომიკა, ძლიერი სახელმწიფო" (გემბლი) 115
თვითაქტუალიზაცია 36, 325-7, 381
თვითგამორკვევა 4, 76, 188-91, 196-7, 201, 204, 208, 210, 214

თვითდაინტერესება xv, 38, 56-8, 63, 65, 71, 88, 107, 126, 147, 156, 228, 236, 259, 375
თვითდაკმაყოფილება 36
თვითდახმარება 69, 110, 116-7
*თვითდახმარება* (Smiles, 1859) 61, 401
თვითკმარობა 332-3
თვითმმართველობა 181, 208
თომპსონი, ჯ. ბ. 27, 402
თორო, ჰ. დ. 236-7, 244, 402
თურქეთი 178, 181, 186, 339, 355

იანი, ფ. ლ. 202
იაპონია 29, 79, 150, 179, 201, 248-9
  იხ. აგრ. იმპერიული იაპონია
იაპონიის წითელი არმია 241
იაფი მუშახელი 67, 205
იდეალიზმი 381
იდეები 1-6
იდენტობა 25, 84, 90, 167, 207
იდენტობის კრიზისი 338
იდენტობის პოლიტიკა 191-4, 341, 348-50
იდეოლოგია 1-27, 17, 381
  განსაზღვრება 13
  განსხვავებით "მეცნიერებისგან" 368
  "დაუსრულებელი პროცესი" 375-6
  ი-ის აღსასრული xv
  ოცდამეერთე საუკუნეში 22-6
  უარყოფა 15
  უსასრულო 376
  შიდა დისპუტები 15-6
  ცნებები 5-13
*იდეოლოგია და უტოპია* (მანჰაიმი) 11, 398
იდეოლოგიები: განსხვავებით "იდეოლოგიისგან" 6
იდეოლოგიების ხანა 22
*იდეოლოგიის დასასრული* xv, 22, 370, 376
*იდეოლოგიის დასასრული* (Bell, 1960) 369, 392
იდეოლოგიური ჰეგემონია (გრამში) 142, 155
იერარქია 79, 91-3, 98-100, 102, 129, 290, 326, 328, 348, 381
იესო 358
ითუელი, რ. 119, 251, 394
*იმამი* (რელიგიური ლიდერი) 357
იმიგრაცია 105, 114, 184, 198, 200, 268, 274, 275
იმპერიალიზმი 201-4, 205, 206, 210, 260-1, 269, 275, 350, 381
*იმპერიალიზმი: კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია* (Lenin, 1916) 151, 398
იმპერიული იაპონია 248, 251, 261
იმპერიული რომი 247, 261-2, 265-6
ინგლის-ავღანეთის ომი (1919) 179
ინგლისი 359
ინგლისის ეკლესია / ანგლიკანიზმი 100, 359
ინგლისის რევოლუცია 28, 44-5, 56, 79, 86, 215, 338
ინდივიდუალიზმი 16, 25, 33, 33, 75, 77, 101, 116-7, 125, 210, 234, 276, 292-4, 381
  კონკურენტული 64, 169-70, 335
  ლიბერალური 294
  ტიპები 33-4
  უკიდურესი ფორმა 234, 236, 238
ინდივიდუალობა 65-6, 381
ინდივიდუალური თავისუფლება 103, 196
ინდივიდუალური პასუხისმგებლობა 69
ინდივიდუალური უფლებები 110-11
ინდოეთი 29, 121, 179, 180, 195, 204, 205, 244, 268, 355
  რელიგიური ფუნდამენტალიზმი 365-7
  "უფრო დიდი ინდოეთი" 363
ინდოჩინეთი 179
ინდუსები/ინდუიზმი 244, 309, 317, 337-9, 365
  ფუნდამენტალიზმი 362-4
ინდუსტრიალიზაცია 25, 29-31, 64, 98, 120, 135, 153, 187, 272, 309, 320, 328-30, 335, 338
ინდუსტრიალიზმი 17, 319, 334-5, 335-6, 381
ინდუსტრიული რევოლუცია 53-4
ინვესტიცია 73-4, 117-8, 358
ინსტიტუციები 56-7, 83, 89-90, 116-7, 198-9
ინტეგრალური ნაციონალიზმი (მორასი) 203, 261, 368
ინტერნაციონალიზმი 197, 205, 381
  ლიბერალური 208-10
  სოციალისტური 210-12
ინტერნეტი 213
ინფლაცია 59, 63, 73, 106, 108, 107-9, 168
ინფორმაციული საზოგადოება xv, 25, 170, 369, 372-3, 374-5
იოანე პავლე II 162
იორდანია 353
ირან-ერაყის ომი (1980-8) 358
ირანი 79, 106, 183-6, 207, 290, 339, 347, 349, 352, 354-7
ირანის რევოლუცია (1979) 180, 183
ირლანდია 211, 339, 359-60

ირლანდიური ნაციონალიზმი 180-1
ისლამი 5, 76, 121, 163, 180, 183, 203, 206, 317, 337, 340, 346, 351, 362, 365-7, 372
მეცნიერება და ეკონომიკა 349
რწმენა 352-6
ფემინიზმი 291
ისლამის ნაცია 194
ისლამური რევოლუციური საბჭო (ირანი) 357
"ისლამური რესპუბლიკა" (ირანი) 354, 357
ისლამური საკონსულტაციო ასამბლეა (ირანი) 357
ისლამური ფუნდამენტალიზმი 11, 304-5, 337, 347, 350, 352-6, 367
ისლამიზმი 355
ისრაელი 47, 125, 339, 344, 354, 355, 362, 365
"ოკუპირებული ტერიტორიები" 350
ისტორია xiv-xvi, 90, 144-6, 157-9, 175, 182-4, 187, 189, 254
"კანონები" 141, 144, 158
ისტორიის დასასრული 23, 74, 146, 157, 175, 370-2, 376
ისტორიის მატერიალისტური კონცეფცია 144
ისტორიის/დროის ტესტი 83, 84
ისტორიული მატერიალიზმი 144, 159, 161, 163, 381
ისტორიციზმი 158
იტალია 11, 20, 79, 96, 100, 170, 178, 179, 183, 201, 216, 225, 231, 249-50, 260
ამომრჩეველთა მხარდაჭერის საუკეთესო მაჩვენებლები სოციალისტური/კომუნისტური პარტიებისთვის 141
გაერთიანება 195-6
იხ. აგრ. ფაშისტური იტალია
იტალიის სოციალისტური პარტია (1892-) 138-9, 258, 263
იტალიის წითელი ბრიგადები 241
იუგოსლავია 127, 179, 181, 198, 214, 274
იუდაიზმი 317, 337-8, 341, 345-6, 358
ფუნდამენტალიზმი 363-4

კადაფი, მ. 206
კათოლიციზმი/კათოლიკეები 43, 96, 162, 183, 225-6, 265, 359, 361
სოციალური თეორია 101, 264-5
კათჩი (ამიტომ) 363
კალვინი, ჟ. 338
კალვინიზმი 359
კამბოჯა 122, 205
კანადა 181, 214
კანონდარღვევა 112
კანონი 43-5, 55-7, 61, 83-6, 210, 218-9, 221-4, 235-7, 258, 382
გაუქმება 215
საერთაშორისო 210, 212-3
კანონი და წესრიგი 93, 112, 115, 222-3, 350
*კანონი, კანონმდებლობა და თავისუფლება* (Hayek, 1979) 108
კანონის აღსრულების პრივატიზაცია 138-9
კანტი, ი. 33, 37, 163, 207
კაპიტალზე დაფუძნებული ეგალიტარიზმი 172
კაპიტალი 131-3, 136, 147
კაპიტალიზმი 4, 8, 23, 29, 40, 120-1, 123, 125, 145, 148-9, 232, 259-60, 295-7, 378
"ანადგურებს დოვლათს" 141
"არა აქვს ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივა" 117
არარეგულირებული/შეუზღუდავი 72, 116-8, 162
"ეკოლოგიური პრობლემების ძირითადი მიზეზია" 330
ელასტიკურობა 158, 163
ზნეობრივი კრიტიკა 161-2
ლიბერალური 10-11, 175, 184
"მართული" 370
რეფორმა და არა გაუქმება 160-1, 164, 167
"საყოველთაო კეთილდღეობის" 370
ციკლური კრიზისები 147, 157-8
წინააღმდეგობები 276
*კაპიტალიზმის კულტურული წინააღმდეგობანი* (Bell, 1976) 369
*კაპიტალი* (Marx, 1867, 1885, 1894) 145
კარბონარი 195
"კარგი საზოგადოება" 370
კარლოს დიდი 199, 261
კარნოტი, მ. ფ. ს. 241-2
კარსონი, რ. 309, 331, 394
კარტეზიანულ-ნიუტონისეული პარადიგმა 315-6
"კასტრაციის კომპლექსი" 303
კასტრო, ფ. 122, 136, 205
კატალონია 217
კაუცკი, კ. 142-3
კაცობრიობა 311, 313, 315, 326-7, 335
კეთილდღეობითობა (Welllarism) 382
კეინზი, ჯ. მ. 2, 71
კეინზიანიზმი 63, 71, 72, 73, 99-101, 104-5, 107, 382
ეკონომიკა 164

  გლობალიზაციის გამო უსარგებლო 168-70
  მოთხოვნის მართვა 26-7, 72, 106
კენედი, ჯ. ფ. 69
კერძო საკუთრება 20, 30-1, 109, 130, 132, 145, 163, 230, 194-6, 196-7, 353, 370
კერძო სასამართლოები (როთბარდი) 238-9
კერძო საწარმო: აღმოფხვრა (საბჭოთა კავშირი) 153
კერძო სექტორი 79, 109-110
კერძო სფერო 69, 294, 295-6
კვებეკი 181, 183
კვების პროდუქტების ნაციონალური მეურნეობა 329
*კვლევა პოლიტიკური სამართლიანობის თაობაზე* (Godwin, 1793) 215, 222, 396
კიბერნეტიკა 301
კიბერსამყარო 375
*კიბუცების* სისტემა 126
კინგი, მ. ლ. 39
კინიკოსები 216
კლაინი, ნ. 373-4, 374, 398
კლასიკური ეკონომიკა 58, 84
კლასიკური ლიბერალიზმი 31, 34-5, 53-4, 60, 64-6, 115, 377-8
კლასობრივი ბრძოლა/ომი 121, 146-8, 153-5, 161, 231, 265
  "ეკოლოგიურ კრიზისზე ნაკლებ აქტუალური" (ბარო) 331
  საერთაშორისო 211
კლასობრივი თვითშეგნება 8-9, 136-7, 142, 147-8, 151, 159, 382
კლასობრივი კონფლიქტი 139-40, 164, 330, 371
კლასობრივი მტრები 150, 152-3
კლასობრივი სისტემა 8, 128, 146-8, 229
კლასობრივი სოლიდარობა 25-6, 193, 211
კლინტონი, უ. ჯ. 170, 173
*კმაყოფილების კულტურა* (Gelbraith, 1992) 141
  ბუნების მცველები/მომვლელები 312
კობდენი, რ. 61, 208-9
კოლექტივიზაცია 107, 123, 130, 132, 137, 153, 160, 232, 264, 382
კოლექტივიზმი 65, 99, 107, 124, 134, 165, 218, 228, 259, 382
  დავრდომილი 110
  უკიდურესი 239, 262
კოლექტიური უსაფრთხოება 199
კოლონიალიზმი 151, 202, 206, 382
კოლუმბია 162, 178
კომუნები 233, 243, 332-30
კომუნიზმი 11, 13, 17, 20, 23, 114, 117, 122, 133, 135, 137, 139, 146, 149, 152, 156-8, 166, 216, 229, 232-3, 249, 263, 319, 344, 354, 366, 369-70, 372, 379, 382, 386
  "აჩრდილი დადის ევროპაში" 135, 158, 164
  კლასები 145
  კოლაფსი (1989-91) xv, 122, 137, 157, 169, 337
  "მარქსიზმი პრაქტიკაში" 149, 157
  ორთოდოქსული 133, 143, 149, 154, 156-7
  პრიმიტიული 146
  საბჭოური/საბჭოთა სტილის 2, 24, 74, 143, 149-50, 152
  სრული 148-50, 229, 371-2
  სუფთა 230
კომუნისტური ინტერნაციონალი (კომინტერნი, 1919-) 149, 211
*კომუნისტური მანიფესტი* (Marx and Engels, 1848) 131, 145, 147-8, 164
კომუნიტარიზმი 75, 170-1, 171, 382
კომუნიტარული ლიბერალიზმი 171
კონგრესის პარტია (ინდოეთი) 122, 363
*კონინგსბი* (Disraeli, 1844) 97-9
კონკურენცია 101-2, 116, 118, 121, 126
კონსენსუსი 382
კონსერვატიზმი 5-6, 13, 16, 21, 24, 25, 26, 42, 78-92, 97, 102-3, 112, 115-6, 120-22, 127, 163, 170, 181, 217, 244, 247, 338, 348, 370, 378
  ადამიანის არასრულყოფილება 84-6
  ადამიანის ბუნება 87
  ავტორიტარიზმი 94, 95, 99-100, 105
  ბუნება 312
  გენდერი 287
  დაპირისპირებები 104-5
  დემოკრატია 52
  ეკონომიკა 133
  ერთი ერის 97, 99-100, 112, 380
  ერი 185, 186
  თავისუფლება 36
  თანასწორობა 129
  იდეოლოგია 17
  ისტორია 371
  ლიბერტარიზმი 102, 103
  "მგზავრობს მსუბუქად/უბარგოდ" (მეტად აღარ) 97, 119
  ოცდამეერთე საუკუნეში 116-119
  პატერნალიზმი 97, 98, 112
  პრაგმატიზმი 104
  რელიგია 341, 342, 347-8
  საზოგადოება 88-9, 90

კონსერვატიზმი (გაგრძ.)
საკუთრება 93-4
სახელმწიფო 220
ტრადიცია 290
წარმოშობა 78, 81
ხელისუფლება
იხ. აგრ. ქრისტიანული დემოკრატია; ახალი მემარჯვენეობა; ტორიზმი
კონსერვატიული პარტია (გაერთიანებული სამეფო) 79, 100, 114, 198-201
კონსტიტუციის დაცვის საბჭო (ირანი) 357
კონსტიტუციონალიზმი 47, 47-8, 108, 196-7, 208, 235, 257, 359, 382
კონსტრუქტივიზმი 188
კონტრაქტი 238-9, 389
კონტრაცეფცია 301, 358
კონტრრევოლუცია 48, 136, 150, 229, 249
კონფლიქტი 233, 249, 383
კონფუციანიზმი 76
კოოპერაცია 74-5, 121, 126-7, 232-3, 244, 260-1, 379, 381-2
კორპორატიზმი 101, 133, 264-5, 272, 265, 383
კორპორატული სახელმწიფო 265
კორუფცია 46, 217, 224, 240, 343, 354-5
კოსმოპოლიტიზმი 197, 208-9, 209, 383
"კოსმოსური ხომალდი დედამიწა" (Boulding, 1966) 319
კოსტა, მ. დ. 297, 394
კრეაციონიზმი 112-3, 345
კრისტოლი, ი. 106, 369
კრიტიკული თეორია (ფრანკფურტის სკოლა) 155
კროპოტკინი, ა. 126, 224, 228, 233, 234, 309, 332-3, 398
კროსლანდი, ს. ა. რ. 166, 168, 394
კუ კლუქს კლანი 268
კუბა 149, 156, 174, 205
კულაკები (მდიდარი გლეხები) 153
კულტურა 76, 79, 89, 91, 106, 109-10, 114, 118, 162, 182, 184, 190, 192-3, 200, 202, 206, 210, 254, 260, 264, 268, 271, 278, 299, 301, 306, 309, 312, 334, 336, 339, 341-3, 352, 360, 363, 366, 374
გერმანული 192
ევროპული "აღმატებულება" 201-2
"კ-ის დამანგრეველები" 271
"კ-ის მატარებელნი" 271
კოლონიალიზმით დათრგუნული 338-40
ქალზე აქცენტირებული 299, 302
კულტურული ერთობა 116, 182, 187
კუნი, ტ. 13-4, 398
ლაველოკი, ჯ. 317, 318, 318, 398
ლათინური ამერიკა 29, 64, 74, 79, 121-3, 225-6, 231, 358, 370
ლაკანი, ჟ. 303
ლაკლო, ე. 159
ლაოსი 121
ლასალი, ფ. 139
ლატვია 185
ლე პენი, ჟ.-მ. 268, 273, 275
ლეგიტიმურობა 383
ლევიათანი (ჰობსი) 54-6, 86, 397
ლეიბორიზმი 123, 383
ლეინი, დ. 176, 398
ლენინი, ვ. 2-9, 121, 133, 135, 142, 148-53, 151, 205, 211, 216, 398
ლენინიზმი 150-2, 156-8, 175, 383
ლეოპოლდი, ა. 325, 398
ლესბიანობა 159-60, 303
ლეტუინი, ს. რ. 115, 398
"ლექსიკონი" 77
ლიბანი 355-6
ლიბერალიზმი xv, 5, 6-8, 12-3, 16, 23-6, 28-77, 83, 96, 103, 127, 170-1, 210, 234-5, 238, 372-3
ადამიანის ბუნება 87
ბუნება 312
გამოწვევები 75-6
გენდერი 287
გონება 37-8
დემოკრატია 48-54, 52
ეკონომიკა 133
ეკონომიკური 169-70
ერი 186
თავისუფლება 34-6, 36
თანასწორობა 129
იდეოლოგია 17
ისტორია 371
ნდობის კრიზისი 74-5
ოცდამეერთე საუკუნეში 73-7
პლურალისტური 43, 77
რაციონალიზმი 37
რელიგია 342
საზოგადოება 90
საკონსტიტუციო მმართველობა 46-8
სამართლიანობა 38, 41
სახელმწიფო 44-7, 220
სოციალური 160-3
უნივერსალისტური 43, 77
შემწყნარებლობა და მრავალფეროვნება 43, 73
წარმოშობა 28-31
ხელისუფლება 220
ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია (LDP, იაპონია) 79

ლიბერალური დემოკრატია 4-5, 29-30, 39, 48-53, 74, 76, 180, 256-7, 275-6, 356, 366-7, 376, 383
"ტრიუმფი" 370
ლიბერალური ინდივიდუალიზმი 171
ლიბერალური კაპიტალიზმი 10-1, 175, 184
ლიბერალური კონსერვატიზმი 15
ლიბერალური პარტია (გაერთიანებული სამეფო) 28, 69
ლიბერტარ(იან)იზმი 81, 102-5, 103, 106, 110, 112, 236-7, 383
ლიბია 198, 206
ლიდერის პრინციპი (*Führerprinzip*) 258, 262, 329
ლიდერობა 36, 93, 150, 199, 256-8, 287-8
ქარიზმატული 205, 246-8
ლიკუდი 364
ლინდბლომი, ჩ. 53, 398
ლინკოლნი, ა. 48
ლიოტარი, ჟ.-ფ. 159, 373, 398
ლისტი, ფ. 101
*ლოგოს გარეშე* (კლაინი) 374, 399
ლოიალობა 79
ლოკი, ჯ. 15, 32-3, 41, 43, 46, 45-6, 51, 54-6, 110-1, 147, 222-3, 236, 311, 323, 398
ლორდთა პალატა 99
ლუთერანიზმი 359
ლუი XVI 177
ლუკასი, გ. 155
ლუქსემბურგი, რ. 158

მაკდონალდიზაცია 213
მაკინტაირი, ა. 74-5, 171, 398
მაკკინლი, უ. 241
მაკლელანი, დ. 6, 26, 176, 399
მაკმილანი, ჰ. 94
მაკფერსონი, კ. ბ. 32-3, 398
მალაიზია 204, 214
მალატესტა, ე. 233, 239
მალკოლმ მეათე 194
მამაკაცები
"კულტურის ქმნილებანი" 334-5
ნაყოფიერების შემცირება 334-5
"ფეხს ვერ უწყობენ ბუნებას" 312
მამაკაცთა მოძრაობა 305-6
მამრავლი ეფექტი (კეინზი) 72
მანჩესტერიზმი 237
მანჩესტერული ლიბერალები 208-9
მანჯურია 261
მანჰაიმი, კ. 11, 16, 398
მაო ძე-დუნი 136, 205
მაოისტური ამბოხება 137
მაჟორიტარიზმი 383
*მარადიული მშვიდობისკენ* (კანტი) 207
მართლმადიდებელი ქრისტიანობა 358-60
მარინეტი, ფ. 266
მარკუზე, ჰ. 10,155, 156, 262-3, 300, 398
მარტელი, ლ. 176, 399
მარტი, მ. ე. 351-2, 367, 399
მარტოხელა დედები 111, 305
მარქსი, კ. xiv, 2, 7-8, 10-11, 17, 22, 121, 126, 128, 130, 132, 135-8, 140, 143, 146, 150-3, 155-8, 161-7, 176, 210-4, 226, 230, 236, 295, 323, 330, 399
ალსასრული (ან არა) 155-160
ახალგაზრდა 154-5
"ახალგაზრდა" "მოწიფულის" წინააღმდეგ 143
ბაზისი/ზედნაშენი 145-6, 154, 158
დაკარგა წინასწარმეტყველების უნარი 158, 163
ეკონომიკური მეცნიერება 146-8
თანამედროვე 154-6, 296-7
კლასიკური 143-9
მარქსიზმი 2, 11, 13, 128, 130-1, 133, 143-159, 180, 205, 211, 226, 228-9, 260, 300, 329-30, 350, 370, 372
"მეცნიერული სოციალიზმი" 9
მ-ის "მარქსიზმი" 143
ორთოდოქსული კომუნიზმი 148-154
პოლიტიკა 148-9
ფილოსოფია 144-6
"ფუნდამენტალისტური სოციალიზმი" 345
ჰუმანისტური სოციალიზმი ან ეკონომიკური დეტერმინიზმი 175-6
იხ. აგრ. ლენინიზმი; სტალინიზმი
მარქსიზმ-ლენინიზმი 4-6, 23, 149, 152, 154, 205
მკვდარი 175-6
მარქსისტები 7, 9-10, 30, 136, 142, 147, 188, 216, 260
ისტორიკოსები 249
მარშალი, ჰ. 245-6, 336, 399
*მასების ამბოხი* (ორტეგა ი გასეტი) 51
მასლოუ, ა. 326
მასობრივი დემოკრატია 51
მასობრივი პოლიტიკა: "მკვდარი" 245-6
მატერიალიზმი 131-2, 323, 326-8
მაძინი, ჯ. 195-6, 195, 204
*მაჰდი* 357
მდგრადობა 133, 319-23, 335, 383

მედელინი (კოლუმბია) 162
მედია 187-8, 242, 244-5, 263
მედისონი, ჯ. 50, 60
მევახშეობა 340, 353
*მეიფლაუერი* 184
მეიჯორი, ჯ. 113
მემარცხენე-მემარჯვენე დაყოფა 18-22
მემარცხენეობა 383
მემარჯვენეობა 383
მემკვიდრეობა 295
მენეჯერიალიზმი 374, 383
*მენეჯერული რევოლუცია* (Burnham, 1941) 166, 393
მეოთხე ინტერნაციონალი (ტროცკი) 211
*მეორე ეტაპი* (Friedan, 1983) 294, 306, 395
*მეორე სქესი* (Beauvoir, 1949) 299, 392
მერიტოკრატია 39, 91, 172, 384
მერკანტილიზმი 58
მესაკუთრეობა 233, 234
მესაკუთრული ინდივიდუალიზმი 32-3
მესამე გზა 169-174, 174, 175-6, 384
  თემები 170-1
  ფაშისტური ვერსია 133, 250-1, 264-5
  ფასეულობათა ჩარჩო 172
მესამე ინტერნაციონალი (კომინტერნი) 211
მესამე სამყარო 155-6, 354-5
"მესამე სამყაროს მოძრაობა" ("Third Worldizm") 206
მესტრი, ჟ. დე 95
მეტაიდეოლოგია 32
მეტანარატივი / დიდი ნარატივი 77, 159, 373-4
მეტერნიხი, კ. ფონ 178
მეცნიერება და ტექნოლოგია 311-2, 319, 348-9
მეცნიერება xiv, 14, 32-3, 37, 315, 384
  ობიექტურობის "მითი" 368
მეცხრამეტე საუკუნის საფუძვლები (ჩემბერლენი, 1899) 270-1, 394
მეხიკო 212-3, 216, 239-40
მიზოგინია 303, 304, 306-7
მითები: ძველი 315
მითოლოგია 311
"მიკერძოების მობილიზაცია" 278
მილენარიზმი 226, 351, 384
მილერი, დ. 245-6, 399
მილეტი, კ. 279, 280, 300-3, 399
მილი, ჯ. 34, 50-2, 65-7
მილი, ჯ. ს. 15, 33-4, 35, 36, 40-3, 50, 51-2, 65-6, 103, 196, 278, 292, 399
მილიბენდი, რ. 142, 175, 399
მილიტარიზმი 197-8, 203, 208, 244-5, 249-50, 261, 273, 384
მილტონი, ჯ. 41
მინიმალური სახელმწიფო/ ხელისუფლება 54, 106, 110-1, 115, 172-3, 237
*მირი* 216
მიტერანი, ფ. 199
მიტჩელი, ჯ. 298, 399
მიუერთებლობის მოძრაობა 206
მიუნცერი, ტ. 338
მიურეი, ჩ. 110, 399
მიუტიუელიზმი/მუტუალიზმი 230-1, 384
მინა 32, 94, 98, 99, 153
"მიწის ეთიკა" (ლეოპოლდი) 325
მიწოდება და მოთხოვნილება 59
"მკვეთრი ინდივიდუალიზმი" 340
მმართველი კლასი 7, 16, 30, 82, 147, 148, 188, 205, 226, 241
მმართველი კლასის იდეოლოგია 342-3
მმართველი პარტია 158
მმართველობა 80, 91-3, 102-5, 111-12, 166-7, 220, 190, 262-3, 377-8
  ლეგალურ-რაციონალური (ვებერი) 258
  ქარიზმატული 257-8
მოგება (მოგების მოტივი) 67, 109, 124-5, 133, 147, 205, 259, 264-5, 320-30
მოგების მოხვეჭა 230, 353
მოდერნი 77, 363-4, 366
  წინააღმდეგობები 276
  ჯანყი მ-ის წინააღმდეგ 247, 261-2, 271-4
მოდერნიზაცია 24-5, 150, 187, 192-3, 337-8, 365-7, 384
  ფაშისტური 264
მოდერნიზმი 372
მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება 128
მომავალი თაობები 52, 83, 94, 295-6, 323-4
"მომავლურობა" 324
*მომხვეჭელი საზოგადოება* (Tawney, 1921) 162, 401
მომხმარებლები 25, 373
მომხმარებლობა 64, 323, 327, 335
მონარქია 56, 81, 83, 84, 99, 103, 135, 189, 199
  იტალიური 264
მონეტარიზმი 108, 384
მონეტარული კავშირი (EU) 114-5
მონიზმი 384
მონობა 56, 93, 146, 184, 193-4, 237, 278
მონოპოლია 64-5
მონოპოლიები 227
  "ბუნებრივი" 164

მონოპოლიზაცია 147
მონტესკიე, შ. დე 48
მორალისა და კანონმდებლობის
პრინციპები (ბენთამი) 58, 393
მორალური ნეიტრალიტეტი 43
მორალური პასუხისმგებლობა 171
მორალური პლურალიზმი 44, 114
მორალური ფასეულობები/
სტანდარტები 89-90, 98, 111-2
მორასი, შ. 203, 261
მორი, თ. 120, 399
მორისი, უ. 161, 309, 333
მორო, ა. 241
მოსამართლეები 84
მოსლი, ო. 259, 264
მოქალაქეები 56, 189, 282
დაქვემდებარებული სუბიექტების
საპირისპიროდ 177
მოქალაქეობა 186, 190, 377-8, 384
*მოშავის* დასახლებები 126
მოხმარება 28, 57, 59, 74, 107, 131, 321-2,
335
მოხუცებულთა პენსიები 69
მრავალეროვანი იმპერიები 195-6
მრავალფეროვნება 41-3, 75, 159, 200
მრისხანე ბრიგადა (გაერთიანებული
სამეფო) 241-2
მსოფლიო ბანკი 64
მსოფლიო ბატონობა 271-2
მსოფლიო ომი (მეორე) 73, 179, 255-6,
271-2
მსოფლიო ომი (პირველი) 96, 121, 138,
151, 163, 179, 195, 197, 213, 247, 249,
251, 260, 275
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO)
64, 213
მსოფლიო სავაჭრო ცენტრი 350
"მსოფლიო სული" (ჰეგელი) 145
მსოფლიო წესრიგი xv, 23-4
მსოფლიოს ინდოელთა საბჭო 363
მსოფლხედვა (Weltanschauung) 11, 17, 250,
326-7
მანიქეური 350
მტკიცებითი საქმიანობა 361
მულტიეთნიკურობა 187
მულტიკულტურალიზმი 74, 76, 75-6,
114, 183-4, 199-200, 275, 384
მულტირასიალიზმი 187
*მუსლიმანები, იხ.* ისლამი
მუსლიმანური საძმო (ეგვიპტე, 1928-)
353-4
მუსოლინი, ბ. 96, 247-9, 253-5, 257-8,
263, 264, 264-6, 275
მუფი, შ. 159
მუშა-მოსამსახურეები
(დაქირავებულები) 42, 258-9
მუშათა თვითმმართველობა 128
მუშათა კლასი 4-5, 61, 64, 66-7, 91-2,
98-9, 120-3, 127, 130, 135-6, 139-40,
156, 159, 187-8, 270-1
არასოციალისტური 141-3
ნაციონალიზმი 199
პროტექცია 164
რაოდენობა 141
რიცხოვნობის შემცირება 168, 174-5
მუშათა კლასის საერთაშორისო
სოლიდარობა 131, 179, 198, 211
მუშათა კოოპერატივები 35
მუშათა საერთაშორისო გაერთიანება
(პირველი ინტერნაციონალი, 1864-)
211, 216, 229
მუჰამადი, წინასწარმეტყველი 352, 357
მყარი ფული 108
მშვიდობის მოძრაობა 25
მშობლები 92-3
მცირე ბიზნესი 259
*მცირე ლამაზია* (შუმახერი, 1973) 320
მძიმე შრომა 101, 265
მწვანეთა მოძრაობა 22, 308-9, 321, 330,
333
*მწვანეთა ქკნობა* (Bramwell, 1994) 335,
393
*მხოლოდ ერთი დედამიწა*
(გაერთიანებული ერები, 1972) 309,
402

ნაესი, ა. 313, 325, 327
ნამეტი ღირებულება 146-7
ნაპოლეონ მესამე 96
ნაპოლეონ პირველი 201-2
ნაპოლეონის ომები 178, 202-3
ნასერი, გ. 354
ნატო (NATO) 199
ნაყოფიერება (ადამიანის) 301
ნაციზმი 4-6, 11-2, 21, 253, 260, 328
"ფაშიზმთან" დაპირისპირებით **272**
*ნაციონალ-სოციალიზმი, იხ.* ნაციზმი
ნაციონალიზაცია 81-2, 109-110, 132, 158,
164, 166, 168, 205, 385
ნაციონალიზმი 4, 23, 26, 29, 76, 79,
96-7, 105-6, 121, 153-4, 177-214,
249-50, 269, 273, 309, 354, 372
ანტიკოლონიური და
პოსტკოლონიური 204-7
ბიოლოგიური 184, 202-3
ბუნება **312**
განსხვავებით "პატრიოტიზმისგან"
181-2, 191

ნაციონალიზმი (გაგრძ.)
გერმანული 255-6
დაპირისპირებები 193, 197-8
ეთნიკური xv, 23, 26, 180-1, 191, 191-4, 213-4, 339, 359, 363, 366, 379
ეთნოკულტურული 193
ექსპანსიონისტური 193-4, 197-8, 201-4, 261
ეტიმოლოგია 177
კონსერვატიული 15, 198-201, 268
კრიტიკა 187-8
კულტურული 26, 181, 184, 190, 383
ლიბერალური 195-8, 197
ოცდამეერთე საუკუნეში 213-4
პოლიტიკური 191, 194-5, 213-4
რასობრივი 260
რელიგიური ფუნდამენტალიზმი როგორც ნ-ის "ქვესახეობა" 340
საზოგადოება 90
სამოქალაქო 193, 365-7
სამხედრო 265
"სიტუაციონალისტური" მიდგომები 187
"შიზოფრენიული პოლიტიკური ბუნება" 181
შოვინისტური 260, 273
ძირითადი თემები 181-2
წარმოშობა 177-181
ნაციონალური ეკონომიკები 169
ნაცისტები 17, 182, 202, 220, 254, 255-8, 263, 268, 276
რასობრივი თეორიები 269-72
ნაცისტურ-საბჭოური პაქტი (1939) 190
ნაცისტური გერმანია 247-9, 256-7, 261, 263, 266, 274, 328
ნების პოლიტიკა (ფაშიზმი) 252-3
ნეგატიური ინტეგრაცია 202-4
ნედლეული 193-4, 261
ნეოკანტიანიზმი 163
ნეოკეინზიანიზმი 73
ნეოკოლონიალიზმი 206, 244-5, 339
ნეოკონსერვატიზმი (კონსერვატიული ახალი მემარჯვენეობა) 105, 111-2, 115, 116, 116, 369-70, 385
ნეოკორპორატიზმი (ლიბერალური/საზოგადოებრივი კორპორატიზმი) 264-5
ნეოლიბერალიზმი / ნეოკლასიკური ლიბერალიზმი (ლიბერალური ახალი მემარჯვენეობა) 26, 54, 60, 60, 62-4, 105, 106-111, 115, 116, 116-7, 119, 160-1, 170, 385
დაბალი/ნულოვანი ინფლაცია 73
ფუნდამენტალისტური 176
ნეოლიბერალური გლობალიზმი 375
ნეომარქსიზმი (თანამედროვე მარქსიზმი) 8-9, 154-6, 385
ნეორევიზიონიზმი 169-174, 175-6
ნეოფაშიზმი 250
ნეპალი 137
ნერუ, ჯ. 195, 205, 363
ნიდერლანდები 170, 274
ნიერერე, ჯ. 124-5
ნიკარაგუა 122-3
ნიკოლოზ პირველი, მეფე 95
*ნირვანა* 341
"ნიუ ეიჯის" იდეები 326
ნიურნბერგის კანონები (1935) 271
ნიურნბერგის შეკრებები 258
ნიუტონი, ი. 315
ნიცშე, ფ. 236, 252, 262, 256-8, 399
ნიპილიზმი 236, 253, 385
ნოზიკი, რ. 40, 110-111, 111, 115, 238, 400
ნოლტე, ე. 249, 273, 399
*ნომენკლატურა* 153
ნორმატიული 385
ნუერი 216
ნულოვანი წელი 136

ოზალივანი, ნ. 119, 247, 395, 400
ობიექტურობა xiv, 372-3
ოკლაჰომას დაბომბვა (1995) 362
ომარი, მოლა 355
ომე, კ. 26, 400
ომთაშორისი ხანა (1918-39) 179, 201-2, 248-50, 275
ომი 38, 73, 198, 200-1, 212, 237, 254, 260-2, 271, 273-5, 370
ეროვნული გათავისუფლება 179
რელიგია 348-9
ომი ტერორის წინააღმდეგ 114, 198
"ომი საზღვრებს გარეშე" 376
ომისშემდგომი ერა (1945-) 23, 79, 100, 104, 116-7, 141, 161, 168, 176, 180, 190, 203-4, 249-50, 370
ოპერაცია "ბარბაროსა" 255
ორგანული ერთობა/გაერთიანება/თემი 188, 254, 275-6
ორგანული საზოგადოება / ორგანიციზმი 88-90, 91-2, 95, 102, 111-2, 133, 199, 385
ორგანული სოფლის მეურნეობა 329, 335-6
ორთოდოქსობა 385
ორპალატიანობა 46-50
ორტეგა ი გასეტი, ხ. 51
ოსამა ბინ ლადენი 355
ოუენი, რ. 120-1, 125, 144, 161, 296

ოუკშოთი, მ. xiv, 12, 86, 400
ოჯახი 88-9, 111-2, 282-3, 285-6, 330
 ბიოლოგიური 301
 ბურჟუაზიული 295, 297
 გაფართოებული 286
 "პატრიარქალიზმის მთავარი ინსტიტუტი" 300
 "სიმეტრიული" 305
 ტრადიციული 296
 ძალთა გადანაწილება 294
ოჯახის რღვევა 111
*ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა* (Engels, 1884) 295, 395
ოჯახური ფასეულობები 112-3, 304-5, 347, 361

პაკისტანი 290, 339, 355-6
პალესტინა 358, 362
პალესტინელები 182
პალია, კ. 306, 400
პალინგენეტური ულტრანაციონალიზმი (გრიფინი) 251, 261
პანამა 198
პანგერმანიზმი 202
პანგერმანული ლიგა 202
პანნაციონალიზმი 260, 285
პანსლავიზმი 201-2, 203-4
პანხურსტი, ე. 279
პანხურსტი, ქ. 279
*პაპე, დუ* (Maistre, 1817) 95
პაპობა 43, 95, 100-1, 225-6, 358-60
პარეხი, ბ. 349, 367, 400
პარიზი 241, 279
პარიზის მსოფლიო კონფერენცია (1919) 179, 196
პარლამენტარული/საპარლამენტო
 დემოკრატია 276
 პოლიტიკა 150
 სოციალიზმი 99, 117
 ხელისუფლება 47
პარლამენტები 258
პარსონსი, ტ. xiv
პარტიკულარიზმი 74-5, 225-6, 385
პასმორი, კ. 276, 400
პასტორალიზმი 385
პასუხისმგებლობის დეფიციტი 171
პატერნალიზმი 37, 97-102, 98, 167, 170, 385
პატრიარქალობა/პატრიარქატი 220, 281, 287-307, 319, 327, 333, 386
 ეტიმოლოგია 282-3
 თვითრეპროდუქციის უნარი 306-7
 მნიშვნელობები 282-5
 ფაშისტური 255-6
*პატრიარქალური მიდგომები* (Figes, 1970) 298, 395
პატრიოტიზმი 90, 185, 187, 191, 192, 199, 261, 386
 "ნაციონალიზმისგან" განსხვავებით 181-2, 191
პატრონყმობა 32-3
პაუელი, ე. 268
პაციფიზმი 244, 385
პეისლი, ი. 359
"პენისის შური" 303
*პერესტროიკა* 157
პერკისი, ჯ. 245-6, 400
პერმანენტული რევოლუცია (ტროცკიზმი) 212
პერონი, ხ. 79, 96, 248, 251, 264
პერუ 137-8, 178
პიემონტი 178
პიზანი, შ. დე 278
პირდაპირი დემოკრატია 234, 386
პირდაპირი მოქმედება 242, 244, 279, 328, 333, 386, 389
პირველცოდვა 85, 223
პიროვნების კულტი 153-4
პიროვნულობა 287, 293, 294
"პიროვნული პოლიტიკურია" (ლოზუნგი) 282-3
პირსონი, ჩ. 176, 400
პიუს მეცხრე 96
პლატონი 49, 120
პლეხანოვი, გ. 143-4
პლურალიზმი 50, 52, 77, 276, 386
 მორალური და საზოგადოებრივი 91
 სახეობები 42
პოლიტიკა 150, 292-3, 298, 340-5, 368-9, 386
პოგრომები 269
პოდჰორეცი, ნ. 106
პოლ პოტი 136
პოლიარქია 53
პოლიტიკური აგიტაცია 258
პოლიტიკური აზრი
 არადასავლური ტრადიციები xiv
 ტრადიციული 247
პოლიტიკური ეკონომია 144
*პოლიტიკური იდეოლოგიები* (ჰეივუდი): პირველი გამოცემა xiv
პოლიტიკური მითი (სორელი) 252, 384
პოლიტიკური მონაწილეობა 51
პოლიტიკური პარტიები 121, 137-8, 217, 242, 258, 369
 არადემოკრატიული 43
 იდეოლოგიზებული 373-4, 374-5
 კომუნისტური 4-5, 139, 149, 152-4, 161

მარქსისტული 160
მწვანეთა 335
"ნაცრისფერთა" 319, 331
პროგრამატული xv
რევოლუციური 137-8, 142-3, 240
საპარლამენტო 138, 240
საპარლამენტო სოციალისტური 174
საშუალო კლასის 141
სოციალისტური 141-3, 330-1
სოციალისტური პარტიების მიერ მოპოვებული ხმები 141
პოლიტიკური საქონელი 3
პოლიტიკური ცხოვრება: ქალთა წარმომადგენლობა 293
პოლიციით უზრუნველყოფა 238-9
პოლონეთი/პოლონელები 179, 183, 190, 196, 198, 211, 256
პოპერი, კ. 11-2, 158, 400
პოპულაციის ზრდა 313-4
პოპულიზმი 96-7, 348, 386
პორნოგრაფია 113, 304, 347
პორტუგალია 104, 248
პოსტ-იზმები xvi, 25-6, 372
პოსტიდეოლოგიური ხანა 376
პოსტინდუსტრიალიზმი 369
პოსტინდუსტრიული ხანა 323
პოსტკოლონიალიზმი 206, 275, 338
პოსტკომუნისტური ერა 109-110, 331
პოსტლიბერალიზმი xvi, 25, 44-5, 77
პოსტმარქსიზმი xvi, 25, 159
პოსტმატერიალიზმი 325-6, 386
პოსტმოდერნი xv, 25, 118, 159, 246, 366-7, 372-4, 386
პოსტმოდერნიზმი xvi, 65-7, 118, 159, 170, 366-7, 373, 376, 386
პოსტმოდერნული საზოგადოება xv, 27
პოსტსოციალიზმი 169-70
პოსტსტრუქტურალიზმი 159
პოსტფემინიზმი xvi, 25, 280-1, 304, 306
პოსტფორდიზმი 131
პრაგმატიზმი 12, 13, 82, 86, 97, 104, 167, 170, 358, 386
"პრაგმატული ფუნდამენტალიზმი" (ირანი, პოსტ-ხომეინური) 339-40
პრივატიზაცია 94, 109, 134, 386
პრინციპის პოლიტიკა 81-2
პროგრესი 37, 89, 120, 252, 329, 373, 387
პროგრესული კონსერვატიული პარტია (კანადა) 79
პროლეტარიატი 8-9, 131, 145-7, 148-50, 164, 158-9, 163, 211, 386
პროლეტარიატის გალატაკება 147-8
პროლეტარიატის დიქტატურა 136, 149-50, 152, 165, 229, 386
პროპაგანდა 258
პროსტიტუცია 297, 305, 347
პროტესტანტიზმი 183, 265, 337, 338-9, 351, 359, 362-3
კაპიტალიზმის სული 100-1
ფუნდამენტალიზმი 340, 346
პროტექციონიზმი 387
პროფესიული კავშირები 71-2, 100-1, 121, 137
პროფკავშირული ცნობიერება (ლენინი) 142-3, 151
"პრო-ქალური" პოზიცია 301
პრუდონი, პ.-ჟ. 135, 215, 219, 224, 229, 231, 233, 243
პრუსია 178, 190, 263
პურიტანები 338

ჟენევა 338, 359

*რა არის საკუთრება?* (Proudhon, 1840) 215, 230, 400
*რა ვაკეთოთ?* (Lenin, 1902) 9, 151
რაბინი, ი. 350
რადიკალიზმი 387
რადიკალური დემოკრატია 387
რადიკალური ტრადიცია (Tawney, 1964) 162
რადიოაქტიური ნარჩენები 323
რაითი, ა. 176, 402
რაიხი, ვ. 300
რაიხსტაგი 139
რამა 363-4
რამსეი, მ. 77, 400
რანდი, ა. 237-8
რასა 74-5, 129, 133, 185, 213-4, 254-5, 258-61, 262-3, 304, 387
პოლიტიკა 267-9
ფემინიზმი 295
რასიალიზმი 194, 202, 207, 262-3, 267, 328-9, 372, 387
ბიოლოგიური 269, 270
გლეხური იდეოლოგია 272-3
ნაცისტური რასობრივი თეორიები 269-72
პოლიტიკური 267
ფაშიზმი 266-72
რასიზმი 43
"რასიალიზმისგან" განსხვავებით 267
რასობრივი დისკრიმინაცია 244
რასობრივი ექსტერმინაცია 3
რასობრივი სიწმინდე 202-3
რასობრივი ჰარმონია 326
რაფსანჯანი, ჰ. 358
რაციონალიზმი 32-3, 37, 37, 86, 250-1, 387

*რაციონალიზმი პოლიტიკაში* (Oakeshott, 1962) 400
რაციონალობა xiv, 16, 237-8, 298-9, 369-70
რაციონალური აზრი 82
რეაქციულობა 387
რეგანი, თ. 324, 400
რეგიონი 193, 213-4
რედუქციონიზმი 315
რევიზიონიზმი 345, 387
რევოლუცია 86, 89, 95, 98, 121, 148, 205, 228, 232, 297, 347-8, 370-1, 387
რევოლუციები 1848 წლისა 177
*რევოლუციის ღალატი* (Trotsky, 1937) 212
რევოლუციური სამართალი 241-2
რეიგანი, რ. 79, 113-5, 198, 305, 362
რეიგანიზმი 62, 80
რეიგანომიკა 109
რეიფიკაცია (ლუკასი) 155
რელატივიზმი 344, 387
რელიგია 32, 83, 182, 187, 191, 200, 206, 214, 243, 268, 311, 340-4, **342**, 362, 366
  ორგანიზებული 225
  პრიმიტიული 317, 334
  სეკულარული 11-2
  ძველი 315
  წარმართული 309
  წინარექრისტიანული 316, 333-4
"რელიგიის პრივატიზაცია" 341-2
რელიგიური მრგვალი მაგიდა 361
რელიგიური ფუნდამენტალიზმი xv, 23, 26, 31, 75-6, 83, 207, 337-367, 372
  "აქტიური" 345
  გენდერი **287**
  ერი **185**
  ეტიმოლოგია 337-8
  თავისუფლება **36**
  იდეოლოგია 17
  იმპულსი 344-7
  ისლამური 352-6
  ისტორია 371
  ოცდამეერთე საუკუნეში 365-7
  "პასიური" 342-5
  რელიგია **342**
  სახელმწიფო 220
  სახეობები 351-65
  ქრისტიანული 358-363
  შიიტური 355-58
  ძირითადი თემები 339-352
  წარმოშობა 337-40
  ხელისუფლება **220**
რეპატრიაცია 105, 200
რეპრეზენტატული მმართველობა 29
რეპრესიული ტოლერანტობა (მარკუზე) 155
რესპუბლიკური პარტია (აშშ) 3, 79, 347, 362
რესურსების გადანაწილება 107
რეფორმა 79, 86, 89, 95, 98, 99, 101, 371
  ბაზარზე ორიენტირებული 156
რეფორმიზმი 232, 387
რეფორმის აქტი (გაერთიანებული სამეფო, 1867) 98, 278
რიკარდო, დ. 2, 58, 101, 107, 323
რისკი 375
რობერტსონი, პ. 362
*როგორ გადარჩე* (Ehrlich and Harriman, 1971) 309, 395
*როგორი უნდა იყოს წარმომადგენლობითი მთავრობა* (J. S. Mill, 1861) 35, 339
როთბარდი, მ. 238, 400
როიმერი, ჯ. 156, 400
რომი 295-6
  *იხ.* აგრ. იმპერიული რომი
რომი, ე. 260
რომის კლუბი 309, 394, 399
რორტი, რ. 76, 400
როულსი, ჯ. 35, 40, 70, 70-1, 110-11, 400
როქდეილის პიონერები 126
რუზველტი, ფ. დ. 69, 72
რუმინეთი 248
რუსეთი 11, 95, 133, 135, 138, 150, 157, 178, 189-90, 202, 216
  სამოქალაქო ომი 150
რუსეთის იმპერია 179
რუსეთის რევოლუცია 121, 149, 160-1, 176, 249
რუსი ხალხოსნები 240-41
რუსო, ჟ.-ჟ. 37, 51, 177, 188-9, 189, 195, 223, 258, 400

საარჩევნო / ხმის მიცემის უფლება 65, 68, 96-7, 135, 136, 138, 139-40
  ქალთა 34-5, 277, 279
  უნივერსალური 51, 83
სააქციო საზოგადოებები 163
საბაზრო ეკონომიკა 76, 108, 142, 160, 170
საბაზრო ეკონომიკის მეცნიერება 340-1, 370-1
საბაზრო ინდივიდუალიზმი 117
საბაზრო მექანიზმი 106-7, 109, 110
საბაზრო პრინციპები 349
საბაზრო რეფორმები 174
საბაზრო საზოგადოება 40-1
საბაზრო სახელმწიფო 63, 74, 173

საბაზრო სოციალიზმი 387
საბაზრო ფუნდამენტალიზმი 62, 171
საბაზრო ძალები 59, 84, 104, 238
საბჭოთა კავშირი 2, 5, 23, 81, 106-7, 122, 126, 134, 137, 149, 152-3, 175-6, 181, 190, 202, 256, 261, 354, 370-2
  ალსასრული 156
  "ბიუროკრატიული გადაგვარება" (ტროცკი) 158
  "ბოროტების იმპერია" 114
  ენვირონმენტალური პრობლემები 331
  კონსტიტუცია 134
  პატრიარქალობა/პატრიარქატი 298
  პოსტკომუნისტური 213-4
საბჭოთა კავშირი: დაგეგმვის სახელმწიფო კომიტეტი (გოსპლანი) 153
სადათი, ა. 350, 355
სადამ ჰუსეინი 24, 206
საერთაშორისო განვითარება 179
საერთაშორისო კონკურენცია 169
საერთაშორისო სასამართლო 169-70
საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო 131-2
საერთო მფლობელობა 94, 331
სავაჭრო ნიშნების კულტურა 374
"სახელმწიფო სისტემა" (მილიბენდი) 142
"საზოგადო ნება" 189, 195, 388
საზოგადო(ებრივი)/სახელმწიფო საკუთრება/მფლობელობა 109-110, 134
საზოგადოება 58, 117, 142, 144
  "არ არსებობს მსგავსი რამ" 88-9, 110-11
  მექანიკური ხედვა 89
საზოგადოებრივი არჩევანის თეორეტიკოსები 63
საზოგადოებრივი დანახარჯები 72, 108-110
საზოგადოებრივი ინტერესი 63
*საზოგადოებრივი მამაკაცი, კერძო ქალი* (Elshtain, 1981) 282, 290, 306, 395
საზოგადოებრივი საკუთრება 109, 123, 132, 134, 164, 166
საზოგადოებრივი სამუშაოები 72
საზოგადოებრივი სექტორი 109
საზოგადოებრივი სიკეთე 170-1
საზოგადოებრივი ცხოვრება 292, 300, 305
  პატრიარქალობა 298
  ქალთა წარმომადგენლობა 292
*საზრისი და უსაზრისობა ფსიქოლოგიაში* (Eysenck, 1964) 21, 395
საზღვაო ლიგა (გერმანია) 202
სათათბირო დემოკრატია 376, 388
სათბურის ეფექტი 310
საიენტიზმი (scientism) 315, 388
საკანონმდებლო ხელისუფლება 51
საკვები 213
საკვები ჯაჭვი 325
საკომანდო სიმაღლეები 153, 165
საკონსტიტუციო მთავრობა 25-6, 29, 178
საკონსტიტუციო მონარქია 44-6
საკონსტიტუციო რეფორმა 58
საკრალური ტექსტები 346, 351
საკუთრება 60, 93-4, 388
  "ქურდობა" (პრუდონი) 230, 233
საკუთრების უფლებები 44-5, 111, 227, 230
სალაზარი, ა. 248
სამართლიანობა 18, 38-40, 388
*სამართლიანობის თეორია* (როულსი, 1970) 40, 70, 400
სამართლიანობისა და განვითარების პარტია (AKP, თურქეთი) 354-5
სამედიცინო მეცნიერება 315-6
სამეზობლო მეთვალყურეობა 239
*სამეცნიერო რევოლუციის სტრუქტურა* (Kuhn, 1962) 13-4, 398
სამეწარმეო/სამრეწველო კანონმდებლობა 60, 120
სამთა ალიანსი (გერმანია, ავსტრია, იტალია) 201
სამთა ანტანტა (გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, რუსეთი) 201
სამნერი, უ. 61, 401
სამოქალაქო დაუმორჩილებლობა 237, 239
*სამოქალაქო დაუმორჩილებლობა* (უორენი) 237, 402
სამოქალაქო თავისუფლება 29, 69, 157
სამოქალაქო საზოგადოება 49, 54, 65, 262, 388
სამოქალაქო უფლებები 70, 361
სამუშაო პირობები 60, 64-5, 231
სამუშაო საათები 60, 120, 231
სამხედრო დანახარჯები 73
სამხრეთი ამერიკა 136, 162-3, 178, 194-5, 216
სამხრეთი აფრიკა 184, 268
სამხრეთი ევროპა 216
სამხრეთი იემენი 205
სანდელი, მ. 75, 171, 400

სანდინისტი პარტიზანები 122
საომარი სულისკვეთება 349-351, 388
სარტრი, ჟ.-პ. 299
სასამართლოები 238
სასონი, დ. 294, 401
სასოფლო თემები 323
სასოფლო-სამეურნეო ქვეყნები 150
სასჯელი 84-5, 113, 221
სატანა 357
"დიდი სატანა" 357
*სატიაგრაჰა* 244
საფრანგეთ-პრუსიის ომი 178
საფრანგეთი 95-6, 120, 135, 142, 148, 150, 161, 178, 184, 216, 225, 230, 240, 301
საფრანგეთის რევოლუცია xiv, 19-20, 28, 47-8, 78, 84, 95, 97, 156, 177, 188-9, 192, 195, 202, 215, 252, 278, 291
"გაუქმებული" (ნაცისტური გერმანია) 247
საფრანგეთის სოციალისტური პარტია (1905-) 139, 168
*საფუძვლები* (პროტესტანტული პამფლეტები, 1910-15) 338
საყოველთაო გაფიცვა 232
საყოველთაო კეთილდღეობა 30-1, 40, 105, 171
საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო 19-20, 68, 81, 110, 117-8, 130, 166, 168-9, 304-5
"ფისკალური კრიზისი" 168
საშუალო კლასი 4-5, 28, 130-2, 135, 178
ზრდა 164
ინდოეთი 363-4
ქალები 294
ქვედა 249, 259, 270
*საშუალო ხაზი* (Macmillan, 1938) 99-100
საცხოვრებლით უზრუნველყოფა 69, 98
საწარმოო ურთიერთობები 148
საჭიროებათა იერარქია (მასლოუ) 326
სახალხო განმათავისუფლებელი ფრონტი (შრი ლანკა) 365
სახალხო მონაწილეობა 234
სახალხო სუვერენიტეტი 188
სახელისუფლო რეგულირება 20, 102, 109
სახელმწიფო 23-4, 44, 48, 54-6, 124-5, 142, 180-2, 187, 220, 223-4, 234, 349, 388
"აუცილებელი ბოროტება" (პეინი) 54
"ბოროტი და მჩაგვრელი" 239-40
ბურჟუაზიული 136, 147-9
"გაქრობა" (მარქსისტული) 229
კლასთა ჩაგვრის აგენტი 135
ფაშიზმი 261-6
ს-ს გაუქმება 233
ძლიერი 115, 117
სახელმწიფო ავტორიტარიზმი 112
*სახელმწიფო და რევოლუცია* (ლენინი, 1917) 151, 398
სახელმწიფო სოციალიზმი 134, 152, 227, 330-1, 388
ენვირონმენტალური პრობლემები 330-1
სახელმწიფო ძალაუფლება 229
*სახელმწიფო* (პლატონი) 120, 399
სახელმწიფოს თაყვანისცემა 263, 273
სახელმწიფოს ინტერვენცია/ჩარევა 68, 170, 256
სახელმწიფოს უკანდახევა 110, 155, 118
სახეობათა გადაშენება 313, 334-5
*სახეობათა წარმოშობა* (დარვინი) 254-5, 400
სახლი 93, 94
საჯარო/პირადი დაყოფა 40-1, 262-3, 281-3, 291, 306-7, 310, 398
პოლიტიკა/რელიგია 341-3, 366-7
ს./პ. დ-ის ისლამური უარყოფა 352-3, 355-6
სახელმწიფო/ეკლესია 341-3, 359-60
"საჯარო საქონელი" 238-9
სეკულარიზაცია 359, 366-7
სეკულარიზმი 96-7, 341, 347, 350
სენ-სიმონი, შ. პ. 120, 144
სენეკა ფოლსის თავყრილობა (1848) 278
სეპარატიზმი 191, 388
სერბია/სერბები 181, 198
სესილი, პ. 81, 394
სექსიზმი 283, 300
*სიბილა* (Disraeli, 1845) 98
სიბრძნე 49
სიკვდილით დასჯა 86, 113, 151, 358
სიკჰები/სიკჰიზმი 337, 339, 350, 363
სიმართლე xiv, 13-9, 236-7
სიმდიდრე/კეთილდღეობა 39, 131-2, 221-2, 288-9
მფლობელობის გაფართოება 163
სიმდიდრის რედისტრიბუცია 40-1, 111, 128, 166
"ლეგალიზებული ქურდობა" 111
სიმდიდრის/კეთილდღეობის შექმნა 168, 322
სინგაპური 214
სინდიკალიზმი 216, 240, 260, 389
სინდისის/რწმენის თავისუფლება 29, 41, 69
სინჰალელები 339, 365

სიონიზმი (Zionism) 364, 365, 389
სირია 186, 353
"სისტემა" 156
სისტემური ხედვა (სამყაროსი) 316
"სისხლი და ნიადაგი" (დარე) 271-2, 328-330
სიტყვის თავისუფლება 30, 69
სილატაკე 39, 64, 66, 68-71, 112, 120, 135, 162-3, 319
სილატაკის აღმოფხვრა 128, 172-3
"სიცოცხლის ქსელი" (კაპრა) 310-11, 393
სიხარბე 233, 325, 343, 257
სკინერი, ბ. ფ. 2
სკრუტონი, რ. 115, 119, 401
სლავები 202, 271
სლოგანები/ლოზუნგები 247, 252-3, 310
სლოვაკები 198
სლოვაკეთის რესპუბლიკა (სლოვაკია) 180-1
სლოვენები 198
სმაილზი, ს. 60-2, 401
სმითი, ა. 2, 37, 58-9, 59, 62, 84, 101-2, 105, 401
სმითი, ა. დ. 187, 214, 397, 401
სმუთსი, ჯ. 315
სოკრატე 60
სორელი, ჯ. 132, 252, 259, 401
სოფლის მეურნეობა / ფერმერობა 127, 153, 187, 328-9, 259, 321, 328, 332, 390
სოციალური დარვინიზმი 60, 254-6, 269
სოციალიზაცია 188, 298
სოციალიზმი xv, 5, 16, 25, 29, 70, 74, 96, 103, 117, 120-176, 179, 205, 297
  ადამიანური ბუნება 87
  ახალი პარადიგმის ძიება 176
  ბუნება 312
  გენდერი 287
  გრადუალისტური 139-143
  დამოუკიდებლობის შემდგომდროინდელი 339-40
  დაპირისპირებები 165, 174
  დემოკრატია 52
  დემოკრატიული 23, 141, 158, 130, 176
  დეფინიციები 134
  ევოლუციური 137-9
  ეთიკური 161-3, 340-1
  ეკონომიკა 133
  ერი 185
  ეტიმოლოგია 120
  თავისუფლება 36
  თანასწორობა 129
  იდეოლოგია 17
  ისლამური/არაბული 354
  ისტორია 371
  "კიბერნეტიკული მოდელი" (გიდენსი) 169
  "მეცნიერული" 143, 161
  "მკვდარი" (თუ არა) 122-3, 170-1, 175-6
  ოცდამეერთე საუკუნეში 174-6
  რევიზიონისტური 134, 163-7
  რევოლუციური 135-7, 160, 228-9
  რელიგია 342
  საზოგადოება 90
  საპარლამენტო 99, 116-7, 160, 174, 228-9
  საშუალებები და მიზნები 134
  სახელმწიფო 220
  "უტოპიური" 161
  ფაშისტური ვერსია 281-3
  ფუნდამენტალისტური 134, 136, 167
  "შემპარავი" 24
  ძირითადი თემები 122-134
  წარმოშობა 120-2
  ხელისუფლება 220
სოციალიზმი ერთ ქვეყანაში (სტალინიზმი) 152, 211
*სოციალიზმი სკეპტიკური საუკუნისთვის* (Miliband, 1995) 175, 399
*სოციალიზმის მომავალი* (Crosland, 1956) 166, 394
სოციალისტური ინტერნაციონალი (მეორე ინტერნაციონალი, 1889-1914, 1951-) 211, 212
სოციალისტური ლიბერალიზმი 66
სოციალურ-დემოკრატიული ლიბერალიზმი 70
სოციალურ-დემოკრატიული პარტია (SPD, 1875-), გერმანია 139, 160, 163-4, 168
  ამომრჩეველთა საუკეთესო მაჩვენებელი 141
  ბად გოდესბერგის კონგრესი (1959) 165
სოციალური (რაინ-ალპური) კაპიტალიზმი 102
სოციალური ადამიანი (რუსო) 188-9
სოციალური ავტორიტარიზმი 112, 117
სოციალური გარიყულობა/ჩართულობა 118, 171-2
სოციალური დემოკრატია 26, 121, 128, 133-4, 142, 276-292, 165, 174, 176, 370, 389
  განსაზღვრებები 159-61

თავისებურებები 159-161
კეინზიანური 167-69, 176
კომუნიზმის კოლაფსით
ზიანმიყენებული
ინტელექტუალური სანდოობა
169
კრიზისი 167-69
მოდერნიზებული 161
"რევიზიონისტული სოციალიზმი"
345
სოციალური ეკოლოგია (ბუკჩინი) 224, 314, 332-4, 389
სოციალური ვალდებულება 97-8
სოციალური თანასწორობა/
უთანასწორობა 39-40, 64, 96, 98, 126
სოციალური კლასი 2, 4-5, 130-2, 159-60, 172, 228-9, 265, 297, 389
ფემინიზმი 294
*იხ. აგრ.* კლასობრივი კონფლიქტი
სოციალური კლუბები 121, 138
სოციალური კონსერვატიზმი 115, 170
სოციალური კონტრაქტი 44-5, 55, 86, 221, 263, 389
*სოციალური კონტრაქტი* (Rousseau, 1762) 223, 400
სოციალური ლიბერალიზმი 68-71
სოციალური პარტნიორობა (ცნება) 101
სოციალური პასუხისმგებლობა 34, 69, 91-2
სოციალური პრივილეგია 39
სოციალური რევოლუცია 179, 188, 205, 212, 270, 297, 330, 389
სოციალური რეფლექსურობა 173
სოციალური რეფორმა: ამომრჩეველთა
ზენოლა 68
სოციალური რეფორმიზმი 376
სოციალური საბაზრო ეკონომიკა 100
სოციალური სამართლიანობა/
უსამართლობა 38, 86, 112, 134, 163, 166, 347
სოციალური სოლიდარობა 71, 228
სოციალური სტაბილობა 76, 305, 332-3
სოციალური ფრაგმენტაცია 73-4, 111
სოციალური ძალები: ზეგავლენა
მეცნიერებაზე 368
სოციალური წრთობა (conditioning) 222-3, 300
სოციალური/საზოგადოებრივი
ერთიანობა 84, 105-6, 116, 178, 198, 258, 344
სპენსერი, პ. 214, 401
სპენსერი, ჰ. 61, 233, 254, 401
სპიშისიზმი (speciesism) 324
სპორტი 121, 213
სპუნერი, ლ. 111, 236
სრული დასაქმება 73, 99, 164
*სრული ქალი* (Greer, 1999) 305-7
სტაგფლაცია 105-6, 108
სტალინი 150, 152-4, 153, 211, 212
სტალინიზმი 11-2, 21, 137-8, 152-4, 156, 175-6, 211, 389
სტატუტური სამართალი 48
სტეიტიზმი 389
სტენტონი, ე. ჩ. 278
სტიმულები 118, 126, 128, 370-1
სტოიკოსები 215
სტუდენტობა 155, 244, 328
სუბსიდიარობა 101
სუბსტიციონიზმი (ლუქსემბურგი) 157-8
სუდანი 290, 353
სუვერენობა/სუვერენიტეტი 389
სუვერენული სახელმწიფო 44, 45-6, 223
სულის/ფსიქეს რევოლუცია 260
სუნ იატ-სენი 195
სუნიტი მუსლიმანები 352, 356-7
"სუპრატერიტორიული"
ურთიერთობები 374-5
სუპრანაციონალიზმი 199, 209, 389
"სუფრაჟისტი ქალები" 279
სქესთა ომი 297
სქესი 285-7
"გენდერისგან" განსხვავებით
285-7
*სქესი და ბედისწერა* (Greer, 1985) 306, 397
*სქესის დიალექტიკა* (Firestone, 1972) 300, 395
*სქესობრივი პოლიტიკა* (Millett, 1970) 279, 281-2, 300, 399
სქესობრივი პოლიტიკა 283, 296-7
სქესობრივი ჩაგვრა 300
სქუირსი, ჯ. 307, 401
"სწორად დამოძღვრილი ხალიფები"
357
სხვაობის (ფემინისტური) პოლიტიკა
74-5

ტაკერი, ბ. 111, 236-7
ტალმონი, ჯ. ლ. 11-2, 401
ტანზანია 206
ტაოიზმი 212, 224, 226, 309, 317
ტეილორი, ჰ. 292
ტელევანგელისტები 348, 361
ტელევიზია 213

ტერორიზმი 22, 24, 76, 114, 117, 191, 239-243, 350, 351, 362, 389
  ანარქისტული 215
ტექნოლოგია 158, 266, 272, 368
ტიანანმენის მოედანი 156
ტიბეტელები 182
ტოკვილი, ა. დე 50, 66, 157
ტოლერანტობა/შემწყნარებლობა 41, 276, 389
ტოლსტოი, ლ. 243
ტონი, რ. პ. 128, 162, 162, 163, 401-2
ტონისი, ფ. 187
"ტორების დემოკრატია" 98-100
ტორიზმი 78, 100, 389
ტოტალიტარიზმი 11-2, 20, 63, 95, 137, 154, 157, 250, 258, 263, 356, 390
ტოტალიტარული დემოკრატია 258, 390
ტოტალიტარული იდეალი 262-4
ტოტალური ქარიზმატული თემი (გრეგორი) 251
ტრადიცია 37, 79, 80, 91, 98-100, 105, 116, 182, 192, 201, 204, 325, 390
  ეროვნული 176
  საზიარო 184
ტრადიციონალიზმი 86, 347
ტრადიციულ ფასეულობათა დაცვის ამერიკული კოალიცია 361
ტრაიბალიზმი 197, 206
ტრაიბალური სოციალიზმი 125
ტრანსნაციონალური კორპორაციები 26, 64, 74-5, 213, 375
ტრანსნაციონალური ორგანიზაციები 375
"ტრანსპერსონალური ეკოლოგია" (ფოქსი) 326
ტრედიუნიონიზმი: რევოლუციური 216, 231-2
ტრევორ-როპერი, პ. 250-1
ტრესი, ა. დ. დე 7
ტროცკი, ლ. 152, 158, 175, 211, 212
ტურიზმი 213

უები, ბ. 138
უები, ს. 138
უელსი, პ. ჯ. 138
უელსური ნაციონალიზმი 180, 183, 190, 192-3
უთანასწორობა 91-2, 112, 118
უილეტსი, დ. 115, 119, 396, 402
უილიამი და მერი 46
უილსონი, ვ. 179, 196-8, 198, 204, 209
  თოთხმეტი პუნქტი 195
უკან მიწისკენ/ბუნებისკენ 309, 328
უკლასო საზოგადოება 161-3
ულამა (რელიგიური მკვლევარნი) 50, 52, 58
ულტრალიბერალიზმი 357
ულტრანაციონალიზმი 217-8
ულტრასოციალიზმი 260-2
უმაღლესი სასჯელი 221
უმრავლესობის ტირანია (ტოკვილი) 50, 398
უმუშევრობა 60, 64, 69, 71-4, 103, 106, 121, 135, 147, 164, 168, 249
  "ბუნებრივი დონე" (ფრიდმანი) 62-3, 108-110
უმცირესობათა ჯგუფები 198
უნარ-ჩვევები 141, 170-3, 321-2
უნგრეთი/უნგრელები 178, 196, 248
უნივერსალიზმი 75, 252-3, 390
უნიპოლარული მსოფლიო წესრიგი xv
უოლმენი, პ. 214, 401
უოლსთოუნქრაფთი, მ. 222, 161-2, 291-2, 291, 402
უოტსონი, ჯ. ბ. 2
ურთიერთდამოკიდებულება 208, 210, 223-4, 261
ურთიერთდახმარება (კროპოტკინი) 228, 232-3, 234
ურუგვაი 216
"უსახელო პრობლემა" (ფრიდანი) 292
უტილიტარიზმი 51, 67, 63, 66, 172-3, 323, 390
  "უდიდესი ბედნიერების" პრინციპი 51, 57
უტოპიზმი 11, 121, 125, 144, 212, 217, 221, 223, 223-4, 296, 369-70, 390
  ეტიმოლოგია 223-4
უფლებები 89, 104, 116, 171, 189, 390
  "ნეგატიური" და "პოზიტიური" 69
"უფრო დიდი გერმანია" 261
ულირსი ლატაკობა 110
უხილავი ხელი 59-60, 63-4, 72, 237-8

ფაბიანური სოციალიზმი (ფაბიანიზმი) 70, 138-9, 163
ფაბიუს მაქსიმუსი, გენერალი (გარდ. ძვ. წ. 203) 158-9
ფაიერსთოუნი, ს. 300-1, 395
ფალუდი, ს. 305, 395
ფალუელი, ჯ. 113, 361
ფანონი, ფ. 136, 395
ფარდობითობის თეორია (აინშტაინი) 316
ფასის მექანიზმი 63
ფატიმა (წინასწარმეტყველ მუჰამადის ასული) 357

ფაშიზმი 11, 13, 15, 19, 21, 74, 96, 70, 179, 201, 247-76, 309, 369-70
1945-ის შემდგომდროინდელი 276
ადამიანის ბუნება 87
ბუნება 312
ბუნება და მიზეზები 276
"გადაარჩენს კაპიტალიზმს" 260-1
გენდერი 287
Götterdämmerung 273
დაპირისპირებები 272
დემოკრატია 52
ეკონომიკა 133
ერი 185, 186
ეტიმოლოგია 247
თავისუფლება 36
"თანაბრად მტრული დამოკიდებულება კაპიტალიზმისა და კომუნიზმის მიმართ" 249, 258-9
თანასწორობა 129
იდეოლოგია 17
ისტორია 371
"ნაციზმთან" შეპირისპირებით 272
ნეოფაშიზმი 275
ომთაშორისი 276
ოცდამეერთე საუკუნეში 272-76
პოსტფაშიზმი 274
რელიგია 342
საზოგადოება 90
სახელმწიფო 220, 261-66
"უფორმო" 251
"ცენტრის ექსტრემიზმი" 249
*ძირითადი თემები* 249-62
წარმოშობა 247-50
ხელისუფლება 220
ფაშისტთა ბრიტანული კავშირი 259
ფაშისტი ადამიანი 260
ფაშისტური იტალია 248-9, 261-66
ფაშისტური პარტია (იტალია, 1919-) 248, 263
ფაშისტური ჯგუფებისა და კორპორაციების პალატა (იტალია, 1939-) 265
ფედერალიზმი 48, 101, 191, 210, 390
*ფედერალისტი* (1787-8) 50
*ფედერალური პრინციპი* (Prundhon, 1863) 230
ფეინი, თ. 54
ფემინიზმი 21, 26, 74-5, 207, 244, 277-307, 326, 370
ადამიანის ბუნება 87
ამოცანა 287
ახალი ტრადიციები 303-4
ბუნება 312
გენდერი 287
დაპირისპირებები 290, 302
დერადიკალიზაცია 280, 306
ეგალიტარული 289, 290
თანასწორობა 129
"თეთრკანიანთა, საშუალო კლასის" 294
თეორიები 306
კულტურული 289, 301, 303
ლესბიანური 302-4
ლიბერალური 281, 291-4, 302-3
მარქსისტული 281, 297
მეორე ტალღის 279, 292-3, 298, 305
მესამე ტალღის 307
ოცდამეერთე საუკუნეში 304-7
პირველი ტალღის 278, 291, 305
პოლიტიკური 292
პოსტმოდერნული 286, 288, 290, 303-4
პოსტსტრუქტურალური 303
პოსტფემინიზმი xv, 25, 280-1, 304-7
რადიკალური 25, 281, 291, 298-306, 307, 302, 387
რეაქციული 290-1
საზოგადოება 90
საკითხები 306
სახელმწიფო 220
სეპარატისტული 287-8, 301-5
სოციალისტური 15, 281, 285, 288, 295-8
სხვაობის 288-9, 290
ტერმინი 277
ფრაგმენტაცია/ბზარები 280-1, 288, 304-5
ფსიქოანალიტიკური 303
შავკანიანთა 295, 303
*ძირითადი თემები* 280-88
წარმოშობა 277-81
"ფემინურობის კულტი" 296
ფენომენოლოგია 155
ფეოდალიზმი 28, 32, 40, 145-6, 390
ფიგისი, ე. 298-9, 395
*ფიზიკის ტაო* (Capra, 1975) 317, 393
ფილიპინები 183
ფინეთი 179
ფინი, გ. 274
ფიხტე, ფ. გ. 192, 202
*ფლობა თუ ყოფნა?* (Fromm, 1979) 327, 395
*ფოიერბახის თეზისები* (Marx, 1845) 144
ფორი, ს. 218
ფორტინი, პ. 274
ფოქსი, უ. 327, 395
*ფრაგმენტები მმართველობის შესახებ* (ბენთამი) 58

ფრანგი ერი 189
ფრანკო, გენერალი 216, 248, 250
ფრანკფურტის პარლამენტი 178
ფრანკფურტის სკოლა 10, 155
ფრიდანი, ბ. 279, 280, 292-3, 303, 306, 395
ფრიდენი, მ. 16, 27, 376, 395
ფრიდმანი, დ. 238
ფრიდმანი, მ. 62-3, 107-8, 395
ფრიდმანი, ჯ. 307, 395
ფროიდი, ზ. 155, 303
ფრომი, ე. 250, 327, 395
ფსევდომეცნიერება 269
ფსიქოანალიზი 290, 303
ფსიქობიოლოგია 287-9
ფსიქოლოგია 2, 249-50
ფუკუიამა, ფ. 74, 157, 175, 370, 395
ფულადი რესურსები 108
ფულის ბეჭდვა 108-110
ფუნდამენტალიზმი 346, 390
ფუნდაციონალიზმი 373-4
ფუნქციონალიზმი 89
ფურიე, შ. 121, 125, 144, 161, 296

ქალაქები (cities) 69, 272-3, 322, 329
ქალაქები (towns) 32-3, 272-3, 329-30
ქალები 52, 67, 75, 111, 120, 155-6, 310-11, 361
ანტიდისკრიმინაციული კანონები 305-6
განათლების უფლება 277, 282-5, 292, 305
დაჩაგრული 282-3, 287-8, 294-5, 296-302, 305-6
დასაქმებულობა დაბალი სტატუსით 295-6, 305-6
დედის როლი 279, 288-9
დიასახლისი-ცოლის როლი 279
დისკრიმინაცია 292-3
თავისუფლებები 291-2
თალიბანის რეჟიმი 354-6
თანასწორი უფლებები 291-2, 294-5
თვისებები 301
კარიერის უფლება 292-3, 305-6
კლასობრივი მილწევები 294
"მამაკაცად იდენტიფიცირებულნი" და "ქალად იდენტიფიცირებულნი" 302-4
მოვალეობები 284-5
ნეგატიური/პოზიტიური მახასიათებლები 286-7
პოლიტიკური გავლენის უფლება 278, 282-5, 300, 304-6
საზოგადოებრივი მდგომარეობა 284-5
სამართლებრივი უფლებები 278, 304-5
სტერეოტიპები 305-6
ტრადიციული ფასეულობები 334-5
უფლებები 284, 291
"შრომის სარეზერვო არმია" 295-6
შრომის უფლება 282-3
ხმის მიცემის უფლებები 136, 291, 292-4, 305
ქალთა გათავისუფლება 279, 300
ისლამური 291
ქალთა გათავისუფლების მოძრაობა 279
*ქალთა დაქვემდებარება* (J. S. Mill, 1869) 34-5, 292, 399
ქალთა ეროვნული ორგანიზაცია (NOW) 280-1, 292-3
ქალთა მოძრაობა 25, 159, 277, 302
ქალთა საარჩევნო უფლების ეროვნული ასოციაცია 278
ქალთა სოციალური და პოლიტიკური კავშირი (1903-) 278
*ქალთა უფლებების დაცვა* (Wollstonecraft, 1972) 278, 291, 402
*ქალთა ქალაქის წიგნი* (Pisan, 1405) 278
ქალთა წინადაცვეთა 277, 284
*ქალი-საჭურისი* (Greer, 1970) 280, 299, 397
*ქალის საიდუმლო* (Friedan, 1963) 279, 292, 395
ქარიზმა 257, 390
ქაშმირი 181
ქვეშევრდომნი 189
*ქვიშის ოლქის ალმანახი* (Leopold, 1948) 325, 398
ქმედების უტილიტარიზმი 57
ქორწინება 284, 294, 306
ქრიკი, ბ. 11, 394
ქრისტიანი პატრიოტები 362
ქრისტიანობა 202, 225, 242-4, 252, 268-9, 317, 337, 341, 345, 365
ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი (CDU) 100
ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია (DC) 100-1
ქრისტიანული ახალი მემარჯვენეობა 113
ქრისტიანული დემოკრატია 100, 102, 390
ქრისტიანული სოციალიზმი 161-2
ქრისტიანული ფუნდამენტალიზმი 347-8, 358-360
ქსენოფობია 179, 201, 390
ქურდობა 94
ქურთები 181, 182, 186

ღვთაებრივი/ღვთივმიმადლებული
უფლება 4, 33, 83, 225-6, 390
ღია საზოგადოება 263
ღირებულებათა შრომის თეორიები
323
ღირებულებები/ფასეულობები 13, 99,
254-6, 326, 347
დამკვიდრებული 170-1
საზიარო 182, 199, 268
სულიერი ჩანაცვლებული
მატერიალურით 338
ტრადიციული 91
უნივერსალური 373
ურთიერთმოქიშპე 43-5
ღირებულების მწვანე თეორია (გუდინი)
325
ღმერთი 83, 225, 273, 340, 341, 345,
347, 351, 357, 359, 364
"მოკვდა" (ნიცშე) 252

ყალბი/მცდარი თვითშეგნება 8, 391
ყმობის გზა (ჰაიეკი) 108, 397
ყოველდღიური ცხოვრების პოლიტიკა
283
*ყურანი* 340, 252

შავი მუსლიმანები 194
შავი ძალა 194, 300
შავკანიანები 69, 184, 361
შავკანიანთა ნაციონალიზმი 194
შარიათის კანონი 290, 352-3,
355
შედარებითი უპირატესობა 209, 331
შედეგის თანაბრობა/თანასწორობა
127-8
შეიარაღებული ბრძოლა 136
შეიფტსბერი, ლორდი (1621-83) 44-5
შეკრებების თავისუფლება 69
შელი, მ. 291
შემოქმედებითი დესტრუქცია 253
"შემოქმედი ადამიანი" (მარქსი) 154
შერეული ეკონომიკა 20, 109, 134, 164,
167
შერეული ქორწინება 270
შესაძლებლობათა თანასწორობა 39,
127-30, 168, 172
შეუწყნარებლობა 43, 201, 247
შვედეთი 117, 142, 126
შვედეთის სოციალურ-დემოკრატიული
შრომის პარტია (SAP) 139-41, 164
ამომრჩეველთა საუკეთესო
მაჩვენებელი 141
შვეიცარია 183, 230-2
შიიტი (შია) მუსლიმანები 183, 352
შიიტური ფუნდამენტალიზმი 355
შიმშილი 67
შოვინი, ნ. 201
შოვინიზმი 179-81, 194, 197, 201-3, 328
შოპენჰაუერი, ა. 252
შოტლანდია 359
შოტლანდიის ნაციონალური პარტია
(SNP) 191
შოტლანდიის პარლამენტი 191
შოტლანდიური ნაციონალიზმი 180-1
შოუ, ჯ. ბ. 138
შრი-ლანკა 181, 339, 350, 365
შრომა 130-6
ინდუსტრიული 120
ორგანიზებული 249
"საქონელი" 146
შრომა 141, 271-2
შრომის დანაწილება 59, 237
სქესის მიხედვით 282, 287, 290, 293,
296, 333
შრომის პარტია (ავსტრალია, 1891-) 139
შრომის პარტია (გაერთიანებული
სამეფო, 1900-) 69, 134, 138-9, 168
ამომრჩეველთა საუკეთესო
მაჩვენებელი 141
ახალი შრომა 169-70
შრომის პარტია (ისრაელი) 364
შრომის უფლება 69
შრომის ძალა 148, 295-6
შტირნერი, მ. 236, 401
შტირნერი, რ. 328-9
შტრომასი, ა. 375-6, 401
შუა საუკუნეების ევროპა 216, 233, 269
შუმახერი, ე. ფ. 320, 321, 322, 326
შუპე, ა. 367, 397

ჩაგვრა 129, 162, 205-6, 217-9, 222, 228-
9, 235, 241
ჩაცმის კოდექსი 277, 290, 302-3, 357
ჩეინი, დ. 362
ჩემბერლენი, ჰ. ს. 269-270
*ჩემი ბრძოლა* (ჰიტლერი) 2, 255, 271-2,
397
ჩერნობილი (უკრაინა) 331
ჩერჩილი, რ. 99
ჩესტერტონი, ჯ. კ. 83
ჩეხები 198
ჩეხეთის რესპუბლიკა 181
ჩეხოსლოვაკია 198
*ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ* (Brownmiller,
1975) 302, 393
*ჩვენი სინთეტური გარემო* (Bookchin, 1962)
332-3, 393
ჩილე 122

ჩინეთი 150, 156-7, 174, 180, 204-5, 278, 370-1
ჩ-ის რევოლუცია (1911) 195
ჩ-ის რევოლუცია (1949) 122, 136, 149
ჩომსკი, ნ. 246, 245, 373
ჩრდილოეთი ამერიკა 29, 140, 205, 340
ჩრდილოეთი აფრიკა 163, 180, 183, 354
ჩრდილოეთი ირლანდია (ოლსტერი) 182-3, 339, 359-60, 363
ჩრდილოეთი კორეა 121, 156, 174, 205
*ჩუმი გაზაფხული* (Carson, 1962) 309, 331, 394

ცენზურა 34, 105, 304, 355
ცენტრალური ამერიკა 122
ცენტრალური აღმოსავლეთი 76, 96-7, 162-3, 179, 182-3, 202, 353-4
ცენტრალური დაგეგმვა 20, 23, 62, 99-100, 107, 117, 153, 156, 205, 227-8, 258-9, 264
ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო (CIA) 122
ცივი ომი 11-2, 17, 75-6, 157-60, 206, 262
დასასრული 23, 274
ცივილიზაციათა შეჯახება (ჰანტინგტონი) 24, 337-8, 366, 397
ცოდნის ეკონომიკა 170, 171-3
ცოდნის კლასი (ბელი) 369-70
ცრურწმენები 37, 252
ცხოველთა უფლებები 20-1, 131-2, 323-4, 326
*ცხოველთა უფლებების დასაცავად* (Regan, 1983) 324, 400
"ცხოვრებისა და კეთილდღეობის თანაბარი უფლება" (ნაესი) 325
ცხოვრების პირობები 64-5, 121
ცხოვრების სტანდარტები 91-2, 137-8, 159-60, 168, 319-20
ცხოვრების სტილი 25, 112-3, 243, 301
ცხოვრების ხარისხი 326
ცხოვრებისეული შანსები 91

ძალადობა (rape) 38, 135, 137-8, 235, 350-2, 359-60, 371-2, 391
ანარქისტული 215
რევოლუციური 240-42
რელიგიური ფუნდამენტალიზმი 340-1
ძალადობის უარყოფა 243-4
ძალაუფლება 1, 3, 8, 13-9, 221-2
"თოფის ლულაშია", (მაო) 137
ძალაუფლებათა გამიჯვნა 45, 51
ძალაუფლების ნება (ნიცშე) 252
ძალის პოლიტიკა 106
ძალის ფსიქოლოგია 218-9
ძველი საბერძნეთი 48-9, 215, 216, 232-3, 278
ძმები გრიმები 292-3
ძმობა 129, 391

წარმოება/მეწარმეობა 102, 118, 172
წარმოების ახალი დარგები 101
წარმოების საშუალებები 8, 147
სოციალიზაცია (კოლექტიური ფლობა) 158
წარმოების წესი 144-8, 163
კაპიტალისტური 8-9
"წარმოსახვითი საზოგადოებები" (ანდერსონი) 187
*წერილი ტოლერანტობის შესახებ* (Locke, 1689) 41, 45, 398
წესის (rule) უტილიტარიზმი 56-7
"წესიერი შემოსავალი" (ბუდისტური) 321
წესრიგი 56, 80, 85, 103, 104, 178, 198, 215, 222-3, 236-7, 305, 391
*წვლილი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის*: შესავალი (Marx, 1859) 144
წიაღისეული საწვავი 309, 313-4, 320, 323
წითელი ქმერები 136
წინააღმდეგობა ტრანსცენდენციის მიმართ (ნოლტე) 251
წინარეკაპიტალიზმი 295
წონასწორობა: ბუნებრივი 41-2

ხალისტანი 364
"ხალხის ნება" (რუსეთი) 241
ხალხური თქმულებები/ტრადიციები 192-3, 272-3
ხანგრძლივი ბუმი (1950-იანები, 1960-იანები) 73, 105-6, 141, 168
ხელისუფლება 47, 51, 58-9, 68, 71-3, 84, 93, 116-7, 142-3, 190, 218, 225, 234-6, 285, 391
ავტორიტარული 330
გაუქმება 215
ეროვნული 213
"მკვდარი ხელი" 60
საპარლამენტო 48
"საუკეთესო" (ჯეფერსონი/უორენი) 56, 237
სოციალისტური 167
ძლიერი 84-5, 199, 330
ხელისუფლების ერთეული 181-2
ხელისუფლების ჩარევა/ინტერვენცია 30-1, 94, 100-1, 230

ხელისშემწყობი სახელმწიფო 68
ხელოვნება 10, 94, 263, 273, 300
ხელოსნობა/ხელოსნები 123, 230, 332
ხელფასები 71, 103, 120, 137, 167, 231, 296
ხელფასიანი დასაქმება 164
"ხელფასები დიასახლისობისთვის" 295-7
ხელფასიანი მენეჯერები 166
ხომეინი, რ. 79, 206, 340-1, 354, 354, 357-8
ხორვატია/ხორვატები 181
ხუთწლიანი გეგმები (საბჭოთა კავშირი) 153

ჯაინების თემი (ინდოეთი) 363
ჯანმრთელობის მომსახურება 69
ჯეიმზ მეორე 46
ჯეიმზი, ს. 297, 394
ჯეიმზი, უ. 12-3
ჯენტილე, ჯ. 262
ჯეფერსონი, თ. 46, 55, 55, 56, 237
ჯინგოიზმი 201, 391
ჯიჰადი (წმინდა ომი) 203, 353, 355-6
ჯონსონი, ლ. ბ. 69, 361
ჯოსპინი, ლ. 168

ჰადენი, ჯ. კ. 367, 397
ჰაიეკი, ფ. ა. 15, 30, 62-3, 103, 108, 108, 397
ჰაიზენბერგი, ვ. 316
ჰამასი 350
ჰანიბალი 138
ჰანტინგტონი, ს. 24, 397
ჰარდი, ტ. 309
ჰარედიმი (ულტრაორთოდოქსი ებრაელები) 344
ჰარიმანი, რ. 309, 395
ჰარინგტონი, მ. 176, 397
ჰასან ალ ბანა 353
ჰატჩინსონი, ჯ. 214, 397
ჰეგელი, გ. ვ. ფ. 68, 144-6, 154-6, 236, 263
ჰეგემონია 9, 391
ჰეზბოლა 350, 355
ჰეიდერი, ჯ. 274
ჰეივუდი, ე. xiv
ჰეკელი, ე. 308
ჰელმსი, ჯ. 113
ჰენრი, ე. 241
ჰერდერი, ჯ. გ. 192, 254
ჰერცლი, ტ. 365
ჰიბრიდული იდეოლოგიური ფორმები 15
ჰირო, დ. 367, 397
ჰიტლერი, ა. 2, 3, 73, 96, 190, 248, 250-1, 253, 254-5, 255, 256, 258, 262, 263, 266, 268, 270
თვითონ არ შეესაბამებოდა "არიელის" სტერეოტიპს 268
თვითმკვლელობა 273
საგარეო პოლიტიკა 255-6, 271-2, 272-3
ფიურერი 258
ჰო ში მინი 205
ჰობსბაუმი, ე. ჯ. 23, 188, 214, 343, 397
ჰობსი, ტ. 45, 55, 85, 86, 236, 397
ჰობსონი, ჯ. ა. 66, 397
ჰობჰაუსი, ლ. ტ. 66, 397
ჰოლდენი, ბ. 77, 397
ჰოლიზმი 315-8, 325, 391
ჰოლისტური ინდივიდუალიზმი 327
ჰოლოკოსტი 269
ჰომოსექსუალობა 113, 347, 358, 361
ჰორკჰაიმერი, მ. 155
ჰუმანიზმი 391
"ჰუმანიზმის ამპარტავნობა" (ერენფილდი) 310
ჰუმბერტი, მეფე (იტალია) 241

*Action Française* 261
*Alienza Nazionale* (AN) 274
*ancien régime* 377
*Anschluss* (1938) 255-6
*Anti-Dühring* (ენგელსი) 143
*Avanti* 258
*Backlash* (Faludi: 1991) 305, 395
Baxter, B. 376
Bellamy, R. 77, 392
Bowen, J. 246, 400
Bryson, V. 307, 393
Buller, C. 376, 393
Campling, J. 307
Capra, F. 314-17, 336, 393
*Carter, A.* 246, 394
*CGT (საფრანგეთი)* 216, 231
*CNT (ესპანეთი)* 216, 231
*Co-operative Magazine* 120
Conway, D. 77, 394
Coole, D. 307, 394
Dahl, R. 53, 394
Donan, H. 367, 392
Eckersley, R. 336, 394
*Eighteen Brumaire of Louis Bonaparte* (Marx, 1852) 148
*Emily's List* 293
Encyclopédie anarchiste *218*
*ETA* 191
fascismo **247**

*Front National* (საფრანგეთი) 184, 200, 251, 273, 275
*Führerprinzip* (ლიდერის პრინციპი) 258, 262-3, 329
Fundis (მუქი მწვანეები, ფუნდამენტალისტები) 323
Grünen (გერმანელი მწვანეები) 308, 329-31
*Herrenvolk* (ბატონთა რასა) 260-1, 268, 271
IMF 63-4, 213-4
*Journal of Political Ideologies* (1996-) 26, 396
Kedourie, E. 214, 398
*Kristallnacht* (1938) 271-2
*Kultur* 271-2
*laissez-faire* კაპიტალიზმი 58-66, 71, 73, 94, 99, 121, 133, 340, 383
"ეკონომიკური ანარქია" (კეინზი) 71
Laqueur, W. 276, 398
*Lebensraum* (საცხოვრებელი სივრცე) 255-6, 261-2, 272-3
Moral Majority (1980-) 112-3, 347-8, 361-2
*Movimento Sociale Italiano* (MSI) 273-5
Neocleous, M. 276, 399
НКВД 154
*noblesse oblige* 98
*Realos* (ღია მწვანეები, რეალისტები) 322-3
*Rechtsstaat* (კანონით მართული სახელმწიფო) 47-8
*Republikaner* პარტია (გერმანია) 273-4
SA (ყავისფერპერანგიანები) 258-61
Schneir, M. 306-7, 401
Scholte, J. A. 375-6, 401
Schwartzmantel, J. 27, 401
*Übermensch* (ნიცშეანური "ზეკაცი") 256-7
*Wandervoegel* 328-9
*Weltanschauung* (მსოფლხედვა) 10-11, 17, 150-1, 326, 350
workfare (სამუშაოთი უზრუნველყოფა) 172-3
*Zentrum* (ცენტრის პარტია გერმანიაში) 100-1